ი/ც. 6 K 8195
3

# ქართლის ცხოვრება,

## დასაბამით-გან მეათცხრამეტე საუკუნემდის.

ნაწილი მეორე.

ახალი მოთხრობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე,

გამოცემული

მ. ჩუბინოვისაგან.

# HISTOIRE DE LA GÉORGIE,

## DEPUIS L'ANTIQUITÉ JUSQU'AU XIX SIÈCLE.

**IIme Partie.**

Histoire moderne, depuis 1469, jusqu'en 1800 de J. C.,

PUBLIÉE EN GÉORGIEN

PAR

M. TCHOUBINOF.

სანკტპეტერბურღს.

DE L'IMPRIMERIE DE L'ACADÉMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

**1854.**

Se vend chez MM. Eggers. et Comp. libraires, Commissionnaires de l'Académie, Perspective de Nevsky, No. 12, et a Leipzic, chez Léopold Voss.

Prix: 4 Rbl. arg. — 4 Thlr. 13 Ngr.

# ქართლის ცხოვრება.

## უწყებულება მკითხველთა-თჳს:

უწყებულ-იყავნ, რამეთუ ბრწყინვალის მეფის გიორგის ცხოვრება და ქვეითთა მეფეთა არღა- 97 რა მოიპოვების. გარნა საგონებელი არს, რამეთუ უთუოდ არს ცხოვრება მისიცა და სხვათა მეფეთაცა განყოფილებისადმდე, ვინათ-გან ცხოვრებასა შინა სწერს, რამეთუ ამან ბრწყინვალე-მ გიორგი-მ რაოდენ გონიერად ჰყო ბრძოლანი ანუ შემატებანი სამეფოისანი:

კვალად იტყვის. „განდგა სარგის ჯაყელი და არღარა იქმნა შეერთება მესხთა, ვიდრე ბრწყინვალის გიორგისამდე, და ამან დაიპყრნა მესხნი: ეგრეთვე კავკასთა და ოვსთა-თჳს იტყვის განსხმასა და დამორჩილებასა. ამით უკეთუ არა იყო ცხოვრება, არა ძალ-ედვა წინათვე აღწე-რად ქმნულთა მისთა. გარნა აღწერილნი ესენი შემდგომად მისსა იხილვებიან, გარნა იყო და წარ-წყმდა, ვითარცა ნაკლულევან-არს მეფისა ვახტანგისა და ბექას მიერი თურქთა ზედა ძლევანი და ყეენებთა შეუსრულებლობანი: კვალად ანუ შფოთთა ურთიერთთა შემდგომად განყოფისა უწინა-ჰყვეს გვარობისა-თვის, და ამის-თვის საჭირო იქმნა მას ქვეითთა მეფეთა აღწერათა წარმოჩინებანი. გარნა ერთ-მეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი, ვინად-გან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქვეშე პყრობასა: პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მეს-ხსა, ჰერ-კახსა“ რა რჯული ხარ. „წამს მოგიგებს. „ქართველი.“ მეორედ, არს ამათ ყოველთა წი-გნი და ენა ერთი იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისა-გან ქმნული: და ჰკითხო მათ წინ-ათქმულთა გაცთა. „რა ენა და წიგნი უწყი.“ მოგიგებს მყის. „ქართული.“ რამეთუ არა იტყვის, არცა ჰსჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა. არამედ ქართულსა: მესამე, არა-სადა-მე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯვართა ძვირ-ფასთა, რომელთა ზედა იყოს სხვათა მეფეთა სახელნი, თვინიერ. „ჩვენ მეფე-მან საქართველოსა-მან ანუ ქართლისა და აფხაზეთისა-მან.“ რომელთა ზედა წერილ-არიან ქვათა, ხატთა და ჯვართა ზედა: კვალად ესეცა ნიშანნი არიან, რომელნი უპყრავს მეფესა ქართლისასა, ჰერ-კახთა ყარაია და ლილო, იმერთა ლიხის მთის იქით, სამცხისა, ტაშის-კარს ზეით ტბის-ყურ-ფასანავრისამდე, სომხი-

თისა აბოცი და სხვანი, რომელი შიხის ძეთა მიუღეს: არამედ ესენი საკმაო არიან აღმოჩენად. გარნა გლეხთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფისა. გარნა შურითა ურთიერთთა და გარეშეთა მტერთა-გან იქმნა განყოფილება, ვითარცა დავითისა და ნარინ-დავითისა და მათ ქვეითთა: გარეთვე და ამის მიერ სახილველ არს არღა-რა წარწერა შემდგომისა ცხოვრებისა მწერალთა მიერ თნებითა მათ მეფეთათა. არამედ თუმცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და საეკლესიოებთა წიგნებთა შინა ქორონიკონებთა მათთა, რომელი აღუწერიათ ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე ჩვენდამდე ყოველთა მეფეთა და მთავართა, და სხვასა ვიუწყებთ სხოვნა-მოთხრობათა და მცირედთა ცხოვრებათა მათთა წარწერითაცა. არამედ განრჩევა საჭიროდ არს და უხმს შრომა დიდი. გარნა ამის განრჩევისა-თვის წარმოვსთქვათ ბრწყინვალეს გიორგიდამ ვიდრე ჩვენდამდე:

ხოლო აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევანის ძისა მეფის ვახტანგისათი, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ: გარნა თუმცა ბრძანებათა მისითა არს. არამედ მას თვით არღა-რა განუხილავს ვითარება მისი, ვინად-გან სწერს ბაგრატიონით ნათესაობა-შთამომავლობასა შინა სხვას ქორონიკონებს, რომელნი ჩვენნი აქ წერილის ქორონიკონებისა-გან არიან. ხოლო ცხოვრებასა შინა ჰსწერს ბრწყინვალეს გიორგის თავ-დადებულის ძედ და ძედ გიორგისად ბაგრატს. და ამ ბაგრატის ჟამს იტყვის თემურის მოსლვასა, ამას ქორონიკონს უწერს ქს. ჩტჟგ. ქრ. ჟა: და ამ ბაგრატის ძედ გიორგის, და სიკუდილსა ამ გიორგისასა სწერს ქს. ჩტნე ქრ. მგ და ნათესავობასა შინა ამასვე ქორონიკონს: ამ გიორგის ძის დავითის მეფობას იტყვის, და ამ მეფეთ ქორონიკონსა და ცხოვრებასა სხუას არღა-რაის ჰსწერს, ვინად-გან ვერა-რა უპოვნიათ, რამეთუ მუნვე სწერს. „ვერ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგის ცხოვრება.“ ხოლო გიორგის ძედ დავითს და სიკუდილსა ამ დავითისასა ქს. ჩტპბ: და ამ დავითის ძედ ალექსანდრეს. ხოლო ნათესავობასა შინა ამ ალექსანდრეს მეფობას იტყვის ქს. ჩტოზ. ქრ. ჲ. და ცხოვრებასა შინა სიკუდილსა ამ ალექსანდრესასა ქს. ჩტჟგ: და ამის ძედ გიორგის და ამ გიორგის მეფობას ნათესავობასა შინა ქს. ჩტჟე, ქრ. ჳგ. არამედ იხილე, ვითარ წინა-აღმდგომ არიან ურთიერთთა, რამეთუ იტყვის ნათესავობასა შინა ბაგრატის ძის გიორგისამდე. „გარდახდენ რუსუდანიდამ წელნი რკდ:“ და რუსუდანის მეფობას იტყვის მუნვე ქს. ჩსჳგ. ამას რომ რკდ დავადვათ, იქმნების ჩუზ წელი, რომელი გარდასცილდების ალექსანდრეს სიკუდილს ჩტჟგ და გიორგის მეფობას ჩტჟე: ქრ. ჳგ. ამით ამათნი ზეითნი მეფენი ტყუვილნი არიან და უკეთუ რკდ წელი რუსუდანის სიკუდილს დავადვათ იქმნების ქს. ჩტპა: ქრ. მთ: ეს მისწუდების დავითის მეფობის

წელს ჩცნე: ქრ. მგ. კვალად გარდასცვალების ექუსი წელი, და კვალად რუსუდანის მეფობის
ქორონიკონიდამ დავითის გამეფებამდე დაშთების ობ წელი, და მეფენი არიან ხუთნი: ეს რომ
გაუყოთ, მიხუდების თითოს იდ წელსა, და ეს დაუჯერებელ არს ძეთა სხმად, რამეთუ არიან ძენი
ერთი ერთისა: ხოლო იგივე ქორონიკონი აქ წერილს ქორონიკონსა მისწუდების, დიდის ბაგრატი-
სა-გან სვანთ მოწყვეტასა და თურქთა-გან სამცხის მორბევასა:

კვალად ბაგრატის ქორონიკონი თემურის მოსლვისა და ალექსანდრეს სიკუდილისა ქს.
ჩცჟგ. წინა-აღმდგომ არიან, რამეთუ ანუ ბაგრატისად ჯერ-არს ანუ ალექსანდრესად, ვინად-გან
პაპის-მამისა და ძის-ძის-ძის მეფობისა ქორონიკონი ერთბამად ურწმუნო არს, და მათთა ქორონი-
კონებსაც წინა აღუდგების, რამეთუ ძენი უწინარეს ყოფილან პაპისა-გან. არამედ ჩცჟგ ქორო-
ნიკონი, მოწმობითა ყოველთა მემატიანეთა თემურისა და დიდის ბაგრატისა არს. და ამ დიდის
ბაგრატის მამა დავით იყო, რომელსა მოწმობს გუჯარი ბარათიანთა ბეთენიასი, და დავითის მამა
თავ-დადებულის-ძე ბრწყინვალე გიორგი იყო, რომელსა მოწმობს ნათესავობის რკდ წელი.
რუსუდანის გამეფებიდამ რომ დავადვათ იქმნების ქრისტესით ჩცლე წელი და ბრწყინვალეს
გიორგის მეფობა: ხოლო ესე ალექსანდრე, ბაგრატ მცირე მეფის ძე არს, და ამის მიერ ვერ
გაურჩევიათ, ვინად-გან ორნი ბაგრატ ერთ-ჟამს იყვნეს და ნათესაობის ქორონიკონი ჩცოზ:
ქრ. ჲ. ამ ალექსანდრეს მეფობა რომ არს მცირე მეფის ძის ბაგრატის სიკუდილისა და ალე- 98
ქსანდრეს გარისთვებისა არს, რომელნი იმერეთს აღვსწერეთ, და დიდის ბაგრატის ჟამა არს მე-
ფობისა: ხოლო ამ დიდის ბაგრატის ძე არს გიორგი და არა ალექსანდრე, და რომელი გიორგი
მათ ალექსანდრეს ძედ დაუწერიათ და ამ გიორგის სიკუდილის ქორონიკონი ცხოვრებასა შინა,
ქს. ჩუიბ: ესევე ალექსანდრეს გამეფებისა, ეს არც გიორგისა და არც ალექსანდრესი არს ქორო-
ნიკონი. არამედ კონსტანტინესი გიორგი მეფის ძმისა, დიდის ბაგრატის ძისა და ნათესაო-
ბასა შინა წერილი: ჩუიდ, ქრ. რბ, გამეფება არს ალექსანდრე მცხეთის აღმაშენებელისა, და
ამის მამა გიორგი მოკლეს თურქთა ქს. ჩუჟ. ქრ. ჟე: ხოლო კვალად ჯსწერს ცხოვრე-
ბა-ში გიორგის ძედ ალექსანდრეს, და სიკუდილსა ამ ალექსანდრესსა ქს. ჩუით: და ამ
ალექსანდრეს ძედ ვახტანგს, ხოლო ნათესაობასა შინა მეფობასა ვახტანგისასა ქს. ჩუმგ.
ქრ. რლა:

და ეს არს ვახტანგის მეფობის მეორე წელი და ცხოვრებასა შინა სიკუდილსა ვახტანგი-
სასა ქს. ჩუმე. მერმე ძმასა ვახტანგისასა გიორგის და ამის მეფობას ნათესაობასა შინა სწერს,
ქს. ჩუმე. ქრ. რლგ. და ცხოვრებასა შინა გამეფებასა ამასვე: ხოლო სიკუდილსა გიორგისასა

ქს. ჩუჲე: და ამ გიორგის ძედ ბაგრატს, ამას ნათესაობასა შინა მეფობას უწერს, ქს. ჩუნე, ქრ. რმგ. და ცხოვრებაში სიკუდილსა ბაგრატისასა, ქს. ჩუჲა: და ამ ბაგრატის ძედ კოსტანტინეს და სიკუდილსა კოსტანტინესსა ქს. ჩუჲჱ. შემდგომ კოსტანტინეს ძმად სწერს ალექსანდრეს და სიკუდილსა ამ ალექსანდრესსა ქს. ჩუჟბ. ხოლო ნათესაობასა შინა ამათსა არა რაასა, ვინადგან ვერა რა უცნიათ: და ამ ალექსანდრეს ძედ კოსტანტინეს და ნათესაობასა შინა მეფობასა ამისსა ჩუჟბ. ქრ. რპ. ხოლო ცხოვრებაში სიკუდილსა. ჩჲთ: და ამ კოსტანტინეს ძედ დავითს და სიკუდილსა დავითისსა ქს. ჩჲმზ. და ნათესაობასა შინა არცა ამათსა რაის აღწერს:

შემდგომ ძესა დავითისასა ლუარსაბს და სიკუდილსა ლუარსაბისასა ქს. ჩჲოდ და ძესა ლუარსაბისასა სვიმონს და ნათესაობაში გამეფებასა ამისსა ქს. ჩჲნვ: ქრ. სმგ. რომელი არს სიკუდილი ლუარსაბისა და ცხოვრებაში სიკუდილსა სვიმონისასა ქს. ჩჟ: და ამათ ქვემოთა ქორონიკონთა არღარა სწერს. ხოლო არამედ ალექსანდრეს სიკუდილისა და ვახტანგის გამეფების ქორონიკონი ჩუით, არცა ერთისა არს მართ. არამედ ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებლის მეფობის ჟამი არს. ხოლო ვახტანგის სიკუდილსა და გიორგის გამეფებისა ქორონიკონი ჩუმე სწორე არს, რომელსა ნათესავობის ქორონიკონიც ემოწმების: კვალად გიორგის სიკუდილსა და ბაგრატის გამეფებისა ქორონიკონი ჩუნე არა ჭეშმარიტ, რამეთუ ბაგრატ არა გიორგის ძე არს. არამედ დიმიტრისა იმერთ ერისთვისა: ხოლო ამ გიორგის ძე კოსტანტინე იყო და გიორგი მოკუდა და გამეფდა კოსტანტინე, ქს. ჩუჲთ, და ქორონიკონი იგი გიორგისა არს

ხოლო ბაგრატის და ძისა მისისა ალექსანდრესი და მას ქვეითნი იმერთანი მეფენი მათ-თანა აღვწერეთ ქორონიკონითა. არამედ გიორგის ძის კოსტანტინეს სიკუდილი და დავითისა ძისა მისისა გამეფების ქორონიკონი ჩჲდ. წერილი ერთ-სავლები არს და დავითის სიკუდილი და ძმისა მისისა გიორგის გამეფება ქს. ჩჲკჱ. არა გამეფება არს, არამედ მეფობის ქორონიკონი. ეგრეთვე ლუარსაბის ქორონიკონი ჩჲმზ, არა გამეფება არს. არამედ მეფობა და სვიმონ მეფისა ჩჲკა. სვიმონის გამეფების მეორე წელი არს: არამედ ესრეთ ქორონიკონნი ესენი უსწორად და წინა-აღმდეგნი არიან და არცა განყოფასა ვითარ ქმნისა და არცა იმერთა და კახთა მეპატრონეთა შთამომავლობასა სწერს: ხოლო ამას რა განვიხილავთ ფრიად უსწორო არიან, ვინადგან სიკუდილსა თავ-დადებულისასა ვსცნობთ და მას ქვეითა მეფეთა ბრწყინვალის გიორგისამდე ცხოვრებისა-გან აღრიცხვითა წელთათა, რამეთუ მივსწუდით. გამეფდა ბრწყინვალე გიორგი ქს. ჩტიჱ, ქრ. გ: და ამის ქვეითსა ვიუწყებთ გუჯართა, სიგელთა და ძველთა ქორონიკონებთა-გან, ჩტკგ. ქრ. ია საკან ვიდრე ჩვენდამდე:

ხოლო მეფობასა დავით ბრწყინვალე გიორგის ძისასა და დავითის ძის დიდის ბაგრატო-ნისა და სიკჳდილისა ბაგრატისასა და ამ ბაგრატის ჟამსა ორ-გზის მოსლვასა თემურისასა, რომელი იყო პირველი ქს. ჩტპჱ. ქრ. ოჳ და მეორე ქს. ჩტჟდ, ქრ. პბ: არამედ ალექსანდრე, რომელი აღიწერა ქს. ჩტჟბ ქართლის მეფედ, გარნა თუ ერთს ქორონიკონს იჩჳნენ დიდი ბაგრატ და ალექსანდრე, არა არიან ერთ მეფედ, არამედ შეცთომილად აღწერილი და მის ზეთნი მეფენიცა, რამეთუ ალექსანდრე იყო იმერთა და გიორგიცა ძმა მისი ამისა შემდგომი. ვინადგან ვიხილავთ სიკჳდილსა გიორგისასა ქს. ჩტჟბ: ქრ. პ. და დიდისა ბაგრატის სიკჳდილსა ქს. ჩტჟე. ქრ, პგ: ესრეთ ალექსანდრე და გიორგი დიდის ბაგრატის ჟამსა შინა იხილვებიან. ამის-თჳს არა იქმნებიან ზოგად სამნი მეფენი, არამედ იგინი იმერთა და დიდი ბაგრატ ქართლისა. ხოლო არა იგი არს ბრწყინვალე გიორგი, რომლისად სწერს ძედ მისად ბაგრატს, რომელთა-თჳს არცა ქორონიკონი აღუწერიათ, არამედ იგი არს, რომლისა სიკჳდილი აღუწერიათ ქს. ჩტნე, და ძედ მისად დავით, და მის ზეითნი მეფენიცა ტყუვილად არიან, ხოლო ამ დავითის ძე იყო დიდი ბაგრატ, რომლისა ჟამსა შინა მოვიდა თემურ. და რადგან ამ ქორონიკონსა ზედა მოვიდა მეორედ თემურ, ამით ალექსანდრეს ქორონიკონი იგი მტყუარ არს და სცდის. ხოლო დიდის ბაგრატის ძე იყო გიორგი, ვითარცა ვიხილავთ ქორონიკონთა, გუჯრებთა და სიგლებთა დავითისასა და დიდის ბაგრატისასა და გიორგისასა:

კვალად მოკჳდა მეფე ალექსანდრე ქს. ჩტპთ. ქრ. ოზ: კვალად მოკლეს მეფე გიორგი მეგრელთა ქს. ჩტჟბ. ქრ. პ: და კვალად მოკლეს მეფე კონსტანტინე ჩალაღანს ქს. ჩუა: ქრ. პთ. და კვალად დიდი ომი იყო, მოკლეს მეფე გიორგი თურქთა და ძმა მისი კონსტანტინე მეფედ იქმნა ქს. ჩუჱ. ქრ. ჟე: და ესრეთ ვიხილავთ ალექსანდრეს და გიორგის მეფეთა დიდის ბაგრატის მეფის ჟამსა შინა. ხოლო კონსტანტინე მეფესა გიორგი მეფის ჟამსა შინა ყოფასა და სიკჳდილსაცა, რომელნი ამ ქორონიკონებითა არა არიან ერთ-მეფედ. არამედ ალექსანდრე, გიორგი და კონსტანტინე ძენი ბაგრატისანი. მიქელ მეფისა ძენი და იმერთა მეფენი: ხოლო გიორგი და კონსტანტინე დიდის-ბაგრატის ძენი და ქართლის მეფენი და გიორგის ძე არს ალექსანდრე 99
მცხეთის აღმაშენებელი, ვითარცა გუჯარსა შინა ბარათიანთასა, რომელი არს პეთენთს სწერს: „მეფემან ალექსანდრე-მ, ძე-მან გიორგი მეფისა-მან განჭყარნა სამნი ძმანი, ბაში, გუგუნა და დავით:" და უკეთუ არა ესრეთ იყოს არა არიან წელიწადნი ეგოდენნი, ვითარმედ ექუსნი მეფენი მეფობდენ ურთიერთის ძენი, რამეთუ გამეფდა ბრწყინვალე გიორგი ქს. ჩციჲ. ქრ. გ. და ალექსანდრე მცხეთის აღმაშენებელი გამეფდა ქს. ჩუიდ. ქრ. რბ. და ამ ქორონიკონთა შორისნი წელნი არიან ყვ. ეს განწყობილი

თჳთოთა ამათ მეფეთა გიორგის, ბაგრატის, გიორგის, დავითის, ალექსანდრეს და გიორგის მიხუდე-ბიან წელნი იგ. და ამათ წელთა არ შესაძლებელ არს შობად ძეთა, და მეორე მეორისა-განცა, ვინადგან არი-ან ყოველნი პირველისა მეორე ძენი და არცა ერთი ძმა ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელის ქვეითამდე:

ხოლო კვალად ბრწყინვალეს მეფის გიორგისა-გან, ვიდრე სვიმონ მეფისამდე არიან წელნი სკჱ. და მეფენი იტ. რომლისა არა სარწმუნებელ არს შობად ძეთა გონიერისა-გან, ვინად-გან თჳთოთა ამათ მეფეთა მიხუდების წელნი იე, რომელნი ერთი მეორის ძენი არიან: კვალად უკეთუ ჭეშმარიტობს, რად არა იტყვის ქმნულებასა მათთა. არამედ იტყვის. „ჰმეფა და მოკუდა.“ და სხვასა არღარა რასა: კვალად არცა მოწმობს ქორონიკონთა, და რომელთა მოწმობს უსწორონი და წინა-აღდგომნი არიან ერთი მეორისა, ვითარცა ვიხილეთ, და ამის-თვის არა ჭეშმარიტ, და რომელნი აღვწერეთ ჩვენ, უკეთუ არა ესრეთ იყოს, არცა ჭეშმარიტ იქმნებიან გუჯარნი, სიგელნი და ქორო-ნიკონნი და ამის-თვის უმჯობეს არს რწმუნებად ესევე, ვიდრელა წართქმისა უმოწმოსა, ვითარცა მუნ, არცა ერთისა მოწმობისა მომხსენე არს: ხოლო ალექსანდრე მცხეთის აღმაშენებელის ქვე-მოთნი და მისნი ქორონიკონნი, გუჯარნი და სიგელნი მრავალნი არიან, ვითარცა ესენი, რამეთუ შემდგომად მეფისა გიორგის დიდის ბაგრატის ძისა, მოკლეს მეფე კონსტანტინე თურქთა ქს. ჩუიდ: ქრ. რბ. და დაჯდა ალექსანდრე მეფედ ძე გიორგი მეფისა. არამედ ქნულება და სიკუდილი ამ მეფისა იხილვების, რომელ-მან ჰმეფა წელი კჱ. ხოლო ცხოვრებაში აღუწერიათ წელი ზ. რომელი არა შეეტყვების ქნულებასა მისსა და არცა გუჯართა მოწმობასა, ვინათ-გან სწერს. „მე-ფობისა ჩვენისა ი, იე, კ, ინდიკტიონსა, გიწყალობეთ:“ კვალად ძისა მისისა ვახტანგისა. „სა-მი წელი ჰმეფა და მოკუდა.“ არამედ ქორონიკონნი აღუწერიათ კგ წელი მეფობისა და ნათე-საობასა შინა სხუა, და ესრეთ შეუსწორებელი არს. ხოლო ვახტანგის ძმის და ალექსანდრეს ძის გიორგისა სწერს ი წელს მეფობასა, რომელმან ჰმეფა კდ წელი, ქორონიკონთა და გუ-ჯართა მოწმობითა, რამეთუ სწერს „ჩვენ გიორგი მეფემან იე ინდიკტიონს გიწყალობეთ:“ და ამ გიორგის ძედ ბაგრატს და მეფობასა ბაგრატისასა გ წელსა. არამედ ესენი არა ესრეთ არიან ქორონიკონთა მოწმობითა, ვითარცა ვიხილავთ ამას: მეფე გიორგი და ბაგრატ შეიბნეს ჩიხორს და ბაგრატ გაემარჯვა ქს. ჩუჲბ, ქრ. რნ. იხილე, რამეთუ ბაგრატს არა იტყვის მეფედ, ვინადგან ერისთავი იყო: კვალად გიორგი მეფე თავრიჟ გილაქმან და თემურ მოაოხრეს ქს. ჩუჲგ. ქრ. რნა: კვალად გიორგი მეფე შეიპყრა ყვარყვარე ათაბაგ-მან ფანასვარსა ზედა ქს. ჩუჲე. ქრ. რნგ: კვალად ბაგრატ მეფე-მან ქართლი დაიპყრა ქს. ჩუჲვ, ქს. რნდ: კვალად გიორგი მეფე მო-კუდა ქს. ჩუჲი. ქრ. რნზ. და კვალად ბაგრატ მეფე მოკუდა ქს. ჩუოჱ. ქრ. რჲვ. ამათ-

გან არა ძე გიორგისა არს ბაგრატ, რამეთუ ერთ-ჟამს არიან მხდომნი და მბრძოლნი ურთი-ერთთა. არამედ ბაგრატ ძე არს დიმიტრისა ალექსანდრეს ძისა იმერთასა: ხოლო ესე გიორგი ძე ალექსანდრე მცხეთის აღმაშენებელისა და ამ გიორგის ძე არს კოსტანტინე, ვინადგან ცხადად ქორონიკონი სწერს ბაგრატის ძედ ალექსანდრეს, გარნა თუმცა ვიხილავთ სიგელთა და გუჯართა ვითარმედ: „ჩვენ მეფე-მან ბაგრატ ქართლისა-მან, იმერთა, კახთა, სამცხისა, რანისა, შარვანისა, და შაანშისა-მან. არამედ, ვინადგან დაიპყრა ქართლი და ერჩდეს კახნი და მესხნიცა, ამის-გან ჩვე-ულებითა წინათვე სწერდა: ხოლო ბაგრატის ძედ კოსტანტინეს და ამ კოსტანტინეს ძმად ალექსანდრეს და ამ ალექსანდრეს ძედ კვალად კოსტანტინეს. არამედ ესე მეფე კოსტანტინე იგივე კოსტანტინე არს ძე გიორგი მეფისა და მამა დავით მეფისა და გიორგისა. ხოლო ალექსანდრე ძე ბაგრატისა და ალექსანდრეს ძე ბაგრატ, რომელმან შეიპყრა ყვარყვარე ათაბაგი, ცხადად საჩინო არს. ხოლო ცხოვრებათა, რომელი აღუწერიათ ამის კოსტანტინესივე არს მოსლვანი ყეენებთა, რომელსა სწერს: „მივიდა კოსტანტინე თათრებთა შინა:“ კვალად ქართლი დაიპყრა კოსტანტინე მეფე-მან, ქს. ჩჳოთ: ქრ. რჲზ. კვალად კოსტანტინე მეფე ჯავახეთს მიუხდა და დადიანი თანა ახლდა ქს. ჩჳპა, ქრ. რჲთ. ესე ბაგრატისა და ალექსანდრეს მხდომი და წინა-აღმდგომ არს, და ვითარი ძე არს. და კვალად გამეფდა ალექსანდრე, ქუთათისი აღიღო ქს. ჩჳპდ. ქრ. რობ. კვალად კოსტანტინე მეფე-მან ქუთათისი აღიღო ქს. ჩჳპზ. ქრ. როე. კვალად ქუთათისი დაიპყრა ალექსანდრე მეფე-მან ქს. ჩჳპთ ქრ. როზ:

და კვალად მეფობდა კოსტანტინე ქს. ჩჳჟბ. ქრ. რპ. და კვალად მოკჳდა კოსტანტინე მეფე ქს. ჩფე. ქრ. რჟგ. და კვალად ალექსანდრე მეფე-მან ძე-მან ბაგრატ მეფისა-მან გორი დაიპყრა ქს. ჩფთ. ქრ. რჟზ: კვალად მოკჳდა მეფე ალექსანდრე და ძე მისი ბაგრატ გამეფდა, ქს. ჩფი. ქრ. რჟჱ: და ამის-გან ცხადად საჩინო არს, რამეთუ არა ძე არს. არამედ ამისი მამა სხვა და იმისი მამა სხვა, ვითარცა აღვსწერეთ ეგრეთცა იცნობების ჭეშმარიტად, რამეთუ ბაგრატ და ალექსანდრე იმერთა მეფენი, ხოლო ესე კოსტანტინე ქართლის მეფე:

კვალად მეფის კოსტანტინეს ძეს დავითს სწერს: „გამეფდა ქს. ჩფი, რომელი ბაგრატ იმერეთის მეფის გამეფება არს. არამედ ჩვენ ვპოვეთ მეფის კოსტანტინეს სიკჳდილის ქორონი-კონი და ავ-გიორგისა-გან მამისა თვისის სიკჳდილი და თვით მის ავ-გიორგის სიკჳდილი და კვალად წარმოვიდა ყეენი ოხრებად ქართლისა ქს. ჩფიჱ. ქრ, სვ, და დავით მეფე-მან ძე თჳსი რამაზ მიაგება და დაიხსნა ქართლი ოხრებისა-გან. ხოლო ყეენი ესე იყო შაჰ-ისმაილ, რამეთუ სპარსთა აღწერილის ქორონიკონთა-გან გამოვირიცხვეთ და შაჰ-ისმაილის გამოჩინება იქმნა ქს.

ჩუჟთ. ქრ, რპზ. და სიკუდილი მისი ქს. ჩფკგ. ქრ. სია: ამით არა არს იგი ქორონიკონი და-ვით მეფისა. არამედ სიკუდილი კონსტანტინე მეფისა ქს. ჩფე და გამეფება დავით მეფისა: ხოლო დავით მეფე კვალად მეფობდა შაჰ-ისმაილის მოსლვის უკან, ვითარცა აჩვენს ბარათიანთ გაურის ქორონიკონი, წელსა ქს. ჩფკგ, ქრ. სია. „ზე ადიდნეს ღმერთ-მან მეფე დავით, ერგო ბუგუნას ეს და გერმანოზს ესე:“ ხოლო შემდგომად დავით მეფისა იყო გიორგი მეფე, დავით მეფისა ძმა, რამეთუ შაჰ-ისმაილის მოსლვა ლუარსაბ მეფის ჟამს აღუწერიათ. არამედ მეფის ლუარსაბის ზოგი ცხოვრება და სიკუდილი მისი საჩინოდ არს ქორონიკონთა შინა და ამ ქორო-ნიკონებთა რიცხვით არა არს ლუარსაბის ჟამსა შაჰ-ისმაილის მოსლვა, ვინადგან გიორგის მე-ფობა სრულიად არღარა იქმნების დავითისა და ლუარსაბის ქორონიკონებთ გამო, არამედ ჩვენთა ქორო-
100 ნიკონთა შინა შაჰ-ისმაილის მოსლვა წერილ-არს. „დეგ:ლ მოვიდა, ქართლი და სამცხე მოსტყუე-ვნნა ქს. ჩფკბ. ქრ. სი:“ გარნა სპარსთა და ზოგთა ჩვენთა შინათცა შაჰ-ისმაილის მოსლვად აღუწერიათ და ჩვენცა ეგრეთვე აღვწერეთ: არამედ თუმცა ლუარსაბ მუნ ბრძოლასა შინა მყო-ფ ახოვნად იყო. გარნა დავითვე იყო მეფედ, რამეთუ ლუარსაბის გამეფებას სწერს ქს. ჩფმბ: და სიკუდილსა ქს. ჩფოდ, რომლისა მეფობა იქმნების ამით ლბ წელი, არამედ შაჰ-ისმაილ მო-ვიდა ქართლს ქს. ჩფკბ: და მოკუდა შაჰ-ისმაილ ქს. ჩფკგ: ამით არა არს ლუარსაბ ჟამსა შინა შაჰ-ისმაილისსა და შესცთებას მეფობისა წელსაცა, რამეთუ მეფე ლუარსაბ მოკუდა, ცხადად არს ქს. ჩფნტ. ქრ. სმვ: და ამ ქორონიკონსა და შაჰ-ისმაილს შორის წელნი არიან, ლზ, და ესრეთ წინა-აღმდგომ არს სპარსთა და ჩვენითა ქორონიკონებთა.

ხოლო დიდის სვიმონ მეფისა და დაუთხანისა და კვალად მისივე სვიმონ მეფისა და გიორგისა ძისა მისისა და ლუარსაბისა გიორგის ძისა, რომლისა მეფობა ნათესაობასა შინა აღუწერიათ ქს. ჩქზ. ქრ. სჟე. და ბაგრატისა დაუთხანისა ძისა და სვიმონისა ბაგრატის ძისა სრულიად ჩვენთა ქორონიკონებთა სპარსთა-გან და გუჯართა და სიგელთა-გან გვიქმნიეს. ეგრეთ-ვე როსტომ მეფისა და მისი შემდგომი ჩვენამდე ხსოვნა ქორონიკონებთა-გან და ცხოვრებათა-გან მათთა შევაზავეთ: (¹)

---

(¹) ხოლო უმეტეს განმმართლებელი, სხვათა ჰოვნილთ ქორონიკონებთ გარდა და მოწამე აქა წერილთა ესე არს. რამეთუ ყოველნი აქა წერილნი მეფენი და მთავარნი თამარიდამ სვიმონის ძის გიორგისამდე დაწერილ-არიან მცხეთის გარიგების და სამართლის წიგნსა შინა ამერთს გელათურსა, რამეთუ ბრწყინვალეს გიორგიდამ გიორგისამდე ძისა ალექსანდრესა სწერს. „ეს მეფე მოკუდა, ეს მეფე მოკლეს.“ და შემდგომად გიორგისა ქართლის მეფე, იმერთა მეფე, კახთ-მეფე მოკუდა, აქ ქვეყნით სახელ-ქდებს, ვითარცა ქართველთ მეფეს გურიელ-მან ხლთა მოხსნა, კახთ-მეფე ლევან მოკუდა. ხოლო აქ უქმეტნიოდ, მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა, ალექსანდრე მიიცვალა, ამათ შუა ანუსს ერთ-მეფობასა და აქ გაყრასა. კონიერ-მან თუთ განაზღოს, ვინადგან ამერეთს არს აღწერილი და არა ქვეყნობით ახსენებს, მაშ გვალად ერთ-მეფობა ყოფილა და შემდგომად განყოფა.

ხოლო იმერთა მეფეთა-თჳს, რამეთუ არიან დავით მეფის ძენი კონსტანტინე და მიქელ, ცხადად წერილ არს ცხოვრებასა შინა ჩვენსა, და ძისა მიქელ მეფისასა იტყვის ქრონიკონი. „მიქელ მეფის ძე-მ და არა მეფე-მან ბაგრატ, ყვარყვარე ასული შეირთო ცოლად ქს. ჩცნზ, ქრ. მგ.“ არამედ ამის-გამო და წინა-ხსენებულთა მეფეთა სხჳაობითა მივსწვდით ყოფად არიან დავითის ჩამომავლობად. გარნა ეს მიქელ მეფის ძე ბაგრატ გიორგისა, დავითისა და დიდის ბაგრატის ჟამებთა იყო, და ამ მეფეთა ერთ-მთავრობით მეფობა ყოვლისა ივერიისა ცხადად საჩინო არს, ვინად-გან არცა მეფედ სწერს ბაგრატს. ამის მიერ ესრეთ აღვსწერეთ: ხოლო მეფის ძის ბაგრატის ძეთა ალექსანდრესი, გიორგისა და კონსტანტინესი ქრონიკონებითა საჩინონი არიან ეგრეთ, რომელნიცა წარვწერეთ და ძმობა მათი, უკეთუ არა ძმანი იყვნენ არა ძალ-უცსთ ძეთა შობად ადრე-ადრე მეფობისა: და კვალად ალექსანდრეს ძე დიმიტრი-ცა ცხადად არს და ძე ამისი ბაგრატ, რომელი მკდომი იქმნა გიორგი მეფისა, რამეთუ არა იქმნებოდა მკდომი, უკეთუმცა არა ძე დიმიტრისა იყოს და ძე ბაგრატისა ალექსანდრე და ძე ამისი ბაგრატ, ვითარცა წარმოვაჩინეთ ქრონიკონებითა და შემდგომნიცა ამათი იხილვებიან ქრონიკონებათა:

ხოლო კახთა მეპატრონეთაცა აღვსწერეთ აღმონჩენითა ამით, ვინადგან ბრწყინვალეს გიორგისამ, ვიდრე გიორგი ალექსანდრეს ძისა-მდე იყო ერთ-მეფობა, გუჯართა, სიგელთა და ქრონიკონთა მოწმობითა და კვალად ბაგრატის და გიორგი მეფისა-გან წინა-აღმდგომა თემურისა, ვითარ ძალ-ედვათ, უკეთუ არამცა იყო ერთ-მეფობა, ვინად-გან ექვს-გზის მოვიდა თემურ და ვერ-ჰყო ნება თჳსი, და კვალად ალექსანდრესა-გან აღშენება მცხეთისა, რუის ღვთაებისა და სხვათა მრავალთა მოოხრებულთა არა შესაძლებელ იყო, თუცა არა ეპყრათ ერთს მეფობასა ქვეშე სრულიად, რამეთუ უწიგნოთა გლეხთაცა უწყიან ალექსანდრე მეფისა-გან კომლ-ზედ ექვსის კირმანეულის შეკდება ყოველს წელს და მით აღშენება მცხეთისა ყოველს გიორგობასა შინა: კვალად, მეორედ, არა სადა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და ქრონიკონთა ამათ მეფეთა წინარეთა, უკეთუ-მცა იყოს კახთა მეპატრონეთა, ანუ განდგომანი კახთა წერილითა ანუ სხჳთა სიშითა რითამე. ხოლო ამათ ქვეითთა ვიხილავთ, ვითარცა ვპოვეთ დავითისა, გიორგისა, ალექსანდრესი, და ავ-გიორგისა და ამათნი ქვეითნი უმეტეს ჩვენილ-არიან და ესინცა მახსოვარნიცა. ხოლო კახთა განდგომილება გიორგისა და კონსტანტინე მეფისა ქრონიკონთა და გუჯრებთა და მცირედთა ცხოვრებათა-გან წარმოიჩინების, რამეთუ მათთა ჟამთა შინა იქმნა განდგომილება კახთა, ხოლო ჩამომავლობა ნათესაობისა კახთა მეპატრონეთა მეფეთა წარმოვაჩინეთ თჳსსა ადგილსა; რომელსა გულის-ხმიერი ჰსცნობს სრულიადს ჩვენსა სიმართლესა, არამედ ჩვენი ესე ქმნული და

აღწერილი ყოველნი ქორონიკონითა ქმნულ-არიან, რომელნი დღესაც იპოების და იხილვების მე-ძიებელისა-გან და ვითარცა გვიხილავს. ეგრეთცა ჩაგვირთავს ქრისტეს აქეთი და ქართული, რომელი არს ხუთასიანი (რათა ადვილ გექმნასთ და არღა-რა გიჴმდესთ გამორიცხვა ერთი მე-ორისა-გან) ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე ქრისტესა ჩღმე-მდე და ქართულისა ულგ მდე.

ხოლო უკეთუ უმჯობესი და უჭეშმარიტესი ჰპოვოს ვინ-მე გონიერ-მან და განიხილოს ესეცა და იგიცა და იგი უკეთილესად აღუჩნდეს, არა არს ჩვენი ესე ქმნული დამაყენებელი უმ-ჯობესისა თქვენისა. გარნა ისმინე და გულის-ხმა-ჰყავ აღმოჩენა, უწყებულებანი და შემსგავსე-ბულად მისა ჯერ იყავნ ქმნულნი თქვენნი: ხოლო ჩვენი შრომა ესე ამის-თჳს იყო, ვინად-გან მეფის ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესე-ოდენი წინა-აღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორენით და განვამართლეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არა-ვინ ჰსთქუას მხილველ-მან ამის-მან შეურაცხება რაიმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრეთ, ვითარცა აღვსწერეთ, ვინად-გან ნათესაობისა ქორონიკონსა სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისა შე-ცთომილ არს:

ხოლო ჩვენ შესრულებისა-თჳს ვმადლობთ ღმერთსა და შევსწირავთ ქებასა, პატივსა და დიდებასა დაუსაბამოსა ღმერთსა, მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, აწ და მარადის და უკუნი-თი უკუნისამდე. ამინ:

შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ-სამეფოდ და ხუთ-სამთავროდ, ცხოვრება 121
და ქმნულება მეფეთა ქართლისათა:

## ოე. მეფე კოსტანტინე, გ, ლვ. წელი ჰმეფა.

დასაბამით-გან ქრონიკონსა ჭყიტ, ბერძულსა ხშოზ, ქს. ჩუჲთ, ქრ. რნზ, ინდიკტიონსა ბ. შემდგომად მეფისა გიორგისა დაჯდა ძე მისი კოსტანტინე. არამედ ვინად-გან გამეფდა ბაგრატ იმერეთს, ამან კოსტანტინე-მ მოუწოდა ათაბაგსა ბაადურს და ტფერ-კახთა და არ-ღარა მოვიდა ათაბაგი, რამეთუ დაეპყრა სამცხე, კლარჯეთი. გარნა ეპისკოპოზთა მისცა ნება: და არცა ტფერ-კახთა ინებეს, არამედ გარდმოიყვანეს დიდოეთიდამ დავით და აკურთხეს მეფედ, და იქმნა მიერ ჟამით-გან სამეფოსა განხეთქილება სამად. რამეთუ ერთი მეფე დაჯდა იმერეთს, ერთი კახეთს და ნეშტი დარჩა მეფესა ქართლისასა: და არცაღა-თუ ამას აკმარეს. არამედ განდგა თავადად ათაბაგი და მან დაიპყრა საათაბაგო, რომელ არს სამცხე-კლარჯეთი, კვალად განდგა იმერთა-გან თავადად დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანნი და ამათ დაიპყრნეს საზღვარნი თვსნი. ვიდრე აწამდე არღარა იქმნა შეკრება მისი. არამედ კვალადცა უფროსად დაკნინებანი: მაშინ ამის-მან მხილველ-მან კოსტანტინე-მ ჰგონა უმეტეს საქმისა თვსისა წარმართებად. შემოიკრიბნა ქართლისა კათალიკოზ-ეპისკოპოსნი, მთავარნი და დიდებულნი და მოერთვნენ სამცხე-კლარჯთა ეპისკოპოსნიცა და რომელნიმე ტფერ-კახთანი და ეგრეთვე წარჩინებულნიცა და აკურთხა ტფილისს მეფედ, შემწირვებული განხეთქილებისა-თჳს მეფობისა. გარნა არა უტევებდა დავითს პყრობად ხერკს, საგურამო, მარტყოფს და იმერთა ლიხის მთის კერძოთა და ათაბაგსა მტკვრის აღმოსავლეთსა:

ხოლო იმერთა მეფე-მან ბაგრატ, მოკუდა რა დადიანი ლიპარიტ, შემოიკრიბნა სპანი, შთამოვიდა და დაიპყრა ქართლი კვალადცა: მაშინ კოსტანტინე განამაგრა ტფილისი, სომხითი და ლორე, მოიმწო ათაბაგი ბაადურ და ბრძოდენ ურთიერთს. ამისთჳს ბაგრატ ეზრახა კახ-ბატონსა გიორგის, რათა იყოს შეერთებული მისთანა და დაიპყრას გიორგი-მ კერძონი კახეთისანი: ხოლო გიორგი-მ ზავ-ჰყო ბაგრატის-თანა და დაიპყრა კერძონი კახეთისანი: ამისა შემდგომად მოკუდა ათაბაგი ბაადურ, არამედ მანუჩარ ათაბაგ-მან სრულიად არღარა ინება მწეობა კოსტანტინესი, და

*.

იყო წელსა ხუთსა მათ შორის შფოთი: ვინად-გან კონსტანტინეს ეპყრა ტფილისი, მთიულ-მოხევენი, სომხითი და ღორე, ხოლო ბაგრატს ქართლი და კახნი ერჩდენ ნებასა მისსა, განა თუ მეფენი არა იბრძოდენ, არამედ სპანი მარადის: ხოლო წელსა ქს. ჩუოჲ, ქრ. რჲე, იწყო ვამიყ დადიან-მან კირჰება და ბრძოლა იმერთა, რა იხილა განდიდება ბაგრატისა: ამისი მხილვე-ლი ბაგრატ უკუნ-იქცა ქართლიდა-მ და შთავიდა ოდიშს, ხოლო მუნ განმარჯვებისა შემდგომად უძლიერესად მოვიდა ქართლსავე:

ხოლო წელსა ქს. ჩუჲღ, ქრ. რჲგ, დაჯდა უზუნ-ასან ყეენად თურქთა გვარისა. ამან დაი-პყრა ორნივე საყეენონი და თავრიჟი და სხვანიცა თემნი (რამეთუ აქამომდე, თუმცა იყო ყეენობა, არამედ არა სრულიად სპარსეთისა, ეგრეთვე ძენი ბაიეზითისანი, სულტანნი სტამბოლისანი, პირ-ველ-წოდებულისა კონსტანტი-პოლისანი, ბრძოდნენ უმეტეს ფრანგთა და ამის-გამო იყო საქართველო უვნოდ მტერთა-გან, არამედ თჳსთა-გან ესრეთ ვნებული): ესე უზუნ-ასან ყეენი (¹) შევიდა სა-ბერძნეთს, ალილო ტრაპიზონი, მოაოხრა ქვეყანანი, უკუნ-იქცა სპარსეთადვე: შემდგომად წელსა ქს. ჩუჲღ ქრ. რჲვ, მოვიდა სომხითს, შემუსრა იგი და შემოვიდა ქართლის სომხითს, მოვიდა ორბეთის ძირს და მძლედ დახვდენ მეფე კონსტანტინე ბარათიანითა, ვერა რაჲ შემუსრა და მოა-დგა ტფილისს. ხოლო კონსტანტინე მეფე ეკირთებოდა საბარათიანოთი მარბიელთა ყეენისათა: მაშინ ყეენი ეზრახა კონსტანტინე მეფესა, რათა მივიდეს მის-თანა და მიანიჭოს ყოველი ქვეყანა მისი და დაიცვას უვნებლად: ამის-თვის განზრახვითა წარჩინებულთათა მივიდა კონსტანტინე ბარა-თიანითურთ და მისცა ციხე ტფილისისა. ხოლო ყეენ-მან პატივ-სცა დიდად და მიანიჭა ბოძნი დიდ-დიდნი და შეადგინნა ციხესა მცველნი თჳსნი: იხილა ესე ბაგრატ, ვერღარა წინა-აღუდგების და წარვიდა რაჭას. ხოლო ყეენი მივიდა და დასდგა მუხრანს, წარავლინა მუნიდამ მარბიელნი, მოარბიეს ქართლი და ხერკი, საგურამო და თიანეთი, მოსწყვიდეს და მოაოხრეს. არამედ რისხვი-თა ღმრთისათა შეედვა სენი სნეულებისა უზუნ-ასანს, აიყარა და წარვიდა. ხოლო კონსტანტინეს მიათვალა ტფილისი მცველითურთ, მისცნა ნიჭნი დიდნი და ბარათიანი ალავსნა საბოძვრითა და გამოუტევნა და მცირედისა მოკუდა უზუნ-ასან და დაჯდა მის წილ ასან ბეგის-ძე იაყუბ ყეენად:

ჰსცნეს რა ციხოვანთა სიკუდილი ყეენისა, დაუტევეს და წარვიდნენ ნებითა მეფისათა: არამედ მოკუდა ამასვე წელსა ბაგრატ იმერთა მეფე. ხოლო მეფე კონსტანტინე განძლიერდა და დაიპყრნა ტფილისი და ციხენი მიხმულნი თათართა-გან, მერმე უბრძანა ბარათიანთა და სომხითართა, მი-უხდნენ ელთა, დატყვევნულთა ყეენისა-გან საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყვე-ჰყვნეს, აღიღეს ალაფნი დიდ-ძალნი და შემოიქცნეს გამარჯვებულნი: შემდგომად შემოიკრიბნა სპანი კონსტანტინე მეფე-მან და დაიპყრა ქართლი ქს. ჩუოთ, ქრ. რჲზ, ალილო გორი და ყო-

(¹) ამ ყეენს სწერს ბიზანტიის მემატიანე, ალილო ტრაპიზონი და სინოპი მოისწყვიტნა და მოაოხრა მცირე ასია, ქს. ჩუობ მე-ორეს წელს გამოვიდა ამას ზედა სინოპარი მეჭმედ ბ. და შეიპყრა ბიზანტიის ძლიერად და ილაღა სინოპარი, და თვით მეჭმედ განერა ლტო-ლვილი, ხოლო ყეენს მოუკლეს ძე და გამარჯვებული უკუნ-იქცა სპარსეთადვე.

ველნი სხვანი ციხენი, გამოასხნა იმერნი და შეაყენნა მცველნი თჳსნი: შემდგომად კვალად გა-
მოიყვანნა კავკას-მთიულნი მეფე-მან და განზრახვითა დადიანისათა შთავიდა იმერეთს, ვერ წინა-
აღუდგა ალექსანდრე, აღიღო ციხენი იმერეთისანი და დაიპყრა იმერეთი, მოერთჳნეს ქუთათისს
დადიანი ვამიყ და გურიელი კახაბერ, რამეთუ შურობდეს ალექსანდრეს ბაგრატის-გამო: მაშინ
მეფე-მან შეაყენნა ქუთათისს მცველნი თჳსნი, წარმოვიდა და წარმოიყვანა დადიანი ვამიყ სპითა
და იმერნი, და შეკრებული ქართლიდა-მ მიუხდა ათაბაგს ჯავახეთს ქს. ჩუპა, ქრ. **რჲთ.** ამას ვერ
წინა-აღუდგა მანუჩარ ათაბაგი და მიუხვნა მეფე-მან სამცხე არსიანს აქეთი, განიმაგრა და მო-
ვიდა ქართლს და განუტევნა დადიანი და იმერნი: წელსა მეორესა მოკუდა დადიანი ვამიყ და
იქმნა შფოთი კვალად იმერეთს: ამის-მან მხილველ-მან ათაბაგ-მან მანუჩარ დაიპყრა კვალა სრუ- **122**
ლიად სამცხე, ამის-თჳს კონსტანტინე მეფე-მან შემოიკრიბნა სპანი, მივიდა მოსწრაფედ სამცხეს.
ზარნა მანუჩარ კვალად ვერ იკადრა ბრძოლა, არამედ ნებითა მისითავე იწყო ფვარფვარე მეფესა და
იქმნა ბრძოლა ძლიერ ფიცხელი, ქს. **ჩუპგ**, ქრ. რჲა, იძლია მეფე და მოვიდა ტფილისს: მხილ-
ველ-მან ალექსანდრე-მ ძე-მან ბაგრატისა-მან აღიღო ქუთათისი და ეკურთხა მეფედ იმერთა და
დაიპყრა იმერეთი, ქს. **ჩუპდ**, ქრ. **რჲბ.** მაშინ მეფე-მან სცნა აქამომდე წარმართება სვისა და აწ
უკუნ-ქცევა, მიუთხრა კახთა, რათა შეერთდენ. არამედ კახ-ბატონ-მან გიორგი არა ინება და
ათაბაგ-მან უმეტეს:

შემდგომად მოვიდა იაყუბ ყეენი სამცხეს ქს. **ჩუპე**, ქრ. **რჲდ**: ამან წარმოავლინა აწყვე-
რიდამ სპანი, ესენი დაესხნეს დბანისს და ქვეშის-კევს, მოსტყუევნეს და წარვიდნენ: ესცნეს ბა-
რათიანთა, გარდაუდგნეს სიმაგრეთა და ბრძვეს ძლიერად, და ძალითა ზესითა მოსრნეს და წარი-
ქციენნეს, რომელ ერთისაგან ასნი წარიოტებოდნეს და მოისპოდნეს და დაჭყრიდეს ნატყუევნავთა
და თვისთაცა მრავალთა და მცირედნი ივლტოდნეს. მაშინ მხნედ იყო სულხან ბარათა-შჳლი, რა-
მეთუ სხვათა-გან კიდე მოჰკლა წარჩინებული ერთი ყეენისა, რომელსა ზედა სპანი ყეენისანი მკი-
დრებდნენ, რომლისათჳსცა დამძიმდაცა ფრიად ყეენი და ესრეთ შემოიქცნეს ბარათიანნი მეფისა-
თანა გამარჯვებულნი: ხოლო შემდგომად წარსლვისა იაყუბ ყეენისა ეცა ჟამი კვალად მეფესა
კონსტანტინეს და მოსრვიდნეს გარემოთა თათართა: მოკუდა ათაბაგი მანუჩარ და დაჯდა ყუარყუა-
რე: ჟამთა ამათ კვალად ეზრახა ლიპარიტ დადიანი მეფესა კონსტანტინეს დაპყრობად იმერეთისად:
ესე სთნდა მეფესა და კვალად გამოიყვანნა მთიულ-კავკასნი, შემოიკრიბნა სპანი თჳსნი და შთა-
ვიდა იმერეთს. ხოლო ალექსანდრე ვერ წინა-აღდგომი მოსლვისა-თჳს დადიანისა წარვიდა სიმა-
გრეთა და მეფე-მან კონსტანტინე-მ კვალად დაიპყრა იმერეთი, მოვიდა და აღიღო ქუთათისი,
მოერთო დადიანიცა მას და მოსცნეს ყოველნი ციხენი მეფეს კონსტანტინეს ქს. **ჩუპვ**, ქრ.
**რჲე**: მაშინ გამოუტევნა მეფე-მან მთიულნი და თჳთ დაადგრა მუნ, რათა განიმაგროს იმერეთი,
რამეთუ ქართლი აქუნდა მშვიდობით:

ხოლო წელსა ქს. **ჩუპზ**, ქრ. **რჲვ**, წარმოავლინა იაკუბ ყეენ-მან სპასპეტი თჳსი ხალილ-

იყო წელსა ხუთსა მათ შორის მყოფთა: ვინად-გან კოსტანტინეს ეპყრა ტფილისი, მთიულ-მოხევენი, სომხითი და ლორე, ხოლო ბაგრატს ქართლი და კახნი ერნდეს ნებასა მისსა, განა თუ მეფენი არა იბრძოდენ. არამედ სპანი შარადის: ხოლო წელსა ქს. ჩუოზ, ქრ. რჲე, იწყო ვამეყ დადიან-მან კირთება და ბრძოლა იმერთა, რა იხილა განდიდება ბაგრატისა: ამისა მხილვე-ლი ბაგრატ უკუნ-იქცა ქართლიდა-მ და შთავიდა ოდიშს, ხოლო მერე განმარჯვებისა შემდგომად უძლიერესად მოვიდა ქართლსავე:

ხოლო წელსა ქს. ჩუჲჱ, ქრ. რნვ, დაჯდა უზუნ-ასან ყეენად თურქთა გვარისა. ამან და-იპყრა ორნივე სპარსეთნი და თავრიჟი და სხვანიცა თემნი (რამეთუ აქამომდე, თურქთა იყო ყეენობა. არამედ არა სრულიად სპარსეთისა, ეგრეთვე ძენი ბაიზითისანი, სულტანნი სტამბოლისანი, შორ-ცელ-წოდებულისა კოსტანტი-ნოპოლისანი, ბრძოდნენ უმეტეს ევროპისა და ამის-გამო იყო საქართველო უვნოდ მტერთა-გან, არამედ თვისთა-გან ქართველ განყოფილი): ამა უზუნ-ასან ყეენი (1) შევიდა სა-ბერძნეთს, აღიღო ტრაპიზონი, მოაოხრა ქვეყანანი, უკუნ-იქცა სპარსეთადვე: შემდგომად წელსა ქს. ჩუოჱ ქრ. რჲვ, მოვიდა სომხითს, შემუსრა იგი და შემოვიდა ქართლის სომხითს, მივიდა ორბეთის ძირს და მძლედ დახვდეს მეფე კოსტანტინე ბარათიანითა, ვერა რა შემუსრა და მოა-დგა ტფილისს. ხოლო კოსტანტინე მეფე ეკირთებოდა საბარათიანოთი მარბიელთა ყეენისათა: მაშინ ყეენი ეზრახა კოსტანტინე მეფესა, რათა მისცეს მისთანა და მისანიჭოს ყოველი ქვეყანა მისი და დაიცვას უვნებლად: ამის-თვის განზრახვითა წარჩინებულთათა მივიდა კოსტანტინე ბარა-თიანითურთ და მისცა ციხე ტფილისისა. ხოლო ყეენ-მან პატივ-სცა დიდად და მისანიჭა ბოძნი დიდ-დიდნი და შეადგინნა ციხესა მცველნი თვისნი: იხილა ესე ბაგრატ, ვერღარა წინა-აღუდგების და წარვიდა რაჭას. ხოლო ყეენი მივიდა და დასდგა მუხრანს, წარავლინა მუნიდამ მარბიელნი, მოარბიეს ქართლი და ხერკი, საგურამო და თიანეთი, მოსწყვიტეს და მოაოხრეს. არამედ რისხვი-თა ღმრთისათა შეედვა სენი სასიკვდილო უზუნ-ასანს, აიყარა და წარვიდა. ხოლო კოსტანტინეს მიათვალა ტფილისი მცველითურთ, მისცნა ნიჭნი დიდნი და ბარათიანი აღავსნა საბოძვრითა და გამოუტევნა მშვიდობით. მოკუდა უზუნ-ასან და დაჯდა მის წილ ძესა ბეგის-ძე იაყუბ ყეენად:

ჭსცნეს რა ციხოვანთა სიკუდილი ყეენისა, დაუტევეს და წარვიდეს ნებითა მეფისათა: არამედ მოკუდა ამასვე წელსა ბაგრატ იმერთა მეფე. ხოლო მეფე კოსტანტინე განძლიერდა და დაიპყრნა ტფილისი და ციხენი მიხმულნი თათართა-გან, შემდგომ უბრძანა ბარათიანთა და სომხითართა, მი-უხდნენ ელთა, დატყვევებულთა ყეენისა-გან საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყვე-ჰყვნეს, აღიღეს ალაფნი დიდ-ძალნი და შემოიქცნენ გამარჯვებულნი: შემდგომად შემოიკრიბნა სპანი კოსტანტინე მეფე-მან და დაიპყრა ქართლი ქს. ჩუოთ, ქრ. რჲზ, აღიღო გორი და ყო-

---

(1) ამ ყეენს სწერს [illegible] მემატიანე, აღიღო ტრაპიზონი და [illegible] მოსწყვიტა და მოაოხრა [illegible] ქს. ჩუო[illegible] [illegible] წელს [illegible] და [illegible], და [illegible] [illegible]. ხოლო ყეენი [illegible] და გამარჯვებული უკუნ-იქცა სპარსეთადვე.

ველნი სხვანი ციხენი, გამოასხნა იმერნი და შეაყენნა მცველნი თჳსნი: შემდგომად კვალად გამოიყვანნა კავკას-მთიულნი მეფე-მან და განძრახვითა დადიანისათა შთავიდა იმერეთს, ვერ წინა-აღუდგა ალექსანდრე, აღიღო ციხენი იმერეთისანი და დაიპყრნა იმერეთი, მოერთვნენ ქუთათისს დადიანი ვამიყ და გურიელი კახაბერ, რამეთუ შურობდნენ ალექსანდრეს ბაგრატის-ძეს: მაშინ მეფე-მან შეაყენნა ქუთათისს მცველნი თჳსნი, წარმოვიდა და წარმოიყვანა დადიანი ვამიყ სპითა და იმერნი, და შეკრებული ქართლიდა-მ მიუხდა ათაბაგს ყუარყუარეს ქს. **ჩუპა**, ქრ. **რკთ**. ამას ვერ წინა-აღუდგა მანუჩარ ათაბაგი და მიუხვნა მეფე-მან სამცხე არსიანს აქეთ, განიმაგრა და მოვიდა ქართლს და განუტევნა დადიანი და იმერნი: წელსა შემდგომსა მოკუდა დადიანი ვამიყ და იქმნა შფოთი კვალად იმერეთს: ამის-მან მხილველ-მან ათაბაგ-მან მანუჩარ დაიპყრა კვალად სრუ- **122**
ლიად სამცხე, ამის-თჳს კოსტანტინე მეფე-მან შემოიკრიბნა სპანი, მივიდა მოსწრაფედ სამცხეს. გარნა მანუჩარ კვალად ვერ იკადრა ბრძოლა, არამედ ნებითა მისითავე აწყო ყუარყუარე მეფესა და იქმნა ბრძოლა ძლიერ ფიცხელი, ქს. **ჩუპგ**, ქრ. **როა**, იძლია მეფე და მოვიდა ტფილისს: მხილველ-მან ალექსანდრე-მ ძე-მან ბაგრატისა-მან აღიღო ქუთათისი და აკურთხა მეფედ იმერთა და დაიპყრა იმერეთი, ქს. **ჩუპდ**, ქრ. **რობ**. მაშინ მეფე-მან სცნა აქამომდე წარმართება სვისა და აწ უკუნ-ქცევა, მიუთხრა კახთა, რათა შეერთდნენ. არამედ კახ-ბატონ-მან გიორგი არა ინება და ათაბაგ-მან უმეტეს:

შემდგომად მოვიდა იაყუბ ყეენი სამცხეს ქს. **ჩუპვ**, ქრ. **როდ**: ამან წარმოავლინა აწყვერიდამ სპანი, ესენი დაესხნენ დმანისს და ქვეშის-კევს, მოსტყუევნნეს და წარვიდნეს: ესხნეს ბარათიანთა, გარდაუდგნეს სიმაგრეთა და ბრძვეს ძლიერად, და ძალითა ზესათი მოსრნეს და წარიტყუენნეს, რომელ ერთისა-გან ასნი წარიოტებოდნენ და მოისპოდნენ და დაჭყრიდენ ნატყუევნავთა და თვისთაცა მრავალთა და მცირედნი ივლტოდნენ. მაშინ მხნედ იყო სულხან ბარათა-შვილი, რამეთუ სხვათა-გან კიდე მოჰკლა წარჩინებული ერთი ყეენისა, რომელსა ზედა სპანი ყეენისანი მკიდრებდნენ, რომლისათჳსცა დამძიმდაცა ფრიად ყეენი და ესრეთ შემოიქცნენ ბარათიანნი მეფისათანა გამარჯვებულნი: ხოლო შემდგომად წარსლვისა იაყუბ ყეენისა ეცა ჟამი კვალად მეფესა კონსტანტინეს და მოსრვიდნენ ჯარემოთა თათართა: მოკუდა ათაბაგი მანუჩარ და დაჯდა ყუარყუარე: ჟამთა ამათ კვალად ეზრახა ლიპარიტ დადიანი მეფესა კონსტანტინეს დაპყრობად იმერეთისად: ესე სთნდა მეფესა და კვალად გამოიყვანნა მთიულ-კავკასნი, შემოიკრიბნა სპანი თჳსნი და შთავიდა იმერეთს. ხოლო ალექსანდრე ვერ წინა-აღდგომი მოსვლისა-თჳს დადიანისა წარვიდა სიმაგრეთა და მეფე-მან კოსტანტინე-მ კვალად დაიპყრა იმერეთი, მოვიდა და აღიღო ქუთათისი, შეერთო დადიანიცა მას და მოსცნეს ყოველნი ციხენი მეფესა კოსტანტინეს ქს. **ჩუპზ**, ქრ. **როე**: მაშინ გამოუტევნა მეფე-მან მთიულნი და თჳთ დაადგრა შინ, რათა განიმაგროს იმერეთი, რამეთუ ქართლი აქუნდა მშვიდობით:

ხოლო წელსა ქს. **ჩუპჱ**, ქრ. **როვ**, წარმოავლინა იაყუბ ყეენ-მან სპასპეტი თჳსი ხალილ-

ბეგ სპითა. კვლა მოვიდა, დაუწყო შესხმა ქოშმაისისა და ალგეთისა ციხესა. აცნობეს კონსტანტინე მეფესა და უბრძანა ბარათიანთა შეკრება მათი, და ამათ უწყეს ბრძოლა თათართა, ხოლო და ხრვანი მრავალთა დღეთა: შესობ-მან ყეენ-მან აშველნა სპანი უდიდესნი, მაშინ კვლავ მოვიდნენ და მოადგნენ ტფილისს და ბრძოდნენ ძლიერად: ამისა მსმენელი მეფე კონსტანტინე წარმოვიდა იმერეთიდამ და წარმოავლინა წინარე ქაიხოსრო ციცი-შვილი და ჯავახის-შვილი ჯავახი სპითა შველად ბარათიანთა მოსწრაფედ: მოსლვასა ამათსა შეკრბენ. ქაიხოსრო, ჯავახი და ბარათიანნი და დაესხნენ ჭანდარს მდგომთა თათართა, მოსცათ ღმერთ-მან ძლევა და მოსრნეს სრულიად, რამეთუ ვერცა-ღა თუ მატყვე განერა, და შემოიქცნენ ალაფითა სავსენი: მიესმათ ტფილისს მდგომთა თათართა კვლა სპათა იგივითა სრულიად მოწყვეტა და მოსლვა მეფისა კონსტანტინესი, მოეცალნენ ტფილისს და წარვიდნენ. მაშინ გარდაუსწრეს კუმისას ბოლოს ქაიხოსრო ციცი-შვილ-მან და ბარათიანთა და იქნა ბრძოლა ძლიერი, შემდგომად იძლივნენ თათარნი და მოსრვიდნენ ქართველნი, რამეთუ თავთა მათთა აცმიდიან ლობე-მარგილთა ზედა. არამედ უკანა მსლველნი ნაწყვეტთა ქართველთა მოეწყრნენ თათარნი და შეიყარნეს შუაში ქართველნი: მაშინ განმხნენ. ბარათა-შვილი სულხან, ქაიხოსრო ციცი-შვილი და ჯავახის-შვილი ჯავახი, ვითარცა წინათი გმირნი რომელნიმე და გამოვლნეს ბრძოლითა თათარნი ყოვლითა სპითა თჳსითა. გარნა, ცოდვათა ჩუენთათჳს, რომელნიმე სხვანი ქართველნი ატყდნენ და მოსწყვიდნეს თათართა: ხოლო სხვანი თურქნი ულოსითა ორბეთის მირს მდგომთა დაეხმოდნენ. არამედ მარადის ბარათიანნი მძლე ექმნებოდიან თათართა. ამის-თჳს ძლეული ხალილ-ბეგ წარვიდა წინაშე ყეენისა და აუწყა ესე ყოველი: ხოლო შემდგომად წარმოსლვისა იმერეთიდამ კონსტანტინე მეფისა მოიმწო ალექსანდრე-მ სვანნი, მოირიო რაჭა-ლეჩხუმი, ჩამოვიდა და დაიპყრა ქუთათისი, ეპრახა დადიან-გურიელსა და დაიმხვნა იგინი და დაიპყრა ლიხს იქეთი უმეტეს ნაწილისა:

ხოლო შემდგომად წელსა ქს. ჩუკ, ქრ. ჩოკ, წარმოავლინა კვალად სპანი ყეენ-მან. ამისთჳს ეზრახა მეფე კონსტანტინე კვალად ათაბაგსა და კახთა და რათა ჰყონ შეერთება თათართა ზედა ანუ მოსცნენ სპათა შეწევნა. არამედ მათ არა ინებეს, რამეთუ ენებათ დამდაბლება მეფისა: მერმე განიზრახა მეფე-მან დიდებულთა თჳსთა-თანა ბრძოლისა-თჳს თათართა; მაშინ წარჩინებულნი ეტყოდნენ არა ბრძოლასა პირის-პირ, გარნა განმაგრებასა ციხე-სიმაგრეთასა და სადაცა ჯეროვან ბრძოლასა, რათა არა მარცხითა უმეტესად შეჰკნინდეთ: სთნდა კვლა მეფესა და განემზადნენ ეგრეთ: ხოლო თათარნი იგი მოვიდნენ ორბეთის მირს, ვერა-რა შემუსრნეს და მოადგნენ კოჯრის ციხესა, დაუწყეს სროლა თოფითა: მას ღამესა მოვიდა თოვლი დიდი, ამის-თჳს უკუდგნენ თათარნი ციხისა-გან. მაშინ შემჭირვებულნი მეციხოვნენი გამოვიდნენ მასვე ღამესა, რომელთა თავ მათდა იყო სოლაღა-შვილი და ივლტოდნენ თჳს-თჳსად. დილასა იხილეს თათართა ციხე უკაცური, შევიდნენ და შემუსრნეს ციხე. მერმე მოადგნენ ტფილისს: ჟამსა ამას მეფე კონსტანტინე იდგა ნიჩბისს და აძლევდა ძალსა სპითა ბარათიანთა და ამაგრებდა მათ. ხოლო თათართა, ვითარ ვერ

შემუსრეს ტფილისი, მეფის ახლორე ყოფისა-თვის, წარმოავლინეს ფ რჩეული მხედარნი და
სხვანი სპანი მრავალნი მიარბევად ორბეთის გარემოთა: მაშინ შემოეხვდენ თათარნი მთის დაბნებ-
თა და რომელნიცა ჰპოვნეს, მოსწყვიტნეს და მოსტყვევნეს: ესე ყოველი მიესმათ ბარათიანთა
ენაგეთს მდგომთა და მათ-თანა ქაიხოსრო ციცი-შვილსა, თურმანის ძეს ქაიხოსროს და თავსა
მათსა სულხან ბარათა-შვილსა: ესენი წავიდენ მსწრაფლად და მიეწივნეს თათართა მისლვასა და 123
ბრძოლობასავე წარიქცივნეს ამათ თათარნი და შესჯარნეს ღრატკე კლდოვანთა და ღელოვანთა შინა
და მოსრვიდენ და სწყვეტდენ, ვითარცა ქათამთა, რამეთუ დიოდის სისხლნი მათნი რუდ: მაშინ
დარჩა მერაბს ბარათა-შვილს მოყვასი ყეენისა ფრიად წარჩინებული, არამედ ჩვენთა ტყვეთაგანცა
მოისროდნენ თათარნი და მოჰკვეთდნენ თვით დატყვევებულთა მათ-გან იგინივე ტყვენი: კვალად
ქაიხოსრო ჯავახი, ქავთარ და სოლოღა-შვილი მოესწრნენ უკან-მსვლელთა სამასთა თათართა
ოცნი ესე ქართველნი, მოსცათ ღმერთ-მან ძლევა, წარიქცივნეს თათარნი და მოსწყვიტნეს, ვითარ
მცირედნი-ღა გარდაეხვეწნეს: ესმათ ესე მოწყვეტა სპათა თვისთა ტფილის მდგომთა თათართა,
მყის მოეცალნენ და წარვიდენ მოსწრაფედ თვისად. არამედ ერთგულობისა-თვის ქვეყნისა და მეფისა
თვისისა-თვის მოსცათ ძლევა ღმერთ-მან ბარათიანთა, რამეთუ მოსრნეს, მოსწყვიტნეს და აო-
ტნეს მძლავრნი მტერნი, რამეთუ მიერ ჟამით-გან ვერღა-რა იკადრეს მოსლვად თათართა ქართლსა
შინა, გარნა იგი არა მოეჭირვათ ბარათიანთა, შიდა-ქართლსაც შემოებრძოლებოდნენ თათარნი და
მეფისა და ქვეყანისა ფრიად შემაწუხებელი იქმნებოდნენ:

ხოლო შემდგომად თათართა წარსლვისა შემოიკრიბნა მეფე-მან კონსტანტინე სპანი, მიუ-
ხდა და მოსრნა ელნა გარემოსნი, შემუსრა და დაარღვივა ალვაყალა და ქოზიანი, აღიღო ალაფი
მათი და მოვიდა ტფილისს: შემდგომად შემოიკრიბა კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინე-
ბულნი თვისნი და განიზრახვიდა: „იგი რაჲ ჰქონ განდგომილებისა-თვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ
კვალად მეფობასავე თვისსა:“ მაშინ დიდებულნი იტყოდნენ: „ვინად-გან მტკიცედ სდგან ერთგულე-
ბასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი. ამის-
თჳს არა გაგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მრე ვქმნნეთ ერთსა, არღა-რა მოგვცემს მეორე
ნებასა, არამედ გაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთ-მან მეფობასავე შენსა:“ ხოლო იხილა
რა ესე ვითარება თვისთა-განცა მეფე-მან, ამისთ-ვის აღირჩია მშვიდობა, რამეთუ ამ ჟამებთა მო-
კუდა კახთ-ბატონი გიორგი. ხოლო კახთ-ბატონ-მან ალექსანდრე და მეფე-მან კონსტანტინე ჰყვეს
მშვიდობა საყვარელისა, კვალად ათაბაგის-თანა და შემდგომად ალექსანდრე იმერთა მეფისა-თანა
და რომელნი აღვსწერენით საზღვარნი დაიპყრნეს ეგრეთ. გარნა მეფე კონსტანტინე მცდელობდა
შენება-მაგრებასა ქვეყანისასა:

კვალად გარდაიცვალნეს ჟამსა კონსტანტინე მეფისასა კათალიკოზნი. დავით და ნიკოლაოზ,
და დასვა მეფე-მან აბრაამ: კვალად ამავ მეფისა კონსტანტინეს ჟამსა, წელსა ქს. ჩუჲდ, ქრ. რპგ,
შურ-აგო ათაბაგ-მან ყვარყვარე-მ შაქს, შემოვლო კახეთი და ქართლს დახუდნენ ციციანნი და შიდა-

ქართველნი, იძლივნენ ქართველნი და წარვიდა ათაბაგი მშვიდობით: ამის მცნობს მეფესა კონსტანტინეს დაუმძიმდა მოწყვეტა სპათა და კვალად შლილობა ათაბაგისა და შერისხა, რომელთა ჰქონდეს ესე ღალატი მისა: ხოლო ესხნეს მეფესა კონსტანტინეს ძენი ოთხნი დედოფლისა-გან. დავით, გიორგი, ბაგრატ. ალექსანდრე და მელქისედეკ (რომელიც შემდგომად კათალიკოზ იქმნა). არამედ შემდგომად დამშვიდებისა ქვეყანისათა ამან კონსტანტინე მეფე წელი იბ მშვიდობისა შინა:

კვალად ჟამსაც ამისსა გამოჩნდა შაჰ-ისმაილ ძე შიხისა ქს. ჩუჲზ, ქრ. რპდ, თათრულსა ქრონიკონის შა, დაიპყრა ამან არდაბილი, გამოვიდა მუნით და დაიწყო პყრობა ქვეყანისათა: ხოლო შიხი იგი იყო ძმისა თემურისასა არდაბილს და უწყეს მასწავლება მისი დასნეულებულს და თემურ მივიდა ხილვად მისა: მაშინ შიხ-მან უწყის ასე ეშმაკისა ოსხნი სასჯელებისა, განსცდიდა თემურ და ეტყოდა, „რა გინებს მისწავლე, რასა მოგანიჭო." ხოლო შიხ-მან მას გამოსთხოვა ტყვენი, რომელნი დატყვევნეს თემურის მხედრნი აქა, და ქალაქი არდაბილი, ისოფლისაებრ მასიჭერა თემურ ყოველნი, და ებრა მიერით-გან შიხსა მას და ძეთა მისთა ქალაქი არდაბილი. ხოლო ტყვენი ათავისუფლნა შიხ-მან: შემდგომად მამისა შაჰ-ისმაილისასა ალეოდა მტრად შირვანშა და მოჰკლა იგი: მერმე კვალად მოიკლა ძეცა მისი მამა შაჰ-ისმაილისა უბედურებისა-თჳს და შემდგომად მამისა შაჰ-ისმაილისა სდევნიდა სასტიკად მეფე თავრიზისა, და ესე მტერნე ყოვლნი წარიტყვნნეს გილანს და დაიმალნეს მუნ: შემდგომად რა მოიწიფა, გამოვიდა და დაიპყრა არდაბილი და იწყო პყრობად ქვეყნისა. არამედ განძლიერდა წელსა ქს. ჩფყთ, ქრ. რპჱ, თათრულსა ქრონიკონისა შე, და მიერით-გან ყოველნი იგი ამხედრნი ტყვენი, რომელნი განათავისუფლნა შიხ-მან: კვალად წელსა ქს. ჩფე, ქრ. რპთ: თათრულს ქრონიკონის შზ, ამან შაჰ-ისმაილ დაიპყრა ადრიბეჯანი და უპყრა იქცა და დაიპყრა სპარსეთი, მერმე წარვიდა ბალხ-ბუხარას და ქაბულს. ხოლო შემდგომად ამათ ჟამთა შინა გარდაიცვალა მეფე კონსტანტინე, ქს. ჩფე, ქრ. რჟბ:

### ოვ. მეფე დავით, ჩ, ის წელი ჰმეფა:

შემდგომად კონსტანტინე მეფისა დაჯდა უხუცესი ძე მისი დავით მეფედ: ამან შემოიკრიბა კათალიკოზნი და ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი და აკურთხა ტფილისს მეფედ: არამედ ესე დავით მეფე იყო ლმობიერი, ბრძოლა-შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყვარე მშვიდობისა: ამან დაიპყრა ქვეყანა, რომელი დაუტევა მამისა თვისისა-გან და განაგებდა კეთილად და მშვიდობით.

ხოლო წელსა ქს. ჩფი, ქრ. რჟჱ, გარდმოვიდა სპითა ალექსანდრე მეფე იმერთა, მოადგა გორს. შეუშინდათ ესე ყოველთა და ეტყოდნენ მეფესა დავითს ბრძოლისა მისსა. არამედ დავით

მეფე-მან არა ისმინა, მეტყველ-მან მათ-მან: „რამეთუ მიეცემის მეშვილოთა შვილთა." ხოლო ალე-ქსანდრე-მ აღიღო გორი და დაიპყრა თვით და მოართვეს მორბევა იმერეთისა ნიჩთა-გან. უკუნ-იქცა და წარვიდა იმერეთს. შემდგომად მეფე-მან დავით აღიღო გორი და დაიპყრა და განამტკიცა ყმაგრესად. შემდგომად ერთისა წლისა მოკვდა მეფე იმერთა ალექსანდრე. ხოლო წელსა ქს. ჩფპა, ქრ. რჲთ, მოკლა გახიოსნატინი ალექსანდრე ძე-მან თვის-მან გიორგი-მ: ამ ჟამს იდგა დავით მეფე ატენს ტაძრეულითა და მცირედითა თვისითა, მოუხდა აგ-გიორგი ატენს მეფესა დავითს. ხოლო დავით უხმობით ყვრელა-რა მხრიდით შევიდა ციხესა შინა ატენისასა, და მოადგა აგ-გიორგი გარს. არამედ იხილა გიორგი-მ ვერ შემუსრვა ციხისა და სპანიცა შემოკრბებოდიან შემწედ მეფისა დავითისა, უკუნ-იქცა აგ-გიორგი და წარვიდა კახეთს. გარნა არა იქმნა სიმშვიდე და მარადის იყვნეს ბრძოლანი, რბევა და ოხრება ქართლისა, რამეთუ ჟამით-ჟამად მოვიდის და აოხრებდის.

ხოლო წელსა ქს. ჩფჲბ, ქრ. ს, მოვიდა სპა ხონთქრისა დიდ-ძალი სამცხეს და იმერეთის ზედა: ამასვე წელსა მოუხდა მეფე ბაგრატ იმერთა მოძმესა ვახტანგს, სძლო ვახტანგს. არამედ დავით მეფე-მან ზავ-ყო მათ შორის და წარიყვანა ბაგრატ ძმა თვისი და წარვიდა იმერეთს. ხოლო ვითარ არა დასცხრა აგ-გიორგი ქვეყნის ოხრებად, ეტყოდის ძმანი მეფესა დავითს წინა-აღდგომისათვის გიორგისასა: ხოლო იგი მიუგებდა. „სიბოროტისა თვისისა ნაცვალი მიეგე-ბის, რად ყვეს ნებლ შვილთა:" არამედ ბაგრატ ძმა დავით მეფისა მიუგებდა: „მიგვიხვნა კახეთი და აწ ნებავს ქართლისაცა." და გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვისა და ქსნის-გაღმა მთიულ-მოხევე-თურნი თვისსა მორჩილებასა ქვეშე (რომელნი არს მიერით-გან ერთ-სასამეფოდ ანუ სადროშოდ, გვალად იტყვიან მიერ ჟამით-გან იქმნა ქართლი ოთხ-სადროშოდ): „და მე აღუ-დგები მტრად აგ-გიორგის." მაშინ აძულებულ-მან მეფე-მან ნება სცა ბაგრატს. წარმოვიდა ბაგრატ, აღაშენა მუხრანს ციხე მტკვრისა: ამისა მცნობელი აგ-გიორგი მოვიდა სპითა თვისითა და მოადგა ციხესა მას შინა მყოფს ბაგრატს სამ-თთუემ და შეამწყვდია ყოვლად ბაგრატ. მაშინ აგ-გიორგი-მ წარუგზავნა ღვინო ლიტრითა ბაგრატს. „ხარ ძე მეფისა და არს ჟამი მრავალი, რომელსა არა გისვამს, აწ იგემე:" ხოლო ბაგრატს ჰყვა ჭურსა შინა თრაგული ცოცხალი, წარმოუ-გზავნა აგ-გიორგის იგი და მოუთხრა. „სამ-თთუემ მყოფობ ქსანსა ზედა და არა გიგემებია, იგემე, რამეთუ ცოცხალ არს:" განჰკვირდა აგ-გიორგი და ჰკრის სახრდოთა სიმრავლე, უკუნ-იქცა, მოაოხრა ქვეყანა და შთავიდა კახეთად: შემდგომად გვალად გამოვიდა აგ-გიორგი, ვითარცა ჩვეულ იყო, მოარბია ქართლი და ვითარ არა ვისი აქუნდა შიში, წარავლინნა სპანი თვისნი წინა-რე და თვით ნადირობითა და მცირედითა კაცითა მოვიდოდა (1): მაშინ ბაგრატს სპითა თვისითა მუხრან-ელო ჰყვა შინა ძალისასა, და მოვიდა რა მას აგ-გიორგი, იცა ჟამი მარჯვე ბაგრატ, მიე-

(1) ხოლო სხვა ქრონიკონებში იგივე დავით მეფისა და აგ-გიორგის შემდეგ სწერია.

ტევა და მოსრნა მისთანანი და შეიპყრა ავ-გიორგი და პატიმარ-ჰყო მტკვრის ციხესა შინა, ქს. **ჩფიგ**, ქრ. სა. შემდგომ ამისავე ქორონიკონსა მოაშთვეს, ანუ მოკუდა:

ხოლო ვინადგან არღარავინ იყო მეპატრონე კახეთისა თჳნიერ ავ-გიორგისა, შემოიკრიბა მეფე-მან დავით სპანი თჳსნი და შთავიდა კახეთს და დაიპყრა თჳთ კახეთი, შემდგომ მოიქცა ტფილისვე: ხოლო ძე ავ-გიორგისა, მცირე ყრმა წლისა შვიდისა დამალა დედით მისით ჩოლოყაშვილ-მან გარსევან, ვინადგან ნათესავი იყო დედა მისი გარსევანისა: ესმა მეფე-მან დავით ყოფნა ავ-გიორგის ძის ლევანისა კახეთსვე. ამისთვის წარავლინა ძმა თჳსი ბაგრატ მის ქვეშე დაწესებულითა სპითა და ამილახორითა, რათა მოიძიონ ლევან და მოაროვან მას: შთამოსრულ-მან კახეთს ბაგრატ დასდვა შიში დიდი კახთა და ყოველთა მკჳდრთა მათ შინა. არამედ მათ ყოველთა ჰფარვეს უცნობელობა მისი აღთქმითა დიდითა: არამედ გარსევან ჩოლოყაშვილ-მან ჰყო ხვანჯი და მეცნიერობა დიდი, რამეთუ ლევან ჰყო მეწლედ უშვერითა სამოსლითა და იმსახურებდა ჟამსა სერისასა სტუმრებულის ბაგრატის წინაშე და შეუთქვეს რა გარსევანს ლეონისა-თჳს, მან ჰფიცა ძლიერითა ფიცითა: „რომელი არა გიხილავთ თქუენ თჳნიერ მისსა, არცა მცირე და არცა დიდი არა-ვინ მყვეს და არცა უწყოდე:" ესე იწყინა ბაგრატ და წარმოვიდა ქართლს: მაშინ გარსევან წარავლინა ლეონ ოპანის ციხესა შინა და დამალა მუნ. ხოლო კახეთი ეპყრა დავით მეფესა ნებასა შინა თჳსსა:

შემდგომად წელსა ქს. **ჩფიზ**, ქრ. **სე**, წარმოემართა შაჰ-ისმაილ ყეენი დაპყრობად და მოოხრებად ქართლისად (რამეთუ ამან შაჰ-ისმაილ დაიპყრა სპარსეთი, ბალხი, ბუხარა და ქაბული, ამანვე უწოდა სპარსთა ყიზილბაში, რომელი დაბურა თავსა ზედა თაჯი და დოლბანდი, ამათი-გამო გამოაჩინა და დაუდვა სჯული შიისი სპარსთა, რათა განეყონ ხონთქარსა სუნნია. და თჳთ იწოდა ძედ ალისი და ამის-თჳს რწამდა სპარსთა ძენი შაჰ-ისმაილისანი, ვითარცა ძენი იმამისა მათისანი და თაყვანი-სცემდნენ მათ, ვითარცა იმამთა: ამის-მან მსმენელ-მან მეფე-მან დავით აღიღო ძღვენი დიდი და ძე თჳსი რამაზ წარავლინა წინაშე ყეენისა და აღუთქვა მორჩილება, რათა არა მოაოხროს ქართლი და ქვეყანა: იხილეს რა ესე კახთა, გამოიყვანეს ლევან ციხიდამ, შთამოიყვანეს და დაიპყრა კახეთი: ხოლო მეფე-მან დავით უცალო-მან და მოლოდინე-მან ძალსა თჳსისა-მან, თუ რას უყოს ყეენ-მან, მიუშვა კახთა ყოფად ამისა ეგრეთ: არამედ ყეენ-მან შეიწყნარა ძე მეფისა რამაზ პატივითა დიდითა და მისცა ნიჭი დიდი და წარმოუგზავნა მშვიდობით ზავისა მყოფელ-მან და დაიხსნა მეფე-მან დავით ქართლი აოხრება-ტყვეობისა-გან (ესე ჰყო ყეენ-მან, რამეთუ ბრძოლად მივიდოდა ხონთქრისა, რათა არა ქართველნი მიერთვნენ მას.) ხოლო შაჰ-ისმაილ წარვიდა და დაიპყრა დიარბექირი, ეწყო მუნ ხონთქარი სულთან სელიმ, იძლია შაჰ-ისმაილ და მოსწყვდნენ სპანი მისნი, მოვიდა ყეენი ყაზმინს, დაჯდა და არღარა გამოვიდა ყამადმდე.

ხოლო დავით მეფე რა იქმნა სარწმუნო ყეენისა-გან, შემოიკრიბნა სპანი თჳსნი და შთავიდა კახეთსა, ვერ წინა-აღუდგა ლევან. არამედ შევიდა ციხესა მაღნარისასა, მივიდა მეფე და მო-

ადგა გარს და შეამუსრვა ფრიად და ლამოდენცა მოცემასა ციხისასა: ამ ჟამსა მოერთვა ამბავი
მეფესა დავითს მოსლვა ოსმალთა ქართლსა შინა. არამედ მეფე დაუფარვიდა სპათა თჳსთა და
წარავლინა მთავარ-ეპისკოპოსი და ამილახორი, რათა მოსცეს ციხე, უკეთუ არა მოსწყდეთ სი-
ყმილითა: მისრულთა ციხოვანნი აღუთქმიდენ მოცემასა. არამედ მთავარ-ეპისკოპოს-მან აზრახა
იდუმალ დედასა ლეონისასა მეამბოხესა ჴელსა ზედა მთავრ-ეპისკოპოსისა. „ნუ გეშის ღამესა ამას
წარვალთ, განმაგრდი.“ მსმენელი დედა ლეონისა იტყოდა:„ ვარ ძისა შაგრებასა და მიუცემლობასა:“
ესე მოუთხრეს მეფესა, უკმოიქცა და მოვიდა ქართლს. აქ ეწყო ოსმალთა, მოსცა ღმერთ-მან
ძლევა, აოტნა და მოსწყვიტნა მრავალნი, აღიღო ალაფი მათი დიდი და მოვიდა ტფილისს: შე-
მდგომად კვალად შემოიკრიბნა სპანი და წარვიდა კახეთს, მისრულს მეფესა საგარეჯოს მოერთვნეს
სურნებურნი და შთავიდა ქისიყს და მოერთვნეს მუნცა გარეთნი ყოველნი, შეუხდა ქისიყს. ხოლო
ლეონ ეწყო მცირედითა სპითა ქს. ჩფკ, ქრ. სჱ, იძლივნენ სპანი დავით მეფისანი, წარმოვიდა
მეფე და მოვიდა ტფილისს:

კვალად იდგა გორს მეფე დავით და მოართვეს ამბავი სპათა მოსლვისა ფერსათიდამ, რამე- 125
თუ გამოვლო გურიელ-მან ახალამ მწყობითა აიაბაგისათა მთა-დიდო, რათა შემწე ეყოს ლევანს
დავით მეფესა ზედა ზავითა ანუ ბრძოლითა და მივიდეს მის-თანა: მსმენელი დავით მეფე, გან-
რისხნა და წარვიდა მის-ზედა სპითა, რავდენნი დაესწრნენ მუნ: ხოლო გურიელი არა მგონე მეფისა,
ეწყო მოხისს ძლიერად, იძლია დავით მეფე და მოვიდა ტფილისს: მუნ კვალად შემოიკრიბნა
სპანი, რათა მიაგოს შური მის წილ გურიელსა: ხოლო გურიელი მივიდა მუხრანს და ლევანც
მოვიდა მის-თანა და არა რას აგნებდეს ქვეყანათა და დავით მეფეცა მოვიდა სანბისს სპითა
თჳსითა და წარავლინა ბაგრატ ძმა თჳსი მის ქვეშე დაწესებულითა და ამილახორითა, რათა მო-
ვიდეს მეორე დღე ბაზალეთიდამ მათ-ზედა, და თჳთ სპითა თჳსითა მივიდეს პირის-პირ: არამედ
წარმოუვლინა წარჩინებული თჳსი გურიელსა მეტყველსა:„ რამეთუ მოვედ ვედრებად თქვენ წინაშე,
რათა ვყოთ ზავი თქვენსა და ლევანს შორის. გარნა იქმნა უმეცრად ბრძოლა თქვენი, აწ გევე-
დრებით, ვინად-გან არა რა მივნია ქვეყნისა-თჳს, ამით ვარ მართალი, რათა ჰყოთ ზავი და სიყვა-
რული თქვენ შორის, რამეთუ არიან მტერნი ძლიერნი გარემოს, ვითარცა ყეენი, რომელი
იპყრობს ქვეყანათა:“ მაშინ განაცოთ მეფესა არა ენება ესე და წადიერ იყო ბრძოლისა. არამედ
განაზრახებდეს კათალიკოს-ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ყოვლად ზავისად. ამის-თჳს სათნო-
იყო მეფე-მანცა და ჰყვეს ზავი და განაჩინეს საზღვარი და სიყვარული ურთიერთა, მტერობა და
მოყვრობა ერთბამად მტერთა და მოყვარეთაზედა. მერმე იხილნეს ურთიერთნი, უძღვნეს და წარ-
ვიდეს თვის-თვისად.

ხოლო გარდაიცვალნეს კათალიკოზნი დავით მეფის ჟამსა შინა აბრაამ და ბასილი და და-
სვა ამან მეფე-მან დორათეოს: ხოლო შემდგომად ამისა მშვიდობით ყოფასა შინა წელსა ქს.

ჩფკბ, ქრ. სი, (¹) წარმოემართა შაჰ-ისმაილ ყაენი, რამეთუ ჰგონებდა მორჩილებასა ქართლისასა. არამედ ესმა კირთება ქართველთა-გან მაჰმადიანთა. გვალად ვინად-გან სძლო სულტან-მან სელიმ, რათა არა მიერთოდნენ ქართველნი ხონთქარსა. ამის-თვის მოვიდა და დადგა ალვაყალას და იწყო შენება მისი: მაშინ ეძიებდა დავით მეფე მშვიდობასა. ხოლო ყაენ-მან მიუწოდა მეფესა წინაშე თვისსა. „მოგცე ნიში დიდი, ქვეყანა და განგიტეო მშვიდობით." არამედ ვინად-გან აქცევინებდა ყაენი ქრისტესა და ჰყოფდა მაჰმადიანად. ამის-თვის არა ინება მეფე-მან მისლვად. გამოიცა მალი მესხთა და კახ-ბატონისა ლევანისა-გან. გვალად გამოიყვანნა კავკასნი და მთიულნი, განამტკიცა ტფილისი და ყოველნი ციხენი და სიმაგრენი ქართლისანი: ესმა რა ყაენს შაჰ-ისმაილს მაგრება და სპათა შეკრება მეფისა-გან, წარმოავლინა სპასპეტი თვისი ყარაფიალ სპითა დიდითა, და მოუდგინა მას გვალად მისკარბაში ედიას-ბეგ სპითა და მერმე შეუდგა ამათ თვით-ცა სპითა თვისითა, ვინად-გან რიდი დიდი აქუნდა ქართველთა სიმხნისა: ამისი მსმენელი დავით მეფე განვიდა თელეთს ყოვლითა სპითა თვისითა და ნიჭადითა. მოვიდა პირველად ყარაფიალ, ეწყვნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი და ივლტოდნენ ყიზილბაშნი, ლტოლვილნი [illegible]-ნენ ედიას-ბეგს. მას მოაქცივნა, მოვიდნენ და იქმნა ბრძოლა [illegible] და [illegible]: იხილა ლუარსაბ ძე-მან მეფისა-მან ძლიერება ყიზილბაშთა, განვიდა სპითა თვისითა და ეკვეთა ძლიერად მარცხნით ყიზილბაშთა, მაშინ ძალითა ჭაბუკისათა განხეთქა რაზმი მათი, შეჰმუსრნა და მოსწყვიტნა მრავალნი. ხოლო ყიზილბაშნი ივლტოდნენ და მოსრვიდნენ ქართველნი და აღაოხრებდნენ ალაფითა მათითა. ხოლო ლუარსაბ სდევნიდა და სრვიდა: არამედ შაჰ-ისმაილს წარმოეგება მათ იალღუზისა და დამალულ იყო ღელესა შინა (²) და რა იხილნა სპანი თვისნი მოწყვეტილნი და ლტოლვილნი, შეუძნდა ფრიად და უბრძანა ყარა-ყურჩიბაშს მისლვა და ბრძოლა: წამსვე მოეტევნენ ზურგით კერძო იგინი ქართველთა და ეკვეთნენ ძლიერად. გარნა მაშვრალნი და ნაალაფევნი ქართველნი ბრძოდნენ უფიცხლად. არამედ ცოტათა ნაკლით-თვის იძლივნენ დავით მეფისანი და წარმოვიდა მეფე ქართლს: ხოლო ლუარსაბ განვიდა მტკვარი ყარაის ბოლოს, შემოვლო და მოვიდა მამისა თვისისა თანა. არამედ მეფე გვალად შეკრებდა სპათა ბრძოლა მაგრებისა-თვის, ჰგონებდა სიმტკიცესა ტფილისისასა. არამედ შაჰ-ისმაილ შემდგომად ბრძოლისა, რა მოადგა ტფილისს, აღუთქვა ციხის-თავსა ნიში დიდი და ციხის-თავმან მისცა ციხე-ქალაქი: შემოვიდა, შემუსრნა ხატნი და ჯვარნი და განძარცვა სიონის ღმრთის-მშობლის ხატი და შთააგდო მტკვარსა შინა (რომელი შემდგომად

(¹) [illegible] წყენია ქრონიკონისა შინა შაჰ-ისმაილის მოსვლა სწერია: „დავით მეფე [illegible], [illegible] ქართლი და სამცხე." ხოლო [illegible] შაჰ-ისმაილის სწერია, და [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], ვინად-გან შაჰ-ისმაილ ხონთქრის ბრძოლას [illegible], და [illegible] შაჰ-ისმაილის მოსვლა[illegible] ლუარსაბ მეფის [illegible]. [illegible] [illegible] ქრონიკონი [illegible]. ქრ. სი. შაჰ-ისმაილის [illegible] და დავით მეფის [illegible].

(²) [illegible] „წარმოეგება შაჰ-ისმაილ მათ [illegible]," [illegible] „[illegible] იალღუზისა და დამალულ ღელესა" [illegible] [illegible], ვინად-გან [illegible] [illegible].

ჰპოვა ბატონ-შვილს ლევან, ნათლულის ჭალასა შინა), მოსწყვიტა ქალაქი და ტყვე ჰყვნა, აღაშენა მეჩითი ხიდის ყურსა ზედა, ციხესა შინა შეაყენნა მცველნი თჳსნი და დაიპყრა თჳსად. კვალად წარავლინა ტფილისიდამ სპანი, ვითარცა მარბიელნი და მოსწყვიტეს სამცხე, სადაცა ვინ ჰპოვეს. მერმე უკუნ-იქცა და წარვიდა სპარსეთად:

ხოლო მეფე დავით შეკრებული სპითა ლაშქრობდა კირთებასა და ხლომასა სპათა ყეენისათა არამედ უმჯობესად აღირჩია, ვინად-გან წარსლვად იყო ყეენი, ბრძოლასი ციხეთასი, რომელნიცა დაიპყრნა ყეენმან: შემდგომად მიუხდუნა მეფემან სპანი და მოსრნა გარემოსნი თათართა ელნი და მარადის ბრძოდა ტფილისს. ხოლო წელსა ქს. ჩფკბ, ქრ. სია, თაირულსა შლ, მოკვდა, შაჰისმაილ, დაჯდა ძე მისი შაჰ-თამაზ ი წლისა: ამას ჯერეთ არა ქმნა ბრძოლა და ლაშქრობა: მერმე მოადგა მეფე დავით ტფილისს, აღიღო იგი, მოსრნა ყიზილბაშნი, კვალად აღიღო ალჯაყალა, შემუსრა იგი და განასხნა თათარნი და დაიპყრნა საზღვარნი თჳსნი ყოველნი: შემდგომად ამისა განიზრახა მეფემან დავით სოფლისა სიმუხთლე და უსწორობა თჳსი, დაუტევა მეფობა და იქმნა მონაზონ და დაშთნენ ძენი სამნი თამარ დედოფლისაგან, ლუარსაბ, დიმიტრი და რამაზ, არამედ მისცა მეფობა ძმასა თჳსსა გიორგის და თჳთ დავით მეფე შევიდა ტფილისსვე მონასტერსა შინა და შემდგომად მოკვდა მონაზონი წელსა ქს. ჩფკე, ქრ. სიგ:

## ოზ. გიორგი, თ, ძმა დავით მეფისა, ი წელი ჰმეფა.

ხოლო შემდგომად დავით მეფის მონაზონებისა დაჯდა ძმა მისი გიორგი მეფედ, ქს. 126
ჩფკდ, ქრ, სიბ, ეკურთხა მცხეთას კათალიკოზ-ეპისკოპოზს და დიდებულთ შემოკრებითა: ესე გიორგი მეფე დაუმეგობრა უმეტეს დავით მეფისა კახთ-ბატონს ლევანს და ჰქონ სიყვარული მისთანა, ეგრეთვე ბაგრატ იმერთ მეფისა-თანა და ათაბაგი ყვარყვარე ჰყვანდა, ვითარცა მორჩილი თჳსი: ამან დაიპყრა საზღვარი თჳსი და იყოფებოდა მშვიდობით გარემოთაგან: მოკვდა კათალიკოზი დოროთეოს და დასვა მეფემან ძმა თჳსი მელქისედეკ: შემდგომად ამათთა წარმოივლინა სულტანს სულეიმანს სამთა ამათ მეფეთა თანა დესპანი. გიორგის ქართველთა, ბაგრატ იმერთა და ლევანს კახთასა. „რამეთუ ადგილი სჯულისა თქვენისა იერუსალიმი დაიპყრეს ურჯულოთა, აწ მიმინიჭებიეს თქვენდა, მოვედით და განასხენით იგინი და დაიპყრენით თქვენდა.“ (ესე ჰქონ ხონთქარ-მან, რამეთუ ბრძოდა დასავლეთ. მეორედ, ვინად-გან მიხვიდე ყეენი და იგი მტერობდენ, რათა ამით დაიპყრას მან ყოველნი საქართველოო და არა მიერთნენ მისსა): ამისნი მსმენელნი მეფენი სიხარულით შეკრბნეს სპითა თჳსითა, ვინად-გან იუწყეს სიყვარულსა მტკიცესა

ზედა და ათაბაგი ყვარყვარე მოერთო მეფესა გიორგის და წარვიდენ მსახურებელნი ღმრთისანი: მისრულთა იერუსალიმსა შინა მყოფთა მოუთხრნეს. „გვაუწყეთ, უკეთუ ხართ მტერნი, მცირედ გვიხანით და უკეთუ სტუმარ მრავალ ხართ.“ ხოლო მეფეთა მიუთხრეს.“ მბრძოლნი ვართ ძალითა მაგავ ადგილისათი:“ ამისი მსმენელნი გამოვიდენ ქალაქით იერუსალიმით და ეწყვნენ ურთიერთთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი. სძლეს საქართველოსათა, მოსწყვიტნეს და აოტნეს და შეჰყვნენ ქალაქად, წარუხუნეს ქალაქი, მოსწყვიტნეს და განსდევნნეს იგინი, ხოლო ნეშტნი დაიპყრნეს და აღიღნეს ალაფნი დიდნი და ნატყვევსავნი:

ჰსცნა ესე უოგელნი ხონთქარ-მან, მოასიჯნა ნიჭნი დიდ-ძალნი და წმიდანი ადგილნი. საფლავი ქრისტესი, გოლგოთა, ბეთლემი და ჯვარის მონასტერი: ხოლო მეფეთა განთავისუფლნეს იგინი და წარმოვიდნენ გამარჯვებულნი და მოვიდნენ თჳს-თჳსსა სამეფოსა შინა. ხოლო გიორგი მეფე ამაგრებდა ქვეყანათა და ბრძოდა თათართა, ოდესმე იყვის მშვიდობით:

ხოლო წელსა ქს. ჩფკთ, ქრ. სიზ (¹) მოვიდა სულტან სულეიმან ერევანსა ზედა და აღიღო იგი: ამას შეუშინდნეს მკვიდრნი საქართველოსანი. არამედ იხსნა ღმერთ-მან, და უკუნიქცა ხონთქარი ბაღდადად. ხოლო მეფე გიორგი მეფობდა კეთილად სიყვარულ-ერთობითა იმერკახთ-მეფეთა და ათაბაგისათანა. არმედ შემდგომად ამანცა დაუტევა მეფობა და არა დაუტევა ძე და მისცა მეფობა ძმის-წულსა თვისსა ლუარსაბს და თჳთ შევიდა მონასტერსა შინა და იქმნა მონოზონ:

## ოტ. მეფე ლუარსაბ, ა, ძმის-წული გიორგი მეფისა, კდ ჰმეფა:

შემდგომად გიორგი მეფის მეფობის დატევებისა ეკურთხა ლუარსაბ ძე დავით მეფისა ტფილისს მეფედ ქს. ჩივლდ, ქრ. სკბ. ხოლო ესე ლუარსაბ იყო მხნე, ახოვანი, შემმართებელი, უშიში, მორწმუნე, ღმრთის-მოყვარე, სალთო-სამხედროთი სრული: ამან იწყო უუფროორესი კირთება თათართა და განსხმა მათი და მაგრება ციხე-სიმაგრეთა: ხოლო წელსა ქს. ჩფლე, ქრ. სკგ, შეიპყრა იმერთ მეფე-მან ბაგრატ ათაბაგი ყვარყვარე და დაიპყრა სამცხე: ესე შეუძნდა მეფესა ლუარსაბს, არამედ ვერა-რა არგო. გარნა ლუარსაბ მეფე-მან დაიპყრო ჯავახეთი და კერძონი მისნი: კვალად მოკვდა კათალიკოზი მელქისედეკ და დასვა მეფე-მან კათალიკოზად გერმანე, და მრავლად გედეონ: ხოლო შემდგომად შაჰ-ისმაილისა იწყო ბრძოლა შას-თამაზ, ქს. ჩივლბ, ქრ. სკ.

(¹) ოთორ-ულას შლე მოჰკვდა მაჰმად ბ, 1480, დაჯდა ბაიაზით მე შახა, მოკვდა ბაიაზით 1510, დაჯდა სელიმ მე შაჰა, მოკვდა სელიმ 1520, დაჯდა სულეიმან მე შახა, ამან აღიღო ერევანი

ესე გამდიდრდა და დაიპყრა ქვეყანა უმეტეს მამისა თჳსისა: ხოლო წელსა ქს. ჩფლგ, ქრ. ხკდ, მოვიდა იდუმალ განჯას სპითა ძლიერითა: ჟამსა ამას იდგა მეფე ლუარსაბ ტფილისს, ამას მწუხრ-სავე მოკუდა ძე მეფისა მცირე და სიყვარულისა-თჳს ძისა წარუყუნენ მეფე და დედოფალი და წარიღეს მასვე მწუხრსა და დაფლეს მცხეთას და განთიად ღამესა ამასვე შემოვიდა შაჰ-თამაზ ტფილისს მოპარვით, რათა შეიპყრას მეფე. არამედ განარინა ღმერთ-მან მეფე მიზეზითა ძისა-თა. ხოლო შაჰ-თამაზ მოსწყვა ტფილისი, ამის-თჳს შეუშინდა ციხის-თავი ტფილისისა შაჰ-თამაზს და მეფისა მოწყვისა-თჳს ტფილისისა და გარდმოუშვა ციხიდამ და მოვიდა შაჰ-თამაზისა თანა: მხილველნი მეციხოვნენი ვიეთნიმე ივლტოდეს და სხვანი მოვიდნენ წინაშე ყეე-ნისა. მან ყოველთა დაატევებინა ქრისტე და ჰყო მაჰმადიანად და ტფილისის ციხესა შინა შეა-ყენა მცველნი თჳსნი ყიზილბაშნი და თჳთ წარვიდა ყარაბაღსავე: ამ ჟამსა ეპყრა სამცხე იმერთა მეფესა ბაგრატს, ესე მივიდა ყარაბაღს წინაშე ყეენისა. ხოლო ლუარსაბ მეფე-მან ვერ იკადრა ბრძოლა, ვინაჲ-გან მოვიდა ყეენი უცნობლად და იხიზნოდნენ ყოველნი ქართლისანი მოსწრაფედ. არამედ დაიცვა ქვეყანა ტყუეობისა-გან: ამისა შემდგომად მონაზონ იქმნა ბიძა მეფისა ბაგრატ, მპყრობელი მუხრანისა. ქს. ჩფლთ, ქრ სკდ, და დაუტევნა ძენი ვახტანგ, არჩილ, აშოთან და ერე-კლე. ხოლო ვახტანგ იქმნა მუხრან-ბატონი:

ხოლო შემდგომად წარსლვისა ყეენისა კვალად უწყო მეფე-მან ლუარსაბ ბრძოლა ტფილისს და მოსრვიდა გარემოთა თათართა, ვინაჲ-გან მრავალ-გზის მოსცა ღმერთ-მან ძლევა მათ ზედა, და აღიღო კვალად ტფილისიცა და დაიპყრა თჳსადვე: შემდგომად წელსა ქს. ჩფლთ, ქრ. ხკზ, სო-მეხნი შეიშალნენ ალვსებისა-გან. ხოლო მაშინ ოდეს ეპყრა მეფესა იმერთა ბაგრატს სამცხე, მოვიდნენ ოსმალნი ბრძოლად ბაგრატისად ბასიანს. ამისათჳს ბაგრატ ევედრა ლუარსაბ მეფესა შეწევნასა მათ-ზედა და უცილოდ დაიპყრას მტკვრის აღმოსავლეთი ლუარსაბ: არამედ ლუარსაბ მეფესა, თუმცა არა-ვის ემწეოდა განძლიერებისა მისისა-თჳს. განაღა ლუარსაბს ეძვინვებოდა ტყვეობა საქართველოსი, შემცირება და განხეთქილება თჳსთა-გან და მტერთა მიერ, რათა არა იქმნას მაჰმადიანად: ამის მიზეზისა-თჳს შემოიკრიბნა სპანი და წარვიდა შეწევნად ბაგრატისად: ხოლო მისრულთა მეფეთა ბასიანს წყობათა შინა სპათა ლუარსაბისათა ინებეს წინა-ბრძოლება. მაშინ მესხნი ეტყოდნენ. „ჩვენ ვართ წინა-ბრძოლნი ძველადვე და აწცა ქვეყანა არს ჩვენი ჩვენდავე ჯერ-არს.“ არამედ არა ინებეს ესე ქართველთა. ამის-თჳს იშურის-მგებლეს მესხთა და არღა-რა შეე-წეოდნენ, და მოსწყდნეს ქართველნი მრავალნი და ივლტოდნეს მესხნი, შურითა ამით იძლივნენ ქართველნი ყოველნი ქს, ჩფმე, ქრ. ხლგ, და მოვიდა ლუარსაბ თჳსს სამეფოდ:

ამისა შემდგომად შეითქუნენ მეფე ლუარსაბ და კახ-ბატონი ლევან, ოდეს მოჰკლა ლევან კახთბა-ტონი-მან ასან-ბეგ, და აუწყეს ესე მესხთა, მოერთნენ იგინიცა და დაუწყეს რბევა და ოხრება განჯას, შაქ- 127
შირვანს და ადრაბაგანსა, მრავალთა ჟამთა და მოიღებდნენ ალაფითა და ნატყვევნავითა დიდ-დიდთა, რამეთუ იყო შაჰ-თამაზ უცალოდ: შემდგომად მოვიდა შაჰ-თამაზ შირვანს, რათა განაგოს საქმე მანდატური, ქს. ჩფმნ,

ქრ. **სლჲ**, თათრულსა ქორონიკონსა შნე: მერმე მოიქცა მუნიდამ ტფილისს (ვინად-გან აღუღო მეფესა ლუარსაბს და ეპყრა თჳსად), მოადგა ყეენი, შემუსრა ტფილისი და ნეშტნი მოსწყვიტნა, და შეაყენნა ციხესა შინა მცველნი უმრავლესნი: ხოლო ტფილისიდამ ეზრახა ათაბაგს, დაიმორჩილა იგიცა, ემზახლა მას და წარვიდა სპარსეთად. არამედ ესე გახ-ბატონის ლევანისა და ათაბაგის დამორჩილება ყეენისა შეუქმნდა მეფესა ლუარსაბს და ვიეთთა წარჩინებულთა მესხთა, სახელით იჯუს, შერმაზანს და ვახუშტ დიასამიძესა. ამათ მიუწოდეს ლუარსაბ მეფესა. ხოლო შეკრებული სპითა მეფე მივიდა და წარუხვნა ათაბაგსა სამცხე, ჯავახეთი, კოლა და არტანი და დაიპყრა თჳსად: ესე ყოველი აუწყა ათაბაგ-მან ყეენსა და შას-თამაზ წარმოუმართა მსწრაფლად შველად მისად. მოვიდა და შემუსრა შაქი, შემოვლო ქართლის სომხითი, ვერ წინა-აღუდგა ლუარსაბ მეფე,. შევიდა და დაიპყრა სამცხე, შეიპყრა იჯუ და შერმაზან და მოჰკლნა იგინი და სხვანი ტყუე ჰყვნნა, ჩავლო სომხითი და წარვიდა ერევანისა ზედა: არამედ მეფე ლუარსაბ შემზირდებოდა მძლავრებისა ქსეთისა-თვის. გარნა არა დასცხრებოდა ბრძოლად კვალადცა თათართა ზედა, რამეთუ რა იცის ჟამი, ბრძოდა, მოსწყვეტდა და ალაფობდა ტყვევსი-თურთ და მრავალ-გზით ჰყოფდა ესრეთ. ხოლო უჟამოდ განამაგრის ციხენი და სიმაგრენი მთათა და ველთანი და ბრძოდა თვით ეგრეთ:

შემდგომად გამოვიდა ხონთქარი სულტან სულეიმან. ესე ესმა შას-თამაზს, მოვიდა და დადგა არტანს ყეენი, მოაოხრა სამცხე, აღიღო კარი და შემუსრა: მერმე გარდმოვლო სამცხიდამ, მოაოხრა თრიალეთი, საბარათიანო, მოადგა ბირთვისს (ამის-თჳს მტერობდა უფროს მეფესა ლუარსაბს ყეენი, რამეთუ არა მორჩილ ექმნა დღეთა მისთა არცა ყეენსა და არცა ხონთქარსა, რათა არა სხვანი მორჩილნი მისნი ამძლავრონ და დაატყვევებინონ ქრისტე): მაშინ შას-თამაზ ვერ ამღებელ-მან ბირთვისისა-მან შეთხზა ხვანჯი, აღუთქვა კეთილნი და ნიჭნი დიდნი მეციხოვნეთა, ამით მოაცთუნნა და მისცეს ციხე: ხოლო მან უარ-ჰყო ფიცი, მოსრნა იგინი და ტყვეჰყვნა. მერმე მოვიდა და მოადგა გორს, შემუსრა იგიცა და ციხე ვერისა და სხვანიცა. შემდგომად მოადგა ატენს ციხესა, აღიღო იგი და გამოიყვანა დედა ლუარსაბ მეფისა მუნიდამ და მრავალთა წარჩინებულთა ცოლნი. ქს. **ჩფნგ**, ქრ. **სმდ**: უკუნ-იქცა და წარიყვანა ყოველნი ტყვენი და დედაცა მეფისა (1): ესე ესმა ლუარსაბ მეფესა მთიულეთს მყოფსა, წარმოუდგა ყეენსა, ეწია სპათა მისთა და მოსრნა მრავალნი. არამედ დედასა ვერ-ღა-რაი არგო. აღიღო ალაფი დიდი და უკმოიქცა. ხოლო მისრულ-მან დედა-მან მეფისა ლუარსაბისა-მან იგრძნა უპატიო ყოფა თჳსი, შესვა სასიკვდილე და მოკვდა: მაშინ ყეენ-მან დასხნა რანს, მოვაკანს და ერევანს ბეგლარ-ბეგნი და მათ ქვეშეთნი. კვალად დასხნა ხანნი და სულტანნი (რომელნი არიან ბეგლარ-ბეგი ერისთავთ-ერისთავი, ხანი ერის-თავი, სულთანი გევის-ბერი), ამათ უბრძანა. „უკეთუ ემტეროს ლუარსაბ მეფე ტფილისს, მწე ეყვნენ ყოველნი.“ არამედ ლუარსაბ მეფე-მან ბრძოლითა განასხნა თათარნი და

---

(1) სხვა ქორონიკონსა შინა ეწერა ლუარსაბ მეფისა წარჩლეკა იმერეთს და ჩვენცა ამის-თჳს იმერეთს დავსწერეთ, მუნ მის ქართველთა შინა.

დაიპყრა ქართლი და სომხითი და ციხენი ყოველნი, თვინიერ ტფილისისა და მარადის ბრძოდა ტფილისს: ესე აცნობეს ტფილისის მცველთა განჯის ბეგლარ-ბეგს შავერდის, და მან შემოიკრიბნა თავის ქუეყანაში დაწესებულნი და სხვანიცა ყოველნი წინა-თქმულნი და წარმოვიდა ქართლს. მსმენელი ამისი ლუარსაბ მეფე სპითა თვისითა დადგა გარისს, რათა შემოიყვანოს იგინი სიმაგრესა, რამეთუ იყო თვით მოხუცებული და ესხნეს ძენი სვიმონ და დავით. არამედ სვიმონს მისცა სპანი თვისნი და თვით მცირედითა მოხუცებულითა და ეპისკოპოსითა დაადგრა გარისს: მივიდა სვიმონ, ეწყო ყიზილბაშთა და იქმნა ბრძოლა სასტიკი. მოსწყვიტნეს და აოტნეს ქართველთა ყიზილბაშნი და სდევნიდნენ და ალაფობდენ: მაშინ შავერდი-ხან ლტოლვილ-მან იხილა მეფე მდგომარე და უღონოებდა წარსლვად შიშისა-თვის განრინებად თავისა თვისისა, მოეტევა მცირედთა ამათ, რათა გარდაიხვეწოს: ამას ზედა განმკნდეს მოხუცებულნი მეფის-თანანი, ვითარცა ჭაბუკნი, მოსწყვიტეს და წარიქციეს სპარსნი. მაშინ მეფესა შეხვდა შავერდი-ხან და მეფესა განსტეხოდა ჴრმალი და შუბი ბრძოლასა შინა. აძგერა ცხენი შავერდი-ხანს და გარდავლო მას ზედა მეფე-მან და ჴვალად სხვისა მიმტევებელსა შთაუარდა ცხენი ნაპრალსა მიწისასა და დაეცა ცხენი მეფი-თურთ მიწასა. მოუხდა სპარსი სახელით ზირაქ, დასცა მახვილი მეფესა და მოსწყლა ძლიერად. ხოლო სპათა მეფისათა მოსწყვიტნეს სრულიად ყიზილბაშნი: და ამისი უცნობელი ძე მეფისა სვიმონ, გამარჯვებული და ნაალაფევი მოიქცა, რა იხილა მეფე ესრეთ მყოფი, დამძიმდა ფრიად, მერმე მცირედისა ჟამისა გარდაიცვალა მეფე ლუარსაბ, ქს. **ჩფნე**, ქრ. **სმგ**, შერაცხილი მოწამეთა-თანა, ვითარცა გორგასალ. გარნა ესე მეფე ბრძოდა დღეთა თვისთა მაჰმადიანთა, რათა არა დაუტეონ ქრისტე ქართველთა და უკეთუ მორჩილ მათდა ქმნილ იყო საეჭველიყო, რამეთუ მრავალ-გზის დიდნი ძლევანი და მაგრებანი შესძინა ქუეყანათა სიმჴნითა თვისითა. მოიღეს მეფე ლუარსაბ და დაფლეს მცხეთას:

## ოთ. მეფე სვიმონ, ა, ლუარსაბ მეფის-ძე, ლდ წელი ჰმეფა.

გამეფდა შემდგომად მეფისა ლუარსაბისა ძე მისი სვიმონ და ეკურთხა მცხეთას მეფედ. ხოლო მომკვდარ იყო კათალიკოზი გერმანე და მეფესავე ლუარსაბს დაესვა ნიკოლაოზ. მოკუდა ნიკოლაოზ კათალიკოზი, და ამან სვიმონ მეფე-მან დასვა კათალიკოზად დომენტი: ხოლო მეფე-მან სვიმონ მოიყვანა ცოლად ასული ბატონის ლეონისა ნესტან-დარეჯან, ნაშობი შამხლის ქალისაგან და ჰყო ქორწილი, ქს. ჩფნთ. ქრ. სმზ, და დაიპყრნა ყოველნი ნაქონებნი მამისა თვისისა, თვინიერ ტფილისისა: მაშინ არჩილ ძე ბაგრატ მუხრან-ბატონისა ეკირთებოდა ტფი-

ლისს და ავნებდა გარემოსთა მისთა დიდთა: დღესა ერთსა გამოვიდნენ ტფილისის ციხიდამ სპანი
128 ყიზილბაშნი, დაესხნენ სავურტლეს მყოფს, ბრძოლასა ძლიერსა იძლია მათ-გან არჩილ და შეიპყრეს დედა-წულითურთ ქს. ჩჳდ, ქრ. ხმჵ, და წარიყვანეს წინაშე ყეენისა: გარნა თვინიერ ამისა აქვნდა მეფესა სვიმონს წელი სამი მშვიდობისა. შემდგომად იწვია ცოლის ძმა გიორგი, რათა ბრძოლოს სპარსთა და შეკრბენ ციხე-დიდს: ამისი მცნობელი შავერდი სულტანი წარმოემართა სპითა და შემოვლო უგრძნეულოდ ქვეყანანი, რამეთუ უშენ იყო გარდაბანი და ეპყრათ ტფილისი მათ. ხოლო დარაჯანი მეფისანი გერმანოზის შვილი ფარეშათ და სხვითა მისთანითითა, იდგნენ დევის-ნამუხლარსა ზედა. არამედ ღამესა მას აღდგომისასა აღვიდნენ მუხად-გვერდს, რათა ისმინონ დღესასწაული, და ყოფასა მათსა მუნ შემოვლეს ყიზილბაშთა და დაესხნენ უეცრად მეფესა სვიმონს: მაშინ იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი და მოსწყდნენ სპარსნი უმრავლესნი. არამედ მოკლეს გიორგი ძე კახთ-ბატონის ლევანისა ქს. ჩჟჲ, ქრ. ხმთ, და ივლტოდნენ კახნი. არამედ მოსწყდნენ ქართველნიცა მრავალნი, რამეთუ ამილახვართაგანი მოსწყდნენ ცხრანი (და ამისთვის მიუბოძა მეფემან ზემო ეკკლესია მღვიმეს): მხილველი სვიმონ მეფეცა უკმოიქცა ძლეული და ყიზილბაშნი უკუნ-იქცნენ გამარჯვებულნი: ამავ ქორონიკონსავე მოუხდნენ ფხოველნი მუხრანს. ხოლო აშოთან ძე-მან ბაგრატ მუხრან ბატონისა-მან ბრძოლა უყო და მოსწყვიტნა იგინი და აოტნა. გარნა მოიკლა იგიცა მათ მიერ:

## ოთ bis დავით, გინა დაუთხან, ლუარსაბ მეფის ძმა, ჶ წელი ჭმევა.

ხოლო იხილა რა ძმა-მან მეფის სვიმონისა-მან დავით სპარსთა-გან ძლევა ესე წარვიდა სპარსეთად, რამეთუ იყო კაცი ხორცთ-მოყვარე, მეძავ-გამცხრომელი, და იქმნა განმცემელ-ქვეყნისა და მივიდა წინაშე ყეენისა: ამას ჰატივ-სცა შას-თამაზ და ჰყო მაჰმადიანად, უწოდა დაუთ-ხან და ძედ თვისად, უგმობდა, მისცა ჯილდო ც თუმანი, ხალათად კაბა, სარტყელი და ტყავი სამურითა, ოქრო-ქსოვილნი, თაჯი, [1] კრმალი, ხანჯალი, საბუხარი მარგალიტისა და ცხენი აღკაზმული ოქროთი, ყოველნი მოოჭვილნი თვლებითა, სურა და თასი ოქროსი (რომელი შემდგომად დაიდვა და მოსცემდენ მეფეთა ქართლისათა), წარმოავლინა მეფედ ქართლისად სპითა დიდითა, შემოვიდა ტფილისს და აქვნდა შემწედ განჯის ხანიცა: ესე ემტერებოდა სვიმონ მეფესა და ყოველთა ქართველთა. ამის-თვის შეიკრიბნა სვიმონ სპანი და დასდგა დიღვამს: მსმენელი ამისი დაუთხან გამოვიდა სპითა ყიზილბაშ-ქართველითა, რომელნი ეახლნეს მას, ეკვეთა მეფე სვიმონ

---

[1] თაჯი არს გვირგვინი მათი, რომელსა დაჰხვევენ დოლბანდსა მაშინ ოქრო-ქსოვილსა და ჯიღითა თავისმეტისა შეჰკრობენ.

ქს. ჩფჲზ, ქრ. სნე: იძლია დაუთხან და მოსრნეს სპანი მისნი და შევიდა ტფილისვე: მაშინ მეფე მოადგა ტფილისს. ხოლო შემჭირვებულ-მან დაუთხან ციხიდამ აუწყა: ესე უსეინ-ბეგს ყარამღეულს სპასპეტსა და მოითხოვა შეწევნა მის-გან: ამისი მსმენელი უსეინ-ბეგ შემოვიდა ტფილისს უგრძნეულოდ და მეფე აღვიდა ტაბახმელას. ამას ზედა განლაღდა დაუთხან, გამოვიდა სპითა და ეწყვნენ სამადლოს-ზედ ურთიერთს, ქს. ჩფჲჱ, ქრ. სნვ, სძლო კვალად მეფე-მან სვიმონ და გაქცეულთა მოსწყვეტდენ სპანი მეფისანი ქართველნი. მოვიდა მეფე და დადგა კვალად ტაბახმელას, ვინად-გან მუნვე ტფილისს შეიხვეწა დაუთხან:

ეზრახა სვიმონ ქართველთა, რომელნი იყვნენ დავითის-თანა ციხესა შინა გამოშორებად მის-გან. არამედ მათ არა ინებეს: მერმე სცნა მეფე-მან ვერ აღება ტფილისისა და უკმოიქცა მის-გან. ხოლო დაუთხან აცნობა შას-თამაზს ესე ყოველი: მაშინ ყეენ-მან მიუწერა განჯა-შამახიის ბეგლარ-ბეგთა და წარმოუვლინა ნიჭნი დიდნი, რათა გამოიყვანონ შამხალი ლეკითა და ჩერქეზნი: ხოლო მათ მისცეს საგძურნი იგი და გამოიყვანნეს იგინი და შეკრბნენ ესე ყოველნი და მოვიდნენ ხუნანს: ამისი მსმენელი სვიმონ მეფე დადგა შეკრებული სპითა აწყურის და იგინი მოვიდნენ ფარცხისს: მაშინ განივლტო ყორღანა-შვილი კახა-ბერ და გულ-დებულ-ჰყვნა ყიზილ-ბაშნი მეფესა ზედა, რამეთუ აქვნდათ მათ შიში დიდი, მოუძღვა იგი და ეწყო მეფე ფარცხისს მათ, იყო ბრძოლა სასტიკი და მოსწყდნენ ურიცხვნი თათარნი და ივლტოდნენ ფიცხლად. არამედ მეფე კადნიერებით მიეტევა გუნდსა მათსა, ჰკრა ოროლი მხედარსა და მოსპო იგი და განხეთქა გუნდი მათი და მიეტევა სხვასა: იცნა მეფე კახა-ბერ ყორღანა-შვილ-მან და ეტყოდა ყიზილბაშთა. „ეგე არს მეფე, შეიპყარით." მასვე წამსა გარემოერტყნენ და შეიპყრეს მეფე სვიმონ, ძლიერად მბრძოლი, ქს. ჩფჲთ, ქრ. სნზ: და წარიყვანეს. ხოლო ქართველნი ივლტოდნენ თვის თვისად და სპარსთა დასვეს დაუთხან მეფედ ტფილისს და წარვიდნენ და მიგვარეს მეფე სვიმონ შას-თამაზს: მან პატივ-სცა და უთქმიდა დატევებასა ქრისტესსა. ხოლო მან არა ინება. ამის-თჳს წარგზავნა ციხესა შინა ალამუტს პატიმრად, მერმე წარგზავნა არნილც ტოლ-მჴლით შირაზს პატიმრად. ქს. ჩფოგ, ქრ. სჲა:

ხოლო დაუთხან დაიპყრა ქართლი. არამედ ვიეთნიმე მთავარნი განსდგნენ და არა მორჩილებდენ და დაჯდა დაუთხან ქვეშის-ციხესა შინა და განსცხრებოდა გორციელად, და ოდესმე იყვის ტფილისს, არა რისა მზრუნველი სულისა და ქვეყნისა-თჳს, არცა რაის პატივსა უყოფდა დედოფალსა, ცოლსა სვიმონ მეფისასა: ამისი მხილველნი ამილახორი და ქსნის-ერისთავი (სათნოთა ალექსანდრე კახ-ბატონისათა, რამეთუ სიმამრი იყო ამილახორი ალექსანდრესი და ალექსანდრე მტერობდა დასა თჳსსა ძმათა თჳსთა-თჳს და ცოლიც დაუთხანისა ნათესავი იყო ალექსანდრესი), მოუხდნენ დედოფალს სვიმონ მეფისასა კავთის-კევს მდგომსა და წარუხვნეს სრულიად ქონებანი და აიალაფეს, რომელი არა ჯერ-იყო საყოფელად (მაშინ იტყოდიან თემნი. „ვაი სვიმონ მეფისა საქონელსაო."): ხოლო სპასპეტი სარინო ბარათა-შჳლი არა ერჩდა დაუთხანს და მოვიდოდა

*

კოჯორიდამ: ამას ემთხვია ყორღანა-შვლი ჯახა-ბერ, შეიპყრა იგი და ეტყოდა: „უკეთუ ბეგილარს განცემა მეფისა და ქვეყნისა იხილე აწ შენ-ცა, და გარდაგდო იგი კლდესა გელიყარისასა (მა-შინ თქმნი იტყოდენ: „ყორღანას ძე ქარაფინდა, კლდე-ჰკრეს და გარდაფრინდა.“ ხოლო კვალად შას-თამაზისა-გან მოწყვედა სამცხისა და განყოფა ქვეყანათა მის-გან და ხონთქრისა-გან დავსწყე-
129 როთ თჳსს ადგილს, ვინად-გან მას ჟამსა არა მოვიდა ქართლსა შინა, მერმე მოკვდა შას-თამაზ ყეენი ქს. **ჩფოვ**: ქრ. **სჲდ**, თათრულს ქორონიკონსა **შპდ**, და დასვეს ყეენად ძე მისი შა-ის-მაილ: ამან შა-ისმაილ მოიყვანა მეფე სვიმონ და არჩილცა ცოლით შვილით შირაზიდამ. არამედ მესისხლობისა და სუნობისა-თჳს მოკლეს ყიზილბაშთა შა-ისმაილ, ქს. **ჩფოზ**, ქრ. **სჲე**, თა-თრულსა ქორონიკონსა **შპე** და დასვეს შახუდაბანდა ყეენად ძე შას-თამაზისავე:

ჟამსა ამას გამოვიდა სპანი ხონთქრისანი და დაიპყრეს ერევანი, განჯა და თავრიზი, რა-მეთუ იყო შახუბანდა ბრმა და ბედითი და ვერ შემძლე საქმისა: კვალად წელსა ქს. **ჩფოჱ**, ქრ. **სჲვ** გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი: ამასვე ქორონიკონს გამოვიდა ლალა-ფაშა სულტან-მუ-რადისა სპითა ძლიერითა (¹), ამან გამოვლო სამცხე და მოვიდა ტფილისს, ვერ წინა-აღუდგა დაუთ-ხან, მოსწვა ტფილისი თჳთ და წარვიდა სიმაგრეთა. ამის-თჳს ლალა-ფაშამ ინება წარ-ვლინებანი სპათა შიდა-ქართლს და დედოფალსა ზედა. არამედ მუხრანის ბატონი იყო უფლის-წულობით, ვითარ-ცა განმგე ქართლისა და მორჩილებდენ ყოველნი. ამან მოიყვანა ამილახვარი ბარძიმ და ქსნის-ერისთავი ელისბარ ლალა-ფაშისა-თანა, და დაიხსნა ამან ქართლი და თემი მოწყვეტისა-გან: ხოლო ლალა-ფაშამ ამათ თვისნი მამულნი მიანიჭნა და მეოთხესა დღესა გა-ნუტევა პატივითა. გარნა სომხითართა დიდი ავნეს ოსმალთა და მოსწყვიტნეს მრავალნი: კვალად წარმოავლინა ლალა-ფაშამ სპანი იმერეთისა ზედა და დახუდნენ მთასა ზედა ლიხისასა იმერნი, ომსა ამას დაესწრა ძე არჩილისა ერეკლე, მოსწყვიტნეს მრავალნი ოსმალნი და აოტნეს: ხოლო ერეკლეს ათერთმეტი კრმალი და ორმოცი ისარი მოხვდა, გარნა ჯაჭვი და მუზარადი ვერ გაუ-ტეხეს, არამედ მოსწყვიტნეს აზნაურნი მის-თანანი და ლტოლვილნი ოსმალნი მცირედნიღა წარ-ვიდენ: მერმე კვალად წარმოავლინა ლალა-ფაშამ სეკდემბერსა შინა სპანი იმერეთს. ხოლო იმერთა მოსწყვიტნეს მასვე მთასა ზედა და ლტოვილთ ოსმალთა დახვდენ ქართველნი და მოსრნეს უმრა-ვლესნი: შემდგომად წარვიდა ლალა-ფაშა შირვანს და მუნიდამ მოქცეული დადგა მუხრანს: მაშინ შახუდაბანდა ვერა რისა მყოფელი. ამის-თვის დედა-მან მის-მან (რომელი იყო ასული ოთარ შალიკა-შვილისა.) დაახვია კრმალსა ლეჩაქი და წარმოუგზავნა სვიმონ მეფისა (ვითარ-ცა წესი არს ქართველთა) და მოუთხრა. „რომელიცა გნებავს, აღიღე და წარვედ ქვეყანასა შენსა ნიჭითა დიდითა და ბრძოდე ოსმალთა.“ წარმოავლინეს და მოსცეს წინა-თქმული დაუთხანისა ყოველნი და

(¹) მოკვდა სულეიმან **1566**, დაჯდა სელიმ ძე მისი, მოკვდა სელიმ **1575**, დაჯდა მურად ძე მისი. ამან წარმოავლინა ლალა-ფაშა, ამ მურადისა [illegible] შედ ურთის [illegible], რომელი ჰყო [illegible] ხონთქარსა.

მის ზედა დაურთეს ცხრა ათასი თუმანი და ტყვენი ყოველნი საქართველოსანი, მუნ დატყვევებულნი: ამის-მან მხილველ-მან დაუთ-ხან, იხილა რა დატევება თჳსი ყიზილბაშთა-გან, ეზრახა ლალა-ფაშას და მისცნა ყოველნი ციხენი ქართლისანი და თჳთ წარვიდა წინაშე ხონთქრისა სტამბოლს (შემდგომად ჟამთა რაოდენთა-მე მოკუდა დაუთ-ხან მუნ): ხოლო ოსმალთა დაიპყრეს ქართლი და ჰყვეს ტფილისი საფაშოდ, გორი აღაშენეს და ჰყვეს სანჯახად, სამშვილდეს შემუსრეს ეკკლესია სიონი გუნბათიანი, ვინად-გან მუნ აგნეს დიდი ოსმალთა და განამაგრეს სამშვილდე და დბანისი:

ამავ ქორონიკონს მოვიდა მეფე სვიმონ ოკდომბერსა შინა და მოიყვანა არჩილ ძე ბაგრატისა და ტყვენი ყოველნი დატყუევებულნი ქართლისანი და დასდგა სომხითს: ეზრახა ლალა-ფაშას და ვინად-გან ავად-მყოფობდა მეფე, ვერ იხილა ფაშა: შემდგომად წარვიდა ლალა-ფაშა მეხრანიდამ სამცხეს, ხოლო სვიმონ მეფე-მან დაიპყრა ქართლი, რამეთუ მსურველი იყვნენ მისთჳს ქართველნი: შემდგომად აღიღო ლორე, გორი და ყოველნი ციხენი ქართლისანი, თვინიერ ტფილისისა მეფე-მან: მაშინ მეფე სვიმონ ლამოდა შურის-გებასა ამილახორის და ქსნის ერისთვისასა. არამედ ვახტანგ მუხრანის-ბატონი ურჩიდა წინა-თქმულთა-თჳს წინაშე სვიმონ მეფისა: იწყინა მეფე-მან და ამავ ქორონიკონსა შეიპყრა მათთა ეჭვისა-თჳს ვახტანგ და პატიმარ-ჰყო კახვის ციხესა შინა, მერმე შეიპყრა ამილახვარი ბარძიმ-ცა, შეშინდა ქსნის-ერისთავი ელისბარ, და შეუვრდა დედოფალსა, შესძლჳნა სრულიად მინატარი და სხვანიცა მრავალნი. კვალად ახალ-გორი და მეჯვდა და ამილახვარმან კასპი და კარბი, შეიწყალა დედოფალ-მან და ევედრა მეფესა შენდობისა-თჳს, შეიწყალა მეფე-მანცა და აფუცა ერთ-გულობასა ზედა და განუტევა: შემდგომად ამისა განუტევა ვახტანგცა. ხოლო სცნა რა ლალა-ფაშამ საქმე სვიმონ მეფისა, წარმოავლინა მანუჩარ მირმარითა და ქართლს ფერლა-ფა ჩამოვიდა სვიმონისა-გამო, და დაესხნენ სადგერს და მოსწვეს იგი, წარხდა განძი ეკკლესისა, არამედ ტყვენი ვერ ტყვე-ჰყვეს, კვალად ჩამოვიდა მანუჩარ სანჯახითა, დასხმის-გვარ მოარბია ქართლი და წარვიდა:

ხოლო ბატონს ალექსანდრეს აქუნდა შური სვიმონ მეფისა თვისის დის გამო და დაუთ-ხანცა მოყრობდა სარწმუნოდ, კვალად ამილახორი-ცა სიმამრი მისი იყო, შეუტყობრად მოუხდა სპითა თვისითა დიღვამს მდგომს სვიმონ მეფესა ქს, ჩფპ, ქრ. სჲჟ: მაშინ სვიმონ ივლტოდა უსპოობისა-თჳს და ალექსანდრე-მან იავარ-ჰყო დედოფალი და თჳსი და ნიფხავი მისი აალვა შუბსა ზედა და წარვიდა: იკადრა უკადრო, არა ჯერ-საყოფი, ვითარცა ავაზაკ-მან: მრისხანე-მან სვიმონ მეფე-მან შემოიკრიბნა სპანი და მოუთხრა ალექსანდრეს. „ჰქმენ საქმე უშვერი, რამეთუ თუცა ექმნა სხვასა, ჯერ იყო შენ-გან ძიებად შურისა, აწ განემზადე ხვალისად ბრძოლად, რამეთუ ვიძიებ შურსა:“ დღესა მეორესა მივიდა ჭოტორს მყოფს ალექსანდრეს ზედა, მოეგება იგიცა და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და ივლტოდა ალექსანდრე: მაშინ შეიპყრნეს ყოველნი წარჩინებულნი კახეთისანი და აღიღო ალაფი მისი. წარმოვიდა და მოიყვანა კახნი მცხეთას და აფუცნა ყოველ-

ნი იგინი: ,,ღმერთ-მან ნურას ჟამს მისცეს ძლევა გახთა ქართველთა ზედა:" მერმე მისცნა ბოძნი და განუტევნა ყოველნი: ამავ ქორონიკონს მოკვდა ვახტანგ ბატონი მუხრანისა, ამასვე ქორონიკონს ოკდომბერს ათაბაგი ყვარყვარე და ბექა მოუხდეს ლორეს, მოარბიეს და წარვიდეს: შემდგომად ამისა მოვიდა მაჰმად ფაშა ანუ სინან და სპათა ამისთა აღიღეს ლორე და ამან აღიღო გორის ციხე, შეაყენნა მცველნი და თჳთ დასდგა მუხრანს: კვალად გიორგი იმერთა მეფე სიტყვითა ფაშისათა მოუხდა ზემო-ქართლს, მოჰყვნენ დადიანი და გურიელი, ვერ ჰპოვეს ხიზანნი, მოსწვეს გაღმართი და გამოღმართი და წარვიდნეს: ხოლო მეფე-მან სვიმონ არა მიხედა მათ, არამედ დაესხა სინან-ფაშას მუხრანს სპითა თვისითა და მოსწყვიტნა სპანი მისნი, ივლტოდა ფაშა და შევიდა ტფილისს ციხესა შინა, ქს. ჩფჟა, ქრ. სოთ:

130 შემდგომად კვალად შემოიკრიბნა მეფე-მან სპანი და თვისთა წარჩინებულთა ცოლნი მოიყვანნა, წარიყვანა დედოფალი და იგინი და აღვიდა ლილოსა ზედა: წარევლინა სპანი მცირენი, რათა წარმოიღონ მროწლესი ტფილისისანი. ხოლო მათ ჰყვეს ბრძანებული: მაშინ გამოვიდეს ტფილისიდამ სპანი ოსმალთანი სიმრავლით დევნად მათდა და რა მოვიდნენ სიმარჯვესა, მიეტევა მეფე სპითა თვისითა და სჭვრეტდეს ჯარნი ქალთა-ყალაბითანი, მოსწყვიტნა და აოტნა ოსმალნი და მცირედნი შევიდნენ ტფილისს. მიჰყუჩნეს ქართველნი კარამდე, არამედ ციხე ვერ წარუხვნეს და შემოიქცნენ ალაფითა: მერმე შეკრებული სპითა, მოვიდა მეფე ლორეს, მოეგება ფაშა მუსებური, ეკვეთა მეფე და მოსწყვიტნა სიმრავლე მათი. გარნა ციხე ვერ წარუხვნა, არამედ ქუაბნი აღიხუნა. ქს. ჩფჟბ, ქრ. სპ: ხოლო იხილა ათაბაგ-მან ყვარყვარე-მ და მანუჩარ ძმა-მან მის-მან განძლიერება სვიმონისა, ეზრახნეს და დაემზახლნენ, მოვიდა მანუჩარ სვიმონ მეფისა თანა და ამასვე ქორონიკონსა მისცა ასული თვისი ელენე მანუჩარს ცოლად მეფე-მან, აქორწინა და წარვიდა მანუჩარ სამცხეს: ამასვე ქორონიკონსა მოადგა მეფე ლორეს და აღიღო იგი აპრილსა ა და დაიპყრა თვისად. მერმე მოვიდა და დასდგა ტაბახმელას: ესე ჰსცნა ასან-ფაშა-მან, გამოვიდა ტფილისიდამ დასხმად სპითა მეფისად: აგრძნა სვიმონ მეფე-მან და ეკვეთა ძლიერად, მოსცა ღმერთ-მან ძლევა, მოსწყვიტნა და აოტნა და ნეშტნი შეივლტოდეს ტფილისვე (თქმულ არს. კაცი ცხენითურთ გარდაიჭრა კლდესა ტაბახმელისასა და ეგნეს ცოცხალნი ორნივე): მაშინ სვიმონ მოადგა ტფილისს, მცირეს ხანსა შინა წარიღო და მოსწყვიტნა სრულიად ოსმალნი ქს. ჩფჟგ, ქრ. სპა: შემდგომად მოადგა სამშვილდეს რაოდენსამე ჟამსა, შემოაპარა ქურდის კარიდამ სპანი ღამით, მოსრნეს ოსმალნი და აღიღო ციხე, შემუსრა და დაიპყრა თავისად მეფე-მან: ესენი მიესმნენ ხონთქარს, წარმოავლინა სპანი დიდნი, მოვიდნენ და მოადგნენ ლორეს, აღიღეს იგი. მერმე შთამოვიდნენ და დაადგნენ ხატის-სოფელს: მაშინ მივიდა მათ თანა დესპანად მეფე, მეტყველი ესრეთ. ,,მოგითხრათ მეფე-მან სვიმონ, ვიკმაროთ სისხლი ესდენი, და ვყოთ ზავი ჩვენ შორის და ვიქმნე მორჩილ თქვენდა, რამეთუ უმჯობეს არს ჩემდა და თქვენდა-ცა:" განიხარა ფაშა-მან მან და აღუთქვა ზავი. ხოლო ამით განიმსტრო მეფე-მან და მას

ღამესა მოექცა სპითა ღამითვე მეფე სატის-ხოვლის მთიდამ და დილასა დაესხა ძლიერად, ხმლით და მოსწყვიტნა, და მცირედნი ივლტოდნენ, მოიქცა და მოვიდა ნაალაფევი ტფილისს: შემდგომად მოადგა დმანისს, რამეთუ ჯერეთ ეპყრათ ოსმალთავე, მცირედთა ხანთა აღიღო. იგიცა და დაიპყრნა ყოველნი ციხენი, თვინიერ გორისა და ლორესა. განასხნა ოსმალნი ქართლისა-გან და შემდგომად ამისა ვერღა-რა შესძლნეს და იკადნიერეს მოსლვა ოსმალთა: ჟამთა ამათ მოვიდა მანუჩარ ათაბაგი წინაშე სვიმონ მეფისა და წარიყვანა ცოლი თვისი ელენე ასული მეფისა სვიმონისა და წარვიდა სამცხეს: ხოლო იქმნა მშვიდობა, ვინადგან არღა-რა აქვნდა ოსმალთა-თანა ბრძოლა, და ზავ-ჰყო ალექსანდრეს კახ-ბატონის თანა, რამეთუ ძენი ამათნი იყვნენ მამიდა-შვილი, ბიძა-შვილნი და ჰყვარობდენ ესენი ურთიერთთა და ყიზილბაშთაცა შეიპყრეს შახ-ხუდაბანდა ქს. ჩფპგ, ქრ. სოდ. თათრულს ქორონიკონსა შჟე და დასვეს შაჰ-აბაზ ძე მისი წლისა ჱ: ამან დაიპყრა სპარსეთი, თვინიერ ბაღდადისა და ადრიბეჟანისა: ხოლო წელსა ქს. ჩფპზ, ქრ. სოე, მოვიდა შაჰ-აბაზ განჯას, აღაშენა განჯა, უკუნ-იქცა და წარვიდა: ამავ ქორონიკონს უშველა მეფე-მან სვიმონ მანუჩარს ათაბაგს ოსმალთა ზედა: არამედ ვინადგან აღეღოთ ოსმალთა მძევალნი მანუჩარისა-გან, არღა-რა აბრძოლეს მეფე ოსმალთა, გარნა ურჩნი მანუჩარისანი თემნი მოარბია მეფე-მან და წარმოვიდა და მოვიდა ქართლს: ამასვე ქორონიკონს ჩამოვიდა მანუჩარ ლტოლვილი და დაადგინა მეფე-მან ახალ-დაბას მტკვრისასა:

შემდგომად წელსა ქს. ჩფპჱ, ქრ. სოვ. შეკრებილი მივიდა სპითა მეფე სვიმონ სამცხეს, მოსრნა წინა-აღმდგომნი მანუჩარისანი და დასვა ათაბაგად, და თვით წარმოვიდა მეფე: ამ ჟამებთა, ვინადგან გარე-მტერთა არღა-რა აქვნდა ბრძოლა მეფესა, მოიკსენა შური გიორგი იმერთა მეფისა და ინება დაპყრობა იმერეთისა, რამეთუ ლევანს ვერა ეგდენად მორჩილებდეს: ამისთვის ეზრახა იმერთა და მოსცეს ვიეთთა პირი მტკიცე: მერმე შეკრებული სპითა შთავიდა იმერეთს: მაშინ ლევან შეიკრიბა სპანი და დასდგა გოფანთოს. არამედ არა ემწნენ დადიანი და გურიელი ლევანს. მივიდა სვიმონ მეფე და ეწყვნენ გოფანთოს ურთიერთს, ძლიერისა ბრძოლისა იძლია ლევან მეფე ქს. ჩფპჱ, ქრ. სოვ და ივლტოდა სიმაგრეთა: ხოლო სვიმონ მეფე-მან დაიპყრა იმერეთი და დამშვიდნა იგინი, უკმოიქცა. მძევლითურთ და მოვიდა ქართლს, რამეთუ ფიქრი აქვნდა გორის მეციხოვნეთა ოსმალთა-გან ქართლისა: ხოლო ლევან მოვიდა და კვალად დაიპყრა იმერეთი, და აღიხუნა ციხენი სვიმონის მილებულნი. არამედ შეიპყრა დადიანმან მეფე ლევან და დასვეს როსტომ. ამასაც წარუხვნა გურიელ-მან ქუთათისი და მისცა ბაგრატს: ესმა ესე სვიმონ მეფესა და შთავიდა სპითა იმერეთს, აღიხვნა ციხენი და გამოიყვანა ქუთათისიდამ ბაგრატ, და დაიპყრა იმერეთი. გამოუხვნა კვალად მძევალნი და მოვიდა ქართლსავე მეფე. არამედ კვალად შეწევნითა დადიანისათა დაიპყრა როსტომ კვალად იმერეთი და აღიღო ქუთათისი. მსმენელი სვიმონ მეფე წარვიდა კვალად სპითა დიდითა და დიდებითა და ჩარბაზნებითა

დიდ-დიდითა და აღკაზმულობითა ყოვლითა. მოასრულ-მან იმერეთს, აღიხვნა ციხენი, სკვერი,
სკანდა, კაცხი, კვარა: ხოლო როსტომ ვერ წინააღუდგა, ივლტოდა ოდიშს. მოადგა სვიმონ
მეფე ქუთათისს და აღიღო იგი: მერმე წარემართა ოდიშს, რათა შეიპყრას როსტომ და და
დასდგა ოფიშკვითს: მაშინ დადიანმან მოგზავნა წინაშე სვიმონ მეფისა, რათა ჰყოს ზავი მე-
ტყველმან. „მიეც როსტომს იმერეთი და დაგვიმონენ, ვითარცა შენნი ყოველთა. მორჩილებათა
131 შინა.“ არამედ მეფესა სვიმონს სპისა სიდიდისა-თვის იმერთა და ქართველთათა და განლაღებული
ძლევითა, განრისხნა მას ზედა და მიუმცნო: „მოვალ ბრძოლად და თუმცა ძალ-გიცს დამხჳდი, და
თუ მომცე როსტომ შეგუნ-ვიქცე და დ-ვიცვა ქვეყანა შენი უვნოდ.“ ამისი მსმენელი დადიანი
როსტომი-თურთ დილასა დაესხა სვიმონს მეფესა და იქმნა ბრძოლა ძლიერი: ჰსცნა სვიმონ მე-
ფე-მან ლტოლვა სპათა თვისთა და მოითხოვა შურდანი, რამეთუ ლტოლვისა ჟამსა შეჯდის
შურდანსა ზედა: ხოლო ჟამსა ძლევისასა ფალაფანსა ზედა, მაშინ ეტყოდა თურქისტანის შვილი
„მეფეო, არს თურე ჟამი ლტოლვისა.“ მივიდა თურქისტანის შვილი, ჰსცა ოროლი მკერდსა
და დასცა მიწასა, არამედ ივლტოდნენ მეფისა თანანი ქს. ჩფპ, ქრ. ხთრ: მოასრულს მეფეს კოლ-
ბეურს ეტყოდა დედა-კაცი. „აწ ფხიზელ არს მეფე, იახლოს ძე ჩემი.“ რამეთუ ჩავლო რა
მეფე-მან მას ჟამს უბრძანა: „მთრვალ ვარ კაცითა, არა მნებავს ძე შენი.“ შემნანე საქმეთა ამათ-
თვის, მოვიდა მეფე სვიმონ ქართლს: ხოლო კავთის-კევს მაშვრალსა განსვენებად დედა-კაცი
უმასპინძლებდა და ჰკითხვიდა მეფესა სპათა-თვის ქართლისათა, ქმარსა და შვილთა თვისთა-თვის,
რამეთუ არა უწყოდა მეფედ. ეტყოდა მეფე უცნობელობასა და მშვიდობით ყოფასა მეფისასა: ამის-
თვის დედა-კაცი იგი მადლობდა ღმერთსა. „ვინადგან ცოცხლებით არს მეფე იყავნ ყოველნი
სანაცვლოდ მისად (შემდგომად მეფე-მან აზნაურ-ჰყო იგი სიტყვისა ამის-თვის.) ამასვე ჟამსა
შემოიკრიბნა მეფე-მან დაშთომილნი სპანი ქართლისანი, რამეთუ ლორის-ციხიდამ გამოსრულ-
იყვნენ ოსმალნი, ვინადგან მეფესა ჰგონებდენ შორს და იხარებდნენ ტაშირსა შინა, უეცრად
დაესხა მათ სვიმონ მეფე და მოსწყვიტნა სრულიად, აღიღო ციხე ლორეც და დაიპყრა თვით,
მოვიდა ტფილისს და დაუზავა როსტომს იმერთა მეფესა, მისცნა მძევალნი იმერეთისანი და გა-
მოუხსნა, რომელნი დაშთნენ ბრძოლასა შინა მუნ წარჩინებულნი აზნაურნი და გლეხნი, ანუ მე-
ციხოვნენი: შემდგომად მოადგა სვიმონ მეფე გორს, და ჰკიდა რა გორის-ჯვარს შთანთქა თრიაქი
(ვითარ დაჩვეულ იყო ჰპატიმრობასა შინა), და სვა ღვინო, მოინება მწვანვილი მტილთა-გან, მე-
ტყველ-მან სპათა თვისთა. „არა არს თუ სირცხვილი თქვენდა, რამეთუ მნებავს მწვანვილი, ვხედავ
თვალითა და ვერ მივემთხვევი.“ ამისი მსმენელნი სპანი განვიდნენ გორს, რათა მოიღონ მწვანვი-
ლი, მოეტევნენ ციხიდამ ოსმალნი და იქმნა ბრძოლა და მოსწყდნენ მრავალნი. არამედ უფრო-
სად მოსრვიდიან თოფ-ზარბაზნითა ციხიდამ: მაშინ მოკლეს პაპის ძმის-წული მეფისა, სპასპეტი
მეწინავისა გოჩა (რამეთუ იყო ესე გოჩა ძე გიორგისა, გიორგი ძე კოსტანტინესი, კოსტანტინე
ძე ალექსანდრესი, ალექსანდრე ძე კოსტანტინე მეფისა და ამ გოჩათი. ეწოდათ ამა ძეთა გოჩა-

შვილად), მოართვეს მწვანვილი მეფესა და აუწყეს მოწყვეტა სპათა მისთვის (მიერით-გან უწო-დეს კელი სვიმონ მეფე. ხოლო მოჭმადიანნი უხმობდენ დელი სვიმონ):

შემდგომად წელთა რაოდენთამე მოადგა კვალად გორს და ბრძოდა ცხრა თთუე. მერმე აღიღო ციხე გორისა და განუტევნა ოსმალნი უვნოდ ქს. ჩფჟთ, ქრ. სპზ და განათავის-უფლნა ქართლი ოსმალთა-გან: არამედ მიესმა რა ესე ხონთქარსა წარმოავლინა ჯაფარ-ფაშა სპითა მრავლითა. ესე მოვიდა და დასდგა ნაჴიდურს. ხოლო სვიმონ მეფე სპითა თვისითა იდგა სადირაშენს: დაუტევა მეფე-მან სპანი მუნ და თვით წარვიდა გამსტრობად ოსმალთა ათორმე-ტითა კაცითა და მებუკითა: მასრული ნასიდურის-თავს მცირის ეკკლესიისა თანა განიხილვიდა ხვალისად დასისხმად მათ ზედა, თუ ვითარ განაგოს: ამის-თვის უბრძანა მებუკესა დაზახებად ბუ-კისა, რათა სცნას, თუ ვითარ უშიშრად სდგანან: მაშინ მსმენელნი ბუკისა ოსმალნი ჰგონებდენ მოსლვასა სპათასა და იწყეს აღკაზმად და სხდომად ცხენთა: ამისა მხილველი მეფე წარმოვიდა ფიცხელად, ხოლო ოსმალნი, მოჰყუნენ. არამედ მეფესა მოსრულსა ფარცხისს შთავარდა ცხენი ლიასა შინა, მიეტევნენ ურუმნი და შეიპყრეს მეფე სვიმონ ქს. ჩქ, ქრ. სპჱ, წარიყვანეს და მიგვარეს ფაშას: ხოლო იგი მსწრაფლ აღიყარა და წარვიდა, სცნა ესე ძე-მან მეფისა-მან გიორ-გი-მ წარმოუდგა ოსმალთა. არამედ ვერღარა ეწია რასა, უკმო-იქცა, მოვიდა ქართლს: ხოლო ოსმალთა აღიღეს ლორე და დაადგინნეს მას შინა მცველნი და თვით წარვიდნენ და მიიყვანეს სვიმონ მეფე სტანბოლს: მაშინ გიორგი-მ დაიპყრა თვინიერ ლორისა ყოველი ქართლი და ცი-ხენი მას შინა: შემდგომად წარავლინა სტამბოლს, რათა დაიხსნას მამა თვისი. არამედ ხონთქარი უთქმიდა სვიმონ მეფესა, რათა დაიდვას ხარკი და მორჩილ ექმნას, ამას პირსა ზედა განგიტეო: გარნა სვიმონ მეფე-მან არა ინება ხარკი ქართლისა. მერმე გიორგისა-გან მოითხოვეს სახსარი მეფისა. ხოლო გიორგი-მ წარავლინნა ყოველნი საჭურჭლენი და საგამურნი მამისა თვისისა და ეკკლესია მონასტერთანი და წარჩინებულთანი ქართველთანი, და ესენი მიიღეს რა სტამბოლს მომკვდარ იყო მეფე სვიმონ, მოსცეს მკუდარი და წარუხვნეს საგანძურნი ოსმალთა: გარნა ჭეო-უჭვრო სვიმონ მეფე-მან, რამეთუ დასდვა კომლს გლეხსა ზედა მარჩილი და ამით მოიყიდდა ოვს-თა, კავკასთა, ჩერქეზთა და წარუგზავნიდა ყეენსა. ხოლო დაუტევა მეფე-მან სვიმონ ძენი გიორ-გი და ვახტანგ. არამედ შემდგომად მოიღეს სვიმონ მეფე და დაფლეს მცხეთას:

## პ. მეფე გიორგი ი, ძე სვიმონ მეფისა, გ წელი ჰმეფა.

შემდგომად გარდაცვალებისა სვიმონ მეფისა ეკურთხა გიორგი ძე მისი ტფილისს მეფედ ქს. ჩქ, ქრ. სპჱ: შემდგომად შეიკრიბნა სპანი და მოადგა ლორეს, ქს. ჩქა, ქრ. სპთ, თათრულ-

სა ქორონიკონსა **ჩიბ**, აღიღო იგი და დაიპყრა თვისად: ამისა შემდგომად მოვიდა შაჰ-აბაზ და
მოადგა ერევანს ქს. ჩქბ, ქრ. ხჲ, და მოუწოდა მეფესა გიორგის და კახთა ბატონს ალექსან-
დრეს. ამათ შემოიკრიბნეს სპანი თვისნი და მივიდნენ ერევანს წინაშე ყეენისა. არამედ სამ-
კერძოდ მოადგა სპანი შაჰ-აბაზისანი ერევანს, და ერთ-კერძო დასდგნენ ესენი: შემდგომად რაოდ-
ენისამე დღისა ბრძანა შაჰ-აბაზ მიტევება ციხესა ზედა სპათა-გან: მაშინ საქართველოსანი
პირველ სპარსთა-გან შეუხდნენ ციხესა შინა, მოსწყვიტნეს და წარუხვნეს ქალაქნი, შემდგომად
შევიდნენ სპარსნი და დაიპყრა ციხე-ქალაქნი შაჰ-აბაზ. ამისა შემდგომად მოუთხრა შაჰ-აბაზ გიორ-
გი მეფესა. „რამეთუ მტერ-თუ იყო ჩემი ხონთქარი, არამედ უფროს-ღა შენი (1), აწ ვინადგან
გსძლეთ ძალითა ჩემითა, ჯერ-არს, რათა მომცე ჯილდოდ ლორე ბერდუჯის მდინარით:“ შეუძნ-
და ესე ფრიად მეფესა და მიუგო. „ველოდი ჯილდოდ შენ-გან სხვასაცა ქალაქსა სამსახურისა-
132 თვის მამისა ჩემისა და ჩემისა, და არა მიხმასა საზღვართა ჩემთასა:“ არამედ ვინად-გან იყო შაჰ-
აბაზ მცბიერი და სწადდა დამცირება ქართლისა. და კვალად ერის-თავი ლორისა ლტოლვილი გა-
მახმადიანებული აზრახებდა შაჰ-აბაზს მოკლებად მის-გან ძალსა დიდსა ქართლისასა, ამის-თვის
უფროს აიძულებდა, რათა მისცეს ლორე და გამოსავალისა-თვის ბერდუჯის მდინარისა, მოსცა
ფუშტუკუნი და ხუინი და სამასი თუმანი ლაიჯანს ყოველს წელს: ამით უღონო ქმნილ-მან
მეფე-მან გიორგი-მ მისცა ლორე, მერმე აიღო შაჰ-აბაზ მრავალნი (იტყვიან მოართვეს რა მე-
ფესა ხალათი ყეენისა, არა აღიხადა სამოსელი თვისი. არამედ მას ზედ შთაიცვა; ეტყოდნენ წარ-
ჩინებულნი მეფესა: „უკადრო არს ყეენის ეგე და მწყენარ იქმნების:“ ხოლო მეფე მიუგებდა. „თქვენ
არა იცით არცა ერთი, უკეთუ ვყო ეგრეთ, მერმე მითხრას სხვაცა ნებისა თვისისა ყოფად, და აწ
ამის-თვის ესრეთ უმჯობეს არს) და წარმოავლინა ქართლს: და ესე მისაგებელი მოაგო შაჰ-
აბაზ გიორგი მეფესა ერთ-გულებისა-თვის მამისა თვისისა და თვისისა-თვის. კვალად ჟამსა ამის-
სა იქმნა შფოთი ძეთა შორის კახ-ბატონის ალექსანდრესთა, რაჟამს ისტუმრნა გიორგი მეფე-
მან. რამეთუ ბიძის ძენი იყვნენ ძენი ალექსანდრესნი გიორგისა. შემდგომად ამისა მცირეს ჟამს
გარდაიცვალა მეფე გიორგი ქს. ჩქგ, ქრ. ხჲა, მოიღეს და დაფლეს მცხეთას:

## პა. მეფე ლუარსაბ ა, ძე გიორგი მეფისა, იბ წელი ჰმეფა.

ხოლო გიორგი მეფისა შემდგომად გამეფდა ძე მისი ლუარსაბ და ეკურთხა მცხეთას და
დაიპყრა ქართლი. არამედ იყო მაშინ ქართლი და მეფე საგანძურთა-გან ფრიად ნაკლულევან, ვინად-

(1) ნამდვილში წერია შენი და მერმე ბოლოს ი წაშლილია. შენ უმჯობესია.

გან მიეცათ ყოველი სახსრად სვიმონ მეფისა-თვის. არამედ აქუნდა მეფესა ჟამი მშვიდობისა, რამეთუ გახსი მოუვსობდეს და ყეენი უცალო და მწყალობელი იყო და სონქარიცა ეგრეთვე უცალოებდა: ამისა შემდგომად სთხოვა შაჰ-აბაზ მეფესა ლუარსაბს დაჲ თვისი ცოლად თინათინ: ამან მისცა და წარიყვანეს დიდითა დიდებითა და ნიჭითა: არამედ ამ ჟამებთა შინა განმკვიდრებულ იყუნეს მთავარნი და დაეპყრათ კევსი და კეობანი თვისად და უმეტეს ყოველთა სააკაძე გიორგი, მოურავი ტფილისისა, ქცრხინვალისა და დვალეთისა: ხოლო იდგა-რა მეფე ლუარსაბ ქცხინვალს, რამეთუ ჟამად მოვლიდიან თვისთა ქვეყანათა ყოველთა: განა ესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი, უშიში, მცბიერი, მჩურჩნელი და უნდო (1): ესე მარადღე თვითოეულთა კაცთა ფჳურჩნვიდა და არა დასცხრებოდა: იხილა ესე მეფე-მან და აუწყა მოურავსა: „რაჲ არს რომელ არა დასცხრები ფჳურჩვნად, ანუ რა გნებავს ყოფად:“ ამისთჳს ჰკედრა მოურავი მროველს დომენტის: „რამეთუ მეტყვიან სიკვდილსა მეფისა-გან, და არარა უწყი (2) მიზეზი შეცოდებისა მონებისა-გან კიდე:“ ესე ყოველი მროველ-მან ჰკადრა მეფესა. არამედ მეფე ამისი უცნობელი განჰკვირდა და ამცნო მროველსა გულ-დებულ-ყოფა მოურავისა, რამეთუ არა რაი არს მანკიერება მეფესა შინა შენთვის, გარნა ჰკითხოს ვინ უთხრა იგი: ხოლო მოურავ-მან არა სთქვა მთქმელი, რამეთუ ფუცებულ ვარ მათ მიერ და უბნობასა ამას შინა მოართვეს მეფესა ამბავი, ვითარმედ მოვიდნეს სპანი დიდნი თათარხანთა თრიალეთსა ზედა (მას ჟამს ალელო ხონთქარსა (3) ბაღდადი და უჯუნქციულისა-თვის. ეთხოვათ ნება წარსლვად გზასა ზედა ქართლისასა. ვინად-გან ეთქვა ვისმე მათ-თვის გზის მოკლობა: და ალავერდ-ტყვეთა სიმრავლენი). მასვე ჟამსა დაუტევეს ზრახვა იგი და წარავლინა მეფე-მან იარალი, რათა შეჰკრას გზანი და მსწრაფლ აცნობოს მეფესა, და თვით მეფე მოვიდა ცხირეთს: მისრული იარალი, ჩამხერგველი გზისა განისვენებდა და მძინარეს დაესხნეს თათარხანნი და მოსწყვიტეს იარალითურთ ყოველნი, რამეთუ ვერ განერა ერთიცა: მერმე მოვიდნეს და დასწვეს მანგლისი და კველთა, შეიპყრეს კველთას მღვდელი ერთი და სცემდნენ ლახტითა, რათა აუწყოს, სად არს მეფე: ხოლო მღუდელი იტყოდა: „არ ნაცვალი ვყო საწუთრო ესე წარუვალსა მას, და არა ვიქმნე გამცემელ მეფისა და ქვეყნისა:“ წარმოუძღვა მღუდელი იგი გოსტიბის თავსა ზედა და ჩამოიყვანნა ქვენადრის გზასა, სჭცნეს თათარხანთა, რამეთუ აცდუნებდათ მღუდელი, ამისთჳს მოჰკვეთეს თავი და შეირაცხა წმიდათა თანა: შთამოსრულთა თათართა მოიცვეს ერთა-წმინდა და ახალ-ქალაქი, და მეფე სწვრეტდა ცხირეთიდამ: მეფიდამ წარვიდა მოურავი და ციცი-შვილი ზაზა. ამათ შემოიკრიბნეს გარემონი და

(1) ვინად-გან იყო დიდებით-მოყვარე და არა თქვა მოქმედი მოურავ-მან, [illegible]

(2) [illegible]

(3) [illegible] 1590 წელს. [illegible] 604. [illegible]

მცნობელნი ამისნი ბარათიანნიცა მოვიდნენ მეფისა თანა. ხოლო მოურავი ჩავიდა ნიაბის ბოლოს
სხერტის ჭალასა შინა, ეკვეთა თათართა და მოსწყვიტნა სიმრავლით: მაშინ ზაზამ მოჰკლა ფა-
შა და თავის ჭურასა შინა მოერტყუნენ თათარხანნი, იპყრა ზაზამ კბილით წვერი თავისა მის, შეჰჯდა
ცხენსა და გამოვლო ბრძოლით თათარხანნი: მოვიდნენ წინაშე მეფისა, მოართვეს თავნი და ალაფ-
ნი მათნი: ხოლო მეფე-მან შემოიკრიბნა სპანი ქართლისანი და წარმოუდგა თათარ-ხანთა. არამედ
თათარ-ხანნი მიმავალნი დოესის მინდორსა შინა, იხილა ტენტერა-მან გორელ-მან, მსწრაფლ უკუნ-
იქცა და აჰყარა ხიდი გორისა: რა იხილეს თათარ-ხანთა ხიდი აყრილი, შევლეს სატციციანოსა
ზედა და სადა ვინ მოახელეს მოსწყვიტეს, ტყვე-ჰყვეს და მოაოხრეს და მივიდნენ ბრბონას.
მუნ დაარღვივნეს სახლნი და განსდვეს ხიდი მტკვარსა ზედა, განვიდნენ და დასდგეს ტაშის-კა-
რის ბოლოს. და მეფეცა მივიდა ახალ-დაბას სპითა და არღა-რა იყო მუნ ხიდი, რამეთუ მტკვა-
რი განდიდებულ იყო თთუჱსა ივნისსა. ამისთა მხილველთა შეავედრნეს თავნი ღმერთსა მეფე-მან
სპითურთ და გავიდნენ ცხენის ცურვით უვნებელად ყოველნი. ჩავლეს კიდე მტკვრისა ფარულად
და მივიდნენ სურამის-ბოლოს, მუნ შემოეყარნენ სრულიად ქართველნი მტკვრის ჩრდილოეთისანი.
მაშინ განზრახვითა მოურავისათა შემოუსხნეს მეთოფენი თხრილსა და თვით ცხენოსანნი მი-
ვიდნენ განთიად მინდორსა ზედა, ეკვეთნეს ფიცხლად და იქმნა ბრძოლა ძლიერი ქს. ჩქთ, ქრ:
ხყზ: ამ ომსა შინა ფრიად მხნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი. მოსცა ღმერთ-
მან ძლევა და მოსწყვიტნეს ურიცხვნი და ივლტოდნენ თათარ-ხანნი, რამეთუ მოსაკიდელთა დე-
133 დანიცა მესამეს დღემდე გამოიყვანდნენ ტყიდა-მ თათარ-ხანთა, განაშიშვლიან და განუტევიან. ხო-
ლო მეფე-მან აღიღო ივარი მათი და მოიქცა და თავნი მათნი წარუვლინა ყეენსა შაჰ-აბაზს,
მან წარმოუვლინა ნიჭნი დიდნი:

ხოლო შემოქცეული მეფე ისტუმრა მოურავ-მან, რომელი აქუნდა მანკიერება გულსა წინა-
თქმულთა-თვის და ჰყვა დაჲ შვენიერი და კეკლუცი, იტყოდა. „ვაჩვენო მეფესა და უკეთუ მე-
სიძოს, რა იგი მნებავს ვყოფ, და უკეთუ არა ვსცნობ, რამეთუ მართალ არს თქმულნი იგი წინანი:“
და განცხრომასა და ნადიმსა შინა ჰყო დაჲ თჳსი მეწდედ მეფისა. არამედ ვინაჲ-გან იყო მეფე
ჭაბუკი, აღეტყინა ტრფიალებითა და მეორესავე დღესა მოითხოვა ცოლად. ესე მოურავ-მან უარ-
თქვა მცბიერობითა, „რამეთუ დიდებულთა ცოლნი არა თავს-იდებენ და სათნო იყოფენ დასა ჩემსა
დედოფლად და შემასმენელნი წინაშე შენსა მოსპოლვად.“ მერმე კვალად ევედრა მოურავი დედასა
მეფისასა დედოფალსა მარიამს ასულსა ლიპარიტიანისასა. არამედ მეფე-მან არა ისმინა და ჰქმნა
ქორწილი: ხოლო შემდგომად რაოდენთამე თთუჱთა არა თავს-იდებდეს მტერნი მოურავისანი
წარჩინებულნი და უმეტეს შადიმან ბარათა-შვილი, მამა-მძუძე მეფისა, ეტყოდნენ მეფესა განტე-
ვებასა ცოლისასა და მოსრვასა მოურავისასა: ამისი არა მნებებელი მეფე ჩამოიყოლიეს, და
მოუწოდა მოურავსა, რეცა ნადირობად ყარაიისად წავკისს მდგარ-მან მეფე-მან და მოვიდა მო-
ურავი, მასვე ღამესა სწადდათ შეპყრობა მისი: ესე ესმა გახა-ბერს ხერხეულიძეს ფარეშთ-უხუცესსა

მეფისასა და წამსავე მან აუწყა მოურავსა: მსმენელი მოურავი მყის შეჯდა ჩულიანსა ცხენსა ზედა და ივლტოდა ფიცხად, და მოვიდა ნოსტეს, აჰყარა დედა-წულნი თვისნი და შევიდა მთასა შინა: მასვე ჟამსა მოუხდნენ სჳანი მეფისანი და დასწვეს ნოსტევი და ეძიებდენ მოურავსა და შეუკრნეს გზანი ყოველნი. არამედ მოურავ-მან განვლო ღამით ფოსნი მცხეთისა მალვით და მივიდა დუშეთს ნუგზარისა-თანა, რამეთუ ასული ნუგზარისა ჰყვანდა ცოლად მოურავსა (ხოლო ესე ნუგზარ იყო ერის-თავი არაგვისა, რამეთუ პაპა ამისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სვიმონისასა უკუდგა ვანათის ციხის მპყრობელი და მან ბრძანებითა მეფისათა და შეტყუვებითა აღიღო ციხე იგი, და მეფე-მან მიანიჭნა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შეიპყრეს ყიზილბაშთა მეფე სვიმონ, ამანვე მოიმწო ქსნის-ერისთავი, დაესხა და მოსწყვიტა თუქთურმანიძე და ჭარმეული და დაიპყრა ბაზალეთი, მოკუდა იგი და ხარჭისა ნაშობ-მან ძე-მან მის-მან მოსრნა ძმანი თვისნი ყოველნი, და ესე ნუგზარ ძმის-წული ამისი წარიტაცეს ყრმა: შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ კაცნი და მოჰკლეს იგი და დაიპყრნა ნუგზარ ბაზალეთი, მერმე დაიმორჩილა მთიულეთი. ხოლო მოვიდა რა სვიმონ მისცა პაპასავე ნუგზარისასა მსახურებისა-თვის მისისა და იყვნენ ამ ჟამამდე ერისთავად): ამას ნუგზარს განუზრახა მოურავ-მან წარსლვა წინაშე ყეენისა, ვინად-გან მუნ ვერ დაუდგმიდნენ მეფესა: ამისთა დამსგუნელთა წარვიდენცა და მისრულთა აღკაზმულად დაუტევა მოურავმან ცოლი შვილი და თჳთ მივიდნენ წინაშე შაჰ-აბაზისა: მან პატივით შეიწყნარა და ანიჭნა ბოძნი დიდნი და მიერით-გან აზრახებდა ყეენსა მოურავი დაპყრობად ქართლისად. არამედ მას, ვინად-გან გულად ედვა დაპყრობა და გამაჰმადიანება ქართლისა, გამოუტევა ნუგზარ ნიჭითა და მოურავი დაიპყრა მუნ ჟამადმდე: ხოლო ყეენადმე მოსრულ-მან ბატონ-მან თეიმურაზ კახთა-მან მოითხოვა და ლუარსაბ მეფისა ხვარაშან ცოლად. ესე არა ინება მეფე-მან ნათესაობისა-თჳს. არამედ იძულებითა შაჰ-აბაზისათა მისცა და ქმნეს ქორწილი დიდებული. გარნა ამ ქორწინებისა ჟამსა შინა მოუწერა შაჰ-აბაზ ყაზახის ხანსა:„ შემოიკრიბნე გარემონი ყოველნი და დაესხი მეფესა ლუარსაბს, მოჰკალ იგი და თავი წარმომიგზავნე წინაშე ჩემსა:“ ეგრეთვე მოუწერა მეფესა: მაშინ მეფე-მან მსწრაფლ შემოიკრიბნა სპანი და მიუხდა ხანსა მას და მოჰკლა იგი და თავი წარუგზავნა შაჰაბაზ. ამის ჯილდოდ წარმოუვლინა შაჰ-ბაზ მეფესა ნიჭი დიდი, ესე ჰყო რათა სცნას ძალი მეფისა, თუ ევნოს ხრიკით და მიზეზ ჰყოს:

არამედ ამისა შემდგომად მოვიდა განჯას უგრძნეულად შაჰ-აბაზ შესლვად კახეთს, რამეთუ ეახლა მოურავი და აუწყა ყეენისა-თჳს შესლვად ქართლს, უმჯობეს არს ზამთარს, ვინად-გან ვერ წავლენ ხიზანნი მთათა შინა და ჴელთ-იგდებ ყოველთა: მაშინ ეზრახა ბატონი თეიმურაზ მეფესა ლუარსაბს ერთობასა და მეფე ვერ მნდობი ყეენისა წინა-თქმულთა-თჳს დაჰყვა ნებასა და ჰქმნეს პირი მტკიცე. არამედ განიპარნენ ნუგზარ და იესე ერისთავნი, ამილახორი ანდუყაფარ, ფეშანგი ფალავანდის-შვილი, ალათანგი ხერხეულიძე და მივიდნენ განჯას წინაშე ყეენისა: მერმე მოვიდა თეიმურაზ მუხრანს ლუარსაბისა თანა. ხოლო შაჰ-აბაზ მოვიდა კახეთიდა-მ ქართლს,

ლამოდენ მეფენი ბრძოლასა, არამედ ქართველ-კახთა არა ინებეს წინა-თქმულთა და დიდთა სპათა-თჳს შაჰ-აბაზისათა და წარვიდენ მეფენი იმერეთს ქს. ჩქიე, ქრ. ტბ, თათრულს ჩკდ: მოეგება მეფე იმერთა გიორგი და ასტუმრნა კეთილად: ხოლო შაჰ-აბაზ მოვიდა გორს და ეზრახა გიორგი მეფესა, რათა მოსცეს მეფენი და მან აღავსოს ნიჭითა და საგანძურითა: ამას ზედა წარმოუვლინა გიორგი მეფე-მან კათალიკოზი მალაქია და აბაშიძე ლევან ძღუნითა, მეტყუელ-მან: „გევედრებით, რათა პატივ-სცე და მისცე მეფეთა სამეფონი თჳსნი და იმსახურნე მათ, ვითარცა პირველ მამათა შენთა და თქვენ წარხვიდეთ." იხილა ესე შაჰ-აბაზ, რამეთუ მალიად არცა-რა ეგების მოგვნა მათი, აწ იხმია ხუანჯი და მცბიერობა, მოიხმო შადიმან გამზრდელი ლუარსაბ მეფისა და ეტყოდა მას: „ვითარმე უბრალებელს ვყოფ სვიმონ მეფის შვილის შვილსა და გიორგის მეფისა ძესა. გარნა უწყე, რამეთუ მომიღონ თეიმურაზ და აწ უწყოდე შენ მტკიცედ, უკეთუ მოვიდეს ჩემთანა მიუსცნე თვისნი ყოველნი და უმეტესნი სხვანიცა:" ტირილით შეჰფიცა და სარწმუნო ჰყო შადი-მან. ხოლო კათალიკოზსა და ლევანს მიანიჭნა მრავალნი და მიუმცნო გიორგი მეფესა: „არს მტერი ჩემი ძველადვე თეიმურაზ და მას ვერ მივანდობ. არამედ უკეთუ მო-
134 ვალს ლუარსაბ მეფე მივანიჭებ ყოველსავე მსახურებისათჳს მამა-პაპათა მისთა:" და წარავლინა ესენი და წარუვლინა კრმალი მოოჭვილი მეფესა ლუარსაბს საჭურისითა თჳსისათა და წიგნი დისა ლუარსაბისა მოსლვისა-თჳს, რათა არა რაჲ აქუნდეს შიში: მაშინ მისრულ-მან წინაშე მეფისა შადიმან სარწმუნო ჰყო უეენისა-გან ლუარსაბ მეფე და ალეკაზმაცა მეფე წარმოსლვად: ამას უშლიდენ მეფენი და წარჩინებულნი იმერნი წარსლვასა და არა უსმინა მეტყუელ-მან: „უკეთუ არა წარვიდე ამიერის ქვეყანათა და მოაოხრებს, რა მადლი არს ჩემდა:" ესმა რა შაჰ-აბაზს მოსლვა ლუარსაბისა შუკდა და გამოვიდი ნადირობად, მჩვენებელი სპათა თჳსთა და მეფისა, ვითარცა მამკებელი. გარნა რა იხილა ლუარსაბ შაჰ-აბაზ იწყო ტირილი მეტყუელ-მან. „ვითარ გიყოფ ბოროტსა ახოვანსა და შვენიერსა, ერთ-გულთა ჩემთა ძესა." სცა პატივი სწორ თჳსად, და შემდგომად წარმოვიდა ტფილისს, ეტყოდა მეფესა მუნ დატევებასა. არამედ ტფილისს ჰრქუა: „წარვიდეთ ნადირობად ყარააისად." წარვიდა. და წარიყვანა მეფე: მაშინ კალის ციხესა შინა დაუტევნა სპანი მრავლად ციხისა ციხის-თავით-ურთ, რომელსა აწ უწოდდენ ქუთვალს და მიმბაშსა და დაიპყრა თჳსად: ხოლო მისრულთა ყარააის ინადირეს და სწვრეტდა არამი (1) უეენისა: მას დღეს მოკლა მეფე-მან იგ: ამას განჰკვირდა შაჰ-აბაზ და აღეგზნა შურითა რამეთუ მტერ-იყო ყოველთა ახოვანთა. არამედ მოუმცნო და-მან თჳს-მან თინათინ, ცოლ-მან უეენისა-მან, რათა არა აჩვენოს მხნედ ახოვნად, გარნა არა ისმინა მეფე-მან მეტყუელ-მან. „უწყი, რამეთუ არღა-რა განმიტევებს, ამის-თჳს უმჯობეს არს სიკეთისა ჩვენება, ვიდრე სიავისა:" გარნა შაჰ-აბაზ ლიქნიდა ტკბილად, რათა არა განევლტოს მეფე და მუნ ეტყოდა: ვინად-გან „ხარ რაინდი და უცხური

---

(1) ცოლნი და ქალნი ანუ დედა-წულნი:

მოისრა, ვინადაროთ ყარაბაღიდა:" ხოლო ყარაბაღს ეტყოდა ნადირობასა მაზანდარანისასა და მიი-ყვანა მაზანდარანს და მუნ აიძულებდა უარის-ყოფად ქრისტესსა: ხოლო მეფე-მან არა ინება შემდგომად მრავლითა ლიქნითა და შანებითაცა უთქმიდა, არამედ მეფე დაადგა სიმტკიცესა ზედა. მის-თჳს პატიმარ-ჰყო მეფე: მაშინ ეზიარა პატიოსანსა სისხლსა და ჴორცსა უფლისასა და ატირნა მთავარნი თჳსნი წესითა ქართულითა, ვითარცა მკვდარსა ზედა და მეფე შესხმისა წილ იტყოდა: „აგრე ჩემ-მან (sic) სულ-მან:" შემდგომად წარავლინა შაჰ-აბაზ მეფე გულაბ-ყალას შირაზს და პატიმარ-ჰყო მუნ, მერმე კვალად არა დასცხრა მძვინვარებად, წარავლინა შაჰბაზ და მოაშთვეს მუნ ციხესა შინა მეფე ლუარსაბ მშვიდობის საბლითა ქს. ჩქკბ, ქრ. ტი, და შეირაცხა წმიდათა მოწამეთა თანა და აწცა არს წმიდა გუამი მისი მუნ: ხოლო შექცევასა შაჰ-აბაზისასა ქართლიდამ დაშთა უმეფოდ ქართლი, რამეთუ არა დაშთა ძმა ანუ ძე ლუარსაბ მეფესა და იყოფოდნენ მთავარნი თჳს-თჳსად და განიმგებლობდნენ თჳსთა კერძოთა. მერმე რა დაიპყრა კახეთი კვალად ბატონ-მა თეიმურაზ, ესე ესმა შაჰ-აბაზს, განძვინდა და მოვიდა კახეთს და მუნიდამ ტფილისს ქს. ჩქკვ, ქრ, ტიდ, თათრულს ქორონიკონს ჩკდ,

## ჰბ მეფე ბაგრატ ვ, გ წელი ჰმეფა.

მაშინ ტფილისს დასვა მეფედ ქართლისად ბაგრატ ძე დაუთხანისა, ნაშობი კახთ-ბატონის ნათესავისა და თჳთ უკუნ-იქცა შაჰბაზ, აჰყარა კახეთი და მივიდა ისპაანს: ხოლო ესე ბაგრატ იყო ფრიად მოჰმედიან და არა რა კეთილი იყო მის-თანა: სძულობდენ ქართველნი და იყო საბარათიანოს და უხმობდენ საბარათიანოს ბატონსა, არცა-ღა-თუ ეგდენ ერჩდენ და მორჩილებდენ, შემდგომად ბოლნის ყოფასა შინა მოკუდა ბაგრატ, ქს. ჩქით, ქრ. ტზ: ხოლო ცოლი მისი ანნა ძით სვიმონით იყოფოდნენ ტფილისს და სომხითს და არცა მას მორჩილებდენ ქართველნი ეგ-დერსად: ვითარცა მოსწყვიტა ბარათამ სახლეულნი თჳსნი და ყაფლან ძმის-წული მისი ივლტოდა და მივიდა წინაშე შაჰ-აბაზისა. ამის-თჳს წარმოგზავნა შაჰ-აბაზ სპანი და მოეწივნენ ბარათას ფარავანსა ზედა და მოკლეს იგი:

კვალად ამ წინა-ყამებთა მომკუდარ იყო ნუგზარ და დასჯდა ძე მისი პაატა ერის-თავად. ამას არა მორჩილ ექმნა ძმა თჳსი ზურაბ, განაძო იგი და წარვიდა ცოლით წინაშე შაჰ-აბაზისა: მან კეთილად შეიწყნარა შუა-მდგომელობითა მოურავისათა, რამეთუ იყო აღზრდილი მოურავისა. შემდგომად მისცა ნიჭი შაჰ-აბაზ და ერისთაობა და გამოუტევა ზურაბ და დაშთა ცოლი მუნ:

მოსრულ-მან ზურაბ ძალითა ყეენისათა და სვიმონის მწყობითა დაიპყრა ბაზალეთი და განაძო ბაადურ ძმა თჳსი და მივიდა სახინოს ბაადურ. ხოლო ზურაბ მოიმწყო სპასპეტი საბარათიანოსი ბარათა ბარათაშვილი და დაუწყო კირთება მთიულ-მოხევეთა და დაიპყრა იგინი და განძლიერდა ფრიად (რამეთუ იყუნეს სახასონი მეფისანი და აქამომდე არა ეპყრათ კაცი ამათ, არამედ მთიულნი ერნეს მცირედ). ხოლო სასისოს-მეფოებსა ცოლსა ბაადურისასა ეტრფიალა საზვერელი ნიჟარაძე და ცოლისავე მისისა ნებით მოჰკლა ბაადურ და შეირთო მან ცოლად: შეიტყო-მან ესმის-მან ზურაბ წარვიდა ფერსათის-მთა, არამედ მას ღამესა იხილა სიზმარი ცოლ-მან ბაადურისა-მან. „რამეთუ მოჰკლეს საზვერელი და ტყვე ჰყვეს იგი." უთხრა ესე ყოველი საზვერელსა, ხოლო მან არა ისმინა და ქალი იგი შევიდა ციხესა და განემაგრა: დილას დაესხა ზურაბ, მოჰკლა საზვერელი, მოჰკვეთა თავი და წარმოვიდა. გარნა ციხესა ვერ აიღო და მოვიდა გამარჯვებული: იხილა ესე სვიმონ, ძე-მან ბაგრატისა-მან, რამეთუ შიიღეს მიაგარია თჳს-თჳსნი გლეხნი და არა-რასა მორჩილებდნენ, წარვიდა წინაშე ყეენისა: ამისი მხილველი ზურაბ ერისთავიცა წარვიდა წინაშე ყეენისა, რათა არა შესმენილ იქმნეს: ხოლო ყეენ-მან განიგონა საქმე ესე და შეუძლო განდგომილებისა-თჳს ქართლისა, მოუწოდა მოურავს და ზურაბს, გინა-გან მოურავი სახელოვანი იქმნა მის წინაშე ბრძოლათა შინა და ამხვა ბაღდადს და ყანდაარს, ამის-თჳს წყალობი-და და ისმენდა: ამათ წარმოატანა ყარჩიხან სპითა დიდითა და ამცნო, რათა მოსწყვიდონ კახეთი და აჴსარონ ქართლი და წარუგზავნონ მას: ჰგალად წარმოატანა სვიმონსცა ძე ბაგრატისა მეფედ ქართლისად, რათა ვერა ჰსცნან საქმე იგი ქართველთა და მისცა სვიმონს ას-ული ყორჩიბაშისა ყანბანუმ ცოლად. ესენი რა მოვიდნენ აღუშინდაო ქართველთა სპათა ნიდიდე. არამედ მოურავ-მან და ზურაბ ივიცით არწმუნეს, რამეთუ მოგცათ ყეენ-მან სვიმონ მეფედ და ამის-გამო მიენდვნენ სრულიად ყოველნი ქართველნი:

## ჰგ მეფე სვიმონ ბ, ს წელი იმეფა.

მერმე მოვიდნენ ტფილისს და დაუტევეს მუნ სვიმონ მეფედ და თვით სპითა წარვიდნენ, და დასდგნენ მუხრანს, მუნ მოუწოდეს კახთა და უყვეს რა იგი აღგწერეთ და მტდელობდნენ აღ-ჴრასა ქართლისასაცა. არამედ მოურავ-მან მოსადირე-მან ლოჭინისა კევსა შინა, იხილა შიგრიკე
135 ერთი მომავალი. შეიპყრა იგი და იხილა წიგნი, რომელსა შინა ეწერა ყარჩის ხანისა-თანა შაჰ-აბაზის მიერ:,, რათა მოსწყვიტნო კახნი და აჴსარო ქართლი, მოჰკვეთე თავი მოურავსაცა და წარ-მოგზავნე წინაშე ჩემსა:" განცვიფრებულ-მან ამის-თჳს მოურავ-მან მოჰკლა შიგრიკე და დამალა

შუნავე და მოვიდა ზურაბ ერისთავისა-თანა ფარულად, ეზრახა მოწყვეტასა ყიზილბაშთასა და აუყრელობასა ქართლისასა. არამედ ზურაბ მოიყვანა-ქმნა ცოლი, რომელი ჰყვა ისპაჰნს და მოურავს ძე პაატა: ხოლო მოურავ-მან აღუთქვა შერთვად ასული ბატონის-შვილისა დისა ბაგრატისა, და მრავლითა ღვთისა ფიცითა დაიცულია და ზურაბ დასთმო ცოლი და მოურავ-მან შვილი და დაასკვნეს ღალატი ყიზილბაშთა: შემდგომ მოვიდა მოურავი და აცნობა ყარჩი-ხანს, რათა მოუწოდონ ქართველთა და აღასრულონ ბრძანებული. ამის-თჳს ნება-სცა ყარჩი-ხან და მოწოდებითა შემოკრბნენ ქართველნი: ხოლო შემოკრებულთა წარჩინებულთა ეტყოდა ზურაბ და აუწყა დაგედრებული ყაე-ნისა, რათა არა ჰყონ ესე და არა მოაოხრონ ქართლი და მიჰყუნენ ნებასა მისსა: მაშინ მათ ყო-ველთა ფიცით აღუთქვეს. რა იგი მათ უთხრან იგიცა ჰყონ ყოველთა. არამედ ანდუყაფარ ამილახვარისა ვერ განსცდეს ესე, რამეთუ ჰყვა ცოლად სვიმონ მეფის ცოლის და-ი, ასული ყარჩი-ხანისა, მოსათუხსავე ყაენისა და იყო ანდუყაფარ გამოჭმნილ-ისებულცა: ამის-თჳს შეიპყრეს იგი სავერცხლის ჭალასა შინა და ცოლიცა მისი წარიყვანეს და პატიმარ-ჰყვეს არაგვს ციხესა შინა: დილას დაესხნეს ყარჩი-ხანს ქართველნი ზურაბით. ხოლო ყიზილბაშთა შინა მყოფი მოურავი შეუხდა ყარჩი-ხანს და მოჰკლა და შვილ-მან მის-მან ზურაბ შვილი ყარჩი-ხანისა და მოსწყვიტე-ნეს ყიზილბაშნი, ვითარ მეტრეულნიდა გარდაისცვეწნეს ქს. ჩქაჰ, ქრ. ტია, თათრულის ჩლდ: და აღიღნეს იავარითა და ალაფითა მათითა (გარნა თუცა არა ექნლვა მოურავს წიგნი იგი შაჰ-აბასისა ფერიადმან იყო ქართლი. გარნა ისინა ღმერთი-მან ერი თჳსი ჰსწყო):

დღესა მასვე სიტყვითა მოურავისათა წარვიდეს სპანი ქართლისანი ერთი ახალ-ციხეს, მეორე ზურაბით კახეთს და მოურავი მიუხდა ტფილისს, აღიღო ქალაქი, ხოლო ციხესა ვერ ავნო. ეგრეთვე ჰყვეს ახალ-ციხესაც. არამედ კახეთს იდგნოდა ფეიქარ-ხან, რომლისაცა ესვა ცოლის წაგვრა ლელა-ბატონის შჳლისა და მოვიდა მას ზურაბისა-თანა მოურავიცა და მიჰყუნენ ფეიქარ-ხანს ბარდავს, და მას ყურსა-რა ეწვივნე, შეპყრობა, მოარბიეს განჯა, ყარაბაღი და მოვიდნენ ალაფითა სავსენი ქართლს: მაშინ დაადგინეს განმგებელად ქართლისად ქაიხოსრო ძე მუხრანისა ბატონისა ვახტანგისა. არამედ უწოდეს სახელით იდეს, გარნა იყო მოურავი მოქმედი ყოველისა და მორჩილებდნენ მას ყოველნი ყმურად: ხოლო ამათ მოუწოდეს ბატონს თეიმურაზს და დაიპყრა მან კახეთი და მოსცა ასული თჳსი დარეჯან ზურაბ ერის-თავსა სათნო-ჩენითა მოურავისათა:

მიესმა ესე ყოველი შაჰ-აბასს მოსრვა სპათა თჳსთა და დაპყრობა კახეთისა თეიმურაზისა-გან, განრისხებულ-მან წარმოავლინა ისა-ხან ყორჩიბაში სპითა დიდითა: ესე მოვიდა და დაიბანაკა ალგეთისა პირსა: მაშინ შეერთებისა-თჳს გასთა მოიყვანეს ბატონი თეიმურაზ კახთა სპითა, შე-კრბნეს და დადგნეს კოჯრისა პირსა. მოვიდა ათაბაგი მანუჩარ ლტოლვილი საბასითა კაცითა. ხოლო სპასპეტსა საბარათიანოსასა ბარათა ბარათა-შჳლს ეშინოდა განსცოლდგად ბარათიანოსით. ამის-თჳს განწყრასვითა მისითა განთიად კოჯრიდა-მ დაესხნეს ყორჩიბაშს და იქმნა ბრძოლა ძლიერი

და მოსწყდა სიმრავლე ორგნითვე ქს. ჩხკდ, ქრ. ტიბ, თათრულს ჩლდ, ივნისსა შინა და იდგე-ტოდენ ყიზილბაშნი. ხოლო ქართველნი ადგილობრივ გატეხილ-ხიდამდე; არამედ ამირგუნა-ხანი ერევნის ბეგლარ-ბეგი ვერ მოეწყო ომსა, და რა ესმა ხმა ბრძოლისა მოიწრაფა და მოვიდა მარაბდას გორიდამ და იხილა ყიზილბაშნი ლტოლვილნი და მტერნი ქართველნი შეკრებულნი ერთად, რამეთუ ზურაბ ერის-თავი დაგვიანებულ-იყო თავსა ზედა და მას შეეწყვანდნენ, მოეტევა ხანი ამათ და იქნა ბრძოლა ძლიერად უძლიერესი მტერთა-გან, ვინაიდ-გან დიდად შეჭირდა გამოსხნილა ბატონი თეიმურაზ, მოურავი და დამწყნარენი ქართველნი: მაშინ ათაბაგი შეკვლა ამირ გუნა-ხანს და ჰკრა თავსა ხრმალი და გაუპო თავი და აჯსიო ლდით: ეტყოდა ამირგუნა-ხანი ათაბაგსა: „უპურმარილოვ." რამეთუ მას გაეზარდა, გაუშვა ათაბაგ-მან და წარვიდა. ხოლო მისვე მბრძოლი მოკლეს თეიმურ-რაზ მეჯინიბის-ბატონი და განვლა ხმა და ჰგონიეს ყოველთა კახ-ბატონისი სიკუდილი, და იდგე-ტოდენ კახნი და ქართველნი: ამისსა მხილველნი ყიზილბაშნი უკმოიქცნენ და მოსწყვეტდენ უწყალოდ ქართველთა, მოკუდა ამ ომსა შინა ყიზილბაში ისე: ქართველი და კახი ჳ და ზუ-რაბის შ: შემდგომად ბრძოლისა მოვიდნენ ყიზილბაშნი ტფილისს და გამოვიდნენ ტფილისის ციხესა შინა მდგომნი სპანი მორბენლად ლიხისა: ამათ მოკლეს მოურავი სამოცითა კაცითა, ატენისა და მოსწყვიტეს შიგნით და მტერნი შეიკრიბნენ ტფილისსვე: გვალად გამოვიდა ლარსის-ხანს მოურავი, მიაწურა გზები, ამაგრებდა ზემო-ქართლს. არამედ ყორჩიბაში შეიყვანდა გამოყვა-ნისა ამილახორისასა ტოლვით არშიდამ და არა ძალ-უძდა ამისი ყოფად. ამისთჳს ეზრახა ზურაბ ერისთავსა, რათა გამოიყვანოს იგინი: მაშინ ზურაბ ნება-სცა ჰაჯმანითა ამით, რათა შეყრდნენ გზა მისი არაგვსა ზედა და ხამოვლონ ქსანსა ზედა, რათა არა მოიხრდეს მამული მისი: ესე აღუთქვა ყორჩიბაშ-მან ფიცითა მტკიცითა და უთავა სპათა თჳსთა ყორჩიბაშ-მან ხოსრო-მირზა და წარვიდნენ (ხოლო ესე ხოსრო-მირზა იყო ძე დაუთხანისა, ნაშობი სარჯიკაზგან ისპაჰნს ყოფისა შინა და მეფობით-გან იყო უმარტიოდ და უმოყვარ ფრიად, და ოდეს იყო მოურავი მეფ მოვიდოდა დარბაზობად ხოსრო-მირზა მოურავისათჳს. რა იხილა მოურავ-მან, მიეგება და დასვა ადგილსა თჳსსა ზედა და თჳთ დაუჯდა მოწყლ: ამის მხილველთა ყიზილბაშთა ჰკვირს
136 მოურავსა ყმობა მისი. ხოლო იგი ეტყოდა მათ მე პატრონისად თვისისა: ამის-თჳს აცნო-ბეს ესე შაჰ-აბაზს და პატივ-სცა და მისცა ნიჭნი დიდნი და მოურაობა ისპაჰნისა. არამედ ესე არა ჰქონდა მოურავ-მან სიყვარულითა პატრონისათა, გარნა რათა აღუდგინოს ლუარსაბ მეფესა მეტოქე): ხოლო ყიზილბაშთა წინამძღოლის-ბოლოსა დახვდა მოურავი და აჯსიო დიდი ყიზილბაშთა. არამედ სძლეს სიმრავლითა, განვლეს და განსვლინ მუხრანს. მერმე შეკვლეს ლიშეთი და განვლეს მთიულეთი და გარდავიდეს ჟამს და გამოიყვანეს არშიდამ ამილახვარი და ქალი იგი, მერმე გარდ-მოვლეს მთა ღომისა და მიამოვიდნენ ქსანსა ზედა: მაშინ შეკრბნენ ერისთავი ქსნისა იესე და და ძმა ზურაბ ერისთავისა გიორგი: რამეთუ ზურაბ ფიცისათჳს არღა-რა ინება, და შეჰკრბნეს გზა ქსნისა და მოურავიცა დახვდა ქსნის-ბოლოსა, მოსრნიდნენ ყიზილბაშთა ერთი, რამეთუ ქსაა

ნი იქმნა, ვითარცა სისხლი: შეიპყრეს ხანი ყაზახისა და სულტანი სამი. არამედ მგზედ იყო ხოსრო-მირზა, რამეთუ ვერ წარგვარეს ქალი იგი, გამოიყვანა და მოჰგვარა ყორჩიბაშსა. მერმე წარავლინა ყორჩიბაშ-მან სპანი მოარბევად სომხითს საბარათიანოსად. ხოლო მოურავ-მან განამაგრნა ციხენი კიკანაბერი, ალისა, სურამისა, გჳხისა და წარვიდა სამცხეს, რამეთუ მუნა ჰყვანდა დედა-წული თჳსი. კვალად წარავლინა ყორჩიბაშ-მან სპანი დასხმად მოურავისად, მისრულთა ყიზილბაშთა გარემოიცვნეს ასპინძა: მაშინ მოურავი იყო სადგრიობასა და მეყსეულად იხილა ასპინძა მოცული ყიზილბაშითა, მოკლნა მცირედითა კაცითა, ჰკვეთა და აოტნა ყიზილბაშნი და მოსწყვიტნა იგინი და მცირედნი ივლტოდნენ. მაშინ აჰყრა ყიზილბაშთა ხერთვისი და რომელიმე ციხენი სამცხისანი: შეიკრა მათ მოურავი, მოსწყვიტნა მეციხოვნენი და დაიპყრა თჳსად. წარავლინა წინაშე ხონთქრისა ქაიხოსრო-შვილი გიორგი და მოითხოვა სპანი მისნი, რათა დაიპყრას მან ივინი: სთხოვა ხონთქარსა, მოსცნა ნაწჳნი დიდნი მოურავსა და იენიჩარნი და დაიპყრნეს ციხენი იგინი: არამედ ყორჩიბაში იდგა ქარ-თალავასა ტფილისს, მერმე დაუტევა ხვარონი შინა ტფილისს და თჳთ წარვიდა ამასვე ქართლიდგან, მაშინ მისრულსა ისმაჲნს მოახსენებასა მისისა-თჳს მისცა შაჰ-აბაზ ხოსრო-მირზას ყულარაღასობა: ხოლო მოურავი იყო სამცხეს, შემდგომად მოვიდა იმერეთს გიორგი მეფისა-თანა, ისტუმრა დღეთ დადიან-მან, მეყსეულად შემოვლო კვალად იმერეთი და მოვიდა სამცხესვე.

ამ ჟამებთა მოიმწო ანდუყაფარ ამილახვარ-მან ქსნის ერისთავი, რამეთუ შესწამა შეპყრობისა თჳსისა ეწყება დადიანისა, დაესხა და მოსწყვიტნა იგი და განიყვნეს მამული მისი, ქოლოთი ქვითკირი დაიპყრა ქსნის-ერისთავ-მან და ნეშტი ამილახორ-მან: მერმე მოვიდა მეფეთას ანდუყაფარ, შეიპყრა დუკასიაში მისი და წარუხვნა საგანძურნი მეფეთისანი და აქადებდა დუკასიაშს დასასხმას მის მეფისასა, მერით მოვიდა ტფილისს და ციხის თავისა-თანა შეიდოაზრე გალის-ციხეს შინა გაიხსნახი წინა-თქმულთა-თჳს აღსდგა რა წარმოსლვად ეზრუმა, დაეცა ლასიძეს, განსწირა იგი და გარდმოიჭრა ქალაქისაკენ და მოვიდა ანდუყაფარ ბორობად: შემდგომად ამისა მოსწყვიტნა იესე ქსნის-ერისთავ-მან მისნი თჳსნი ცოლ-შვილითა სრულიად.

ხოლო მოურავი მოვიდა სამცხიდამ ქართლს, კვალად შეკრბეს მოურავ-მან და ზურაბ ერისთავ-მან შორის, მოიყვანეს და დასვეს ქაიხოსროვე გამგედ ქართლისად. არამედ იქმნენ იგინივე საქმისა შეკრებულნი, რამეთუ სვიმონ მეფე ვერ გამოვიდოდა ტფილისიდა-მ ამათ შიშ: კვალად ჟამთა ამათ არა მოსცვეს დევნითა ბეგარა მოურავსა, გარდაგდო სპითა მოურავ-მან ზეკარა, მოვიდა და მოსრნა ურნინი და ჭყვის კვალად შეპყრობად და მოვიდა ქართლს. კვალად მელიქი სომხითისა აიაზეგ და შაქუმ ერთ-გულდებდნენ ყეენსა, შეიკრა მათ მოურავი, ხოლო იგინი ივლტოდნენ და წავყვანნა დედა-წულნი და ქონებანი და წარმოვიდა: არამედ ქაიხოსრო ბარათა-შვილი მოუყვრობდა როსტომ სპასალარსა და უგდებდა როსტომ საგანძურსა მრავალსა, ამისათჳს არა ერჩდა მოურავსა: კვალად მოიყვანა ამან სეფასნი მეთოფენი ყიზილბაშნი და შეაყენა ბარათიანის ციხესა

შინა: ესე შეუძლდა მოურავსა და დილასა ერთსა დაესხა ტფილისს და შეიპყრა ქაიხოსრო და ხოსია ძმა მისი მის-თანა. მაშინ ქაიხოსროს გამოაყვანინა ყიზილბაშნი ბირთვისიდამ და მო-სწყვიტნა ყოველნივე. და ხოსია პატიმარ-ქმნილ ციხესა შინა კიკანათ-ბერის:

კვალად ეთქვა მექარა ქველს წერეთლს მოურავისა. მოეკლა მოურავი და მოსწყვა მამული მისი: წარმოსრულს მოურავს ეწია ქველი და ბრძვეს ურთიერთს. არამედ მოურავ-მან განაწონნა სამნი ისარნი მკერდსა და ივლტოდა ქველი. ხოლო მოურავი მოვიდა გამარჯვებული: ამისა შე-მდგომად უმეტესად განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა ერჩდა მოურავსა და ესე შეუძნდ მოურავს, უფროსად მიუდგა ქაიხოსროს და არღარა ჩამოუშვა ზურაბ ქართლისა შინა: მაშინ ზურაბ მოიყვანა პატრონი თეიმურაზ და ისება ამის-თჳს ქართლისა მეფობა. ხოლო კახთა შთაა-გდეს შური ზურაბსა და ძმასა მისსა გიორგის შორის: „რამეთუ გიდგების ღალატად ბრძო-ლასა ამას შინა, ვინაჲ-გან არს იგი სიძე ქაიხოსროსი (რამეთუ გიორგის ესვა თეიმურაზ მუხრანბატონის ასული ცოლად) და იგით ნებავს ერის-თობა!“ ირწმუნა ზურაბ, შეიპყრა გი-ორგი და აღმოხადნა თვალნი. ხოლო მოურავ-მან შეიკრიბნა სპანი ქართლისა, ითხოვა ნიჭადი იმერთა მეფის გიორგისა-გან და სათავარ-იკაშის სამცხელისა-გან, და მათ მოსცეს და შეკრებუ-ლი ყოვლითა ამით მიუხდა დუშეთს, შეიბნეს ბაზალეთს და არა დაშთა კაცი, რომელი არა დაი-კოდა, თჳთ პატრონი თეიმურაზ, მოურავი და ზურაბ. ვარნა სძლეს მოურავსა და ივლტოდა სამცხეს ქაისოსროთი ქს. ჩქკგ, ქრ. ტიდ. არამედ ცოლ-შვილი ქაიხოსროსი და ძმის-წულნი მისნი წარვიდნენ იმერეთს:

ხოლო ქაიხოსრო და მოურავი წარვიდნენ სტამბოლს წინაშე ხონთქრისა. მისსა-გან მოი-თხოვეს სპანი, რათა დაეპყრან ქართლი და მუნცა მოჭმედიან იქმნა მოურავი: მაშინ ზავი იყო ხონთქარსა და ყეენსა შორის და არა ინება ხონთქარ-მან, არამედ წარავლინა ქაიხოსრო და მო-ურავი სხვასა ქვეყანასა ბრძოლად და უკეთუ დაიპყრან იგი, შემდგომად წარავლინოს ქართლს სპითა დიდითა: მისრულთა ვეზირ-აზამისა-თანა ქაიხოსრო-მ და მოურავ-მან ქვეყანასა მას დიდ-ნი საქმენი ჰქმნა მოურავ-მან და დაიპყრა ქვეყანა იგი და ესე აუწყეს ხონთქარსა: არამედ ცოლი
137 ვეზირ-აზამისა იყო და ხონთქრისა. ამან შურ-ენვარე-მან მიუწერა ქმარსა თჳსსა. „რაჲ არს ესე, რომელ განდიდნა სახელი მოურავისა და არა რაჲ ისმის სახსენებელი შენი. ამის-თჳს უმჯობეს არს სიკვდილი შენი ყოფასა შენსა.“ განრისხნა ვეზირ-აზამი, შეიპყრა ქაიხოსრო, მოურავი და ყოველნი ქართველნი მათ-თანანი და წარკვეთნა ყოველთა თავნი. არამედ გორგასლის-შვილს ბე-ჟანს რა ჰკვეთდნენ თავსა ეტყოდა მამა მისი მტარვალსა ნიჭის მიცემითა: „მე მომკვეთე თავი და განუტევე ძე ჩემი:“ რამეთუ იგი განტევებული იყო ნიჭისა მის-თჳს განუტევა ბეჟან და წარ-გზავნა თავი გორგასალს და დედა-წული მოურავისა დაშთა აზრუმს. ხოლო პატრონ-მან თეიმურაზ დაიპყრა ქართლი და კახეთი. ესე მტერობდა მეთა და ძმის-წულთა ქაიხოსროსათა და არა უტე-ვებდა მუხრანს, არამედ მისცა ძესა თჳსსა დათუნას:

შემდგომად მოვიდა შაჰ-აბაზ ყეენი ქს. ჩქკე, ქრ. ტიგ, თათრულსა ჩლზ, დაიწყეს ყიზილბაშთა შფოთებად. მაშინ ხოსრო-მირზამ შემოიკრიბნა ყულნი, გამოიყვანა შაჰ-სეფი და დასვა ყეენად და მოსრნა წინა-აღმდგომნი: მიერით-გან უწოდებდა ყეენი მამად ხოსროს, ესე მოიმჩჳმა და განმდიდრდა ფრიად: ხოლო შემდგომად შთავარდა შური ბატონსა თეიმურაზს და ზურაბ ერის-თავს შორის: გამოიყვანა ზურაბ სვიმონ მეფე ტფილისიდა-მ და დაიპყრა სვიმონ სრულიად ქართლი: ჟამთა ამათ წამოვიდნენ მუხრანის ძენი და ძმის-წულნი ქაიხოსროისანი და დაიპყრნეს თჳსნი ყოველნი: ხოლო სვიმონ მეფე უხმობდა ზურაბს მამასა და ამისი მხილველი და უღონო ქმნილი ბატონი თეიმურაზ წარვიდა წინაშე ყეენისა და უფადარიდამ მოსწერა ზურაბს: „შეუძლებელ-არს განწირვად სისხლისა-გან სიმამრისა, გარნა ვიხილოთ უკანასკნელი შენი, და სვიმონისა:“ ესე შეიქმნა ზურაბს, რამეთუ სწადოდა, რათა იყოს თეიმურაზ კახ-ბატონად და სვიმონ ქართლისად და ორნივე იყუნენ მავედრენი მისნი. ამის-თჳს აწ განიზრახა ბოროტი, მოვიდა ღამე ცხვილოს მდგომის სვიმონ მეფისა-თანა, შევიდა და მოჰკლა იგი ქს. ჩქკთ, ქრ. ტიზ, და წარუვლინა თავი თეიმურაზს, მოიქცა თეიმურაზ და დაიპყრა ქართლი და კახეთი:

## ჰდ. თეიმურაზ ა, კახთ-ბატონი.

მაშინ მოიხსენა შური წუქეთის სულტნისა, ხოლო წარსლულ-მან მას ზედა შეიმუსრა ბეჟი, ამის-თჳს სპათა უთავა ზურაბ ერის-თავი, მისრულ-მან მოჰკლა სულტანი და მოსტყუევნა ქვეყანა მისი და მოვიდა თეიმურაზისსა-თანა: არამედ მიერით ბატონსა თეიმურაზს აქუნდა შური ზურაბ ერისთვისა, ოდეს მოჰკლა სვიმონ და ვისად-გან განდიდნაცა ფრიად. ამის-თჳს უდგა ღალატად მარადის: შემდგომად ზამთარს მდგომ-მან სათურცელეს იცა ჟამი და მოჰკლა ზურაბ. მერმე შევიდა დუშეთს წარმოიყვანა ასული თჳსი და მისცა ცოლად იმერთა მეფის-ძეს ალექსანდრეს მზითვითა დიდითა: შემდგომად შემოიკრიბნა ორნივე სპანი და მიუხდა უღუკისარს, მოსრნა მახვილითა და მოსტყუევნა იგინი და მოვიდა გამარჯუებული: კუალად შემოიკრიბნა სპანი ორნივე და დაესხა ყარაბაღს, მოსწყვიტნა და მოსტყუევნა, აღიღო ალაფი დიდ-ძალი და მოვიდა ქართლს: ამის-თჳს უმეტეს ლაშქრობდა თეიმურაზ, რამეთუ აქუნდა სპათა სიმრავლე და რათა განიმკვიდროს ორნივე ქვეყანა. ხოლო ჟამთა ამათ მოვიდა უნდილაძე დავით განჯის ბეგლარ-ბეგი და ბატონ-მან თეიმურაზ დასხნა ელი-თურით იორის-პირსა ზედა. ესე მოითხოვა ყეენ-მან და არა უბოძა ბატონ-მან თეიმურაზ: ამას ზედა განრისხნა შაჰ-სეფი ყეენი და წარმოავლინა სპასალარი როსტომ სააკაძე სპითა დიდითა და წინ-ხსენებული ხოსრო-მირზა მეფედ ქართლისად (და ხოსროს ეწოდა როსტომ) დიდითა ნიჭითა და კახეთი მისცა სალიმ-ხანს:

ხოლო ესე ყოველნი მოვიდნენ ერთბამად და დასდგნენ ხუნანს: ამის-მან მსმენელ-მან ბატონის-მან თეიმურაზ შემოიკრიბნა სპანი საფურცლეს და ლამოდა ბრძოლასა, ვინად-გან ჰყვა ბარათიანთა ცოლნიცა თჳს-თანა მუნ. არამედ ბარათიანთა დაუტევნეს ცოლნი თჳსნი და მივიდნენ წინაშე როსტომ მეფისა. ვინად-გან ვახტანგ ძე თეიმურაზისა მუხრანის ბატონი პირველვე მიეგება როსტომს სამსახურებისა-თჳს და ესე ჰყვეს ბარათიანთაცა. ამის-თჳს ამისი მხილველი თეიმურაზ განრისხნა და მოინება დაჭრა ცხვირ-პირთა ცოლთა ბარათიანთათა. არამედ არა აუფლა ხვარაშან დედოფალ-მან: გარნა ესე ვითარებისა-თჳს ვერღარა წინა-აღუდგა თეიმურაზ სპარსთა და წარვიდა იმერეთს. მცნობ-მან სპასალარ-მან წარმოუვლენა სპანი, ესენი ეწივნენ ჰერასკის მთასა ზედა ხოზანთა, მოსრნეს და ტყვე-ჰყვნეს და შემოიქცნენ ტფილისს და სპასალარი როსტომ და როსტომ მეფეცა მოვიდეს ტფილისს ქს. ჩქლდ ქრ. ტკბ:

## ჰე. მეფე როსტომ, კდ წელი ჰქმეფა.

ხოლო დასვეს როსტომ მეფედ ტფილისს და სელიმ-ხან კახეთს: ამავ ქორონიკონს აღაშენეს გორის-ციხე და შეაყენეს მცველნი ყიზილბაშნი, ეგრეთვე სურამის ციხესა შინა. მოსცეს როსტომ მეფესა შეწევნად ყაზახ-შამშადილო-ლორეს ხანნი და თჳთ სპასალარი როსტომ წარვიდა წინაშე ყეენისა: ხოლო ესე როსტომ იყო მაჰმადიანი და მუნ აღზრდილი, რამეთუ ოდეს მოვიდა მეფედ ჲზ წლისა იყო, საქმით ხვაშიანი, სოფლის ფრიად ჰკვიანი, მორჭმულ-მდიდარი, რამეთუ აქვნდა ყულარაღასობა ყეენისა, მოურაობა ისპაჰნისა და სიჭრიდა ყეენი ურიცხვსა, და უხმობდა მამად: ამან განაგნა წესსა ზედა ყიზილბაშთასა კარის-განმგენი თჳსნი, და არცა მოშალნა ქართულნი და დაადგინნა ორნივე და მიასიჰზებდა ქართველთა ბოძსა მცირეთა და იერთგულებდა მით, რამეთუ მას ჟამსა იყვნენ ქართველნი მგნენი, რჯულ-მტკიცენი, წრფელნი, გუცხლის უყვარულნი: ამა როსტომ მოიყვანნა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი სპარსეთიდამ გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტუვილი, კორცი-განსვენება, აბანო, ქებულობა უგვანი, მესხიკე, მგოსანი, რამეთუ ამათ საქმეთა მოქმედთა-გან გიდე არა-ვის სცემდეს პატივსა და მიდრკეს, ვიდრე მღუდელთ-მთავარნიცა ჰკოვდეს უჯვრითა: ამან როსტომ მოიყვანა ცოლად აბაშის-შვილის გოჯასპის ასული
138 ქეთევან და უწოდა გულ-დუსტარ და იქორწინა ქრისტიანულ-მაჰმადიანურ: კვალად დაუტევა სასახლე ისნის-ციხისა და ჰქონ მტკვრის კიდესა ზედა ანჩისხატს და სიონს შუა ქმნულსაბა შო-

რის და მისცა ციხე სრულიად ყაზილბაშთა, შეავლო ხიდის-ყურიდა-მ ზღუდე კალის ციხემდე და განჭყო ქალაქი და ციხე, მოავლო მეტეხს ზღუდე და ქმნა, ვითარცა ციხე მტკიცე ხიდი-თურთ და შეაყენნა მცველნი ყიზილბაშნი მას შინაცა. არამედ ამათი მოქმედი მარადის იხარებდა როსტომ და იშვებდა: ამას არა მოიწონებდა ერის-თავი არაგვისა დათუნა, ძმა ზურაბისა, შემოიკრიბ-სპანი როსტომ და მივიდა მუხრანს. მიუთხრა დათუნას ანუ წარვიდეს წინაშე ყეენისა ანუ მივიდეს მის-თანა: ხოლო დათუნას ძნიად აღუჩნდა ესეი. კვალად წარავლინა გაბა-შვილი და თურქისტანის-შვილი და ამცნო მათ, რათა მოჰკლან თავის-წინაობის განზრახვასა შინა დათუნა და მოართვან თავი მისი. მაშინ მისრულთა მათ უყვეს ბრძანებული დუშეთს და მოართვეს თავი მისი და როსტომ წარუგზავნა ყეენსა, რამეთუ ესე იყო მაშფოთებელი ქვეყნისა და თვით შეუხდა დუშეთს ქს. **ჩქლე**, ქრ, **ტპჲ**:

მაშინ ძმა-მან დათუნასა-მან ზაალ შეჰკრა სიმაგრენი და გამოაბრუნა როსტომ და მოვიდა ტფილისს. ამის-თჳს წარუვლინა ზაალ ბატონს თეიმურაზს, რათა მოვიდეს და დაიპყრას ქართლი, რამეთუ აღუთქვა ფიცით ყოვლისა წარმართება: ხოლო მოვიდა ხონთქარი (¹) მცირად და აღიღო ერევანი ქს. **ჩქლვ**, ქრ. **ტპდ**, უკუნ-იქცა და წარვიდა: შემდგომად ზავ-ჰყვეს მცირად ხონთქარ-მან და შაჰ-სეფიმ, დაშთა ხონთქარსა იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნახევარი. ხოლო ყეენს დაშთა ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის ნახევარი: კვალად როსტომ მოიხსენა შური ყიზილბაშთა-თჳს, რომელი მოსწყვიტნა მოურავ-მან ბირთვისს და შეიპყრა ქაიხოსრო ბარათაშვილი სისხლთა მათთა-თჳს და გარდმოაგდო ციხიდა-მ განჯის კარისაკენ მაღლის გოდლიდა-მ: ხოლო თეიმურაზს მოვლო დვალეთი და მოვიდა დუშეთს ქს. **ჩქლვ**, ქრ. **ტპდ**, და მუნიდამ მცდელობდა ქართლს: ხოლო როსტომს აქუნდა ძალი ყიზილბაშთა და ქართველნი მცირეთა-გან კიდე, ყოველნი ერთ-გულობდნენ და ამის-თჳს ვერა რა ავნეს. კვალად შემოუსინეს მოღალატენი, არამედ როსტომ იყო მცდელი და სოფლის მანქანი და განერა ყოველთა-გან: მერმეთ თეიმურაზ და ზაალ როსტომის მტერობისა ვერა-რისა მყოფელთა, შეიბირეს ქისის-ერისთავი და მიუხდნეს სალიმ-ხანს, განაძეს სალიმ-ხან და დაიპყრა თეიმურაზ კახეთი: ხოლო ჟამთა ამათ მოუკუდა როსტომ მეფეს ცოლი პირველი და დაემზახლა ლევან დადიანსა, და მან მისცა დაჲ თჳსი მარიამ: ესე ჰყო როსტომ, რამეთუ ვინაჲ-გან პატრონის თეიმურაზის მოყვარე იყო გიორგი მეფე იმერთა და დადიანი და მეფე იმერთა მტერობდნენ. ამის-თჳს დადიანს დაემოყვრა და ვინაჲ-გან არა ჰქონდათ გზა, სთხოვა როსტომ მეფე-მან გზა უსუფს ახალ-ციხის ფაშასა: მან სიხარულით მისცა და მივიდა როსტომ კაკას ხიდსა ზედა ფერსათიდა-მ და დადიანიცა მოსრულ-იყო მუნ კაკას ხიდს, მისცა დაჲ თჳსი და წარმოიყვანა როსტომ მარიამ და

(¹) მოკვდა აჰმად **1617**. დაჯდა მუსტაფა ძმა მისი. გარდააყენეს მუსტაფა **1618**. დაჯდა ოსმან ძმ. შვ. გარდააყენეს ოსმან **1622** დაჯდა მეორედ მუსტაფა, გარდააყენეს მუსტაფა, დაჯდა მურად ძმა ოსმანისა, ამან აიღო ერევანი.

მოვიდა ტფილისს და ქმნა ქორწილი მეფემ დიდ-დიდებული ქს. **ჩქლჱ**, ქრ. **ტკვ**. გვალად ამითი მოაკლო თეიმურაზს ძალი დადიანისა-გან. ხოლო ამათი მოქმედი როსტომ მოვიდოდა გორს, ცხირეთს, ტფილისს, სომხითს და მარადის იშვებდა და იხარებდა:

შემდგომად ამისა მოუწოდეს ბატონს თეიმურაზს ზაალ ერისთავ-მან, იოთამ ამილახორ-მან, ნოდარ ციცი-შვილ-მან, გიორგი გოჩაშვილ-მან და კათალიკოზ-მან ევდემოს დიასამიძე-მან გამეფებად ქართლს. და ნოდარ მოვიდა სჳითა დოესს და მოელოდა მათცა: მცნობელი როსტომ მეფე წარმოვიდა: მის-მან მხილველ-მან ნოდარ ვერღა-რა იკადრა ბრძოლა, არამედ ივლტოდა. გარნა ორთა ძმათა წხეიძეთა ნოდარისათა მყოფთა მოყვრობითა არა ინებეს ლტოლვა, მოიქცეს და წამოჰკარნეს მხედარნი. ხოლო იორამ მოურავის-შვილ-მან წამოჰკარნა იგინი, შეიპყრა და მოართვა როსტომ მეფესა (ესე იორამ მოიყვანა მეფე-მან აზრუმიდამ კეთილის ყოფისა-თჳს, რომელი უქმნა მოურავ-მან მას, და მისცნა მამულნი თჳსნი ყოველნი): ხოლო ნოდარ ლტოლვილი შევიდა ვერის-ციხესა შინა და მოადგა როსტომ, ვერ გამაგრდა ნოდარ, განივლტო და შევიდა სამცხეს: ხოლო მეფე-მან როსტომ აღიღო ციხე და შემუსრა. მუნიდამ მოიქცა და დასდგა ცხირეთს: ესე აცნობა კათალიკოზ-მან ევდემოზ ბატონს თეიმურაზს. „რაი ჰქმენ, სივლტოლისა-თჳს ნოდარისა უკუნიქეც, აწ მოვედ და დაესხი როსტომს, რამეთუ ჴელთა შენთა შინა არს (ამ კათალიკოზის ძმის-წული ცოლად ჰყვა ბატონის თეიმურაზის ძესა დავითს და ამის-თჳს ჰყოფდა კათალიკოზი ამას):“ ამისი მსმენელი თეიმურაზ რა წარმოემართა, ესე აუწყა როსტომ მეფესა ვახტანგ მუხრანის ბატონ-მან და მსწრაფლ შევიდა როსტომ გორის ციხესა შინა: ესმა ესე თეიმურაზს და უკუნიქცა. ამას ვახტანგ მუხრანის ბატონი მოეწია და ავნო დიდი სივლტოლად, და მოსწრაფედ მივიდა თეიმურაზ კახეთსვე: ამის-თჳს შეიპყრა როსტომ მეფე-მან კათალიკოზი ევდემოზ და პატიმარ-ჰყო ტფილისს ციხესა შინა: შემდგომად გარდმოაგდო განჯის-კარის კოშკიდამ, გვალად შეიპყრა გოჩას-შვილი გიორგი და აღმოხადნა თვალნი, დაესხა იოთამ ამილახორსა, ჰკვეთა იგი და განუტევა ფიცით და შემუსრა ციხე ცხვილოსი და სხვანი ვიეთნიმე განაძო და ზოგნი უმკვიდრო ჰყვნა. არამედ იოთამ ყამთა მეჯვრეტი, ყამ იყვის ბატონის თეიმურაზისა-თანა, ყამ როსტომის წინაშე: შემდგომად შემოიკრიბნა როსტომ მეფე-მან სპანი თჳსნი და მიუხდა ბატონს თეიმურაზს მაღაროს. არამედ მის-გან მცირედითა სპითა იძლია და მოვიდა ტფილისს: გარნა ამითცა ვერა რაი ავნეს და უმეტესად განძლიერდა, რამეთუ მოირთო ქართველნი ყოველნი და ყიზილბაშნი მონებდეს, ვითარცა ყეენსა: ამისი მხილველი ზაალ ერისთავი ევედრა როსტომ მეფესა, რათა შეიწყალოს და განუტეოს თეიმურაზ და მივიდეს წინაშე მისსა: ამისთჳს უბრძანა როსტომ წარსლვა წინაშე ყეენისა, ვინად-გან სწადდა როსტომს დამორჩილება ქართლისა ყეენისა-გან, ვითარცა სხვათა სახანოებთა და მის-თჳს წარავლინებდა მუნ ყოველთა, და განუწესებდა როქსა და განკვეთილსა, რათა მით არღა-რა უარ-ჰყონ ქართველ-
139 თა ყიზილბაშნი: მსმენელი ზაალ ერისთავი და უღონო ქმნილი წარვიდა წინაშე ყეენისა. ხოლო

ყეენ-მან პატივ-სცა ზაალს, ჰყო მაჰმადიანად, ანიჭნა და გამოუტევა, მოვიდა დუშეთს და მსახურებდა როსტომს მიერით-გან: ხოლო როსტომ დასვა კათალიკოზად ურდუბეგა-შვილი ქრისტეფორე, კაცი სახიერი: არამედ კვალად შესძინა როსტომ, რამეთუ სვიმონ მოყიდულთა ტყვეთა წარუვლენდა ყეენსა. ხოლო ესე გამოიყვანდა მთავართა და აზნაურთა შვილთა ვაჟთა და ქალთა და წარუგზავნიდა: ამისთა მხილველთა ქართველთა იწყეს იდუმალ ტყვის-ყიდვა, ქვრივთა და ობოლთა, რამეთუ განმრავლდა სიბოროტე, ვინად-გან არღა-რა იყო ზრუნვა სულიერი და არა ზრუნვიდა მეფე სუფევისა და ქვეყანისა-თჳს. გარნა განცხრომისა-თჳს, ვითარცა წესი არს მაჰმადიანთა: ამის-თჳს მიიტაცეს მთავართა თვის თვისნი მხარენი, ქვეყანა-ციხე-სიმაგრენი სამეფოთანი და დაბნებნი:

ხოლო წელსა ქს. ჩქმბ, ქრ. ტლ, თათრულსა ჩნბ მოკუდა შაჰ-სეფი და დაჯდა ძე მისი შაჰ-აბაზ: ამათ ჟამთა შემდგომად შემოიკრიბნა მეფე-მან როსტომ სპანი შემოსლვად კახეთად. მაშინ ბატონი თეიმურაზ იდგა თიანეთს, ხოლო როსტომ წარავლინა ვახტანგ მუხრან-ბატონი სასპასპეტოთა თვისითა თიანეთს და ყიზილბაშნი მოუგზავნა მალაროს: მისრულსა ვახტანგს ზაალითურთ ეწყვნენ თიანეთის ულლისს თეიმურაზისანი და ბრძოლასა შინა მოიკლა ამათ-გან თოფითი რევაზ ნოდაქა-შჳლი და ივლტოდნენ თეიმურაზითურთ, მიუდგა როსტომ და ჩავიდა თეიმურაზ კახეთს: ხოლო მალაროს ყიზილბაშთა მოკლეს დათუნა ძე ბატონის თეიმურაზისა და მოართვეს თავი როსტომს, ქს. ჩქმვ, ქრ. ტლვ, თათრულს ჩნვ. არამედ ვითარცა შემპყრობელსა როსტომს ბატონის თეიმურაზისასა მოეგება ხვარამზე დედოფალი, რომელი იყო ბიძის-შჳლი როსტომისა: ესე ევედრა, რათა განუტეოს მშვიდობით. ხოლო როსტომ პატივ-სცა მას, ვითარცა დასა და აღუსრულა ნება მისი, მისცნა ცხენნი და ჯორნი, უძღუნნა მრავალნი, წარუძღვანა კათალიკოზი და წარგზავნა იმერეთს ღამესა მას და თჳთ როსტომ შთავიდა კახეთს და დაიპყრა კახეთი: ხოლო თავი დათუნასი წარუვლინა ყეენს და აუწყნა ყოფილნი, მერმე განაგნა საქმენი კახეთისა და მოვიდა ტფილისს: ამის-თჳს მოანიჭა ყეენ-მან ნიჭნი დიდნი და იშვებდა მარადის როსტომ. გარნა არა ესვა შჳლი და შჳლად თჳსად მოიყვანა ისპაანიდამ სვიმონ მეფის ძის ვახტანგის ძე ლუარსაბ და ესე ჰყო ძედ თჳსად. არამედ შენებასა შინა გატეხილ-ხიდისასა იდგა როსტომ ხუნანს და დღესა ერთსა განვიდა ლუარსაბ მოასაკითა თჳსითა სადირობად ყარაიის-ველისა. ხოლო სროლასა თოფისასა ხროსა ზედა ირმისასა მოხუდა თოფი ლუარსაბს და მოკუდა იგი: ამისი მსმენელი როსტომ დამძიმდა ფრიად, რამეთუ მოსწყდა თესლი დიდის ლუარსაბ მეფისა. გარნა ეპყრა როსტომს ქართლი, კახეთი და იყო უფროსად განცხრომა-შვებასა შინა: არამედ ოდეს მიუგდა შვილებული თჳსი არღა-რა ვინ ჰყვა უახლოესი ტომი თჳსი და თჳთცა ფრიად მოხუცდა. ამის-თვის გააშვილა ვახტანგ მუხრანის ბატონი ძე თეიმურაზ მუხრანის ბატონისა, რომელი მოიკლა მარაბდის ომსა შინა (რამეთუ თეიმურაზ იყო ძე ვახტანგისა, ვახტანგ

ძე ბაგრატისა და ბაგრატ ძე ოთ (1) მეფის კოსტანტინესი): ესე ვახტანგ წარავლინა როსტომ წინაშე ყეენისა, რათა მისცეს აწ განმგეობა ქართლისა და შემდგომად მისა მეფობა, ქს. ჩქნგ, ქრ. ტმა: ხოლო ყეენ-მან პატივით შეიწყნარა ვახტანგ (ვინადგან უსმენდა როსტომს რასა იგი იტყოდა), და ჰყო მაჰმადიან და უწოდა შანავაზ. მერმე მისცა ნიჭი დიდი და წარმოავლინა ქართლს განმგედ: მოსრული ვახტანგ მიერითგან მართვიდა საქმესა ქართლისასა: კვალად ქს. ჩქნვ, ქრ. ტმდ, წამოვარდა გუმბათი მცხეთისა და აღაშენა როსტომ მეფე-მან: არამედ ვითარ მოხუცდა, ვითარცა უძლები, დასვა კახეთს ბრძანებითავე ყეენისათა სალიმ-ხან და ზაალ ერისთავს მისცა ერწო-თიანეთი. არამედ საქმესაცა კახთასა ჰკითხვიდა სალიმ-ხან ზაალს: ხოლო მოკვდა რა დადიანი ლევან და დაჯდა ლიპარიტ, მერმე ალექსანდრე მეფე-მან იმერთა-მან დასვა ვამიყ, და ამათ შფოთებასა შინა აშველა ლიპარიტს როსტომ მეფე-მან საციციანოსი, საავალისშვილოსი და რომელიმე საბარათიანოსა სპანი, რამეთუ ძმა იყო ლიპარიტ მარიამ დედოფლისა: არამედ ბანძას ბრძოლასა შინა შეიპყრნეს ქართველნი, დაახსნევინეს ვეცხლითა თავნი და გამოუტევნეს: შემდგომად იხილა ვახტანგ განმგებელ-მან მოხუცებულობა და სიკვდილ მიახლება როსტომისა, აუწყა ყეენსა: ხოლო ყეენ-მან წარმოავლინა სანდო თჳისი ხილვად როსტომისა: ამას ჟამსა მოკუდა მეფე როსტომ, ქს. ჩქნთ, ქრ. ტმზ: არამედ სარწმუნო-მან ყეენისა-მ რა ვერღარა იხილა ცოცხალი როსტომ, ყეენის ცნობადმდე შეიყვანა დედოფალი მარიამ ციხესა შინა ტფილისს და საგანძურსა როსტომისასა დაადგინეს დარაჯანი: ხოლო ზაალ ერისთავი არა მნებელი ვახტანგის მეფობისა მოვიდა და დადგა ავლაბარს: და ესე ყოველი აუწყა ყეენსა ვახტანგ. არამედ მსმენელ-მან ამის-მან ყეენ-მან მოსცა მეფობა ქართლისა ვახტანგს და ნიჭნი დიდნი და საგანძურნი როსტომისანი და დედოფალი მარიამ, რათა შეირთოს ცოლად: ამისი მცნობელი ზაალ ერისთავი შეუნიქცა დუშეთს და არღარა ინება მონება ვახტანგისა და უარ-ჰყო მსახლობაცა მისი, რამეთუ ასული ვახტანგისა მიეთხოვა ზაალს ძისა თჳსისა-თჳს: ხოლო ვახტანგს შეუძნდა შერთვა მარიამ დედოფლისა, ვინადგან ესვა ცოლი ასული ყაფლანისა როდამ სიკეთითა აღმატებული, არამედ ულონო ქმნილ-მან განუტევა როდამ და იქორწინა მარიამსა ზედა:

## პვ. მეფე ვახტანგ ე, გინა შაჰნავაზ ა, იჱ წელი მეფა:

ხოლო დაჯდა მეფედ ვახტანგ და დაიპყრა ქართლი და განაგებდა კეთილად (წოდებული ყეენისაგან შანაოზ): ხოლო მოკუდა რა ალექსანდრე მეფე იმერთა და მეფობდა ბაგრატ უთვა-

(1) ნახე დედანში არიცხვსა 75 მეფედ.

ლო, მიეწოდეს ვახტანგ მეფესა იმერთა, შეკრბა ვახტანგ და დადგა ფცას. არამედ შაალ ერის-თავ-მან მოსწყვიტნა ელნი კახეთს და მტერობდაცა ვახტანგ მეფესა. ამის-თჳს უკმოიქცა და უბრძანა ძმის-წულთა შაალისათა და დის-წულთა თჳსთა, რომელნი განზოროტებულ-იყჳნეს მისკენ, რათა მოჰკლან შაალ: ამათ მისრულთა დუშეთს თავის წინაობასა შინა მოურთეს ქქვსთა მახვილნი და მოჰკლეს შაალ ერის-თავი ბიძა თჳსი, ქს. ჩქჲ, ქრ. ცმტ, მაისს ი, კვირიაკესა:
140 ამის წილ მეფე-მან მისცა ოთარს ერისთობა, ედიშერს მსაჯულთ-უხუცობა და იასონს დედო-ფლის სალთხუცობა: ხოლო ძენი შაალ ერისთვისანი ივლტოდეს სამცხეს: მისწივნა მეფე-მან ტანნი, შეიპყრნეს ტბის-ყურსა ზედა და მოართვეს. ხოლო მეფე-მან წარუგზავნა ყეენსა იგინი: ჰკვალად მისცა ქსნის-ერისთაობა იესეს და დაიპყრა უმეტეს ქართლი, რამეთუ ერთგულებდეს ესენი ფრიად: ამავ ჟამსა შინა განიყვეს იმერეთი მეფე-მან ვახტანგ და დადიანმან ვამიყ და ბუკის წყლის აღმოსავლეთის კერძი დარჩა ვახტანგს, დასავლეთის კერძი დადიანსა, ქს. ჩქჲ, ქრ. ცმტ, და ეპყრა ვახტანგს ქართლი, იმერეთი და კახეთი მიერ ჟამით-გან, ოდეს მოწყვიტ-ნა შაალ ელნი:

ამასვე ქორონიკონსა მოკუდა კათალიკოზი ქრისტეფორე, დასვა მეფე-მან ბიძა-შვილი თჳსი დომენტი, კაცი ღირსი საყდრისა: კვალად ამათვე ჟამთა მოითხოვა ყეენ-მან ასული ვახტანგ მეფისა ანუკა ცოლად, მოვიდნენ საჭურისნი ყეენისანი და წარიყვანეს დიდითა დიდებითა. ხოლო მარიამისა-თანა არა ესვა მეფესა შვილნი, არამედ როდამის-თანა ესხნეს ძენი: არჩილ, გიორგი, ლევან, ალექსანდრე, ლუარსაბ, სოლომონ და ასულნი ანუკა და თამარ. ხოლო ინება მეფე-მან მოყვანება დადიანის ასული ცოლად არჩილ ძისა თვისისა-თჳს, მოითხოვა, მან მოსცა და დაიმ-ზახლნეს. არამედ ჰყვა დადიანს ცოლი გლისპი და აძულებდა ქმარსა თვისსა არა ყოფად ამისსა სიძეობისა-თჳს: უსმინა მანცა და მისცა ლოლობერიძეს ქალი იგი ცოლად. კარსა შესვენითა მე-ფისათა მოჰკლეს ლოლობერიძე იმერთა: ამას ზედა შემოიკრიბნა სპანი ქართლისანი და რომელ-ნიმე კახნი მეფე-მან, მივიდა და დასდგა ალს: მსმენელი დადიანი შეკრებული სრულიად იმერეთით მოვიდა საჩხერეს და დასდგა მუნ: მაშინ მეფე ეზრახა იმერთა, მოურთო აბაშიძე პაატა, რაჭის ერისთავი პაპუნა და ლაშხის-შვილი ხოსია თავ-ლეჩხუმისა, გარდაგლო მეფე-მან მთა-ლიხისა, იხილა დადიან-მან, ვერღა-რა დაუდგა და წარვიდა ოდიშს: შთასრულ-მან ვახტანგ მეფე-მან იმე-რეთს, შემოიკრიბნა სრულიად იმერნი და მოადგა სკანდას. ხოლო ბატონი თეიმურაზ ყრმოლ-გნით ულონო ქმნილი სკანდას ციხესა შინა მყოფი ევედრა შანაოზ მეფესა, თუ წარგზავნოს წინაშე ყეენისა, მოვიდეს მის-თანა: ესე მეფე-მან სიხარულით შეიწყნარა. მერმე მოსრული ბა-ტონი თეიმურაზ დიდითა პატივითა მიითვალა და წარმოავლინა ტფილისს და თვით მეფე მივიდა ქუთაისს, აღიღო ქუთაისი და ყოველნი ციხენი იმერეთისანი და შეაყენნა გუშაგნი თვისნი ქს. ჩქჲა, ქრ. ცნთ: შემდგომად შთავიდა მეფე ოდიშს, ვერ წინა-აღუდგა დადიანი. არამედ ივლ-ტოდა სვანეთს. ხოლო ბრძანებითა მეფისათა შეუპყრნა ლაშხის-შვილმან ხოსია-მ კაცი, და მოჰ-

კლეს დადიანი მერ: მაშინ მეფე-მან მოსტყუვნა ოდიში და აღიხუნა ციხენი, მერმე მოადგა ჭაქვით ციხესა შინა მყოფს ცოლს-შვილს დადიანისასა. მცირედ ხანსა შინა გამოიყვანნა იგინი და გამოიხვნა საჭურჭლენი მრავალნი დადიანისანი და ჰპოვა მუნ ხატი ოქროსისა, რომელი დღესთა მეფესა სვიმონის: შემდგომად მოვიდა ზუგდიდს, მუნ მოერთო შარვაშიძე აფხაზითურთ დიდითა ძღვნითა. მერმე დასვა დადიანად ოდიშს ლევან. შემდგომად შემოიქცა დიდითა ალაფითა და ტყვითა, და მოვიდა ქუთათისს. მუნ მოერთო გურიელი დიმიტრი, შემოკრებულთა იმერთა ჩვენითა აკურთხა მეფედ იმერთა ძე თვისი არჩილ ქუთათისს და დაუტევა იმერეთს: კვალად დადიანს ლევანს მისცა ძმის-წული თჳსი თამარ ცოლად და თჳთ წარმოვიდა და წარმოიყვანა ბაგრატ მეფე უთვალო და მოვიდა ტფილის გამარჯვებული: მაშინ წარავლინა ბატონი თეიმურაზ წინაშე ყეენისა და წარატანა გივი ამილახორი და მიუძღვანნა არმაღანნი და ტყვენი ოდიშარნი: ამის-თჳს განიხარა შაჰ-აბაზ და მოსცა ნიჭნი დიდნი მის წილ მეფესა: შემდგომად ამისა აცნობა ახალ-ციხის ფაშა-მან ხონთქარს ვახტანგ მეფისა-გან დაპყრობა იმერეთისა. მსმენელ-მან ხონთქარ-მან წარმოუვლინა დესპანი ყეენსა; მეტყველ-მან. „არს ზავი ჩვენ შორის და აწ დაუპყრავს იმერეთი შანაოზ მეფესა და უკეთუ ესრეთ ეგების გზრძოთ ურთიერთისა:“ ამის მიერ მოუმცნო შანაოზ მეფესა ყეენ-მან, რამეთუ წარუვლინოს ძე თჳსი არჩილ მას და მან მისცეს ქვეყანა უმჯობესი და ნუ იქმნების მშლელი ზავთა მათ შორის: ამის-თჳს მეფე-მან მოიყვანა ძე თჳსი არჩილ და წარატანა გივი ამილახორი, და წარგზავნა წინაშე ყეენისა ქს ჩქჲგ, ქრ. ტნა:

ხოლო ესე გივი სიძე მეფისა იყო, რამეთუ ასული მეფისა თამარ ჰყვა ცოლად. ხოლო ოდეს მოსრნა ზაალ ერისთავ-მან ელნი კახეთს, მაშინ მოუწოდა ამ ზაალ ბატონის თეიმურაზის ძის ძეს ერეკლეს რუსეთიდა-მ, რათა ჰყოს მეფედ და ამ ჟამთა მოსრულ იყო თუშეთს და ბრძოდა კახეთს: ესე აცნობა შანაოზ მეფე-მან ყეენსა, და მან მოუმცნო ანუ შეიპყრას, ანუ განაძოს ერეკლე და მოსცა ყოველნი ხანნი, რომელნი მორჩილებდენ როსტომ მეფესა: მაშინ შემოიკრიბნა სპანი და უჩინა სპასპეტად დათუნა ძმის-წული თვისი მეფე-მან და წარავლინა კახეთს. მოვიდაცა ერეკლე კახეთს სპითურთ ურიათ-უბანს, ეწყვნენ მუნ ქართველნი და ბრძოლასა იძლივნენ კახნი და ივლტოდა ერეკლე და შევიდა თორღის ციხესა შინა. ხოლო ქართველნი მოვიდნენ წინაშე მეფისა: მასვე ჟამსა შემოიკრიბნა მეფე-მან სპანი თვისნი სრულიად ხანებით-ურთ და მოვიდა თორღას და მოადგა გარს. ხანსა რაოდენსამე შინა შემუსრნეს ციხოვანნი: ამის-თჳს დედა-მან ერეკლესა-მან მოუგზავნა მეფესა ვედრება, რათა განუტეოს ფარულად. „რამეთუ უმჯობეს არს შენდა ტყვეობა და მაჭმადიანობა ჩვენი:“ ისმინა მეფე-მან და განუტევა ფარულად და წარვიდა ერეკლე თუშეთს. ქს. ჩქჲდ, ქრ. ტნბ:

*ხოლო შანაოზ აღიღო ციხე თორღისა და ყოველი კახეთი დაიპყრა იგი და მოვიდა ტფილისს: არამედ არჩილს შთასრულსა მაზანდარანს ჰპატივ-სცა ყეენ-მან და შეიყვარა ფრიად. მერმე მაჭმადიან-ჰყო გივითურთ, მისცა ნიჭნი და კახეთი სამეფოდ, წარმოავლინა და მოვიდა კახეთს,

ამასვე ქრონიკონსა: ამ ჟამებთა კვალად იწყო ერეკლემ კირთება კახეთისა. ხოლო ამისი მსმე-
სული შანაოზ მეფე შეკრებული სპითა მივიდა კახეთს და დასდგა აწყვერს, მხილველი ერეკლე
ივლტოდა თუშეთადვე: ამისთვის შემდგომად მეფე-მან განუტევა სპანი ყოველნი და მცირედითა
წარჩინებულითა და სპითა დაადგნა აწყვერსავე: ესე უსპობა მეფისა ამცნეს კახთა ერეკლეს
და მოუწოდეს მას და მისცეს პირი მტკიცე: მოვიდა ერეკლე თუშ-კახითა და დაესხა მეფესა
ღამესა ბნელსა. არამედ შესცდეს მეფის კარვისა დამსხმელნი და დაესხნეს ამილახორისასა: მაშინ
გივი ივლტოდა შიდა ქართველით და განჰყვნენ საციციანონიცა, სულტანი ბაინდრისა, გარნა დაშთ-
ნენ რომელნიმე მათგანნიცა: ხოლო მეფე-მან უბრძანა განმაგრებად ყოველთა სადგურთა თჳსთა,
და თჳთ შევიდა ტალავარსა ერთსა ძით თჳსით არჩილით და მოსრვიდნენ მოსრულთა თუშთა ეგრეთ: 141
მაშინ აგინებდა მეფესა თუში ვინმე ბილწად, ამას-ზედ განვიდა თამაზ თურქისტანის-შვილი, ბრძო
და მოჰკლა იგი და მოართვა თავი მეფესა: მერმე რიყრაყსა ბრძანა მეფე-მან დამახება ბუკისა და
აღსხდომა ცხენთა. მსმენელთა თუშთა ჰსცნეს მუნვე ყოფა მეფისა და მყისვე ივლტოდნენ: მოე-
წია ციცი-შვილი ზაზა სპასპეტი საბარათიანოსი მარტო და შეაქცივნა იგინი. არამედ მისლვასა
სპათასა ეკვეთნენ ძლიერად და შემუსრა ბრძოლითა ზაზა-მ შუბი ხუთი. გარნა მოსწყვიტნეს
სიმრავლითა, რამეთუ აღავსო თავთა მათ-თაგან კოშკი მეფე-მან და ტყუვნი თავთანი წარუვლინა
ყეენსა. ამის-წილ მოანიჭა ყეენ-მან ნიჭნი უზომონი და დიდნი: მერმე შესცვალნა ურჩნი კახე-
თიისანი და დაადგინნა მორჩილნი თჳსნი და დაიპყრა არჩილ კახეთი მტკიცედ: შემდგომად ამისა
მოვიდა შანაოზ ტფილისს. ხოლო სცნა არჩილ, რამეთუ ოთარი არაგვის ერისთავი და ძმანი
მისნი ეზრახვიან გამეფებად ერეკლეს. ამის-თჳს წარუხუნა მათ ერწო-თიანეთი: მაშინ ამას ზედა
იფიცეს მათ სამსჭვალსა ზედა ურცხობელობისა-თჳს. ამის-თჳს კვალად მისცა ერწო-თიანეთი მათვე:
შემდგომად ამისა განდგნენ, რამეთუ აქუნდათ მანკიერება და აცნობა ყეენსა ოთარ ერისთავ-მან
ერთ-გულობა და მის წინაშე მისლვა: სთნდა ყეენსა, ვინად-გან ვახტანგ განდიდნა ფრიად, ჰგონა
ამითი დაკნინება მეფისა და მიუწოდა ოთარს თვის წინაშე. მისცა მეფე-მანცა გზა და წარვიდა
ოთარი: ესე შეუძნდა მეფესა, რამეთუ არა ნებითა მისითა ჰყო ესე ოთარ-მან. კვალად გოჩა-
შვილ-მან იორა-მ, ნებითავე მათითა, რათა იქმნეს მეფედ ყეენის გამო. ამის-თვის შეიპყრა მეფე-
და აღმოხადნა თვალნი და წარუხვნა მამულნი (ესე იორამ იყო ძე გიორგისა, გიორგი ძე გოჩასი,
რომელი მოკლეს გორს): შემდგომად ამისა შემოიკრიბნა მეფე-მან სპანი და შეუხდა დუშეთს.
ხოლო არჩილ კახთა სპითა მოვიდა თიანეთიდამ. არამედ დაუდგნენ სიმაგრეთა შინა ედიშერ და ძმანი
მისნი: ბრძოლასა შინა მოსწყჳტეს ბაყვა პაპუას ძმასა ოთარისასა და პყრობილი მოართვეს მე-
ფესა და სხვანი ივლტოდნენ: ხოლო მეფე შევიდა და დადგა დუშეთს გარნა არღარა ინება
მეფე-მან სრულიად მოსპოლვა მათი, ვინად-გან იფიცეს დის-წულნი და ევედრნენ იგინი კრმალ-
კისერს კიდულნი. ამის-თჳს შეუნდო მეფე-მან და მისცნა მათნი ყოველნი, უკუმოიქცა და მო-
ვიდა ტფილის: შემდგომად მოვიდა ოთარი, რომლისა-თვის მიეცა ყეენს ერისთობა, დაუმტკიცა

მეფე-მანცა და მიერით ერთ-გულებდენ ფრიად: შემდგომად მცირედისა მოკვდა ოთარი და ედი-შერ (იტყოდენ სამსჯულის ტყუვილად ფუცვისათვის) და დასვა მეფემან რევაზ ბიძა მათი ერისთავად.

ხოლო ესე მეფე ვახტანგ იყო მხნე, ახოვანი, ჭაეროანი, გამოცდილი ბრძოლათა შინა და შემმართებელი, მოისარ-მოასპარეზი რჩეული, ღრმად-გამგონე, ღრმად მოუბარ-განმზრახი, უხვი, ქვრივ-ობოლთა შემწყალე, მრისხანე ჯუროანი და მოწყალე, სვიანი და ღმრთის-მოყვარე: ამან მოიწყო ქართლი და კახეთი, იმერნი ჟამად ეპყრნეს, ჟამად მსახურებდნენ და ესმინდეს, მესხნი მორჩილებდნენ: ამან აღაშენა და განავრცო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, რომელსა შინა კაცი არღა-რა იყუნეს: მატა რჯულსა ქრისტეანობისასა და ეკკლესიათა, რამეთუ მცდელობდა, რა-თა როსტომის განრყუნილნი მოეგო კვალად კვალსავე თვისსა, ვინად-გან ჟამსა მისსა ზიარება სისხლისა და კორცისა უფლისა ჩჩჩ̂ვილისა სირცხვილად უჩნდათ, ამან კათალიკოზით დომენტით კვალად შემოიყვანნა აღსაარებად და ზიარებად: არამედ ვინად-გან მთავართა ქართლისათა ვიეთთა აქუნდათ როქით ყეენისა-გან, მის-გამო ვერ სცვლიდა მათ თვინიერ ყეენისა. გარნა ყეენი უსმენდა რაჲცა სწადოდა მეფის, რამეთუ აქუნდა რიდი ამისი:

შემდგომად მოკუდა შაჰაბაზ ქს. ჩქჲზ; ქრ. ცნე, თათრულს ქორონიკონს ჩოზ და დასჯდა შაჰ-სულეიმან ძე მისი: ამასვე ქორონიკონს იძულებითა არჩილისათა დაიხსნა მეფემან ასული დათუნასი ქეთევან ახალ-ციხის ფაშისა-გან, მოიყვანა ტფილისს და უქმნა ქორწილი დიდებული: ხოლო შაჰ-სულეიმან ინება გათხოვება შაჰაბაზის ცოლ ყოფილის ანუკასი, ასულისა მეფისა და მოინება შიხალი-ხან იგი ცოლად და ლორის-ტანის ხან-მან: ჭკითხა ესე ყეენ-მან შანაოზ მეფესა რომლისა უნებს მიცემა. ხოლო მეფემან არა ინება შიხალიხან, არამედ ლორის ხანი და მისცეს მას: ამის-თჳს აღუდგა მტრად შიხალიხან და მტერობდა მეფესა. მერმე წარმოუვლინა ყეენ-მან მეფესა ვეცხლი დიდი, რათა მოავლოს ზღუდე ტფილისს: ხოლო მეფემან აღასრულა რა დაადგინეს კართა მცველი ყიზილბაშნი მათ: ესე რა იხილა მეფემან აღაშენა ქალაქის სამხრით ასპარეზის თავსა ზედა მტკვრის კიდისა სასახლედ თვისად და არღარა შევიდა ტფილისს. არამედ დადგა მუნ: ესე ჭყვეს ყიზილბაშთა, რამეთუ სწადდათ ღამესა ერთსა დახშვა კართა და მოსლვა სპათათა მათთა და შეპყრობა მეფისა სახლეულითა სრულიად. გარნა ვინათ-გან იხილეს ესე, დაუტევნეს ტფილისის კარნი და წარვიდეს. მერმე შემოვიდა მეფე ტფილისვე, ხოლო გიორგის ძისა თვისისა-თჳს მეფესა პირველვე მოეყვანა ცოლი ელიზბარის შვილის ასული თამარი და აწ მო-გვარა ლუარსაბს რევაზ არაგვის ერისთვის ასული მარიამ ცოლად და უქმნა ქორწილი ლილო-სა ზედა დიდებით წარჩინებული, კვალად ლევანს მოუგვარა გურიელის ქაიხოსრო ასული თუთა ცოლად და უქმნა ქორწილი გორს აღმატებული: მერმე არღა-რა მოსცეს დვალთა მეფესა ბეგარანი. ამის-თვის მოვიდა სპითა ქრცხინვალს შესლვად ოსეთად, მსმენელნი დვალნი შეშინდეს და მოერ-თვნეს თავნი მათნი ქრცხინვალს, მოსცეს და დაემორჩილნენ, ვითარცა პირველ:

ხოლო განდიდნა და იქცეოდა ამაყად ზაზა სპასპეტი მეფესა ზედა. ამის-თჳს ინება მეფე-მან წართვნა მისი, და მოიყვანა იგი. არამედ ძე-მან მეფისა-მან გიორგი-მ, რომლისა-თვის შე-ესმანათ უგვანად ინება შეპყრობა მისი. ხოლო იგი მოწდვილითა ხანჯლითა მიეტევა მონათა მისთა და მოჰკლა ფავლენის-შვილი, ამის-თჳს მოჰკლეს იგიცა ბრძანებით გიორგის მეფის ძისა-თა: მსმენელი ამისი დამძიმდა მეფე ფრიად, ვინად-გან იყო ნათესავი (გარნა იტყოდიან მართლისა ამის სისხლისა-თჳს იქმნა შფოთნი ესე ძეთა მეფისათა შორის, ვითარცა დავითისა): ხოლო სპასპეტობა შემდგომად მისა მისცეს თამაზს ყაფლანის-შვილს:

არამედ შიხალიხან არა დასცხრა მტერობად მეფისა და იდუმალ ეზრახოდა ახალ-ციხის
142 ფაშასა ქრთამის მისიჭებითა, რათა წარიყვანოს ერთი რომელიმე ძე მეფისა: ხოლო ფაშამ ქო-
რიანის გამო, რომელი მწირობდა ქართლს, გარდააქცია ლუარსაბ ძე მეფისა დაპყრობად იმერეთი-
სა და წარიყვანა ახალ-ციხეს, რამეთუ ლუარსაბის ცოლი დის-წული იყო რაჭის ერისთვის
შოშიტასი: ესმა რა ესე მეფე-მან შეუძნდა ფრიად. არამედ ვერა-რაი არგო, და ვერცა რაი შეუ-
ძლო ლუარსაბ ყოფად: შემდგომად წარუდგა კვალსა მისსა არჩილ მეფე ძე შანაოზისა და იგიცა
მისლვად ახალ-ციხეს და დაპყრობად იმერეთისად. ამისი მცნობი მეფე შანაოზ ფრიად წყინებული
წარმოუდგა ძესა თვისსა და ვერ-ეწია მას. არამედ მისწია კათალიკოზი, რათა მოიქცეს და აცა-
დოს დღე სიკუდილისა მეფესა და შემდგომად რა იგი ენებოს ქმნოს. გარნა არჩილ არღა-რა ისმინა,
არცა შეიგონა ვედრება მამისა თვისისა: მცნობელი მეფე მოიქცა ტფილისვე ფრიად გულ-კლებული
ძისა-გან: მერმე აცნობა ყოველნი ესე შანაოზ მეფე-მან ყეენსა, უგულებელს ყოფა ძეთა თვისთა-
გან, ერთ-გულობა და უცოდველობა თჳსი და უკეთუ ინებოს წარსლვა მის წინაშე: ხოლო შაჰ-
სულეიმან მოუწერა მისლვად მის წინაშე და წარვიდა მეფე დიდებითა დიდითა და კელმწიფურითა,
რამეთუ იყო მდიდარ ფრიად და არა რაჲ დაუტევა ძეთა თჳსთა ურჩებისა-თჳს მათისა, ვინად-
გან რისხვიდა ფრიად. არამედ განმგებელად ქართლისად დაუტევა ძე თჳსი გიორგი და აუწყა,
რათა განაძოს ერისთავი ქსნისა იესე, რომელი იყო უკუმდგარი: ხოლო გიორგის ძესა მეფისასა
მამისავე ჟამსა შინა მოეყვანა დუშეთიდა-მ დათუნა ძე შალვასი და იპყრობოდა მის-თანა. ამან
გიორგი წარავლინა ძმა თჳსი ლევან შიდა-ქართლის დროშით, ესენი შეუსდენ ქსანს და განაძეს იესე
და დასვეს დათუნა ერისთვად: ხოლო მეფე შანაოზ შთავიდა ხოშკარს, მუნ საქმობიერ-იქმნა
და მოკუდა ქს. ჩქოე, ქრ. ტჲე: ამის-მან მსმენელ-მან ყეენ-მან წარმოავლინა კაცი და აღწერ-
ნეს ყოველნი ქონებანი მეფისანი და მისცეს ალექსანდრეს და ანუკას შვილთავე მეფისათა, რამეთუ
ესე ალექსანდრე პირველვე წარევლინა ყეენისა-თჳს მეფესა და იყოფოდა მუნ ტარუღად ისპაჰნისად:
შემდგომად მამისა თვისისა წილ მიუწოდა ყეენ-მან გიორგის ძესა მეფისასა წინაშე თვისსა,
რათა მისცეს ქართლი და მეფობა: მსმენელი გიორგი ძე მეფისა წარვიდა წინაშე ყეენისა და
დაუტევა ტფილისს განმგედ ქართლისა ძმა თვისი ლევან: ხოლო მისრულისა-თჳს გიორგისა ძისა
მეფისა-თჳს არღა-რა ენება ყეენსა მიცემად ქართლი შაჰ-სულეიმანს შიხალის-ხანის გამო. არა-

შემდ ერეკლესა-თჳს ძის-ძისა ბატონიშვილის თეიმურაზისა: ამისი მცნობელი არჩილ მეფე სადგერს შეიყო ჩამოვიდა ქართლს და იწყო მპყრობად ქართლისა, არა თუ თჳსად, არამედ რათა სცნას ყეენ-მან და მოსწრაფედ წარმოავლინოს ძმა მისი გიორგი: ესმა შაჰ-სულეიმანს დაპყრობა ქართლისა არჩილისა-გან განიზრახა განდევნა ქართლისა, მსწრაფლ მოუწოდა გიორგის და მისცა ქართლი და სიგელნი დიდნი და წარმოავლინა გამაჰმადიანებული დიდებითა შესაბამითა:

## ჰზ. მეფე გიორგი ია, გინა შანავაზ ბ, იბ წელი ჰმეფა.

მერმე მოვიდა გიორგი მეფედ ტფილისს ქს. ჩჲოგ, ქრ. ჩფოდ, და განაგებდა ქართლს: ხოლო იყო ესე გიორგი მეფე მჴნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა, მშვენიერ-ჰაეროვანი, პირ-მხიარული, ენა-ტკბილი, უხვი და მოწყალე, მოისარ-მოასპარეზე უებრო: არამედ მომკჳდარ იყო კათალიკოზი დომენტი ქს. ჩჲოე, ქრ. ჩფოგ, აწ მეფე-მან დასვა ძმა გივი ამილახორისა ნიკოლაოზ კათალიკოზად: ხოლო ყეენსა ებრძანა მეფისა-თჳს: „ანუ შეიპყრას და წარმოგზავნოს არჩილ მეფე ანუ განაძოს:“ არამედ არჩილ შემდგომად ახალ-ციხიდამ გამოლტოლვილი იდგა სურამს და აუწყა მეფე-მან ესე ესრეთ: ხოლო არჩილ წარვიდა და დაიპყრა იმერეთი: მერმე კვალად მოითხოვა ყეენ-მან ლუარსაბ ძმა მეფის გიორგისა. არამედ მომკჳდარ იყო სიმამრი ლუარსაბისა რევაზ ერისთავი და დასვა მეფე-მან ძმა ოთარ ერისთვისა იასონ და წარავლინა ლუარსაბ მეფე-მან ძმა თჳსი წინაშე ყეენისა: გარნა ესე ყოველნი, რომელნი აღვსწერეთ ანუ აღვსწეროთ ყეენის მიერობასა იქმნებოდნენ შიხალის-ხანისა მიერ, ვინადგან იყო ეთიმადოვლე და ვეზირი აზამი, ესმენდა ყეენი ფრიად და კვალად დამართა აწცა წინაშე ყეენისა არჩილისა-გან იმერეთის დაპყრობა, რამეთუ გულის ხოსთნარსა გიორგი მეფე, ვინადგან არჩილ იპყრობს იმერეთს ძალითა და შეწევნითა მისითა: ისმინა ყეენ-მან და წარმოავლინა სპასალარი აჲი ალი-ხან და ესე მოვიდა თავრიზს ქს. ჩჲოთ, ქრ. ჩფოზ, რათა გარდაზიროს ქართველნი გიორგი მეფისა-გან და გიორგი მეფესა მოსწერა ყეენ-მან: „შეიპყარ არჩილ და წარმოავლინე წინაშე ჩემსა ანუ განაძე:“ ესე კვალად აუწყა არჩილს გიორგი მეფე-მან. ამის-თჳს არჩილ წარვიდა დვალეთს. ხოლო გიორგი მეფე-მან აუწყა ყეენს განძება მისი: არამედ კვალად მოუწერა ყეენ-მან გიორგის მუნიდამაც განძება არჩილისა: ამას ზედა წარავლინა მეფე-მან გიორგი ძმა თჳსი ლევან და ამილახორი გივი არჩილ მეფისა-თანა და მიუთხრნა ესე ყოველნი: ამის მიზეზისა-თჳს არჩილ ითხოვა სამსჭვალი ქრისტესი და სუდარი და საბელი: „უკეთუ მომცეთ წარვიდე რუსეთს:“ ესე შეუძლნდათ მეფესა, კათალიკოზ-ეპისკოპოსთა და მთავართა. გარნა შემდგომად მას ჟამსა ზედა მისცეს ესენი და

წარვიდა არჩილ რუსეთს (და მოაკლდა მიერით ნიჭნი ესე ღუთისანი ქართლს)[1] არამედ კვალად არა დასცხრა შური შაჰ-სულეიმანისა გიორგი მეფის ზედა და მცდელობდა შემუსრვასა მისსა შაჰ-ყულიხანის გამო, და უბრძანა აჯი ალი-ხანს მტერობა მეფისა. არამედ სიმხნითა გიორგი მეფისათა ვერა ავნეს ვერეთ: ხოლო ჟამთა ამათ ისჯებოდნენ მამულსა ზედა ციცი და ძმის-წულნი მისნი, ძენი ნოდარისანი წინაშე მეფისა გორჯორისა ზედა: მაშინ ციცი წარმოვიდა ტფილისს აბანოდ და დასხდნენ იშიშურტრუქის ნიდს ზეით ფარსადან, პაატა, ვახტანგ, ნოდარ და ამილახვარ ძმანი, მოჰკლეს ციცი და იგლტოდნენ მამულსა თჳსსა: განრისხებული მეფე მიუხდათ, არამედ გაესწრნენ იგინი. ხოლო ამნაურნი, შემზრახნი მათთანა მოსწყვიტნა და მისცა მამულნი ციცის ძესავე ციცისასა და სიმცირისათჳს მოურავისა მუხრანის ბატონის-შვილი პაპუა და თვით მეფე მოვიდა გორჯორისა ზედავე: ხოლო ესე ვახტანგ მივიდა შემდგომად დუშეთს, რამეთუ ქალი ოთარ ერისთვისა ჰყვა ცოლად (იტყვიან შესვენითა მეფისათა, უკეთუ მოჰკლას იასონ ვახტანგს მისცეს მამული იგისი მეფე-მან, და ამან მოაშთო განსაგალსა შინა): ხოლო იმერეთს სჯდა გურიელი გიორგი მეფედ და არღა-რა მგონებელ-მან მეფე-მან არჩილის მოსლვისა-მან ინება, რათა სჯდეს ნების-მყოფელი იგისი იმერეთს ძალისა თჳსისა-თჳს და პირველვე მოპარვით მოყვანილი ალექსან-
დრე ძე ბაგრატ მეფისა უთვალოსი ქს. ჩქოტ, ქრ. ტჲგ, რომელსა ზრდიდა ძეებრ, ინება აწ 143
ამისი მეფობა იმერეთს: მიუწერა ახალ-ციხის ფაშას, რათა ჰყოს ალექსანდრე იმერეთს მეფედ. ხოლო ფაშამ აუწყა ხონთქარსა: შემდგომად მოთხოვნითა ფაშისათა წარუზავნა მეფე-მან ალექსანდრე დიდითა პატივითა ქს. ჩქპზ, ქრ. ტჲო: ამასვე ქორონიკონსა მოკვდა დედოფალი მარიამ, შემდგომად მოკვდა დედოფალი თამარ ცოლი მეფისა, რომელი იყო გახთ-ბატონითა ტომისა, ქს. ჩქპვ, ქრ. ტჲბ:

ხოლო ალექსანდრე მეფე-მან სმენა რა გურიელს გიორგის როგორ წარმოუვლინა მეფესა მახარობელი და მადლობა, რამეთუ მის მიერ ექმნა ყოველნი და აწ ლირს ჰყოს და მისცეს ასული თჳისი მარიამ ცოლად: ესე არა ინება მეფე-მან არჩილის-გამო და მიზეზ-ჰყო დაწინდვა დავით ერისთვისა-გან და მისცა ნიჭი დიდი კაცსა მას და წარუვლინა: მერმე კვალად მოეთხოვა ალექსანდრეს ელენე ასული ლუარსაბ ძმისა მეფისა და ესე აღუთქვა მეფე-მან მიცემად: შემდგომად ამისა ინება მეფე-მან მზახლობა რაჭის ერისთვის პაპუნასი და მოითხოვა ასული მიქელაძის გიორგისა ხვარამზე, რამეთუ იყო პაპუნას მამიდას-შვილი, მოიყვანა გორჯორისა ზედა და ჰყო ქორწილი წარჩინებით დიდებული ქს. ჩქპზ, ქრ. ტჲე, რათა აქვნდეს მწედ იგინი: ხოლო აჯი-ალიხან წარიბირსა მთავარნი, რამეთუ არღარა აქვნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა თჳსთა ერთ-გულებისა, ვინადგან მცირედითა ნიჭითა გამაჰმადიანდებოდნენ და აქვნდათ რიდი ეენისა-გან, შემყვარე იყვნენ უფროს სოფლის დიდებისა, ვიდრელა სუფევისა-თჳს ზეცისა დაგლახლისა ქრისტესა: უბრძანა იასონ ერისთავი არაგვისა შურითა გივი ამილახორისათა. კვალად მელიქი სომხითისა ქამარ-ბეგ, აშინებდა ქმნულსა მეფისასა აჯი-ალიხანს და ძე მუხრანის ბატონისა ერე-

კლე, რომელსა ზრდიდა მეფე, ვითარცა ძესა და ძმანი მაჩაბელნი, ძენი ზაზასნი, იესე და ელიზბარ უდგებოდნენ ღალატად მეფესა: არამედ ბრძანებითა მეფისათა ჰკრეს თოფი ქამარ-ბეგს ფარულად კოშკისა ზედა და მოკუდა იგი: ხოლო ერეკლე და მაჩაბელი შეიპყრნა და პატიმარ-ჰყო მეფე-მან: მაშინ მისცა ასული თვისი მეფე-მან დათუნა ქსნის ერისთავსა და უქმნა ქორწილი კოშკისა ზედა, მგოსნებელ-მან მომტკიცებისა მისისა-მან: შემდგომად შეუჩინა იასონ ერისთავსა მეფე-მან კაცი და რა განვიდა სამწირონსა ბუნებრივსა ზედა მოაშთვეს მუნ საბლითა, და შემდგომად მისა დაიპყრა გიორგი ძე-მან ოთარისა-მან არაგვი: ამ ჟამთა წარავლინა მეფე-მან ორნი ბერნი რუსეთს არჩილისა-თანა შეგოთებისა ამის-თჳს, რათა მოვიდეს და მწე-ეყოს, ვინად-გან კახთა ენებათ და იმერთაცა იგივე მეფედ: მისრულნი მონაზონნი დაღისტანსა შინა შეიპყრა შამხალ-მან: მაშინ შეედვა შამხალსა სენი განუსვენებლობისა: მცნობ-მან მონაზონ-მან დავით თურქისტანის-შვილ-მან მისცა წამალი და განსხნა იგი. ამის-თჳს შეიყვარა შამხალ-მან დავით და უხმობდა ძედ: ამის-მიერ გამოსთხოვა შამხალს დავით და წარავლინა რუსეთს მეორე იგი ბერი და მეგობარ ჰყო შამხალი გიორგი მეფისა და იყოფოდა დავით შამხალისა-თანა არჩილისის მოსლვისამდე: ხოლო ქსე ვითარებისა მცნობ-მან ქეთე-მან მოითხოვა მეფისა-გან ლევან ძმა მეფისა, რამეთუ ეუწყა ქეთესა არს იგი საქმისა მისისა წარმმართებელი: გარნა ლევანს მოჰკლომოდა ცოლი, ასული გურიელისა თეუთა, ქს. ჩყოჱ, ქრ. ჳჲვ, და დაშთნენ ძენი მის თანა ქაიხოსრო, ვახტანგ და დომენტი და ასული ხვარამზე: შემდგომად შეირთო ასული გიორგი ავალისშვილისა თინათინ, ქს. ჩყპ, ქრ. ჳჲჱ, და ესხნეს ძენი მის-თანა იესე, სვიმონ და თეიმურაზ: ხოლო ესმა რა მეფესა მოთხოვნა ძმისა თვისისა აღუმნდა ფრიად და ეკადრა ქეთესა, რათა დაუტეოს ლევან და წარუვლინოს ძე თვისი ბაგრატ, ვინად-გან არს უმეტეს სარწმუნო, რამეთუ „არა-ვინ მივის თვინიერ მისსა სხვა ძე:“ ესე სიბოროტე უსჯულო შურისა, რამეთუ მოითხოვა ორნივე ქეთე-მან და მოუწერა: რამეთუ „აწ ვსცან ერთ-გულება შენი, ვინადგან არა რიდებ ძესაცა.“ ამის-თჳს განიგულა მეფე-მან და ეზრახა კახთა (ვინად-გან ეპყრა კახეთი ხანსა და არა კეთილს უყოფდა კახთა), რათა მოჰკლან იგი, შეერთდნენ და ჰყონ ერთ-სამეფოდ: ამას ზედა მოსცეს პირი მტკიცე, ფიცი კახთა: ამის-თჳს შეიკრიბა მეფე-მან სპანი, რეცა წარვლინებად ძისა და ძმისა-თჳს, მივიდა და დასდგა უურუთას და ღამესა მას ენება მისლვა თოფქარაღაჯს, რამეთუ კახნი შეკრებულნი დგნეს, მიმლოდნენი მეფისა. არამედ ღამესა მას განივლტო სპასპეტი თამაზ და შევიდა აღჯაყალის ციხესა შინა. იხილე სიბოროტე ურწმუნოებისა, რამეთუ იყო დედის ძმა მეფისა და განმზრახი მისანდო და აღირჩია უსჯულოთა-თანა შერთვა, ვიდრელა მემკვიდრისა და მონათესავისა თვისისა მეფისა: გარნა აქვნდა მიზეზი სიბოროტისა, რამეთუ გიორგი ერისთავი არაგვისა სიძე მისი იყო და უკეთუ ესე აღესრულებინა მეფესა იგი შეიმუსრვოდა: ამისმან მხილველ-მან მეფე-მან წარავლინა ძე და ძმა ლევან წინაშე ქეთესა, ქს. ჩყპჱ, ქრ. ჳოვ: ამისა შემდგომად ეზრახა გიორგი ერისთავსა, რათა მოერთვას. ხოლო მან არა ინება. გარნა

მომკვდარ იყო ბიძის-ძე მეფისა მუხრანის ბატონი თეიმურაზ, რომელი იყო კაცი დიდ-შემძლე
საქმისა, ერდგული მეფისა და რიდობდენ ყოველნი: და ესრეთ მოაკლდებოდა მეფისანი და გან-
მრავლდებოდა წინა-აღმდგომნი. ამის-თჳს განიზრახა მეფე-მან ამასვე ქორონიკონსა ზედა შე-
სვლა დუშეთს ანუ დაიპყრას და დაიმორჩილოს იგინი, ანუ იქმნას რაჲ იგი ნებავსთ: შეკრებული
სპითა მივიდა და დასდგა საბურდიანოს და მუნიდამ ეზრახა ჯვალად დამორჩილებასა გიორგისა.
გარნა არა ინება მორჩილება: მაშინ შეუხდა გზასა ტინისასა მეფე და მათ მოუმწოთ კახნი,
მოყვარენი მათნი და შეჰკრეს სიმაგრენი და იწყეს სროლა თოფთა დილით შუადღემდე. არამედ
შეუშვნეს სხვანი დროშანი და უმეტეს უწყეს მეფისა დროშასა სროლა, მოკლეს თბილელი იო-
სებ და ქაიხოსრო ციცი-შვილი და სხვანი მრავალნი. არამედ სძლეს მეფისათა და მოსწყვიტეს
იგინი და ივლტოდნენ: შევიდა მეფე და დასდგა ბაზალეთს გამარჯვებული და მოსწვეს დუშეთი და
გარემონი სპათა მეფისათა: იხილე კვალად სიბოროტე და არა კეთილისა წილი, რამეთუ დათუნა
ქსნის ერისთავი წარავლინა მეფე-მან, რათა მოვიდეს იგი გრემისკევიდამ ბრძოლასა ზედა: ხო-
ლო იგი არა მოვიდა, არამედ დაადგრა მზვრეტელი, თუ რაი იქმნას: გარნა რაჟამს ივლტოდენ
იგინი მოისწრაფა დათუნამ მეფისა-თანა და ამას ემთხვია გიორგი და ბარძიმ ძმანი, მცირედითა 144
კაცითა ლტოლვილნი: ხოლო მან არა რაი ავსო, არცა ბრძო, არცა შეიპყრნა. არამედ განუტევა
მშვიდობით და თვით დათუნა მოვიდა წინაშე მეფისა და მეისვე აიძულებდა უკუნქცევად, რამე-
თუ გიორგი და ბარძიმ ვედრებად მიწევნილ მეფისად, რათა შეუნდოს. ამის დათუნას მიერ არ-
ცა-და მათ ინებეს და კვალად ქვე-გამხედველთა და ბოროტთა კაცთა მეფისათა, განზრახვითავე
დავით ერისთვისათა, იხმიეს მასვე ღამესა შინა ლტოლვა და დაუტევეს მეფე მუნ: ამისი მხილ-
ველი მეფე და უღონო ქმნილი წარმოვიდა თვითცა მასვე ღამესა მშვიდობით და მოვიდა გორისა
ზედა: ესე მიესმა შაჰ-სულეიმანს, შეიპყრნა თოხჩის მეოფნი ძე მეფისა ბაგრატ ყრმა და ლევან
და წარავლინა ტერათს პატიმრად, ეგრეთვე ლუარსაბ ძმა მეფისა წარგზავნა ქირმანს: ხოლო
ამან ლუარსაბ ჰქმნა ბოროტი, რამეთუ რაჟამს აიძულებდენ უარყოფასა ქრისტესსა არა დაუტევა.
არამედ აწ გზასა ზედა შეიმუსრა ცხვირი და შესვარა სისხლითა და იტყოდა ჩვენებასამცა. იმამ-
მან ღამესა ამას მეტყველ-მან: „რასა-თჳს არა იქმნები მოჰმედიან:“ გარნა არა შეურაცხეს ხუას-
ჯი ესე სიმართლედ, ჰყვეს მოჰმედიანად და წარავლინეს მუნვე: ხოლო გიორგი მეფესა მოუწყუ-
ყეს-მან: „მოვედ წინაშე ჩემსა და მოგცე ქვეყანა სხვა და ნიჭნი დიდნი. არამედ ქართლი მიმი-
ცია ერეკლესა-თჳს:“ და ესე ერეკლე იყო ისპაჰნს იდ წელს, და არა უარ-ჰყო ქრისტე, რამეთუ იყო
აღზრდილი რუსეთს, რომელი წინაცა ვახსენეთ. ამას შეუკრბნენ მის-თანა მეოფნი კახნი და უმე-
ტეს მოძღვარი მისი, მონაზონი ნაცვლის-შვილი და ესენი იტვირთვიდნენ ცოდვასა მას, რათა დაუტეოს
ქრისტე. ამის-თჳს გამაჰმადიანდა ცოლ-შვილითა სრულიად და უწოდეს ნაზარ-ალიხან და წარ-
მოავლინეს ნიჭითა ქართლს მეფედ: ამისი მსმენელი თამაზ სპასპეტი შემოვიდა ტფილისს
ციხესა შინა და უპყრობდა ციხე-ქალაქი მეფესა: მაშინ მეფე-მან წარმოავლინა დედოფალი
*

ყორნისს და შემდგომად ხუნანს: მოსვლის ნაზარ-ალიხანისა წარვიდნენ ქართველნი მიგებებად ერეკლეს-თანა: მერმე გიორგი მეფე მოვიდა ქცხინვალს და მუნიდამ წარვიდა რაჭას ლიხის გზასა ზედა, და მთიდამ გამოუტევნა ქართველნი მცირეთა-გან კიდე, რამეთუ მოეცა ყეენსა ნაზარ-ალიხანისა-თჳს მწედ აჯი-ალიხან და ხანი კახეთს მჯდომი და დარაჯად, თხოვნითავე ერეკლესათი, თუშნი და ქისიყელნი, ამის-თჳს რამეთუ ვერა ეგდენ ენდობოდა ქართველთა:

## ჴჵ. მეფე ერეკლე ა, ივ ჭმეფა,

გიორგი მეფის ქართლს-ყოფვით, თვინიერ მისსა ია წელი ჭმეფა:

ესე ერეკლე ყეენისა-გან წოდებული ნაზარ-ალიხან მოვიდა ტფილისს მეფედ ქს. ჩჳჵ, ქრ. ტოგ. არამედ იყო ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი (1), ლირწთა და უშვერთა მოუბარი, სმისა და შვება-ლხინთა მოყვარე, მხნე და ჭკეროვანი, ტანოვანი, მოწყალე და მცირედთა ყურის-მიმპყრობი და დიდთა დამამდაბლებელი, არამედ არა ძალ-უდვა თვინიერ ყეენისა, მრისხანე ჟამად და უსისხლო: გარნა ამას ჟამამდე არა იცვალებოდნენ კათალიკოზნი და ეპისკოპოსნი საყდართა თვისთა-გან. ამან შესცვალა და დასხნა თვისნი, კათალიკოზად დისამიძე იოანე, მთავარ-ეპისკოპოზად ნაცვლის-შვილი, თბილელად ყაფლანის-შვილი დომენტი, მანგლელად ჯავახის-შვილი იოსებ, რომლისა ძმის-წული მოიყვანა ხარჭად თვისად: კვალად დაადგინა კარისა თვისისა გამგედ მსაჯულთ-უხუცესად ბარძიმ, ძმა გიორგი ერისთვისა, სალთხუცესად ბებურის-შვილი, ვეზირად ყიასა, ყულარაღასად ყაფლანის-შვილი ლუარსაბ. და ამათ მიაგდო საქმენი ყოველნი ქვეყანისანი და თვით მარადის იშვებდა და იხარებდა და ნადირობდა. არამედ უმძიმდაცა ფრიად ესე ვითარი ცვლილება საქართველოსანი და სწადდა, რათა აქვნდეს კახეთი თვით და ქართლი გიორგი მეფესა, ვითარცა მემკვიდრეთა: ამას უთხრეს, რამეთუ არიან ძენი არჩილ მეფისანი ზრამაგას, რათა წარავლინოს სპასი, შეიპყრას იგინი და წარუვლინოს ყეენს. ზეორედ, რამეთუ მწეობა დიდი იქმნების ალექსანდრე იმერთა მეფისა, ვინათ-გან მეგობრობდენ ესენი გიორგის მეფის მტერობისა-თჳს: ესე არა სთნდა ერეკლეს, რამეთუ დის-წულნი იყვნენ ძენი არჩილისანი ამისნი. არამედ რათა არა დამართოს ქართველთა წინაშე ყეენისა, ამის-თჳს შეიკრიბა სპასი და უთავა ბარძიმ მდივან-ბეგი, რომელმანცა გამოითხოვა ამისი ყო-

(1) რომელი უცხოთ-წესი ყოველთა მეფობის გამოცდილი, რომ ერეკლე ყოფილ-იყოს მეფობამდინ რუსეთს აღზრდილი და სპარსეთში მეფედ დადგენილი.

ფად და წარგზავნა დვალეთს: არამედ მისრულსა ზრამაგას სპითა ბარძიმს წინა-აღუდგა ელიოზას-
შვილი და წარავლინნა ძენი მეფისა არჩილისანი დიგორს: ხოლო ბარძიმ ვერა რაისა მყოფი
უკუმოიქცა და მოვიდა წინაშე ერეკლე მეფისა: კვალად უთხრეს ერეკლეს, რამეთუ არიან ციცი-
შვილნი ლევან გიორგი მეფის ძმისა ავალის-შვილის გიორგის სახლსა და გამოთხოვითავე ქაი-
ხოსრო ციცის შვილისათა, რომელსა უწოდდეს ლოპისას, წარავლინა იგივე, რათა მოიყვანოს
იგინი: არამედ გიორგი ავალის-შვილ-მან წარიყვანა სამცხეს ლოგათ-კევსა შინა იგინი ძმისა
თვისისა-თანა, რომელი იყო მუნ მოჰმადიან: ხოლო ლოპისა დაესხა და იავარ ჰყო ქონება ლე-
ვანისა სრულიად: გარნა ერეკლე მეფე მძებნელ არ იყო ამათი, არამედ შიშისა-თჳს, რათა არა
შეასმინონ ყეენსა მტერთა მეფისა გიორგისათა: კვალად ამათ თვისთა განზრახვათაგან ამცირებდა
ერთ-გულთა მეფის გიორგისათა და განადიდებდა კახთა, და ცისამეთა ქართველთაცა. არამედ უმე-
ტეს დაამდაბლა სპასპეტი თამაზ და მიეგო თხემსავე (1) სიბოროტე, მერმე კვალა უმძიმესი,
კვალად ამილახორი გივი და დავით ერისთავი, აშოთან მუხრანის ბატონი: ხოლო აღაზვავნა
მცველნი ტფილისის ციხისანი ყიზილბაშნი, რამეთუ ჰკლვიდეს და წარუხმიდეს კაცთა ცოლ-შვილთა,
სხვათათა ჰყიდდეს და სხვათა მოჰმადიან ჰყოფდნეს და ჭირისა ამისა-თჳს გარდასახლდებოდნენ ქართლის
გლეხნი და აზნაურნიცა კახეთს, რამეთუ საწადელი იყო ერეკლე მეფისა მიერ აღშენება კახეთისა:

ხოლო გიორგი მეფე რაჭიდამ ოდიშს, ოდიშიდამ გურიას, გურიიდამ მივიდა სამცხეს და დადგა
ოშორას, მუნიდამ წარმოავლინა სპანი თვისნი, რათა დაესხნეს ალექსანდრე იმერთა მეფესა, რო- 145
მელი იდგა წედისს: ესე ჰსცნა ბეჟან საკაძე-მ და ამხილა ალექსანდრეს და იგი მსწრაფლ შე-
ივლტო ციხესა შინა გორს და სპანი მეფისანი მოვიდნენ ოშორასვე უქმნი: ხოლო ერეკლე
მეფე-მან ყოველი ესე აუწყა ყეენსა, რაცა იგი ჰქმნა გიორგი მეფე-მან: ამის-თჳს შაჰ-სულეიმან
წარუვლინა დესპანი ხონთქარსა ქალბალიხან: „ვინადგან არს ზავი ჩვენ-შორის, მოიძეც არჩილ და
გიორგი მეფენი (და მიუძღვანა ძღვენი დიდნი) და ჰყავ ალექსანდრე მეფედ იმერთა:“ მაშინ ოსმალთა
ვეცხლის-მოყვარეთა უბრძანეს ახალ-ცახის ფაშას შეპყრობა და მიცემა მათი და გამეფება ალე-
ქსანდრესი იმერეთს: ამისნი მცნობნი წარჩინებულნი მესხნი აზრახებდნენ გიორგი მეფესა შესლვად
იენგიჩართა შინა და მიღებად სჯულთა მათთა, ვინადგან არღარა იყო სხვა რაიღა ღონე: შე-
მდგომად მოვიდა ფაშა და მოერტყა გარს მეფესა ზიკილიას მყოფსა: ხოლო მეფე-მან ჰყო ეგრეთ,
ვითარცა ამცნეს მესხთა სახლეულთა თვისთა-თჳს, რამეთუ უკეთუ თვით განრომილ იყო მეფე,
იგინი ძნიად განეროდნენ, და წარიყვანეს მეფე ახალ-ციხეს: ვინადგან უპატიო იყვნენ ქართველნი
ერეკლე მეფისაგან, ამის-თჳს ეზრახოდეს მეფეს გიორგის, რათა მოვიდეს ქართლს და დადვან
სულნი თვისნი მის-თჳს და აღუთქმიდნეს ფიცითა დიდითა: კვალად უგლინებდნენ მრავალსა საგან-
ძურსა აშოთან მუხრან-ბატონი, გივი ამილახორი და ნიკოლაოზ მაღალაშვილი, რათა მოი

(1) უნდა თავსავე:

დაჭყოს პირი მეფე-მან ოსმალთა ანგაართა: ხოლო ღამესა ერთსა ნებითა მესხთათა, გარდმო-უშვა მეფე ციხის ზღუდიდამ დოლენჯიმ ხმალაძემ საბლითა და მოვიდა სლესას ღამითავე მეფე, რამეთუ ზიკილიდამ მუნ მისრულ-იყვნენ სიახლოვისა-თჳს ქართლისა სახლეულნი მეფისანი, მასვე ჟამსა აყარა დედოფალი და დედა-წულნი თვისნი და ჩამოვიდა ქართლის ხეობასა შინა. მაშინ ალექსანდრეცა მიეწოდა ფაშას, არამედ ასცდა მეფე გზასა ზედა და მსახურნი მისნი შეიპყრნეს მონათა მეფისათა და მოართვეს მეფესა: მერმე დაუტევა მეფე-მან დედოფალი მუნ ხეობასა შინა დედა-წულითურთ:

## შთამოვიდა გიორგი მეფე კვალად ქართლს დ წელი ჰმეფა:

წელსა ქს. ჩქჟა, ქრ. ტოთ შემოიკრიბნა სპანი გარემონი მეფე-მან და შთამოვიდა შიდა-ქართლს და მოერთოდიან მუნებურნი ყოველნი სიხარულითა: ხოლო სცნა მეფე-მან, რამეთუ დედა და ცოლ-შვილნი ალექსანდრესნი სდგანან რუის, დაესხსა მათ და იავარ-ჰყო იგინი და ძენი მისნი დაასპა-ტიმრნა და სხვანი ტყვე ჰყვნა: ამისი მცნობელი ნაზარ-ალიხან, კოჟორსა ზედა მყოფი, მსწრაფლ შევიდა ტფილისს და გიორგი მეფე მოვიდა დუშეთს და მუნიდამ თიანეთს, რამეთუ მუნ იდგა გიორგი და ბარძიმ. მოეგებნენ ორნივე წინ, სიხარულითა თაყვანის-მცემელნი და ითხოვეს შენდობა, მერმე უძღვნეს დანაშთუნებულნი ტინისანი და თვისნიცა მრავალნი: მაშინ ქაიხოსრო ლოპინამ შეიკრიბ-ნა სპანი თვისნი, რათა დაესხას დედოფალსა ახალ-დაბასა. არამედ ძმის-წულ-მან მეფისა-მან ვახტანგ ძე-მან ლევანისა-მან შემოიკრიბნა თვისნი და მიეგება ბრძოლად, ივლტოდა ქაიხოსრო და შევიდა ტფილისს ერეკლესა-თანა და ძმის-წულ-მან ქაიხოსროსა-მან ციციამ დაიპყრა სციცია-ნო და მოერთო მეფესა: ხოლო შეკრებული მეფე მოვიდა თიანეთიდამ დიდ-გორსა და ზედა მო-ერთვნენ მუნ სრულიად სომხით-საბარათიანონი, მერმე მივიდა და დასდგა კოჟორსა ზედა მეფე გიორგი: კვალად დაადგინა კათალიკოზად ნიკოლოზზვე და წარგზავნა ბარძიმ მსაჯულთ-უხუცესი იმერეთს შეწევნად არჩილ მეფისად სპითა. არამედ ვერღა-რა ესწრა, რამეთუ არჩილ მოსრულ იყო ერწოს, მიეგება მუნ ბარძიმ დიდითა ძღვნითა და მოუძღვა ქცხინვალს არჩილს, და თვით ბარძიმ მოვიდა გიორგი მეფისა-თანა: მაშინ მეფე მოადგა ტფილის და შეამჭირვა ფრიად და ეზრახა კახთა, რათა იპატრონონ კვალადვე არჩილ: ხოლო მათ სიხარულით მოსცეს პირი მტკიცე ფი-ცითა და აცნობეს ესე არჩილს. არამედ მან არა ინება. გარნა განემზადა წარსლვად რუსეთს და

ქენებითა დისა თჳსისა თამარისათა დაადგრა მუნვე: ხოლო გიორგი მეფე ფიცისათჳს კახთა განვიდა ლილოსა ზედა, რათა დაიპყრას კახეთი და მუნიდამ წარავლინა ბარძიმ თავად სპათა, გივი ამილახორი და სპასპეტი თამაზ და ქართველნი: ამათ მისრულთა ნინოწმიდას მოერთო სალთხუცესი ჩოლაყაშვილი რევაზ მოკიდებულითა თჳსითა და ნინოწმიდელი უმასპინძლებდათ. არამედ დუშიანი ქისიყის მოურავი მოვიდა მთა მთად მცირედითა თუშით და ქისიყითა, არა ბრძოლად. გარნა რათა ჰყოს ზავი მათ თანა: ხოლო ესე ბარძიმ იყო ამაყი, თავხედი, კადნიერი და ჯრა რაიდ ვისმე ჩნდა და უმეტეს კახნი: ამისი მცნობი და მგონებელი დუშიანი ბრძოლად მოსლვისა, ღვინოსმული დამთვრალი განრისხნა ფრიად და არღარა ისმინა ვისიმე და მიეტევა ბრძოლად: მაშინ დუშიამ შიშისათჳს იწყო სროლა თოფთა, ჰკრეს ბარძიმს მკერდსა და განვლო ბეჭსა მისსა და შეიღეს მოწყლული ნინოწმიდის ზღუდესა შინა და განამაგრეს უმათა მისთა ზღუდე ეკკლესიისა: ხოლო ქართველნი ლტოლვილნი მოვიდნენ წინაშე გიორგი მეფისა ლილოსვე. მერმე უკმოიქცა მეფე და მოვიდა მცხეთას: კვალად ეზრახა გიორგი მეფე არჩილს, რათა დაიპყრას კახეთი, რამეთუ ევედრებოდნენ კახნი მისათჳს და არჩილ არა ინება და წარვიდა ოსეთს: ხოლო მეფე გიორგი კვალად დადგა კოჟორსა ზედა და მოაყენა ქაიხოსრო ძმისწული თჳსი გორს, რამეთუ იოთამ ამილახორი მას შინა მყოფი არბევდა მუნიდამ ქართლს: კვალად ეზრახა გიორგი მეფე შამხალსა, რათა მწე ეყოს და მან აღუთქვა აჰმადბეგ ალიაღის შვილის დესპანობითა: ამისათჳს წარავლინა ძმისწული თჳსი ვახტანგ მძევლად შამხლისასთანა პაემნითა ამით, რათა ოდეს მოვიდეს ძე შამხლისა ქართლს, მაშინ ვახტანგცა მივიდეს შამხლისასთანა: არამედ მოუგზავნა ნიჭი დიდი ყეენმან შამხალსა. „ვინადგან გიპყრავს გზა, წარსრული არჩილ მეფე რუსეთს შეიპყარ და წარმომივლინე წინაშე ჩემსა:“ ამისთჳს უგულებელსჰყო ფიცი და პაემანი შამხალმან და რა შეიპყრეს არჩილ მეფე ჩერქეზს, ესე სცნა ვახტანგ კევსამელოფმან, წარმოვიდა და მოვიდა გორს ძმისა თჳსისა ქაიხოსროსთანა:

ამ ჟამთა ეზრახა აბაზყული ხანს ნაზარალიხან, რათა დაიპყრას ერწო თიანეთი: შეჰკრიბეს ამათ სპანი და მოგზავნეს თიანეთს. ამათ ზედა წარმოავლინა მეფემან პაპუა მუხრანბატონი, 146
და ერისთავი გიორგი სპითურთ: მისრულთა ჰყვეს ბრძოლა კვეთებითა ძლიერითა და ივლტოდნენ სპანი ჩვენნი: ამისი მცნობელი მეფე მოვიდა თიანეთს სპითა და დაიპყრა კვალად თიანეთი. ამისთჳს მოვიდა ერეკლე მეფეცა და დადგა იგი ქართლისუბანს: მაშინ ეზრახნენ გიორგი და ერეკლე მეფენი ურთიერთს მნებებელნი, რათა დაიპყრას ქართლი გიორგიმ და კახეთი ერეკლემ და აუწყონ ყეენს: ეგრეთ მორჩილება მისივე და დასკუნესცა ესე პირი. არამედ არა აუფლეს მეშფოთეთა ესე ყოფად: შემდგომად ინება მეფემან გიორგიმ ბრძოლა და ესეცა არა ინება გიორგი ერისთავმან, ვინადგან იყო შეუმართებელი და შფოთმოყვარე და განზრახვითა მისითა უკუმოიქცა მეფე გიორგი სპითა: ხოლო ერეკლე მეფემან დაიპყრა თიანეთი, არაგვის აღმოსავლეთი სრულიად: მაშინ გიორგი მეფე რა თვით ვერღარა ეუფლა ბრძოლასა, წარავლინა ძე იასონ ერის-

თჳსისა თეიმურაზ სპითა: ამათ მოსრნეს ნაზარალი-ხანისანი, ხოცნეს და წარმოიყვნეს არაგვის გიდენი და დაიპყრნეს იგინი: გვალად წარავლინა მეფე-მან ზაალ ხერხეულიძე სპითა. ესენი მივიდნენ და მოსტყუვნეს შარტყლოვი: ესმა ესე ერეკლე მეფესა და წარმოუძღვა სპასა. არამედ ამათ შე-მოასწრნეს მცხეთას და მოსრული ერეკლე მეფე მოადგა გარს: ამისი მხილველი გიორგი მეფე მსწრაფლ წარმოვიდა და არცა აქა აუვლო გიორგი ერისთავ-მან, რათა განვლოს დარიალი-კარი და მოასრან იგინი. არამედ მოვლეს ხადისტნიდამ, ხოლო მათ იხილეს რა მიმავალი სპანი მსწრაფლ განვიდნენ ჯვარს და დადგა შინ ერეკლე მეფე და ვერღარა ჰყვნეს ბრძოლა სიმაგრით-გამო. არამედ სდევნეს იმიერ და ამიერ და სპანი ბრძოდნენ მარადის ქს. ჩქჟდ, ქრ. უპბ:

შემდგომად მოიღნეს ნაზარზანნი ტფილისიდამ მათ და ისროდნენ, გარნა ვერ ავნეს გათა. არამედ ეცა მცხეთას ეკკლესიასა: მაშინ ამათ რისხვისლ-იქმნეს და გეოტიბით მეხისათა, იქმნა ყოფილიბაში ბეგან, ვითარცა მეწყდარი. ხოლო ქვეყანამეყდველ ექმნა გიორგი მეფესა ცილი ცილი-შვილი და აცნობებდა ყოველსავე ნაზარალიხანს, რამეთუ იყო დობის შის-თანა: ამის-თჳს შეიპყრა გიორგი მეფე-მან ცილი, მოაშთო იგი და მისცა სასჯელი ფარსადანის ნოდარის ძესა: გვალად შეპყრობისა მეფე-მან ქაიხოსროს მმის-წულისა თჳისისა სასჯელ ბექან, ყინასთან ამხედრე-და იგიცა ნაზარალიხანის-თანა და აღმოსავლის თვალნი (ვითარცა მან-მან მის-მან შორეულ ქეხოს-ყალის ყოფასა შინა არა მისცა მეფესა ღვინო აჭყლიდამ, ამის-თჳს შეიპყრა და აღმოხადნა თუალნი): ხოლო შემდგომად მოუწოდა ერეკლესა აბაზყულიხანს და ამით განგრძელდა ბრძოლა შენებური და ვერარა რაი ავნეს ურთიერთსა. შერიგებისთჳს უგზავნეს ნაზარალიხანს და აბაზყულიხანს და მივიდნენ ტფილისს: შემდგომად ამისა გამოვიდა ერეკლე მეფე საომრად. ესე ესმა კრწანისს მდგომ-მან მეფე-მან და აცნობა არაგვს, შეკრბნეს ძმანი და მოვიდნენ ვარზიანს: ჭისცა მეფე-მან ბოლნისის ეომა ერეკლესა და იძლია მის ჴელა, რამეთუ იყო მცირედითა სპითა: ესე აცნობეს ერე-კლე მეფესა და მსწრაფლ წარვიდა ბორჩალოსა: ამასვე ჟამსა მოაკვდინეს მეფესა გიორგის, რამეთუ მოვლენ თუშნი და გახნა საბასინი წინაშე ერეკლე მეფისა: მსმენელნი სპანი წამსავე აღმჴედრდნენ სრულიად და მიეტევნენ: მხილველნი თუშნი შეკრბნეს ტალავრის-ბოლოს გორასა ზედა და მის-რულ მდგომარეობასა იქმნა გულოვნული ბრძოლა ძლიერი. გარნა მოსწყვიტნეს და დაიპყრნეს ქარ-თველთა სრულიად და მათ მოკლეს ჩოლოყაშვილი გივი, მაჩაბლის-შვილი ბაადურ და სხვანიცა: გვალად მოესმათ ამბათ სპათა მოსვლა და მათ ზედა მის წარვიდა ვახტანგ ძმის-წული მეფისა და მიჰყვნენ სპანი: მისრულთა იხილეს ყიზილბაშთა სპანი, რამეთუ მოეგებოდა შაჰნავაზ ქს. ჩქჟბ, ქრ. უპ, თარიღსა 1104 და დასჯდა მის წელ მე მისი შაჰ-სულთან ყოფნ:

ამას წარმოეგზავნა ხალათი ერეკლე მეფისათჳს და მოიწადებინ ტფილისს მეფეთა მცხეთ-თა ყიზილბაშთა: ამათ მიეტევნეს ქართველნი და მოსრნეს სრულიად. მაშინ ვახტანგ სცა ოროალი სპარსსა და სხვა-მან მოუწყო ისარი, იხილა ხერხეულიძემ ხოხონას და დაჰკრა მკერდსა ზედა ფარი ვახტანგს, ჭკრა სპარს-მან მას და განვლო ფარი და ჯერ-ღარა ავნო ვახტანგს: გვალად

მხნედ გამოსცნდა სპარსი ერი, რამეთუ ჩამოჰქუარნა ხუთსი მხედარნი, მხნე ჭაბუკნი: შემდგომად შეიპყრა იგიცა გოსტაშაბისშვილ-მან სიღნაღს და განუტევა მშვიდობით სიმხნისა მისისა-თჳს: ხოლო ერეკლე-მ განვლო გაზაფხული. მცხოვან-მან გიორგი მეფე-მან ისმინა წინ-გარდასწრობა და შემურობა მისი. არამედ არა ათვლა არჩილ მეფე-მან და შემოვიდა ერეკლე მეფე ტფილისს. ხოლო გიორგი მეფე მივიდა გორდად კრწანისს: ამის-თჳს წარვიდნის ნაზარალიხან ყათლანის-შვილი ლუარსაბ წინაშე ყეენისა და შეასმინა აბაზ-ყულიხანს, რამეთუ არს მეგობარი გიორგი მეფისა და არა სცნობს მეწყალსა ჩუმი და მოითხოვა შეწყნა სპით: მაშინ შაჰ-სულეიმან უბრძანა მოიყვანა ბატონობიდამ ლევანი და ლუარსაბ ძმანი მეფისანი და ძე მეფისა გიორგისა ბაგრატ წინათვე მოყვანილი იყო სპარსთ, რომელიცა უბოძეს მეფესა ახალციხესავე:

ხოლო ერეკლე მეფესა ესმინა და წარმოავლინა სპითა დიდითა ქალბალიხან და მოუწერა ერეკლე მეფესა, რათა შეიპყრას აბას-ყულიხან და წარგზავნოს მის წინაშე: ხოლო ზამთარსა ამას მიიცვალა დედოფალი ხვარამზე ქს. ჩქვა, ქრ. ტპზ, და არჩილ მეფესაცა ამავ ზამთარს მოუკლდა სიყვარული ძისა თჳსისა მამუკასი მოსკოვიდამ. არამედ შემდგომად გლოვა-მწუხარებისა იქორწინეს მეფესი ზოგად: შემდგომად ზამთრისა ამას მოვიდა ქალბალიხან ხუნანს სპითა დიდითა, შეეყენა მას ერეკლე მეფე. ხოლო გიორგი მეფე დადგა დიდგორისა ზედა. არამედ ესეცა არა აუვლეს ბრძოლად გიორგი მეფე, რამეთუ ვინად-გან შეუმართებელნი იყვნეს გიორგი და დათუნა ერისთავნი მინდორისა ზედა, და არცა თამაზ სპასპეტ-მან ისმინა ჩინება შემოსრულთა ყიზილბაშთა ბრძოლა, რამეთუ იყო მამული მისი, ყიზილბაშთა სისხლთა რიდებითა და ამათ ყოველთა უფროის სათნოთი ყეენისათა არა ისმინეს: ხოლო ნაზარალიხან და ქალბალიხან შემოვლნეს სომხითი, დბანის-ხევი და დასდგნეს კარაბულახს, და გიორგი მეფეცა მივიდა და დასდგა კლდეკარს: მაშინ ერეკლე მეფე და ალექსანდრე იმერთა მეგობრობდნენ. ამის-თჳს მოუხდა ალჳს და ტომა ჭეგსა: მისულ-მან არჩილ მეფე-მან ტაშის-კარს მდგომ-მან დევნა უყო, არამედ მას ვერღარა ეწია და დაარღვიეს ტუმენი: ამის-თჳს აზრახეს არჩილ და გიორგი მეფენი იმერთა. ხოლო იმერთა შეიპყრეს ალექსანდრე და მოსცეს მეფეთა, ამათ მოიყვანეს და მოაშთვეს იგი რუისს

არამედ ბრძოლა ქართველთა და ყიზილბაშთა განგრძელდა, რამეთუ ყიზილბაშნი მოღუთდინენი 146
სულ-მოკლებისა და უგუნურებისა ქართველთასა. ხოლო ქართველნი წარჩინებულნი არა მიჰბაძულნი ბრძოლისანი და სიმაგრეთა მათთა იმედებულნი, იტყოდნენ: „ფიცხლად თოვლი. და უგუნურებენ ყიზილბაშნი:“ არამედ მეფე წადიერ იყო ბრძოლისა, ვინად-გან უწყოდა უკეთუ დასძრეს მუნიდამ, ვერღარა დაუდგრომიდნენ სიმაგრეთა მათთა და დაბრკოლდებოდნენ ესე ვითარებითა. გარნა შინა-განმცემელნიცა მრავალნი იყვნენ, ვითარცა ესე, რამეთუ უბრძანა მეფე-მან ძმის-წულსა თჳსსა ქაიხოსროს მისლვად სპითა და მოსრვა მებალახეთა და წარმოღება ცხენთა მათთა და მათთა წარმოდგომილთა სპათა ყიზილბაშთა აგზავნეს, მერმე სპანი მეფისანი დიდნი და მოსრვან იგინი. ესე იცნეს მათ შინაგანმცემელთა-გან, და მათ განაწყუნეს მუნ სპანი რჩეულნი. ხოლო მისრულ-

სა ქაიხოსროს ბრძანებისაებრ ეგზავნენ მხარ-ოთველნი იგი ყარხაღანსა შინა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდა სიმრავლე და მოუკლეს ქაიხოსროს ცხენი: მაშინ მხსნელ გამოიხსნა ზაალ ფალდა-განდის-შვილი, გარდახდა და მისცა ცხენი თვისი ქაიხოსროს და თჳთ ბრძოდა: შემდგომად ამო-ცნეს ქართველნი და მოჰკლეს ზაალცა მისი მეორეს დღეს წარმოავლინეს ქაიხოსრო ლოზინის სპითა; ამან გარდმოჰყვლო მთა თორისა გუჯარეთსა ზედა და დასდგა ბეჟანიშვილს. ამის-მან შესმო-ბელ-მან მეფე-მან გიორგი წარავლინა ყარსხანს ციცი-შვილი და ზურაბ ერისთვის-შვილი. არამედ ამათ ვერა-რა აგნეს ქაიხოსროს და დაიპყრა საციციანო მან: ამის მცნობელი ქალბალიხან წარმო-ემართა სპითა. ხოლო მეფე აიძულებდა ქართველთა ბრძოლად. არამედ არა ისმენს გვალად მთავართა. ამის-თჳს წარმოვიდა მეფე გორიდამ, აჰყარა მან მდგომნი დედა-წულნი თვისნი და სახლეულნი და წარვიდა იმერეთს. ქს. ჩქჟე, ქრ ცპგ:

---

## წარვიდა გიორგი მეფე იმერეთს და ჰასან-ხან სპარსეთს:

ხოლო ნაზარალი-ხან და ქალბალი-ხან მოვიდნენ გორს, წარავლინეს და მოარბიეს რომელნიმე ხერსი-დაბნისნი. გარნა მთავარნი ყოველნი-რა განმაგრდნეს სიმაგრეთა შინა თვისთა ყმათა თვისთა გამო და გიორგი ერისთავი და გივი ამილახორი წარვიდნენ დვალეთს და მუხრანს იმერეთს, და თვით ერისთავი მოიყვანეს ყმათა თვისთა მაღრანელ-დვალელთა წინაშე ერეკლესა. გარნა ზაზუა მუხრან-ბატონი და თამაზ სპასპეტი ძმა მამუკასი ყოველნი ქმნილნი მოვიდნენ ქალბალი-ხანისა-თანა, ესე ყოველნი განზრახვითა ერეკლე მეფისათა წარავლინის ქალბალიხან წინაშე ყეენისა. ხოლო ყეენ-მან წარავლინა მატიმარნი ქირმანს: შემდგომად ამათა მისლვისა მივიდნენ ყოველნი ქართველნი ერეკლე მეფისა-თანა. მერმე უწინარესად ბაიდაშ ვგისთა ქაიხოსრო ძე ლევანისა ქალბალიხანის, რათა წარავლინოს წინაშე ყეენისა და მივიდეს მის-თანა: მან სიხარულით აღუთქვა და მისრული გულით შეიწყნარა და წარავლინა წინაშე ყეენისა: ამას ყეენ-მანცა მატიო-სცა, რამეთუ იყო მამაცა მისი მეფე არამედ ვინაიდგან მტერ-იყვნენ ქალბალიხან და ერეკლე-ხანი ამისთჳს ქაიხოსრო ერეკლე-ხანი გიორგი მეფისა, რათა წარვიდეს წინაშე ყეენისა და მან წარმარ-თოს საქმე მისი ყოველნი და მოსცეს ყეენ-მან ქართლი და ნაშნი დიდი: მისცემელ-მან მეფე-მან ამას ზედა მისცა მარი მტკიცე წარსვლისა-თჳს. ხოლო ჩერქეზის ბატონის-ასული რუსუდან, რომელი მოიყვანა ძისა თვისისა-თჳს მეფისა, ესე მირზელეცა მიეცა ძმის-წულისა თჳსისა ვახტანგ-

გისა-თჳს და შემდგომად ქაიხოსროს წარსლვისა წარიყვანა ცხეთას, იგი და დედა-ნათესავი თჳისი და ძმანი თჳსნი და მიიღო ხარაგაულს და მის ნებითა მეფისათა ჴელთ ქორწილი არა ლიდებულიყო: ხოლო ერევნის-ხანს მეის ეყობა ყეენისა-თჳს მისლვა მეფისა: მსმენელ-მან ყეენ-მან ამის-თჳს მოსცა ხანსა მას თოფანჩი-აღასობა და მეფისა-თჳს წარმოავლინა მეჭმანდარი, (მესტუმრე): და ესე მოვიდა აღეს, მცხეთას მეფესთან მივიდა აღეს, წარუძღვა მეჭმანდარი დიდითა პატივითა, ჩავლო ქართლი, შეყრა ატენი, განვლო თრიალეთი, ახალქა და მივიდა ერევანს ქს. ჩხპჱ, ქრ. ტოვ. შემდგომად მივიდა ისპაჰანს წინაშე ყეენისა, პატივ-სცა და ტკბილად შეიწყნარა, მისცა ნიჭნი და განსვენებელნი, და დაიჭირნეს მეფესა ძმანი მისნი ლევან და ლუარსაბ და ძმის-წული ქაიხოსრო. არამედ ძმის-წული მეფისა ცხეთას დაშთა სახლეულითურთ იმერეთს: ხოლო შემდგომად გიორგი მეფის წარსლვისა წარვიდა ქალბალიხან განყოფ სპითურთ და ერეკლე-მ დაიპყრა სრულიად ქართლი, განაგდო ყოვლად კათალიკოზობიდამ ნიკოლოზ და დასვა იოანე: ყოვლად გარნა თუ უპყრა გახეთი ქალბალიხანს. არამედ მარადის იყვნენ წინაშე ერეკლესსა და თუშნი, ქისიყნი და ერწო-თიანელნი ეპყრა ერეკლეს: ყოვლად დასვა არაგვის ერისთავად ბაინდურ, ქსნისად დავით, ბიძა-შვილი დათუნასი, ამილახორად ოთამ, სპასპეტად ლუარსაბ ყაფლანის-შვილი, მუხრანის-ბატონად კონსტანტინე: ყოვლად დაამდაბლნა ერთ-გულნი გიორგი მეფისანი და ზოგთა მიუხუნა მამულნი და აღამაღლნა გარნა უმეტეს ზირგელისა და მისცნა მამულნი მათნი და უმეტეს ტფილისის მცველნი, განადიდნა და შეიყვარნა, რამეთუ არღარა იცვალებოდნენ, მერმე გარდა ხიდი ნაყენს-მტკვრისა ჰყვა და ეტყოდა შეწირულებულთა ქართველთა გლეხთა: „განსვენებული, აჰა გახეთი მშვიდობისა:“ და აღისყენოდა განკვეთ ქრისტეს. ყოვლად დაიმორჩილნა ესრეთ, რამეთუ რაი-თუ მცირედი დაკარგულ იყო, შეიმწყნის სადროშოებსა კათალიკოზისა, მუხრან-ბატონისა, არაგვ-ქსნის ერისთავთა და ამილახორისა, და მასვე ჟამსა მისა მოადგენინა და ამისა მოქმედი მარადის იყო უმეტეს მყენა-განცხრომასა მისა: არამედ არა ჰყვა ცოლი, გარნა ხარჭანი და ქართველთა განზრახვითა მოითხოვნით მოიყვანა, რომელი დაუტევებდა ისპაჰანს მით და ასულითა ასნა, რომელი ქორწინის მენდე ასულით ელენეთი. ხოლო იყ მისი ლვინო დასხა მეფეზე: შემდგომად ყოვლად აღაშენა ნაგებნი სასახლე და იყოფოდა მარადის ზამთარს მუნ ნადირობით, ნადიმობით და მგოსნითა:

ამას ჟამსა აზარფეშიან სიღნაღით მცველნი ციხის თოხარანი ტფილისისა, გორისა და სურამისა ტყვეთა და ჭყიდიან და შეყრია ქართველთავე ყიდვა ტყვეთა და იცვალებოდა ქვეყანანი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ჩვე-წესითა და ყოფილთა უწესოებითა ქრისტიანეულისათა ცოდვითურთ: შემდგომად მოკვდა კათალიკოზი იოანე. ქს. ჩღ, ქრ. ტპჱ, დასვა ერეკლე-მ ევდემოს ძმის-წული იოანესი: ხოლო მოკლეს ქსნის-ხეველთა განზრახვითა დათუნას ერისთავის დედისათა დავით ერისთავი, შეუსმინა ერეკლე მეფესა, განრისხდა და წარავლინა 148
ჯარი ქართლის დროშა, შეუსიეს ქსანსა და მოაოხრნეს და დაიპყრა ერეკლე მეფე-მან მისნი მამულნი:

შემდგომად ეშინოდა შესმენა ყეენისა და ამის-თჳს მოითხოვა დათუნა ერისთავი ყეენისა-გან, მოიყვანა და მისცა ერისთობა მასვე (¹): ხოლო იმერეთს მოკლეს რა სვიმონ ალუქმნა ესე ერეკლე მეფესა, ვინაჲთგან იყო წარვლინებული მის მიერ და შეკრებული ქართველ-კახთა სპითა მივიდა დალალულასა მისა, რათა შეიპყრას აბაშიძე და მიუხვას ხევისის-ხევი, რამეთუ შემდგომად გიორგი მეფის წარსლვისა მას ეპყრა. არამედ ვინადგან იმერნი მტკიცედ დგნენ აბაშიძისად, ამის-თჳს განზრახვითა ყოვლისა ვეზირისა და ლუარსაბ სპასპეტისათა მოიქცა ტფილისადვე:

ხოლო რაჟამს აღსდგნეს ბულუჭ-აზარანი და ავღანნი, ესენი მეკობრობით არბევდნენ ქირმანით იეზდამდე და ორმუზ-გზის წარავლინნა ყეენ-მან სპანი და სარდალნი, შარადის იგინი მძლე-ქმნებოდიან: ამის-თჳს აიძულებდა ყეენი გიორგი მეფესა, რათა განაგოს საქმე ესე და მოანიჭოს კვალად ქართლი და არა ინებებდა მეფე. არამედ ქართველნი, რომელნი იყვნეს მის-თანა ევედრებოდნენ ყოფად ამისა: ამის-თჳს ინება მეფე-მან, მისცეს ქირმანი და ნიჭნი დიდნი: ხოლო მეფე-მან პირველ წარავლინა ძმა თჳსი ლევან ქირმანს მცირედითა ქართველითა და მისრული ქირმანს ლევან წარვიდა ლუთაბარსა ზედა, რომელთა ჰყვათ დედაკაცი, სახელოვანი ბრძოლათა და შფოთ-თებათა შინა მათთა: არამედ ლუთაბარელნი ვერ წინა-აღუდგნენ და მოსცეს დედაკაცი იგი, და მუნვე მოჰკლა იგი ძლისა და დაიმორჩილნა იგინი: შემდგომად გამოვიდა მარბიელად სპანი დიდნი ბულუჭთა, ამათ ეწყო ლევან და მოსწყვიტნა სრულიად, რამეთუ ვერ განერა ერთიცა: კვალად შემდგომად ამისა სამ-გზის მოსრულნი მარბიელნი სპანი დიდნი მოსრნა ლევან და წარუვლინნა თავნი მათნი ყეენსა. ამის-თჳს ყეენ-მან ანიჭნა დიდნი: შემდგომად მოავლინა მეფეცა არა დიდითა სპითა ქართველითა. არამედ მოგზაურს მეფესა ძლევნიდიან სრულიად სპარსნი: კვალად გამოვიდნენ ბულუჭნი და მოაოხრეს სრულიად ხვარასანი: შემოიკრიბნა მეფე-მან ამის-თჳს სპანი ქირმანისანი და ქართველნი მის-თანა, ვლო უდაბნო ძნელი და უწყლო და მოეწია მათ: მხილველნი იგინი განმაგრდნენ გორა-გორათა ზედა: მაშინ განჰყო მეფე-მან სპანი თჳსნი, ლევან და ქართველნი ერთ-გვრდით და თჳთ ერთ-გვრდით, მიეტევნენ ფიცხლად და შეუხდნენ ქართველნი ზღუდეთა მათთა და შემუსრნეს და მოსწყვიტნეს სრულიად, რამეთუ ვერ განერნეს ერთიცა, მოიქცა მეფე ქირმანს და წარუვლინა თავნი მათნი ყეენსა: ამის-თჳს მოანიჭნა ნიჭნი ურიცხვნი ყეენ-მან და ლევანს მისცა მსაჯულთ-უხუცესობა ერანისა და ქაიხოსროს ტარუღობა ისპაჰნისა და მოუწოდა ლევანს ისპაჰნს წინაშე თჳსსა: მაშინ აუწყა მეფე-მან ყეენსა ლევანის-გამო: „რამეთუ მწირ არს ძე ჩვენი ვახტანგ იმერეთს და უკეთუ არარა იყოს შეწევნა ჩვენ-მიერ წარვალს იგი რუსეთს და ამის-თჳს ჩვენ უვნო ვიყვნეთ წინაშე შენსა:“ მსმენელ-მან ყეენ-მან მსწრაფლ მოუწერა ერეკლე მეფესა,

---

(¹) ესე ზაქარია ერისთავისა გამა რა ყეენმა, მაშინ გიორგი მეფის-ძემან მისცა ერისთობა. ყეენ-მან მოჰგვარა რატიან-შვილს და ესე მოიყვანა ტფილისს ციხესა შინა. ეწყინა ერეკლე მეფესა, რათა მოიყვანა. არამედ არა ინება, რამეთუ ერთ-გულ გიორგი მეფისა იყო ერისთავად და ამისთჳს მოითხოვა დათუნა ერისთავი. ხოლო ზაალ წარიყვანა ისპაჰანსა.

რათა მოიყვანოს ვახტანგ ქართლს და მისცეს ყოველნი საუფლის-წულონი მამისა თჳსისა ლევანისა: ხოლო ერეკლე მეფე დაღაცათუ არა მნებებელი ამისა, ვერ ურჩ-ექმნებოდა ყეენსა. ამის-თჳს წარმოუვლინა ვახტანგს კათალიკოზი ევდემოს და სპასპეტი ლუარსაბ და მიუწოდა ვახტანგს: მაშინ ვახტანგს მოსცლიდა წარგზავნილი თჳსი ზალია შანშია-შვილი ძე ბაადურისა და მამუკა შათირი არშილ მეფისა-გან, რათა წარვიდეს რუსეთს: ამის-თჳს ვახტანგს განეზრახა იმერთა წარჩინებულთა წარვიდეს თუ რუსეთს ანუ ქართლს: ხოლო მათ განუზრახეს: მისლვა ქართლს, წარმოვიდა და მოვიდა ალს, მუნ შემოეგებნეს კათალიკოზ-მან და ლუარსაბ უფნებელობისა-თჳს და მერმე მივიდა ტფილისს, ქს. ჩლა, ქრ. ტჳთ:

მისრული ვახტანგ ერეკლე მეფე-მ კეთილად შეიტკბო და სცა პატივი დიდი და აუფლა ბრძანებულია ზედა ყოველთა. მერმე მოვიდა სურამს ვახტანგ და მოიყვანა ცოლი და ძენი თჳსნი და სახლეულნი და იყოფოდა ოდესმე ნაზარალიხანისა-თანა: ხოლო რაჟამს ეუფლა ვახტანგს მამულსა თჳსსა შოსცა აბაშიძე-მ ხეფიის-კევი: „ვინად-გან მკვიდრი თქვენი არს:“

ხოლო მეფე-მან გიორგი-მ დაამშჳდნა ყოველნი ურჩნი, რამეთუ ხოსრო-შა და შადაღა, მპყრობელნი ბელუჯისანი მოვიდნენ წინაშე მისსა შიშით შეძრწუნებულნი და თაყვანის-მცემელნი: შემდგომად კვალად ინდოთ მესაზღვრენი ავღანნი და ბელუჯნი მოვიდნენ მორჩილად ხორასნისა: ამათ ჰყვა წარავლინა მეფე-მან სპანი ქართველ-ყიზილბაშნი. ამათ განვლეს უდაბნო სასტიკი, ეწყვნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. არამედ სვე-მან მეფისა-მან სძლო და მოსრნეს სრულიად განურისხებელად და მოვიდნენ წინაშე მეფისა გამარჯვებულნი: არამედ შემდგომად ყანდაარის ხანს აღუდგნეს ბელუჯნი და უფროს მირსამანდარ და აოხრებდნენ ყანდაარის გარემოსთა. ხოლო ხან-მან მან წარავლინა სპასპეტი თამაზ, რამეთუ იყო ბიძა თამაზისა, ბრძოლად მათდა და მრავალ-გზის სძლო მათ თამაზ. შემდგომად დაესხა მირსამანდარ, მოჰკლა თამაზ და მოსწყვიდნა სპანი მისნი, და შემდგომად ამისა ვერღარა წინა-აღუდგა ყანდაარის-ხანი და მარადის აოხრებდნენ სა-ნახებსა ყანდაარისასა, რამეთუ ვერღა-რა გამოვიდის ხანი ციხე-დამ: ესე ყოველი რა ესმა ყეენსა უბრძანა ლევანს, რათა მიიღოს გიორგი მეფე-მან კვალად ქართლი და სპასალარობა ერანისა და განაგოს საქმე ყანდაარისა: ხოლო ლევან მოწყალედ აუწყა ესე მეფესა და აღუთქვა ფრიად საქმე ესე მეფესა და არა ენება. არამედ აიძულებდეს მის-თანა მყოფნი ქართველნი ამის ყოფად: ამის-თჳს ნებავ-სცა ყეენსა, რათა მისცეს აწვე განმგეობა ქართლისა ვახტანგს და მერმე წარავლინოს ლევან ქართლს, რათა მან განაგოს საქმენი დაშლილნი მანდატურნი და წარუგზავნოს სპანი ქართლისანი: მოხსენებულ-მან ყეენ-მან ესე ყოველი აღუსრულა გიორგი მეფესა და მოსწერა ნაზარ-ალიხანს: „მივეც ქართლი გიორგი მეფესა-გვე, ხოლო შენდა მომინიჭებიეს კახეთი და ყულარ-აღასობა, აწვე წარმოვედ წინაშე ჩემსა:“ ამისი მსმენელი ერეკლე მეფე წარვიდა და მიიყვანა ცოლ-შვილნი მარტყოფს. ხოლო თვით მოიქცა ტფილისვე წარსლვად წინაშე ყეენისა:

## ვახტანგ ჱ წელი განაგებდა:

ხოლო მოვიდა ვახტანგ ტფილისს და დაჯდა განმგედ ქართლისად ქს. ჩღგ, ქრ. ტჟა, თათრულს 1015: მოვიდა ლევან და ერეკლე მეფე წარვიდა ისპაჰანს მაისსა შინა: შემდგომად ივლის-
149 სა შინა იგ მოვიდა ლევანცა. არამედ ესე ლევან იყო სიჭაბუკითგანვე ღმრთის-მოყვარე, ეკლესიათა მაშენებელი, შემკობელი, მდაბალი და ბოროტისა არ მომხსენებელი, მოწყალე, მშვიდი, ღრმად-გამსინჯველი და მიუშვარი: ამან განაგნა ყოველნი საქმენი ქართლისანი და არცა-ღა ვის მიაგო ბოროტებისა წილი ქმნულთა მათთა, რომელნი უყვეს მეფესა გიორგის: (¹) შემდგომად კვალად მოხსენებითა მეფისათა გამოუტევნა ყეენ-მან გიორგი ერისთავი, შაჰუა მეხრას-ბატონი და სრულიად ქართველნი ნიჭითა, ხოლო ლევან წარავლინა სპანი ქართველნი წინაშე მეფისა გიორგისა ც მხედარნი, და ესენი რა მოვიდნენ ქირმანს წინაშე მეფისა წარვიდა მეფე ყანდაარს. გარნა წინათვე წარევლინა სისტანის-ხანი და კაცია მე ითმაზის მეფესა. ამათ მისვლასა ზედა სმოდათ აგლანთა და აზარათა მისვლაცა მეფისა, ამის-თვის დამორჩილდებოდნენ და არღა-რა იყო რბევა მათ მიერ. ხოლო წარსრულ-მან მეფე-მან განვლო უდაბნო ფიცხელი და მივიდა სისტანს, შენიდამ გირიშკს და გირიშკიდამ მივიდა ყანდაარს. მისვლასა მეფისასა დაეცათ შიში და ძრწოლა ყოველთა და მოერთვნენ სრულიად ყოველნი: შემდგომად ბრძანა: „ყოველნი მორჩილნი ბრძანებისანი მოვიდნენ წინაშე ჩემსა და მივანიჭო მათ ღირსნი პატივნი, უკეთუ არა ინებონ მოვსრნე მახვილითა უწყალოდ:“ ამისნი მსმენელნი მოვიდნენ ყოველნივე ძღვნითა დიდითა წინაშე მეფისა და დაემორჩილნა სრულიად და მეხარკე-ჰყვნა, მერმე განვიდა ნადირობად სპითა დიდითა, ესე ჰგონა მირსა-მანდარ მისვლა მის ზედა მეფისა, მსწრაფლ წარმოვიდა ძმის-წულითა და ხუთ-ოდენ მონითა და მოვიდა წინაშე მეფისა: ამის-თჳს მეფე-მან პატივ-სცა და მისცნა ნიჭნი და შემდგომად ფიცით მორჩილება მეხარკობასა ზედა პაემანის დამდები განუტევა: შემდგომად წარმოევლინა ქობულს-მჯდომს ინდოთ მეფის ძეს ელჩანი ძღვნითა დიდითა მშვიდობის მთხოველსა, რამეთუ ჰგონებდა იგიცა მისლვასა მეფისასა თვის ზედა: ხოლო მეფე-მან წარმოუვლინა ძღვენი იგი და წიგნი მისი ყეენსა: ამის-თჳს ყეენი ფრიად მადლიერი იქმნა და მიანიჭნა იგინიცა მეფესა და სხვანი უმეტესნი

---

(¹) [illegible]

და გვალად სამღრთოვა მის ისლით მეფის მისა და უბრძანა წარვლინება დესპანისა თვისისა და ამის-თჳს მისანდობელი იქმნა ფრიად ყეენისა მეფე და შეურობდენ ამას ყიზილბაშნი:

ხოლო ლევან განაგნა დაშლილნი ყოველნი ქართლისანი და დაჭირა თითქმ იე ქართლს და დაუტევა ძე თჳსი ვახტანგ გამგედ ქართლისა და იესე ძე თვისი წარიყვანა ისპაჰნს, ქრისტესით **ჩღბ**, სეკდემბერს კვ, თათრულს **1116**: და ესე ვახტანგ იყო ღმრთის-მოშიში და მოყვარე და ფრიად მოღვაწე, სამღვდელოთა პატივის-მცემელი, ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, შემბრალე, ეკკლესიათა მაშენებელი ხატთა და ჯუართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნის-მოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შვენიერ-ჭაერიოვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი. არამედ მრისხანე: ამან მოიწყო ყოვლითა ქართველნი, გარნა მიეცა კათალიკოსობა მეფესა ნიკოლოზისა-თვისვე. არამედ შეითქვნეს ეპისკოპოსნი და არქიმანდრიტნი და არღარა იწებეს ნიკოლოზ, რამეთუ არს სოფლიერი და ევდემოს დაუდგეს უმეცრება და გამოარჩევით დაადგინეს ნებითა ვახტანგისათა კათალიკოზად დომენტი ძე ლევანისა და ძმა ვახტანგისა, ახლად მოსრული რუსეთიდამ და აკურთხეს ქს. **ჩღე** ქრ. **ტჟგ**: ხოლო ვახტანგ აღაშენა და განავრცო ქართლი, რამეთუ რომელნი ჟამსა ერეკლე მეფისასა მოსრულნი იყვნეს კახეთს ქართველნი, ამან ბრძანებითა ყეენისათა გამოიყვანნა ყოველნი და დასხნა თვისთავე ადგილთა ზედა: ამას მოარჩილებდენ იმერნი, უსმენდენ კახნი, მოიღო მეკეჭდველობა ვლახეთიდამ და განამრავლნა წიგნნი საღმრთონი, რამეთუ უმეცარნიცა სამღვდელოთა წერილთა იგონებდიან, განაწესნა სჯანი რომლითა მცველად თვისად. დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი, მოსპნა ტყვის-ყიდვა, დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისის ციხის-მცველნი, აღამაღლნა ქართველნი, გაიღო რუსი და აღაშენნა მრავალნი დაბნები: ხოლო კათალიკოზს დომენტის არა აუფლეს კახთა კახეთს მამული თვისი. ამის-თჳს წარვიდა წინაშე ყეენისა ქს. **ჩღზ**, ქრ. **ტჟე**: მისრულსა კათალიკოზს პატივ-სცა ყეენ-მან და მისცნა ყოველნი მამულნი თვისნი და ნიჭი დიდი. შემდგომად გამოუტევა და მოვიდა ტფილისს ქს. **ჩღთ**, ქრ. **ტჟზ**. მერმე შთავიდა კათალიკოზი კახეთს, იმამყულის ხანის-თანა და აუფლეს მამულსა თვისსა და იყოფებოდა მოსრული მცხეთას:

ხოლო ყანდაარი რა დაამშვიდა მეფე-მან, კვალად განდგა აზარის სულტანი დაქუზ: ამისი უბრძანა მეფე-მან მირვეისს ანუ მოკლას იგი ანუ შეიპყრას და მოართვას მას: მაშინ მირვეის-მან მოკლა იგი ღალატად და მოართვა თავი მისი და დაიმორჩილა აზარა მეფე-მან. არამედ თავი დაქუზისა წარმოუვლინა ყეენსა მირვეისზით და მოუმცნო, რათა არღა-რა განუტეოს მირვეისი მუნ, ვინად-გან ბოროტი მანქანა იყო: ხოლო დიდებულთა ყეენისათა შურითა მეფისათა კვალად განუტევეს და ამცნეს მტერობა მეფისა და მირვეისი მოსრული ყანდაარს მარადის ეძიებდა ჟამსა სიკვდილისა-თჳს მეფისა. არამედ ხარისა-გან მეფისა იქმნებდა ფრიადსა ერთგულებასა: ხოლო მეფე-მან წარგზავნა იერუსალიმს ორი ათასი თუმანი სახსრად გოლგოთისა და ჯუარის-მონასტრისა და სხვანი მრავალნი შესამკობი მათნი: კვალად წარმოგზავნა ხატი ოქონისა და

ნაწილნი და ჭურჭელნი, რომელნი წინადვე იყო სამცხეს და შეიქმნა მას შინ მოყვანილ ყოველნი და მეფე-მან მას მიანიჭნა უმრავლესნი ნიჭნი. ხოლო ყაჩაღნი რა მოიყვანნეს ნაწილნი და ხატი ოქროსა თიჭშრისა იყვნისა და განიყვნეს დღესასწაულნი: არამედ რა განიცადა ძლიერება მეფისა შეიშინდა ყანდაარის სულტანისა აბდალის ღლტოლვილისა. ამისთვის კვლა მოვიდა მაშინ ციცი-შვილი-სათვის, რათა წარმოადგინოს წინაშე მეფისა, ვინაიდგან მას ეშურა სულტანობა იგი. არამედ ქა-დაგინარი იყო სულტანის მტერი, ამისთვის ქრთამი მაშინვე და მოიხსენიის მოკლეს სულტანი: ამისა შემდგომად მეფე განამხნა და ბრძანა თავის წარგზავნა მაშინვე. გარნა ვედრებითა ქართველ-თათა განერა: ამას ჟამსა შემოვიდა ქალაქითურ იგი და განძა თემით თვისით. ამისთვის გარდა-საწყენ-ნელ-მან მეფე-მან წარმოგზავნა მას ჩვიდა სპანი ქართველნი და ყანდაარისანი სრულიად: ამათ დროსვე ალექსანდრე ძე ლუარსაბ მისისა თვისისა ნამაბი ხარკისაგან და იგინი მეფე ღადგა აბდლის სპითა და ტახტისშვილითა თვისითა მეომრითა ქართველითა: მაშინ ამხილდა მეფისა ღალატი მარ-
150 გველისა-გან ამა-მან მარგველისა-განვე. არამედ არა ესმინა მეფე-მან: ხოლო სპათა მეფისათა მისრულთა შეიპყრნეს ხარჭნისნი და მოსრნეს წინა-მრავლნი და ტყვე-ქმნეს, აღიღეს ალა-ფნი მათნი დიდნი და დაიმორჩილნეს სრულიად: გარნა აქა მეფისათვის იდგა ტალღად მარგვისს, ამას იქა ჟამი და მოაწყო სპათა და მორჩილთა თვისთა. წარვიდა იღუმალ და მოვიდა სპათა თვისთა-თანა და მოიყვანა აბდალის სულტანის მოციქულნი: „ბრძანება არს მეფისა:" და წარვიდეს თავი: რამეთუ არა მორჩილ ექმნებოდა არავითარ ბრძანებათა მეფისათა, ვინაიდგან ერთ-გულებდა მეფისა და უკეთესმცა იგი არა მოკლეს გურა რაისამცა მკვიდრი იყო. მერმე მოვიდა მეფესა ჩვიდა. მაშინ ტალასი მეფისანი აბდალნი და მონასპანდარის მისი-წული და მცირედნი ქართველნი და იგინი მეფე უცხლად ბრძოდნენ და ვერ შეუძლოთ შეწევნად მარგველის-მან: ინება მეფე-მან აღ-მოფხვრა და ვერა ბრძოდა. არამედ არა აღუძლეს ყოველთა მეომართა, გარნა მოაქცია მარგველის-მან მოაქცევდა ყოველი თავი და ეტყოდა აბდალთა: „აჰა მოვიკვდე მეფე, იყავნ ქრისტე და და სამჭურჭლენი ოქროსა, ხოლო გატის ჩვენდა:" ამის მოწმისნი აბდალთა აღიღეს საშდომ-რე და იგლტოდნენ შემდგომად მოკლა მარგველისა მეფესა სპითა და ბრძენს ძლიერად მეფისათა. არამედ აღლაგვთა ბანაკთა მოკვდეს მეფე გიორგი ქს. ჩღთ, ქრ. ტკზ, დიდის სიყვარულისა და აჭარის ხატნი და ჭურჭელნი მეფესა მარგვის და ყოვლადვე, რომელნიცა იკითხვიდა ჟამსა მას და წარმოგზავნილნა ყოველსა მოციქულ-მან: „იყრეთ გამდუნებდა მეფე" მერმე მოიქცა ყანდაარს და და მცველთა ციხისათა მოუწოდა ყოველს მიერთა სიკვდილი მეფისა, ამისთვის მისცეს ყანდაარი და დაიპყრა მან: ვითა რა ესმათ ალექსანდრეს ქართველთა დამშლდნენ ურიად და განაახლებდნენ ყოველნი აგარნი და უკუმოაქცნეს რა გზასა ჩვიდა ეწიათ სპანი მარგვისისანი და მოსრნეს. არამედ მარადის მტერ ექმნებოდნენ ქართველნი და მოვიდნენ ციხესა მისსა დღე-ღამეისთანა და მუნ მოსცეს მარგვისისა-გან ლაშქრობა ყანდაარისა და წარვიდნენ გარდამე. არამედ ეტყოდა შეპყრო-ნეს და მოიყვანნეს ყანდაარსვე და მუნ შეიპყრნენ წარმოტაის სულტანსა მისა. მოვიდნენ და მო-

ურტყუნეს სპასა მირვანისასა: მაშინ ხუასნეთი სიკუდილისათა იყო-მაქმად ძმამან მირვანისა-მან წარიყვანა ალექსანდრე ყანდაარს: შემდგ ისხოვეს ქართველთა სპასპეტნი და აზნაურნი შეწევნისათჳს-ურთიერთად და დაშინებად მეფისა: შემდგომად კუალად ქართველთა და ლაშქ გამოუჩინეს მლაშე წყლისასა, გამოვიდნენ და წარმოვიდნენ და აქაცა შრავალ-გზის შეუწყნარეს სპასა მირვანისასა, გარის-მრე ქმნეს. ხოლო წელიწდა ყანდაარისა შეკრა სპათა და მოსრულითა ქართველთა, იხილეს რა შეიცვალნენ ცხენი და ურთ-სიმართლე გამოვიდნენ და იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, მოსრა ლაშქრისა ძლევა, აოტნეს და მოსწყვიტნეს მრავალნი. ვინაჲდგან წარმოსრულთა მრავალ-გზის ეწყვნეს, გარის ქართველნი მძლე ექმნებოდნენ: შემდგომად ეწყვნეს იგი მხედარნი ქართველთა სპასთა, ბრძოლს ძლიერად, ძლევით ლაშქრისათა მოსრნეს, რამეთუ მცირედნიღა განერნენ ლტოლვილი და ქართველნი მოვიდნენ გორისა გამარჯვებულნი: ხოლო სპარსელთაგან მირვანისა-თა არა მისცნეს აქაცა ნავნი, შეიცვალნეს ყოველად ცხენნი და განვიდნენ უგნოდ. ხოლო ღამით გატეხეს მუნ ციხესა ზედა, ამას მოსცვნეს ველისა, ჭერა გრძელი ქვეითმან და განჰკვეთა ველსა ყაზმისასა სრულიად და შეჰკრა ციხისა მისსა და გამოვიდა იგიცა: ხოლო ველისა მთავრობის განკვეთილი ყაზმანი მირვანისა და ჰრქუეს: „ამის მოქმედთა არა ძალ-უძს ბრძოლა:“ ხოლო ქართველნი შევიდნენ გორისა ციხესა შინა და განამაგრეს იგი. შემდგ აცნობეს ყეენსა ყოველი უთხრეს: შეუწყინდა ყეენსა ფრიად ესე, შემდგ მოუწოდა ქაიხოსროს ძესა ლევანისასა, მისცა ქართლი სამეფოდ და სპასალარობა ერანისა, რამეთუ ლევანი იყო ფრიად სახელობიერი და ქართველთა მათ წარჩინებულთა ნიჭი დიდი. ხოლო დაუცხრომელ-მან მანქანა-მან მირვაიზ შეიპყრობა იგი მხედარნი და მიუგზავნა გორისას, რათა გარდამოგდებულ ჰყოს იგი: მაშინ ქართველთა განიზრახეს გარდმოგდებისთჳს მათთა შეკვებნება და მათ ზედა დასხმა და მეორეს განთიად დაესხნენ მათ და მოსწყვიტნეს სიმრავლით, რამეთუ აღამაღლნეს თავთა მათთაგან კოშკნი და ტყუენი წარმოუძღვნეს ბუკსა რატის შეიღით ყეენსა:

ჰთ. მეფე ქაიხოსრო გ წელი ქმნა:

ხოლო ქაიხოსრო მეფე, განმზადებული წარსლვად და ამისა მიმყვნელი იხარებდა. ხოლო ხრამ-რა იხილეს განმზრახთა ყეენისათა წარუვლინეს ქაიხოსროსა, ვინაჲ-გან მარადის მძლე-ექმნე-ბოდნენ ავღანთა ქართველნი: კუალად წარჩინებულნი ქართველთა ნიჭი და მუნ მცირე მაჭმად ყუ-ლიხან სარდარ-ჭყყუს და მისცეს სპასა მუნებურნი, რათა მან ბრძოს მირვაიზს: ამან მაჭმად ყულიხან წარუვლინა ალექსანდრეს ყანდაარს წიგნი, რათა გამოვიდეს გამოჰპარვით, ანუ აცნობოს

ვითარ კერ-არს მისლვა ყანდაარსა ზედა: ხოლო წიგნი ესე მიართვეს მირვეიზს, განრისხნა იგი და გამოიყვანნა ქართველნი ოცდა ათნი და წარჰკვეთნა თავნი. არამედ ალექსანდრე, პაპუნა და ნოდარ იხსნა ძმა-მან მირვეიზისა-მან: ამას ზედა შეიკრიბნა მაჰმად ყულიხან სპანი ყიზილბაშ-ქართველთა და წარვიდა ყანდაარსა ზედა, მისრულსა ეწყო მირვეიზ, სადაცა ქართველთაგან აოტნეს და მოსწყვეტდიან ურიცხვთა. არამედ ერთ-გზის ივლტოდეს ყიზილბაშნი და დაუტევეს ქართველნი მათ შორის: მხილველთა ქართველთა უკვირდეს ურთიერთას და გამოვლეს ბრძოლით და მოვიდნენ ესრეთცა გირიშკს: ამის-თჳს წარავლინეს ბეჟან რატის-შვილი წინაშე ყეენისა და აცნობეს ესე ყოველი სრულიად: მაშინ ყეენ-მან წარავლინა ქაიხოსრო სპითა დიდითა და ნიჭითა და მოიწოდა სპანი ქართლისანი ქაიხოსრომ: ხოლო ვახტანგ, მსმენელი სიკვდილისა-თჳს ბიძისა და ძმისა ლევანისა, რომელი მოკვდა ქს. ჩღი, ქრ. ტჟ, მასვე, მწუხარებდა ფრიად და გლოვისა შემდგომად წარუვლინა ძმასა თვისსა ქაიხოსროს ქართველნი ჩვ მხედარნი და თვით განაგებდა ქართლსა: არამედ ვინად-გან დაამდაბლნა მცველნი ტფილისის თათარნი, განდგნენ და დახშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზანთა: ესე აცნობა ყეენს ვახტანგ, განრისხნა ყეენი, წარმოავლინა
151 მტარვალნი, მოვიდა და გელ-ხუნდოსანნი მოარიდნა ყოველნი ვახტანგს: შერმე წარიყვანეს ისპაჰანს და პატიმარ-ჰყვნეს ალამუტის ციხესა შინა. ამის-თჳს არღარა იყო ტყვის-ყიდვა: გვალად სამხარეთ-ხან, ვითარცა როსტომ მეფე, მრავალ-გზის წარუვლინებდა ყეენსა ტყვეთა, არამედ ვახტანგ, უკეთუ არა მოითხოვდა ყეენი, არა წარუვლენდა, მისცა უმეტეს მოსყიდულთა:

ხოლო მირვეიზ-მან, მცნობელ-მან წარსლვისა ქაიხოსროსა-მან, გამოუტევა ალექსანდრე და მის მყოფნი ქართველნი, მოსცა გვამიცა მეფისა და მხევალნი [1] მისნი. ესე მოვიდნენ გირიშკს, მუნიდამ წარმოჰყვნეს სრულიად ქართველნი და მოვიდნენ მაშადს: ესე ჰსცნა ქაიხოსრო სპასალარ-მან და უბრძანა ქართველთა გვალად შთასლვა გირიშკსვე. არამედ მირვეიზ-მან, რა ჰსცნა ქართველთა მისლვა გირიშკსვე შემოიკრიბნა სპანი და მოადგა გირიშკს. კარნა სიმრავლისა-გან სპისა მისისა ვერღარა იკადრეს ველსა ზედა ბრძოლა ქართველთა და განამაგრეს ციხე ქალაქი ოთხ-თვემდე, კარნა დამშვიდნეს, რამეთუ ხორცი ვირისა ლიტრა სამ-მინალთურად ისყიდოდა (აქა იხილე ზაკულება, რამეთუ მირვეიზი არსენს დოლენძის-შვილს მოლოზონს უვლინებდა საკმაოსა ცქვილისა): ესმა სპასალარს შემჭირვება გირიშკისა წარმოავლინა ხან-მაჰმად ჳ მხედრითა შეწევნად მათდა: ხოლო მიმავალს ეზრახა ამას მირვეიზი. „უწყი რამეთუ არს მტერი ჩემი სპასალარი, ამის-თჳს გენდობი შენ, დამიურვე წინაშე ყეენისა, რათა შემინდოს და მივიდე შენთანა.“ მსმენელ-მან ხან-მაჰმად განიხარა და შურით სპასალარისათა არღარა განიხილა ზაკულება. არამედ მიუწერა: „მოვედ და ვქმნო ყოველნი ნებანი შენნი:“ დაუტევა გირიშკი მირვეიზ და ღამესა მივიდა მას ზედა: მხილველთა სპათა ყიზილბაშთა იწყეს აღმხედრებად, რათა ბრძონ. არამედ აყენებდათ ხანი

[1] ანუ მხლებელნი.

იმედებული ჰაქმნისა: მაშინ მიეტევა მირვეისი სპითა და მოსწყვიტნა სრულიად, რამეთუ ვერვინ განერა თვინიერ ზაალ ლორთქიფანიძე და არაშის-შვილი, იგინიცა სიმხნითა თვისითა. ხოლო მირვეისი გამარჯვებული მოადგა კვალად გირიშკსავე და მიუთხრა ესე ყოველი ქართველთა და მოითხოვა სეხნია ციცი-შვილი მშვიდად. „და წარვალ ყანდაარს:“ აღუთქვა ქართველთა და არა ავნებეს. არამედ სეხნიამ დასდვა თავი მათ-თვის, რათა განერნენ იგინი სიკვდილისა-გან და მისცეს სეხნია და წარვიდა მირვეისი. გარნა დაუტევა ნუზლი იგინი ყოველნივე მათ:

ხოლო ვახტანგ განაგებდა წინა-თქმულთა ქართლისა ნადიმობდა და ნადირობდა ზამთარს ყარაიას სომხითსა, შემოდგომა-გაზაფხულს გორს და ტფილისსა, ზაფხულს თრიალეთს შამბიანსა-ზედა. გარნა მოკუდა ძმა მისი თეიმურაზ ქს. ჩღით, ქრ. ტჳჱ, დეკემბერს ჲს, დამძიმდენ ყოველნი და იგლოვეს ყამადმდე: ხოლო სპასალარი მოვიდა მაშათს, მაშათიდამ ფარახს, შინ მოიყვანა იესე ძმა თვისი სპითა ქირმანისასა: მაშინ მოუგზავნა მირვეისს და მოუთხოვა სპასალარისა-თვის სახსარი სეხნიასი და განუტევის იგი: გარნა სპასალარ-მან რიდითა ყეენისათა ვერ იკადრა ამისი ყოფა და ამისთვის წარკვეთა თავი სეხნიას მირვეის-მან: ესე შეუძნდა სპასალარსა, მივიდა და დაიბანაკა მდინარესა ზედა ყანდაარისასა და იმიერ კიდესა დასდგა მირვეისი სპითა. მუნ სცნა მირვეის-მან, რამეთუ მოვლენან სპასალარისა-თანა აბდალთა სულტანი შეწევნად სპითა: მაშინ დაუტევა მუნვე იერ-მაჭმად ძმა თვისი, თვით წარვიდა და დაესხა და მოსწყვიტნა ჴ. მხედარნი აბდალთა და წარმოვიდა: ხოლო დილასა განაწყო სპასალარ-მან მარჯვენით იესე ძმა თვისი, მარცხენით ალექსანდრე და შევიდნენ მდინარის ფონსა. არამედ ავღანთა იწყეს თოფითა ზამბურაკითა სროლა. გარნა განვლო ალექსანდრე-მ ცურვითა ცხენითა სპითა და ივლტოდნენ ავღანნი განვლეს იესესა, ეწივნეს და მოსწყვიტნეს მრავალნი: ხოლო იერ-მაჭმად ვერღარა წარმვლელი შევიდა კლდესა ბაბაველისასა და მოერტყნენ გარს სპანი ყიზილბაშნი: კვალად დამაშვრალი მირვეისი მომსწრაფებული სპათა თვისითა ანსა და ამისი მხილველი ივლტოდა ყანდაარად: იხილა იგი ალექსანდრე-მ და მიეტევა მირვეისს. ხოლო იგი ლტოლვილი შევიდა ციხესა რასამესა შინა შემუსრვილსა: მაშინ ალექსანდრე ლამოდა შეტევებასა ციხისასა და გამოყვანასა მისსა. არამედ განაზრახეს სპასალარი ყიზილბაშთა: „არს მირვეისი შანქანი, არა არს ესე მირვეისი. არამედ რა შევეტყოთ, მზირ-ყოფილი იგი გვექმნების და მოსწყვედს სპათა ჩვენთა.“ ესე ისმინა სპასალარ-მან და მოუწოდა ალექსანდრეს შინ-თანა. გარნა ალექსანდრე დაამტკიცებდა ყოფად მირვეისს და შეტევებასა მას ზედა. არამედ ჯიჯგლებული წარმოიყვანეს ალექსანდრე და შეუდგინეს ციხესა მცველნი გარემოს: ამასვე ღამესა გამოვიდა მირვეისი და შევიდა ყანდაარს. ეგრეთვე იერ-მაჭმად ღამე აოტნა სპანი ყიზილბაშნი და შევიდა იგიცა ყანდაარს: შემდგომად სცნეს, რამეთუ მირვეისი იყო იგი და დამძიმდენ ფრიად, რომლისა-გან შეუდგა ბოროტი ქვემო-თქმული: ხოლო მეორესა დღესა მივიდა სპასალარი და დასდგა ძირსა ყანდაარისასა და ჭვრეტებდენ მირვეისის გამოსვლასა. არამედ არა გამოვიდა: მერმე წარავლინა სპასალარ-მან სულტანი შარბაშარისა: ამას შეისრულს

ეწყო მირვეისი, ალტა. მხილველი იქმ და ალექსანდრე მიეტევნენ და აოტნეს მირვეისი და
მოსრნეს სიმრავლითა, რამეთუ გარნა ზედა ციხისათა მომაჭირდეს თავთა და შეუმოიქცნეს გამარ-
ჯვებულნი, დიდით მწუხრადმდე შებრძოლნი: გარნა იყო სამ-თიუჯ მარადის ბრძოლა და მო-
ისრონდნენ იმიერ და ამიერ სიმრავლითა: არამედ მოუჭირნესცა გზანი ყანდაარს. გარნა საზრდელ-
თა სიმრავლითა უჭირვოდ იყო მირვეიზი.

შემდგომად შეკრბა ხანი მრავლის ყიზილბაშთა და ქართველთაცა და მოაკლებს საზრდელთა:
ესე იხილა მირვეის და შეჰკრა გზანი და მოსრულთა მესუმსხლეთა ყიზილბაშთა სრვიდა: ამისა
მხილველი მირ-სამასიდარ შაყმინი აღმოქმედი სპითა მოსრულად წინაშე სპასალარისათა არღარა
მოვიდა და არცა-და მოსცა საზრდელნი: ამის-თჳს შეიწუხდეს სპანი სენითა და უსაზრდელობითა.
ხოლო მირვეიზი განამხნევებდა სპათა თჳსთა: შემდგომად წარმოავლინა მცირედნი სპანი და
152 წარმოუვლინა თჳთო უკან მტრულად, ამათ უკუიქცნეს ყიზილბაშ-ქართველნი, ვინ ვის აწყრენდეს და
ივლტოდნეს ველსანი. არამედ რა მივიდნენ სიმაგრესა, ამათ მოუკლა მირვეიზი, აოტნა წყენნი
და მოსრნა სიმრავლითა. გარნა სიმხნითავე ქართველთათა განერნენ ნეშტნი, გარნა მიერითგან
დაეცა შარი ყიზილბაშთა და ვერღარა შემართებიდან ველსათა: განიჯივდა კვალად მირვეიზი და
და ბრძოდნენ. არამედ მირვეისი სიმაგრესა შინა მყოფი, უკეთუ აწყობისა გამოვიდის ბრძოლ-
ად და უკეთუ არა ბრძოდის მყინვარ: მეუხდნენ ქართველნი და მივიდა სპასალარიცა შველად,
სძლეს მირვეისს და მოსრნეს სპანი მისნი. გარნა შემაგრდნენ ქვეითნი ველსანი კლდეთა და ის-
რიოდნენ თავთა: მაშინ მოვიდა ყიზილბაში ვინმე მეტყუელი: „ჩემსა არს სპასალარისა, აცადეთ
ბრძოლა და უკუმოიქეცით“ მსმენელთა ყიზილბაშთა დაუტევნეს ქართველნი და წარმოვიდნენ:
ამისა მხილველნი ველსანი კვალად მოეტევნენ და მოსრნეს მრავალნი, მერმე მოკლეს ალექსანდრე
მხნედ მბრძოლი. ამის-თჳს შეშინდნენ ფრიად ყიზილბაშნი და აზრახეს სპასალარსა, რათა უკუ-
იქცეს და განიმრავლოს სპანი და კვალად მოვიდეს და ბრძოლა მათ, ვინაჲ-გან განმრავლდა სენი და
სრვა და სიყმილი: ესმა ესე მირვეიზ-მან და მოუვლინა სპასალარსა შირი სპასალარსა, „უკეთუ წარ-
სვიდე არა რაჲ გევნოს ჩემ მიერ და უკეთუ მოვიდე კვალად სპანი ყეენ-მან მოგცეს.“ ამის-მან
მრწმუნებელ-მან სპასალარ-მან ბრძანა ლაშქარა, და იქმ განიზრახა, რათა არა განიოტოს სპანი.
გარნა ზარვინი: მაცთურ-მან მირვეის სამოკუმხეთა მეოთხედი და იწყეს სროლა თავთა: ამისნი
მხილველნი მდიდრნი ყიზილბაშნი ივლტოდნენ. ეგრეთვე იყო არღარა მიხედა მამასა თჳისსა
ივლტოდა იგიცა და დაუტევა სპასალარი მცირედითა სპითა. ხოლო სპასალარ-მან არა ინება სივ-
ლტოლვა და მოეტევა მირვეისს, ქმნეთა სპასალარი მცირედითა, მოსწყვიდნა და აოტნა იგინი.
არამედ იხილნეს სპანი ყიზილბაშთა ლტოლვილნი ზედამ აქმანთა, უკუმდგარ სპათა თჳსთა გა-
ქცევა მათი, უკუმოიქცნენ კვალად და მოეტევნეს სპასალარსა. გარნა მხნედ გამოსცდა სპასალარი,
რამეთუ მოსრნა მრავალნი სპანი. არამედ მერმე სცეს ქვეითთა ორთანი სპასალარსა და მოკლეს
ქს. ჩღია, ქრ. ცკჟ, ოკდომბერს კგ: შემდგომად მოჰკვეთეს ველსანი, მოსწყვიდნეს ყიზილბაშნი

და აღიხუნეს სრულიად სიმდიდრენი და ალაფნი მათნი. ხოლო ესე ქართველი-თურთ მოვიდა გირიშკს და მუნიდამ ისპაჰანს:

ხოლო ვახტანგ განმგე ქართლისა შემდგომად გლოვისა იშვებდა და ნადირობდა წინა-თქმულთაებრ, კვალად აღიმხედრა სპითა შესლვად ოვსეთს და შევიდა და შემუსრნა ვ კოშკნი, მოსწყვა და მოსტყვევნა ერნი, ნაცვლოდ ზარალისა და შემოვლო ჟღელის-ხევი და გარდმოვლო პანკისის ხევი და მოვიდა გუდარეხს და გუდარეხიდამ ქართლს განმარტებული ქს. ჩღია, ქრ. ტჟთ, დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი და გორს მდგომი იშვებდა სხვისა განმზრახი:

## ჟ, მეფე ვახტანგ ვ წელი ჭმეკა:

მაშინ მოუმცნო ყეენმან სიკუდილი ძმისა თვისისა და მოსცა ქართლი მისათვის: შეუძნდა ფრიად ვახტანგს და წარვიდა ტფილისს. ხოლო მეფე განიზრახვიდა განმზრახთა წარსლვა წინაშე ყეენისა. ესე არწმუნა და მოუწერა ყეენსა წინაშე მისსა ყოფნა: ამისთვის აქორწინა ასულნი თვისნი თამარ თეიმურაზს ძესა ერეკლე მეფისასა, ხოლო ანუკა აბაშიძე ვახუშტის: შემდგომად მოვიდა მეჯინიბაში ყეენისა მიმწოდებელი; მაშინ დაუტევა ძმა თვისი სვიმონ განმგედ ქართლისა და დედოფალი და ძენი თვისნი დაადგინა გორს და თვით წარვიდა მცირედითა კაცითა, ქს. ჩღიბ, ქრ. უ, აპრილის კბ. არამედ მისრული წინაშე ყეენისა პატივ-ცემულ იქმნა დიდითა პატივითა ყეენისა-გან. და შეყვარებულ ფრიად ყეენისა-გან სიკეთისა მისისა-თვის და უთქმიდა მაჰმადიანობასა და უქადებდა ნიჭსა დიდსა და მსწრაფლ გამოტევებასა. არამედ მან არა ისმინა, მეტყველმან: „მე მოვედ, რათა არა დამართონ მტერთა და შეიპყრან ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიანნი და რომელი გნებავს წარავლინე და მე ვყო წინაშე შენსა:“ მაშინ ინება ყეენმან წარმოვლინება ვახტანგისა სჯულითავე თვისითა. არამედ არა აუვლინეს ეშმაკთა, განმზრახთა ივირთა და არცა ინება ესე თვისი ნებითა ვახტანგისათა წარმოსლვა: ხოლო ვისთაცან მაჰმადიანთა შინა ცოდვად სჩნდა, ხარკის მიცემა და მსახურება ქრისტეანეთა და მეფეთა ქართლისათა მრავალნი ჭკვაი მოახარჯვნი და მსახურნი მაჰმადიანნი, ამისთვის უყვარს მაჰმადიანს ჭკოვლე შეჰყრის: ხოლო ნიჭნი ოქრონი მათნი წინა-თქმულნი დაუთხოვნიან, და მისრულისა და წარმოსრულისა და ვიდრე ქვეყანათა მათთა ოქრონი წარსაგებელნი ყოველნივე მათნი და სამ-ღლე მეფე მისრულსა და სამ-ღლე გამოტევებულსა მსახურებდენ და მოართმიდენ სანოვაგესა საჭმლისა და საქონლისა ყოველსავე ყეენისასა ჭეშმარიტად მისთა: ხოლო ვიდრემდის მანვე ქორონიკონისა მოიყვანა დაწინდული ქაიხოსროისა ასული ბარძიმისა ცოლად და იქორწინა, მომტკიცებისათვის გიორგი ერისთვისა და იწყეს ქვე-განმხედველობად ვახტანგისა:

ამასვე ქორონიკონსა, აგვისტოს ბ იშვა ძე ვახტანგისა გიორგი გორის დედოფლის რუსუდანისაგან: ხოლო იესემ ალუღვის ვახტანგის ძმასა იესესა ტფილისის გუშაგნი, რომელი იყო თოფჩიბაშა და მესხმელდეს ყეენის დაწვნის ყორანისათა და სხვითა ძრავლითა უკეროთა მაჭმადიანთა ზედა: ამის-თჳს მოუზავნა ყეენმან ხოლოთა ტფილისს, რათა ნახოს, რა ბორონტი უქმნიეს მაჭმადიანთა ზედა ვახტანგს. არამედ იდუმალ აცნეს ხოლოთას. უკეთუ იცეს ყამი თჳთ დაიპყრას ქართლი და ნგამის მისი წარავლინოს: მოისრულის ხოლოთას-თანა შეიზრახნეს სხვითნი და მოიყვანნი ქართლისანი ვახტანგის ბორონტისა ზედა, რამეთუ რაჟამს დაიპყრა ვახტანგ ოფსე-თი და განიწყო მეველნი იყვნეს. მიერით ეჭირათ გიორგის და დათუნას ყრისთავთა მაშუღლად მათდა დაპყრობისა-თჳს. ამის-თჳს მიუწერეს ყეენსა: „არა გჳნებავს ვახტანგ. არამედ მოგვი-ვლინე იესე:“ ესე უწყო, რამეთუ ქრისტეანეთჳს აიძულებულისა ვახტანგისა-თჳს ნება-მოწმობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა და ხამღვდელთა-მან: ხოლო ამისა შეოფელთა განკიცხეს ხოლოთა და წარმოგდგომა ისპაჰანსვე: არამედ ამ ყამებთა იყო მომხრეველი ყამი ფაიცხელი, მკალი მომწყმედი, რამეთუ მდგრისალის დასბნელდა მზე და სიმალი ძლიერი და სხვანი მართებდა
153 უფროს მოხვეჭით და არა შეიმინეს ღჳთისა. არამედ ჭუვეს ესეცა: შეიპყრა სხვათა კათალიკოზი დომენტი ზაქვით და წარმოუვლინა ზაქარს, რათა აღმოხადოს თვალნი. გარნა არა ჭყო ესე დე-დოფალმან რუსუდან და იყოფოდა მათ-თანა მცივეთა: ხოლო ყეენსა რა ესმა ვახტანგისა-თჳს ესენი ალუმდა და არა ინება ეგრეთ. არამედ ომართა-გან იძულებულ-მან წარმოავლინა იესე მე-ფედ ქართლისად ნიშნით. ვინადგან აღუთქვა იესემ ყეენისა-თჳს წარგლინებად დედოფალი და ძენი ვახტანგისანი და ხუთასნი ქართველნი ცოლ-შვილით, რათა დაასახლონ ფარაბადს:

ქა მეფე იესე, ბ წელი ჭქმეფა:

მოვიდა ესე იესე წოდებული ყეენისა-გან ალიყულიხან ტფილისს ქს. ჩლიდ, ქრ. ჲბ, და იყო ურიად მიქცეულ მაჭმადიანობასა ზედა (²) და მქცევი მათებრ, მღიდარი და ამაყი: ხოლო დედო-

(¹) აქა ამბავნი [illegible] ქართულად [illegible]

(²) [illegible]

ფალი და ძენი ვახტანგისა წარვიდნენ რაჭას და გამოუტევეს კათალიკოზი დომენტი: მოსრულსა იესე-მ პატივ-სცა და დაადგინა კვალად კათალიკოზად: შემდგომად მიუწერა იესე-მ ყეენსა: „უკე-თუ არს წინაშე შენსა ვახტანგ ვერა ვჭერავ ბრძანებულსა. არამედ წარავლინე პატიმრად:“ შეუ-ძნდა ყეენსა, რამეთუ უყვარდა ფრიად: მერმე მოუწერა ვახტანგს ტკბილად: „წარმოედ პატივითი ქირმანის, ვჰფიცავ, რამეთუ მსწრაფელ გამოგიყვანო კვალად, პატივს-გცე და მოგანიჭო მრავალი:“ და წარვიდა დიდითა პატივითა, ვითარცა პატრონი მათი (¹). ხოლო იესე მშვებელი და გან-მცხრომილი უწესოებითა ყრმათა თანა და უგვანითა მღერათა. გარნა მქცევი დიდებულად წავყარა ცოლი დედის ძმისა თვისისა ქაიხოსროს ამირეჯიბს ბებიის ძმის-წული თვისი, ასული ერისთა-ვისა და შეირთო თვით ცოლად: ამხილეს კათალიკოზ-ეპისკოპოსთა და უმეტეს იოანე სააკაძე-მ გარეჯის ბერთუბნის მამა-მან, კაც-მან დიდ-მან. არამედ მან არა ესმინა მეტყველ-მან: „ვარ მე მაჭმადიან, ქრისტე ყარ არს ჩემდა.“ შემდგომად მოიყვანა ერეკლე მეფის ასული ელენე ცოლად ქს. ჩღიე ქრ. უგ, და იქორწინა დიდებითა. გარნა არა კმა საყოფელ:

ამ ჟამთა გამოვლეს ჭარელთა კახეთი, მოვიდნენ ხუნანს, მოსწყვიტნეს დაბნებნი და მო-სტყუევნეს და წარვიდნენ. ამას ზედა სთხოვეს იესეს კახთა შეწევნა: ამან წარუვლინა სპასპეტი ლუარსაბ საბარათიანოთი. შემდგომად მოვიდა ლუარსაბ ლტოლვილი და მოწყვეტილი წინაშე იე-სესა. მერმე წარუვლინა ამილახორი ავთანდილ ზემო-ქართლითა, მივიდა ესე საგარეჯოს, არამედ ესეცა მოიქცა უქმი: ხოლო ვინად-გან ვერღა-რა აღასრულდა იესე-მ დავედრული ყეენისა: მაშინ მოიყვანა ყეენ-მან ვახტანგ, მისცა ქართლი და სპასალარობა ერანისა და მიაქციეს სჯულსა მათ-ისა ქს. ჩღივ, ქრ. უდ და წარმოავლინეს თავრიზს, რათა წარავლინოს სპანი ხორასანს და მოსცეს განმგეობა ქართლისა ბაქარს ძესა მისსა და წარმოავლინეს მტარვალი, რათა შეიპყრას იესე და მისცეს ბაქარს პატიმრად. რამეთუ მოეთხოვა მეფესა ვახტანგს ეგრეთ: ხოლო ბაქარ მოვიდა იმერეთიდა-მ მცხეთას, რამეთუ ტფილისს იყო მომსრველი ჟამი და იესე განვიდა კა-ხეთს: წარავლინა მტარვალი ყეენისა ბაქარ, რათა მოიყვანოს იესე. არამედ კახ-ბატონ-მან იმანყულიმ არა სცა ნება: ესე აუწყა მამასა თვისსა ბაქარ და მეფე-მან ყეენსა: განრისხნა ყეენი და წარმოავლინა მურდარი თვისი: ესე მოვიდა, შეიპყრა იესე, მოიყვანა და მისცა ბაქარს. ხოლო ბაქარ პატიმარ-ჰყო ტფილისს სასახლესა შინა: კვალად ბრძანებითა მამისათა შეიპყრა სპასპეტი ლუარსაბ. არამედ იხსნა ესე დედოფალ-მან რუსუდან. კვალად შეიპყრა მუხრანის-ბატონი ერეკლე და აღმოხადნა თვალნი და მისცა მუხრანი ლევანს ძესა პაპუასსა. კვალად მოაშთო პაპუნა დია-სამიძე, რომელი იყო მაშფოთებელი ძმათა და სხვანი რომელნიმე ექსორია-ჰყვნეს და ესე ყოველი ჰყო ბრძანებითა მამისათა:

---

(¹) მეფე ვახტანგ აქ ქირმანს ყოფნისა შინა სთარგმნა ხაზინებულისაგან ქართულად ქილილა დამანა.

## ქბ. მეფე ბაქარ, ბ წელ-ნახევარი ჰმეფა:

არამედ ვინად-გან ჰგონებდა მეფე ვახტანგ წარსლვასა ხორასანს, ამის-თჳს ჰკადრა ყეენსა, რათა მისცეს მეფობა ქართლისა ძესა თჳსსა ბაქარს: ესმინა და მოსცა და მიაქციეს ჰსჯულსა მათსა, მხოლოდ სიტყვითა და არა საქმითაცა კოჟორსა ზედა მეოთხე ქს. ჩღიზ, ქრ. ჳკ: ხოლო ზაფხულსა ამას გამოვიდნენ ლეკნი ჭარელნი სულხავით ჳ მხედარნი. ამათ მოსტყვევნნეს ბოლნისნი და ქციის-პევნი თავ-მგრუვალამდე: მცნობ-მან ბაქარ წარავლინა ბიძა თვისი სვიმონ (რომელი ჰგლოვდა, რამეთუ მოისრნეს ცოლ-შვილნი და მსახურნი მისნი მომსრველისა ჟამითა, რომლისას იტყოდენ კრულვითა კათალიკოზისათა ყოფასა): მივიდა სვიმონ სამასითა ოდენ მხედრითა ნაზარას სოფლის-ბოლოს, მოეტევნენ ლეკნი და მოერტყუნეს გარ: არამედ შემდგომად თოფთა ცემისა ეკვეთნეს ქართველნი სისქესა მათსა და აოტნეს და სრვიდეს, ვითარცა ნადირსა: გარნა სიმრავლითა ლეკთათა დაითვასნნეს ქართველნი: იხილეს ესე ჭარელთა, მოიქცნეს ერთ-გერძო და მოსრნეს ქართველნი და აოტნეს სრულიად, მოჰკვეს მარნეულის გოარამდის და უკუნიქცნენ, განვლეს ყარაია შოებულთა, არამედ მოისრნეს უმრავლესნი სიცხე-უწყლობითა და მიერით ვერღა-რა იკადრეს რბევა ჟამადმდე: ხოლო მიუღო რა ბაქარ სალთხუცობა დათუნას ქსნის-ერისთავსა და მისცა ედიშერს ძესა ქაიხოსრო ლომისასა, მიზეზ-ჰყო ესე დათუნამ და უკუდგა: ამის-თჳს წარავლინა ბაქარ ძმა თვისი ვახუშტი მას ზედა და მისლვასა მისსა მოკვდა დათუნა ერისთავი. ხოლო ძენი მისნი წარვიდნენ კახეთს, და დაიპყრა მამული მისი ვახუშტიმ. არამედ შანშე ძე დათუნასი წარვიდა წინაშე ყეენისა ყაზმინს და მეფე ვახტანგცა მიეწოდა ყეენსა მუნ წინაშე თვისა თავრიზიდამ: შთასრული შანშე ითხოვა მეფე-მან ვახტანგ ყეენისა-გან, მოსცა ყეენ-მან და პატიმრად წარმოუგზავნა ბაქარს ძესა თჳსსა, ესე ბაქარ-მანცა პატიმარ-ჰყო ტფილისს. ხოლო შემდგომად ნებითავე ვახტანგ მეფისათა მიუხჳნა სპასალარობა ყეენ-მან და წარმოავლინა ქართლს, რათა განაგოს საქმე ლეკთა;

## მეფე ვახტანგ, ე წელი აწ ჰმეფა;

შემდგომად მოვიდა მეფე ვახტანგ ტფილისს ქს. ჩღიი, ქრ. ჳზ, დასჯდა ტახტსა ზედა, შეჰფიცეს ყოველთა ქართველთა მეფობისა მისისა მტკიცედ ერთ-გულებასა ზედა და დალოცეს ყოველთა მეფედ და მიულოცეს და გარდაუყარეს ოქრო და ვეცხლნი მრავალნი დიდებულთა, წარ-

ჩინებულთა, აზნაურთა, კათალიკოზ-მან და ეპისკოპოზ-არხიმანდრიტთა (არამედ ესე წესი ძველით-ვე იყო საქართველოსა და უკუოვდიან ყოველთა ესრეთ ტფილისს და მიერით უხმობდენ მეფედ და თვინიერ მისსა არა): ხოლო იყო სიხარული და განცხრომა დიდი მოსლვისა-თჳს ვახტანგისა და განაგებდა კეთილად: მაშინ შეიპყრა ძე ქამარ-ბეგისა სომხითის მელიქი და დახვრიტა თოფი- 154
თა, კვალად ბაგრატ ციცი-შვილი, ფეშანგი ფალავანდის შვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, რევაზის-შვილი პაპუნა, ვეშაპიძე და პლატონ, ესენი იხსნა კათალიკოზ-მან სიკუდილისაგან და განყიდნეს ოსეთს ოსებთა ზედა:

ხოლო ვინად-გან აქუნდა დავედრებული მეფესა ყეენისაგან საქმე ლეკთა და ლეკნი აოხრებდნენ არათუ კახეთს. არამედ განჯას, ბარდას და შირვანს. ამის-თჳს შეიყარნენ მუხრანს მეფე ვახტანგ და კახი-ბატონი იმანყული, ზაგ-ყეყს და ალუთქვა ვახტანგ წარგზავნება სპისა კახეთს: შემდგომად გაზაფხულს წარავლინა საბარათიანოს სპითა ერისთავი ყაფლანის-შვილი. ამან დაჭყო კახეთს თთუე სამი, არ აბრძოლეს კახთა და მოიქცა ტფილისვე უქმი: შემდგომად განივლტო შანშე და უგუდგა მამულსა თვისსა. ხოლო მეფე-მან წარავლინა მას ზედა ბაქარ ძე თვისი ქსანსა ზედა და ვახუშტი ლიახვსა ზედა, შევიდნეს ესენი და წარუხვნეს ყოველნი. არამედ ჭურთას აოტნეს მცირედნი სპანი და განმაგრდა მუნ შანშე: ამის-თჳს მიუწოდა მეფე-მან იმერთა, მოვიდა რაჭის-ერისთავი შოშიტა, აბაშიძენი სვიმონ და ლევან სპითა, შეუხდა მეფე ჭურთას: იხილა ესე შანშემ კრძალ-კისერ-კიდებული მოვიდა წინაშე ბაქარისა, ამან მოიყვანა მამისა-თანა, უკმოიქცა მეფე ტფილისს და განუსხვნა იმერთა ნადირობა-სადილობითა, ანიჭნა დიდი და განუტევა, და შანშეცა წარატანა მათ ჟამადმდე: არამედ კვალად განივლტო შანშე და განმაგრდა ჭურთას. ამ ჟამსა წარმოავლინა ყეენს შირვანის ხანი შველად კახთა. ესე რა მოვიდა შაქს დაესხნენ ჭარელნი, მოკლეს ხანი და მოსწყვიტნეს სპანი მისნი. ამის-თჳს მოუმცნო ყეენ-მან მეფესა შემუსრვა ჭარისა და მეფე სრულიად შეკრებული სპითა ქართლისათა წარვიდა. ხოლო კახთა მიიყვანნეს მე დღე მაღაროს. მუნ ევედრნენ ჭარელნი მეფესა, რათა შეიწყალოს და დაემორჩილნენ, ვითარცა ნებავს: მაშინ მოვიდა ყეენიდამ ბეჟან თოქალთოიანი, რათა უკუნიქცეს მეფე მათ-გან. უკუმოქცეულ-მან მოინადირა ყარაია და მოვიდა ტფილისს: ხოლო გაზაფხულს შემოიკრიბნა სპანი მეფე-მან, მივიდა და დასდგა ზებეყურს. მხილველი შანშე კვალად ვედრებული და კრძალ-კისერ-კიდული მოვიდა წინაშე მეფისა, მფიცარი ერთ-გულებასა ზედა, შეუნდო მეფე-მანცა და მისცა მამულნი მისნი სრულიად, მუნიდამ მოვიდა მეფე გორს, მუნ მოვიდა კაცი ხონთქრისა, რამეთუ ვინად-გან ამან წარავლინა დის-წული თვისი ალექსანდრე ახალციხეს ნიჭითა სამეფოდ იმერეთისად. ამის-თჳს მოუმცნო, რათა მწე-ექმნოს მას: ისმინა მეფე-მან და წარავლინა ვახუშტი მწედ მისად, ხოლო ზამთარს ესმა მეფესა მოსლვა ლეკთა, შეკრბა და დადგა ხუნანს, რამეთუ განჯასაც ბრძოდა სურხავი, მუნიდამ წარავლინა სპანი და განარინა განჯა მათ-გან, არამედ აზნაურთა ჰკრონეს ყანდაარს წარსლვა და ინებეს მუნ შფოთი, შეიპყრნა მეფე-მან ზოგნი მოჰკლნა, ზოგნი

სტანჯვისა, სხვანი უმკვიდრო ჰყვნა; ხოლო განძლიერდნენ ავღანნი და ძე მირვეისისა შაჰ-მაჰმუდ მოვიდა ისპაჰანს ჯ̃ მხედრითა. მაშინ განვიდნენ ომარანი, ბეგნი და სპანი რჯულ ბრძოლად მისა, ამათ ეკვეთა მაჰმად, აოტნა ყიზილბაშნი და მოიკლა ძმა შაჰისა ყულარაღასი როსტომ, მხნედ მბრძოლი ურდით, მოსწყვიდნეს სპანი და მოადგა ისპაჰანს ქს. ჩღკბ, ქრ. უი, მარტს.

მაშინ მოუწერა ყეენ-მან მეფესა, რათა შეწე ექმნეს. კვალად მოადგნენ განჯას ლეკნი, განჯელნიცა ეხვეწებოდნენ განრინებასა; კვალად მოვიდა წარმოგზავნილი რუსთ-ხელმწიფისა-გან ვაშუკა, რათა მიიყვანოს მეფე მის-თანა, ოდეს გამოვიდეს სპარსეთს; ამის მცნობმან ხონთქარმან მოუწერა მეფისა-თჳს, რათა ექმნეს მორჩილ მის; ესე განიზრახა მეფე-მან მთავართა-თანა ქართლი-სათა. არამედ ამათ არა ინებეს წარსვლა ისპაჰანს, რამეთუ დაშთების ქართლი უპატრონი და არიან მტერნი მრავალნი. გარნა დასდგნეს განრინება განჯისა და წარვიდნენ განჯას. არამედ რა მივიდა მეფე შამქორს სხვის სოფლისაგან, მიეცადა განჯას და წარმოვიდა თვისად, მოეგება განჯის-ხანი მოუძღვა განჯას და უძღუნა მრავალი და ეჯდრა ელითა თვისითა დამორჩილებასა. წარავლინა მეფე-მან სპანი, მოსრნეს ურჩნი და დაუმორჩილნეს ხანსა. შემდგ შემოიქცა და მოვიდა ტფილისს მეფე მაისს; ხოლო აგვისტოს კოლორს მეორეს მოუვიდა მეფესა ყეენისა-გან თაჯი და ჯიღა, ხმალი და ხანჯალი მოოჭვილნი და სპასპეტობა ადრიბეჯანისა, რათა დაიპყრას შირვანი, რამეთუ აქუნდა ლეკთა დაპყრობილი; კვალად მოვიდა თურქისტანის ელჩი ბაადურ დიდის პეტრეს იმპერატორისაგან, ყიზილ-გან გამოსრულ იყო სოლდასის, რათა მიიყვანოს შირვანს მეფე მის-თანა; კვალად მოვიდა ელჩი ხონთქრისა დამორჩილებისა მისისა-თჳს. არამედ განუტევნა ელჩნი და აღირჩია რუსთ-მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტეანობისასა; ამის-თჳს შეკრებული სპითა წარვიდა განჯას, მისცა ყაზახის ხანსა ყაზახი და მოუწოდა. არამედ გათო-ბატონი მაჰმად-ყული-ხან იდგა ყაზახს და მოუწერა მეფისა-თჳს: „რამეთუ ჩემდა მოცემულ არს ყაზახი ყეენისა-გან, აწ ვერ არს თქვენგანცა არა მიხმად იგი. არამედ მე მოვცე სპანი მისნი“ ამის-თჳს ნება ჰყო მეფე-მან, გარნა იასაყა სპა მუნებური და დასდგნეს შეკრა და ხილვა ურთიერთთა გატეხილისა ჰყვეს; ხოლო მეფესა ძმა თვისი იესე მორჩილედ გამოუყვანა ბატონობიდამ და მისცა შეკრანი და მსახურთუხუცესობა; ამას აქუნდა კვალად მანგიერება და რომელთამე ქართველთა და არა ინებეს შეკრა მაჰმად-ყულიხანისა და მეფისა შეურიგებისა-თჳს, ზრახვითა ამათითა განვიდა ღამე გამოცდაის მტკვარი მაჰმად-ყულიხან და მივიდა სავარაყს და არცალა მოსცა სპანი მეფესა და იქმნა მათ შორის ამის-თჳს შური; ხოლო მეფე ყასტანზე მივიდა განჯას და დაჰყო სამ-თთუჱ მუნ და ვერა რაი სცნა ხელმწიფის პეტრესი; შემდგომად მოვიდნენ ბაადურ და დესპანი მეფის პეტრესი ტფილისს, რამეთუ იგინი უკანწყვეტილ იყო და აღუთქვა გაზაფხულს კვალად მოსლვა და ესე უთხრა განუმტკიცა მეფესა; მაშინ სპანი მეფისანი და მაჰმად-ყული-ხანისანი ბრძოდეს ყაზახსა ზედა. კვალად მოუძღვანა მაჰმად-ყულიხან განსა ჭარელთა და მოსტყუვნეს ლეკთას დაბნეუბნა. ამათი მსმენელი მეფე შეგუმოიქცა და

მოვიდა ტფილისს. შემდგომ წარავლინა ბაქარ და იესე, რათა მოაოხრონ საგურამო: მოვიდა თეიმურაზ კახით, იხმარნეს და ჰაჯი-ჩელებნი და მოიყვანნეს ტფილისს თეიმურაზ კახითურთ. ამათ იზრუნეს წინაშე მეფისა, ეპისკოპოსთა და მთავართა ერთგულებისა და ერთობისათვის. ხოლო დაემშვიდნა მეფე და გაისტუმრნა ქიზიყი ნაწილით:

შემდგომად აღიღეს ისპაჰანი ავღანთა ოქტომბერს ქს. ჩღკბ, ქრ. უი და დაჯდა თავრიზს 155
ძე შაჰ-სულტან-ჰუსეინისა შაჰ-თამაზ, რომელი ისპაჰანის გარემოცვასა შინა წარმოგზავნა მამამან ყაზვინს: ამ შაჰ-თამაზისა წინაშე წარგზავნილი იყო სეხნია ჩხეიძე მეფისაგან. ამან სეხნიამ ჰქმნა საქმე მაჰმად-ყულიხანისა და არა რა აცნობა მეფესა, რამეთუ დაამართებდნენ მეფე და მაჰმად-ყულიხანს ურთიერთთა მტრად წინაშე ყეენისა: ხოლო შაჰ-თამაზ განუმზადა თავისა ქართლი მაჰმად-ყულიხანს და აღუთქვა იგი შაჰ-თამაზმან: ესე ამცნო მაჰმად-ყულიხან ტფილისს მეციხოვნეთა, ამათ დაიპყრეს კარნი ციხისანი ღამე და ისროდნენ თოფ-ზარბაზნითა: მაშინ მეფემან წარმოავლინა დედოფალი გორს და თვით დაადგრა სპითა ტფილისს: შემდგომად მოვიდა მაჰმად-ყულიხან და დასდგა ავლაბარს და მოაშველა შემოვიდა თეიმურაზ მცხეთას და განამაგრეს კახთა იგი. კვალად შემოეშველნენ კახნი და აღიღეს ტფილისის გლდანი-ყუბანი: მიეტევა ბაქარ სპითა, აოტნა კახნი და მოსრნეს იგინი და დაიპყრნა თვით და დაადგინა მცველნი: ხოლო მაჰმად-ყულიხან მოიყვანა შემწედ განჯის-ხანი და სპანი ერევნისა და ლეკნი: ხოლო მეფემან რაჭველნი და იმერნი აზნაურნი და იყო ბრძოლა სამ-თვემდე. კვალად გამოვიდა მარბიელი თელეთს, მხედველი ბაქარ წარვიდა მათ ზედა, არამედ იხილეს რა მათ ავლაბრიდამ გამოვიდნენ კახნი და ლეკნი და მოვიდნენ მთაბორსა (¹) ზედა, მიეტევა ბაქარ და ეწყო სპითა, აოტნა კახ-ლეკნი და მოსრნეს მრავალნი, ვინადგან გაგადნიერებულ იყვნენ: ოდეს მამუკა თამაზის ძე იდგა ტაბახმელას მოუხდნენ კახნი, ხოლო იგი ეწყო და იქმნა ბრძოლა, სძლეს მამუკას და მოსრნეს მრავალნი, რამეთუ რქვაზს ძმასა მამუკასასა ჰკრეს ცხრა თოფი, გარნა განერა და განიკურნა, და აწვა მოჰკლეს სადითურელი ყასტანგ ძე გიგი ამილახორისა სრული ყოველითავე: ხოლო მოსრულ იყო განჯის-ხანი შულავერს, ეოტნა სპანი და მოკლა შულავერი: მხედველ-მან მეფე-მან წარავლინა ვახუშტი სპითა საბარათიანო იმერლითა, მივიდნენ ქსენი და მოსრნეს ყლნი ბორჩალუ. გარნა არა გამოვიდა ხანი ალჯაყალის ციხიდამ, შემდგ მოიქცნენ და დასდგნენ წოდვას: შეიპყრეს ლეკნი განუტევეს მარბიელი: ესე აცნობეს სომხითართა ხანსა ეპისობა ვახუშტისა. მაშინ მაჰმად-ყულიხანს წარმოავლინა კახნი და ლეკნი ხანისა შეწევნად: მცნობელნი წამსვე აღმხედრდნენ და წარმოემართნეს თავს დასხმად: სცნა ვახუშტიმ და მიეგება წინა, არამედ ძლეულებულნი უკუდგნენ სომხითს და ბრძოდნენ მწუხრამდე, არამედ ეპატიოდნენ სპათა ჩვენითა მარბიელნი. შემდგ ეწყვნენ მარცხენით, აოტნეს კახ-ლეკნი და მოსწყვიტნეს სიმრავლით და მოვიდნენ ალაფით ტფილისს: კვალად

---

(¹) აწ თაბორის მთა?

გამოვიდა მარბიელი. ამათ დაესხა ბაქარ ოილეოს, მოსრნა და სხვანი შეიპყრნა სამასნი. ხოლო უკუმოქცეულსა დახუდნენ ბაქარს ჭარ-ლეკნი და ყიზილბაშნი, აჰყვნენ ესენი და მისლვასავე აო-ტნეს და მოსწყვიტნეს უმრავლესნი და სხვანი ლტოლვილნი შევიდნენ სეიდაბადსა შინა: ხოლო ბაქარ მოვიდა ტფილისს:

მერმე წარავლინა მეფე-მან ვახუშტი მცხეთას, რამეთუ დემეტრე ყაფლანის შვილს გაედვა ხიდი და ეყუა მცხეთელთა-გან მოცემა მტერისა. ამის-თჳს ეთხოვა სხვა მეფისა-თჳს, რამეთუ პირველ წარევლინა იესე და გამოსრულ-იყვნენ კახნი დასხმად იესესა. არამედ მოსრნა იესე-მ და სხვანი ლტოლვილნი შევიდნენ მცხეთას: არამედ იესე არა მიეზებელი ბრძოლისა წარვიდა მუხრანს: ხოლო ვახუშტი მივიდა ქ კაცით ღამე და მოერტყნენ მცხეთას: მაშინ მლოცველთა ეკკლესიასა შინა კახთა გარდუკლიტნეს კარნი მცხეთელთა, კარსა ისროდეს ძლიერად კახთა კვალად. არამედ შეუხდნეს, მოსრნეს და შეიპყრნეს სრულიად და დაიპყრეს მცხეთა, გამოიყვანნეს მთავარნი კახნი და მოართუნეს მეფესა ტფილისს: შემდგომად კვალად წარავლინა ბაქარ სპანი და წარუხვნა მოა-ბორი ლაშე, აღუძრნა ესე მაჭმად-ყულიხანს, ვინად-გან იდგა სეიდაბადს, აღმხედრდა დილას და მოგზავნა თუშნი და ლეკნი მკვირცხლნი თაბორსა ზედა, აღიღეს მათვე თაბორი და მოართუეს ბაქარს: მაშინ ბაქარ ეკვეთა მაჭმად-ყულიხანს და მისლვასავე ივლტოდნენ და მოსწყვეტდნენ ქართველ-იმერნი და შესჯარნეს ვიწროსა მტკვრისასა, არამედ უფროს მოიშთოდნენ მტკვარსა შინა, ხოლო დევნად არღარა აუფლეს მთავართა ბაქარ ზაკვით, ვინად-გან მცირე დევნითა შე-ეპყრობდა მაჭმად-ყულიხანს, რათა არა მოსპოს მეტოქე თვისი, აღიღეს დროშანი და ალაფი მისი და მოადგნენ ტფილისს, რამეთუ შევიდა ვერ განმსწრე თეიმურაზ ციხესა შინა (ამის-თჳს იქმნა ბორიატი ქვემო-სოფელი უბოროტესი): ხოლო მაჭმად-ყულიხან განვლო გარიყაის ნავით და მივიდა მარტყოფს და მუნიდამ ქისიყს ზმის-თჳს ლეკთა, რამეთუ აქუნდა შიში ყეენისა, ვი-ნად-გან მოცთუნებით ჰყო შფოთი ესე: ხოლო მეფე მოადგა სეიდაბათიდამ-მ ციხეს და დამშივდა ფრიად: კვალად წარავლინა ვახუშტი მარტყოფს, მოსტყვევნა იგი და მოვიდა ტფილისს: მაშინ იდგა აზრუმის ფაშა ჯარის შემუსრვად ერევნისად და დაპყრობად ადრიბეჟანისად: ესე უვლინებდა მეფესა, რათა არა მწყე-ეოს მათ და მოანიჭოს ხონთქარ-მან ნიჭი დიდი: ამის-თჳს წარუვლინა როსტომ-შვილი ელიშერ და აღუთქვა არა შველა მათი, ვინად-გან იმედეულ იყო განზავებულს რუს-თა მეფისა მოსლვასა: მერმე მოვიდნენ და მოერთვნენ მეფესა ყოველნი წარჩინებულნი კახნი სეიდაბადსა შინა: ხოლო მისრულ-მან მაჭმად-ყულიხან აღუთქვა ლეკთა ვეცხლი დიდ-ძალი, წარ-მოიყვანნა და დაესხნეს ტფილისს მეფესა:. იხილე ორგულება, რამეთუ ტალანი მრავალ, მტკვარი განდიდებული და ხიდი იწრო, მუნ მდგომ-მან სვიმონ არა აჭყარა ხიდი, არცა განამაგრნა სა-ფარნი. ეგრეთვე ქართველთა დაუტევეს მეფე ბრძოლა შინა მტრისათა: რა იხილეს ჟამი ესრეთი და ივლტოდნენ ყოველნი, ამის-მან მხილველ-მან მეჯინიბე-მან მოართვა ცხენი მეფესა, ეგრეთვე ბაქარს და წარმოვიდნენ: მაშინ მხნედ იყო როსტომ ფალავანდის-შვილი, წამოუდგა მეფესა და

არა აუშლებდა ლეკთა მოსლვად: გვალად ლეკთა მოსრნეს ქართველნი და კაზნი მრავალნი, და მოადგნეს ქალაქს. ხოლო მეფე მოვიდა მცხეთას და ბაქარ წარვიდა თუშეთს, რათა მოუსწრას სპითა ტფილისს. არამედ ერისთავმან გიორგიმ გამოუტევა უცხოდ. ხოლო მისცეს მამად-ყულიხანს ქართლი და შევიდნეს ლეკნი, იავარ-ჰყვნეს და მრავალნი ტყვე-ჰყვნეს. ეგრეთვე გამოვიდნენ მეველნი ყიზილ-თათარნი და დასწვეს სიონი. და შემუსრეს ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობლისა სიონისა (ლევან შავმა, კონსტანტინემ შემუსრა): ესე რაოდენნი ქალწულნი განიხრწნეს და ქრისტიანეთა დედანი და მოწყვეს პოროტებითა და სისხლი მართალთა დაითხია უსჯულოთა-გან, ქს. ჩღკგ, ქრ. უია: 157

ხოლო ბაქარ მოვიდა მამისა-თანა და წარმოვიდნეს გორს და დაიპყრა ტფილისი მაჰმად-ყულიხან. მოუწოდა ქართველთა და არავინ ინება მისლვა, რამეთუ ბარათიანნი სპანიცა ლეკთა გამოუსია, გარნა გვალად არა მივიდნენ. არამედ გიორგი ერისთავი მივიდა შჰრითა მეფისათა, შემდგომად მივიდა შანშეცა ქსნისა, შერმე ვიეისიმე ბარათიანნიცა და საციციანონი. (¹) ხოლო ზემო-ქართლისანი არცა ერთი: ამისათვის წარმოავლინა მაჰმად-ყულიხან თეიმურაზ ძმა თვისი გახულეკითა. მაშინ მეფე-მან წარავლინა დედოფალი იმერეთს და თვით დაადგრა ქცხინვალს და განუტევა დესპანი რუსთა-ხელმწიფისა ბაადურ-ოთურით მისიდამ და ევედრა მწე-ყოფისა. ხოლო ესე ეოვნელი ეცნა სარასკარს ყარს მყოფს და წარმოუმართა, ვინადგან იხილა ყამი მარჯვე და მოუმცნო მეფესა: „წარმომიგზავნე ნათესავთაგანი შენი, მე განვდევნო მაჰმად-ყულიხან და დაგიმტკიცო გვალად ქართლი ხონთქრისა-გან:“ ამისათვის წარავლინა მეფე-მან იესე, არამედ შემდგომად მისა წარვიდა ბაქარცა და მიეგება შამბიასს სარასკარსა: გარნა მოვიდაცა თეიმურაზ ჭალას. მაშინ განემრავლა მეფესა სპანი, რამეთუ მოვიდა სვიმონ აბაშიძე იმერლითა და ზემო-ქართველნი და დამოადა მისლვასა თეიმურაზისა ზედა. არამედ ეცნა მოსლვა ურუმთა, უკუნიქცა თეიმურაზ ტფილისვე. ხოლო ოსმალნი ჩამოვიდნენ ივრისში და დასდგნენ ყურყუთას: იხილა მაჰმად-ყულიხან, რამეთუ ვერ ავნებს, მიეგება და მიართვა კლიტენი ციხე-ქალაქისანი, რათა მისცეს ქართლი მას: მოუგზავნა სარასკარ-მან იენგიჩარნი და შეაპყრა ციხესა. მეორეს დღესა შეიპყრა მაჰმად-ყულიხან თხოვნითა ბაქარისათა და პატიმარ-ჰყო. ხოლო ციხის მოსახლეთა სპარსთა შეუსია იენგიჩარნი, იავარ-ჰყვნეს საქონლით და ქონებით და გამოაძვნეს ციხიდამ ყოველნივე ტალიერნი და მოსცეს ქალაქი და ქართლი ბაქარს: ამისათვის მოუგზავნა მამასა, რათა წარუვლინოს ქრთამი ოსმალთა: მაშინ მეფე-მან წარუვლინა ის ჯორი კიდული ოქრო-ვეცხლითა და მოოქროვილითა: შემდგომად პატიმარ-ყოფილი მაჰმად-ყულიხან ევედრა ბაქარს, რათა განუტეოს და აღუთქვა

(¹) მოკვდა შერმაზ 1640, დაჯდა იასონ ძმა შერმაზისა, მოკვდა იასონ 1648, დაჯდა ზაქრია ძე მისი, მოკვდა ზაქრია 1687. დაჯდა სულემან ძე მისი, განრისხდნენ სულემანს 1691. დაჯდა ოქმაზ ძმა მისი, განრისხდნენ ოქმაზს 1695, დაჯდა მეხტაგ ძმა მისი, განრისხდნენ მეხტაგს 1703, დაჯდა ოქმაზ ძე ზაქრიასი, ამან წარმოავლინა ხარაჯანი იასონ ... :

ფიცით, ვითარცა მონა იყოს მისდა. მან განაშარა და მოვიდა კახეთს. მერმე შეიპყრა ბრძანებითა მამისათა და სარასკარისათა ერისთავი გიორგი ძით და სალთხუცით თეიმურაზით, შემდგომად მოჰკვეთა თავი გიორგი ერისთავსა და წარმოვიდნენ ოსმალნი შემუსრვად და მოტყუევნად თუშეთისა: მაშინ აიძულებდენ ოსმალნი მეფესა ხილვად ქასსა და დასდგა მეფე ოკამს და ოსმალნი დგნენ შიოს უბანს, აქა მოვიდა მეფის ხილვად ქეწა და შემოჰფიცეს მეფესა ოსმალთა, მოუშლელობისა-თჳს მეფობისა მისისა და დაასკვნეს შესლვა დუშეთს. ამის-თჳს მოვიდა მეფე ქსნის-ხევს შესლვად გრემის-ხევიდამ. იხილა ოთარ-მან ძე-მან გიორგი ერისთვისა-მან, მისცა ქრთამი ქეწას და აღუთქვა მორჩილება და მივიდა წინაშე ქეწასა. ხოლო ქეწა-მ პაემნითა ამით განუტევა ოთარი ტფილისს. არამედ შემდგომად ქცხინვალს მდგომს მეფეს მოერთვა, რამეთუ ლეკთა-გან ლტოლვილი თამარ ასული მისი თეიმურაზით მოვიდა ანანურს, და წარვიდა მეფე შველად მისა და დასდგა არღუნს დუშეთს აქათ. ხოლო ლეკნი უკუნიქცეულ იყუნეს. ხოლო ოთარი მოვიდა წინაშე მეფისა და ჰფიცა ერთ-გულებასა ზედა მეფისასა. ამის-თჳს მისცა მეფე-მან ერისთობა და მამულნი მისნი ყოველნი და განუტევა. არამედ მას ღამესა მოვიდნენ ლეკნი, მოსტყუევნეს გრემის-ხევი და აღიღეს ალაფი კახთა ხიზანთა და წარვიდნენ: ამათ წარმოუდგა მეფე, ეწივნენ სპანი და აოტნეს ლეკნი და მოსრნეს მრავალნი და ნეშტი მათი შევიდა წილკანის ზღუდესა შინა და მერმე კვალად გამოვიდნენ წილკანიდამ მცირენი და იწყეს ცემა თოფთა: მაშინ ივლტოდნენ სვიმონ და შანშე, და მოსლვასა მეფისასა შეიხვეწნენ მუნავე და ლამოდნენ სპანი მიტევებასა და შემუსრვასა ზღუდისასა. არამედ მოსრულ-მან შანშე-მ არღარა აუფლათ, უკუნიქცა მეფე და დასდგა ქსოვრის. კვალად მოვიდნენ სხვანი ლეკნი და მოსტყუევნნეს საამილახორო და უკუნქცეულნი შევიდნენ შიოს-უბანს: ამ ჟამთა მოსრულ-იყო სვიმონ აბაშიძე სპითა მცირედითა წინაშე მეფისა საქმისა რისათვისმე, შეიკრიბნენ ოთარ ერისთავი და ქართველნი, და აიძულებდენ მეფესა ბრძოლად. არამედ შანშე მტერი იყო ოთარისა და ვინად-გან სპანი ოთარისა უმეტესობდენ არა ენება შანშეს ბრძოლა, რამეთუ იქმნების გამარჯვებისა მიზეზი ოთარი და მივიდნენ რა გამოვიდნენ ლეკნი შიოს-უბნიდამ, ეკვეთნენ ამათ იმერნი და მოსწყვიტნეს და აოტეს. ესე იხილა შანშემ წამს უკუნიქცა და ივლტოდა, მოჰყუნნენ ლეკნი და მოჰკლეს სვიმონ აბაშიძე და მოსწყვიტნეს იმერნი და უმეტეს ქართველნი. ხოლო მეფესა აიძულებულსა წარმოსლვად უბრკმა ცხენსა და დაეცა. მაშინ მოართვა ცხენი თვისი სიამარადის-შვილ-მან და მოვიდა ქცხინვალს და იხილა მეფე-მან ესე ვითარებანი ქართველთა იწყო სხვისა განზრახვა: ამისა შემდგომად ქრთამთა-გან და ურუმთა უჯეროსა საქმეთა-გან შეშწირგებული ბაქარ გამოვიდა ტფილისიდამ ურუმთა-გან. მერმე მოვიდა მუხრანს სპითა მოწყვეტად ლეკთა, არამედ ვერღა-რა ეწია, რამეთუ გაესწრათ ლეკთა საგურამოს, უკუმოქცეული მოვიდა ალს მამისა-თანა: შემდგომად მიიქცა მცხეთას და მუნ მოვიდა მაჭმად-ყულიხანცა და ჰყვეს აღთქმა ერთობა სიყვარულისა და წარვიდნენ თვის-თვისად: შემდგომად წარგზავნა ბიძა თვისი იესე ტფილისს

ურუმთა შინა: ხოლო იესე მიიქცა სჯულსა მათსა ზედა, რამეთუ ოდეს პყრობილ იყო მოიქცა ქრისტიანედვე და აწ ჴყო ესე, ვინადგან იყო ხორცთ-მოყვარე: ამის-თვის მიენდჳნენ მას ურუმნი და წარმოავლინეს სპითა ღორის-თავს მდგომს ბაქარსა ზედა. ხოლო ბაქარ უსპობითა ვერ დაუდგა და წარვიდა ატენს და ოსმალთა დაიპყრეს საბარათიანო. არამედ გაზაფხულს წარავლინა ბაქარ სპანი, ამათ მოსწყვიტნეს თრიალეთს მყოფნი ოსმალნი და ფოკას მოსრნეს **ფ** მხედარნი ტფილისს მომავალნი: ამის-თვის კვალად წარმოავლინნეს იესე და ისაყ ახალ-ციხის ფაშა სპითა, ვერ წინა-აღუდგა ბაქარ. არამედ შევიდა მთათა შინა: ხოლო ოსმალნი მოვიდნენ გორს, მოარბიეს გარემონი, დაიპყრეს გორი. უკუნქცეულთა შთავლეს საამილახორო, მუხრანი და მივიდნენ ტფილისს, შემდგომად კვალად წინა-ძღოლითა იესესითა მოვიდნენ ქცხინვალს, მოსწვეს და მო- **158**
სტყვევნნეს ოსმალთა და წარვიდნენ:

## წარვიდა მეფე ვახტანგ რუსეთს:

ჟამთა ამათ მოვიდნენ წარვლინებულნი რუსეთიდამ ნაზარა-შვილი დავით და ფრანცისტან. და მოართვეს მეფესა წარსლვა რუსეთს. მსმენელი მეფე იმედებული ჴელმწიფობისა მათისა აღეგაზმა, წარვიდა და მივიდა რაჭას ქს. **ჩღკდ**, ქრ. **ჳიბ**: ამას გაჰყჳნენ ქართველნი ყოვლის სახლიდამ და კახნიცა მრავალნი, ვითარ **ჩუ** და ზოგნი უმეტეს დედა-წულითურთ, ხოლო რაჭიდამ მივიდა მეფე ვახტანგ დიგორს, მუნ მოეგებნეს ცოლის ძმანი თვისნი ჩერქეზის ბატონნი, მუნიდამ ჩერქეზს შთასრულს მოეგება სპანი დიდნი რუსთა და მივიდა სოლახს ახალსა ციხესა შინა აგვისტოს კჱ, ოკდომბერს ჩაჯდა ნავსა და განვიდა აშტარხანს ნოემბერს ჱ:

ხოლო შემდგომად მეფე ვახტანგისა შეკრბნენ ქართველნი, მოიყვანეს მაჭმად-ყულიხან კახით, თუშით, ფშაველ-ხევსურითა და დასდგეს თელო-წმიდას, მცნობთა ოსმალთა წარმოიძღვანეს იესე საბარათიანოს სპითა და წარმოვიდნენ. ხოლო ქართველნი მიეგებნეს გუფთას, ეკვეთნენ და ივლტოდენ ურუმნი: მოუხდა იესე, მოაქცია ოსმალნი კვალად, მოსრნა და ივლტოდა გივი ამილახორი და წარმოიყვანა ამან მაჭმად-ყულიხან, მოყჳნენ ოსმალნი, მოსწყვიტნეს ესოდენ, რამეთუ თავნი ურმებითა წარიღო ერასტი ყაფლანის-შვილმან ტფილისს რაჯაბ-ფაშისა-თანა, რომელმან მისცა ოცდა-ათი დრაჰკანი ჯილდოდ და დაიპყრეს ყოველი ქართლი. არამედ იესეს თუცა არა უწოდდეს მპატრონედ, გარნა მასვე ჰკითხვიდეს და იქმოდეს საქმესა ქართლისასა

მის მიერ. გარნა იგი ხვეწდა და იღებდა ქვეყანათა ნარდად და ამით მოირჩმოდა ფრიად. ხოლო ვინადგან არღა-რა ვის ჰყვათ წინა-აღმდგომნი ოსმალთა, აღწერეს ქართლი სრულიად და დასდვეს ხარკი კაცს სულ-ზედ დრაჰკანი, ცხვარ-ზედ ორი შაური, ზროხა-ზედ აბაზი, კამბეჩსა და ცხენ-ზედ ექვსი შაური, მოსავალსა ზედა ხუთის-თავი ხილითურთ, და ამის-გამო იქმნა ჭირი დიდი და მიექცათ სიცრუვე თხემსავე, რამეთუ წაართვეს ოთარს ერისთობა და მისცეს თეიმურაზის ძესა იასონისსა. ხოლო ლტოლვილი ოთარი მოვიდა აშტარხანს მეფისა-თანა და სტყვევნიდიან მამულსა შანშესსა ოსმალნი: ხოლო იხილა რა ესე ვითარება ქათალიკოზმან დომენტიმ წარვიდა ლორეს, რამეთუ ჯერეთ ოსმალთა არა დაეპყრათ და ბესარიონ დაიპყრა იესეს გამო ქათალიკოზობა. შემდგომად მოიწდო ფაშამ ქათალიკოზი დომენტი: არამედ ქათალიკოზი ევედრა, რათა წარავლინოს წინაშე ხონთქრისა, რამეთუ ჰგონებდა მუნიდამ ღხინებასა რასმე ქართლისასა, მან წარავლინა და მისრულსა სტამბოლს მისცეს პატივი დიდი უმეტესი პატრიარქთა და უსმინეს ყოველნი. არამედ ისაყ-ფაშას, რომელი დასვეს, ვითარცა მეფე ტფილისს ახალ-ციხისა, შეუძნდა პატივი ქათალიკოზისა და ქართველთა მოწმობითა შეასმინა ხონთქარსა. ამის-თჳს პატიმარ-ჰყვეს ქათალიკოზი ჭალკისა შინა იესადოს და ბესარიონ იქმნა ქათალიკოზად ქართლს:

ხოლო მეფესა ვახტანგს მიუწოდა დიდმან პეტრემან პეტრებურხს, მასრულსა ცარიცინს, ესმა სიკუდილი დიდისა პეტრესი, დამძიმდა ფრიად. არამედ წარვიდა და მივიდა მოსკოვს, მუნ დასნეულდა დარეჯან ასული არჩილ მეფისა და შეიტკბნენ ფრიად. შემდგომად მივიდა პეტრებურხს იმპერატრიცის ეკატერინეს წინაშე და მან პატივ-სცა მეფეებრ დიდებით და მიანიჭნა ურიცხვნი: შემდეგ განზავებულის წარმოავლინა გილანს, რათა ზავ-ჰყოს ყეენსა და მათ შორის. ამის-თჳს მოუწოდა დედოფალსა მეფე-მან მოსკოვს და მოსრულსა მოსკოვს მეფესა დახვდა დედოფალიცა მუნ. დაუტევა მუნ დედოფალი და თვით წარმოვიდა გილანს: ხოლო დარუბანდს მოსრულს მეფეს მოართვეს ანდრიის კავალერია ლურჯი იმპერატრიცისაგან. შემდეგ მოვიდა გილანს, მაშინ მოერთვნეს გილანელნი სრულიად და აცნობა ყეენსა ყოველნი მეფე-მან: ამა ჟამებთა მოსრულ იყო ნადირ-აკშარი წინაშე ყეენისა, ამან ბრძანებითა ყეენისათა მოჰკლა ფათალიხან ყაჯარი და დაიპყრობინა ყეენსა მაშათი: ამან ყეენ-მან უწოდა თამაზ და მისცა ყორჩიბაშობა. შემდგომად დაიპყრა ხორასანი. არამედ გერა რისა მეოთხედ იყო თვისიერ მისსა ყეენი. მაშინ კიითხვა სათნო ჩვენითა მისითა მოუმცრო მეფესა ყეენ-მან ზავისა-ყოფისად, ვითარცა ნებავს და მოგზავნაცა ნიჭნი: ხოლო მიიცვალა ეკატერინა იმპერატრიცა და დასჯდა ძის-ძე დიდისა პეტრესი პეტრევე წლისა იგ: ამან მოუწოდა მეფესა მოსკოვს და მივიდა მეფე ქს. ჩღკზ, ქრ. ჳიე: ხოლო ამ ქორონიკონის წინას წელს მოკუდა იესე. მაშინ ისაყ-ფაშამ განჰყო ქართლი, სომხით-საბარათიანო მისცა ერასტის ყაფლანის-შვილს, მცხეთას ზეითი ბაგრატ ციცი-შვილს, ზემო-ქართლი გივს ამილახორს, მუხრანი და საერისთონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარკსა და სხვათა რა იგი უხმდათ, არამედ შურითა ურთიერთთაითა ქართველთა იყო უფროსესი ჭირნი და

ართმიდიან და ძრცვიდიან ოსმალნი შესმენითა მათითა. კვალად უმეტესად ოხრებითა და ტყვეო-
ბითა ლეკთათა, გარნა დაიმორჩილეს ამ მთავართა გამო ოსმალთა ესრეთ, რამეთუ უკეთუ მალე
მსრბოლისად არა მიეცათ მეის ცხენი შესხდიან თვით მათ ზედა, ვითარცა უყვეს მანუჩარ ყა-
ფლანის-შვილსა და გიორგი ქავთარის-შვილსა, აღუდვეს ლაგამნი, შესხდენ და ჩხვლეტდენ დე-
ზითა წარსლვად: კვალად უკეთუ ავნის ვინმე ოსმალთა ჩამოართვიან ანძასა და გარდაახდევიან
ვეცხლი დიდ-ძალი, ვითარცა უყვეს დემეტრე ამილახორის-შვილსა, რომელი ჩამოაცვეს ანძასა
ორითა მსახურითა: კვალად განადიდა მელიქი ტფილისისა აშხარ-ბეგ ისაყ-ფაშამან, რამეთუ
მივიდნენ დარბაზობად მისა სპასპეტი ლუარსაბ და მთავარნი ქართლისანი ყოველნი. არამედ მან
არა მიხედნა, არცა იხილნა და გამოუტევნა: ხოლო მაჩაბელი თეიმურაზ არა ერჩდა ამილახორსა
და სწყვეტდა ოსმალთა, სადა ვის მოიხელთიდის: კვალად განდგა ქსნის-ერისთავი შანშე და თეიმუ-
რაზ არაგვის ერისთავიცა განაძეს ოსმალთა და დასვეს რევაზ, და ეს რევაზცა არა ერჩდათ
ოსმალთა, ამისთვის უბრძანა ისაყ-ფაშამ მაჭმად-ყულიხანსა და წარმოავლინა ახალ-ციხის სპანი.
მოვიდნენ ესენი, განაძეს რევაზ და დასვეს პაპუა ზურაბის-ძე. მერმე მოვიდნენ, ქსანი მოარბიეს
და მოვიდნენ ვანათის ციხესა და ქვაბიდამ მოსრვიდეს მრავალთა ოსმალთა: არამედ ღამესა მან გა-
ნივლტვნენ ქვაბიდამ, იხილა შანშემ, მისცა ქრთამი ოსმალთა, ზავ-ჰყო მათ-თანა. ხოლო ამი-
ლახორ-მან წარმოიყვანა მაჭმად ყული-ხანიითურთ ოსმალთა სპანი და დაესხა მაჩაბელს მეჯუთს,
შემუსრეს ციხე სვერისა, რომელი აღაშენა თეიმურაზ მაჩაბელ-მან. გარნა მეჯუთის მოსრნეს 158
მრავალნი ოსმალნი: შემდგომად მისწირდა და განივლტო მაჩაბელი და მივიდა რაჭას ცოლ-შვი-
ლითა. ხოლო ოსმალთა მოსწყვიტნეს, მოსტყვევნეს, შემუსრნეს ციხენი და მოვიდნენ გორს,
და ესმათ ოსმალთა მოტყუება და შეპყრობა მაჭმად-ყულიხანისა, ვინაიდგან მან იახლნა ლეკნი:
ჰსცნა მაჭმად-ყულიხან და წარვიდა კახეთს. არამედ ოსმალთა დაიმორჩილეს ქართლი უმეტეს და
განიყვეს დაბნები:

ამ ჟამთავე მოადგნენ ლეკნი ჭალას, მოკლეს ამილახორი რევაზის-შვილი ერასტი და შე-
მუსრეს ჭალა, გამოიყვანეს ჩ სულნი ტყვედ და წარვიდნენ: განა თვინიერ ამისა და ამათ ჭირთა
შინა, რომელი იყო ოსმალთა-გან გაზაფხულ-შემოდგომას მარადის ატყვევებდნენ ლეკნი, რამეთუ
ჯარად და ჯარად გამოვიდიან ჩ უმეტესი და უმცირესნი: ხოლო ესმა უსუფ-ფაშას ძესა ისაყისასა
გამოსვლა ლეკთა, წარმოვიდა სპითა ოსმალ-ქართველთათა და ეკვეთა მუხრანს ლეკთა, მოსრნა
იგინი და ნეშტნი შევიდნენ შიოს-უბანს, მოადგა გარს და შეესივნენ და სრვიდეს ლეკთა.
არამედ ესე ომის ბრძოლისა ხმა ესმათ სხუათა მომავალთა ლეკთა, მოუხდნენ და აოტეს უსუფ-
ფაშა, რამეთუ კინდა გარდაიხვეწა და მოსრნეს ლეკთა ოსმალნი უმრავლესნი: კვალად სადარბა-
ზევს ეკვეთა ლეკთა მაჭმად-ბეგ ოსმალ-ქართველითა სპითა. არამედ ლეკნი ივლტოდნენ, სადაცა
მზირ-ყოფით ტყვეთა შინა, და რა მივიდნენ ოსმალნი უწყეს ლეკთა იმიერ-ამიერ თოფთა ცემა,
მოსწყვიტნეს ოსმალნი და აოტნეს, ვითარ მცირედნი განერნენ: კვალად გორიდამ მომავალთა

ოსმალთა სპათა ემთხვიათ ლეკნი ნიჩბისის ბოლოს, კვეთებასავე აოტნეს ლეკთა და მოსწყვიდნეს უმრავლესნი: ხოლო მეჭედართა ახმარნეს ჩიბუხნი თვისნი უკანა კარით, განძლიერდნენ ესრეთ, რამეთუ უწყეს სამცხე-ჯავახეთის რბევა და ტყვევნა ლეკთა. ვინაჲცგან არღა-რა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილ-საბარათიანოს-სომხითისაცა, თვინიერ სიმაგრეთა, რამეთუ შეუშაკობადცა პარვით-მალვით ჩამოვიდიან და მათნი მხილველნი ივლტოდიან სიმაგრეთა. გარნა კვალად მრავალ-გზის მოსწყვიდნეს ოსმალთა, ვითარ ვერღა-რა წინა-აღუდგნესცა: კვალად მოერბიათ ჯავახეთი, ესცნეს ქართველთა და აცნობეს ოსმალთა, მოვიდნენ ქართველნი და შეუკრნეს დიდგორის კოშკის-ყელი, და რა მოვიდნენ ლეკნი უწყეს თოფთა ცემა და მრავალნი მოსრნეს: ხოლო მათ დაჭყარნეს ნატყვევნავნი სრულიად და ივლტოდნენ: მაშინ თელად-გორის ბოლოს დახუდნენ ოსმალნი და უფროსად მოსწყვიდნეს. არამედ კვალად იყო მათგანვე უფროსად ტყვევნა და ოხრება და ბრძოლასაცა უმეტეს იგინი მრე-ექმნებოდიან, ვინადგან განმრავლდა სიმვა-მრუშება, სიდომია, ტყვის-ყიდვა, შური, სრვა ურთიერთთა და სხვანი ბოროტნი და ამის-თჳსცა მოუშვა ღმერთმან ბოროტება, რამეთუ მხეცნიცა მოეტევნეს და სჭამდნენ ურიცხჳდ მრავალთა: კვალად მოვიდა სირი ჭივჭავი, რომელთა დაბნელიან მზე სიმრავლით და მოჭამა ნაშრომი სრულიად, რომელი არა თქმულ არს საუკუნით: კვალად იყო სრვაცა, მომსრველი კაცთა ძლიერი, გარნა არავის შეიშინებდა ღუთისასა:

ხოლო შემდგომად ლტოლვისა ისაყ-ფაშისა მოვიდა თოფალ-ფაშა: ამან უბრძანა ქართველთა საჭურველით ყოფა და პატივთა უყოფდა და ასწავებდა ერთობასა და ვედრებასა ღუთისასა: მაშინ სპანი მისნი მარადის მრე ექმნებოდნენ ლეკთა და მოსწყვეტდნენ. არამედ შემდგომად მცირედისა წარავლინეს ბაღდადს და შემდგომად მისა კვალად მოვიდა ისაყ-ფაშავე და იქმნა ვითარცა პირველ, გარნა უძვირესიცა.

ხოლო რაჟამს გარდაიცვალა მეორე პეტრე იმპერატორი და დასჯდა იმპერატრიცა ანნა, ამან მიუწოდა მეფესა ვახტანგს პეტრებურხს, მისცა ნიჭი და წარმოავლინა დარუბანდს, რათა დაიპყრას შამახია და მერმე ქართლი. წარმოსრული გამოვიდა დარუბანდს ქს. ჩღლდ, ქრ. უკბ: არამედ წინა-ხსენებულ-მან თამაზ-მან პირველვე დაიპყრა ხორასანი და განასხნა ისპაჰნიდამ ავღანნი და დასვა მუნ შათამაზ: კვალად აღიღო ოსმალთა-გან თავრიზი და დაუტევა ყეენი ბრძოლად ერევნისა და თვით წარვიდა ხორასანს: არამედ შაჰ-თამაზ აოტეს ურუმთა ერევანს და ლტოლვილი მივიდა ისპაჰნს. ესე ჰსცნა თამაზ-ხან, მივიდა ისპაჰნს და შეიპყრა შაჰ-თამაზ, რამეთუ იყო მემთვრალე და უბადოოდმქცევი. ხოლო თამაზ-ხან წარვიდა ბაღდადს, მოჰკლა თოფალ-ფაშა და მივიდა ისპაჰნს და განემზადებოდა წარსლვად ბაღდადსა ზედა. არამედ ესმა წარსლვა მეფის ვახტანგისა დარუბანდიდამ შამახიასა ზედა, დაუტევა ბაღდადი და მოვიდა უცნობელად შამახიას, აღიღო იგი სურხავისა-გან და მერმე შეუხდა სურხავს კულმუხსა, მოსწყვიტნა და მოსტყვევნნა, აღიღო ალაფი მისი, გარდმოვიდა შაქს და მუნიდამ მოადგა განჯას: მიუვლინა დარუბანდს ვახტანგ მეფესა კაცი, რათა მივიდეს მის-თა-

ნა. არამედ ვახტანგ არა ინება და განვიდა აშტარხანს, ვინადგან მისცეს რუსთა ყოველნი სპა-
რსეთისანი თამაზ-ხანს. გარნა თამაზ-ხან ვერ აღიღო განჯა ზამთარსა ამას: მაშინ ქართველთა
მოსწყვიტნეს ოსმალნი ტფილისის გარეთნი სრულიად, ეგრეთვე გივი ამილახორი შეეტყუა
გორის-ციხეს ოსმალთა და მოსრნა იგინი და დაიპყრა ციხე: მერმე მოურთვნეს ქართველნი
განჯას თამაზ-ხანს. არამედ მან მცირედითა პატივ-სცა ნიჭითა, წარმოატანა ხანჯალ-ხან სპითა,
რათა ბრძოს ოსმალთა, მოვიდნენ ქსენი, შეკრბნენ გვალად და დასდგნენ ავჭალას: მაშინ გამოვიდა
ტფილისიდამ მაჭმად-ბეგ სპითა ოსმალთათა, ამათ ეკვეთნენ ყიზილბაშ-ქართველნი, აოტნეს
ოსმალნი და მოსწყვიტნეს და სხვანი შევიდნენ ტფილისს: შემდგომად დასდგნენ კოჯორ-ზედ
ყიზილბაშ-ქართველნი და ტალანი ამათნი წაკვეთს. მოვიდნენ ოსმალნი ღამე და მოსრნეს ტალანი
სრულიად და დილას დაესხნენ ყიზილბაშ-ქართველთა და ეკვეთნეს ქსნითა: არამედ ივლტოდნენ
ოსმალნი და მოსრვიდეს, მოჰყვნენ და მოადგნენ ტფილისს: ხოლო გაზაფხულსა ამას დაუ-
ტევა თამაზ-ხან განჯა თვით, და გარმოდგომილ-ჰყო სხვითა სპითა. მან შემოვლო სომხითი,
დაბანისი (¹), გარდავლო ყაიყულს და მივიდა ყარსს: მაშინ მუნ მოსრულ იყო სარასკრად ქო-
ფრული სპითა დიდითა, ვერა-რისა მყოფელი ყარს თამაზ-ხან მოიქცა და დასდგა ერევანს ზედა.
ხოლო მესამის დღის დილასა მოვიდა ქოფრულიცა სპითა, ეწყვნეს და იქმნა მუნ ბრძოლა ძლი-
ერი, მოკლეს ქოფრული და ივლტოდნენ ოსმალნი, რამეთუ ერთი ასთა შეიპყრობდა, ამის მხილ- 159
ველთა ოსმალთა მისცეს ერევანი, განჯა, ლორე, ტფილისი და დაიპყრა თამაზ-ხან და ქართველთა
მიუწოდა ერევანს, არამედ მუნ შეიპყრნა, თვინიერ ქაიხოსრო ჯავახიშვილისა, რომელი იყო
მას ჟამსა სპასპეტი და პატიმარი წარმოავლინნა ტფილის:

## მოვიდა თამაზ-ხან ტფილისს:

გვალად აჭვარა ყაიყული სრულიად და წარგზავნა ხვარასანს, მერმე მოვიდა თვითცა ტფილის ქს. ჩღლე, ქრ. ჩჳლე: ხოლო ქართველნი მოგზაურნი განივლტნენ თვინიერ ვახუშტი აბაშიძისა. ხოლო ტფილისიდამ წარავლინა სპანი და მიუხდნენ ბარძიმს არაგვსა ზედა, მუნ აოტნეს ყიზილბაშნი. არამედ ზემო-ქართლს და საციციანოს აჭყარნა სულნი მრავალნი და წარგზავნა ხორასანს: იხილე რისხვა, რამეთუ არა კმა იყო პირველი, არამედ ხილხილიდამ ანჯამდე სამასი დედათაგან მოგდებული ჩჩვილნი ეყარნეს მკვდარნი: ხოლო თამაზ-ხან სრულიად აოხრებისა ქართლისა განმზრახსა მოესმა მოსლვა თათარხანთა დარუბანდს, დაუტევა ქართლი, ხოლო კახეთი ოხრებით და მივიდა დარუბანდს. არამედ თათარხანნი უკუნიქცეულ-იყვნენ, და ამან შემუსრა უცმი და მოვიდა მუღანს, და მუნ გაკელმწიფდა და იწოდა გვალად შანადირ. მერმე მივიდა ისპაჰანს წარსლვად ყანდაარს: ხოლო ქართლს დაუტევა ალიმირზა ძე იმან-ყულისა, ვითარცა ვალი და სეფი-ხან. ამან

(¹) დბანისი უნდა.

სეფი-ხან მოიტყუვნა გორს ქართველნი, შეიპყრა თეიმურაზ, გივი ამილახორი, ბარძიმ ერისთავი და სხვანი, ხოლო შანშე ივლტოდა და წარუვლინა ისპაჰანს შაჰ-ნადირს. ხოლო მან არა რაი ავნო და წარიყვანა ყარდაარს: შემდგომად მისცა ხანჯალხანს ხანობა ქართლისა, წარმოატანა ქართველ-ნი და გამოუტევა. ხოლო თვით აღიღო ყანდაარი და წარვიდა ინდოეთს: მაშინ მოსრულ-მან ხანჯალხან დასდვა ხარკი და ჭირი დიდი, რამეთუ ხეთა, ვენახთა, სახნავთა და პირუტყვთა, ამათ ყოველთა-გან იღებდნენ და ამით დაიპყრეს სპანი და უწოდეს ნოქარი და მთავართაცა სახელო-თივე მათითა პატივ-სცეს და მიუხვნეს მამულნი და მსახურებდეს ტფილისის ხანსა, რამეთუ მისვე განსაგო იყო კახეთი, ბორჩალუ და ყაზახი: კვალად მოჰკრეფდიან ტყუეთა და წარუვლენ-დიან შაჰ-ნადირს: ხოლო შანშე ყამად ერჩდის და ყამად უპყრდის: ხოლო მეფე ვახტანგ დადგა აშტარხანს და წარავლინა ბაქარ ძე თვისი ქართველი-თურთ მოსკოვს და მოიყვანა დედოფალიცა მუნ და იყო განსვენებით წელი ერთი. შემდგომად გარდაიცვალა, ქს. ჩღლზ, ქრ. უკე, მარ-ტის კვ და დაფლეს მუნვე დიდითა პატივითა და კელმწიფურითა: შემდგომად მისსა წარვიდა დედოფალიცა მოსკოვს და დაშთნენ იგინიცა მუნ: ხოლო მოკუდა ბესარიონ კათალიკოზი: შე-მდგომად მოვიდა კათალიკოზი დომენტი სტამბოლიდამ იმერეთს, მოიყვანეს იგივე კათალიკოზად მოსრულს მიეგება ხანჯალხან და ყოველნი წარჩინებულნი და ქალაქი და ჰსცეს პატივი დიდი: ხოლო მოკუდა რა ხანჯალხან მისცეს ალავერდის ხანობა ძესა იესესსა ნაშობსა ხარჭისასა, და ვინად-გან არა ერჩდათ შანშე მოადგნენ ყიზილბაშნი, ვერ დაუდგა შანშე და ივლტოდა დედა-წულით იმერეთს და მუნიდამ რუსეთს. მისრული მოსკოვს არღა-რა შეიწყნარა კელმწიფე-მან და მოვიდა ქართლსავე და დაიპყრნა მამულნი თვისნი, მოიყვანა ლეკნი და აოხრებდა ქვეყანათა. არამედ ღტოლვისა შანშესა წაგვარეს იესეს ძმასა მისსა ცოლი არაგვის-ერისთავისა და მისცეს ყიზილბაშთა: ამის-თჳს შეიკრიბნა შანშემ ლეკნი და მოადგა ანანურს, შემუსრა, აღიღო იგი და მოსწყვიტნა არაგვის-ერისთვისანი სრულიად, რამეთუ არავინ განერა: იხილე რამეთუ გიორგი ერისთვის ცოლი მარილის-ქვით კიდული წარიქციეს: გარნა არა დასცხრა შანშე და ატყუევებდა ქართლს ლეკით. ესე ლეკნი მოვიდნენ ტაშირს, ჰსცნა სეფი-ხან ყაზახს მდგომ-მან, რომელი პირველ იყო ტფილისის ხანად და შესმენითა ქართველთათა რისხვით წარიყვანა შაჰ-ნადირ: ესე მოვიდა ჰ კაცითა დბანის, წარიძღვანა ქაიხოსრო სპასპეტი და მიუსწრა ტაშირიდამ გარდმო-მავალთა ლეკთა, ეკვეთა და მოსწყვიტნა, რამეთუ მცირედნი ივლტოდნენ: კვალად გარდაუსწრა კახეთს და ქართლიდამ გარდმოსრულნი მოსწყვიტნა მრავალნი. არამედ ყიზილბაშთაცა მრავალ-ჯერ მოსწყვიტ-ნეს ლეკნი. გარნა აქცინდათ სადგურად ქსანი და მარადის იყო მათ-გან რბევა და ტყუევნა, რამეთუ არღა-რა იყო მოსახლე, ვინად-გან შეშინდნენ ფრიად ლეკთა-გან, რამეთუ ერთ-მან ლეკ-მან ჩხი-კვთას დაჰყვეს ზამთარი ტყვით დედა-კაცებით, მიდგომილთა ლეკთა-გან შობეს და ზაფხულს აღკიდეს მათვე შვილნი მათნი და წარვიდნენ (ამის-თჳს მიუშვა ღმერთმანცა, ვინადგან იყო უში-შრობა ღ̃თისა):

შემდგომად მოიქცა რა შაჰ-ნადირ ინდოეთიდამ, მოვიდა და მოადგა ლეკეთს, წარმოავლინა სპანი და მოადგინა შანშეს, გამოიყვანეს ამათ აწყურის ხევის ციხიდამ ცოლ-შვილი შანშესი და ტყვენი მრავალნი. ხოლო შანშე ივლტოდა ახალციხეს და ალიყულიხან, რომელი იყო თავ-სპათა და ხანი ტფილისისა, შევიდა მაღრან-დვალეთს, მოსტყვევნა იგი და მთანი შანშესანი. არამედ ჟამურის ოვსთა აოტნეს ხანი და მოსწყვიტნეს სპანი მისნი: ხოლო თხოვნითა შაჰ-ნადირისათა მოსცეს ოსმალთა შანშე მას. არამედ შაჰ-ნადირ ინება განტევება მისი თავ-მდებობითა ქართველთა-თა. გარნა ქართველთა არა ინებეს და წარგზავნა ხვარასანს. არამედ მოგზაური შანშე გამოიპარა, შეიპყრეს კვალად და აღმოხადნეს თუალნი ძმითურთ: ხოლო ქართველნი იყვნენ წინაშე შაჰ-ნადირისა მარადის დარუბანდს. მაშინ მოვიდა კათალიკოზიცა დომენტი და პატივით შეიწყნარა და წარმოავლინა ქართლსავე კათალიკოზად: არამედ ქართლს იყო ჭირი დიდი საზრდელთა-თჳს, ვინადგან თითქმის ერთსა მიალებინა სამასი-ათასი კოდი პური ქერი, რამეთუ ჰყვათ წარჩინებულთა ცოლ-შვილნი ტფილისს და ვერ-ვინ იკადრებდა ურჩებად: ხოლო ქართველთა შეასმინეს ალიყული-ხან და მოგზავნა შაჰ-ნადირ ყოჯახან ტფილისს: მაშინ მოსრნეს ყაფლანიანთ ვაჭარნი ქარავნისა ოსმალთა, შესჩივლეს შაჰ-ნადირს, შეიპყრა ელიზბარ და მოაშთო იგი. ხოლო ქაიხოსროს მიუღო **ფ** თუმანი და მისცა მათ ვაჭართ, კვალად დაჰკვეთა ბარათიანთა ყურნი საზრდელთა-თჳს: შემდგომად მისცა გივს ამილახორს ქსანი და ვექილობა ქართლისა, ბეჟანს ერისთობა არაგვისა და უბრძანა მოსვლა ლეკთა ზედა კახეთის მთიდამ: ხოლო მოვიდნეს რა ტფილისს სრულიად ქართველნი წარჩინებულნი, ამ ჟამსა მიიცვალა კათალიკოზი დომენტი ქს. **ჩღმა**, ქრ. **უკთ** და დაფლეს მცხეთას. არამედ დასვა თვით მანვე კათალიკოზად ნიკოლაოზ ხერხეულიძე. ხოლო გივი ამილახორი ემზახლა ბეჟან ერისთავს და დაიპყრა ქსანი და მორჩილებდა ბეჟან გივს: არამედ ვინად-გან ერწმუნა შაჰ-ნადირს მის-თჳს ქართლი, მოითხოვნა ქურივნი ქალნი, ქალწულნი ქალნი და ვაჟნი სამას-სამასნი, ხუთასი კომლი კაცი და ოცი-ათასი ხარვარი პური, ამის-თჳს ჰკრახა გივი ქართველთა: „არა ძალ-გვიცს ყოფად და განვდგეთ, ვინად-გან ვერა სიზმისა-ებრ დაიპყრა შაჰ-ნადირ ლეკნი:“ ხოლო მათ მისცეს პირი მტკიცე: ამის-თჳს განაზრახა ხანი წარსლვად ლეკსა ზედა და განვიდაცა ხანი 160
ყიზილბაშ-ქართველითა: მაშინ გივი გამოივლტო ცოლ-შვილით ტფილისიდამ სიმაგრეთა, იმედებული და მოვიდა ქსნის-ხევსა შინა. არამედ ქართველნი არღარა-ვინ გამოჰყუჰნენ, არცა უკუდგნენ: ესე რა ესმა ხანსა მოიქცა ტფილისვე და მოთხოვნილისა-თჳს მთავართა შეაჭირვებდა და მრავალთა ჰგვემა და პყრობილება შეამთხვია, და მოუხდა გივს, ვერ შემუსრა, მოაოხრა გარემონი და მოიქცა ტფილისვე:

ჟამსა მას წარმოევლინა იმპერატრიცას ელისაბედს პეტროვნას ძე ვახტანგისა ბაქარ აშტარხანს: ესე ჰგონა გივ-მან მიმსლველად ქართლს მეფედ, წარუვლინა ბარძიმ ბიძის ძე თვისი და მოუწოდა ბაქარს, რათა მოვიდეს და დაიპყრას ქართლი: ხოლ შაჰ-ნადირ ბრძოდა ლეკთა ერთწელ, შეამჭირვა და შეამრწუნა ფრიად, რამეთუ ჰქონდენ შვილთა და სჭამდენ ხორცსა ღორისასა

არამედ იყო სიყმილი ძლიერი სპათაცა შორის ნადირისათა, რამეთუ ოთხი კოდი პური სამ-თუ-მნად იყიდოდა. ამის-თჳს უკუნიქცა შაჰ-ნადირ და წარვიდა სპარსეთად; ხოლო ზაქარს მოუწოდეს კვალად პეტრებუხსავე და მივიდა მუნ: გარნა გივი არა დასცხრა და ბრძოდა ხანი ტფილისისა და აოხრებდნენ ქვეყანათა იგიცა და ესენიცა. ამის-თჳს მოიყვანნა გივმანცა ლეკნი სიჯადად თჳ-სად და მოსწყვიდნა რაოდენნიმე ყიზილბაშთა სპანი. არამედ აოხრებდა უმეტეს ქვეყანათა: ხოლო შემდგომად შეკრებითა გახთათა მოკლეს ზეყან-ერისთავი ყმათაგან მისთა და მიერთვნენ თეიმურაზს და წარუხვნეს მოყვლთა ქონება გივს ამილახორს და გამოასხეს ცოლ-შვილნი მისნი ხადიდამ: გასა გივ-მან კვალად განამაგრა ქსნის ციხე ცხვილოსისა, გეხვისა და სურამისა და წარვიდა ქართლს და კვალადცა არა დასცხრა გივი ოხრებად ქვეყანათა ლეკითა: ესე უთხრეს ამცნო თეი-მურაზ შაჰ-ნადირს და შაჰ-ნადირმა მოსცა არაგვის საერისთო თეიმურაზს: ესე მოვიდა და დადგა ტბის და ბრძოდნენ ქსანს; მაშინ ლეკთითა ლტოლვილი ყეენის ძე წოდებული წარვიდოდა ოს-მალთა შინა და ეტიკ-მან მის-მან შეპყრობა და მოიყვანა თეიმურაზისსა-თანა: ხოლო თეიმურაზ შეიპყრა იგი და წარუმძღვანა ძე თჳისი ერეკლე და წარავლინა წინაშე შაჰ-ნადირისა, რამეთუ მაშინ ჰბრძოდა ოსმალთა მუსულს. ამის-თჳს მადლიერ იქმნა შაჰ-ნადირ, მოსცა ნიჭი დიდი და წარ-მოავლინა ერეკლეცა ნიჭითა: არამედ ზიას-შვილმან გივისა-მან რევაზ მისცნა ციხენი ქსნისანი თეიმურაზს და იგინი ანანურითა და გლეხითა შთაგდა კახეთს, რამეთუ მრავალნი წარჩინებულნი, ანანურნი და გლეხნი დაუშენებოდნენ ქართველნი კახეთს, ვინადგან მუნ უმცირესი ჭირი იყო თათართაგან:

ხოლო წელსა ქს. ჩღმდ, ქრ. ულბ, წარმოუვლინა ხონთქარმა გასიი დიდი ლეკთა-თჳს და მოვიდა უსუფ ახალ-ციხის ფაშა იგი სპითა ქართლს, რათა წარუვლინოს ლეკთა იგი, ამას მი-ერთო ამილახვარი გივიცა: ესმა ესე ხანსა ტფილისისასა შეიკრიბნა ყიზილბაშნი და მოუწოდა ქართველთა და თეიმურაზს, მერმე შეკრებულნი ყოველნი მოვიდნენ გორს. ხოლო ურუმნი მო-ვიდნენ თედო-წმიდას: მიეგება ხანი თეიმურაზითა და ქართველითა, ილტვნეს ოსმალთაგან და შემოვიდნენ გორს. მოვიდნენ ურუმნი და მოადგნენ გარს და წარგზავნეს სპითა დიდითა სუჯან-მური იგი ლეკთა შინა. ესე აცნობა ხან-მან და თეიმურაზ ერეკლეს, ესე შეკრბა კახითა და აგ-ლიითა და შეუკრა არაგვის-პირი ჭალა მოსრულთა ურუმთა. ამათ უწყეს ცემა ოთხთა, აოტეს ოსმალნი და მოსრნეს მრავალნი. გარნა წარიღეს სუჯანმური იგი და მივიდნენ გორს ლტოლ-ვილნი: ამისი მხილველი უსუფ-ფაშა აღიყარა და წარვიდა, ვითარცა მეოტი. ხოლო ხანი და თეიმურაზ გამოვიდნენ გორიდამ და აღიღეს ალაფი ოსმალთა მრავალი: შემდგომად მოიქცნენ ესენი ტფილისს და აცნობეს ყოველი ქმნილი შაჰ-ნადირს. ესე განიხარა ფრიად შაჰ-ნადირ და მოსცა თეიმურაზს ქართლი, ხოლო ერეკლეს ძესა მისსა კახეთი. მერმე მოვიდა თეიმურაზ ტფილისს ქს ჩღმდ, ქრ. ულბ:

## ქმნულება და ცხოვრება

## კ ა ხ ე თ ი ს ა  დ ა  ჰ ე რ ე თ ი ს ა:

ხოლო რაჟამს მოვიდა ჰეროს წილსა თვისსა ქვეყანასა აღაშენა ქალაქი ორთა ალაზანთა შესაკრებელთა შორის და უწოდა სახელითა თვისითა ჰერეთი და დაიპყრა ქვეყანა წილ-ხდომილი თვისი. სამხრით ხორასნითის-ჴევი მტკვრამდე და კავკასამდე საზღვარი მოვაკანისა, ჩრდილოთ ხუნანიდამ გულგულამდე და კავკასამდე, აღმოსავლით კავკასი, დასავლით მტკვარი: ამათ შორისი ქვეყანა არს ჰერეთი, რომელსა შინა დაეშენა და შემდგომად განითესნენ სათესავნი და ძენი მისნი ქვეყანასა ამას შინა და იყვნეს იგინი იგი და სათესავნი მისნი მორჩილებასა შინა ქართლოსისა და მცხეთოსისა მამასახლისისასცა, ჟამად ჟამად განდგომილნი, ვითარცა აღვსწერეთ, ეგრეთვე კახოს და კუხოს და სათესავნი მათნი, ვიდრე პირველისა მეფისა ფარნაოზისამდე: ხოლო მეფე-მან ფარნაოზ დასვა კახეთს და კუხეთს ერისთავი ერთი და შემდგომად დასვეს ჰერეთისა ერისთავი სხვა და თუშთა, დიდოთა და ხუნძახთა სხვა, ვითარცა იწერების ჟამსა შინა შემდგომად მეფისა არჩილისასა: არამედ ოდესმე დასხმიდნენ ძეთა თვისთა მეფენი, ვითარცა მისცა მირიან რევს და ბაქარ რევის სათესავთა და შთამომავალთა. ხოლო ვახტანგ გორგასალ მისცა ძესა თვისსა დაჩის და შემდგომად ადარნასე ხოსროვანი ერისთობდა ჰერეთს, ჟამსა შინა მეფისა გურამ კურაპალატისასა. გარნა იყვნენ მარადის ესენი მორჩილებასა და მსახურებასა შინა მეფეთა ქართველთასა: ხოლო შემდგომად იოანესა და ჯუანშერისის გარდაცვალებისა განდგა გრიგოლი მთავარი და დაიპყრა კახეთი და გარდაბანი და ესე იყო პირველი განდგომა თავადად და ამის განდგომილებიდამ დავით აღმაშენებლისა ერთ-მეფობამდე ისხდნენ მთავარნი კახეთს და მეფენი ეგე: არამედ ჰერეთი დაიპყრეს ძმისწულთა ადარნასე ბრმისათა, რომელთა დასწვნეს თვალნი მამის-ძმისა და არჩილ მოწამე-მან მიუბოძა ამას შაკიხი და ცოლი აბუხოსროისი და ამის ძეთა დაიპყრეს შაკიხიდამ გულგულამდე და შემდგომად ჯუანშერისა სიკუდილისა დაიპყრეს სრულიად ჰერეთი და იწოდეს მეფედ. და დასხნეს ერისთავნი, ვითარცა იწერების. ერისთავი შტორისა, ერისთავი ხორნაბუჯისა, ერისთავი ვეჟინისა, ერისთავი მაჭისა; გარნა არა არს უწყებული, თუ რაოდენნი მეფენი ისხდნენ და სახელნი მათნი, ვიდრე კვირიკეს გ ქორიკოზისამდე. არამედ ამ შლილობაებთა

შინა იყვნენ იგინი მშვიდობით და ოდესმე მოვიდიან მძლავრნი, მისცემდიან ხარკთა და დაიმშვიდნან: ხოლო წელსა ქს. შიზ, ქრ. რლზ მოიხსენების სახელი ადარნასე პატრიკისა და ძისა მისისა დინარ დედოფლის ქრმისა და ძისა მათისა იშხანიკისა, რომელიცა აღვსწერეთ რიგოვანად თვის რიგსა ზედა:

## ა გრიგოლი ლზ წელი ჰმთავრა:

ხოლო წელსა ქს. ღპზ, ქრ. ზ, მოკუდა ჯუანშერ ერისთავთ-ერისთავი და შემდგომად მისსა განდგა გრიგოლი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. ამანვე მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად, და ბრძოლასა შინა აშოტ კურაპალატისასა იძლია გრიგოლ და დაშთა გრიგოლის კსნის აღმოსავლეთის მხარი და ესე გრიგოლი მთავრობდა ლზ წელთა, მეგობრობასა შინა ჰერეთის მეფეთათა, რამეთუ ჰერეთი დაიპყრეს ჟამსა ამათვე ადარნასეს ძმის-წულთა და გამეფდა მუნ. ხოლო შემდგომად მოკუდა მთავარი გრიგოლი ქს. ყკზ, ქრ. მზ:

## ბ ვაჩე, იბ წელი ჰმთავრა:

და შემდგომად გრიგოლისა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ვაჩე ქობულის ძე და უწოდეს ქორიკოზად კახეთისად და ესე ვაჩე ქორიკოზობდა კეთილად კახეთს. შემდგომად მოკუდა ქს. ყლთ, ქრ. ნთ:

## გ სამოელ, კბ წელი ჰმთავრა:

შემდგომად ვაჩესა გამოირჩიეს გარდაბანელთა და დასვეს სამოელ დონაური: ეს სამოელ შეება გავაზს ხალილს. ამან უშველა მაჭმედს, ამანვე გარდაუვლენა გარდაბანელნი ბუღა თურქს
181 ჯუარის-ბოლოს, შემდგომად მოკუდა, ქს. ყჲა. ქრ. პა:

## დ გაბრიელ, კ წელი ჰმთავრა:

ამის ჟამსა იყო ილარიონ ქართუჱლი ნათესავით კახი:

შემდგომად სამოელისა დაჯდა ქორიკოზად გაბრიელ დონაური, ძმის-წული მისვე სამოელისა და ესე ქორიკოზობდა ისე შიხის ძის ჟამსა შინა. ამასვე მიუღეს გარდაბანი, შემდგომად მოკუდა ქს. ყპა, ქრ. რა:

## ე ფადლა, იე წელი ჴმთავრა:

მერმე დაჯდა ქორიკოზად ფადლა არელმანელი ბრძენი, გონიერი და საქმის მეცნიერი. ამან კვალად დაიპყრა გარდაბანი. შემდგომად მოკუდა ქს. ყყბ, ქრ. რგ (არამედ იგონების ამას ქვეითნი მპყრობელნი კახეთისანი ამისი ძენი და შთამომავალნი არიან, ვითარცა სახელით წარმოიჩინებიან):

## ვ კვირიკე, კვ წელი ჴმთავრა:

შემდგომად ფადლასა დაჯდა კვირიკე ქორიკოზად: ჟამსა ამისსა შემოვიდა კახეთს ამირ-აგარიანი. ამ ამირ ალილო უჯარმა და ბოჩორმა. ხოლო კვირიკე მივიდა წინაშე ამირისა: არამედ აქამომდე ჵერეთთა მეფეთა სახელნი არა არიან წარმოჩინილნი და ქმნულებანი მათნი და ჰრა მოიხსენა, ვინადგან იყვნენ მშვიდობით და თვისად. ხოლო აწ შეემტკრა რა ესე კვირიკე ქორიკოზი კახეთისა ადარნასე პატრიკსა ჵერეთის მპყრობელსა და ვინად-გან შეიწყნარა კვირიკევე ამირ აგარიან-მან და მოიცა ამირისა-გან კვირიკემ ძალი. არამედ ადარნასემ ამით ვერღა-რა იკადრა მეფობით წოდებად თვისად. გარნა პატრიკად: ხოლო შემდგომად მტრად ადარნასესა მოიყვანა კვირიკემ მეფე აფხაზთა კონსტანტინე ქს. შიე. ქრ. რლე: მერმე დაზავდენ ვეჯინს, ვითარცა აღვსწერეთ და დაშთა ჵერეთი ადარნასე პატრიკსა, ხოლო კახეთი კვირიკეს: შემდგომად მოკუდა კვირიკე ქორიკოზი ქს. შიტ, ქრ. რლტ: ხოლო ადარნასე პატრიკ-მან მოგვარა ცოლი ძესა თვისსა ასული ადარნასესი და და გურგენ ერისთავთ-ერისთავისა ძის ძის ძისა აშოტ კურაპალატისა სახელით დინარ და ამის ძის იხშანიკისამდე იყო ჵერეთი მწვალებელი ქასრეს ჟამიდამ აქამომდე. ხოლო ამან დინარ დედოფალ-მან მოაქცია ჵერეთი სომეხთა წვალებისა-გან მართლ-მადიდებლობისა აღმსაარებლად:

## ზ ფადლა, ია წელი მთავრა:

ხოლო კვალად კახეთს შემდგომად კვირიკესა დაჯდა ძე მისი ფადლა ქორიკოზად: ჟამსა მისსა მოვიდნენ სარკინოზნი საჯნი და მოსტყუევნნეს კახეთი და წარილეს საჯთა ჯუჯარი დაჭრილი: არამედ რა იხილა შეავება ფადლასი ძე-მან ადარნასესა-მან და ქმარ-მან დინარ დედოფლისა-მან კვალად დაიპყრა კვირიკესა და კონსტანტინე მეფისა-გან მიღებულნი ჵერეთისა თვით-

ვე და იწოდა კვალად მეფედ: ხოლო ამან ფადლა ქორიკოზ-მან უშველა აფხაზთა მეფესა გიორგის, რაჟამს მოადგა უფლის-ციხეს ძესა თვისსა და შემდგომად ამისა მოკჳდა ფადლა ქორიკოზი ქს. შკთ, ქრ. რძთ:

## ჱ კვირიკე, მზ წელი მთავრა:

და დასჯდა კახეთს ქორიკოზად კვირიკე ძე ფადლასი: ამას განუდგნეს გარდაბანელნი და მოიყვანეს გიორგი მეფე აფხაზთა, შეიპყრა კვირიკე გიორგი მეფე-მან და დაიპყრა კახეთი თვით: ხოლო შემდგომად გიორგი მეფის სიკჳდილისა და ლეონ ძისა მისისა სიკჳდილისა დაიპყრა კვირიკემვე კახეთი: შემდგომად ამან კვირიკე-მ მისცა ადარნასე ძმასა მისსა დიმიტრის აფხაზთა მეფესა. კვალად ამანვე კვირიკე-მ გამოიყვან უფლის-ციხიდამ მეფე ბაგრატ და დედა მისი გურანდუხტ: ესევე კვირიკე დაუზავა დავით კურაპალატსა. შემდგომად ამისა მოკჳდა ქს. შოგ, ქრ. რჟვ

## თ დავით, ლდ წელი მთავრა:

შემდგომად კვირიკესა დაჯდა ძე მისი დავით ქორიკოზად: ესე დავით ქორიკოზი და მეფე ბაგრატ შეიბნეს და იძლია ბაგრატისა-გან დავით. არამედ შემდგომად კეთილ ქორიკოზობისა მოკჳდა დავით ქს. ჩი, ქრ. ხლ:

## ი კვირიკე, დიდი კ წელი ჰმეფა:

ხოლო შემდგომად დავითისა დაჯდა ძე მისი კვირიკე ქორიკოზად. ესე კვირიკე შეიპყრა მეფე-მან ბაგრატ და დაიპყრა კახეთი თვით. ხოლო ჰერეთს მომკვდარ იყო იშხანიკ და არღა-რა ვინ იყო მკვიდრი, თვინიერ დინარ დედოფლისა: მოვიდა ბაგრატ მეფე, დაიპყრა თვით ჰერეთი და წარიყვანა დინარ დედოფალი და დასხნა ერისთავნი თვისნი: ხოლო შემდგომად ბაგრატ მეფის სიკჳდილისა ამან კვირიკე-მ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა: გარნა თუ ისხნენ ერისთავნი ჰერეთს. არამედ ამან კვირიკე მეფე-მან უფროს განამტკიცნა და დასხნა სამი კახეთს და ოთხი ჰერეთს და კახეთისა ერთი რუსთავს და მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები, ყარაია, ჩადივარ-სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი,

ხერკი და თიანეთი, არაგვის კერძო ყინვანამდე: მეორე დასვა კვეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთი ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა, ვიდრე კავკასამდე და გარ დაღმად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და ღლიღვი: მესამე ჰანგისისა ანუ მარილისისა და მისცა ჭერეთის საზღვრის-ზეითი კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ: ხოლო ჭერეთს დასვა პირველი ხორნაბუჯს ანუ ხორანთას და მისცა ქისიყი და გარეთ კახეთი კუხეთის საზღვრამდე, ალაზნისა და მტკვარს შიგნით და ჭერეთის მთისა: მეორე ვეჟინს და მისცა ქისიყის საზღვარს ზეითი თურდოს-ხევამდე და ალაზნისა და ჭერეთის მთის შიგნითი, რომელ არს აწ შიგნით კახეთი. მესამე მაჭისა და მისცა მაჭის წყლის ქვეით და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნზახითურთ: მეოთხე დასვა შტორისა და მისცა შტორის-ხევიდამ მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ არს აწ კაღმახარი და ამანვე შეაერთა კახეთი და ჭერეთი: კვალად ამანვე ჰყო სასახლე თიანეთს ხელოვანი, ამანვე ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჭერეთისა განმდიდრდა კვირიკე და მოიმჴედრა ყოვლითურთ და ამის-თჳს ეწოდა დიდი კვირიკე, რამეთუ გამოვდა ესე პირველად და ჰქვნა ესენი, რომელნი დავსწერეთ: ამანვე უშველა მეფესა ბაგრატს რანთა ზედა, ამასვე კვირიკეს მეფესა მოუხდა ოსთა მეფე 182
ურდურე. ამან ურდურე გარდმოვლო გზა ძურძუკთა და ღლიღვთა და შთამოვიდა თიანეთს და მოაოხრა კახეთი: ამას ეწყო კვირიკე მეფე შეკრებული სპითა და ბრძოლასა ძლიერსა იძლია ოვსნი და მოჰკლეს კახთა ურდურე მეფე ოვსთა, და მოვწყვიტნეს ოვსნი: არამედ შემდგომად კეთილ მმართველ-მეფობისა იყო კვირიკე მეფე ნადირობასა შინა განმსვენე ფიდართ გორთან და მოკლა ვინმე ოვს-მან მონა-მან დიდი კვირიკე მეფე კახთა, სისხლთა-თჳს ოვსთა მეფისა ურდურესა ქრ. ჩლთ, ქრ. სნთ:

## იბ გაკი, ით წელი ჰმეფა:

ხოლო კვირიკე მეფესა არა ესვა ძე, არამედ გაეშვილა დის-წული თჳსი სომეხთა მეფის სამშვილდელის დავითის ძე გაკი და შემდგომად სიკუდილისა კვირიკე მეფისა დაჯდა ესე გაკი კახთა მეფედ: ამან გაკი-მ უშველა ბაგრატ მეფესა ტფილისის მოდგომასა ზედა, ესევე გაკი შეება მეფესა ბაგრატს მიქელ გაბრიელის მთასა ზედა. ესევე მოვიდა წინაშე ბაგრატ მეფისა დარბაზობად, რაჟამს აღიღო ტფილისი ბაგრატ, ესე გაკი შველოდა ლიპარიტს ბაღუაშს ბაგრატ მეფესა ზედა. არამედ ჟამად ეპყრა მეფესა ბაგრატს ჭერეთი და გაკის კახეთი. ხოლო შემდგომად მოკუდა გაკი ქს. ჩნჱ, ქრ. სოჱ:

## იბ აღსართან, კვ წელი ჰმეფა:

შემდგომად გაგისა დაჯდა ძე მისი აღსართან მეფედ კახთა. არამედ ჟამსა ამისსა დაიპყრა მეფე-მან ბაგრატ უმეტესად ჰერეთი და შემდგომად მოსვლისა სულტანისა მივიდა აღსართან წინაშე სულტანისა და იქმნა მაჰმადიან. ამის-თჳს მისცა სულტან-მან კახეთი და ჰერეთი სრუ-ლიად ნაქონები ბაგრატ მეფისა: ამასვე აღსართანს მოუგვარეს ფადალა განძისა ლტოლვილი და იქმნა რა იგი აღვსწერეთ: ამანვე აღსართან უშველა გიორგი მეფესა ლიპარიტსა და სარკინოზთა ზედა. ხოლო შემდგომად გიორგი მეფის მოსლვისა სულტნიდამ და სპათა შემოცლისა ვეჟინის ციხისა-გან წარვიდა ესევე აღსართან წინაშე სულტნისა და უმეტესად დაიმტკიცა და წინა-დაიცვითა რჯულითა მაჰმადისათა, ამის-თჳს მოსცა მასვე სულტან-მან ჰერეთი და კახეთი: მერმე მოვიდა და დაიპყრა ორივე და მართვიდა თჳთ. არამედ შემდგომად მოკუდა აღსართან ქს. ჩპდ, ქრ. ტდ:

## იგ კვირიკე, იჱ წელი ჰმეფა:

დაჯდა შემდგომად აღსართანისა ძე ამისი კახთა მეფედ კვირიკე. ესე კვირიკე იყო მხნე, ახოვანი და მეფობისა ღირსი და ჭეშმარიტი ქრისტიანე: ამას კვირიკეს მიუღო დავით აღმაშე-ნებელ-მან ციხე ზედა-ძნისა, არამედ შემდგომად კეთილ მეფობისა მოკუდა კვირიკე ქს. ჩრბ, ქრ. ტკბ:

## იდ აღსართან, იჱ წელი ჰმეფა:

გამეფდა ძე კვირიკესი აღსართან, არამედ იყო ესე უგვანი, ცუნდრუკი, ბილწად-მქცევი და შეუმსგავსი მეფობისა: ხოლო შემდგომად სამისა წლისა ამ აღსართანის მეფობისა შეიპყრეს წარჩინებულთა ჰერ-კახთა უგუნურებისა-თჳს ესე აღსართან და მისცეს მეფესა დავით-აღმაშენე-ბელსა: მაშინ დავით აღმაშენებელ-მან დაიპყრა სრულიად ყოველი ჰერეთი და კახეთი და ამიერ ჟამით-გან იყო ერთ-მეფობასა შინა, ვიდრე ოჱ მეფის გიორგისამდე წელი ტჲგ: არამედ ესე აღვსწერეთ მოკლედ, ვინად-გან ერთობის ქარტასა შინა აღგვიწერიან, გარნა აქა წარმოვაჩინეთ უცხადესად:

## აღმოჩენა და დაპყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისა

ხოლო განუდგნენ რა ოჵ მეფესა გიორგის ქს. ჩუჲგ, ქრ. ჩნდ, და დავით დაიპყრა კახეთი. არამედ ამ დავითისას, არა ვითარცა კახნი იტყვიან სარწმუნო არს და საგონებელი ეგრეთ, რამეთუ იყო ესე დავით ძე ალექსანდრესი ძისა დავითისი და ამ ალექსანდრემ განჰყო ძენი თვისნი, უხუცესსა ბაგრატს მისცა იმერეთი, მეორესა გიორგის მისცა ქართლი, სომხითი და სამცხე-კლარჯეთი, მესამეს ამ დავითს მისცა ჰერეთი და კახეთი: არამედ ამას ვიხილავთ არა ესრეთ, რამეთუ ვინადგან არა იყო ჩვეულება მეფეთა და უფროსთა ბაგრატიონთა შინა, რათამცა განხეთქილება ექმნათ სამეფოსა. გარნა უფროს განუხეთქელობასა მცდელობდნენ და არცა რიდებდნენ სისხლთა, ვითარცა საჩინო არს.. გარნა თუ ძეთა დასხმიდნენ არა მეფედ, არამედ ერისთავად. მორჩილად მეფეთა და ვინადგან არცა ეგდეს დიდ არს, რათა დგეს წინაშე მტერთა სამ-სამეფოდ. მეორე, ვიუწყებთ ცხოვრებათა, გუჯრებთა და ქორონიკონებთა-გან, რამეთუ იყო ერთ-მეფობა ბრწყინვალის მეფის გიორგიდამ, ვიდრე ოჵ მეფის გიორგისამდე, ვითარცა ჟამსა ბაგრატ მეფისასა, მოსლვასა თემურისასა და ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელისასა, რამეთუ არა ძალედვათ ქმნად იგინი, რომელნი აღწერილ-არიან და სხვანიცა. მესამედ, არა იყო იგი ალექსანდრე მეფე ქართლისა, არცა ძე დავითისა, არამედ იყო ძე ბაგრატისა მიქელ მეფის ძისა იმერთასა, და არცა ესვა ამ ალექსანდრეს სამნი იგი ძენი, არამედ მხოლოდ დიმიტრი, და ამ დიმიტრის ძე ბაგრატ განუდგა გიორგის ოჵ მეფესა, და უკეთუ მცხეთის-აღმაშენებელის ალექსანდრეს ძენი იყვნენ იგინი, არა ესვა ალექსანდრეს იგინი. არამედ ვახტანგ შემდგომად მისა მეფე ბ, გიორგი ოჵ მეფე და მესამე დიმიტრი, რომელი წარავლინა წინაშე ყეენისა და პატივ-ცემული მოუვლინა: ესენი ყოველნი გუჯრითა და ქორონიკონებითა ესრეთ არიან: და კვალად უკეთუ მის ზეითის ალექსანდრეს ძე იყოს დავით, ვერ მოსწუდებიან დავით, გიორგი და ალექსანდრე ავ-გიორგისამდე, ვინად-გან ვსცნობთ ქორონიკონსა სიკუდილისა ალექსანდრესისა ავ-გიორგისა-გან, რომელს რიცხუეს მოკლა, რამეთუ გარდახდნენ მის ალექსანდრედამ ავ-გიორგისამდე წელნი რკბ: მეოთხე, რამეთუ მცხეთის-აღმაშენებელის ალექსანდრესი წარმოვაჩინეთ. გარნა ესეცა იუწყე, რამეთუ ამის წინათთა მეფეთა ჟამთა შინა, ანუ ცხოვრებათა, ანუ გუჯართა და ქორონიკონებთა შინა არა სადა ვიხილავთ კახთა მეპატრონეთა მოხსენებასა, არა-თუ შემდგომად ალექსანდრე ოვ მეფისა; კვალად ვინამენი იტყვიან ძეთა ალსართანისათა ყოფად მათ. არამედ ესე უმეტეს შეუმსგავსებელ-არს იქმად. ვინად-გან ალსართანის ნათესავი მოსწყდა ჟამსავე დავით-აღმაშენებელისასა, ვითარცა ითქვა. მეორედ არა იქმნას გუჯარი ტჲგ წელსა, არა თუ იყოს ჩინებული და დაადგრეს მოსახსენებელად. მესამედ, რამეთუ არა სადამე ვიხილავთ კვალად მოხსენებასა, ანუ ყოფნასა მათსა აღმაშენებელიდამ ოჵ მეფის გიორგისამდე: ხოლო არამედ ბაგრატოანთა ჩამომავლობა მათი ძალ-

ჳცს ყოფად. ამისათჳს რამეთუ ჩვეულება იყო საქართველოს ნათესავთა-გან მაშინ, რამეთუ არა ვისმე
იპატრონებდიან, უკეთუ ჰყვათ მემკვიდრე მეფეთა ნათესავი. გარნა უკეთუ განდგა გრიგოლი და მას
183 ჟამსა შინა სხვანი არღარა ვინ იყო მეფეთა ნათესავი: მეორედ, უკეთუ მონათესავეთაგანი მეფე-
თა არა იყოს დავით მასვე ჟამსა ვერ იკადრებდა მეფედ წოდებად და სწორ-ყოფად და ვერცა
გჳპრობათა მეფეთასა, ვითარცა ათაბაგი, დადიანი და გურიელი და სხვანი. არამედ თუცა ესენიცა
განდგნენ, გარნა არა მეფედ, არამედ მთავრად, ვინად-გან განმკიდრებულნი აქუნდათ საერისთონი
თვისნი პირველვე: გარნა ზნენი მათნი ჰფარვენ, ვინად-გან არიან მესისხლენი მამა-ძმათა თვისთა
ცუდად და კეთილ-შემძლებელთა წარჩინებულთა თვისთა და სხვათა მიყოლითა და მინდობითა
საქმეთა თვისთა განმართვენ და ჰყოფვენ, და არა თვით თავით თვისით, რამეთუ არა სადა ცხო-
ვრებასა შინა ვიხილავთ ესრეთთა ბაგრატიონთა ტომსა. არამედ ვინად-გან ბნელი და უჩინო არს
ცხოვრება და ძნიად გამოსაკჳლევლი. განა რაოდენ შესაძლებელ არს გუჯრებთა, სიგლებთა და
ქორონიკონებთა-გან წარმოვაჩინოთ, რამეთუ ესე დავით ანუ არს ჰერთა და კახთა ერისთავთა-
განი ერთი განდგომილი, ვითარცა გრიგოლი მთავარი. არამედ ესე უღონოებს, ვინად-გან საგო-
ნებელ არს სხვათა ერისთავთა არა დამორჩილებად მისდა: ხოლო უკეთუ გრიგოლისასა იტყვი
იგი იყო თვით კახეთის ერისთავი და დაიპყრა კახეთი და არა ჰერეთი, რამეთუ არა ერჩდა ადარ-
ნასე: გარნა ვსწერთ ჩვენ მეფის ალექსანდრეს მცხეთის-აღმაშენებელის ძის დიმიტრის ძედ და-
ვითს, რომელსა აქვნდა საერისთოდ ანუ საუფლისწულოდ (ვითარცა ჩვეულება არს საქართველოსი)
კახეთს ანუ ჰერეთსა შინა. ამისათჳს რამეთუ ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელს არა ესვა
ძე, თვინიერ რომელი ზეით აღვსწერეთ, მოწმობითა მითვე აღწერილითა და ამითი ბაგრატიო-
ნობა მისი და ჩამომავალთა მისთა დიმიტრისა-გან და თვინიერ მისა არა. და თუ ვის გნებავს
უმეტეს ამათგანი ანუ მოწმობითა სხვა იგულვეთ. ხოლო ჩვენი გამოკჳლეული ქვემორე სინინოდ არს:

## ცხოვრება აწინდელთა მეპატრონეთა:

## მეფე დავით ა, ქ წელი ჰმეფა.

ხოლო რაჟამს იძლია ოჩ მეფე გიორგი ჩიხორს ბაგრატისა-გან და შემდგომად თავრიჟ-გილაქის თემურისა-გან, მერმე შეპყრობილ-იქმნა ყვარყვარე ათაბგისა-გან და დაიპყრა ქართლი ბაგრატ მეფემან იმერთა-მან და იწყო პყრობად კახეთისად. ამის-თჳს შეიზრახნეს მაშინ ჰერ-კახთა წარჩინებულნი და ერისთავნი და არა ინებეს მეფედ თვისად ბაგრატ, ვინად-გან განდგნენ

სხვანიცა და გამოირჩიეს მუნვე მეოთხე ერისთავთაგანი ანუ გამოკრებული ჩვენი ესე ოკ მეფის ალექსანდრეს ძის დიმიტრის ძე დავით და დასვეს, ვითარცა მეფე, რათა აქვნდესთ თავის-უფლე-ბა შლილობასა ამათ შინა: ხოლო ოდეს განთავისუფლდა ოჩ გიორგი მეფე, შეკრებული სპითა ათაბაგითურთ მოვიდა დავითისა ზედა: მაშინ კვალად დაუტევეს ჰერ-კახთა დავით და მიერთვნენ მეფესა გიორგის და დაიპყრა მეფემან გიორგი ჰერ-კახნი. ხოლო დავით ივლტოდა დედა-წულით თვისითურთ დიდოეთს და დიდოთა შეიწყნარეს იგი და პატივ-სცეს კეთილად: მაშინ გიორგი მეფე.მან ვერღარა ავნო დავითს მას, ვინაიდგან აქვნდა შინაგანი განუსვენებლობა. არამედ შემდგომად სიკვდი-ლისა მეფისა გიორგისა ჩამოიყვანეს კვალად დავით დიდოეთიდამ ჰერ-კახთა და დასვეს უმეტეს მტკიცედ მეფედ კახთა და იტყვიანცა, რამეთუ აკურთხეს ბოდბეს ქს. ჩუჲთ, ქრ. რნზ: რამეთუ იხილეს განსვენება თვისი ჰერ-კახთა ამის-გამო, ვინაიდგან კოსტანტინე მეფესა აქუნდა მას ჟამსა დიდი განუსვენებლობა. არამედ კურთხევასა კოსტანტინესსა წარვიდნენ რომელნიმე ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ჰერ-კახთანი, და არცა უტევებდა კოსტანტინე მეფე პირობად დავითს მარტყოფს, საგურამოს და ხერკსა, და ვერ ბრძოდა დავით კოსტანტინეს, ვინაიდგან ეშინოდა ერისთავთათვის-თა-გან, არამედ მცდელობდა განმკვიდრებასა ჰერ-კახთასა, გარნა მცირედისა შემდგომად დასნეულ-და ვითარებასა შინა და მოკუდა. ქს. ჩუოა, ქრ. რნთ:

---

## ბ მეფე გიორგი ა, კა წელი მეფა:

შემდგომად დავითისა დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ კახთა (ანუ ვითარცა სხვანი იტყვიან ლე-ვან) და ეკურთხა ბოდბეს: ხოლო ესე გიორგი, ვინაიდგან მცდელობდა მეფე კოსტანტინე ჰერ-კახთა ერისთავთა-თანა კვალად შეერთებასა და ერთ-მეფობასა, ამის-თჳს მიერთო იმერთა მეფესა ბაგრატს და დაიპყრა სრულიად კახეთი: მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღესმდე. მოურავი ქისიყისა, ელისენისა წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჟალაურისა, შილდა-ყვარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პან-კისისა და სხვანიცა და განჭყო ოთხ-სადროშოდ, ვითარცა აღვსწერეთ და მისცა დროშანი ეპი-სკოპოსთა, რათა არა განიმკვიდრონ მთავართა და დაიპყრან შეუცვალებლად და ამით ერთგულ-ჰყუნა მრავალნი: კვალად ჰყო აღავერდელი ეპისკოპოსად, რამეთუ იყო აქამომდე ამბა და მონა-სტერი და მისცნ სამწყსო და ხარისხი თავ-კახთა ეპისკოპოსთა: კვალად-ჰყო, გრემი ქალაქი და ტახტი ჰერ-კახთა და შენობა დიდი: ამანვე მოსპო სახელი ჰერეთისა და იწოდა, ვითარცა აღვსწერეთ, არა მისცა მთავართა ძალი, არამედ თვით დაიპყრა: განა თუ იწოდა თვისთა-გან

მეფედ. არამედ გარემონი თვისნი კახ-ბატონად უწოდებდენ: ამათ არა მორჩილებდენ თუშნი და ფშავ-ხევსურნი. არამედ დიდოეთი ერთ-გულებისათჳს დავითისა ერთ-გულებდენ ამათ და მსახურებდნენ: ხოლო მოსლვასა უზუნ-ასან ყეენისასა, რა მოსრნეს ხერკი, საგურამო, მარტყოფი და თიანეთი, ამან გიორგი უძღვნა ყეენსა ძღვენი დიდი და ტყვენი ქალ-ყრმანი და აღუთქვა მორჩილება და დაადგრა მშვიდობით: ხოლო შემდგომად ეზრახა გიორგის მეფე კოსტანტინე მწყობასა სპარსთა და სარკინოზთა ზედა და არა ინება გიორგიმ, რათა არა იქმნას კვალად შეერთება; შერმე მოსლვასა იაყუფ-ყეენისასა ეგო კვალად გიორგი მშვიდობით. გარნა მცდელობდა ურჩთა შეცჳლასა და თვისთა ამაღლებასა, აღაშენა კახეთი და განავსნა, ვინადგან აქვნდა მშვიდობა: შემდგომად მოკვდა მეფე გიორგი ქს. ჩუჟბ, ქრ. რპ:

## გ მეფე ალექსანდრე ა იით ჭმეფა.

184 დასჯდა შემდგომად გიორგისა ძე მისი ალექსანდრე, მგურთხევი ბოდბესვე (1) მეფედ (ვინამენი იტყვიან ალავერდს): ესე ალექსანდრე იყო შვენიერი, ჭაეროვანი, ახოვანი, მოისარ-მოასპარეზე, სახიერ და უებრო, კეთილ-უბოროტო, მოწყალე, მშვიდი და მდაბალი: ამას ესხნეს ძენი: გიორგი და დიმიტრი. ესე დაზავდა მეფესა ქართლისასა კოსტანტინეს და განაჩინეს საზღვარი აღწერილი და იყო მიერით მშვიდობა და მეგობრობა ურთიერთთა: ხოლო ჟამსა ალექსანდრესსა გამოსჩნდა შაისმაილ ძე შიხისა და აღიღო შაჭ-ისმაილ ადრიბეჟანი და შირვანი ქს. ჩფ, ქრ. რპჱ, თათრულსა შჟ: ამან ალექსანდრე-მ წარუვლინა შაჭ-ისმაილს შირვანს ძე თვისი დიმიტრი ძღუ̂ნითა დიდითა და ტყვითა ქალ-ყრმითა და მიუმცნო მორჩილება: ხოლო შაჭ-ისმაილ პატივით შეიწყნარა და წარმოუვლინა დიმიტრი ნიჭითა და ზავითა მშვიდობისათა: ამანვე ალექსანდრე-მ უმეტესად დაიმშვიდა კახეთი და მოიმტკიცა თვისად, აღაშენა და განავრცო და მართვიდა კეთილად. არამედ ძე მისი გიორგი იყო ბოროტ, მეშურნე და მესისხლე. გარნა ვერ ითმენდა შიშითა მამისათა და ეტყოდა მამასა გირთებასა ქართლისასა და გარემოთა თვისთა: ხოლო ალექსანდრე არცა-ღა თუ ისმენდა და ასწავებდა ძესა სიმშვიდესა და უშფოთველობასა, რამეთუ აქუ̂ს აღძრვა დიდი რისხვისა ღმრთისა შფოთისა. არამედ გიორგი ამისი არა მსმენელი ეშურვა მეფობასა მამისასა, რათა ჭყოს წადიერება თვისი. გარნა იცა ჟამიცა სავურცლეს მდგომის მამისა ზედა უგრძნეულოსა მისაგან ესე ვითარისა-თჳს, მოჰკლა ღალატად გიორგიმ მამა

(1) ბოდბესვე უნდა.

თვისი მეფე ალექსანდრე და შეიპყრა ძმაცა თვისი დიმიტრი, რათა არა ივლტოდეს სპარსეთად, რამეთუ აქუნდა შური მიერ ჟამითგან, რაჟამს წარავლინა მამამან თვისმან წინაშე ყეენისა და აღმოხადნა მასცა თვალნი ქს. ჩჲვა, ქრ. რჟთ, და მიერ ჟამითგან უწოდეს ავ-გიორგი:

## დ მეფე გიორგი ბ (ავ-გიორგი), ბ წელი ჰმეფა:

დაჰკლა მამისა და ძმისა მკლველი ესე გიორგი მეფედ კახთა და დაიპყრა კახეთი სრულიად. არამედ არა-თუ კმა იყო სიბოროტე იგი და კვალად აღივსო შურითა და იწყო კირთებად დავით ქართველთა მეფისა და რბევად და ოხრებად შიდა-ქართლისა მოსათესავეთა და ერთ-სჯულთა თვისთა, ვითარცა აღვსწერეთ. ხოლო შემდგომად მოკლეს ავ-გიორგი ქს. ჩჲვგ, ქრ. სა:

## დ bis დავით ტ ქართლის მეფე, ს წელი ჰმეფა:

მაშინ შთამოვიდა მეფე დავით კახეთს და დაიპყრა სრულიად კახეთი. ხოლო ყრმა მცირე ძე ავ-გიორგისა შვიდის წლისა იდეს დედით თვისით დამალა სადთხუცეს-მან ჩოლაყაშვილ-მან გარსევან (და ჰქონ ერთ-გულება დიდი) სახლსა თვისსა და ზრდიდა მას. ხოლო დედა მისი ცოლი ავ-გიორგისა მეფისა ნათესავი იყო გარსევანისა: ხოლო შემდგომად ყრმისა ამის ლევანისა ყოვნა ეუწყა მეფესა დავითს და ამის-თჳს წარმოავლინა ბაგრატ ძმა თვისი სპითა. ესე ჩამოვიდა კახეთს, ამან დასდვა შიში დიდი და შეიპყრა სრულიად არა ყოფისა და უწყებისა-თჳს ლევანისა. არამედ გარსევან-ჰქონ მცბიერობა იგი, რომელიცა აღვსწერეთ და მერმე გულ-ჰყრობილმა ბაგრატ უკუნ-იქცა ქართლსავე სპითურთ: ხოლო გარსევან წარიყვანა ლევან ციხესა შინა ოჩანისასა, არამედ შემდგომად მოსლვისა შაჰ-ისმაილ ყეენისასა ქს. ჩჲვიტ, ქრ. სვ გამოიყვანეს ლევან ოჩანის ციხიდამ ზემოურთა კახთა და ჩამოიყვანეს კახეთს. მაშინ მიერთუნეს ყოველნი კახნი და დაიპყრა ყოველი კახეთი: ამის-მან მცნობ-მან მეფე-მან დავით გარდმოავლო გომბორი სპითა დიდითა. არამედ ვერ წინა-აღუდგა ლევან და შევიდა ციხესა შინა თავსა მაღრანისასა, ამას მოადგა დავით მეფე და შეამჭირვა ფრიად. არამედ ზაკვითა მთავარ-ეპისკოპოზისათა განმაგრდა დედა ლევანისა ციხესა შინა და უკუნ-იქცა დავით მეფე ქართლს ოსმალთა ზედა: მაშინ გამოვიდა ლევან ციხიდამ, შემოიკრიბნა კახნი და წარუვლინა ფარულად კაცი გურიელს მამისა და მოითხოვა ასული მისი თინათინ ცოლად და ითხოვა მწე-ყოფად მის-გან: ჟამსა მას მეგობარნი იყუნეს,

ათაბაგი და გურიელი: ხოლო გურიელმან მოსცა ასული თჳსი და აღუთქვა მწეობა: არამედ მოსრნა რა ოსმალნი დავით მეფე-მან შემოვიდა კვალად კახეთს სპითურთ და მოადგა ლევანს მაღაროს მეოთვსა, რამეთუ მიერთვნენ დავითს ზემო-ურნი კახნიცა. ეწყო მუნ ლევან სიმაგრით-გამო მცირითა სპითა, ილია დავით მეფე და წარვიდა ლტოლვილი ტფილისს. მაშინ ლევან შე-მოიკრიბნა ყოველნი სრულიადი კახნი, მივიდა ბოდბეს და ეკვეთა მეფეს ქს. ჩფკ, ქრ. ხჵ:

## ე, მეფე ლევან ა, ნდ ჭმეფა:

ხოლო დაჯდა ლევან კახთა მეფედ და დაიპყრა საზღვარი კახეთისა. მაშინ ესმა, რამეთუ ქალი გურიელს დავით მეფისა-თჳს და იდგა მუხრანს, წარვიდა სპითა ლევან მსწრაფლ და მივი-და მუხრანს. არამედ გურიელი აიძულებდა და განაზრახებდა, რათა ჰყოს ზავი და სიყვარული დავით მეფისა თანა, ვინად-გან დავით მეფე წადიერებდა კვალად ბრძოლასა და შურ-გებასა გუ-რიელისასა: სთნდა ესე ლევანს და ეზრახნეს დავით მეფესა და მისცეს რა იგი ინება და ჰყვეს ზავი განჩინებითა საზღვრისათა და მტერ-ყოფა მტერთა ზედა და სიყვარული მტკიცე და შე-მდგომად ურთიერთთა ხილვისა წარვიდა გურიელი თჳსად: ხოლო ლევან მოვიდა კახეთს და წა-რავლინა მოყვანებად ცოლისა თჳსისა. არამედ ქალსა მას ეხილვა სიზმარსა შინა. „რამეთუ წარ-გიყვანს დიდებული ვინმე ცოლად და მთასა ერთსა იხილო მოგზაურ-მან შინდი თეთრი, მდგო-მარე მშვენიერს ადგილს, აღაშენე მუნ მას ზედა მონასტერი ღჳთის-მშობლისა.“ ხოლო წარმო-იყვანეს რა შუამთას, გარდახდნეს განსვენებად და სამხრობად, მაშინ იხილა თინათინ შინდი იგი სიზმარ-ხილული და აღუთქვა აღშენება ტაძრისა, ვითარცა სმენოდა, მუნიდამ მოიყვანეს გრემს და ჰყო ქორწილი ჯეროვანი ლეონ: ხოლო ამან ლეონ აშველნა დავითს მეფესა სპანი შაჰ-ისმა-ილსა ზედა. ამანვე ლევან იხილა სიზმრივ ხატი სიონისა ღჳთის-მშობლისა, რომელი განსძარ-ცვა შაჰ-ისმაილ, რამეთუ არს ნათლუხის ჴალასა შინა, წარვიდა და ჰპოვა იგი და წარმოიღო და შეამკო და წარავლინა კვალად ტფილისვე სიონსა შინა: ხოლო შემდგომად ლევანს უშვა ცოლ-
185 მან თინათინ ძე ალექსანდრე ქს. ჩჲკ'ს, ქრ. ჩიე, შემდგომად კვალად უშვა ძე იესე, მერმე გა-ნუტევა ცოლი თჳსი თინათინ ლევან, ნებითავე თინათინისათა, ვინად-გან იყო ლევან ფრიად მეძავი და არღა-რა ინება მეუღლეობა მის-თანა: მრისხანე-მან ამის-თჳს ლევან წარატანა ძენიცა თინათინს. ხოლო თინათინ მოვიდა შუამთას და აღაშენა მონასტერი შინდსა მას ზედა მზითევითა თჳსითა და დაუდგინა მოძღვართ-მოძღვარი და შესწირნა დაბნებნი მოსყიდულივე თჳსი და იყოფოდა მუნ სიკუდილამდე: ხოლო შემდგომად მისა მოიყვანა ლევან ცოლად ასული შამხლისა და იქორწინა მის-თანა და შემდგომად მიდგომილ-მან უშვა ოთხნი ძენი შემდგომად შემგომი.

გიორგი, ელიმერზა, ვახტანგ და ხოსრო; ხოლო ესე ლევან მეფე, გიორგი და ბაგრატ მეფენი წარვიდეს იერუსალიმს, ვითარცა აღვსწერეთ და შემდგომად ოდეს მოვიდა შაჰსთამას და შემუსრა ტფილისი უკუნიქცა და დასდგა ყარაბაღს მივიდა მუნ ლევან წინაშე შაჰ-თამაზისა ქს. **ჩფლვ**, ქრ. სკდ:

ამას ჰპატივ-სცა შაჰსთამას, ანიჭა და გამოუტევა თვისადვე. არამედ მპყრობელი შაქ-შირვანისა ასან-ბეგ მორჩილებდა შაჰ-თამაზს და განიზრახვიდა ყეენისათა ეკირთებოდა კახეთს ასან-ბეგ, რამეთუ უბრალოდ ავნის ლევანს ჰქმნას მის მიერ ნიჭული ასან-ბეგ, ვინად-გან კახეთი იყო ფრიად შენი და მაგარი: ამისი მხილველი ლევან ეზრახა მშვიდობასა და არა ინება მშვიდობა ასან-ბეგ. ამისათჳს შეიკრიბნა სპანი ლევან და მიუხდა შაქს, ებრძოლა ასან-ბეგს და ბრძოლასა შინა ძლიერსა იძლია და გარდასრვა გაუსწრა და მოკლეს ასან-ბეგ და მოსწყვიდნეს სპანი მისნი, მოაოხრა და მოსტყვევნა შაქი, აღიღო ალაფი დიდი და მოვიდა გრემს ლევან: არამედ ამასწინათთა ჟამთა მეფეთა არღა-რა მორჩილებდენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი და ამათ ლევან დაიპყრნა არა ძალითა. არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ-იყვნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშის ჯუარსა თავისით შინა და მიერითგან მოსცემდნენ ლაშქარსა და ბეგარსა: კვალად ოდეს დაიპყრა რუსთა მეფემან იოანე ყაზანი და აშტარხანი და თერგი და დასხნა ყაზახნი თერგს და თარღუს მცველნი თვისნი, ამან ლევან წარუგზავნა და ითხოვა სპა მისი მცველად ციხეთა კახეთისათა. ამან მოუგზავნა და დაადგინა ციხეთა კახეთისათა რუსნი: არამედ განძლიერდა რა შაჰსთამაზ, წარგზავნა სპანი რუსნი რუსეთადვე და აუწყა განძლიერება შაჰ-თამაზისა; რათა არა მოსწყვდნენ სპანი თქვენნი ქვეყანასა ჩემსა:

ხოლო შემდგომად მოტყვევნისა შაქისა ლევანისაგან ქს. **ჩფმზ**, ქრ. სლე ეზრახნეს მეფე ლუარსაბ და მესხნი ლევანს მტერობად სპარსთა. მაშინ ლევანცა აღუთქვა ასანბეგის ყოფილისათჳს და უწყეს სამთავ რბევა და ოხრება ადრაბაგანისა მრავალთა ჟამთა: ხოლო შირვანელთა დაისვეს მე ასან-ბეგისა დერვიშ მაჰმად და ესე არა დაემორჩილა შაჰ-თამაზს, არამედ განამაგრნა ციხენი და სიმაგრენი, და დაადგრა თვისად; ამისა შემდგომად მოცალე შაჰ-თამაზ მოვიდა ყარაბაღს სპითა და იწყეს საქართველოსათა მაგრება ციხე სიმაგრეთა: მხილველი შაჰს-თამაზ ეზრახა ფიცით ლევანს: „უკეთუ მორჩილ-მეყმნე იყო თავის-უფალ ქვეყნით შენით უვნოდ და მოგანიჭო ნიჭნიცა დიდნი:" ამის-მან მსმენელ-მან ლევან და მტერობისათჳს დერვიშ-მაჰმადისა და ფიცისა და ქვეყნისა თვისისა უვნებელობისათჳს განუტევა სიყვარული საქართველოსათა და მივიდა ყარაბაღს წინაშე ყეენისა: მან ჰპატივ-სცა და ანიჭნა დიდნი: მერმე წარავლინა ყეენმან სპანი შირვანს, ამათ დაესხა დერვიშ-მაჰმად და მოსწყვიდნა სრულიად სპანი შაჰს-თამაზისანი ქს. **ჩფმჱ**, ქრ. სლვ, თავრიყლს შინ; ესმა შაჰ-თამაზს, აღიმხედრა და შევიდა შირვანს, ეზრახა დერვიშ მაჰ-მადს დამორჩილებასა და მიუტეოს ყოველნი შეცოდებანი: ხოლო მან არა ინება. არამედ დაესხა კვალად სპათა შაჰ-თამაზისათა და იძლია მათგან დერვიშ-მაჰმად და ლტოლვილი

შევიდა ციხესა შინა გულისტანისა: მაშინ წარჩინებულნი სპანი და მეფე ლევან სპითა თვისითა ყეენ-მან მოადგომად გულისტანისად და ბრძოლად ძლიერად: ხოლო მცირედისა (1) შემოირიდა დავრიშ-მაჰმად და განივლტო ციხიდამ. შესცნობი ლევან ეწია სპითა თვისითა და მოჰკლა დავრიშ-მაჰმად და მოსწყვიტნა მისთანანი და მოართვა თავი მისი შაჰ-თამაზს. ამის-თჳს მიანიჭა ნიჭი დიდი ლევანს და გამოუტევა კახეთს: ხოლო შაჰ-თამაზ დაიპყრა შირვანი და დასვა ბეგლარბეგი და სულტანნი თვისნი და განვიდა კვალად ყარაბაღს. შესიდამ მისრულ-მან ალიღო ტფილისი, ეზრახა ათაბაგსა, მოიმტერა იგიცა და წარვიდა სპარსეთად:

ხოლო ლევან მდიდარი და ქვეყანა ავსილი იყო მშვიდობით: არამედ უკეთუ კავკასთა ლევანს არა მორჩილებდენ. გარნა ვერცარას ჰყოფდენ ავნოს მისსა. განა თქმულ არს რამეთუ ჟამსა ლევანისასა მოუხდა ლეკი ვინმე დაღისტნისა გალმამხარს და წარიყვანა ზროხა ერთი: ესცნა ესე ლევან შემოიკრიბა ფიცხლად სპანი გაღმამხარსა შინა და წარვიდა ეტიკითა, ვლო დღე და ღამე, მიუხდა და შეიპყრა კაცი იგი ცოლ-შვილითა და ქონებითა, წარმოიყვანა და მოვიდა მესამეს დღეს მუნვე და მოსწყვიტნა იგინი, რათა არა კადნიერ-იქმნენ სხვანი კვალად კირთებად კახეთისა: ამანვე ლევან მოიყვანნა ლეკნი და დასხნა ფიფინეთს ზიდვად ყინულისად ზაფხულის-თჳს კავკასიდამ, რომელთა-გან შეუდგა ბოროტი ქვემორე თქმულნი:

ხოლო შემდგომად მოვიდა კვალად შაჰ-თამაზ შირვანს და მივიდა წინაშე მისსა ლევან და ამან შეიწყნარა პატივით, მერმე გამოუტევა ლევან და ძე მისი იესე წარიყვანა სამცხეს. არამედ უგულისყოფა რა შაჰ-თამაზ წარმოუვლინა იესეცა ლევანს ნიჭითა: ხოლო კვალად მოსვლასა შაჰ-თამაზისასა სამცხეს და მოტყვევნასა ქართლისასა დაადგრა ლევან მშვიდობით ქვეყანითურ: კვალად მოკლეს რა ლუარსაბ მეფე განიზრახა ლევან, რამეთუ ოდეს მოვიდა შაჰ-თამაზ და არა მივიდა მის-თანა და სიკვდილსა ლუარსაბისასა მოსწყდნენ სპანი ყეენისანი უმრავლესნი, ესე არა მიზეზ-ჰყო ყეენ-მან შურის-გებად, ვინად-გან მზახლებულცა იყო სვიმონ მეფისად და მიეცა ასული თვისი შამხლის ქალის ნაშობი და კახეთიცა ესრეთ მის-გან შობილისა-თჳს, და არა განტევებულის ძისა ალექსანდრესა-თჳს: ამის მიზეზთა-თჳს წარავლინა ძე თჳსი იესე წინაშე ყეენისა ძღუნითა და ტყვითა ქალ-ყრმითა და აუწყა თვისი არა რისა შეცოდება ქს. ჩფჲ, ქრ.
186 სმჱ: ხოლო მეორესა წელსა აქორწინა ასულსა თვისსა ზედა მეფე სვიმონ და მისცა დიდითა მზითვითა: შემდგომად წელსა ქს. ჩფჲა, ქრ. სმთ ეზრახა ლევანს სვიმონ მეფე, რათა მწე-ეყოს განსხმად ქართლისა-გან სპარსთა ზედა. არამედ ლევან საოსოთა ყეენისათა ვერ მეოფი ამისი. გარნა ძე მისი გიორგი მივიდა სპითა მცირედ სვიმონ მეფისა-თანა: ამათ დაესხა შავერდი სულტანი, მოკლეს გიორგი და მოსწყვიტნეს კახნი და ნეშტნი მოვიდნენ წინაშე ლეონისა: მსმენელ-მან ლევან იგლოვა მწუხარე-მან მწარედ ძე თვისი, რამეთუ ენება კახეთი მის-თჳს: არამედ შემდგო-

(1) შემდგომად.

მად ამისა მეფობდა კვალად უშფოთველად და აღამაღლნა ძენი შამხლის ქალის ნაშობნი და დაამდაბლა ალექსანდრე და მოუდგინნა ყოველნი კახნი მათ: ხოლო ალექსანდრე იყო დიდით თვისით შუამთას დაბნებითა შინა: არამედ სლვითა ყიზილბაშთა შინა კახთა ისწავეს წესნი მათნი, სმა, ჭამა, განცხრომა და უშვერი კეკლუცობა, ტანისამოსა მათი. ამით დაუტევებდენ მცირედ მცირედ ზნეთა საქართველოსათა და შემოიღებდენ სპარსთასა, გარნა უფროსად ალექსანდრეს და თეიმურაზის ჟამთა შინა:

ხოლო შემდგომად ამისა მოკუდა ლევან მეფე სავსე სიბერითა ქს. ჩფოდ, ქრ. **სჲბ**, და დაუტევა ქვეყანა სრულიად შენი: არამედ შემდგომად მისსა დაიპყრა კახეთი ძე-მან მის-მან ელიმურზა-მ, ხოსრო-მ და ვახტანგ. ხოლო ალექსანდრე შემოიკრიბნა ზემოურნი კახნი, მოვიდა და ეკურთხა ბოდბეს მეფედ. არამედ ამ ალექსანდრეს პირველვე მოეყვანა ასული ბარძიმ ამილახორისა ცოლად და მოუყრობდა დაუთხანცა მეფე ქართლისა: ამათ ეზრახა შეწევნად ალექსანდრე და ნებითა დაუთხანისათა მოვიდნენ ამილახორი ბარძიმ და ქსნის-ერისთავი ელიზბარ სპითა შემწედ: ამასნი მხილველნი კახნი მრავალნი განივლტოდნენ ელიმურზისა და ძმათა მისთა-გან და მოერთოდნენ ალექსანდრეს: ხოლო მათ მოიცეს ძალი შამხლისა-გან და ლეკთა-გან და ეწყუნენ თორღას ურთიერთს და ბრძოლასა ძლიერსა იძლივნენ ელიმურზა, ვახტანგ და ხოსრო და მოსწყვიტნეს სამნივე ძმანი მუნ და მოსრნეს მათ-თანანი სპანიცა და ალექსანდრე-მ დაიპყრა კახეთი ამასვე ქორონიკონსა:

## ვ მეფე ალექსანდრე ბ, ლბ წელი ჰმეფა:

დაჯდა ალექსანდრე მეფედ კახთა და დაიპყრა სრულიად კახეთი. ხოლო ესხნეს ძენი ოთხნი. დავით, გიორგი, ერეკლე და კონსტანტინე და ნათესავი ალექსანდრესი ჰყვა დაუთხანს ცოლად. არამედ ძე-მან მის-მან ერეკლე-მ იგლო რაიმე და გაპარვით წარვიდა წინაშე სულტანისა სტამბოლს (იტყვიან სიამაყითა ძმისა თვისისა დავითისა-გან): ესმა ესე შაჰს-თამაზს და ჰგონა განდგომა ალექსანდრესი, განრისხნა და წარმოემართა კახეთსა ზედა, მოვიდა ყარაბაღს და მიუწოდა ალექსანდრეს: მაშინ განიზრახა ალექსანდრე-მ: „თუ რაი ჰყოს:“ არამედ ეტყოდა ჩოლაყაშვილი ოთარი კახთა ამის-თჳს. „თქვენ იტვირთეთ რაოდენი სისხლი დაინთხეს და მე განვარინო კახეთი მოსრვისა-გან.“ მაშინ აღუთქვეს კახთა ფიცით. „ჩვენ მიუგოთ ქრისტესა სიტყვა შენ-თჳს, ოდეს მოვიდეს განკითხვად ცხოველთა და მკუდართა:“ ხოლო ვინად-გან მომკუდარ იყო ქაიხოსრო ათაბაგი და ძენი მისნი იყუნეს მცირენი და პატრონობდა დედის იმედი სამცხეს და უწყოდა გლისპობა მისი ოთარ-მან. ამის-თჳს მიუწერა: „რამეთუ ნებავს ვარაზას სიკუდილი შენი და ძეთა

შენით და თვისად დამჯერობა სიმდიდისა. ამისთვის მოჰყვნენ მეჭურჭლეთამის, რათა მოსცრისნეს ურიცხვი თვისნი, რამეთუ იგინიცა უწყი რადგანცა ხის მოგებისა ბოროტად." ამის-მან მმენელ-მან ლიდის-იმედ-მან არაფრის განთავისის და მოჰკლა ვარისა: ხოლო მმენელი მეჭურ-თამასხი ალელა სიკვ-დილი ვარისა, რამეთუ იყო ცოლის ძმა, დაუტევა გასცა. შეიღვა და მოსწყვიდა სისხლი და უმეტეს ოდეს ქს. ჩუჩაე, ქრ. სამ. და უკმოქმედელის წარმოდგინა ალექსანდრეს ძე იგინი კონსტანტინე ძლიერის დიდითა და ტკბილითა და აუწყა: „რამეთუ ძე ჩემი წარვიდა ურიცხვითა ჩემითა და მე ვარ წინაშე შენსა უძლეველი." მაშინ დამცხრალ-მან მრისხანებისა-გან მეჭურთამან შეიწყნარა ძღვენი და ტკბილად და წარიყვანა კონსტანტინე და წარვიდა სწრაფით და დაუტევა გასცა უცხოდ და შემდგომად მეჭურთამახისა სიკვდილისაცა იყო ალექსანდრე მძლავრობით, რამეთუ ვაჲსა ამისსა ქვეყანა შენ იყო გასცა, გითარ მისად სადამე იმოგზაურა სასადგურით და ალექსანდრე ფრიად მიაყვარე იყო ნადირობისა, რამეთუ იტყოდაცა: „ას ნეტარი იხილე შექმნის გასცა, რათა მაქცნეს სასადგურით მოვლილი, რომელი ქმნის ძის ქვეყნ მისსა თვისზედ." არამედ ვერცა-ლე იგი მიცემულიყვა სადარბაზოდ: გარის ალექსანდრესაცა ამ ყამსა მოვიდნენ ბაჰადურთა-გან უც-ხოთა ყრმისთველთა მოსლვა ალავსის შემის: მსწრაფელ წარვიდა და იხილის ფარშემასიცნი, რიცხვ შეშფოთება მათი ცილისდება. არამედ არცა ერთ-მან მისცა ბაზ-მან, თვისიერ წოდების ქორისა და მათი შეიძულის გაუკლინა რაოდენისაცა იყვნენ. მოიყვანა გრძელ და მომაკვდინებელ მათ-გან მრავალნი, გარის დაუსახეს გასცა, ვითარცა არავინ იცოდა მისა ცხოვრებისა მისლვა კეთილისათა ქვეყანისა.

## გამოსხლევა ლალა ფაშისა;

შემდგომად გამოვიდა რა ლალა ფაშა ქს. ჩუჩაე, ქრ. ხიც, ტყვიისაგან კნინ ალექსანდრეს. ხოლო მან ალექსანდრე მისლვა მისთასა და წარგზავნა სპითა მორგანს, რამეთუ დაუ-ტევის გასცა უცხოდ. ამან მისცა მარა მტკიცე და მიეცა სათაყვანებელი ალექსანდრე სპითა ლაშ-ქართამის და წარვიდა მოგზაურ. ხოლო ლალა-ფაშა-მ ალიდა მორგანი, მაშ, ურიცხვი მოსცრის და ალავერდის ციხე მორგანს, შეიპყრა მრავალნი თვისნი და დასცა ფაშა, მერმე უკუმოიქცა, შემდეგ მოკვდის მარა და მიჰყვა ალექსანდრე არაგვამდე, მერმე განმოუტევა ალექსანდრე და მოვიდა გასცის მძლავრობით; ხოლო ლალა-ფაშამ დასცა მეხრანს და სვიმონ მეფეცა მოვიდა ტყვეობისა-გან, ამისთვის იმღერდა დაუფლა ტფილისი და ლალა-ფაშამაც წარვიდა და დაიპყრა ქართლი სვიმონ, მერმე შირ-ვან ამიდახარისა. ამათ-მან უთმისრა-მან ალექსანდრე-მ და დაის თვისისა არა გვიდლის მისიზანდ-მან შემოიკრიბის სპანი თვისნი განხრ და უგრძნეულად დაესხა ლილვანს ჩუვინსს ქს. ჩუჩაე, ქრ. ხიც: ხოლო სვიმონ ეძლიტალა და შეუხსა დასა თვისსა და აიკლნათ

სიმდიდრე სვიმონისა და წარვიდა გამაუმპატიო დისა თვისისა: შემდგომად მცირედისა მოუკლა სვიმონ ჭოტორის და ალექსანდრეთა ჰკვეთა სძლით, იდლია ალექსანდრე უყვარდა კაიკოლისათვის და მიაგინდა მალაროსა, რამეთუ სვიმონ შეაშურის გასწია და უყვარს იგი ალექსანდრეს. გარნა საგანძურნი ალე- 187
ქსანდრესნი არღარა წარმოსცნა: ამაგ ქიტრისიგანს მოიგდო მის ალექსანდრესა იყვნე, რამეთუ არა დაუტევა ქრისტე და გამოუშვა ყველა, რამეთუ შემდგომად მცირედისა მოკლა იყვნე: ხოლო მოიყვანა ალექსანდრეს ძისა თვისისა დავითისათვის ცოლი ასული სიმონისა ქეთევან, და იყო სიმონთან ხანდო და განმზრახი სვიმონისა. ამან სიმონან ხაგარჯვო და დაიხვეწნ სვიმონ და ალექსანდრე და შემდგომად იყო მათ შორის სიყვარული და ერთობა დიდი:

# შაჰაბაზ გაჰელმწიფდა:

ხოლო სპარსთა შეიპყრეს მახუდაბანდა და დასვეს შაჰაბაზ ქს. ჩფპზ, ქრ. სოე, თათრულს შჟე, ძე მახუდაბანდისა და მან იწყო მტრობად ქვეყანათა: ხოლო მოითხოვა მანუჩარ დადიანისამან ასული ალექსანდრესი ნესტან-დარეჯან და ალექსანდრემ მისცა ჩოთგის დღეთა ქს. ჩფჟა, ქრ. სოთ. რამეთუ შემდგომად შობისა ყრმისა ლევანისა მოკვდა ნესტან-დარეჯან, ხოლო ალექსანდრემ შემდგომად წარმოიყვანა ყრმა იგი ლევან და ზრდიდა თვით. შემდგომად მოვიდა შაჰაბაზ დაპყრობად ერევნისა, ქს. ჩქბ, ქრ. სჟ, თათრულს ჩია. და მოუწოდა ალექსანდრეს სპითა თვისითა: ამას წარსლვად იყო ქართველთა მეფე გიორგი, შეკრბნენ ესენი და წარვიდნენ ზოგად ერთობისათვის. ხოლო შაჰაბაზ მატყუ-სცა დიდად. რამეთუ შემდგომად აღებისა ერევნისა მოუღო ალექსანდრეს ძე და მის-წილ მისცა შვიდასი თუმანი ყოველს წელს, ვითარცა მისცა ნიში და გამოუტევა გასულს:

ამ ჟამებთა მოაგზავნის იერუსალიმის პატრიარქსა და მოეთხოვა სახსრად ვალთა თვისთათჳს მეტოქისა: ესე აუწყა ალექსანდრემ კახთა და მათ აღუთქვეს და დაადგინეს აღსავრდელი მის იათრ წოდებულისა, რათა შეკრიბოს და წარიღოს იერუსალიმს: ხოლო მან შეკრიბა ხვეთასათა დრაჰკანი და წარვიდა. რამეთუ იყო და ა. ალექსანდრესი, რომელსა აქუნდა ერისტაობა და სცხოვრებდა ალავერდს. გარნა ამას უყვარდა თანა-ყოფა ალავერდელი. ხოლო ქალმან მან ჰსცნა წარსლვა ალავერდელისა და მიდგომით ყოვლ მისა, აღიმსხდა და მსწრაფლ მისწია გზასა ტყისა და აუწყა ალავერდელსა. რამეთუ ალავერდელი მოწყენილ-იყო მისსავე, და ჰსცნა რა ესე უმეცრადქა, წარიმარა ქალი იგი და წარვიდა იმერეთს. ხოლო იქმნა იგი წარმოგზავნილის ალექსანდრესვე და გრიგოლ პატრიარხ-მან ალავერდელი შემდგომად მიიყვანა ალექსანდრემ ზერი იგი,

ციხიდ-გან განსრეშილ-იყო და ქართველისა ქალი იგი, მისცეს მტერდნი მამულნი და იყოფოდა მას შინა.

ხოლო ციხიდ-გან იუწყეს სიყვარულსა მტკიცესა ალექსანდრე და გიორგი მეფენი და გიორგი ძეთა ალექსანდრესთა უფროსს მოსათესაობდა, ისტუმრის გიორგი მეფე-მან დავით და გიორგი ძენი ალექსანდრესნი ტფილისს. მოსრულთა მოეგება და დაასადგურნა იგინი, რომელ-არს აგლაზარი და მარად-დღე ანადიმებდა, ანადირებდა და ახმარეზობდნენ: ხოლო დღესა ერთსა კვალად ნადიმსა ზედა იწყის გიორგი მეფე-მან ტფილისს ქცევა. მაშინ განიზრახა ზრახვა ბორო-ტი გიორგის და არა ისმინა წარმოდგა მიწყემით ღვინისა-წყურვილითა, და წარვიდა დავით: ხოლო ესე დავით იყო ამაყი, ლაღი, მრისხანე და საუღლობელი გახსნა. არამედ გიორგი იყო მეკინერ-ჭკვერიანი, ჭკვა, მშვიდი და ტკბილი ყმათა-თვის. მაშინ გიორგიმ ჭვრეტს სიმტკიცე დავითისა, ამისათვის განსცხადა მასკოირება თვისი და მიუწოდა კაცთა, შემოიყვანა მოკლევად ძმისა თვისისად და დაჰპირობად კაცთისად: ესმა ესე ზაალ ნოდარ-შვილისა, რომელი იყო ღვინის-მოშიში წარვიდა და აუწყა დავითს ნადიმსა ზედა მჯდომსა. მსმენელი დავით მყის აღსდგა და წარმოვიდა და მივიდა კარავსა გიორგისასა და იხილა რა იძინებოდა და მისთანანიცა შეიპყრნა დავით გიორგის და ჰრქვა: „იძინებდი სიკვდილად ჩემდა და აწ ვარ წინაშე შენსა და რასა იგი ძალ-გიძს ჰყავ:" შეიპყრა გიორგი ძმა თვისი დავით და მისთანანი ყოველნი ქს. ჩქგ, ქრ. ხუა, წარმოი-ყვანა და პატიმარ-ჰყო თორელს და აზნაურნი შეკრებულნი გიორგისნი გარდმოჰყარნა ჭოთისა ციხიდამ და ისვანი პატიმარ-ჰყვნა;

ვ lix დ ა ვ ი თ ძ:

არამედ ჭკუა ბოროტი ესე დიდი და შეამოკლის დღენი, რამეთუ მიუღო მამასა თვისსა მეფობა და პატიმარ-ჰყო მამა თვისი და შეიპყრა თვით კაცთა, დამპყრობელი მისი. გარნა შე-მდგომად ქრისტეს თვისისა მოკლა დავით და განდევნა ალექსანდრე პყრობილებისა-გან, დაიპყრა კახეთი მასვე და განმოიყვანა ძეცა თვისი პატიმრობისა-გან, რამეთუ არღა-რა ჰყვა ძე თვისიერ გიორგისა. ხოლო დავითის დათა ქეიყვანისა-თვის ძე მხოლოდ თეიმურაზ და ზრდიდა მას პაპა მეუღლეებით დედისა-თვის. არამედ ციხიდ-გან მოსრულებულ-იყო ალექსანდრე: ამის-თვის განიზრახა ქეიყვან, რამეთუ: „თუ მოკვდეს ალექსანდრე დაიპყრას გიორგიმ კახეთი და შურ-აგოს ძესა ჩემ-სა:" ამისათვის მოიყვანა ნოდარ-შვილი შერმაზან, აფუცა და წარავლინა ძე თვისი და წარგზავნა წინაშე შაჰ-აბაზისა: (1) ხოლო შაჰ-აბაზმა კეთილად შეიწყნარა და პატივსა ჰყოფდა თეიმურაზს და

(1) ხოლო შემატყობის ქართველ [illegible] წარგზავნის თეიმურაზისასა [illegible], [illegible] დავით [illegible] და [illegible] თეიმურაზ. [illegible] გიორგისა.

ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა. არამედ შაჰაბაზ განიზრახა, ვინად-გან არს იერუმურამ ბელთა ჩემთა და კახეთი არს უმკვიდრი იყოლიერ ორისა, ამის ხუანჯი, რათა მოსრნეს იგინი, რამეთუ ენება დამორჩილება ქართლ-კახეთისა და მპყრობელობა მათი. მოიყვანა კონსტანტინე ძე ალექსანდრესი პირველ წარვლინებული, რომელი იყო ფრიად მაჰმადიანი და შემყვარე სჯულთა მათთა. ეტყოდა შაჰ-აბაზ: „მომკუდარ არს დავით ძმა შენი და არს მამა შენი მოხუცებული და ძმა შენი გიორგი, აწ ვინად-გან ხარ შენ სჯულსა ჩემსა მტკიცედ და ერთგულებისა ჩემისა სარწმუნო, მოგცნე სრულიად სპანი შირვანისანი შეიწყნე, ხაზინა და ნიჭი მამისა-თჳს, წარვედ და მოკლენ ორნივე და შენ დაიპყარ კახეთი და იქმენ მაჰმადიან:" ხოლო კონსტანტინემ აღუთქვა ყოვლად ყოველნი და წარმოვიდა ნიჭითა და დიდებითა დიდითა: არამედ ამავეს ჟამს წარმოვლენის მასიჰარ დადიანსა წარვლინებული თვისი წარუვლენებად ძისა თვისისა ლევანისად, შეხვდა ალექსანდრე, გარსა წარმოვლენის ნიჭითა დიდითა და მიიყვანეს დადიანისა-თანა ლევან: ამავ ჟამსა მიერთო მახარობელი ძის მოსლვისა, მზად-რულად შემოიკრიბნა სპანი და მიეგება ბაზარს მოსრული კონსტანტინეს და იყო სიხარული და შვება დიდი ყოველთა-გან, შეიტყვა ხალათი ყეენისა ალექსანდრემ და იხარებდა ძისა-თჳს. ხოლო დღესა კვირისა ეტყოდა კონსტანტინე მამასა: „მაქვს სიტყვა თვის წინაშე შენსა ბრძანებული ყეენისა:" ამის-თჳს ალექსანდრემ უბრძანა ყოველთა კაცთა განსვლა. გარსა დაშთნენ რუსთველი და ძმა მისი აბელ შინვე, მაშინ გამოვიდნენ პაჟნი მოხარებულნი სპანი და მოუწოდეს მახვილნი და მოკლეს მეფე ალექსანდრე და ძე მისი გიორგი მის-თანა და გვალად რუსთველი და აბელცა მათ-თანა ქს. ჩხე, ქრ. სჟგ: (¹)

# ზ მეფე კონსტანტინე ა:

ხოლო იხილეს რა ესე ივლტოდნენ კონსტანტინესა-გან კახნი სრულიად, არამედ ეზრახა 188
კონსტანტინე და აღუთქვა ნიჭი დიდი და შიგოთა შიშა ყეენისა გამო და მიერთმოდიან კახნი და იწყო დაპყრობა კახეთისა: შერმე მოუგზავნა ქეთევანს ცოლსა დავითის ძმისა თვისისასა. „რამეთუ ჯერ-არს სჯულსა მაჰმადისასა შერთვა რძლისა და აწ მე დავიპყარ კახეთი ნებითა ყეენისათა, შემირთე და იყავ პატრონად დედოფალი და უკეთუ არა ისმენ, მე ძალით ვყო ესე:" ამის მსმენელსა ქეთევანს ფრიად შეუძნდა ესე, ევედრა კახთა: „რათა შეეწიონ არა ყოვლად ამისად და უკეთუ არა, წარვიდეს სამშობლოსა თვისსა ქართლს:" ამის-თჳს კახნი შემოკრბენ წინაშე ქეთევანისა და ჰყვეს ფიცი და აღთქმა წინაშე ღმრთისა ამის არა ყოფისა-თჳს: ესმა ესე კონსტანტინეს და მო-

(¹) ხოლო შემოკლებული სწერს, „მეფობასა მამა ჩემი გარდაიცვალა ... და წარმოვიდა ალექსანდრე და დავჯდ მეფე...

15

მართა სწითა ბრძოლად. ეკკლესიის კახნი ქართველნისათვის მეოცისა და სიძეს კონსტანტინესი, მია-გდეს კონსტანტინეს და მოსწყვიტეს სპანი მისნი ბერითა მახვილისათა და მოვლინეს კახნი გამარჯვებულნი წინაშე ქეთევანისა (¹): მიერითგან განაგებდა კახეთს გრემს მყოფი ქეთევან დე-დოფლობით: ამანვე მოიღო ალექსანდრე ძით გიორგით და დამარხა ალავერდს: ხოლო მისწერა შა-აბაზს ყოველი ყოფილი კახეთისა, შეიწყალა და განიზრახა განმგებლობა კახთა და მფლობელობა ქართველთა მეფისა, რათა არა დაიპყრას მეფე-მან ქართლისა-მან. ამისათვის მოუწოდა მეფეს თეი-მურაზს და ეტყოდა ბატონობას: „კონსტანტინეს მოუკლავს მამა და ძმა თვისი, რომელი წარვგ-ლიჯ შემდგომობისა ყოფად და ხილვად მამა-ძმასად. არამედ აწ მისდაცა უგიათ პასუხი კახთა და მოუკლავთ იგიცა. აწ წარვედ შენ მოსწრაფედ, რათა არა შფოთი რაიმე იქმნას კახეთს მათ მიე-რის:" მისცნა ნიშანი დიდნი და წარმოავლინა (იხილე აქა „ხატულება ბოროტი"): (²) ხოლო უწყ-ნობელად მოვიდა მალემსრბოლად ქისიყს თეიმურაზ ყოვლითა იყვისთა მეფე მეოთხეთა კახთა. ქისიყს ისტუმრა გლეხ-მან ერთ-მან და უძღვნა ცხრა წყვილი აგვისით, შეწირვამ აცნობა დედასა თვისსა ქეთევანს დედოფალსა მოსვლა თვისი. შემდგომად მოვიდა გრემს და იქმნა სიხარული დი-დი დედა-შვილისა-გან და ყოველთა კახთა: შერმე მივიდა და ეახლა ბაღდაბეს ქს. სჟე ქრ. ჩქე (მეფე არჩილი იტყვის მეხუთის, არა სარწმუნოდ):

## ტ, მეფე ბატონი თეიმურაზ ,ა, ი წელი ჭქვა (³)

ხოლო დაჯდა მეფედ ბატონი თეიმურაზ, მაშინ იყო წლისა ოც და განაგებდა კახეთს. შერმე მოიყვანა ცოლი ასული მამია გურიელისა ანნა და ქმნა ქორწილი დიდებული თორღას: არამედ ყისადაგან იყო კახეთი მორჩილი და შენიბაანი, მარადის იშყებდა თეიმურაზ და სა-დირობდა და სადიმობდა: ხოლო შემდგომად მოუკვდა ცოლი მისი და უშვა ძე ლევან, გვალად მოუკლა და უშვა ძე ალექსანდრე და მოუკვდა ანნა, ქს. სჟი, ქრ. ჩქი. ამისათვის ჭმუნვა თეიმურაზს მწუხარება და გლოვა დიდი: ესე ესმა შააბაზს და ამისათვის მოუწოდა თეიმურაზს, რათა განა-

---

(¹) არჩილ მეფე ... სწერს. „რა დაესხმოდნენ ... ბარაბანი, ... კონსტანტინეს და ... კახთა ... და ... [illegible]

(²) ... სწერს. „ერთ ... კონსტანტინე ... [illegible] ... შაჰ-აბაზისა, და ... მან რათა არა იქმნას განდგომა და შეერთება ქართველთა-თანა წარმოავლინა ... [illegible]

(³) არჩილ მეფე სწერს. „ოცი წლის ... [illegible] ... წლისა ... [illegible]

გულის გლოვა და იხარებდის მის-თვისა: მაშინ თეიმურაზს საუწყებელად აცნობა შააბაზ და წარგი-
და მის წინაშე შეგით მოხილი: ხოლო მიეგებოდა დღისა-გან წარუმავალ-მან შეხედვისა მის
და ტანჯვანი შააბაზის თეიმურაზ, და აწ მიხრილ-მან ვინ თვისა და ტანჯვისა ქალ-ქურმასი წარმო-
ნებულთა გახდა შეიძლო: ხოლო შააბაზ გულადად შეუწყნარა და მატერ სტა და სიმშვიდე მრა-
ვალისა. განსცდიდა გლოვა, ასადიდებდა და ანადიდებდა სარად-დღე: შემდგომად კადრად შააბაზ
თეიმურაზის საიდუმლოდ: „შეგიძლია ვინ ლუარსაბ მეფისა და იქინ ქალაქი ჩემდა და მიჰგვარე
მისი, რათა არღა-რა იყოს თქვენ-შორის შური“ ამის-თვის თეიმურაზ მიუგო ყვედრებით: „რა-
მეთუ არს მამის ასულის ჩემისა შვილი მე (1) და ესე არს უფრო არს საუფლის ჩვენისა ყოვლად“ გან-
რისხნა შააბაზ და აიძულებდა თეიმურაზის ყოვლად ამისად: მაშინ ყოვლად-გან არღა-რა იყო მცვე-
ლობე დარჩა ამავე ნება (ესე ჰქონა შააბაზ, რამეთუ მოიწყინებდა და რათა დაამდაბლოს და ნე-
ბისა თვისისად ქმნას, რათა შეერთოს სპარსთა და მერმე მაჰმადიან ჰყოს და გვალად იხილოს.
თუ მისცეს ლუარსაბ დაი ივისი, რომელი არს წარუდგინა მას უხუცესი, არამედ უმრწემესი): და
და გვალად მიიწერა შააბაზ ლუარსაბ მეფესა: „რათა მისცეს დაი თვისი თეიმურაზსა.“ შემდგომად
გამოუტევეს თეიმურაზ ნიშნითა დიდითა, მოვიდა კახეთს და მოითხოვა სვარაშან: მაშინ მოიყვა
ლუარსაბ დიდითა დიდებითა და ქმნა ქორწილი გრემს თეიმურაზ ქს. ჩქიბ, ქრ. ტ. და განაგებ-
და კახეთს სიმშვიდით: არამედ უფრო მტერობდნენ ლეკნი, გარნა ვერ იგადრებდნენ ცხადად თვი-
ნიერ მარჯვით: ამის-თვის წარავლინა თეიმურაზ ლომ-მძლე ქიზიყსა, რამეთუ იყო იგი ამაო-
ვანი, შემმართებელი: ესე შევიდა დაღისტანსა მისა და დაიპყრა მისა ხელთ, უწყო რბევა სრვა
და ოხრება, და ყოვლად ყოველი წინა-აღდგენილნი ითხოვა ბუკი თეიმურაზისა-გან, რამეთუ მოიმართ
იქმნებოდნენ უკუროსად. არამედ კახთა შესმინეს ბატონს თეიმურაზს: „ნებავს კახეთი და ამის-თვის
ითხოვს ბუკსაცა.“ ამის-თვის მოიყვანა ქიზიყსა და მოკლა იგი ღალატად: ამის მნახველთა კახთა
რომელთამე იწყეს ძვე-გამხედველობა მეფისა: ხოლო შააბაზ მიერ გამოსვლა-გან, ოდეს მოიკლეს
კახთა კონსტანტინე მირზა აქიმდა და ვერ ჰპოვა ვერ შურ-გებისა უცადლეებითა მინავსითა, ვი-
ნაგ-გან ვერ სრულ ექმნა ნება თვისი. გარნა აწ ჰპოვა მიზეზი, წარმოემართა და მოვიდა უცხო-
ბულად კახეთს ქს. ჩქიე, ქრ. ტჲ, თათრულს ჩადს:

## ა მოსვლა შააბაზისა:

გაწყვიდამ მოუმცნო თეიმურაზს. „მე მიყავ ბრძოლად ოსმალთა. ამის-თვის აწ მომეც მძევლად ძე შენი, რათა არა ემწე ოსმალთა, ვითარცა ჰქონ მამა-მან შენ-მან და ყვნა ამით ერთ-

(1) ესე იგი მამისა მამის. [illegible]

გულობა ჩემი შენ-გან:" ესმა ესე თეიმურაზს, უცხოდ აღუჩნდა, რამეთუ არა იყო ბრძოლა ოს-
მალთა, გარნა იცოდა მანკიერება მისი, რამეთუ იყო ესე მოშიში და შააბაზ იყო მცბიერი,
ხუასიკიანი, უნდო და მტერი ყოველთა მემკვიდრეთა: მაშინ თეიმურაზ უთხრა კახთა და მათ
ყოველთა განუცხადა წარმოდგინება მისი: არა ინება თეიმურაზ. არამედ იძულებითა კახთა-გან
წარმოგზავნის უმრწემესი ძე ალექსანდრე და წარატანა დედა თვისი ქეთევან და სოფარ ჯორჯაძე,
ჭკუანებდა ბატონიშვილსა დედოფალსა შააბაზისა-გან, რათა ეწყალობდეს შეწყალებად და შეუნდოდეს:
ხოლო შააბაზ რა იხილნა იგინი განრისხებულ-მან მოუწოდა ქვედად თეიმურაზს: ,,არათუ
ვარ ძის და მზრდელი ძისა შენისა, წარმომავლობით ძე შენი უხუცესი (რამეთუ ქმნება სრულიად
ყოველთა ქალთ-გლეხად), უკეთუ გნებავს ერთობა ჩემ-თანა და შე ვსცე ბატონი დედასა შენსა და
189 შეუნდობე: შეუძლია ფრიად თეიმურაზს და არცა-რა რა ღამოიდა წარმოდგინებასა, ვინაძ-გან მოვე-
მცირა დედასაცა თვისსა არა წარმოდგინებად შერისხა ძისა. არამედ გახსნა აიძულებდნენ და ეტყოდნენ,
არა: ,,ორი-გზის ივაგ მის-თანა, მოგცა ნაწილი და ბატონი დიდი, რად მოსწყვედ კახეთის ერთისა
ერისა-თვის, ვინაძ-გან უწყით, რამეთუ აქნებს არა-რასა:" მაშინ უღონო-ქმნილ-მან თეიმურაზ
წარმოუგზავნის უხუცესიცა ძე თვისი ლევან და წარატანა დავით ასლანის-შვილი: მერმე რა გელი-
ოვდა იგინი შააბაზ, აუწყა თეიმურაზს: ,,აწ ვსცან, რამეთუ ხარ ერთ-გული ჩემი დიდი, ვინაძ-
გან არა რიდე ძეთა შენთა ჩემ-თვის, მოვედ შენცა და აღგავსო ნიჭითა და განგიტევო ქვეყანი-
თურთ შენ-ყოფითა:" ამისი მსმენელი თეიმურაზ და გახსნა იუწყებდნენ სავალს შაჰ-აბაზისას, რა-
მეთუ ნებავს მოსრვა მათი და მოოხრება კახეთისა. ამის-თვის უთხრა თეიმურაზ მეფესა ლუარსაბს,
რათა შეეწიოს. ,,ვინაძ-გან სწადს მოოხრება საქართველოსა, იხილე რამეთუ მტერი შენი მოუ-
რავი არს მის-თანა, რომელსა მოჰკვეთს ყელი მტრად შენდაცა:" ხოლო ლუარსაბ მოსცა ზორი
მტკიცე და შემოიკრიბა თეიმურაზ სპანი კახთა და გავიდა მუხრანიდამ გაღმამხრიდამ ჟებირი
და დასდგა: ესმა შააბაზს მოსვლა თეიმურაზისა, წარმოავლინა ალიყული სპანი და ყარჩიღაისა
ქალღეთს, და იგინი გამოვიდნენ მტკვარსა და მოიწივნენ კახეთს, შეებრძოლნენ-კახთა მწყემსთა ყიზილ-
ბაშთა-გან მისცნა ხელთა და გამოუტევა: იხილეს-რა ესე კახთა იძლოდნენ თეიმურაზისა-გან
და შეერთოდნენ შააბაზს, და იგი ფრიად ბატონს ულოცვიდა და მისცემდა ბოძსა. ამის-თვის თეი-
მურაზ ვერღა-რა წინა-აღუდგა და წარმოვიდა დედა-წულითა. ხოლო მომავალ-მან იხილა ქალაქს
სპანი ყიზილბაშთა, ეგრეთ ძლიერად, სძლო და მოსწყვიდის უმრავლესნი და სხვანი იგლტოდნენ.
აღილო ალაფი ყიზილბაშთა მათ და მოვიდა მუხრანს ლუარსაბ მეფისა-თანა: ხოლო ლტოლვილნი
ყიზილბაშნი მივიდნენ წინაშე შაჰ-აბაზისა. განძვინდა და წარმოემართა ორთა მეფეთა ზედა. არა-
მედ ესენი წარვიდნენ იმერეთს, რამეთუ უკეთუ ენებათ შეყენება ბრძოლა, გარნა არა ინებეს ქარ-
თველთა და კახთა ბრძოლა შააბაზისა: ხოლო შააბაზ შემოვიდა კახეთს, ქართლი და დასდვა
გორს და იქმნა რა იგი აღვსრულებით: გარნა უკეთუ იქცა რა, დაუტევა განმგედ კახეთისა სიადარ-
ჯორჯაძე და დავით ასლანის-შვილი, და თვით მის-თვალ-მან აიყვანა წარმოგზავნილისა დედა და ძენ

თეიმურაზისანი შირაზს ბატონობად, რომელნი განვიდნენ წარმავლისა ამისთჳს: არამედ თეიმურაზ იყო იმერეთს ბატონი გიორგი მეფისა-გან. გარნა შემდგომად ამისა თითოსა წარუვლინეს ნადარ და დავით ბატონს თეიმურაზს კაცი და მიუთხრეს. „მოვედ და ეპატრონე კახეთს საბატონოსა შენსა:"

## მოვიდა თეიმურაზ კახეთს და ქიზიყი თჳთვე ჰქონდა:

წარმოსრულს იმერეთიდამ თეიმურაზს მოეგებნენ თჳთ გიორგი მეფე, ლევან დადიანი და მამია გურიელი არაგვამდე უმსხულობის-თჳს ქართველთასა და მუნ მოეგებნენ ყოველნი კახნი სრულიად. ხოლო იმერთა მეფე და მთავარნი უკუნიქცნენ თჳსადვე და თეიმურაზ დაიპყრა კვალად კახეთი: ესე მიესმა შაჰაბას განრისხდა და წარმოემართა სპითა ძლიერითა. არამედ წინარე წარმოუვლინა ალი-ყული ხან მსწრაფლად სპითა დიდითა შეკრებად არაგვის-პირისა, რათა არა იდევნოდეს თეიმურაზ კვალად იმერეთს: ესმა თეიმურაზ მოსვლა ალი-ყული ხანისა არაგვის პირად, შემოიკრიბნა სპანი და დაესხა შუაღამე წინამურს ხეითა და ძლიერითა ბრძოლითა იძლეოდნენ ყიზილბაშნი და მოსრნეს კახნი, რამეთუ მტერნი გარდაეხვეწნეს და აღიღო ალაფი და საჭურველნი და საჭურჭლე მათი თეიმურაზ. არამედ ლტოლვილნი ყიზილბაშნი მივიდნენ წინაშე შააბაზისა. ხოლო იგი განძვინდა, ვითარცა ვეშაპი და წარმოვიდა მსწრაფლად: მაშინ კახთა მკჳდრებელთა, ვითარცა უწყოდეს წინარე შააბაზ უსჯულოება და ბოროტება, მის-თჳს არცა ერთ ინებეს ბრძოლა და მაგრება: ამას უწყოდა ყოვლისა თეიმურაზ, წარვიდა იმერეთსავე, გარნა განეხვეწნენ მოსახლენი დიდნი და მცირენი დედა-წულითურთ:

## ბ მოსვლა შაჰ-აბაზისა

ხოლო შააბაზ მოვიდა კახეთს და მეზიდამ ტფილისს ქს. ჩჲთ, ქრ. ჩდ, ითარგლის ჩგდ, ეზრას ლუკოს: „რამეთუ მინდავს მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ იმერთ-ქართლის მთათა შინა, იქმენ მოსრულნი და ტყვე-ყოფილნი იგინი და აღავსნე მეცა ნიჭითა:" მსმენელთა მათ სიხარულით აღუთქვეს: მაშინ შაჰ-აბაზ წარმოავლინა ტფილისიდამ სპანი დიდნი ხერკს და ერწო-თიანეთის ზედა. ხოლო იგი ჩამოვიდა კახეთს, მოსრნა, მოსტყუენა, აჰყარნა და მოაოხრნა. განსძარცვნა ეკკლესიანი, ხატნი და ჯუარნი შემუსრნა და სამკაულნი მათნი ჰყო ხარჭთა იგისთა აღსამკაზმელად. გარნა ვიეთნიმე მოიხიზნნეს ფშავს, ხევსურეთს, თუშეთს და სიმაგრეთა, გლდეთა, ტყეთა და მთათა შინა. არამედ ლეკთაცა უშველეს ეგრეთ, ვითარცა აღუთქვეს შაჰაბასს:

## ფეიქარხან კახთა:

შემდგომად დაუტევა ფეიქარ-ხან სპითა კახეთს და თვით წარვიდა და წარიყვანნა ყრმანი გახსნა ტყვედ, და დასხნა რომელნიმე მახლობლად, ჩვარასა და ფერისას (რომელნიცა უწოდნენ ძეთა მისთა ყაზახარჩად): გარნა თეიმურაზისი ყოფასა იმერეთს იქმნა სიყმილი დიდი. შეშფოთებულმან თეიმურაზ წარავლინა კაცი წინაშე ხონთქრისა სტამბოლს და ითხოვა სადგური და შეწევნა მისგან. შემდგომად მეორედცა ამისა, ჩავიდა გურიას, ისტუმრა მამია-გურიელმან და პატივსცა ფრიად: ხოლო მუნ მოვიდა წარგზავნილი სტამბოლიდამ და აღუთქვა შველა და შეწყალობა ხონთქარმა და მოსცემდა გორის და ახალ-ციხის გარემო რომელნიმე დაბნები: მაშინ გურიელთა მოსდგნენ შური მამია გურიელისა-თანა, რამეთუ ნებავს თეიმურაზს გურია, ვინაიდ-გან მისცა ხონთქარმან გორის: ამისა მცნობი თეიმურაზ წარვიდა ახალ-ციხეს მოცემულთა დაბნებთა შინა და მუნ ისტუმრა ათაბაგმან მანუჩარ ქველად: შემდგომად განიზრახა წარსლვა სტამბოლს, ვინაიდგან აღუთქვა ხონთქარმა შეწევნა და აუწყა ესე ათაბაგსა. ხოლო ათაბაგმან მისცა ადგილი, მივიდა მუნ თეიმურაზ და დაუტევა დედოფალი ხვარამზე და დედა-წულნი გახთა ოდიშის და მოუწოდებინა ნიადაგ სალუთ-ხუცესი და თვით წარვიდა მცირედსითა კაცითა აღკაზმულითა ფრიად მდიდრად: ესე ესმა შაჰაბაზს და ჰგონა შეწევნითა სულტნისა-გან ბატონის თეიმურაზისა.
190 ამის-თვის მოიყვანა ძენი თეიმურაზისანი ისპაანს და გამოასაჭურისნა ქს. ჩქგ, ქრ. ცტ (ალექსანდრე მოკუდა მათ, ხოლო ლევან იქმნა ბელ და ვიდოდა უპატიოდ, შემდგომად მოკუდა იგიცა): გულად უბრძანა შაჰაბაზ ამირგუნახანს ერევნის ბეგლარ-ბეგს: „წარვედ და დაუსხი ოდიშს თეიმურაზის დედოფალს და წარმოგზავნე წინაშე ჩემსა ტყვედ:“ მაშინ იყო ზამთარი, განვლო მთა თოვლიანი ამირგუნახან. არამედ იხილა სიზმარი დედოფალმან ხვარამზან, რამეთუ დაესხნენ სპანი და იტყვან-წყვეს იგი, მყის განიღვიძა და შევიდა ციხესა შინა ყოვლითა თვისითა და განამაგრა ციხე: ხოლო განთიად დაესხა ამირგუნახან სპითა და ვითარ ვერ-ღა რა, ჰპოვა უკუნიქცა და წარვიდა: არამედ მას ჟამსა მუნ არა იყო ნიადაგ, ესცნა რა, შეიკრიბნა მენებურნი და კახნი მის-თანა მყოფნი, დევნა ყო ამირგუნახანისა, მოეწია, მოსრნა სპანი მისნი, და ივლტოდა ამირგუნახან. აღიღო ალაფი მათი და მოვიდა წინაშე დედოფლისა გამარჯვებული: ხოლო თეიმურაზ მისრული სტამბოლს ქველად შეიწყნარა სულტანმან მუსტაფა-მ (¹). შემდგომად სთხოვა შეწევნა, არამედ ხონთქარს აქუნდა ბრძოლა ლასვალით, არღა-რა მისცა სპანი. არამედ ანიჭნა დიდ-დიდნი და გამოუტევა: მას ჟამსა იყვნენ ანატოლიას შინა ჯალალნი მრავალნი და ესენი უწოდებენ თეიმურაზს ბრძოლასა მრავალ-გზის, არამედ მარადის მძლედ მოსწყვიდნა თეიმურაზ, რამეთუ დღესა ერთსა შვიდ-გზის ებრძოდნენ სხვა და სხვანი. გარნა ყოველნი მოსრნა ძალითა

(¹) ხოლო ხსენი წერენ სულტანსა იბრაჰიმს, არამედ ამ იბრაჰიმის ჟამს არცა იყო შაჰაბაზ და არცა ეს ქორონიკონნი.

შენათი, რამეთუ ერთიცა კაცი არა დამალა ქმნა თეიმურაზს და მოვიდა ოდიშს მძლეველი. გარნა დახუდნენ მეფესცა ძლევა-შემოსილნი მშვიდობით: მერე კვალად მოვიდა ჭიანისს თეიმურაზ და ითხოვდა მას წარსლვად რუსეთს შავის-ზღვით. ხოლო კახეთი იყო ხიზნითი და ფეიქარ-ხან აშენებდა მოსახლეთ დასახლებად ელთა და მცდელობდა დამორჩილებასა და მოსპობასა კახთასა, გარნა რომელნიმე იყვნენ მის-თანა: შემდგომად მოვიდა მოურავი ყარჩიხანით ქს. ჩქკგ. ქრ. ტია, და დადგნენ სადგურთა და მოუწოდეს კახთა, მასწრეთა შეიყვანნეს მოგლეხნულს თეკვირსა მის წინაშე ხასისა, რეცა ხელთაის მიცემად, არამედ მოჭკვეულნი მუნ თავსა და მოსწყვეტნეს მოსავალნი: შემდგომად მისცნეს კახთა და იგრნეს ხრმალნი, გამოღლსნეს ბრძოლით და განერნეს, მერმე მოკლეს ყარჩიხან მოურავ-მან და ზურაბ, მიეგებნეს თეიმურაზს, რათა მოვიდეს და დაიპყრას კახეთი. ისმინა, წარმოვიდა და დაიპყრა კახეთი:

## მოსვლა თეიმურაზისა გონიდამ კახეთს, ია წელი ქმნა:

ხოლო ქართველთა რა გარდა-რა შეიპყრეს ფეიქარ-ხან წაგურად დიდად ბატონის-შვილისად. ამის-თვის სთხოვეს მოურავ-მან და ზურაბ თეიმურაზს ასული თვისი დარეჯან ცოლად ზურაბისათვის. ამით განიგრძნა თეიმურაზ დაპყრობა ქართლისა და მისცა ასული თვისი ზურაბს. მერმე მოიყვანეს თეიმურაზ მეფედ ქართლს და აპყრა კახეთიცა: ესმა შაჰაბაზს, წარმოავლინა ყორჩიბაში სპითა დიდითა, მოვიდა და დაიბანაკა ალგეთს ზედა და იქმნა ომი ფიცხელი, ვითარცა აღვსწერეთ და შემდგომად მარაბდის დამარცხებისა წარვიდა თეიმურაზ იმერეთს და კახეთი იყო თვისად და შემდგომად წარსვლისა ყორჩიბაშისა ჩამოვიდა კვალად კახეთს ბატონი თეიმურაზ და დაიპყრა კახეთი ქს. ჩქკდ, ქრ. ტიბ:

ამ ჟამთა კახთა მცირედ იწყეს შენობა და მოსახლეობა, არამედ გლოვად მიესმა ესე ულ-ვილი შაჰაბაზ, განრისხნა და განძვინდა, მიუწერა შირაზის ბეგლარბეგსა, რათა გაამაჭმოდინოს დედა თეიმურაზისა ქეთევან დედოფალი, და უკეთუ არა ჰყოს გმობა ქრისტესი, მოჰკლას ტანჯვითა ფიცხლითა. და ამან მოჰკლა ქრისტესთვის ტანჯვითა მწარად-მწარადითა, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი მისი ქს. ჩქკდ, ქრ. ტიბ, (¹): ხოლო შეთავარდა რა მერი მოურავ-

(¹) მემატიანესა სწერს წამებასა მის ჟამისათვის ... რომელ ბატონი თეიმურაზ ... ... წელსა ... და შემდგომად წამებასა ... და ... წელი რომ შაჰაბაზ მოსცა ... ქრისტიანე ... და ... განსხვავებულისათვის, ... თეიმურაზს ... შაჰაბაზის, შემდგომად წამებისა ქეთევან დედოფალისა ... მოწამისა და ...

სა და ზურაბსა შორის: მაშინ მიუწოდა ზურაბ ერისთავმან ბატონს თეიმურაზს დაპყრობად ქართლისად და მივიდა დუშეთს. არამედ მოვიდა მოურავიცა სპითა ძლიერითა და დიდითა. გარნა იყო თეიმურაზისასათანა ზურაბ ერისთავი, ამილახვარი იოთამ და გასნი მისნი: გარნა ბრძოლასა შინა აღასრულა თქმული თვისი ედიშერ, რომელი ეტყოდა გახთა: „ეცადენით სიკუდილსა მოურავისასა, რამეთუ იგი აღაშფოთებს ყოველთა:" მისრულმან ედიშერ ჰკრა შუბი მოურავსა და დალეწა მკერდსა მისსა ზედა. ხოლო მოურავმან ჰკრა თავსა შიშველსა და განუპო ხრმლითა, მერმე მოვიდა მოურავი, ჰკრა ბატონს თეიმურაზს ლახტი ბეჭსა ზედა, არღარა დაადგრა და წარვიდა. არამედ სძლეს მოურავსა და ივლტოდა ქს. ჩქკგ, ქრ. ტია: ამათ მოსრნეს და შეიპყრნეს მრავალნი, ხოლო ჰყრობილთა დაჭკვეთის ცხვირნი და რომელთამე ყურნი ბატონმან თეიმურაზ და განუტევნა, და იგიცა წავიდა და დაიპყრა ქართლი და განაგებდა მწყობითა ზურაბისათა:

ხოლო ქს. ჩქკე, ქრ. ტიგ, თათრულს ჩლდ მოკვდა შააბაზ და დაჯდა ძის-წული მისი შასეფი. ამ ჟამად განდგა ზურაბ ერისთავი და არღარა მორჩილ ექმნა ბატონს თეიმურაზს გამოიყვანა სვიმონ მეფე ტფილისადმი და თეიმურაზ წარვიდა კახეთს და მცირედისა ჟამისა მივიდა უჟადარს წარსლვად წინაშე ყეენისა: არამედ მოუწერა ზურაბს: „მე წარსრულ ვარ, გარნა ვიცნობ შემდგომისა შენდა სვიმონისასა, რამეთუ არა კერ იყო განწირვა სიმისა-გან სიმამრისა:" შემდგომად მცირედთა დღეთა მოარიდეს თავი სვიმონ მეფისა ზურაბის წარმოგზავნილთა თეიმურაზს და კვალად მიუწოდა დაპყრობად ქართლისად და მოუთხრა. „ვითარმცა გაგწირეველ უბედავად:" უკმოიქცა თეიმურაზ და დაიპყრა ქართლი: ხოლო ვინად-გან არა ვინ იყო მეტოქე და წინააღმდგომი და უმრავლობდა სპასი ქართლ-კახეთისა ჰყრობითა, მოიხსენა შური ყუჩენისა სულთნისა, რამეთუ იდეს აღჭარა შააბაზს კახეთი, მან უბოროტესნი ყყო კახთა და წარვიდა სპითა დიდითა. არამედ ალონსა შინა მოარბედსა ცხენსა ბატონის თეიმურაზისასა უბრკმა და შემუსრა ბეჭი მისი: ამის-თვის მტკივნეული ვერღარა წარვიდა თვით. გარნა წარავლინა ზურაბ ყოვლითა სპითა: ესე მივიდა და დაესხა უგრძნეულად და გამაგრდა სულტანი ძლიერად. მაშინ უბრძანა ზურაბ ყოველთა სპათა მკვირცხლად შეხდომად სულტანისა და მათ მეის აღმასრულებელთა წარუხვნეს სიმაგრენი, მოჰკლეს სულთანი და მოსწყვიტნეს მისთანანი ყოველნი და მოაოხრეს სასახლენი მისნი და წარმოვიდნენ გამარჯვებულნი ალაფითა დიდითა და მოვიდნენ წინაშე თეიმურაზისა: ამისა შემდგომად მოიხსენა შური ზურაბ ერისთავისა ბატონმან თეიმურაზ და სავერცხლეს მდგომმან ლახტითა მოჰკლა იგი, მერმე შევიდა დუშეთს და წარმოიყვანა ასული დარეჯან და დასვა სავერცხლესავე: აჰხაზა მეფესა გიორგის იმერთასა, რათა შერთოს ასული
191 მისი დარეჯან ძესა მისსა ალექსანდრეს: სთნდა იყო გიორგი მეფე-მან და წარმოუვლინა ძე თვისი ალექსანდრე. ესე მოვიდა სავერცხლეს, აქორწინა ქისხარს მცირეს ეკლესიასა შინა და განუტევა მზითვითა დიდითა ქს. ჩქკთ, ქრ. ტიზ.

შემდგომად შეიკრიბნა სპანი ორთავე ქუეყანათა თეიმურაზ და მიუხდა ყლუკოსორს, რამეთუ იგინი უხდებოდნენ, აოხრებდნენ და სტყუენვიდნენ კახეთს, მოსწყვიტნა, მოსტყუენნა და მოაოხრნა და მოვიდა გამარჯვებული: კვალად შეიკრიბნა სპანი ორნივე, წარვიდა და მოსტყუენნა არაზის შიგნითი, ბარდა, ყარაბაღი, შამშადილი და ყაზახი, და მოვიდა ალაფითა და იავარითა დიდითა გამარჯვებული: ხოლო იყო უნდილაძე დავით განჯის ბეგლარ-ბეგი, ესე ერთ-გულ და ნამსახურ იყო შააბაზისა, არამედ შაჰ-სეფიმ მიზეზითა ცუდითა შეიპყრა ძმა მისი და მოჰკლა იგი და ძეთა მისთა აღმოხადნა თუალნი: შეშინდა ესე დავით და მოვიდა თეიმურაზისა-თანა სპითა და დედა-წულითა ყაჯარისათა: ხოლო თეიმურაზს შეიწყნარა და დაასადგურნა იორის-პირსა ზედა: ესმა ესე შაჰ-სეფის და მოითხოვა იგი ბატონის თეიმურაზისაგან. გარნა მან არა მისცა, არამედ ევედრა, რათა შეიწყალოს და მიუტეოს შეცოდებანი: შესმენილი ამისი შაჰ-სეფი განრისხნა, მოუწოდა ხოსრო-მირზას, მისცა მას ქართლი და წარმოატანა როსტომ-ხან სპასალარი და მოვიდნენ ხუნანს: ამის-თჳს მოიყვანა თეიმურაზ ბარათიანთ ცოლნი საფურცლეს, რათა არა მიერთნენ როსტომს და ლამოდა ბრძოლასა. არამედ მას ღამეს განივლტნენ ბარათიანნი და მივიდნენ წინაშე როსტომისა: მაშინ ინება ბარათიანთა ცოლთა დაჭრა ცხვირ-პირითა თეიმურაზ. არამედ არა აუვლდა ჩუარაშან დედოფალმან და წარვიდა იმერეთს ქკ. ჩქლზ, ქრ. ტკბ: იგით ბატონმან თეიმურაზ შეთაუსწრა იმერეთს. ხოლო ეწივნეს ჩიზასთა სპანი ყიზილბაშნი, მოსწყვიტნეს და ტყუე-ჰყვნეს, უკუნიქცნეს და მოვიდნენ ტფილისს:

ხოლო როსტომ დაიპყრა ქართლი, წარმოავლინეს სელიმ-ხან და დასვეს კახეთს. არამედ ვერ მიენდვნეს კახნი თვითოეთაგან კიდე და იყოფოდა სელიმ-ხან მოსაზრეთს. შემდგომად მოჰკლა როსტომ შეუკუმან დათუნა ერისთავი. წარუგზავნა ზაალ ძმა-მან დათუნასამან ბატონს თეიმურაზს ფიცი და აღთქმა დიდი, რათა მოვიდეს და მეფედ-ჰყოს ქართლს: ესე ირწმუნა თეიმურაზ, წარმოსრულ-მან მოვლო დვალეთისა ზედა, რამეთუ ქართლს ვერღარა გამოვლიდა როსტომის-გამო და მოვიდა დუშეთს ქკ. ჩქლვ, ქრ. ტკდ:

## მოსვლა ბატონის თეიმურაზისა დუშეთს იბ წელი ას ჰმეფა:

მაშინ იწყეს მტერობა როსტომისა და ვერა რაი ავნეს, შერმე კუალად შეუხნეს მოღალატენი და ვერცა რაი მით ავნეს, რამეთუ აქვნდა ძალი დიდი ქუეყნისაგან და მიარჩილებდეს ყიზილბაშნი: ამის-თჳს დაუტევეს როსტომ და მიუხდნენ სელიმ-ხანს, მპყრობელსა კახეთისასა, მაშინ შესვენებულს მოსაზრეთსა შინა სასახლისასა: აგრძნა სელიმ-ხან და ივლტოდა. არამედ მოსწყვიტ-

ნეს სპანი მისნი და აღიღეს იავარი მისი, მოიქცა და დაიპყრა კახეთი, მივიდა და დადგა კვა-ლად დუშეთსავე და მცდელობდა მტერობასა როსტომისასა სამ-წელს დუშეთს მდგომი. არამედ განიგულა სიყუარული შაჰისა და დაპყრობა არაგვ-ბაზალეთისა და განიზრახვიდა გაზთა-თანა: „თუ რომლის ძლით ჰყოს:" უთხრეს ესე შაჰს და ფარულად მოასმინეს განზრახვა თეიმურაზისა. ამისათჳს იწყო შაჰ გრძელვა მის-გან; ჰსცნა ბატონმა თეიმურაზ უსიდობლობა შაჰისა და წარმოვიდა და ჩამოვიდა კახეთს ქკ. ტმზ, ქრ. ჩხნთ, და იწყეს უმეტეს აწ შესვლად და მოსახლობად კახთა, რამეთუ ხამოვიდოდნენ ხიზანნი და დაეშენებოდნენ: ამ ჟამებთა წარუგლისა ქვეყნისა ბატონმან თეიმურაზ ძლევნი დიდი და ითხოვა შესვლობა. ხოლო ქვეყანამან შეიწყნარა ძღვენი და მოსცა კახეთი თეიმურაზს და ხალათი და მოუწოდა პირველისა შესვლობა და აწ ერთ-გულად ყოფნა: და ესრეთ მრავალ-გზის წარუგზავნიდა ძღვენსა. ხოლო მასვე ჟამს სწყალობდა და დაჰხედა მის-თანა; არამედ იხილა ამით, რამეთუ აქუს მტერი სიმშვიდე, განიზრახა თეიმურაზ შესლვად დიდოეთს, რათა მოაქციოს კერპობისაგან და ჰქონდეს გზა რუსეთისა და შეიწიოს იგინი. შემოკრებულითა კახთა შეუხდა და შემუსრნა რაოდენნიმე კოშკნი და მოსწვა დაბნები. არამედ დიდოთა მოიმწყვნეს ლეკნი და დაუწყეს ბრძოლა ისრითა და საგორავებითა, მოკლეს რუსთველი წინაშე მეფისა, და მასვე ჟამსა ცხენი თეიმურაზისა და მოსწყვიტნეს მრავალნი კახნი, იძლეოდნენ და მოვიდა თეიმურაზ კახეთს მტირალი და მეტყველი: „ვაი დარბაისელ ეპისკოპოს მოწყვეტილსა:" ქკ. ტმჱ, ქრ. ჩხჲ:

შემდგომად ამისა მიუწოდეს ბატონს თეიმურაზს კათალიკოზმან ეუდემოზ, შაჰ ერისთავმან, ამილახორმან და ნოდარ ციციშვილმან. ხოლო მივიდა რა მუხრანს თეიმურაზ, გაემართა როსტომს ნოდარსა ზედა, ამის-თჳს უკუმოიქცა და მოვიდა კახეთსვე. მერმე კვალად მოუმცნო კათალიკოზმან ეუდემოზ გაქცევისა-თჳს ნოდარისა: „რად უკუნიქეც, აწ მოვედ და ჰყო რა იგი გსურს:" კვალად იწყმუნა თეიმურაზ და მივიდა მუხრანს, მუნ მოერთო შაჰ ერისთავიცა. არამედ ჰსცნეს, რამეთუ როსტომ შესრულ იყო ციხესა შინა გორს და ამათ არა ძალ-ედვა გარმოდგომა მისი, ვინად-გან აქუნდა ნიჭადი ქვეყნისა-გან დიდი: ამის-თჳს უკუმოიქცა თეიმურაზ. არამედ ავნო დიდი მუხრანის ბატონმან ვახტანგ და მოვიდა კახეთს. ხოლო შემდგომად მოუხდა როსტომ მეფე სპითა დიდითა მალარიას მეფისა მტერს სპასანს, ივანიერ ქისიყელთა-გან, ბატონს თეიმურაზს და შემოუსია სპანი ქკ. ტმთ, ქრ. ჩხჲა: მაშინ ეწყუნენ სიმაგრეთა-გამო კახნი და აოტნეს სპანი როსტომისა და წარვიდა როსტომ ტფილისს. ხოლო კახთა აღიღეს ალაფი და მოვიდნენ წინაშე თეიმურაზისა. გარნა ამითიცა ვერცარა ავნეს როსტომს და ეგო მტკიცედ: იხილა ესე შაჰ ერისთავმან და დამორჩილდა როსტომს. ხოლო როსტომ წარავლინა შაჰ წინაშე ქვეყნისა და შემდგომად მოსვლისა შაჰისა ისპაჰანიდამ და მცირედისა შემდგომად შემოიკრიბნა კვალად როსტომ სპანი ძლიერნი და წარმოემართა ბატონს თეიმურაზისა ზედა. მაშინ იდგა თიანეთს თეიმურაზ, შემოიკრიბნა მანცა სპანი თვისნი. არამედ მტარ-ვალნან

რეგაზ სალთხუცესი და ბიძინა სუფრაჯი ჩოლაყაშვილნი, და არა ინება ბიძინამ მორჩილება რეგაზისა, ვინად-გან რეგაზ თავ-სპათა იყო: „უკეთუ სძლოს რეგაზ იქმნების მიზეზი ძლევისა:“ ამის-თჳს აიძულებდა პატრონს თეიმურაზს ბიძინა: „რათა წარავლინოს იგი ერწოს და მუნ ბრძოლ-მან, რამეთუ უკეთუ დაიპყრან მათ ერწო ვერღა ჩვენ დავმაგრდეთ თიანეთს:“ არა ინება ესე თეი- 192
მურაზს. გარნა აიძულებულ-მან მისცა ნება, რათა არა იქმნეს მუნ სპათა მისთა შორის შფოთი ბრძოლასა შინა და წარვიდა ბიძინა ერწოს, და ამით განეყო სპანი თეიმურაზს. მაშინ მოვიდა ვახტანგ მუხრანის პატრონი და ზაალ ერისთავი მისთანა ყოლლისს, ეწყო რეგაზს და იყო ბრძოლა ცემითა ორთავეთა ძლიერი, ვიდრე უკუდრკინეცა იგინი. არამედ დაადგრა ვახტანგ მუხრანისა-თანა ერთისა მცირისა სპითა, მუნიდამ მოსწყდა რეგაზს თოფი და განვლო ზურგით კერძ: ესე არა აგრძნა სპათა, გარნა განამაგრნა იგინი, მოვიდა და ამბორს უყო ხელსა ზედა თეიმურაზს, მერმე მივიდა და მოკუდა მუნვე: იხილეს სპათა ჩვენთა და მოუძლურდებოდნენ. ხოლო იგინი მოეტევნეს და ივლტოდეს კახნი, და ჩამოვიდა პატრონი თეიმურაზ შიგნით კახეთს და ბიძინაცა უკუმოიქცა უქმად, მოუდგა როსტომ თეიმურაზს. არამედ ამავე დღესა ეწყვნენ მალარონი ძესა თეიმურაზისასა დავითს სპანი ყიზილბაშნი, მოგზავნილნი როსტომ მეფისა-გან, იძლია მუნ დავითცა და მოჰკლეს იგი და სპანი მისთანანი მოსრნეს ქს. ჩქმჱ, ქრ. ცლგ, თათრულსა ჩნჱ და მოადგნენ თეიმურაზს ორგნითვე: ამის-მან მხილველ-მან თეიმურაზ და უღონო ქმნილ-მან, წარავლინა დედოფალი ხვარამზე გვდრუბად როსტომისა-თანა (რამეთუ იყო ბიძის ძის ასული როსტომისა), მისრული შეიტკბო და პატივ-სცა კეთილად და მოსცა საჭურჭლე საგიდარსნი და წარუძღუანა კათალიკოზი და განუტევა იმერეთს. მოეგება ხიდე თვისი ალექსანდრე და დაასადგურა პატივითა: მაშინ უთხრეს სიკუდილი ძისა თვისისა დავითისა თეიმურაზს, ჰყო გლოვა და მწუხარება დიდი.

## როსტომ მეფე-მან თ წელი ჰმეფა:

ხოლო როსტომ დაიპყრა კახეთი და მისცა ზაალ ერისთავსა ერწო-თიანეთი და ხერკი. არამედ კახნი უმეტეს იჭჳნეს თვისად და ზაალისა-თანა: ხოლო თეიმურაზ შემდგომად გლოვისა იწვია ლეკნი დადიან-მან (რამეთუ იყო პაპის ასულის წული ლეკთა თეიმურაზისა): წარსლვისა არა მსუბუქისა თეიმურაზს განუზრახვიდა მეფე ალექსანდრე, რათა ჰყოს მათ შორისცა ზავი: ესე განიხილა თეიმურაზ თვისად უმჯობესად, რამეთუ უკეთუ შეაერთოს იგინი, მოიღებს მათ-გან ძალი. ამის-თჳს წარვიდა და მისრულსა მოეგება დადიანი ლევან, პატივ-სცა, უმასპინძლა, ასადილებდა და ანადიმებდა. გარნა ჩვენებასა შინა საჭურჭლე-საგანძურისასა უძღუნა მხოლოდ სახტიანი. შემდგო-

მას ეტყოდა თეიმურაზ ლეკსნი ზაგ-ულოვისა ალექსანდრესსა და განძლიერებასა მამულისსა თავს-მდე-ბობითა თვისითა: ესე ინება ლეკთა დადიანისმისცა, არამედ შორად განკიდებულ-იყო წუწკ-მან: ამისა მხილველი თეიმურაზ წარმოვიდა და მოვიდა იმერეთსავე: მაშინ ალექსანდრე შეიპყრა-მან სთხოვა ძის-ძე გიორგი თეიმურაზისი შვილად თვისად. მისცა ასან და ზრდიდა იგი მეკვიდრედ. არამედ შემდგომად მცირედისა მოკვდა ყრმა იგი და იგლოვეს მწარედ ვითარცა მეფისაი: ხოლო იყო მეფე თეიმურაზ იმერეთის წელსა შვიდსა და როსტომ უმეტეს განძლიერდებოდა. ამის-თვის წარაგზავნა რუსეთს ძის-ძე თვისი ნიკოლოზ. ამას მისრულსა ჩერქეზთა დაეცნენ მეკობრენი, მოსრნეს მისთანანი და წარგვარეს მხევლისა. ხოლო ყრმა ნიკოლოზ წარიტაცეს ყმათა მისთა და მიიყვანეს თერგს, მერმე მიიყვანეს მოსკოვს. ამისა შემდგომად იხილა თეიმურაზ, რამეთუ არღარა არს სხვა ღონე, წარვიდა თვითცა რუსეთს ვედრებად რუსთა ჴელმწიფისად, რათა შეეწიოს ქს. **ჩჳნგ**, ქრ. ცჲდ, და დაუტევა დედოფალი დედა-წულითურთ იმერეთს, განვლო თვით რაჭა, დიგორი, ჩერქეზნი და მივიდა თერგს, მერმე ასტრახანს, მუნიდამ მოსკოვს, მისრულს ჴელმწიფემან ალექსიმ პატივ-სცა მეფებრ და შეიწყნარა ვედრება მისი: შემდგომად უბრძანა მოხსენება, რომელი არა იყო შეწევნისა: ამისა მხილველი თეიმურაზ გამოეთხოვა, მან მოსცა ნიჭი დიდი და წარმოვიდა, მისრულს ასტრახანს ესმა სიკუდილი ძის-ძისა თვისისა ლუარსაბისა, რომელი იყო შვენიერი, გონიერი და სატრფო, მწუხარედ გლოვისა შემდგომად დაუტევა ნიკოლოზ წინაშე ალექსი ჴელმწიფისა მოსკოვს, თვით წარმოვიდა და მოვიდა იმერეთს ქს. **ჩჳთ**, ქრ. ცმჱ, და აქაცა დახვდა დედოფალი სოფლისაგან მიცვალებული. იგლოვა უმეტეს მწუხარედ და იყოფოდა იმერეთს, ვინაჲ-გან ალექსანდრე მეფეცა მომკუდარ იყო:

## სალიმ-ხანი

ხოლო კახეთს შემდგომად სიბერისა-თვის როსტომისა დასვეს სალიმ-ხან ქს. **ჩჳნჱ**, ქრ. ცჲე. არამედ ზაალისა ერისთავის სუმთა-ოქმულნი ქვეყანანი და კათაზეთა მისთა მართავდა სალიმ-ხან კახეთსა: ამან სალიმ-ხან მოაოხრა ელნი და დასხნა შიგნით და გარეთ კახეთს და დაიპყრნეს ამათ ბატონიანი, ალავერდი და განრყვნნეს წმიდანი ეკკლესიანი, რამეთუ იყვნეს არგე მოაწყლეთა მათთა სადგურად და იყო ჭირიცა დიდი მათ-გან კახეთსა შინა და ქრისტეთა ლეკთა-გან. არამედ სალიმ-ხან ყოდა ყარაღაჯს უმრავლესი კახთა-თვის და განისვენებდა, უმრავლესი მტერის ყმობისაგან: ხოლო ლეკის ერისა მღვდელი ვინმე მოვიდოდა შიგნით კახეთს. შეიპყრეს იგი თათართა და განსწყვნეს სადამიურითა და გასუტეველ: შეგინებულნი მწუხარებითა მღვდელი იგი

მოვიდა წინაშე ზაალისა მეტყველი: „შენდა რწმუნებულ-არს კახეთი-კნინდა ბერობად, აწ შემ-მოიწვიეს თათართა ურჯულო, ამისათვის შენცა მზა-იყავ ქრისტესა დღესა მას დიდსა განკითხვისასა:" ამისა-მან მსმენელ-მან ზაალ ერისთავ-მან შემოიყვანა სპანი თვისნი და ფშავ-ხევსურ-თუშნი, და ბიძინა ჩოლოყაშვილი და ერისთავი ქსნისა შალვა ძმით ელიზბარით (რამეთუ სიძე იყო შალვა ზა-ალისა), შეჰკრიბნა ესე ყოველნი წარუძღვანა მე იგინი და მიუხდეს ზერგელად ბახტრიონს, მო-სრნეს და მოსწყვიდნეს თათარნი, მერმე ალავერდს და შემდგომად ყოველსა კახეთსა შინა მო-სწყვიდნეს, რამეთუ არცა-ერთ დაუტევეს აკვანთა შინა მწოვარნი და განათავისუფლეს კახეთი. არამედ ყარაღაჯს არღარა მივიდნენ, რამეთუ წარსრულ-იყო სალიმ-ხან და იყო მას მურთუზა-ლიხან და მოიქცნენ გამარჯვებულნი ქს. ჩქნი, ქრ. ტმჱ:

# მ უ რ თ უ ზ ა ლ ი-ხ ა ნ ი

ხოლო შემდგომად ზაალ ერისთავის სიკუდილისა შეშინდნენ ბიძინა, შალვა, ძმით ელიზ-ბარით და არღარა მივიდნენ ვახტანგ მეფისა-თანა. არამედ მივიდნენ მურთუზალი-ხანისა-თანა ყარაღაჯს. მაშინ ხან-მან შეიპყრა იგინი და წარავლინა წინაშე ყეენისა, ხოლო ყეენ-მან მისცნა იგინი მესისხლეთა, რომელთაცა მოსწყვიტნეს მათ ელნი და მათ აწამეს იგინი ქრისტესთვის, ვითარცა წერილ არს მარტვილობასა მათსა: არამედ კახეთი ოდეს ეპყრა მურთუზალი-ხანს, კარის უფროს მორჩილებდნენ მეფესა ვახტანგს და იყვნენ წინაშე მისსა:

ხოლო შემდგომად ალექსანდრე იმერთა მეფისა დაშთა ბატონი თეიმურაზ ციხესა შინა 193
სკანდას ფრიად უპოვარი და მოასლვასა ვახტანგ მეფისასა იმერეთს უბრძანა თეიმურაზს ვახ-ტანგს, რათა წარავლინოს წინაშე ყეენისა და მივიდეს მის-თანა: მან სიხარულით აღუთქვა და მისრულისა თეიმურაზისა მპატივ-სცა ვახტანგ დიდად და წარმოუძღვანა აზნაურნი კაცი და მოა-ყვანეს ტფილისს ქს. ჩქაა, ქრ. ტმი: ხოლო მოართვა ვახტანგ იმერეთიდამ, წარავლინა თეი-მურაზ ისპაჰანს და წარატანა კაცი აზნაური, მისრულსა თეიმურაზს მპატივით შეიწყნარა ყეენ-მან შაბაზ და ასადიმებდა და ასადილებდა თვისსა-თანა და სიმღერად მრავალსა: დღესა ერთს ეტყოდა თეი-მურაზს შაბაზ, რათა დაუტეოს ქრისტე. ხოლო თეიმურაზ არცაღა-თუ ისმინა: კვალად სადილობასა შინა ეტყოდა ჭამასა ხორცისასა, რამეთუ იყო მარხვა, არცა ესე ინება თეიმურაზ: განრისხდა შაბაზ და შეაქცია თასითა ღვინო პირსა ზედა კელითა თვისითა თეიმურაზისსა; იწყინა კადრება ესე თეიმურაზ, არამედ დამშვიდდა შაბაზ მეტყუელი: „ჰკადრებს ძე მამასა უკადრისა. განა არა განრისხების მამა?" მეორეს დღეს წარვიდა შაბაზ აშრაფს და თეიმურაზ წარავლინა

ასტარაბადის ბატონად: ხოლო წელსა ქს. ჩქაბ, ქრ. ტნ მოვიდა მის ძე თეიმურაზისა დავითის ძე ნიკოლოზ, რომელსა ეწოდა ერეკლე თუშეთს, რამეთუ ამას ზრდიდა რუსთა კელმწიფე ალექსი, ვითარცა ძესა. გარნა ზოგნი იტყვიან მოწოდებითა ზაალ ერისთვისათა, რათა ჰქონდეს მეფედ. ხოლო სხვანი იტყვიან მოწოდებითა შალვა-დისა თვისითა დარეჯანისათა, რათა ჰქონდეს იმერთა მეფედ; ამას შიერთვნენ კახნი. ესე ჰსცნა შანაოზ მეფე-მან და წარმოავლინა სპითა მუხრანის ბატონის-შვილი პაატა და ერისთავი ოთარი; ესენი მოვიდნენ ყვარელით-უბანს: ეწყო მუნ ერეკლე კახთურით თუშითი და შემდგომად ბრძოლისა იძლია ერეკლე და ლტოლვილი შევიდა თორღის ციხესა შინა. ხოლო ქართველნი გაბრუნდნენ და აუწყეს შანაოზს: მან შეიკრიბნა სპანი და მოვიდა კახეთს და მოადგა ციხესა თორღისასა: მაშინ შემწირდნენ მეციხოვნენი, რამეთუ იყო ლედით ერეკლე მუნ: ამის-თჳს ევედრა დედა ერეკლესი შანაოზ მეფესა, რათა მისცეს გზა და განუტეოს: მან ისმინა და განუტევა ფარულად და მივიდა კვალად თუშეთსვე: ხოლო შაჰნაოზ დაიპყრა კახეთი და წარვიდა ტფილისს ქს. ჩქაგ, ქრ. ტნა. არამედ ერეკლე იმყოფებოდა თუშეთს მწირობასა შინა, ვერ წარმსლველი რუსეთს და ვერცა მდგომი მუნ: ხოლო მისრული ასტარაბადს ბატონი თეიმურაზ მასვე ჟამსა გარდაიცვალა შემონაზნებული და სქემოსანი ქს. ჩქაგ, ქრ. ტნა: შემდგომად ევედრნენ ყეენსა კახნი მუნ მყოფნი, რათა წარმოიღონ გვამი თეიმურაზისა კახეთს. ხოლო ვინადგან მეფესა ვახტანგსაცა მოეთხოვა ყეენისა-თჳს, ამის-თჳს ყეენ-მანცა ნება ჰსცა, წარმოიღეს და მოიღეს ალავერდს: მაშინ შეკრბნენ კათალიკოზ-ეპისკოპოსნი ქართლ-კახეთისანი ბრძანებითა მეფისა ვახტანგისათა და დამარხეს ალავერდს ქს. ჩქად, ქრ. ტნბ, თათრულს ჩღჲბ:

## თ, მეფე არჩილ ქართლის მეფის-ძე, შაჰნაზარხან ია წელი ჰმეფა. ი, his ერეკლე ა, ნაზარ-ალი-ხან:

ხოლო ამასვე ქორონიკონსა მოსცა შაჰნავაზ კახეთი ძესა ვახტანგ მეფისასა არჩილს და მოვიდა დიდითა დიდებითა, მიეგებნენ ყოველნი წარჩინებულნი კახნი, დაჯდა მეფედ და დაიპყრა ყოველი საზღვარი კახეთისა: ესე არჩილ იყო ახოვნებითა, შვენიერებითა, სიმხნითა და ყოვლითა სამხედრო სასაქმო ზნითა სრული, რომლისა ისარი იბ მუჴი სიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ლალი და ამაყი, მოსადირე და მოასპარეზე წარჩინებული და სამხედროთი აღმატებული: ამან განასხნა თათარნი ურჩნი თვისნი და განაგებდა კეთილად. არამედ მეორესა წელსა იწყო კირთება განზრახვითა კახთათა ერეკლემ კახეთისა: შეცნობელი შაჰნაოზ მოვიდა ძისა თვისისა-თვის სპითა დიდითა და დასდგა აწყვერს. ხოლო ერეკლე ვერ წინა-აღმდეგი წარვიდა კვალად თუშეთს და დასცხრა კირთებისა-გან: იხილა ესე შანაოზ და განუტევნა სპანი. ესე აცნობეს კახთა ერეკლეს და

მოუწოდეს თავს დასხმად შაჰნაოზისად: ამის-თჳს ერეკლემ შეიკრიბნა თუშნი და წარმოსრულს მეერიუნენ კახნი, მომწყველნი მისნი და დაესხნენ ზნელსა ღამესა შინა და იქმნა რა იგი აღ-ვსწერეთ: არამედ ერეკლე წარიტაცეს თუშთა და მიიყვანეს კვალად თუშეთსვე. მაშინ შაჰნაოზ შეა-ფიცნა სრულიად კახნი ძესა თჳსსა არჩილს და დაუტევა იგი კახეთს და თჳთ წარვიდა ქართლს; ხოლო ერეკლეს შესწირდა მწირობა თუშეთს და წარვიდა კვალად რუსეთსვე და არჩილ მყოფი კახეთს ნადირობდა და ნადიმობდა და შენდებოდა კახეთი, ვინად-გან იყო მშჳდობა და უმტრობა და ნიჭვიდა და სწყალობდა ყეენი არჩილს, რამეთუ ვერცა-და თუ ლეკნი იკადრებდნენ ხდომასა. არამედ განმსვენეთა კახთა ეშვინებოდათ თეიმურაზის ძის დავითის ასულის ქეთევანის წინდად ყოფა სამცხეს და საქმოებითავე დარეჯან დედოფლისათა იხილეს არჩილ უცოლო, ეტყოდნენ სი-კეკლუცესა და შვენიერებასა ქეთევანისასა, რათა შეირთოს ცოლად: მსმენელი არჩილ ეტრფიალა და ევედრა მამასა, რათა მოჰგვაროს ცოლად იგი, რამეთუ უმეტეს მკჳდრად დაიპყრობ კახეთსა: შემდგომად დიდისა უარ-ყოფისა შაჰნაოზ მეფე-მან წარავლინა ტფილისელი ვაჭარი და დაიხსნა ქეთევან ც თუმნად, მოიყვანა ტფილისს და უქმნა ქორწილი დიდებული ქს. ჩქჲზ, ქრ. ტნე, შემდგომად მოიყვანა კახეთს: ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს და განაახლნა ეკკლესიანი ყო-ველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოსნი, მატა სჯულსა და შენობასა ქვეყნისასა და იყო შვებასა და ნადირობა-ნადიმობასა შინა, ზოგ-ჯერ მამისა თჳსისა-თანა ქართლს და უმეტეს კახეთს: ხოლო შემდგომად იწყეს ლეკთა ჭურმუტთა ავაზაკობით კირთება გაღმა-მხართა და ელისენთა შინა, შეიკრიბნა არჩილ სპანი, მოიყვანნა ქართველნი, წარავლინნა და მიუხდნენ ჭურ-მუტს. შემუსრნეს სიმაგრენი, მოსწყვიტნეს, მოსტყვევნნეს და მოვიდნენ გამარჯვებულნი: ამის-თჳს მარადის ემატებოდა და შენდებოდა კახეთი და იყვნეს შეერთებულნი ქართველთა-თანა ყო-ვლითურთ:

ხოლო შემდგომად უქმნა არჩილ ქორწილი ძმასა თჳსსა ლუარსაბს ლილოს ზედა, რევაზ ერისთვის ასულსა ზედა. არამედ მუნ მოუვლეს ჭარელთა ცხენითა ყინული, შეიპყრნა და სტანჯნა იგინი, აღკიდა კვალად ტჳრთად და მოალებინა კვალად მესინდისეთა ტჳრთითავე ყინული: ხოლო წელსა ქს. 194
ჩქოდ, ქრ. ტჲბ, მოვიდა ყეენისა-გან მოწოდებული რუსეთიდამ კვალად ერეკლე თუშეთს წარსლვად წინაშე ყეენისა (რამეთუ მოჰკუდა შაბაზ რა, მიხაილისა განუზრახა შაჰ-სულეიმანს მტერობითა ვახტანგ და არჩილ მეფისათა მეტოქად მოყვანა ერეკლესი, რათა დაამდაბლოს განძლიერებული ვახტანგ), თუშეთიდამ მოიწვია არჩილ და ისტუმრა სიყვარულითა დიდითა ერეკლე, ანადიმა, ანადირა მრავალ-დღე, მერმე უძღუნა და წარატანა კახნი და წარავლინა ისპაჰანს: ხოლო კახნი იყვნენ ამ ჟამებითა შვებასა, განცხრომასა შინა. კვალად მოიხსენეს ხვანჯი და ხრიკი. ეტყოდნენ არჩილს იმერეთის დაპყრობასა, ვითარცა ეპყრა პირველ. „რამეთუ სახელი არს დიდი შენდა, იყოს არ ქრისტიანედ და მისცეს მოყვარესა სამკჳდრო თჳსი, რამეთუ რა სცნობს ყეენი დატევებასა შენ-გან კახეთისასა, მასვე ჟამსა მისცემს ერეკლეს და გამოუტევებს კახეთს:“ ხოლო არჩილ იყო

მოძულე მაჰმადიანთა და მაჰმადიანობისა-მან სასიკვდილო განაწესნა ესე და მოკვდა თავისა ქს. ჩქოგ, ქრ. ცჲგ უცნობელად მამისა თვისისა: შემდგომად მისისამ წარვიდა ახალ-ციხეს, ამე-ლის მამა არა ყოფილ ამისად. არამედ არა უსმინა: ხოლო შემდგომად არღუნის წარსვლისა მოარჩილებდენ ხანსა მაჰმადიანის მეფესა: არამედ ესენი ეტყოდა დაცემულებისა ქრისტესის ეკლესიის და წარმოებულობათა გასცემის. გარნა მან არა დაუტევა ქრისტე. მერმე წარვიდა ნოღადაი-შვილი რუ-ზან წინაშე ყეენისა, იქმნა მაჰმადიან, ამან მოიყვანეს გასცემით და განაცემულ. არამედ ვინაიდგან არღუნ იყო ქართველთა მფლობელ და კვალად იყო ქართველ, განაწესნა ყეენისა, რათა არა მიერ-თოს არღუნისა ხანი. ამისათვის წარმოავლინეს ბეყან-ხან, მოკვდა რა დასვეს ყარაღაჯს ქს. ჩქოე: ქრ. ცჲე:

## ბეყან-ხან, გ წელი იყო:

მიერითვე ყოფილი ხანი. ამან ჰქმნა სასახლე სპარსთა რიგისა ყარადაღს და უბრძანა გან-თავა მისი სახელით გზანი: ხოლო ყოვლითა ამით მოშიშებულ იყო ხანი და მიაყრობდნენ მთავარნი და არა ნებისაებრ მისისა მსახურებდნენ ხანისა: იხილა ხომაზე ესე ხანის ხან-მან, იქმნა მოწამლე-ვით და რომელთამე ცხადად სიკვდილი. ამისათვის გახდა იქმნა კრძალვა და ერთხელობა: ხოლო კიორგი მეფე-მან არა მიებრძოლ-მან ამისა-მან შემოსვლის გაცი ხანისა, ჰკრეს თოფი და მოსცეს მხარი. არამედ დაეხსნა სიკვდილისა: მერმე წარმოუყვლდის კიორგი მეფე-მან დასტაქარი. მაშინ ხანი იტყოდა: „უმჯობეს იყო არცა სიკვდილი და არცა ცხოვრება:“ ამისათვის განსაკუთრებ-ულ-მან ხან-მან მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს გასცემის კერძება და ტყვევნა, არა-თუ დამქრით. არამედ აგაზნაკობით: კვალად აღაზნევგნა უმეცნი ქურდნი და ელიავადარი დასხმულნი ხანთაგანვე, რამეთუ იყუცა მოჰკლავს ხანი ლეკის ანუ თათართა შეიპყრობდა ხანი ანუ მოაკვე-დინებდა, ანუ მიაცემინის სისხლი, მეტყოდა: „რამეთუ არა ჯერ არს გაყრთაგან მუსულმნის სიკვდილი და თუცა მოჰკლავს თათართა გასი არა რაი აქვნის, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს და იყო ამით ჭირი დიდი. გარნა გახსნა უდებნი მაგრად და სპეკდენ სადა ვის მოაკვდინებს, ამ ყამებთავე თარხნებს გასცემს ნოღადაი-შვილი რუზან, მიუყრავი ქისიკის ამედ, მიუყრავი ელჩისგნის მერაბ და სხვანიცა და განაგებოდა ხანისა-გან გახუით ამათით: კვალად მოკვდის იგი ეშისგოშოსი, ამა-თითვე და ეშისგოშოსთა-გან აღიშვივნი მისცეს ხანმან ეშისგოშოსობა და წარუყვლდიან ქართველ კათალიკოზისა მცხეთას და მან აკურთხის და გამოუტევის. ხოლო შემდგომად ყუდრებითა გახთა-თა და ნებითა ხანისათა წარმოავლინის ყეენ-მან სხვა ხანი და იგი წარიყვანეს, ესე მოკვდა და დასვეს ყარაღაჯს ქს. ჩქ...ვ, ქრ. ცოა:

## ხასი, ე წელი იყო:

ამამან ესეცა გდიდა გვალთა წინაშეთა ხანისათა. შემდგომად ეზრახა გიორგი მეფე სამთა აზათ წარჩინებულთა ქს. ჩჳპთ, ქრ. ჩოჲგ, რათა ჭკუანი ერთგულობისთვის მისათვის, მოაჭკლან ხასი და იაგარ-ჭკუანი სიმდიდრე მისი: ხოლო გახთა ამის-თჳს მისცეს შარი მტკიცე, მტკიცებულთა, რამეთუ რაჲსამე ჭკუა ესე, წამსავე წარმოავლენს ერეკლეს ყეენი. ამამან გასცნდა რა გიორგი მეფესა თამაზ სპასპეტი, გერდაურა მეფეთაცვალთა დაიღუპა ესე: ამისგან მეცნობელობისგან ხანისგან იწყო უფროსის მტერობა გახთა. ამამან ესმა გვალად ყეენსა გერ თავს-ლება გახთაგან ხანისა. ამის-თჳს მისცა გახეთი განგებისა ბეგლარბეგს აბაზ-ყული-ხანს და მოვიდა ესეცა ყარალაჲს ქს. ჩჳპთ, ქრ. ჩოჲგ:

## აბაზ-ყული-ხან, ვ წელი იყო:

ხოლო ესე აბაზ-ყული-ხან იყო ფრიად მდიდარი, რამეთუ განსცა ამანვე ეზრა და ნიჭნიდა გახთა მრავალთა და მეგობრობდის გიორგი მეფე და აბაზ-ყული-ხან. გარნა ეზრა ერწუ-თავნი არაგვის ერისთავისა: ამისა შემდგომად მოვიდა ერეკლე მეფედ ქართლისად და ამას სცნობდა ხანისათა მოუვლენს რომელნიმე გახნი ეზრახნა მისა, გინაჲ-გან მეტა ყეენს თუმნი და ქისიყეელსი ტალად ერეკლესათჳს და გახეთი სრულიად ეზრა აბაზ-ყული-ხანსა. გარნა ყოვენდა განდიდება-დამცირებასა აბაზ-ყული-ხან ერეკლე მეფესა გახთასა და გიუთნიძეცა იუზნი წინაშე მისსა და შეიძლებოდა გახეთი ქართლიდამ. ამამან ღუძი გვალადცა ეგრეთუმაგენ მათადის და სადაცა შეჩნდის გახნი მოახწყვეტდეს: შემდგომად ეზრახა მეფე გიორგი გორიდამ გახთა, რათა ჭკუანი აწინდგე მეფეთა ამის-თჳს გახთაცა მისცეს შარი მტკიცე და მოუვიდნენ ქართველნი ნისია-წმიდას დაშურობად გახეთისად. ამამან ღუმის მოუწოდებან აიცნის რა იგინი, მის-თჳს განვიდა იგი აბაზ-ყული-ხანისა და ჭკუა თავ-გახთა: ამის-თჳს გასცემდა სახლეულით თვისით სოღანყანშილი სახლთ-ხუცესი რუსამ და რომელნიმე მიმდგომნი მისნი გიორგი მეფისა-თანა. ამისა შემდგომად ეზრახა ერეკლე მეფე ბრძანებითა ყეენისათა აბაზ-ყული-ხანსა და მოვიდა ერეკლეცა ყარალაჲს და დაასხდნეს წარიმა ერწუ-თავნითა, და ამ შორსა სცნა ერეკლე მეფე წარვიდა გვალად ტფილისს: ხოლო აბაზ-ყული-ხან წარავლინა გახნი და დაიპყრეს ერწუ-თავნითა და იქმნა რა იგი აღესრულო: შემდგომად მოვიდა აბაზ-ყული-ხან გახთა და განგებისა სპითა მეშველად ერეკლე მეფისა-თანა ჯვარის ბრძოლად გიორგი მეფისა. ამამან ყურა ცნობისა შემდგომად გიორგი მეფისა მოვიდნენ ერეკლე და აბაზ-ყული-ხან ტფილისს: ხოლო მოამეწყდარიცა მახ-სუელეთს და დაჯდა მაჭ-სუელ

195 თან ივნის ქს. ჩჳნბ ქრ. ტმ. ამას შეასმინა ერეკლე მეფემან აბაზ-ყული-ხან. „რამეთუ მეგობრობს გიორგი მეფესა და ამაგრებს და არცა ნებავს ბრძოლა მისი:" მსმენელი განრისხნა ჴანი და უბრძანა ერეკლე მეფესა პატიმარ-ყოფა აბაზ-ყული-ხანისა, წართმა ქონებათა და წარგზავნა წინაშე მისსა: ხოლო ერეკლე მეფემან აღასრულა ბრძანებული. არამედ კახეთი დაშთა უპატრონოდ და ვიეთნიმე იყვნენ წინაშე ერეკლე მეფისა, ვიეთნიმე წინაშე გიორგი მეფისა და ვიეთნიმე თვისად. განა ცუდრობს მორჩილებასა შინა იყვნენ ერეკლე მეფისასა: ამ ჟამებთა წარვიდნენ იაუშნი და რომელნიმე კახნი წინაშე ერეკლე მეფისა და მოსწრნეს ჭაპალას სპათა გიორგი მეფისათა: ესენი კვალად აცნობა ერეკლე მეფემან ჴანსა: ხოლო მან წარმოავლინა ქალბალი-ხან სარდრად და მისცა განჯის ბეგლარბეგობა და კახეთი და მოვიდა რა იგი ყაზახსა შინა ქს. ჩჳნე, ქრ. ტმგ.

## ქალბალი-ხან, ტ წელი იყო:

მერე მიეგებნეს სრულიად კახნი შეკრებულნი სპითა, მან პატივით შეიწყნარნა და წარიყვანა სრულიად სპითა გიორგი მეფისა ზედა და იქმნა რა იგი აღვსწყრით: ხოლო შემდგომად კლდეკრისაგან გიორგი მეფის წარსლვისა ჩამოვიდნენ ტფილისს ერეკლე მეფე და ქალბალი-ხან. მაშინ ევედრნენ კახნი, რათა ნება სცეს ჭარელთა ზედა და შემუსრონ იგინი, ვინაჲ-გან იგინი უმეტესად მძლავრობდნენ ელისენ გაღმა-მხარსა და იყვნენ მესაზღვრე ეტიკნი დაღისტნელთა და იყო ამათ მიერ ტყვევნა, ოხრება და კლვანი კაცთა, მხირობით, აგასაკობით და პარვით, შემდგომად არჩილ მეფისა ვიდრე აქამომდე. არამედ არა აუფლებდა ქალბალი-ხან აწ ყოფად ამისად, კვალად ერეკლე მეფეცა ეტყოდა: „გვაცადე, ვიდრე გიორგი მეფის ზავ-ყოფამდე და მერმე მოვიდე შენცა და უფრო, ვითარცა გნებავსო:" არამედ კახთა არა ინებეს, მეტყველთა. „რაჲ გნებავს მათ ზედა მეშველებისა, ჩვენ გვეცით ნება, რამეთუ არს კახეთი მათგან ოხერ:" ამ აღმულებელთა ნება-სცეს და შეიკრიბნენ სრულიად კახნი და მივიდნენ ელისენსა შინა, ევედრნენ ჭარელნი და აღუთქმიდენ მორჩილებასა და ხარკსა, რათა არა მოსწყვიტონ: ესე არა ინებეს კახთა და შეუხდნენ, ვერ წინა-აღუდგნენ ჭარელნი და ამათ მოსწყვიტნეს, მოსტყვევნეს და შემუსრნეს სიმაგრენი მათნი და ნაალაფევნი, დადგნენ ჭარსა შინა, რამეთუ განეზრახათ სამ-დღე მუნიდამ რბევა და და ტყვევნვა მარად-დღე. არამედ ღლეხთა რა იხილეს ლაშქარი დიდი აღიტყვირთნენ და წარმოვიდნენ: აღუძლდათ ესე მოაჯართა ფრიად. გარნა არღა-რა უსმინეს: ამის მხილველთა ჭარელთა უწყეს თვითოეულ-მან ცემა თოფთა, მოკლეს დუშა და მრავალნი წარჩინებულნი და იგლტოდნენ კახნი და მოსწყვეტდნენ ლეკნი, მერმე აღიღეს ალაფი თვისი და უმეტესი კახთა და კახნი მოვიდნენ თვის თვისად ქს. ჩჳნე, ქრ. ტმგ: ესმა ესე ქალბალი-ხანს განიხარა, ვინაჲ-გან ენება დამდაბლება კახთა. არამედ ერეკლე მეფე დამძიმდა ფრიად და ამისა შემდგომად იწყეს უმეტესი კირთება,

ტყვევნა და რბევა კახეთისა ლეკთა: ხოლო შთასვლასა ქალბალი-ხანისასა განჯას მარადის იყოფო-დნენ წარჩინებულნი კახნი მის წინაშე და ევედრებოდნენცა შეწევნასა ლეკთა ზედა. არამედ იგი უზ-რუნველ იყო, რამეთუ აძლევდენ მას ხარკსა და მორჩილებდენ და კახთა ეტყოდა ტკბილად და ნიჭვიდა მრავალთა. გარნა კვალად კახნი მხნედ უდგნენ მარადის ლეკთა და მოსრულთა მძლე-ექ-მნებოდიან და მოსრვიდიან, გინად-გან ამ ჟამებთა აღივსებოდი ქართლიდამ კაცითა კახეთი და აღშენდებოდა მრავალნი უშენნი დაბნებნი და აგარაკებნი. გარნა ჟამთა ხანსა ამათ შემოიხდა უმეტეს პირველისა ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა და დაუტევებდნენ ქართულთა, იწყეს გადლუღობა, გან-ცხრომა, მათ-ებრ სმა-ჭამა, სიბილწე, ტყვის-ყიდვა, მრუშება, ვიდრე სოდომიადმდე, რამეთუ პა-ტივისა-თჳს და რო-ქთა-თჳს იქმნებოდიან მაჰმადიან და მიიღებდიან ყეენისაგან რომჩიგსა; განა თუ მარადის ბრძოლა ხდომათა შინა იყვნენ. არამედ ჟამიცა აქუნდათ განსვენებისა ხანებისა-გამო ქცეულებისა-თჳს ეგრეთისა; შემდგომად ამისა ქს. ჩღგ, ქრ. ტყა, მისცა ყეენ-მან ერეკლე მე-ფესა კახეთი და ყულარაღასობა თვისი და მოვიდა ტფილისიდამ მარტყოფს, მოიყვანა დედოფალი თვისი ანნა, რამეთუ ესე ანნა იყო ოდეს ერეკლე მეფობდა ისპაჰანს, მოითხოვა კახეთიდამ ქალი და არა-ვინ წარჩინებულთაგანი-მან ინება წარგზავნება, რამეთუ ჰგონებდენ ხარჭად. არამედ რომე-ლი ვაზნელი აღავერდელი მისგან იყო სოლაღას-შვილი და მან წარუგზავნა ასული თვისი ანნა; ხოლო ერეკლემ ჰშვა მის-გან ძე დავით და ასული ელენე და შემდგომად რა განუტევა ფოცხვა ისპაანს უმიდო-მან წარმოსლვისა-მან იქორწინა მუნ მის-თანა და წარმოავლინეს რა ქართლს ერეკლე ესე ანნა დაუტევა მუნვე ძით და ასულით გამაჰმადიანებულსი ყოველნი ერეკლეს-თანა და დავითს უწოდეს იმან-ყული და ელენეს ბანუ-ჯანუმ; ხოლო იმანყული და მაჰმად-ყული იყვნენ საჭურისთა-თანა ყეენისათა და მუნ იზრდებოდნენ. შემდგომად ანნა და ასული ელენე წარმო-უგზავნეს ქართლს და უშვა ერეკლეს ტფილისს ანნაჲ ძე თეიმურაზ: ესენი დაუტევა კახეთს და მივიდა ტფილისვე და შემდგ ისპაანს მისრული კეთილად შეიწყნარა ყეენ-მან. შემდგომად ევედრა ერეკლე მეფე ყეენსა, რათა მისცეს ძესა მისსა დავითს კახეთი და განუტეოს, რამეთუ ჰსცნა თვისი არღა-რა გამოტევება; ისმინა ყეენ-მან და მისცა დავითს იმანყულიხანს კახეთი და წარმოგზავნა ნიჭითა დიდითა წელსა ქს. ჩღგ, ქრ. ტყა, თათრულს ჩრივ;

## იდ მეფე დავით გ; ით წელი ჰმეფა:

მოვიდა დავით იმანყულიხან წლისა გე, დაჯდა ყარალაჯს მეფედ და დაიპყრა სრულიად კა-ხეთი. არამედ იყო ესე დავით პირ-შვენიერ-ჰაეროვანი, ტან-მცირე, არა ძლიერი და მიქცეული სრულიად წესსა ზედა და ჰსჯულსა მაჰმადისასა, რამეთუ არა რაი სწამდა ქრისტეანეთა, უმეცარი ზნეთა და სამხედროთა საქართველოსათა. არამედ წიგნი და ენანი უწყოდა ორნივე წარჩინებულად

ამან დაამშვიდა ჯარი და აღუთქუა მოცემა ხარკთა. გარნა იწყო ზნეთა ქართლისათა სწავლა, რამეთუ მოლობა ასმარეკი და მას შინა ასმარეხობდა უხილავობისათჳს კაცთა და სადიდებდა გახთაოასა. არამედ თჳთ არა სმიდა ღვინოსა მაჭმადიანობისათჳს, რამეთუ იყო, ვითარცა სჯულ-ლისათჳს მათი. გარნა ხესიცა იყო მისთჳსა, რომელ აწყინებდა და ცოლიც ესუა შამხლის გვა-რისა ისმაასის მამა-პაპით აღზრდილი ტომითაც მაჭმადიანი: ხოლო ამას აზრახეს, რათა მოვლოს სასხლვარი თჳსი და მიიღოს მიხმულნი კახეთისა: სთხოვა ესე კახთაგან და მოვლო ერწო-თია-ნეთი და მივიდა ჟვარს, მუნიდამ განვიდა და იხილა მცხეთა. ხოლო მცხეთას მოვიდა ვახტანგ განმგებელი ქართლისა და დარბაზობდეს ურთიერთს: ზავ-ჰყვეს ამათ სიყვარულსა ზედა, მერმე
196 წარმოვიდა ჟვარიდამ და მოვიდა მარტყოფს, მუნიდამ ყარაღაჯს: ამ ჟამთა მოვიდა ამერელი ლეკისაგან, რომელნი შთამოსრულ-იყვნენ კახეთს ქართველნი, რათა მოაქციონ ქართლსავე. შე-უძნდათ ესე კახთა და ავედრნეს ლეკნი: არამედ არა უსმინათ და წარმოავლინეს უმეტესი მძლე-მან აჭარისა სრულიად წამოსრულნი ქართლისა აზნაურნი და გლეხნი, თჳნიერ რომელთა დაი-ხსნეს თავნი ანუ მოიყიდეს თუ კახთა და მისცეს ქართველთავე:

არამედ ვინადგან ლეკნი დაუცხრომელად მტერობდნენ და უმეტეს ჭარელნი, განიზრახეს იმამ-ყული-ხანის კახთ, რათა შემუსროს ჭარი და დააცხროს ჭირი ესე კახეთისა, მერმე დაიპყრას სასხლვარი კახეთისა: მან უსმინა და შემოიკრიბნა სრულიად სპანი კახეთისანი თუშ-ფშავ-ხევსუ-რითა განვიდა და დადგა ყარღიანსა ქს. ჩლგ, ქრ. ტჟდ, რათა მუნიდამ ბრძოს ჭარელნი: მოერ-თჳნეს მუნ ჭარელნი და ევედრნეს მოუწყალებლობასა და მისცეს ხარკნი ნეშტნიცა და დამორ-ჩილდნენ, ვითარცა ნებავს: ესე ინება იმამ-ყული-ხან მათთა მაჭმადიან ყოფისათჳს. არამედ არა აუვლეს კახთა, ვინადგან აქუნდათ შური დიდი. მერმე შეუხდნენ ჭარდახს, მოსწყვიტნეს იგინი და გარემოსი დაბნები მოსწვეს ცეცხლითა და მოსტყუენნეს ვიდრე კაკასამდე და ვერ-ვინ წინა-აღუდგათ: არამედ ჭარელთა სამოცოდეს კაცთა იხილეს მწვე მტირედითა სპითა, რომელსა უცემ-დეს ქოს-დაბდა-ბუკთა, მოეპარნეს და უწყალ ცემა თოფთა. მსინჯველთა თუ რაი ჭკონ, რამეთუ არა ვითარ ჰგონებდენ ლტოლვასა. არამედ ვინადგან გამოუცდელ იყო იმამ-ყული-ხან, არა იპყრა თჳსთათჳსა სპანი რჩეულნი. გარნა უგვანნი და ამა ჟამსა ვერა რაისა მეომრულთა შექმნეს შფოთება და მათ უმეტეს უწყეს ცემა-თოფთა. ხოლო ამათ იწყეს ლტოლვა: განრისხნა დავით და მცდელობდა ბრძოლასა. არამედ რა იხილეს თუშთა ლტოლვანი, გამოიტაცეს დავით და მოი-ყვანეს ყარაღაჯს: ამისნი მხლებელნი იბრძოდენ კაცნი. მაშინ შემოერტყნენ ლეკნი და სრვიდენ უწყალოდ, მოკლნეს მრავალნი წარჩინებულნი და უმრავლესნი გლეხნი და სხვანი ტყუე-ყვნეს, აღიღეს სიმდიდრე იმამ-ყული-ხანისა და აღალი კახთა მრავალი და ამის მიერ განძლიერდნენ და ჰქმნეს სიმაგრე ჭარელთა. შემდგომად გამოვიდნენ და დაიპყრნეს გარემონი თჳსნი და იწყეს უმეტესი კირთება, რბევა, ტყუევნა, ოხრება და კლვანი გაღმა-მხართა და კახეთს განუსვენებელად. ხოლო იმამ-ყული-ხან, სრულიად განხიურთ მწუხარე-მან აუწყა ყეენსა და მან წარმოუვლინა

ნიჭნი ნუგეშინის-ცემისა. არამედ ლეკნი თუცა მძლავრობდნენ, გარნა კახნიცა, სადა ვით მიახვდიან ხოცდენ და მოსწყვეტდენ, რამეთუ არა პალ-ედვათ მისდარით დამართება კახთა ლეკსა: შემდგომად მოვიდა ყარაღაჯს კათალიკოზი დომენტი, რამეთუ მიეცა ყეენსა მცხეთის შეწირულობა, რა იგი არს კახეთსა შინა. ამტკიცით მიიღო იმამ-ყული-ხან და მისცა ყოველი ნებასა მისსა და განუტევა: არამედ ლეკთა ოდესმე საზავ-ჰყვიან და ოდესმე იწყიან მტერობა. გარნა შემდგომად დაიმორჩილეს ელისუი და იწყეს დაშქრობა და მოაოხრეს მრავალნი დაბნებნი, ესრეთ რამეთუ დაუტევა იმამ-ყული-ხან ყარაღაჯი და ჰყო სასახლე თვისი თელავს და მანავს და იყოფოდა ზამთარს მუნ და ზაფხულს მალარის. არამედ ნიჭვიდა ყეენი და უბოძებდა ესეცა ტყვეთა კახთა წარმოსხმულთა მათა და ასულთა და ითხოვდა შეწყენასა (არა თუ ამას დასდვა ტყვენი. არამედ იყო გორგულისა-გან და ლეკანისა-გან და უმეტეს ქისტებოდა): ხოლო იმამ-ყული-ხანს ჰყვს აბანო ტფილისისა, არლა-რა რაი გამოიგონა და მივიდა უცნობელად ვახტანგისა. აგრეთვე ვახტანგ და წარმოუძღვა კოჯორიდამ, უთხრეს ესე იმამ-ყული-ხანს და წარმოვიდა მისწრაფულად და გარდახდა რა მოეგებნენ მოციქულნიცა ვახტანგისა და ამანცა წარუძღვნის ბოდიშით. არამედ თუმცა მოსწყენდნენ მისცემდნენ საბოძვარს დიდსა: შემდგომად მოკვდა მეფე ერეკლე ქს. ჩღთ, ქრ. ტკჱ ისპაჰანს:

ხოლო შემდგომად გლოვისა აღირსნა იმამ-ყული-ხან წარსლვა წინაშე ყეენისა არა მოიცეს ძალი არცა ეგოს მუნ, რამეთუ უმჯობეს ჰქონდა მუნ ყოფნა. ამისთვის ავედრა ყეენსა, რათა მიუწოდოს: უსმინა ყეენმან და მიუწოდა მესტუმრით. ხოლო წარსრული იწყო ვახტანგ ტფილისს ქს. ჩღია, ქრ. ტყი. ამტკიცით ასადიშებდა და განუსვენებდა, იმამ-ყულს და მოსცა ვახტანგ ასული თვისი თამარ ცოლად თეიმურაზს ძესა დავითისასა (არამედ თეიმურაზსს განატევებინეს ასული ბაინდურ ერისთვისა სათნო-ჩუენით სამღუდელოთაით და ჰყვეს ესრეთ): მერმე სიყვარული ერთობის-ყოფისა, მოსცა ვახტანგ საჭურჭლე და წარვიდა იმამ-ყული-ხან ისპაჰანს. არამედ თეიმურაზ დაუტევა კახეთს განმგედ. გარნა იყო დედოფალი დედა მათი ანნა მოქმედი: ამ ჟამთა იწყეს ელეხთა მძლავრობისათვის ლეკთა ლტოლვად და მისლვად ლეკთა-თანა, რამეთუ იგლიან რაიმე შეპატიოსნებით თვისთა-გან და მუნ მისრულნი ეტყოდნენ და ლეკითურთ დაბნებთა, არგი-მოიწყვლია, გასცნი მოსრვიან, ტყვენი და საქონელნი წარიყვანიან: ხოლო კახნი ეწყოდენ მდევრობით, ხან მათ სძლიან და ოდესმე ამათ და იყო მარადღღეობანი ესე ვითარი ხდომა. გარნა დაშავდიანცა და გვალად იწყიან უმეტესი ხდომანი: ამ ჟამთა წელსა ქს. ჩღიბ, ქრ. უ წარვიდა თეიმურაზ ტფილისს დიდებით, რამეთუ წარსლვად იყო ვახტანგ ისპაჰანს, იქორწინა და დიდითა დიდებითა და ზეიმით მოიყვანა თამარ მანავს და ქმნა გვალად ქორწილი ერეკლესი: შემდგომად იწყეს, ვითარცა წესი არს კახთა გვრდობა ერთმანერთისა და მტერობა ურთიერთთა და არა განიხილვიდენ რისხვასა. არამედ თვითცა ამასვე ჰყოფდენ, რამეთუ განძლიერდენ ლეკნი ქურდობა-ავაზაკობით და აწ უმეტეს იწყეს დაშქრით სლვა თვით კახთაგანვე, ვითარცა ჰყო ქიზიყის მოურავმან რევაზ, რამეთუ დაასხა ელისუით მოურავს მერაბს სპანი ლეკთა. ხოლო მერაბ ივლტოდა

სახლის ერდოდამ და წარილის ლეკთა ალაგი მისი: არამედ შემუსრა უკუ რეგვს ეგრეთვე: ამით
გაგულდოვნდნეს ლეკნი და ათასრეხდნეს ქვეყანათა. გარნა თუცა დასავლითს გვალადტა იწყიას და-
შქრობა და აღსუბეხდიას განსი უქმრობასა. არამედ იგინი მოუთხრობდეს ქიდილოთა ჭქვას, ქა-
არს ერმათა ჭქვას და უკეთუ განსი მიდე-ქმნებოდიან მოჭყვნიან იგინი, ქსენი წაურთმევდეს ნა-
ტყვენავსა და მისცემდიან: ამით მოუმღურდეს განსი და განძლიერდნეს ლეკნი: გვალად იყო ტფილ-
ისმისამიგილი, ქსე აგამსკრობდა ლეკთა შისა და აგსებდა მათ. ამან მოიყვანა ნატყვენავი, განწყრა
შაატა შანდატურთუხუცესი და დაადგინა კატი, რათა მისცეს სრულიად: ხოლო იგი აგზდრა მტი-
რედ დატაღებისა, რამეთუ ქმნა ტოდის მისისა და მოგუჯდებოდა. არამედ არა ინება შაატამ მტერო-
ბითა. ამისთვის განგულისმწყებული განყიდა ტფილა შარისა შისა და იწყო მან თაობა ლეკთა და
გირთუხა დაშქრობითი კაკეთს, ვინადგან უწყოდა ადგილნი და სიმაგრენი და მისავალ-წამოსავალნი:
197 გარნა ეტიგიბითა მისითა მრავალ-გზის სისხლს შარელთა. შემდგე გვალად მოუხდა ტფილა და წარუ-
დგა ამას შაატა მოთავეგდ კახთა, იხილა ტფილამ, იდლტოდა და მზირ-უყო სიმაგრეთა ტყვეთასა და
რა მოვიდა სიმხრეველსა შაატა შიერტამა ტფილა თოიკის ეუმითა, იდლტოდნენ განსი და ნამოგარდნილი
შაატა მოჭკლა ტფილამ ოვისათა წინდითა. ხოლო სხვანი მოსრნა და წარუდა ალგაიგითა: არამედ
იყმნეს დედოფალი და თუიმურაზ თელავს, მასაყს და მადარას შემუსვრენი და თითხდა ალა-
ვერდელი სიგილდოს, რომელი უწნდათ დიდ-სათისად, რამეთუ იყო ფრიად ხუანჯიანი: ხოლო
ამას-უკუდოიან იყო ისმაას წელსა ხუისა წინაშე შასულთან უსეიისა ყურაგრასა მეოფველი,
თვინიერ ატიდებდეს ყასტასვა, რათა იქმნეს მაჭმადიან: შემდგომად ქს. ჩლიჟ. ქრ. უგ წარმი-
ადლისეს კახეთსვე და მოსრული ყასასისა შისა ისტუმრა იესე ტფილისს, ასადიმებდა, ასადიდებ-
და და განუსვენა, იმიხიოსენ და მისცა კეთე დაპ. თვისა ტოლად იესეს ბრძანებითა ყეენისათა,
შემდგომად მოსცა სარდარი და წარმოსრული მოვიდა თელავს: მაშინ მისცა ქისიყის მოურავობა
და კახთა სპათა თაობა ყასის ბეშიროს: ამან დაარბია ლეკნი მტერე უმს, შემდგე მაწავს მეოფის
იმან-ყულისათვის წარმოეგლინა იესეს მჩინშსენი, შანდატურთუხუცესი ზურაბ, ავალიშვილი სამსა
და რევაზ ყაფლანიშვილი: მაშინ გამოვიდნეს ჭარელნი რბევად. ქსე ქისა გახთა, წარვიდნენ და
წარჭყვნეს მენიშნენითა, მისრულთა ათტნეს ლეკნი და მოჭყვნეს წყაგტონ განსი. არამედ ატნეს
ლეკთა ერთ-გვარნი და მოასწყვიტნეს, მოიდებდნენ სხვანი განსიტა იდლტოდეს, მოჭყვნენ ლეკნი;
მოჭკლეს ელისენიოიმოურავი შერაბ, სამსა და რევაზ და ოტდა-ოთხნი სხვანი წარჩინებულნი
განსი და გლეხნი მრავალნი, აღიღეს ალაფი და წარვიდნეს: ამისთვის განსნი შეჭმარყებულნი
განიზრახვიდეს თუ რაი ქმონ, ვინადგან არა-ვინ შეეწიოდეს, განიგულეს ხრიგი განიზრახვითა
ალაყრიდეღისათა და დაასკუნეს, რათა მისცეს ატიგი ლეკთა და უწყონ ხლომა და ოხრება ქართლს,
ყაზახს, შამშადილს და ყარაბაღს და შირვანს, რამეთუ მორჩებოდა ამით ქვეყანა ნგუნი ოხრებისაგ-
ან და მათ ქვეყანათა მრავლისად უწყოს მტერობა ჭარელთა: ამავ წელს მოვიდა იესე ნარატ-
ულს, ჭქონა ქორწილი ქრისტიანეთ-უფლისწულისა, წარიყვანა ელენე დიდებითა და წარვიდა ტფი-

ლისა: შემდგომად მოკუდავრისა ხუნანისა ჭარელთაგან ითხოვა იმამ-ყულიხან შეწევნა ოსმალთაგან და მან წარმოუვლინა სპასპეტი ლუარსაბ სპითა საბარათაშვილოთა: მოვიდნენ და დასხდნენ ალავერდს, კახთა სპითურთ შეკრბნენ ჭერემს; მაშინ გამოვიდნენ ჭარელნი მოსრბევად. მცირედნი ქართველნი და კახნი აღიშფოთნენ და წარვიდნენ მათ ზედა. არამედ ლეკთა მხარი უყვნეს და კახნი არღარა დაემორჩილნენ ბრძოლასა. გარნა ვიეთნიმე ჭაბუკთა ქართველთა და კახთა შეუტევეს და ვითარ ვერღარა მოაქცივნეს მიჰყვნენ ლეკნიცა, რათა განეშორებინათ ზურგით: ამისნი მხილველნი ლეკნი მცირენი მოექცნენ მეწინავეთა და აოტნეს იგინი. ესრეთ კახნი ლეკთა მათ რაზმთა, ვერღარა დაუდგნენ და ივლტოდნენ სრულიად, მიჰყვნენ ქისიყის ბოლომდე და მოსრნიდნენ უწყალოდ. მერმე აღიღეს ალავერდი დიდი და წარვიდნენ. ხოლო ქართველნი მწუხარენი მოვიდნენ ტფილისს: შემდგომად კვალად წარმოავლინა იესემ ასლანხორა ავთანდილ ზემო ქართლის სპით. კახნი მოვიდნენ და დასხდნენ საგარეჯოს რამდენიმე ითუმე, მერმე წარვიდნენ უქმნი. არამედ კახეთი იყო მარადის ზღვათ-ბრძოლასა შინა; ხოლო წელსა ქს. ჩლთ, ქრ. უდ მოკვდა გაზაფხულს დედოფალი ანნა. მოვიდნენ იესე და ლეკნი მოტირლად მეჭურჭლეთუხუცესს და დაუწყეს ასის აღაყურძლის: ამავ ქორონიკონსა მოვიდა იესე ხონსად ოლლოურს. ესე ისტუმრობს მაჭავიანი და წარავლინა კაცი და ამცნო ლეკთა, რათა შეუწყალოს იესეს წინაშე მისსა და უჯუნ-აჰმადის უძღვნა ლეკნისა ზაქარიასაგან წარმოვლინებული, ამისთვის მოვიდა მორიდარი ლეკისა და წარიღებს იესე, რამეთუ ვერღარა სცნობდა უკუ იმამ-ყულიხან და წარჩინდეს ტოლიცა თვისი კლეკნი და წარავლინა იეთიმურაზ ლილეომდე მატოყისათჳს:

ამ ჟამთა მოადგნენ ლეკნი შილდა-ყვარელს. ხოლო განმზადნენ მდაბიურნი და მოსრნეს მრავალნი ლეკნი, შემდგომად შეუტიეს და წარიხვნეს საზღვრანი ლეკთა და გამოსწყვიტეს ზედნი მრავალნი კოშკებთა მისა, მოსტაცებდნენ და წარვიდნენ, არამედ ვერღარა მიუსწრეს კახთა მდევართა. მაშინ დაასტუმრეს განჩხრეკა აღმაყრილებულისა წინა-თემეულნი, მისცეს კახთა ეტლები ჭარელთა, მივიდნენ და მოსწყვიტნეს ბოლონისენი და თვით ზაყ-ჭიბებს მათთასა; კვალად ყარაბაღს, შაქს, შირვანს მარადის არბევდნენ. მერმე წარვიდნენ და მოსტაცებდნენ არდაგდები და მოვიდნენ ალავერდის დიდითა: შემდგომად შეიპყრა ყაისა უხირი იმამ-ყულიხან, წარულო ქისიყა და მატებარ-ჭყლომანქისს. არამედ განიღვიძეს ყაისა და მივიდა ტფილისს, შეიწყნარა ბაქარ, მისცა სასახლე მისი და არღარა მოსცა იმამ-ყულიხანს. ამისთვის იქმნა მათ შორის შური და დაუმრავლდნენ წინაშე ლეკნისა: ხოლო კახთა და ლეკთა ზავთა შორის, ამ ჟამთა წარვიდნენ თუშნი, მოსრნეს რამდენიმე ქიშტელ ლეკნი და მწყემსნი და წარმოიღეს ერგე დიდ-ძალი, ეწყუნეს ჭარელნიცა. არამედ მოსრნეს თუშთავე და აოტნეს იგინიცა და მოვიდნენ შინდობითა: ამისთვის მოვიდნენ ჭარელთა. ვარის შემდგომ ბჟენ შორის, რად ჭიპინ თუშთა ესე" განრისხნა იმამ-ყულიხან და ბრძანა მიეცეს მოსალებისა. ხოლო თუშთა არა ინებეს. კვალად წარვიდა მოურავი მათი და არცა მან უქმნეს, აუჯანყდნენ თვით იმამ-ყულიხანს და მივიდა და უბრძანა ტყვეთათვის, არამედ მათ რა ისმინეს იმამ-

ყულიხანს შეაქციეს ზურგი და დასდევნეს უსაჭურველონი და მსროლელთაცა არღარა იყო იგავრეს
მიხედვად: ამის-თჳს შეიწყალა მეფე-მან და არღა-რა მოსრნა, გარნა წარუხვნა ნატყუევნი და
მისცა ლეკთა არგი-თურით:

შემდგომად მოვიდა მეფე ვახტანგ საფურცლეს ქკ. ჩლთ, ქრ. ჟზ, დეკემბერს, რამეთუ
ემცნო ყეენისა განგება საქმისა ლეკთასა და მივიდა იმამ-ყულიხანსა საგურამოს და დასდგა არაგვის
პირსა ზედა. იხილეს ურთიერთი, განაახლეს სიყვარული და ქმნეს პირი და მისცა საბლი ვა-
ხტანგ და წარვიდეს თვის თვისად: გამოსაუკუნეს წარმოავლინა ერისტავი ყაფლანიშვილი სპითა
საზარაოთასიასათი, მოვიდა და დადგა გარდასიეხს, დაჭყვეს თიუქე ოთხი. გარნა გამოავიდნეს ლეკ-
198 ნიცა და არა აპრძოლეს გახთა. არამედ შემდგომად წარვიდეს ქმნი: კვალად ამავე ზამთარს
წარმოავლინა ყეენ-მან შირვანის ბეგლარ-ბეგი შემუსრვად ჭარისა: ამან მოუმცნო იმამ-ყულიხანს,
ვითარ ვერ არს მისლვა, რათა აუწყოს. არამედ განიზრახვით გაზთაოთ არა რაი აუწყა და არცა
მისცა ჯარი. ,,რამეთუ უმჯობე ყეენს რაი, ჩვენ არა-რაი გვაზრახვის ყეენ-მან:" ხოლო იგი
მოვიდა შაქს სპითა მრავლითა. ლეკთა ჭარისა დაეწყნეს ჭარელნი, მოკლეს ბეგლარ-ბეგი და
მოსწყვიტნეს სპანი მისნი და აღიღეს ალაფი და იავარი ურიცხვნი, რამეთუ აქლემს ჰკიდეს ჭა-
რელნი თითო-თვლადაჩიგენად: ესე ესმა ყეენსა მოუწყრა ვახტანგს, რათა წარვიდეს და შემუსრის ჭარი

მეციხოვნე გახსნი წარვიდნენ, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი და ევედრნეს ვახტანგ მე-
ფესა, რათა ჰყოს ბრძანებული ყეენისა: მან აღუთქვა და წარმოვიდა სპითა დიდითა ქკ. ჩლკა,
ქრ. ჟთ. იანვარს, ამასვე დასეს მოვიდნენ ლეკნი ხაშმს, ყიდრე უჯარამდე, უჯურო-ჭყვეს.
რამეთუ არა აცნობეს ვახტანგს. ესრეთ განიზრახით, რამეთუ უმჯობე ყეენი მოსრას, დაიოხის ჭა-
რი უჩინოდ, მეფისათა უგუნურებად. კვალად განიზრახვით მოაყენეს ორმოცდა ხუთ-ოდნე მდა-
რის, რათა დასახლდნენ და მოიყვანდეს ქცევასა და შემდგომად შევიდნეს ჭარს: ხოლო მა-
დარიდამ მოვიდა ხილვად იმამ-ყულიხანისად ვახტანგ, რამეთუ სნეულებდა დიდი და განი-
ზრახეს რა იგი ვერ იყო. არამედ ეზრახნენ ვახტანგს ჭარელნიცა დამორჩილებად. გარნა ბრძანებითა
ყეენისათა უკუ-იქცა და იქმნა ქცევა დიდი გახთა შინა, რამეთუ აიყრებოდიან და ჰყოფდნენ
ციხე-სიმაგრეთა და გამაგრდებოდიან მათ შინა თელავს, ალავერდს, ლალის-ყურს, შილდა-
ყვარელს, გავაზს, ველისს, საგარეჯოს, ხაშმს და სხვათა ადგილებთა შინა და ოხრდებოდა
ქვეყანა რბევა კირთებითა: ხოლო ამ ყოფისათა შინა მოკუდა მეფე დავით ქკ. ჩლკბ, ქრ. ჟი,
წარიღეს და დაფლეს ყუმხს: მაშინ განიყვნენ კახნი, ზოგთა ინებეს თეიმურაზ და ზოგთა მაჭმად-
ყულიხანი, გარნა მაროვიდა თეიმურაზ საოლთოთ იმამ-ყულიხანის ძოლისათა გახეთს. ხოლო იმამ-
ყულიხანს დაუტევა ორნი ძენი მაჭმად-მირზა და ალი-მირზა და ასული ერთი. ამ ჟამთა მოვიდნენ
ლეკნი და მოსტყვევნეს თიანეთი, ამათ წარმოუძღვა თეიმურაზ კახთუხი და ლეკნი დასდგნენ
სიმაგრესა ერისა და მისრულთა სრვიდნენ მრავალთა, მოკლეს ხარჭაშნელი ფილიპე ჩოლაყაშვილი.
შემდგომად შეუხდნენ კახნი, შემუსრეს სიმაგრე, მოსრნეს და მოსწყვიტნეს ლეკნი, რამეთუ

მცირედნიღა განერნეს. ხოლო კახთა აღიღეს ნატყუევნავი და მოვიდნენ გამარჯვებულნი. არამედ გულადდგა მარადის იყო ესე ვითარი კრითება ლეკთა-გან კახეთს შინა:

## ია, მეფე კონსტანტინე ბ, ვ წელი ჰმეფა:

წელსა ქრ. ჩღკბ, ქრ. უია წარმოავლინა ყეენ-მან მაჰმად-ყულიხან ძე ერეკლე მეფისა, ნაშობი მხევლისა-გან, რომელსა ერქუა კონსტანტინე, მეფედ კახთა: ესე მოვიდა და დასხდა ყარაჯსა შინა, რამეთუ მიეცა ყეენისა ერევანი, შამშადილო და ყაზახი და წარვიდნენ კახნი წინაშე მისსა: ხოლო იყო ესე მაჰმად-ყულიხან ფრიად მაჰმადიანი, ლაღი და ამაყი, მდიდარი და მესისხლე, რამეთუ არა რიდებდა მცირესა ცოდვა კაცთა სიკუდილსა: ამისა შემდგომად მისცა მეფესა ვახტანგს ყეენ-მან სარდრობა ადრიბეჟანისა. ამან წარმოავლინა ყაზახსა შინა ხანი, და ესე არა უტევა მაჰმად-ყულიხან. არამედ აუწყა ვახტანგს: „რამეთუ მოდევნულ ჩემდა არს:" მისცა ნებაჭსტა და მოუწოდა, რათა მისცეს საბანი. ამისათჳს ჭედეს პირი მტკიცე ურთიერთ, რათა შეკრბენ ხუნანს ყაზახისა და სომხითისა-თჳს: ხოლო მოვიდა რა ვახტანგ სპითა ხუნანს წარუმართა მისლვად მაჰმად-ყულიხანსცა, ამას მოუჩხავრს მოეწერა წიგნი იესესა და რომელთამე ქართველთა. რათა არა მივიდეს ვახტანგისა-თანა. „რამეთუ გიდვებით ლალატად სიკუდილსა." ამისა-თჳს უკუიქცა, განვლო მტკვარი, ყარაია დასთოვე და მივიდა საგარეჯოსა, შემდგომად წარავლინა თეიმურაზ გვალდ ხაზინისა-თჳს, თვით ეჩრდა ლეკთა, დაიხსნა ტყვენი და მოიყვანნა რაოდენნიმე და იყვნენ წინაშე მისსა. მერმე მივიდა თეიმურაზცა, რამეთუ ებრალა ვახტანგს ტყვის პირისა და ქმნილ აწცა გვალად ერთობისა პირი: არამედ შემდგომად მოიწინეს გოგოყალულს ლეკთა რაოდენნიმე შებარებულნი ქართველთანი და არცა-ღა წარუგზავნა მაჰმად-ყულიხან საბანი ყაზახთა ვახტანგს: ამისათჳს წარმოავლინა საბანი ვახტანგ მეფე-მან ყაზახსა შინა: ესე ჭირვეს მაჰმად-ყული-ხან და ამანცა წარავლინა კახნი და ბრძოლენ ყაზახს. გვალად მოიყვანა ლეკნი, წარუძღვანა კახნი და მოსტყუეულეს სრულიად ლილოვნები ამისა შემდგომად მოსწყვიტნა ვახტანგ გოგოყალითი და წარიღეს ქონება მაჰმად-ყული-ხანისა ერევნიდამ მოსაქონისა: ესე აღუძრა მაჰმად-ყული-ხანს და მისცა შეწევნა კახთა, მოიყვანნა ლეკნი და წარუძღვანა კახნი, აჰა განვლეს მტკუარი ლამით და დილას დაესხნენ წინ-წყაროს, მოსწყვიტნეს, მოსტყუევნეს და წარმოიღეს ქონება სამეფო, აღიღეს ალაფი დიდი, გამოვლეს ხუნანს მტკვარი და მოვიდნენ: მერმე მოვიდნენ ბაქარ და იესე მტკვარს და არბიელნი საგურამოს. ხოლო მაჰმად-ყული-ხან წარავლინა თეიმურაზ და აქუნდათ ბრძოლა მცირე ხანს. შემდგომად ზავ-ჰყვეს მათ ნებითა მაჰმად-ყულისათა და წარიყვანეს თეიმურაზ და კახნი ქიზიყიპირელნი და მთიულნი ტფილისს, მუნ უმტკიცეს ზავ-ჰყვეს და ვითა აღუთქვეს ვახტანგს არღა-რა ორგულება. არამედ სომხითი სიყვარულისა

„სულა და ერთობასა:" შემდგომ ანადიმნა, ანადირნა, მისცათ ნიჭნი და წარმოავლინნა და მოვიდნენ მაჰმად-ყულიხანისასა-თანა. განიხარა ამანცა შემოკრებისა-თვის და მშვიდობისად. არამედ შემდგომათა ამათ შინა დაშთომილთა ვახტანგ და მაჰმად-ყულიხან წინაშე ყეენისა ურთიერთთა, რამეთუ აღიღეს ისპაანი და იყო შახთამაზ, ამან განმზრახთა ოსმალთა-გან აღირჩია მაჰმად-ყულიხანი და მისცა ქართლი: ამის-თვის შემოიკრიბნა მაჰმად-ყულიხან გახნი, იგი რაც ჰქონდა, რამეთუ ეტყოდა: „ვიცოცხლო-მეფედ და ვჭირისებ იქმოვის ამით შეგონით დიდი. აწ მისცემს, რათა წარმოგზავნის რაჯაბა და ვეცდები ვახტანგს (ვითარცა ჰქონდა მასცა), ამითი იქმნას უმეტესი სიმტკიცე ჩვენ შორის, შემდგ ყოველნი ყეენსა სიტყვად სიმტკიცე ჩვენი:" არამედ გასთა მსმენელთა და უმეტეს აღაშფოთებელთაგან უცხო-ქვეყ კიცხე, ჰკოინებდნენ დამორჩილებასა ქართლისასა და შემდგ ამითი შემოსრულსა ლეკთასა და განთავისუფლებასა მათ-გან, ესმის მაჰმად-ყულიხანსცა და მოვიდა და დასხდა აღდაბარს
199 და იქმნა რა იგი აღწყვრთ. არამედ განეყოთ ოდეს მარადის სლვამა, ტყვეობა-ოხრებასა შინა ლეკთა-განი

ხოლო შემდგომად შემორჩენისა მაჰმად-ყულიხანისასა ოსმალთა-გან ტფილისს გამოიგდე-ტო ციხიდამ, გამოვიდა მცხეთის ხიდი და მოვიდა მარტყოფს, აჭარა შენ სახლეულნი და დედა-წული თვისი და მოვიდა თელავს და ეზრახოდა ლეკთა და ოსმალთა ზავსა. არამედ მოუხდნენ ოსმალნი მარტყოფს ქს. ნდაკ, ქრ. უკა, მოსწყვიტნეს, მოსტყვევნეს, ხატნი და ჯვარნი, შემუსრნეს, მოსწვეს და მოაოხრეს და წარვიდნენ ტფილისს. არამედ გამოჩნდა იყო ლაშქრობა ლეკთა-გან ძლიერი, სლვამანი, სრვანი, ტყვევნანი, ოხრებანი დაუცხრომელნი და ივარნი კახეთსა შინა: ამის-შემდგ ვერღარა შეეძლო მაჰმად-ყულიხან თელავს წარვიდა დედოფლითა და დედა-წულით და წარჩინებულთა თვისითა: ამას მოუვლინნეს ლეკნიცა. არამედ ყინადუ-გან არღარა იყო სხვა ღონე ეზრახა მაჰმად-ყულიხან ჭარელთა შეკავშირებისა და კეთილისა-თვის წინასა: მათ უსმინეს, მოვიდნენ და წარიყვანეს ქისიყს. ხოლო თეიმურაზ და უმეტესნი გახნი დედა-წულით და ქიზიკემოხით შევიდნენ ანანურს (არამედ რომელსა ეტყოდა ნაწილი წყალთა უწოდა ცხენსა ჭალსა აწაყუსა შინა და წარილო ნაწილი იყო და დაიკარგა ქიზიყს დედოფლის ნაწილეობით): ხოლო ლეკნი მოვიდნენ და მოადგნენ ანანურს. მაშინ განამაგრეს კარნი ანანური და ვერა აღიღეს ლეკთა და უკუნ-იქცნენ. გარნა დაშთა თეიმურაზ ანანურს ცოლით და სახლეულით თვისით და გახნი წარვიდნენ წინაშე ვახტანგისა: შემდგომად მცირედისა შეკრბნენ ჭარელნი მოხდეგნ ქისიყსა ზედა: ესე იხილა მაჰმად-ყულიხან არა კეთილად თვისად, იღელტოდა და მივიდა ქისიყს: მაშინ ჭარელნი შემოეყრნენ დედოფალსა და ქისიყბასა მისსა და ვერ მმოკლელნი მაჰმად-ყულიხანისა წარვიდნენ აღაიგოთა თვისად: შემდგ წარმოიყვანა დედოფალიცა მაჰმად-ყულიხან და დასხდა იყლთოს. მუნიდამ ეზრახა ჭარელთა: „სტუმარ-მასპინძლობილი ვიყავ თქვენდა, არა ჯერ იყო ესე თქვენ-გან." ხოლო მათ მასუხ-უგეს, რამეთუ უცნობელად ჩვენდა ჰქმნეს ქიზიყელთა. გარნა ესტუმრებით თვისი:" გარნა მოსცეს რამე ნაადავები და მოუთხრეს: „ჩვენ გვალად ვართ მგობარნი შენნი მტკიცედ:" არამედ იყო მარადის ლაშქრობა ლეკთა-გან და ოხრება კახეთსა შინა:

ხოლო წელსა ქს. ჩღკდ, ქრ. ჴფბ, იანვარს წარავლინა მაჰმად-ყულიხან თეიმურაზ ბაქარისა-თანა, ვინადგან ქიზიყელნი ურთიერთს და შემდგომად მივიდა თვითცა მცხეთას, ჩვენს შორის ერთობა საყვარლისა და წარმოყვანა თელავსვე: ამისთვის წარავლინა სადათ-ხუცესი სანდგერელი მაჰმად-ყულიხან წინაშე ყეენისა და აცნობა ესე და მოითხოვა ნიჭნი საგანძურთა, რათა ზრდიდეს ორნივე ოსმალთა, უკეთუ შეეწიოს: ამისა შემდგომად წარვიდა კახთა და ლეკთა სპითა ყაზახსა შინა. ამისმა მცნობელმა ოსმალთა მოვიდნენ და დაესხნენ სადგომსა მდგომსა, იბრძოლა და მაჰმად-ყულიხან და წარიღეს მისნი ყოველნი ნაშოვნითურთ ოსმალთა: ხოლო მაჰმად-ყულიხან მოვიდა განჯას და განჯელთა არა შეუშვეს ქალაქსა შინა (რამეთუ იყვნენ ძმისწული მაჰმად-ყულიხანისა მაჰმად-მირზა მის-წილ, რამეთუ მიუხვნა რა ერევანი ყეენმან მისცა მის-წილ განჯა), ვინადგან ეშინოდათ განჯელთა ოსმალთა-გან. გარნა უძღვნეს დიდნი გარეჯ-ქალაქისა, შემდგომ წარმოვიდა კახეთს. არამედ აქცნდა შინა ლეკთა-გან და ილტოდა ლაშქ მტკვრის-კიდესა ერთობითა ტურასითა და მივიდა საგარეჯოს: მაშინვე მოადგნენ ლეკნი და ვერღარასა მყოფელი განილტოღამით და მივიდა თელავს და განამაგრა იგი: ხოლო ლეკთა დაიპყრეს კახეთი, მაჰმადიან-ქმნილნი და დაუდგინნეს მოძღვარნი მათნი დაბნებთა, ციხე-სიმაგრეთა შინა: არამედ შემდგომად გასტანა მეფისა წარავლენისა რუსეთს ეზრახნენ ქართველი მაჰმად-ყულიხანს, რათა მივიდეს სპითა კახეთისათა, განაძეხნეს ოსმალნი და იყოს შეწევნ მათდა: ესე არწმუნა მაჰმად-ყულიხან და შემოიკრიბნა კახნი, თუშნი, ფშავნი და ხევსურნი (და თეიმურაზ იყო ასპინძასავე) და წარვიდა და მივიდა მუხრანს, მუნ მოეგებნენ არაგვ-ქსნის ერისთავნი. შემდგომ მივიდა თელთა-წილდას და მუნ მოეგებნენ ზემო-ქართლ საციციანოსანი სრულიად და იქმნა, ვითარცა აღვწერეთ: შემდგომად მესით ლტოლვილი მოვიდა ახალ-გორს და მიიყვანა დედოფალიცა თვისი, რამეთუ ვერღარა მოიყვანდა კახეთს ლეკთა-გამო, ვინადგან ზრთ დაიპყრნეს: ხოლო მივიდა საზღვრელი და მოარიგა რომელიცა მოერიდა ყეენსა იგ ათას-ოსმალისა ლაშქარსა და წარავლა მაჰმად-ყულიხან მუნ მრავალნი, რამეთუ დაუპყრნეს ყოველნი სამზღვარნი ქსნის-ხეველთა: ამისთვის შემდგომად წარმოვიდა, რამეთუ ვერღარა იტვირთა უმეტობა შინშესავალ და მოვიდა ფშავს და წარიყვანა ძმაცა თვისი თეიმურაზ დედა-წულითურთ და იყოფებოდნენ მუნ წელსა ერთსა მრწოდებითა დიდითა: გარნა თუშთა დაიპყრნეს ლეკთა კახეთი. არამედ იქმნენ მფარველნი და მოყვრობილნი მათ-გან კვალადცა. ამისთვის შეკრბნენ ქართველნი და მოიყვანნეს დაღისტნელნიცა და მოადგნენ თელავს სპითა დიდით და ბრძოდნენ კვირა ერთ მისწვრივ თელაველთა და განწირნეს თავნი და გამოვიდნენ განზრახვით ვითა ხუცესისათა, რომელი ეტყოდა ძლევასა ლეკთა ზედა, ეკვეთნენ თელაველნი და მოსრნეს ბევრნი მათნი, აოტნეს და აღიღეს ალაფნი მათნი: ამან შეიპყრნეს კახთა მოსრნეს ყოველნი თვისთა შინა შეპოვნილი ლეკნი და განთავისუფლდნენ და კვალად სიმაგრეთა მყოფნი დაადგინნეს მტკიცედ:

შემდგომ მოუწოდეს მაჰმად-ყულიხანს, წარმოვიდა და დაემორჩილნეს ყოველნი თელავს შეკრბნეს: მაშინ ზავ-ჰყვეს მაჰმად-ყულიხან ლეკთა-თანა, ვინადგან იზიდეს მათგან მეტრობა. კახთა

და ქართლი უპატრონოდ და მდიდრად. ითხოვეს ყოლაუზა მაჭმად-ყული-ხანისაგან, დაუტევეს
კახეთი და ბრძოდენ ქართლსა მარადის: გარნა არცაღა-თუ კახეთი იყო მათ-გან მშვიდობით.
ამის-თჳს ქმნეს ციხე მაღაროს ქისიყელთა და შევიდნენ მას შინა, არამედ ქართლის ნატყუენავის
წილს მოსცემდეს ლეკნი მაჭმად-ყულიხანსს ხუთის-თავს ეტიკობისა-თჳს და უწოდა თავთა მათთა
მეგობრად, ძმად და მეყვისად: ამისა შემდგომად მოუვლინეს ოსმალთა, რათა ულაშქროს მათ,
ერისთავთა ზედა ქართლისათა: არამედ ვინად-გან მტერ-იყო მაჭმადყულიხან შანშესი უპატრო-
ყოფისა-თჳს წინ-თქმულთა. ამის-თვის შემოიკრიბნა სპანი კახთა და წარიყვანნა ნიჯადად ლეკნი
მრავალნი და მივიდა თიანეთს და რა მოადგნენ ოსმალნი დუშეთს და ვერღა-რა დაუდგა რევაზ
200 ერისთავი და წარვიდა მთიულეთს: ხოლო მაჭმად-ყული-ხან შევიდა ანანურს, გამოიღო ზარბაზნები
და წარმოგზავნა თელავს და დასვეს ერისთვად მუნ პაპუა ოსმალთა. მერმე მოვიდნენ განათს,
შემდგომად ლიახვსა ზედა მუგუთის და იქმნაცა, ვითარცა აღვსწერეთ: არამედ უკუ-მოიქცეს რა
მუნიდამ, ინებეს ოსმალთა ღალატით შეპყრობა მაჭმად-ყული-ხანისა და მიუწოდეს გორს: ამისი
მცნობი მაჭ-მად-ყული-ხან წარმოვიდა ღამით და მოვიდა თელავს და იყოფებოდა მუნ ზავითა
ოსმალთა და ლეკთა-თანა: კვალად ამისა შემდგომად წარმოვიდა უსუფ-ფაშა ხილვად სულხავისად,
რამეთუ მოსლვად იყო იგიცა ყარაღაჯს და მიუწოდა მაჭმად-ყული-ხანს უსუფ-ფაშამ, რათა და-
უმტკიცოს ხონთქრისაგანცა კახეთი და მივიდეს მის-თანა და მწეცა ეყოს ლეკთა ზედა: ესე არა
ინება კოსტანტინემ წინა-თქმულთა ღალატობისა-თჳს მისლვა მის-თანა. არამედ ლტოლვა კვალად
ფშავსავე: გარნა დაარწმუნებდა ალავერდელი და თარხანი ლუარსაბ ფიცით, რამეთუ ესენი იყვნეს
შუამავალნი. „და უკეთუ არა მივიდეს მაჭმად-ყული-ხან მოვიდეს მუნით სულხავი და აქათ ოსმალნი
და მოსრან კახეთი და მერმე კლდე-გიგდონ შენცა:“ ამის-თჳს შემოიკრიბნა სპანი და მივიდა
უსუფ-ფაშისა-თანა ბეყანბაღს: მან პატივ-სცა და წარმოავლინა, რათა მზა ჰყოს სპანი და მი-
ვიდეს კვალად. არამედ აღმხედრდებოდა რა განგურიშა მაჭმად-ბეგ მესაჭურჭლე-მან ისაყ-ფაშისა-
მან და მოჰკლეს მაჭმად-ყული-ხან ქს. **ჩღკა** ქრ. ჳიჩ: მერმე მოეტევნეს ოსმალნი კახთა, მო-
სწყვიტნეს და ტყუე-ჰყვნეს მრავალნი, შეიპყრეს ალავერდელიცა და რევაზ ერისთავი, რომელიცა ლტო-
ლვილი მაჭმად-ყულიხანისა-თანა იყო და წარჰგზავნეს თავნი წინაშე უსუფ-ფაშისა, ეგრეთვე მაჭმად-
ყული-ხანის და სხვათაცა მრავალთა და წარუვლინეს ისაყ-ფაშას და მან წარგზავნა წინაშე ხონთქრისა:

ხოლო უსუფ-ფაშა მივიდა სულხავისა-თანა, იხილა იგი და პატივ-სცა, მერმე წარმოა-
ვლინა იგი შიგნით კახეთსა შინა, თვით უკუ-იქცა და მივიდა ტფილისს: ხოლო სულხავი მოვი-
და და მოადგა თელავს, გამოიყვანა ცოლ-შვილი მაჭმად-ყულიხანისა ნებითავე მათითა. მერმე
შემუსრა შილდა, ყვარელი და ჯაგაზი, მოსრნა, მოსტყუევნა, წარიყვანნა მრავალნი სულნი და
წარვიდა თვისადვე: ამათი მხილველი თეიმურაზ წარვიდა ფშავს და იყოფებოდა მუნ: შემდგომად
ამისა მოვიდნენ ოსმალნი ყარაღაჯს, აღაშენეს ციხე, განამაგრეს ზარბაზნებითა და შეაყენნეს
გუშაგნი და სპანი დაუდგინნეს და სხვანი წარვიდნენ: ესე აღუძნდათ ჭარელთა და მრავალ-გზის

ეკირთებოდენ. გარნა ვერა რაიმე ავნეს. ამის-თჳს შეიკრიბნეს ჭარელნი, წარვიდნენ და მოსტყუევნნეს ბოლნისები: ამათ წარმოუდგა ისაყ-ფაშა და მოეწიათ ჯარის ბოლოს მეწინავენი, გაბრუნდნენ ლეკნი, ჰგონებდენ სიმცირესა მათსა: მაშინ მეწინავენი იგინი ივლტოდნენ. ამათ მიჰყჳნენ ლეკნი და მიიყვანნეს სისქესა შინა ოსმალთასა, მოსრულთა მოეტევა ისაყ-ფაშა და მოსწყჳტნეს ურიცხჳნი ლეკნი, აოტნეს და მოჰკუეთნენ ხოცითა და სრვითა დღე და ღამე ალაზნად-მდე, ვითარ მცირედნიღა გარდაეხვეწნენ და უკუნ-იქცა გამარჯვებული ისაყ-ფაშა ტფილისვე: არამედ ჭარელთა მიერით-გან ვერღარა იკადრეს რბევად და კირთებად და დაიპყრეს ყარაღაჯს მდგომთა ოსმალთა ელიფადარი, ართმიდიან ხარკსა და ალაშქრებდიან: ხოლო თეიმურაზ იყო ფშავს ფრიად უპოვარი და მოინება წარსლვა რუსეთს. არამედ არა უტევებდენ კახნი. მერმე ჩამოიყვანნეს კვალად თელავსვე ქს. ჩღლა, ქრ. ჳით:

## იბ, თეიმურაზ ბ, იგ წელი ჰმეფა:

მაშინ თეიმურაზ ეზრახა ისაყ-ფაშას უვნებელობისა-თჳს, რამეთუ ძესა მისსა უსუფ-ფაშას აქუნდა კახეთი მიცემული ხონთქრისა-გან. გარნა სახელით ოდენ და ვერა რის მოქმედებითა: ხოლო ისაყ-ფაშამ აღუთქვა უვნებელობა თეიმურაზს და მიუწოდა ტფილისს და განზრახვითა და იძულებითა კახთათა მივიდა მის-თანა ტფილისს: მან კეთილად შეიწყნარა და წარმოავლინა კვალად კახეთსავე, რათა დაადგრეს ერთ-გულებასა ზედა და იყოფებოდეს თელავს: არამედ იყო კვალადცა კახეთი ესე-ვითარსავე ბოროტებასა შინა და სიმაგრეთ-გამო მაგრდებოდიან ჟამითი ჟამად: შემდგომად რა მოვიდა თამაზ-ხან და აღიღო შირვანი, მერმე შეუხდა განჯას და მუსიდამ გამარჯვებული მოადგა განჯას ქს. ჩღლდ, ქრ. ჳკბ: ამის-მან მცნობ-მან ისაყ-ფაშამ წარმოავლინა სპასი ოსმალთა და მოვიდნენ ესენი ქისიყს: მაშინ შეითქუნეს კახნი აბელ მოურავისა-თანა და ღამით დაესხნეს ოსმალთა, მოსრნეს მრავალნი, აღიღეს ალაფნი დიდ-ძალნი და წარმოვიდნენ ღამითვე. ხოლო დილასა აღიყარნენ ოსმალნი და წარვიდნენ მოსწრაფედ ტფილისს: ამ ჟამთა წარმოავლინა თამაზ-ხან განჯიდამ კაცი და მოითხოვა ასული იმამ-ყულიხანისა, რამეთუ ძმაცა მისი მაჰმად-მირზა წარწყმდა მის-თანა ბრძოლასა შინა თოფალ-ფაშისასა და ამით ჰგონეს ამათ ნამსახურ-ყოფა და წარუვლინეს ქალი იგი: ამისა შემდგომად შემოიკრიბნა თეიმურაზ კახნი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი და წარვიდა წინაშე თამაზ-ხანისა: არამედ მისრულსა თეიმურაზს და კახთა არა წესისა-ებრ პატივ-სცა თამაზ-ხან, გარნა მცირედითა ნიშნითა: ხოლო აღვსებასა მოვიდა დესპანი რუს-კელმწიფისა მთავარი სერგი გალიცინი მოსმენად წირვისად თეიმურაზისა-თანა, რამეთუ არა იყო სხვა ეკკლესია მუნ თვინიერ მის კარვისა: ესე ისტუმრა თეიმურაზ და მერმე მანცა ისტუმრა, და მოუძღვანა თეიმურაზს არმაღანი მუნებურნი: შემდგომად

მოსცა თამაზ-ხან სპანი დიდი და წარმოავლინა შემუსრვად ჯარისად: ამის მცნობთა ოსმალთა დაუტევეს ყარალაჯის ციხე და ივლტოდნენ ტფილისს: იხილეს ესე კახთა, მივიდნენ და შემუსრეს ციხე ყარალაჯისა, წარმოიღეს ზარბაზნები და რომელნიმე შემუსრნეს და დაუტევნეს: მერმე შე-კრბენ და მიეგებნენ თეიმურაზს, შეუძღჳნეს ყიზილბაშთა ჯარსა შინა და შეუხდნენ. არამედ გან-მაგრდნეს და წინა-აღუდგნენ ჯარელნი. გარნა სძლეს ყიზილბაშთა და კახთა და მოწყვიტნეს
201 მრავალნი, შემუსრნეს კოშკნი და სიმაგრენი მათნი მოსტყუევნნეს, აღიღეს ალაფი დიდი და წარ-მოვიდნეს: ხოლო შემდგომად სძლო რა ქოფრულსა თამაზ-ხან მიუწოდა თეიმურაზს ერევანს, წარვიდა თეიმურაზ და მივიდა რა მცირეს ხანს უკან შეიპყრა და წარმოგზავნა ტფილისს, რათა მოიყვანოს ცოლიცა თვისი თამარ მუნ: არამედ მოვიდა რა ყურყუთას თეიმურაზ, გამოივლტო და მოვიდა თელავს და მოვიდაცა ტფილისს თამაზ-ხან: მერმე ესმა მოსლვა დარუბანდს თათარ-ხანთა, წარმოვიდა კახეთსა ზედა: ამის-თჳს წარვიდა თეიმურაზ ყოვლითა დედა-წულითა თვისითა ფშავს და თამაზ-ხან მოვიდა კახეთს და დაამშვიდა კახეთი: მერმე წარმოავლინა მარბიელად სპანი და აჴყარნა სულნი მრავალნი და სხვანი მოსრნეს: ხოლო ტყუენი წარგზავნა ხორასანს და წარ-ვიდა თვითცა დარუბანდს. გარნა ავნეს დიდი სპათა თამაზ-ხანისათა ჯარელთა:

არამედ წარყვანებულთა კახთა ტყუეთა რომელთამე ქართველთა-თანა იცეს ყამიჩმარჯვე, მოსრნეს მტარვალნი თვისნი, განთავისუფლდნენ და მოვიდნენ კახეთსავე და ქართველნი ქართლს და სხვანი რომელ-ნიმე წარიყვანნეს ხორასანსავე: ხოლო გახელმწიფდა რა თამაზ-ხან მუღამს, მერმე წარვიდა შანადირ ისპაანს, შთამოვიდა თეიმურაზ კახეთს და დაიპყრა კახეთი: მაშინ ეზრახა ხანი ტფილისისა თეი-მურაზს ფიცით, რათა მივიდეს მის-თანა და ჰყონ ზავი და დაუმტკიცოს კახეთი ყეენისა-გან და გამოუტეოს ნიშნითა უვნოდ: ესე კახთა-გამო ირწმუნა თეიმურაზ, წარვიდა და მივიდა გორს: ხან-მან პირველ კეთილად შეიწყნარა, მერმე შეიპყრა ღალატად, წარგზავნა ქართველით პყრობილი-თურთ წინაშე შანადირისა ისპაანს ქრ. ჩღლზ, ქრ. უკე: ხოლო მისრულსა შანადირ არა რაი ავნო, ვინადგან ნებითა თვისით მისრულ იყო და ღალატით შეეპყრა ხანსა. არამედ მისცნა ნიშნი. მცირენი და წარიყვანა ყანდაარს. მუნ ყანდაარს ყოფასა შინა, სთხოვა თეიმურაზს შანადირ ძე და ასული, რათა მოიყვანოს იგინი მის-თანა და თეიმურაზ გამოუტევოს კახეთსავე: ესე აღუძნდა ფრიად თეიმურაზს, გარნა არა რაი იყო სხვა ღონე მიყვანისა-გან კიდე, მოავლინა კაცი და წა-რიყვანა ერეკლე ძე თვისი და ასული თვისი ქეთევან: ხოლო შანადირ წარიყვანა ერეკლე ინდოეთს და ქეთევან მისცა ძმის-წულსა თვისსა ალიყული-ხანს ცოლად და გამოუტევა თეიმურაზ კახეთს: არამედ ძე იმან-ყული-ხანისა ალი-მირზა, რომელი დაუტევა შანადირ ტფილისს, ვითამც ვალი, შთავარდა ამასა და ხანს შორის შური დიდი, ვერღა-რა დადგა ტფილისს ალი-მირზა, წარმო-ვიდა კახეთს: ამან ალი-მირზამ ინება განზრახვითა აბელ-მოურავისათა განდგომა ყეენისა და თვით დაპყრობა კახეთისა და ამის-თვისცა ეზრახაცა თამარს, რათა ჰყონ ესე. არამედ თამარ არა ინება, რამეთუ ვინადგან იყვნენ ქმარი მისი თეიმურაზ და ძე მისი ერეკლე ყანდაარს წინაშე შანადირისა:

ესე აცნობა თამარ ქისიყელთა და თუშთა არა ყოფად ამისა ესრეთ: მაშინ იგინი მტკიცედ დაადგრეს ერთ-გულებასა ზედა თამარისასა გივის ჩოლაყაშვილის მიერ და ამის-თჳს მივიდა თამარცა ქისიყს: ხოლო მათ რა იხილეს ესე ესრეთ ვერცა-რა იკადრეს რაისამე ქმნად, რამეთუ იქმნებოდა შფოთი დიდი და სისხლის დათხევა კახთა შორის, განითვანტნენ და წარვიდნენ თვის-თვისად: ამის-თჳს ალი-მირზა ვეღარ დამყოფელი კახეთსა შინა წარვიდა წინაშე შაჰნადირისა ყანდაარს და წარჰყვა ინდოეთს და მუნ მოკუდა: ამის ქმნისა შემდგომად მოვიდა თეიმურაზცა კახეთს ყანდაარიდამ ქს. ჩღლჱ, ქრ. უკვ, მიეცა შაჰნადირ კახეთი. არამედ მორჩილებასა შინა ტფილისს მჯდომის ხანისასა: ხოლო შემდგომად წელსა ქს. ჩღლთ, ქრ. უკზ წარმოემართა სპასალარი ერანისა და ძმა შაჰნადირისა, რომლის-თვისცა ერწმუნა ადრიბეჟანი, ვითარცა მპყრობელად შემუსრვად ჭარისა: ამან მიუწოდა სპითა კახთათა თეიმურაზს და ქართველთაცა: ხოლო თეიმურაზ წარვიდა მსწრაფლად სიხარულითა შეკრებული კახთა სპითა და მივიდა წინაშე სპასალარისა, შეუხდნენ ჭარს, მოსრნეს მოსწყვიტნეს, მოსტყუევნეს, მოაოხრნეს და მოსწუნეს: მერმე შევიდნენ ჰატარას ჭარსა შინა და მასცა ეგრეთვე უყვეს და გამაგრებული კოშკები შემუსრნეს და მოაოხრნეს ვიდრე კავკასამდე: არამედ განეგულა სპასალარსა სამ-დღე მუნ დგომა და ოხრება და რბევა მათი. გარნა რა იხილა მოსრვა მათი და წინა-აღმდგომი არღარა-ვინმე მტრად, ამის-თჳს არღა-რა ინება მოცდა და ბრძანა წამოსვლა სპათა: ამას უშლიდნენ ბეგლარ-ბეგნი და არა ისმინა მათი და გამოუტევა სპანი და თვით მცირედითა კაცითა დაადგრა და მომავალი სპასალარი გარდახდა ლელოვანსა ერთსა ველსა ზედა შვენიერსა, რათა მოსწყოს ყალიონი და სვას ყავა: იხილეს მზირ-ყოფილთა ლეკთა და ჰსცნეს სპასალარობა მისი, შემოეპარნენ, ჰკრეს თოფი და მოჰკლეს სპასალარი მუნვე და მის-თანა მყოფნი ივლტოდეს მჴვირცხლად: ხოლო ჭარელნი შესხდნენ ცხენთა მათთა, ეწივნეს დიდთა მათ სპათა და სრვიდნენ უწყალოდ: კვალად მლტოლვარენი ეცნეს სხვათა მათ სპათა ყიზილბაშთა და ივლტოდნენ სრულიად ყოველნი: მოჰყვნენ ლეკნი და მოსწყვეტდნენ შეუწყალებელად, ვიდრე ალაზნადმდე: მერმე აღიღეს სიმდიდრე სპასალარისა და ალაფი სპათა და იავარი დიდ-ძალი. არამედ კახნი და ქართველნი წარმოვიდნენ უვნოდ შოებულნიცა ყიზილბაშთა ალაფისა: გარნა კვალად ამით ჭარელთა იწყეს მაგრება და განძლიერდნენ. ხოლო კახეთს იყო კვალადცა დაღისტნელთა ლეკთა-გან ტყუევნა, კლვა და ოხრებანი და მცდელობდნენ მათ ზედაცა კახნი სიმაგრით გამო წინა-აღმდგომობასა, ნაცვალ-გებასა: ხოლო მერმე მოარაიქცა შაჰნადირ ინდოეთიდამ, წარმოავლინა ერეკლე ნიჭითა კახეთს, მოვიდა მშობელთა თვისთა-თანა და განახარეს სიხარულითა დიდითა და მოგვარეს ცოლად ასული ვახტანგ ყაფლანის-შვილისა. გარნა მიზეზითა რითამე განუტევა იგი და მოიყვანა იმერეთიდამ ასული ზაალ ფხეიძისა და იქორწინა მის-თანა:

შემდგომად მოვიდა შაჰნადირ არდაველს ქს. ჩღმა, ქრ. უკთ, მიუწოდა მუნ თეიმურაზს, მივი- 202
და და რა თეიმურაზ მოსცა სპანი და წარმოავლინა ჭარსა ზედა: ესენი შეუხდნენ კვალად ჭარს შემუსრნეს, მოსწყვიტნეს კნინღა დაბოლოებადმდე მათთა, წარმოიყვანნეს ტყვენი მრავალნი, რომელნიცა და-

სხნა შაჰნადირ დიდნი ჭურჭელთა როსკიპად სპათა შორის თვისთა: ხოლო თეიმურაზ მოვიდა კახეთს და იყოფებოდა თელავს: მერმე წარმოავლინა შაჰნადირ ქართველნი დარუბანდიდამ და მოსცა გივს ამილახორს ვექილობა: ეს გივი ეზრახა თეიმურაზს, რათა უკუდგნენ შაჰნადირისაგან. არამედ თეიმურაზ არა ისმინა. ამის-თჳს შეასმინა გივ-მან თეიმურაზ ტფილისის ხანსა, ვინადგან მოსლვად იყო ხანი ლეკთა ზედა დაღისტანსა შინა და მიუწოდა თეიმურაზს, რათა წარუძღვეს იგი: არამედ არა მივიდა მუნ თეიმურაზ. გარნა მიუთხრა: „ოდეს მოხვალ კახეთს, მაშინ მოვიდე:“ განრისხნა ამის-თჳს ხანი და წარმოავლინა სპანი. ესენი მოვიდნენ და მოსტყუევნეს და მოსწყვიტეს საგარეჯო. მერმე შეასმინაცა შაჰნადირს ხან-მან თეიმურაზ უკუდგომით ყოფა მისი. არამედ თეიმურაზ შეფოთისა ამის-თჳს წარვიდა წინაშე შაჰნადირისა: ხოლო შაჰნადირს რა ესმა უკუდგომა თეიმურაზისა მიუწოდა წინაშე თვისსა და მივიდაცა თეიმურაზ დარუბანდს: მაშინ ვითარ ჰსცნა შაჰნადირ, რამეთუ მიწოდებისა მისისაგან პირველვე წარვიდა თეიმურაზ წინაშე მისსა, ამის-თჳს პატივ-სცა და ანიჭნა ბოძნი. გარნა მოუთხრა, რათა მოიყვანოს ცოლიცა თვისი თამარ, შეუძნდა ფრიად თეიმურაზს. გარნა არა იყოლა სხვა ღონე, მიიყვანა იგიცა დარუბანდს: ხოლო შაჰნადირ პატივ-სცა კეთილად და მიანიჭნა ნიჭნი და წარმოავლინა კახეთსვე, წარმოვიდა, გამოვლო დაღისტანი უვნოდ და მოვიდა თელავს: ამისა შემდგომად უბრძანა შაჰნადირ თეიმურაზს მზა ყოფა სპითა, რათა მოვიდეს მთით კავკასიიდამ დაღისტანსა ზედა და გამოუტევა: მაშინ შეჰკვეთეს ხარკი კახეთს, ვითარცა იყო ქართლსა შინა და დაადგინეს მით ხუთასნი ნოქარნი კაზნივე და როქსა მისცემდნენ ხარკთაგან კახთასა. არამედ მორჩილებასა და ბრძანებასა შინა იყვნენ ესე ნოქარნი თეიმურაზისასა: ხოლო შემდგომად უკუნიქცა რა შაჰნადირ სპარსეთად თეიმურაზ იყო კახეთს. მაშინ მოხედნა რისხვა-მან და შეიძრა ქვეყანა ქს. **ჩღმბ**, ქრ. **ულ**, და დაირღვა და შეიმუსრა ალავერდის ეკკლესია, კვალად ციხე ხოდაშენისა. არამედ ესე ოდეს ძრვასა შინა არა რაი შემუსრა თჳნიერ მათდა: ხოლო შემდგომად ბრძოლასა შაჰნადირისასა ბაღდადის კერძოთ ოსმალთა ზედა მუსულს, უკუდგნენ რა შაჰნადირისაგან ასტარაბადი, შირაზი და შამახია: არამედ შამახიელთა მოიყვანეს შეწევნითა ლეკთათა შაჰსულთან უსეინის ძედ წოდებული ვინმე (რომლისა-თჳს პირველვე დაეკვეთნეს ცხვირი და ყურნი ძესა შაჰნადირისასა) და დასვეს ყეენად:

ჰსცნა ესენი შაჰნადირ და წარმოავლინა ძე თვისი სპითა. ამას მიეგებნენ ლეკნი მტკვარს იქით, ეკვეთნენ სპარსნი და მოსრნეს სრულიად ლეკნი, რამეთუ ვერ-ვინ განერა მატყვიცა და დაიპყრა შამახია ძე-მან შაჰნადირისა-მან, და ყეენის ძედ წოდებული იგი ივლტოდა დაღისტანსა შინა: ხოლო შემდგომად ამისა მოკლეს ყმათა მისთა ბეჟან ერისთავი არაგვისა, მერმე საერისთონი იგინი მოუერთნეს თეიმურაზს: ესე ამცნო შაჰნადირს თეიმურაზ. მაშინ მოსცა თეიმურაზს საერისთო ესე და შევიდა თეიმურაზ მუნ მათ შინა: მხილველი ამისი ამილახორი გივი ივლტოდა და თეიმურაზ მოადგა ციხესა მისთა ქსანსა ზედა. ხოლო რევაზ ბიძა-შვილ-მან გივისა-მან მოსცა ციხენი თეიმურაზს და თვით რევაზ წამოვიდა ყმითურთ კახეთს. არამედ ვინად-გან უმეტესი ჭუ-

რი იყო ქართლს ყიზილბაშთა-გან და ლეკთა-გან. ამის-თჳს ჩამოვიდოდიან მრავალნი მთავარნი, აზნაურნი და გლეხნი კახეთს და აღაშენებოდა დაბნები: ამისა შემდგომად ყეენის-შვილი იგი ლტოლვილი დაღისტანსა შინა ვერღა-რა დაადგრა მუნ და წარმოვიდა კახეთსა ზედა, რათა მივიდეს ოსმალთა-თანა: ესე შეატყუნა ეტიკ-მან მისმან გზისა-გან მისისა, წარმოიყვანა და მოგვარა სამოც-ოდენ კაცითა თეიმურაზს ტინს მდგომსა: ამან შეიპყრა იგი ყმითურთ და წარუძღვანა ძე თვისი ერეკლე და წარავლინა შაჰნადირისა წინაშე. ამისი მხილველი შაჰნადირ მადლიერ იქმნა თეიმურაზისა ფრიად, უწოდა დოვლათ-შარიქი და მოსცა ნიჭი დიდი. მერმე შემდგომად უსუფ ახალ-ციხის ფაშის მოსლვისა ქართლსა შინა გორს და არაგვსა ზედა ერეკლესა-გან მოწყვეტისა ოსმალთა და ყოფილისა, რომელნიცა იგი ალვსწრენით ქართლსა ზედა, მოსცა შაჰნადირ თეიმურაზს ქართლი და ძესა მისსა ერეკლეს კახეთი: მაშინ მივიდა თეიმურაზ და დასჯდა ტფილისს ქს. ჩღმდ ქრ. უღბ. ხოლო ძე თეიმურაზისა ერეკლე დაჯდა კახეთს:

## ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა:

229 ხოლო ოდეს მოვიდნენ ძენი მცხეთოსისანი. იძრახოს და ჯავახოს ხვედრთა თვისთა
ქვეყანათა შინა, ამათ აღაშენეს რომელნი აღწერენნით და დაეშენნენ იგინი და ძენი და ნათესავნი
მათნი განითესნენ ქვეყნებთა ამათ შინა და იყვნენ მარადის ნათესავნი და ჩამომავალნი ამათნი
მორჩილებასა შინა მცხეთის მამასახლისისა და თაყვანის-მცემელნი ქართლოსის საფლავისანი და
მეფეთა ქართლოსისანი, ვიდრე ფარნაოზ პირველის მეფისამდე: ხოლო გამეფდა რა ფარნაოზ
და დაიპყრა ყოველი საქართველო, ამან ფარნაოზ დასხნა ერისთავნი თვისნი, ერთი ოძრახოს და
მისცა წილი ოძრახოსი, მეორე წუნას (1) და მისცა წილი ჯავახოსი, მესამე კლარჯეთს და მისცა
სრულიად რომელი თვით დაიპყრა: და იყო ქვეყანა ესე ესრეთ სამ-საერისთოდ მრავალთა წელთა,
თვინიერ მიხმისა სომეხთა მეფის იარვანისა-გან წუნისა და არტანისა, რომელი კვალად დაიპყრეს
ასორკ და არმაზელ მეფეთა და კვალად შემდგომად ჟამსა მეფის ვარზაბაქარისასა მიუღეს მას
რა სპარსთა რანი და მოვაკანი, მაშინ უკუდგნეს მის-გან კლარჯნი და მიერთვნენ ბერძენთა და
იყვნენ მორჩილებასა შინა მათთათა რაოდენიმე წელ. ხოლო ორნი იგი საერისთონი იყვნენ ქარ-
თველთავე მეფეთა მორჩილებასა შინა: ხოლო შემდგომად დაიპყრა გორგასლან მკლავითა თვისი-
თა და გამოუხვნა ბერძენთა და შემდგომად სიკუდილისა თვისისა მისცა ძეთა თვისთა სამნი ესე
საერისთონი ლევანს და მირდატს, ბერძნის კეისრის ქალის ნაშობთა და შემდგომად მოკუდა რა
230 ლეონ გაუტევა დაჩი მეფე-მან ძმასა თვისსა მირდატს ქვეყანა და დაიპყრა თვით ეგრისის მდი-
ნარის იქითი დასავლეთის წილი და მირდატს მოსცა ჯავახეთი ფასავრიდამ მტკვრამდე და დაი-
პყრა მირდატ ტაშის-კარიდამ ჩლდვამდე და ერისთავთ ერისთაობდა ქვეყანათა ამათ და მორჩილებდა
მეფეთა ქართველთათა: ხოლო ამ მირდატის-თანა მოვიდა ნათესავი დავით წინასწარ-მეტყველისა
შვიდთა ძმათაგანი გურამ და ითხოვა მის-გან მკვიდრობა მის-თანა: ხოლო მირდატ შეიწყნარა
იგი სიკეთისა მისისა-თვის და მისცა და თვისი გურამს ცოლად და სამკვიდროებელი ტაო,
რომელსაცა შემდგომად უწოდა ტაოს ერისთავად და მორჩილებდა ესე გურამ ყოვლითავე მირ-
დატს: არამედ ესე გურამ ნათესავ-ჩამომავალი იყო დავით წინასწარ-მეტყველისა ესრეთ რამეთუ

(1) უნდა წუნდას.

მეფე-მან დავით შვა სოლომონ, სოლომონ შვა რობოამ, რობოამ შვა აბია, აბიამ შვა ასა, ასამ შვა იოსაფატ, იოსაფატ შვა იორამ, იორამ შვა ოქოზია, ოქოზიამ შვა იოას, იოას შვა ამასია, ამასიამ შვა ოზია, ოზიამ შვა იოათამ, იოთამ შვა აქაზ, აქაზ შვა ეზეკია, ეზეკია შვა მანასე, მანასემ შვა ამონ, ამონ შვა იოსია, იოსიამ შვა იექონია, იექონიამ შვა სალათიელ, სალათიელ შვა ზორობაბელ, ზორობაბელ შვა აბიუდ, აბიუდ შვა ელიაკიმ, ელიაკიმ შვა აზორ, აზორ შვა სადუკ, სადუკ შვა აქიმ, აქიმ შვა ელიუდ, ელიუდ შვა ელიაზარ, ელიაზარ შვა მატათა, მატათამ შვა იაკობ, იაკობ შვა იოსებ და კლეოპა, კლეოპამ შვა ნაომ, ნაომ შვა სალა, სალამ შვა რობოამ, რობოამ შვა მუხთარ, მუხთარ შვა ელიაკიმ, ელიაკიმ შვა ბენიამენ, ბენიამენ შვა იერობემ, იერობემ შვა მოსე, მოსემ შვა იუდა, იუდამ შვა ელიაზარ, ელიაზარ შვა ლევ, ლევ-მან შვა იორამ, იორამ შვა მანასე, მანასემ შვა იაკობ, იაკობ შვა მიქია, მიქიამ შვა იოაკიმ, იოაკიმ შვა იერობემ, იერობემ შვა აბრაამ, აბრაამ შვა იობ, იობ შვა აქაბ, აქაბ შვა სვიმონ, სვიმონ შვა იზაქარ, იზაქარ შვა აბია, აბია შვა გაად, გაად შვა ასერ, ასერ შვა ისააკ, ისააკ შვა დან, დან შვა სოლომონ, სოლომონ შვა შვიდნი ძმანი ესენი. ბაგრატ, აბგავარ, მობალ, გურამ, სააკ, ასამ და ვარზავარდ: ესენი წარმოვიდნენ ფილისტიმიდამ და მოვიდნენ რაქაელ დედოფლისა-თანა: ამან რაქაელ დედოფალმან ნათელ-სცა ამათ და ბაგრატ შეიყვანა თვით სიძედ და აბგავარ და მობალ ამზახლა სომეხთა მეფესა:

ხოლო ოთხნი ესენი გურამ, სააკ, ასამ და ვარზავარდ მოვიდნენ ქართლს. გურამ დაისვა მირდატ ძე-მან ვახტანგ გორგასლისა-მან ქს. ფჱ, ქრ. ხა, და სამნი განვიდნენ კახეთს, სააკ ემზახლა ბაკურს ძესა ნერსესისა და ორნი ასამ და ვარზავარდ მივიდნენ გამბეჩოვანს, გარდაუქციეს ერი ვეზანს ერისთავსა სპარსთასა და მოკლეს იგი და დაიპყრეს ამათ გამბეჩოვანი და სცხოვრებდნენ ხორნაბუჯს ძენი მათნი, ვიდრე სტეფანოზისა და ადარნასეს ხოსროვანისამდე: ხოლო გურამ ტაოს ერისთობასა შინა შვა ძე მირდატის დისა-გან და უწოდა სახელად ბაგრატ ძმისა თვისისა ბაგრატის სახელი. კვალად შვა მისგანვე მეორე ძე, რომლისა ძის ძე-მან შემდგომად სტეფანოზისა დაიპყრა რომელნიმე კლარჯეთისა და ჯავახეთი, რომელსა მისცა მეფე-მან არჩილ მოწამე-მან ძმის-წული თვისი მირ მეფისა ასული ცოლად. არამედ შემდგომად ერისთავთ ერისთავი მირდატ მოკუდა ქს. ფკზ, ქრ. სოთ: ხოლო გურამ ტაოს ერისთობასა შინა მოკუდა ქს. ფლბ, ქრ. სპდ, და დაუტევნა ძენი ტაოს, მორჩილებასა შინა მირდატის ძისათა და შემდგომად მირდატის სიკუდილისა დაიპყრეს ძეთა მირდატისათა ნაქონები მამისა თვისისა: ამათ მორჩილებდა ძე გურამისა ბაგრატ და ძენი მირდატისანი მორჩილებდნენ ქართველთა მეფეთა: ხოლო შემდგომად მოვიდა სპარსთა მეფე ქს. ფლვ, ქრ. სპჱ, და დაემორჩილა სპარსთა მეფესა მეფე ფარსმან ქართლისა და ძენი მირდატისანი განდგნენ ფარსმან მეფისა-გან და მიერთვნენ ბერძენთა: მიერითგან განიყვნენ ძენი გორგასლიანისანი. მეფენი ქართლისანი ერჩდნენ სპარსთა და ძენი მირდატისანი ერჩდნენ ბერძენთა: ხოლო შემდგომად მოკუდა ბაგრატ ერისთავი მორჩილებასა ში-

ნა მირდატის ძისათა ქს. ფჲტ, ქრ. ტჳ, და დაუტევა ძე გურამ სახელით. არამედ ამათვე წელი-წადებთა მოსწყდნენ ძენი მირდატისანი ძისა ვახტანგ-მეფისანი და ამათ არა დაუტევეს ძენი, რომელთა დაუმკვიდრეს სამკვიდრებელნი თვისნი პაპიდისწულსა თვისსა გურამს და უწოდეს მირდატიანნი. და ამან გურამ ძე-მან ბაგრატისა-მან შემდგომად მათსა დაიპყრა ნაქონები მათი ტაშის-კარ ფანავარიდამ, ვიდრე ზღვადმდე და მერმე შეიცვალა სახელი მირდატოვანობისა ბაგრატიონად მამისა თვისისა სახელისა-თჳს: ხოლო მოსლვასა სპარსთა ქასრე ამბარ-ვეზირისასა შეევლტო ეს გურამს (1) უმეტეს ბერძენთა, ვიდრელა სპარსთა და ამის-თჳს კეისარმანცა მოსცა სიგლითა ქვეყანა ესე და კურაპალატობა გურამს. და შლილობასა ამას შინა იყო გურამ მსახურებასა ბერძენთასა და ეპყრნეს წინ-ხსენებულნი ქვეყანანი: ხოლო წელსა ქს. ფოე, ქრ. ტგჩ თხოვნითავე ქართველთათა მოსცა ამ გურამ კურაპალატსა მეფობა საქართველოსი კეისარ-მან იუსტინე, და გამეფდა, ვითარცა აღვსწერეთ და ამით კვალად შეერთდა სამცხე-კლარჯეთი და ყოველი საქართველო ერთ-სამეფოდ: ხოლო მოკუდა ეს გურამ ქს. ქ, ქრ. ტჩბ, და დაუტევა ძენი ორნი სტეფანოზ და დიმიტრი. დიმიტრი აღესრულა, ვითარცა აღვსწერეთ, ხოლო სტეფანოზ ერისთავთ მთავარი მოკუდა ქს. ქით ქრ. ტოა (1) და მიუხვნეს ბერძენთა სპერი და ბოლო კლარჯეთის ზღვის პირნი: ამას დაუშთა ძე ერთი გურამ. ამან გურამ შემდგომად მამისა თვისისა დაიპყრა კვალად კლარჯეთი და მსახურებდა ბერძენთა და მერმე დაიპყრა სამცხეცა: ამავ გურამის ჟამსა შინა გამოვიდა მურვან-ყრუ. ამან ყრუმ მოაოხრა ყოველი ქვეყანა კლარჯეთისა, შავშეთისა, ტაოსი, სამცხისა და კლარჯეთისა: მაშინ ამ გურამ ავნო დიდი სპათა მისთა და განვრა კლარჯეთისა შინა თვით უვნოდ მის-გან: ამას გურამს კეისარ-მან კოსტანტინემ სიმხნისა მისისა-თვის მოსცა კვალად კურატ-პალატობა და ქვეყანა, რომელი ეპყრა პირველ პაპასა მისსა: ამავ ჟამებთა მოსცა მეფე-მან არჩილ მოწამე-მან ამ გურამის პაპის მამის ძმის-წულს და გურამ კურატპალატის ბიძის ძის-ძის ძეს, რომელსა ამავ გურამ კურატ-პალატისა-გან ექონდა ერისთობა მას ჟამსა შინა კლარჯეთისა და ჯავახეთისა, ასული მირ მეფისა ცოლად და თვით არჩილ მეფე-მან შეირთო
231 ასული ამ გურამ კურატ-პალატისა (არამედ საგონებელ არს ადარნასე, რომელი დადგინებულ-იყო არეთა სომხითისათა და მოვიდა არჩილ მეფისა-თანა, იყო ამათგანივე ბაგრატიონი, რომელსაცა მისცა არჩილ-მეფე-მან ასული მირ-მეფისა და კვალად რომელნიცა არა შეუშვნა ამან გურამ კურატ-პალატ-მან კლარჯეთს და მათ აღაშენეს ციხე კალმახი, იგინიცა იყვნენ ამათგანნივე).

ხოლო ამისა შემდგომად მოკუდა გურამ კურატ-პალატი ქს. ქოტ, ქრ, ჳლ, და დაუტევა ძე ერთი ვარზაბაკურ: ამან ვარზაბაკურ დაიპყრა ნაქონები მამისა თვისისა, მერმე მოსცა კო-

(1) გურამ, ვითარცა სწერია არს ივერიელთა შინა, რამეთუ არამიან გარნისრიელთა ბაგრატიონი, ოღონდ ესე გურამ რომელმა მოუწყლნეს ზმა და მოუღეს ბერძენთა ბოლო კლარჯეთისა, ამან ეძიებდენ და დაპყრეს გამზრდელთა და მწერობასა შინა ერმა ესე შეუძლია არამმა, მოვიდა და აღიხუნ და აღალაშენებდა. შემდგომად ამათი ხუცურული ესე კლარჯეთი, ქსენეს ბაგრატოვანისა შინა, მიიყვანეს და ჩუენ კვალად ქრონიკონისათვისვე. ამის-თჳს იქმნა უმეტეს ხარწმუნოდ შატბერდა კლარჯეთა და შემხოია.

სტანტინე კეისარ-მან ანტიპატობა და შემდგომად მეფე-მან არჩილ მოსცა ვარზაბაკურს გარდაბანი და ამან მოაქცია სარწმუნოებასა ზედა ჭეშმარიტსა გარდაბანელნი: შემდგომად მოკუდა ვარზა-ბაკურ ქს. ღე, ქრ. უხჲ, და დაუტევა ძე მხოლოდ ნერსე და ნერსემ დაიპყრა ყოველი ესე ქვე-ყანა და ერისთავთ-ერისთაობდა მორჩილებასა შინა ბერძენთასა: შემდგომად მოკუდა ნერსე ქს. ღჲბ, ქრ. ჳშე, და დაშთნეს ძენი სამნი. ადარნასე, სტეფანოს და ფილიპე: არამედ ადარნასემ დაიპყრა ერისთავთ-ერისთაობა და ქვეყანა მამისა თვისისა და მისცა ძმათა თვისთა ერისთობა კლარჯეთს და მორჩილებდა ბერძენთა: ხოლო ამ ადარნასეს ესხნეს ძენი ორნი, აშოტ და გურ-გენ, და ასული ერთი ლატავარ: ეს ემძახლა ძესა არჩილ მეფისასა ჯუანშერს და ამ ჯუანშერ შეირთო ცოლად ლატავარ: შემდგომად ამან ადარნასემ იცვალა ნასამალი ჯუანშერისა-გან კლარ-ჯეთისა და შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქვემო-ტაოსი. და კვალად ციხეთა-გან, რომელი აქუნდა ძის ძეთა ვახტანგ გორგასლანისათა: მერმე მივიდა კლარჯეთს და მოკუდა ადარნასე ქს. ღოთ, ქრ. ჳლა და დაუტევა ძენი ორნი აშოტ და გურგენ: ხოლო ამან აშოტ დაიპყრნა ყოველნი წინა-ხსენებულნი ქვეყანანი და მისცა ძმასა თვისსა გურგენს ერისთობა, რამეთუ წინა-ხსენებულნი იგინი ყოველნი მოწყვეტილნი იყუნეს. შემდგომად განძლიერდა აშოტ და მორჩილებდა ბერძენთა. ამ აშოტს მოსცა კეისარ-მან კურაპალატობა და შემდგომად დაი-პყრა ქართლი და გამეფდა, ვითარცა აღვწერეთ: არამედ მეფობასა შინა მოკლეს არტანუჯის ცი-ხის ეკკლესიასა შინა აშოტ ქს. ყკგ, ქრ. ჵგ და დაუტევნა ძენი სამნი. ადარნასე, ბაგრატ და გურამ მამფალი და შემდგომად აშოტის სიკუდილისა დაშთნეს ესენი არტანუჯის ციხესა შინა და იზრდებოდნეს მუნ. გარნა წარუღეს გარემონი ყოველნი სარკინოზთა და შემდგომად აღიზარ-დნენ რა დაიპყრნეს მათვე ყოველნი საქონებნი მამათა თვისთა, თვინიერ ქართლისა: ხოლო მო-ვიდა რა მაჭმად, მოვიდა მის წინაშე ბაგრატ ძე აშოტისა და მას მაჭმად მოსცა მეფობა და დაი-პყრა ქართლი ბაგრატ და ზემო-ქართლი, რომელ-არს სამცხე და ადარნასემ ძმა-მან მის-მან კლარჯეთი და გურამ მამფალმან ძმა-მანვე მის-მან ჯავახეთი, თრიალეთი, აბოცი და რომელნიმე სომხითისანი, რამეთუ გურამ მამფალსა ესვა ცოლად ასული სომეხთა მეფისა და მორჩილებდნენ ბაგრატს, ვითარცა აღვსწერეთ: ხოლო გურამ მამფალს ესხნეს ძენი, აშოტ და ნასრ, და ასული ერთი, რომელი შეირთო ცოლად აფხაზთა მეფე-მან ადარნასემ და ამის-თვის შველოდა გურამ მამფალი აფხაზთა მეფესა. არამედ ნასრ მოკლა დავით მეფე და შემდგომად მის-თჳს მოკლეს ნასრცა ქს. ყპტ, ქრ. რტ, და მოკუდა გურამ მამფალი მამა მის ნასრისი ქს. ყპბ, ქრ. რბ, და ძე მამფალისა ამის აშოტ მოკუდა ქს. ყჲთ, ქრ. ჵი, ამათ არა დაუტევეს ძენი და მოსწყდნენ თესლნი მათნი: ხოლო ადარნასეს ძესა აშოტ კურაპალატისასა ესხნეს სამნი ძენი. გურგენ, სუმბატ და აშოტ კეკელა. და ამ გურგენს მოსცა კეისარ-მან კურაპალატობა და შემდგომად მოკუდა ეს გურგენ ქს. ყჟა, ქრ. რია და ამან გურგენ დაუტევა ძენი ორნი. ადარნასე ერისთავთ-ერისთავი და აშოტ-კუხი. მოკუდა ეს აშოტ-კუხი ქს. შიტ, ქრ, რლტ ამან არა დაუტევა ძე

მოკუდა ადარნასე ერისთავთ-ერისთავი ქს. ჸჟჱ, ქრ. რიგ, და ამან ადარნასემ დაუტევა ძენი გურ-
გენ ერისთავთ-ერისთავი და დავით ერისთავთ-ერისთავი. გარდაიცვალა ეს გურგენ ერისთავთ-
ერისთავი ქს. შად, ქრ. რჲა, მოკუდა ძმა მისი დავითცა ერისთავთ-ერისთავი და არა დაუტევნეს
ამათ ძენი: ხოლო მოკუდა აშოტ-კეკელა ძე ადარნასესი ქს. ყაჩ, ქრ, ჵჩ და არა დაუტევა
ამან ძე. ხოლო სუმბატს ძესა ადარნასესა მოსცა კეისარ-მან ანთიპატობა და დაიპყრა ამან არტა-
ნუჯი, ამის-თჳს ეწოდა არტანუჯელი: მოკუდა ეს სუმბატ არტანუჯელი ქს. ყპთ, ქრ. სჵ, ამან
დაუტევა ძენი ბაგრატ არტანუჯელი მამფალი და დავით, რომელი შემდგომად მონაზონ იქმნა.
ხოლო მოკუდა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი ქრ. შთ, ქრ. რკთ, ამან დაუტევა ძენი ადარნასე,
აშოტ, დავით ერისთავთ-ერისთავი და გურგენ ერისთავი. არამედ ესე ადარნასე შემონაზონდა
და ეწოდეს ბასილი, მოკუდა ეს ბასილი ქს. შმე, ქრ. რჲე, მოკუდა აშოტ ძმა ამისი ქს.
შღვი, ქრ. რნი, მოკუდა დავით ერისთავთ-ერისთავი, ძმა ამათი ქს. შჵ, ქრ. რკჵ, და ამათ
არა დაუტევნეს ძენი, მოკუდა გურამ ერისთავი ძმა ამათი ქს. შკგ, ქრ, რმგ, ამან დაუტევა ძე
გურამ, მოკუდა ეს გურამცა ქს. შჲჵ. ქრ. რპჵ: ხოლო ძე სუმბატ ანთიპატისა დავით, რო-
მელი მონაზონ იქმნა მოკუდა ქს. შჲკ, ქრ. რჲკ, და ამან დაუტევა ძე სუმბატ, მოკუდა ეს
სუმბატ ქს. შპჵ ქრ. რჵ, და ამან დაუტევნა ძენი დავით და ბაგრატ, მოკუდა ესე დავით და არა
დაუტევა ძე. ხოლო მოკუდა ბაგრატცა ქს. შპჵ, ქრ. სჵ. და დაუტევა ამან ძენი გურგენ და
სუმბატ და ესენი შეიპყრა მეფე-მან ბაგრატ და დაიპყრა სრულიად სამცხე-კლარჯეთი და ჭყონ ერთ-
სამეფოდ ქართლისა-თანა. ხოლო მოკუდა გურგენ ქს. ჩიბ, ქრ. სლბ, და ამან დაუტევა ძე დი-
მიტრი, მოკუდა სუმბატცა ქს. ჩია, ქრ. სლა, და დაუტევა ამან ძე ბაგრატ: ხოლო ესენი ბა-
გრატ და დიმიტრი შეპყრობისა მამათა მათთა წარივლტოდენ კოსტანტინოპოლედ და მუნ მო-
სწყდნენ: ხოლო ბაგრატ მეფე ძე აშოტ დიდის კურაპალატის მეფისა, რომელიცა გამეფდა
ქართლს და აღვწერეთ ცხოვრება და სიკუდილი მისი მეფეთა-თანა ქართლისათა. ამან მეფე-მან
ბაგრატ დაუტევნა ძენი სამნი დავით, აშოტ და ადარნასე, მოკუდა ესე ადარნასე ქს. ყოდ, ქრ.
ჟდ, მოკუდა აშოტ ძმა მისი ქს. ყპე, ქრ. რე, და ამათ არა დაუტევეს ძენი, ხოლო დავით იქ-
მნა მეფედ და კურაპალატად: ეს დავით მეფე მოკლა ნასრ, ბიძის-ძემან თჳსმან, ვითარცა
232 აღვსწერეთ: ხოლო დავით მეფე-მან დაუტევა ძე ერთი ადარნასე, რომელი მეფე იქმნა, მოკუდა
ძე დავით მეფისა ადარნასე მეფე და დაუტევა ამან ძენი. სუმბატ, აშოტ, დავით და ბაგრატ, მო-
კუდა ძე ადარნასე მეფისა დავით, რომელი მეფედ იქმნა ქს. შლჩ, ქრ. რნჩ, მოკუდა აშოტ
ძმა მისი, რომელსა მოსცა კეისარ-მან კურაპალატობა ქს. შნდ, ქრ. როდ, და ამათ არა და-
უტევეს ძენი. ხოლო ბაგრატს ძმასა მათსა მოსცა კეისარ-მან მაგისტროსობა და კურაპალა-
ტობა. არამედ ეს ბაგრატ შემდგომად ძეთა თჳსთა მონაზონ-ჰყვეს და მოკუდა შემონაზონებული
ქს. შმე, ქრ. რჲე, და დაუტევა ამან ძე ადარნასე. ამ ადარნასეს მოსცა კეისარ-მან მაგისტრო-
სობა და მოკუდა ეს ადარნასე მაგისტროსი ქს. შოა, ქრ. რპა, და დაუტევა ამან ძენი ბაგრატ,

და დავით ერისთავთ-ერისთავი, მოკუდა ესე ბაგრატ ქს. ჲოთ, ქრ. რპთ, მოკუდა ძმა მისი და-ვით ერისთავთ-ერისთავი ქს. შოგ, ქრ. რპგ, და არა დაუტევეს ძენი. ხოლო ძე მეფისა ადარნა-სესი სუმბატ მეფე იქმნა, ამას სუმბატს მოსცა კეისარ-მან კურაპალატობა, ვითარცა აღვსწერეთ. მოკუდა ესე და დაუტევა ამან ძენი ბაგრატ რეგვენი და ადარნასე, მოკუდა ესე ადარნასე ძე სუმბატისა ქს. შპგ, ქრ. სგ და დაუტევა ამან ძე დავით, და ამან დავით დაიპყრა ტაო, ბასიანი თორთომი, სომხითი და ადგილთა კლარჯეთის, შავშეთს, ჯავახეთის ეპყრნეს ციხენი და ქვეყანანი. ამასვე მოსცა კეისარ-მან კურაპალატობა: ესე დავით იყო ღმრთის-მოყვარე და სიკეთითა აღ-შატებული. ამან დავით იშვილა ბაგრატ ძის-ძე ბაგრატ რეგვენისა, მეფეთ-მეფის გურგენის ძე, ვითარცა აღვსწერეთ. მოკუდა ესე მეფე დავით კურაპალატი ქს. ჩა, ქრ. სკა, და არა დაუტევა ამან ძე, თვინიერ ბაგრატ ნაშვილებისა თვისისა. ხოლო ბაგრატ რეგვენი იქმნა მეფე და კურაპ-ალატად და მოკუდა ეს ბაგრატ, ვითარცა აღვსწერეთ და დაუტევა ამან ძენი გურგენ და სუმბატ. მოკუდა ესე სუმბატ ქს, შჟბ, ქრ. სიბ, და არა დაუტევა ამან ძე. ხოლო გურგენ შეირთო ასული გიორგი აფხაზთა მეფისა ცოლად გურანდუხტ. ამ გურანდუხტისა-გან შვა ძე ბაგრატ და ეს ბა-გრატი იშვილა მეფე-მან დავით კურაპალატ-მან: ესევე ბაგრატ გამეფდა პირველად ქართლს, მერმე აფხაზეთს: ხოლო გურგენ მამა ბაგრატისა. შემდგომად მამისა თვისისა გამეფდა: არამედ ვინად-გან ძე თვისი უკუდა მეფედ. ამის-თჳს ამას გურგენს უწოდეს მეფეთ-მეფეთ: მოკუდა ესე გურ-გენ მეფეთ-მეფე, ვითარცა აღვსწერეთ და დაიპყრა ბაგრატ ძე-მან გურგენისა-მან ნაქონები მამა-პაპათა თვისთა: არამედ ამ მეფის ბაგრატისამდე რაოდენნი მეფენი, კურაპალატნი, ერისთავთ-ერისთავნი და ერისთავნი ბაგრატიონნი აღვწერენით და რომელთამე სახელნი წარმოვაჩინეთ, სა-დაცა მეფობდნენ და სხვანი რომელნიმე იყვნენ ტაოს, კლარჯეთს, ისპირს, შავშეთს, არტაანს: ხოლო მეფეთა ქართველთა ბაგრატიონთა ეპყრათ მარადის ზემო-ქართლი, რომელ არს სამცხე და ამის-თჳს ისახელებოდნენ მეფედ ქართველთა უმეტესად და კვალად წილნი მათნი ამათ ად-გილებითავე შინა ეპყრათ და ჟამად ქართლი, ვითარცა აღვსწერეთ: არამედ ამის ბაგრატის ჟამად-მდე რომელნიმე გარდაცვალებულ-იყვნენ და რომელნიმე ამის ჟამსა შინა გარდაიცვალნენ ყოველნი წინ-ხსენებულნი, თვინიერ გურგენისა და სუმბატისა. ხოლო ესენი შეიპყრა მეფე-მან ბაგრატ და პატიმარ-ჰყო თმოგვს ციხესა შინა და ძენი ამათნი წარვიდნენ კოსტანტინეპოლეს და ბაგრატ მეფე-მან დაიპყრა ყოველნი ესე ქვეყანანი და შეაერთა კვალად ქართლსავე, ვითარცა აფხაზეთი და ტფილისი და ჰყო ყოველნი ერთ-სამეფოდ თვისსა მეფობასა შინა, და იყო ყოველი ესე ივერია ერთ-სამეფოდ, ერთისა მეფისა ქვეშე მორჩილებასა-მონებასა, ვიდრე ლაშას გიორგის ძის მეფის დავითისამდე წელი სჲდ:

ხოლო ამან დავით მეფე-მან შეიპყრა რა სარგის-ჯაყელი და განატევებინა სარგის ყეენ-მან დავით მეფესა, მაშინ მივიდა სარგის სამცხეს, განდგა დავით მეფისა-გან ქს. ჩსჲტ, ქრ. უპტ. ამან სარგის ჯაყელ-მან დაიპყრა სამცხე და მორჩილებდა ყეენსა. არამედ დავით მეფესავე ეპყრა.

ჯავახეთი, კოლა, არტანი და კლარჯეთი და შემდგომად მისა ძესა მისსა დიმიტრი მეფესა, ვითარცა მოვიღწიენ კურიკეკესა მისსა ჯავახნი, ტაოელნი, შავშნი და კლარჯნი და არა სარგის ჯაყელი. განა მეფეთა ძლიერითა მატოვს-სეცემდა და ყმსმენდა სარგის. გვალად ასასცა დიმიტრი მეფე-მან წარიყვანის ძე თვისი მცირე გიორგი ციხესა შინა ოშხასის და შემდგომად დიმიტრისა, ვითარცა წერილ არს ვახტანგ დაიპყრა კარნიფორიდამ დარუბანდამდე:

ხოლო მოკუდა სარგის-ჯაყელი ქს, ჩსმე, ქრ. ჟგ. შემდგომად მისსა დაიპყრა ძე-მან სარგისის-მან ბექამ სამცხე და მორჩილებდა ყეენსა: ესე ბექა უმეტესად განდიდნა სარგისსა-გან: ამ ბექას მოუწოდა მეფე-მან დავით ძე-მან დიმიტრისა-მან კურიკეკესა თვისსა ზედა. არამედ არა წარვიდა ბექა. გარნა წარუყვლინა ძე თვისი სარგის ძღვნითა დიდითა და წარუგზავნისაცა საჭურჭლენი დიმიტრი მეფისა: ხოლო შემდგომად განდგომისა დავით მეფისა-გან თათართა ამან ბექამ დაიპყრა ტაშისკარს ზეგით სამცხე და კლარჯეთი სრულიად და განდიდნა ფრიად. რამეთუ შეირთო ასული ამისა ბერძენთა მეფე-მან და მან მოსცა ბექას ტრაპიზონსის ქალაქი ქასნეთითურთ. არამედ ბექა უსმენდაცა დავით მეფესა და მორჩილებდა ყეენსა, ვითარცა აღვსწერეთ: შემდგომად მოკუდა ბექა ყოვლითა სიკეთითა აღმატებული ქს. ჩგზ. ქრ. ჟჲზ და დაიპყრეს ძეთა ბექასთა ყოველნი საქონებნი ქვეყანანი მამისა თვისისა: ხოლო შემდგომად დასჯდა რა მეფედ ბრწყინვალე გიორგი, ამას გიორგის მისცა ყეენ-მან ძენი ბექასნი და დაიპყრა ბრწყინვალემ მეფე-მან გიორგი მორჩილებასა შინა თვისსა ძენი ბექასნი და სრულიად სამცხე-კლარჯეთი: არამედ აქამომდე სარგის განდგომიდამ გარდახდეს წელნი ნ და შემდგომად ვიდრე ოთ მეფის გიორგისამდე იყო ყოველი სამცხე და კლარჯეთი და ძენი ბექასნი და ძის-ძენი მისნი ყოველნივე მორჩილებასა და ერთ-მეფობასა შინა ქართველთა მეფობასა შინა, ვითარცა აღვსწერეთ. ესრეთ რამეთუ მოკუდა სარგის ჯაყელი ძე ბექასი ქს. ჩკდ, ქრ. ჯბ და დასვა ბრწყინვალემ მეფე-მან გიორგიმ ყვარყვარე ძე სარგისის, მოკუდა ესე ყვარყვარე ქს. ჩმა, ქრ. შთ, დასვა ძე ყვარყვარესი დიდ-მან მეფე-მან ბაგრატ ბექა, მოკუდა ესე ბექა ქს. ჩჟა; ქრ. ოო. და დასვა ივანე ძე ბექასი დიდის ბაგრა-
233 ტის ძე-მან გიორგიმ. მოკუდა ესე ივანე ქს. ჩუმდ, ქრ. რლბ და დასვა აღბუღა ძე ივანესი მეფე-მან ვახტანგ, მოკუდა ესე აღბუღა ქს. ჩუნა, ქრ. რლთ და დასვა ოთ, მეფე-მან გიორგიმ ყვარყვარე ძის აღბუღასი. ხოლო აქამომდე იყუნენ ერთ-მეფობისა მორჩილებასა შინა ქართველთა მეფეთასა წელი რმე და ესრეთ დასხმიდიან და შესცვლიდიან, ვითარცა აღვსწერეთ

## წარმოსლვა ბაგრატიონთ ნათესავობისა-თჳს:

ხოლო უკეთუ ვინმე უცხოდ აღვიხსნელით ცხოვრებისა-გან რომელნი ჩვენ აქა ბაგრატიონის ნათესავ-ნამომავლობანი აღვსწერეთ. ამის-თჳს გვაქვს მისვე ცხოვრებისა-გან აღმოჩენილი მოწმობანი

და ვიმოწმებთ ესრეთ, რამეთუ პირველად წერილ არს ცხოვრებასა შინა, რამეთუ გურამ იყო ძის-წულისაგან მირდატ გორგასლანის ძისა, და იგიმცა ეს გურამ, რომელი გამეფდა შვიდთა ძმათა-განნი იყო, არღარა ასულის წული იქმნების ვახტანგ გორგასლანისა, ვინადგან სოლომონის ძვილის-ტომესა შინა არა ესვა ვახტანგ მეფის ასული ცოლად და არცა შვილნი იგი ძმანი ძენი სოლო-მონიანნი იყვნენ ასულის-წულნი ვახტანგ მეფისანი, რამეთუ გურამის მეფობამდე ვახტანგ მე-ფიდამ გარდახდენ წელნი ოვ, რამეთუ ვახტანგ მეფე გარდაიცვალა ქრისტ. ჳჟთ. ხოლო გურამ გა-მეფდა ქრ. ფოე. და მოკუდა მეფე გურამ ქრ. ქ. ამ რიცხვით იქმნებოდა გურამ ოდეს გამეფდა რა წლისა და ესე ურწმუნებელ არს: გარნა კუალად წერილ-არს კურაპალატობა მეფის გურა-მისა: ჭეცან, რამეთუ არა იგი შვიდთა ძმათაგანი იყო კურაპალატი. არამედ ესე გამეფებული გურამ; კუალად წერილ არს ცხოვრებასა შინა, რამეთუ არჩილ მეფე-მან მისცა გურამ კურაპა-ლატის ძმის ძის-ძეს ასული მირ მეფისა, ესე ცნან, რამეთუ შვიდთა ძმათაგანსა გურამს არა ესვა მამის ძმა, არცა მამის ძმის ძე, ვინადგან შვიდნი ძმანი მოვიდნენ და არა ბიძა ძმის-წულ-ნი. და უკეთუ სტეფანოზის ძის გურამ კურაპალატისას იტყვის ცხოვრება, არა ესვა გურამის ძესა დემეტრეს მთავრის სტეფანოზის ძმასა ძე, ვინადგან სნეულ იყო და უცოლო. არამედ იტყვის, რომელი გამეფდა მისსა ბაგრატის ძესა, რომელსა ესვა მამის ძმა, ვითარცა წარმოვსთქვით კუა-ლად იტყვის ცხოვრება ბაგრატიონობასა ამათსა, რამეთუ ესე გურამ არა მის ბაგრატისაგან იყო, რომელიცა შეიყვანა რაჟდენ დედოფალმან სიძედ, არამედ გურამისაგან ძმისა მისისა, რომელი მოვიდა ქართლს და ამისგან ჯერ-იყო გურამიანობა და არა ბაგრატიონობა და კუალად ამითიც საცნობელ-არს, რამეთუ რომელნი განვიდნენ კახეთს და კამბეჩოვანს არა ახსენებს ცხო-ვრება მათ ბაგრატიონად. გარნა არს ამ ბაგრატისაგან, ვითარცა აღვსწერეთ: ხოლო ვინადგან უწოდა ძმისა თჳსისა სახელი ძესა თჳსსა გურამ. ამის-თჳს შესცდა აღმწერი მის მიერის ბაგრა-ტიონობასა: კუალად მეხუთე ესეცა წერილ არს, რამეთუ დავით აღმაშენებელი იყოს მესამეოცდა-ათურამეტე ნათესავი დავით წინასწარ-მეტყუელისაგან, და უკეთუ ესრეთ არა იყოს, ვითარცა აღ-გსწერეთ, გურამ, ბაგრატ და გურამ მოაკლდების ორნი ნათესავი დავით წინასწარ-მეტყუელიდამ აღმაშენებლისამდე, და არღარა სწორე იქმნების თქმული. ამის აღმოჩენისა-თჳს ჭეშმარიტ არს აღწერილი ჩვენი და არა სხვისა. ხოლო ცხოვრებასა შინა მკითხველსა ჯერ-უჩნს ესრეთ განრჩევვითი გულის-ხმიერებით წარკითხვა:

## ც. ყვარყვარე ბ, დ წელი მთავრა:

ხოლო მოკუდა რა ათაბაგი აღბუღა ამან დაუტევა ძე თჳსი ყვარყვარე; არამედ ბიძა-მან აღბუღასა-მან ყვარყვარემ მოიპარნა მესხნი და ყაზირნი გიორგი მეფისანი და იქმნა გიორგი

მეფისა-გან შეწევნითა ფაშირთათა ათაბაგად: გარნა იყო ესე ყვარყვარე ქედ-მაღალი, დიდების-მოყვარე, მწურწნელი და მეშფოთე. გარნა ახოვანი და შემმართებელი: ამან ყვარყვარემ იწყო მობირვად მესხთა და ქვე-გამწვრეტელობა ფარულად გიორგი მეფისა, მერმე ეზრახა ერისთავთ-ერისთავსა იმერთასა ბაგრატს, რათა განდგეს იგი გიორგი მეფისა-გან და ამაზედ შეწე-ყოს ყვარყვარე ყოვლითა ძალითა თვისითა, ვინაჲ-გან ბაგრატსაცა ენება ამისი ყოფად: მსმენელსა ბაგრატსა სთნდა ესე, განიხარა და განდგა და დაიპყრა იმერეთი: მაშინ ამის-მან მსმენელ-მან გიორგი მეფე-მან უბრძანა ყვარყვარეს (რამეთუ ჰგონებდა სარწმუნოდ თვისად და არა მის მიერობასა) შემოკრებად სპათა სამცხე-კლარჯეთისათა და მოსვლა ფერსათის მთიდამ იმერეთსა შინა: ხოლო ყვარყვარე შემოკრებული სპითა წარვიდა ნელიად, რათა იხილოს მეფის გიორგისა და ბაგრატისა, თუ რაი იქმნების და აღვიდა მთასა ჩასლვად რა იმერეთს, ესმა ძლევა ბაგრატისა-გან გიორგი მეფისა, უკმოიქცა და მოვიდა სამცხესვე: ამის-თჳს ამან ყვარყვარე-მანცა იწყო განდგომად მეფის გიორგისა-გან და დამორჩილებად ერისთავთა ამ ქვეყნისათა სამცხე-კლარჯეთისათა: ამისი მსმენელი მეფე გიორგი მოვიდა სპითა სამცხეს: მაშინ ვერ წინა-აღუდგა ყვარყვარე ამ ქვეყნის ერისთავთ-გამო და წარვიდა იმერეთს წინაშე ბაგრატისა. ხოლო ბაგრატ შეიწყნარა შერითა გიორგი მეფისათა და შემდგომად თავრიჟ გილაქის მოსლვისა, მოჰყვა ბაგრატ სპითა თვისითა ყვარყვარეს და დაიპყრა კვალად ყვარყვარე-მ სამცხე-კლარჯეთი ქს. ჩუჲგ ქრ. რნა: ხოლო ბაგრატ უკუნ-იქცა იმერეთსავე. არამედ მოსცემდა ბაგრატ მარადის შეწევნასა ყვარყვარესა, რამეთუ ეშინოდა ყვარყვარეს ერისთავთა-გან ამ ქვეყნისათა, რათა არა მიერთვნენ კვალად გიორგი მეფესავე. ამის-თჳს ეზრახა გურიელს კახა-ბერს და მისცა აჭარა, ჭანეთი, რათა შეწე-ექმნას ერისთავთა ზედა ამის ქვეყნისათა: ესე განიხარა გურიელ-მან და მიიღო ქვეყანანი იგინი და ვინაჲ-გან ბაგრატცა შეწე-იყო ყვარყვარესი ამის მიერ მოვიდა გურიელი სპითა თვისითა და ბრძოდენ ერისთავთა, რომელნი არა ერჩდენ ყვარყვარეს: მაშინ ვიეთნიმე მოსრნეს, ვიეთნიმე დაიმორჩილნეს და ვიეთნიმე ივლტოდენ, ვითარცა ზაზა ფანასკერტელი წარვიდა ქართლს წინაშე გიორგი მეფისა და სხვანიცა: ხოლო ყვარყვარემ დაიპყრნა ქვეყანანი და ციხენი სამცხე-კლარჯეთისანი თვისად და უწოდა სახელითა თვისითა უმეტეს პირველისა საათაბაგო: ესე აღუძნდა ფრიად გიორგი მეფესა, შეკრებული სპითა მოვიდა და დასდგა ტბასა ფანავარსა ზედა. ეზრახა ათაბაგსა და მესხთა, რათა ჰყონ კვალად მორჩილება და არა განდგომილება და შეერთდნენ მასვე და ამით გარდაიბირვიდა მესხთა მეფე ყვარყვარესა-გან. ამის შიშისა-თჳს ყვარყვარემ შემწითა თვისითა დაესხა მეფეს გიორგის უგრძნეულად, მაშინ იძლია სპანი მეფისანი და შეიპყრა ყვარყვარემ მეფე გიორგი ფანავარსა ზედა ქს. ჩუჲე, ქრ. რნგ, წარიყვანა და პატიმარ-ჰყო მეფე
238 და უმეტესად დაიპყრა ქვეყანანი ესენი სრულიად და განამტკიცა საათაბაგოდ. არამედ შემდგომად მოკუდა ყვარყვარე ქს. ჩუჲვ, ქრ. რნდ:

## თ, ბაადურ, თ წელი მთავრა:

შემდგომად მისსა დაჯდა ძე ყვარყვარესი ათაბაგად ბაადურ: ამან ბაადურ იხილა რა განძლიერება ბაგრატ იმერთა მეფისა და დაიპყრა ხონთქარ-მან ტრაპიზონ-ასპირუმი და ეკირთებოდენცა ოსმალნი მცირედ მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა. ამის მიერ შეშინდა ბაადურ ათაბაგი. „უკეთუ განძლიერდეს ბაგრატ და ინებოს მანცა დაპყრობა საათაბაგოსი, ვერღარა წინა-აღუდგეს ბაადურ ბაგრატს ოსმალთა უცალოებისა-გამო და შეკრებისა ქვეყანსათათა და კვალად დაიმორჩილოს მის მეფობასა ქვეშე:“ ამის-თჳს ეზრახა ბაადურ გიორგი მეფესა. „რათა არღარა მოიხსენოს შური მამისა მისისა ყვარყვარესი და არცა-ღა მიუღოს მთავრობა იგი მისი. ამის პაემნითა განუტეოს მეფე და მორჩილ-ექმნას ბაადურ, მტერსა ზედა მოლაშქრედ და მივიდნენ და დაიპყრას მეფობა ქართლისა და ჰერ-კახთა:“ მსმენელ-მან გიორგი მეფე-მან ულონო-ქმნილ-მან მისცა პირი მტკიცე ამათ ყოველთა-თჳს: მაშინ შემოიკრიბა ბაადურ ათაბაგ-მან სპანი, შთავიდა გიორგი მეფე ბაადურითურთ და დაიპყრა ქართლი და ჰერ-კახნი. ხოლო ბაადურ უკუ-მოიქცა სამცხესვე: ამისნი მხილველნი მესხნი განუტევებდენ მეფესა თვისსა და დაემორჩილებდენ ათაბაგსა, რამეთუ მისცემდა მთავართა კერძოთა თვისთა ადგილებთა სახასოთა მეფისათა და მონასტერ-ეკკლესიათა და მოიმტკიცებდა სარწმუნოდ თვისად ათაბაგი:

ხოლო შემდგომად მოკუდა რა მეფე გიორგი დაჯდა მის-წილ ძე მისი კონსტანტინე: ამან მიუწოდა ათაბაგს ბაადურ კურთხევასა ზედა თვისსა. გარნა ათაბაგ-მან არა ინება წარსლვად. არამედ ეპისკოპოსნი ეტყოდენ: „არა ძალ გვიძს, რათა არა მივიდეთ, რამეთუ ვართ კურთხევასა ქვეშე კათალიკოზისასა:“ ამის-თჳს მისცა ნება ათაბაგ-მანცა და წარვიდნენ და მათ-თანა ვიეთნიმე მესხნიცა მტკვრის-აღმოსავლეთისანი: ხოლო ესე აღუძნდა ბაადურ-ათაბაგსა და იწყო შემცირებად ეპისკოპოსთა და მიხმად მამულთა და განადიდებდა და უფროსად პატივს უყოფდა მთავართა ეპისკოპოსთა-გან: არამედ ჯავახეთი და მტკვრის-აღმოსავლეთი რომელიმე ეპყრა კონსტანტინე მეფესა და ოდესმე მწე-ექმნებოდამცა ბაადურ-ათაბაგი კონსტანტინე მეფესა ფიცისა-თჳს გიორგი მეფისა და თვისად, განიმაგრებდა სამცხეს. შემდგომად მოკუდა ვითარებასა ამასა შინა ბაადურ ათაბაგი წლისა კა, ქს. ჩუოე, ქრ. რჲგ:

## ი, მანუჩარ ა, იბ წელი მთავრა:

შემდგომად ბაადურისა დაჯდა ათაბაგად მანუჩარ ძე ყვარყვარესივე და ძმა ბაადურისა: ამან მანუჩარ სრულიად არღარა ინება სათნო და მწეობა კონსტანტინე მეფისა და შლილობასა შინა იმერთა-თანა და მოსლვასა უზუნასან ყეენისასა მიუხვნა ამან მანუჩარ კონსტანტინე მეფესა მტკვრის-

ალმოსავლეთი და დაიპყრა თვისად: ხოლო შემდგომად რა დაიპყრა კონსტანტინე მეფე-მან იმერეთი შეიკრიბა სპანი, მოჰყვა დადიანიცა და ქართლიდამ მოუხდა ჯავახეთს ქს. ჩუპა, ქრ. რჲთ: მაშინ მანუჩარ ვერ წინა-აღუდგა. არამედ განამაგრნა ციხენი და სიმაგრენი საათაბაგოსანი: ხოლო მეფე-მან კონსტანტინემ მიუხვნა კვალად მტკვრის-ალმოსავლეთისანი სრულიად და უკუნ-იქცა ქართლსავე: შემდგომად იხილა შფოთება იმერთა კონსტანტინე მეფესა ზედა მანუჩარ ათაბაგ-მან, შეიკრიბა სპანი და წარუხვნა კონსტანტინე მეფესა მტკვრის ალმოსავლეთი კვალად: ამისი მსმენელი მეფე კონსტანტინე მოსწრაფებით მოვიდა სპითა: გარნა მანუჩარ კვალად არა ინება ბრძოლა მეფისა. არამედ ყვარყვარემ ბიძის ძის-ძე-მან მანუჩარისა-მან სთხოვა, რათა იგი ეწყოს მეფესა და მიეგება ესე ყვარყვარე ნებითა მანუჩარისათა მეფესა სპითა თვისითა, ეწყო ძლიერად და იძლია მეფე კონსტანტინე ყვარყვარესა-გან ქს. ჩუპბ, ქრ როა: და მოვიდა გამარჯვებული ყვარყვარე: მაშინ მეფე კონსტანტინე ეზრახა ერთობა-მორჩილებასა. არამედ მანუჩარ ყვარყვარეს-გამო არა ინება:

ხოლო წელსა ქს. ჩუპგ, ქრ. როდ მოვიდა იაკუბ ყეენი, გამოვლო აბოცი და მოადგა ახალ-ქალაქს და აოხრებდა გარემოთა ქვეყანათა მოწყვეტითა და ტყვე-ყოფითა: ამას მანუჩარ ვერ წინ-აღუდგა და ვერღა-რასმე ავნებდა სპათა მისთა. გარნა მცდელობდა მაგრებასა ციხე-ქვეყანისასა: არამედ ყეენ-მან მცირეს ხანსა შინა შემუსრა ახალ-ქალაქი და გამოიყვანნა მუნით მესხნი წარჩინებულნი და ტყვენი მრავალნი მუსრ-მყოფნი სრულიად. მერმე მოსწვა ქალაქი და მუნიდ-გან მოადგა ახალ-ციხეს. აღიღო იგიცა და უყო ეგრეთვე მასცა. შემდგომად მოადგა აწყუერსა და შეამჭირვა ფრიად. მაშინ მოქალაქეთა ვერა-რისა შემწისა მპოველთა ითხოვეს ზავი ყეენისა-გან, რათა არა ტყვე-ჰყვენ და არცა შემუსრონ ეკკლესია, მისცენ ქალაქი ყეენსა: ამისთჳს ყეენ-მან მისცა პირი მტკიცე, ვინად-გან მესისხარებდა ჭაჲრი და მისცეს მოქალაქეთა აწყუერი ციხით სეკდემბერს კე: არამედ რა მოვიდნენ სპანი ყეენისანი მოწყვეტილნი ქართლის-სომხითიდამ, განრისხნა ყეენი და არღა-რა აღუსრულა პირი მესხთა, ტყვე-ჰყვნა აწყუერისანი სრულიად და აწყურის ღუთის-მშობელი. მერმე კვალად მოაოხრა ქვეყანა ესე და დაუტევა ეკკლესია აწყუერისა უვნებელად. უკუნ-იქცა და წარვიდა: ხოლო მანუჩარ ათაბაგსა აღუძნდა დატყვევება აწყუერისა ღუთის-მშობლისა, წარავლინა ვეცხლი დიდ-ძალი და დაიხსნა და დაასვენა აწყუერსავე. არამედ შეიჭირვებდა მოოხრებისა-თჳს ქვეყნისასა და შიშობდა კონსტანტინე მეფისა-გან შურის-გებისა-თჳს და ამაგრებდა ციხე-სიმაგრეთა. არამედ შემდგომად მოკუდა მანუჩარ ათაბაგი ქს. ჩუპჱ. ქრ. როე:

## ია, ყვარყვარე გ, იგ წელი მთავრა:

და დაჯდა შემდგომად მანუჩარისა ათაბაგად ძე აღბუღა ათაბაგისა ყვარყვარე წლისა ნი:
ამან დაიპყრა სრულიად საათაბაგო, რამეთუ იყო ესე მშვიდობის-მოყვარე, გარნა მხნე, ახოვანი
და შემმართებელი: ხოლო წელსა ქს. ჩუჟ, ქრ. როჱ, ეზრახა ამას მეფე კონსტანტინე, რათა
შეერთდნენ, ანუ მისცეს შეწევნა თათართა ზედა. არამედ არა ინება ყვარყვარემ: შემდგომად ამისა
მოკუდა დედისიმედი ქს. ჩუჟა: ქრ. როთ, დეკემბერს იდ: ხოლო შემდგომად წარსლვისა
თათართაგან ქართლიდამ იხილა კვალად განძლიერება მეფისა კონსტანტინესი ყვარყვარემ ეზრახა
და დაეზავა და ქმნა მშვიდობა მის-თანა: შემდგომად კვალად ამავ მეფისა კონსტანტინეს ჟამსა
შინა იყო ვინმე ვაჭარი მესხი შაქს ყიდვავად აბრეშუმისად. არამედ შეექმნათ ლალვა და შფოთი 239
მუნებურსა მედუქნესა და მესხსა მას, მრე-ექმნა შაქელი და გვემა მესხი იგი: მაშინ მესხ-მან
აქადა სიმხნე და ძალი ათაბაგისა და დასთხოვა მუქარა: ამის-თჳს განრისხა შაქელი და უწყალოდ
ჰგვემა მესხსა, მიუხვნა ქონებანი და განაძო მეტყველ-მან: ,,არ მიმიბას უური სამსჯავლითა დუ-
ქანსა ჩემსა და მიცეს წიხლი დარბაზსა ამას ჩემსა ათაბაგ-მან შენ-მან ამის-თჳს:" ხოლო ულო-
ნო-ქმნილი და მტირალი მესხი იგი მოვიდა წინაშე ათაბაგისა და მოუთხრა ყოველი ყოფილი:
მსმენელ-მან ათაბაგ-მან დაიდუმა ჟამ-ერთ. მერმე შემოიკრიბნა სპანი, აღმოარჩია მათ შორის ფ
ქაბუკნი და დაუდგინნა მათ თავად მოხუცებულნი, გამოცდილნი ბრძოლათა შინა და შესხნა სრუ-
ლიად იგინი ურახ კვიცთა ზედა, წარვიდა და განვლო მათით ღბანის-ხევი, განვიდა მტკვარს და
მივიდა შაქს უცნობლად და უეცრ ყოველნივე თქმულნი ვაჭრისა შაქელსა მას ვაჭარსა სრულიად
და მისცა მესხსა ქონება თვისი, გარნა სხვა არა რაი ავნო ქვეყანათა და მოქალაქეთა, მოიქცა,
შემოვლო ყარაია, გამოვლო მუხრანი, და რა მოვიდა შიდა-ქართლს ჰსცნა ესე ციციშ ციცი-
შვილ-მან, აცნობა შიდა-ქართველთა, შემოკრბენ და მოეწივნენ ათაბაგს, ვითარცა მდევარნი:
მხილველ-მან ათაბაგ-მან მიუვლინა მეტყველ-მან: ,,რამეთუ არა რაი მივნიეს ესოდენთა ქვეყანათა,
ვიდრე ქათმისამდე. არამედ უმეტესად განვადიდე სახელი ქართველთა, ვინად-გან უმტერე მტერსა.
ამის-თვის ჯერ არს თქვენდაცა სიხარული, რამეთუ ვარ მკვიდრი და მონათესავე თქვენი, აწ
მიტევეთ, რათა წარვიდე მშვიდობით:" მსმენელთა ამისთა ქართველთა მოევლინათ მროველ ეპი-
სკოპოსი და მოეთხრათ: ,,ანუ მოვედ და მორჩილ-ექმენ მეფესა ჩვენსა, ვინად-გან ხარ მკვიდრი,
ანუ შეგიპყრობთ, რამეთუ ჴელთა შინა ჩვენთა ხარ:" ამას შეპყრობასა ათაბაგი უარ-უთქმიდა
და ცდასა ამისსა ცუდსა და ეტყოდა მშვიდობასავე: მოუგო მროველ-მან: ,,არა უწყი, რამეთუ
ძალი ხსავს ალმართისა:" ამის-თჳს მიაქცივა ათაბაგ-მან მროველი ბრძოლისა პირსა ზედა, მაშინ
ვე მოეტევნენ ქართველნი, და აქით ეგვთნენ მესხნი არადეთის გორასა ზედა (რომელსა მიერ
ჟამითგან ეწოდა ცეცხლის-კუჭარი ფიცხელ ძრიელისა ბრძოლისა-თჳს), და იქმნა ბრძოლა სასტიკი,
რამეთუ არა დაშთნენ მესხნი, რომელი არა დაიკოდა, ანუ არა დაჭრილა, და თვით ათაბაგ-მან მო-

ჭკვეთა მკლავი კელ-ნავიანად: კვალად ჭკრა შუბი შალიკა შვილ-მან მაჩაბელსა და გარდააჭრუნა ცხენიდამ და შესძახა: ,,აწყვრის ღუთის-მშობელ-მან, თუმცა ურას კვიცს არ მჯდარ ვიყავ გამეთხარამცა შენით კერძ:" მაშინ მაჩაბელ-მან მხოქარე-მან მოუკრა ხრმალი და წარ-უკვეთა კისერი ცხენსა მისსა და დაასხ ხრმალი უნაგირისა ტახტასა მეტყველ-მან: ,,სპარმან წმიდა-მან გიორგი-მ, არა-თუმცა ყოფილ-ვიყავ ნამოვარდნილი შუამცა-განმეკვეთე (არამედ იქმნენცა სხვანიცა მრავალნი სახსოვარნი, გარნა სიგრძისა-თჳს დავიდუმეთ)." ხოლო იძლივნენ ქართველნი და შეიპყრეს მროველი და-უწყეს თრევა მეტყველთა: ,,უკეთუ ხნავს ძალი აღმართსა, ნებამ დაივარცხოს თავდაღმართი, ვინად-გან არა ჭყო მღუდელთ-მთავარ-მან მშვიდობა მიაგეს ქსრეთ. არამედ ათაბაგი მოვიდა გამარჯვებული სამცხეს და შემდგომად ამისა მიავრობდა მშვიდობით და სიყვარულითა და ერთობითა მეფეთა-თანა: ხოლო მოკვდა ყვარყვარე ათაბაგი წლისა ჲბ, ქს. ჩფ, ქრ. რპჱ, იანვარს ა:

## იბ, ქაიხოსრო ბ, ა წელი მთავრა:

შემდგომად მისსა დაჯდა ათაბაგად ძე ყვარყვარესი ქაიხოსრო. ამან ქაიხოსრომ იწყო მეგობრობა გარემოთა მისთა მეფეთა და დაიპყრა საათაბაგო და განაგებდა მორჩილებასა შინა თვისსა. არამედ ჟამსა ამისსა იწყეს კირთება აზრუმ-ტრაპიზონის ფაშათა საათაბაგოსი და ჭანეთისა, და აშვიდებდა ქაიხოსრო ათაბაგი მორჩილებისა პირსა ზედა, და სძღნობდა მარადის: გარნა მოკუდა ქაიხოსრო ათაბაგი წლისა ნგ, მაისს გ. ქს. ჩფბ. ქრ. რჟ:

## იგ, მზე-ჭაბუკი დიდი, იდ წელი მთავრა:

ამის ქაიხოსროს შემდგომად დაჯდა ძე ამისი ათაბაგად დიდი მზე-ჭაბუკ, დაუზავა მეფესა კონსტანტინეს და პატივ-სცემდა და ჰსმენდა. არამედ გურიელს კნინღა თუ მიუღეს ოსმალთა ჭანეთი: ხოლო ესე მზე-ჭაბუკ დაუზავა ოსმალთა მორჩილებისა პირსა ზედა. ამით მიუხჳნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თვით: ხოლო შემდგომად წელსა ქს. ჩფლბ, ქრ. სკ, წარმოავლინა სულტან სულეი-მან სარასკარი, რომელ-არს თავი სპათა ანუ სპასალარი, სპითა დიდითა და ძლიერითა დაპყრობად გიორგისად: ესენი მოვიდნენ და მოადგნენ საათაბაგოს: მაშინ მზე-ჭაბუკ განამაგრნა ციხენი და სიმაგრენი და დახიზნნა ხიზანნი და თვით განზრახვითა მესხთათა ეზრახა სარასკარსა და მივიდა წინაშე მისსა. ხოლო სარასკარ-მან პატივით შეიწყნარა და ითხოვა მზე-ჭაბუკისა-გან საზრდელი და ყოლაუზობა იმერეთსა ზედა: ამან მზე-ჭაბუკ აღუსრულნა ყოველნი და წარუძღვა იმერეთს. ნავიდნენ და ჭყვეს რა იგი აღვსწერეთ, და კვალად

უკმოქცეულთა გამოვლეს სამცხე-საათაბაგო უვნოდ ოსმალთა და წარვიდნენ: ამით დაეზავა ესე მზე-ჭაბუკ ოსმალთა და აღუთქვა მორჩილება და მსახურება. მერმე კვალად დააშენნა ხიზანნი და აღაშენა საათაბაგო და მართვიდა კეთილად: ესე მეგობრობდა დავით მეფესა ქართველთასა. არამედ ამას დიდს მზე-ჭაბუკს ამის-თვის უწოდდენ, რამეთუ დღეთა თვისთა არა აღაფრინდა ქათამიცა უსამართლოდ საათაბაგოსა შინა და სცხოვრებდა თვისთა მეზობელთა-თანა სიყვარულითა და მეგობრობითა: კვალად უკმოიხვნა საათაბაგოსნისა ყოველნივე და დაიპყრა თვითვე. კვალად მძლავრთა ოსმალთა და ეწყო და ჰყო ქვეყანა მათ-გან უვნოდ: შემდგომად მოკუდა დიდი მზე-ჭაბუკ ქს. ჩფიგ, ქრ. სდ:

---

## იდ, ყვარყვარე დ, ით წელი მთავრა:

დაჯდა შემდგომად მზე-ჭაბუკისა ძე ამისი ყვარყვარე ათაბაგად: ესე ყვარყვარე დაემეგობრა უმეტეს ყოველთა დავითს ქართველთა მეფესა: ხოლო წელსა ქს. ჩფკ, ქრ. სჲ მოვიდა სპა ხონთქრისა და მოადგა საათაბაგოს. არამედ ყვარყვარე ათაბაგ-მან განამაგრა ციხე-სიმაგრენი საათაბაგოსანი და დახიზნა ხიზანნი: მაშინ ოსმალთა რა ვერღა-რა რაი ჰპოვეს სამცხეს, გარდავლეს სამცხეს და შთავიდნენ თრიალეთს და მერმე ქართლს და მუნ მოსწყვიდნა დავით მეფე- 240
მან და ლტოლვილთა გამოვლეს კვალად საათაბაგო: ამათ ყვარყვარე ათაბაგ-მან არა რაი ავნო, არამედ მისცნა საზრდელნი და განუტევნა მშვიდობით: ამისა შემდგომად ამან ყვარყვარემ მისცა შეწევნა სპითა მეფესა დავითს შაჰ-ისმაილსა ზედა. ხოლო მოადგა რა შაჰ-ისმაილ ტფილისს, ამან წარმოავლინა სპასპეტი თვისი დევალ მარბიელობითა და მოსრნა და მოსტყვევნა სამცხე. არამედ ყვარყვარემ ვერა რაი ავნო, რამეთუ მსწრაფლადვე უკუნ-იქცნენ: ამანვე ყვარყვარემ ოდეს მოვიდა მაწვეველი ხონთქრისა მეფეთა-თანა დაპყრობად იერუსალიმისად, აღირჩია ქართველთა მეფე გიორგი და მივიდა მის-თანა სპითა თვისითა, მიჰყვა მას იერუსალიმს და მოიქცა მისთანვე გამარჯვებული: არამედ შემდგომად ამისა მოიხსენა შური იმერთა მეფე-მან ბაგრატ მზე-ჭაბუკ ათაბაგისა, რაჟამს მიჰყვა ოსმალთა იმერეთსა ზედა და კვალად ყვარყვარესიცა, რამეთუ მიჰყვა გიორგი მეფესა იერუსალიმს და არა ბაგრატს. და კვალადცა იხილა შევება სამცხისა შაჰ-ისმაილისა-გან და მოოხრება, რამეთუ მოკუდაცა გიორგი მეფე ქართველთა. ამის-თჳს ეზრახა დადიანს-გურიელსა და აღუთქვა გურიელსა, რომელიცა ეპყრა პირველ სამცხისანი. ესე განიხარა გურიელმან და მიერთო ბაგრატს: ხოლო დადიანი უნებლიეთად შიშისა-თჳს მოერთო იგიცა ბაგრატს: ამათ ყოველთა შეკრებულთა გარდმოვლეს მთა-ფერსათისა სპითა სრულიად იმერეთისათა, რათა დაიპყრას სამცხე ბაგრატ და შურ-აგოს ათაბაგსა ყვარყვარეს: მცნობ-მან ყვარყვარემ შემოიკრიბა სრულიად სპანი საათაბაგოსანი, და ეწყვნენ ურთიერთს მურჯახეთს და იქმნაცა ბრძოლა ძლი-

ერი, ქს. ჩფლე, ქრ. სკგ, და მოსწყდნენ ორგნითვე ურიცხნი. არამედ შემდგომად იძლია ათაბაგი ყვარყვარე, შეიპყრეს ყვარყვარე და მიართვეს ბაგრატს. ხოლო ბაგრატ პატიმარ-ჰყო ყვარყვარე იმერეთს და მოკუდა პატიმრობასა შინა ყვარყვარე ათაბაგი:

## ბაგრატ მეფე-მან იმერთა-მან დაიპყრა სამცხე:

და ბაგრატ მეფე-მან დაიპყრა სამცხე თვისად და იყოფებოდა სამცხეს. მაშინ მისცა გურიელს აღთქმულნი აჭარა და ჭანეთი. წარვიდა გურიელი და დაიპყრა მან იგინი: არამედ შალიკა შვილ-მან ოთარ-მან წარიყვანა ქაიხოსრო ძე ყვარყვარე ათაბაგისა სტამბოლს და აუწყა ყოველი ყოფილი ბაგრატისა-გან ხონთქარსა, რამეთუ სამსახურისა მისისა-თჳს უყო ბაგრატ ესე ყოველი, ოდეს ჩაუძლვა იმერეთს ათაბაგი სპათა მისთა: ამის-თჳს განრისხნა სულტანი სულეიმან და წარმოატანა მუსტაფა ფაშა სპითა დიდითა და ზარბაზნებითა დიდ-დიდითა და რა მოვიდნენ ესენი, ეწყო ამათ ბაგრატ-გურიელით, აოტნა და მოსრნა ოსმალნი ქს. **ჩფმა**. ქრ. **სკთ**: ხოლო ქაიხოსრო და ოთარი ლტოლვილნი წარვიდნენ კვალად სტამბოლს. ამისი მსმენელი სულტანი განრისხნა მოწყვეტისა-თჳს სპათა თვისთა და წარმოავლინა აზრუმისა და დიაბექირის ფაშანი სპითა სუაზის აქათითა და ქაიხოსრო და ოთარი მათ-თანავე: ხოლო ესერა ჰსცნა ბაგრატ მეფე-მან მოიყვანა მეფე ლუარსაბ და ეკვეთა ბაისანს სოხოისტასა ზედა ოსმალთა ქს. **ჩფმე**, ქრ. სლგ: მაშინ იძლივნენ საქართველოსანი მუხთლობითა მესხთათა, რამეთუ არღა-რა მწყალუჩნენ მცილებლობისა-თჳს მეწინაობისა და წარვიდნენ ლტოლვილნი მეფენი თვის-თვისად. ხოლო ოსმალნი შემოვიდნენ და დაიპყრნეს ციხენი საათაბაგოსანი განზრახვითა ოთარ შალიკა შვილისათა, რამეთუ ეტყოდა ოსმალთა ,,უკეთუ დაიპყრათ ციხენი გერჩდენ ქრისტიანნი ესე საუკუნოდ, ვინა-გან ეშინოდა ბაგრატისა-გან კვალად დაპყრობისა, რამეთუ ბაგრატს ჰყვა მწედ მეფე ქართლისაცა:"

## ოე, ქაიხოსრო ბ, კჱ წელი მთავრა:

მაშინ მოსცეს ოსმალთა ათაბაგობა ქაიხოსროს და თვით წარვიდნენ: არამედ ამცნეს ათაბაგსა მტერობა ყიზილბაშთა. ხოლო ქაიხოსრო ათაბაგი ესიძა ვახტანგს მუხრანის ბატონსა და მოიყვანა დაჲ მისი დედის-იმედი და იქორწინა მის-თანა. გარნა ოსმალთა წესისა მათისა-ებრ იწყეს მძლავრებად ქრისტიანეთა: შეუძნდა ესე ქაიხოსროს ათაბაგსა და ოთარს და განმზრახველთა თავისუფლებისა-თჳს თვისთა მიუწერეს შას-თამაზს ყეენსა: ,,რამეთუ არს ქრისტიანნი ჩვენი სპარსთა, აწ ვინად-გან მოგეცა ძლევა, მოვედ, ჩვენ მოვსრათ ოსმალნი ძალითა შენითა და დაიპყრა

ქუეყანა ესე:“ მსმენელი შაჰ-თამაზ წარმოემართა. ხოლო ესე ყოველი მიესმა სულტანს სუ-ლეიმანს ხონთქარსა და მოვიდა იგიცა მოსრვად სამცხისად: ამისნი მხილველნი ქაიხოსრო და ოთარი შეშინდნენ და იხმიეს ხვარჯი და მიუწერეს შაჰ-თამაზს ვედრებითა დიდითა, რათა მოუ-წეროს ამათ წიგნი რისხვისა: ესე უსმინა შაჰ-თამაზ, ვინად-გან არა ენება ბრძოლა ხონთქრისა, რამეთუ არა ძალ-უდვა მაშინ წინა-აღმდგომა მისი და მოუწერა ოთარს: „ვინად-გან მიეც ქუეყანა ჩემი ოსმალთა, ამის-თჳს მოვიდე და მოვსრა ქუეყანა შენი და შენცა ვერ-ვინ განგარინოს ჴელთა-გან ჩემთა, მოგკვეთო თავი და მივსცე მძორი შენი ძაღლთა:“ ხოლო ოთარ-მან წიგნი მსწრაფლ წარუვლინა სულტანსა მეტყუელ-მან: მოგეც ქუეყანა ციხეებითურთ და დაგემორჩილენით ყოველნი. ამის-თჳს ამისი მცნობელი ყეენი მოსრულ-არს მტერად ჩუენდა და აწ თქუენცა გნებავსთ მოწყუედა ჩუენი, რომელნი ველოდით მოწყალებასა. აჰა წიგნი შაჰ-თამაზისა, უკეთუ ვართ რი-სამე შემცოდენი:“ ამისი მხილველი ხონთქარი განკჳრდა, მოსცა ათაბაგს შეწევნა და თჳთ წარვიდა და დაშთა ქუეყანა უვნოდ, ვინად-გან შაჰ-თამაზცა უკუნ-იქცა სპარსეთად: ხოლო წელ-სა ქს. ჩფმვ, ქრ. სლდ, კუალად მოვიდა ბაგრატ იმერთა მეფე. არამედ ვერღა-რა დაიპყრა სამცხე განა წაასხენა აწყურის ღმრთის-მშობელი ციხე-ჳზგარს და წარვიდა თჳთცა. მერმე ტყუე-ჰყო ლევან დადიანი: მაშინ შეუჩინა ქაიხოსრო ათაბაგ-მან ჩხეიძე ხოფილანდარი: ამან გამოაპარა ლევან დადიანი და მოიყვანა სამცხეს. ამის-თჳს ეზრახა ათაბაგი გურიელსა, რათა მისცეს გზა ლევანს დადიანს. ხოლო გურიელ-მან სიხარულით წარიყვანა და ჰყვეს დადიანად ლევან ოდიშსავე:

ხოლო წელსა ქს. ჩფმზ, ქრ. სლე ლუარსაბ ქართველთა და ლევან კახთა მეფენი მტერობდნენ
სპარსთა: ამას ზედა შეიზრახნეს ქართველნი, კახნი და მესხნი და დაუწყეს რბევა და ტყუევნა ადერ- 241
ბაგანსა მრავალთა ჟამთა. ვინად-გან შაჰ-თამაზ იყო ქუემოდ უცალოდ: ამისა შემდგომად მოვიდა შაჰ-თამაზ, აღიღო ტფილისი ქს. ჩფმჱ, ქრ. სლვ. და ტფილისიდამ ეზრახა ქაიხოსრო ათაბაგსა, რათა მისცეს ასული თჳსი ცოლად. არამედ ათაბაგს არა ესვა ასული, გარნა მისცა ასული ოთარ შალიკა შვილისა, რამეთუ ნათესავი ახლოს იყო ქაიხოსროსი: ამით დაემზახლა შაჰ-თამაზ და მოსცა ნიჭი დიდ-ძალი ყეენ-მან ათაბაგსა და წარვიდა სპარსეთად, რამეთუ ჰყო ესე ყეენ-მან ძმაცვით საქართველოთა შინა: მერმე ამის მიზეზისა-თჳს ეზრახა მეფე ლუარსაბ იჯუს შერმაზანს და ვახუშტ დიასამიძეს და ამოვან მესხთა. მოვიდა და მიუღო ათაბაგს ჯავახეთი და და მტკვრის აღმოსავლეთის კერძი და დაიპყრა თჳთ: კუალად ქმნა ხონთქარსა დამოყვრება ქაი-ხოსრო ათაბაგისა და ყეენისა. ამის-თჳს წარმოავლინა სპანი, მოვიდნენ და დაიპყრეს ქუეყანა ტაოსი სრულიად ქს. ჩფნ, ქრ. სლჱ: ამასვე წელსა უშვა დედის-იმედ-მან ქაიხოსროს ძე მა-ნუჩარ: შემდგომად კუალად მოვიდნენ ოსმალნი და დაიპყრეს არტანუჯი არსიანამდე: კუალად დაიპყრეს ფარაკანი და სრულიად არტანი და აღაშენეს ფარაკანი ქს. ჩფნბ ქრ, სმ: არამედ სამ-ცხეს ვერ გარდმოვიდნენ ძალითა აწყურისა ღმრთის-მშობლისათა და ამაგრებდაცა ქაიხოსრო ყოველთა

და აცნობა ესე ყოველნი ქმნილნი მეფის ლუარსაბისა-გან და ოსმალთა-გან შაჰ-თამაზს და კვალად მომავალობა ისკანდარ აზრუმის ფაშისა:

## ა მოსლვა შაჰ-თამაზისა.

მსმენელი შაჰ-თამაზ, ვინადგან წარმოავლინებდა სპათა შირვანსა ზედა, თვით წარმოემართა, მოვიდა, შემუსრა შაქი, შემოვლო ქართლი, მიეგება ქაიხოსრო ათაბაგი, ჩამოვიდა ყუენა, აღიღო ვარძია, თმოგვი, ვანის-ქვაბნი, ასპინძა, ვარენთა და სრულიად სამცხის ციხენი და აწყვერის ღმრთის-მშობელი ტყვე-ჰყო. არამედ ციხენი მოსცა ქაიხოსრო ათაბაგსა და კვალად გუდრებითა მოსცა აწყვერის ღმრთის-მშობლისცა: ხოლო უღონო-ქმნილი იესე და შერმაზან და ვახუშტ და ამოვან მიენდვნენ ყუენსა: მან შეიპყრნა იგინი, მოჰკლა იესე და შერმაზან და ვახუშტ და ამოვან წარიყვანნა ტყვედ განზრახვითავე ათაბაგისათა, რამეთუ ბრალეულ-ჰყოფდა მათ ქაიხოსრო: უკუნ-იქცა ყუენი, ჩავლო ერევანი და წარვიდა სპარსეთად ქს. ჩჳნგ, ქრ. ხმა: ამასვე ქორონიკონსა მოვიდა იმერთა მეფე გიორგი, მოარბია და მოსწვა სამცხე, ტყვე-ჰყო აწყვერისა ღმრთის-მშობელი, წაასვენა და წავიდა: შემდგომად მოვიდა სულტანი სულეიმან, აღაშენა კარი, მოსრნა ურნნი, უკუნ-იქცა და დასდგა ბასიანს ქს. ჩჳნდ, ქრ. ხმდ: ამას მოუდგა შაჰ-თამაზ და დასდგა არტანს. ხოლო სულტან სულეიმან წარვიდა სტამბოლს:

## ბ მოსლვა შაჰ-თამაზისა:

მაშინ შაჰ-თამაზ წარავლინა ძე თვისი ისმაილ, ამან გარდმოდგომითა აღიღო კარი, შემუსრნა, მოსწყვიტნა და მოსწვა ცეცხლითა: არამედ შაჰ-თამაზ შემუსრნა ციხენი სამცხისანი, მოსრნა და განასხნა ოსმალნი, მოაოხრნა ეკლესიანი, შემუსრნა ხატნი და ჯვარნი და მოსცა ქვეყანა ქაიხოსრო ათაბაგსა: მერმე აქედ-გან უკუნ-ქცეულ-მან ტყვე-ჰყო დედა ლუარსაბ მეფისა და წარვიდა თვისად: მაშინ მოვიდნენ ხიზნად აწყვერს ძმანი დედის-იმედისანი, ვახტანგ, არჩილ და აშოთან და განერნენ აქა: ხოლო წელსა ქს. ჩჳკბ, ქრ. ხნ ზავ-ჰყვეს იმერთ მეფე-მან გიორგიმ და ქაიხოსრო ათაბაგ-მან, მოსცა აწყვერის ღმრთის-მშობელი და მოასვენეს აწყვერსავე: შემდგომად წარავლინა ქაიხოსრო ათაბაგ-მან ყვარყვარე ძე თვისი ოდიშს. მოსცა ლევან დადიან-მან ასული თვისი მარეხ და იქორწინა მუნვე ქს. ჩჳკდ, ქრ. ხნბ, და წელსა მეორესა მოიყვანა ყვარყვარემ ცოლი თვისი სამცხეს: ამავ წელსა უშვა მარეხ ყვარყვარეს ძე ქაიხოსრო. არამედ უკეთუ ათაბაგობდა ქაიხოსრო, გარნა ტაო, შავშ-კლარჯეთი ეპყრათ ოსმალთა და ხედვიდა ქაიხოსრო მძლავრებასა და კირთებასა მათ-გან ქვეყანათათა და ვერა რაისა შეწევნისა მპოვნელი ცნობად

მათდა, ამის-თჳს წარვიდა წინაშე შაჰ-თამაზისა, რათა მოჰგვარს ძალი მის-გან ქს. **ჩჳო**, ქრ. **ჩნტ**, მისრული ყეენ-მან პატივით შეიწყნარა და იყოფებოდა მუნ: ხოლო აქა ძე-მან ქაიხოსროისმან მზე-ჭაბუკ იქორწინა გურიელის გიორგის ასულს როდამს ზედა ქს. **ჩჳოა**, ქრ. **ჩნთ** და მეორესა წელსა მოკვდა მზე-ჭაბუკ: ხოლო ქაიხოსროის ათაბაგისა-თჳს აღუთქვა შაჰ-თამაზმა შეწევნა და ნიჭყიდა ნიჭითა დიდ-დიდითა. არამედ ყაზმინს ყოფასა შინა მოკვდა ქაიხოსრო ათაბაგი ქს. **ჩჳოგ**, ქრ. **ჩჲა**, და დაუტევა ძენი ყვარყვარე, მანუჩარ და ბექა:

## ივ, ყვარყვარე ე, თ წელი მთავრა:

დაჯდა ყვარყვარე ათაბაგად ძე ქაიხოსროსი და ათაბაგობდა: არამედ დედი-იმედი დედა მისი იყო პირველ და აწცა და ვარაზა ოთარ შალიკას შვილის ძე მოქმედნი ყოვლისავე, რამეთუ ესე დედის-იმედი იყო ამაყი, გლისპი, მრისხანე და გაუსინჯავი, რამეთუ მოვიდა რა შაჰ-თამაზ განრისხებული კახ-ბატონს ალექსანდრესა ზედა განჯას. მაშინ ჰყო ხრიკი ოთარ ჩოლაყაშვილ-მან, ვითარცა აღვწერეთ. ამან დედის-იმედ-მან არღა-რა გამოიკითხა გლისპობით ზაკვა იგი, შეიპყრა ვარაზა და მოჰკლა იგი, რამეთუ ესე ვარაზა იყო ცოლის ძმა შაჰ-თამაზისა:

## გ მოსლვა შაჰ-თამაზისა:

ესე ჰსცნა შაჰ-თამაზ, დაუტევა კახეთი და მოუხდა სამცხეს, მოსწყვიტნა და მოაოხრნა, ტყვე-ჰყვნა. გარნა უმეტეს ოცხე. ხოლო დედის-იმედი და ძენი მისნი გარდაიხვეწნენ აჭარას და მუნ განერნეს, ქს. **ჩჳოდ** ქრ. **ჩჲბ**, მაშინ უბრძანა შაჰ-თამაზ ხოსიოქარსა, მისცა სამცხე-საათაბაგო, ყარსი და იმერეთი ხოსიოქარსა, თვით უკუნ-იქცა და წარვიდა სპარსეთად: ხოლო დედის-იმედი და ძენი მისნი მოვიდნეს და დაიპყრეს კვალად სამცხე. არამედ ვარზას ძე-მან კოკოლამ და ვიეთთამე მესხთა უწყეს ზრახვა ხონთქარსა: ესე ჰსცნა მანუჩარ და აუწყა ყვარყვარე ათაბაგს, წარმოვიდნენ ორნივე ძმანი და მეფის ძე ერეკლე, ბიძის ძე მათი და მოვიდნენ მგელ-ციხეს ქს. **ჩჳოგ**, ქრ. **ჩჲდ**, მუნით ყეენ-თან დესპანი წარავლინეს და აუწყეს ურთგულობა თვისი და ითხოვეს შეწევნა მის-გან. თვით მოვიდნენ და დასდგნენ სამწუთოს ველესა შინა: ხოლო ესენი ოლდამის ქვაბიდამ შედანის შვილ-მან იასონ აცნობა ვარაზას ძეს კოკოლას და ძმასა მისსა და მის ბიძას გურგაქს და ლაშქართა: ამათ უხელნეს ელია-შვილი, დიასამიძე აფთანდილ და შერმაზან კვალად ამატაკის შვილი ამატაკ და აბულ-ყაფარ და ძმის-წული მათი როსტომ და ამატაკის ძე 243
სეხნია შეკაზმულნი ფ კაცით ორთუბნის ხიდს ბოგირს გამოვიდნენ. მუნ ფანასკერტელის თოზის

ძე ყირასხონ შეეყარათ: ამას ყირასხონს სცნა ბატონის თავ-დასხმად მოსვლა მათი და წამსავე ამცნო ყანდურადის და ყანდურად აუწყა ქიომის ყოყიღის ყამს ბატონებს, ესენი შეიკაზმნენ და უკუ-დგნენ ოხერათ თავს სიმაგრესა შინა, იგინიც ეს, მოვიდნენ იგინი, დაესხნეს ჩვენს სადგურს და ოჰისარდის კარავი აიღეს, ჩვენ კაცი მოუკლეთ, ერთი დაჰყრეს და წარვიდნენ იგინი:

არამედ ესე ეცნათ ჩვენთა და შემოგვეკრიბნენ. მერმე მივედით ომისკენ, ქალაქი მოვარბიევეთ, ომისკენს მოვიდა დედის-იმედიც. ორშაბათს ვასის ქვაბებს მოვადექით, ოთხშაბათს შესხდით ავიღეთ, პარასკევს რიყულდიანი შევეყარეთ, კვირას ოლდადის ქვაბნი ავიღეთ და კარწახს მოვედით, იმდღის იის ერეკლე წლისა იგ შეიკაზმეთ, ფოსოს მოვსხედით, მოვსწყვიტეთ და ავიაღეთ. ხარბიელსი გავუსხით, რიყელის სოფსსი და ალაგი ავიღეთ. მოვედით ბაღავაცეთის, დავდექით, ოქროციხის გარეშემოსი დავწვით. იქიდამ ალბუქტი და კამარაყასიც მოვსწყვით, მერმე შას-თას დესპანი წარვგზავნეთ. ამავე თთუესა კზ შალიკა შვილ-მას ზემორის ძეშ მათი ნაქოსებით ოთხის-ციხე წავიღეთ და ჩვენთა შინა ოსმალნი ჩამოვიდნენ, გამოვედით. შველ-ციხეს მოვედით და შერმაზანის წყაროზედ დავდექით. იქიდამ აწყურს მოვედით, აწყურისა და ყარყნის ციხეს ულალატეს, შველ-ციხიდამ ენგენისთუეს და დისამიმის დემეტრეს სალალატოდ ახისაური წარვგზავნეთ, ვერ ულალატეს. არამედ იმა ქვლთ დარჩნენ ციხის-თავს შალიკა შვილს. მანუჩარ და ერეკლე შველ-ციხეს იყვნენ და შალიკა შვილი ახისაურით მეთა თავს დაესხნენ, ახისაურნი გარდეხვეწნენ, ერეკლემ კაცი ჩამოაგდო, ცხენი იშოვნა, სამცხიდამ მოვედით, მარამშასი წყაროზედ დავდექით, ფოსოს ჩავედით და მოვსტრეხით. შას-თას დესპანი წარვგზავნეთ, და სამცხესავე მოვედით წელსა ქს. ჩყთ, ქრ. ხჟგ, მივიხდა კოკოლა, ასხის ქვაბი წარგვიხვნა. მოვიდნენ მანუჩარ და ერეკლე კვალად წარუხვნეს. ამისა შემდგომად კოკოლას თვისი ძმისწული გურგაძე უკუ-უდგა და მანუჩარს მოერთო ქაჯის ციხითა და ეგიცითა დიდითა. არამედ კვალად სტეხა პირი და უკუ-დგა მანუჩარისა-გან მოვიდა მანუჩარ ზაყის-თავს, მან არა ჭვრ ზავი და ყოსსო დაუწვეთ. მერმე დამჭირით ქაჯის ციხეს მოვადექით, ბ ოკდომბერს გურგაძე შემორიგდა და ყელი მოსცა, გავბრუნდით, კოკოლას კერძი ურთის-ციხე წავართვით და დავარღვიეთ, სიმაგრე დავსწვით და ეკლესია დაუტევეთ კვალად ფოსო მოვარბიევით. შას-თას დესპანი წარვგზავნეთ და შველის-ციხეს მივედით, ბოსტანასის ძმ მასტამ ძმა თვისი მოკლა, მას მანუჩარ თვალნი დასწვნა ეშთიერით შემდგომად მანუჩარ და ყვარყვარე აიაბაგი შველის-ციხეს მოვიდნენ და დედის-იმედიც მუნ მოვიდა, დეკემბრის აშბავი მოვიდა შას-თამაზის მოციქული ოკდომბერს გა: ხოლო დეკემბერს და ყვარყვარე და მანუჩარ ომისკენს მოვიდნენ ქს. წელსა ჩყთ, ქრ. ხჟგ, იანვრის გ. დედის იმედი და ბექა ყვრლს მოადგნენ ტ იანვარს, ყველი და ომისკენი აიღეს: კოკოლამ ყარასხან შეიყარა ომისკენის მოსასმყელებლად: არამედ ვერარ მოუსწრა, დედის-იმედიც ყველიდამ ომისკენს მოვიდა, იქიდამ მანუჩარ ჯავახეთს წარვიდა, ფოსო და ჯავახეთი დაარბია და გურგაძე ქაჯის-

ციხე გაუმაგრა საზრდელითა: შემდგომად ყუარყუარე და მანუჩარ ახალ-ციხეს წარვიდნენ და დედის-იმედი თმოგვს დადგა, თმოგვი საზრდელით გაამაგრა:

ყეენ-თანნი დესპანნი წარგზავნნეს, ციხეების-აღება აცნობეს და ოსმალთ აშლა: ამისა შემდგომად დაიპყრეს ოსმალთა მოსვლა, დედის-იმედი სამცხეს მოვიდა, ყუარყუარე აგრეთვე, ზედ-დერის ჩავიდა, ვერ წავიდა და მანუჩარ და ერეკლე, სხვა შეკრებულნი ოსმალთა ზარს მიუდგნენ. ოსმალნი ჩ̃ჱ კაცნი ფეხოსანნი ჩ̃ხ ყარსისანი დაესხნენ, ყარსან გაუმდგა, მიეწივნენ ოსმალნი იგ კაცი მოკლეს, მოიქცნენ ოსმალნი და გზანი დასწვეს და ჩარიბატისა შინა დადგნენ: ყარსან ქ̃ კაცით დევნა დაესხა, ამოსწყვიტა ოსმალნი, გააქციეს და აღიღეს იარაღ-ალაფითა. და ბატონი მანუჩარ აწყურს მოვიდა მასის იბ, წარვიდა ერეკლე ქართლის დედოფლის-თანა და დედოფალი სურამს იდგა ფრიად უშიშარი და მას-თანა იყო ერეკლე წელსა ქს. ჩუპ, ქრ. ჩფ, აგვისტოს ჩ.

ლალა-ფაშა მოვიდა:

ლალა-ფაშა სპითა მცხეთ-ციხეს მოადგა, ჳ დღე ბრძოდა, ვერ აღიღო და ქვეყნის-ციხიდამ სრულიად შემოკრბნენ ოსმალნი, თ აგვისტოს მერმასის და წინწყალს შუა აზრუმ ვანის ფაშანი მოვიდნენ, სულტანი და ყარსან ბაზრუქდან და მუღალი ბატონი ერთ შეიყარნეს, მაშინ სულტანი გორანიდ წარმოადგა სპითა თვისითა, სხვანი შემოაბა ოსმალთა. ზარბაზნ სძლეს ყიზილბაშთა და მოსრვიდნენ ოტებულთა ოსმალთა. არამედ შემდგომად აოტეს ოსმალთა და გარდაიხვეწა მაშინ სულტანი. ხოლო მანუჩარ ქვეყნის ციხეთა-თვის შემოიკრიბნა სპანი, გარნა ვერცა თმოგვს და ვერცა ციხის აღებას მიუსწრა: მაშინ ამილახორის შვილი ქაიხ მოვება ლალა-ფაშას არტაანს და ოძი ციხე შეუძლეს. გვალად არტაანსად ჳ ციხით მიეგებო ფაშასა, ხერთვისი და ქ ციხე მისცა. ხოლო ფაშამ ხასილის ხანჯახობა მისცა, აგვისტოს იჳ მანუჩარ თმოგვის ციხე მისცა. არამედ ახალ-ქალაქი უწინვე წაართვეს, რომელსა შინა გოგოლას შეეცხოვრნენ იდგნენ: გაიარა ფაშამ, ტაოელისა ზედა წარვიდა, მანუჩარ-თან წარიყვანა: ხოლო შემდგომად მოქცევისა ლალა-ფაშამ მეხორხიდამ გამოუტევა მანუჩარ და სამცხეს ყარ-მან იწყო მოდენა: ყუარყუარე წინა-მიეგება ლალა-ფაშას, მოვიდა ფაშა, დუქნზედ დადგა, და მუნ დედის-იმედ-მან ნახა: შემდგომ აიყარა ფაშა, ყუარყუარე თან-წაიყვანა და აღარ დააბრუნა, რომელსა სანჯახი მისცა, მანუჩარ გამოუშვა, აწყურს მოვიდა. ამისა შემდგომად ლალა-ფაშას დაუშვა და მირმარი წარმოუგზავნა მანუჩარისა-თჳს, ქართლ-ზედ გაესია, ქართლს ვერარ ნახვიდნენ კვლი, სადგური მოსწყვიტეს, და ეკლესიის გახსნა წარსდა: გვალად წარმოუგზავნა სანჯახი ფაშას, ნახვედნ ქართლს და მოარბიეს:

ხოლო წელსა ქს. ჩუჟთ, ქრ. ჩფჟ მანუჩარ წარიყვანეს აზრუმს და იქიდამ ყუარყუარე და 243

მანუჩარ აზრუმს ჳ სტამბოლს წარიყვანეს. მასის იგ სამცხეს ფაშა მოვიდა, გავსნდა, ოქტომბერს მანუჩარ გამოუშვეს, ნოემბერს მოვიდა, ხონთქარს ფაშობა და სრულიად მამული მისი

ებოდა. ყვარყვარე ა იოტუმს თორთომიდამ არ გაეშვათ. მერმე წელსა ქს. ჩფპა, ქრ. სჲთ, ბან-ყარს ის ბექა ვაღიდამ გადგა. ლალა-ფაშა წარსრულ იყო და ბექა ოლთისს დასხდგა-იყო: ყვარყვარესა-თჳს ხონთქარს ავლაყანი ერგოსა, ყვარყვარეს დაეცა. ამის-თჳს ქრისტეანობით განთავისუფლდა და თჳსისა საბატონოს მიეცა. მარტს მოვიდა ყვარყვარე, ოკდომბერს იქ ბექაც მოვიდა. ორნივე ლორეს წარვიდნენ, ლორე მოარბიეს, გამარჯვებულნი მოვიდნენ: მეორეს წელს სინან-ფაშა მოვიდა, ტფილისს წარვიდა სპითა, ორნივე თან-წარიყვანა, ყვარყვარე თმოგჳთიდამ იმერეთს გააპარეს, რათა ემტერნენ იმერნი ქართლს და მანუჩარ თან-წაიყვანა. არამედ მოსრულსა რა სვიმონ მეფე-მან სპანი სინან ფაშისანი, ეწყალნეს ყვარყვარე და მანუჩარ სვიმონ მეფესა და მოვიდა მანუჩარ სვიმონ მეფის-თანა და მან მოსცა ასული თჳსი ელენე ცოლად და უქმნა ქორწილი ქს. ჩფპბ, ქრ. სჲ: ხოლო ყვარყვარესა შინა წარიყვანეს ბექა სტამბოლს. ამავე წელსა მოვიდა არზიდ დი-დი-ხნის უსახლი დედის-იმედისა და დაჲ თჳსი ნასა და წარვიდა ოკდომბერსა შინა, და ნოემბერს მიიცვალა ყვარყვარე ათაბაგი ქს. ჩფპბ, ქრ. სჲ.

## იზ, მანუჩარ ბ, ლბ წელი მთავრა:

დაჯდა ათაბაგად ძმა მისი მანუჩარ. ამ წელს მანუჩარს აწყინეს მეოთხე ულალაღებს ოსმალთა. არამედ სძლო მანუჩარმან, ოვაშები მრავალნი დაიხოცნენ, გააქციეს და ალაფი და ქვეყანა დარჩა მანუჩარსავე უვნებლად. ხოლო წელსა ქს. ჩფპდ, ქრ. სჲბ მოიყვანა მანუჩარ მარტს ძე მეფის სვიმონის ასული ელენე სასძლოდ. ამისა შემდგომად მოვიდა ფაშა ქს. ჩფპე, ქრ. სჲგ, ალაშენა განჯა, მანუჩარს მოსცა ხალვაზეთი და დედის-იმედს ხუთი დიდი სოფელი, ამასვე ქორონიკონს გორი და ახალ-ციხე აღაშენეს ოსმალთა. და აღვისტოს ჩვენ მძევალნი გამოგვიგზავნეს: ამის-თჳს მოვიდა სვიმონ მეფე მეშველად, ალარ აზრდილობს, თემი მოარბია სვიმონ და წარვიდა. მერმე მანუჩარც მოღალატე-ქმნა გიდარ დადგა და ახალ-დაბას ჩავიდა, დედის-იმედი და ყვარყვარეს ძე ქაიხოსრო სტაისოვის-ციხეში დადგნენ, დიასამიძე ელია ღმერთის ციხეს სავალიშვილოს შეუვლეს, წაართვა ამას ციხე და განძი მრავალი და საფარიაც დაიჭირა. გოგორის შვილ-მან ბექა-მან ჯვარის ციხე ფაშას მისცა და ჩვენც ახალ-დაბას ჩამოვედით: მერმე მარტს იქ, ქს. ჩფპთ, ქრ. სჲზ მოუსრულნი ჩვენსა მოღალატენი და ნიჟადითა მეფის სვიმონისათა დაგვიმჭირით სრულიად სამცხე და ოსმალთაც დაგვზავნეს, და წარვგზავნეთ კაცი წინაშე ხონთქრისა. მიეცა ხონთქრისაც ქრისტეანობით ათაბაგობა და დაგვიმჭირით ყოველი. არამედ მძლავრობდნენ ოსმალნი და იყო ჭირი დიდი მათ-გან. არამედ დაითმენდა მანუჩარ: ხოლო შემდგომად მეორად ფაშის მოსვლისა მოვიდა შაჰაბაზ ადრებად ერზრუმისად. ამან მანუჩარ მძლავრებისა-თჳს ოსმალთა წარუყვლისა შაჰაბაზს ძე თჳსი მანუჩარ, რათა მწყალობს, და მისცა ხერთვისი და რომელნიმე ციხენი და

შეპყრნა ციხიდბაში მყოფნი თვისად, არამედ ოსმალთა ეტყოდა, რათა არა მოასწყვიტოს სამცხე შაბაზს, ვითარცა ჰქონ შაჰ-თამაზს; ხოლო შემდგომად უკუნ-იქცა რა შაბაზ, დაუტევა ძე ათაბაგისა მანუჩარ ერევანს ამირ-გუნახანისა-თანა და აზრდიდა იგი; ხოლო წელსა ქს. ჩქთ, ქრ. სჟზ მოვიდა გურჯილი ფაშა და დაიპყრა აწყვერა. არამედ მანუჩარ ჯერ ვერ შეერაცხო ვინაიგან მიიქცეოდნენ და დაუტევებდნენ წესსა და რიგსა და სჯულსა მესხნი მძლავრებითა ოსმალთათა: გარნა ემძვინვარებოდა მანუჩარს და შეჰდელობდა ყოვლითა ძალითა თვისითა, რათა მოაგოს ყვავლისაგან ჭირვეულსა. არამედ შემდგომად ამისა მოკუდა მანუჩარ ათაბაგი ქს. ჩქიდ ქრ. ტბ:

## იე, მანუჩარ გ. ია წელი მთავრა:

მაშინ მესხთა მოიყვანეს მანუჩარ ძე მისი ერევნიდამ ბრძანებითა ხონთქრისათა და დასვეს ათაბაგად; ამან მანუჩარ დაიპყრა ნაქონები მამისა თვისისა; ამის ჟამს მოვიდა ბატონი თეიმურაზ, დაასადგურა ოლთისს. არამედ განრყვნილებოდნენ წესნი და ვითარნი ზოგნი მატყუებისა-თჳს სჯულისა, ზოგნი მძლავრობითა ოსმალთათა გამაჰმადიანდებოდნენ და ექმნებოდიან ურჩ-მოძულენი ათაბაგისანი; ხოლო მანუჩარ მძლავრობდა მათ და არა მატყუებს უკუაგდა. ამისათვის შეასმინეს ოსმალთა და მათ აზრუმის ფაშასა; მაშინ აზრუმის ფაშამ წარმოავლინნა სპანი ქს. ჩქკდ, ქრ. ტიბ, ვერ წინააღუდგა მანუჩარ და ჩამოვიდა ახალ-დაბას. მეფე ესმა ბრძოლად წარსვლა მარაბდას და მივიდა ქართველთა-თანა ც მხედრითა და ჰქონ მეფე რა იგი აღვწერეთ; და შემდგომად ლტოლვისა მოვიდა ახალ-დაბასავე, ესრეთა ოსმალთა, ზავ-ჰყო მათ-თანა, მოვიდა და დაიპყრა სამცხე; არამედ იხილა შემდგომ-შემდგომითი შფოთი ესე ვითარნი და არღარა რაი სხვა ღონე შეწევნისა, ამისათვის წარვიდა სტამბოლს წინაშე ხონთქრისა; ამა ჟამთა მოვიდა მოურავი გიორგი და ახმედ-მას გაემართა ციხიდბაშთა ზედა, შემდგომად შეუხდა და აღიღო ციხე ხერთვისი და სხვანიცა, რომელნი ეპყრნეს ციხიდბაშთა და მისცა ოსმალთა; ხოლო მანუჩარ შეიწყალა ხონთქარმან, მოსცა ქრისტეანობით ათაბაგობა და წარმოავლინა, არამედ მოგზაურს მამაზადისა დახვდა ბიძა თვისი ბექა, რომელი პირველ წარსრული იმყოფებოდა მუნ; ამან ბექამ ასტყუა და კეთილად შეიტყო მანუჩარ: გარნა განმაჰმადიანებელ-მან ოსმალთა მძლავრებისა-მან და თვისთა მათისა სჯულისა ღონისა არღარა რისამე შემძლებელ-მან, შეურაცხ სჯულისა მანუჩარისასა სასმელი და მოჰკლა მანუჩარ, და თვით მივიდა სტამბოლს, იქმნა მაჰმადიან, მოსცა ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე-საათაბაგოსი და უწოდეს საფარ-ფაშა და მატყუე-სცეს ორთა თუღითა. შემდგომ წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს, ქს. ჩქკე ქრ. ტიგ:

## ით, ბექა გ ანუ საფარ-ფაშა, ი წელი ი ფაშა:

და დაჯდა ესე საფარ-ფაშა და დაიპყრა სრულიად საათაბაგო, რომელნიცა საზღვარნი აღვსწერეთ და მართავდა, ვითარცა წესი არს ოსმალთა: ამან აღწერა ქვეყანა და შეჰკვეთეს ხარკი ქრისტიანეთა სულსა ზედ დრაჰკანი და ყოველსა მოსავალსა ზედა ხილითურთ მეხუთე-თავი, ცხვარზედ ბ შაური, ზროხასა ზედ აბაზი, ცხენსა და გამბეჩზედ ექვსი შაური: ხოლო სავაჭროთ ხარკი დრაჰკნის მესამედი, რომელ არს ათი შაური წესისაებრ ოსმალთა: არამედ ეპისკოპოსნი და
244 მონასტერნი წინათვე შლილობათა ამათ შინა ათაბაგებთათა და უმორჩილებითა ქართლის კათალიკოზისათა შემცირდებოდნენ ურწმუნოებითა მესხთათა, რამეთუ მიუხმიდნენ მამულ-შეწირულობათა, შემცირდებოდნენ და მოიშლებოდნენ მთავართა-გან და შემდგომად უმეტეს დაპყრობისა ტაო-კლარჯეთისა და შავშეთ არტანუჯისა ოსმალთა-გან, არღარა მოიპოვებოდა მუნ, ვინად-გან მიუხვნეს ოსმალთა სრულიად მამულ-შეწირულობანი და არღარა-ვინ იყო მეტრფე მონაზონებისა და წარაქცინდათ მუნიდამ სიწმიდენი ხატთა, ჯვართა და საწიგნეთა სამცხეს ქართლს, იმერეთს. ეგრეთვე აწცა მხოლოდ სამცხეს უმეტესად იქმნებოდნენ, რამეთუ არღარა იყო ეპისკოპოსნი ანუ მონასტერნი, ვინად-გან რისხვითა ღვთისათა გამაჰმადიანდებოდნენ ყოველნი წარჩინებულნი ამ ქვეყნისანი და დაიწყეს მიერით თათრობა, რამეთუ ჟამთა ამათ მოაკლდებოდა ქრისტიანობასა: არა იყო მორჩილება კათალიკოზისა ანუ ეპისკოპოსისა და სამღუდელოთა. არამედ ოხრება ეკკლესია-მონასტერთა და შენება ჯამთა: ხოლო მორწმუნენი ჰკვეთდნენ და მალვიდნენ ხატთა, ჯუარითა და საწიგნეთა წმიდათათ და სხუათა წარაქცინდათ პირველისაებრ იმერეთს და ქართლს და იდუმალადცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდნენ მაჰმადიანობასა, რამეთუ განაგებდა საფარ-ფაშა ნებითა ოსმალთათა ყოვლისავე: ამას საფარ-ფაშას სთხოვა მოურავ-მან სპანი და მოვიდნენ ლტოლვილნი სპანი ამისნი და მოურავიცა მოვიდა მის-თანა, მერმე წარვიდნენ სტამბოლს: ხოლო შემდგომად ესრეთის განგებისა მოკუდა საფარ-ფაშა წელსა ქს. ჩქლე, ქრ. ტკგ. არამედ ამის ქვემოთნი არღარა იწოდებოდნენ ათაბაგად, თვინიერ საქართველოსაგანისა. გარნა სახელ-ცინის ფაშად: ხოლო ვინად-გან მოეცა ხონთქარსა ფარმანი მკვიდრობისა საფარ-ფაშისა-თჳს, შემდგომად სიკუდილისა მამათა მათთა წარვიდიან სტამბოლს და მისციან ქრთამი და მათ წარმოავლინიან ფაშად:

## კ. უსუფ-ფაშა ა, ია წელი ი ფაშა:

და შემდგომად სიკუდილისა საფარ-ფაშისა წარვიდა ძე მისი უსუფ სტამბოლს, მოსცეს ფაშობა და მოვიდა ახალ-ციხეს: არამედ ესე უსუფ-ფაშა იყო ფრიად მაჰმადიანი, მართავდა საათაბაგოსა მორჩილებითა და ყოვლითა ნებითა ოსმალთათა და უმეტესად ასრუმის-ფაშისათა და

იყოფებოდა მშვიდობით: ამას იუსუფს სთხოვა მეფე-მან ქართლისა-მან როსტომ გზა, ამან მისცა და უმასპინძლებდა პატივით. გარნა ესე იუსუფ-ფაშა მოიძულებდა ქრისტეანობასა და შესძინებდა მაჰმადიანობასა და აღმოიფხვრებოდენცა წესნი და რიგნი ქრისტეანობისანი ყოველნივე და შეემატებოდნენ მაჰმადს, ვინადგან განაგებდა და გარდაჰვლიდა დღეთ თვისთა ნებითა მათითა და სჯულისა: შემდგომად მოკუდა იუსუფ-ფაშა წელსა ქს. ჩქმჱ, ქრ. ტლჱ:

---

## კა, როსტომ ფაშა, იბ წელი ფაშა:

მაშინ წარვიდა როსტომ ძე მისი, ნაშობი მხევლისა სტამბოლს. ამას მოსცა ხონთქარმან ფაშობა, მოვიდა და დაჯდა ახალ-ციხეს და მართვიდა, ვითარცა მამა მისი: გარნა თუმცა წარჩინებულნი მაჰმადიანნი იყვნეს, არამედ ცოლნი მათნი და მხევალნი იყვნეს ყოველნი ქრისტეანენი: ხოლო ჟამსა როსტომ ფაშისასა მოუვლინა ხონთქარ-მან ბრძანება, რათა იქმნენ ცოლნიცა მათნი, რომელნიცა მაჰმადიან არიან მაჰმადიანად: ესე უთხრეს ცოლსა როსტომ ფაშისასა. ხოლო მან არა ინება, არამედ აიძულებდნენ ყოვლად მაჰმადიანად და ამის-თჳს დაითმინა მრავალნი ტანჯვანი, მერმე განივლტო, რათა გარდაიგდოს თავი კლდესა ზედა. სცნეს ესე, შეიპყრეს და არა უტევეს, კვალად ინება მოშთობა თავისა თვისისა და მცნობელთა არცა ამას ზედა მიუშვეს: ხოლო შემდგომად სიყმილისა და მრავლისა ქენჯნისა მოიშთვა ღონე, რამეთუ ჰგონა, ვითარცა თვით თავისი ყოვნა ეგრეთცა სხვათაცა და ამის-მიზეზისა-თჳს იტყოდა: „უკეთუ დაატევებინოთ ყოველთა წარჩინებულთა ცოლთა უწინარეს ჩემსა ქრისტე, მერმე დაუტეო მეცა, უკეთუ-არა ესრეთ არცა მე:“ მაშინ შეუთქვეს რა წარჩინებულთა ცოლთა, მათ ყოველთა შიშისა-თჳს ტანჯვისა დაუტევეს ქრისტე და გამაჰმადიანდნენ ყოველნი სრულიად და უღონო ქმნილი გამაჰმადიანდა იგიცა: არამედ იქმნა რისხვა ღმრთისა ცოდვათა ჩუენთა-თჳს, რამეთუ აწ უმეტეს-ადრე მოოხრდნენ ეკკლესიანი დიდ-შვენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყვთა სადგურ და იგლტოდიან კვალადცა, რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს და წარაქუნდათ ხატნი და ჯუარნი და წმიდათა ნაწილნი, მოისპოდნენ ეპისკოპოსნი, თუ სადამე იყო და მონაზონნი და მწყემსნი. გარნა თვინიერ ადგილად-ადგილ იპოვებოდნენ მღვდელნი და შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა წესითა და სჯულითა მათითა და აღშენდებოდიან მეჩითნი: არამედ დაშთნენ გლეხნი და იგინიცა უმწყსელნი, ვითარცა პირუტყვნი: კვალად ჟამსავე ამისსა განაწესეს სპანი და შეჰკვეთეს მამულითა გამოსაღებითა მათითავე ფაშას, ბეგს, ალაიბეგს, სანჯაკს და აღას და რაოდენნიცა კაცნი დააწესეს უწოდეს ხრმალი და სადაცა უხმდათ წარიყვანიან, არათუ ქრისტეანეთა. არამედ მაჰმადიანთა მოლაშქრედ: ხოლო მოვიდა ამ როსტომ ფაშისა-თანა დადიანი ლიპარიტ ლტოლვილი. ამან მისცა და აშველნა სპანი. არამედ კვალადცა მოვიდა ლტოლვილი, შე-

შემდგომად მოვიდა გურიელი ქაიხოსრო სტამბოლიდამ: ამან როსტომ ბრძანებითა ხონთქრისათა მისცა სვანი და ჭყონ კვალად გურიელად ქაიხოსროს, რამეთუ აქუნდათ ამათ ბრძანება ყოველთა საქმეთა ზედა იმერეთისათა და მართვიდნენ ესენი. არამედ მიელოდვანითა აუწყებდნენ აზრუმის ფაშას და მით განმართვიდნენ. შემდგომად მოკუდა როსტომ ფაშა წელსა ქს. ჩქნთ, ქრ. ტმზ.

## კა. ასლან-ფაშა ა, კ წელი ფაშა:

ამისა შემდგომად წარვიდა ძე როსტომისა ასლან სტამბოლს, მოსცა ხონთქარმან ფაშობა, მოსრული, ესე ახალ-ციხეს მართვიდა სათაბაგოსა, ვითარცა წინა-თქმულნი. ესე ასლან ფაშა ნებითა იმერთათა ხვიდა იმერეთს, დასვა მეფედ ბაგრატვე ყოფილი, შეიპყრა დარეჯან და ვახტანგ, წარმოიყვანა იგინი და მოქცეული მოვიდა ახალ-ციხეს და დაასადგურნა იგინი ოლთისს. ხოლო რაჟამს დაიპყრა ვახტანგ შაჰნავაზმან იმერეთი და დასვა არჩილ, არღარა რას მოარჩინებდნენ ასლანს. ამისთვის შეასმინა ხონთქარსა და ბრძანებითა მისითა აიყვანა მოასხა ზედა ფერისათა სპითა ქს. ჩქჲგ ქრ. ტნა:

245 არამედ იმერთა რა დასვეს ბაგრატვე, მოუძღვნეს ქრთამი დიდი, რათა უგულ-იქმნეს, ვინადგან უშიშო მეფეები თვისი: უგმო-იქმნა ასლან და აუწყა ესე ხონთქარსა. ამანვე მისცა სეხნია ჩხეიძეს იენიჩრობა და შეაყენა ქუთაისის ციხესა შინა: შემდგომად რა განაძეს ბაგრატ იმერთა ამას ასლან ფაშას უძღვნეს ვახტანგ და დარეჯან დედოფალი, რათა ჰყოს იგინი მეფედ იმერთა და მოსცეს ჩკ მარჩილის წილად ქეიფსა, რამეთუ ფაშთა ამათ სრულიად მიქცეულ იყვნენ შესხმა წესთა და სჯულთა ოსმალთათა და იყვნენ ყეენის-მოყვარენი, მბარბა და ფიცის-მტეხელნი, მექრთამ-მემრუშ-სოდომარნი, ვითარცა წეს-არიან ოსმალთა: მიიღო ქრთამი ასლან ფაშამ, ხსვიდა იმერეთს და ჰყო ესენი მეფედ, ვითარცა აღუთქვა: შემდგომად კვალად ამანვე მისცა სეხნია ჩხეიძეს იენიჩრობა და შეაყენა ციხესა შინა ქუთაისისა: ამან ასლან ფაშისა-გან მოითხოვა შანავაზ მეფე-მან ქეთევან, დაწინდული დარეჯანისა-გან ქს. ჩქჲზ, ქრ. ტნე, და მოსცა ოთხ-მოცი ქისა და წარიყვანა ქეთევან: შემდგომად ვედრებითა გურიელისათა მოავლინა იმერეთს ქს. ჩქობ, ქრ. ტჲ, ბრმობილი ბაგრატ შეიპყრეს და მოართვეს ასლანს: ამან ბაგრატ მოსცა ძე თვისი ალექსანდრე მძევლად ქრთამისა წილ, დაუტევა იგივე მეფედ და მოვიდა სამცხეს: შემდგომად ამასთანავე მოვიდა ძე შანავაზ მეფისა ლუარსაბ სამეფოდ იმერთა, მოსცა ძღვენი ასლანს ფაშასა. არამედ ჰკლნა, რამეთუ აცთუნებს ასლან ფაშა და წარვიდა ქს. ჩქოდ, ქრ. ტჲბ: ამის მეორეს წელს მოვიდა ძე შანავაზ მეფისავე არჩილ დაპყრობად იმერთა და ბაგრატიონ შეიწყნარა ასლან ფაშა-მან. არამედ მოვიდა გურიელიცა სამეფოდ იმერთავე. ესე აუწყა ასლან ხონთქარსა და მცდელობდა არჩილისა-თვის იმერეთსა, რამეთუ მოეყვრობდა ქეთევანის-გამო: გარნა არა იყვნა

ხონთქარმან არჩილ წინა-იქმნულთათჳს შეიწყალა და უბრძანა შეწევნა არჩილისა: ამან და-სუა მეტიმარიამით ახალციხეს და გურიელი განუტევა გურიას. შემდგომ განწრახვითა მესხთათა გამოაძრვით გამოუტევა არჩილ: ხოლო ამა ჟამებთა შინა არღარა იყო სახელი ათაბაგთა, მთა-ვართა და აზნაურთა. არამედ უწოდდენ ფაშად, ბეგად, ალაი-ბეგად, სანჯახად და აღად, რამეთუ ახალციხეს და ოდეთის იყო ათაბაგი ახალციხის ფაშად წოდებული, გოლას სჯდა ფაშა, შავ-შეთს, აჭარას ბეგნი და სხვათა ადგილებთა ალაი-ბეგი და აღანი. გარნა მორჩილებასა და დამ-ქრობასა ქუეშე ახალციხის ფაშისასა: შემდგომად მოვიდნენ ასლანის-ძისა ბაგრატ და გურიელი, ლტოლვილნი არჩილისაგან და აღუთქუეს ქრთამი დიდი: ამან აუწყა ხონთქარსა. ხოლო გან-რისხებულმან ხონთქარმან წარმოავლინა აზრუმის ფაშა სეფაჰნ აქათით სპითა. ესე მოვიდა და ნამოუყდვა ასლანის-ფაშა იმერეთს და რა იგი აღასრულეს იქმნა: მაშინ (¹) კვატუკელი მდგომს აზრუმის ფაშის მოერთო წიგნი არჩილისა: „მეფე ვარ მე, რა იგი გუაზ ასლან ფაშისაგან, რამეთუ მიმიღო საგანძური დიდ-ძალი სახონთქროდ და მით მოსცა იმერეთი და აწ რაი არს შეცოდება ჩემი?“ ესე მისწერა აზრუმის ფაშამ წინაშე ხონთქრისა და ხონთქარმან ამის-თჳს მოუწერა თავის-მოკვეთა ასლან ფაშისა: მაშინ კვატუკელმა მოჰკვეთა თავი ასლან ფაშას, წელსა ჩქოჩ, ქრ. ცჟჱ და წარავლინა თავი სტამბოლს: ხოლო აზრუმის ფაშა და მესხნი მოვიდნენ სამცხეს. არამედ ძე ასლან ფაშისა, მცირითა ამისა წარვიდა სტამბოლს, მისცა ქრთამი დიდი, ამის-თჳს მოსცეს ფაშობა და მოვიდა ახალციხეს:

## კბ'. იუსუფ-ფაშა შ, ი წელი ფაშა:

დაჯდა ძე ამის იუსუფ ფაშა წელსა ქკ. ჩჳჱ, ქრ. ცჟჱ და იწყო განგება, ვითარცა წინათ. არამედ ამ ჟამებთა უკეთუ ვინმე მოიქცის ყეცხლი, წარვიდის სტამბოლს, მისცის ქრთამი და იშოვნის მკვიდრად მამული და დაიპყრის, ვითარცა ჭილო ფერიადის შვილმან, რომელი განჭყიდა გურიელმან მღვდელი. მან მღვდელმან მოიგო ყეცხლი მაჭმადიანობით, წარვიდა სტამბოლს, მისცა ქრთამი, მოსცეს ჯავახეთი და უწოდეს ფაშად. ამან და ძეთა ამისთა დაიპყრეს ჯავახე-თი და არიან დღესაცა ფაშად. ამითი იწყეს წარჩინებულთა მესხთა შემდგომად და ამაღლებად უფალთა და უფროსთა: ამის შემდგომ უმეტეს მოაოხრებდნენ მკვლევართა და აღშენებდნენ ჯამნი და დაიტევებდნენ წესნი ქართულნი ივინიერ ენისა, და განდიდნებოდა მათ შორის მაჭ-მად და სჯულნი ხატთა და ჯუარნი შეიმუსრვოდა და იმეოფებოდა დედათა მათთა სამკაულად, რომელთაგან იქმნებოდნენცა სასწაულნი მრავალნი, გარნა არავინ მიუმზერობდა ყურით. არამედ

(¹) ესე ასწერენ სოფელი [illegible]

ქრისტიანთ ეკლესიათა შემუსრვიდენ, გარნა განიდევნენ მთიელთა, სიყვართა-ოდის არცარა არს ფაშა აქა მოსვლისთვის: ხოლო ამას ულეუფ ფაშას მისცა გიორგი მეფემან ალექსანდრე ძე ბაგრატისა და ამან შეიპყრა ჭყუ იმერეთის ქს. ჩღგ, ქრ. ტჟა, და იყო მოყვანა ახალ-ციხეს. ამანვე წარგლინა შეჰშურობის ბერი და ლიტანიით მოჭრილთ ქალაქთა გურიელს თავი და გურიას დასვა მის მისი გურიელად მამია ქს. ჩღე. ქრ. ტჟგ: შემდგომად მოკუდა ესე-ესეთ ფაშა წელსა ჩღ. ქრ. ტჟე:

## კდ, სალიმ ფაშა (¹), ია წული ფაშა:

მაშინ წარვიდა ძმა მისი სალიმ სტამბოლს, ამას მოსცეს ფაშობა ქრთამით, მოვიდა ახალ-ციხეს და განაგებდა ეგრეთვე: ამას ჟამსა შინა მოვიდა მეფე გიორგი. ამან ისტუმრა და პატივ-სცა. შემდგომად ბრძანებითა ხონთქრისათა წარსტანა შესაძლებელი სხვით მეფე გიორგის, სიყვარულით და ქუეს არჩილი მეფეც: შერიგე ფადლად მოვიდა გიორგი მეფე ღელა-წყლითა, ამან დაასადგურა იმერეთს; შემდგომად ბრძანებითა ხონთქრისათა მოვიდოდა იმერეთს სხვით სალიმ ფაშა, შეიპყრა გიორგი მეფე და პატიმარ-ქმნა ახალ-ციხეს. არამედ მცირეთა გაამჟღავნა გიორგი მეფე წელსა ქს. ჩღვ. ქრ. ტჟდ:

ამანვე წარმოუგდინა ნაზარალი-ხან ალექსანდრე. ამან შეიკრიბნა სპანი ბრძანებითა ხონთქრისათა, მოიყვანა იმერეთს და ქუეს ალექსანდრე მეფედ და განამაგრა უმტკიცესად ქუთათისი და შემუსრა ეკლესიანი, და უკმოიქცა ახალ-ციხესვე: შემდგომად სუბიოსვე ასლან ფაშისათა და
246 ქრთამითა განაძევს არჩილ იმერთა და დასვეს გიორგი: ხოლო იყო ჭირი დიდი იმერთა და ქართველთა, ცოლთა მისი მკლავთა მცირით ზედა. გარნა იგი მაჭანლობისა იყვნენ, არამედ ჩქლუდიანი გაცდა და ლედანი-თანა მაღლ-ეკლესიისა, ეგრეთვე ქრთამითა და არამედ მოსყიდვით უცხოთოლიად; ამან სალიმ ფაშამ წარავლინა ქრთამი დიდი სტამბოლს შეწყალების მესხთათა და ითხოვა განდევნა იმერთათა და მის დაუყენებლად ქუდითა: უსმინეს და დაადგინეს ქუდი და განაყენებდნენ ჭირსა მის-გან,

ხოლო განაძეს იმერთა გიორგი და დასვეს არჩილ: ესე აღუთქვა ასლან ფაშას, რამეთუ უნებლიეთ მისსა ჭუელს და აუწყა წინაშე ხონთქრისა: განრისხნა ხონთქარი და უბრძანა განძება მისა: მაშინ სალიმ ფაშამ მოიყვანა ნაზარალი-ხანიდამ სვიმონ ძე ალექსანდრესი ქს. ჩღი, ქრ. ტჟჱ, მოიყვანა იმერეთს და ქუეს მეფედ. შემდგომად ამანვე სალიმ ფაშამ მისცა იგივე სვიმონ გურიელს მამიას, რათა ჭუელს მეფედ და ამასვე წელსა მოკუდა სალიმ ფაშა წელსა ქს. ჩღია ქრ. ტჟთ:

(¹) ვახუშტი დაუწერია სალიმ ფაშა, რომელიც უწოდდა შემდეგი ისტორიკოსნი, იხ. 174 გვერდი

## კე, ისაყ ფაშა, და წელი ფაშა:

ხოლო მე უწყით ფაშისა წარვიდა სტამბოლს ისაყ. შესძლეს ქრთამი დიდი, მისცეს ფაშობა და მოვიდა ახალ-ციხეს და მართებდა ოქმ-ეულობაებრ: ამან ისაყ ფაშამ მოიყვანა გიორგი ძე ალექსანდრესი ნაჩხარალი-ხასიადამ და ჰყვანდა თვალთასა კოშკად იმერთა მეფედ: ხოლო ფაშანი ესენი, რომელნიც მოვიხსენეთ, უმეტეს ამისთვის ამოვარდებოდიან იმერთა. რამეთუ უმეტესად არს ქრთამით იმერთა დაშურობასა, წარმოყვანილნი, სადაცა ყიდვით დაშლად და ეფისკოპოსთა ჩარი დიდი და სამეფო გზისა და აქა დაშურობათა ალაფებოდიან ნაჭთა და ტყვეთა, რომელ-ვან არ-და-რად რაიდ სხვისა ოსრება, ტყვენა, კლვა ქრისტიანეთა მაჭმადიანებითა: ხოლო ისაყ ფაშას ალაფად არს მოსრვიდება აბაშიძისა და განდიდება მისი, შესძინა წინაშე ხონთქრისა. ამისთვის ხონთქარ-მან წარმოავლინა სარასკარად ასრულმა ფაშა სპითა დიდითა, და მოვიდა ქვეს მისა ახალ-ციხეს სპითა და იგინი სარასკარი მოვიდა გურიას, განვლო ჭოროხი ნავის ხიდით, რამეთუ აქვნდა ბრძანება შოვლ წელ ყოფა იმერეთს მისა და სრულიად მოოხრება ციხეებთურთ: მამან ისაყ ფაშამ და ქვეს გარდავლეს ფურცლითა სპითა. არამედ ტყავს ხიდ-ზედ შეკრბნეს იმერთა სამეფო. უწყეს ამათ დიდ-დიდთა მიდგომა ცემა, ჰქონდა-რა დაუდგნეს იმერნი და მოიყვანეს ქვენი იმერთა და ჰყვეს რა იგი ადგილს: ხოლო მოვიდა სოფლეთან მესტიაფა და დასჯდა აქამად: ამან უბრძანა სარასკარს უკუ-ქცევა იმერეთიდამ. მაშინ ამათ დაუტევეს მეფედ გიორგი ძე ალექსანდრესი და საუ-ჭყვეს აბაშიძისათანა, ალაშენეს თხმელას ციხე ბაღდადს, შეაყენეს ყეენგიზარი და უკუ-მოიქცნენ ქკ. ჩღგ, ქრ. ცეგ: გარნა დასხდნენ იმერნი მათსა ზედა და მოსწყვიტნენ უკან. არამედ ქვენი არდა-რა უკუ-ბრუნდნენ ბრძანებისა და ხონთქრისათვის და მოისრნეს იმერთა მრავალნი და დაჭრილეს ისაყ ფაშა ჯდლის მისა და მოჰკლეს კიდეს ფაშა და აღიღეს ალაფი მრავალი და მისნი მოვიდნენ ახალ-ციხეს: ხოლო ქვეს წარვიდა ასრულმა სპითა, რომელ-ვან ბურნიდამ წარსრული სარასკარია მისულ იყო ასრულმს: ამისა შემდგომად ისაყ ფაშა მართებდა და განაგებდა საათაბაგოსა და ამას არა ეგდეს ერნი ფაშა კიდისა და ეძიებდა ისაყს, რამეთუ იყო ხონთქრისა-გან მორჩილებისა მისი მისის. ამის-თვის წარავლინა კაცი და მოჰკლა იგი დაუდაბადა: ხოლო შემდგომად მისთა ეღლავდეს ხონთქარსა, რამეთუ თვით განსაგი იყო. არამედ ყურ მოაჰგვარინებდა სარჯისათვის თავისა თვისისა, თვითა არს ხონთქრისა შარავანდედობისა სჯულისაბისა-თვის, ვერცა ფაშასა არც ბეგსა, აღაი-ბეგსა, აღასა და მოლაშქრეს. ამის-თვის განრისხნა ხონთქარი, წარმოავლინა მსტარვალი, რათა მოჰკლულიყო ისაყ ფაშას თავი: ჰრცნა ესე ისაყ ფაშამ, განიდლტო, მივიდა სტამბოლს და დაიმალა მუნ წელის რამდენსამე. ხოლო ახალ-ციხეს წარმოავლინეს ფაშად ასლან, ძე სელიმ ფაშისა ბაბის-ძე ისაყ ფაშისა:

## კვ, ასლან ფაშა ბ, გ წელი ფაშა:

წელსა ქს. ჩღე, ქრ. ტჟგ მოვიდა ასლან ფაშა და დასჯდა ახალციხეს და განაგებდა წესსა ზედა მათთა, რამეთუ ამ ჟამებთა არღარა იყო ქრისტეანე თვინიერ გლეხთა. არამედ იგინიცა მცირედ სამცხეს, თვინიერ ჯავახეთისა და უმცირესად შავშეთს, აჭარას და არტანს. გარნა ვაჭარნი რაოდენნიმე იყვნენ ყოველგან საათაბაგოსა შინა. არამედ იყო შეწობა დაზნესთა და აგარათა, ვინადგან ესეოდენთა ჟამთა იქმნა მშვიდობა ქრისტეანეთა ამათ შინა, აურიდნენ ქართლიდამ და სომხითიდამ სახლეულნი აქა და უმეტესნი ჯავახეთს. კვალად უფროსად ტყვეთაგან იმერთისა და გასამრავლებულნი ფრიად თათრობითა, ვინადგან ხარკთაგან კიდე ვერა რაის ავნებდნენ გლეხთა. ხოლო შემდგომად განცხადნა ისაყ ფაშა სტამბოლს, რამეთუ დაჯდა სხვა ვეზირ-აზამი, მისცა ქრთამი დიდი და მოსცეს ფაშობა ისაყ ფაშასავე და ასლან ფაშა წარვიდა სტამბოლს,

## ისაყ ფაშა მეორედ ჱ წელი ფაშა.

მოვიდა ისაყ ფაშა წელსა ქს ჩღჱ, ქრ. ტჟვ, და დაჯდა ახალციხეს. ამან დაამდაბლნა მომდგომნი ასლან ფაშისანი მოხვეჭითა და წართმითა თუალთათა და უპატიო ყოფითა და აღამაღლნა თვისნი წელსა ქს. ჩღიბ, ქრ. უ, მოვიდა გიორგი იმერთა მეფე, რათა შეწყეოს. ხოლო ისაყ ფაშამ აღუთქვა. არამედ შემდგომად ნებითა ფაშისათა წარვიდა და დაიპყრა იმერეთი: კვალად წელსა ჩღიგ, მოვიდა იგივე გიორგი. გარნა შემდგომად გურიელის სიკუდილისა ნებითა ფაშისათავე დაიპყრა იმერთი ქს ჩღიგ, ქრ. უა:

## ასლან ფაშა მეორედ ბ წელი ფაშა:

ხოლო წელსა ჩღიდ, ქრ. უბ მისცეს კვალად ასლან ფაშას და მოვიდა ახალციხეს. ხოლო ისაყ ფაშა წარვიდა სტამბოლსავე. ესე ასლან ფაშა ქრთამითა და ვედრებითა ბექან დადიანისა და ზურაბ აბაშიძისათა წავიდა იმერეთს სპითა და იქმნა რა იგი აღვწერეთ იმერეთს: მერმე მოვიდა ახალციხეს. არამედ უყო ამანცა ეგრეთვე ისაყ ფაშის მომდგომთა, ვითარცა მან ამისთა უქმნა:

## ისაყ ფაშა მესამედ თ წელი ფაშა:

შემდგომად წელსა ჩღიჱ, ქრ. უვ მოსცეს კვალად ისაყ ფაშას ახალციხის ფაშობა, მოვიდა და დაჯდა. არამედ ასლან ფაშა წარვიდა სტამბოლს, რამეთუ ვედრებითა და ქრთამითა

ისაყ ფაშისათა მისცეს სხვა ფაშობა ასლან ფაშას, რათა არღარა შემცილე ექმნას ისაყ ფაშას: 247
შემდგომად ისაყ ფაშისა-თანა მოვიდა გიორგი იმერთა მეფე სტამბოლიდამ, წელსა ჩღით, ქრ. უჟ: ამან წარატანა მესხეთი თვისი სპითა, წავიდნენ იმერეთს და იქმნა ყოფილი იგინი, დაუ-ტევეს გიორგი მეფე და წარმოვიდნენ მესხნი: ხოლო შემდგომად გიორგი მეფისა სიკუდილისა წარავლინა ისაყ ფაშამ შაჰუმირის ძმაგი ყაჩაღნი მეფისა-თანა და ითხოვა ძე გიორგისა ალექსან-დრე: მან წარმოუვლინა ნიჭითა და შემდგომად წელსა ჩღკა, ქრ. უთ ბრძანებითა ხონთქრისათა შთავიდა იმერეთს და იქმნა აღწერილისაებრ: შერმე დასვა მეფედ ალექსანდრე, მოუდგინა ბეჟან დადიანი და თვით მოვიდა ახალ-ციხეს. ხოლო წელსა ჩღკბ, ქრ. უია წარმოავლინა ხონთქარ-მან აზრუმის ფაშა სარასკრად სპითა დიდითა დაპყრობად ადრიბეჟანისად: ესე მოვიდა ყარსს და მიუწოდა ისაყ ფაშას. შემდგომად შთავიდნენ ტფილისს და იქმნა ყოველი, ვითარცა აღგსწე-რეთ ქართლსა შინა ყოფილსა: ხოლო ახალ-ციხეს ჰყვა მესხეთი და განაგებდა ნებითა ისაყ ფაშისათა. არამედ იქმნა ესე ისაყ ფაშა შემდგომად იესეს სიკუდილისა მპყრობელი და განმგე-ბელი ხონთქრისა-გან სრულიადისა ძალითა ყოველსა საქართველოსა, სახელით სამცხე-საათაბა-გოსი, სრულიად იმერეთისა, ქართლისა, ლორე, ყაზახ-შამშადილისა და კახეთისა: არამედ ვინადგან იყო ქართველი შვილი დიდის აღმშენდა ჯავახეთი და სამცხე მუნიდამ, ვინად-გან გარდმოშენდებოდნენ და განმდიდრდებოდნენ ბეგნი, აღაი-ბეგნი, აღანი და ფაშანი ხვეჭითა მა-თითა: არამედ აქუნდათ შვილნი ჯავახ-სამცხელთა მოგზაურთა სპათა-გან. შემდგომად გარდმო-ცვლეს ქართლი ღვთისა და სტყუეს მყიდველს სამცხე-ჯავახეთისა, ვიდრე გოლამდე და მიაქცინდათ ნატყუე-ვნი უამრავნი. მრავალ-გზის ეწვნეს მესხნი და ეწყვნენ. არამედ იგინი მრე-ექმნებოდიან მარადის და მოსრვიდიან სპათა ანუ სადაცა ვის მოიხელდიან და წარაქცევდით ალაფი დიდ-ძალი: ხოლო შემდგომად მოადგა რა თამაზ-ხან განჯას, უბრძანენ ქართველნი ისაყ ფაშისა-გან, მისცეს ნება ურჩილოაშთა და უკუდებოდნენ ქართველნი სამცხეს და ჯავახეთს მარად-დღე და სტყუვიდნენ გვალად დღესა ერთსა მოუხდნენ და წარიღეს ნატყუევნავი: ამათ წარმოუდგა მესხეთი, დაესხა დვირს, მოსრნა და მოსწყვიტნა ქართველნი, ტყუე-ყვნა მრავალნი, უგმოიხსნა ნატყუევნავნი და მოვიდა გამარჯვებული: ხოლო სძლო რა თამაზ-ხან ოსმალთა, მაშინ მისცა ტფილისიცა ისაყ ფაშამ და წარმოვიდა ყოვლითა საგანძურითა თვისითა და დაჯდა ახალ-ციხეს: შემდგომად ზავ-ჰყვეს რა ხონთქარ-მან და შანადირ, ამით იქმნა გვალად მეგობრობა ქართველთა და მესხთა შორის. არამედ ისაყ ფაშას არღა-რა აქვნდა ყმობა სამის თვით, გარნა იყო ორ-თუღიანი მორჩილებისაებრ ამ ისაყ ფაშამ წარავლინა ძე თვისი უსუფ ფაშა სტამბოლს, შესძლუნა ქრთამი დიდი ვეზირსა, მოსცეს ახალ-ციხის ფაშობა უსუფ ფაშას, წარმოვიდა და მოვიდა ახალ-ციხეს:

## გს, უსუფ-ფაშისა გ. წელი ფაშა.

წელსა ჩღღჟ, ქრ. ჩჳჟა, დაჯდა უსუფ ფაშა ძე ისაყისა. ხოლო ესე ფაშა იყოფებოდა განსვენებით თვისად და მართებდა უსუფ ფაშა, თვისიერ დიდისა საქმეთათვის და ამას ჰკითხვიდა მამასა თვისსა: ამან უსუფ ფაშამან წარავლინა კაცი აჭარას საქმისა რისათვისმე. ხოლო მათ შეურაცხ-ჰყვეს კაცი იგი, განრისხნა უსუფ ფაშა, წარავლინა მაჰმად ბეგ სპითა. ესე დაესხა აჭარას და მოსწყვიდნა სულნი ურიცხვნი უწყალოდ, აღიღო ალაფი მათი და მოვიდა უსუფ ფაშისა-თანა: მაშინ სხვანი აჭარელნი წარვიდნენ სტამბოლს და ეძიებნეს ხონთქარსა. ამისათვის წარიყვანეს უსუფ ფაშა სტამბოლს. არამედ ამანცა სძლო მათ, მისცა ქრთამი დიდი ყეხაიასა, მან გამოუტევა და მოვიდა სამცხეს ფაშადვე: ხოლო ალექსანდრემ იმერთა-მან შეიპყრა ვახუშტი აბაშიძე. მოვიდა ესე ფაშისა ვედრებად ასულმა მისმა ასული: ამან აღუთქვა განტევება მისი და წარუვლინა მოციქული ალექსანდრეს ცხენი აღკაზმული და ქურქი და მიუტევა ბ ქისა, რომელი თანა-ედვა ალექსანდრე ესე ფაშისა, რათა განუტევოს ვახუშტი. ხოლო მან არა ისმინა, არცა მიტევე-სცა: ამისათვის წარავლინა. ფირალის შვილი ყაყაჩეთის ფაშა სიძე თვისი იმერეთს სპითა წელსა ჩღჲა, ქრ. ჩჳჟო, შთავიდა რა იმერეთს, მოაოხრა დადიანი, ერისთავი და სვირიბ. ხოლო ალექსანდრე იძლეოდა ქართლს: ამათ მოიყვანეს გიორგი ძე გიორგისა და ძმა ალექსანდრესი, დასვეს იგი მეფედ და წარმოვიდნენ.

ამასვე წელსა მოვიდა შაჰ ლტოლვილი ყიზილბაშთაგან. ამისათვის წარმოავლინა კაცი შაჰნადირს ესე ფაშისა-თვის, რათა წარუვლინოს გრძელი შაჰს: მაშინ ესე ფაშამ აღირჩია მშვიდობა, რამეთუ ეშინოდა მისთვის მთრბეგისა და მოახრებისა ქვეყნისა, შეიპყრა შაჰი და მისცა გრძელი: ამასვე წელსა წარმოავლინა ალექსანდრეს ესე ფაშისათვის, რათა ჰყოს იგიცა იმერთა მეფედ. უსმინა ესე ფაშამ წინათ-ქმნილთა თვისთა, წარატანა ალექსანდრეს სპანი, ჩაიყვანეს და ჰყვეს იგი მეფედ და სპანი მოვიდნენ სამცხეს: ხოლო შემდგომად წელსა ჩღჲბ, ქრ. ჩჳჟდ, რა სძლო შაჰნადირ ქვეყნად სარასკარის ჯარს წარმოავლინა და მოარბიეს ყაყაჩეთი, არტანი, კოლა, წარიღეს სრულიად მონასტერნი და ქონებანი. არამედ ტყვენი არა ტყვე ჰყვნეს და მოუწოდეს ყოდრე მტკვრამდის მარბიელთა: შემდგომად წელსა ჩღჲდ ქრ. ჩჳჟვ წარმოავლინა ხონთქარმან საგანძური დიდი ლეკთათვის, რამეთუ შაჰნადირ ებრძოდა მუსულმანთ ქალაქსა, შეიკრიბა უსუფ ფაშა და წარვიდა სპითა დიდითა და შთავიდნენ ქართლს. ხოლო მესხეთა თეთრ-წყაროს, იქმნა რა იგი აღსწერეთ ქართლსა შინა: შემდგომად მოვიდა ძლეული უსუფ ფაშა ახისკარს და მოკვდა მუნ: ამისი შემდგომი ესე ფაშა დამშვიდდა ფრიად, გარნა მართებდა იგიცა ქვეყანასათა

# ცხოვრება ეგრისის-აფხაზეთისა:

ხოლო ძე თარგამოსისა ეგროს, რა მოვიდა წილ-ხვდომილსა თვისსა ძმათა შორის თვისსა 265 ქვეყანასა, ამან ეგროს ქმნა ადგილი ზღვის კიდის აღმოსავლეთით მდინარისა შორის. ამან აქა აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელითა თვისითა ეგრი და ამ ეგრისისა-გან განითქმის ქვეყანასა ამას შინა ძენი და ძენი ძეთა ეგროსისანი და ადიდეს ქვეყანა ეგრისისა და იქმნენ ესენი 266 მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისისა, ჟამად და ჟამად განმდგომილნი, ვითარცა აღვსწერეთ: ხოლო მოსლვასა არდამ სპარსთა ერისთავისასა და დაპყრობასა საქართველოსასა, ამის შემდგომად განდგნენ რა საქართველონი სპარსთა-გან, მაშინ ეგრის მდინარის დასავლეთისათა მოიმწყს ბერძენნი, განდგნენ საქართველოსა-გან და მოსწყვიტნეს სპარსნი და მიერთვნენ ბერძენთა, რამეთუ ძალითა ბერძენთათა ჰყვეს და დაშთნენ და იქმნენ იგინი მორჩილებასა შინა ბერძენთასა: ხოლო ეგრის მდინარის აღმოსავლეთი კვალად იქმნენ მცხეთელ მამასახლისის მორჩილებასა შინა: ხოლო შემდგომად მოკლა რა პირველ-მან მეფე-მან ფარნავაზ აზონ ერისთავი და დაიპყრა ყოველი საქართველო, არცა-და ამას მოერთვნენ ეგრისის მდინარის დასავლეთისანი. არამედ ერიდნენ ბერძენთავე და ეგრის მდინარის აღმოსავლეთისანი დაშთნენ ფარნავაზის მორჩილებასა შინა: ამან ფარნავაზ განაჩინა ეგრისი თვისის მორჩილებასა შინა მეოთხე ერისთავად და დასვა ქუჯი ერისთავად ეგრისს, რომელმან აღაშენა ეგრის და უწოდა ბედია, ვინაჲ-გან ქმნა ბედი და მისცა ქუჯის რიონის დასავლეთი და ჩრდილოეთი ზღვადმდე და ეგრისის მდინარემდე სრულიად სვანეთით. და მერმე, დასვა შორაპანს და მისცა საერისთოდ ნეშტი ეგრისისა, რომელ არს რიონის აღმოსავლეთი და სამხრეთი ზღვამდე და ლიხის მთამდე და იქმნენ კვლა ერისთავნი მორჩილებასა შინა და მოხარკეობასა შინა მეფეთა ქართველთასა. არამედ საბერძნეთს შინა კოსტანტ გორგასლისა მოიღეს ეგრისისა და ზღვის პირი ციხე-გოჯამდე ბერძენთა, გარნა მერმე კოსტანტივე მოუღო მეფეთა თვისთა ბერძენთა ქალქით აფხაზეთითურთ, საზღვარი თვისი ოდესითგან შემოსრულ-მან:

ამანვე კოსტანტ მისცა ლეონს კეისარსა [1] ეგრისის მდინარის იქითი საზღვარი ბერძენთა და მერმე აშფოთა კეისარ-მან ლეონს კოსტანტინესა ეგრისის მდინარის იქითი და ეპყრათ ხოლ-

[1] არამედ [illegible] წელსა შინა, [illegible]

როგანითა: ხოლო შემდგომად სტეფანოზ ბაგრატიონისა ჟამსა მიელო ერეკლემან კეისარმან ჯვალად ეგრისის მდინარის იქითი და დასვეს ბერძენნი ერისთავნი ოდიშსა ანაკოფიასა და უწოდეს აფხაზთა ერისთავად და იქმნნეს აქა ერისთავნი ცვლილებითა: ხოლო მოსწყდა მეფობა ეგრისსა იყო ანაკოფიას ერისთავი ლეონ. ამან ლეონ ისტუმრა მირ მეფე და არჩილ, პატიოსნად და მსა-ხურებდა მეფებრ და შემდგომად ერისა უკუ-ქცევისა ამ ლეონს მისცა კეისარმან მკვიდრად ერისთობა და არჩილ მისცა ასული მირ მეფისა და გვირგვინი კეისრული, აღთქმულისა მორჩი-ლებისა და მოსმენისასა: არამედ შემდგომად ამ ლეონის სიკუდილისა დაჯდა ძმისწული ამ ლე-ონისა ერისთავად ანაკოფიასა ლევანცა სახელითა: ესე ლევან იყო ასულის წული ხაზართა მეფისა და ვინადგან მოუძლურებულიყვნეს ბერძენნი აგარიანთაგან, ამან ხაზართა შეწევნითა განიმკვი-დრა საერისთაო თვისი და მორჩილებდეს სრულიად ეგრისი ამითი მეფისა მოყვრობისა-თვის და პატივსა უყოფდნენ: და შემდგომად სიკუდილისა თეოსისა და ყუანშერისა განდგა ესე მეორე ლევან და დაიპყრა ძალითავე ხაზართა და მორჩილებითა ეგრისელთათა სრულიადი ეგრისი ლიხის მთის იქითივე ზღვადმდე და ხაზარეთამდე და იწოდა მეფედ აფხაზთა და მოიღო საერისთაოსა თვი-სისა სახელი ეგრისისა ზედა, ქს ღპვ, ქრ. ჲ, და ამათგან მეფენი მეფობდნენ აფხაზნი ვიდრე ბა-გრატიონისამდე ესრეთ:

## ა, მეფე ლევან ბ, კ წელი ჭმქვა:

ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთოდ, ა, დასვა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღვადმდე და ხაზართა მდინარედმდე, ბ. დასვა ცხუმს და მისცა ეგრის იქითი ანაკოფიის აღმოსავლეთი. გ. დასვა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლე-თი ცხენის-წყლამდე. დ, ვინადგან ამან ლეონს მოეწონნეს ოძრახოს წილნი, ჭოროხის სა-მხრეთისანი და განუწესნეს ოძრახოს ერისთავსა უწოდა გურია და დასვა მუნ ერისთავი თვისი. ე, დასვა რაჭა ლეჩხუმისა, ვ. დასვა სვანეთისა. ზ, შორაპნისასვე, რიონისა და ხანის წყლის აღმო-სავლეთისა ლიხამდე სრულიად არგვეთისა. ჱ, დასვა ქუთათის ვაკისა, ოკრიბისა და ხანის წყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლეთ ცხენის წყლამდე: ამანვე აღაშენა ქუთათისი ქა-ლაქი და ციხე და ქმნა საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია ქმნა ტახტად მეორედ ესე ქუთათისი: ამისგანვე საგონებელ არს განთვისუფლება აფხაზთა კათალიკოზისა, ნებითავე ბერ-ძენთათა. ამან ლევან მოიწყო აფხაზეთი და განაგო ყოვლითავე და შემდგომად კეთილ-მეფო-ბისა მოკუდა ქს. ჳგ, ქრ. ჯგ. და დაუტევა ძენი. თეოდოსი, გიორგი და დიმიტრი:

## ბ, მეფე თეოდოსი, ლთ წელი ჰმეფა.

გამეფდა შემდგომად ლეონისა ძე მისი თეოდოსი; ამან დაიწყო (¹) უმეტეს აფხაზეთი, ესე თეოდოსი იყო სიძე აშოტ კურაპალატისა. ამანვე უშველა გახია მთავარსა გრიგოლის ძესა აშოტ კურაპალატისა. ესევე იწყო ბაგრატ მეფეს რომლის ძმასა თვისსა და ბუღა თურქს გვერდჩიობს სპითა თვისითა: შემდგომად ლტოლვილ-მან გარდმოვლო დვალეთი და მოვიდა აფხაზეთს. შემდგომად კეთილ-მეფობისა მოკუდა ქს. ყმე, ქრ. ჲე:

## გ, მეფე გიორგი, იე წელი ჰმეფა.

შემდგომად თეოდოსი მეფისა დაჯდა ძმა ამისი გიორგი მეფედ. ამან გიორგი-მ დაიპყრა ქართლი და დასვა ჩიხას ერისთავად ტისენ ძე დიმიტრისა ძმისა თვისისა და შემდგომად კეთილ-მეფობისა მოკუდა გიორგი მეფე ქს. ყოჰ: ქრ. ჟჰ:

## დ მეფე იოანე, იდ წელი მეფა.

ხოლო გიორგი მეფისა შემდგომად მეფე იქმნა ძე მისი იოანე, რამეთუ დედოფალ-მან დედა-მან იოანე მეფისა-მან განიზრახა უმეტეს დამტკიცება მეფობა ძისა თვისის და ყისადღგან მომკუდარ იყვნენ ძმა თეოდოსი და გიორგი მეფისა დიმიტრი. ამისათვის შეიპყრა ძე დიმიტრისა ერისთავი ჩიხისა ტისენ და მოჰკლა იგი და უმრწემესი ძე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე ჭაბუკითა ქსორიოს ჭკუა და მოგზავნილი ბაგრატ შთაავდეს ზღვასა შინა; რამეთუ ღმრთისან განარინა იგი და 267
მიიწია კოსტანტინეპოლეს. ხოლო მეფე-მან იოანე მოგვარა ძესა თვისსა ადარნასეს ცოლი, ასული გურამ აშოტ კურაპალატისა ძისა და ატორჩინა და შემდგომად მოკუდა იოანე მეფე ქს. ყოთ, ქრ. ჟთ:

## ე, მეფე ადარნასე, ტ წელი ჰმეფა:

და იქმნა მეფედ ადარნასე ძე მეფისა იოანესი. ხოლო ამის მეფობისა შემდგომად ტ წლისა მოვიდა ბაგრატ ძე დიმიტრისა ქსორიოს ყოფილი კოსტანტინეპოლიდამ სპითა კეისრისათა და დაიპყრა აფხაზეთი. ამან ბაგრატ შეიპყრა მეფე ადარნასე და მოჰკლა იგი წელსა ქს. უპჲ, ქრ. რჲ:

(¹) მოიწყო. მოიმტკიცა ვ. ნ.

## ვ, მეფე ბაგრატ ა, ით წელი ჰმეფა:

დაჯდა ესე ბაგრატ მეფედ. ამან მოიყვანა ცოლი ადარნასე მეფისა ასული გურანდ მამფა-ლისა და შეირთო თვით ცოლად: ამანვე ბაგრატ გამოიყვანა ნარსე ცოლის ძმა თვისი და მისცა შეწევნა ხმითა მეფე ადარნასესა ზედა. შემდგომად მეფობისა მოკუდა ბაგრატ, ქს. შყ, ქრ. რკგ:

## ზ, მეფე კონსტანტინე, იე წელი ჰმეფა:

დაჯდა მეფედ აფხაზთა ძე ბაგრატ მეფისა კონსტანტინე. ხოლო ესე კონსტანტინე და სომეხთა მეფე სუმბატ ბრძოდნენ ქართლისა ზედა. არამედ შემდგომად ჰკვეს ზავი და დაიპყრა ქართლი კონსტანტინემ და შემდგომად მოსლვისა აბულ-კასიმისა მოეწოდა კვირიკეცა კახთა ქორიკო-ზმან ამ მეფეს კონსტანტინეს. ამან მისრულ-მან შემუსრნა ციხენი ტფილისისანი, მერმე დასხდნენ კვირიკე კახთა, მეფე კონსტანტინე და ტარონთა მეფე და უგმოქცეულ-მან კონსტანტინე მეფე-მან მოსწყვიდა ოქროთი ხატი ადარნერსის მთავარ-მოწამისა წმიდის გიორგისა და შესწირა ეკრძალ და მოვიდა აფხაზეთს. არამედ შემდგომად მეფობისა მმართველი მოკუდა კონსტანტინე მეფე ქს. შკა, ქრ. რმა:

## ჱ, მეფე გიორგი ა, ლთ წელი ჰმეფა:

გამეფდა ძე კონსტანტინე მეფისა გიორგი. ამას წინააღუდგა ძმა თვისი ბაგრატ და იბრძოდნენ წელ-ნახევარსა და არა იყო მშვიდობა მათ შორის: შემდგომად მოკუდა ბაგრატ და დაიპყრა სრულიად აფხაზეთი. არამედ ესე გიორგი იყო ღმრთის-მოშიში და მოყვარული, ჰაე-როვანი, მხნე, ახოვანი, მოწყალე, უხვი, ეკკლესიათა მაშენებელი და ქრისტიანეთა შემწყნარე: ამან მისცა ასული თვისი გურანდუხტ გურგენს ბაგრატ მეფის რეგვენის ძესა. ამანვე გიორგი მეფე-მან შემდგომად მეფისა ადარნასე კურაპ-პალატისა სიკუდილისა დაიპყრა ქართლი და მისცა ძე თვისი კონსტანტინეს: არამედ მტერ რა ექმნა მამასა თვისსა ესე კონსტანტინე გამოიყვანა უფ-ლის-ციხიდამ გიორგი მეფე-მან და ჰყო საჭურისად. ესევე გიორგი მეფე მოვიდა კახეთს, შეი-პყრა კვირიკე კახთა ქორიკოზი და დაიპყრა კახეთი თვით და შემდგომად, ვითარცა აღვსწერეთ ზემოთ. არამედ შემდგომად კეთილ-მეფობისა მოკვდა ქს. მხე, ქრ. როე:

## თ, მეფე ლეონ გ, ბ წელი ჰმეფა:

მეფე იქმნა ლეონ აფხაზეთს ძე გიორგი მეფისა. ხოლო ესე ლეონ მახლობით დაეზავა კვირიკეს ქორიკოზსა, და მისცა ასული თვისი ცოლად დავითს, ძესა კვირიკე ქორიკოზისასა:

არამედ შემდგომად თვისისა ასულისა სიკუდილისა კვალად ემტერა გვირიგე ქორიკოზს ლევან მეფე, და ლაშქრობასა შინა დასნეულდა ზაქსლეთს, უკმოიქცა და მოვიდა ქუთათის და მოკუდა მუნ მეფე ლევან ქს. შჲზ, ქრ. რპზ:

## ი, მეფე დიმიტრი, კბ წელი ჰმეფა:

შემდგომად ლევან მეფისა დაჯდა აფხაზთა მეფედ ძმა ლევანისა დიმიტრი: ესე დიმიტრი მეფე იყო მხნე, ახოვანი, შემმართებელი და უხვი. ამის-თჳს ქვე-გამხედველ ექმნენ ამას აფხაზნი და მოიყუანეს კონსტანტინოპოლიდამ ძმა დიმიტრი მეფისა თეოდოსი. არამედ ვერ შეუძლეს შემუსრვა დიმიტრი მეფისა. არამედ შემდგომად დიმიტრი მეფე-მან დაიპყრა ძმა თვისი თეოდოსე, გვირიგე ქორიკოზის ჴამო და შუამდგომელობითა სვეტის-ცხოვლისა და მუნ მჯდომის კათალიკოზისათა: გარნა უარ ჰყო აღთქმა დიმიტრი-მ და დასწვა თუალნი ძმასა თჳსსა თეოდოსს და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მეფობისა მოკუდა დიმიტრი მეფე, ქს. შოთ, ქრ. რჟთ:

## ია, მეფე თეოდოსი, ვ წელი ჰმეფა:

შემდგომად დიმიტრი მეფისა უძეოთ ქმნილთა აფხაზთა უმკვიდრობისა-თჳს მეფეთა მათთა, ვინადგან არღარა ვინ იყო, გამოიყვანეს თეოდოსე უთუალო და დასვეს მეფედ აფხაზთა. არამედ შემდგომად ექვსისა წლისა თეოდოსეს მეფობისა, ვინად-გან განირყვნა ყოველნი წესნი აფხაზთანი მეფობასა მისსა, ამის მიერ ითხოვეს დავით მეფის კურაპალატისა-გან მეფედ აფხაზთა ბაგრატ ძე გურგენისა, ასულის წული გიორგი აფხაზთა მეფისა: მან მოსცა და მოიყვანეს აფხაზეთს და აკურთხეს ქუთათისს მეფედ ქს. შპე, ქრ. სე, და ამ ბაგრატის შემდგომად იქმა აფხაზეთის მეფობა ბაგრატოანთა: ხოლო მეფობდნენ აფხაზთა მეფენი იგინი აფხაზეთს წელთა რჟთ: და ამ ბაგრატის პირველისა მეფობიდამ ვიდრე ლაშას ძის დავით მეფისა და რუსუდანის ძის ნარინ დავით მეფისამდე იყო ერთმეფობისა ქუეშე სრულიად აფხაზეთი, მეფობასა ბაგრატიონთასა, და ამ ორთა დავითის განყოფისამდე სამეფოთა გარდახდენ წელნი სოდ:

## ცხოვრება იმერეთისა:

## ა, მეფე ნარინ დავით, ა. ლვ წელი ჰმეფა:

ხოლო დაჯდა ნარინ დავით მეფედ იმერთა ქს. ჩსნთ, ქრ. უოთ, ამიერით იწოდა დავით და მას ქუემოთნი მეფედ იმერთა და არღარა აფხაზთა: ხოლო ნარინ-დავით მეფობდა, ვითარცა აღვსწერეთ: და ამ დავითის გამეფებიდამ, ვიდრე ბრწყინვალე მეფის გიორგის იმერეთის დაპყრო-

ბიძამდე გარდახდენ წელსა ათხ. ქრისტ. რომელიც გამეფდა ნარსის დავით ქკ. ჩსნთ, ქრ. უოთ და მოკუდა დავით მეფე ქკ. ჩსჟბ, ქრ. ფთ. და შემდგომად ნარსის დავით მეფისა დაჯდა მეფედ ძე დავითისა უხუცესი კონსტანტინე:

## ბ. მეფე კონსტანტინე ა, ლბ წელი მეფობა:

ამ კონსტანტინეს წინააღუდგა ძმა თვისი მიქელ და არა უტევებდა მეფობად და მფლობად იმერეთისა და მიქელ დაიპყრა რაჭა, ლეჩხუმი და არგვეთი და აქუნდათ დღეთა მათთა მარადის ბრძოლა, მძლეობა და მყვრობა და ხდომა ურთიერთთა და იყო ოხრება ქვეყნისა; ამისათვის შეიკრიბებდენ დიდებულნი ამის სამეფოისანი და ვერა რითა ჰყვნეს ზავნი მათ შორის; ხოლო დადიანისაგან გიორგი-მ ქმნა ყოთრება მათ შორის, მაშინ მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში აბაშისწყლამდე. ეგრეთვე შარვაშიძე აფხაზეთი და გურიელმან
268 გურია და სვანთა ერისთავმან სვანეთი და განმგეობდნეს თვისად და არღარა ექმნენ მორჩილებასა შინა იმერთა მეფეთასა; ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი, ქკ. ჩფბ, ქრ. ათ და დასჯდა მის წილ ძე მისი მამია და ამან უმეტესად დაიპყრა ოდიში. შემდგომად ამ მეფობასა შინა მოკუდა მეფე კონსტანტინე ქკ. ჩფგ, ქრ. ათ:

## გ. მეფე მიქელ, გ წელი მეფობა:

და შემდგომად მისა გამეფდა ძმა მისი მიქელ. ამან იღუაწა გულით შეერთებად და დამორჩილებად მორჩილებისაგან მათ მთავართა და ერისთავთა, არამედ წარჩინებულთა და ცუდადებათა ვერღარა შეუძლო; გარნა დაიმორჩილნა გულად სარგის მოცემითა და მიდგომით თვისად, და სხვასა ვერღარა რასა იქმს. რომელიც მოკუდა წელსა ქკ. ჩფვ, ქრ. ათ:

და ამას მეფესა მიქელს დაშთა ძე ქრისტეფორე ბაგრატ, რომელსა არა მიდგომოდა მეფობა სამეფოისად და არცაღა მიერთებინ მთავარნი წინააღმდგომნი. არამედ იყო ქუთაისს და მიიტაცებდიან მთავარნი ქვეყანათა და განიყოფებოდიან ყოველსა წესსა იმერთასა; ხოლო განაწყვეტდა რა ბრწყინვალე გიორგი მეფე, ამან გიორგიმ განიხილა ქმნა ყოთრება იმერთა საქმენი, ვინაჲთ იმერთა მეფობისა თვისისათვის; მაშინ იმერნი, შეიწყნარებდნენ იმერეთს ხდომითა და ოხრებითა და არცა გიორგი იყო მორჩილი მეფობისა იმერეთისა. ამისათვის მისცეს ბარი მტკიცე. ჩამოვიდა და დაიპყრა იმერეთი მეფე-მან გიორგიმ სრულიად ქკ. ჩფდ, ქრ. ათ; და იყო მის ქვეშე და შემდგომად მისთა იყო ერისთავთ ქართლისათვის, ვიდრე ალ გიორგი მეფისა, ძე მეფის ბაგრატისამდე, წელი რდ. გარნა იგი განსვენებოდიან და იწოდებოდნენ მეფედ, არამედ ირიცხვის ქუეყნით, ვინაჲგან არა იყო სამტკიცე:

## დ. ბაგრატ ერისთავი:

ხოლო ამ გიორგი მეფისაგან იქმნა ერისთავად ძე მისივე მეფისა ბაგრატ და იყო მორჩილებასა შინა გიორგი მეფისასა მორჩილად. შემდგომად მოკუდა დადიანი მამია ქრ. ჩფმე, ქრ. ლგ, დასვა მის წილ ბრწყინვალედ მეფე-მან გიორგი-მ ძე მისი დადიანისა გიორგი დადიანად: ხოლო ამისა შემდგომად მოიყვანა ცოლად ასული ყუარყუარე ათაბაგისა ბაგრატ მისავე მეფის ძე-მან, ქრ. ჩფნზ, ქრ. მე, და იქორწინა მისითა ნებითა დიდითა მეფისათა და ამან ბაგრატ შვა მისგან ძენი სამნი, ალექსანდრე, გიორგი და კოსტანტინე: ამისა შემდგომად მოკუდა ბაგრატ ერისთაობასა შინა ქრ. ჩფობ, ქრ. ჲ: ხოლო შემდგომად ბაგრატისა დაადგინა მასვე ერისთაობასა ზედა დიდ-მან მეფე-მან ბაგრატ ძე ბაგრატ ერისთავისა ალექსანდრე, და იყო ალექსანდრე ერისთაობასა მორჩილებასა შინა დიდისა ბაგრატ მეფისასა: შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი ქრ. ჩფპდ, ქრ. ობ, და მიუბოძა დიდ-მან მეფე-მან ბაგრატ ძესა გიორგი დადიანისასა ვამეყს დადიანობა. ამისა შემდგომად მოსვლისა დასიგუიმერისასა და შეპყრობისა დიდისა ბაგრატ მეფისა, წარვიდა რა გიორგი ძე დიდისა ბაგრატისი მეფისა ქართლს, რათა განაგოს მუნებურნი საქმენი, ყოვლადვე იმერეთი აქუნდა მშვიდობით სიმტკიცესა შინა:

## ე. მეფე ალექსანდრე, ე წელი ჰმეფა:

მაშინ იყო ჟამი ალექსანდრე ძე-მან ბაგრატისა-მან, ყოვლად-გან მიეღო ძალი გიორგის ძესა დიდისა ბაგრატ მეფისასა, განდევნა და დაიპყრა იმერეთი ქრ. ჩფპზ ქრ. ოე, იწოდა მეფედ და აკურთხა გელათს (რამეთუ ქუთათისი ჯერეთ ეპყრათ გიორგისაგანვე), რათა უმტკიცესად მოიმტკიცოს იმერნი და ბრძოდა ციხეთა იმერეთისათა, რომელნი ეპყრნეს მეფისა ბაგრატს და ძესა მისსა გიორგის: მერმე ჰკითხა ალექსანდრე დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და სვანთა. ამისთვის არა ინებეს, რამეთუ მაშინ აქუნდათ ჯერეთ ბაგრატ მეფისა და ეგრეთ ერთ-გულებასა მისსა სდგა. გარნა აღიხუნეს რომელნიმე ციხენი იმერეთისანი ალექსანდრე-მ, თვინიერ ქუთათისისა და სკანდელისა: შემდგომად მოკუდა მეფე ალექსანდრე ქრ. ჩფჟ, ქრ. ოჱ, და დაუტევა ცოლისა თვისისა ასნა დედოფლისა-გან ძე ერთი დიმიტრი:

## ვ. მეფე გიორგი ბ, გ. წელი ჰმეფა:

და შემდგომად ალექსანდრე მეფისა დაჯდა ძმა მისი გიორგი მეფედ იმერთა. ამან გიორგი უმეტესად დაიპყრა იმერეთი და აღიხუნა ციხენი ბაგრატ მეფისა და გიორგისანი და უმეტესად მტკიცედობდა დამორჩილებასა და შეყრობასა შათ მთავართათა: ამისვე გიორგი-მ დასვა კათოლიკოზად არსენი ქრ. ჩფჟა, ქრ. ოთ, ამისთვის რა არღარა ინებეს მთავართა მათ მორჩილება გიორგი მეფისა. ამისთვის განიზრახა ამან გიორგი ბრძოლად მამიე დადიანისა, რამეთუ უკუე

ხმლით და დაიმორჩილეს იგი, სხვანიცა ყოველნი დაიპყრნეს: შემოიკრიბნა სხვანი იმერთანი, წარვიდა და მოვიდა ოდიშს: დღესა ერისა ეწყო ვამიყ დადიანი და ძლიერისა ბრძოლისა შემდგომად ილტოდა სხვანი იმერთა და მოჰკლეს შეკრებულთა მეფე გიორგი ქს. ჩცჟბ. ქრ. ფ. ხოლო ლტოლვილნი იმერნი მოვიდნენ თვის თვისად: მაშინ განზრახვითა ვამიყ დადიანისათა ჩამოვიდა გიორგი ძე დიდის ბაგრატ მეფისა და დაიპყრა ყოვლად იმერეთი: ხოლო კონსტანტინე ძე ბაგრატისა და ძმა ალექსანდრე და გიორგი მეფისა და დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა ივლტოდნენ ბასიანს და იყოფებოდნენ წელსა ოთხსა მუნ მწირად:

## ს, მეფე კონსტანტინე ბ, ე წელი ჰქონდა:

შემდგომად წელსა ქს. ჩცჟგ, ქრ. ფდ. მოსწყდნენ რა იმერნი ბრძოლასა შინა ლანგ-თემურისასა მეფის გიორგისა-თანა და ამავე ქორონიკონსა მოკუდა ვამიყ დადიანი და დაჯდა ძე მისი მამია დადიანად: მაშინ მოიყვანეს იმერთ კონსტანტინე ძე ბაგრატისა და ჰყვეს მეფედ იმერთა: ამან კონსტანტინე-მ დაიპყრა ყოვლად იმერეთი და აღიხუნა ციხენი, რამეთუ იყო გიორგი მეფე უცალოდ თემურ-ლანგისა-გან და კონსტანტინე ამით მცდელობდა განმტკიცებასა იმერეთისასა და შეერთებასა თვისად დადიან-გურიელისასა და სვანთასა:

## ტ, დიმიტრი ერისთავი:

არამედ მოკლეს მეფე კონსტანტინე ჩაღატაისნი ანუ ჩაღათაისა შინა ქს. ჩჟა ქრ. ფთ და ამან არა დაუტევა ძე. არამედ დაშთა დიმიტრი ძმისწული კონსტანტინესი და ძე ალექსანდრე მეფისა და მცდელობდა მეფობასა. გარნა იყო ერმა და ყურა ლომიერ და არავინ ვინ დაუმორჩილებოდნენ მეფობისა-თვის: მაშინ ჟამთა ამათ მოცალე იქმნა გიორგი მეფე თემურ-ლანგისა-გან და იხილა იმერეთი ესრეთ, ჩამოვიდა სპითა თვისითა იმერეთს, შეერთა დადიანი მამია და ყოველნი იმერნი, შეიპყრეს დიმიტრი და მისცეს მეფესა გიორგის: ხოლო მან არა რაი ავნო. არამედ წარიყვანა
269 ქართლს და დაასადგურა სომხითს საერისთაო და იყოფებოდა მუნ და იმერეთი სრულიად დაიპყრა მეფე-მან გიორგი-მ: შემდგომად გიორგისა ეპყრა მეფესა კონსტანტინეს ნებასა შინა თვისსა: შემდგომად კონსტანტინესა ალექსანდრეს მეფესა: ხოლო ამ ალექსანდრე მეფესა ძესა გიორგი მეფისასა სიყვარულისაებრ თვისის ძმის ქება და შეყვარება სიკეთისა დიმიტრის დის თამარისა, ეტრფოდა და მოიყვანა ცოლად და ქმნა ქორწილი მისთანა: ხოლო მოკლეს რა აფხაზთა მამია დადიანი ქს. ჩკდ, ქრ. რბ და დაჯდა ძე მისი ლიპარიტ. მაშინ მეფე-მან ალექსანდრე-მ სიყვარულითა ცოლისა თვისისა და ვინად-გან უწყოდა ვერ შემძლებლობა დიმიტრისა, მისცა ყოვლად ერისთობა იმერეთს დიმიტრის და იყო ერისთავად ესე დიმიტრი მორჩილებასა შინა ალექსანდრე

მეფისასა, ვახტანგისა და გიორგი მეფისასა: ხოლო მოკუდა ესე დიმიტრი ერისთავობასა შინა, ძე მეფისა ალექსანდრესი ქს. ჩუნე. ქრ. რმგ:

და დასვა მეფემან გიორგიმ ძე მისი ბაგრატ ერისთავად, და იყო მორჩილებასა შინა მისსა: არამედ ათაბაგმან ყვარყვარე მ გაათაბაგებისა თვისისა გიორგი მეფისაგან იწყო ქმნა-მხედველობა მეფისა გიორგისა. ამის-თჳს ეწყრა ბაგრატს ფარულად, რათა განდევნოს და აღუ-თქვას დადიან-გურიელსა განთავისუფლება და მწე-ეყოს იგი ბაგრატს: ხოლო ბაგრატს განწრახვა ესე და ჰქონდა ეგრეთ. ამის-თჳს მოსცეს დადიან-გურიელმან, აფხაზთა და სვანთა ძალი მტკიცე მეფედ ქუთაისის იმერეთის:

## ი, მეფე ბაგრატ, ივ წელი ჰმეფა:

მაშინ შეწევნითა ამით განსდგა ბაგრატ და დაიპყრა იმერეთი, და ვინადგან მეციხოვნენი გიორგი მეფისანი არა ეგრძალოდნენ ბაგრატს, რამეთუ ბიძა იყო მეფისა და საისრო, გამოასხნა ყოვლნი და დაიპყრა თვით და შეაყენა მეციხოვნენი თჳსნი: ამისი მცნობელი მეფე გიორგი, შეკრებული სპითა ჩამოვიდა იმერეთს და რა არღარა მოეწონა ათაბაგი ყვარყვარე, ეწყო სპითა იმერთათა ბაგრატ ჩიხორს, ქს. ჩფიბ, ქრ. რს, და ძლიერისა ბრძოლისა შემდგომად ძლ-ლია გიორგი მეფე და იქცა ქართლსავე: ხოლო ბაგრატ გამარჯვებული მოვიდა ქუთაისს, აქა მოერთნენ დადიან-გურიელ-აფხაზნი და სვანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო-ჩინებითა, მეფედ. ამის-თჳს აღუსრულა მთავართა მათ აღთქმული თვისი და განთავისუფლდნენ, თვი-ნიერ ლაშქრობისა და ძღვნ-განწესებისა მეფისა და იქმნა იმერეთი მიერითგან ერთ-მეფედ და ოთხ-სამთავროდ ამა სათავადოდ, რამეთუ მიიღო დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზეთი და ჯიქეთი და გელოვან-მან სვანეთი და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ: ხოლო მოვიდა ამ ბაგრატისავითა ათაბაგი ყვარყვარე, ლტოლვილი გიორგი მეფისაგან: ამან ბაგრატ პატივით შეიწყნარა. არამედ მოვიდა რა თავრიზ-გილანი და თემურ და მოაოხრეს გიორგი მეფე. მაშინ უშველა ბაგრატ მეფემან ყვარყვარე ათაბაგსა, შთავიდნენ სამცხეს და დაიპყრა ათაბაგმან სამცხე და ბაგრატ უკმოიქცა იმერეთსავე: არამედ მარადის აძლევდა ნიჭადსა ათაბაგსა, რათა დაა-მორჩილოს ყვარყვარე მ ერისთავნი გიორგი მეფისანი: შემდგომად შეიპყრა გიორგი მეფე ყვარ-ყვარე ათაბაგმან. მაშინ შეკრიბა სპანი ბაგრატ მეფე-მან და შთავიდა ქართლს და დაიპყრა სრულიად ქართლი, ქს. ჩფიგ, ქრ. რნდ, და დაიწყო პყრობად კახეთისა. არამედ განუტევა ბაადურ ათაბაგ-მან მეფე გიორგი, და მოეწყო თვით სპითა, რათა დაიპყრას ქართლი და ბრძოლა ბაგრატ მეფესა გიორგი მეფემან: იხილა ეს ბაგრატ მეფემან, არა ინება ბრძოლა, წარმოვიდა და მო-ვიდა ქუთაისსა:

ხოლო მოკუდა დადიანი ლიპარიტ ქს. ჩუოა, ქრ. რსჱ და დაჯდა ნებითა ბაგრატ მეფისათა ძე მისი შამადავლე და წინარე მოკუდა მეფე გიორგიცა ქართლისა და მეფე კოსტანტინე არა უტევებდა ბაგრატ მეფესა ლხინს აქეის მისის ძირობათა. ამისთჳს შეკრიბა მეფემან ბაგრატ სრულიად სპანი იმერთანი და ჩავიდა და დაიპყრა შიდა-ქართლი: ხოლო კოსტანტინემ განამაგრა ტფილისი და სომხითი და ბრძოდეს ურთიერთსა. მაშინ ზავ-ჰყო ბაგრატ მეფე-მან კახ-ბატონის გიორგის-თანა, რათა მოსწყდნენ იყოს ბაგრატისა და მისდროს კახეთისა, რომელი უპყრავს კოსტანტინე მეფესა: შემდგომად მოკუდა დადიანი შამადავლე, ქს. ჩუოდ, ქრ. რაბ და დაჯდა ძმა მისი ვამიყ დადიანად, საბოლოდ ბაგრატ მეფისათა: ხოლო ამან ვამიყ დადიან-მან არღარა ინება განძლიერება უმეტესად ბაგრატ მეფისა, შემოიკრიბნა აფხაზნი და გურიელი და ჰყო-გარიება, ოხრება და დაპყრობა იმერეთისა: ესმა ესე ბაგრატ მეფესა ქართლს მყოფსა და წარმოვიდა მსწრაფლად სპითა დიდითა, რამეთუ წარიტანნა ქართველნიცა და მისრულსა ოდიშს ჰყო დადიანი ვამიყ და იქმნა ბრძოლა ძლიერი ქს. ჩუოჱ, ქრ. რაე და მოსწყდნენ მრავალნი: შემდგომად ილტვის დადიანი ვამიყ. მაშინ შევიდა ბაგრატ მეფე ოდიშს, აღიხუნა ციხენი და დაიპყრა ოდიში: ამისა მხილველი დადიანი ვამიყ ევედრა და აღუთქუა ერთგულად მორჩილება ყოვლით, რათა ჰყოს იგივე დადიანად და, ვინაიდგან ბაგრატ მეფესა აქუნდა სხვა განზრახვა ქართლსა ზედა დაადგინა ვამიყვე დადიანად, ფიცებული ერთგულობასა ზედა. შემდგომ წარმოიყვანნა დადიანიცა სპითა თვისითა და მოვიდა ქართლს ულვიერესად და ბრძოდა ციხეთა კოსტანტინე მეფისათა, ჰნებავდა დაპყრობად. არამედ წელსა ქს. ჩუოჱ, ქრ. რაჳ, მოვიდა უზუნ-ასან ყეენი: ამის-მან მცნობ-მან ბაგრატ მეფე-მან არღარა ინება ბრძოლა უზუნ-ასან ყეენისა, ვინაიდგან კოსტანტინე მეფეცა მივიდა მის-თანა და მისცა ციხე ტფილისი, უკმოიქცა და მოვიდა რაჭას, დასნეულდა მუნ და მოკუდა ქს. ჩუოჱ, ქრ. რაჱ და დაფლეს გელათს:

---

## ი, მეფე ალექსანდრე ბ, ლბ წელი მეფობა:

ხოლო შემდგომად ბაგრატ მეფისა დაჯდა მეფედ ძე ამისი ალექსანდრე და ინება გურიისკენ. ამის-თვის მოუწოდა დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და გელოვანს. არამედ დადიან-მან არღარა ინება მოსვლა. ეგრეთვე გურიელ-მან და სხვათა: იხილა ესე კოსტანტინე მეფე-მან იმერთა შორის ვითარებანი, შეკრიბნა სპანი და ქირანა დადიანისა, ჩამოვიდა იმერეთს ქს. ჩუოთ, ქრ. რპბ და მიერთნეს ყოველნი იმერნი, ვინაიდგან დადიანსა მიეცა ზორი ატგიცა: ამისთჳს ვერღარა წინა-აღუდგა ალექსანდრე და წარვიდა სამაგრეთა შინა. ხოლო კოსტანტინე მეფე-მან დაიპყრა
270 იმერეთი, მოერთო დადიანიცა და მისცეს ციხე ქუთათისისა, რამეთუ არა კეთილი იყო ბაგრატის-გამო დადიანი ალექსანდრესი, ვინაიდგან დაამდაბლა ბაგრატ დადიანი: შემდგომად ამისა მოკუდა დადიანი ვამიყ ქს. ჩუპბ, ქრ. რია და დაჯდა ძე შამადავლე დადიანისა ლიპარიტ დადიანად:

მერმე კვალად მოკუდა გურიელი კახაბერ ქს. ჩფპგ, ქრ. როა და დაჯდა ძე მისი გიორგი გურიელად. ამასვე წელს იძლია კოსტანტინე მეფე ყვარყვარე ათაბაგისა-გან: მაშინ შემოიკრიბა რაჭა, ლეჩხუმი ალექსანდრე ძე-მან ბაგრატ მეფისა-მან, მოვიდა და აღიღო ქუთათისი ქს. ჩფპდ, ქრ. რობ, დაჯდა მეფედ, ეპყრობა და დაიპყრა იმერეთი: არამედ დადიანს-მან კვალად არა ინება მეფობა მისი და მოიწვია მეფე კოსტანტინე დაპყრობად იმერეთისად: უხმოს დადიანსა მეფე-მან კოსტანტინე-მ და წამოვიდა კვალად სპითა იმერეთს ქს. ჩფპე, ქრ. როგ, აქეთ მოვიდა ლიპარიტ დადიანი ოდიშით. ამათ შერისხა-რა ბრძოლა უყო ალექსანდრე მეფე-მან და წარვიდა კვალად სამეგრელოს შინა: მაშინ მოერთო დადიანი და სრულიად იმერნი მეფესა კოსტანტინეს, აღიღო კვალად ქუთათისი და მოსცნეს სრულიად ციხენი იმერეთისანი და დადგრა ქუთათისს, რამეთუ არღარა ენება წარსვლა, რათა განამაგროს და განამტკიცოს იმერეთი და ბრძოლს ალექსანდრე და მოსრმოს იგი: არამედ ქუთათის შეიტყუა მოერთყა მეფეს კოსტანტინეს მოსვლა სპასპეტის ასანბეგისა ყეენისა-გან და მოკლვა ტუმანისისა მისგან სპითა, ქს. ჩფპზ, ქრ. როე, ამის-თვის დაუტევა იმერეთი, წარვიდა ქართლს და ბრძოდა თათართა: ხოლო ალექსანდრე ეზრახა იმერთა და დადიანსა, წამოვიდა და დაიპყრა იმერეთი კვალად, აღიღო ქუთათისი და ყოველნი ციხენი იმერეთისანი, რომელ-გან კოსტანტინე მეფე უპყრა იყო. მერმე დაეზავა დადიან-გურიელსა, ამით დაიმშვიდა იმერეთი და დაიპყრა უშფოთველად და დაიმორჩილნა აფხაზნი და სვანნი. გარნა არა ეგულისად, ვითარცა ენება: ხოლო უშვა ალექსანდრე მეფესა დედოფალ-მან თამარ ძე ბაგრატ ქს. ჩფჟა, ქრ. რპე: შემდგომად ამისა უშვა ძე დავით: ამან ალექსანდრე-მ იხილა ბრძოლითა და შფოთებითა ყოფა რა ბედნიერობა თვისი და დაიმშვიდა იმერეთი. მერმე კოსტანტინე მეფისა-თვის ქმნა ზავი და სიყვარული ქრისტიანობისა. მერმე შეატყუა ურჩნი თვისნი და რომელნიმე მოსპნა და უმრავლესნი შეპყრნა და დადგინნა ერის-თავნი და მოსაწდომნი თვისნი და მოიმტკიცა ამით იმერეთი. ეგრეთვე დაიმორჩილნა დადიან-გურიელნი და შიოვარნი სვანნი, იგინი დამშრომ-ბათა, ნადირობათა და მეფედ შვიდთა ხმობათა მისაზრდელთათა: ხოლო შემდგომად კოსტანტინე მეფისა გარდაცვალებისა, მოიხსენა ალექსანდრე მეფე-მან შური ძმისწული, შემოიკრიბნა სპანი, გარდავიდა ქართლს და აღიღო გორი, ქს. ჩფჟთ, ქრ. რჟზ და იწყო მპყრობად ქართლისა, რამეთუ არა-ვინ წინა-აღუდგებოდა. ვინაჲ-გან დავით მეფე იყო ლოთობით და უმეცარებელი კაცი, მისი-გან: მაშინ ამავე ქორონიკონს მოუხდენ ნახნი იმერეთს და მოაოხრეს სრულიად: ესე ესმა ალექსანდრეს ქართლს მყოფს, უკმოიქცა და მოვიდა იმერეთს მოსწყვეტად მათდა. არამედ მათ არღარა ეწყრა და განემზადებოდა შურის-გებად და ბრძოლად ნახთა ზედა, დასნეულდა სალმობითა ძლიერითა და მოკუდა მეფე ალექსანდრე ქს. ჩფჟი, ქრ. რჟჱ, დაუტევნა ძენი ბაგრატ, დავით და კოსტანტინე. ამასვე ქორონიკონსა მოკუდა ცოლი მისი დედოფალი თამარ და დამარხეს გელათს:

## ია, მეფე ბაგრატ ვ, ჩ~ წელი ჴმევა:

დაჯდა ძე ალექსანდრე მეფისა ბაგრატ მეფედ იმერთა და დაიპყრა სრულიად იმერეთი. ამაშედ დადიანი-გურიელნი ეპყრნეს საზღვარნი თვისნი და იყვნენ მორჩილებასა ბაგრატ მეფისასა, ვითარცა ვსთქვით: წელსა ქს. ჩყპბ, ქრ. ს, მეფობასა ბაგრატიანსა მეორესა გამოვიდა ხვანთქარი სულტან სულიმანსა სპითა ურიცხვითა და მოადგა სამცხეს: ამას მიეგება ათაბაგი მზე-ჭაბუკ, მოუძღვა და წარმოიყვანა ოვერსამდის ზედა იმერეთს. ხოლო ბაგრატ მეფე ვერ წინააღუდგა და უკურნა სამეგრელოს შინა და დაიპყრნა იმერეთი. გარნა მოაოხრებდა ოსმალთა დასწვეს ქუთაისი და გელათი. შემდგომ მოაოხრნეს, მოსწყვეს, მოსრნეს და მოსტყვევნეს, სადა ვინ ჰპოვეს იმერეთსა შინა და უკუნიქცნენ მასვე გზასა ზედა და წარვიდნენ: შემდგომად წარსვლისა მათისა ჩამოვიდა ბაგრატ მეფე, განაგო იმერეთი და დაამშვიდნა ხიზანნი იმერნი: ამასვე ქორონიკონსა მოკუდა დადიანი ლიპარიტ და დაჯდა მამია დადიანად ნებითა ბაგრატ მეფისათა: გვალად მოკუდა ამასვე ქორონიკონს გურიელი გიორგი და დაჯდა მამია გურიელად, სათნო ყოფითა ბაგრატ მეფისათა: ამასვე წელსა წარვიდა მეფე ბაგრატ დასხმით გვარად სპითა ქართლს, რამეთუ ძმა-მან მის-მან ვახტანგ იგლო რამე ბაგრატიანთაგან და წარვიდა ქართლს: ამას ვახტანგს წარჰყვნენ მრავალნი წარჩინებულნი და აზნაურნი: მიუხდა ბაგრატ მეფე მოხის მეორეს ვახტანგ და იყო ბრძოლა ძლიერი. შემდგომ იძლია ვახტანგ. ამაშედ შეუძლებელობითა დავით მეფისათა ხაზ-ჭყვეს. წარმოიყვანა ძმა თვისი და მოვიდა იმერეთს ბაგრატ, და იყოფებოდა მშვიდობით: შემდგომად შემოიკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი იმერეთისანი ბაგრატ მეფე-მან და ჰყო გელათი საეპისკოპოსოდ და დასვა საყდარსავე მელქისედეკ, ქს. ჩჲათ, ქრ. ჩსი: ამისა შემდგომად წარვიდა მამია გურიელი ქართლს, რათა ჰყოს დავითის მეფისა და გაბატონების ლევანის შორის ზავი. ამაშედ აწყო დავით მეფე და იძლია მეფე, ქს. ჩყკგ, ქრ. ჩღ: შემდგომ ზავ-ჰყო მათ შორის და მოვიდა გურიას:

ხოლო კვა მეფე ბაგრატ იმერთა, გიორგი ქართველთა და ლევან კახთა წარვიდნენ იერუსალიმს, ვითარცა აღვსწერეთ ყოველი: შემდგომად შეიკრიბნენ დადიანი მამია და გურიელი მამია და წარვიდნენ ჯიქეთს სპითა, რამეთუ აურზაურობდნენ იგინი ოდიშს და გურიას, ზღვით ნავებითა მისრულნი ჯიქეთს, ეწყვნენ ჯიქნი სიმაგრითვე, ჰყვეს ბრძოლა ძლიერი და აოტნეს სპა იმერთა, მოკლეს დადიანი მამია და შეიპყრეს გურიელი მამია და აღიღეს ალაფი და ავარი მათი ქს. ჩყლბ, ქრ. ჩკ: ხოლო ნეშტნი, ლტოლვილნი სპანი მოვიდნენ და დასვეს ოდიშს დადიანად ლევან და გურიელი მამია დაიხსნა ვეცხლითა ძე-მან მის-მან როსტომ და მოვიდა გურიასვე: ამისა შემდგომად მოკუდა გურიელი მამია ქს. ჩყლდ, ქრ. ჩკბ და დაჯდა როსტომ ძე
271 მისი გურიელად: ხოლო ამასვე ბაგრატ მეფე-მან დასვა ერისთავად რაჭას ნიკოლოზ შოშიტა და მისცა რომელიმე სახასო დაბანი და ციხე შინდა, რამეთუ აქამომდე იყო რაჭა სამეფოდ და გუა-

ლად ჭყოს საქრისთად: შემდგომად შემოიკრიბნა ბაგრატ მეფემან სრულიად სპანი იმერთანი დადიან-გურიელითა, ვინაიდგან იხილა შეკრება სამცხისა შაისმაილის დევლისა-გან და კუალად მოიხსენა შური მზე-ჭაბუკ ათაბაგისა, რამეთუ მოუძლვა ოსმალთა და ყუარყუარე ათაბაგისა, რამეთუ მიჭქვა გზრეგი მეფესა იერუსალიმს და არა ამას და წარვიდა დაპყრობად სამცხისა: მისრულს აჰყუა მურჯახეთს ათაბაგი ყუარყუარე და იქმნა ბრძოლა ძლიერი, ქს. ჩფლე, ქრ. სკგ, იძლივა ათაბაგი და შეიპყრა ყუარყუარე ისაკ ართუმელიძემან, შეწდუ-მან გურიელისა-მან და მოართვა როსტომ გურიელსა და როსტომ მოართუა ბაგრატ მეფესა: ხოლო ბაგრატ მეფე-მან პატიმარ-ჰყო ათაბაგი და დაიპყრა სამცხე და იუფლებოდა მუნ. მაშინ მისცა გურიელს აჭარა და ჭანეთი; წარვიდა და დაიპყრა გურიელ-მან იგინი და ბაგრატ მეფე განაგებდა სამცხესა: ხოლო მოვიდა რა შაჰთამაზ ლუარსაბ მეფესა ზედა და უძლეველი დადგა ყარაბაღს, წარვიდა მეფე ბაგრატ ყარაბაღს და მივიდა წინაშე შაჰთამაზისა და ითხოვა შეწევნა და უკეთუ მოსცეს დაუმორჩილოს მან ბაგრატ ყოველი საქართველო: მაშინ შაჰთამაზს არა აქუნდა ჟამი, ვინაიდგან აქუნდა სპარსეთის განდგომილება. არამედ აღუთქუა შეწევნა ბაგრატს და მოსცა ნიჭნი დიდნი და წარმოავლინა დიდ-პატივ-ცემული და მოვიდა სამცხესვე, აღიღო ციხენი სამცხისანი და დაიპყრა თვისად: ხოლო ქაიხოსრო ძესა ყუარყუარესსა მოახსენა მისცა ხონთქარმან მუსტაფა ფაშა სპითა დიდითა და ზარბაზნებითა დიდ-დიდითა: ამის-მან მცნობ-მან ბაგრატ მეფე-მან მოუწოდა იმერთა და შემოკრბნეს ამწრაფლად და გურიელიცა მათ-თანა: არამედ დადიან-მან ლევან არღა-რა ინება მოსლვა სპითა თვისითა, ვინაიდგან მიიღო გურიელ-მან ჭანეთი. ამის-თვის ამან მიზეზ-ჰყო. „რა-ნიჭი არს ჩემდა, რამეთუ მოვსწყდე სპითა ჩემითა:" გარნა ბაგრატ მეფე აჰყუა ოსმალთა და ბრძოლასა სასტიკ-ფიცხელსა იძლივნეს ოსმალნი და მოსრნეს იმერნი პირითა მახვილისათა, აღიღეს ალაფი ურიცხვი და ზარბაზნები წარუღესა იმერთა ბაგრატ: ესმა ესე ყოველი ხონთქარსა, განრისხნა მოწყვეტისა-თვის სპათა თვისთა და წარმოავლინა აზრუმ დიარბექირის ფაშანი სპითა სოვსა აქაითა: მაშინ ბაგრატ შეკრიბა ყოველნი ძალნი თვისნი, არამედ არცა აწ მოვიდა დადიანი მიზეზითა მითვე. ამის-თვის ბაგრატ ეძლია ლუარსაბ მეფესა, რათა მწე-ექმნას: ჰსმინა ლუარსაბ და მოვიდა სპითა თვისითა, განიხარა ბაგრატ და წარვიდნენ ზოგად: ხოლო ოსმალნი დაბანაკებულ-იყვნენ ბასიანს, ეწყვნეს ურთიერთარს სოხოისტასა ზედა ქს. ჩფმე, ქრ. სლგ. არამედ დაუმორჩილებლობითა და ცილებითა და ლაშქართა შეხვათა იძლივნეს საქართველოსნი, ვითარცა აღვსწერეთ და მოკლეს ძე გურიელისა ქაიხოსრო და მოსწყვიტნეს სპანი ურიცხუნი. ხოლო ნეშტნი იქცეოდნენ თვის თვისად და ბაგრატ მოვიდა ქუთაისს:

მერმე კუალად გარდავიდა მეორე წელსა ბაგრატ მეფე სამცხეს, წარმოასხნა აწყურსა ღმრთის-მშობელი ციხე-ჯუარს და გერ-ღარს დაიპყრა სამცხე, ვინაიდგან ციხენი სრულიად დაეპყრათ ოსმალთა, უკმოიქცა და მოვიდა ქუთაისს: შემდგომად მოუწოდა მეფე-მან ბაგრატ ლევან დადიანსა, რეცა დარბაზობად და შეიპყრა იგი ზაკვით, რამეთუ შური აქუნდა მისი ჟამით, რამეთუ

არა შეეწია ბრძოლასა ზედა ოსმალთასა და პატიმარ-ჰყო, ქს. ჩივგ. ქრ. ჩღდ: ქ̃ე აუწყა გუ-რიელსა. „შეგიპყარ დადიანი, წარმოყვედ და დაგიპყრათ ოდიში და გურიასა შენსა მოგანიჭო, შენ დაიპყარ, ვითარცა გნებავს:“ რამეთუ ენება ბაგრატს აღმო-გდება მისიცა და ჭყუის ყოველი იმე-რეთი ერთ-საბრძანებლად, ვითარცა პირველ. არამედ აგრძნა ქ̃ე გურიელ-მან და განიზრახა: „უკეთუ მოსრას ტომი დადიანისა და დაიპყრას ოდიში ბაგრატ, მაშინ იქმნას ჩემ-ზედაცა მოწყალედ და მიმიღოს მეცა გურია:“ ამისთჳს მოუმცნო ბაგრატს: „ოდეს შეწყვენით ოსმალთა, მიერ ჟამითგან მიზეზობენ და უმეტეს ათაბაგი, აწ უკეთუ დაუტევო ქვეყანა ჩემი, მოვიდნენ და მიმიღონ. ამის-თჳს ვერ ძალ მიცს მოსლვა, გარნა განიზრახავ, რათა შემოიმტკიცო დადიანი ფიცით და გა-ნუტეო:“ ამისი მსმენელი ბაგრატ განრისხნა და ინება აღმოსხდა თუალთა დადიანისა. არამედ შეერთებისა-თჳს გურიელისა და ოდიშარიათ ვერლარა ჰყო და პატიმარ-ჰყო გელათს სამრეკლოსა შინა: მაშინ ჩხეიძე ხოფილასძემ განზრახვითა ათაბაგისათა, რამეთუ შეურისხდა ქაიხოსრო ბაგრატს, გამოაპარა დადიანი და მოიყვანა ახალ-ციხეს; ამის-თჳს ქაიხოსრო ათაბაგი ეზრახა გურიელს, ზავ-ჰყო მის-თანა, მისცეს ესა დადიანსა; მან აღუთქვა და წარმოიყვანა ოდიშს და დაიპყრა თჳსივე ლევან დადიანმან; ქ̃ე შეწუხდა ბაგრატ მეფესა, ვინადგან ვერლარა ქმნა თჳსსა ნებასა:

ხოლო შემდგომად მოვიდა სპა ხონთქრისა გურიასა ზედა, რათა შური-აგოს, ვინად-გან მიჰყვა ბაგრატ მეფესა და მოსწყვიდნეს სპანი ოსმალთა, მოუღეს გურიელს ჭანეთი, დაუწყეს შე-ნება ციხისა ბათომს; ქ̃ე აცნობა გურიელ-მან ლევან დადიანსა და მეფესა ბაგრატს: „უკეთუ მძლონ მე, მოაწყევიან ოქვენ ზედაცა, ამის-თჳს შემეწიენით.“ მაშინ დადიან-მან კეთილისა-თჳს, რომელი ჰყო მის ზედა გურიელ-მან შეკრიბა სპანი და წარვიდა შეწევნად. არამედ ბაგრატ მეფესა შეუძლდა ქ̃ე, რამეთუ არა კეთილობდა მის-თჳს გაერთება მათი. გარნა ამასცა წარუგზავნა ძმა თჳსი ვახტანგ, ფ მხედრითა გურიელისა და ამცნო ვახტანგს, რათა ჰყოს ზავი ყოვარივე მათ შორის, რათა არა შეიქმნენ დადიან-გურიელი: ხოლო მისლვამდე ამათსა ეწყო გურიელი ოსმალთა და თავ-დასხმით აოტნა ოსმალნი სიმაგრეთსა ზედა და მოსრნა იგინი და სხუანი შე-ვიდნენ ციტადელებთა შინა და განვიდნენ ჭოროხს იქით: მაშინ მდინარე ჭოროხი მდიდრობდა, რამეთუ მდინარენი განდიდებულ იყვნეს. ამის-თჳს ვერლარა განვიდა გურიელი, მოვიდნენ ოსმალ-ნი, დაუწყეს შენება უმეტესად ციხესა გონიას: ხოლო ვახტანგ მისრულ-მან საჯაყახოს უწყო ზრახვად დადიანსა რიონის თავსა ზედა მდგომს სპითა ოდიშ-აფხაზთათა: „ვინადგან ვარ ფუ-ცებული შენდა აწ უწყოდე თუმცა შეკრებილთ შენდა გურიელი, აქუს გურიელისა-გან პირი ძმასა ჩემსა, დაგესხმის იგი, ანუ მოგაკუდინებენ და ანუ შეგიპყრობენ:“ მაშინ მეგრელთა არლარა გამოიკითხეს ზავ-ქულება ქ̃ე, უკუნიქცნეს ფერხთით და წარვიდნენ თჳსად და ვახტანგ მივიდა გუ-
272 რიელისა-თანა: არამედ გურიელს აღუძლა უკუნქცევა დადიანისა, რამეთუ საქმეთა თჳსითა არა ძალ-ედვა განსლვა გონიას და ბრძოლა ოსმალთა და განმაგრება გურიისა: ამისი მხილველი ვა-

ჩვანგთა წარვიდა იმერეთს. ხოლო ოსმალთა აშაშენეს ციხე ფოთის და შემოვიდნენ, მოსწყვიტე-ნეს და მოსტყვევნნეს ქობულეთი და აჭარა, და დაიმკვიდრეს თვისად, რამეთუ ეპყრა იგინი გურიელსა: ამისა შემდგომად მოკუდა მეფე ბაგრატ ქს. ჩფჲე, ქრ. სნგ და დაუტევნა ძენი ორნი. გიორგი და კონსტანტინე და დამარხეს გელათს:

## იბ, მეფე გიორგი ბ., ლზ წელი ჰმეფა:

შემდგომად მეფისა ბაგრატისა დაჯდა ძე ამისი გიორგი მეფედ: ამან გიორგიმ მოიწყო იმერეთი და დაიმსგავსა დადიან-გურიელი და იყო მშვიდობით: შემდგომად მოვიდა მეფე ლუარსაბ ლტოლვილი შაჰთამაზისაგან, ქს. ჩფნგ, ქრ. სმდ, ხონსად. შემდგომად მოკუდა ალექსანდრე ძე გიორგი მეფისა ქს. ჩფნტ ქრ. სმზ: ამასვე შემდგომად იქმნა ძმისწული მეფისა გიორგისა და ძე კონსტანტინესი როსტომ, ქს. ჩფჲა, ქრ. სნთ: ამასვე წელსა მოკუდა ცოლი გიორგი მეფისა, შემდგომად შეიპყრა გიორგი მეფე-მან და აიბანგ-მან ქაიხოსრო და მისგან გიორგი მეფე-მან აწყურის ლუკის-მნათობელი, ქს. ჩფჲბ, ქრ. სნ. შემდგომად ამისა მოიყვანა გიორგი მეფე-მან ცოლად ხერხეულის ბატონის ასული რუსუდან და იქორწინა მისთანა ქს. ჩფჲგ ქრ. სნა: კვალად შემდგომად ამისა მოკუდა გურიელი როსტომ ქს. ჩფჲდ, ქრ. სნბ და დასვა გიორგი მეფე-მან ძე როსტომისა გურიელად გიორგი: და უშვა გიორგი მეფესა რუსუდანს ძე ბაგრატ, ქს. ჩფჲე, ქრ. სნგ: ხოლო შემდგომად როსტომ გურიელისა სიკუდილისა განუტევა ცოლი თვისი ლევან დადიანის ძე-მან გიორგიმ ასული როსტომ გურიელისა და წაჰგვარა ბიძასა თვისსა ბათულიას ცოლი სიკეკლუცისათვის და შეირთო იგი და ამით იქმნა მტერობა მათ შორის და შემდგომად შფოთებისა შეაჭვნეს დადიან-გურიელ-მან და მისცა ლევან დადიან-მან ასული თვისი გიორგი გურიელს ცოლად და იქმნა ამით მშვიდობა: შემდგომად განუტევა გურიელ-მანცა ცოლი თვისი ასული ლევან დადიანისა შურისა-თვის წინა-თქმულისა და მტერობითა დადიანისათა ეშხახლა მეფესა გიორგის, რამეთუ ჰყვანდა მეფესა გიორგის მულსადი ქეთევან და მისცა იგი გიორგი გურიელსა ცოლად და დაიმოყვრნეს ამით: ამის-თვის მოიმწო ვახტანგის ძის ძემან ხოსრო-მ დადიანი და ამან იმგვლა შეილოსმ გარაშა ლიპარტიანით ადიშრით: ქვეყანი კოვბლნი ლალატად დაესხნენ გიორგი მეფესა იანეთს და იქმნა ბრძოლა ძლიერი ვერა რაი ავნეს გიორგი მეფესა. არამედ ივლტოდნენ იგინივე ქს. ჩფჲთ, ქრ. სნზ და მოისრვოდნენ მახვილითა:

მაშინ იწყო მეფე-მან გიორგი მტერობა გურიელი-თურთ დადიანსა-ზედა. ჟამთა-რა შეუძლო დადიან-მან წინა-აღმდგომა და წარვიდა სტამბოლს: შევიდნენ და დაიპყრეს ოდიში მეფე-მან და გურიელ-მან: არამედ მწყალობა დადიანს ხონთქარი, მისცა ამირუმ-ტრაპიზონის სპასი და მოვიდნენ სატყეპულასა ზედა: შეშინდა გურიელი სიდიდისა-თვის სპათათა, დაუწყო დადიანს ვედრება, რათა შეაჭვნონ და არა მოუოხრონ ქვეყანა. არამედ დადიან-მან სთხოვა სისხლი

განტევებისათჳს სულისა თჳსისა და აღუთქვა ზავ-ყოფა: უცილო ქმნილ-მან გურიელ-მან
მისცა სისხლად ჳ: დრაჰკანი, ზავ-ჰყო მის-თანა, მოუძღვა გურიელი და დაიპყრა ლევან გვალად
ოდიში: ხოლო მეფე-მან გიორგიმ მოუწოდა ჯაყას შჳლდაძეს, მოჰკლა იგი შურისა-თჳს წინა-
თქმულისა, რამეთუ მიმდგომიცა იყო დადიანისა და დაიპყრა მამული ჯაყას-შჳლდაძისა მეფე-მან
გიორგიმ: ესე აღუშფოთა დადიან-გურიელსა, შეითქუნეს და მოვიდნენ სპითა და არა აყოვნებდენ
გიორგი მეფესა მამულის ზედა შჳლდაძისასა. არამედ ნახევარი დაიპყრა დადიან-მან და ნახევარი
გურიელ-მან: ამისა შემდგომად მოკუდა ლევან დადიანი ქს. ჩოვიბ, ქრ. სდ, რამეთუ უბრკმა
ცხენსა მისსა ნადირობასა შინა და შემუსრა გუერდი მისი და დაჯდა ძე მისი გიორგი დადიანად:
ხოლო გიორგი მეფე-მან მოგვარა ძესა თჳსსა ბაგრატს ცოლად და დადიანის გიორგისა
და ასული ლევანისა და აქაოწინის მის-თანა ქს. ჩოვიგ, ქრ. სიდ: ამასვე ქორონიკონსა იშვა ძე
გიორგი მეფისა რუსუდანისაგან ლევან. არამედ ესე შეეყრაებ მეფისა და დადიანისა შეუძლდა
გურიელს და გარდაბირა დადიანის ძმა მამია და მოიყვანა გურიას, შერთო და თჳსი ცოლად.
მერმე შემოიკრიბნა სპანი გურიელ-მან, მიუხდა დადიანს ზუგდიდს, ეკვეთა დადიანიცა. არამედ
ბრძოლასა იძლია დადიანი გიორგი და ივლტოდა აფხაზეთს: ხოლო დაჯდა დადიანად მამია ძმა
მისი. ეზრახნენ მეფე გიორგის მამია და გურიელი, რათა სთნდეს ესე ერთ და მოსცეს რომ-
ელი ეპყრა შჳლდაძისეული დადიანსა: ესე საძნო იყო გიორგი მეფე-მან, ვინაჲ-გან მამიაცა იყო
მძახალი და მისცათ ნება და ჰყვეს ზავი მეფე-მან და დადიან-მან და გურიელ-მან: შემდგომად
იშოვა ნიჭადი გიორგი დადიან-მან აფხაზნი, ჯიქნი და ჩერქეზნი და მოვიდა ოდიშს: ესე აცნობა
დადიან-მან გურიელსა და გურიელ-მან წარმოგზავნა სპანი თჳსნი მამიას, ეწყო მამია გიორგი
დადიანსა, იძლია კვალად გიორგი და წარვიდა აფხაზეთს,

ხოლო მოკუდა მეფის გიორგის ძე ბაგრატ და დედოფალი დედა მისი რუსუდან ქს.
ჩოვთ, ქრ. სიე, ამასვე ქორონიკონსა მოკუდა კათალიკოზი ევდემონ. ამასვე წელსა გამოვიდა
ლალა-ფაშა და ტფილისიდამ ამან ლალა-ფაშამ წარმოავლინა სპანი იმერეთსა ზედა დაპყრობად:
ამათ შემოვლეს ქართლი. ამისი მცნობი გიორგი მეფე წარვიდა სპითა მოსწრაფედ და შეეყარა
მთა ლიხსა და მოვიდნენ ოსმალნიცა, დაუწყეს ბრძოლა იმერთა სიმაგრით-გამო და მოსრვიდენ
მრავალთა ოსმალთა: შემდგომად იძლივნენ ოსმალნი და მოსწყვეტდიან იმერნი, აღიღეს ალაფი
დიდი და მოვიდა გამარჯვებული მეფე გიორგი ქუთაისს: ხოლო დადიანი გიორგი უღონო-
ქმნილი, ევედრა გიორგი მეფესა, რათა შეწე-ექმნას მას, აღუთქვა მეფე-მან და აუწყა გურიელსა.
მაშინ გურიელ-მან მოუთხრა მეფესა: „ვითარცა განუტევა დაჲ მისი და შიგეც სისხლი, ეგრეთვე
მანცა განუტევოს დაჲ ჩემი, მომცეს ნასისხლი ჩემი და მე დავარწმუნო მამიას და ვყოთ იგივე
273 დადიანადვე:“ ხოლო ესე მიუთხრა ყოველი მეფე-მან გიორგი დადიანსა და დადიან-მან ყო-
ველნი აღუთქვა: არამედ სთხოვა მეფესა ცოლის დაჲ თჳსი, რომელსა ზრდიდა მეფე, რათა
მისცეს ცოლად და მით იქმნეს სარწმუნოდ: ხოლო უკეთუ არა რაჲ დაერწმუნოს ყოფად ამისა.

ამის-თჳს მისცა მეფე-მან ცოლის დაჲ თჳსი გიორგი დადიანსა და ოქრო იგი ნასისხლი დადიან-მან უკუ-სცა გურიელს. და ვინაჲ-გან მწირობდა დადიანი და არა აქუნდა ეგოდენი, მისთჳს მისცა ხოფი, ვიდრე ამოიღებდეს ფასსა ოქროსა მის: მერმე ზავ-ჰყვეს მეფე-მან და გურიელ-მან ძმათა შორის, მოიყვანეს გიორგი და დასვეს ლეჩხუმსავე: ხოლო მამიას მისცეს ჭილაძისა და რევაზის მამულნი და იქმნა ამათ სამთავე შორის მშჳდობა: არამედ შემდგომად ამისა მოიხსენა შური ბათულია-მ ბიძა-მან დადიანისა-მან, შემოიკრიბა საჯავახო, რამეთუ მას ეპყრა იგი და მოიბირნა ვინმენიცა მეგრელნი, წარვიდა, რათა თავს-დასხმით ლალატად მოჰკლას გიორგი დადიანი, აგრძნა ესე გიორგი დადიან-მან და შემოიკრიბნა სპანი. ესე უთხრეს ბათულიას, უკუმოიქცა და მოვიდა საჯავახოსავე: ამის-თჳს ესე აუწყა მეფესა დადიან-მან და ძმა-მან მის-მან მამია-მ: ხოლო მეფე-მან გურიელსა მიუთხრა, რათა მოჰკლას ბათულია ამის-წილ და დაიპყრას თჳთ საჯავახო ორთავე ნებით: განიხარა გურიელ-მან, შეიპყრა ზაკვით ბათულია, არამედ თჳთ არა მოაკვდინა და პატიმარ-ჰყო ოზურგეთს და დაიპყრა საჯავახო თჳსად: მერმე კუალად მოუთხრეს მეფე-მან და დადიან-მან გურიელს მოჰკლვა ბათულიასი: ხოლო გურიელ-მან არა მოჰკლა თჳთ, არამედ მისცა მათ ნება და ამათ წარავლინეს კაცი და მოაშთვეს ბათულია და იქმნებოდა ესრეთ მშჳდობა:

ხოლო რაჟამს მოსრვასა დალალ-ფაშისასა მოსრნის გიორგი მეფე-მან ოსმალთა სპანი და მერმე ქართველთა, მოვიდა აწ სიმონ-ფაშა ქართლს ზედა. ამან ფაშა-მან ჰგონა კუალად შველა ქართველთა გიორგი მეფისაგან: ამის-თჳს წარმოავლინა ათაბაგი ყუარყუარე ქს. ჩფპა, ქრ. სჲთ გიორგი მეფის-თანა, რათა ემტერნეს სპითურთ მეფესა და ქართლსა: მაშინ განზრახვითა ათაბაგისათა შემოიკრებნა გიორგი მეფე-მან სპანი და მოიყვანა დადიანი გურიელითურთ სპითა მათითა, ვინაჲ-გან აქუნდათ ერთობა და ბრძანებულიცა იყო ხონთქრისა, მიუხდნეს შიდა-ქართლს, ვერა სადა ჰპოვნეს ხიზანნი და დასწუეს სრულიად გაღმა-გამოღმართნი. მერმე უკუმოიქცნეს და მოვიდნენ უვნოდ: ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი ქს. ჩფპბ, ქრ სო და დაჯდა ძმა მისი მამია დადიანად: არამედ გურიელი გიორგი კუალად არა დასცხრა შურ-გებად გიორგი დადიანისად, მოიპარა ძე გიორგი დადიანის მცირე ლევან და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფისასა, განზრახვითა მამიას დადიანისათა. ხოლო ყრმა იგი უთმინოებითა ტყუეობისათა გარდმოიჭრა ციხიდამ, რეცა განლტოლვად და მოკუდა: არამედ ესე მიზეზი ჰყო დადიან-მან მამია-მ გურიელსა ზედა, შემოიკრიბნა სპანი და მოვიდა გურიას: ამას ეკუეთა გიორგი გურიელიცა და ბრძოლასა იძლია გურიელი და ივლტოდა სტამბოლს: მაშინ დადიან-მან მოიყვანა ტომი გურიელთა ვახტანგ და დასვა გურიელად ქს. ჩფპგ, ქრ. სოა: ამასვე ქორონიკონს შეიპყრა მეფე-მან გიორგი ძმა თჳსი კონსტანტინე ძით მისით როსტომით, ვინაჲ-გან ლევან ძე გიორგი მეფისა მცირე იყო, რათა არა მტერ ექმნეს მეფობასა და ჰყო პატიმრად. არამედ მოჰქმედთა ესე ვითარებათათა გარნა აქუნდათ მშჳდობაცა ჟამად: შემდგომად მოკუდა მეფე გიორგი ქს. ჩფპე: ქრ სოგ:

## იგ, მეფე ლევან, ე წელი მეფა.

დაჯდა ძე გიორგი მეფისა ლევან მეფედ და ეპყრობა ქუთაისისა. ხოლო ძმა მისი კონსტანტინე თავისუფალ-იქმნა ძმით თვისით და დაიპყრა მან რიონისა აღმოსავლეთისა კერძონი, რამეთუ ლევან ყრმა იყო წლისა ი: შემდგომად წელსა ქს. ჩფპე, ქრ. სოგ მოიყვანა ლევან მეფე-მან ცოლად დაჲ მამია დადიანისა და ასული ლევანისა მარიკ და ჰყო ქორწილი შეუმსგავსებელი: კვალად წელსა ქს. ჩფპზ, ქრ. სოე სააღდგომელს გაილაშქრა ლევან მეფე-მან ბიძასა თვისსა კონსტანტინესა ზედა: ვერ წინა-აღუდგა კონსტანტინე და ლევან მიუხვნა ციხენი. სკანდა, ჩხერი და სრულიად არგვეთი: შემდგომად ზავ-ჰყო მის-თანა და მისცა საუფლისწულონი და იყოფებოდა მის-თანა: ამავ წელს მოკვდა გურიელი ვახტანგ, მოვიდა დაჯდა გიორგი გურიელად შეწევნითა ოსმალთათა, რამეთუ მოსრულ იყო სტამბოლიდამ და იყოფოდა გონიას: ხოლო ჟამთავე პირველითა განძლიერდა მეფე სვიმონ და მოიხსენა შური გიორგი მეფისა, უზრახა იმერთა მეფე სვიმონ, რამეთუ მომკვდარ იყო ბიძაცა მეფისა ლევანისა კონსტანტინე და ვინაჲ-გან იყო ლევან ყრმა. ამის-თვის ზოგთამე იმერთა მისცეს სვიმონს პირი მტკიცე: მაშინ წარმოემართა მეფე სვიმონ სპითა თვისითა იმერეთისა ზედა: ამის-მან მცნობ-მან მეფე-მან ლევან შემოიკრიბნა სპანი იმერთა, მიუწოდა მამია დადიანსა და გიორგი გურიელსა: არამედ მათ არა ინებეს მოსლვა, ვინაჲ-გან შურობდნენ ურთიერთას: ხოლო ლევან მეფე დადგა გოფანთოს სპითა თვისითა: გარდმოვლო სვიმონ ლიხის მთა და მიერთნენ ზემოურნი რომელნიმე, მერმე მოვიდა გოფანთოს სვიმონ, ეკვეთა ლევან და იქმნა ბრძოლა ძლიერი ქს. ჩფპჱ, ქრ. სოვ, იძლია ლევან მეფე და ივლტოდა ლეჩხუმს: ხოლო სვიმონ მეფე-მან დაიპყრა იმერეთი, გამოუხვნა მძევალნი იმერთა, წარიყვანნა იგინი და წარვიდა: შემდგომად მოვიდა ლევან მეფე და დაიპყრა იმერეთი და მტერობდა დადიანსა. ვინაჲ-გან არა მწე-ეყო სვიმონისა ზედა: არამედ განძლიერდა მეფესა და დადიანსა შორის მტერობა ძლიერად, შეიკრიბა ამის-თჳს დადიან-მან მამია-მ სპანი თვისნი და მოვიდა ქუთათისს, ამას ეკვეთა მეფე ლევან სპითა თვისითა იმერთათა და ძლიერისა ბრძოლისა სძლო დადიან-მან და შეიპყრა მეფე ლევან ქს. ჩფჟ, ქრ. სოჱ, წარიყვანა ოდიშს და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეთს და მოკუდა შემდგომად მეფე ლევან პატიმრობასა შინა შხეთს ციხესა შინა.

## იდ, მეფე როსტომ, იე წელი მეფა:

ხოლო იმერთა მოიყვანეს ძე კონსტანტინესი ძისა ბაგრატ მეფისა როსტომ და დასვეს მეფედ. არამედ ამან როსტომ ვერა მტკიცედ დაიპყრა მეფობა: ამასვე ქორონიკონს მოკუდა მამია დადიანი და დაჯდა ძმა მისი მანუჩარ დადიანად: ესე მანუჩარ უზრახა და ემზახლა კახთ-ბა-

ტონს ალექსანდრეს და მოიყვანა ასული მისი ნესტან-დარეჯან მზითვითა დიდითა ცოლად და 274 იქორწინა მისათვის: არამედ ამავ ქორონიკონსა იხილა გურიელმან გიორგიმ საქმე როსტომისა, შეკრიბა სპანი, მოვიდა და მოიყვანა ბაგრატ ძე თეიმურაზისა ვახტანგის ძისა, ვერ წინააღუდგა როსტომ, წარუხუნა ქუთათისი და მისცა ბაგრატს, განუმაგრა ციხე ქუთათისისა და მოუდგინა ძე იგივე მამია ბაგრატს და თვით მივიდა საჩინოსა, მოიყვანნა ოსმალთა სპანი, განსდევნა ნიჟარაძე, აიღო ციხე სებეკა, შემუსრა იგი და მუნ დასვა სხვა ნიჟარაძე და მიიქცა გურიასვე: ამასვე ქორონიკონსა კვალად მოვიდა სვიმონ მეფე და მიერთვნენ იმერნი, მოადგა ქუთათისს, აიღო და გამოიყვანა ბაგრატ და მას შინა შეაყენნა გუშაგნი თვისნი და დაამშვიდნა კვალად იმერეთი და წარვიდა ქართლს: ხოლო როსტომ ამათ ყოველთა მხილველი და თვით ვერა-რას მყოფელი წარვიდა მანუჩარ დადიანის-თანა და ევედრა მას შეწევნისა: მაშინ დადიან-მან შეკრიბნა სპანი, მოვიდა, აიღო ქუთათისი, და დაიპყრა იმერეთი როსტომ. ესმა ესე სვიმონ მეფესა, გამოილაშქრა ძალითა დიდითა, ზარბაზნებითა და აღკაზმულობითა სპათათა, გარდამოვლო ლიხი და შეირთნენ კვალად იმერნი: ამისათვის ვერ წინააღუდგა როსტომ და ივლტოდა ოდიშსვე: ხოლო სვიმონ მეფემან აიღო ციხენი, სკანდა, კვარა, ცაცხი, სვერი, შეაყენნა თვისნი და მოადგა ქუთათისს, აიღო იგიცა. არამედ რა სცნა მეფემან სვიმონ წარსვლა როსტომისა ოდიშს წარვიდა მის უკან, რათა შეიპყრას იგი და დაიპყრას იმერეთი მკვიდრად, ვინად-გან არღარა-ვინ იყო ტომი მათი იგინიერ როსტომისა და მივიდა ოდიშსვე: მაშინ დადიანმან მოუვლინა მოციქული-მან: „უკეთუ ორნივე და მიეც როსტომს იმერეთი და ვიყვნეთ მორჩილნი შენდა საუკუნოდ,“ არამედ სვიმონ მეფემან მრავალ-გზის განმარჯვებულობისა-თვის ამპარტავნა მეგრელთაგან წინააღდგომა და მრისხვით მიუგო: „გნებავს მომეც როსტომ და დაგიცვა ქვეყანა შენი უვნოდ. უკეთუ არა, მოვიდე და თვისთა ძალ-გიძს დამიხვდი ბრძოლად:“ ამისსა მსმენელსა დადიანს შეუძნდა სიამეე ესე. შემოიკრიბნა სპანი და როსტომ მისთანა, რაოდენნითამე იმერელითა დაესხა ვარციხეს სვიმონ მეფესა, იძლია მეფე სვიმონ და ივლტოდა ქართლს: ხოლო დადიან-მან აიღო ალაფი დიდი და ზარბაზნები წარიღო ოდიშს. მოიყვანა როსტომ და აკურთხეს ქუთათისს მეფედ. აიღეს ქუთათისი და ყოველნი ციხენი იმერეთისანი და დაიპყრა როსტომ სრულიად იმერეთი ქს. ჩჟე, ქრ. სატ: არამედ შემდგომად ჟამ-ჟამებს როსტომ მეფემან და სვიმონ მეფე-მან, მისცა ტყვენი და მეციხოვნენი ყოველნი სვიმონს. ხოლო მსახურნი იმერეთისანი უკმოსცა სვიმონ მეფე-მან და მეფობდა ესე როსტომ მშვიდობით, რამეთუ დადიანი აქუნდა მწედ:

შემდგომად მოუკლნეს აფხაზნი გურიას ნავებითა: ამათ ეკვეთა გურიელის ძე მამია, სძლო და მოსწყვიტნა სრულიად ქს. ჩჟვა, ქრ. სათ: ამასვე ქორონიკონს უშვა ნესტან-დარეჯან დადიანს მანუჩარს წული ლევან. არამედ შობისავე მოკვდა ნესტან-დარეჯან: ხოლო მანუჩარ დადიან-მან შემდგომად გლოვისა მოიყვანა ცოლად ქ[illegible] ვახტანგ გურიელისა და ასული ააბაგისა და

იქორწინა მისითანა: ხოლო შემდგომად ამისა მოიყვანა ათაბაგის ქალი თინათინ დედოფლად კონსტანტინე მეფე-მან ქს. ჩჲჳს, ქრ. ხკზ და იქორწინა: ამისვე ქორონიკონს მოითხოვა ბა-ბა-მან მის-მან ალექსანდრე-მ კახ-ბატონ-მან აღსაზრდელად მანუჩარ დადიანისა-გან ძე მისი ლევან. ამან მანუჩარ წარმოგზავნა და ზრდიდა იგი მას: ხოლო შემდგომად მოკუდა გურიელი გიორგი ქს. ჩკ, ქრ. ხპჲ და დაჯდა ძე მისი მამია გურიელად და იყო მშვიდობა საშთა ამათ შორის მეფისა, დადიანისა და გურიელისათვის და მეფობდა ესრეთ როსტომ. არამედ შემდგომად იხილა რა დადიან-მან მანუჩარ გაზრდის დაყოვნება-გან საქმე იგი, მოითხოვა ძე თვისი ლევან ალექსანდრესა-გან, ამან წარმოგზავნა და მოვიდა მამისათვის ლევან, ქს. ჩკდ, ქრ. ხჟბ: მაშინ იყო ლევან წლისა იგ და განაჩინა მანუჩარ ხილვით მისით: შემდგომად მოკუდა მეფე როს-ტომ ქს. ჩკე ქრ. ხჟგ:

---

## იდ. მეფე გიორგი გ. ლ წელი ჰმეფა:

ხოლო ვინადგან არღარავინ იყო ტომი მეფეთა, მოიყვანეს ძმა როსტომ მეფისა ნა-შობი მხევლისაგან გიორგი, დასვეს მეფედ და აკურთხეს ქუთათისს და მეფობდა ესე მშვიდობით ყოვლ-რათოდესმე: არამედ ჟამებთა ამათ შინა, ვინათგან ვიხილავთ იქმნა განტევებაბ ცოლთა, გლეჯა ვაცთა და იდუმალ ტყვის-სყიდვა და უჯეროანი საქმენი სჯულისა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა, ამისათჳს შეკრბნენ ქართლისა კათალიკოზი მალაქია, აფხაზთა კათალიკოზი ექვთიმე და ყოველნი ეპი-სკოპოსნი იმერ-ოდიშისანი: ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ. ქუთათელი სვიმონ, გენა-თელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი გოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმიდელი იოაკიმ, ხაიშელი გრიგოლ: ამათ განაჩინეს მოქმედთა მათთა-თჳს ჯურო-ვანი შერისხვანი, დასწერნეს და შეაჩვენნეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი.

ხოლო შემოიკრიბა მამია გურიელ-მან სპანი, შევიდა აჭარას, მოსწყვიტნა ოსმალნი და დაიპყრა გულად თვითვე აჭარა ქს. ჩკთ ქრ. ხჟჱ: შემდგომად მოკუდა დედოფალი თინათინ, ასული ათაბაგისა ქს. ჩკი ქრ. ხჟთ: შემდგომად ამისა სადროობასა შინა ხორ-მან ირმისა-მან წარიტაცა დადიანი მანუჩარ და მოჰკლა იგი ქს. ჩკია ქრ. ხჟი და დასვეს ძე მისი ლევან დადია-ნად ნაშობი კახ-ბატონის ასულისა: შემდგომად ამისა მოვიდნენ ლუარსაბ და თეიმურაზ მეფენი შააბაზისა-გან ლტოლვილნი ქს. ჩკიე ქრ. ხჲე, ისტუმრა კეთილად გიორგი მეფე-მან დიდითა პატივითა ქუთათის: ამისათჳს შააბაზს წარმოგზავნა დესპანი, რათა მისცეს მას მეფენი და უკე-თუ არა მოვიდეს სპითა ხარაზმ დაჭრათანითა და მოსპოს ქვეყანა მისი: მაშინ გიორგი მეფე-მან ჰკითხა, „რაჲ არს ხარაზმ დაჭრათანითა:“ მიუთხრეს კოხუნები და წალდი; მიუგო დესპანსა: „ვგონებდი შეშინებასა სარმეკობისანითა. გარნა კოხუნები და წალდნი აქუსთ მრავლად ჩუენთა

275 მარგველთაცა:“ ხოლო იყვნენ წინაშე გიორგი მეფისა დადიანი ლევან და გურიელი მამია შო-

წოდებულობით მიცემად მისთჳს ჰასანთ შაჰაბაზისათა; ამათ განიზრახეს და წარავლინეს გათა-ლიკოზი ქართლისა მალაქია და აბაშიძე პაატა ვედრებით, რათა მისცეს ორთავე მეფეთა მკვიდრნი თჳსნი და ეგრეთ დაიმორჩილნეს: ხოლო შაჰაბაზ მოაქცივნა იგინი დიდითა პატივითა და ნი-ჭითა (1): არამედ ლუარსაბ მეფე-მან არა ისმინა გიორგი მეფისა და წარვიდა წინაშე შაჰაბაზისა; ხოლო შემდგომად შაჰაბაზისა წარსლვისა სპარსეთსვე მიიწვიეს ბატონი თეიმურაზ კახთა. შე-მოიკრიბნა მეფე-მან გიორგი სპანი დადიან-გურიელით და მიეგება არაგვამდე თეიმურაზს, რათა არა რაჲ ავნოს ქართველთა-გან: მერმე უკუმოიქცა და მოვიდა ქუთაისს: შემდგომად გვალად მოვიდა ბატონი თეიმურაზ. ლტოლვილი შაჰაბაზისაგან; ამ ჟამთა იქმნა სიყმილი დიდი იმერეთს შინა. ხოლო მეფე-მან გიორგი-მ შერისხნა რაჭისაზე ზედა წულუკიძეს პაატას და მიუხუნა მა-მულნი და პაატა წარვიდა ლევან დადიანისა-თანა: რამეთუ ესე ლევან იყო ზორბა, ხვანჯიანი, ამაყი, მსახვარი და ძვირის-მთმენელი და იმარჯვებდა ჟამთა. არამედ ამან პაატამ (რომელსა უხმო-ბდნენ წუწკად ულმობელობისათჳს, რამეთუ იყო ავი) უმეტესად შთააგდო ლევანს მტრობა გი-ორგი მეფისა და მარადის განიზრახავდა;

ხოლო გიორგი მეფე-მან მოგვარა ძესა თჳსსა ალექსანდრეს ცოლად ასული გურიელისა და აქორწინა იგი ქს. ჩჟთ, ქრ. ჩქ: შემდგომად უშვა ალექსანდრეს ძე ბაგრატ. არამედ შე-მდგომად ორისა წლისა შესწამა ალექსანდრე-მ ცოლსა თჳსსა, რეცა სიძვად ქუთათელის ვაჭრისა-თანა და განუტევა ცოლი თჳსი და წარავლინა ძით თჳსით ბაგრატით მამისა მისისა გურიელის მამასახლისისა; ესე შეურაცხ-ყო გურიელს და ქორწინდა დადიანი ლევანს და მოიყვანა დაჲ მისი მარიამ სამეობით ათაბაგის ქალისა-გან მისა თჳსისა სძლობისა-თჳს: ხოლო ლევანს, ვინაჲ-გან აქვნდა მან-გიერება და იმარჯვებდა საქმეთა და დაემეგობრებოდა აფხაზთა, ჯიქთა და სვანთა, რათა მწე-ეყონ, განიხარა მტერობა გურიელისა და მეფისა და მისცა დაჲ თჳსი სძლობის ძესა გურიელისასა და ქმნა ქორწილი სძლობისა ქს. ჩჟკ ქრ. ჩქი. შეურაცხ-ყო მეფეს გიორგის შეერთება დადიან-გურიელისა, დაუწყო მტერობა; შემდგომად შემოიკრიბნა სპანი თჳსნი გიორგი მეფე-მან და განვიდა და დასდგა გოჩორაულსა ზედა; მოვიდა ლევან დადიანიცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქითა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი ქს. ჩჟკა, ქრ. ჩქია, იძლია მეფე გიორგი და ივლტოდა: მაშინ დადიან-მან შეიპყრნა მრავალნი წარჩინებულნი და მდაბიურნი, ალიო ალავერ და იავარი და წარვიდა ოდიშს. გარნა შეპყრობილთა განზრახვითა წუწკისათა დაასხნევინა ბუ-ცხლით თავნი, რომელი არა-ოდეს ქმნილ იყო იმერეთს შინა და შემოსდგა მაგრით ესე ქრეთ:

შემდგომად ამისა განარისხნა ღმერთი და მოკლა მამა თჳსი მამია გურიელი ძე-მან თჳს-მან სვიმონ, მწოლარე სარეცელსა ზედა ძილად ქს. ჩჟკბ, ქრ. ჩქიბ და დაიპყრა გურია

(1) [illegible]

თვით: ხოლო დადიანს ლევანს, ვინადგან ქმნა გიორგი მეფისათვის განიზრახა, რამეთუ ჭყონ-ბატონიშვილ-ქე სვიმონ, ნუ თუ ისიცა-ჭყონდა გიორგი მეფისათვის და შეითქვნენ ერთმანეთს: ამის-თვის აღიძრნა გურიელად დასმად ვახტანგ გურიელისა ძისა ქაიხოსროსი, ძმისა მარიამ დისა თვისისა, შეკრიბნა სპანი და მივიდა ლანჩხუთს, მიჰყუა-ჭყონ და მიუთხრა სვიმონ გურიელსა: „ვინადგან მოჰკალ მამა შენი, არღარა მნებავს მოყვრობა შენი, ამიშჳ დაჲ ჩემი და უკუნ-გიქცევი.“ არამედ სვიმონ იყო მხნე, ახოვანი, შემმართებელი, ამანცა შემოიკრიბნა სპანი, ეწყოს დადიანს ლანჩხუთს, ჭადიხულ სასტიკისა ბრძოლისა შემდგომად ძლია გურიელი სვიმონს და სპანი მისნი. შეიპყრეს სვიმონ გურიელი და მოართვეს ლევან დადიანსა: მაშინ ლევან დადიანმან აღმოხადნა თვალნი სვიმონსს და დასვა გურიელად ქაიხოსრო. წარმოიყვანა დაჲ თვისი მარიამ და მოვიდა ოდიშს გამარჯვებული.

ხოლო ამის წინა წელსა მოვიდა მოურავი გიორგი სააკაძე გიორგი მეფისა-თანა და მერმე მიიწვია ლევან დადიანმან. გარნა არა დაადგრა და წარვიდა: არამედ ვინადგან სცა პატივი მეფე-მან და აღუთქვა ქონებაჲ მისდა. ამისთვის მოითხოვა სპანი გიორგი მეფისაგან შეწევნად თვისად, ამან მეფე-მან წარუგზავნა სპანი რაჭა-ლეჩხუმისანი და უთავა მათ ბოქაულთ-უხუცესი მამუკა და აბაშიძე ამილახორ, უკეთუ განძლიერდეს მოიმწოს იგიცა დადიანსა ზედა, რომლისა-გან ძლეული იყო. გარნა ცუდ იქმნა განზრახვა ესე და მოვიდნენ სპანი ლტოლვილნი: შემდგომად ამისა იმზახლეს ბატონი თეიმურაზ და გიორგი მეფე, მისცა ბატონმა თეიმურაზ ასული თვი-სი ქვრივი ზურაბ ერისთვისა დარეჯან ცოლად ალექსანდრეს ძესა გიორგი მეფისასა. მივიდა მუხრანს, ჰყო ქორწილი ქს. ჩქკი, ქრ. ტლჲ, წარმოიყვანა და მოვიდა ქუთაისს: ხოლო და-დიანმან ლევან განიწყო სპანი და მოიწყო საჭურველი, ვიდრე დაპყრობადმდე: განძლიერდა ფრიად, რამეთუ შეუწყნია ნავნი ზღვისანი და ჰყვა ჰწუდ და მორჩილად ქაიხოსრო გურიელი და გან-ცხადდა მტერობა მეფისა გიორგისა, განზრახვითა პაატა წულუკიძისა და უხლებოდა მარადის დღესასწაულთა შინა იმერეთს და ბრძოდნენ უწყალოდ მრავალგზის იმერნი. გარნა იგინიცა ქმნ-ქმნებოდიან და ტყვეთ ასხმ მპყრობელთა, რომელთა წარიყვანდნენ დაასხნევინებდნენ ვეცხლით თვისთა: ამით შემოსწყრა ცხადად ტყვის-ყიდვა, რამეთუ სპათაცა მისთა ფარვით იყვნეს თათართა ზედა ყიდვა-ტყვეთა და სამოვართათა და განმრავლდებოდა ესე-ვითარი ხდომა და უკეთურება იმერეთსა ზედა: ხოლო იხილა როსტომ ქართველთა მეფემან მზახლობა ლევან დადიანისა და მოითხოვა დაჲ მისი მარიამ ცოლად ქვრივი სვიმონ გურიელისა, მისცა დადიანმან. არამედ აქუნდა შიში გზასა ზედა გიორგი მეფისა. ამისთვის შეითქუნეს და მოვიდა როსტომ მეფე ფერსათისა ზედა და დადიანმან შემოიკრიბნა სპანი დიდნი, წარმოიყვანა დაჲ თვისი მარიამ, გა-მოვლო სამიქელაო, ოკრიბა და განვიდა რაჭასა, შეუძღვა და მივიდა კაკას ხიდსა ზედა. მუნ და-ხვდა როსტომ მეფე, მისცა დაჲ თვისი დიდებითა და წარვიდა როსტომ: არამედ გიორგი მეფე-მან ჰყოს ჟამი მარჯვე, შემოიკრიბა სპანი, რათა ეწყოს ასე დაესხას დადიანსა და წარვიდა

მტირითა კაცითა განმსტროპად სხვათა დადიანისათა, შემდგომ მოქცეულ-მან აღასრულოს წადილი თჳისი: აგრეთვე ესე დადიან-მან, წარმოავლინა სპანი ფარულად, მოეტყუნეს გიორგი მეფესა, შე- 276
მუსრეს და მიჰგვარეს ლევან დადიანსა, იგი მსწრაფლ აღიყვანა სპითა, წარიყვანა გიორგი მეფე და წარვიდა ოდიშს და პატიმარ-ჰყო მუნ მეფე. ამის-თჳს ალექსანდრე-მ ძე-მან გიორგი მეფისა-მან წარუვლინა კაცი, რათა მოსცეს მამა: ხოლო მან მოითხოვა ვაჭარნი ჩიხორისა და ჩხარის სო-მესხნი და ციხისა საზღვრად მეფისა გიორგისა: მაშინ ალექსანდრე უღონო-ქმნილ-მან მისცნა იგინი სრულიად და დაიხსნა მამა თჳისი, მოვიდა ქუთათისს და შემდგომად ფრიადითა მწუხარებითა და ესე ვითარებისა-თჳს და ჯერა რაისა მწუხარებისა მპოვნელი მოკუდა მეფე გიორგი ქს. ჩქლთ, ქრ. ტკზ და დაუტევნა ძენი. ალექსანდრე, მამუკა და ბერი:

## იგ, მეფე ალექსანდრე გ., კე წელი მეფობა

ხოლო შემდგომად მამისა თჳისისა დაჯდა ალექსანდრე მეფედ იმერთა და ეკურთხა ქუთათისს: არამედ ლევან დადიანი (¹) არა დასცხრა და უხდებოდა მარადის იმერეთს მობას, ნადირობებას, აღდგომას და ყოველთა დღესასწაულთა შინა, რამეთუ ეტყოდა ბატონს: „არს ძლევა მტერთა შენთა ჩემდა დღესასწაული შენდა:" ვინაჲ-გან უწყოდა დღესასწაულთა შინა განცხრომა, შუება და მოცალეობა იმერთა განსვენებისა-თჳს: ამით აოხრებდა სასახლესა იმერეთისასა, ვიდრე ვერღა-რა წინააღუდგა. ალექსანდრე მეფე და მოაგდო ზღუდე ქუთაისისა დიდი და მოიყვანა ყოველთა წარჩინებულთა თჳისთა ცოლ-შვილნი და დაასახლნა მას შინა და თჳთცა იმყოფებოდა მასვე შინა, რათა არა შეერთნენ დადიანსა ჭყონ მის-თჳს: არამედ ლევან დადიან-მან სიმდიდრით აღუზავებულ-მან ჭყონ სასახლე იბ ოდიშსა შინა ყოვლითა მოწყობილობითა, რამეთუ არა წარვიდის ერთიდამ მეორესა შინა არა-რაჲმე სახმარნი ანუ ტჳრნი და გარემო წყაროთა უახლოესთა დასხდა ფადალანი ოქროსანი და ვერცხლისა, დაბმულნი ჯაჭვებითა, რათა სმიდეს მგზავრნი მით. ვინაჲ-გან ვერ-ვინ იკადრებდა ქურდობასა ანუ მპარავ-ავაზაკობასა ქუეყანათა შინა მისთა: არამედ იმერთა უყოფდა ესრეთ თანამდებობისაგან, ერის-თავთა და მეფესა თჳსსა: გვალად განზრახვითა ბატონს წუწკისათა, რამეთუ სძულობდა ცოლი დადიანისა ბატონს და მტერობდა წუწკი მას. ამის-გამო შეუთქვა ლევან დადიან-მან ცოლსა თჳსსა სიძე მეწჳდისა-თჳს თჳსისა, შეიპყრა იგი ძეეჭიორით, მოაკუეთა ცხვირ-ყური შინა და განტყორცნა და დაითხოვნეს საწყლითა: შემდგომ მოიყვანა

(¹) [illegible]

ლევან სხვა ცოლი და იქორწინა. გარნა არა უშვა ძე, არცა ასული და მოსწყდა თესლი მისი: გარნა არცა-ღა-თუ დასცხრა ოხრებად იმერეთისად; ამ ჟამებთა მოიწიფაცა ძმა ალექსანდრე მე-ფისა მამუკა და ესე მამუკა იყო მხნე, ახოვანი, შვენიერი, კისკასი და შეუმართებელი ძლიერი: ამან უწყო ბრძოლა ლევან დადიანსა, მცირედ მცირედ და მოსწყვეტდა სპათა მისთა ფრიადად. გარნა მრავალ-გზისცა მოსწყვიტნა, ვითარ ვერღა-რა დამართოიდეს მეგრელნი მის წინაშე და მხილველნი მისნი მსწრაფლად ივლტოდნენ; ამის-თჳს ლევან დადიანი მცდელობდა სიკუდილსა ანუ შეპყრობასა მისსა ფრიად: ხოლო ჰყვანდა მამუკას ცხენი ზურდაგი დიდი, ძლიერი და ფიცხელი, რომელსა ვერ უდგმიდა კვეთებასა მისსა მეგრელთა ლაშქა: დღესა ერთსა მოვიდა ლევან დადიანი სპითა, ჰსცნა მამუკა-მ, შეიჭურა განსვლად. არამედ არა უტევებდა განსვლად მე-ფე ალექსანდრე, რამეთუ ეშინოდა სიკუდილისა მისისა და ამის-თჳს დაუმალა ზურდაგი მისი, (1) რათა არღა-რა განვიდეს; მაშინ მამუკა უთმინოებითა განვიდა სხვითა ცხენითა და ამისი მხილველ-ნი მეგრელნი ივლტოდნენ: მიეწია მამუკა, სცა შუბი და დასცა კაცი ცხენით-ურთ მიწასა. არამედ უზრკმა ცხენსა მამუკასასა და დაეცნენ ორნივე; მხილველნი მეგრელნი უკმოიქცნენ, შეიპყრეს მამუკა და მიგვარეს ლევან დადიანსა: მან განიხარა და წარიყვანა და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა: ხოლო ალექსანდრე მეფე-მან ვერასადა შეეწყნისა მბოძეულ-მან და მომლოდე-მან, იხილა გან-ძლიერება რუსეთის მეფის ალექსისა, განიზრახა, რათა მოიღოს შესწევ ძალი. ამის-თჳს წარა-ვლინა ხოსია ჯაფარიძე წინაშე მისსა ძღუენითა და ითხოვა შეწევნა:

შემდგომად ამისა მოვიდა ბატონი თეიმურაზ ლტოლვილი ქს. ჩქმჵ, ქრ. ჩღდვ, მიეგება ალექსანდრე მეფე და პატივ-სცა. არამედ შემდგომად გლოვისა იწვია დადიან-მან ლევან და განუ-ზრახვიდა ალექსანდრე მეფე წარსლვასა, რათა ზავ-ჰყოს მათ-შორის, რამეთუ ალექსანდრე იყო სიძე და ლევან მამიდის-წული, და განატევებინოს მამუკა; ამის-მიერ წარვიდა ბატონი თეიმურაზ, მან ისტუმრა და პატივ-სცა დიდად; შემდგომად უწყო ზრახვა წინა-თქმულისა-თჳს გვედრებით, რათა ჰყოს ზავი და დააცადოს ოხრება ქრისტეანეთა და განუტევოს მამუკა შეამდგომელობითა მისითა; ამან ზედა პატივ-სცა ლევან დადიან-მან და აღუთქვა ყოვლად ყოველი. არამედ არა აუ-ფლა წუწკ-მან ამის ყოვლად დადიანი. ესრეთ მეტყველ-მან: „უჯერო არს განტევება მტრისა, რამეთუ მოიცემს რა ძალსა, კვალადცა არს მტერი:" ამის-თჳს ითხოვა შენდობა ბატონის თეიმურაზის-გან დადიან-მან ვერღა-რა ყოვლად, ვითარცა აღუთქვა და წარმოვიდა ბატონი თეიმურაზ უქმი; ხოლო დიდსა რუსეთის მეფესა გულითად შეეწყნარა ხოსია და წარმოუვლინა თჳსნი დეს-პანად ნიკიფორე პავლეს-შვილი და მღვდელი ალექსი იოანეს შვილი ნიჭითა დიდითა: ესენი მო-ვიდნენ რაჭას. ამათ მიაგებნა მეფე-მან ალექსანდრე-მ ლომ-კაცი ჯაფარიძე და გიორგი არეშიძე, შემდეგ მოვიდნენ ქუთათისს წინაშე ალექსანდრე მეფისა ქს. ჩქნ, ქრ. ჩღნ და მოართვეს ნიჭნი

(1) ოდესმე, სიკუდილის შიშის-თჳს შეპყრობის-თჳს დაუმალა ცხენი, რათა ვერსად რაიმე.

მესხებურნი სამურნი და ლარნი: შემდგომად წარავლინა მშვიდობით და ევედრა გვალად მწუ-ყოფასა: ამისა შემდგომად აღივსო შურითა ლევან დადიანი და არა შეიწყალა სიჭაბუკე და შვე-ნიერება მისი, წარავლინა კაცნი და აღმოხადნა თუალნი მამუკას მეფის ძესა ციხესა შინა პა-ტიმარსა: მერმე მცირედისა ჟამისა შემდგომად მოკუდა მამუკა ქს. ჩქნდ, ქრ. ტმბ: ხოლო ალექსანდრე მეფესა, ვინადგან განაყრა ძე თჳსი ბაგრატ დედოფლისა მისით და არა ესვა დარე-ჯანისისა-თანა შვილი. ამის-თჳს მოიყვანა ძისა-ძე ბატონის თეიმურაზისა გიორგი და ზრდიდა ძედ თჳსად. არამედ მოკუდა იგიცა და უღონო-ქმნილ-მან ალექსანდრე მეფე-მან მოიყვანა ბაგრატ ძე თჳსი, შობილი გურიელის ქალისა-გან და ჰყვანდა თჳსი-თანა, ვითარცა სამეფო ძე: ხოლო 277
ლევან დადიან-მან, ვინადგან არა შეიშინა ღმრთისა და სტყუვნიდა, აოხრებდა და ჰკლვიდა კაცთა ქრისტეანეთა, მისცა მასცა საფასელ-მან სიკუდილი თჳსი და მოკუდა ლევან დადიანი ქს. ჩქნზ, ქრ. ტმე და დასვეს ოდიშართა ლიპარიტ დადიანად ძმა ლევანისა, ნაშობი აოზაკის ქალისა-გან: ამის-მან მსმენელ-მან მეფე-მან ალექსანდრე-მ შემოიკრიბნა სრულად სპანი იმერთანი და წარვიდა ოდიშს შერის-გებად: ამას ვერ წინა-აღუდა ლიპარიტ დადიანი, შევიდა ალექსანდრე ოდიშს, მოსწუვნიტ-ნა, მოსტყუვნნა, მოაოხრნა, აღიღო ციხენი, გამოიღო საგანძურნი და ქონებანი ლევან დადია-ნისანი, შეიპყრნა წარჩინებულნი სრულიად ოდიშისანი და დაასხნეს ვეცხლითა ყოველთა თავნი, გამოუჴსნა მათვე ძენი მძევლად და დასვა ოდიშს დადიანად ვამიყ, ძე შამია დადიანისა და თვით დაიპყრა უსაგირას აქეთი აღმოსავლეთის კერძი და უსაგირას იქითი დასავლეთისა მისცა ვამიყს: მერმე წარმოვიდა ნიჭითა, ალაფითა, იავარითა დიდითა და ტყუეთა და სატყუესავითა გამდიდრე-ბული და მოვიდა ქუთათის გამარჯუებული.

ხოლო ლიპარიტ წარვიდა ახალ-ციხეს და ევედრა აოზაკს როსტომ ფაშას და მეფესა ქართლისასა როსტომს, მათ მოსცეს სპანი, მოვიდა სპითა გურიას, მოჰყვა ქაიხოსრო გურიე-ლიცა სპითა თჳსითა, რამეთუ ძმა ლიპარიტისა იყო და ცოლად მიექორწინებინა მათ-თანავე და გამოვიდნენ რიონს: ამის-მან მცნობელ-მან ალექსანდრე მეფე-მან შემოიკრიბნა სპანი იმერთა და განვიდა ცხენის წყალს. მას ღამეს მოუმცნო ალექსანდრე მეფესა ოტია მიქელაძე-მ: „მაცნობე ხვალისა კურტაკი და ცხენი შენი, არ თუ ხარ ჴაბანი და შენ გაცადუნო შუბის წვერი ჩემი სა-ივალესა ფარადისა შენისასა:“ ესენი აუწყა მეფე-მან და დილასა რაზმთა წყობასა შინა მოუ-წოდა მეფე-მან ლევან აბაშიძეს სიძესა ოტია მიქელაძისასა, შესვა ცხენსა თჳსსა ზედა და შეამოსა კურტაკიცა თჳსი, რამეთუ უცნობელ იყო წინა-ისმენით და ლევან განიხარა ნიჭისა-თჳს მეფისა, რამეთუ იყო შემმართებელი და ერთ-გული მეფისა და იქმნა ბრძოლაცა ბანძას სას-ტიკი, ქს. ჩქნთ, ქრ. ტმზ და მოიწროდნენ ორ-კერძოვე. მაშინ ოტიამ შემცნობელ-მან მეფისა-მან ჰკრა იგი და ჰსცა შუბი ფარადის საივალესა შინა ლევანს და განვლო ზურგსა და შესძახა: „მე ვარ ოტია:“ ეჰა უცხო, რამეთუ არა გარდაიჭრა ლევან. არამედ მიუგო ოტიას: „რას ეტყვი ასულსა შენსა, უკეთუ შენ ხარ ოტია:“ მაშინ იცნეს იგინი ბანძას და ლტოლვითა მოსრვი-

დნენ ალექსანდრესანი. არამედ არღა-რა იყლტოდა ოტია და დარჩა მეფისა ნებითა თვისითა. გარნა მასვე ჟამსა მეფე დასწყვიდა თუალნი ხუშიათა: ხოლო შეიპყრნეს ქართველნი, მესხნი, გურიელნი და ოდიშარნი და ლიპარიტ დადიანი და ქაიხოსრო გურიელი წარვიდნენ დატყვევებულნი სტამბოლს: შემდგომად დასვა ალექსანდრე მეფე-მან კვალად დადიანად ვამიყ და გურიელად დემეტრე ძე სვიმონ გურიელისა: შემდგომად დაიხსნნა ქართველთა, მესხთა, გურიელ-ოდიშართა ყმეულნი თვისნი და განუმტკიცა თვისთა, ქუეყანათა შინა, მოვიდა ბაღდადიდამ ქუთათისს და იყოფოდა მშვიდობით:

ამისა შემდგომად მოვიდა ქაიხოსრო გურიელი სტამბოლიდამ და ლიპარიტ მომხრე-იყო და ამისი ებრძანა ხონთქარისა ათაბაგისათჳს, რათა შეეწიოს ქაიხოსროს: მოსცა სპანი ფაშამ და ნამოვიდა გურიას. ხოლო დემეტრე იყლტოდა იმერეთს და დაიპყრა ქაიხოსრომ გურია: ამას შეუთვალეს მაჭუტაძე მეფე-მან და დემეტრე გურიელმან, მან მოკლა ქაიხოსრო გურიელი ღალატად. წარვიდა დემეტრე და დაიპყრა კვალად გურია. ხოლო ძენი ქაიხოსრო გურიელისანი გიორგი და მალაქია წარვიდნენ წინაშე როსტომ ფაშისა ახალციხეს და იმყოფებოდნენ მუნ მისთანა. შემდგომად ამისა მოკუდა მეფე ალექსანდრე, ქს. ჩქჲ, ქრ. ტჲტ:

## ოზ. მეფე ბაგრატ დ, კ თიერ ქმულება

დაჯდა ბაგრატ მეფედ ძე ალექსანდრე მეფისა და აკურთხეს ქუთათისს: ხოლო დედის-ნაცვალმან მისმან დარეჯან დედოფალმან მისცა ბაგრატს ძმის-წული თვისი ქეთევან. დიდითს ასული ცოლად და აქორწინა დიდებით და ესხა გერი თვისი: არამედ შემდგომად ექვსისა თვისა მზაკვარობითა ვითა ენითა შეიპყრა ბაგრატ მეფე, გერი თვისი დარეჯან დედოფალ-მან, წარყვანა ცოლი ქეთევან და აღმოხადნა თვალნი, მოიყვანა ვინმე მეფეთა მონათესავედ წოდებული ვახტანგ, რომელსა ჭუჭუნიას მეძღობითაც უხმობდნენ, შეირთო ქმრად იგი და დაიპყრა თვით იმერეთი და ვახტანგს უწოდა მეფედ: ესე ბაგრატის კერძოთა იმერთა არა სთნდათ და აუწყეს ახლდან ფაშასა: შემოიკრიბნა ახალ ფაშა-მან სპანი და ჩამოვიდა იმერეთს, მიეგებნენ დადიან-გურიელი და იმერნი, მოვიდა ფაშა, შეიპყრა ვახტანგ და დარეჯან დედოფალი და ქეთევან ცოლი ბაგრატ მეფისა. ხოლო იმერეთს დასვა ბაგრატვე უთვალო მეფედ და იგინი წარიყვანნა და მივიდა ახალციხეს, მუნიდამ ვახტანგ და დარეჯან და ქეთევან წარგზავნნა ოლთისს და დაასადგურა მუნ. ხოლო ბაგრატ მეფე უთვალოებითა ვერა ეგდეს მართვიდა იმერეთსა. ამისათვის შეითქუნეს იმერნი დადიანისა-თანა და მოვიდა დადიანი იმერეთს: კვალად აქათ წარმოდგა მეფე ვახტანგ ქართლისა იმერეთსა ზედა. მაშინ ესრეთ დადიანი მეფე ვახტანგს და დაიმორჩილეს მეფე ვახტანგ და დადიანი ვამიყ და დაიპყრა დადიანმან ბეჟანის-წულის ლასურიძეთა კერძონი და აღმოსავლეთის კერძონი მისცა ვახტანგ მეფისა და ბაგრატ მეფე მყოფობდა ციხესა შინა ქუთათისი განმზრახვითა ცოლისა თვისისათა განუმტკიცა მახლობა ვახტანგ მეფისა დადიან-მან ვამიყ და დაწინდული არჩი-

ლიხს აქეთ მისის ასული თვისი მისცა ლიპარიტიძეს პაპუნას; ხოლო შეიპყრა ვახტანგ მეფემან, ქვესა გურიელს დემეტრეს, ასათიანს მაატანს და ზემო-მხრეელთა იმერთა: ხოლო ამათ მოკლეს ბეჟანი ლიპარიტიძე და მოაჯერდნეს ვახტანგ მეფესა. იგი წარმოემართა სპითა ძლიერითა, მოვიდა დადიანიცა ვამეყ სპითა თვისითა სასიხარულს და შემოიკრიბნა იმერნიცა: არამედ რა გარდმოვლო ვახტანგ მეფემან მთა ლიხისა მიეგებნეს სრულიად ზემოურნი იმერნი მას და დაემხნეს შემდგომ ხოსიას თავი ლეჩხუმისა: ესე იხილა ვამეყ დადიანმან ვერღა-რა დაუტევა ბრძოლად და წარვიდა ოდიშს: შემოვიდა მეფე ვახტანგ, აღიღო სკვერი, კაცხი. ხოლო სკანდიდამ მოვიდა ბატონი თეიმურაზ მის-თანა და სცნობა დაამარცხა ვახტანგ, მოვიდა მოადგა ქუთათისს, აღიღო ქუთათისი და გამოიყვანა ბაგრატ მეფე: მაშინ მოერთვნეს სრულიად იმერნი და შემოკრებული ყოველითა 278
ქართველ-იმერლითა ჩამოვიდა ოდიშს: ვერ წინა-აღუდგა დადიანი ვამეყ. არამედ განვიდა სვანეთს: ხოლო ვახტანგ მოარბია ურჩნი ოდიშს, მოსტყუვნეს, აღიღო ციხენი და მოადგა ჭაქვითის ციხესა, აღიღო იგიცა, გამოიყვანა ცოლ-შვილნი ვამეყ დადიანისა და გამოიღო საგანძურნი მისნი, მოვიდა ზუგდიდს და მუნ მოერთო შარვაშიძე ძღვნითა დიდითა და აფხაზითა, შემდგომ დასვა დადიანად ლევან და მისცა ძმის-წული თვისი თამარ ცოლად, რამეთუ შეპყრობითა ხოსიას ლაშხის შვილისათა მოკლეს სვანეთს დადიანი ვამეყ ბრძანებითავე ვახტანგ მეფისათა: კვალად შეიპყრა ვახტანგ მეფემან ჭყონდიდელი ნიქოზისა, ძმა კაცისა და წარმოიყვანა მატყვევად, მოვიდა ოდიშიდამ კვალად ქუთათისს: აქა მოერთო დემეტრე გურიელი ძღვნითა დიდითა, მოიყვანა ძე თვისი არჩილ წლისა ათის და დასვა მეფედ იმერეთისად და აკურთხა-ყოველთა იმერთა სასისხლო-სცნობითა ქუთათისს ქს. ჩხξა, ქრ. ტმთ: შემდგომად წარვიდა მეფე ვახტანგ და წარიყვანა მეფე ბაგრატ ქართლს:

## იზ, მეფე არჩილ ა, ბ წელი და ნასყვარი ქმნა:

ხოლო მეფობდა არჩილ და მორჩილებდნენ ყოველნი იმერნი წესისაებრ და ერთგულობდნენ სრულიად: არამედ შეჰქმნეს ესე ასლან ფაშისა ახალ-ციხისასა, რამეთუ არღარა სწადდა ქვეშე მისსა ოყოფა იმერნი, არამედ არჩილისასა და ამის-თვის დამართა წინაშე ხონთქრისა. მაშინ ყეენმან მოუწერა ვახტანგ მეფესა და მან წარიყვანა ძე თვისი არჩილ: ხოლო იმერთა სთხოვეს ვახტანგ მეფესა ბაგრატ-მეფე. მან მოსცა და დასვეს კვალად მეფედ ქს. ჩხξგ, ქრ. ტნა:

## კვალად მეფე ბაგრატ დ, ს წელი ქმნა:

ხოლო დასვეს რა ბაგრატ, მოადგა ფაშა შეიმოსილად იმერეთს მეფს, რათა განსდევნა არჩილ; მაშინ იმერთა აცნობეს მეფობა ბაგრატისა და უკუ-იქცა მიიღეს ფაშა და დაშთა ბაგრატ მეფე-

დობით. არამედ დადიანისამან ლევან არა ინება მეფობა ბაგრატისა, ვინათ-გან მზახალი იყო შა-ნაოზ მეფისა. ამის-თჳს ამავე ქორონიკონსს შემოიკრიბა სპანი და მოვიდა, შეებნება ბაგრატ სპითა, ეკლესია და იქმა ბრძოლა, იძლია დადიანი, შეიპყრეს და მოართვეს ბაგრატს. ხოლო სპანი მისნი მოსრნეს და ტყუე-ჰყვნეს: მაშინ შეამწყნარა მეფემან დადიანი, მოაყვანინა ცოლი თამარ, წარგვარა მას და შერთო თვით ბაგრატ ცოლად და განუტევა თითოს და. თამარისა, რომელი მისცა შანაოზს, რათამცა წარმოგზავნესმცა იმერეთს, ჯერეთ უქორწინო და ლევან დადიანს მისცა და. თვისი გოშადის ნაცოლვარი (რომელსა ესევე დადიანი ლევანცა შესწამობდა, რეცა მრუშებად მის ქალისათვის), უქმნა ქორწილი და განუტევა დადიანსადვე; არამედ კაცებთა ამათ შინა განდგნენ მთავარნი და მოიტაცებდიან თუისა-თუისთა მხარეთა და არღარა იყო მორჩილება ეგდეში მეფისა, იწყეს ტყვის-ყიდვა საავჯიშოდ ქრისტეს (1) მოსყიდულთა მაჰმადიანთა ზელდა. კვალად ხლიამ, მთვართა, გარიყება ერთ-მან მეორესა ზელდა და იხვრება ქვეყანათა: ხოლო განდიდის ნიჟაძე სეხნია სადათაურესი. ამან იქმნა რაიმე ბაგრატისა-გან, იწყო ზრახვა და ერთ-გულება ფაშისა, მოი-ყვანა სპანი ოსმალთა, მოიპარა ციხე ქუთათისისა და შეაყენა ოსმალნი ქს. ჩჲაგ, ქრ. ცნდ: ესე აღიშფოთა ბაგრატს და ყოველთა იმერთა. არამედ დაიდუმეს ჯერეთ შიშითა ოსმალთათა: ამასვე ქორონიკონსს მოკუდა კათალიკოზი ივანის ნიჟაძე და დაჯდა საყვარელიძე ევდემონ: შემდგომად ამისა იკა ჟამი მოსურავ-მან ბეჟან ლორთქიფანიძემან, შეიპყრა ქუთათისს ციხესა. მოსრნა ოს-მალნი და აღიღო ციხე ქს. ჩჲაზ, ქრ. ცნე და მისცა მეფესა ბაგრატს: ხოლო დარეჯან დე-დოფალსა წინათვე აღეთქვა კჳ მაჩქდი ფაშისა-თჳს, რათა იგივე ჰქონ მეფედ იმერეთს და ვინადგან არა აქუნდა ყეცხლი, დაეწინდის ძმის-წული თვისი ქეთევან: ხოლო აწ საქმითავე დარე-ჯანისათა დაიხსნა შანაოზ მეფე-მან ქეთევან, წარიყვანა და შერთო ძესა თვისსა: და რა აღიღო ფაშა-მ თვისი იგი ეჯდრა დარეჯან კვალად ფაშასა და ვინად-გან მოასწყვიტეს ქუთათისს ოსმალნი იმერთა, ამის-თჳს აღუთქვა და შემოდგომასა წარმოგზავნა სპითა, წარმოიყვანა დარეჯან და ვახ-ტანგ და ჩამოვიდა იმერეთს, მიეგებნენ დადიან-გურიელი და ნიჟაძე სეხნია. ამის-თჳს ვერღარა წინააღუდგა ბაგრატ მეფე და წარვიდა ქართლს: მაშინ ოსმალთა მოასრნეს, მოსტაცნეს იმერეთი, შემუსრნეს მრავალნი ხატნი და ჯვარნი, მოსწვეს ქვეყანანი და ეკლესიანი ქს. ჩჲაჱ, ქრ. ცნვ:

## კვალად დარეჯან და ვახტანგ ჩუჩუნა-შვილი:

დასვეს დარეჯან და ვახტანგ მეფედ და წარვიდა ფაშა ალაშგიოთ სავსე ახალ-ციხეს: მაშინ დარეჯან და ვახტანგ ჰყვნეს სანდოთ თვისად ღაშხის შვილი ხოსია თავ-ლეჩხუმისა და ჰსცხო მორონიცა დარეჯან ხოსიას და განაგებდნენ იმერეთსა: შემდგომად შეიზრახნეს იმერნი, გარდ-მოიხვრეს ხოსია და შეიპყრნეს დარეჯანისა და ქუთათის ციხესა შინა, აღმკაზმელი თავისა თვისისა.

(1) ქრისტიანეთა ზელთა.

დილასა დარეჯან დედოფალი მოჰკლეს შუბითა ხოსიამ. ხოლო იმერთა ასპარეზსა ზედა მიმო-მოსრული ვახტანგცა მოჰკლეს, მოიყვანეს გურიელი დემეტრე და დასვეს მეფედ, ქს. ჩქჲჱ, ქრ. ტნვ:

## ით, გურიელი დემეტრე:

შემდგომად მცირედისა ჟამისა შეიპყრეს დემეტრე გურიელი იმერთა, აღმოხადნეს თუალნი და განაძეს: მაშინ ასლან ფაშამ წარმოავლინა ძე ქაიხოსრო გურიელისა გიორგი და დასვა იგი გურიელად: ხოლო შაჰნავაზ მეფესა ჰკითხვიდეს იმერნი ბაგრატ მეფე: მან წარმოუვლინათ და დასვეს იგივე მეფედ იმერთა ქს. ჩქჲთ, ქრ. ტნზ:

## კვალად მეფე ბაგრატ დ, თ წელი ჴმევა:

არამედ კვალადცა ამან ქართლისგანსა ნიჟარაძე სეხნიამ არა ისმინა მეფისა ბაგრატისა და აღიღო მოპარვითა და ზაკვით ქუთათისის ციხე და მისცა ოსმალთა და მიერით უპყრავთ დღესმდე: შემდგომად შეიკრიბნეს იმერნი სეხნიამ და მოიყვანეს დადიანი და მოვიდნენ მეფესა ზედა: ხოლო ბაგრატ მეფემან შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმი და ოკრიბელნი, შეიბნეს ჩხარს, იქმნა ბრძოლა და მოსწყდნენ ორგნითვე, ილია სეხნია ნიჟარაძე, მოჰკლეს იგი და მოსწყვიდეს სპანი მისთანანი: ხოლო დადიანი ივლტოდა ოდიშსავე და დაიპყრა ბაგრატ უმეტესად იმერეთი: გარნა კვალად არა დასცხრა დადიანი, რამეთუ შური აქუნდა ცოლისა თვისისა თამარისათჳს, რომელი იყო ფრიად ჰაეროვანი და აღმატებული შვენიერებითა სრულად უმეტესად. შემოიკრიბა სპანი, მოვიდა და მიერთნენ სრულიად იმერნი: მაშინ მოუხდა ბაგრატ მეფესა ქუთათისს ქს. ჩქოა, ქრ. ტნთ. ხოლო 279
ბაგრატ მეფე წარვიდა რაჭას და დადიანი დაჯდა ბაგდათს, არჩევდეს იმერეთსა: მაშინ ბაგრატ მეფემან შემოიკრიბნა რაჭა ლეჩხუმი და რაჭველნი იმერნი მისთანანი, ჩამოვიდა, ეწყო ბაგდათს დადიანსა, ბრძოლასა ილია დადიანი, მოსრნეს სპანი მისნი და ლტოლვილი დადიანი შეიპყრეს კვალად და მის-თანა მრავალნი სხვანი, მოართვეს ბაგრატ მეფესა და დაიპყრა იმერეთი: შემდგომად დადიანი აფიცა ერთგულებასა ზედა და განუტევა, ყოვლად-გან ჴმევა დაი ბაგრატ მეფისა ცოლად: არამედ გიორგი გურიელი იყო კაცი მხნე, შემმართებელი, მშვილდოსან-მოასპარეზე რბილი, ულმობელი, მესისხლე და ტყვის-მსყიდველი უწყალო: ამან მოისმინა მეკობრედ მოსრულნი ავაზაკნი გურიის მრავალ-გზის. გარნა ეტრფიალა ცოლსა ბაგრატ მეფისასა თამარს, შეუდგებოდა წარგვრასა და ითხოვდა შერთვასა და ვერ ჰყოს. ამის-თვის ეძიებდა ფაშას, რათა წარგვაროს ბაგრატ მეფესა და მისცეს მას და აღუთქვა ქრთამი დიდი და შესამისაცა ორგულებასა ზედა ხონთქრისასა ბაგრატ: ხოლო ფაშამ მაჰმადიანობითა და ქრთამისა-თჳს არღა-რაი გამოიკითხა და წარმოემართა ბაგრატსა ზედა: ესე ჰკუნა ნიჟარაძე-მა როსტომ და აუწყა ბაგრატ მეფესა. მაშინვე ბაგრატ წარავლინა თამარ ცოლი თვისი ციხესა შინა გვარსა და თვით შეიკრიბა სრულიად ქმერნი, მოვიდა

ვამეყცა და გურიელი მისითანა ქუთათისს, ეძიებდა ბაგრატ სპითა თვისითა და იქმნა ბრძოლა. გარნა იძლივნენ იმერნი და ბაგრატ უღონობით ვერღარა იძლეოდა, შეიპყრეს და მოჰგვარეს ფაშას ქრ. ჩქოჲ, ქკ. ცდა: მაშინ ბაგრატ ევედრა ფაშასა და აღუთქვა ქრთამი დიდი, რათა ქმნას იგივე მეფედ: ხოლო ფაშამან იხილა რა, რამეთუ არა ძალუძდა მოვლის იამერთისა და შემუსრვა ჯუარის ციხისა. ამისთვის მიიღო მეფისა და გურიელისაგან ქრთამი დიდი, მისცა იმერეთი ბაგრატსავე და ბაგრატ ქრთამისათვის მისცა წინდად ძე თვისი ალექსანდრე (რამეთუ ესე ალექსანდრე იყო შობილი ლეჩხუმელის კნინელის ცოლისაგან, რომელსა ბაგრატ მეფე თანაეყოფოდა სძულად და ცინადგან არა ესვა სხვა ძე ბაგრატს ესე მოიყვანა, უწოდა ალექსანდრე და შიდად ძედ თვისად): ხოლო ფაშამან წარიყვანა ალექსანდრე და წარვიდა. შემდგომად ამისა ჩამოთრა ამას შეკრიბა ბაგრატ მეფემან სპანი და წარვიდა შურისძიებად გურიელისა მიდა, ვერ წინა-აღუდგა გურიელი, მოსტყუვნის და მოსწყვა გურია და წარმოვიდა ახალციხით და ივარითა; ხოლო ცინადგან გვადადვა მოეყვრობნენ დადიანი ლევან და მეფე შესარჩე და მარადმ ჭყვა ცოლად მესაოს მეფისა. ამისთვის განაახლეს მოყვრობა და სიძისყოფა ლევან დადიანსა ძე მისი მანუჩარ სიძედ ასულ თვისისა არშილისა ასულის დარეჯანისათვის: ამან ლევან წარმოუყვლინა ძე თვისი და მოიყვანე მანუჩარ ასულწინასა დარეჯანისათვის. გარნა ერმა და ქალი იყუნენ წლისა ზ. ესე იხილა ბაგრატ მეფემან, რამეთუ არა ეთილიბდა მისდა, აუწყა მისტყუეთი ერმისა მანუჩარისათა: „რამეთუ ჭირებს მესაოს მეფისა წარულინებად მანუჩარ წინაშე თვისსა ტყვედ:“ შეშინდნენ იგინი და არღარა გამოაგზავნეს ჩაჯა იგი, წარმოაბრუნეს ერმა იგი და მიაგვარეს მამასა თვისსა: შემდგომად მოადგა ბაგრატ მეფე ქუთათისს, აღიღო ციხე და გამოიყვანნა ოსმალნი ქრ. ჩქოდ, ქკ. ცით: ამისთვის მოვიდა დესპანი ახლად ფაშისა ახალციხელისა და აღუთქვა მიცემა ალექსანდრესი ძისა ბაგრატისა, რათა მისცეს ციხე ქუთათისისა მათვე. ხოლო ბაგრატ განიზრახვიდა იმერთათ მისცა ციხე ოსმალთავე უკეთურად მაიმის და დაიპყრეს მათვე: შემდგომად უშვა თამარ დედოფალმან ბაგრატს ძე გიორგი ქრ. ჩქოზ, ქკ. ცის და განიხარა ფრიად მეფემან:

ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კრთება ოდიშს ავსბადისათვის, რამეთუ ცინადგან განდგნა ჭყონდიდელი ნიკოლაზ, რომელი გამოეპარა ვახტანგ მეფეს შეულაყრიდამ, მოვიდა და დაიპყრა ჭყონდიდელობაცა და იქმნა მისანდო ლევან დადიანისა უფროსად შინა. ამან მოიყვანა ძმა თვისი კაცია და აზრახა ლევანს მიცემად სალიპარტიანოსი, რამეთუ ამისგან დაიპყრას ლეჩხუმიცა ლევან დადიანმან: ესე კაცია იყო განრჩეული მდაბალი აზნაური, რომელსა მამა სცემდენ ტყვითთა თვისთა ...ოდეს, თავსა და გამოაზრდებოდა და ესე კაცია ძმის ჭყონდიდელისაგამო განდგნა და იქმნა ეპისკოპოსმე მეფეთაგან და ამის გამო უსმენდენ ლეჩხუმელნიცა: მერმე ლევან დადიანმან მისცა სალიპარტიანო და თვისად მისანდობელ-ჭკუ ფრიად, რამეთუ იყო კაცი ბრძნე და შემძლებელი საქმეთა. არამედ ღვთის და ფიცხლე, აზრახებდა დადიანსა და მოსრვიდნენ წარჩი-

ნებულთა ოდიშისათა: ხოლო მოვიდა რა არჩილ ახალ-ციხეს და გიორგი გურიელი-ცა, რომელნი მტერობდნენ გამეფებად იმერეთს ორნივე: ესე იხილა ბაგრატ მეფე-მან, ქმრახა გიორგი გურიელსა და მისცა ასული თჳსი დარეჯან ცოლად, ნაშობი თამარისა-გან, რათა დაუტეოს ტრფიალებათა თამარისა და მტერობდა მეფობასა იმერეთისა. მოიყვანა გურიელი და აქორწინა ქს. ჩქოჱ, ქრ. ტჲვ და მოიმტკიცა ამით გურიელი: ხოლო რა მოვიდა ახალ-ციხიდამ სურამს, სურამიდამ ქმრახა იმერთა და მიერთნენ ყოველნი იმერნი არჩილს და დადიანი ლევან, გადასამცა მოიყვანეს და დასვეს მეფედ ქუთათისს ქს. ჩქოთ, ქრ. ტჲზ, სეკდემბერში:

## კვალად მეფე არჩილ, ა წელი ჰმეფა:

ხოლო ბაგრატ წარვიდა გურიას და დედოფალი თამარ დაშთა ციხესა სკანდას. მოადგა არჩილ მეფე, გამოიყვანა თამარ და მისცა დადიანსავე ცოლად და მოიყვანა ძე დადიანისა სიძე თჳსი და ჰყვანდა თჳს-თანა: მაშინ ბაგრატ შეწევნითა გურიელისათა ეჰკრძა ასლან ფაშას და მან აღუთქვა შეწევნა: ამავე ჟამსა წარმოსცა მეფე-მან გიორგი-ამ ძე ბაგრატ მეფისა ალექსანდრე ახალ-ციხიდამ და მოასხნეს მოსანი ალექსანდრესანი: ესმა ბაგრატ მეფესა, შეწუხდა, რამეთუ მომკუდარ იყო ძე მისი გიორგი და არა ესვა სხვა ძე, რათა არა მოკლან იგიცა: მაშინ ასლან ფაშამ აუწყა ხონთქარსა ყოველი ყოფილი. განრისხდა და წარმოავლინა აზრუმის ფაშა სპასა 280 აქეთ სპითა, მოსრულს ფაშას მიეგება ბაგრატ მეფე და გურიელი: არამედ არჩილ მეფე-მან შემოიკრიბნა ძრიელად იმერნი, შეიყარნეს და დაემზადა ბრძოლასა. ვარნა ჩამოვიდნენ ავგისტოსა შინა ოსმალნი იმერეთს, განუდგნენ არჩილ მეფესა და მიერთნენ ბაგრატს: ამისი მხილველი არჩილ მეფე წარვიდა რაჭას და რაჭველთა შეჰკრეს მთა, მოეწყვნენ ოსმალნი არჩილს. მაშინ ხრესილს მოსვლა იყოდა უწყეს რაჭველთა ცემა თითოეთა ყოვლისა-გან ოსმალთა და მოჰკლეს საჭურველნი ნივთნი და სხვანი მრავალნი და უმეტეს ოსმალნი მოსწყდნენ. არამედ ხამრავლითა სიკვდილს ოსმალთავე. გარდავიდნენ რაჭას, მოსწყვიტეს, მოსტყვევნეს, უკმოაქციეს და დასდგნენ კვაჩხეთს: ხოლო არჩილ მივიდა გულბაათს და აუწყა საქმე თჳსი ყოველნი აზრუმის ფაშასა. მაშინ აზრუმის ფაშამ მოჰკვეთა თავი ასლან ფაშასა, შემდეგ მოსტყვევნეს და მოასრნა უმრავლესი იმერეთს და დასვა ბაგრატ მეფედ და წარვიდა თჳთ ქს. ჩქოთ, ქრ. ტჲზ:

## კვალად ბაგრატ მეფე დ., ბ წელი ჰმეფა:

ხოლო ბაგრატ მეფე-მან მოიმტკიცა იმერნი, შემოიკრიბნა და წარვიდა ოდიშს, ესწყდა დადიანი ლევან სპითა და ბრძოლასა იძლია დადიანი და წარგვარა კვალად ცოლი თჳსი თამარ და

შეიწითო თვითვე და მოვიდა ქუთათისს გამარჯვებული: მაშინ ლევან დადიანი ეზრახა გურიელს გიორგის და მისცა ძე თვისი მანუჩარ მძევლად, დაისვა იგი და დაიპყრა ოდიში ასრე: შემდგომად მცირედისა ხანისა მოკუდა დადიანი ლევან ქს. ႲႫႤ, ქრ. ႹႾႬႦ: მაშინ მოითხოვეს ოდიშართა ძე ლევან დადიანისა მანუჩარ გურიელის გიორგისა-გან საუფლოდ დადიანად: არამედ ვინაიდგან არღა-რა ვინ იყო მკვიდრი ოდიშისა. ამისათვის ეზრახა გურიელი ოდიშართა, რათა ჰყონ იგი დადიანად: ხოლო წარჩინებულთა ოდიშართა განამაგრნეს ციხენი ყოველნი და მიუთხრეს გურიელსა: „ვიდრემდის ცოცხლებითა არს მანუჩარ არავის მივსცემთ ციხენი და ქუეყანანი:“ ამისამან მსმენელ-მან გურიელ-მან მოჰკლა ყრმა იგი მანუჩარ, რამეთუ ჰგონებდა შემდგომად სიკუდილისა დაიპყრას ოდიში და წარვიდა დაპყრობად ოდიშისა: გარნა მის-გამო ოდიშართა სძულდათ იგი, ვითარცა მესისხლე თვისი, ვერ შევიდა ოდიშს და მოვიდა გურიასვე: ხოლო არჩილ წარვიდა კულბითიდამ დვალეთს და მუნ დაასადგურნა დედა-წულნი თვისნი და თვით მოვიდა ჩხერის ციხესა შინა და ეზრახოდა მუნიდამ იმერთა რჯა ითხუფ. არამედ ვერა რაისა-ღა მეოხეველი წარვიდა დვალეთსვე: მერმე მივიდა ყვაიქოამს და იდგა წელსა ერთსა მუნ: შემდგომად უწყებული ძმისა თვისისა გიორგი მეფისა-გან წარვიდა რუსეთს ქს. ႲႫႥ, ქრ. ႹႾႬႧ, განვლო დედა-წულით, სჯით რუსთა მეფისათა ჩერქეზი და მივიდა თერგს, მუნ ჩაჯდა ნავსა და განვიდა ასტარხანს: მაშინ მოკუდა მეფე რუსთა თეოდოსე და დაშთა არჩილ სამ-წელ ასტარხანს: ხოლო დღესა ახალ-წლისასა ალუნთეს ლამპარი დიდი სამსჭვალსა, მოეკიდა ცეცხლი სასახლესა მას, რამეთუ არიან სახლნი ხრულეთად ხისანი და დაიწუნეს ყოველნი სიწმიდენი და საუნჯენი არჩილისანი. არამედ ჰპოვნეს სამსჭვალნი და ნაწილნი უვნოდ, ძვალად დაუკლებელი, დაუწუავი ცეცხლსა მას შინა: გარნა შემდგომად შესამკო სამსჭვალი ძვალად არჩილ მეფე-მან: მერმე მეფე-მან იოანე და პეტრე-მ მოიყვანეს მოსკოვს არჩილ და პატიუ-სცეს მეფებრ და იყოფებოდა მუნ პატიუ-ცემულად: ხოლო იმერეთს მოკუდა ბაგრატ მეფე ქს. ႲႫႥ, ქრ. ႹႾႬႧ და დაფლეს გელათს და ვითარ არღა-რა ვინ იყო ტომი მეფეთა მოიყვანეს გიორგი გურიელი იმერთა და დასვეს მეფედ:

## ქ. გიორგი გურიელი, ბ' წელი ჰმეფა:

არამედ ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოვანი იყო თავ და განგებე მათი: ამან მოსრნა მრავალნი შემძლებელნი და წარჩინებულნი ოდიშისანი, განზრახვითა ძმისა თვისისა ჭყონდიდლისათა, რამეთუ ეტყოდა განზრახვასა შინა: „მას ჰყოფის ერთი თავი.“ ესე იგი არს სიკუდილი ვისიცა ნებავსთ. ამით მოიყვანა ოდიში ქვეშე თვისსა, ვიდრე პყრობამდეცა თვისად: გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა ალესწრეთ და უმეტეს ავხაზთა-გან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე და დაშენებოდენ თვით ავხაზნი და არღა-რა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი: ხოლო შემდგომად

მოკუდა კაცია ჩიქოვანი და დაიპყრა ლიპარტიანობა ძე-მან კაციასა-მან გიორგიმ უმეტეს მამისა თვისისა და სრულიად უწყალოდ და ჰყიდდა ტყუედ ოდიშართა, რამეთუ ჰქცია მამისა მისსა არა დატევება ჩიქოვანისა და გოშტელიანთა დაიპყრობის: ხოლო გიორგი გურიელ-მან განარისხა ღმერთი. განუტევა ცოლი თვისი დარეჯან, ასული ბაგრატ მეფისა და შეირთო სიდედრი თვისი დედოფალი თამარ ცოლად: ამას ჰპყრა იმერეთი და მცდელობდა ოდიშისაცა დაპყრობად. არამედ გიორგი ლიპარტიანისა-მან მოიყვანა ძე ლევან დადიანისა, ნაშობი მსხვილისა-გან ლევანივე და დასვა დადიანად სათნოებისათვის მეგრელთა და წინააღმდეგად გურიელისად: ხოლო გიორგი მეფესა ქართლს ჰყვანდა ძე ბაგრატისა ალექსანდრე, შეუძლია პყრობა იმერეთისა გურიელისა-გან და არა პყრობა ძმისა თვისისა არჩილისა. ამისათვის ეზრახა ურუმ ფაშას, რათა ჰყოს ალექსანდრე მეფედ იმერთა: განიხარა ფაშამ და მოითხოვა მის-გან ალექსანდრე: მაშინ წარუგზავნა გიორგი მეფე-მან ნიჭითა თვისითა და პატივითა ქს. ჩქპბ, ქრ. ცო. ესე აუწყა ფაშამ ხონთქარსა. ხოლო ხონთქარ-მან მოსცა ხალათი და ხრმალი და იმერეთი ალექსანდრეს და ებრძანა ურუმ ფაშასა მეფედ ყოფად მისი იმერეთს: მსმენ-მან ბრძანებისა-მან წარმოიყვანა ფაშამ ალექსანდრე. ხოლო გურიელი წარვიდა, ვერ წინააღმდგომი, გურიას და დასვა ფაშამ ალექსანდრე მეფედ: შემდგომად წარვიდა ახალ-ციხეზე ფაშა და დედოფალი თამარ მივიდა ოდიშს, რათა არა მიერთვნენ ოდიშარნი ალექსანდრეს. არამედ მუნ მოკუდა თამარ დედოფალი ქს. ჩქპგ ქრ. ცოა (იქმნეს არს, რამეთუ იყო მიდგომილ და შობასა შინა შუა ცეცხლი და მოკუდა): ხოლო შემდგომად კაცია ჩიქოვანის სიკუდილისა ნაცოლარი მისი და დედის-ნაცვალი გიორგი ლიპარტიანისა, დის-წული შოშიტა ერისთავისა, შეირთო გიორგი გურიელ-მან ცოლად და ამათ-გამო მცდელობდა პირველ ოდიშს 281
და აწ უმეტეს იმერეთსაცა:

## კბ, მეფე ალექსანდრე დ, ს წელი ჭმეფა.

და დაჯდა ალექსანდრე მეფედ ქს. ჩქპგ ქრ ცოა: მაშინ განდიდებულ იყო აბაშიძე პაატა და მორჩილებდნენ სრულიად საჯავახონი, ინება ალექსანდრემ მოიმტკიცება მისი და მისცა და თვისი დარეჯან ცოლად, ნაცოლარი გურიელის გიორგისა და მიქელაძე გიორგის დის-წული იყო პაატა და მოიმტკიცნა იმერნი ამით: არამედ გურიელის-გამო გიორგი ლიპარტიან-მან, შოშიტა რაჭის ერისთავ-მან და ბეჟან ლორთქიფანიძემ არა ინებეს მეფობა ალექსანდრესი, შეკრიბნეს და მიერთნენ ესენი გურიელს. არამედ გურიელ-მან ბრძოლად წარმოსრულ-მან, განსხვაცვა სახე ლანქერის (1) ღუთის-მშობელი, და ჰყო სამკაულად თვისად: შემოიკრიბა გურია, მოვიდა საჩინოს, მიერთნენ ნაკაშიძენი, მერმე ლიპარტიანი ოდიშართა, რაჭის ერისთავი რაჭველით, ლორთქიფანიძენი და ლეჩხუმელნი: ხოლო ალექსანდრეს დაშთა აბაშიძენი და ზემო-ურნი და მი-

(1) [illegible]

ქელაძე გიორგი და მარგველნი: ეწყვნენ როკითს ურთიერთს და იქმნა ბრძოლა ძლიერი ქს. ჩხპდ, ქრ. ტობ: დაიკოდნენ და მოისრნენ ორგნითვე ურიცხვნი. შემდგომად მოკლეს გიორგი გურიელი (იტყვიან უცნაურითა გვემებითა მოკლეს) და იპყრობდნენ სპასა მისსა, მოკლეს კვალად რაჭის ერისთავი შოშიტა, სხვათა მოსრვიდნენ და შეიპყრობდნენ უმრავლესთა: ხოლო ლიპარიტიანი ივლტოდა ოდიშს და მოიქცა ალექსანდრე გამარჯვებული: არამედ აქეთ მოკლეს აბაშიძე ლევან და პაატა დაჰკოდეს: შემდგომად შეკრებილნი გურიელ-ოდიშარნი და იმერნი დაჰყვიდნენ ვეცხლის ზედა და დაიპყრა ალექსანდრემ კვალად იმერეთი: ხოლო გურიას დასვეს მალაქია, ძმა გიორგი გურიელისა გურიელად და ძენი გიორგი გურიელისანი წარვიდნენ ახალ-ციხეს: მაშინ ალექსანდრე მეფე-მან წარუვლინა მახარობელი გიორგი მეფესა: „რამეთუ მექმნეს მე შენ მიერ ყოველნი, აწ მეყავ მონად და ძედ შენდა და მომეც ასული შენი ცოლად:“ ესმა გიორგი მეფესა, გაიხარა. არამედ მოუმცნო ასულისა თვისისა დაწინდვა დავით ერისთვისა-გან: კვალად წარუვლინა ალექსანდრემ და მოითხოვა ასული ლუარსაბისა ელენე და ძმის-წული გიორგი მეფისა: ესე აღუთქვა მეფემან გიორგის მოცემად: გარნა ალექსანდრეს არა ერნდა რაჭის ერისთავი პაპუნა ძე შოშიტასი. ვინაიდ-გან მოუპყრობდა გიორგი მეფე და იყო მეგობარ პაპუნასი და ჰსცნა-ცა ალექსანდრე-მ, რამეთუ არა ნებავს გიორგი მეფესა მისახლობა ამისი. ამის-თვის შეიკრიბნა სპანი იმერთა და წარვიდა რაჭას ანუ დაიმორჩილოს ანუ მოუღოს რაჭა, შევიდა და გარდავლო მთა წეგისა, გედევანისა და მოადგა ნისიას ციხესა და მარბიელთა მოსწვეს, მოსტყვევნეს დაბნენი მრავალნი: მაშინ გიორგი მეფე-მან მოაშველა ზაალ ხერხეულიძე სპითა პაპუნას. იხილა პაატა აბაშიძემ სიყვარული პაპუნასი, რამეთუ მიეწურათ მარგველთა წაღებად ნისიას ციხე, მიზეზ-ჰყო ქართველნი და არღარა ინება მარგველთა-გან ციხის აღება და დაპყრობა მეფისა-გან. ეტყოდა მეფესა სპათა მოსვლასა, ესმის მეფე-მან და წამოვიდნენ იმერეთსავე:

შემდგომად მოკუდა პაატა აბაშიძე დაკოდილი მითვე: ხოლო ალექსანდრემ მოიყვანა დაჲ თვისი დარეჯან, განატევებინა პაპუნას ერისთავს ცოლი, ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა და შერთო დარეჯან დაჲ თვისი და მოიმტკიცა იგიცა: არამედ შემდგომად ძმისა თვისისა სიკვდილისა გან-დიდნა აბაშიძე მალაქია, რომელი იყო ნაბერალი და იწოდა გიორგი: ამან მოიყვანა შემდეგ ცოლად ნაცოლარი გიორგი გურიელისა და გაცია ნიჟარაძისა მდიდარ ფრიად და შეირთო იგიცა და თაობდა ზემო-მხარისა ზედა უფროს ძმისა თვისისა: ამას ემზახლა ქაიხოსრო გურიელი და სთხოვა ასული ელენე, რომელი ჰყვანდა პირველისა ცოლისა-თანა, რამეთუ ესე ქაიხოსრო ძე გიორგი გურიელისა, რაჟამს მივიდა ახალ-ციხეს, მოსცა ფაშა-მან სპანი, წარმოვიდა და დაიპყრა გურია ქს. ჩხპე ქრ. ტოგ: ხოლო მალაქია ბიძა მისი წარვიდა ახალ-ციხეს: ესე მალაქია კვალად ფაშამ შემოაწყუნარა და აღუთქვა ქაიხოსროს უვნებლობა მალაქიასი. არამედ მოსრული გურიას შეიპყრა ზაკვით ქაიხოსრომ მალაქია და აღმოხადნა თვალნი ბიძასა თვისსა: ესმა ფაშას, აღუწყრდა ფრიად და მცდელობდა შერის-გებასა ქაიხოსროსასა: შემდგომად წარმოავლინა შავშეთის ბეგი

მცირითა სპითა მოკითხვად გურიელისად და ამცნო ბეგსა, რათა მოჰკლას იგი მოსრული ქაიხოსროჲ მისტუმრა ბეგი. შემდგომად მისტუმრა ბეგ-მან და თავის-წინაშესა შინა მოჰკლეს ქაიხოსრო გურიელი ქს. ჩხპთ, ქრ. ტოზ, წარიღეს თავი მისი და წარვიდნენ და გურიელად დაუტევეს მალაქია ყოფილი; შემდგომად მცირეს ჟამსა მოითხოვეს გურიელთა მე გიორგისა და ძმა ქაიხოსროსი მამია უსუფ ფაშისა-გან, რომელი მუნვე იყო ახალციხეს და აღუთქვეს ქრთამი დიდი: ფაშამ წარმოუვლინა და ჰყვეს გურიელად ამასვე წელსა: ამან მამიამ მისცა შემოქმედელობა მალაქიას და ჰყო მონაზონად: მერმე ამანვე მოითხოვა ძმისა თვისისა დაწინდული გიორგი აბაშიძის ასული ელენე, მიიყვანა და ქმნა ქორწილი:

ხოლო გიორგი ლიპარიტიან-მან იხილა, რამეთუ მოსწყდნენ ძლიერნი იმერეთისანი როგითს ომსა შინა, იწყო ლევანს დადიანისა-გამო ლაპარაკით სრვა და გლეჯა წარჩინებულთა ოდიშისათა, ყიდვა ურწმუნოდ ტყვეთა მაჭმადიანთა ზედა და აწერა სალიპარიტიანო და ნებითა მისითავე იყო ლევან დადიანად: ამან ლევან მოიყვანა ნებითა ლიპარიტიანისათა ცოლად და ალექსანდრე მეფისა თინათინ, ნაშობი თამარ დედოფლისა-გან, რათა მოიმტკიცოს ოდიში ძალითა ალექსანდრესითა: ხოლო ლიპარიტიანსა ამის-თჳს, რათა არღარა მიინებოს ალექსანდრე-მ ანუ გურიელ-მან თავისად ოდიში. არამედ სახელითოდენ იყო დადიანი ლევან. გარნა მოქმედი ყოვლისავე იყო ლიპარიტიანი: გარნა იყო ოდიშს ჭირი დიდი გიორგი ლიპარიტიანისა-გან გლეჯითა და ტყვეთა ყიდვისათა და უმეტეს ავაზაკთა-გან, რამეთუ მოვიდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანათა ავაზაკობით და ცხადად: ხოლო ალექსანდრე მეფე-მან ცხადად ჰსცნა, რამეთუ არა ნებავს
გიორგი მეფესა მოყვრობა მისი, განაცხადა მტერობა მისი და მოყვრობა ერეკლე მეფისა, 282
მიუთხრა ბაშჳს ერისთავსა არა შეწყნარებად გიორგი მეფისა: ესე არა ისმინა ბაშჳს ერისთავ-მან. ამის-თჳს შემოიკრიბნა ალექსანდრე-მ იმერნი და მივიდა რაჭას და მოეგებნენ მუნ რაჭველნი და ლეჩხუმელნი თვისით ერისთვისა: მაშინ ბაშჳსა-მ განამაგრნა ციხენი და ადგილნი და წარვიდა ოსს გიორგი მეფით-ურთ და სპათა ალექსანდრესთა მოსწყვეს რაჭა და მოადგნენ ჟეჟორას, გერ წინა-აღუდგნენ გიორგი მეფე და ბაშჳსა და მოვიდნენ გლოლას, მოვიდნენ სპანი ალექსანდრესნი და მოსწყვეს უწერა. მუნით უკუ-იქცნენ გვალად მოსწყვეს რაჭა ქს. ჩხჟ, ქრ. ტოჱ და ჩამოვიდა იმერეთს ალექსანდრე მეფე. არამედ ბაშჳსა-მ დაიპყრა უმეტესად გვალად რაჭა, რამეთუ მოსწყვიტნა მტერნი თვისნი და იყოფოდა თვისად:

ამავე ჟამთა მოვიდა არჩილ მეფე რუსეთიდამ მოწოდებითა ძმისა თვისისა გიორგისათა და მოიყვანა ძენი თვისნი. ალექსანდრე და მამუკა და იგინი წარავლინა დუშეთს და თვით მოვიდა რაჭას, განიხარეს ძმათა ხილვითა ერთიერთთა. შემდგომად უხმობდნენ იმერთა, რათა ჰყონ არჩილ მეფედ და წარავლინა არჩილ ყირიმის ხანისა-თანა დავით თურქისტანის შვილი, რომელი შეიპყრა შამხალ-მან. და აწ ნებითა შამხალისათა მოვიდა ჩერქეზსა შინა არჩილ მეფისა-თანა: ამას წარატანეს ძღვენი და არზაჰალი დიდი და წარგზავნეს. ხოლო იმერთა მისცეს პირი არჩილს: მოვიდნენ არჩილ

და გიორგი მეფენი და რაჭის ერისთავი მათ-თანა გელათის-თავსა ზედა. მიერთო მათ ლიპარი-ტიანი გიორგი, ჭილაძე-მიქელაძენი და ბევრნი ლორთქიფანიძენი: ხოლო გიორგი აბაშიძემ და სვი-მონ ქუთათელ-მან არა ინებეს, რამეთუ ესე სვიმონ იყო ძე სეხნია ჩხეიძისა და განდიდებული: გარნა თუ იყო მღვდელ-მთავარი. არამედ ტყვის მყიდველი, მეძავ-მემრუში, კაცის მკლველი, ცრუ-ფიცი, უწირავ-ულოცავი, ვითარცა განდგომილი იულიანე: ამათ მიერ შემოიკრიბნა ალექსან-დრემ სპანი და წარვიდა გელათს-თავს მეფეთა ზედა. ვინაჲ-გან ერისთავსა შინაგანმცემნი მრა-ვალნი ჰყვანდეს რაჭასა შინა და ლიპარიტიანს ოდიშს და ლეჩხუმელნი იყვნენ ალექსანდრეს კერძოდ და სპანიცა ალექსანდრესი მრავლობდნენ, რამეთუ მათ არა შემოჰკრებოდათ ჯერეთ: ვერღა-რა წინა-აღუდგნეს ალექსანდრეს. არამედ წარვიდნენ ოდიშს. ხოლო შემდგომად ეზრახა ლიპა-რიტიანს ალექსანდრე მეფე და მისცა თავობა ლეჩხუმისა და ვინაჲ-გან იყო ლიპარიტიანი ულთო, ცრუ-ფიცი, უშიშო, ტყვის-მყიდველ მიერთო ალექსანდრეს: ხოლო არჩილ მეფე-მან ჰსცნა, რამეთუ მივიდა დავით შეწევნითა შამხლისათა ყირიმის ხანისათა და იგი აღძრულ-იყო შეწევნად არჩილი-სად წინაშე ხონთქრისა: ამის-თვის ინება არჩილ წარსვლა ყირიმს და მივიდა აფხაზეთს, მოეგება შარვაშიძე, ისტუმრა პატივით, ვითარცა მეფე და იყოფებოდა ზღვის ყურამარადესმე. არამედ ვერღა-რა მპოვნელი გზისა უკმოიქცა და მივიდა ოდიშს: გარნა ვინაჲ-გან ზავ-ექმნათ ალექსანდრეს და ლიპარიტიანსა, ვერღა-რა დაადგრეს ოდიშს და მივიდნენ საჩილაო-სამიქელაოს არჩილ და გიორგი მეფენი და ეზრახნეს ალექსანდრეს, რათა მისცეს გზა წარსვლისა: მიუგო ალექსანდრემ: „უკეთუ მომცე ფიცი არღა-რა მეცილო იმერეთს განგიტევებ და წარვედ რუსეთს, უკეთუ არა, არა გცე გზა:“ მაშინ ვინაჲ-გან არღა-რა იყო სხვა რაიმე ღონე, მისცა ფიცი არჩილ და წარვიდა რაჭას: მერმე მივიდა დიგორს და წარიყვანა ძმის-წულნი თვისნი ძენი ლევანისანი. ქაიხოსრო, ვახტანგ, დომენტი და იყოფებოდა დიგორს:

ხოლო გიორგი მეფე წარვიდა გურიას და გურიელ-მან მამიამ ისტუმრა პატივითა დიდითა. არამედ მთავართა მესხებურთა უმეტეს და მეფეცა ნიშნიდა მათ. ამისთვის აზრახეს მამიას: „ნებავს გურია გიორგი მეფესა თვისად:“ არამედ მამია ვინაჲ-გან, ყრმა იყო ისმინა მათი, რომელნიმე შეიპყრნა და სხვანი უპატიო ჰყვნა: ამისი მხილველი გიორგი მეფე წარვიდა გონიას, მოეგება თავგირიძე აჭიაბეგ, რამეთუ იყო გამაჰმადიანებული და დიდითა პატივითა დაასადგურა და წარ-საგებელითა თვისითა უმასპინძლებდა რაოდენსამე ჟამსა: ხოლო ამ ჟამებთა მოვიდა დავით სტა-მბოლიდამ, რამეთუ ეწვია ფრიად ყირიმის ხანსა წინაშე ხონთქრისა. ამის-თვის ხონთქარის-წარმოუგზავნა ფაშასა თვისსა და დავით მის-თანა: „რათა ჰკითხოს იმერთა, რომელი ჰნებავსთ არჩილ ანუ ალექსანდრე:“ დაუტევა ფაშა-მან დავით ახალ-ციხეს და თვით მოვიდა ალექსანდრე მე-ფისა-თანა: ჰსცნა ალექსანდრე-მ ესე ვითარებანი და ინება მოკვლა ფაშისა. აგრძნა ესე ფაშა-მან და ივლტოდა ახალ-ციხეს: ამ ჟამთა მისრულ იყო გიორგი მეფეცა ახალ-ციხეს. ამან აღუთქვა ფაშას ერთ-გულობა ხონთქრისა და მისლვა დედა-წულითა თვისითა ახალ-ციხეს და ქრთამი

დიდი. მაშინ განუზრახა ფაშუს-მან, რათა მოსჭრან ბეჭედნი ყოველთა წარჩინებულთა იმერთანი და დასხან სჯინტატიკოსის წიგნსა ზედა არჩილისა-თვის. „და მე წარვმართო ყოველნი საქმენი თქვენნი:“ ხოლო გიორგი მეფე-მან ჰყო ეგრეთ და წარავლინა ფაშუსი, მოსცა ხონთქარ-მან ამითი იმერეთი არჩილს, წარმოუვლინა ხრმალი და ხალათი და მოიღო მანვე ფაშუს-მან და კბრძანა ახრუმის ფაშისა-თვის, რათა ჰყოს არჩილ მეფედ: მაშინ ახრუმის ფაშამ წარმოავლინა ქეჰა თვისი სპითა დიდითა და მოვიდა ახალ-ციხეს ხალიმ ფაშისა-თანა: შეიკრიბნეს ესენი და წარმოიყვანეს გიორგი მეფე და დასხდნენ მთასა ფერსათისა ზედა: ესე აცნობეს არჩილს დიგორის მეოფს, სამოვიდა რაჭას, შეიკრება ერისთავი და სრულიად რაჭველნი და წარმოვიდა იმერეთს: ხოლო ალექსანდრე გვერდა-რა წინა-აღმდგომი წარვიდა ქართლს ერეკლე მეფისა-თანა და მას ჰპატივით დაუხვდა: ხოლო ქეჰამ წარმოატანა გიორგი მეფესა მუხალიმი სპითა დიდითა, წამოვიდნენ იმერეთს და მოვიდნენ ქუთაისს არჩილის მეფისა-თანა, შეაიცვა არჩილ ხალათი ხონთქრისა და დაემორჩილნენ იმერნი ქს. ჩქჱ ქრ. ტოჲ თვინიერ გიორგი აბაშიძისა:

## კვალად არჩილ მეფე, ა წელი ჰქმნა:

მაშინ გიორგი მეფე-მან აღთქმისა-თვის მისცა ძმის-წული თვისი ვახტანგ ოსმალთა მძევლად: კვალად მისცა ელენე ძმის ასული თვისი ფრიად კეკლუცი და დაწინდული ალექსანდრე 283 მეფისა ქაიხოსრო იაშვილსა ცოლად და აქორწინა და შემდგომად მცირედისა წარვიდა თვითცა ახალ-ციხეს და წარიყვანნა დედა-წულნი თვისნი რაჭიდამ სამცხეს: ხოლო არჩილ დაიპყრა იმერეთი: არამედ ხამთარსა ამას იხილა აბაშიძემ გიორგი, რამეთუ ვერ მწყე-ქმნების არჩილს ოსმალნი, ეზრახა გიორგი ლიპარიტიანს, მოიყვანა ალექსანდრე ქართლიდამ. არამედ არჩილ მეფე არა დაუტევებს შაჰუნა ერისთავ-მან, სვიმონ ქუთათელ-მან, მიქელაძემ გიორგიმ და ბეჟან ლორთქიფანიძემ: შეიკრიბნეს და ეწყვნენ გოდოგანს ურთიერთს, იქმნა ბრძოლა ძლიერი, ილტა ალექსანდრე და ივლტოდა ქართლს. ხოლო არჩილ მოიმტკიცა იმერეთი და მეფობდა მცდელობი-თურთ უკეთურებისა მოიცხრასა. არამედ ფინად-გან ძლიერ-იყვნენ მოავარნი ვერ შეუძლო: ხოლო ალექსანდრეს წადის ქართლს მდგომს ესმა სპათა დასხმა გიორგი მეფისა-გან, მსწრაფლ აიყარა და შევიდა გორის ციხესა შინა, ევედრა ერეკლე მეფესა, რათა მწე-ეყოს: ესე ყოველნი საზარალოსან მიუთხრა ყეენსა. ხოლო ყეენ-მან დესპანითა ხონთქრისა და იქნა ყოველნი, ვითარცა აღსწერეთ და შემდგომად შეპყრობისა გიორგი მეფისა, მცობ-მან არჩილ მეფე-მან შემოიკრიბნა სპანი იმერთა და გარემოადგა ციხესა ქუთათისს, შეაშფოთა ფრიად, რამეთუ ჯალათა ხარშვიდან და ისჯამდნენ სიყმილისა-თვის და ლამოდნენ მიცემასა ციხისასა. არამედ ლიპარიტიანი სპითა თვისითა ერთ-კერძო მდგომ იყო, ჯმან მას ყმნს სიხოვა არჩილს ლევანუმი და მოსა იქმნეს საუკუნოდ: ესე აღუთქვა არჩილს, გარნა აღუთქვა მიცემა. აგრძნა ლიპარიტიანს-მან, რამეთუ არა ჰნებავს.

ამის-თვის გამოიყვანნა ლაშით ოსმალნი ციხიდამ, მისცნა ყოვლნი საზრდელნი თვისნი და განა-მაგრა ციხე და თვით მასვე ლაშქრს იდგურდა სპითა თვისით: დილასა იხილა არჩილ მეფე-მან, შეიქმნა ესე არჩილ მეფესა დიდ-ძვირად და უმეტესისა განდგომილებისა ყოვლისა-თვის მოიცვალა ციხესა და შემოიკრიბნა გვარად იმერნი: ხოლო იქმნა საქმე საგლოველი, რამეთუ გამოვიდნენ ციხიდამ ოსმალნი და შემუსრეს ქუთათისს ეკკლესია ყოვლად წმიდისა, დიდ-შვენიერად გებული, ვინად-გან ავსებდნენ ციხესა მუნიდამ ფრიად ქს. ჩხჟა ქრ. ტოთ: ხოლო გიორგი მეფე-მან იავარ-ჰყო რაჭისს ცოლ-შვილი ალექსანდრე მეფისა და მიაბარა ძესა მისსა სვიმონს და გიორგი დავითს ქსნის ერისთავს, საშობნი დიდებულისა ქალისა-გან: არამედ ალექსანდრე მივიდა ახალ-ციხეს, წარმოვიდა ფაშა სპითა და ჩამოვიდნენ იმერეთს. განუდგნენ არჩილს იმერნი და მიეგებნენ ალექსანდრეს. ხოლო არჩილს ვერღა-რა მოუსწრა ბარძიმ მდივან ბეგ-მან სპითა ქართლისათა და ამით ვერღა-რა იკადრა ბრძოლა და წარვიდა რაჭას, მუნიდამ მივიდა ქართლს: ხოლო ალექსანდრე დასვა ფაშა-მან მეფედ ქს. ჩხჟა, ქრ. ტოთ:

## კვალად მეფე ალექსანდრე, და წელი ჭიყვა:

უკუნიქცა ფაშა და წარვიდა ახალ-ციხეს. მაშინ არჩილ სცნა, რამეთუ ვერღა-რა დაიპყრობს იმერეთსა და კაცთა თვით არღა-რა ინება მათი მეფობა, წარვიდა დვალეთს, იქიდამ რუსეთს მცი-რითა სპითა: არამედ შამხალ-მან მიაბარა ყილხიურ ჩერქეზს ბატონი ყეენის-გამო, რათა შეიპყრას არჩილ და მისცეს ყეენსა. ხოლო ყეენ-მან ალავერდის ორნივე ნიჭითა: მისრული არჩილ ჩერქეზს ისტუმრა ყილხიურმ ბატონმა, მერმე წარატანა ყოლაუზნი და წარგზავნა. არამედ არჩილს ესება ყილხიურთა თავის-თანი მოგზაურობა და ესე არა ინება ყილხიურმ, რამეთუ აქუნდა მასკიუ-რება. არამედ შეკრებული სპითა ეწია არჩილს და თვით ყილხიური არა გამოეცხადა. გარნა სპანი მოვიდნენ და ვითარცა არა რაი მიზეზი აქუნდა გზისა არჩილს შეუპყრიეს ორითა კაცითა ქალნი არჩილს იმიერ და ამიერ და იწყეს სპათა არჩილისათა ზურობა ჩერქეზთა: მაშინ იხადეს მახვილნი, რომელნი აქუნდათ დაფარულად [illegible] აბაშიძე ნიკოლაოზს და შალიკა შვილ-მან, სცეს კაცთა მათ და განათავისუფლეს მეფე, იხადა მახვილ-კაპარჭი მეფე-მან და მოსრნა მრავალნი: მოუხდა მეფესა ჩერქეზი, სცა ოროლი. არამედ დაიპყრა გრგოლ-მან იგისა-მან და ვერა აკლო მეფესა: შემდგომად განვლო ბრძოლითა მეფე-მან რაზმი მათი და წარვიდა ლტოლვით. არამედ განსწყდა ცხენი მეფისა და ვერღა-რა ჭრბოდა: კვალად მოვიდნენ და მოეტევნენ მეფესა და ბრძოდა ძლიერად: მაშინ მოვიდა წარჩინებული ვინმე ლეკი და მოქცეულ ეტყოდა მეფესა: „რად მოიკლავ უებროსა თავსა, კმა არს საკმარისად, რომელი ლეკს ჭყავ შენ, აწ დაიმდაბლე თავი და მოვედ ჩემდა, ვფუცავ განგარინო ყოვლისა-გან:" ისმინა მეფე-მან და ჰრქვა. „არა მიგვინდო ჩერ-ქეზთა. გარნა მოვალ შენდა:" და მივიდა მის-თანა და წარიყვანეს სახლსა ყილხიურისასა. ხოლო

ცოლმან ყუარყუარესამან მისვე ღამესა წარავლინა მეფე ბასიანს და სხვანი არჩილისანი დიგორს: ამისი შემძლებელი მოვიდა შამხალი, რათა წარიყვანოს მეფე. არამედ ვერღარა ქმნა ყუარყუარე მიცემად, რამეთუ ბასიანელთა დედათა მოიხადნეს სახურველნი თვისნი და ეტყოდნენ ქმართა თვისთა: „ანუ დაიბურენით ესე და ქუდნი იქმნენით ჩვენ ანუ არა მისცეთ არჩილ ყუარყუარეს:“ ამის-თვის გამოუტევეს მას ღამესავე არჩილ ქმითა თვისითა. ეგრეთვე დიგორელთა გამოუტევეს ყო-ველნი მყრობილნი და წარმოსრულნი მოვიდნენ ქართლს და იყოფებოდა არჩილ მეფე ქართლს:

ხოლო ალექსანდრე მეფობდა იმერეთს: მაშინ განუტევა დიდებულის ქალი, ვითარცა ცო-ლად მყოფი, რომლისათვის ესხნეს ძენი. სვიმონ და გიორგი უქორწინოდ და შეირთო გიორგი აბაშიძის ასული თამარ ი წლისა, ამისვე ქორწინებისა და იქორწინა მისთანა. არამედ გან-ძლიერდა ლიპარიტიანი გიორგი გლეჯითა და ტყვისა ყიდვითა. არღარა ინება ლევან დადიანი, გა-ნაძო იგი და წარვიდა ქართლს არჩილ მეფისათანა. შემდგომად წარვიდა სტამბოლს და მოკუდა მუნ და დაიპყრა ოდიში ლიპარიტიან-მან და არა იწოდებოდა დადიანად. არამედ ლიპარიტიანად და თავობდა ლეჩხუმსაცა კინაღა დაპყრობად: ხოლო ალექსანდრე თუმცა მეფობდა, არა ეგდეს ნებასა შინა მისსა იმერნი, რამეთუ ფრიად განძლიერდნენ მთავარნი და ამას გვალად იწყო მტერობა გიორგი მეფისა და მოყვრობა ერეკლე მეფისა. ამისათვის ინება კრთება ქართლისა: ხოლო მო-ვიდა რა ქალბალი-ხან, ეზრახა ნაზრალი-ხანს ალექსანდრე მეფესა, რათა ემტეროს გიორგი მეფესა. არამედ წარჩინებულნი იმერნი არა აუფლებდნენ ამას ყოფად ალექსანდრე მეფესა. გარნა ალე- 284
ქსანდრე უცნობელად წარჩინებულთა, მორჩილითა თვისითა სხვით მიუხდა და მოსტყუევნა ალი და წარმოვიდა: ესმა არჩილს ტაშის-კარს მდგომს წარმოუდგა. არამედ ალექსანდრე მოვიდა იმე-რეთს და სხვათა არჩილისათა დაატყვევნეს ტყვენი რაოდენიმე იმერთა: შემდგომად ეზრახნენ არჩილ და გიორგი მეფენი წარჩინებულთა იმერთა, არა ჰყოფდესა ესე ვითარებისასა. ვინადგან არს ჟამი დიდი, რომელი არღარა ყოფილ არს ჩვენ შორის და რათა შეანანონ ალექსანდრე მე-ფესა, რამეთუ იყო ესე ალექსანდრე მხნე, ახოვანი, ჭაერიყანი და უხვი. არამედ გულად-მქცევი, ფუნდრუკი, ულიო, ტყვისმყიდველი. ამისთვის სძულობდა ცოლი თვისი თამარ და მიჰყენს უდგა განტევებად, აზრახა მამასა თვისსა, რათა მისცეს გიორგი მეფესა: ხოლო აბაშიძე სიყვარულითა ასულისათა არღარა მიხედა უკეთურობასა და აზრახა იმერთა, რამეთუ ესენიც წინააღმდგომითა სძუ-ლობდნენ ალექსანდრეს წარჩინებულნი, შეიკრიბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოსნი, ერისთავი შოშიტა და სრულიად წარჩინებულნი იმერეთისანი და მოადგნენ სკანდას მყოფსა ალექსანდრეს, შეიპყრეს და წარგზავნეს მღვიმეს, მერმე სვერს: შემდგომად მისცეს გიორგი მეფესა, მიიყვანეს რუისს, მოაშთვეს და დაფლეს მუნვე ეკკლესიასა შინა ქს. ჩქჟე, ქრ. ტპგ:

## კვალად მეფე არჩილ, ა წელი ჰმეფა:

შთამოიყვანეს არჩილ და დასვეს მეფედ: ამასვე ქორონიკონსა მოვიდა გიორგი მეფე საჩხერეს და ილაშქრობდნენ მეფისა ზიარად: მაშინ თამარ ასული აბაშიძისა ჰნახა გიორგი მეფესა, რათა შეირთოს და დაიპყრას მან იმერეთი. არამედ არა ჰქონ სათნოება არჩილისათა: შემდეგ ჰნახა აბაშიძე არჩილ მეფესა შერთვად ასულისა მისისა და დაიმკვიდროს იმერეთი. არამედ არა ჰქონ არჩილ უსჯულოებისათვის და უტევა მოყვანისა მისა თვისისასა ალექსანდრესისა და შერთვასა მისისა: ხოლო შემდგომად გიორგი მეფის წარსლვისა ისპაანს, განიზრახა აბაშიძემ გიორგი, ლიპარიტიანისათანა ნებითა ასულისა თვისისათა და მოიპოვეს მოასიოვსკველ წოდებული ყოფნე მეფეთა გიორგი ოდიშს, მოიყვანეს იგი და შერთეს თამარ ასული აბაშიძისა და უწოდეს მეფედ ქს. ჩჳჟგ ქრ. ცპდ: ხოლო არჩილ წარვიდა დვალეთს და იყოფოდა მუნ:

## კბ, მეფე გიორგი დ გურია ბ წელი ჰმეფა:

ხოლო ესე გიორგი უმსგავსო ყოვლითურთი და შეუგვანი მეფობისა, უშვერო, გამოუცდელი, თვისიერ გლეხთა მუშაკობისა და იყო ხუციარიცა. არამედ მართვიდა აბაშიძე გიორგი და თავობდა ყოველთა იმერთა ზედა, მორჩილებდნენ დადიანი, გურიელი და წარჩინებულნი: ხოლო შემდგომად წლისა ერთისა უმეცრებისა მისისათვის შეიძულეს იქმნა ქმრისა თვისისა თამარ და იქმნა განტევება მისი: მაშინ არჩილ მეფე მოსრულ-იყო ერწოს წარყვანებად ძმის-წულისა თვისისა ვახტანგისათვის დედა-წულითა, რომელი მყოფობდა სახლსა შინა აბაშიძისასა და წარვიდეს რუსეთს: კვალად მოუწოდა აბაშიძემ არჩილს, რათა შეირთოს ასული მისი თამარ განზრახვითა თავადთასათა და იქმნას მეფედ მარადის: არამედ არა-ჰქონ არჩილ და წარიყვანა ვახტანგ დედა-წულითა და წარვიდა დვალეთს და იყოფებოდა ზრამაგას ზამთარს მას, მომდევნოდ სამთა რუსთასა მერმე შეითქუნეს აბაშიძისათანა ყოველნი იმერნი და რაჭის ერისთავი შოშიტა, რამეთუ პაპუნა მომკუდარ იყო და განაძეს გიორგი მეფედ წოდებული, რომელსა გონად სახელის-სდებდენ კოცხებით და მოუწოდეს არჩილს: მას არა ინება, ვინაიდგან უწყოდა მცირეს ყმის მეფობად, რამეთუ არღარა იყო პირ-მტკიცეობა. არამედ განრისხნილნი, ფიცის-მტეხელნი, ტყვის-მყიდველნი მხდომნი, მკვლელნი, უკეთურნი, არა-თუ წარჩინებულნი, გარნა მდაბიურნიცა, მოქმედნი ამის ყოვლთა, რომელთა ესწერთ. არამედ მაძულებელთა თვისთაგანვე წარმოიყვანდა არჩილ, მიეგებნენ სრულიად რაჭველნი, შთამოიყვანდა და დაიპყრა იმერეთი. ქს. ჩჳჟდ, ქრ. ცპ

## კვალად მეფე არჩილ, ვ თთჳს ჭჳრივა.

ამისა-მან შერიფა-მან სალიმ ახალ-ციხის ფაშა-მან აუწყა ხვანთქარსა. ხოლო ხონთქარ-მან უბრძანა განდება არჩილისა: ამისათვის სთხოვა ერეკლე მეფესა ფაშამ ძე ალექსანდრესი სვიმონ, რამეთუ იგი ზრდიდა მას მატლისით, რათა ჰქონდეს მეფედ იმერთა: მოსცა ერეკლე მეფე-მან, მერმე ჩამოიყვანა სალიმ-ფაშამან იმერეთს. არამედ არჩილ ვერღარა წინა-აღუდგა, ვინაიდგან იმერნი მი-ერთვნენ ფაშასა და სვიმონს და წარვიდა მასვე შემოდგომასა რაჭას და დაუტევა ვახტანგ ძმისა-წული თჳსი მუნ, რამეთუ გავიდა თორგვაით გრუელ-იყო და დედა-წულითა ვერღა-რა ვიდოდა, თჳთ არჩილ შეცვლო ლიახვი, გარდავიდა თაგაურს, დაჰქო ზამთარი იგი მუნ და გაზაფხულს წარ-ვიდა რუსეთს სმით რუსთ-ჴელმწიფისათა:

## კბ, მეფე სვიმონ, წელ-ნახევარი ჭჳრივა:

ხოლო სვიმონ დაიპყრა იმერეთი და წარვიდა ფაშა ახალ-ციხეს: შემდგომად შეეყრა აბაშიძე სვიმონ მეფესა, წაგვარა ნასყიდა იაშვილის ცოლად მოთხოვილი ასული თჳსი ანიკა და შერთო სვიმონ მეფესა და აქორწინა: ამან ყამებითა მოგვარდა ცოლი აბაშიძისა მარუელი, განუტევა მეორე ცოლიცა და შერთო ქორიძე ბაზუეს ერისთვისა, ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა და დედა მოსთავის ერისთვისა და მოიმტკიცა ამით იმერეთი ყოველივე. არამედ ასულის მისსა თამარს მისახვრებდნენ იმერნი, ერჩდნენ და მარადის იყვნენ წინაშე მისსა: ამას შეჰშურდა სვიმონისა და დისა თჳსისა მოკლოვნება. ვინაიდგან თჳთ არღარა ჰქონდა ეგინი და აუწყა მათ: ესე აჩინა სვიმონ მეფე-მან, შეშინდა და ივლტოდა ქართლსა. ხოლო იმერეთს დაიბყრა აბაშიძე და დედოფლობდა ასული მისი და მორჩილებდნენ სრულიად ყოველნი: მამის მისმკუდრ იყო გაიაპ-ლიკოსი ყუდროს და შეწყენითა აბაშიძისათა დასდევს გათავლიკოზად ბეჟან ლორთქიფანიძის ძე გრიგოლი:

ამ ყამებთა არა ერჩდნენ რომელნიმე ლეჩხუმელნი ლიპარიტიანსა და ეძიებოდნენ ოგრი-ზასაცა. ესე აუწყა ლიპარიტიან-მან აბაშიძეს და ვინაიდგან იყვნენ შეკრებილნი მტერნი, შე-იკრიბა აბაშიძემ იმერნი, გასხდა მათ რაჭა-ლეჩხუმისა თოვლიანნი და შეიპყრნეს ლეჩხუმს, ურჩნი მოსწყვიტნეს, მოსტყუვნეს და დაუმორჩილეს ლიპარიტიანსა. მერმე უკუ-მოიქცა და მოვიდა იმერეთს: ხოლო ასულ-მან აბაშიძისა-მან ისმა შერთვა ლიპარიტიანისა და სთხოვა ესე ლიპარი- 285
ტიანისაცა, რათა განუტევოს ცოლი თჳსი, რომლისა-თანა ესხნეს ძენი შვიდნი მოწიფულნი და ამისათჳს წარვიდეს თამარ იდგმს, ისტუმრა მიქელაძეკ გიორგი, რამეთუ აბაშიძე იყო დის-წული მიქელაძისა და გამოიყვანა სადა-მომავალობა თამარისა: ხოლო სცნა რა, ეტყოდა თამარს: „რათ წარხვალ იდგმს. ვინაიდგან ხარ ასული ჩვენი, მოიყვანე ლიპარიტიანი და მე

გიქმნას ქორწილი ჯვრისაგანი:" ირწმუნა თამარ და მოუწოდა ლიპარიტიანსა და იგი მოვიდა მცირითა კაცითა. მაშინ ეტყოდა მიქელაძე: „უგანსჯელნი ვგონებ ჩიქოვანნი, რამეთუ შეიპყრობ დასა ჩემსა, აწვე მოაგებინებ, უკეთუ არა სცნობ მარჯვნით თამარის:" შეიპყრეს ლიპარიტიანი, სცნო მარჯვნით თამარის. შემდგომად უსასჯელისად, უწყალოდ და განუტევა. ამისშემდგომად მეგრელის წარვიდა თამარ და შეიპყრო ლიპარიტიანი და განატევებინა ციხე შერგული: მეგრელთაგან უხმობდნენ თამარს ოდიშისა და იმერეთის დედოფლად:

შემდგომად განდგნენ რაჭველნი აბაშიძისა-გან, შეკრიბა სპანი იმერეთისა აბაშიძემ, შეუხდა რაჭას, მოსწვა, მოსტყვევნა, დაიმორჩილნა და მოვიდა იმერეთს: ხოლო გურიელისგან მამამ განიზრახა მოვლენა კვალად სვიმონ მეფისა და უხმოს იმას, რათა მოსცეს სვიმონს და ამან მეფედ ქმნას იგი: გარნა ვინადგან სახლის იყო იმამისა გურიელი, მოაიხსენა კვალად სვიმონ ნახარაულ-ხახიანისა-გან, მოიყვანა და მისცა გურიელსა: მაშინ გურიელისგან განატევებინა ასული აბაშიძისა ანიკა სვიმონსა და შერთო დაჲ თვისი ცოლად და აქორწინა: ესე შეუთვალა აბაშიძეს, მოუწოდა ლიპარიტიანსა და შეკრბნენ საჭილაოს სპითა და უხმობდნენ გურიელსა, რათა მოჰკლან სვიმონ მეფე და ქმნან გურიელი მეფედ. ხოლო გურიელმან არა ინება და ნება ქმნა ამათ: მაშინ წარავლინეს ამათ კაცნი და ცოლისა თვისისათვის მწოდა სვიმონ, ოდეს განიყვანდა ბეჟაბრიყვს სამწარობისა აღგილს ჭერს თოხვი და მოჰკლა სვიმონ მეფე ქკ. ჩღა, ქრ. ცმთ

## კდ. გურიელი მამია გ ა წელი. ჭმევა:

მაშინვე მოიყვანეს მამია გურიელი და დასვეს მეფედ იმერთა. ესმა ესე ერეკლე მეფესა, აღუძნდა და მოვიდა დადიანისა სპითა ქართველ-კახითა შესასხმელად აბაშიძისა ჰსთა, რათა შენანოს და მიუზღოს სვიმონის ჩხუბის ჩხვიცა და წარუყვანის ამისთვის კაცი: ხოლო აბაშიძეს ეუწყა მოქმედება ამისი, ეტყოდა კაცი იგი. „არა ძვირ არს მეფედ ესე ვითარი, რამეთუ თვისიერ სხვისა დიდებისა უძლეველ არს ჯარიანი:" მიუგო აბაშიძემ: „არა ძალ უცს იმ ჰსდა აღაყვლობა ესე ერთობამად. ხოლო მე მიცემისა ჩემსა ცხენსა ვსაზრდებ უკეთუ მძლეოს, შეწევს და უკეთუ ვიძლიო, ვერ განმერეს:" ამისშემდგომად გაზარდა ერეკლესა ეზრახოდა აბაშიძე, მათ მიერ შეუცნიქვა ერეკლე მეფე-გვერდ-არა ხამოვიდა იმერეთს: ხოლო გურიელი მამია იქცა იყო მეფედ. გარნა წარსაგებელითა თვისითა, რამეთუ ჭირდა ტყვეთა გურიელთა და ახლდნენ იმერთა. ვინადგან სამეფონი დიდანი, აგარანი და შემოსავალნი ეპყრა აბაშიძეს და ასულსა მისსა თამარს და მოახლედ მათდა იყვნენ წარჩინებულნი და აზნაურნი მისნი და თვით იგინიცა. ამისთვის წარვიდა გურიელი გურიასავე:

## კმ. აბაშიძე გიორგი ქ. ე. წელი ქმთაურა:

ხოლო მოიყვანეს აბაშიძე და განუდგნენ მის მიერ ყოველნი იმერეთი. ზამთარსა ამან
მოუწოდა დიმიტრიანი აბაშიძესა, რათა შეეწიოს ახლოვანთ ხელ, რამეთუ მეფისა ახლოვანთ ეგ-
რისის მდინარემდე და ახლოვანნი თვისნი ტყვეთა და ტყვეობითა: უსმინა აბაშიძემ, შეკრიბნა
სპანი იმერთა, წარვიდა და მოადგა ახლოვანთ: ვერ წინააღუდგა შარვაშიძე, მოსწყვიდნეს
ახლოვანნი, აღიღო ალაფი დიდი, დაიხსნა დიმიტრიანი და შარვაშიძე, გამოუყვანა ქვეყანა მო-
ოხრებული და შემუსრვილი, შემდგომად წარმოვიდა და მოვიდა იმერეთსავე: ხოლო სიკვდილსა შემდგომად
სვიმონ მეფისა, მოიყვანა ოდეს ახალციხის ფაშამ გიორგი, ძე სვიმონ მეფისა ბრალდებულად მეფის-
ძედ და იზრდებოდა ახალციხეს და ვითარ განდგა აბაშიძე და არღარა ეგულების მორჩილებად
ფაშისა და არცაღა აქონდა ქონებანი ყოველნი იმერეთისა-გან, დამართა წინაშე ხონთქრისა:
განრისხნა ხონთქარი მისთვის და წარმოავლინა აზრუმის ფაშა სპითა დიდითა მეფით და სხვ-
ლით, რათა დაიპყრას წელი შეიღოს იმერეთს და მოაოხრებინ სრულიად ციხეებითურთ: წარმოემართა
აზრუმის ფაშა გურიითა გურიისათა. ხოლო ქუთაისი წარმოავლინა სპათა ახალციხეს, რათა
შეკრებისათვის სპანი სამცხისანი და მოადგეს იმერეთს: ამის-მან მეხოტბელ-მან აბაშიძემ შემოი-
ყვანა სრულიად იმერნი, გურიელ-დადიანითურთი და ლეჩხუმი იმერეთი. შემდგომ შემოიკრიბნა სპანი
და შეკრა ქისანი მამან ფაშამ გამოვიდა ჭყონდიდი ნავის ხიდითა და დასხდა გურიას. ხოლო
ქუთაისი და ახალციხის ფაშა მოადგნენ კავას ხიდს. ვერ დაუდგნეს იმერთა დიდრონებისა თავის
ცემისათვის, გამოვიდეს ოსმალთა, ნაომარნი და დასხდნენ ბაღდადს: გვერდს გამოვიდნენ
ხიდითა თვისით ოსმალთა სპანი. არამედ ვერა რაი სცნა სარასკარ-მან სპათა თვისთა. ვერცა ქუთაის
სარასკარისა, რომელ-გან იყვნენ ქისანი ყოველ-გნით შეკრებილნი: შემდგომ ყარაჩქარ ფაშა აბაშიძისა
ბურჯულ-მან და მივიდა წინაშე სარასკარისა და მიჰყვანებისა გიორგისს, რომელ-გან მეტერობდა დი-
მიტრიანი წინააღმდეგობისათვის იგივე მივიდა მამულითურთ თვისითა წინაშე ქუთაისს: ამან მიჰყვლო-
ბა-მ ჭერ ყოველთა ხოვნება და აცნობა ამბავი სარასკარისა ქუთაისა: მაშინ წარმოემართა სარასკარი
იმერეთისა ხელ და ქუთაის უბრძანა მისლვა არაგვისა: შემოვიდნენ და მოსწყვეს არაგვითი ოსმალთა
და მოადგნენ ქალა-ტუის კოშკებთა, რომელი განუმაგრა აბაშიძეს ოსრადებითა. განამაგრეს
მეციხოვნენი და მოსწყვიდნენ მრავალთა ოსმალთა: შემდგომად მოუხდა ოდეს ახალციხის ფაშა
სპათა შემოტევებითა, აღიღო ციხოვანი და მოუძღვა ქვეშე მოსრულნი და წარმოვიდა თვისით
ხოლო შემდგომად შეიკრიბნეს მისცეს ტყვენი და გარდმოაბრუნეს სამნივე იგი კოშკნი ძირი-
თურთ და დაარღვიეს: ესე უწყის, რამეთუ მოსწყვა გოგი ერთი უწყალოდ და განუმტკიცეს ოსმალ- 286
თავე: ხოლო თვისი შემუსრეს ციხე რუხი და დაადგინეს მცველნი თვისნი და მოსწყვიდნეს
მრავალნი დაბნეულნი და აღაშენეს ანაკრიას ციხე:

გიქმნა ქორწილი ჟყროდგანი:“ ირწმუნა თამარ და მოუწოდა ლიპარიტიანსა და იგი მივიდა მეი-რათა გაეცა: მაშინ ეტყოდა მიქელაძე: „განსვდილი ეგოდენ სიქიანი, რამეთუ შეტყობ დასა ჩემსა, არცა მოგაგებდინო, უკეთუ არა სცნა მირთანი თამარის:“ შეისმინა ლიპარიტიანმა, სცნა მირთანი თამარს. შემდგომად უმასპინძლა, უძღუნა და განუტევა. ამისთ შემდგომად მეირეულის წარვიდა თამარ და შეირთო ლიპარიტიანმა და განატევებინა ცოლი პირველი: მიერითგან უხმობდნენ თამარს ოდიშისა და იმერეთის დედოფლად:

შემდგომად განდგნენ თავადნი აბაშიძისაგან, შეიკრიბა სპანი იმერეთისა აბაშიძემ, შეუტდა რაჭას, მოსრნა, მოსტყუებნა, დაიმორჩილნა და მივიდა იმერეთს: ხოლო გურიელმან მამიამ განიზრახა მეფობა გვალად სვიმონის მეფისა და უწოდა ვაშას, რათა მოსცეს სვიმონ და ამან მეფედ ჰყოს იგი: გარნა ვინადგან სასძლო იყო ვაშაისა გურიელი, მოითხოვა გვალად სვიმონ სახსარადი-სანისათვის, მოიყვანა და მისცა გურიელსა: მაშინ გურიელმან განატევებინა ასული აბაშიძისა ანიკა სვიმონისს და შეირთო ცოლად თვისი ცოლად და აქორწინა: ესე შეესმინა აბაშიძეს, მოუწოდა ლიპარიტიანსა და შეკრიბნეს საჭილავის სპანი და ...ნენ გურიელსა, რათა მოჰკლას სვიმონ მეფე და ჰყოს გურიელი მეფედ. ხოლო გურიელმან არა ისმინა და ნება ჰყო ამათ: მაშინ წარმოცვნეს ამათ გაცნა და ცოლისა თვისისათვის მწოლი სვიმონ, ოდეს განვიდოდა ბუნებრივსა სამჯდომისა ადგილსა ჰკრეს თავი და მოკუდა სვიმონ მეფე ქს. ჩლა, ქრ. ...

## კდ, გურიელი მამია მ ა წელი, ჩმჟა:

მაშინვე მოიყვანეს მამია გურიელი და დასვეს მეფედ იმერთა. ესმა ესე ერეკლე მეფესა, ადუმნდა და მივიდა დაადგინეს სპათა ქართველ-კახთა შერისხვით აბაშიძესა ზედა, რათა შეასმინოს და მიუხვნას ხუჯინის ხევიცა და წარუყვლინა ამისთჳს კაცი: ხოლო აბაშიძეს უკუმოთქმელსა ამისს, ეტყოდა კაცი იგი, „არა ჟურ არს შენდა ესე ყოფაჲსი, რამეთუ თვისიერ სხვისა დიდებისა უძლვის ამ ჟინიბნი:“ მიუგო აბაშიძემ: „არა ძალ უცს ამ ზედა ალჟიდომა მას ერთობამად. ხოლო მე მხოლოსა ჩემსა ცხენსა ვსასოებ უკეთუ მძლოს, მეწიოს და უკეთუ ვსძლო, ვერ განმერეს:“ ამისთჳს ვაზირთა ერეკლესათა ეჴრახოდა აბაშიძე, მათ მიერ უგუნიქტა ერეკლე მეფე ვერღარა ნამოვიდა იმერეთს: ხოლო გურიელი მამია თუცა იყო მეფედ. გარნა წარსავებელითა თვისითა, რამეთუ ჰყიდდა ტყვეთა გურიელთა და ასლვეგდა იმერთა. ვინადგან სამეფოსნი დაბანი, აგარანი და შემოსავალნი ეპყრა აბაშიძეს და ასულსა მისსა თამარს და მოაჴლუდ მაიდა იყუნენ წარჩინებულთა და აზნაურთა ძესნი და თვით იგინიცა. ამისთჳს წარვიდა გურიელი გურიასავე:

## ქე. აბაშიძე გიორგი ე, ე წელი ჰმთავრა:

ხოლო მთავრობდა აბაშიძე და განაგებდა მის მიერ ყოველი იმერეთი. ზამთარსა ამას ევედრა ლიპარიტიანი აბაშიძეს, რათა შეეწიოს აფხაზთა ზედა, რამეთუ მიეღოსთ აფხაზთა ეგ-რისის მდინარემდე და აოხრებდნენ ოდიშს გლეჯითა და ტყუენვითა: ესმინა აბაშიძემ, შემოიკრიბნა სპანი იმერთა, წარვიდა და შთავიდა აფხაზეთს: ვერ წინა-აღუდგა შარვაშიძე, მოსტყუევნეს აფხაზეთი, აღიღო ალაფი დიდი, დააზავა ლიპარიტიანი და შარვაშიძე, გამოუხსნა ქვეყანა მო-ლებული და მძევალნი, მერმე წარმოვიდა და მოვიდა იმერეთსავე: ხოლო ჰიკილდისა შემდგომად სვიმონ მეფისა, მოიყვანა ისაკ ახალციხის ფაშამ გიორგი, ძმა სვიმონ მეფისა ერეკლე მეფი-დამ და ისრდებოდა ახალციხეს და ვითარ განდიდნა აბაშიძე და არღარა ეგოდენ მორჩილებდა ფაშასა და არცა-ღა აძლევდა ქრთამსა ეგოდენსა იმერეთისა-თჳს, დამართა წინაშე ხონთქრისა: განრისხნა ხონთქარი მუსტაფა და წარმოავლინა აზრუმის ფაშა სპითა დიდითა ზღვითა და ხმე-ლით, რათა დაჭირონ წელი შვიდი იმერეთს და მოაოხრონ სრულიად ციხეებითურთ: წარმოემართა აზრუმის ფაშა გზითა გურიისათა. ხოლო ქეჰა ოფისი წარმოავლინა სპითა ახალციხეს, რათა შემოიკრიბოს სპანი სამცხისანი და შთავიდეს იმერეთს: ამის-მან შეშინებულ-მან აბაშიძემ შემოი-ყვანა სრულიად იმერნი, გურიელ-დადიანითურთ და დახიზნა იმერეთი. მერმე შემოიკრიბნა სპანი და შეკრა გზანი: მაშინ ფაშამ გამოვლო ჭოროხი ნავის ხიდითა და დასხდა გურიას. ხოლო ქეჰა და ახალ-ციხის ფაშა მოადგნენ გზას ხიდს. ვერ დაუდგნეს იმერთა დიდროვანთა თოფთა ცემისა-თჳს, გამოვლეს ოსმალთა, ჩამოვიდნენ და დასხდნენ ბაღდადს: გვალად გამოვიდნენ ზღვით ოდიშს ოსმალთა სპანი. არამედ ვერა რაი ყვეს სარასკარ-მან სპათა თჳსითა, ვერცა ქეჰამ სარასკარისა. ვინათ-გან იპყრნეს გზანი ყოველ-განნი შეკრულნი: მერმე უარ-ჰყო ფიცი აბაშიძისა გურიელ-მან და მივიდა წინაშე სარასკარისა და მიქელაძისა გიორგის, ვინაჲ-გან სტერობდა ლი-პარიტიანი წინა-აღმდგომთა-თჳს იგიცა მივიდა მიმდგომითა თჳსითა წინაშე ქეჰასა: ამან მიქელა-ძე-მ ჰყო ყოლადუზობა და აცნობა ამბავი სარასკარსა ქეჰასა: მაშინ წარმოემართა სარასკარი იმერეთსა ზედა და ქეჰას უბრძანა მისლვა არგვეთს: შემოვიდნენ და მოსწვეს არგვეთი ოსმალთა და მოადგნენ ჭალა-ტყის გოშკებით, რომელი განემაგრა აბაშიძეს თხრილებითა. განმაგრდნენ შეციხოვნენი და მოსრვიდნენ მრავალთა ოსმალთა: შემდგომად მოუხდა ისაკ ახალ-ციხის ფაშა სპათა შემოტევებით, აღიღო თხრილნი და მოუდგინა ქვეშე მოხრეულნი და წარმოვიდა თვითი ხოლო შემდგომად შეთხრისა მისცეს ცეცხლი და გარდმოაბრუნეს სამნივე იგი გოშკნი ძირი-თურთ და დაირღუნეს: ესე უცხო, რამეთუ მოარბა გეცი ერთი უვნებლად და განუტევეს ოსმალ- 286 თაცა: ხოლო ოდიშს შეუსხდნეს ციხე რუხსა და დაადგინეს მცველნი თჳსნი და მოსტყუევნეს მრავალი დაბნები და აღაშენეს ანაკრიის ციხე:

არამედ შეიწყალა ღმერთმან ქართველნი ესე, მოკუდა სულთან მუსტაფა (¹) და დაჯდა სულთანი აჰმად და იქმნა შფოთი დიდი სტამბოლს. ამისათვის მოუწერეს სარასკარსა, რათა უკუიქცეს. მაშინ სარასკარმან უბრძანა ქეჭას, რათა დაუსხას აბაშიძეს და უკუიქცეს. ამისათვის ქეჭამ იწყო ნათესაობა აბაშიძისა და ეგრეთვე აბაშიძემ და მოიყვანა ქეჭამ შემწეობა მოურავისა და ნახვა ქეჭასი და მისცეს ძღვენი სარასკარსა და მან აღუსრულა ყოველი წადილი აბაშიძეს: ხოლო აბაშიძემ აღუთქვა ყოველი და ნახვა ქეჭასი, უკეთუ მომატყუოს სპანი ჩემნი: ამისი ნება ქმნა ქეჭამ და აღმოარჩია იმერთა, რაჭველთა და ლეჩხუმელთა აბაშიძემ ვ მხედარნი შერჩეულნი და თავადი მათდა ქაიხოსრო იაშვილი, მიიტანნა და მივიდა ქეჭასსა: მაშინ ნახევარნი შეუძღუნეს და ნახევარნი უკანა ჭურჭლობდნენ აბაშიძეს: იხილა ქეჭამ, მალე იგი-სცა, ჭკუეს ზიარი, რომელიცა აღუთქვა, მერმე აიღო ქეჭამ და წარმოვიდა: ამისათვის შეძლია აბაშიძემ მოურავსი და მისცა მხედარი და ქრთამი. არამედ აშინა ქეჭამ გიორგი ძე ალექსანდრე მეფისა აბაშიძეს და ჭეშმარიტად მისისა და დაუტევა მეფედ გიორგი და თვით უკუიქცა და წარვიდა: ხოლო იმერთა ბრძანებითა აბაშიძისათა შეკრბეს მის ფერისთი და მოსრულნი მრავალთა ოსმალთა. კვალად ეწყვნენ იმერნი, მოკლეს კოლის ფაშა და დაჭრეს ხელსა მისსა ისე ახალციხის ფაშა, აოტეს ოსმალნი და აღიღეს აღავსნი ურიცხნი. ცხენნი, ჯორნი და აქლემნი კიდევ შეკრებულნი და მოვიდნენ წინაშე აბაშიძისა: ხოლო სარასკარმან გავლო გურია და წარვიდა: ეგრეთვე ოდიშითცა წარვიდნენ ოსმალნი და დაიპყრა აბაშიძემ კვალად მთავრობა ქს. ჩღკ ქრ. ტკა: ხოლო გიორგი ძე ალექსანდრე მეფისა, რომელი დაუტევეს მეფედ შეშინდა აბაშიძის-გან და შევიდა ქუთათის ციხესა შინა. არამედ მიქელაძე გიორგი ერთ-გულობდა მას და ჰყვა ასული გიორგი მეფისა, ასულის წული თვისი, რამეთუ ოდეს წარვიდა ისპაანს დაუტევა მის-თანა: ამან განიზრახა გიორგი ქუთათისს მეფისა: „რამეთუ მოიკლა მამაცა შენი მტერობითა გიორგი მეფისათა და აწ არს მპყრობელი ქართლისა და ძლიერი, მე მიგცე ასული მისი, შეირთე იგი და მწყობითა მისითა დაიპყრა იმერეთი:“ ესე

(¹) [illegible]

სთხოვდა გიორგის, მოიყვანა სახლსა თვისსა და აქორწინა როდამის-თანა და იყო ქუთათისვე მცირედ ჟამად: არამედ შემდგომად ამისა, უძღვნიდა ვახტანგ განმგებელი ქართლისა საფასესა მრავალსა. გარნა აბაშიძე უმეტესად განდიდდა და განმდიდრდა, რამეთუ დადიანი, გურიელი მოწოდებითა მისითა მის წინაშე იყვნენ მარადის:

ამ ჟამებთა მოიხსენა თამარ ასულ-მან აბაშიძისა-მან შური გიორგი მიქელაძისა და ნება მისცა აბაშიძემანცა, ვინად-გან მისცა ასული გიორგი მეფისა გიორგის ძესა ალექსანდრე მეფისა, გამოაძეს მიქელაძე მამულისა-გან და დაიპყრა საჩხერო სამიქელაო ლიპარიტიან-მან. ხოლო მიქელაძე წარვიდა ქართლს. შემდგომად განუწყრა ლიპარიტიანსა ძმა თვისი იესე, რომელსა ეპყრა ლეჩხუმი ნებითავე ლიპარიტიანისათა და მივიდა წინაშე გიორგისა ქუთათისს, რამეთუ ამას იესეს ცოლად ჰყვა მარიამ, მამიდა გიორგისა, ასული ბაგრატ მეფისა: ამისთჳს შეშინდა ლიპარიტიანი, მივიდა ლეჩხუმს, გამოასხნა სახლეულნი იესესნი და დაადგინნა თვისნი და მისცა ძესა თვისსა პაპუნას ლეჩხუმი და უხუცესსა კაციას დადიანობა და შესწყვა გაბრიელ მონაზონსა ჭყონდიდლობა და თვით ლიპარიტიანობდა კვალად და იყვნენ მორჩილებასა შინა მისსა ძენი მისნი: არამედ მირეულითვე მიეღოთ ესოდენთა ბოროტებათა შინა მთავართა კერძონი თვისნი აზნაურნი, დაბანი და ციხენი. ერისთავს რაჭა, გლოლა ჯაყვარიძის-თურთ, იაშვილს კვარა, წულუკიძეს ხოტევი, აბაშიძეს სვერი: არამედ სვერი მისცა პაატა აბაშიძეს მსახურს მეფე-მან, ლიპარიტიანს ლეჩხუმი და საჩხერო სამიქელაო-თურთ, გურიელს საჯავახო და ჩიჯავაძენი მარადის იყვნენ წინაშე მისსა:

არამედ დაამშვიდა აბაშიძემ იმერეთი ხდომა-ოხრებათა-გან ფრიად, რამეთუ ვერ-ვინ იკადრებდა პარვად რისამე, კვალად ვერცა-ვინ იკადრებდა განყიდვად ტყვისა, თვინიერ მისსა. არამედ ოდიშს და გურიას ჰყიდოდა ტყვესი ფრიად და უმეტეს ოდიშს ლიპარტიანისა-გან: ამ ჟამებთა ეწადა ვახტანგ განმგებელი ქართლისა აბაშიძეს მძახლობასა და სთხოვა ძე მისი ლევან ქართლს, რათა მისცეს საბაშიო ქართლისა და ასული თვისი და იყოს სიმტკიცე მათ შორის: ესე განიხარა აბაშიძე-მ, არამედ მიუთხრეს კაცთა მზაკვართა, უკეთუ წარუვლენის ძე, მან წარჰგზავნოს წინაშე ყეენისა: ესე ირწმუნა აბაშიძე-მ, ვინად-გან ჰყვა გიორგის ასული გიორგი მეფისა და სწყრდა ვახტანგს მწყრობასა მისსა და არღა-რა ქმნა მათ-შორის მძახლობა. ამისთჳს დაუტევა ვახტანგ აბაშიძე და იწყო მწყრობა გიორგისა, გარდააბირა კათალიკოზი და გენათელი და ერისთავი შოშიტა, რამეთუ შოშიტას ესვა ცოლად ასულის-წული აბაშიძისა ალექსანდრეს მეფის ასული და იყო ქალი იგი ხელ და სულელ და სძულობდა ერისთავი და ენება განტევება მისი. არამედ არა ძალ-უძგა აბაშიძის-გამო: ხოლო იხილა რა მიზეზი ესე, შეითქუნეს ამათ-მიერ, რომელნი ვახსენეთ და გამოიყვანეს გიორგი ქუთათისიდამ და უწოდეს მეფედ ქს. ჩლჩ, ქრ, ტჟჱ.

## ქვ. მეფე გიორგი ვ, დ წელი ქმისა:

ხოლო დაჯდა გიორგი მეფედ ძე ალექსანდრე მეფისა. მიუგზავნა აბაშიძეს, რათა დაუტეოს
სამეფო ყოველი და დაიპყრას მამული თვისი: მაშინ აბაშიძემ წარუგზავნა კათალიკოზი და გე-
ნათელი, რათა ჰყოს ზავი და მშვიდობა. არამედ კათალიკოზისა და გენათლის განზრახვითა,
არღა-რა გამოუტევნა მეფე-მან იგინი, რამეთუ ეტყოდნენ: „უკეთუ არა განგვიტევო მოგვერთვნენ
ყოველნი იმერნი:“ მაშინ დაუტევებდნენ აბაშიძეს და მიერთოდნენ გიორგი მეფესა. ამის-
თჳს ეზრახა აბაშიძე ლიპარტიანსა, მოვიდა ლიპარტიანი სპითა შეკრებული და დასდგა ვაკესა
287 შინა: ხოლო ქუთაისს იყო მეფე რაჭის ერისთვითა და იმერლითა. წარავლინა მარბიელი რაჭველნი
და იმერნი რაოდენნიმე მათ-თანა და შეესივნენ დაბნებთა ვაკისათა: მცნობელ-მან აბაშიძე-მ,
უბრძანა სპათა თვისთა. მოეტევნენ, მოსრნეს და შეიპყრნეს უმრავლესნი რაჭველნი, ტყვე-ჰყვეს
და დაყიდეს სრულიად: მაშინ ერისთავი წარვიდა სპათა განმრავლებისა-თჳს. ამ ჟამებთა მოკუდა
ცოლი ლიპარტიანისა და ასული აბაშიძისა თამარ სენითა ბოროტითა: მაშინ მოიხსენეს შური
მამისა თვისისა ძეთა ლიპარტიანისათა განტევებისა-თჳს დედისა მათისა, დაუტევეს მამა და მო-
ერთვნენ გიორგი მეფესა: ეგრეთვე ძმის-წულნი აბაშიძისანი, რამეთუ ვახუშტის მისცა ასული
თვისი განმზრდელ-მან ქართლისა-მან ვახტანგ და უკუბირდა ბიძასა, დაუტევეს და მოერთვნენ მე-
ფესა: ზურაბ, სვიმონ და ვახუშტი:

არამედ თუმცა ჰყვეს მეფედ გიორგი, გარნა ვერ გამოვიდა ქუთათისიდამ ამ ჟამამდე. ხოლო აწ გამოვიდა და რომელნი არა მიერთოდნენ იმერნი სტყვევნიდნენ და ეკირთებოდნენ მამულთა მათ-თა და წინააღუდგებოდიან აბაშიძისანი და იყო ხდომა მარადის: შემდგომად მოადგა მეფე კაცხს რომელი ეპყრა აბაშიძეს ციხე. მაშინ ლიპარტიანი მხილველი ამისი, მოვიდა რაჭას ერისთვისა-თანა ძმობისანი, რათა შეეწიოს აბაშიძეს, ეტყოდა: „ძე ხარ მისი და არა ჯერ-არს განწირვად შენ-გან იგი:“ ესმინა ერისთავ-მან, შეკრბნენ ორნივე სპითა თვისითა, მოვიდნენ და დადგნენ ფარცხა-ნაყანევს. აქეთ აბაშიძე შეკრებული სპითა წარვიდა მათ-თანა, რათა შეკრბნენ და მოვიდნენ მეფესა ზედა: ამისთა მცნობთა განაზრახეს მეფე, რათა არა შეჰკრიბონ იგინი. არამედ მსწრაფლად ვლეს ღამე იგი და დილას დაესხნენ ლიპარტიანსა და ერისთავსა და იქმნა ბრძოლა ფიცხელი, სძლეს მეფისათა და ივლტოდნენ მეგრელნი, მოსრვიდეს და შეიპყრობდნენ, ქს. ჩღთ, ქრ. ტკზ: აღიღეს ალაფი მათი და ჰყრობილნი დაჰყიდნეს ვეცხლთა ზედა: ამის მცნობი აბაშიძე უკმოიქცა და მოვიდა სვერის ციხესა შინა. ხოლო მეფე მოადგა კაცხსავე, მცირესა ხანსა შინა მოსცა პაატა-მ ძე-მან აბაშიძისა-მან ციხე. არამედ უტეხა პირი, განუყიდნა ხიზანნი და დაიპყრა ციხე თვისად: მერმე მოადგა აბაშიძეს სვერს მეოთხ. არამედ ვინად-გან მტკიცე არს სვერი ვერა რაი ავნო და მოიქცა. შემდგომად შემოიკრიბნა იმერნი და წარვიდა მეფე რაჭას, ანუ დაიპყრას, ანუ დაიმორჩილოს, გარდაველო ნაქარხურევი და დასდგა მაორს. არამედ წულუკიძე,

იაშვილი და კაცხარიძენი იყვნენ ერისთავისასთანა, ვინაჲცგან იყო გიორგი წულუკიძე სიძე ერისთვისა: მაშინ ღამით შემოეპარნენ რაჭველნი და მოკლეს ჩხეიძე სალთხუცესი, აღუძნდა მეფესა და წარვიდა ხოტევსა ზედა. არამედ სცნეს რა სიმტკიცე ხოტევისა, უკუმოიქცა მეფე და მოვიდა იმერეთს. ამისა შემდგომად მოადგა მეფე ნავარძეთს ციხესა აბაშიძისასა. ამ ჟამთა განუტევა ერისთავმან შოშიტას-ძე ცოლი და შეირთო ჩიქოვანის ასული ცოლი მარიამ, მამიდა გიორგი მეფისა და დაჲ განუტევა:

ხოლო მოდგომილს ნავარძეთს მეფეს აზრახეს ძეთა ლიპარტიანისათა კაცია და ბეჟან, რათა ულაშქროს მეფემ და გარდაადგინოს მამა მათი და დაიპყრან მათ ოდიში: უსმინათ მეფემან, მოუდგინა ნავარძეთს ქველი წერეთელი და თვით წარვიდა ოდიშს, ვერ წინა-აღუდგა ლიპარტიანი. არამედ ივლტოდა აფხაზეთს: ხოლო ამათ დაიპყრეს ოდიში და მიჰყვნენ აფხაზეთს, მუნ წინააღუდგა შარვაშიძე, ზავ-ჰყვნეს მის-თანა, უკუმოიქცნენ ოდიშსვე და დასვეს კაცია დადიანად. მერმე მოვიდა მეფე იმერეთს. ხოლო ქველ-მან აღიღო ნავარძეთი და წარგზავნა მეფე-მან ზარბაზნები მისი კაცხს. გარნა მეფისა ოდიშს ყოფასა შინა მოუხდა ერისთავი ჭყალა-რუეს, რეცა მწე-ყოფისა-თჳს აბაშიძისად, მოსტყუევნა სრულიად და წარვიდა რაჭასვე. მაშინ: ვინაჲცგან გურიელი არა მწე-ეყოფოდა მეფეს აბაშიძის-გამო. ამის-თჳს შეკრებული მეფე წარვიდა მის-ზედა: მისრულს ვერ წინა-აღუდგა გურიელი, თვინიერ სიმაგრეთა შინა და მოსტყუევნეს გურია. არამედ აოტეს ბეჟან ლეჩხუმელით საჯავახოსა შინა და მოკვდა კაცია დადიანის ძმა ბეჟანისა ოდიშს ხუნაგითა. ამის-თჳს უკუმოიქცა მეფე და მოვიდა იმერეთს: მაშინ მოვიდა ლიპარტიანი და დაიპყრა მანვე ოდიში. ეზრახა გურიელსა და შეირთო ასული გურიელისა თამარ ცოლად: ხოლო აბაშიძეს სვერს ციხეს მყოფს მოუვლინა ვახტანგ ქართლის განმგემ კაცნი და ცხენნი და ყოველნი საჭმარნი, წარვიდა და იმყოფებოდა ქართლს, რამეთუ ვახუშტი წინათვე წარიყვანა და მისცა ყოველნი, რომელნიცა აღუღო აბაშიძეს: ხოლო შემდგომად ამისსა დაიზავა მეფე-მან ლიპარტიანი. შემოიკრიბნა სპანი იმერთანი ლიპარტიანის-თურთ, შევიდა რაჭას, მოსწვა, მოსტყუევნა სხოყადმდე ქს. ჩღია, ქრ. ცჟთ: არამედ ლიპარტიანი იქმნა შინა-განმცემელ. ამის-თჳს უკუმოიქცა მეფე და ჩამოვიდა იმერეთს. არამედ ვინაჲცგან იყო გიორგი მეფე ცუნდრუკი, მომხვეჭელი, ანგაარი, ვეცხლის-მოყვარე, შეიზრახნეს გურიელისა-თანა ლიპარტიანი, ერისთავი და ბეჟან ლეჩხუმის ბატონიცა მოვიდა მამისა-თანა: ამას მიჰყვა ზურაბ აბაშიძე, მოიყვანეს და ჰყვეს მეფედ გურიელი ქს. ჩღია, ქრ. ცჟთ:

## კვალად გურიელი მამია, ა წელი ჴმევა:

ხოლო გიორგი მეფე ვერ წინა-აღმდგომი წარვიდა ქართლს, ისტუმრა ვახტანგ გორს და პატივ-სცა. არამედ იყო აბაშიძეცა მუნ მის-თანა და გურიელ-მან დაიპყრა იმერეთი. განუტევა

ცოლი თვისი ასული აბაშიძისა ქეთევ. მოიყვანა ერისთვის დაი თამარ (რომელსა განუტევებდის ქმარი პაპუნა ჩხეიძე მაჭუტა), შეირთო იგი და იქორწინა და გურიას დასვა ძე თვისი გიორგი გურიელად. ხოლო გიორგი მეფემან გორის მოათხოვა ყაიხოსროს-გან აბაშიძე, რათა მისცეს შვილისშვილ თვისი. ამისი განტაცა ზაალ-ქაჲ მათ-მთიანის, გამოიყვანეს აბაშიძის მეუღლელი ძე და ასული და აბაშიძე წარმოავლინა იმერეთს და მოვიდა გურიელისა-თანა. მერმე წარმოიყვანისაცა მეუღლეთა ძე და ასული აბაშიძის გაიტაცა; ხოლო გიორგი მეფე წარვიდა სამცხეს, შეიწყნარა
288 ისიც ეამა და აღუთქვა მწყალობა. არამედ ეწყინა აჭარელ-ციხიდამ ლეჩხუმის ბატონის ბეჟანს, რომელიც ზურაბ აბაშიძე განდგომილიყო იყო გურიელისაგან და მოვიდა მეფისა-თანა. ვინაც-გან აღუთქვის ზურაბს, რათა განუყოს ძისა თვისის. არამედ ზურაბს წელსა თვისსა სრულად გაუყოდა ტახტს: ეს შეიქნა და წარვიდა:

ხოლო ზაქარიას წარმოგზავნა მეფე აჭარ-ციხიდამ ზურაბით, გამოგზავნეს ლაშქრით არგვეთი არაგვის-რა ვინცა და მოვიდნენ ლეჩხუმს. მერე შეიპყრობა ბეჟან ლეჩხუმელით და წარმოვიდა არგვეთის ზედა. მერმე ქუთაისის მეფე გურიელი წარმოვიდა არგვეთის აბაშიძით, ერისთვით, იმერლით და გურიელით, რათა არა მოუღონ არგვეთით და მოვიდნენ ხნარს. გარდმოვლენ მეფე მასცა ციხეთა წყაროსდამ და იქმნა ბრძოლა ძლიერი ხნარს ქკ. ჩღიბ, ქრ. ჳ. და მოაოხრებდნენ გურიელისანი კაცნი სიცოცხლად: იხილა ბეჟან და ზურაბ მოაკვდნენ გვერდით კერძოდ და იწყეს ცემა-თოვით. მოკლეს გიორგი წულუკიძე და ივლტოდა პაპუა ჩხეიძე და ქაიხოსრო, იძლია გურიელი და წარვიდა რაჭას და სხვანი სხვანი დაიფანტნენ არგვეთს შინა: მიჰყვნენ მეფისანი, მოსრვიდნენ და შეიპყრობდნენ უმეტეს გურიელთა და დაიპყრა იმერეთი გიორგიმ:

# კვალად გიორგი მეფე, ი თორმეტ ქკ.

ხოლო პყრობილნი განიკვეთეს ოსმალთა ზედა და იმერელთა გურიელთა: „ჩვენი თვითო ჩვენვე შემოგვაქცეიეს.“ და აბაშიძე სვერიდამ მოვიდა ქართლს და შემდგომად მცირედისა მოადგა მეფე სვერს, ვერ აღიღო და მოუცალა. არამედ ზურაბ შეუწონა მეციხოვნეთა და აღუთქვა ნიჭნი, მისცეს ზურაბს და დაიპყრა მან სვერი. ხოლო გურიელი ეწვია ბაქარს ძესა ვახტანგ მეფისასა, რათა მისცეს გზა, მოეგება იგი ქცხინვალს და დიდითა პატივითა წარიყვანა გორს. გორს უყურებად უმასპინძლებდა კათალიკოზი დომენტი, უძღვნეს და წარუძღვანეს კაცნი. მოვიდა ყაყაჩეთს ახან ფაშისა-თანა სიძისა თვისისა და მუნით მოვიდა გურიას. კვალად აბაშიძეს მისცა ბაქარ სახლარნი გზისანი, წარმოუძღვანის კაცნი, გარდმოვლეს კუდარო და მოვიდა რაჭას შემოლუტომან. ხოლო გაზაფხულს მეფეს ბაგრატის მეფეს შეასმინა ზურაბ აბაშიძემ სიკვარაძე გიორგი, რომელსა ჰყვა ასული აბაშიძისა. „რამეთუ გალს მისცა და აცნობებს საქმესა შენსა აბაშიძეს და ვქო ცოლი მისი და ბიძა-შვილი თვისი კეკლუცობითა და შვენიერებითა.“ ეტრფოდა გიორგი

მეფე, გინა-თუ-გან სძულობდა ცოლსა თვისსა. არამედ ვერ იკადრებდა აქამომდე განტევებასა მისსა ვახტანგისა-გამო: მაშინ შეიპყრა ნიჟარაძე, წარგვარა ცოლი და მას აღმოხადნა თვალნი: ხოლო ქალი იგი ჰყვა და თანა-ჰყოლოდა. ესე სასტიკად სძლა ჭურაშს მტერობითა ბიძისათა:

ხოლო აქა ვიწყოთ არჩილისა ვიტყოდეთ, გინა-თუ-გან დაუტევნა თვისნი იმერეთისა-თჳს და არცა რაი დაშთა იმერეთისა. ამის-თჳს მიეცა ცხოვრებისა მისისა აღსასრული აღწერად იმერეთისა შინა, რამე-გან დაშთა მხოლოდ ესე: მისრულს აშტარხანს მიეგება მე თვისი ალექსანდრე. რამეთუ ესე ალექსანდრე წარიყვანა დიდს მეფეს პეტრეს სავრანგეთს და ასწავა კელოვნება ზარბაზნის-ყუმბარისა და სალეცხლოსა. მივიდა არჩილ მეფე მოსკოვს და პატივით შეიწყნარა კელმწიფემ. მერმე მისცა მამული დიდი და ფელცეხმეისტრობა ალექსანდრეს (ესე არს მინდერის ცეცხლის მარიგებლობა, რომელ-არს ზარბაზნის-ყუმბარის უხუცესობა): შემდგომად ალექსანდრე შეიპყრეს სარგას შვედთა და წარიყვანეს პატიმრად სტოკოლმას და იყოფოდა მუნ რაოდენსამე წელსა და არჩილ მოსკოვს: მერმე განუტევეს ალექსანდრე პატიმრით, რათა ეხილოს მამა და ცოლი თვისი, რომელი ჰყვა მოსკოვს. არამედ მოსრულსა რიგას მოკუდა ალექსანდრე შარმის სენითა ქს. ჩყია, ქრ. ტჟთ და მოიწყვდა უშვილოდ. რა მოიღეს მოსკოვს მისცა კელმწიფემ სასაფლაოდ დონის მონასტერი და დაფლეს მას შინა: ხოლო შემდგომად დიდისა მწუხარებითა მიიცვალა არჩილ მეფეცა ქს. ჩყიბ: ქრ. უ და დაფლეს დონსვე დიდითა პატივითა და დაშთენ დედოფალი ქეთევან და ასული დარეჯან. ამას ეპყრა ყოველი მამული მამისა თვისისა და იყოფოდა პატივით კელმწიფისაგან:

ხოლო იმერეთს შეიზრახნეს კვალად გურიელი, დადიანი, ერისთავი, აბაშიძე და ბეჟან ლეჩხუმით, შეკრბნენ ესენი და მოვიდნენ სიმონზედა, ხოლო გიორგი მეფე იდგა ქუთათისს, ზურაბ აბაშიძე და იმერნი მისთანანი შეკრებულნი: დღესა ერთსა წარვიდა სვიმონ აბაშიძე, რათა იხილოს ტალასნი. ხოლო ტალასთა შინ ბჭობდნენ უფლის და ამატის იგინი სვიმონს, მოეშველნენ სხვანი გურიელისანი თვისთა და აოტნეს სვიმონ: ამას მოეშველა მეფე სხვითა, ამისთჳს აღმხედრდა გურიელიცა სრულიად თვისითა, ეკვეთნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი, იძლია მეფე და ივლტოდა, ასაი მოსრნეს სხვანი მათგან და შეიპყრნეს ყმრავლნი, დაჰყიდნეს სრულიად ოსმალთა შუა ქს. ჩყიგ, ქრ. უა: და იმღერდიან გურიელნი „ჩვენი თეთრი ჩვენვე შემოგვექცევის:“ და აღმოიხსნეს გურიელთა ვეცხლნი თვისნი:

## კვალად გურიელი მამია, ბ თთჳცა ჰქმედა:

ხოლო მეფე წარვიდა ქართლს და გურიელ-მამია დაიპყრა იმერეთი და დაიმორჩილნა ყრმნი. გარნა გიორგი მეფე ისტუმრა სვიმონ ტყვილის, ეძლევნა და დაასადგურა ქართლს. შემდგო-

მაღ წარვიდა ახალ-ციხეს ისაყ ფაშისა-თანა. არამედ მოკუდა გურიელი მამია ქს. ჩლდ, ქრ. ჯბ, იანვარს კ: წარიღეს გურიას და დაფლეს შემოქმედს სამარხოთა მათთა და დაჯდა ძე მისი გურიელად: მაშინ გინად-გან ქსრასიდა ბეჟანს მეფე და ზურაბ იყო მის-თანა, ამის-გამო შეშინდა ერისთავი შეერთებისა-თჳს მათისა, გამოიყვანა ჭყვიშადამ სიძე თვისი ბააკა ნიქოასი და მისცა ჭყვიში ბეჟანს და შეიმტკიცნეს იგინი. არამედ ამათ ორთავე ესხნათ დანი თვისნი მეფისა-თჳს ტოლად და მეფეს ესუა შერთვა აბაშიძის ასულისა ნაცვალადისა ნაცოლარისა. გარნა ამათ ცდუნებითა ურთიერთისათა განაშორებინეს მერაბ წულუკიძეს ცოლი და თვისიერ ნებისა აბაშიძისა და ქალისა მის შერთეს მერაბს ქალი იგი, რამეთუ აბაშიძეს ჰგულისხმობდა მეფე, რათა არა გაუთხოვოს ქალი იგი. ამის-თჳს მოიგდნენ შეკრებული ესენი და უქმნეს ქორწილი მერაბს ქალსა მას ზედა:

## კვალად მეფე გიორგი, ბ წელი ჴმლეფა:

და განსაცხულ-ზედ ჩამოვიდა მეფეცა. დაიპყრა იმერეთი და შესძინა შურისა ბოროტი და ბრმა ნიყარაძე გარდმოაგდო კლდესა და მოკუდა. არამედ დადიანი-გურიელი, ერისთავი და ბეჟან იყვნეს თვისი-თვისად და ჰგონებდა ბეჟან დასა თვისსა შერთვას მეფისა-გან. გარნა მტრობისა მიზეზით მივიდა მეფე რაჭას. შეიპყრა დაჲ ერისთვისა, ქვრივი გურიელის მამიასი და განუტევა
289 რომელმან გიორგი მეფისა ასული, ქართლს მეფისა ძისა და ასულისა: მერმე ჩამოვიდა მეფე იმერეთს ერისთავით, მოიმტკიცნა დადიანი-გურიელი: ხოლო ბეჟან და ზურაბ ეგულებდნენ და ეკრძალებოდენ ქვეყანათა: ამავ წელს ესმა ესე მეფე გიორგის დატყუებისა-თჳს მისისა ასულისა თვისისა და გიორგი მეფე-მან ალუთქვა კვალად-გზავნა მის-თანა და ითხოვა ჯვარი ნახარისა, რომელი იყო აქტოთს: მან მოსცა რომელმ და ჯვარი იგი და კვალად სისხლნი დედოფალი ბატონისებისა და ძენი მისნი. არამედ გიორგი მეფე-მან დაასაღგურა რომელმ სვანეთს ძა-თურთი და ჯვარი დაასვენეს ჩხარსვე: ხოლო დედოფლისა და ძეთა ბატონთა მეფისათა არა-რაჲ ეძვა მიცემად: ხოლო ბეჟანის-გამო მეფისა-გან განდგომილ იყო პაატა ფხეიძე. ამის-თჳს მივიდა მეფე და მოადგა ციხესა მისსა საჭირეს, შეუთხარეს და მისცეს წამალი, მუნით მეტეხოვნეთა ნაშობისხარისეს, შეატანეს წამალი ციხესა შინა და მოსრნეს შემოხრულნი და მესაფრენი და გამოაგრდნენ უმეტესადი იხილა მეფე-მან და უკუმოიქცა ბაბუის. მერმე აგდრა ბეჟან მეფესა და მოსცა ჳ მარჩილი, რათა განსძოს მამა მისი ლიპარტიანი და ჭყუს იგი დადიანად: მაშინ მეფე-მან არღა-რა გამოაძია ჟამ-ჟობესი მეჩხლისა-თჳს, განუტევა ერისთავი და აბაშიძე, შემთაყრობნა იმერნი, კვალად ბეჟან და ზურაბ მისრულთა ოდიშს ვერ წინა-აღუდგა ლიპარტიანი და დასვა ბეჟან დადიანად ქს. ჩლივ, ქრ. უგ: არამედ ციხენი აპყრნეს კვალად ლიპარტიანისავე. მოსტყუვნა ოდიში და მოვიდა იმერეთს: შემდგომად კვალად განუტევა ბეჟან და ზურაბ. შემთაყრობნა ერისთავი და იმერნი, წარვიდა და

დასვა გვგლად ლიპარტიანისავე დადიანად. მერმე მოვიდა იმერეთს: შემდგომად მოიყვანა ლიპარტიანი ბაგრატს, რათა დაამშჳდოს ბეჟან და განუტევა ლიპარტიანი ამა პირსა ზედა: ესე იხილა ბეჟან არა კეთილ თვისად და იხმია მხედრობა და ჴელთ კათალიკოზისა გრიგოლი შეამწდგომილ მამისა თვისისა-თანა და აღუთქვა ფიცით: ,,რათა ზავ-ჰყოს, იხილოს მამა თვისი და დამორჩილდეს მას.“ ამის შემდგომ მოვიდა ლიპარტიანი ქუეს კათალიკოზისა-გან და მოვიდა მის-თანა მეგობრითა მისითა, ისტუმრა კეთილად მამა თვისი ბეჟან, არამედ დასჯა მას მეპყრობა ყოვლისა მონანი მისნი და მოჰკლა სავარდელნი მამისა და დიდნი მეპყრა იგივა და მატერმარაჴლი ციხესა მისა: მოიყვანა დედა თვისი, განტევებული და მოუძღვანა ქმარსავე და იყვნენ ზოგად ათსახოველამდე მათ. შემდგომად მეპყრობა მისისგან მამისა თვისისა, მონისა და უმჯობესაჭირვებს დედა-წულითა, სხვანი დაჰკიდნა დედა-წულითა და დაიპყრა ოდიში თვით და იწოდა დადიანად.

ხოლო გიორგი მეფე ზამთარსა ამას ყოვლითურთ მოვიდა სურამს, მოსტაცებულსა მამული მისი და წარვიდა. ამის-თჳს შეკრბნენ დადიანი ბეჟან და ზურაბ აბაშიძე, ახლისა ასალ-ციხის ფაშისა და აღუთქვეს ქრთამი დიდი, რათა მწე-ეყოს შეპყრობასა ზედა და ჴელთ გურიელი მეფედ ყოფილისა ახალ-ციხისა-შინა და წარმოვიდა სპითა. ამ ფაშმა მოჰკლა ცოლი მეფისა იამზარ და დაიჭირა ბელადნი: თვით მეფე-მან შეიპყრობა სპანი. ხოლო ფაშას მიეგებნენ ბეჟან და ზურაბ, მოსრულთა ვერ წინა-აღუდგა მეფე და წარვიდა რაჭას, მოვიდნენ იმერნი და დასდგნენ ქვა-ციხეს შესლვად რაჭას და იდგნენ მუნ თვე ერთ, მერმე შეშინდნენ და დაიხსნეს ქუთაისს: ხოლო მეფე სპითა რაჭისათა ჩამოვიდა სვერისკენ, ამისი შეიპყრა ფაშა მწრაფლ წარმოვიდა, გამოვიდნენ სვერისკენ და იქმნა ბრძოლა ქს. ჩიხურ, ქრ. ჩუდ, იძლია მეფე და მოსწყდნენ რაჭველნი და მეფე მივიდა ქართლს. ხოლო ფაშა გარდად დაჯდა ქუთაისს. მოუწოდნენ სვანეთს ბეჟან და ზურაბ დედოფალსა როდამს, იყვნენ-ჭეშმარიტ და წარვიდნენ.

## კზ. გიორგი გურიელი მ. გ. თვე ქმნა.

მოიყვანნეს გიორგი გურიელი და დასვეს მეფედ და ეწყობნენ ქრისტიანეს შეერთებად. მაშინ მისცა ასული თვისი ერისთავ-მან ძეს ბეჟანისასა ოტიას ცოლად გურიელს და შეიმტკიცნენ ამით და ფაშა წარვიდა ახალ-ციხეს. მაშინ მოვიდოდა ბარგი გურიელისა გურიიდამ: ამას დაიჭირნენ რაჭველნი სადიდებლისა, შინა და აიღეს სიმდიდრე გურიელისა და იპყრნენ ტყვედ მონანი მისნი და დაჰკიდნეს: ჭირსა ესე გურიელ-მან, იგლოვდა გურიასავე: მაშინ სხვათა ამათ მთავართა განიყვეს იმერეთი თვის-თვისნი მხარენი და დაიპყრნეს. არამედ გიორგი გურიელს აუშენდა დედა თვისი ელენე, მოიყვანა მონაზონი ყოფილი ძე თვისი, გაკრეჭა, უწოდა ქაიხოსრო და ჴელ გურიელად. მოიყვანა ქრთამითა დადიანი ბეჟან, ერისთავი და ზურაბ სპითა და განიძვა გიორგი ამათ მოარბიეს გურია, მიიღეს ქრთამი და წარმოვიდნენ. ხოლო გიორგი გურიელი მივიდა ახალ-

ციხეს და იმერეთს ჩამოვიდა განაოხებულს გიორგი მეფე, ეზრახა სამთა ამათ მთავართა. გარნა მათ არღა-რა ინებეს მეფობა მისი. შეშინდა და წარვიდა ახალ-ციხეს: მუნ იმზახლეს გურიელი და მეფე, რამეთუ შემდგომად შეპყრობისა ლიპარტიანისა, წარიყვანა ცოლი მისი გურიელის ასული თამარ ახალ-ციხეს და ესე შეირთო გიორგი მეფემან ცოლად. მაშინ ყინად-ბან ისაყ ფაშასა და ასლან ფაშასა აქუნდათ მტერობა და მერე ყურლა-რა შემწე ექმნნეს მეფესა და გურიელსა. ამის-თჳს წარვიდნენ ორნივ სტამბოლს:

## წარვიდა სტამბოლს გიორგი მეფე:

მისრულთა აზრუმს, მოსცა სპანი გურიელს აზრუმის ფაშა-მან, მოვიდა და დაიპყრა გურია: ამან განაძო დედა თჳისი ძმებითურთ. ხოლო მეფე წარვიდა სტამბოლს ქს. ჩლოჩ, ქრ. უკ, არამედ გიორგის გურიელობა: შეეშინდა გურიის ერისთავს და ნაკაშიძეს ბეგანს, რამეთუ ამათთა განაძო დედა-მან. ამათ მოუწოდეს ბეგანს დადიანსა, რამეთუ ასული დადიანისა ჰყვა ბეგას ნაკაშიძისა-შვილს გიორგის: მოსრულსა დადიანს ვერ წინააღუდგა გურიელი და წარვიდა ბათომს. ხოლო დადიან-მან მოსტყუევნა გურია და წარვიდა და კუალად დაიპყრა გიორგიმვე გურია: ხოლო ზა-მთარსა ამას მიზეზ-ჰყო დადიან-მან ზურაბ აბაშიძესა ზედა. შეიკრიბნეს ბეგან და ერისთავი და მოუხდნენ ზურაბს: ამათ ვერ წინააღუდგა ზურაბ, შევიდა სვერს, ამათ მოსტყუევნეს მამულნი მისნი (რამეთუ ამას ბეგანს ენება უფლად თჳთ თჳისი, ვითარცა იყო აბაშიძე გიორგი. არამედ ვერ ქნა). მერმე შეუჩინა მსახურნი ერისთვისანი ძმასა თჳისსა მასიხაროს, ბეგან უკადრისყოფილობისა-თჳს
290 შეიპყრა იგი და პატიმარ-ჰყო დეხვირს ციხესა შინა: მაშინ შეიზრახნენ ზურაბ და ერისთავი მზახლობად, წარგვარეს ცოლი ბაკა ჩიქოვანისა, და ერისთვისა, რომელსა მიელო პირველ ჭყვიში და შერთეს ძესა ზურაბისასა დავითს, ბიძის ცოლი თჳისი, რამეთუ და ბაკასი ზურაბს ჰყვა ცოლად და შეიმტკიცნეს ამითი სამნივე. კუალად ეზრახა გურიელი დადიანსა, რათა მისცეს ასული თჳისი მას, რომელი ჰყვა ცოლად ნაკაშიძე გიორგის და ზავ-ყოს ამით. მისცა ნება ბეგან დადიან-მან: მაშინ გურიელ-მან გასძო ერისთავი თჳისი და მოადგა ციხესა შინა მყოფს ნაკაშიძეს: აღი-ღო და წარგვარა ცოლი. თჳთ განუტევა ცოლი შარვაშიძის ასული და შეირთო ეს ცოლად და მოიმტკიცა გურია დადიანის-გამო: კუალად ერისთავი მოადგა ციხესა გვარას, აღიღო იგი და დაიპყრა თჳთ, გამოასხა რაჭიდამ იაშვილნი, დაიპყრნა მამულნი მისნი მასვე. კუალად ზურაბ მოსწყვიტნა ბანა-შვილნი ნიჟაძენი და დაეუფლა დედა-წულითა მათითა და დაიპყრნა მამულნი მათნი, აგრეთვე ბეგანცა მოსრვიდა ოდიშარ-ლეჩხუმელთა და დაიპყრობდნენ ესრეთ:

## მოსვლა სტამბოლიდამ მეფე გიორგისა:

შემდგომად მოვიდა ახალციხეს სტამბოლიდამ მეფე გიორგი, ამას ბრძანებითა ხონთქრისათა მისცა სპასი ისაკ ფაშამან და წარმოგზავნა იმერეთს აღსავალსა ქკ. ჩღკთ, ქრ. ჳყზ, გინა-გან მარადის ნამოვიდოდნენ ოსმალნი თითქმის ამას და დასხდა ქუთათისს. მაშინ შეკრბნენ სამნივე ესე მთავარნი და დასხდნენ ოკრიბას და არა-ვინ წარჩინებულთაგანი მიერთვნენ მეფესა, თჳნიერ მდაბიურთა: ამის-თჳს ეწვია მეფე სამთა ამათ, რათა ჰყონ მეფედ და დაემორჩილნენ. არამედ მათ არა ისმინეს. ხოლო მეფემან აღიმხედრა ოსმალთ-თურთ და ილაშქრა დაესხა დადიანს, ერის-თავს და ზურაბს. გარნა იგინი იმეცნნენ და წარვიდა დადიანი ზურაბით ოდიშს და ერისთავი რაჭას: მაშინ ოსმალთა მოსრნეს და შემუსრნეს სპანი მათნი მრავალნი. შემდგომ მოსტყუვნეს ოკრიბა, შემუსრნეს ციხენი და კოშკნი. შემდგომად წარვიდნენ ოდიშს, გარ წინა-აღუდგა დადიანი მტკიცედ. უმეტეს ატყუა და მოსწყვნეს ეკლესიანიცა: ხოლო უღონო-ქმნილ-მან დადიან-მან მისცა ქრთამი დიდი, და იხსნა. უკუმოიქცა მეფე და დასხდა ქუთათისსვე: შემდგომ ზაფ-ხული მთავართა მათ-თანა და დაიპყრა იმერეთი მშვიდობით:

## კვალად მეფე გიორგი, გ წელი ჰმეფა:

. ხოლო გაისაფხულს შეიზრახნენ სამნი ესე მთავარნი და შეუჩინეს სვიმონ აბაშიძე გიორგი მეფესა, რათა მოჰკლას იგი: ამან სვიმონ თანმდგომს ციხეს მეფისა მეფე ისტუმრა და ნადიმსა ხელთ მოჰკლეს მსახურთა სვიმონისათა გიორგი მეფე, თვითმპყრობელს მამასა ქკ. ჩღკზ, ქრ. ჳყთ და შეიპყრეს სრულიად მისთანანი და დაჰკიდეს: ხოლო ერისთავ-მან აღიღო ციხე კაცხი და გამოიღო საკასპური მისი. მაშინ კვალად განიყვნეს იმერეთი სამთა ამათ მთავართა, ვითარცა პირველ და იყვნენ მშვიდობით: შემდგომად მოუწოდა ვახტანგ მეფე-მან იმერთა ლაშქრად, წარვიდა ერისთავი, სვიმონ და ლევან აბაშიძენი სპითა. შემდგომ მოვიდნენ უვნოდ ნაწილით დიდითა: კვალად ზამთარსა ამას მოადგა ზურაბ ხარაგაულს და მასზედ-მდგომი იყო ახალციხეს ალექსანდრე-თანა, რამეთუ ესე ალექსანდრე იყო ძე გიორგი მეფისა, მეფობა ვახტანგ მეფისა-თანა ქართლს, რა მოჰკლეს მამა მისი, მეფე გიორგი, წარსულიყო ისაკ ფაშასთან მოვშორების შემდგომ და მოითხოვა ალექსანდრე მეფედ კვალად იმერეთს ვახტანგ მეფისა-გან. წარუმძღვანა ნაწილი და იყო ახალ-ციხეს წელსა ერთსა: ხოლო ზურაბ გარ შემუსრა ხარაგაული მწყობითა ქართლის მეფისათა და უკუ-იქცა. ვინაჲ-გან ფაშაც ნამოსწვდად იყო: ხოლო ებრძანა ხონთქარსა ისაკ ფაშისა-თჳს გამეფება ალექსანდრესი იმერეთს, შემოიკრიბნა სპანი და ნამოიყვანა ალექსანდრე იმერეთს. მაშინ შემოეგებნენ ერისთავი და ზურაბ ხარაგაულისა ზღუდს. ამის-გან ჰყვეს დადიანიცა და შეურიგდნენ დადიანი და ზურაბ და არა ისმინეს ამათ ალექსანდრე მეფედ. არამედ

მიეგება ყოვლითა მომღვრობითა თვისითა ერისთავი ალექსანდრეს და მისცა ძღვენი და საჭურჭლენი ძმისა თვისისა: ხოლო ალექსანდრემ საჭურჭლენი იგი შესწირნა ეკლესიას ქუთაისისა და ყოვლად არღარა მოერიდნენ ლაშქარნი და ზურაბ განზრახვითა ერისთვისათა მოაკლევინეს ცეცხლითა ციხესა ზურაბისასა და ბრძოლის ოთხმეოცთა. შემდგომად შეიპყრეს და მისცეს ტყვედ და შეკრულად მდორედ ხლებით. არამედ შეშინდნენ მეციხოვნენი და ივლტოდნენ ყოვლითა ოჯახითა: დიდისა იმედის ციხე უკაცური, შეჰკრეს ისმელნი და დაიპყრეს ციხე და დაადგინნეს მას შინა იენგი-ჩარნი და წარვიდნენ ლეჩხუმს ბეჟანისა და ზურაბის ზედა. შეიბნენ, მოსწყვნეს, მოსტყვევნიდნენ. გარნა იგი ბრძოლა ბეჟან, არამედ ვერა რაი შეიძლო აგით. შემდგომად შეკრებდნენ, გამოვიდნენ ქვემოდ რაჭას და მოვიდნენ ქუთაისს და ერისთავი დადგა რაჭას. მაშინ ეზრახა ბეჟან დადიანი ეგამისა და მისცა ქრთამი იმ ქესა: მან მიიღო ქრთამი, მოჰკვეთა ოტიას წუეძეს თავი, რამეთუ იყო თვალება ერისთვისა და მტერი დადიანისა. განუტევა ეგამან ერისთავი, მოიყვანა ბეჟან, ჭკუო ალექსანდრე მეფედ იმერთა ქს. ჩღკა, ქრ. უთ, მოუკლეს ბეჟან მოაურბად, თვითი წარვიდა ახალციხეს:

## კდ. მეფე ალექსანდრე ე. ლი წელი ჭქეფა:

ხოლო ალექსანდრემ დაიპყრა იმერეთი, თვინიერ რაჭის ერისთვისა. შემდგომად ეზრახა ბეჟან დადიანი ალექსანდრეს და მისცა ასული თვისი ცოლად მარიამ და ასულისწულისა. არამედ თვითვე იყო ალექსანდრე მეფედ. გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი ყოვლისავე: ამისსა მხილველნი თამარ ცოლ-ყოფილი გიორგი მეფისა და ჭყონდიდელი გაბრიელ, ძმა ბეჟანისა. რამეთუ არა რაი ძალ-უძს ალექსანდრეს, აღიშფოთებდეს დიდებასა ბეჟანისასა და წარვიდნენ წინაშე ახრუმის ფაშისა, და შეასმენდნენ ისაკ ფაშასა, რამეთუ მიიღო ქრთამი და მისცა ალექსანდრე ბეჟანს, ვითარცა ტყვე: ამის-თჳს მოუწოდა ახრუმის ფაშამ ისაკ ფაშასა და მრავალი ბრალი შეასმინა თამარ ისაკ ფაშასა, უმართლობა და მექრთამეობა: ამისი მსმენელი დადიანი ფრიად თვისად კეთილად ასმა, განუზრახა ალექსანდრეს და მიუწერეს ახრუმის ფაშას გამართლება ისაკ ფაშისა და ქრთამი დიდი, რათა მოსცეს თამარ და ჭყონდიდელი, ანუ დაახრჩოს: უწმინა ახრუმის ფაშა-მან, მიუღო ისაკ
291 ფაშას ქრთამი და შეიპყრეს. წარმოავლინა ისაკ ფაშა და წარმოსატანა თამარ და ჭყონდიდელი: ხოლო მან მოახრჩოვ-მან ახალ-ციხეს მოსცა კრული იგინი ბეჟან დადიანსა. ამან ტყვე-ქმნა თამარ დე-ხვარის ციხეში და ჭყონდიდელს მიუღო ჭყონდიდი და განუტევა. ვინად-გან იყო მღვდელ-მთავარი არა რაი ავნო. არამედ იყო ყოვლით, შესაგ-შემწეოდ, სოფლისა და ტყვის-შეიდგად და სხუაზე ბრალებთა. ხოლო ესე ვითარებისა-თჳს წარვიდა აბაშიძე გიორგი ქართლს ვახტანგ მეფისა თანა და მოკვდა ტფილისს ქს. ჩღკბ, ქრ. უი, იკდოვმბერში, წარმოასვენეს და დამარხეს გელათს.

გზავლად წელსა ქს. ჩღკგ, ქრ. უია, წარვიდნენ აბაშიძენი და რაჭველნი სპითა წინაშე ვა-ხტანგ მეფისა სიყვარულით: ერისა წელსა მიადგა მეფე ალექსანდრე და ბეჟან დადიანი ყვარის

ციხეს ოკრიბას, რომელი ეპყრა ერისთავს ძმას გედევან გესიაძეს, შეუთხარეს რა, იწყო რღვე-ვად ზღუდე-მან, შეშინდნენ მეციხოვნენი და მოსცეს მეფეს ციხე: გარნა-თუ ერთ-გულებდა ბეჟან დადიანი ალექსანდრეს ფარულ. არამედ მრავალ-გზის ინება სიკუდილი ალექსანდრესი მუხ-თლად და ღალატად; გარნა ვერ შეუძლო იგისის ასულისა-გამო და ოდესმე ყრმათა ალექსანდრესა-გან, ვინაიდ-გან ერთ-გულებდნენ. შემდგომად ამისა მოუხდა ალექსანდრე მეფესა სკანდას მყოფს ერისთავი შოშიტა. ხოლო ალექსანდრე შევიდა ციხესა შინა სკანდას და ერისთავ-მან მოსრნა, მოსტყუვნა, რაოდენნიცა ჰპოვნა და წარვიდა რაჭასავე წელსა ქს. ჩლკგ, ქრ. უოგ: გამოვიდნენ ოსმალნი ფოთის, აღაშენეს ციხე და დასვეს ჯარი და ჰგავად ქმნეს ოდიშს ორნი ციხენი სხვანი: შემუსრეს რუხის ციხე სრულიად და ნარღვევითა მისითა აღაშენეს უმჯობესად ანაკრია და ფაშასა ფოთისასა მიაიყვანეს სრულიად ზღვის პირნი:

ამასვე წელსა შემოიკრიბა ბეჟან დადიანის-გამო ალექსანდრე-მ სპანი იმერთა და შეუხდა რაჭას. მოსწყვეს საწყლიავიანი, ვინაიდ-გან იყო ერისთვის გვრძით, ვერ წინა-აღუდგა ერისთავი, შევიდნენ ქვენი სკვამშდე, შემუსრნეს კოშკნი მისნი, მოსწყვეს რაჭა და მოსტყვევნნეს. მერმე უკმოიქცნენ და მოვიდნენ იმერეთს მოებულნი; კვალად განზრახვითა ზურაბისათა მოადგნენ მეფე და დადიანი მინდაწმინდს, რომელიც ეპყრა ლევანის ძესა გიორგი ხოშიანისასა და იყო იგი რა-ჭას, რამეთუ რაჭველთა-გან იყო შარადის ხდომა და გარიგება იმერეთისა. არამედ მცირედისა შემდგომად მოსცეს ციხე. გარნა ქისება მუხნებური წარიღო დადიან-მან და ციხე მისცა ზურაბს წელსა ქს. ჩლკგ, ქრ. უოდ: მოკუდა გურიელი გიორგი, დაჯდა ძე მისი მამია, ნაშობი შარვაშიძის ქალისა-გან და მოიკუღლარ იყო ცოლიცა ერისთვისა მარიამ მეფის ქალი. იზრახნეს დადიანი და ერისთავი ჟიაურად ზავისა. მაშინ იშუახლენ და მისცა ბეჟან ასული თვისი, გურიელის ცოლ-ყოფილი ერისთავს ცოლად, დაიზავნენ და ჰყვეს მშვიდობა. ესე შეუძინა ზურაბს და შეასმინა ასაკ ფაშას. ასისთავ-თვის წარავლინა ძე თვისი ყისუფ ფაშა და ნავიდა იმერეთს. ამას მიეგება ალექსანდრე მეფე და დასდგნენ ბაგდადს. მიუწოდეს ბეჟან დადიანსა. ხოლო იგი მივიდა ური-დლად ძისა თვისითა, რამეთუ აღუთქვა ფაშას უცნებელობა: შევიდა ბეჟან კარავსა ფაშისასა და თავყვანის-სცა, მაშინ დასცა ბეჟუს (¹) ხანჯალი მამად-ბეგ მესაჭურჭლე-მან ფაშისა-მან და გან-გურიმა ბეჟან დადიანი და მოკუდა ქს. ჩლკთ, ქრ. უოვ. ხოლო ძე მისი ოტია იმლტოდა. ლევან აჩქარებს ოსმალთა და მოსრნეს მრავალნი ოდიშარნი და თავი ბეჟანისა წარგზავნეს ასაკ ფაშისა-თანა და მან წინაშე ხონთქრისა, მერმე მოუწოდა ერისთავსა ყისუფ ფაშამ, მოვიდა იგიცა სპითა და შეჰკვეთნენ კარავსა ფაშისასა სპანი თვისნი ერისთავს, მაცდურ-სცა ფაშა-მან დაამშვიდა მეფე და ერისთავი და წარვიდა ქართლს ფაშა: ხოლო ოტია ძე ბეჟანისა დაჯდა დადიანად:

---

(¹) დედანში სწერია ბეჟის ან უნდა იყოს ბეჟანი ან ბეჟუა. დ. ჩ.

შემდგომად მცირედისა შეიპყრნეს ოტია დადიანი და ძმა მისი კაცო, შეიპყრა ოტიამ. წარმოუგზლინა ერისთავსა და პატიმარ-ჰყვეს გვარას ციხესა შინა კაცო. შემდგომად მოადგა მეფე ციხესა შორაპანს და ვერ მისწვდა წაღებად, მოიყვანა ზურაბ აბაშიძემ სპანი ოსმალთა და მისცა მათ შორაპანი და დასხნეს მას შინა ოსმალნი და ალექსანდრე წარმოვიდა თვისად. მერმე მოადგა ერისთავი სადმელს ციხესა იაშვილისასა. მაშინ წარუვლინა მეფე-მან ლევან აბაშიძე, რათა მოეცალოს ერისთავი ციხესა, რამეთუ ლევან დედით ძმა იყო ერისთვისა: ხოლო ერისთავ-მან შეიპყრა ღალატით ლევან და წარუვლინა დადიანსა პატიმარი: მსმენელი ალექსანდრე შეკრებული სპითა, ღამე იდუმალ გარდავლო მთა, განვლო რიონისა ფონსი და დილას დაესხა ერისთავსა სად-მელს, იბრძოდა ერისთავი, მოსრნეს და შეიპყრნეს მრავალნი, განათავისუფლეს ციხე და წარ-მოვიდა იმერეთსავე მეფე: ხოლო დადიან-მან განუტევა ლევან აბაშიძე და გამოუხსნა ტყვენი. მაშინ მოკუდა ერისთავი შოშიტა და დაჯდა ძე მისი გრიგოლ ერისთავად და ლევან აბაშიძე მოვიდა მეფისა-თანა: კვალად განდგა გვარას ციხიდამ კაცო, ძმა დადიანისა და მოვიდა იგიცა მეფისა-თანა: შემდგომად მოკუდა ცოლი მეფისა ასული დადიანისა ბეჟანისა და გლოვისა შე-მდგომად შეირთო მეფე-მან ასული ლევან აბაშიძისა ცოლად და იქორწინა, ქს. ჩღლბ, ქრ. უკ და მისცა გურიელს მამიას ასული თვისი მეფე-მან დადიანის ქალის ნაშობი: იხილეს ესე დადიან-მან, ერისთავ-მან და ზურაბ აბაშიძე-მან. გარდაპირეს მეფეს მამუკა ძმა მისი, მოიყვანა დადიან-მან და შერთო დაი თვისი ცოლად. შემოიკრიბნა ოდიშარნი, აფხაზნი და მოვიდნენ იმერეთს. მიერთნენ ერისთავიცა და შეკრებულნი დადგნენ გეგუთს. მუნ მიერთნენ მარგველნიცა და აოხრე-ბდნენ ქვეყანათა: ხოლო ალექსანდრე ვერ წინა-აღმდეგი შევიდა ქუთათისს ლევან აბაშიძით და ბარის ერისთვით (რამეთუ ესე ბარის ერისთავი იყო გენათელი და ძმა შოშიტა ერისთვისა. ამან წარგვარა ცოლი ძმის-წულსა თვისსა პაპუნას, ასული ვახტანგ მეფისა, შეირთო თვით და მო-ვიდა მეფისა-თანა. ამან შეიწყნარა შურითა ერისთვისათა და მისცა საერისთო მამული იმერეთს შინანი და უწოდეს ბარის ერისთავად):

292 ხოლო დადიანი შეკრებული მოადგა ქუთათისს, არამედ მეფე არა განვიდა ბრძოლად და მათ ვერ იკადრეს მისლვა შიშითა ოსმალთასა, შეშფოთდნენ და წარვიდნენ თვის-თვისად და ალექსანდრე-მ მოიმტკიცნა იმერნი წულუკიძი-თურით. ამათ ჟამთა მოვიდა სხვა ფაშა ფოთს სპი-თა, რათა დაიპყრას ურჩნი ზღვის კიდისანი, ვიდრე აფხაზამდე. ამან მიუწოდა ალექსანდრეს სპითა. ხოლო მეფე აღეკაზმა წარსლვად, გამზრახი, რამეთუ შემდგომად მსახურებისა ოსმალთა და-მორჩილოს მათით ურჩნი თვისნი იმერნი და რა მივიდა ოდიშს ,,ეტყოდა დადიანი არა წარსლვასა: ,,ვინაიდ-გან არა კეთილ არს დაპყრობა მათ-გან ზღვის კიდისა ჩვენ-თვის.'' ესე არა უსმინა მეფე-მან. რამეთუ იყვნენ ადგილნი ყოველნი დადიანისა, ვინაიდ-გან არა ერჩდა დადიანი და მივიდა ფა-შისა-თანა, მან პატივ-სცა და წარვიდნენ ოდიშს. გარნა ოდიშარნი სრულიად დახიზნულ-იყვნენ აფხაზეთამდე, ვინად-გან დადიანი არა იყო ფაშისა-თანა. არამედ არბევდნენ ოსმალნი და იმერნი

და იმერნი და სტყუენვიდენ, სადა ვის ჰპოვებდნენ: შევიდნენ ოსმალნი ილორს. არამედ ხატნი და ჯუარნი და სასმარნი ეკკლესიისანი დაეხიზნა. შეუკდეს ცეცხლი, მოსწვეს ეკკლესია და აღძარცვეს გრამიტა ბრწყინისა და მოსპნეს დასატყუღებანი და შემდგომად განვლეს და მივიდნენ აფხაზეთს: მაშინ არა მოუნდო შარვაშიძე აფხაზითა და ოსმალთა მოარბიელნეს და ტყუე-ჰყვნეს, სადა რაი ჰპოვეს. არამედ შემდგომად მოუნდო შარვაშიძეცა, ჰყვეს იგი მაჭმადიანად და ყოველნი მისთანა მყოფნი სრულიად: ხოლო რა განხდნენ მდინარესა კოდორისასა, ეტყოდა ფაშა მეფესა, რათა წარჰყვეს ჯიქეთს და მერმე აფხაზეთს: ესე შეუძნდა ალექსანდრეს და იმერთა და ღამესა მას დაუტევეს ყოველნი სამძიმარნი თვისნი, წარმოვიდეს, ვლეს ორი დღე და ღამე და მოვიდნენ ეგრისის მდინარესა ზედა: მაშინ ეწივნენ ოსმალნი აფხაზითურთ და იმერთა განამაგრეს კიდე მდინარისა: მერმე შემოვიდა მეფე წარჩინებულითა თვისითა და გამოხდნენ მდინარესა და რაოდენნი დაშთნენ წარუყვანეს ოსმალთა ტყუედ. გამოვლეს მათ ოდიში და მოვიდეს ციხესა შინა კაცოსა და მოგზავრნიცა მოისრვოდეს ოდიშართაგან: მცნობი ამისი დადიანი მოადგა სპითა ციხესა სამ-დღე, მერმე ჰყვეს ზავი, მისცა მეფე-მან მძევალნი დადიანსა და წარმოვიდნენ და მოვიდნენ იმერეთს ქს. ჩღლგ ქრ. უკა: ხოლო აფხაზთა აიღეს ბარგი იმერთა. არამედ შემდგომად ოსმალთა და მათ შორისცა იქმნა შფოთი, განეყენნეს აფხაზნი და უწყეს ღამით ჰარვა, კლვა კაცთა და კირვება ოსმალთა: იხილა ფაშა-მ და უკმოიქცა ოდიშსვე. მაშინ დაესხნენ აფხაზნი, მოსრეს ბანაკი ოსმალთა და აოტნეს, რამეთუ ფაშა ივლტოდა ზღვითი და სხვანი მოსრნეს უმეტესნი და მოიშთვნენ ზღვასა და მდინარესა შინა, აღიღეს ალაფი მათი დიდ-ფრიად და დაუტევეს მაჭმადიანობა და დაიპყრეს აფხაზთა თვისივე სჯული (არამედ ძლევასა ამას იტყოდიან სასწაულსა წმიდის გიორგის ილორისასა, რამეთუ ღამესა ამას მტყოდა აფხაზთა განსლვად და განამძლიერებდა მათ ბრძოლად):

ხოლო ამისა შემდგომად უკუზირეს კვალად მამუკა მეფესა, დადიან-მან, ერისთავ-მან და ზურაბ, შეკრბნენ სპანი დიდნი და მოვიდნენ ალექსანდრეს-ზედა ანუ მოკლან, ანუ განაძონ: მაშინ ალექსანდრე-მ, ნიხორს მდგომ-მან შემოიკრიბა გურიელი მამია, აბაშიძე ლევან, ძმა დადიანისა კაცო, ბარის ერისთავი, მერაბ წულუკიძე და იმერნი სხვანი ნეშტნი, ღილასა მოვიდნენ იგინი და ეკვეთნენ ურთიერთ-არს, იქმნა ბრძოლა და მოისრნენ ორგნითვე უმრავლესნი ქს. ჩღლდ, ქრ. უკბ: მერმე სძლეს ალექსანდრესთა და მოსრვიდნენ მათ, მიეწივნენ დადიანსა, ჰკრეს თოფი და ნაპოვარდა: კვალად დაჰკოდეს დავით აბაშიძე. აქათ მოკლეს კაცო, ძმა დადიანისა. მიჰყვნენ ლტოლვილთა, რამეთუ იყო თოვლი დიდი, მოსრნეს, შეიპყრნეს რაჭველნი და ლეჩხუმელნი და ოდიშარნი უმრავლესნი და დაჰკიდეს სრულიად ოსმალთა ზედა: ხოლო დადიანი წარმოიყვანა მეფე-მან, დაადგინა მკურნალი და განჰკურნა და სახლად ლეჩხუმსა. არამედ არა ინება მოცემად, ეზრახა ზურაბის-გამო ისაყ ფაშასა და მისცა ქრთამი დიდი, რათა მწე-ეყოს: მან წარმოავლინა მაჭმად-ბეგ და კიდი ამილახორი სპითა ოსმალ-ქართველისათა და მოვიდნენ ესენი სანკურეს:

ესილა რა ალექსანდრემ, გამოართვა საჩილაოსამიქელო დადიანს, ზაფხულს ამით ლევან აბაშიძისა-გამო და გასიეტვა. მოვიდა საჩხერეს, მისცა დაჲ თვისი, ნაშობი თამარისა-გან ცოლად მაჭმად ბეგს, დაიზავა და წარვიდენ ქართველ-ოსმალნი ქართლისავე: ხოლო ამისსა მხილველნი დაეზავნენ მეფესა დადიანი, ერისთავი და ზურაბ და დაიპყრა იმერეთი. მისცა საჩილაოსამიქელო ძმასა თვისსა მამუკას. არამედ ალექსანდრემ განაახლა საქმე ბექან დადიანისა, რამეთუ ოდეს დასჭირდის თეთრი ოსმალთა ქრთამად ანუ სხვისა სამჭირნოსა-თვის, შეაგდის იმერთა თეთრი იგი მთავართა და აზნაურთა: ხოლო მათ დაჰყიდიან ტყვენი და მისციან და თვით, რეცა თუ არა ჰყიდდა ტყვეთა. შემდგომად მოადგა მამუკა ციხესა ბექან ჩიჯავაძისასა და მოპარვით აღიღო ციხე სებეკისა. მერმე აღიღო ციხე ბექანისა და დაიპყრა სანიჯავაძო მამუკამ:

ხოლო მოსლვასა ტფილისს თამას-ხანისასა ქს. ჩღლე, ქრ. ჳკგ, მოუვლინა მეფესა, რათა დამორჩილდეს. არამედ არარა მიუგო, გარნა შეშინებულნი ოსმალნი იმერეთს ციხესა შინა მყოფნიცა განამაგრნა არა დატევებად ციხეთა: შემდგომად ამისა უკუდგა წერეთელი პაპუნა ზურაბ აბაშიძისა-გამო, რამეთუ ზურაბ მოიპარა მამუკაშვილთა ციხე ხარაგაულისა, მოჰკლა მამუკას-შვილი და დაიპყრა თვით: ამისათვის მოუხდა მეფე პაპუნას, მოაოხრა საწერეთლო. არამედ ციხე მოდამნახისა ვერ წარუღო. უკუნიქცა, ეზრახა ხარაგაულისა მეციხოვნესა, რომელმან მისცა ზურაბს, მანვე მოსცა მეფესა იგივე ციხე, შეიპყრა, მოჰკვეთა მას კელ-ფერხნი და აღმოხადნა თვალნი და ციხე მისცა მეპატრონისა ძესავე: შემდგომად დაიზავა მეფემან ზურაბ და პაპუნა. არამედ ზურაბ არა მოვიდა მეფისა-თანა. გარნა იყო მისი დავით, რამეთუ სიძე იყო ალექსანდრესი. ამას დავითს განსატყვებინა ცოლი, დაჲ შოშიტა ერისთვისა და შერთო დაჲ თვისი: ამ ჟამებთა შეუჩინა მეფემან გვარას ციხეს იაშვილი. ხოლო მათ გრიხულის მეიჯზურისა-გან აღიღეს ციხე და დაიპყრეს: სცნა ერისთავმან ნოღას მყოფმან, წარმოვიდა მსწრაფლ და მოადგა გვარას: ღამესა მას შეიდგინნეს კიბე, სადაცა უწყოდეს, შევიდნენ ციხესა შინა, შეიპყრნეს
293 ხრულიად მას შინა მყოფელნი და დაჰყიდნეს და დაიპყრა ერისთავმან ციხე: ამისი მცნობი წარმომართებული შველად გვარას ციხისად უკუნიქცა: შემდგომად მოიყვანა ალექსანდრემ ძე ზურაბისა დავით და პაპუნა წერეთელი ვარციხეს, მოკლნა ორნივ მუხთლად ღალატად და წარვიდა მსწრაფლად, რათა დაიპყრას მოდამნახის ციხე. არამედ ცოლმან და ძემან პაპუნასამან განამაგრეს ციხე და ვერ შეუძლო წარღებად, ესე იხილეს წარჩინებულთა, რამეთუ ჰნებავს ყოველთა მოწყვეტა და დამდაბლება და უმეტესად ზურაბ, ეზრახა ერისთავს გრიგოლს, რამეთუ ამას ჰყვა ცოლად ასული ვახუშტი აბაშიძისა ძმისა ზურაბისა: ხოლო ერისთავმან აუწყა დადიანსა და შეკრბნენ ალექსანდრე მეფესა ზედა. ამისათვის ალექსანდრემ მოითხოვა ლეკნი შანშესა-გან ქსნის ერისთვისა. მან წარმოუვლინა კაცითა თვისითა ფ ლეკნი: ამათ წარუძღვა ალექსანდრე და იგინი ვერ წინააღუდგნენ, შემუსრნეს ციხენი და მრავალნი კოშკნი, მოსწვეს და მოსტყვევნეს და შთავიდნენ ოდიშს და უმცირესნი ზორონტისა ჭყვნეს, არამედ განზრახვითა ლევან აბაშიძისათა: „რამეთუ

არა გეთილ არს ლეკთა-გან შემუსრვა ქვეყანისა ჩვენისა, რაჟამს ჰკრძნან ადგილნი, თვითვე მრავალსა ბორცვსა შეეყვანებენ, ვითარცა უკვე სხვათა:" ესმინა მეფე-მან და უგმობია და განუტევნა ლეკნი მოუბრუნებელნი, არამედ ტყვენი არა წარატანნა იმერეთისანი:

შემდგომად ამისა წარვლინა ალექსანდრე-მ ძმა თვისი გიორგი და აბაშიძე ლევან ქართლს, ვახუშტი აბაშიძისა ზედა, უცნობლად დაესხნენ ტბეთს მყოფს და იგი განმაგრდა სახლსა შინა, და იწყო ცემა-თოფითა: მაშინ ამათვე შეუდვეს ცეცხლი სახლსა მას, იხილა ვახუშტი-მ და მოკლო ბიძის ძესა თვისსა ლევანს. მან მოჰკვეთა მკლავსა, პატიმარ-ჰყვეს ციხესა შინა ნავარძეთისა. სთხოვდა მეფე ფ ქასს თეთრსა და ციხესა გახანს და ესენი არა ინება ვახუშტი-მ მოცემად. შემდგომ მოვიდა კათალიკოზი დომენტი განტევებისა-თვის ვახუშტისა და არა პატივ-სცა ალექსანდრე-მ: კვალად წარმოუვლინა ისაყ ფაშან ცხენი აღკაზმული, ქურქი და ოთხი ქისა თეთრი, რათა განუტევოს ვახუშტი და არა ინება მეფე-მან: ხოლო დადიან-მან შეურიგო წინა-თქმულითა იმისის სპანი აფხაზთა, მიერთო ერისთავი და ზურაბ სპითა მათითა, ამათ ვერ წინა-აღუდგა ალექსანდრე, გამოუშვეს მარბიელი ქს. ულზ, ქრ. ჩღმთ, მოასწვეს სასახლე ალექსანდრესი ვარციხეს, მოაოხრეს და მოსწვეს იმერეთი და წარვიდნენ: კვალად აღუსრულა აღთქმული ისაყ-ფაშა-მან ანუკა მეფის ქალსა და განსაკუთრებელი წარმოავლინა ფერიალის შვილი, სიძე თვისი სპითა. ამას ნამოასრულს იმერეთის მიერთო დადიანი, ერისთავი და ზურაბ. იხილა მეფე-მან, დახიზნა ხიზანნი თვისნი ხარაგაულს და თვით წარვიდა ქართლს ქს. ულჱ, ქრ. ჩღნ: ამან წარუყვანა მამუკა ძმა თვისი, ლევან აბაშიძე და ბარის ერისთავი და ვახუშტიც წარიყვანა, რათა არა შემუსრონ ციხე ნავარძეთისა ოსმალთა და გამოიყვანონ:

მაშინ ოსმალთა მოიყვანეს ძმა ალექსანდრესი გიორგი, ნაშობი გურიელის ქალისა და დასვეს მეფედ იმერეთს და მოუდგნენ სხვანიცა მათით დადიანი, ერისთავი და ზურაბ და წარვიდნენ ოსმალნი: ხოლო ალექსანდრე მოვიდა აწყურის-ხევს მასვე ერისთვისა-თანა. მაშინ იყო მასვე უკუმდგარი შანადირისა-გან, მოადგა ხანი შანშეს. ესე იხილა ალექსანდრე-მ, განუტევა ვახუშტი და თვით მივიდა ხანისა-თანა: მან პირველად პატივ-სცა, შემდგომ შეიპყრა: ამისსა მხილველნი მამუკა და ლევან და სხვანი იმერნი ივლტოდნენ და მოვიდნენ იმერეთს. ხოლო ალექსანდრე მიიყვანა ხან-მან ტფილისს. არამედ წარვლინა ვაგის ერისთავი წინაშე შანადირისა ალექსანდრე-მ დარიბანილი ვედრებად და თვით იყო ტფილისს, ვითარცა პატიმარი: მცნობ-მან შანადირ წარმოუვლინა კაცი რაჟამთ ისაყ ფაშასა, რათა ჰყოს ალექსანდრე მეფედ იმერთა. წარიყვანეს ალექსანდრე ახალ-ციხეს: ესმინა ფაშამ შანადირს და ამასვე შემოდგომასა ჩამოიყვანეს ალექსანდრე ოსმალთა და ჰყვეს იგივე მეფედ და შეამტკიცეს დადიანი, ერისთავი და აბაშიძე და ყოველნი იმერნი. შემდგომ წარვიდნენ ოსმალნი: ხოლო გიორგი ძმა ალექსანდრესი წარვიდა ოდიშს და ალექსანდრე ეპყრა იმერეთი: არამედ მცირედისა ხანის უკუდგნენ კვალად დადიანი, ერისთავი და ზურაბ. ამის-თვის ალექსანდრე-მ მოიყვანა ცოლის-ნაცვალი თვისი თამარ და აბრალა მას ყოველნი

ყოფილნი, შეიპყრა და მოჰკვეთა თავი. გვალად შეიპყრა ბარათაშვილი სახლით, ხოლო გიორგი ძმისა თვისისა, მოჰკვეთა მასცა თავი და დაყიდნა დედა-წულნი შვილნი და იავარ ჰყო ყოველნი გიორგის მომდგომნი: მერმე შეკრიბნა დადიანი და ერისთავი და მოვიდნენ გეგუთს. ხოლო მეფე მივიდა ქუთათისს და არა განვიდა ზრახვად მათდა. არამედ წარავლინა ახალციხეს და ყვედრა ფაშასა. მან წარმოავლინა მცირე სპანი და რა მოვიდნენ ბაღდადს, წარვიდა ქუთათისიდამ ლევან აბაშიძე და ბარის ერისთავი გიორგი, მათთანა ციხის მცველნი ოსმალნი, რათა სცნან ყიოარება მათ, რომელნი აოხრებდნენ ქვეყანასა. არამედ მათ სძლიოდათ მოსლვა ოსმალთა და იურვებოდნენ მეფისაგან. გარნა რა მივიდნენ ქსენი, ჰკვიდნეს ტალავრთა მათთა მისლვა ოსმალთა, აცნობეს დადიანს. მან არღარა გამოიხმა და ივლტოდნენ, მოჰკვეთნენ ქსენი და უწყვეს ცემა თვითოეულს და მოსრულნი, მოიქცა ერისთავი, რათა იხილოს ყმისაობა მათი, ეცა თავსა და მოჰკვეთა ერისთავი გრიგოლ რაჭისა ქს. ჩლთ, ქრ. ულა და სპანი მისნი ივლტოდნენ უმეტესად. ხოლო ასთ აღილეს ალაფი მათი და მოიქცნენ წინაშე ალექსანდრე მეფისა. მაშინ რაჭას დასვეს ერისთავად ძმა გრიგოლისა ვახტანგ: ამან აღზარდა მეფე, ხან-ჭყოი მის-თანა, შეუთვისტვიტა დადიანიცა და ჰყვეს მშვიდობა და დაიპყრა იმერეთი: ამისა შემდგომად მოიპარა მაჭავარიანის ქალმან ციხე სკვირისა, წარმოვიდა ლევან, რათა მიიღოს მან. არამედ უსწრა მეფე-მან და მისცა მას და დაიპყრა ალექსანდრე-მ სკვირი ქს. ჩლთ, ქრ. ულბ და გამოიღო საგანძური ზურაბ აბაშიძისა. ხოლო ლევან მიადგა შროშას ციხეს ძესა ზურაბისასა ზაალს, რათა არა იგიცა დაიპყრას მეფე-მან, მცირეს ხანს მისცეს ლევანს და დაიპყრა ლევან იგი, განუტევა ზაალ და წარვიდა ქართლს ზურაბ მამისა თვისისა-თანა და იყოფებოდნენ ნუნისს:

ქორონიკონები, ჩვენ მიერ პოვნილნი წიგნებსა შინა და სახელნი წიგნებთა არიან ესენი. იბერული ძველი გარიგების წიგნი, დავითიანი მესხური ხუთ-წიგნად განყოფილი, იბერული სმლის-პირი ეკრატისა, ტლაშაძის აღმოწერილი ქორონიკონები, გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხვათათა ქართლის ცხოვრებათა-გან ძველთა და ახალთა და სხვათა ჟამს-კანონთა-გან, სახარებათა და საეკკლესიო წიგნებთა-გან და სპარსულთა ქორონიკონებთა-გან აღმოწერილთა არიან ესენი. თათრული (1) შიგ უწერია:

1201—უკა. თამარ მეფე მიიცვალა.

1211—ულა. მეფე ლაშა გიორგი მიიცვალა.

1237—უნზ. მეფე რუსუდან გარდაიცვალა.

1269—უპთ. მეფე დავით ლაშას ძე გარდაიცვალა.

1289—ფთ. მეფე დიმიტრი თავ-დადებული მოკლეს თათართა.

1292—ფიბ. მეფე ვახტანგ ნარინ დავითის ძე გარდაიცვალა.

1293—ფიგ. მეფე ნარინ დავით მიიცვალა.

1294—ფიდ. დიმიტრი თავ-დადებულის ძე დავით მეფე იქმნა.

1301—ფკა. ვახტანგ დიმიტრი თავ-დადებულის ძე მეფედ იქმნა და ძმა დავით მეფისა.

1308—ფკჱ. დავით მეფის ძე გიორგი მეფედ ჰყვეს, რომელსა ეწოდა მცირე გიორგი.

1310—ფლ. მოკუდა დავით მეფე დიმიტრი თავ-დადებულის ძე.

1318—ვ. დაჯდა დიმიტრის თავ-დადებულის ძე გიორგი მეფედ და იწყო მთიებ-მან აღმობრწყინვება და დაიპყრა ქართლი, სომხითი, ტერ-კახნი და მესხნი.

1323—ია. მოკუდა გიორგი დადიანი, დაჯდა ძე მისი მამია დადიანად.

1327—იე. მოკუდა ძე ნარინ დავითისა მეფე კონსტანტინე და გამეფდა ძმა მისი მიქელ იმერეთს.

(1) თათრული რიცხვები ვახუშტის ისტორიაში [illegible]

1329—იზ. მოკუდა მეფე იმერთა მიქელ და დაჯდა ძე მცირე ბაგრატ.

1330—იჱ. ბრწყინვალე-მან გიორგი მეფე-მან იმერეთი დაიჭირა, ქუთათისი აიღო, ბაგრატ გამოიყვანა.

1334—კბ. მოკუდა ათაბაგი სარგის, დასუა გიორგი მეფე-მან ათაბაგად ძე მისი ყუარყუარე.

1345—ლგ. მოკუდა დადიანი მამია, დასუა მეფე-მან გიორგი-მ ძე მისი დადიანად.

1346—ლდ. გარდაიცვალა ბრწყინვალე მეფე გიორგი და დაჯდა მეფედ ძე მისი დავით. ხოლო რუსუდანის გამეფებიდამ ამ გიორგის გარდაცვალებამდე გარდასულიყო წელნი. რკგ. გარდაცვალებიდამ ამის გამეფებამდე წელნი მა.

1354—მბ. ჩვენ მეფე-მან დავით და კათალიკოზ-მან სინდუხტარ გიწყალობეთ, ამ ქრონიკონ-ზედ დავითს სწერია მეფედ, რომელსა გვიხვენ ერთს-ერთვად.

1355—მგ. ჩვენ მეფე-მან დავით ყოვლისა საქართველოისა-მან გიწყალობეთ.

1357—მე. მზე დაბნელდა.

1358—მვ. მეფის მიქელის ძე-მ ბაგრატ ყუარყუარე ათაბაგის ქალი შეირთო.

1360—მჱ. გარდაიცვალა დავით მეფე და დაჯდა ძე მისი ბაგრატ მეფედ, მოწმობს გუჯარი ბარათიანთა, რომ ეს დიდი ბაგრატ არს ძე ამ დავით მეფისა.

1361—მთ. მზე დაბნელდა და სვანთა ქუთათისი დასწვეს. დიდ-მან ბაგრატ მეფე-მან მოსწყვიტნა და დაიმორჩილა და თვით სამცხე მოარბიეს. დიდ-მან ბაგრატ მეფე-მან მოსწყვიტნა. გვალად მოკუდა ათაბაგი ყუარყუარე, ბაგრატ მეფე-მან დასუა ძე მისი ბექა.

1366—ნდ. დიდი სიკუდილი იყო და მოკუდა დედოფალი ჯულენ, ცოლი ბაგრატ მეფისა.

1372—ჲ. მზე დაბნელდა და მოკუდა მიქელ მეფის ძე ბაგრატ და დაჯდა ალექსანდრე ძე მისი.

1375—ჲგ. გამოსჩნდა თემურ-ლანგ და დაიპყრა აღმოსავლეთი.

1384—ობ. მოკუდა გიორგი დადიანი და მეფე-მან ბაგრატ დასუა ძმა მისი ვამიყ დადიანად.

1387—ოე. ლანგ-თემურ სამარყანდელ-მან ტფილისი აიღო, წარტყუენა მეფე ბაგრატ და დედოფალი ანნა გამოიყვანა ტფილისამ და ტუტუშ-მეფის და ალექსანდრე იმერეთს გამეფდა ძე ბაგრატისა.

1389—ოზ. მოკუდა ალექსანდრე მეფე და ძმა მისი გიორგი გამეფდა იმერთა ზედა.

1390—ოჱ. ავისამთა გაიაღლიკ-მეტყ დასწვეს არხეთ.

1391—ოთ. მოკუდა ათაბაგი ბექა და დაჯდა ნებითა გიორგისათა ათაბაგად ძე მისი ივანე.

1392—პ. მოკლეს მეფე გიორგი მეგრელთა და იმერეთი გიორგი-მ დაიჭირა ბაგრატის ძე-მ.

1393—პა. დიდ-მან ბაგრატ მეფე-მან თემურის სპანი მოსწყვიტნა და ტფილისი აიღო.

1394—ფბ. დიდი ბაგრატ მეფე და თემურ შეიბნენ, თემურს გაემარჯვა და ტფილისი აიღო, ქართლი წარსტყვევა და მესხეთის ეკლესიები აქცევდა, ციხენი და შენებულებანი.

1395—ფგ. დიდი ბაგრატ მეფე გარდაიცვალა. ძე მისი გიორგი გამეფდა.

1396—ფდ. თემურ და გიორგი შეიბნენ, თემურს გაემარჯვა და მოკლეს დადიანი ვამიყ და დაჯდა ძე მისი მამია. კვალად გიორგი მეფის ძმა კონსტანტინე იმერეთს გამეფდა.

1401—ფთ. მეფე კონსტანტინე მოკლეს ნახჭევანს ახლო ნახჭევანშია.

1407—ჟე. დიდი ომი იყო, მეფე გიორგი მოკლეს თურქთა, სრულიად დაშქარნი მოსწყვიტნეს და ძმა მისი კონსტანტინე მეფედ დაჯდა.

1414—რბ. მეფე კონსტანტინე მოკლეს თურქთა და დაჯდა მეფედ ალექსანდრე ძე გიორგი მეფისა. კვალად მოკლეს აფხაზთა დადიანი მამია და დასვა ალექსანდრე მეფემან ძე მისი ლიპარიტ.

1415—რგ. მეფე ალექსანდრე და ათაბაგი იოანე კონსტანტინესძე შეიბნენ, მეფეს გაემარჯვა, ათაბაგი შეიპყრა, შეწყალებული გაუშვა.

1430—რიჱ. შარუხ გამოვიდა და სარკინოზთაგან იგი და ლორე აიღეს.

1431—რით. მეფე ალექსანდრე აშენებს მცხეთას.

1432—რკ. ალექსანდრე მეფე–მ ლორე აიღო, ბარათიანი გუჯარში სწერს, რომელი ბეგლარის არს, მეფე–მან ალექსანდრე–მ, ძე–მან მეფის გიორგისა–მან განჰყარნა საქმნი ქმნის ბაში, გუჯარს და დაყოთ.

1435—რკგ. შარუხ მოვიდა, მეფე–მან ალექსანდრე–მ ძე თვისი დიმიტრი წარუგზავნა ძღვნით, შეწყალებული გამოუშვა.

1437—რკე. ალექსანდრე მეფე ყარაბაღს მოვიდა.

1440—რკჱ. მოკვდა შარუხ. დაჯდა ჯაჰანშა ყეენად.

1442—რლ. გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე. დაჯდა ძე მისი ვახტანგ მეფედ.

1444—რლბ. ჯაჰანშა ყეენი ახალციხეს მოვიდა, მეფე–მან ვახტანგ ბრძოლა, უკუაქცია ყეენი და მოკლა იოანე ათაბაგი, დასვა მეფე–მან ვახტანგ ძე მისი აღბუღა ათაბაგად. კვალად მოკვდა ივანეს ასული ქალი დედოფალი სიტიხათუნ, ვახტანგ მეფის ცოლი.

1445—რლგ. მიიცვალა მეფე ვახტანგ და დაჯდა ძმა მისი გიორგი მეფედ.

1447—რლე. აღბუღა ათაბაგი და ყვარყვარე შეიბნენ, ყვარყვარეს გაემარჯვა.

1449—რლზ. წელი მეფე–მან გიორგი–მ, ძმა–მ მეფისა ვახტანგისა–მან კონსტანტინე დაიდგინა.

1451—რლთ. მეფობასა მისსა 50 კატარღებითა აფხაზეთი, ციხეში და ზღვის–პირში მოაოხრნეს და მოკლა აღბუღა ათაბაგი, დასვა გიორგი მეფე–მან ძმა მისი ყვარყვარე ათაბაგად.

1452—რმ. მეფის ალექსანდრეს ძე დიმიტრი ტყე–მან მოკლა.

1453—რმა. კონსტანტინეპოლი აიღეს თათართა.

1454—რმბ. ჩვენ მეფე-მან გიორგიმ ყოვლის საქართველოსა-მან, რანისა, შარვანისა და შაჰანშაჰისა-მან გიწყალობეთ ინდიკტიონსა იე.

1455—რმგ. მოკუდა იმერთ-ერისთავი დიმიტრი, ძე ალექსანდრე მეფისა, დაჯდა ძე მისი ბაგრატ.

1462—რნ. მეფე გიორგი და ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს, ბაგრატს გაემარჯვა და განდგა ათაბაგი-ცა.

1463—რნა. თავრიზ გილაქ და იუმურ მეფეს გიორგის სძლეს. ქართლი, სომხითი და საგან-ძერი მეფისა მოაოხრეს და ყვარყვარე ათაბაგ-მან საათაბაგო დაიჭირა.

1465—რნგ. ფანასკერ-ზედ ყვარყვარე ათაბაგ-მან მეფე გიორგი დაიჭირა.

1466—რნდ. მოკუდა ყვარყვარე ათაბაგი, დაჯდა ბაადურ ძე მისი და ბაგრატ იმერთ მეფე-მ. ქართლი დაიჭირა. კვალად განდგა დავით და ჰერ-კახნი დაიჭირა: მერმე გიორგი მეფე-მ ქართლი დაიჭირა და ჰერ-კახნი, ბაგრატ იმერეთს წარვიდა, დავით დიდოეთს.

1468—რნვ. დაჯდა ყეენად უზუნ-ასან.

1469—რნზ. გარდაიცვალა გიორგი მეფე და დაჯდა ძე მისი კოსტანტინე მეფედ და ჰერ-კახთა ჩამოიყვანეს დავით, მეფედ ჰყვეს.

1470—რნჱ. მოკუდა დადიანი ლიპარიტ, დაჯდა ძე მისი შამადავლე.

1471—რნთ. მოკუდა დავით კახთ-მეფე, დაჯდა მეფედ ძე მისი გიორგი და მეფე-მან ბაგრატ ქართლი დაიჭირა.

1472—რჲ. უზუნ-ასან ყეენი შევიდა საბერძნეთს და მოაოხრა.

1474—რჲბ. მოკუდა შამადავლე დადიანი, დაჯდა ძმა მისი ვამიყ დადიანად.

1475—რჲგ. მოკუდა ბაადურ ათაბაგი, დაჯდა მანუჩარ ძმა მისი:

1477—რჲე. ბაგრატ მეფეს დადიანი ვამიყ უღალატა, უკუ-იქცა ქართლელთა-მ ბაგრატ დაშო-ბნეს, ბაგრატს გაემარჯვა. კვალად მოვიდა ქართლს უძლიერესად.

1478—რჲვ. უზუნ-ასან ყეენი მოვიდა, ქართლი და ერწო თიანეთი მოსწყვიტა, კოსტანტინე ბარათიანით მივიდა მის-თანა, ტფილისი მისცა და ბაგრატ მეფე წარვიდა რა-ჭას, მუნ მოკუდა, დაჯდა ძე მისი ალექსანდრე.

1479—რჲზ. კოსტანტინე მეფე-მ ტფილისი, გორი და ქართლი დაიჭირა. კვალად იმერეთი დაიჭირა.

1481—რჲთ. მეფე კოსტანტინე ჯავახეთს მიუხდა, დადიანი თან-ახლდა, მანუჩარ ათაბაგ-ზედ გაემარჯვა.

1482—რო. მოკუდა ვამიყ დადიანი, დაჯდა ძე შამადავლესი ლიპარიტ.

1483—როა. მეფე კოსტანტინე და ყვარყვარე შეიბნენ, ყვარყვარეს გაემარჯვა და მოკუდა გუ-რიელი კახაბერ, დაჯდა გიორგი ძე მისი.

1484—რობ. ალექსანდრე-მ ძე-მან ბაგრატ მეფისა-მან ქუთათისი აიღო, მეფედ დაჯდა.

1486—როდ. იაყუბ ყეენი მოვიდა ახალ-ციხეს და აწყვერი აიღო, ტყვე-ჰყო და მოსწყვიტნა, აწყვერიდა-მ გაუსია სპანი ქართლს და დბანის-ხევში ბარათიანნი მოსწყვიტნეს, აწყვერის ღვთისმშობელი მანუჩარ ათაბაგ-მან დაიხსნა ვეცხლით, სეკდემბერს კგ.

1487—როე. კონსტანტინე მეფე-მან იმერეთი დაიჭირა და მოკუდა ათაბაგი მანუჩარ, დაჯდა ყვარყვარე ძე ალბუღასი.

1488—როვ. იაყუბ ყეენ-მან წარმოავლინა სპანი, მოვიდნენ, იწყეს შენება ალყაყალისა და ქარჩისანისა.

1489—როზ. ალექსანდრე მეფე-მ იმერეთი დაიჭირა, ქუთათისი აიღო.

1490—როჱ. წარმოავლინა კვალად ყეენ-მან სპანი და მოადგნენ ტფილისს, ბარათიანნი მოსწყვიტნეს.

1491—როთ. მოკუდა სამცხეს დედის-იმედი წლისა ნდ, დეკემბერს იჱ.

1492—რპ. მოკუდა კახთ მეფე გიორგი და დაჯდა ალექსანდრე ძე მისი.

1494—რპბ. ათაბაგ-მან ყვარყვარე-მ შირ-ავგო მაჰკლ და ცეცხლის-ჯვარ-ზედ ქართველთა სძლო.

1495—რპგ. ალექსანდრე მეფეს უშვა თამარ დედოფალ-მან ძე ბაგრატ და შემდგომად დავით.

1496—რპდ. გამოსწვდა შაისმაილ ძე შიხისა და იწყო მპყრობად ქვეყნისა.

1499—რპზ (თათრ. შე) განძლიერდა შაისმაილ.

1500—რპჱ. (თათრ. შჳ) შაისმაილ ადრიბეგანი დაიჭირა, შირვანს მოვიდა. ალექსანდრე-მ კახთ მეფე-მ ძე თვისი დიმიტრი მიაგება ძღუნითა, შეწყალებული გამოუშვა და მოკუდა ყვარყვარე ათაბაგი და დაჯდა ძე მისი ქაიხოსრო.

1502—რჟ. მოკუდა ქაიხოსრო ათაბაგი წლისა ნგ, მაისს ჯ და დაჯდა ძე მისი მზე-ჭაბუკ.

1505—რჟგ. გარდაიცვალა მეფე კონსტანტინე და დაჯდა ძე მისი დავით მეფედ.

1509—რჟზ. ალექსანდრე მეფე-მ, ძე-მან ბაგრატისა-მან გორი დაიჭირა და ჩიხი იმერეთი მოარბიეს, უკუნიქცა ალექსანდრე იმერეთს და შემდგომად დავით მეფე-მან დაიპყრა გორი.

1510—რჟჱ. მოკუდა მეფე ალექსანდრე და დედოფალი თამარი და დაჯდა მეფედ ძე მათი ბაგრატ.

1511—რჟთ. ავ გიორგი-მ მამა თვისი მეფე ალექსანდრე მოკლა და ძმას დიმიტრის თვალნი დასწვნა, თვით გამეფდა.

1512—ს. მოვიდა სარასკარი, მზე-ჭაბუკ ათაბაგი მიეგება, იმერეთს ჩავიდნენ. თათართ ქუთათისი და გელათი დასწვეს და ბაგრატს ვახტანგ-ზედ გაემარჯვა მოხისს: კვალად მოკუდა გურიელი გიორგი და დაჯდა ძე მისი მამია: კვალად მოკუდა დადიანი ლიპარიტ და დაჯდა მამია:

1513—სა. ავ-გიორგი შეიპყრა ძმისს, ბაგრატ მეფის ძე-მ ტყვე-ჰყო და ტყვეობაში მო-

კუდა ამავ წელს და კახეთი დავით მეფე-მ დაიჭირა. სხვაში იწერა აგ-გიორგი და დავით მეფე შეიბნენ, დავითის გაემარჯვა, აგ-გიორგი დაიჭირა.

1516—სდ. ათაბაგი დიდი მზე-ჭაბუკ მოკუდა, დაჯდა ძე მისი ყვარყვარე.

1518—სვ. ყეენი წარმოვიდა ქართლს ოხრებად, დავით მეფე-მ ძე თვისი-რამაზ მიაგება და დაიხსნა ქართლი და საქრისტიანო ტყვეობა-ოხრებისა-გან და აგ-გიორგის ძე-მ ლევან კახეთი დაიჭირა.

1519—სზ. გელათი საეპისკოპოზოდ ქმნეს, საყდარელიძე მელქისედეკ დასვეს და დავით მეფე ლევანს მოადგა, მაღრანის ციხეში მყოფს.

1520—სთ. გამოვლეს ოსმალთ სამცხე, ქართლს ნავიდნენ და დავით მეფე-მ მოსწყვიტნა და მაღაროს ლეკებისა-გან იძლია დავით მეფე. კვალად შეიბნენ დავით მეფე და გურიელი მამია მოხისს და იძლია დავით მეფე.

1522—სი. მოვიდა ლევან, სძლო დავით მეფესა და მოსწყვიტნა ქართლი და სამცხე.

1523—სია. (თარ. შლ). ზე ადიდნეს ღმერთ-მან მეფე დავით, ერკო გურგენის და გერმანოზის. კვალად მოკუდა შაისმაილ და დაჯდა შასთამაზ ძე მისი ყეენად.

1524—სიბ. დავით მეფე მონაზონ-იქმნა, და დაჯდა ძე მისი გიორგი, მეორეს წელს მოკუდა დავით მეფე მონაზონი.

1527—სიე. ლევანს კახთ-მეფეს თინათინ, გურიელის ქალ-მან, უშვა ძე ალექსანდრე.

1529—სიზ. სულტან სულეიმან ხონთქარი ერევან-ზედ მოვიდა.

1532—სკ. მამია დადიანი და მამია გურიელი ჯიქეთს ნავიდნენ, დადიანი მოკლეს, გურიელი დაიჭირეს, გურიელი მის-მან ძე-მ როსტომ დაიხსნა და დადიანად დაჯდა ლევან.

1534—სკბ. მოკუდა გურიელი მამია და დაჯდა ძე მისი როსტომ. კვალად გიორგი მეფე მონაზონ იქმნა და დაჯდა ლუარსაბ ძე დავითისა.

1535—სკგ. მეფე-მან იმერთა-მან მოიხსენა შური ათაბაგის მზე-ჭაბუკისა და მივიდა სამცხეს და მურჯახეთს შეიბნენ, მეფე ბაგრატ და ყვარყვარე ათაბაგი, ბაგრატს გაემარჯვა ათაბაგი შეიპყრა, გელათს ტყვედ მოკვდა და სამცხე ბაგრატ დაიპყრა, ქაიხოსრო ყვარყვარეს ძე სტამბოლს წავიდა.

1536—სკდ მოვიდა შას-თამაზ მოპარვით ტფილისს, დაესხა და აღიღო, ბერუნქულის ყარაბაღს დადგა, მივიდა მის-თანა მეფე ბაგრატ და წყალობით გამოუშვა, მერე მივიდა ლევან კახთ მეფე და პატივით გამოუშვა.

1539—სკზ. სომეხნი შეიპყრნეს ალყვნებისა-გან.

1541—სკთ. ოსმალთა და ქაიხოსრო ათაბაგს შეება ბაგრატ, მეფე ბაგრატს გაემარჯვა.

1545—სლგ ლუარსაბ და ბაგრატ მეფენი ბასიანს სოხოისტაზედ ოსის ფაშას და ქაიხოსრო ათაბაგს შეებნენ, ქართველნი დამარცხდნენ, ქაიხოსრო-მ სამცხე დაიჭირა.

1546—ხლდ. ბაგრატ მეფე სამცხეს მოვიდა, გედარ დაიჭირა და აწყურის ღვთის-მშობელი ციხე-ჯუარს წაასვენა. კვალად დადიანი ლევან შეიპყრა ბაგრატ მეფემან, გელათს ტყვე-ჰყო.

1547—ხლე. ლუარსაბ, ლევან მეფეთა და მესხთა უწყეს სპარსთის რბევა და ოხრება.

1548—ხლვ. (თარ. 36ე). შაჰ-თამაზ მოვიდა ყარაბაღს, მივიდა მას-თან ლევან მეფე, შევიდნენ შირვანს, გულისტანი აღიღო, შირვანი დაიპყრა, შემდგომ მოვიდა, ტფილისი აღიღო. ეზრახა ათაბაგს, ქალი ცოლად გამოართვა და წარვიდა. კვალად მიიცვალა მეფე ბაგრატ და დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ იმერთა.

1549—ხლზ. სულტან სულეიმან მოვიდა ადრიბეჟან-ზედ.

1550—ხლჱ. ოსმალთ ტაოს ქვეყანა დაიჭირეს და მანუჩარ დაიბადა.

1551—ხლთ. შაჰ-თამაზ შაქის ციხე დაიჭირა.

1552—ხმ. ოსმალთ დაიჭირეს არტაანუჯი არსიანამდე, ფანასკერტი აღაშენეს, არტაანიც დაიჭირეს, სამცხეს ვერ გარდმოვიდნენ.

1553—ხმა. შაჰ-თამაზ ქართლი შემოვლო, ათაბაგი მიეგება, ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბები, აწყური, ასპინძა და სრულიად სამცხის ციხენი აღიღო, ქაიხოსროს მოსცა აწყურის ღვთის-მშობლითურთ. ყეენი სომხითს ჩავიდა, დასხდა თავი, შერმაზან და ვახუშტი დიასამიძე და ამოვან თან-წარიყვანა ტყვედ და კვალად აწყურის ღვთის-მშობელი ტყვედ წარიყვანეს იმერეთს.

1556—ხმდ. მოვიდა სულტან სულეიმან, კარი აღაშენა და ჰასანს დადგა. ამას მოუდგა შაჰ-თამაზ არტანს და დადგა, შაჰ-თამაზის ძემან ისმაილ კარი აღიღო, დააქცია, ხონთქარი წარვიდა, ყეენი ქართლს ჩავიდა, აღაოხრა, ციხენი აღიღო, ატენის ციხიდამ გამოიყვანა დედა ლუარსაბ მეფისა, ტყვედ წარიყვანეს. ლუარსაბ მეფე გიორგი მეფეს ეხიზნა, დედის იმედის ძმანი. არჩილ, აშოთან და ვახტანგ აწყურს მოარჩნენ.

1558—ხმვ. გარის ქართველნი გაემარჯვათ ყიზილბაშ-ზედ და მოკლეს მათ მეფე ლუარსაბ. გამეფდა ძე მისი სვიმონ და ლევან მეფემან ძე თვისი იესე ყეენს წარუყვანა. კვალად მიიცვალა ძე გიორგი მეფისა ალექსანდრე.

1559—ხმზ. სვიმონ მეფემან ქორწილი ქმნა ლევან კახთ მეფის ქალს ნესტან-დარეჯან-ზედ.

1560—ხმჱ. სპარსთა შეიპყრეს მეფის კონსტანტინეს ძის ძე არჩილ დედა-წულით და წარიყვანეს ყაზმინს.

1561—ხმთ. მეფე სვიმონ და ლევან მეფის ძე გიორგი, ძეგვს შამხალი სულტანს შეებნენ, შამხალის გაემარჯვა და მოჰკლეს გიორგი ძე მეფის ლევანისა და აშოთან მეფის კონსტანტინეს ძის ძე ფხოველთ მოკლეს. კვალად დაიბადა მეფის ბაგრატის ძის ძე ბატონის კონსტანტინეს ძე როსტომ.

1562—სნ. იმერთ მეფემან გიორგიმ და ათაბაგმან ყვარყვარეს, აწყურის ღვთისმშობელი მოსცა ათაბაგსა.

1563—სნა. გიორგი მეფემან მოიყვანა ჩერქეზის ბატონის ქალი რუსუდან ცოლად.

1564—სნბ. წარვიდა მეფის სვიმონის ძმა დავით შასთამასპთან გამაჰმადიანდა. კვალად მოკუდა გურიელი როსტომ, დასვა გიორგი მეფემან ძე მისი გიორგი და ყვარყვარემ ქორწილი ქმნა მარეხ დადიანის ქალზედ.

1565—სნგ. ყვარყვარე-მ მოიყვანა მარეხ სამცხეს და დაიბადა გიორგი მეფის ძე ბაგრატ.

1566—სნდ. მოკლეს ხონთქარი ყანუნია და დაჯდა სელიმ.

1567—სნე. დიღომს შეაბნეს სვიმონ მეფე და დაუთისან, სვიმონ მეფეს გაემარჯვა.

1568—სნვ. სამადლოზედ შეიბნეს სვიმონ მეფე და დაუთხან, სვიმონ მეფეს გაემარჯვა. კვალად გიორგი მეფეს ულალატა ვახტანგის ძის ძემ ხოსრომ, ისინი დაუხსნეს ჭილაძე ვარძია, ლიპარტიანი და დადიანი ილიმართ თანახლდნენ, ვერარა ავნეს.

1569—სნზ. ხოსროს ფარცხისს შეებნეს სპარსნი სვიმონ მეფე და ალამუტს ტყვე-ქმნეს.

1570—სნჱ. ქაიხოსრო ათაბაგი წარვიდა ყაზვინს შასთამაზ-თან.

1571—სნთ. მზე-ჭაბუკ ქაიხოსრო ათაბაგის ძე-მ ქორწილი ქმნა გურიელის ქალს როდამზედ.

1572—სჲ. არჩილის ძმის ვახტანგის ძე ბაგრატ დაიბადა და ნადირობაში ცხენ-მან მოჰკლა ლევან დადიანი და დაჯდა ძე მისი გიორგი. კვალად მოკვდა ქაიხოსრო ათაბაგის ძე მზე-ჭაბუკ.

1573—სჲა. მოკვდა ქაიხოსრო ათაბაგი ყაზვინს და აქ დაჯდა ძე მისი ყვარყვარე ათაბაგად. კვალად იშვა ძე გიორგი მეფისა ლევან. კვალად წარგზავნეს ყაზვინიდამ შირვანს არჩილ. კვალად მეფის გიორგის ძე-მ ბაგრატ ქორწილი ქმნა ლევან დადიანის ქალზედ.

1574—სჲბ. მოკვდა ლევან კახთ მეფე და დაჯდა ძე მისი ალექსანდრე. კვალად მოკვდა ხონთქარი სულტან მურად. კვალად ყიზილბაშთ სამცხე და უმეტეს ოძრხე მოსწყვიტნეს.

1576—სჲდ. (თარ. ჭპდ). მოკვდა შასთამაზ, დაჯდა ისმაილ ძე მისი ყეენად, ამან მოიყვანა სვიმონ მეფე ალამუტიდამ და არჩილ ცოლ-შვილით და ტყვით შირაზიდამ.

1577—სჲე. (თარ. ჭპე). შაისმაილ მოკვდა ოკდომბერში, დაჯდა ძმა მისი ხუდაბანდა და დაიბადა გიორგი დადიანის ძე ლევან.

1578—სჲვ. გამოსწნდა კუდიანი ვარსკვლავი და გამოვიდა ლალა-ფაშა აგვისტოს ჟ. მესხთ ციხენი მისცა და მანუჩარ მივიდა, ციხენი შესძღვნა, ტფილისს წავიდა, დაუთხან ტფილისი მოსცა, გაეცალა. ლალა-ფაშასთან მოვიდა ვახტანგ მუხრან-ბატონი და მოიყვანა ამილახვარი ბარძიმ და ქსნის ერისთავი ელიზბარ და დაიხსნა ქართლი ტყვეობა-ოხრებისაგან: ფაშამ იგინი მამულნი მისცნა და მეორეს დღეს განუტევნა. კვალად წარავლინა ხუთასი ლალა-ფაშამ იმერეთს, დახვდნენ იმერნი მთაზედ,

მოსწყვიტნეს და აოტნეს: აქ დაესწრა არჩილის ძე ერეკლე, მრავალნი ოსმალნი მოსწყვიტნა, ია ხრმალი და ძ ისარი მოხვდა ერეკლეს, ფაშა-მუსხარალი ვერ გატეხეს და აზნაურნი მოსწყვიტნეს. წარვიდა ლალა-ფაშა შირვანს, ალექსანდრე კახი მეფე მოეგება და ძღვნ-წარუძღვა. ოქდომბერში სვიმონ მეფე მოვიდა, არჩილ თასი-მოთავესა და მრავალნი ტყვენი, დაუთხინ სტამბოლს წარვიდა. კვალად მოკუდა გათადიკარში ასპანზით ყეყუმბარ და დედოფალი რუსუდან და ძე მისი ბაგრატ. კვალად სვიმონ მეფე-მ არჩილის ძმა ვახტანგ შეიპყრა და გეგის ციხეში ტყვე-ჰყო. კვალად წარმოავლინა მირმირი ლალა ფაშამ მანუჩარ-თან და ქართლს გაუხსა, ქართლს ვერ ნახულნეს, სადაური დაარბიეს, ეგზლესის გასია წარხდა. კვალად წარმოავლინა ხანჯალი. ნაუხლეს, ქართლი მოაოხრეს.

1579—ხჲზ. მანუჩარ ათაბაგი აზრუმს წარიყვანეს.

1580—ხჲჱ. მოვიდა კბ წლის ტყვე ლევან მეფის ძე იესე ეკენიდამ და დაესხა დიღომს სვიმონ მეფეს ალექსანდრე მეფე კახთა. კვალად წარიყვანეს ყვარყვარე სტამბოლს, ხოსროფაშის ფალავანი შეექცნა, ყვარყვარეს დაეცა, ქრისტესშობით ათაბაგობა მოეცა და მოვიდა. კვალად მოკუდა ძე ბაგრატისა და ძმა არჩილისა ვახტანგ. კვალად ოქდომბერს ეგ ყვარყვარე და ბექა ლორეს მოუხდეს და მოაოხრეს.

1581—ხჲთ. ჩაუხდა მეფე გიორგი ქართლს, დადიან-გურიელი თან-ახლდეს. გაღმა გამოღმართი სრულ დასწვეს. სვიმონ მეფეს ფაშა-ზედ გაემარჯვა.

1582—ხო. სვიმონ მეფე ლორეს მიუხდა. ქვაბები აღიღო. კვალად მოკუდა ყვარყვარე, მანუჩარ გაათაბაგდა და მანუჩარ ათაბაგს ოსმალთ ულალატეს, მანუჩარს გაემარჯვა და მოვიდა სვიმონ მეფეს-თან, სვიმონ ასული თვისი ელენე მისცა და აქორწინა. კვალად მოკუდა გიორგი დადიანი და დაჯდა ძმა მისი მამია.

1583—ხოა. ტფილისი აღიღო ოსმალთა-გან სვიმონ მეფე-მ. კვალად გურიას დასვეს ვახტანგ გურიელად, გიორგი გასძეს და გიორგი მეფემ დაიჭირა ძმა თვისი კონსტანტინე შეილით და ბატონსარ-ჰყო.

1584—ხობ. მოიყვანა მანუჩარ ათაბაგ-მან ცოლი თვისი, სვიმონ მეფის ასული სამცხეს.

1585—ხოგ. (თათრ. შჟგ). ოსმან ფაშა მოვიდა თავრიზ-ზედ და მოკუდა მეფე გიორგი, დაჯდა ძე მისი ლევან მეფედ და კონსტანტინე მის-მა ბიძამ არგვეთი დაიჭირა.

1586—ხოდ. სპარსი შეიპყრეს მახ-ხუდაბანდა, შააბაზ დასვეს ჱ წლისა. ლევან მეფე-მ მოიყვანა ცოლი ლევან დადიანის ასული მარეხ, ქმნა ქორწილი.

1587—ხოე. შააბაზ გაზაფხულს მოვიდა, აღაშენა, ლევან მეფე-მ გაილაშქრა აღდგომის უკან. რიონს გაღმართი კონსტანტინეს ბიძასა მისსა აქუნდა სკანდის ციხით სრულ წაართვა მას, საუფლის-წული მისცა. კვალად მოკუდა გურიელი ვახტანგ, გიორგი გაგურიელდა.

1588—სოვ. სიმონ მეფემ სამცხე დალაშქრა. კვალად შეიბნეს სვიმონ და ლევან მეფენი გო-ფასთოს, სვიმონს გაემარჯვა.

1590—სოჱ. ლევან მეფე და დადიანი მამია ქუთაისს შეიბნენ და დადიან-მან მეფე დაიჭირა, შხეთის ციხეში დააბა და მუნ მოკუდა. მეფედ დასვეს როსტომ კონსტანტინეს ძე. კვალად მოკუდა დადიანი მამია, დაჯდა მანუჩარ, ამან მოიყვანა ალექსანდრე კახთ მეფის ქალი და იქორწინა. კვალად გიორგი გურიელ-მან ქუთათისი აღიღო, მოიყვანა თეიმურაზის ძე ბაგრატ, ქუთათისი მისცა, თვისი ძმა მამია მოიყუანა. კვალად მოიყვანა ურუმნი, ჩიქავაძეს ციხე წაართვა, სხვა ჩიქავაძე დასვა. კვალად მოვიდა სვიმონ მეფე, ქუთათისი აღიღო, ბაგრატ ქართლს წარიყვანა. კვალად მოვიდა სვიმონ მეფე ოფიშკვითს დაუპარცხდა და გამეფდა როსტომ. სვიმონ მეფე-მ ლორე აღიღო, ოსმალნი მოსწყვიტნა.

1591—სოთ. აფხაზნი მოუხდენ გურიას, გურიელის ძემ მამიამ მოსწყვიტნა. უშვა მანუჩარ დადიანს კახ-ბატონის ასულ-მან ძე ლევან და შობა-ზედ მოკუდა ქალი იგი.

1592—სპ. მანუჩარ დადიან-მან იქორწინა ვასტანგ გურიელის ქვრივ-ზედ.

1597—სპე. როსტომ მეფემ მოიყვანა ათაბაგის ქალი თინათინ დედოფლად და იქორწინა.

1599—სპზ. ცხრას თიბისს გორს ადგა სვიმონ მეფე, აღიღო იგი და ოსმალნი უვნოდ განუტევნა.

1600—სპჱ. სვიმონ მეფე შეიპყრეს ოსმალთა და წარიყვანეს, გამეფდა ძე მისი გიორგი, მოკუდა გიორგი გურიელი, დაჯდა ძე მისი მამია გურიელად.

1601—სპთ. გიორგი მეფემ ლორე აღიღო თვის-თვისად დაიჭირა.

1602—სჟ. (თათრ. ჩიბ) გიორგი მეფე და ალექსანდრე მეფე კახთა ერევანს შოლგომილს შააბაზ-თან მივიდნენ.

1603—სჟა. ალექსანდრე მეფის ძემ დავით, გიორგი ძმა თვისი დაიჭირა და მამა პატიმარ-ჰყო, თვით გაბატონდა. კვალად მოკუდა მეფე გიორგი, ძე მისი ლუარსაბ მეფე იქმნა.

1604—სჟბ. მანუჩარ დადიანის ძე ლევან კახეთიდამ მიიყვანეს მამას-თან ოდიშს.

1605—სჟგ. მოკუდა მეფე როსტომ, ძმა მისი გიორგი მეფე იქმნა. მოკლა ძე-მან მის-მან კონსტანტინემ მამა ალექსანდრე მეფე და ძმა თვისი გიორგი, შემდგომად მოკლეს კახთა კონსტანტინე. ამავე წელს მოვიდა ბატონი თეიმურაზ კახეთს და გამეფდა.

1606—სჟდ შააბაზ განჯა აღიღო და შამახია დაიჭირა და დაიბადა მამია გურიელის ძე სვიმონ.

1609—სჟზ. მეფეს ლუარსაბს თათარხან-ზედ გაემარჯვა, მოსწყვიტნა, და გურიელ-მან მამიამ აჭარა დაიჭირა, ოსმალნი მოსწყვიტნა.

1610—სჟჱ. მოკუდა დედოფალი თინათინ როსტომ მეფის ცოლი. კვალად მოკუდა ბატონის თეიმურაზის ცოლი ანნა.

1611—სჟთ. ნადირობაში ცხენმან მოკლა დადიანი მანუჩარ და დაჯდა ძე მისი ლევან დადიანად და წარვიდა ყეენისთან ბატონი თეიმურაზ მგლოვიარე.

1612—ტ. ბატონ-მან თეიმურაზ ქორწილი ქმნა, ლუარსაბ მეფის დას ხვარამზან-ზედ.

1614—ტბ. მოკუდა მანუჩარ ათაბაგი, დაჯდა ძე მისი მანუჩარვე ათაბაგად.

1615—ტგ. (თათრ. ჩკდ.) შაჰაბაზ განჯას მოვიდა, თეიმურაზ დედა და ძენი წარუვლინა და ალიყულიხანის გაქცევას უკან შემოვიდა კახეთს და ქართლს. ლუარსაბ და თეიმურაზ იმერეთს წარვიდნენ. მერმე ლუარსაბ მეფე წარიყვანა.

1616—ტდ. (თათრ. ჩკდ). თეიმურაზ კახეთი დაიჭირა. შაჰაბაზ მოვიდა ტფილისს, დაუთხანის ძე ბაგრატ მეფედ დასვა, გაბრუნდა, კახეთი აჰყარა, წარიყვანა სრულიად, თეიმურაზ იმერეთს წარვიდა.

1618—ტვ. გურიელის მამიას ქალ-ზედ იქორწინა მეფის გიორგის ძემ ალექსანდრემ.

1619—ტზ. მოკუდა ბაგრატ, რომელი დაუტევა შაჰაბაზ მეფედ და ჩვენ ძე-მან მეფის ბაგრატისა-მან სვიმონ და დედა-მან ჩვენ-მან ანნა გიწყალობეთ.

1620—ტჱ. ბატონი თეიმურაზ სტამბოლს წარვიდა და შაჰაბაზ ძენი მისნი გამოასაჭურისნა.

1621—ტთ. სვიმონ მამია გურიელის ძემ ქორწილი ქმნა ლევან დადიანის დას მარიამ-ზედ.

1622—ტი. შაჰაბაზ-მან მეფე ლუარსაბ მოაშთობინა მშვილდის საბლით გულაბყალაში

1623—ტია. (თათრ. ჩლდ). ყარჩიხან და მოურავი მოვიდნენ, სვიმონ მეფე დასვეს ტფილისს, მუხრანს კახნი მოსწყვიტნეს, მერმე მოურავ-მან ყარჩიხან მოკლა, სპანი მისნი სრულიად მოსწყვიტნა და ბატონი თეიმურაზ კახეთს მოიყვანეს. კვალად გიორგი მეფე და ლევან დადიანი გოჭორაურ-ზედ შეიბნენ, დადიანს გაემარჯვა.

1624—ტიბ. (თათრ. ჩლდ). ყორჩიბაში მოვიდა, მანუჩარ ათაბაგი ურუმთა-გან ლტოლვილი ქართველთან მოვიდა და მარაბდის ომი იქნა, ქართველთ დაუმარცხდათ, ყიზილბაშთ არშიდამ ქალი გამოიყვანეს და წარვიდა ყორჩიბაში, სვიმონ მეფე დაუტევა ტფილისს. ბატონი თეიმურაზ კახეთს მოვიდა. ქეთევან დედოფალი აწამეს შირაზს.

1625—ტიგ. დაჯდა ათაბაგად საფარ-ფაშა და მოკლა მამია გურიელი ძე-მან იესე-მან და გაგურიელდა.

1626—ტიდ. ბაზალეთს შეიბნენ ბატონი თეიმურაზ და მოურავი, ბატონს თეიმურაზს გაემარჯვა.

1628—ტივ. (თათრ. ჩლჱ). მოკუდა შაჰაბაზ, დაჯდა შასეფი ყეენად, შვილისშვილი შაჰაბაზისა.

1629—ტიზ. ზურაბ ერისთავ-მან სვიმონ მეფე გამოიტყუა და მოჰკლა. ბატონა თეიმურაზ მოიყვანა, ბატონმა თეიმურაზ ზურაბ ერისთავი მოჰკლა, დუშეთიდამ წარმოიყვანა ასული თვისი და ალექსანდრეს გიორგი მეფის ძეს მისცა და აქორწინა ქისმარას მცირე ეკკლესიასა შინა.

1588—სოვ. სიმონ მეფე-მ სამცხე დალაშქრა. გვალად შეიბნეს სვიმონ და ლევან მეფენი გოფანთოსს, სვიმონს გაემარჯვა.

1590—სოჱ. ლევან მეფე და დადიანი მამია ქუთაისს შეიბნენ და დადიან-მან მეფე დაიჭირა, მხუთის ციხეში დააბა და მუნ მოკუდა. მეფედ დასვეს როსტომ კონსტანტინეს ძე. გვალად მოკუდა დადიანი მამია, დაჯდა მანუჩარ, ამან მოიყვანა ალექსანდრე კახთ მეფის ქალი და იქორწინა. გვალად გიორგი გურიელ-მან ქუთაისი აღიღო, მოიყვანა თეიმურაზის ძე ბაგრატ, ქუთაისი მისცა, თვისი ძმა მამია მოუკლა. გვალად მოიყვანა ურუმნი, ჩიჯავაძეს ციხე წაართვა, სხვა ჩიჯავაძე დასვა. გვალად მოვიდა სვიმონ მეფე, ქუთაისი აღიღო, ბაგრატ ქართლს წარიყვანა. გვალად მოვიდა სვიმონ მეფე ოფიშკვით დაუმარცხდა და გამეფდა როსტომ. სვიმონ მეფე-მ ლორე აღიღო, ოსმალნი მოსწყვიტნა.

1591—სოთ. ავხაზნი მოუხდნენ გურიას, გურიელის ძმე მამიამ მოსწყვიტნა. უშვა მანუჩარ დადიანს კახ-ბატონის ასულ-მან ძე ლევან და შობა-ზედ მოკუდა ქალი იგი.

1592—სპ. მანუჩარ დადიან-მან იქორწინა ვახტანგ გურიელის ქვრივ-ზედ.

1597—სპე. როსტომ მეფემ მოიყვანა ათაბაგის ქალი თინათინ დედოფლად და იქორწინა.

1599—სპზ. ცხრას თთუეს გორს ადგა სვიმონ მეფე, აღიღო იგი და ოსმალნი უვნოდ განუტევნა.

1600—სპჱ. სვიმონ მეფე შეიპყრეს ოსმალთა და წარიყვანეს, გამეფდა ძე მისი გიორგი, მოკუდა გიორგი გურიელი, დაჯდა ძე მისი მამია გურიელად.

1601—სპთ. გიორგი მეფემ ლორე აღიღო თვის-თვისად დაიჭირა.

1602—სჟ. (იათრ. ჩაბ) გიორგი მეფე და ალექსანდრე მეფე კახთა ერევანს მოდგომილს შააბაზ-თან მივიდნენ.

1603—სჟა. ალექსანდრე მეფის ძემ დავით, გიორგი ძმა თვისი დაიჭირა და მამა პატიმარ-ჰყო, თვით გაბატონდა. გვალად მოკუდა მეფე გიორგი, ძე მისი ლუარსაბ მეფე იქმნა.

1604—სჟბ. მანუჩარ დადიანის ძე ლევან კახეთიდამ მოიყვანეს მამას-თან ოდიშს.

1605—სჟგ. მოკუდა მეფე როსტომ, ძმა მისი გიორგი მეფე იქმნა. მოკლა ძე-მან მის-მან კონსტანტინემ მამა ალექსანდრე მეფე და ძმა თვისი გიორგი, შემდგომად მოკლეს კახთა კონსტანტინეც. ამავე წელს მოვიდა ბატონი თეიმურაზ კახეთს და გამეფდა.

1606—სჟდ შააბაზ განჯა აღიღო და შამახია დაიჭირა და დაიბადა მამია გურიელის ძე სვიმონ.

1609—სჟზ. მეფეს ლუარსაბს თათარხან-ზედ გაემარჯვა, მოსწყვიტნა და გურიელ-მან მამიამ აჭარა დაიჭირა, ოსმალნი მოსწყვიტნა.

1610—სჟჱ. მოკუდა დედოფალი თინათინ როსტომ მეფის ცოლი. გვალად მოკუდა ბატონის თეიმურაზის ცოლი ანნა.

1611—სჟთ. სადირობაში ცხენმან მოკლა დადიანი მანუჩარ და დაჯდა ძე მისი ლევან დადიანად და წარვიდა ყეენისთან ბატონი თეიმურაზ მგლოვიარე.

1612—ტ. ბატონისმან თეიმურაზ ქორწილი ქმნა, ლუარსაბ მეფის დას ხვარაშანზედ.

1614—ტბ. მოკუდა მანუჩარ ათაბაგი, დაჯდა ძე მისი მანუჩარვე ათაბაგად.

1615—ტგ. (თათრ. ჩკდ.) შაჰაბაზ განჯას მოვიდა, თეიმურაზ დედა და ძენი წარუვლინა და ალიყულიხანის გაქცევის უკან შემოვიდა კახეთს და ქართლს. ლუარსაბ და თეიმურაზ იმერეთს წარვიდნენ. მერმე ლუარსაბ მეფე წარიყვანა.

1616—ტდ. (თათრ. ჩკდ). თეიმურაზ კახეთი დაიჭირა. შაჰაბაზ მოვიდა ტფილისს, დაუთხანის ძე ბაგრატ მეფედ დასვა, გაბრუნდა, კახეთი აჴარა, წარიყვანა სრულიად, თეიმურაზ იმერეთს წარვიდა.

1618—ტვ. გურიელის მამიას ქალ-ზედ იქორწინა მეფის გიორგის ძემ ალექსანდრემ.

1619—ტზ. მოკუდა ბაგრატ, რომელი დაუტევა შაჰაბაზ მეფედ და ჩვენ ძე-მან მეფის ბაგრატისა-მან სვიმონ და დედა-მან ჩუენ-მან ანნა გიწყალობეთ.

1620—ტჱ. ბატონი თეიმურაზ სტამბოლს წარვიდა და შაჰაბაზ ძენი მისნი გამოასაჭურისნა.

1621—ტთ. სვიმონ მამია გურიელის ძემ ქორწილი ქმნა ლევან დადიანის დის მარიამ-ზედ.

1622—ტი. შაჰაბაზ-მან მეფე ლუარსაბ მოაშთობინა შიგალდის სახლით გულაბყალაში

1623—ტია. (თათრ. ჩლდ). ყარჩიხან და მოურავი მოვიდნენ, სვიმონ მეფე დასვეს ტფილისს, მუხრანს კახნი მოსწყვიტნეს, მერმე მოურავ-მან ყარჩიხან მოკლა, სპანი მისნი სრულიად მოსწყვიტნა და ბატონი თეიმურაზ კახეთს მოიყვანეს. კვალად გიორგი მეფე და ლევან დადიანი გოჯორაურ-ზედ შეიბნენ, დადიანს გაემარჯვა.

1624—ტიბ. (თათრ. ჩლდ). ყორჩიბაში მოვიდა, მანუჩარ ათაბაგი ურუმთა-გან ლტოლვილი ქართველთან მოვიდა და მარაბდის ომი იქნა, ქართველთ დაუმარცხდათ, ყიზილბაშთა არშიდამ ქალი გამოიყვანეს და წარვიდა ყორჩიბაში, სვიმონ მეფე დაუტევა ტფილისს. ბატონი თეიმურაზ კახეთს მოვიდა. ქეთევან დედოფალი აწამეს შირაზს.

1625—ტიგ. დაჯდა ათაბაგად საფარ-ფაშა და მოკლა მამია გურიელი ძე-მან იესე-მან და გაგურიელდა.

1626—ტიდ. ბაზალეთს შეიბნენ ბატონი თეიმურაზ და მოურავი, ბატონს თეიმურაზს გაემარჯვა.

1628—ტივ. (თათრ. ჩლზ). მოკუდა შაჰაბაზ, დაჯდა შასეფი ყეენად, შვილის-შვილი შაჰაბაზისა.

1629—ტიზ. ზურაბ ერისთავ-მან სვიმონ მეფე გამოიტყუვა და მოჰკლა. ბატონი თეიმურაზ მოიყვანა, ბატონმან თეიმურაზ ზურაბ ერისთავი მოჰკლა, დუშეთიდამ წარმოიყვანა ასული იგისი და ალექსანდრეს გიორგი მეფის ძეს მისცა და აქორწინა ქინძარას მცირე ეკკლესიასა შინა.

1634.—ტკბ. მოვიდა როსტომ მეფე ტფილისს, თეიმურაზ იმერეთს წარვიდა და ყიზილბაშთ გორის ციხე აღაშენეს.

1635—ტკგ. მოკლა როსტომ მეფემ ერისთავი დათუნა, დუშეთს შეუხდა და დაუმარცხდა. კვალად მოჴუდა საფარ ფაშა, დაჯდა ძე მისი უსუფ ათაბაგად.

1636—ტკდ. ერევანი აღიღო მურად ხონთქარ-მან და ბატონი თეიმურაზ მოვიდა დუშეთს, ზაალ ერისთავთან.

1638—ტკვ. როსტომ მეფე-მან მოიყვანა ლევან დადიანის და მარიამ და ქმნა ქორწილი და ლევან დადიან-მან გიორგი მეფე დაიჭირა და ტყვედ წარიყვანა, და მის-მან ძემ ალექსანდრემ დაიხსნა.

1639—ტკზ. ბატონ-მან თეიმურაზ კახეთი დაიჭირა. კვალად მოჴუდა გიორგი მეფე, ალექსან-დრე ძე მისი გამეფდა იმერეთს.

1640—ტკჱ. ბატონს თეიმურაზს დიდოეთს დაუმარცხდა.

1642—ტლ. (თათრ. ჩნბ). მოჴუდა შასეფი და დაჯდა ძე მისი შააბაზ.

1643—ტლა. როსტომ მეფეს მაღაროს ბატონმა თეიმურაზ დაუმარცხა.

1647—ტლე. (თათრ. ჩნჱ). მოჴუდა უსუფ ფაშა, დაჯდა ძე მისი როსტომ ათაბაგად.

1648—ტლვ. ბატონს თეიმურაზს უღლისს დაუმარცხდა და მაღაროს ძე მისი დათუნა მოკლეს.

1650—ტლჱ. ალექსანდრე მეფეს-თან რუსთ-ჴელმწიფის ელჩნი მოვიდნენ ქუთათისს. ბატონი თეიმურაზც იქ იყო.

1653—ტმა. ვახტანგ მუხრანის ბატონი ძე თეიმურაზისა ქართლის გამგე იქმნა.

1654—ტმბ. ბატონიშვილი მამუკა, ალექსანდრე მეფის ძმა მოჴუდა ოდიშს თვალ-დამწვარი.

1656—ტმდ. ბატონი თეიმურაზ რუსეთს წარვიდა. კვალად მცხეთის გუმბათი ჩამოვარდა, რო-სტომ მეფემ აღაშენა.

1657—ტმე. მოჴუდა ლევან დადიანი, დაჯდა ლიპარიტ და ალექსანდრე მეფე ჩაუხდა, ოდიში მოსტყუვნა, ლიპარიტ განაძო. ვამიყ ლიპარიტიანი დადიანად დასვა, უნაგირას აქეთი თვითან დაიჭირა.

1658—ტმვ. ბანძას ალექსანდრე მეფეს შეებნენ დადიანი, გურიელი, ფარად ფაშა, ქართველნი სციციანო, ბარათიანნი, მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა, ვამიყ დადიანად დასვა, დემეტრე გურიელად, ლიპარიტ დადიანი და ქაიხოსრო გურიელი სტამბოლს წარვიდნენ. კვალად მოჴუდა როსტომ მეფე, დაჯდა ვახტანგ მეფედ ქართლისად.

1659—ტმზ. კახეთს დასვეს სელიმ-ხან და ზაალ ერისთავ-მან კახეთს ელნი მოსწყვიტნა. კვალად მოჴუდა როსტომ ფაშა, დაჯდა ძე მისი სალიმ ათაბაგად. კვალად მოვიდა ბატონი თეიმურაზ რუსეთიდამ იმერეთს.

1660—ტმჱ. მოკუდა ალექსანდრე მეფე, დაჯდა ძე მისი ბაგრატ, დედისნაცვალ-მან დარეჯან, ძმის-წული თვისი ცოლად შერთო და ქმრს თოჯმს უკან თვალნი დასწვა ბაგრატს. მან ვახტანგ შეირთო და გამეფდა: მერმე ასლან-ფაშა ჩამოვიდა, დარეჯან და ვახტანგ წარიყვანა და ბაგრატ დასვა. კვალად მოკლეს ზაალ ერისთავი მაისს იგ გვირას. კვალად მოკუდა კათალიკოზი ქრისტეფორე, დაჯდა დომენტი ძე ქაიხოსროსი.

1661—ტმთ. შანაოზ მეფემ იმერეთი დაიჭირა, ოდიში მოსტყუევნა, დადიანად ლევან დასვა, ქუთათის ძე თვისი არჩილ აკურთხა, მეფედ დასვა, ბატონი თეიმურაზ ტფილისს წარმოგზავნა და იმერეთიდამ მოსულ-მან თეიმურაზ ყეენსთან წარავლინა.

1662—ტნ. მოვიდა ძის-ძე ბატონის თეიმურაზისა რუსეთიდამ ერეკლე თუშეთს და კახეთს ეკირთებოდა.

1663—ტნა. ვახტანგ მეფემ ძე თვისი არჩილ იმერეთიდამ წარიყვანა და იმერეთს ბაგრატ წარგზავნა და მეფედ ჰყვეს: ერეკლე თუშეთს განაძო, კახეთი თვით დაიპყრა. კვალად მოკუდა ბატონი თეიმურაზ ასტარაბადს. კვალად შეიბნეს ბაგრატ და ლევან დადიანი, მეფეს გაემარჯვა და დადიანი დაიჭირა, ცოლი წაართვა, თვით შეირთო, და თვისი გოშაძის ნაცოლარი მას შერთო ცოლად.

1664—ტნბ. შანაოზ მეფე თორღას მოადგა. კვალად არჩილ კახეთს მოვიდა მეფედ. კვალად ბატონი თეიმურაზ ალავერდს დაფლეს.

1666—ტნდ. მოკუდა ჩხეიძე კათალიკოზი სვიმონ, დაჯდა საყუარელიძე ევდემონ. კვალად სეხნია ჩხეიძე-მ ქუთათის ციხე აღიღო, ოსმალთა მისცა.

1667—ტნე. მოკუდა შააბაზ, დაჯდა ძე მისი შა-სულეიმან. კვალად არჩილ მოიყვანა სამცხიდამ ბატონის თეიმურაზის ძის დავითის ასული ქეთევან და იქორწინა ტფილისს. კვალად ბეჟან ლორთქიფანიძემ ქუთათისის ციხე აღიღო, ოსმალნი მოასწყვიტნა:

1668—ტნვ. დარეჯან დედოფალ-მან ოსმალნი ჩამოიყვანა, მრავალნი სულნი მოასწყვიტნეს, ხატნი, ჯვარნი შემუსრნეს. დადიანი, გურიელი თანა-ახლდნეს, დარეჯან მეფედ დასვეს, თვით წარვიდნენ, ბაგრატ მეფე ქართლს წარვიდა. მერმე მოკლეს იმერთა დარეჯან და ვახტანგ. გურიელი დემეტრე მეფედ ჰყვეს. კვალად შეიპყრეს გურიელი, თვალნი დასწვნეს და გურიას დაჯდა გიორგი.

1669—ტნზ. სთხოვეს შანაოზ მეფეს იმერთა ბაგრატ მეფე და მეფედ ჰყვეს. მერმე სალთხუცესი ჩხეიძე სეხნია სრულიად იმერნი დადიანითურთ მეფეს შეებნენ. მეფეს რაჭა-ლეჩხუმელით გაემარჯვა.

1671—ტნთ. ქუთათის სრულიად იმერნი დადიანი-თურთ მეფეს დაესხნენ. მეფე რაჭას გაეცალა.

ისინი ფეგუთს დადგნენ, იმერეთს არბევდენ. მეფე რაჭა-ლეჩხუმით ჩამოვიდა ქუ-თაის, შეებნენ, მეფეს გაემარჯვა, დადიანი დაიჭირა, შეწყალებული გაუშვა.

1672—ტჲ. ფაშა და ბაგრატ მეფე ქუთაისს შეებნენ. ფაშას გაემარჯვა, ბაგრატ მეფე შეიპყრა.

1674—ტჲბ. ბაგრატ მეფემ ქუთაისის ციხე აიღო. კვალად ყეენის მოწოდებული ერეკლე, ბატონის თეიმურაზის ძის ძე კახეთს მოვიდა.

1675—ტჲგ. წარვიდა არჩილ მეფე იმერეთს დასაჭერად. კვალად წარვიდა შანავაზ მეფე ყეენ-თან და გარდაიცვალა ხოსკარას. კვალად გარდაიცვალა კათალიკოზი ქართლისა დო-მენტი. კვალად წარვიდა ძე შანავაზ მეფისა გიორგი ყეენ-თან სამეფოდ.

1676—ტჲდ. მოვიდა გიორგი მეფედ ყეენიდამ ისფარის, დასვა კათალიკოზად ნიკოლაოზ. კვალად ბაგრატ მეფეს ეყვა თამარ ძე გიორგი.

1677—ტჲე. ბეჟან-ხან კახ-ბატონად მოვიდა. კვალად ბაგრატ მეფემ გიორგი გურიელს მისცა ასული თვისი დარეჯან ცოლად.

1678—ტჲვ. არჩილ იმერეთი დაიჭირა. ბაგრატ გურიას წარვიდა, მიიცვალა თუთა ბატონის-შვილი, გურიელის ქალი, მეფის ძის ლევანის ცოლი.

1679—ტჲზ. აჯი ალი-ხან თავრიზს მოვიდა. კვალად ჩამოვიდა არზრუმის ფაშა იმერეთს, არჩილ განაძო, ბაგრატმე დასვა. მერმე მოკლა არზრუმის ფაშამ ახალ-ციხის ფაშა ასლან კვასიჭარს და წარვიდა.

1680—ტჲჱ. მოკვდა დადიანი ლევან. კვალად ათაბაგად დაჯდა ძე ასლანისა იუსუფ. მეფის ძე-მ ლევან იქორწინა ოისათის-შვილზედ.

1681—ტჲთ. ფაიქომიდამ მეფე არჩილ რუსეთს წარვიდა. კვალად მოკვდა ბაგრატ მეფე და გამეფდა იმერეთს გიორგი გურიელი.

1682—ტო. მარიამ დედოფალი მიიცვალა. კვალად წარგზავნა ძე ბაგრატისა ალექსანდრე გი-ორგი მეფე-მან სამეფოდ ახალ-ციხეს.

1683—ტოა. მიიცვალა თამარ დედოფალი, მეფის გიორგის ცოლი და იმერეთს ალექსანდრე გამეფდა. კვალად მოკვდა იმერთ დედოფალი თამარ, მუხრან ბატონის ქალი.. კვალად ბეჟან-ხანი წარვიდა, სხვა ხანი მოვიდა კახ-ბატონად.

1684—ტობ. როკითს ალექსანდრე მეფეს გაემარჯვა, მოკლეს გიორგი გურიელი და გაგურიელ-და მალაქია ძმა გიორგისა.

1685—ტოგ. დაჯდა გურიელად ქაიხოსრო გიორგის ძე, მალაქია ახალ-ციხეს წარვიდა.

1687—ტოე. გიორგი მეფემ კოჯორ-შიგ ქორწილი ქმნა, მიქელაძის ქალს ხვარამზან-ზედ. კვალად ალექსანდრე მეფემ რაჭა დალაშქრა.

1688—ტოვ. კახ-ბატონად მოვიდა აბაზ-ყულიხან, გიორგი მეფემ ძე თვისი ბაგრატ და ძმა ლევან ყეენ-თან წარგზავნა და ბაზაიკულს შეუხდა დუშეთს, დაუმარცხდა: ამან

ზაფხულსვე მოვიდა ერეკლე ტფილისს მეფედ, გიორგი მეფე რაჭას წარვიდა. კვალად ამავ შემოდგომას მოვიდა რაჭას არჩილ მეფე რუსეთიდამ.

1689—ცოზ. ოსმალთ მოკლეს ქაიხოსრო გურიელი, მალაქია გააგურიელეს, მერე მამია ძე გიორგისა.

1690—ცოჱ. მოკუდა იუსუფ ფაშა, დაჯდა ძმა მისი ხალილ ათაბაგად და კვალად არჩილ იმერეთს გამეფდა. კვალად გოდოგნის ომი იქმნა, არჩილს გაემარჯვა, ალექსანდრე ქართლს წარვიდა.

1691—ცოთ. გიორგი მეფე-მ ახალციხიდამ გამოლაშქრებულ-მან ქართლი დაიჭირა. ერეკლე მეფე ტფილისის ციხეში შევიდა. კვალად ფაშამ ალექსანდრე წაიყვანა იმერეთს, გაამეფა. არჩილ რაჭიდამ ქართლს ჩავიდა და ქუთაისს ეკკლესია ყოვლად წმიდისა შემუსრეს ოსმალთა. კვალად ალექსანდრე მეფე-მ, გიორგი აბაშიძის ქალი თამარ შეირთო ცოლად. კვალად ქართველთ დაუმარცხდათ ნისი-წმიდას: მოკლეს ბარძიმ მდივანბეგი.

1692—ცპ. მოკუდა შაჰ სულეიმან, დაჯდა ძე მისი შაჰ-სულთან ჰუსეინ. კვალად შეიპყრეს არჩილ მეფე ჩერქეზთა.

1694—ცპბ. გიორგი მეფე მცხეთას დადგა, ერეკლე მეფე ჯვარს. ერეკლეს მოუშველა აბაზ ყულიხან და ბრძოლეს ერთმანერთს. კვალად მოკუდა თამარ მეფის ქალი, გივი ამილახორის ცოლი.

1695—ცპგ. ხვარაშან დედოფალი გიორგი მეფის ცოლი მიიცვალა. კვალად მისცა ყეენ-მან ქალბალი-ხანს კახეთი და სარდლობა. მოვიდა ტფილისში ერეკლე მეფე-თურთ და დასხდა თრიალეთს და გიორგი მეფე კლდე-კარზედ. იმერთ შეიპყრეს ალექსანდრე მეფე, მოსცეს გიორგი მეფეს, მოაშთვეს რუისს და დაფლეს მუხნე და არჩილ იმერეთს გამეფდა. ოკდომბერში გიორგი მეფეს კლდე-კარს დაუმარცხდა, იმერეთს წარვიდა. ერეკლე მეფე-მ ქართლი დაიჭირა. კვალად ამავ ზამთარს შეუხდნენ კახნი ჯარს, დაუმარცხდათ და მოსწყვიტნეს ლეკნი მრავალნი.

1696—ცპდ. წარვიდა გიორგი მეფე იმერეთიდამ ყეენთან ისპაანს. შემდგომად არჩილ განაძეს იმერთა. გიორგი დასვეს მეფედ გოჩიად წოდებული. კვალად მოკუდა რაჭის ერისთავი პაპუნა, დაჯდა ძე მისი შოშიტა ერისთავად.

1698—ცპვ. ჩამოიყვანეს ოსეთიდამ არჩილ იმერეთს, მეფედ ჰყვეს, გოჩია განაძეს. შემდგომა-ზედ ფაშამ ჩამოიყვანა ძე ალექსანდრე მეფისა სვიმონ, მეფედ დასვა და არჩილ მეფე დვალეთს წარვიდა.

1700—ცპჱ. არჩილ მეფე რუსეთს წარვიდა დვალეთიდამ. კვალად მოკუდა კათალიკოზი იოანე დიასამიძე: დასვა ერეკლე მეფე-მან ძმისწული მისი ევდემოზ კათალიკოზად.

1701—ცპთ. იმერეთს მოკლეს სვიმონ მეფე, მამია გურიელი გაამეფეს; კვალად მისცეს ვახტანგ ბატონიშვილს სამოურავისწულო და მოვიდა შემოდგომაზედ. სურამს დადგა. კვალად წარვიდა გურიელი გურიას და აბაშიძე გიორგი განაგებდა იმერეთს, კვალად მოკუდა სალიმ ფაშა და დაჯდა ძე უხუცეს ფაშისა ისაყ ათაბაგად.

1703—ცჟა. მისცეს გიორგი მეფეს ქართლი და მოვიდა ძმა მისი ლევან ტფილისში. ერეკლე მეფეს ყულარაღასობა და კახეთი მისცეს, მაისში ისპაჰანს წარვიდა. კვალად მოვიდა იმამ ყულიხან ძე ერეკლე მეფისა კახთ-ბატონისად. კვალად ჩამოვიდა მარიამობის თვეში სარასკარი იმერეთს, დაუტევა მეფედ ძე ალექსანდრე მეფისა გიორგი და წარვიდა.

1704—ცჟბ. ლევან წარვიდა ისპაჰანს სეკდემბერს, ვახტანგ ძე თვისი განმგედ დაუტევა და იესე ძე თვისი წარიყვანა.

1705—ცჟგ. დომენტი ძე ლევანისა და ძმა ვახტანგისა ქართლის კათალიკოსად დასვეს. კვალად გარდააყენეს ისაყ ფაშა და დასვეს ასლან ძე სალიმ ფაშისა ათაბაგად.

1706—ცჟდ. იმამ ყულიხან შეუხდა ჭარს, დაუმარცხდა, მრავალნი კახნი მოსწყვიტნეს ლეკთა.

1707—ცჟე. კათალიკოსი დომენტი ისპაჰანს წარვიდა ყეენთან. უკუდგნეს იმერნი აბაშიძისაგან, გიორგი ძე ალექსანდრესი გაამეფეს.

1708—ცჟვ. კათალიკოსი დომენტი მოვიდა ისპაჰანიდამ. კვალად გარდააყენეს ასლან-ფაშა, დასვეს ისაყვე ათაბაგად.

1709—ცჟზ. მოკლეს გიორგი მეფე ყანდაარს, მისცეს ქართლი და სპასალარობა ქაიხოსროს ძესა ლევანისასა. კვალად მოკუდა მაისში ლევან ისპაჰანს. კვალად გაემარჯვა გიორგი მეფეს ფარცხანისყანს, კაცხის და სავარძეთის ციხე აიღო. მერმე რაჭა დალაშქრა.

1710—ცჟთ. მოკუდა ერეკლე მეფე ისპაჰანს, კვალად მოკუდა თეიმურაზ ბატონიშვილი, ძმა ვახტანგისა დეკემბერს ჩ. კვალად მოკუდა ალექსანდრე ძე არჩილ მეფისა რიგას.

1711—ცჟი. იმამყულიხან იანვარში წარვიდა ისპაჰანს. ვახტანგ ოსეთი დალაშქრა აგვისტოში, და გიორგი მეფემ აგვისტოში რაჭა დალაშქრა. ოკდომბერს განაძეს გიორგი ქართლში და გურიელი მამია დასვეს მეფედ. კვალად მოკლეს მეფე ქაიხოსრო ოკდომბერს კე ყანდაარს.

1712—უ. ვახტანგ მეფემ ფებერვალში ქორწილი უყო თეიმურაზს ერეკლე მეფის ძეს თამარს თვის ქალზე და ვახუშტი აბაშიძეს ასულზედ და წარვიდა ისპაჰანს აპრილს კზ. კვალად მოკუდა არჩილ მეფე მოსკოვს. კვალად ჩხარის ომი იქმნა, მეფეს გიორგის გაემარჯვა იგნისში. გურიელი რაჭას წარვიდა. კვალად დაიბადა აგვისტოს ბ გიორგი, ძე ვახტანგ მეფისა გორს.

1713—ჳა. დიდი მძლობა იყო და ჟამი მომსრველი, ნოემბერში შეიბნენ ქუთაის გიორგი მეფე და გურიელი მამია, გურიელს გაემარჯვა.

1714—ჳბ. იანვარს ე მოკუდა გურიელი მამია ღვანკითს. გურიას დასვეს ძე მისი გიორგი, მაისში გიორგი მეფე-მ იმერეთი დაიჭირა, სეკდემბერში მოვიდა მეფის ვახტანგის ძმა იესე ტფილისს მეფედ.

1715—ჳგ. ისანყულიხან მოვიდა ისპაანიდამ კახეთს. კვალად ლეკო-მდევარნი კახნი მოსწყვიტნეს მოთავარნი კჱ და შემოდგომასაზედ ქორწილი ქმნა იესე მეფე-მ მარტყოფს ერეკლე მეფის ქალ-ზედ ელენე-ზედ. კვალად გიორგი მეფე-მ დადიანი გიორგი გარდააგდო, დასვა დადიანად ძე მისი ბეჟან. კვალად შეიპყრა ბეჟანმა მამა თვისი დადიანი გიორგი. კვალად წარავლინა იესე მეფე-მან სპასპეტი ლუარსაბ საბარათიანოს დროშით ლეკ-ზედ, მაღაროს ბოლოს დაუმარცხდათ და მრავალნი ქართველნი და კახნი მოსწყვიტნეს ლეკთა-ჭარელთა.

1716—ჳდ. მოკუდა დედოფალი ანნა, ცოლი ერეკლე მეფისა გამაჰმადიანებულის. კვალად აგვისტოში მისცეს მეფე ვახტანგს ქართლი და სპასალარობა, სეკდემბერში მოვიდა ძე მეფისა ვახტანგისა ბაქარ მცხეთას. იესე კახეთს წარვიდა. კვალად გარდააგდეს ისაყ ფაშა, დასვეს ასლანფაშა ათაბაგად: ეს ჩაიყვანეს იმერეთს და შეიბნენ გიორგი მეფე და ასლან ფაშა სუმოისეთს. ფაშას გაემარჯვა, მეფე ქართლს წარვიდა.

1717—ჳე. გიორგი მეფე წარვიდა სტამბოლს. კვალად ივლისში ლეკთ ბოლნისები მოარბიეს მოსტყვევნეს. მიეწივნენ მდევრად მცირედნი ქართველნი საზარას სოფლის ბოლოს, ქართველთ დაუმარცხდათ.

1719—ჳზ. მოვიდა მეფე ვახტანგ აგვისტოში ტფილისს. კვალად მოვიდა გიორგი მეფე სტამბოლიდამ. ჩამოიყვანა ოსმალნი და დაიჭირა იმერეთი. კვალად დეკემბერში საფურტლეს მეფე ვახტანგ და იმამყულიხან შეიყარნეს.

1720—ჳჱ. წარავლინა მეფე-მან ვახტანგ სპანი ლეკ-ზედ საშველად იმამყულიხანისა. კვალად მოკლეს იმერთ გიორგი მეფე თებერვალს კზ. და აღილო ციხე კაცხისა ერისთავ-მან შოშიტა-მ და გამოიღო საგანძური მისი.

1721—ჳთ. მეფე ვახტანგ მივიდა მაღაროს დიდის ლაშქრით ლეკ-ზედ თებერვალშიდ. მაისში მოკუდა იმამყულიხან კახ-ბატონი. კვალად ფაშამ ჩამოიყვანა ალექსანდრე გიორგი მეფის ძე, მეფედ ქნა იმერეთს.

1722—ჳი. ვეზირ-მან მამად-ყულიხანს მარტში მისცა კახეთი და მოვიდა ყაზახში. კვალად ავღანნი მოადგნენ ისპაანს აპრილში. მაისში წარვიდა ვახტანგ განჯას და განარის ლეკთა-თვის. კვალად გამოვიდა რუსეთის ხელმწიფე დიდი პეტრე დარუბანდს, აგვისტოში დაიჭირა კვალად. მეორედ წარვიდა მეფე ვახტანგ განჯას სეკდემბერში,

კვალად მოკჳდა აბაშიძე გიორგი ტფილის ოკდომბერს იე. ამავ ოკდომბერში აღიღეს ავღანთ ისპაანი და ჰპატიმარ ჰყვეს შასულთან ჳსეინ.

1723—ჳია. მისცეს შამად ყული-ხანს ქართლი, მოვიდა იანვარში ავღაბარს. თაბორზე დაუმარცხდა აშრაფს იგ, ლტოლვილი მივიდა ლეკში. მაისს დ დაუმარცხდა მეფე ვახტანგს და აღიღეს ლეკთ ტფილისი. ივლისში მიეგებნეს ბაქარ და იესე სარასკარს და წამოვიდა ოსმალი. ყურყუთას მიეგება შამად ყული-ხან სარასკარს, მისცა ციხე ტფილისისა. სარასკარ-მან ქართლი ბაქარს მისცა. შამად ყული-ხან შეიპყრა, სეკდემბერში ოსმალთ მარტყოფი მოსტყუევნეს, ოკდმბერს სარასკარი განჯას წარვიდა, უქმი მოიქცა.

1724—ჳიბ. მეფე ვახტანგ წარვიდა რუსეთს ივლისს იე, ოკდომბერში, მოიყვანეს ქართველთ შამად ყული-ხან კახთა სპითა. ზედავეღაზედ, ოსმალნი და იესე მეფეს შეებნენ, ოსმალთ გაემარჯვათ, მრავალნი სულნი ქართველნი და კახნი მოსწყვიტნეს. კვალად ამავ ივნისში რაჭის ერისთავი შოშიტა ალექსანდრე მეფეს მიუხდა. მეფე სკანდის ციხეში მოჰრჩა.

1725—ჳიგ. ალექსანდრე მეფემ რაჭა დალაშქრა. ოსმალთ ქართლი აღწერეს, ხარკი დასდვეს.

1726—ჳიდ. მოკჳდა გიორგი გურიელი, დაჯდა ძე მისი მამია. კვალად მოადგნენ მეფე ალექსანდრე და ბექან დადიანი ლევან აბაშიძის ციხეს მორაპანს, აღიღეს, მისცეს, ზურაბ აბაშიძეს. კვალად გამოვიდა მეფე ვახტანგ სეკდემბერში გილანს რუსეთიდამ.

1727—ჳიე. მოკჳდა იესე მეფე ტფილისს ოსმალობაში.

1728—ჳივ. მოკლეს ბექან დადიანი ოსმალთა, ძე მისი ოტია გადადიანდა. კვალად მეფე ვახტანგ გილანიდამ მოსკოვს მივიდა.

1729—ჳიზ. მოჰკლეს შამად ყული-ხან ოსმალთა ბექანბალს. კვალად სომეხნი შეიშალნენ ავღანებისაგან და თეიმურაზ ფშავს წარვიდა.

1730—ჳიჱ. მოადგა მეფე მორაპანს, შეამჭირვა, მოიყვანა ზურაბ აბაშიძემ ოსმალნი და მისცა მათ მორითა ლევანისათა.

1731—ჳით. წამოიყვანეს თეიმურაზ კახ-ფშავიდამ და დაემორჩილნენ. მოკჳდა შოშიტა ერისთავი, დაჯდა ძე მისი გრიგოლ.

1732—ჳკ. შეირთო მეფე ალექსანდრე-მ აბაშიძის ლევანის ქალი და ასული თვისი დადიანის ქალის ნაშობი მისცა გურიელს მამიას ცოლად.

1733—ჳკა. ფაშამ ალექსანდრე მეფე წარიყვანა იმერეთს სპითა, გამოეპარა ახალზუფიდამ და მოვიდა იმერეთს.

1734—უკბ. ჩიხორს მეფეს ალექსანდრეს შეებნენ დადიანი ოტია, რაჭის ერისთავი გრიგოლ აბაშიძე დავით, მეფეს გაემარჯვა, დადიანი დაიჭირა. კვალად მეფე ვახტანგ დარუბანდს გამოვიდა. კვალად მოვიდა თამაზ-ხან, შამახია აღიღო, სულხავი შემუსრა, მერმე განჯას მოადგა, მუნ მივიდა თეიმურაზ სრულიად კახით. შემდგომად ქართველნი, ორთავე ჯარი მისცა, წარმოგზავნნა, შეუძღვნენ კახნი ჭარში და შემუსრეს ჭარი და ქართველნი და ყიზილბაშნი ბრძოდნენ ტფილის მუნ მყოფს ფაშას.

1735—უკგ. თამაზ-ხანს ერევანს სარასკარს ქოფრულ-ზედ გაემარჯვა. მისცეს რუსთ დარუბანდი და ოსმალთ ტფილისი, განჯა და ერევანი. კვალად მეფე ვახტანგ აშტარხანს გავიდა. კვალად ტფილისს მოამავალს თამაზ-ხანს გაეპარნენ თეიმურაზ და ქართველნი. თამაზ-ხან ტფილისიდამ გაუსია ჯარი და აჰყარნა ქართველნი მრავალი სული და წარავლინა ხორასანს. იმერეთს წარუვლინა დესპანი, მათ გააპარეს და გაჰყიდეს. მერმე ჩავლო კახეთი, აჰყარა მისცა მრავალი სული, მივიდა დარუბანდს, მერმე მუღანჩოლში დადგა.

1736—უკდ. თამაზ-ხან გაჴელმწიფდა თ მარტს მუღანჩოლში, კვალად იწოდავე ნადირშა.

1737—უკე. გორს ყიზილბაშთ მიიტყუვეს თეიმურაზ და ქართველნი, შეიპყრეს და წარავლინეს ისპაანს შანადირს წინაშე. კვალად გარდაიცვალა მეფე ვახტანგ აშტარხანს მარტს კზ. კვალად გარდავიდა ისაყ ფაშა და დასვა ძე თვისი უსუფ ფაშა ათაბაგად.

1738—უკვ. მოკლა ღალატით ალექსანდრე მეფემ დავით, ძე ზურაბ აბაშიძისა და წერეთელი პაპუნა და უკუ-დგნენ დადიანი, ერისთავი და ზურაბ. კვალად მოვიდა თეიმურაზ ყანდაარიდამ კახეთს. კვალად შანშე ერისთავს მოუხდა ხანი, განაძო და წარვიდა იმერეთს დედა-წულითურთ. მერმე წარვიდა რუსეთს. კვალად ალექსანდრე მეფემ წარგზავნა დესპანად რუსეთს ქუთათელი ტიმოთე გაბაშვილი არმაღნითა.

1739—უკზ.! სპასალარი შანადირის ძმა მოუხდა ადრიბეჟანისა და ქართველთ-კახთ სპითა ჭარს, შემუსრა და მოაოხრა სრულიად, მერმე მოკლეს ლეკთ სპასალარი და ივლტოდეს სრულიად სპანი, ლეკთ მოსწყვიტნეს მრავალნი სულნი. კვალად რუსეთიდამ მოსრულ-მან შანშე ერისთავმან მოიყვანნა ლეკნი, მოადგა ანანურს, გამოიყვანა ბარძიმ ერისთავი და მოსწყვიტნა სრულიად სახლეულით მათით და ზოგნი გამოწვნა კოშკთა შინა. კვალად ალექსანდრე მეფემ შანშესა-გან ჩაიყვანა ლეკნი იმერეთს, ჩავიდა ოდიშს და შემუსრნა ციხე. კვალად შანადირის ძემ მოჰკლა შასთამაზ და ძე მისი და მოსწყდა თესლი შახთა მათ.

1740—უკჱ. მოუხდა დადიანი ოტია ალექსანდრე მეფეს ოდიშარ-აფხაზითა, მეფე გაეცალა,

მან მოსწვა ვარციხე და იმერეთი. კვალად მოკჳდა სვიმონ ბატონი-შვილი პეტრებურღს იანვარში კზ: კვალად მოკვდა დარეჯან ბატონი-შვილი მოსკოვს სეკდემბერს. კვალად მიიცვალა დედოფალი რუსუდან მოსკოვს დეკემბერს ლ.

1741—უკთ. შანადირ მოვიდა ინდოეთიდამ არდაველს, მიეგებ თეიმურაზ. წარმოავლინა სპითა და შეუხდეს ჭარს, შემუსრეს, მოსწვეს და მოსტყუევნეს. შანადირ მოადგა დაღისტანს ლეკთა. დარუბანდს მივიდენ თეიმურაზ კახით და ქართველნი და კათალიკოზი დომენტი. კვალად იმერთ ჩაიყვანეს ოსმალნი, ალექსანდრე მეფე განაძეს ქართლს, გიორგი ძმა მისი მეფედ დასვეს. კვალად შანშე განაძეს და ოსმალთ პყრობილი მოსცეს შანშე შანადირს, ხორასანს წარგზავნა. კვალად შანადირის ბრძანებითა ფაშამ ალექსანდრევე დასვა მეფედ. კვალად მიიცვალა კათალიკოზი დომენტი ტფილისს, დასვა კათალიკოზად ხერხეულიძე ნიკოლაოზ.

1742—ულ. ალექსანდრე მეფემ მოჰკლა დედის-ნაცვალი თვისი თამარ, გურიელის მამიას ქალი და მოსწყვიტნა გიორგის მიმდგომნი, ზოგი დაჭირნა. კვალად აუჴდა გივი ამილახვარი და მეფე ბაქარ მოვიდა აშტარხანს: ხოლო შანადირ ადგა დაღისტანს ერთ-წელ და წარვიდა სპარსეთად. კვალად დიდი ძვრა იყო, დაიქცა ალავერდის ეკკლესია და ხოდაშნის ციხე. კვალად გივი აოხრებდა ქვეყანასა ლეკით. კვალად ბაქარ უკუ-იქცა მოსკოვსვე. კვალად მოკჳდა კათალიკოზი აფხაზთა გრიგოლ დაჯდა გერმანე.

1743—ულა. ბეჟან არაგვის ერისთავი მოკლეს ყმათა და მიერთნენ თეიმურაზს. კვალად თეიმურაზ შეიპყრა ყეენის შვილად წოდებული და წარუვლინა შანადირს. ამისათჳს მოსცა არაგვის საერისთო და დაიპყრა მან. კვალად გეგუთს მოვიდნენ დადიანი და ერისთავი გრიგოლ ალექსანდრე მეფეზედ, მეფეს გაემარჯვა, მოკლეს გრიგოლ რაჭის ერისთავი და დაჯდა ძმა მისი ვახტანგ ერისთვად.

1744—ულბ. ქართლს ჩამოვიდნენ ოსმალნი, მივიდა გივი ამილახორი მათთანა, თეიმურაზს ყიზილბაშ-ქართველთ გორს მდგომთ მოადგნენ და არაგვზე ერეკლემ დაუმარცხათ ოსმალთ და ესენიც ივლტოდენ. გამოვიდნენ გორიდამ და აღიღეს ალაფი მათი, გაქცეული უსუფ-ფაშა მოკჳდა აწყვერს და მიიღო ათაბაგობა კვალად ისაყ ფაშამვე. ამისათვის მოსცა შანადირ თეიმურაზს ქართლი და კახეთი ერეკლეს ძესა მისსა. მოჰკლა კათალიკოზი თაზი-შვილმან და დასვეს კათალიკოზად ანტონი ძე იესე მეფისა.

1745—ულგ. მოადგა გივს ამილახორს თეიმურაზ ყიზილბაშ-ქართველით სურამს ციხეში მყოფს, გამოიყვანეს გივი და წარუგზავნეს შანადირს. კვალად მოუხდა ალექსანდრე მეფე ლევან აბაშიძეს და ბრძოდნენ.

**1746—ულდ.** მოკუდა დედოფალი თამარ, მეფის ვახტანგის ქალი და დაი მისი ანუკა და თეიმურაზ იე (1) უკან შეირთო ქვრივი ქაიხოსრო ციცი-შვილისა ბეჟან თაქალთიანის ქალი. კვალად განაძეს მეფე ალექსანდრე და მივიდა დადიანს ოტიას-თან.

**1747—ულე.** შეაგდო შანადირ ქართლს, კახეთს მ ათასი თუმანი. ამის სახვეწრად წარვიდა თეიმურაზ მის-თანა. არამედ მაისში მოჰკლეს შანადირ ყიზილბაშთა და დასვეს ძმის-წული მისი ადილშა.

**1748—ულვ.** უკუდგნენ ერეკლეს-გან აღავერდი და ბარათიანნი, მოიყვანეს ყიზილბაშნი სა-ლალაკ-ზედ, ერეკლეს გაემარჯვა. მერმე აღილო ციხე ტფილისისა, განაძო მუნიდამ ყიზილბაშნი და შემუსრა ზღუდე ციხე ტფილის შორისი.

**1749—ულზ.** მოკლეს შაადილ და შემოდგომა-ზედ მოვიდა თეიმურაზ ტფილისს. მეფე-მან ალექსანდრემ ოსმალნი ჩამოიყვანა იმერეთს.

**1750—ულჱ.** მოკუდა მეფე ბაქარ მოსკოვს ა ფებერვალს. მოვიდა გივი ამილახორი მრავლის საქონლით ქართლს.

**1751—ულთ.** თეიმურაზს ერეკლეს ქართველთ და კახთ ჯარში მისმსლველთ დაუმარცხდათ, აჯიჩალაბისა და ჭარელთა-გან კაცს და მოსწყვიტეს მრავალი სული და მოიშთო ალაზანში, კვალად გაემარჯვა ერეკლეს აზათხან-ზედ ყრევანს.

**1752—უმ.** თეიმურაზს ერეკლეს ქართველთ და კახთ დაუმარცხდათ განჯას აჯიჩალაბისა-გან და მოსწყდა მრავალი სული. კვალად განძარცვა ხახულის ღვთის-მშობელი და მის ძლით ამ დიდ-მარხვას მარტში მოკუდა ალექსანდრე მეფე, დაჯდა ძე მისი სოლომონ მეფედ. კვალად თეიმურაზ წარგზავნა დესპანად ტფილელი ათანასე რუსეთს არმაღანითა.

**1753—უმა.** მეფე სოლომონ განაძეს მთავართა იმერეთისათა. მან ფაშა ჩამოიყვანა და დაიპყრა კვალად იმერეთი.

**1755—უმგ.** შეუთქვეს კახთ ანტონ კათალიკოზს ფრანგობა მტერობით და განაძეს. კვალად რომის ბერნი კაპუჩინნი ქართლიდამ.

---

(1) ეს რომ ჰსწერია ამას ნიშნავს, რომ თეიმურაზს მეფეს თხუთმეტის დღის შემდგომ ქორწინება ცოლი შეერთო. დ. ჩ.

აღსრულდა ჩვენ-მიერ დიდებად ღუთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა უკუნისამდე ამინ. თუმ-ცა აღსრულებულ არს დასასრულადმდე. არამედ თვითოეულად და მიზეზი ბოროტებისა და კეთილობისად წარმოჩინებისად ქუევე ვაკმარენით, ვინად-გან ამითცა იცნობებიან სრულადნი ქმნილებანი მეფეთა, მთავართა და მცირედთამე:

ხოლო ქორონიკონნი ქრისტესით და ქართულნი, რომელი არს ხუთასიანი ამის-თვის დავსხენით, რამეთუ საქართველოსა შინა უმეტესად ხმარობენ ხუთასიან ქორონიკონსა, რომელსა ურწმუნებელ-მან ამას წიგნსა შინა წერილნი, თუცა იხილონ სხვათა შინა ქორონიკონნი რაიმენი და მოიძიონ აქა, არღა-რა საჭიროდ ქმნესთ და არცა უხმდესთ გამორიცხვანი და სცნან ჭეშმარიტი და არა სიცბილნი ტყუილისა: საქ. მეფის ძე ვახუშტი:

დასასრული ბატონი-შვილის ვახუშტის ისტორიისა:

# შედეგი ქართლის ცხოვრებისა (¹):

ქორონიკონსა რჲდ კვალად შეიკრიბა ერი ურიცხვი და წარმოემართა უზუნ-ასან ძალითა დიდითა სამცხესა ზედა: ესმა ესე ყვარყვარეს და ორთა ძეთა მისთა, რამეთუ პირის-პირ გან-
წყობა ვერ ძალ-უძდა სიმრავლისა-გან ურიცხვობისა სპათა მათთასა და ჰქმნეს განზრახვა, რათა 460
სამთა-გან ერთი წარსულ-იყო და დაეცხვრო გულის-წყრომა მძლავრისა მის, რათა არღარა მოსრულ იყვნეს ქვეყანასა სამცხისასა: მოვიდა სამცხეს და მერმე მოიწივნეს აწყვერს და მოსრნეს მრავალნი ქრისტეანენი, მღუდელნი და მონაზონნი და ერის-კაცნი და წარსტყვევნეს სრულიად სამცხე, აიყარა ყაინი და წარვიდა საყდრისა თვისსა და ტყვე-ჰყვეს ხატი აწყვერისა ღვთის-მშობელი და წარიყვანეს ქვეყანასა მათსა და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი სრულიად მესხთა ზედა. აღდგეს ყოველნი და შთავიდეს ქართლს, ვიდრემდის მწიროდნენ მუნ შვიდ წელ: მიიცვალა ძე მეფის ალექსანდრესი მეფე გიორგი კახთა და დაჯდა მის წილ ძე მისი ვახტანგ და გარდაიხდეს მცირე რამე ხანი და წარვიდა კონსტანტინე თათარ შიგან და სხვამან ვერა-ვინ გაბედა ქართველ-მან დარბაისელ-მან წარსვლა თათარ-შიგან და ბატონის ხლება, დიდად ერთ-გულად და კარგად იყვნეს ბარათას-შვილნი, იგინივე წარუვეს თანა და მსახურეს და წარუვეს მზე-ჭაბუკცა პირ-მშო შვილი ყვარყვარესი, იპრიანა ღმერთ-მან და იწყინა ამოწყვეტა საქრისტეანოს, შეედვა ყაენსა სენი სასიკუდილო, ქმნა ღმერთ-მან და მოკუდა ყაენი უზუნ-ასან და მიიღო პატრონობა ძე-მან მის-მან სულთან-მან და ძმა მისი ალუბ ეშურებოდა მიღებად პატრონობასა:

დაავლეს თათართა ტფილისი და სომხითი და დაიჭირა მეფე-მან ბაგრატ, ჩაუხდეს ბარათიანი, დაიფორიაქეს ელი და დაჰხოცეს მრავალი თათარი: ხოლო სულთანი და მკითხველი ჰსჯულისა თათრისანი უქადაგებდენ ჰსჯულსა თვისსა. ხოლო იცოდა მზე-ჭაბუკ არაბული და სპარსული და თათრულიცა. ესეოდენ სწავლულ იყო ენითა და წიგნითა მათითა, ვითარმედ ყოველსავე ღრმათა სცნობდა და მის-გან ესრეთ აღმოვიდოდეს საღმრთოსა სიტყვანი პირით მისით და ჰსჯულისა მათისა-განცა ყოველივე ზედა-მიწევნით უწყოდა და მათისავე ჰსჯულისა წიგნთა-გან დაუყოფდა მედგარსა პირსა მათსა და მიერ დღით-გან ვერღარა-ვინ იკადრა ამის პირისა-თვის სიტყვისა

(¹) რომელიც აღბეჭდილ-იყო პირველ ჟ. აკადემიის ... მიერ წელსა 1849:

ყოვლად წინაშე მისსა: ხოლო მიეცა ძლევაცა ესე-ვითარი, რამეთუ იყო ურჯულოსა მის მთავრისა
კაცი ერთი, ფალავანდთა თავი, დიდი და გოლიათი, რომელსა სახელად მალასი ეწოდებოდა და
ჰმატდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წყრთა ერთი ანუ უფროსცა და არა-ვინ გამოჩინებულ
იყო სიმრავლესა მას შინა მრკინობელ მისსა. ამან ინება ოდესმე განმცდელობა მზე-ჯაბუკისა·
და ვითარცა ცნა ესე არღა-რა ჰყოვნა. არამედ ვითარცა ლომ-მან მსწრაფლ შებმა უყო და მის-
დობილ-მან ღმრთისა და ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობელისა-მან აღიყვანა და უპატიოდ მიწასა
ზედა დასცა. ესე-რა იხილეს ყოველთა მათ ლაშქართა, დიდებულთა ერთა, დიდად განკვირვებულ-
იქმნნეს და თქმად რასამე უღონო იყუნეს, ესენი და სხვანი უმრავლესნი მხნე-ქველობანი მოე-
461 ნიჭნეს, ბრძანა ღმერთ-მან და წარმოავლინა დიდითა პატივითა სულტან-მან კონსტანტინე და
წარმოატანა თანა მზე-ჭაბუკცა და მოვიდა კონსტანტინე თათართათ, ყაენის-გან შეწყალებული:
მას უკანის მძლე-ექმნა სულტანისა იაღუბს, დაიპყრა პატრონობა და დაჯდა ყაენად ასანბეგის-
შვილი იაღუბეგ, განზრახვითა ქმაკისათა. ამას შიგან გამოხდა ხანი და სოფელ-მან მისი ბეგარა
არ დაიკლო. მიიცვალა მეფე ბაგრატ რაჭასა და იყო დიდი გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა,
აღილეს და დამარხეს გელათს მათსა სამარხოსა შიგან: ამასვე შიგან გამოხდა ხანი:

ქორონიკონსა რჲგ დაჯდა მეფე ალექსანდრე მეფის ძის დიმიტრის-შვილი კონსტანტინე
და მეფობდა კეთილითა მეფობითა, არღა-რა იყო წყენა თათართა-გან, მოიმორჩილნა იმერელნი,
ოდიშარნი და აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა, არა სადათ იყო წყენა
ქრისტეანეთა, იყო მოსვენება და დაწყნარება: არამედ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ. მაშინ ოდეს
მოვიდა უზუნ-ასან მძლავრითა ლაშქრითა და წარიყვანეს ხატი იგი აწყვერისა ღმრთის-მშობელი
ქვეყანასა მას უცხო-თესლთასა, ესე ვითარი რისხვა ღმრთისა მოავლინა, არცა შობა დედაკაც-მან,
არცა პირუტყუ-მან, არცა ჰყო ხე-მან ნაყოფი, არცა მიწა-მან აღმოაცენა და იქმნა დიდი გამო-
ძიება მათ შორის უცხოსა ამის-თვის საქმისა და იტყოდეს. ,,რაიმე არს ესე. რომელნიმე იტყო-
დეს. ,,შეცდომით იქმნა.‘‘ ხოლო სხვანი სხვასაცა რასამე მიზეზსა მოიღებდეს. ხოლო უბრძნესთა
კაცთა მის ქვეყანისათა ესრეთ თქვეს. ,,ოდეს იგი საქართველოს ვილაშქრეთ, მაშინ ერთისა დი-
დისა საყდრიდამ ფიცარი ერთი, შემკული მრავლითა პატივითა ვიხილეთ და წარმოვიღეთ და
მგზავრობასა მას ჩვენსა უცხო საკვირველი ვიხილეთ მის-გან, რამეთუ მწუხრსა ჩავასვენით უღრ-
მესსა ადგილსა ბარგისასა და ვითარცა განთენდის აღმოვიდის სიღრმისა-გან და მაღლად მჯდო-
მარე იხილვებოდის და ვითარცა მზე ბრწყინვებდის და საქმე ესე უეჭველად მის-გან იქმნა
ქვეყანასა ჩვენსა და თუ გნებავსთ განრინება ჭირისა მის-გან, იგი მოვიძიოთ და ქვეყანასა მათსა
განუტეოთ:‘‘

მაშინ მოიძიეს წმიდა ესე ხატი და ჰპოვეს რა, ესრეთ განიზრახეს. ,,მოვედით და დავაკრათ
ბეჭვსა უხედსა და უკეთუ წარვიდეს მართლად გზასა თვისსა უწყოდეთ, რამეთუ ამის-გან არს
ესე ყოველი და უკეთუ მიიქცეოს სხვით კერძო, მაშინ შეხდომით რამე იქმნა და არა ამის-გან:‘‘

და ვითარცა დაჰკრეს კიდესა მას ზედა წმიდა ესე ხატი, ესრეთ მართლად წარმოემართა გზასა სამცხედ მომყვანებელსა, ვითარმცა საჩინო მხედარი და აღვირითა მპყრობელი და მმართებელი. და ვითარცა იხილეს უცხო თესლთა საკვირველება ესე განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად და წარმოგზავნეს პატივითა და თანა წარმოჰყვა სიმრავლე ცხენებისა ფრიადი, რომელთა ზურგები ჩადრეკილები დღესცა ჰქადაგებს საშინელსა სასწაულსა: ხოლო უცხო თესლთა მათ არა რა იზრუნეს ცხენებისა მათისათჳს. ვინაჲ-გან უზომოსა მის ჭირისა-გან ხსნას მოელოდეს. და 462 განგებითა საღმრთოჲთა მცირედთა ჟამთა სამცხეს მოიწია ადგილსა, რომელსა აწ ელავსი ეწოდების და იქმნა დიდებული სასწაული. რამეთუ მყის განათდა სრულიად სამცხე და განბრწყინდა წესისაებრ პირველისა და ვითარცა იხილეს ყოველთა ანასდათი იგი შეცვალება ბნელისა ნათლად და მიხედნეს ადგილსა მას და სახედ ელვისა ჰბრწყინავიდა ხატი ყოვლად-წმიდისა, განკვირვებულთა თქვეს. „რაჲმე არს ესე ელვის სახედ ბრწყინვალე:“ და მიერით-გან ეწოდა ადგილსა მას ელავსი:

და შეკრბეს ყოველნი და მივიდეს და იხილეს ხატი ესე ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობელისა ბრწყინვალედ მჯდომარე კიდესა ზედა და სიმრავლე ცხენებისა გარემოს მისსა, განჰკვირდეს უცხოსა მას ზედა საკვირველსა და ადიდეს ღმერთი და ყოვლად-წმიდაჲ ღმრთის-მშობელი და და ცრემლითა მხურვალითა ღაღად-ჰყვეს მისსა მიმართ: „კურთხეულ-არს მოსლვა შენი, დედაო სახიერისა ღმრთისაო, რისათჳს დაგვიტევენ ესოდენთა ჟამთა ბნელსა შინა, რომელთა შენ-მიერ ვიხილეთ სალთო ძისა შენისა:“ და ვითარცა ესმა ხატისა სასწაულითა მოსლვა მესხთა ქართლს მყოფთა, ვითარმედ სამცხე განათლდა, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად და თქვეს: „უეჭველად ხატი ყოვლად-წმიდისა მოსრულა, აღვსდგეთ და წარვიდეთ ქვეყანასა ჩვენსა: ხოლო მეფე კონსტანტინე აყენებდა და არა უტევებდა წარმოსლვასა და ვითარცა ჰპოვეს ჟამი მარჯვე აღსდგეს ღამესა ერთსა და წარმოემართნეს ყოვლით სახლეულით მათით-ურთ და ესმა მეფესა, ვითარმედ მესხნი წარვიდეს, აღიმხედრა ლაშქრითა თვისითა და დევნა უყო, ვითარცა იგი ოდესმე ფარაო ისრაილთა და მოეწივნეს ადგილსა, რომელსა არადეთი ეწოდების: ხოლო მესხნი მოუბრუნდეს სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა აწყურისა ღმრთის-მშობელისასა და განეწყვნეს ურთიერთარს და შეიბნეს კონსტანტინე მეფე და ყვარყვარე ათაბაგი და მესხნი:

ქორონიკონსა **როა**, თთუესა აგვისტოსა **იგ**, ათაბაგს და მესხთ გაემარჯვა და ესე ვითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლისა მსგავსი არა სადა სმენილ არს და მოსრნეს მრავალნი წარჩინებულნი მეფისანი. ხოლო მეფე ლტოლვილი მცირედითა მხედრითა განერა და უკუნიქცა სახედ თვისად: ხოლო მესხნი უკმოიქცეს ძლევა შემოსილნი მშვიდობით და მადიდებელნი ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობელისანი და მოვიდეს სამცხეს. ამისა შემდგომად გარდახდეს წელნი ორნი, მერმე ვითარცა წესი არს და ჩვეულება ეშმაკისა აღძრნა ეშმაკ-მან, მოძულე-მან კეთილისა-მან თათარნი ქრისტეანეთა ზედა, შეკრბა სიმრავლე ურიცხვი

ყოფად წინაშე მისსა: ხოლო მიეცა ძლევაცა ესე-ვითარი, რამეთუ იყო ურჯულოსა მის მთავრისა
კაცი ერთი, ფალავანდთა თავი, დიდი და გოლიათი, რომელსა სახელად მალახი ეწოდებოდა და
ჰმატდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წვრთა ერთი ანუ უფროსცა და არა-ვინ გამოჩინებულ
იყო სიმრავლესა მას შინა მრკინობელ მისსა. ამან ინება ოდესმე განმცდელობა მზე-ჭაბუკისა
და ვითარცა ცნა ესე არღა-რა ჰყოვნა. არამედ ვითარცა ლომ-მან მსწრაფლ შებმა უყო და მინ-
დობილ-მან ღმრთისა და ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობელისა-მან აღიყვანა და უპატიოდ მიწასა
ზედა დასცა. ესე-რა იხილეს ყოველთა მათ ლაშქართა, დიდებულთა ერთა, დიდად განკვირვებულ-
იქმნნეს და თქმად რასამე უღონო იყვნეს, ესენი და სხვანი უმრავლესნი მხნე-ქველობანი მოუ-
461 ნიჭნეს, ბრძანა ღმერთ-მან და წარმოავლინა დიდითა პატივითა სულტან-მან კონსტანტინე და
წარმოატანა თანა მზე-ჭაბუკსა და მოვიდა კონსტანტინე თათართათ, ყაენის-გან შეწყალებული:
მას უკანის მძლე-ქმნა სულტანსა იაღუბს, დაიპყრა პატრონობა და დაჯდა ყაენად ასანბეგის-
შვილი იაღუბეგ, განზრახვითა ეშმაკისათა. ამას შიგან გამოხდა ხანი და სოფელ-მან მისი ბეგარა
არ დაიგლო. მიიცვალა მეფე ბაგრატ რაჭასა და იყო დიდი გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა,
აღიღეს და დამარხეს გელათს მათისა სამარხოსა შიგან: ამასვე შიგან გამოხდა ხანი:

ქორონიკონსა **რპგ** დაჯდა მეფე ალექსანდრე მეფის მის დიმიტრის-შვილი კონსტანტინე და მეფობდა კეთილითა მეფობითა, არღა-რა იყო წყენა თათართა-გან, მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი და აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა, არა სადათ იყო წყენა ქრისტეანეთა, იყო მოსვენება და დაწყნარება: არამედ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ. მაშინ ოდეს მოვიდა უზუნ-ასან მძლავრითა ლაშქრითა და წარიყვანეს ხატი იგი აწყვერისა ღმრთის-მშობელი ქვეყანასა მას უცხო-თესლთასა, ესე ვითარი რისხვა ღმრთისა მოავლინა, არცა შობა დედაკაც-მან, არცა პირუტყუ-მან, არცა ჰყო ხე-მან ნაყოფი, არცა მიწა-მან აღმოაცენა და იქმნა დიდი გამოძიება მათ შორის უცხოსა ამის-თვის საქმისა და იტყოდეს. „რაიმე არს ესე. რომელნიმე იტყოდეს. „შეცდომით იქმნა." ხოლო სხვანი სხვასაცა რასამე მიზეზსა მოიღებდეს. ხოლო უბრძნესთა კაცთა მის ქვეყანისათა ესრეთ თქვეს. „ოდეს იგი საქართველოს ვილაშქრეთ, მაშინ ერთისა დიდისა საყდრიდამე ფიცარი ერთი, შემკული მრავლითა პატივითა ვიხილეთ და წარმოვიღეთ და მგზავრობასა მას ჩვენსა უცხო საკვირველი ვიხილეთ მის-გან, რამეთუ მწუხრსა ჩავასვენით უღრმესსა ადგილსა ბარგისასა და ვითარცა განთენდის აღმოვიდის სიღრმისა-გან და მაღლად მჯდომარე იხილვებოდის და ვითარცა მზე ბრწყინვებდის და საქმე ესე უეჭველად მის-გან იქმნა ქვეყანასა ჩვენსა და თუ გნებავსთ განრინება ჭირისა მის-გან, იგი მოვიძიოთ და ქვეყანასა მათსა განუტეოთ:"

მაშინ მოიძიეს წმიდა ესე ხატი და ჰკითხეს რა, ესრეთ განიზრახეს. „მოვედით და დავაკრათ კიდესა უხედსა და უკეთუ წარვიდეს მართლად გზასა თვისსა უწყოდეთ, რამეთუ ამის-გან არს ესე ყოველი და უკეთუ მიიქციოს სხვით კერძო, მაშინ შეცდომით რამე იქმნა და არა ამის-გან:"

და ვითარცა დაჰკრეს კიდესა მას ზედა წმიდა ესე ხატი, ესრეთ მართლად წარმოემართა გზასა
სამცხედ მომყვანებელსა, ვითარმცა სახინო მხედარი და აღვირითა მპყრობელი და მმართებელი.
და ვითარცა იხილეს უცხო თესლთა საკვირველება ესე განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად
და წარმოგზავნეს პატივითა და თანა წარმოჰყვა სიმრავლე ცხენებისა ფრიადი, რომელთა ზურგები
ჩადრეკილები დღესცა ჰქადაგებს საშინელსა სასწაულსა: ხოლო უცხო თესლთა მათ არა რა
იზრუნეს ცხენებისა მათისა-თვის, ვინაძ-გან უზომოსა მის ჭირისა-გან ხსნას მოელოდეს. და 462
განგებითა საღმრთოთა მცირედთა ჟამთა სამცხეს მოიწია ადგილსა, რომელსა აწ ელავსი ეწოდე-
ბის და იქმნა დიდებული სასწაული. რამეთუ მყის განათდებოდა სრულიად სამცხე და განბრწყინდა
წესისა-ებრ პირველისა და ვითარცა იხილეს ყოველთა ასასდათი იგი შეცვალება ბნელისა ნათლად
და მიხედნეს ადგილსა მას და სახედ ელვისა ჰბრწყინავიდა ხატი ყოვლად-წმიდისა, განკვირვე-
ბულთა თქვეს: „რაიმე არს ესე ელვის სახედ ბრწყინვალე:“ და მიერით-გან ეწოდა ადგილსა
მას ელავსი:

და შეკრბეს ყოველნი და მივიდეს და იხილეს ხატი ესე ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა ბრწყინვალედ მჯდომარე კიდესა ზედა და სიმრავლე ცხენებისა გარემოს მისსა, განჰკვირდეს უცხოსა მას ზედა საკვირველსა და ადიდეს ღმერთი და ყოვლად-წმიდაჲ ღვთის-მშობელი და და ცრემლითა მხურვალითა ღაღად-ჰყვეს მისსა მიმართ: „კურთხეულ-არს მოსლვა შენი, დედაო სახიერისა ღვთისაო, რასათვის დაგვიტევებ ესოდენთა ჟამთა ბნელსა შინა, რომელთა შენ-მიერ ვიხილეთ საღთო ძისა შენისა:“ და ვითარცა ესმა ხატისა სასწაულითა მოსლვა მესხთა ქართლს მეფოვთა, ვითარმედ სამცხე განათლდა, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად და თქვეს: „შეპყვალად ხატი ყოვლად-წმიდისა მოსვენდა, აღვსდგეთ და წარვიდეთ ქვეყანასა ჩვენსა: ხოლო მეფე კონსტანტინე აყენებდა და არა უტევებდა წარმოსლვასა და ვითარცა ჰპოვეს ჟამი მარჯვე აღსდგეს ღამესა ერთსა და წარმოემართნეს ყოვლით სახლეულით მათითურთ და ესმა მეფესა, ვითარმედ მესხნი წარვიდეს, აღიმხედრა ლაშქრითა თვისითა და დევნა უყო, ვითარცა იგი ოდესმე ფარაო ისრაილთა და მოეწივნეს ადგილსა, რომელსა არაგეთი ეწოდების: ხოლო მესხნი მოექბრუნდეს სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა აწყურისა ღვთისმშობელისასა და განეწყვნეს ურთიერთას და შეიბნეს კონსტანტინე მეფე და ყვარყვარე ათაბაგი და მესხნი:

ქორონიკონსა **როა**, თოთხმეტსა აგვისტოსა **იგ**, ათაბაგს და მესხთ გაემარჯვა და ესე ვითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლისა მსგავსი არა სადა სმენილ არს და მოსრნეს მრავალნი წარჩინებულნი მეფისანი, ხოლო მეფე ლტოლვილი მცირედითა მხედრითა განერა და უკუნიქცა სახედ თვისად: ხოლო მესხნი უკმოიქცეს ძლევა შემოსილნი მშვიდობით და მადიდებელნი ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისანი და მოვიდეს სამცხეს. ამისა შემდგომად გარდახდეს წელნი ორნი, მერმე ვითარცა წესი არს და ჩვეულება ეშმაკისა აღძრნა ეშმაკ-მან, მოძულე-მან კეთილისა-მან თათარნი ქრისტიანეთა ზედა, შეკრბა სიმრავლე ურიცხვი

თურქმანთა და მომართეს სამცხეს: ქორონიკონსა როკ მოვიდეს და მოადგეს ტაშირ-ზედა,
მოუმცნეს მეფესა ქართლისათა, რათა ქვემოთ ქართველნი შეუხდეს სამცხეს: ვითარცა ესმა ესე
ყვარყვარეს და ძეთა მისთა მზეჭაბუკს და ბაადურს შემოჰკრიბნეს სპანი და დაადგრეს ადგილსა
ქვიანისა მთისასა, რათა უკუჰ მიიწივნენ მათდა, მყის განეწყუნეს და შებმა უყონ და სხვათა
463 ყოველთა თემთა და ქვეყანათა მათთა უბრძანეს ციხეთა სიმაგრეთა შესვლა ყოფა და გამაგრება, ვი-
თარცა იგი ეპისკოპოსსაცა წმიდისა ამის დედაქალაქისასა უბრძანეს, რათა ხატი ყოვლად-წმიდი-
სა აწყურისა ღუთის-მშობელისა ციხესა საჭურჭლესა შინა დაასვენონ:
და ვითარცა ესრეთ იქმნა ქორონიკონსა როდ მოვიდა უზუნ ჰასან, ურიცხვითა ერითა და
უბრძანა ერთსა თავადს და ლაშქარსა მისსა. „რათა შეუდგნენ და მოიცვნეს სრულიად და იავარ-ჰყვენ
ქვეყანა სამცხესა და მერმე მოადგეს ციხესა და ქალაქსა ახალ-ციხისასა. ჰბრძოდეს დიდხან და
ვერღა-რა დაუდგნა სიმაგრე-მან, გატეხნეს ციხე და დაწვეს ქალაქი და დაიპყრეს კელთა მესხნი
დარბაისელნი ციხოვანნი, მერმე აიყარნეს და მოადგეს ციხესა და ქალაქსა აწყურისასა და მო-
წვეს აწყური და მოაოხრეს ქალაქი და ციხესა ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად და წარსვლა ინებეს:
მაშინ ეზრახნეს ციხოვანთა და უქადეს მშვიდობა და არა დაქცევა საყდრისა და ციხისა. ამას
სედა გამოუგზავნეს, შესცთეს მცველნი იგი ციხისანი და მაწყვერელი და მასთანა სხვანიცა ჩი-
ნებულნი განიზრახნეს, აღიხუნეს კლიტენი ციხისანი და თვინიერ თხოვისა და ბრძოლისა უღ-
თოსა მას მთავარსა მიართვეს და მან განიხარა ფრიად და აღუთქვა ვითარმედ: „არა რა ავნოს
მათ და გამოუგზავნეს და ვითარცა შევიდეს ციხესა მას შინა მიეტყვნეს, ვითარცა მხეცნი და იავარ
ჰყვეს ყოველი საჭურჭლე საყდრისა და ერი ურიცხვი დედებით და ყრმებით-თურთ, რომელნიმე
მოსრნეს მახვილითა. ხოლო სხვანი ტყვედ წარიყვანნეს. ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა სასოო-
სა ჩვენისა, შემკობილი თვალთა მიერ პატიოსანთა და ცოდვათა ჩვენთა-გან ტყვე-ჰყვეს და მიჰგვა-
რეს ესპულოსა მას მთავარსა: ხოლო მან ფრიად განუკვირდა შემკობილებას ხატისა მის და
პატიოსნებას თვალთა და ბისლწითა კელითა თვისითა განჰსძარცვა შემკობილება ხატისა და შე-
მდგომად ამისსა აღაგზნა ცეცხლი ფრიად დიდ-ძალი და მას შინა შთააგდეს: ხოლო ცეცხლი იგი
დაშრტა და ხატსა ყოვლადვე არა შეეხო, არცა-თუ სიბრძვილი აჩნდა. რომელი ესე მრავალთა-
გან და თვით თვალითაცა ჩვენითა სახილველ-იქმნა: ესე-რა საკვირველი იხილა ერთმა ვინმე ლა-
ქართა მათ შინა მეოფოთაგანმან ქრისტიანე-მან და ჰსჯულითა არა მართლმადიდებელ-მან აღი-
პარა ხატი იგი ყოვლად-წმიდისა და წარახვია ფაკელსა წმიდასა ამას შინა: მაშინ ბრძანა უზუნ-
მან, რათა სომხითი მოარბიონ, ბარათაშვილი გაუზახა და მისი უკეთესი ლაშქარი მალვით
შევიდეს და დაუხსნეს შეუგრძნად დმანისს და ქვეშისხევსა, წარმოიღეს ტყვე-ალაფი უამრავი,
დაუვარდა ხმა ბარათიანთა, გარდაუდგეს წინ ცოტათა ლაშქართა, იპრიანა ღმერთ-მან ესე, გამ-
464 მარჯვეთ, რომე ერთისა ქართველისა-გან ასი და ორასი მოიკლა, დახოცეს და ამოჰსწყვიტეს,
დაატყვევეს და ცოტა რამე გარდამოეხვეწა ცხენ-კეთილი და თავად კარგი, კარგად იყო სულხან

ბარათაშვილი, ერთი ასეთი დარბაისელი მოკლა, ყაენის კარ-ზედ მის-თანა არ იყო და სხვის ნახოცისა ანგარიში არ იქმნებოდა, რანიღაც გარდაიხვეწნეს მივიდნენ ყაინ-თან ერთობ, ეწყინა და დაუმძიმდა ლაშქართა ამოწყვეტა და ამას ზედა აიყარა ყაენი სამცხით და წარმოვიდა და დატყვევდა აწყურისა ღვთის-მშობელი თთვესა სეკდემბერსა კე და მოქალაქენი და რაცა ციხესა შიგან იყო დიადი სული წაასხეს და წარვიდა ყაენი მისსა საყაენოსა:

ხოლო რომელი ზემო ვახსენეთ კაც-მან ქრისტიანე-მან და სჯულითა არა მართლ-მადი-დებელ-მან წარასვენა ქვეყანასა მათსა: ვითარცა ესმა ესე ყვარყვარეს და მეუღლესა და ძეთა მისთა განრისხეს გამცემელთა-თვის ციხისათა და სიკვდილად დასჯა ბრძანეს მაწყვერლისა და სხვათა ყოვლთა, რომელნი შინა-გამცემელ იქმნნეს: და იძლია ბუნებითისა მოწყალებისა-გან არღა-რა სიკუდილად დასაჯნა. არამედ ექსორია ყვნა: ამისა შემდგომად მოიძიეს სხვა ეპისკოპოსი და ჰპო-ვეს საზღვართა-გან პონტოსათა, ქალაქით ტრაპიზონელი, სახელით სვიმეონ, რამეთუ მაშინ საჭეთ მპყრობელობდა საყდარსა ტბეთისასა. ამას მიუბოძა უკანასკნელ მაწყვერლობა: ხოლო ვითარცა ზემორე ვსთქვი, აჰყრა კაცსა მას ხატი იგი ყოვლად-წმიდისა სასოსა ჩვენისა აწყურისა ღვთის-მშობელისა დიდითა პატივითა, გამოეცხადა კაცსა მას და ჰრქუა: „უკეთუ არა წარმიყვანო ქვეყა-ნასა ჩემსა დიდი ბოროტი მოგაწიო შენ-ზედა:“ და წარმოვიდა მსწრაფლ კაცი იგი და აუწყა ყოველივე პატრონსა ყვარყვარეს და მანუჩარს: ხოლო მათ განიხარეს სიხარულითა დიდითა და მსწრაფლ წარგზავნნეს კაცნი სარწმუნონი და იხსნა პატრონ-მან მანუჩარ და ვითარცა მივიდნენ იცნეს იგი და დასცვივნეს პირსა ზედა თვისსა და თაყვანი-სცეს და აღიქვეს და წარმოასვენეს წმიდა იგი ხატი, აღიუშენეს და დაასვენეს საყდარსა თვისსა აწყურისსა,

ამას შიგან გამოხდა ცოტა ხანი და გამოგზავნა ყაინ-მან ხალი-ბეგ და დაუწყო შენება ქარზიანთა და არჯაკელისა ციხესა. იწყინეს ბარათიანთა და არ დაანებეს და აუწყეს მისარჩელი წყენა და მტერობა, გაგულისდა ყაინი და აშველა ლაშქარი ხალი-ბეგს, შეიყარნეს და მოადგნენ ტფილისსა, ებრძოდეს მრავალ-დღე და ვერა-რა ავნეს, რამეთუ სიმტკიცესა ზედა ეგნეს და იყვის ყოველთა დღეთა ომი და არა იყო ღონე ციხის წაღებისა: მერმე შეიყარნეს ბარათიანნი და შე- 465
მოუთვალეს მეფესა კონსტანტინეს და ითხოვეს მის-გან შველა: მეფე-მან გაგზავნა ციცის-შვილი ქაიხოსრო და ჯავახის-შვილი ჯავახი ცოტათა აზნაურის-შვილითა და ლაშქრითა, წარუძღვეს წინა ბარათიანნი, მივიდნენ და დაესხნეს ჭანდართა მდგომთა მოსაპირეთა თათართა, გააქცივნეს და დახოცნეს, ასრე რომე თუ-არა მაცნე წავიდა სადმე, ვერცა ერთი წაუვიდა, აივსნეს აბჯრითა, ალა-ფითა და ბარგითა პირთამდის: ხოლო ვითარცა ესმა ესე ქალაქს მდგომთა თურქმანთა, უკუ-ეყარნეს ციხესა ტფილისისასა და წარვიდნენ ჩალმა, გარდაუდგნენ კუმისის-ბოლოს, შეებნეს წინა მავალსა ლაშქარსა, გააქცივნეს და დახოცეს ასრე რომე, თათარსა თავსა ჭაჭრიდეს და ვენახისა ღობესა და მარგილ-ზედა აცვამდეს, მერმე განჰრისხდა ღმერთი და მოუხდა ზემოთ ბუსუნი, შუა შეიყარნეს და რაცა ბარათიანთა, ქაიხოსრო და ჯავახ-მან ქმნეს, არცა წინა გმირთა უქმნია,

ასრე რომე ულუსსა ლაშქარსა ომითა და ხრმლითა წამოვიდეს და ცოტა ლაშქარი დაჩიანდა და თვით მორჩეს ნებითა და შეწევნითა ღჳთისათა. ამას ზედა წარვიდა თურქმანთ ლაშქარი შერცხვენილი და ორბეთისა ძირსა დადგეს, ეცადნეს თათარნი და მუდამ ბარათიანთა და ორბეთის ძირელთა გაემარჯვის: ამას ზედა ადგა ხალი-ბეგ და სხვანი ყაენის თავადები, მივიდეს, შეეხვეწნეს ყაენსა. რა გამოხდა წელიწადი ერთი აშველა ლაშქარი, მოირთო ძალი და წარმოემართა სომხითისა და ორბეთისა ძირ-ზედა, მომართა ციხესა კოჯრისა, მოადგა გარე და დაუწყეს ომი და თოფსა სროლა, აწყვედინნეს შინა-გან სოლაღას შვილნი, იყო დიდ-ხან ომი და შეაწუხნა მეტ-მან თოფისა საქმე-მან და ცოტა ციხეცა დააქციეს, ვეღარა დაუდგნეს, ამის-თჳს რამეთუ მეშველი აღარა ჰქუვათ, ერთსა ღამესა თოვლ-მან უშუ-ყარნა და გამოვიდეს ციხით და ციხე დაუგდეს ცარიელი, თვით მიჰმართეს მთათა და სიმაგრეთა. ხოლო ვითარცა განთენდა ნახეს თათართა ციხე უკაცური, შევიდეს შიგან და კაცი არა პოვეს, მიჰყვეს კელი და დააქციეს:

ვითარცა ესმა მეფესა აღება ციხისა დაუმძიმდა, რამეთუ მეფე შეკრილი ნიჩბისის წყალ-ზედა იდგეს, ამას ზედა ადგეს თათარნი და მოადგეს ტფილისის ციხესა და იყო ყოველთა დღეთა ომი და ესროდეს თოფსა და არა იყო ღონე ციხისა წაღებისა. რამეთუ მხარი ბარათიანთა-გან ჰქონდა, ეუბნებოდა მეფე კახთა და არა უშველეს, იმერელნი უკუ-დგომით იყვნეს და არცა-რა მესხთ უშველეს. ამის-თჳს ომი ვერ გაბედა მეფე-მან, ადგეს დიდსა ხანსა ქალაქსა და შეეწყინა ომი თათართა, ციხეს ვერა უყვეს რა, მერმე აკაზმეს ლაშქარნი და გამოაჩინეს დარბევა ორბეთისა ძირისა, აარჩიეს ათას-ხუთასი ისპაი კაცი და სხვა წვრილი კაცი ლაშქრისა მრავალი და
466 ცისკრისასა ყამსა მოედგა ორბეთისა ძირსა, დაესხნეს და იავარაქეს და ამოსწყვიტეს მთისა სოფლები, იშოვეს განძი, ტყუე, ალაფი ურიცხვი. ამას ზედა ესმა ბარათიანთა და იგინი იყვნეს ენაგეთს და მათ-თანა იყვნეს ქაიხოსრო თუმანის ძე და სხვა მეფისა ყმები ცოტაოდენნი. დავარდა ხმა და მოჰმართეს, ასრე ვითა ვეფხვთა, წამოვიდა აქეთ სულხან ბარათას-შვილი და მისნი ძმანი, აქეთ სხვანი ბარათიანნი მოეწივნეს უკანა, შეიბნეს და გააქცივნეს, მისცვარნეს ხევსა და ხირხალსა ასრე ხოცა დაუწყეს, ვითა ქათამთა მართვეთა:

ხოლო მოსცა ღმერთ-მან ძლევა ქრისტეანეთა და დახოცეს ურიცხვი, რამეთუ არა იყო განცდა მკჳდრისა, სისხლისა რუ დიოდა, რაცა სიკუდილსა მორჩეს კლდთა დაიპყრნეს, ერთი ასეთი თავადი დარჩა ბარათას-შვილს მერაბს, რომე ყაენის კარზედა მას არა ჰსჯობდა და მეყვისიცა იყო ყაენისა, ასეთი ძლევა მოსცა ღმერთ-მან ბარათიანთა, რამეთუ ერთისა ტყუისა დედაკაცისა-გან სამი და ოთხი მუსულმანი მოიყვანებოდა ყულ-დოლპანდიანი, რამეთუ პირველსა ომსა ვეღარ მოესწრნეს ქაიხოსრო ჯავახი, ქავთარ სოლაღას-შვილი და სხვანი დარბაისელნი, მოჰგვდეს უკანა მომდევარნი და რჩეულნი ჩაღდაულად დიდნი ლაშქარნი აქათ, არცა ამათ დაუდგეს გზა, შეიბნეს ოცი კაცი სამასამდისი ისპასა თათარსა ხრმლითა წინ-დაუდგა, იპრიანა ღმერთ-მან და მორჩეს მშვიდობით, ორ-ჯელ და სამ-ჯერ ცხენები დაუკრეს, ჩამოყრილნი ზედავე შესხდეს, ჩვენი

ქართველთაგანი ერთის თუმანის-ძის მეტი არა დაკვაკლდა, იგიცა ჯარ-მან გაიტანა. დიდისა უღურსისა ლაშქრისა-გან ცოტანი ჩაღთაულნი წავიდეს მატნვიდ, სხვა ყველა დაიხოცა და ხელთა დარჩა: რა ესე ესმა ქალაქს მდგომთა თათართა, შეშინდეს, დააგდეს და უკუ-ეყარნეს ციხესა, თუმცა ბარათიანთა არ გამარჯვებოდა ძალად ქალაქსაც წაართმევდეს და ქართლსაცა შემოეჭიდე-ბოდეს: ამას ზედა იპრიანა ღმერთ-მან და წყალობითა მოხედნა ბარათიანთა მოჭირვებასა და მას უკანის თათართა ძალი ვეღარა უკადრებია და არცა-ღა რბევა, გატყდეს და შეშინდეს შეწყევნითა ღუთისათა:

და ვითარცა მცირედ დღენი გარდახდეს, შემდგომად ტყვეობით მოსლვისა წმიდისა მის ხატისა, რამეთუ არა დაუტევნა უფალ-მან კვერთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალთასა. არამედ ვინმე იტყოდეს ძლიერებათა შენთა უფალო, ანუ ვინმე სასმენელ ჰყვნეს ქებულებანი შენნი, რამეთუ მიავლინნა ყოვლად-წმიდა-მან დედოფალ-მან რისხვა საშინელი სახლსა ზედა იადუბისასა და ნათესავსა მისსა და ყოველსა გვარსა მისსა და მცირესა ჟამსა სრულიად დაემხვნეს და მოისპნეს და აღოხრდეს, რამეთუ იადუბს უღმრთოსა ესე ვითარი სიკუდილი ეყუფლა, რომლითა ხელითა იკადრა წმიდისა მის ხატისა ხელისა შეხება მითვე ხელითა განზავა სასმელი მაკვდინე- 467
ბელი, რეცათუ ეგოიდ საგონებელ უწნდა შეცთომილსა მსჯავრთა მათ საღთოთა და შესვა მან და მიუძღვანა მის-გან დედასა თვისსა და ძმასა და მიიღეს მათცა, რამეთუ შესვეს, რომელ არა ეგებოდა ურწყება მათ-გან და ვითარცა სვეს ერთბამად მოსწყდეს ერთსა შინა ჟამსა სიკუდილითა სალმობიერითა და მათ-თანა სხუანიცა მთავარნი და წარჩინებულნი სახლისა მათისანი მოისრნეს. რომელნიმე მახვილითა და სხვანი სიკვდილითა უცნაურითა და მიერით-გან სრულიად დაემხვა მთავრობა მათი: უკეთუ ცოდვათა ჩვენთა სამხილებელად მიშვებითა ღუთისათა მოივლინნეს და სახლი ღუთისა და წმიდანი სამსახურებელნი დასთრგუნნეს. არამედ ყოვლად-წმიდა-მან ღუთის-მშობელმან შეურაცხება ხატისა არა თავს-იდვა და ესე ვითარი რისხვა მიუვლინა, ვითარმედ ნათესავი მათი, ვიდრე დღეს აქამომდეცა არღა-რა სადა იპოვების:

ქორონიკონსა **როზ** ახალ-ციხეს თათარნი მოვიდნენ. ამასვე წელიწადსა ალექსანდრე ქუთათისი აიღო ძე-მან ბაგრატის-მან: ქორონიკონსა **როთ** მიიცვალა მეუღლე ყვარყვარე ათაბაგისა, ბატონი დედის-იმედი წლისა **ნდ**, სეკდემბერს იტ: ქორონიკონსა რპგ ბაგრატ დაიბადა ძე ალექსანდრესი თებერვალს კბ: კახეთის მეფესა ვახტანგსა და ძმასა მისსა ბატონს ალექსანდრეს ჩხუბი ჩამოუგდეს კახთა და შეამდურეს და იყო შფოთი მათ შუა, იყო დიდ-ხან შური მათ შუა და ვერ შეიწყუნეს. მერმე მეფე კოსტანტინე და კათალიკოზი დოროთეოს შუა ჩამოუვიდნენ და შეიწყუნეს მეფე კახეთისა ვახტანგ და ძმა მათი ბატონი ალექსანდრე, ქორონიკონსა **რპე**: ამასვე ქორონიკონსა დიდი ბატონი ყვარყვარე მიიცვალა წლისა **პბ**, იენისსა ა: ქორონიკონსა რჟ, ათაბაგი ბატონი ქაიხოსრო მიიცვალა წლისა ნგ, მაისს კ: ქორონიკონს რჟა მეფე კოსტანტინე მიიცვალა, დაჯდა მის წილ ძე მისი დავით და ბარათა-შვილის დავითის ქალი დე-

ასრე რომე ულუსსა ლაშქარსა ომითა და ხრმლითა წამოვიდეს და ცოტა ლაშქარი დახოცნდა და თვით მორჩეს ნებითა და შეწევნითა ღვთისათა. ამას ზედა წარვიდა თურქმანი ლაშქარი შერცხვე-ნილი და ორბეთისა ძირსა დადგეს, ეტადნეს თათარნი და მცდამ ბარათიანთა და ორბეთის ძირელთა გაემარჯვის: ამას ზედა ადგა ხალილ-ბეგ და სხვანი ყაენის თავადები, მივიდეს, შეეხვეწნეს ყაენსა. რა გამოხდა წელიწადი ერთი აშველა ლაშქარი, მოირთო ძალი და წარმოემართა სომხითისა და ორბეთისა ძირ-ზედა, მოიმართა ციხესა გოგორისა, მოადგა გარე და დაუწყეს ომი და თოფსა სროლა, აწყვიდინნეს შიხა-გან სოღანლას შვილნი, იყო დიდ-ხან ომი და შეაწუხნა მეტ-მან თოფისა საქმე-მან და ცოტა ციხეცა დააქციეს, კვლარა დაუდგნეს, ამის-თჳს რამეთუ მეშველი აღარა ჰყვათ, ერთსა ღამესა თოვლ-მან უკუ-ყარნა და გამოვიდეს ციხით და ციხე დაუგდეს ცარიელი, თვით მიჰმართეს მთათა და სიმაგრეთა. ხოლო ვითარცა გასინჯნა ნახეს თათართა ციხე უკაცური, შევიდეს შიგან და კაცი არა პოვეს, მიჰყვეს კედლი და დააქციეს:

ვითარცა ესმა მეფესა აღება ციხისა დაუმძიმდა. რამეთუ მეფე შეკრებილი სინზისის წყალ-ზედა იდგეს, ამას ზედა ადგეს თათარნი და მოადგეს ტყვილისის ციხესა და იყო ყოველთა დღეთა ომი და ესროდეს თოფსა და არა იყო ღონე ციხისა წაღებისა. რამეთუ მხარი ბარათიანთა-გან ჰქონდა, ეუბნებოდა მეფე კაცითა და არა უშველეს, იმერელნი უკუ-დგომით იყვნეს და არცა-რა შესხით უშველეს. ამის-თჳს ომი ვერ გაბედა მეფე-მან, ადგეს დიდსა ხანსა ქალაქსა და შეეწყვისა ომი თათართა, ციხე ვერა უყვეს რა, მერმე აკაზმეს ლაშქარნი და გამოაჩინეს დარბევა ორბე-თისა ძირისა, აარჩიეს ათას-ხუთასი ისპაი კაცი და სხვა წვრილი კაცი ლაშქრისა მრავალი და
466 ცისკრისასა ყამსა მოედგა ორბეთისა ძირსა, დაესხნეს და იავარ-ქმნეს და ამოსწყვიტეს მთისა სოფლები, აშოვეს განძი, ტყვე, ალაფი ურიცხვი. ამას ზედა ესმა ბარათიანთა და იგინი იყვნეს ენაგეთს და მათ-თანა იყვნეს ქაიხოსრო თუმანის ძე და სხვა მეფისა ყმანი ცოტა-ოდენნი. და-გარდა ხმა და მოჰმართეს, ასრე ვითა ვეფხვითა, წამოვიდა აქეთ სულხან ბარათას-შვილი და მისნი ძმანი, აქეთ სხვანი ბარათიანნი მოეწივნეს უკანა, შეიბნეს და გააქცევნეს, მისცვარნეს ჩევსა და ხირხალსა ასრე ხოცა დაუწყეს, ვითა ქათამთა მართვეთა:

ხოლო მოსცა ღმერთ-მან ძლევა ქრისტიანეთა და დახოცეს ურიცხვი, რამეთუ არა იყო გან-ცდა მკჳდრისა, სისხლისა რუ დიოდა, რაცა სიკჳდილსა მორჩეს კლდეთა დაიმალნეს, ერთი ასეთი თავადი დარჩა ბარათა-შვილს მერაბს, რომე ყაენის კარზედა მას არა ჰსჯობდა და მეჯლისიცა იყო ყაენისა, ასეთი ძლევა მოსცა ღმერთ-მან ბარათიანთა, რამეთუ ერთისა ტყვისა დედაკაცისა-გან სამი და ოთხი მუსულმანი მოჰყვანებოდა ყელ-დოლბანდიანი, რამეთუ პირველსა ომსა ვეღარ მოესწრნეს ქაიხოსრო ჯავახი, ქავთარ სოლაღაშვილი და სხვანი დარბაისელნი, მოხვდეს უკანა მომდევარნი და რჩეულნი ნაღდაულად დიდნი ლაშქარნი აქათ, არცა ამათ დაუდგეს გზა, შეიბნეს ოცი კაცი სამასამდისი ისპასა თათარსა ხრმლითა წინა-დაუდგა, იპოვნა ღმერთ-მან და მორჩეს მშვიდობით, ორ-ჯერ და სამ-ჯერ ცხენები დაუჩრეს. ნამოყრილნი ზედავე შესხდეს, ნუვენი

ქართველთაგანი ერთის თუმანისა-თჳს მეტი არა დაჰკლდა, იგიცა ქარ-მან გაიტანა. დიდისა ულუფისისა დაშურისა-გან ცოტანი ჩალთაულნი წავიდეს მატნვიდ, სხვა ყოველი დაიხოცა და ხელთა დარჩა: რა ესე ესმა ქალაქს მდგომთა თათართა, შეშინდეს, დააგდეს და უკუ-ეყარნეს ციხესა, თუმცა ბარათიანითა არ გამარჯვებოდა მალად ქალაქსაც წაართმევდეს და ქართლსაცა შემოეჭიდებოდეს: ამას ზედა იმრიანა ღმერთ-მან და წყალობითა მისჳთა ბარათიანითა მოჭირვებასა და მას უკანის თათართა ძალი ველარა უკადრებია და არცა-და რბევა, გატედეს და შეშინდეს შეწევნითა ღმრთისათა:

და ვითარცა მცირედ დღენი გარდახდეს, შემდგომად ტყვეობით მოსლვისა წმიდისა მის ხატისა, რამეთუ არა დაუტევნა უფალ-მან ჯვარით ცოდვილთა საწყლსა ზედა მართალთასა. არამედ ვინმე იტყოდეს ძლიერებათა შენთა უფალო, ანუ ვინმე სასმენელ ჰყვნეს ქებულებანი შენნი, რამეთუ მიავლინა ყოვლად-წმიდა-მან დედოფალ-მან რისხვა საშინელი სახლსა ზედა ოლუბისასა და ნათესავსა მისსა და ყოველსა გუარსა მისსა და მცირესა ჟამსა სრულიად დაემხვნეს და მოისპნეს და აღოხრდეს, რამეთუ ოლუბ უღმრთოსა ესე ვითარი სიკუდილი ეყოფა, რომლითა ხელითა იკადრა წმიდისა მის ხატისა ხელისა შეხება მითვე ხელითა გასწვავა სასმელი მაკვდინე- 467
ბელი, რეცათუ ჰქონდა საგონებელ უწინდა შეტთომილსა მსჯავრთა მათ საღმრთოთა და შესვა მან და მიუძღვანა მის-გან დედასა თვისსა და ძმასა და მიიღეს მათცა, რამეთუ შესვეს, რომელ არა ეგებოდა ურწყება მათ-გან და ვითარცა სვეს ერთბამად მოიწყდეს ერთსა შინა ჟამსა სიკუდილითა სალმობიერითა და მათ-თანა სხვანიცა მოავარნი და წარჩინებულნი სახლისა მათისანი მოისრნეს. რომელნიმე მახვილითა და სხვანი სიკუდილითა უცნაურითა და მიერით-გან სრულიად დაემხვა მთავრობა მათი: უკეთუ ცოდვათა ჩვენთა სამხილებელად მიშვებითა ღმრთისათა მოივლინნეს და სახლი ღმრთისა და წმიდანი სამსახურებელნი დასთრგუნნეს. არამედ ყოვლად-წმიდა-მან ღმრთისმშობელ-მან შეურაცხება ხატისა არა თავს-იდვა და ესე ვითარი რისხვა მიუვლინა, ვითარმედ ნათესავი მათი, ვიდრე დღეს აქამომდეცა არღა-რა სადა იპოვების:

ქორონიკონსა რჲზ ახალ-ციხეს თათარნი მოვიდნენ. ამასვე წელიწადსა ალექსანდრე ქუთათისი აიღო ძე-მან ბაგრატის-მან: ქორონიკონსა რჲთ მიიცვალა მეუღლე ყვარყვარე ათაბაგისა, ბატონი დედის-იმედი წლისა ნდ, სეკდემბერს იტ: ქორონიკონსა რპგ ბაგრატ დაიბადა ძე ალექსანდრესი თებერვალს კბ: კახეთის მეფესა ვახტანგსა და ძმასა მისსა ბატონს ალექსანდრეს ნხ-უბი ჩამოუგდეს კახთა და შეამდგრეს და იყო შფოთი მათ შუა, იყო დიდ-ხან შური მათ შუა და ვერ შეიწყუნეს. მერმე მეფე კონსტანტინე და კათალიკოზი დოროთეოს შუა ჩამოუყვდნეს და შეიწყუნეს მეფე კახეთისა ვახტანგ და ძმა მათი ბატონი ალექსანდრე, ქორონიკონსა რპტ: ამასვე ქორონიკონსა დიდი ბატონი ყვარყვარე მიიცვალა წლისა პბ, ივნისსა ა: ქორონიკონსა რჟ, ათაბაგი ბატონი ქაიხოსრო მიიცვალა წლისა ნგ, მაისს გ: ქორონიკონსა რჟა მეფე კონსტანტინე მიიცვალა, დაჯდა მის წილ ძე მისი დავით და ბარათაშვილის დავითის ქალი დე-

დიოფალი ნესტან დარეჯან: ქორონიკონს რჲგ დიდისა მონასტრისა გელათისა წინამძღვარი მანასე მიიცვალა: ქორონიკონს რჲზ აიღო გორი ალექსანდრე ძე-მან ბაგრატისა-მან, თთუესა აგვისტოსა კ: ამასვე წელსა ქუთათის თათარნი მოვიდნენ და დაწვეს დიდი მონასტერი გელათისა შიგნით და გარეთ და ქუთათისი და საყდარი და სხვანი ეკკლესიანი და ციხე ვერა აიღეს და აურაცხელნი ტყვენი წაასხეს ქრისტეანენი, თთვე იყო ნოემბერი ბკ, ქორონიკონსა რჲჱ, მარტს იბ, მიიცვალა დედოფალი თამარ აპრილს ა: ამასვე წელსა მეფეთ-მეფე ალექსანდრე მიიცვალა. ამასვე წელსა დაჯდა მეფედ იმერეთს ძე მისი ბაგრატ. ამასვე წელსა იქმნა ბრძოლა ძლიერი ქართლის მეფეს დავითისა და ბაგრატს შუა. ამის-თჳს ბევრის ტყვეს ყიდვისა და რბევისა-გან ქართლისა შემცირებულ იყო, აღელო და დაეპყრა გორი ალექსანდრეს მამასა ბაგრატისსა. ამას ზედა მოეხმარნენ ქართლის მეფეს დავითს კახეთის მეფე ვახტანგ და ათაბაგი მზე-ჭაბუკ, დავით მეფე ვერარ მოესწრო, მოხისს შეება ბაგრატ ვახტანგსა და მზე-ჭაბუკს და გაემარჯვა თთვესა ივ-
468 ნისსა გ. ამასვე წელსა მიიცვალა ბატონი დედოფალი ელენე დედა ალექსანდრესი, ნოემბერსა გ:

ამასვე წელიწადსა აღესრულა კახთა მეფე ვახტანგ და დაჯდა მის წილ კახეთს ძმა მისი ალექსანდრე: ესე ალექსანდრე იყო კაცი კეთილი და ღუთის-მოყუარე, დიდად შეამკო წმიდათა ეკკლესიათა, შემამკობელი ხატთა და ჯუართა. ამან ალექსანდრე-მ და დედა-მან მათ-მან ბაგრატიონ-მან, დედოფალ-მან ნესტან-დარეჯან დაქცეული და დამველებული აღაშენა ალავერდსა სამხრენი და გუმბათნი და დაახატვინა და შეამკო ჯუარითა და ხატითა, წიგნითა და ეკკლესიის შესამკობელითა და შემდგომად ამისა ყოველნივე საეპისკოპოსო ეკკლესიანი კახეთისანი შეამკვნა და შესწირნა ყოველნივე საეკკლესიო სამკაულნი და ესვა ძენი ორნი, უხუცესსა ერქუა გიორგი და უმრწემესსა ერქუა დიმიტრი: ამა გიორგი-მ დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოდა ქართლისა. ხოლო მამა მისი ალექსანდრე და ძმა მისი დიმიტრი ევედრებოდა, „რამეთუ ძმანი არნ და არა ჯერ არს შენ-გან ცილობა და დაპყრობა ქართლისა, კმა არს შენ-თჳს კახეთიცა:“ და არა მისცეს თავი ხელთა და გარდაუდგნეს წინა საფურცლეს. ამას ზედა აღივსო შურითა გიორგი და ღალატით მოკლა მამა თვისი ალექსანდრე და დამარხეს კახთა და მეფეთა სასაფლავოსა ალავერდს შიგნით საყდარსა უკანა ეკუდერსა შინა და მერმე შეიპყრა ძმა თვისი დიმიტრი და დასთხარა თუალები. მაშინ იყო ქორონიკონი რჲთ და მერმე ცოლითა და შვილითა გამოვიდა დიმიტრი და მოვიდა მცხეთას და სვეტს-ცხოვლს შემოეხვეწა და იყო რაოდენიმე ხანი: ამის მოქმედებისა-თჳს ავ-გიორგი უწოდეს:

ხოლო რაჟამს მოკლა გიორგი-მ მამა თვისი ალექსანდრე, მაშინ თვით დაიპყრა კახეთი და მეფობდა ქართლსა ზედა მეფე დავით, კაცი მშვიდობის-მყოფელი და სათნო-ღუთისა. ხოლო მეფესა დავითს ჰყვანდა გიორგი, ბაგრატ და ალექსანდრე და მელქისედეკ მონაზონი და მას ჟამსა იყვნა კათალიკოზი დორეთეოს. ხოლო აღიღო შური მახვილითა ავ-გიორგი-მ მეფესა ზედა და ქმნა მრავალი ბოროტი საქართველოსა ზედა. ხოლო ეკრძალებოდა სისხლსა ავ-გიორ-

გისასა მეფე დავით და სპანი მისნი ყოველნივე და ამას ზედა უფროსად განლაღნა ავ-გიორგი და უხდებოდა საქართველოსა და მრავალ-გზის იავარ-ჰყო საქართველო და უფროსად ზემო-ქართლი მრავალ-გზის წარმოსტყვევნა, ვიდრე იმერეთის საზღვრადმდე და თვით მეფე დავით შემწყუდეულ-იყო ციხესა შინა ატენისასა და ჰბრძოდა მრავალ-დღე და ვერა წაუღო ციხე იგი ატენისა და წავიდა-რა სახიდ თვისად და წარიღო ნატყვენავი მრავალი: მაშინ ეზიარნეს უმრწემესნი ძმანი მისნი მეფესა დავითს. „ვითარმედ ამიერით-გან ვერღა-რა შემძლებელ ვართ დათმენად ბოროტისა მის 469
კაცისა მიერ, რამეთუ კახეთიცა ვიდრე აქამომდე მამათა ჩვენთა ეპყრათ და კვალად კახეთი საბრძანებელსა სახლისა ჩვენისათა დამონებული ჰყვნეს და აწ ესრეთ აღზვავნეს ჩვენ-ზედა ვიდრე-და საქართველოსაცა ზედა უფლებულ-არს და ჰნებავს სრულიად მიმძლავრებად თვისად და აწ ჩვენცა აღვსდგეთ მათ-ზედა და ვბრძოდეთ მათ:“ არამედ მეფე-მან დავით არა ინება, რამეთუ მსგავსად სეხნად სახელისა მისისა დავითის-ებრ მშვიდ-იყო და არა შურის-მეძიებელ, ვითარ იგი სულის-თჳს მშვიდ იყო: ხოლო ვინაით-გან არა ესმინა, მაშინ ჰსთხოვა უმრწემეს-მან ძმა-მან მის-მან ბაგრატ მეფესა დავითის მუხრანი საუფლის-წულოდ და დროშა და დარაჯდა, გამოითხოვა ერისთავი ქსნისა და ხეობა არაგვისა: ხოლო მეფე-მან დავით მისცა და ესრეთ წარმოემართა და მოვიდა მუხრანს ციხე-მტკვრისა, რომელ არს ციხის ძირის თავსა და დადგა მუნ: ჰსცნა რა ესე ავ-გიორგიმ შემოჰკრიბნა სპანი თვისნი რაოდენ ძალ-ედვა და წარმოემართა, მოვიდა და მოადგა გარე ციხესა მას მტკვრისასა და ადგა სამსა თთვესა და ვერ უძლო აღებად: მაშინ ავ-გიორგიმ მიუძღვანა ღვინო ერთითა სალვინითა და მიუმცნო ესრეთ ბაგრატს: „ვინაით-გან ესე-ოდენი ჟამი არს ციხესა მაგას შინა შეწყვდეულ ხარ და არა ჯერ არს ძისა მეფისა შეჭირვება უღვინობითა და შეიძღვენ ღვინო ესე და ჰსუ ამის-გან ნუგეშინის-საცემელად შენდა, რამეთუ პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასა:“ და ვითარცა მიართვეს ბაგრატს სიტყვა ესე და ღვინოცა იგი. მაშინ აქუნდა ციხესა მას შინა ორაგული ახალი და ღვინისა მის წილ წარსცა ორაგული იგი, მეტყველ-მან ესრეთ. „ეგეოდენი ჟამი არს, ვინად-გან მდგომარე ხარ პირსა ზედა ქსნისასა და არა მოგსვლვიან ორაგული და ესრეთ სიმტკიცით არს ცხოვრება ჩვენი, აწ მიირთვი ესე და ამით საცნაურ-არს, რამეთუ ვერ ძალ-გიძს აღება ციხისა ამის: ხოლო მოართვეს რა ავ-გიორგის ორაგული იგი. მაშინ ჰსცნა სიმრავლე საზრდელთა და სიმტკიცე ციხისა მის და შეუწუხნეს სპანიცა, მაშინ აღიყარა და წარვიდა სახლად თვისად და მუნ დაყვნა მცირედ და შემდგომად მცირედისა ხანისა წარმოვიდა ზემო-ქართლად და წარმოსტყვევნა იგი ძლიერად და წარმოიღო ალავარი მრავალი და წარმოვიდა უშიშრად:

ჰსცნა რა ესე ბაგრატ, მპყრობელ-მან მუხრანისა-მან შემოიკრიბნა მცირედი სპანი თვისნი და დაუმზირდა ხევსა მას, რომელ არს ძალისა და ჯაპურს შუა. ხოლო რომელნიმე სპანი ავ-გიორგისა წინაიკენ წარმოსრულ-იყვნეს ნაშოვრითა. ხოლო ავ-გიორგი უკანით-კერძო წარმოემართა ნადირობითა და შექცევითა და ვითარცა მოიწია მუნ, სადა ბაგრატ მზირად განწყობილ-

იყო, მაშინ მიეტევნეს გულითა სრულითა და მსწრაფლ დაემხვა სიმაღლე და ამპარტავნება მისი,
470 ძალის შეიბნეს და შეიპყრა თჳთ ბაგრატ და შეიხსნა სარტყელი და შეუკრა მხარნი: ხოლო
იყო ავ-გიორგი ენითა ბრჭყვნილ. ჰრქუა ავ-გიორგი ბაგრატს: „ვის ეკადრება შეპყრობა და შე-
კრვა მხრისა:" და ჰრქუა ბაგრატ ავ-გიორგის, „ჯერეთ ესე მოგაწიე შენ ზედა და აწ გამცნებ, თუ
რა მოიწიოს შენ ზედა, ვინ ხარ და რა კაცი ხარ, რეგვენი და ჭკუა მცირე:" ხოლო ავ-გიორ-
გის-თანაც მყოფნი რომელნიმე კახნიცა შეიპყრნეს და სხვანი ლტოლვილნი შეიქცეს და წარმო-
ართვეს ნატყუენავი, რომელი წარმოეღოთ მათცა მრავალი და წარიყვანეს შეპყრობილი ავ-გიორგი
და პატიმარ-ჰყო ციხესა მას შინა მტკვრისასა, ქორონიკონსა **სა**, ქს. აქეთ **ჩფიდ** (ჩფიგ):

ხოლო ბაგრატ მიუმცნო საქმე ესე ძმასა თჳსსა მეფესა დავითს და განიხარა სიხარულითა
დიდითა და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოაშთვეს ავ-გიორგი ციხესა მას შინა და მოკუდა.
ხოლო ჰსცნა-რა სიკუდილი მისი მეფე-მან დავით, მაშინ აღიღეს გვამი მისი და წარიღეს მცხე-
თას ეკლესიასა მთავარ-ანგელოზისასა ჩრდილოეთით კერძო და მას შინა დამარხეს და აღასრულეს
წესი დაფლვისა და კეთილად მოურნე ქმნეს, ვითარცა ჯერ არს მიცვალებულთა-თჳს. ხოლო
დაშთა ავ-გიორგის ძე ერთი და ეწოდა სახელი ყრმასა მას ლევან: ამისა შემდგომად განილაშქრა
მეფე-მან დავით კახეთსა ზედან და დაიპყრა სრულიად კახეთი და მტკიცედ ეპყრა იგი ჟამსა
რაოდენსამე. ხოლო მეფე დავით განაგებდა კეთილად ქართლსა და კახეთსა და იყო ყრმა იგი
ლევან დედი-თურთ სახლსა შინა ჩოლაყაშვილის გარსევანისასა. რამეთუ იყო მეყვისი დედა იგი
ლევანისა ჩოლაყას-შვილის გარსევანისა, რომელი იყო სახლთ-უხუცესი კახის ბატონისა: მა-
შინ აუწყეს მეფესა დავითს ყრმისა მის-თჳს ლევანისა, რამეთუ აღორძინებულ არს კახეთსა შინა
და წარავლინა ძმა თჳსი ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი, რათამცა მოიძიონ ყრმა
იგი, თუ სადა არს: მაშინ იწყეს ძიება მკვიდრთა მათ კახეთისა სახლსა შინა დიდთა და მცირე-
თასა და განავლინეს ბრძანება და შემოიფიცეს ყოველნივე, რათამცა გამოაცხადონ ყრმისა მის-
თჳს, თუ სადა არს და ესრეთ მოვლეს რომელნიმე კახეთისა კერძონი: მაშინ წარიყვანეს ლევან
მოსკოვისა კნიაზთანა და დედა მისი დედოფალი ელენე აღიყვანეს ციხესა მაღნარისასა და განამა-
გრეს ციხე იგი და მერმე მივიდეს ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი სახლსა ჩოლაყა-
შვილის გარსევანისასა და მას ღამესა კეთილად უმასპინძლა და დღესა მეორესა დაუმტკიცა ფი-
ცით გარსევან: „ვითარმედ არა არს სახლსა ჩემსა და რომელიცა იხილეთ თვალითა თქუენითა სხვა
არა ვინ არს სახლსა შინა ჩემსა:" ხოლო იყო რაოდენიმე ხანი, კვალად მოვიდა ლევან სპითურთ
რუსით და შთამოვიდა კახეთს და შევიდა ციხესა მას შინა ოჩოსისასა, რომელ არს თავსა ივრი-
სასა. მაშინ კახნი ყოველნივე მივიდეს მის-თანა და შეჰფიცეს და მიერთვნეს ლევანს, წარმოი-
471 ყვანეს და გაიბატონეს და დაიპყრა კახეთი ლევან. ხოლო ჰსცნა რა საქმე მეფე-მან დავით,
შემოიყარა სპანი თჳსნი და წარემართა კახეთსა შინა, გარდავლო გომბორი და შთავიდა კახეთად.
მაშინ კვალად იპყრა კახეთი და შემოეყარნეს კახნი ყოველნივე:

ხოლო ლევან ივლტოდა, წარვიდა და შევიდა ციხესა მას შინა, რომელ-არს თავსა მაღნარისასა. ხოლო დადგა მეფე დავით და მოიცვა გარემოსნი ციხისა მის და ბრძოდა უფრო ძლიერად: ამას ჟამსა შინა მივიდეს ურიცხვნი სპანი ოსმალთანი და მოაოხრეს სრულიად სამცხე და ვერა აღუდგეს მესხნი, წარმოვიდეს მუსნით-გან და მოვიდეს ქართლს და ვერა-ვინ აღუდგა წინა, რამეთუ ქართველნივე კახეთს იყვნეს ლაშქრად და ვითარცა ესმა მეფესა დავითს მოსლვა იგი ოსმალთა, ჯერეთ არა გამოაცხადა, ამის-თჳს რომე ძლიერად შეეჭირვებინა ციხესა მყოფნი და მცირედსა ხანთა შინა ეგულებოდა აღება ციხისა მის და წარავლინა მოციქული მეფე-მან დავით ამილახორი და მთავარ-ეპისკოპოზი და სთხოვა ციხე: მაშინ ფრიად შეჭირვებულ-იყვნეს ციხესა შინა მყოფნი და ვერ ძალ-ედვათ გამაგრება ციხისა მის და რა ესმა საქმე ესე დედასა ლევანისასა მისლვა ამილახვარისა და მთავარ-ეპისკოპოზისა და არღა-რა ჰქონდათ ღონე ციხის მიცემისა-გან კიდე. რა შევიდა მთავარ-ეპისკოპოზი და ამილახვარი ხილვად დედისა ლევანისა, მაშინ აღდგა დედა იგი ლევანისა და მიეგება შემთხვევად მთავარ-ეპისკოპოზისა და რა მივიდა, თქვა მთავარ-ეპისკოპოზ-მან იდუმალ: „მაგრა იყავით, რამეთუ ლაშქსა ამას უკუ-ვეყრებით ციხესა ამას და წარვალთ ქართლს:“ მაშინ წარვიდა დედა იგი ლევანისა სიხარულით და აუწყა საქმე მეციხოვანთა მათ და განამტკიცნა იგინი.

ხოლო დღესა მეორესა ჰსთხოვეს ციხე და მათ დიდად უარ-ჰყვეს მიცემა ციხისა და შემოუთვალნეს სიტყვანი მაგარნი. მაშინ წარმოვიდეს მოციქულნი იგი და აუწყეს მეფესა მას დავითს: ხოლო მსწრაფლ აიყარა მეფე დავით და წარმოვიდა ბრძოლად ურუმთა, მოიწია ზემო-ქართლს, მაშინ ეწყვნეს ძლიერად ოსმალთა და ძალითა მრავალ-მოწყალისა ღმრთისათა მიეცა გამარჯვება ქართველთა და მოსწყვიტნეს მრავალნი ოსმალთაგანნი და სხვანი შეიპყრეს და ტყვე-ჰყვეს და წარმოართვეს ალაფი და ნაშოვარი მათი და სხვანი რომელნიმე ლტოლვილნი წარვიდეს სახიდ თვისა: მაშინ რა-ჟამს წარმოვიდა მეფე დავით, კვალად დაიპყრა ლევან კახეთი და შემოეყარნეს კახნიცა სრულიად და იყო მაშინ ლევან წლისა შვიდისა: ხოლო რა-ჟამს ესმა მეფესა დავითს პყრობა კახეთისა. მაშინ შეიპყრა სპანი და წარვიდა კვალად კახეთსა ზედა, მივიდა საგარეჯოს 472
და შემოეყარნეს გარესჯელნი და მას აქათი კახნი ყოველნივე, მაშინ ლევან იდგა ქისიყს და ახლდეს რომელნიმე კახნი, მივიდა მეფე დავითცა ქისიყსა და ეწყვნეს ურთიერთარს და სძლო სამართალ-მან ლევანისა-მან, რამეთუ ესრეთ მოწყალე არს ღმერთი, ქვრივთა და ობოლთა-თჳს და მცირითა სპითა გაიმარჯვა ლევანს მეფესა დავითს ზედა და მეოტ-იქმნა და წარმოვიდა ქართლსა: მაშინ ლევან მტკიცედ იპყრა კახეთი და შემდგომად მცირედისა დაემძახლა ლევან, მპყრობელი კახეთისა გურიელსა და მოიყვანა ასული გურიელისა ცოლად და ეწოდა თინათინ და ამან გურიელის ასულ-მან თინათინ, ჟამსა სიყრმისა თვისისა იხილა ჩვენებასა შინა ესრეთ რომე, მიჰყვანდათ იგი სძლად კაცსა ვისმე მთავართაგანსა და გზასა ზედა დაისადგურეს დღესა ერთსა და მას ადგილსა, რომელსა მდგომარე იყვნეს, იხილა მუნ შინდი ერთი მდგომარე და იყო შინდი

იგი თეთრი და აუწყებდა ვისმე კაცი სამღუდელოთაგანნი, რათამცა აღეშენოს მონასტერი დედა-ს ღმრთისასა, ადგილსა მას, სადა იდგა შინდი იგი თეთრი და ესრეთ იხილა ჩვენება იგი:

ხოლო რაჟამს ჰსთხოვა ლევან, მპყრობელ-მან კახეთისა-მან გურიელსა ასული იგი მისი თინათინ ცოლად, მაშინ მოსცა გურიელ-მან და წარმოიყვანეს კახეთს. მაშინ მიიწივნეს იგინი შუა-მთას და მუნ განისვენეს მას დღესა: ხოლო მიმოიხედვიდა ასული იგი გურიელისა თინა-თინ და იხილა მუნ შუა-მთას შინდი იგი თეთრი, რომელი პირველ ეხილვა ჩვენებასა შინა და მოეხსენა ჩვენება იგი და შინდი, რომელი მდგომარე იყო ნიშნად ეკკლესიისა მის მომასწავე-ბელად: მაშინ გულის-ხმა-ჰყო და სარწმუნო იქმნა განცხადებულებასა მას ზედა. ხოლო რაჟამს ექორწინა, შემდგომად მცირედისა ჟამისა იწყო შენებად შუა-მთას მონასტერსა დედისა ღმრთისა-სა, რამეთუ ფრიადი მოსწრაფება აჩვენა და ჟამსა რაოდენთამე შინა აღაშენა იგი, შეასრულა და შეამკო ყოვლისავე სამონასტროსა წესითა და სამკაულითა და შესწირა აგარაკნი და დაბანი და დაადგინა მას ზედა მოძღუართ-მოძღუარი და იგი შეიმზადა სამარხოდ თვისად: ხოლო ჰშვა ამან გურიელის ასულ-მან თინათინ ძენი ორნი, სახელი ერთისა მის ალექსანდრე და მეორისა მის ვახტანგ და ამისა შემდგომად მიიცვალა გურიელის ასული თინათინ და დაუტევა ანდერძი, რათა არა დამარხონ გვამი მისი ქმრისა თვისისა ლევანის-თანა. არამედ დაემარხოს იგი შუა-მთას თვისსა აღშენებულსა მონასტერსა და ჰყვეს ეგრეთ და ამის-თჳს არა დაემარხა ქმრისა თვისისა თანა, რამეთუ ლევან იყო სიძვისა და მრუშების მოყუარე და კვალად ისვა ლევან ცოლი სხვა, ასული შამხლისა, რომელსა ეწოდა შამხალსა მას სახელად ყარა მუსალ და კვალად მიეცა შა-მხლისა ასულისა-თანა ძენი სამნი. გიორგი, ელიმირზა და ქაიხოსრო:

ხოლო მეფე ქართლისა დავით მეფობდა კეთილად მშვიდობით: ქორონიკონსა **ხვ** აღიძრა
473 ყაენი და წამოვიდა ულურსითა საქართველოსა, საქრისტეანოსა ხატთა და ჯვართა ყველასა ატყვე-ვებდეს. პატრონ-მან მეფე-მან დავით თვისი შვილი რამაზ გაგზავნა და ყაენს წინა-მიაგება და დაიხსნა საქრისტეანო და დაჰყო რაოდენიმე ხანი და მერმე დღითა აღსავსემა აღირჩია კეთილი ნაწილი და იქმნა მონაზონ და უწოდეს სახელად დამიანე და ესხნეს ძენი სამნი. ლუარსაბ, დიმიტრი და რამაზ: ქორონიკონსა **რზ** მიიცვალა დიდისა მონასტრისა გელათისა მოძღვართ-მოძღვარი ილარიონ პატრონი, თთვესა **ვ** და გორის ჯვარი აქა გელათს მოასვენეს: ამასვე ქორონიკონსა მაიცვალა მეფის ბაგრატის შვილი მუცლის ტკივილითა და იყო მეფე დავით ყოვილი დამიანე სინანულსა და ვედრებასა ღმრთისა, რამეთუ აღეშენა სენაკი მცხეთას და იყოფე-ბოდა სიმართლით, მაშინ იყო ქორონიკონი **სიდ**, მაშინ იყო კათალიკოზი მელქისედეკ, ძმა მეფის დავითისა. ქორონიკონსა **სიდ** მისცეს ბაგრატს ქართლი მეფესა იმერეთისასა, არადეთის წყალს გამოღმა. ალი, სურამი და ახალ-დაბა: ამასვე წელსა მიიცვალა მეფე დავით თბილისის ქა-ლაქს და დამარხეს მცხეთას. ამასვე წელსა იქორწინა ძე-მან მის-მან ლუარსაბ და შეირთო ცო-ლად მეფის ბაგრატის ასული თამარ, მარტს **კე** და მეფობდა ლუარსაბ ძალითა და შეწევნითა

ბაგრატისითა და იყო ყაენად შაჰ-ისმაილ, მეოთხე შვილის-შვილი იყო შიხისა მის, რომელი გამოჩნდა პირველ არდაველს და დაიპყრა შა-ისმაილ სამკვიდრო თვისი არდაველი და მუნით-გან იწყო ბრძოლად სპარსეთისა და დაიპყრა სპარსეთი:

ქორონიკონსა **სივ** მიიცვალა იმერელი ბატონის-შვილი ვახტანგის ცოლი, კასთა მეფის ასული ხვარამზე. ქორონიკონსა **სიზ** მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, იანვარს ი. ამასვე წელიწადსა დაჯდა მათი ძმის-წული სვიმონ და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისა. ამასვე ქორონიკონსა მეფეთ მეფე-მან ბაგრატ განყო ლიხთ იმერი სამ საეპისკოპოსოდ, ბრძანებითა აფხაზეთისა კა-თალიკოზისა აბაშიძისათა. ინება ღმრთივ-გვირგვინოსან-მან მეფე-მან მეფეთა-მან ბაგრატ და დე-დოფალთ-დედოფალ-მან ელენე, დიდისა და ცათა მობაძვისა საყდრისა ახლისა იერუსალიმისა გენათისა ეპისკოპოზისა მელქისედეკისა საყვარელის ძისა, საუკუნოდამც არს ხსენება მათი, ამასვე დროსა იმავე პატრონ-მან გაიჩინა ხონელ ეპისკოპოსად მხნეტის ძე მანოელ, იმასავე აფხაზე-თისა კათალიკოზისა ხელითა საყდართა შიგან ბიჭვინტისათა, ქორონიკონი იყო **სიზ** წარვედით 474
აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა ე. ამას ჟამსა მონაზონ იქმნა გიორგი ძმა დავით მეფისა და უწოდეს სახელად გერასიმე და ბაგრატცა ძმა მეფის დავითისა და გიორგისა, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა და უწოდეს სახელად ბარნაბე,

ხოლო რაჟამს მონაზონ იქმნა ბაგრატ, მპყრობელი მუხრანისა და ესხნეს მას ძენი ოთხნი. ერეკლე, არჩილ, აშოთან და ვახტან: მაშინ მტკიცედ ეპყრა ქართლი მეფესა ლუარსაბს. ხოლო კათალიკოზი მელქისედეკ პირველვე განძებულ იყო და იდგა მონასტერსა არმაზისასა და იყო კათალიკოზად გერმანე და ტფილელად დომენტი და მროველად გედეონ: ქორონიკონსა **სით** და ივლისსა **ია** მიიცვალა მხეცის ძე სარგის. ხოლო ოდეს დაიპყრა ქვეყანა სპარსეთისა შაჰ-ისმაილ მაშინ წარმოემართა და განიგულა დაპყრობა საქართველოსი, მოვიდა ძალითა დიდითა და სპითა ურიცხვითა და დაიბანაკა ალჯაყალას: მაშინ სცნა რა მეფე-მან ლუარსაბ შემოიყარა სპანი თვის-ნი და დადგა ტფილისს, განამაგრა ციხე-ქალაქი: ხოლო შაჰ-ისმაილ წარმოგზავნა ამირ სპასა-ლარი ყასათფირი სპითა ურიცხვითა. კვალად შემდგომად მცირედისა წარმოგზავნა მიშკარბაში ელიას-ბეგ სპითა ურიცხვითა და შემდგომად მათსა თვითცა წარმოვიდა: მაშინ წარვიდა მეფე ლუარსაბ და მივიდა ღელესა მას თელეთისასა და მუნ განაწყო სპა თვისი და რაჟამს მოვიდა ყარაფირი ამირ სპასალარი და ეწყვნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მხნედ იბრ-ძოდეს სპანი ქართველთანი, ვითარცა ლომნი და მოწყვიტნეს ურიცხვნი თათარნი, მიდრკეს იგინი და ოტებულნი ივლტოდეს, ვითარცა ჯოგი კანჯრისა ლომთა-გან დანთქრეული, მაშინ შე-მოხვდა წინა კერძო მიშკარბაში ელიას-ბეგ, ოტებულთა მათ ყიზილბაშთა და კვალად უკმოიქცი-ვნნა ლტოლვილნიცა იგი და თვისითა სპითა წინა განეწყვნეს ქართველთა. კვალად შეიქმნა ბრძოლა ძლიერი უძლიერესი პირველისა და ძალითა ღმრთისათა კვალად მძლე-ექმნნეს ქართველნი და მო-სრნეს უმრავლესი პირველისა ომისა და იოტნეს იგინი და მიჰყვნენ უკანა მათსა ქართველნი,

ჰსრვიდეს და ამოსწყვიტნეს მრავალნი და აღმოვიდა შაჰ-ისმაილცა ყოვლითავე ძალითა თვისითა
და სპითა უმრავლესითა, ესრეთ მოიწია მთასა თელეთისასა, რომელ-არს კერძოთა ტაბახმელი-
სათა, გარდამოჰხედნა შაჰ-ისმაილ და იხილნა სპანი თვისნი ძლიერად ოტებული და მიმოდაქცეული.
და უმრავლესნი დახოცილნი და უკანა მათსა ქართველნი ფიცხლად მდევნელნი და განლაღებულნი
მათ ზედა: ამას ზედა შეწუხნა შაჰ-ისმაილ და შემოუტევეს შაჰ-ისმაილ სპათა მისთა ყარაყოინ-
ლუთა: მაშინ დაშიეს ქართველნი წინა კერძო და უკანა მათსა შაჰ-ისმაილ და სპანი მისნი. რა-
მეთუ ფრიად ომისა-გან მაშვრალთა ქართველთა რაც ოდენ ძალ-ედვათ ძლიერად ბრძოლად უყვეს
და განკრძობასა შინა ომისასა იძლივნეს სპანი ქართველთანი. მაშინ ივლტოდა მეფე ლუარსაბ.
და მივიდა ზემო-ქართლს და კვალად ენება შეკრება სპათა და ბრძოლა. არამედ ვერღარა უძლო
ადრე შეყრა, რამეთუ დაიფანტნეს ქართველნი და წარმოვიდა შაჰ-ისმაილ და გარემოადგა ციხესა
475 ტფილისისა და ბრძოლა იყო ძლიერად. მაშინ აღუთქვეს ნიჭი დიდი ციხის-თავსა მას ტფილი-
სისასა და ესრეთ მოინდო ციხის-თავი იგი და მისცა ციხე და დაიპყრა ციხეცა და ქალაქი და
ქმნა მრავალი ბოროტი, შემუსრნა წმიდანი ეკკლესიანი და შეაგინნეს საწმიდენი და მრავალნი
ხატნი და ჯვარნი წარიყვნეს და თვით შემუსრა ხელითა თვისითა სიონთა ღუთის-მშობელი და
განსძარცვა მრავალ-ფერი სამკაული ქართველთა მეფეთა-გან სასოებით შემკული: ამან უღმრთო-
მან მიჰყო წარმდებად ბილწი ხელი თვისი და შემუსრა და უფასონი იგი თვალი და მარგალიტი
თვით წარიღო და ფიცარი იგი განაშიშვლა მძლავრ-მან უსჯულო-მან შაჰ-ისმაილ და დადვა
თავსა ზედა განსავალსა მას ხიდისასა, რომელ-არს ციხესა შინა ტფილისისა და შეიპყრეს მრა-
ვალნი ქრისტეანენი და მიჰგრიბნეს ხიდსა მას ზედა და მძლავრებით იძულებდეს ფერხითა დათრგუნვად
ხატსა მას. რომელთამე ქრისტეანეთა ფრიად უარ-ჰყვეს განსლვა ხიდსა მას-ზედა და დათრგუნ-
ვად ხატისა მის წმიდისა ღუდოფლისა ჩვენისასა და მრავალთა აღირჩიეს სიკვდილი და არა
დათრგუნეს ხატი იგი და წარიკვეთნეს წმიდანი და ყოვლად-ქებულნი თავნი მათნი და აწ იმო-
თხვენ ყვავილთა მათ შინა დაუჭკნობელთა წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა-თანა: ხოლო რომელ-
ნიმე ქრისტეანეთაგანნი მოიმედგრდეს უძლურებითა ხორცთათა და დაკლებულ იქმნნეს სასუფე-
ვლისა-გან. რამეთუ ვერა-რა ივაჭრეს და განვიდეს კრებისა-გან ცალიერნი.

ხოლო ოდეს აღასრულა ყოველივე სიბოროტე თვისი მძლავრ-მან უსჯულო-მან შაჰ-ისმაილ
და მაშინ გარდაუტევეს ყოვლად-ბრწყინვალე ხატი იგი ყოვლად უხრწნელისა ღუდოფლისა ჩვენისა
ღუთის-მშობელისა მდინარესა მას შინა მტკვარსა და წარიღო ხატი იგი წყალ-მან მან და გან-
ვიდა ქვემოთ-კერძო წიაღ-მდინარისა მის: ეჰა საკვირველება ესე და სასწაული ესე ხატისა მის,
რამეთუ არავე განეშორა ტაძარსა თვისსა. არამედ იყო რამე წიაღ-მდინარესა ხე ტირიფისა მდგო-
მარე და ძირსა ზედა მისსა მიყრდნობილი წაღმართ სვენებული იხილვა ვინმე მწყემს-მან მიმა-
ვალ-მან კახეთად და განსავალსა წყლისასა აიღო და განიხარა ფრიად და თაყვანის-სცა მწყემს-მან
მან. აღიღო და მიართვა მპყრობელსა მას კახეთისასა ბატონს ლევანს და მხიარულ-იქმნა დიდად

და მიანიჭა მწყემსა მას წყალობა მრავალი და იწყო მეორედ შემკობად ხატისა და რაოდენ
ძალ-ედვა ანგენა მოსწრაფება დიდი და ესრეთ შეამკო, ვითარცა აწ იხილვების სიონისა ღუთის-
მშობელი და კვალად ზედა წერილ-არს ხატსა მას ზედა ცხოვრება კახეთის მპყრობელის ლევა-
ნისა: ხოლო ოდეს განასრულა ხატი, წარმოგზავნა ხატი იგი პატივითა დიდითა სიონსა შინა 476
და არს მიერითგან ვიდრე აქანომდე ზეკალმკულ ლევანის მიერ: ხოლო აღაშენა შაჰ-ისმაილ
მეჩითი ჯსჯულისა თვისისა ყურესა მას ხიდისასა და შეაყენნა მცველნი თვისნი და განამაგრა
ციხე და წარვიდა: და ამას შინა შემოიკრიბა სპანი თვისნი მეფე-მან ლუარსაბ და წარმოემართა
შაჰ-ისმაელსა ზედა და ეკუეთა კვალად ბრძოლა მისი და რაჟამს ჯსცნა აღება ციხისა მის და
შექცევა შაჰ-ისმაელისა დაუმძიმდა ფრიად: მაშინ კვალად იპყრა ქართლი მეფე-მან და ამასვე
ჟამსა შინა ეწია რისხვა ღუთისა ულხინებელი შაჰ-ისმაილს და ბოროტი იგი ბოროტად წარ-
წყმდა და დასჯდა მის-წილად ძე მისი შაჰ-თამაზ: ხოლო შაჰ-ისმაილ იყო კაცი მზაკვარი და
და ამან გამოაჩინა ჯსჯული ბიასი და იწყო ძაგებად და გინებად ჯსჯულისა ოსმალთასა და გან-
თქმულ-ჰყო სახელი ალიასი და უწოდა თავსა თვისსა ძედ ალიასა და მიერითგან ირწმუნეს ყი-
ზილბაშთა ძედ იმამისა და ვიდრე აქამომდე სწამსთ და უპყრიეს მტკიცედ. ხოლო გამდიდრდა
შაჰ-თამაზ უფროს მამისა თვისისა და დაიპყრა მრავალი ქვეყანა უცხოთა, რომელი არა ეპ-
ყრა მამასა მისსა:

ხოლო მეფე-მან ლუარსაბ დაიპყრა ტფილისი და აღიღო ციხე ტფილისისა და გაამაგრა:
მაშინ შაჰ-თამაზ იდგა ყარაბაღს და ესმა აღება ტფილისის ციხისა, შემოიკრიბა სიმრავლე
სპათა რჩეულთა და ესე იდუმალ წარმოემართა ტფილისსა ზედა და ამას ჟამსა შინა მიიცვალა
ტფილისს ძე მეფის ლუარსაბისა, ყრმა მცირე და წარიღეს ყრმა იგი მცხეთას სამარხოსა თვისსა
და წარჰყვეს თანა მეფე და დედოფალი და რომელსაც დღესა განვიდეს ტფილისით მასვე ღამესა
შემოვიდა შაჰ-თამაზ ტფილისსა შინა და დაიპყრა სრულიად ქალაქი და ზეგარდამო განგებითა
ღუთისათა მოარჩეს დიდსა განსაცდელსა მეფე და დედოფალი და მათ-თანა მყოფნი ქართველნი-
ცა: ხოლო სცნა რა საქმე ესე მეფე-მან: წარვიდა სიმაგრეთა შინა და ეგრეთვე სრულიად ქარ-
თველნი წარვიდეს სიმაგრეთა შინა: ამის-თვის ველარა შემოიკრიბა სპანი თვისნი მეფე-მან,
რამეთუ იყვნეს დაუხიზნავნი ქართველნი და ყოველნივე დასახიზნავად წარვიდენ: მაშინ შაჰ-
თამაზ მოაწია მრავალი ჭირი ტფილისსა ზედა, შეიპყრეს და განსძარცვეს ხატი იგი მეტეხისა,
ესე წმიდისა ღუთის-მშობელისა და ამოსწყვიტნა მრავალნი სულნი, ხოლო ციხის თავსა გულ-
ბაადს შეეშინა მეფისა თვისისა-გან: „ნუ უკუე ესე საქმე მე დამადვას მეფემანო:“ და გარდამო-
ვიდა ციხით და მივიდა შაჰ-თამაზ-თანა და მიანიჭა წყალობა მრავალი და სხვანი მეციხოვანნი
რომელნიმე წარვიდეს სახლსა და რომელნიმე მიერთვნეს ყიზილბაშთა: მაშინ ციხის-თავმან
გულბაად და სხვათა მეციხოვანთა დაუტევეს ჯსჯული თვისი და მიიქცეს ჯსჯულსა მაჰმადისსა
და დაიპყრა შაჰ-თამაზ ციხე იგი და განამაგრა და თვით შეიქცა და წარვიდა ყარაბაღს: მაშინ

შეურიგდა მპყრობელი კახეთისა ბატონი ლევან და წარვიდა შაჰ-თამაზ ნახჩევანს, ქვეყანასა სო-
მხითისასა და დაიმორჩილნა ყოველნივე ურჩნი და ჰყო საბრძანებელსა ქვეშე თვისსა:
477 ქორონიკონსა სკა დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლად ზღვით
ნავებითა და შეიბნეს თვესა იანვარსა ოცდა ათსა. პირველსა დღესა ამათ გაემარჯვა, მეორესა
დღესა პარასკევსა, განჰრისხდა ღმერთი ოდიშართა-თჳს, უღალატეს და გამოექცნეს, დადიანი და
გურიელი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს, მოერტყვნეს ჯიქნი და შეიბნეს, მრავალი დახოცეს
დადიანმა, გურიელმა და გურიელის ლაშქართა, მოკლეს გურიელის-შვილი გიორგი და მისნი
აზნაურ-შვილნი, დაღალულნი ომის-გან, შეჩვენებულ-მან ცანდია ინალდიფითა გაინდვნა დადიანი,
გააშიშვლეს, სრულიად შიშველი დაჰჭრეს გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ეპიკოპოსნი და
მისნი ლაშქარნი ტყვე-ჰყვეს: წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალნი და მკუ-
დარნი ფასით იყიდნა: ქორონიკონსა **სკგ** მეფე ალექსანდრე ძე ლევანისა იშვა: ამასვე ქორონი-
კონსა მუჯახეთს შეიბნეს აგვისტოს **იგ**, დღესა ხუთშაბათსა, შეება მეფეთ-მეფე ბაგრატ და
ათაბაგი ყვარყვარე ახალ-ქალაქს და დაიხოცნეს მრავალნი კაცნი და გაემარჯვა მეფეს და ხელთ-
დარჩა ყვარყვარე და მისნი ლაშქარნი და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძე-მან ალექსან-
დრესა-მან:

და ყამსა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა იყო სამცხეს და ვითარცა ესმა დაპყრობა სომხი-
თისა წარმოემართა იგიცა და მოვიდა შაჰ-თამაზ-თანა მიზეზითა ამით, რომელ გაემარჯვა ბა-
გრატს ყვარყვარე ათაბაგსა ზედა და დაიჭირა ბაგრატ საათაბაგო: მაშინ ოტებულ იქმნა ოთარი
შალიკა-შვილი, ივლტოდა იგი და თანა წარიყვანა ძე ათაბაგის ყვარყვარესი ქაიხოსრო, მივიდეს
სტამბოლს და მოაჯე ექმნეს ხვანთქარსა და შეიწყალა ხვანთარ-მან და მოსცა ჯარი მრავალი და
თოფი და ზარბაზნები დიდ-დიდნი და უჩინა ამირ-სპასალარად მუსტაფა-ფაშა და წარმოგზავნა
იგინი ბრძოლად ბაგრატისა: და რა ესმა ამბავი ესე ბაგრატს, მპყრობელსა იმერეთისასა, ამის-
თვის წარვიდა შაჰ-თამაზ-თანა და არა-ვინ წარიყვანა კაცნი უჭაღარონი, არამედ აარჩივნა კაცნი
ჭაღარანი, წარიყვანა დიდებულნი და მეცნიერნი, მოხუცებულნი, ჭკუის-მყოფელნი ჭაღარანი
კაცნი, მსგავსნივე მისნი: ხოლო იყო შაჰ-თამაზ აიდარბეგს და მივიდა ბაგრატ, დიდად პატივ-
სცა ყაენ-მან და დაისვა წინაშე, აქა მოხუცებულნი, მიმყოლნი მისნი და უბრძანა ყაენმა ბაგრატს,
რათა მოსწიოს მშვილდსა და მოუტანეს მშვილდი ძლიერი ბაგრატს: ხოლო ბაგრატს არა რამე
თავს-იდვა და ეპყრა მცირე რამე ნახატი წვრილი ჯოხი და მით ასწია. ხოლო ყაინ-მან გაიცინა
და მისცა საბოძვარი დიდი და გამოისტუმრა: ითხოვა ბაგრატ მის-გან შეწევნა და ძალი ოს-
478 მალთა ზედა და იყო მაშინ შაჰ-თამაზ ფრიად უცალო, ვერა ათხოვა ჯარი და მისცა საბოძვარი
მრავალი და მით შემწე-ეყო და წარვიდა ბაგრატ, მპყრობელი იმერეთისა სამცხეს: მაშინ წარა-
ვლინა ბაგრატ კაცი და ითხოვა გურიელისა-გან შეწევნა და წარმოვიდა გურიელი სპითა თვისითა
და მოვიდა ბაგრატისა-თანა:

ქორონიკონსა სკე მეფე სვიმონ იშვა ძე ლუარსაბისა: ქორონიკონსა სლა სვაოქრის ფაშე-ბი მოვიდეს კბ ათასი და სრულიად ტაო ამოსწყვიტეს, მოუხდა ბაგრატ მეფე და ეწყვნეს ურთიერთარს, იქმნა ბრძოლა ძლიერი, მისცა ღმერთმან გამარჯვება ბაგრატს და იოტნეს ოსმალნი, მოსრნეს მრავალნი პირითა მახვილისათა: მაშინ მოკლეს თვით მუსტაფა-ფაშა და სხვანი ივლტოდეს ოსმალნი და იშოვნეს მრავალნი საგანძურნი და დაიპყრა მტკიცედ სათაბაგო: ამისა შემდგომად კვალად წარვიდა ხვანთქარ-თანა ოთარი შალიკა-შვილი და ქაიხოსრო ძე ათაბაგისა: ესმა რა ხვანთქარსა დაუმძიმდა ფრიად და კვალად წარმოავლინა აზრუმისა ფაშა და დიარბექირისა და სხვანიცა მრავალნი და შეკრბა სპათა სიმრავლე ურიცხვი და ესრეთ წარმოემართა სამცხესა ზედა: სცნა რა ესე ბაგრატ წარმოუვლინა კაცი და ითხოვა შეწევნა მეფის ლუარსაბისა-გან: ხოლო მეფე ლუარსაბ იყო კაცი სახიერი და ფრიად ზრუნვიდა საქართველოსა-თვის და ეძვინებოდა უსჯულოთა ზედა მოსვლისა-თვის და დაკნინებად საქრისტიანოსა. მაშინ მოუწოდა სპათა საქართველოსათა და წარემართა შეწევნად ბაგრატისა, რამეთუ ამან მეფე-მან ლუარსაბ მრავალგზის აწვივნა იმერელნი, მესხნი, კახნი შეწევნად უსჯულოთა ზედა. არამედ იგინი არა თანაშემწე ექმნეს და ესოდენ უმეტეს მოურნე იყო მათ-თვის, ვითარცა მამა შვილთა-თჳს ტკბილარს და ლმობიერ, ეგრეთვე ესეცა ტკბილ-იყო მათ-თვის და არა ძვირის მომხსენე და ვითარცა წარვიდა ესე, მაშინ-ღა წარვიდეს გურიელი სპითა თვისითა და შეებნეს ყოველნივე სამცხეს:

ხოლო მოვიდეს ოსმალნი ურიცხვნი ქორონიკონს სლგ ბასიანს და მივიდეს ესენიცა მუნ, სადა ოსმალნი დაბანაკებულ-იყვნეს. ხოლო იქმნა რამე განზრახვა ქართველთა-შორის, თქვეს ქართველთა და აღირჩიეს მეწინავედ მისლვა, არამედ მესხთა არა თავს იდვეს, იტყოდეს: „ვითარმედ ძველითგანვე მეწინავობად მისლვა მესხთა-თვის განწესებულ-არს და აწცა ჯერ არს ჩვენდა მისლვაო და რამეთუ რიგი ესე და წესი ძველითგანვე გვაქვსო:“ ხოლო უმეტეს ქართველთა არა ისმინეს და იქმნა ცილება ურთიერთარს შორის და აღეგზნა შური დიდი: „აჰა იხილეთ მსმენელნო გაბედვა და მკვირცხლობა საქმისა, ვითარ იგი ჰყვეს მაშინ ლომ-ვეფხვებრ მხეც-ქმნილთა რჩეულთა მათ სპათა ქართველთა უსჯულოთა ზედა:“ და მიეტევნეს ქართველნი, ვითარცა ელვა ქუხილისა ცისა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და შეიბნეს სოხოიტზედა იმერელ მეფე ბაგრატ და ქართლის მეფე ლუარსაბ და ათაბაგი პატრონი ქაიხოსრო და სრულიად საქართველო იყო და ორი ფაშა იყო და მეფენი მეოტ იქმნეს: მაშინ შურითა ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს განდრეკილება 479
და არღა-რა მიჰყვნეს ომსა შინა. ხოლო ჰსცნეს რა განდრეკილება მესხთა უფროსად განიწირნეს თავნი თვისნი ქართველთა და იმერელთა და განგრძელდა ომი და მოისრნეს მრავალნი იმიერ და და ამიერ უფროს-ღა მოსწყვიტნეს ოსმალნი, ვიდრე ოთხი ზომა მოისრა, მაშინ მოკლეს ძე გურიელისა ქაიხოსრო და სხვანი მრავალნი ქართველნი და იმერელნი, ჰქმნეს სახელი დიდი და შემუსრეს ყოველივე საომარი საჭურველი და ესრეთ დარჩნეს, რომ საბრძოლველი იარაღი აღარა-რა ქონდათ და იყო ომი ძლიერი დილით-გან, ვიდრე მწუხრადმდე: მაშინ სიმრავლისა-გან სპათასა,

იოტნეს სპანი ქართველთანი, დამაშვრალთა ქართველთა ჰსძლეს ოსმალთა და მეოტ იქმნენ და ლტოლვილნი წარმოვიდა მეფე ლუარსაბ ქართლს და ბაგრატ იმერეთს:

ხოლო დაიპყრეს ოსმალთა სამცხე-საათაბაგო და აღიღეს ყოველნივე ციხენი და სიმაგრენი სამცხისანი და განაბატონეს ქაიხოსრო, ძე ყვარყვარესი და იქმნა ათაბაგ, შეიკრიბნა მესხნი, დიდნი და მცირენი ყოველნივე და მთავრობდა ოთარი შალიკა-შვილი. ხოლო ათაბაგი ქაიხოსრო დაემოყვრა მპყრობელსა მუხრანისასა ბაგრატს, მოიყვანა ცოლად ასული ბაგრატისა დედის-იმედი და იქორწინა და იყო ქალი ლაღ და ამპარტავან-გულისპი და არა მოშიში ღმრთისა:

ქორონიკონი **ხლდ** აწყურის ღმრთის-მშობელი ტყვედ წაასხვენა ციხის-ჯვარს იმერელ მეფე-მ ბაგრატ: ქორონიკონს **ხლჵ** ტაოს ქვეყანა დაიჭირეს თათართა ურუმთა: ქორონიკონს **ხმა** არტანუჯი წაგვართვეს ურუმთა და არსიანსმდის დაიჭირეს, ფარნაკანი და სრულ არტანი დაიჭირეს, და ფარნაკანი ააშენეს, აწყურისა ღმრთის-მშობლის შეწევნითა სამცხეს ვერ გარდმოვიდეს და მძლავრობდენ ფრიად ყოვლისავე მესხთა ზედა და ვერღა-რა შეუძლეს ტვირთვად ბოროტის ყოფასა ოსმალთასა. მაშინ ოთარმა შალიკა-შვილმა და ათაბაგმა და ყოველთავე მესხთა წარავლინეს მოციქული თვით-მპყრობელის კრანის მპყრობელის შაჰ-თამაზის-თანა და ფრიად მოაჴსენეს ქმნეს, ებირნეს და ითხოვეს მის-გან შეწევნა და აღუთქვეს მორჩილება და ლამონება, ვითარცა პირველ: ხოლო ვითარცა ესმა შაჰ-თამაზს განიხარა ფრიად და წარმოემართა სპითა ურიცხვითა საათაბაგოსა ზედა, მოესწრა ყაენი შაჰ-თამაზ ბატონი ქაიხოსრო მოვიდა, ვარძია, თმოგვი და ვანის ქვაბი და აწყური, ასპინძა, ვარნეთი და სრულიად სამცხის ციხეები აიღო და ვარძიისა ღმრთის-მშობელი და სრულიად ციხეები ბატონს ქაიხოსროს მოსცა და წარვიდა ყაენი და ჩავიდა სომხითს, დახოცნა ვახუშტი და ლასამიძე და ამათ ტყვედ წაიყვანა მარიამობის თვესა: ამასვე
480 ქორონიკონსა ციხის-ჯვარიდამ აწყურისა ღმრთის-მშობელი ტყვედ წაასხვენეს იმერეთს. ხოლო ჰსცნა რა საქმე ესე ხვანთქარ-მან სულთან-მან სულეიმან წარმოვიდა იგიცა ძალითა მრავლითა და გულის-წყრომითა მესხთა ზედა:

მაშინ შაჰ-თამაზ ვერღა-რა ეძლო წინა-აღდგომად მისა და მოიპოვა მზაკვარება ესე და მიუმცნო ოთარს შალიკა-შვილსა სიტყვანი გულის-წყრომისანი, მიუწერა წიგნი რისხვისანი და ექადდა მოკვეთასა თავისასა და სრულიად იავარ-ყოფასა ქვეყანისა მათისასა: ამის-თვის მოსწერა ეს წიგნი რომ ოთარს მოეგზავნა ხვანთქრისა-თვის, რომ შაჰ-თამაზ ჩემი მტერია და ესრეთ მექადის და მით მორჩომოდა ხვანთქარს. ვითარცა მიუვიდა წიგნი იგი ოთარსა მეუჭსეულად წარუვლინა წიგნი სულთან სულეიმანს და მიუმცნო სიმართლე თავისა თვისისა და უბრალო ყოფა მოსლვისა-თვის ყაენისა: მაშინ მიხედა ღმერთმან მესხთა და შეიბრალა სულთან-მან და წარვიდა სახით თვისად სულთანი და წარვიდა ყაენიცა: ხოლო ბაგრატს, მპყრობელსა იმერეთისასა აქვნდა შური დიდი დადიანისა, რამეთუ მაშინ ოდეს შეება ურუმთა ბაგრატ, ესე დადიანი მაშინ არა თანა მწე-ეყო მას, ამის-თჳს განიხარა და მოაწვია დადიანი ლევან ჭყალსა ხონისასა და

ღალატად შეიპყრა იგი ბაგრატ მპყრობელ-მან იმერეთისა-მან და პატიმარ-ჰყო: მაშინ მიუმცნო გურიელსა საქმე ესე და აღუთქვა ნახევარი ოდიშისა:

ხოლო გურიელ-მან არა უსმინა და თქვა გულსა შინა თვისსა, ვინაღ-გან ოდიშიცა დაიპყრას განდიდნების და მერმე აღიძრვის ჩემ-ზედაცა ბოროტის-ყოფად უეჭველად. ხოლო რაჟამს სცნა ბაგრატ არა მოსლვა გურიელისა, მაშინ ინება თვალების დაწვა დადიანისა და ჰყვანდა იგი პატიმრად გელათს სამრეკლოსა შინა: მაშინ ათაბაგ-მან ქაიხოსრო ჰსცნა რა შეპყრობა დადიანისა, აღძრა ნიჩაძე ხოჯილანდრე და გააპარა დადიანი და მიუყვანა ათაბაგ-თანა. ხოლო ათაბაგ-მან და გურიელ-მან წარიყვანეს და გააბატონეს იგი ოდიშს და კვალად იპყრა დადიან-მან ოდიში: ამისა შემდგომად გაუწყრა ხვანთქარი გურიელსა და მოიხსენა ძვირი პირველი, რაჟამს იგი თანაშემწე-ეყო ბაგრატს და მოსწყვიტნეს სპანი მრავალნი ხვანთქრისანი. ამის-თვის წარგზავნა სპანი მრავალნი გურიასა ზედა და მოვიდნენ ბათომს და იწყეს შენებად ციხისა: მაშინ შემოიკრიბა სპა თვისი გურიელ-მან და წარვიდა მათ ზედა და მისცა ღმერთმან ძლევა და გაემარჯვა გურიელსა. დაუტევეს ბათომი და შევიდნენ ზღვასა შინა ნავებითა და აღუდგნენ მათ ღელვანი მძაფრნი და გაჰყარნა იგი ჭოროხს გაღმართ და იყო მდინარე იგი ჭოროხი ადიდებულ და ვერღა-რა განვლეს იგი ცხენებითა გურიელ-მან და სპათა მისთა: მაშინ მივიდნენ გონიას და იწყეს შენება ციხისა და გამაგრდნენ ოსმალნი და იწყეს მძლავრება, ამოსწყვიტეს ჭანეთი და თვით დაიპყრეს. ხოლო გურიელ-მან ითხოვა შეწევნა ბაგრატისა-გან, დადიანის ლეონისა-გან: მაშინ დადიან-მან 481 შემოიყარა სრულიად აფხაზნი და ოდიშარნი და წარვიდა. ხოლო ბაგრატცა წარავლინა ძმა თვისი ვახტანგ და სპანიცა იმერელნი წარატანა კაცნი ხუთასნი და აუწყა ბაგრატ ძმასა თვისსა ვახტანგს. „ამას წადიერ იყავ, რათა არა ჰყონ დადიან-მან და გურიელ-მან ერთობა და უკეთუ იგინი გაერთონ მრავალი ბოროტი გვეყოს ჩვენ მათ-მიერ და ეცადე რომე დადიანი არ შეეყაროს გურიელსა, რამეთუ მაშინ იდგა დადიანი თვალსა რიონისასა:

და ვითარცა მივიდა ვახტანგ საჯავახოს მიუმცნო დადიანსა: „ვითარმედ შენცა უწყი ვითარმედ მე ძმისწული ვარ შენი და არა რას დაგიფარავ, ესე უწყოდე. რამეთუ ძმა-მან ჩემ-მან ბაგრატ და გურიელ-მან შეთქმულება ჰყვეს შენ-ზედ და თუ მოხვალ გურიას ღალატი ჰქნებავსთ შენი:“ მაშინ ჰსცნეს რა ესე მეგრელთა მოშიშართა არღა-რა ინებეს წარმოსვლა გურიას და მივიდა ვახტანგ როსტომ გურიელ-თანა ბათომს: ხოლო ვინათ-გან არღარა მოვიდა დადიანი ვერღა-რა შეუძლო გურიელ-მან ბრძოლად ოსმალთა და ვერღა-რა განვიდნენ გაღმა, რამეთუ არა აქუნდათ ნავები. მაშინ ოსმალნი უფროს-ღა განძლიერდნენ და აღაშენეს ციხეები. ხოლო წარმოვიდა ვახტანგ იმერეთს:

ამისა შემდგომად მიიცვალა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა და დამარხეს გელათს და დაიპყრა იმერეთი ძე-მან მის-მან გიორგი-მ და ეპყრა როსტომს გურია წელსა იბ და მიიცვალა იგიცა და დაეფლა შემოქმედს და ესხნეს ძენი სამნი და უხუცესსა ერქვა გიორგი და ესე დასვეს გუ-

რიელად: ხოლო ესვა ასული როსტომ გურიელისა ძესა დადიანისასა ცოლად და შემდგომად სიკვდილისა მისისა განუტევა ქალი იგი ძე-მან დადიანის-მან და ქმნა დიდი ბოროტი, რამეთუ ბიძასა თვისსა წაართვა ცოლი და თვით შეირთო ცოლად და გამოხდა ჟამი რამე და კვალად ერთობა ჰყვეს გიორგი გურიელ-მან და დადიან-მან ლეონ და შეირთო გურიელ-მან ასული დადიანისა ცოლად და შემდგომად მცირედისა მანცა განუტევა ასული დადიანისა და იძია შური: ჰსცნა რა ესე გიორგი მპყრობელ-მან, მაშინ ეზრახა გურიელსა და ჰქმნეს ერთობა, რამეთუ ჰყვა მას სძალი ქვრივი და მისცა იგი ცოლად გურიელსა გიორგის შურად დადიანისა და იწყეს მტერობად დადიანისა და ვერღა-რა შეუძლო წინა-აღდგომა მათი დადიანმა და მეოტად წარვიდა სტამბოლს და მოაჯე ექმნა ხვანთქარსა და ითხოვა მის-გან შეწევნა: მაშინ მისცა ხვანთქარმა სიმრავლენი სპათანი აზრუმელნი და ტრაპიზონელნი, წარმოვიდეს და მოიწივნეს სატყეპელას:

ხოლო გურიელ-მან ვერღა-რა უძლო წინა-განწყობა მათი სიმრავლისა-გან სპათასა. მაშინ
482 წარავლინა მოციქული ხვეწნად დადიანისა და მისცა სისხლი განტევებისა-თჳს ასულისა მისისა ფლური ათასი და შერიგდეს დადიანი და გურიელი: ხოლო გიორგი მპყრობელ-მან იმერეთისა-მან მოიწვია სახლსა თვისსა ჯავახ-შჳლაძე და ღალატითა მოკლა იგი: მაშინ იწყინა საქმე გურიელ-მან, დადიანმა და მივიდეს და დაიპყრეს საჯავახო და განიყვეს ნახევარი დადიანმა დაიპყრა და ნახევარი გურიელ-მან: ამისა შემდგომად წარვიდა დადიანი სადირობად და ჯაიანმა შეაძგერა ცხენი და მოკლა დადიანი და დასვეს ძე მისი უხუცესი გიორგი დადიანად: მაშინ გურიელმა გიორგი-მ გარდაზირა უმრწემესი ძმა მისი მამია, ესე მოიყვანა გურიას და შერთო გურიელმა დაჲ თვისი ცოლად მამიას ძესა დადიანისასა: ხოლო ულაშქრა გურიელ-მან, წარვიდა ლაშქრითა და მივიდა ზუგ-დიდს და მუნ შემოება დადიანი და გაემარჯვა გურიელსა და წარიოტეს დადიანი და დასვა დადიანად მამია და წარვიდა გურიელი სახით თვისად: მაშინ დადიან-მან გიორგი-მ შემოიყარა სპანი აფხაზთანი და წარმოემართა და კვალად მოვიდეს ჯიქნიცა შეწევნად და ჩერქეზნიცა: მაშინ თხოვა გურიელ-მან ჯარი დადიანსა მამიას და ეწყვნეს ურთიერთარს: კვალად გაემარჯვა მამიას და ივლტოდა გიორგი დადიანი. ხოლო დადიანი იგი მოაჯე ექმნა მპყრობელსა იმერეთისასა გიორგის: მაშინ აღუთქვა შეწევნა მპყრობელ-მან იმერეთისა-მან, რამეთუ ჟამსა ამას ესვა ცოლად გიორგის მპყრობელსა იმერეთისასა ასული ჩერქეზის ბატონისა და კვალად ჰყვანდა გურიელსაცა მეორე და მისი ცოლად და კვალად მესამე და ამათი იყო გაუთხოვარი სახლსა შინა იმერეთის მპყრობელის გიორგისსა, რომელი აღეზარდა მათ და ესე უმცირესი ასული ჩერქეზის ბატონისა სთხოვა დადიანმა გიორგი-მ, მპყრობელსა იმერეთისასა: მაშინ აუწყა საქმე ესე გურიელსა და მან ესე უპასუხა: „ვინად-გან დადიანს ნებავს გაერთება ჩვენი, მომცეს საუპატიო და სისხლი დისა ჩემისა განტევებისა-თჳს, ვითარცა მე მივეც სისხლი განსატევებელად დისა მაგისისა და იყოს მშვიდობა ჩვენ ყოველთა შორის და იქმნას დადიანი მოყვარე და ქვისლი თქვენი და ჩემი:“ მაშინ დაურთო ნება და აღუთქვა მიცემა სისხლისა გურიელსა დადიანმა, რამეთუ არა

აქუნდა თეთრი და მისცა გირაოდ ხოჯი, რომელიცა სისხლი გურიელს მიეცა ეგეოდენისა მიცემა აღუთქვა და ამის გირაოდ დაუდვა ხოჯი და მაშინ მისცეს ასული იგი ჩერქეზის ბატონისა და გაერიდნენ სამნივე:

ხოლო ჰსცნა რა საქმე ესე მამია დადიან-მან იგიცა ლმობიერ იქმნა უხუცესობისა-თჳს ძმისა თჳსისა, დაურთო ნება და დაანება დადიანობა. მაშინ მამია დადიანს მისცეს სარჩოდ ლომ-კაცის ჭილაძისეული და რევასოზისეული და ესრეთ შეათვისნეს ურთიერთარს და იქმნა მშვიდობა 483
სამთავე საბატონოთა შინა: ხოლო ჰსცნა რა ესე დათულიამ ბიძა-მან დადიანის გიორგის-მან შემოიყარა საყაყახოელნი და წარვიდა საღალატოდ დადიანის გიორგისა, აგრძნა საქმე ესე დადიან-მან და ვერღა-რა უღალატა და წარვიდა საყაყახოს დათულია: ხოლო დადიანმა და მპყრობელ-მან იმერეთისა-მან შეუთვალა გურიელსა და აუწყა ღალატი დადიანისა და მიუმცნეს ესრეთ. „საყაყახო შენ-თჳს დაგვინებებია და დათულიას უღალატეო:“ ხოლო გურიელ-მან უღალატა და შეიპყრა დათულია და დაატყვევა უზურგეთს და თჳთ დაიპყრა საყაყახო: მაშინ შეუთვალეს გურიელს სიკვდილი დათულიასი და გურიელ-მან არ მოკლა, ესრეთ შეუთვალა. „შენის სახლის კაცს მე არ მოვკლავო და შენ მოკალი.“ და მერმე ამათ გაგზავნეს კაცი და მოაშთვეს იგი: ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი და კვალად დაიპყრა მამია დადიანმა: ხოლო დაშთა დადიანს ძე ერთი, რომელსა ერქუა ლევან: მაშინ განირისხა ღმერთი მამია დადიანმა, წაართვა დედასა თჳსსა და წარმოიყვანა ყრმა იგი და შხეფის ციხეში დაატყვევა და იყო ყრმა გამომცდელი და ვერა დაუძლო ტყვეობასა, შეუწუხდა ყრმა იგი განშორებისა-თჳს დედისა თჳსისა და გარდმოიგდო თავი თჳსი ციხისა მის-გან და ესრეთ აღესრულა იგი:

ხოლო ჟამსა მას შინა შეითქვნეს მეფე ქართლისა ლუარსაბ, მპყრობელი კახეთისა ლევან და ათაბაგი ქაიხოსრო, ამათ შეკრეს პირობა და დაუწყეს რბევა და ოხრება ქვეყანასა ყიზილბაშისასა ადრაბაგანსა. მაშინ განუდგა შაჰ-თამაზს მპყრობელი შირვანისა ასან-ბეგის შვილი დავრიშ მაჰმად: მაშინ შაჰ-თამაზ შემოიყარა სიმრავლენი სპათანი, წარმოვიდა და მოიწია ყარაბაღს. მაშინ წარავლინა კაცი და შეუთვალა ლევანს მპყრობელსა კახეთისასა და გარდამოიბირა იგი და მივიდა ლევან შაჰ-თამაზთან: და იყო განდგომილ დავრიშ მაჰმად ძე ასანბეგისა, რამეთუ ჟამსა მას ოდეს ეპყრა შაჰ-ისმაილს შაქისა: მას ჟამსა მიუხდა ბატონი ლევან ასანბეგს და იავარჰყო შაქისი და მოჰკლა ასანბეგ: ამისა შემდგომად მოიყვანეს ძე მისი დავრიშ მაჰმად და გააბატონეს შაქელთა და მტერ-იყვნენ ურთიერთარს დავრიშ მაჰმად და ბატონი ლევან. ხოლო შაჰ-თამაზ გაუძახა ლაშქარი თჳსი შირვანსა ზედა. მაშინ დავრიშ მაჰმად შეიყარა სპა თჳსი, დაესხა თავსა და მოსრა მრავალი ჯარი შაჰ-თამაზისა და გამოაქცია იგინი, ქრისტეს აქეთ ჩფმგ: ხოლო შაჰ-თამაზ აღიყარა სპითა ურიცხჳთა და წარვიდა შირვანს და მისწერა შაჰთამაზ წიგნი დავრიშ მაჰმადს მისვლად მის-თანა და აღუთქვა არა მოხსენებად ძჳრისა. არამედ მინიჭებად მრავლისა პატივისა: ხოლო მან არა ისმინა მისი და უფროსად განამაგრა ციხეები და ჯგო სი-

484 მტკიცესა ზედა: მაშინ წარავლინა ბატონი ლევან სპითა მრავლითა მას-ზედა და მივიდეს რა შა-
ქისა მოაოხრეს და ივარ-ჭყვეს სრულიად შაქისა და გარე-მოადგეს ციხესა მას, რომელსა შინა
იყო დავრიშ მაჭმად და იყო ხანსა რაოდენსამე და ვერღა-რა უძლო გამაგრება და ღამით განვიდა
ციხისა მის-გან: ხოლო ჰსცნა რა ბატონმა ლევან, დევნა უყო, მიეწია და შეიბნეს და გაემარჯვა
ბატონს ლევანს და მოჰკლეს დავრიშ მაჭმად და შემოიქცა გამარჯვებული და მოართვა თავი და-
ვრიშ მაჭმადისა შაჰ-თამაზს: ხოლო უყო წყალობა მრავალი ბატონს ლევანს და წარმოვიდა სა-
ხლად თვისად კახეთს:

მაშინ შაჰ-თამაზ წარვიდა ყარაბაღს და შემდგომად მცირედისა წარმოემართა კვალად ტფილისსა ზედა და ქმნა მრავალი ბოროტი, მოაოხრა სრულიად ტფილისი და აღიღო ციხე ტფილისისა და შეაყენნა მცველნი თვისნი და ვერა-რა ავნო მეფესა ლუარსაბს, რამეთუ ჟამსა მეფობისა მისისასა არა მორჩილ-ექმნა ყიზილბაშთა, არცა ოსმალთა და მრავალი ჭირი შეაჩვენა ორთავე და არა დაამონა საქართველო ურჯულოთა სახარკოდ: მაშინ შაჰ-თამაზ ინება მოყვრობა ქაიხოსრო ათაბაგისა და არა ჰყვანდა ასული ათაბაგსა. მაშინ ოთარს შალიკაშვილს გამოართვა ასული, რომელი იყო მოყვასი ათაბაგისა და მის წილად წარუგზავნა შაჰთამაზს და მან შეირთო იგი ცოლად და დიდად საყვარელ უჩნდა ქალი იგი და მიერით-გან იყო ფრიად მრავლისა კეთილის-მყოფელ ათაბაგისა: ჰსცნა რა ესე მეფე-მან ლუარსაბ შეიყარა სპა თვისი და მოუხდა ათაბაგსა და წარუღო თემნი და დაბანი მრავალნი და აოხრა და წარმოვიდა გამარჯვებული: ხოლო ათაბაგ-მან ქაიხოსრო-მ მიუმცნო ესე ყოველივე შაჰ-თამაზ, რამეთუ მას ჟამსა წარმოსრულ იყო მტერობად ათაბაგისა აზრუმის ფაშა ისკანდარ და აუწყა იგიცა შაჰ-თამაზს, ქორონიკონსა სმდ:

ამისა შემდგომად ხვანთქარი სულთან სულეიმან გამოვიდა და ყაენს ჩაუდგა, კარი აღა-
შენა და უკმობრუნდა და ბასიანს მივიდა. მაშინ ყეენი შაჰ-თამაზ შეიყარა სიმრავლენი სპათანი
და წარმოდგა და მოვიდა არტაანს, მაშინ გაგზავნა შაჰ-თამაზ ძე თვისი მირზა-ისმეილ,
კარს და დაიპყრა კარი, აღიღო ციხენი და სიმაგრენი, მოსრნა პირითა მახვილისათა, რო-
მელნიცა იყვნეს ემანი ხვანთქრისანი და განსდევნა იგინი და თვით დაიპყრა კარი, ხვანთქარი
წავიდა: ხოლო ვინცა იყვნეს განდგომილნი ათაბაგისანი ყოველნივე მოსწყვიტნა პირითა მახვი-
ლისათა და აღიღო ციხენი და სიმაგრენი მათნი და შემუსრნეს წმიდანი ეკლესიანი და მრავალნი
485 ხატნი და ჯვარნი და დაამონა ურჩნი და განდგომილნი ათაბაგისანი და მივიდეს ომან და შერ-
მაზან და ივჯუს განდგომილნი ათაბაგისანი: ხოლო ათაბაგ (ყაენ-მან) შეიპყრა და მკვლელ იქმნა ივჯუს
და შერმაზანს და მისცა მამული მათი ათაბაგს, და რაჟამს განაგო საქმე მენებური მაშინ უკმო-
ბრუნდა ყაენი ბოროტის-მყოფად ქართლსა ზედა სპითა ურიცხვითა, ჩამოვლო თრიალეთი და
ივარ-ჭყო, წარმოემართა საბარათიანო-ზედა და მოაოხრა იგიცა. მაშინ მიადგა ციხესა ბირთვისისა
და ვერა აღიღო და აღიღო ნიჭი დიდ-ძალი მეციხოვანთა და მოიბირნა იგინი და დაანებეს ციხე
და რომელნიცა იყვნეს ბარათიანნი ციხესა მას შინა არღა-რა დაინდო, რომელნიმე ამოსწყვიტა,

და რომელნიმე შეიწყალა და დაუყენა მამულსა თვისსა ზედა, სხვანი მრავალნი ტყვედ-ჰყო: მაშინ მეფე-მან ლუარსაბ ვერღა-რა შემოიკრიბა სპანი თვისნი, რამეთუ ფრიად მოსურნე იყო წინა-განწყობად ყიზილბაშთა და ვინად-გან ჯარი არღა-რა ჰყვანდა, ესრეთ იყო ჩვეულება მისი მცირითა კაცითა ზედა-დაესხმოდა თარეშთა ანუ სიმაგრეთა შინა და ესრეთ მოქმედებითა მრავალნი ყიზილბაშნი ამოსწყვიტნა:

ხოლო შაჰ-თამაზ მივიდა გორს და აღიღო ციხე წედისისა, ციხე ქალათ აიღეს და ვერის ციხე ნებით მოსცა ფარსადან და უვნებელად ციხოვანნი მორჩნენ იქიდამ, და მიადგა ციხესა ატენისასა, რომელ არს თავსა სიცივისასა, რამეთუ მას შინა იყვნეს დედა და და მეფის ლუარსაბისა და სხვანი მრავალნი ჯალაბნი თავადთანი. ამის-თჳს გარედამ ყაენის ლაშქარი შემოადგა და შიგნიდამ ქართველნი, დაუწყეს ერთმან-ერთის ცემა და ბრძოლა და მრავალნი ყიზილბაშნი დაახოცნეს და ციხის აღება გაძნელდა. ამის-თჳს რომე არც სიბა მიიტანებოდა და არც შეეთხრებოდა და არც სით თოფი ესროლებოდა და თათართ ერთი ფაშები (¹), კავთის-ხეველი ბეჟიაშვილი, ფაშები (²) მეფის ლუარსაბის დედისა დაიჭირეს და სიკუდილის შიშით იმან უთხრა. „თუ არ მომკლავთო ციხეს აგაღებინებთო." და ამათაც უვნებლობის ფიცი უთხრეს და იმან ეს ამბავი უთხრა: „ჭის წყალი დალევია და ჩრდილოეთისაკენ მომცრო წყალი გამოუდისო და იმ წყაროს მისაპარავი გზა აქვსო, გასწავლითო და ის დაუჭირეთო და ღონე გაუწყდებისო და ციხეს მოგცემენო:" იმ წყლის გზა ასწავლა, ყიზილბაშთა წყალი უკუ-უჭრეს, ციხოვანთ მშველელი აღარსით გაუჩნდათ და უწყლობამაც ძალი უყო და მრავალი ყიზილბაში და ქართველნი იმ ციხის აღებაში ამოწყდენ და ციხე აიღეს, დედოფალი ნესტან-ჯარ, დედა მეფის ლუარსაბისი და დაი და მრავალნი სხვანი ჯალაბნი თავადთანი. ქორონიკონსა სმდ და მეფის ლუარსაბის დედა და დაი ქვეითი წაასხეს ციხით-გან ზედა ყულამდის და მერმე მეაქლემეთ მისცეს და წარიყვანეს: მეფე ლუარსაბ ხან არაბეთის სიმაგრეში და ხან იმერეთს იყო. მაშინ წარმოსტყვევნა ციხე იგი ატენისა და ყეენი 486
აიყარა და ყარაბაღში წავიდა:

ხოლო ესმა რა საქმე ესე მეფესა ლუარსაბს, მაშინ წარმოუდგა უკანა ყიზილბაშთა და ამოსწყვიტა მრავალნი თათარნი და წაართვა ურიცხვი ალაფი და ვერღა-რა წაართვა დედა თვისი და არა მივიდა შაჰ-თამაზ ერევანს: მაშინ ჰსცნა დედა-მან მეფისა ლუარსაბისა-მან გაუპატიოვება თავისა თვისისა. ამის-თვისცა, რომელნიმე იტყვიან, შესვა წამალი სასიკუდილე და მოიკლა თავი თვისი და არა შეამთხვია თავსა თვისსა საქმე უჯერო. ხოლო რომელნიმე იტყვიან, სარჯულითა და უპატიოებით აღესრულა: ხოლო უკმო-იქცა მეფე ლუარსაბ ფრიად მწუხარე და წარვიდა შაჰ-თამაზცა ადგილსა თვისსა და დასვა ხანები ყაზახს, შამშადილოს და დასვა სულთანნი განჯას და გვალად ეპყრა მათ ციხეცა ტფილისისა: და იყო ესე ყოველი დარაჯად ხელ-დებული განძისა

(¹) ფარეში უნდა. დ. ნ.

(²) ფარეში.

სულთნისა და ყოველნი გარემონი ყიზილბაშთანი მიუჩინა ციხესა მას ტფილისისა, რათა არღა-რა იპყრას მეფე-მან ლუარსაბ: ხოლო მწუხარე იყო ფრიად ესრეთ განძლიერებისა-თჳს უსჯულოთასა მეფე ლუარსაბ, სრულ საქართველოს მეფეთა და მებატონეთა ზედა, ძველთა და ახალ-ზედ ნამეტნავად ნაქები იყო, თავად სარდლად, მერმე მამაცად და უხობით პურად გამცემად, სამართლის-მოქმედად და ერმა მოზრდილი, ცხენოსან-ვერიასნი, უშიშარი ომში, ამაყი, ქრისტეანეს რჯულ-ზედ მაგარი და ურჯულოთა დი ყიზილბაშთა ნამეტნავად მის-გან ეშინოდათ და მეზობელნი, ვითაც ყმანი ისრე ემსახურებოდეს და სხვათა ყმობის თქმა არ იკადრა: ამის-თჳს შაჰ-თამაზ ყაენ-მან ხუთ-ჯერ ამა-ზედ ილაშქრა და არას საქმით ვერც მოამშვიდა, ვერც მოკლა, ვერც დაიჭირა და ვერც შეიხვეწია. ამის-თჳს რომე ცოტას შემოებმოდა, ამოსწყვეტდა და ბევრს შეუ-ეფარებოდა და ღამით დაესხმოდა და გზებ-ზედ წაეწყოდა და მრავალს ნაგნებს იქმოდა: ხოლო რომელსიმე ზემო აღწერილ-არს მოახრება საქართველოსი, ვერ გაუძლო გონება-მან მეფეს ლუარსაბს. ამის-თვისცა შემოიკრიბნა სპანი თვისნი და დაუწყო ხდომა და რბევა და ამოსწყვიტნა მრავალნი და რაოდენიცა ეპყრა მათ კერძონი და ადგილნი საბარათიანო იგი ყოველნივე წარმოართვა და განსდევნა და დაიპყრა რაოდენიცა ეპყრა არენი და თემნი საქართველოსანი, თვინიერ ტფილისისა ციხისა:

შავერდი სულხან განჯის ხანი ყაენს ამ ალაგების მცველად დაეყენებინა და რა მეფის ლუარსაბის შეყრა გაიგონა იმანც არაზის აქათი ლაშქარი შემოიყარა და მეფე-ზედ წარმოვიდა:
487 რა ეს შეიტყო მეფე ლუარსაბ გორით-გან გარის ვარხჩენს მივიდა, იქით-გან შავერდა სულთან წამოვიდა და მოვიდა ქართლად და იმ ღამეს მეფეს ლუარსაბს სიზმარი ენახა და მეორეს დილას კათალიკოზი და საქართველოს თავადნი და თავისი შვილები მოიხმო და ასრე უთხრა: „სიზმარი ვნახე მართალი და ჭეშმარიტად დასაჯერიო, რომ უსაცილოდ ჩვენ გავიმარჯვებთო და ყიზილბაშნი გაიქცევიანო და ამ ომში მე მომკვლესო და ჩემს მომკვლელსაც ქართველნი მოჰკვლენო:" და მაშინ ჰყვანდა მეფესა ძენი სამნი. სვიმონ, დავით და ვახტანგ. მაშინ უხუცესსა შვილსა სვიმონს ხელი მოჰკიდა და ქართველთ უბრძანა: „ხელმწიფობა ამის-თჳს მიმიცემიაო და კიდეც ეს ღირსაო:" და შვილთაც ასე უანდერძა. „უფროს ძმას დაემორჩილენითო." და ყველას უბრძანა და ფერხთ აკოცეს და მეფედ აკურთხეს და ასრე ანდერძი დაუგდო: „ჩემის სიკვდილით ნუ მოიშლებითო და ნურც ჩემის სიკვდილის ხმას დააგდებთო, რა ყიზილბაშნი გალახოთო, მას-უკან მცხეთას მიწას მიმაბარეთო, ჩემს გლოვა-ტირილს დაესხენითო, ქვეყნის შენახვას გაფრთხილდითო:" რა ეს სიზმარი მეფის-აგან გაიგონეს სულ ყველანი ატირდენ და ასრე მოახსენეს: „რადგან მაგისთანა სიზმარი გინახავსო, ამ გზობით ნუ შევებმითო და შეუშვეცალნეთო:" ეს სიტყვა მეფემ შორს დაიჭირა და ასე უპასუხა: „დღეს-აქნობამდისინ ხონთქარსა და ყაენს ზურგი არ შევაქცივეო, რით იქმნებისო რომე ახლა ერთს ყაჯარს პირი დავარიდოო:" ქართველთ ბევრი ეხვეწეს, მაგრამ მეფემ ლომ-გულებისმა ზრახვა სიკვდილი არჩივა:

და რა სულთან შავერდი რაზმ წყობით მოახლოვდა და არა ინება მეფემან ომი მინდორსა ზედა და წავიდა გარისს და უთავა ქართველთა უხუცესი ძე თვისი სვიმონ და მივიდა სვიმონ სპითა თვისითა მეწინავედ და თვით მეფე უკან-კერძო მდგომარე იყო და ახლდა თანა კათალიკოსი და მოხუცებულნი ერის-კაცნი: მოვიდეს ყიზილბაშნი, მაშინ მიეტევა მათ სვიმონ და სპანი ქართველთანი, ვითარცა ლომი განძვინებული და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მაშინ მოეცა ღმრთის მიერ ძლევა ქართველთა და მოსწყვიტნეს ურიცხვნი სპანი თათართანი და წარიქციენნეს იგინი და ივლტოდეს და დევნა უყვეს უკანა მათსა და დაანქრივნეს, რამეთუ ვერღარა უძლეს ზოგად წარსლვა. არამედ დასწყვიდნეს ურთიერთს და ვიდოდეს შეცთომილნი ღელე-უშენთა და ტყეთა მიმართ და ერთ-კერძო წარივლტოდა სულთანი იგი შავერდი-ბეგ; ხოლო მაჭმად სულთან სპითა თვისითა შევლტოლვილ-იყო ტყესა შინა, შეშინებული და ვერღარა ეძლო წარსლვა დღისით: მაშინ იხილა მეფე ლუარსაბ მცირედითა კაცითა, შემოუტივა მეფესა და განმხნდეს ძალითა ღმრთისათა მეფე და მის-თანა მყოფნიცა ეპისკოპოზნი და მოხუცებულნი, ერის-კაცნი და იქმნეს, 488
ვითარცა ჭაბუკნი და კვალად იქმნა ბრძოლა ძლიერი და სძლო მეფემან და წარიქციენნეს იგინი და მოსწყვიტნეს მრავალნი ყიზილბაშნი:

ხოლო მეფემან იხილა მაჭმად სულთან და არა აქვნდა ოროლი ხელთა, რამეთუ შეემტვრია კაცსა ზედა და განაფიცხა ტაიჭი თვისი მეფე-მან, შეაძგერა ცხენსა მაჭმად სულთანისასა და დაანარცხა მიწასა ზედა, კვალად მიეტევა სხვასა, რამეთუ ყოველივე საბრძოლველი იარაღი დაემტვრია მეფესა და იბრძოდა ცხენითა, თვინიერ საჭურველისა და რა მისდევდა სხვასა ყიზილბაშსა, იყო რამე თხრილი და დანახეთქი მიწისა და შთაუვარდა ფეხი ცხენსა მეფისასა და წარმოექცა ცხენი მეფესა. მაშინ მოუხდა ყიზილბაში ერთი სახელით ზაქირ და იხადა მახვილი, ჰსცა თავსა მეფისასა და სწყლა სასიკვდილოდ და შეჯდა ცხენსა მეფისასა და ივლტოდა: ჰსცნეს რა ქართველთა, დევნა უყვეს ძლიერად და მიეწივნეს და მოკლეს იგიცა და სულთან მაჭმად და სპანი მისნი, ყოველნივე ამოსწყვიტნეს: მაშინ სვიმონს გამარჯვებოდა ძლიერად და სდევნიდა სულთანსა განძისასა შავერდის და სრვიდეს სპათა მისთა, ვითარცა მხალთა მდელოსათა და აუწყეს სვიმონს საქმე ესე და მყის შემოიქცა და მოვიდა მეფეს-თანა და მწუხარე იქმნა ფრიად და წარვიდეს ყიზილბაშნი განძას და დაიპყრა სვიმონ ალაგნი საქართველოსანი ყოველნივე და იდოცხლა მცირესა ხანსა დაწყლულებისა მის-გან მეფემან ლუარსაბ და მასვე წყლულებასა შინა მიიცვალა იგი, ვითარცა იგი წმიდა-მოწამე ვახტანგ და დავით მეფე და აღიღეს წმიდა გვამი მისი და დამარხეს სამარხოსა თვისსა მცხეთას, ღმრთივ-აღმართებულსა სვეტსა ცხოველსა და იქმნა გლოვა და მწუხარება ქართველთა მიერ, ქორონიკონსა სმვ, ქს. აქეთ ჩფიზ (უნდა ჩფნზ):

და დაჯდა მეფედ მამისა მისისა წილ სვიმონ და იყო ჟამსა ამას შინა კათალიკოზი ნიკოლოოზ. მაშინ წარიყვანეს სვიმონ და აკურთხეს მეფედ მცხეთას და მცხეთით გორს მივიდა და ქალაქი ყიზილბაშთ ეპყრა და გარეშე კაცნი მეფე სვიმონს ემსახურებოდეს. მაშინ დაემზახლა

მეფე სვიმონ კახსა ბატონსა ლევანს და მოსცა ლევან ასული თვისი, ნაშობი შამხლისა ქალი-
სა-გან და წარმოიყვანა იგი მეფე-მან სვიმონ და ჰყვეს ქორწილი სახელოვანი და ეპყრა მტკი-
ცედ საქართველო: ქორონიკონსა **ხმტ** მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი არჩილ დაიჭირეს
თათართა: აღიძრა მეფე სვიმონ მტერობად და შურად ყიზილბაშთა და იკრებდა სპასა თვისსა
სვიმონ, რათა აღიღოს ციხე ტფილისისა: ესმა ესე ამბავი ნაჰირის მცველს, ყარაბაღის ბატონს
489 და იმანცა არეზის წყალს გამოღმართი ლაშქარი შეიყარა და ქალაქს მოსაშველებლად წარმოვიდა:
მაშინ ესმა მეფესა სვიმონს, შემოიყარა სპანი საქართველოსანი და ჩამოვიდა ციხე-დიდს და
მიუწერა ცოლის ძმასა თვისსა, კახი ბატონის შვილს გიორგის და ითხოვა მის-გან შეწევნა და
წარმოვიდა გიორგი სპითა თვისითა და შემოეყარა ციხე-დიდს: მაშინ სცნეს საქმე ესე სპარსთა,
შემოიყარეს სპანი მრავალნი და წარმოემართნეს ტფილისს, რამეთუ ჟამსა ამას უშენ და ოხერ-
იყო კაცთა-გან ხუნანი და ღვინჭრობი და ვაშლოვანი, მოვიდნენ და დადგნენ იაღლუჯას ღამესა
ერთსა და შემოვიდნენ ციხესა ტფილისისასა, რამეთუ მათ ეპყრა ციხე იგი: ჟამსა მას ქართველთ
ხანდაკი გაეთხარათ. ამის-თვის რომე არამც მოპარვით ყიზილბაშნი თავს არ დაესხან და ტფი-
ლისით-გან წარმოვიდნენ უგრძნობელად და მიმართეს ციხე-დიდს: ხოლო მეფე-მან წინათვე ყა-
რაულად გამოაყენა გერმანოზის შვილის სოფელსა შინა მუხათ-გვერდისასა გარდახდად დღესას-
წაულსა აღდგომისასა და ეგულებოდა კვალად მუნ ჩასვლა და შეკრვად გზებისა და ამას შინა
უგრძნობელად შეუვლეს ყიზილბაშთა მუხათ-გვერდი, მივიდნენ და სადაცა ხანდაკი იყო, ხანდაკ-
თან ჩამოხდნენ და ის ხანდაკი გაასწორეს, შეუგრძნად დაესხნენ დღესა აღდგომისასა, აქათ ქარ-
თველითა და იქით ყიზილბაშთ რაზმი დააწყვეს და ყიზილბაშთ მეწინავეში და ქართველთ ლაშქარში
ომი და ცემა გახშირდა და ქართველნი ნამეტნავად თავ-გამომეტებით იბრძოდნენ და მრავალი
ყიზილბაში მოკლეს და რა განჯის ხანმა ასრე თავ-გამომეტებით ქართველთ ომი ნახა ყიზილ-
ბაშთ ასრე უთხრა: „გზა შორს გვაქვსო, რომ გავიქცეთო და ვერსად გავატანთო და უკან და-
გვეწევიან და დაგვხოცენო, მუხანათობით სიკუდილს ესე ვამჯობინოთო, რომ ძალ-მიცემით
ომში ამათვე შევაკვდეთო:“ ყველამ ჭალა ჭალა დაიძახეს და შეუტივეს ხმალ-დაწვდილთა და იქი-
დამ ქართველთ წარმოუშინეს და ორგნითვე კარქად იუჩნენ, მაგრამ ყიზილბაში უფრო ბევრი
მოკუდა და გაქცევასაც აპირობდნენ და კახის ჯარმა შექნა ტირილი და თავს-ცემა, რომე ბატო-
ნის-შვილი გიორგი მოკლესო, ამისა ალა-რა ინაღვლეს-რა, მკუდარი საომარით გამოიტანეს და
ომი და ბრძოლა გაუშვეს. ამაჟამად ყიზილბაშთ დრო დაიცეს მოშლილთა და მტირალთ ლაშქართ
კიდევ შემოუტივეს და ყიზილბაშთ გაიმარჯვეს და სხვანი მრავალნი თავადნი და აზნაურნი და
მსახურნი ქართლისანი და უფროს-და მოსწყვიტნეს და დარჩათ ძლევა ყიზილბაშთა და შეიქცეს
ქართველნი, ქრისტეს აქეთ ჩფო, ქორონიკონსა **ხმთ**: იმავ ღამეს შავერდი სულთან ქალაქს შე-
ვიდა და მეფე სვიმონ თავისის ლაშქრით გორს მივიდა და კახის ბატონის-შვილი გიორგი,
მოკლული ბატონს ლევანს მიუტანეს, შეიქმნა გლოვა და ტირილი შვილისა-თვის ბატონის ლე-

ვანისა და ერთობილად კახთა და ასრევე გორს ნესტან დარეჯან დედოფალს საყვარელის ძმის გიორგის ბატონის შვილის მოკლვა გაუმჟღავნეს და საქართველოს ჯარი მოვიდა, იტირეს, იგლოვეს და საორმოცედ ბატონი დედოფალი, ქართლის თავადები ჯალაბობრივ კახეთს მამის მისატირებლად და საყვარელის ძმის სატირლად ალავერდს მივიდნენ და ორმოცამდის მამას-თან იყო, იტირა, იგლოვა და ისევ ქართლს მოვიდა:

ამასვე წელსა და ქორონიკონსა მუხრანის ბატონის-შვილი აშოთან მოკლეს ფხოველთა: ხოლო იყო უმრწემესი ძმა მეფისა სვიმონისა სახელით დავით და შემოსწყრა ძმასა თვისსა მეფესა სვიმონს და წარვიდა შაჰ-თამაზ ყაენის კარსა, ყაენი ყაზმინს იყო და რა დავითის მოსლვა კელმწიფეს მოახსენეს დიდად იამა და სრულ ბეგლარი ვინც კარ-ზედ იყო წინ-მიაგება და უფროსი ერთი ბარათიანნი თან-ახლდნენ და მისის ძმის მეფის სვიმონისა-გან შემამწყრალი იყო. ამის-თვის უფრო დიდი პატივი სცეს და შვილობის რაყამი უბოძეს და მეჯლიშ შიგან ყაენმან თავისსა სიახლოვეს დაისვა და ვითარც კელმწიფესა ქვეშ მოუფინეს და დორი დაუდვეს და ზედ დასვეს და მისი თავადები მეჯლიშში დასხეს და ალაგ-ალაგ შუაში ჩაუსხდნენ და ცოტას ხანს უკან ჭკმია ღმერთი და გათათრდა და უწოდა სახელად დაუთ-ხან, დაათათრეს და სახელმწიფო იარაღი ყოველი რაიმე უბოძეს და მის თავადთა და აზნაურის შვილთა ხალათი, სახარჯო, ცხენი და იარაღი გაუკეთეს და უბოძეს, რაც ბატონ-ყმათ მიეცა სრულ ცხრა ათასის თუმნისა იყო და ქალაქისა და სომხით-საბარათიანოს მეფობა მისცეს და რაყამში შვილობილი ჩასწერეს და მესტუმრე თან-გაატანეს და დიდის პატივითა და მიარჩმით გაისტუმრეს და წელიწადში თვითოს ნაპირის ხანს მეფის დავითის მცველად თავისის ლაშქრით მოუყენებდნენ ქალაქის ციხეში. მაგრამ მეფე სვიმონ არ ეხსნებოდა და სომხით-საბარათიანოს არბევდა და ქალაქის აღებას ცდილობდა, მაგრამე ვერ აიღო: კიდევ მეფე-მ სვიმონ ლაშქარი შეიყარა საქართველოს ცხენოსან-ქვეითი და წარვიდა ბრძოლად დაუთხანისა ქრისტეს აქეთ ჩფნიჱ: მოვიდა დადგა დიღვამს, ჰსცნა რა ესე დაუთხან ქალაქ-ზე წასლვა სვიმონისა, იმანც სომხით-ბარათიანნი, თათარნი და მოქალაქენი შემოიყარა და ძმას საომრად მიეგება, ნახა რომე მეფის სვიმონის ლაშქარი ბევრი იყო, შეება დიღომს, იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოისრნეს სპანი მეფისა სვიმეონისნი მცირედნი რამე. ხოლო დაუთხანისა მოსწყდეს ორი ათასნი, სძლიესრა სვიმონისთა სპათა და წარიქციეს დაუთხან 491
და მეოტი ისევ ქალაქში შემოვიდა, მაგრამე ყარამანლუს ხალიფა, რომე ყიზილბაშის სარდალი იყო და ჭკუა-ნაკლები, ამაყი კაცი იყო, მეფეს დავითს არ დაუჯერა და სამარტოვოდ სახელს ეძებდა, მეფეს სვიმონს შეება და ძალ-მიცემით და თავ-გამომეტებით ძალ-ზედ იბრძოდა და ბევრი ნაცნებიცა ქმნა. მაგრამე თვითანც მოკლეს და ჯარიც ამოუწყვიტეს: ეს ამბავი დავით მეფე-მ ყაენს მისწერა და ლაშქარი სთხოვა და ყაენის ბრძანება იქმნა და ჰასანბეგ ყარამანლუ სარდლად უჩინეს და დიდის ლაშქრით მეფეს დავითს მოაშველეს და დავით მეფე-მანც თავისი ლაშქარი შეიყარა და მეფეს სვიმონ-ზე გაილაშქრა. მეფე სვიმონ დიღვამს იდგა და შეიბნენ

ქორონიკონს სნე, იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოისრნეს სპანი მეფისა სვიმეონისნი მცირედნი რამე. ხოლო დაუთხანისა მოსწყვიდნეს ორი წილი და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა სვიმიონს და წარიქციეს დაუთხან მეოტი და შევიდეს ციხესა ტფილისისა მხოლოდ და სპანი მისნი რომელნიმე მოისრნეს და რომელნიმე დაიპყრნეს: მაშინ მოადგა მეფე სვიმონ ციხესა ტფილისისა და ეგონა მოქალაქენი მამისეულნო, ყაენის შიშით მოქალაქენი არ მოუვიდნენ და ცოლ-შვილი იმათც ციხეში შეასხეს და ციხიდამ შექმნეს ბრძოლა, თოფითა და ზარბაზანთ სროლა და აღარც ბარჯითიანნი მოვიდნეს და ციხიდამვე კაცნი დაუხოცეს და იდგნენ ჟამსა რაოდენსამე და შეაწუხნეს ფრიად: ხოლო წარავლინეს კაცი და აუწყეს ამირ-სპასალარსა შაჰ-თამაზისასა ჰუსეინ-ბეგს შეწუხება თვისი დაუთხან და ითხოვა მის-გან შეწევნა: მაშინ წარმოვიდა ჰუსეინ-ბეგ სპითა ურიცხვითა და ღამე შემოვიდა ციხესა შინა ტფილისისასა და ვერა ჰსცნა მეფე-მან სვიმონ მოსლვა მისი და წარვიდა სამადლოს:

ამას ზედა მოიცა ძალი და განძლიერდა დაუთხან, განვიდა ციხით და მივიდა სამადლოს: ქორონიკონსა სნვ და ეწყვნეს მეფე სვიმონ და დაუთხან ურთიერთარს. შეიქმნა ბრძოლა ძლიერი: მაშინ გასძლომნეს მეფე სვიმონ და სპანი ქართველთანი და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა და ქართველთა. კვალად წარიქციეს დაუთხან და ყიზილბაშნი მრავალნი, ამოსწყვიტნეს, დაიპყრნეს და დევნა უყვეს. მაშინ ლტოლვილნი შეიხვეწნეს ციხესა შინა ტფილისისასა და მივიდა მეფე სვიმონ, დაადგა ციხესა მას ჟამ-რაოდენმე და ვერა აღიღეს და წარვიდა გამარჯვებული და აღვსილი საშოვრითა მრავლითა: ხოლო დაუთხან აუწყა საქმე ესე შაჰ-თამაზს და მოაჯუ ექმნა კვალად შეწევნად: მაშინ მოუმცნო შაჰ-თამაზ შამხალსა, რომელსა ეწოდა ჩერქეზი და სულთანსა შაქისისა და ყარაბაღელთა და გარემოთა ყოველთა ყიზილბაშთა, რათა შემწე ეყონ დაუთხანსა: ხოლო შეიყარა სპანი ურიცხვნი და მოვიდეს საზღვართა ქართლისათა. მაშინ წარვი-
492 და ყორღანა-შვილი კახაბერი და წინა-მიეგება მათ განცდას, რამეთუ ფრიად ეშინოდეს ყიზილბაშთა მოსლვად საქართველოსა შინა: ხოლო ამან ყორღანა-შვილმან იტვირთა ტვირთი, სისხლი მათი და წინამძღვარ ექმნა მათ, რამეთუ ვერ ძალ-ედვათ თვინიერ მისსა შემოსლვად საქართველოსა შინა: მაშინ შემოიყარა მეფე-მან სვიმონ სპანი საქართველოსანი და მივიდა ფარცხის, რამეთუ მუნ მდგომარე იყვნეს ყიზილბაშნი და იყვნეს ათ-გზის უმრავლესად ქართველთა: მაშინ მიეტევ-ნეს ქართველნი გულითა სრულითა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მიდრკნეს ყიზილბაშნი პირველ-სავე კვეთებასა ზედა და განმხნდეს სპანი ქართველთანი მათ ზედა, სრვიდეს და იპყრობდეს: ამას შინა მოუხდა მეფე სვიმონ ერთსა ჭურვილს ყიზილბაშსა, სცა ძლიერად ოროლითა და დაანარცხა მიწასა ზედა და მოკლა იგი და კვალად სილაღით მიეტევა სხვათა და განშორდა სპათა. მაშინ იცნა იგი ყორღანა-შვილმან და უთხრა ყიზილბაშთა. „ესე არს მეფე სვიმონო:“ ხოლო მათ მიმართეს და შემოერტყნეს გარე და სიმრავლითა მათითა შეიპყრეს მეფე სვიმონ ქორონიკონსა სნზ, და ვერა ჰსცნეს ქართველთა შეპყრობა მისი: ამისა შემდგომად ჰქმნეს სახელი

დიდი და იბრძოდეს და მოსრნეს მრავალნი ყიზილბაშნი და ვითარცა ჰსცნეს შეპყრობა მეფისა,
დამაშვრალნი ფრიად სიიცხლისა-გან ომთასა, რაც იარაღი აქუნდათ, ყოველივე შეემუსრათ: მაშინ
უგმოეცალნეს ქართველნი, და წარიყვანეს მეფე სვიმონ და მიიყვანეს დაჭრილი ტფილისის ქა-
ლაქს და დიდის პატივით ყაენ-თან გაისტუმრეს ყაზმინს შაჰ-თამაზ ყაენ-თან: ხოლო ყაინ-მან
დიდად პატივ-ჰსცა და მისცა საბოძვარი მრავალი და იძულეს დატევებად ჰსჯულისა. ხოლო
მეფე-მან სვიმონ არა უსმინა მათ. არამედ მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა. ამის-თვისცა
განრისხდა ყაენი და წარავლინეს იგი და ტყვედ-ჰყვეს ციხესა შინა ალამუტისასა:

ქორონიკონსა სჟა პატრონი ქაიხოსრო ათაბაგი წლისა ნა ფებერვალს იგ გათავდებოდა,
მიიცვალა ყაზმინს ენკენის-თვეს კთ, დღესა სამშაბათსა, თ ჟამსა, მთვარესა ბ: ამასვე ქორონი-
კონსა მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი არჩილ შირაზს გაგზავნეს ყაზმინიდამ. ღვინობის-
თვეს კბ დღესა ხუთშაბათისა: ხოლო ჟამსა ამას შინა მიიცვალა კახი ბატონი ლევან ქრისტეს
აქეთ ჩფოე, ქორონიკონსა სჟგ და დაჯდა მის წილად ძირ-მშო ძე მისი ალექსანდრე და ამან
დაიპყრა კახეთი: ესე ალექსანდრე იყო ნაშობი გურიელის ასულისა. ხოლო ელიმირზონ და
ხოსრო მირზა ნაშობი შამხლის ასულისა-გან, პირველ მეფობასა ლევანისასა ესენი ელიმირზონი
და ხოსრო დედითაც გამო იყუნეს მეფის სვიმონის ცოლისა და საშშობლოთ ჰყვანდათ შამხალი
და ამ ორის-გზითა და ზურგითი უფროს ძმას არა თავს უდებდა, საძლობდნენ და შემდგომად
სიკუდილისა ლევანისა განიყვნეს კახნი, რომელნიმე მიერთნეს ალექსანდრეს და რომელნიმე ელი-
მირზონს და ხოსრო მირზას და არს ჩვეულება ესე კახთა ძველით-გან და იქმნა შური დიდი
ძმათა შორის. მაშინ წარვიდეს ელიმირზონ და ხოსრო მირზა და მივიდეს თორღას: ხოლო 493
ალექსანდრე-მ შემოიყარნა თვისნი კრძონი კახნი და წარვიდა მათ ზედა, ვითარცა მივიდა ეწყვნეს
ურთიერთარს და იქმნა ბრძოლა და მოიკლა ომსა მას შინა ორნივე ძმანი ელიმირზონ და ხო-
სრო-მირზა და ძმის-წულნი და დაიპყრა სრულიად კახეთი ალექსანდრე-მ:

ხოლო დაუტევნა ეპყრა ტფილისი და საბარათიანო და იჯდა დმანისს-ხევს ციხესა შინა
და ცოლი მეფისა სვიმონისა დედოფალი ნესტან დარეჯან იყო კავთის-ხევს და ჰყვა ძე ერთი,
რომელსა ერქუა გიორგი და ოდეს დაიდასტურეს ქსნის ერისთავ-მან და ამილახორ-მან ტყვეო-
ბა მეფისა სვიმონისა და სიკუდილი ცოლის ძმებისა მისისა კახი-ბატონის შვილებისა, მაშინ
განირისხეს ღმერთი, ჰსძლია ანგაარება-მან და ვეცხლის-მოყვარება-მან, შეესივნეს დედოფალსა
ნესტან-დარეჯანს და იავარ-ჰყვეს საუნჯენი მისნი და წარიღეს ყოველივე, რაცა აქუნდათ მეფისა
სვიმონისა და დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა და მიმოაქცნდათ ყოველთავე დიდთა და მცირედთა,
რამეთუ იტყოდეს სიტყვასა ამას ერთგულნი ყმანი მეფისანი, რომელსა აწცა იტყვიან ანდაზად
და არს სიტყვა ესე მაშინ თქმული. „ვაიმე ბატონის სვიმონის საქონელო:“ და წარიღეს ყო-
ველივე საუნჯენი მეფისა და დედოფლისა და ნესტან-დარეჯანისა: და იყო ჟამსა მას ამირ-სპა-
სალარი საბარათიანოსა, ბარათაშვილი საჩინო, კაცი ფრიად კეთილი და ესე არა მორჩილებდა

დაუთხანს, რამეთუ იყო ერთგული მეფისა სვიმონისა: დღესა ერთსა მოვიდოდა იგი კოჭრის-ქერმოდ და ვითარცა მოვიდა თავსა გელიყარისასა შეემთხვია მას წინა ყორღანა-შვილი კახაბე, რომელი მოუძღვა ყიზილბაშთა, ოდეს შეიპყრეს მეფე სვიმონ: ხოლო იცნა სახინო ბარათა-შვილმან კახაბერი ყორღანას-შვილი, შეიპყრა იგი და გარდააგდო კლდესა მას გელიყარისასა და მიგორვებდა ყორღანას-შვილი და იტყოდა თვითვე სახინო ლექსა ამას. „ყორღანა-შვილი ქარაფინ-და, ხელი ჰკრეს და გარდაფრინდა:“

ხოლო კახსა ბატონსა ალექსანდრეს ესვა ცოლად ასული ამილახვარისა თინათინ და ესხნეს ალექსანდრეს ხუთ ძე. დავით, ერეკლე, გიორგი, კოსტანტინე და როსტომ და ჰყვა ასული ერთი ნესტან, რომელსა ეწოდა დარეჯან. და ესე ნესტან დარეჯან მიათხოვა დადიანს მანუჩარს, ძესა მამია დადიანისასა და წარგზავნა ზითვითა დიდითა: ხოლო ძე მისი ერეკლე ურჩ ექმნა მამასა თვისსა ალექსანდრეს და წარვიდა სტამბოლს. მაშინ მიესმა შაჰ-თამაზს, განრისხნა და წარმოემართა, რამეთუ ჰგონებდა განდგომილებასა ალექსანდრესსა და მოვიდა სპითა ურიცხვითა ყარაბაღს და შეწუხნა ფრიად ალექსანდრე: მაშინ სალთხუცეს-მან ჩოლაყა-შვილ-მან მოიპოვა ღონე რაიმე და ჰრქვა ალექსანდრეს და კახთა: „უკეთუ იქმნეს საქმესა მას ზედა სიმრავლე ცოდვისა, იყავნ ზოგად ყოველთა-თვის და მე განვარინო კახეთი რისხვისა-გან შაჰთამაზისა:“ ხოლო მისცეს
494 ყოველთავე დიდებულთა კახეთისათა ხელით-წერილი: ხოლო ჟამსა მას გარდაცვალებულ-იყო
ქაიხოსრო ათაბაგი და იპყრობდა ძე მისი მცირე მანუჩარ: მაშინ წინა-აღრჩევითა ჩოლას-შვილის სალთხუცისათა წარავლინეს კაცი და მიუწერეს დედის-იმედსა ქაიხოსრო ათაბაგისსა ესრედ: „ვითარმედ შალიკა-შვილს ვარაზს ჰნებავს ღალატი შენ-თვის და ძისა შენისა მანუჩარისა-თვის, რამეთუ მაგას ჰნებავს დაპყრობა საათაბაგოსი და მოჰყავს ყაენი სპითა ურიცხვითა საათაბაგოსა ზედა და აწ უკეთუ ძალ-გიძს შეიპყარ ეგე და მოჰკალ, ვითარცა ორგული და მკჳლელი ძისა შენისა და არღა-რა მოვალს შაჰ-თამაზ და წარვალს სახიდ თვისად და უმეტესად მტკიცედ იპყრობ ქვეყანასა მაგას:“ ხოლო ესე დედის-იმედი იყო ჭკუით სულელი და ულითო. ვითარცა ესმა საქმე ესე ვერ გულის-ხმა-ჰყო მზაკვარება იგი კახთა და სარწმუნო ქმნილ-მან სიტყვასა ამას ზედა შეიპყრა ღალატად შალიკა-შვილი ვარაზა და მოკლა იგი და დასთხია სისხლი უბრალო, რამეთუ ესე ვარაზა იყო ძე ოთარ შალიკა-შვილისა, მრავალ-გვარად ერთგული და ნამსახური ქაიხოსრო ათაბაგისა და ცოლის ძმა შაჰ-თამაზისა:

ხოლო ესმა შაჰ-თამაზს სიკჳდილი ვარაზასი, განრისხნა ფრიად. მაშინ არღა-რა მოვიდა კახეთსა ზედა, არამედ მივიდა რისხვითა საშინელითა სამცხეს. ამოსწყვიტა სრულიად საათაბაგო და ქმნა მრავალი ბოროტი და წარავლინა კაცი ხვანთქარ-თანა და ინებეს მშვიდობისა ყოფა ურთიერთარს და განიყვეს ქვეყანა ჟამსა ამას და შერიგდენ, მაშინ დარჩა წილად ხვანთქარსა იმერეთი, ოდიში, გურია და საათაბაგო ქართლისა საზღვრამდე, დარჩა კარი საზღვრამდე აბოცისა და ერევანისა და სომხითი საზღვრამდე, რომელსა აწ თურქისტანად უწოდებენ, ვიდრე ბაღ-

დადამდე: ხოლო შაჰ-თამაზ დაიპყრა ქართლი, კახეთი, ერევანი, ქურთისტანს აქათი და მიერით-გან იყო ურთიერთარს შორის ერთობა და მშვიდობა, ვითარცა ერთ-გულნი მოსავნი მაჰმადისანი; ხოლო ბატონმა ალექსანდრე-მ წარავლინა ძე თვისი კონსტანტინე შაჰ-თამაზისა-თანა და წარა-ტანა ძღვენი მრავალი და მოაჯე ექმნა ფრიად და მიუმცნო ურჩება ძისა თვისისა ერეკლესი, ,,რომელ ურჩებითა ნებითა წარვიდა ხვანთქარ-თანა:" მაშინ უსმინა შაჰ-თამაზ აჯა ბატონის ალე-ქსანდრესი და წარვიდა სამეფოსა თვისსა და თანა-წარიყვანა კონსტანტინე, ერმა მცირე, მქვლისა მსგავსად: შემდგომად ამისა გარდახდა მცირე რამე ხანი, ქორონიკონსა **სჲდ**, დღესა სამშაბათსა, ყაენი შაჰ-თამაზ მოკუდა და უსტა ჯალუსითა და იოთამის-შვილმა ალიხან სულთან ჭაიდარ მირზას ბატონობა მოინდომეს: ჯარგაზმა შამხალ-ავშართა და ვინცა მათი ოიმაკი იყო, მოუ-ხდნენ, აიდარ მირზა მოკლეს, უსტაჯალუნი ამოსწყვიტეს, და ისმეილ მირზას გამოსაყვანად კაცი გაგზავნეს, ამავე ქორონიკონსა და ამავე მაისსა ოცდა ორსა: შაჰ-თამაზის შვილი შაჰ-ისმაილი 495
ტყვედ იჯდა ციხესა ყალყაას და გამოიყვანეს დღესა სამშაბათსა და ამავე მაისსა **კვ**, არდაველს ქალაქში მოვიდა და **კზ** ყაზმინისაკენ წავიდა და დასვეს ყაენად შაჰ-ისმაილ და მეფე სვიმონ ალამუტის ციხით-გან გამოიყვანა, ყაზმინს მოაყვანინა და საქართველოს ბატონობა მისცა და მრავალი სხვა წყალობა დამართა, საკელმწიფო მორთულობა ყოვლის ქარხნებისა-გან გაურიგა:

რა ეს ამბავი ტფილისს ქალაქს მჯდომს მეფეს დავითს მოუვიდა იწყინა და ხვანთქარ-თან ჩაფარი გაგზავნა და ლაშქარი ჰსთხოვა: ამავე წელსა, ივნისსა ათაბაგი ყვარყვარე და ძმა მათი პატრონი მანუჩარ და ბიძა-შვილი მათი, მუხრანის ბატონის არჩილის-შვილი, პატრონი ერეკლე, მგელ-ციხეს წავიდეს ყაენ-თან, ელჩის გასაგზავნელად ავ-კარგად სამოცამდის კაცი იახლა, სამ-წუხბთ ღელეში დავდეგით: აცნობა ოლადის ქვაბიდამა ბედიანის-შვილმა იასონ ვარაზა-შვილს გოგოლასა და მის ძმასა ლაშქარსა და მის ბიძას გურგაქს: იახლნეს თანა დიასამიძის ელიას-შვილი ავთანდილ და მისი ძმა შერმაზან, ამატაკის-შვილის როსტომის შვილი ამატაკ და აბდუყაფარ და მათი ძმის-წული როსტომ და ამატაკის ვაჟი სეხნიაი, დაეკაზმნეს ხუთასამდი კაცი და წარმოვიდეს და ორ-თვალთ-ხიდს გამოვიდეს, ბორჯს მივიდეს. იქ ფანასკერტელი იობის შვილი ჯირასონ გვერდს იახლა, საუბარს შეესწრა კაცსა: ,,თუ გულ-მართლა ბატონებზე თავს დასახმელად და დასახოცლად მიდიანო:" იარა და აცნობა უგუბოს ღოღენჯას-შვილს ყანდურა-ლის: ,,თუ გულ-მართალთა ბატონის-შვილებს დახოცენ, ფიცხლა აცნობეო." წამოვიდა ყანდურალი, აცნობა ბატონებსა, ქათამს ეყივლა, ადგეს ბატონები და ვინც იყო დაეკაზმნეს, ოცამდი შეკა-ზმული კაცი იყო, ბარგი აჰკიდეს, დიდ-ხან იქივ იბრუნეს და არ მოვიდეს, უკმოდგეს ოხერათ თავს-სიმაგრესა ივლისს ლ, შაბათს დღეს, განთიად დაესხნეს ნასადგომევსა, სხვა აღარა და-ხვდა-რა, თუხარლიანთ კარავი და ბარგი დახვდა და ის დაიფორიაქეს. ჯორები კიდევ მოსცეს, ჩვენი და მათი კაცი გარდიკიდნეს, ერთი მოკლეს და ერთი ხელთ-დაიჭირეს ჩვენ-თანა, წავიდეს აწბილებულნი, ეგვეხა: ,,არ გაგვისწრობდენ, თავებს დავჭრიდითო და მკვდარს ასო-ასო ავიქმოდით,

და ეს გვექმნა მარტვილებსაც არ გაუშვებდით ცოცხალს:“ დაგარჩა ხმა, დაიწყო ჩვენმა ლაშქარმა ომი დენა: გაემარჯვნეს პატრონი ყვარყვარე და პატრონი მანუჩარ და ერეკლე სახელსა ზედა ღვთისასა, მივედით ზედა-თმოგვს და თმოგვის ქალაქი მოვარბიეთ და იგივე ზედა-თმოგვს ამოვედით, და
1496 პატრონი დედა მათი დედის-იმედ ყოფილი დებორა იქ მოვიდა და ორშაბათს განთიად-ქვაბს მოვადგებით და ორშაბათს იერიშით ავიღეთ და პარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდგებით, რჩეულიანი შემოვიწყვენით, კვირას დღეს ოლადის ქვაბი ავიღეთ, ამოვედით გარწახს, დავდგებით ივლისსა ით დღესა:

(1) ქორონიკონსა ერეკლე შევკაზმეთ, შუხრანის-ბატონის არჩილის შვილი, წლისა იგ, სამის თთვისა და სამის კვირისა, მიუხედით თუალსა, სახლი დავწვით და ამოვსწყვიტეთ, გაუძახეთ ლაშქარი, დარბევული ყიზანი (2) და ალამი გამოვიღეთ და მოვედით და პალაკციოს დავდგებით, იქიდამა თუთ ციხის გარეშემო დავწვით ალაბეკი და გამრთანი, მაჭს-თავს ელჩი გავგზავნეთ. და ამავე თთვესა, ივლისსა კზ, დღესა შაბათს, შალიკა შვილის ზუმბადის შვილმა მათივე ნაქონები ოლთის ციხე წაართვა, ჩვენ თათარი შუა შემოვიდეს, გამოუდგებით, წამოვედით, მგელ-ციხეს შერანშაიან (შერაშიანი)-წყაროზე დავდგებით და მერმე აწყვერს წავედით:

ამავე ქორონიკონსა, აგვისტოს ოცდა თერთმეტსა, ვარძეთის ციხეს ულალატეს მგელ-ციხიდამ, და ენკენისთვეს ოთხსა დიასამიძემა ღმრთის სალალატოდ ამნაურის შვილები და მსახურები გაგზავნა და ვგლარ ულალატეს დამწვიდ-მეტი ხელთ დარჩა სეფარს შალიკა-შვილს, ციხის თავსა: პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე, მათი ბიძა-შვილი მგელ-ციხეს იყვნეს და შალიკაიანთ ამნაურ შვილებს თავს დაესხნეს. ამნაურ შვილები გარდაეხვეწნეს, ერეკლე მოეწია, კაცი ჩამოაგდო და კარგი ცხენი დარჩა და ჩვენც მოვედით სამცხიდამა და შერაშიანი წყაროზე დავდგებით: ამავე ქორონიკონსა ჩაღ, ივანობისთვეს კდ, ბატონი არჩილ შირაზიდამ ყაზმითის მოსრულ-იყვნეს ცოლ-შვილიანად. მერმე ჩაუდგებით, ივლისს ამოვსწყვიტეთ და მაჭს-თან ელჩი გავგზავნეთ, უკმოვბრუნდით, სამცხეს მოვედით:

ქორონიკონსა ჩაკ, მარტში, მოგვიხუდა გოგოლა და აწხის ქვაბი წაგვართვა, წავიდა ბატონი მანუჩარ და იმავ წამს წაართვა, ერეკლეთა და ახლდა (ერეკლეცა თან-ახლდა): მერმე გურგაქ უღალატა, გოგოლა თავის ძმის-წულსა და ბატონს მანუჩარს შემოაყივლა, ქაჯის-ციხე უკმო-უშვირა, მერმე ფიცი გაუტეხა და კიდევ უღალატა ბატონს მანუჩარს. უკუ-მობრუნდა ბატონი მანუჩარ, ჩაუდგებით კიდე გამსავსეულზე, ვიეუბნენით, არ შემოგვეწყვნენ, დაურბიეთ ფოსო, ელჩი გავისტუმრეთ და უკმოვბრუნდით: ამავე ქორონიკონსა, სახელსა ზედა ღვთისასა გავილაშქრეთ, ენკენისთვე ნახევარს ქაჯის-ციხეს მოვადგებით, ღვთისმისთვის ორს გურგაქ შემოგვეწყო და ველი მოგვცა, გავბრუნ-

(1) აქ უნდა ამავე ქორონიკონსა დ. ჩ.

(2) ხიზან- დ. ჩ.

დით, ურიის ციხე-სავალარი წაგართვით, კოკოლაას გერიდა იყო და ციხე დაგაქციეთ, სამაგრე რაც იყო დაგწვით, სავალარი გაუშვით, ფეხით მოგარბიეთ და ყელი გაუშვით ყაენ-თას, მოვბრუნ- 497
დით, მგელ-ციხეს მოვედით, ბასტაღლას-შვილმა მატამა უხუცესი მისი ძმა მოკლა, ათაბარის ერქვა: წამოვიდა ბატონი მანუჩარ, დაიჭირა მატია და თვალები დასწვა მას და მისთან მყოფ-თა ყმათა, მობრუნდა ბატონი მანუჩარ, მგელ-ციხეს მოვიდა, ბატონი ყვარყვარე და ბატონი მანუჩარ იქ ადგეს და ბატონი დედის-იმედით წამოვიდა, ახალ-ციხეს მოვიდეს:

ქორონიკონსა რპვ (რპე) გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი, რომელ მსგავსი არავის უხილავს: ესე შეუძლებელ იყო კაცი უწყალო და მძლავრი საქმეებისა, ამისთვის არა ინებეს ყიზილბაშთა უფლება მისი და ეწამებოდნენ სჯულითა სულიაზასა და ითხოვდნენ მეუფესა მოწამლეთ მოკლეს ყიზილბაშთა შეუძლებელ ყაენსა, გიორგობის თთვის კგ და მისივე ძმა მაჰ-ხუდაბანდე გაახელმწიფეს: ესე მაჰ-ხუდაბანდა კაცი ყოვლით და თვალით ბრმა იყო და ყურა კეთილად წარმართა საქმე თვისი ყენისა-ებრ: ქრისტეს-შობის თვეს ოცდა თერთმეტს ბატონი ყვარყვარე და ბატონი მანუჩარ თმოგვს მოადგეს, სამშაბათის დღეს. იანვარს ა, კვირას დღეს, ქორონიკონსა სპვ, ბატონი დედის იმედი და ბატონი ზექა ყველს მოადგეს: ამასვე იანვარს ტ, ორშაბათს თმოგვი წაართვეს და აქეთ იმავ დღეს ყველი წაართვეს, ორშაბათს გიორგობისთვეს შვიდს ბატონს ერეკლეს ციხე წამოქცა, საქმე სათუოთ გაუხდა, ასრე სასიკვდილოდ დასცა, ეცხო ფერის ფათერაკს მორჩა, ეგრეთვე მეცამეტეს დღეს წარვიდა სასადილოდ, ქარაფის ძირს იყიდა, ჩამოაგდო, ქვა დაეცა, თითის წვერი ძვალითურთ მოჰკვეთა, გონებად დალეწა, ორს თთვეს ძლივ გაუმთელდა, მის-თვის არც თმოგვს იყო და არც ყველს: შეიპყრა კოკოლამ ყარახან, წამოვიდა თმოგვ-ისკე მოსამსახურებლად, ვეღარ მოესწრა, ციხე იორის წარმართვისა, ყველიდამ თმოგვს წავიდა დედის-იმედი, იქიდამ ბატონი მანუჩარ ვარძიას წავიდა, ფოსო და ჯავახეთი დაარბია და გურჯაქს ქაჯის-ციხე გაუბარაქიანა: ბატონი ყვარყვარე და ბატონი მანუჩარ ახალ-ციხეს წამოვიდა და ბატონი დედის-იმედი თმოგვს დადგა. თმოგვის ციხეს რაც დაჰკრა ყოლოდა მიატანინა, გააბარაქიანა და ფალ-შვებიერ-თან ყელი გაუშვაგნა, ციხეების შიგნა შესთვალა და ურუმთ აშლა ატეხა და ურუმთ საჭმელი ხმა დაუვარდა, ბატონი დედის-იმედი ახალ-ციხეს შვილებ-თან მოვიდა, ბატონმა მანუჩარ და ბატონმა ერეკლე ლაშქარი შეიყარეს, წავიდეს, ურუმთ პირს მიუდგეს, ბატონი ყვარყვარე ცოტად უგუნებოდ იყო, ის ვეღარ წავიდა, ხლუდეთს ჩავედით. ამასობაში ოთმანიანი ორვა-ათასი კაცი ფეხბერვალს კვრიასშაბათის დღესა დაესხნენ, ყარახანს გაუდრკა, სასიკვდილოდ წაუღეს ურუმნი და ათიოდე კაცი 498
მოუკლეს, მობრუნდნენ, გორი დაუწვეს და იმავ ფარიშასტში დადგეს: მობრუნდა ყარახან, ექვსასი კაცი ახლდა, დაესხა თავსა, ამოწყვიტა ურუმნი, გააქცია სახელსა ზედა ღმრთისასა და გაემარჯვა ყარახანს და აღივსნეს საქონლითა და იარაღითა. მობრუნდა ბატონი მანუჩარ და აწყურს ჩამოვიდა:

ამავე ქორონიკონსა გამოვიდა ჯარი ხვანთქრისა და დაიპყრეს თავრიზი, ერევანი, განჯა,

ყარაბაღი, ვიდრე სულთანისადმდე და ყოველივე ადგილი ადარბადაგანისა: ამავე ქორონიკონსა
მაისს კა, დღესა ოთხშაბათსა წარვიდა მუხრანის ბატონის არჩილის-შვილი ერეკლე სურამს ნე-
სტან-დარეჯან ქართლის დედოფალ-თანა, დედოფალი ღარიბად იყო, მის-თან სამყოფლად ჩავიდა:
ამავე ქორონიკონსა მიიცვალა აფხაზეთის კათალიკოზი ევდემონ ჩხეტის-ძე: ამასვე ქორონიკონ-
სა მიიცვალა მეფეთ მეფის გიორგის-შვილი ბაგრატ, თთვესა კბ და დედა მათი შარვაშიძის ქა-
ლი, დედოფალი რუსუდან მიიცვალა, აგვისტოს დ: ამასვე ქორონიკონსა, მარიამობისთვეს ზ,
ხუთშაბათს დღესა ხვანთქრის ლაშქარი და ალალა ფაშა მგელ-ციხეს მოადგეს, შეიბნეს, სამშა-
ბათამდის ყოველთ-დღეთ ომში იყვნეს, ციხოსანი გოგორი-შვილი როინ და მასი ძმა ზერი ერუ-
შნელი და მისი ძმის-წული ზურაბ იყვნეს მათის ყმითა და ღვთის შეწევნითა უგუ-ეყარნეს და
ციხე ჩვენვე დაგვრჩა, ჩვენთა გაემარჯვა. პარასკევს დღესა ლ მარიამობის-თვესა ქაჯის-ციხე
ველი და თეთრ-ციხე წაგვართვეს ურუმთა და ქაჯის ციხის მეციხოვნენი სრულიად შემოეხოცნეს
და თ შაბათსა დილასა ძურძანასა და წინწალს შუა, აზრუმისა და ვანის-ფაშა მოვიდეს და სულ-
თანი და ყარახან ბასუქლუ, კიდევ მუდალუს ბატონი იქ შეიყარნეს, მაჰმადი სულთან გორა-ზე
წამოდგა, მისი ვინც იყო გვერდს მოიყენა და სხვა ბატონები შეებნეს ურუმთა, პირველად გაი-
მარჯვეს ყიზილბაშთა და მერმე ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯვეს. მაჰმადი სულთან გამოაქცია,
გარდაეხვეწა იმავ კვირას ი მარიამობის-თვესა. პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა ლა-
შქრის ომსა და ვერც ციხეების აღებასა ვერ მიეწია, ამილახორის-შვილი ქაიხოსრო მიეგება
არტაანს და ორი ციხე მას (მან) შესძლჳნა ლალა-ფაშასა მარიამობის-თვეს ორსა. აგრევე არიფაქსად
ჰზირებოდა, ქჳსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლევნა და პატრონს
მანუჩარს თან-მიჰყვა, იმ წამს გამოჰგვარეს, ციხეები გამოართვეს და ხახული სახანჯახოდ მისცეს:
პატრონმა მანუჩარ იზ, ამავ თთვესა, თმოგვის ციხე მისცა ლალა-ფაშასა, ახალ-ქალაქი უწინ
წაართვეს, კოკოლას მეციხოვნე იდგა და იქიდამ მისცა თმოგვი, გაიარეს, წავიდეს ტფილისის
ქალაქ-ზე, ის დაუთხან დაწვა და გაეცალა, ლორეს ჩავიდა, ტფილისს ჩავიდა, ფაშა დასვეს და
499 გორს სანჯახი: დაუთხან ხვანთქართან წავიდა და იქ დიდი პატივი მიაპყრეს, ორი საფაშოთ
სარჩოდ გაუჩინეს და თვითან კარ-ზე შეინახეს და მისი ორნი შვილნი ბაგრატ და ხოსროვ
მამას არ გაჰყვნენ, კახის ბატონის სიძე იყო, ბატონი ბაგრატ სიმამრისას დადგა და უმცროსი
ძმა ხოსროვ-მირზა ისიც ძმას-თან დადგა და ბოლოს ყაენის კარ-ზე ჩავიდნენ: როდესაც ტფი-
ლისს ფაშა დასვეს და გორს სანჯახი, მუხრანის ბატონის-შვილი, პატრონი ვახტანგ, ერისთავი
ელისბარ და ამილახორი ბარძიმ ერთად შეეყარნეს, ლალა-ფაშა-მ ლაშქარი გაამახა დედოფალსა და
სრულიად ქართლსა: ესენი მივიდეს და ამათის წყალობითა ლაშქარი დააბრუნვეს, თემი აღარ
ამოსწყდა, მათ მათი მამული მისცეს, ოთხი დღე არ დააყოვნეს და დააბრუნეს, მათს მამულში
მოვიდეს, სომხითარით ბევრი აწყინეს, ლაშქარი გამოუშურა ლალა-ფაშასა, ამოიარეს ქართლს,
დაუდგეს იმერელნი წინა და მწველ ამოსწყვიტეს: მეორედ ერეკლე დაემწყვდია შიგა ომში, პა-

ტრონის არჩილის-შვილი და მას გაემარჯვა, უცხო-ფერად შებმულ იყო, ცხენი ქვეშ გამოეკლა მის-თვის თოფქვემეტი, მუზარადს ჰქონდა ნაკრავი ისარი ორმოცამდი, და ვერც ჯაჭვი, და ვერც მუზარადი ვერ გაეკვეთა, ერთი ხრმალი ხანჯარს ჰსცემოდა, ხანჯრის ტარი ზედ დაეჭრა, ექვსი აზნაურ-შვილი მძიმედ დაუჭრეს, დაუკოდეს, გამარჯვება ერეკლეს დარჩა, გამოაქციეს თათარნი, უფროსიერთნი დახოცეს და ამოსწყვიტეს:

ენკენის-თვეს ერთს იმერელნი შეიბნეს და გაიმარჯვეს და ქართველნი და ერეკლე ენკენის-თვეს ი შეიბნეს და სრულიად ამოსწყვიტეს, ორბელიანის-შვილი მოვიდა და ლალა-ფაშასთან ბატონს მანუჩარს ის მიუძღვა, ახალ-ქალაქიდამ ფაშა და ბატონი მანუჩარ ქართლს წავიდეს, ორბელიანდის-შვილი ქაიხოსრო აქათ გამოეგზავნა, ქორონიკონს სჲგ, ენკენისთვეს დ და ხუთშაბათს ქორწილი უყავით მას-თან ბატონის-შვილს თამარს და საშინელმა აწყურისა ღვთის-მშობელმა და წმიდა-მან ნიკოლოოზ, ქორწილი ბედნიერად მოუხდინოს, ჰამა აგურიანში იყო-თათართ შიშითა, დია ჩვენი უგუნებო ქორწილი იყო:

აგრევე კახთ მეფე, ბატონის ლევანის-შვილი, ბატონი ალექსანდრე მიეგება ლალა-ფაშასა, სათის-ჭალას შეეყარა და შაქისა და შარვანზე წავიდეს: ამა-ზე შერამაზანა-შვილი მოვიდა ყაე-ნიდამა, თვალ-შვენიერთან იყო. ეს ამბავი მოიტანა: „მანუჩარის ლალა ფაშას-თან მისლვა შეიტყო-ყაენმა, თვალ-შვენიერს კაცები გამოუგზავნა, სადგომი დააგდებინეს და ყორჩიბაშს მიაბარეს, მარიამობის-თვეს კგ, ორშაბათს დღესა დაიჭირეს თვალ-შვენიერი:" შირვანი დაიჭირეს, ციხე ააშენეს და ოსმან ფაშა შეაყენეს მისით ლაშქრითა და შემობრუნდეს, ალექსანდრეს-შვილი არა-გვამდის მოჰყვა და დაჰბრუნდა, ლალა-ფაშა მუხრანს დადგა, გორი გაამაგრა და მიესმა საქმე ეს 500
შახულდაბანდას: მაშინ დედა-მან შახულდაბანდასა-მან, ასულ-მან ოთარ შალიკა შვილისა-მან მოი-ყვანა მეფე სვიმონ და ვითარცა წესი არს ქართველთ დედათა, ეგრეთვე ჰყო: ამან წარმოგზავნა ლეჩაქი საბურველი ესე დედათა. „მომიხვევია ხრმლისა შენისა ხეტარსა ზედა, შენ იცი და ხრმალ-მან შენ-მან და მოგვიცემია შენ-თვის სამეფო შენი საქართველო და სხვაცა მრავალი საბოძვარი, წარვედ და განამაგრე საქართველო, რათა არა წარგვიღონ ოსმალთა და იყავ თანა-შემწე და ერთ-გულ სახელმწიფოისა ჩვენთა:"

ხოლო მისცეს საბოძვარი ურიცხვი და ესრეთ წარმოემართა მეფე სვიმონ, და მოაბით მოი-ყვანეს ავათ-მყოფი მუხრანის-ბატონის ბაგრატის-შვილი არჩილ, ერთის შვილითა და ბევრი ტყვე თან-მოიტანა, ღვინობის-თვის ნახევარს მოვიდა, ლალა-ფაშა ქართლსავე იდგა, მოვიდეს სომხითს, და დალაპარაკდეს, ავათ-მყოფი მისით მიზეზით ველარ ნახა, აიყარა ლაშქარი ღვინობის-თვის ერთსა, პარასკევს დღესა, მოდენა დაიწყო, აწყვერს ვიდეგით ორშაბათს ბატონი მანუჩარ გა-მოუშვა, წინათ მოვიდა, სამშაბათს ბატონი ყვარყვარე წინ მიეგება, თვითან ლალა-ფაშაც მოვიდა. და გაღმა ლეკ-ზე დადგა, ხუთშაბათს ბატონი დედის-იმედი გავიდა ციხიდამა და ლალა-ფაშა ნახა, ანგარიში არ იქმნებოდა რაც ლაშქრისა და აქლემების ჯარი იყო, შაბათს ცისკრისა აიყარა

და წავიდა, პატრონი ყვარყვარე თანა-გაჰყვა მოტყუებით და აღარ დაბრუნდა, პატრონი მანუჩარ თანა-წაჰყვა, ამის დღეს ძლიერ ლაშქარი გაიწყდა, სამშაბათს დღეს ამბავი მოვიდა, პატრონი ყვარყვარე აღარ დაბრუნდაო, წაუდგა პატრონი დედის-იმედი, ჯავახეთის სდია, ვერ მიეწია, ამნაურის შვილები წაუყვანა, ვეღარ დააბრუნა ისრევ დედისა და ცოლ-შვილის გამოუსადმებელი წავიდა, ოდიშის საძსაჯათეოდ მისცეს, იქივ შივიდა. პატრონი მანუჩარ მოვიდა აწყვერს, მობრუნდა მეფე სჯიმონ, გორი აიღო, ქართლში გაძლიერდა და ვისაც დედოფალს და პატრონის-შვილს გიორგიზე იმტყუნეს, ზოგნი მეფეს დავითს თანა-წაჰყვნენ ურუმში და ზოგი იმერეთსა და კახეთს გარდაიხვეწნეს, და ქისნის ერისთვის მამული ზოგი ბატონს სესტან-დარეჯანს დედოფალს საუპატიოდ მისცეს და ზოგი ბატონის-შვილს მისცეს და ამილახორის კასპი სვეტს-ცხოველს შეუწირეს და ამნაურ-შვილნი სახასოდ დაიჭირა და გორის მოურაობა სულხან თურმანიძეს მისცა, მუხრანის ბატონის-შვილი მუხრანის-ბატონი ვახტანგ ტაძრად მიიყვანებს დღეს ხელთდაიჭირეს პატრონმა სვიმონის მეფემან და კეხვის-ციხეში ტყვედ ჩააგდო: ლალა-ფაშას ლაშქარი და მირმაალი გამოეგზავნა პატრონს მანუჩარ-თანა, ქართლს გაეძახა, ქართლს ვერ ჩაუვიდეს, სადგურს დადგეს და ამოსწყვიტეს სადგური, წმიდის გიორგის გამში წახდა, მერმე კიდევ სან-

501 ჯაყები გამოეგზავნა შეიყარა, პატრონი მანუჩარ წაუხდა, და ზემო-ქართლი დაურბევა: მოვიდა კაცი, პატრონს ყვარყვარეს ოდიშს აღარ დააყენეს, აზრუმს მიიყვანეს, შობის წინა-დღეს წაიყვანეს, მოუხდა შაის ხუდაბანდის ცოლი ბეგუმ მირზასსა, შეიბნეს, ამოსწყვიტეს ლაშქარნი, ციხე დაწვეს, დააქციეს, ხანშინა ყველა ხელთ-დარჩა, თათარხანი ხელთ დაიჭირეს, ყაზმითს ტყვედ წაიყვანეს, მოურივნეს ყიზილბაშნი. ოსმან-ფაშა დებურყათს უკურნა. ჩავიდა ყაზმინს ბეგუმ, დაიჭირა ბეგუმ გამარჯვებული ხელთა, ისიც მოკლეს, თათარხანიცა, ყაენმა დაახოცინა. ყაენი შაჰ-ხუდაბანდ ცოლის სიკვდილს უკან ყიზილბაშთ დასაგრეს და ადრიბეგანი და შირვანი ურუმთდაიჭირეს, განჯის ხანი შაჰვერდი სულთან კახეთს მივიდა და ბატონს ალექსანდრეს შეეხვეწა. ამან შეხვეწილი კაცი დააჭირვინა და ხონთქარს გაუგზავნა:

ქორონიკონსა ჩღ'ნ, მარტს ქბ, პატრონი ყვარყვარე და პატრონი მანუჩარ კონსტანტინეპოლის წავიდა აზრუმიდამა. აპრილს ჳ, ორშაბათს გადადგეს. მას-უკან მოვიდა ამბავი. ,,ბატონი თვალ-შვენიერი მარიამობის-თვის ოცდა-სამს ხელთ დაიჭირეს, ღვინობის-თვეს ა ორშაბათს დღესა ჯლამუტის ციხეში ტყვედ წაიყვანესო:" ჟამი შეიქმნა, მაისს ლა, შაბათს საღამოსა, სოსიტა გაცხელა საკანათეს, პატრონის ყვარყვარეს შვილი, ღუთის შეწევნით გარდაიხადა. ივნისსა ით, ბატონი ბექა გაცხელა და ღუთის შეწევნით მანც გარდაიხადა. ბევრი გაცხელა ჩვენში და არავის-რა დაუზიანდა: მერმე მოვიდა ლალა-ფაშა და კარი აღაშენა, ტფილისის ქალაქს ლაშქარი გაგზავნა და სუზლი შეუტანინა: მარიამობის-თვეს ქვ პატრონი დედის-იმედი გაცხელა ხუთშაბათს დღესა, და ორშაბათს დღესა ბერის პატრონის ბასილისა ჟამით გაცხელება მოვიდა და საჯარას საბურთეზე გაცხელებისა. იმ წამს წაბძანდა პატრონი დედის-იმედი, ორნი დედა-შვილ-

ნი ერთს შვირაში დაწვეს, ენკენის-თვეს გ, პარასკევი გათენდებოდა, ღმერთი განრისხდა, ბატონი ბასილი მიიცვალა იე წლისა და ოცდა ორის დღისა, ღამით ჟამსა ბ და წამოვიდა პატრონი დედის-იმედი მოაბიია, ზღუდერს ჩამოვიდა და ლევანობის-თვეს უსკუდარიდამ პატრონის შვილების გამოშვების მახარობელი მოვიდა:

ამასვე ქორონიკონსა, გიორგობის-თვეს პატრონი მანუჩარ მოვიდა კოსტანტინეპოლიდამა ფალიდამა, ებოძა ხვანთქარსა და სრულად მისი მამული, ორს თთვეს პატრონი ყვარყვარე თორთომს დაეყენებინა, არ გამოეშვა: ქორონიკონსა ს.ჲზ, იანვარს ზ, პატრონი ბექა ფალიდამა გავაქცენით, ლალა-ფაშა წასრულ იყო და ბექა ოლთის დადგომილ იყო, პატრონი ყვარყვარე დუთის 502
წინაც შეურცხვენელი და კაცთასაცა, ფალავანი დაეცა ხვანთქარ-თანა და ქართველობით გამოეშვა, მისის საბატონოს წყალობა ქმნა და მარტში მობრძანდა, ივანობის-თვეს ნახევარს ბექა მოიყვანეს და თვითან ორნივ ბატონები ლორეს წავიდეს, დაარბიეს და გამარჯვებულნი მოვიდეს. მასუკან მეორეს წელიწადს სინან-ფაშა მოვიდა და ტფილისს წავიდა და ორნივ თან-გაჰყვეს, პატრონი ყვარყვარე თრიალეთიდამ მოებრუნებინა, იმერეთს მოციქულად გაეგზავნა და პატრონი მანუჩარ თანა წარეტანა:

ქორონიკონსა **ს.ჲზ** მუხრანის ბატონის ბაგრატის-შვილი მუხრანის ბატონი ვახტანგ მიიცვალა ივანობის დამდეგს. ქორონიკონსა **ს.ჲთ** პატრონ-მან მანუჩარ გვირგვინი იკურთხა ფებერვალს და ბექა კოსტანტინეპოლეს წაიყვანეს: ამავე ქორონიკონსა მარიამობის-თვეს დ პატრონი არჩილ მობრძანდა აწყვერს, დიდის ხანის უნახავნი და ძმანი შეეყარნეთ, ლვინობის-თვეს წაბძანდა: ამასვე ქორონიკონსა გიორგობის-თვეს კე პატრონი ყვარყვარე და მუხრანის ბატონის ბაგრატის-შვილი არჩილ მიიცვალა: ხოლო მეფე-მან სვიმონ ყორღანას-შვილის კახბერის ცოლ-შვილნი და სახლეულნი ყოველნივე შთაყარნეს კლდესა მას გელიყარისასა და იტყოდენ პირველსავე მას ლექსა და სხვანი ნათესავნი მისნი იტყოდეს (იყვოდეს) რომელნიმე ყაზილბაშშია და რომელიმე საათაბაგოსა შინა; ხოლო დაუთხანს ჰყვა ძე ერთი მეუღლისა თვისისა-თანა, რომელსა ეწოდა ბაგრატ და შემდგომად დაუთხანის წარსლვისა, არცა ეს დააყენეს ბიძას-თან, წარიყვანეს ყაენ-თან და მუნ გათათრდა. ამის ბაგრატის დედა მეყვისი იყო გვარით კახი ბატონის ალექსანდრესი ახლო: ხოლო ჩამოვარდა შური კახ-ბატონისა და მეფეს სვიმონს შუა, დახოცისათვის ელიმირზონისა და ხოსრო მირზას-თვის და ესე ალექსანდრე უფრო მოყვრობდა დაუთხანს. მიზეზისა ამის-თვის დიდად მოშურნე ქმნა კახი ბატონი ალექსანდრე მეფესა სვიმონს: მაშინ ტფილისი და ციხე ტფილისისა ეპყრათ ურუმთა და მეფე სვიმონ იდგა დიღვამს დედოფლითურთ. ხოლო კახი ბატონი ფრიად მოშიში იყო მეფისა სვიმონის მიერ: „ნუ უკვე ძვირი იხსენოს ამოწყვეტისა-თვის ცოლის ძმებისა თვისისა:“ ოდეს დახოცა ალექსანდრე-მ ძმანი თვისნი, იგინი იყვნეს ცოლის ძმები მეფისა სვიმონისა. ამისთვისცა მიუსმა ალექსანდრეს მცირითა კაცითა ყოფნა მისი დიღვამს, შემოიყარა კახნი და წარმოემართა ღამით და დაესხა უგრძობელად

მეფესა სვიმონს: ხოლო მეფე-მან სვიმონ, თვით მხოლო-მან კნინღა განარინა თავი თვისი სიკვდილსა: მაშინ შეესია და იავარ-ჰყო საჭურჭლე და ბარგი მისი და სირცხვილთა საფარველი დედოფლისა, დისა თვისისა, იგით მასვე ალექსანდრე-მ აიცვა წვერსა ზედა შუბისა თვისისა და ქმნა მრავალი უკადრისი და წარმოვიდა და დადგა მარტყოფს, რომელსა ჰრქვიან ჭოტორი. ხოლო მეფე-მან სვიმონ შემოიყარა სპანი ქართველთა და წარვიდა გულითა სრულითა ალექსან-
503 დრესა ზედა და წინათვე წარავლინა კაცი და მიუმცნო ესრეთ: „ვინაიდგან შენ იკადრე ეგევითარი ბოროტი, რომელი არა არს წესი მეფეთა და მუხთლად დამესხი შეუგრნად მძინარესა და აწ უწყოდე, რამეთუ წამოვსრულ-ვარ შენ-ზედა ბრძოლად და უკეთუ ხარ კაცი გამოცდილ მამაცობასა შინა დამხვდი, რამეთუ უმჯობეს არს ომი გამოცხადებული უფროს ღალატად ნაქმარსა:“ მაშინ მივიდა მეფე სვიმონ და შეიბნეს და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მიეცა ძლევა მეფესა სვიმონს და ქართველთა და ივლტოდა ალექსანდრე და შეიპყრეს კახნი თავადნი, რომელ მცირედნი ძნიად განერა და წარვიდა მეფე სვიმონ გამარჯვებული და წარმოასხეს პყრობილნი კახნი დარბაისელნი და დააფიცეს მცხეთას სვეტსა ცხოველსა ზედა. ესრეთ დააფიცეს კახნი ვითარმედ: „ღმერთ-მან სამართლის მოქმედ-მან კახს კაცს ნურა-ოდეს ნუ გაუმარჯოსო ქართველს კაცს ზედაო, არცა დიდთა და არცა მცირედთაო:“ და ოდეს ესრეთ დააფიცეს. მაშინ მიანიჭა ყოველთავე კახთა წყალობა და ხალათები და ესრეთ განუტევა იგინი მშვიდობით და არღა-რა ემტერებოდა მიერით-გან: და უკეთუმცა ესება მეფესა სვიმონს, მაშინ დაიპყრობდა სრულიად კახეთსა და ალექსანდრესაცა და იქმნა ომი ესე ქორონიკონსა **სჲთ**, ქრისტეს აქეთ **ჩფპბ** (ჩფპა):

ამისა შემდგომად გამოვიდა დიდი ამირ-სპასალარი ხვანთქრისა მაჰმად ფაშა, ჩამოვლო ზემო-ქართლი და აღიღო გორის ციხე და შეაყენა მცველნი თვისნი და თვით წარმოვიდა და დაიბანაკა მუხრანს და მუნ დახვდა მეფე სვიმონ შეყრილი. მაშინ იქმნა ბრძოლა ძლიერი და ეკვეთნეს სპანი ქართველთანი ძლიერად და შეიბრალა ღმერთმან და მიეცა ძლევა ქართველთა და გაემარჯვა მეფესა სვიმონს, ამოსწყვიტეს მრავალნი სპანი ოსმალთანი და შეიპყრეს ურიცხვი, კნინღა განერა თვით ფაშა და ივლტოდა მცირედითა კაცითა და შეიხვეწა ციხესა ტფილისისას, ქრისტეს აქეთ **ჩფპბ**: ხოლო მეფე სვიმონ მოვიდა დიღომს და მოაწვია მუნ ყოველნი თავადნი ქართლისანი (1) ყალბიანად და შემოკრბნეს ყოველნივე დარბაისლის ცოლები დედოფლისა-თანა და აღიყარნეს დიღომიდამდე, განვიდეს ტბასა ლილოსასა და დაადგრნენ მუნ მას ზედა, რომელ არს გორა მაღალი, რამეთუ მუნ ახლდეს ყოველნივე დიდებულნი და მცირენი სპანი ქართველთანი, თვით დედოფალი და ჯალაბნი თავადნი თავადთანი: ხოლო გამოვიდა ტფილისის ციხიდამე მრონწეულნი ზროხათა, მაშინ გაუძახა მეფე-მან სვიმონ მცირედნი სპანი თვისნი და წარმოიღეს მრონწეული იგი. ხოლო კაცნი იგი ივლტოდეს და გამოვიდა ციხიდამ მრავალნი სპანი ოსმალთანი და იყვნეს

---

(1) ყალბიანად მეორანაც იყოს.

განწყობილნი მეფე და სპანიცა ქართველთანი, მსწრაფლ მიეტევნეს იგინი, ვითარცა ლომი და
პირველსა კვეთებასა ზედა წარიქციენეს სპანი ოსმალთანი და მოსწყვიტნეს მრავალნი მათგანნი
და უმრავლესნი შეიპყრეს და უჴჳრეტდეს თვით დედოფალი და დარბაისელთა ჯალაბნი თვალითა, 504
და მისდევდეს ოტებულთა ოსმალთა სპანი ქართველთანი და ვიდრე ციხისა კარამდე სრვიდეს
და იპყრობდეს და ესრეთ გამარჯვებულნი გამობრუნდეს, და მოვიდა მეფე სვიმონ სიხარულითა
და ნოშოვრითა დედოფლისა-თანა და იყო შვება და განცხრომა ზოგად ყოველთა შორის:

ქორონიკონსა **სღ** პატრონს მანუჩარს უღალატეს ურუმთა, პატრონი მორჩა, ორივ ფაშანი
მძიმედ დაიკოდნეს და გაიქცეს და თემი ჩვენვე დაგვრჩა. და ყაენი განჯას მოვიდა, და პატრონს
მანუჩარს ჩალაბუთი მოსცა და პატრონს დედის-იმედს ხუთი დიდი სოფელი, ქორონიკონსა **სოა**.
თვალ-შვენიერი ორმოდამ ამოიყვანეს და ყაენ-თან მოიყვანეს, ამავე ქორონიკონსა, მარტს **კდ**,
კვირას დღეს, ბზობას: პატრონმა მანუჩარ მეფეთ-მეფის პატრონის სვიმონის ქალი, პატრონი
ელენე მოიყვანა: ქორონიკონსა **სობ** მიიცვალა ბარათას-შვილი, კათალიკოზი ნიკოლაოზ და ნე-
ბითა და ბრძანებითა ღმრთისათა კათალიკოზ-იქმნა, ძე კახთა მეფისა ლეონისა, თვესა ფებერვალსა **კ**,
დღესა შაბათსა: ამასვე ქორონიკონსა სარდალი ვარად ფაშა მოვიდა და ახალ-ციხეს საშენებლად
ველარ დადგა, წავიდა და თემი ჩვენვე დაგვრჩა. შემდგომად მცირედისა კვალად შეიყარა სპა
თვისი და წარვიდა ლორეს. რამეთუ ოსმალთა ეპყრა იგი და ვითარცა მივიდა, მაშინ გამოვიდა ფაშა
სპითა მრავლითა და ეწყვნენ ურთიერთარს და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მისცა კვალად გამარჯვება
ღმერთმან მეფესა სვიმონს და ამოსწყვიტნეს მრავალნი ოსმალნი, რიცხვით ორასი სამეოცდა
ცამეტნი, ქრისტეს აქეთ **ჩფპვ**, ქორონიკონსა **სუგ** (1) და აღიღო სიმაგრენი და ქვაბები, ვითარ
ცხრა ლორისანი, რომელი ეპყრა ოსმალთა და თვით დაიპყრა, თვინიერ ციხისა მის და იგი მხო-
ლო ეპყრათ ოსმალთა. მაშინ მიადგა ციხესა მას ლორისასა, აპრილსა ა და აღიღო ივნისსა **ი**:

ამასვე ქორონიკონსა ყაენმა სამცხე ამოსწყვიტა: ხოლო დაიპყრა მეფე-მან სვიმონ სრუ-
ლიად ლორე და წარმოვიდა გამარჯვებული სახიდ თვისად. ხოლო შემდგომად მცირედისა, კვა-
ლად შეიყარა და მივიდა ტაბახმელას: მაშინ ჰსცნა რა ასან-ფაშამ, იდუმალ გამოვიდა იგი ციხისა-
გან სპითა მრავლითა, აგრძნა ესე მეფე-მან და ეწყვნეს ურთიერთარს, იქმნა ომი ძლიერი და
მისცა ღმერთმან გამარჯვება ქართველთა და მაშინ მეფე სვიმონ, გალომებული მიეტევა ერთსა
წარჩინებულსა ბეგსა ოსმალსა და წარიქცია იგი და მივიდა კაცი იგი და შთაიჭრა დიდსა მას
ხევსა ტაბახმელისასა ცხენითურთ და ესრეთ თქმულ-არს, ვითარმედ არა მომკვდარ არს კაცი
და ივლტოდეს ოსმალნი და მოისრა მაშინ ოსმალი კაცი, ვითარ ხუთასი: ხოლო მიადგა ციხესა
მას ტფილისისასა და აღიღო გალავანი ტფილისისა და უკან ციხე და შემდგომად ამისა აღიღო
დიდი ციხე იქით ტფილისისა. და ქალაქი ტფილისისაცა და მოსრნა ყოველნივე, რაოდენიცა

(1) ხიდ უნდა. დ. ნ.

505 იყვნეს ციხესა მას შინა და თვით დაიპყრა ყოველივე: მაშინ მიესმა რა საქმე ესე ხვანთქარსა
შეუძნდა ფრიად და წარმოავლინნა უმრავლესნი სპანი თვისნი და უჩინა ამირ-სპასალარი ერთი
ვინმე წარჩინებულთაგანი და მოვიდა ლორეს და აღიღო ციხე ლორისა და დაიპყრა ლორე, მო-
ვიდა და დაიბანაკა ხატის სოფლისა ბოლოსა:

მაშინ მეფე-მან სვიმონ შეჰკრა სპა თვისი, მივიდა და დაიბანაკა ხრამის გაღმა, რამეთუ მოიპოვა ღონე რამე მეფე-მან სვიმონ და მოირთო ელჩად თვით და მივიდა ფაშას-თანა სვიმონ მეფისა მაგიერად და მიუთხრნა სიტყვანი ლიქნისანი: „ვითა თქვენცა გასმიან, თუ რაოდენნი ჭირნი და პყრობილებანი და ტყვეობანი მოწევნულ არიან ყიზილბაშთა მიერ ჩემ-ზედა და აწ არღა-რა ძალ-მიძს ესე-ოდენი სისხლი და ბრძოლა ხვანთქრისა და სპათა მისთა, რამეთუ საქმე ესე არა ნებითა ჩემითა მიქმნიან. არამედ მძლავრებითა ყიზილბაშთათა: ამიერით-გან არღა-რა მნებავს მონება ყიზილბაშთა და აღმირჩევიეს მორჩილება ხვანთქრისა უფროს ყიზილბაშთა და აწ უკუთუ თქვენცა გნებავს შეგვრიგდეთ და ვიყვნეთ მშვიდობით და აუწყუეთ ხვანთქარსა დამონება ჩვენი და ამიერით-გან ვიქმნებით მორჩილ ბრძანებისა მისისა:“ ხოლო ვითარცა ესმა ფაშასა მას საქმე ესე განიხარა ფრიად და მიუმცნო მეფესა სვიმონს: „ვითარმედ კეთილად განგიზრახავს და ჩვენცა სარწმუნოდ გვიჩნს სიტყვა შენი, აწვე გავრიგდეთ და ამიერით-გან იყოს მშვიდობა, ერთობა შორის:“ და წარმოვიდა მეფე სვიმონ სპათა თვისთა თანა: მაშინ განიმსტრო ბანაკი იგი ოსმალთა და იხილა ყოველივე საქმე ესე და სიმაგრე მათი და სიმრავლე მებრძოლთა მათთა და მასვე ღამესა წარვიდა მათ-ზედა, შემოვლო ხატის სოფლის გორასა და დაესხა თავსა ოსმალთა და მოსწყვიტნა მრავალნი პირითა მახვილისათა, სხვანი შეიპყრნეს, უმრავლესნი და გაემარჯვა ძლიერად და იავარ-ჰყვეს ბარგი მათი და წარმოიღეს საშოვარი ურიცხვი და მოვიდეს გამარჯვებულად ტფილისს და განისვენა მცირედ და კვალად შემოიყარა. სპანი ქართველთანნი და იყო მაშინ ათაბაგიცა მანუჩარ სიძე მისი მის-თანა, წარვიდა და მიადგა ციხესა დმანისისა, რამეთუ მაშინ ოსმალთა ძლიერად ეპყრათ დმანისი და ციხეცა დმანისისა: ხოლო აღიღო ციხე და დაიპყრა დმანისის ხევი და გარემონი ადგილნი, რომელი ეპყრათ ოსმალთა. მაშინ წარვიდა ათაბაგი მანუჩარ და კვალად იპყრა საათაბაგო და განძლიერდა ფრიად მეფე სვიმონ:

ხოლო ჟამსა ამას შინა იყო მოსვენებით მეფე და სრულიად საქართველო, რამეთუ ვერღარა
ძალ-უძლეს ოსმალთა მოსლვად საქართველოსა ზედა: ქორონიკონსა ზედა სოე, აქა შაჰ-ხუდაბან-
დის შვილი ამზაი-მირზა (1) დალაქმა მოჰკლა: აქა მაწყოვრელი გაგზავნეს კონსტანტინეპოლეს
და მესაპატიონი კაცნი მძევლად მისცნეს. შალიკაშვილი ედიშერ, შალიკას-შვილი ელია და ამი-
506 ლახვრის-შვილი ქოიან და მძევლები დაუჭირეს და პატრონი მანუჩარ ვეღარ მიენდო: ამავე
ქორონიკონსა ახალ-ციხე და გორი აღაშენეს ურუმთა, აგვისტოსა, დასაბამით-გან წელთა შვიდ-

(1) ქაშხა-მორჩხა კრწანია სხვან დღესამაჲ, ლ. ნ.

ათას ოთხმოცდა ოოთხმეტსა: მეფე სვიმეონ საშველად მოვიდა, აღარ შეაბეს, მესხთა თემი დარბიეს და წარვიდეს: ბევრ რიგი მოღალატე შემოადგეს პატრონს მანუჩარსა, ვეღარ დაუდგნა, და ახალ-დაბას ცოლი წაიყვანა და წავიდა პატრონი დედის-იმედი დედა, პატრონის ყვარყვარეს-შვილი, პატრონი ქაიხოსრო, საკანათეს ციხეში დადგეს და დიასამიძე-მ ელია დეომითას ციხეს სავალინა-შვილი საღალატოდ შეუყენა, უღალატეს, ციხე წაართვეს და ბევრი საქონელი და სა-ლარო დაიჭირეს და გოგორის შვილმა ბექან ციხის-ჯვარი უკუ-იჭირა და მისცა ფაშასა, შემოგვი-ყენეს მოღალატენი და ვეღარც წვენ დაუდეგით და ნავედით ახალ-დაბას. მარტს ნახევარს გაზა-ფხულს ყაენი ხუდაბანდის-შვილი, აბასი მირზა გამოვიდა, არდაველს მოვიდა, ოზ-ბეგნი ხვა-რასანს წამოეჭიდნეს, დაბრუნდა, იქითვე წავიდა და თვალ-შვენიერს სამ-ჯერ გაემარჯვა, კი-დეც დახოცნა, ხელთაც დაიჭირნა, ყაენს მიუსხა, ყაენმა მამულიც დიდი მისცა და ჯილდოცა: მერმე პატრონი მანუჩარ ვეღარ მიენდო, დონე ვეღარა მოიგონა-რა, დაგვიწყეს მოციქულობა პატრონი დედის-იმედი და პატრონი ჩემი (1) შვილის-შვილი, პატრონი ქაიხოსრო გამოუგზავნეს ახალ-ციხეს ფაშას-თანა, შობის წინა დღეს:

ყიზილბაშთა შუა განდევნეს შახუდაბანდა ყაენი და დასვეს მის წილად ძე მისი შააბაზ და გამო-ვიდა ესე შააბაზ და აღიღო თავრიზი და ყოველივე ადარბადაგანი, თვინიერ ერევნისა და ბაღდა-დისა და იყო ფრიად მწყალობელ შააბაზ მეფის სვიმონისა და კვალად უფროსად გამდიდრდა მეფე სვიმონ და განძლიერდა და არღარა იყო მტერობა, რამეთუ ჰყვეს მშვიდობა ალექსანდრე-მ, მპყრობელ-მან კახეთისა-მან და მეფე-მან სვიმონ. რამეთუ ჟამსა ამას მოკვდა პატრონი იმერე-თისა გიორგი და დაჯდა კონსტანტინე და მცირესა ხანსა შინა მოკვდა კონსტანტინე და დაჯდა ძმა მისი ლეონ და მტერობდეს ურთიერთარს დადიანი მანუჩარ და ლეონ, მპყრობელი იმერეთისა. რამეთუ ესვა ცოლად დადიანს მანუჩარს ასული კახის პატრონის ალექსანდრესი ნესტან-დარეჯან და ჰყვა დადიანს მანუჩარს მას-თანა ძე ერთი, რომელსა ეწოდა ლეონ. ამას ჟამსა შინა მოკვდა ცოლი დადიანისა ნესტან-დარეჯან და შეირთო ასული ათაბაგისა თამარ:

ხოლო რაჟამს განძლიერდა მეფე სვიმონ, მაშინ განიზრახა დაპყრობა იმერეთისა, შემოიყარა 507 სპანი ქართველთანი და წარვიდა პყრობად იმერეთისა: სცნა რა ესე ლეონ, მპყრობელ-მან იმე-რეთისა-მან, შეიყარა მანცა სპანი იმერთანი, თვინიერ დადიანისა და გურიელისა და წარვიდა და დაიბანაკა გოფანთოს და ეწყვნეს ურთიერთარს, იქმნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯვა მეფესა სვიმონს და ივლტოდა ლეონ, მპყრობელი იმერეთისა: მაშინ დაიპყრა მეფე-მან სვიმონ იმერეთი და გამოართვა დიდებულთა თავადთა მძევალნი და წარმოვიდა ქართლს: რამეთუ მას ჟამად გორის ციხე ეპყრა ოსმალთა. ამის-თვის ვერა დაადგრა იმერეთს და ოდეს წარმოვიდა მეფე სვიმონ. მაშინ კვალად ლეონ დაიპყრა იმერეთი და აღიღო შერი დადიანზედა, რამეთუ არა თანა-მწე ექმნა

(1) უნდა პატრონისა ჩემისა, ან პატრონი მისი შვილი, პატრონი ქაიხოსრო. ნახე. Chr. Georg. p. 27. Paris 1829, publié par M. Brosset.

იგი მეფესა სვიმონს ზედა, დაიწყეს მტერობა ურთიერთარს, შეიყარა ამიერ მპყრობელი იმერეთისა ლევან და იმიერ დადიანი მამია, ეწყვნენ ურთიერთარს და გაემარჯვა დადიანსა და შეიპყრა მპყრობელი იმერეთისა ლეონ და პყრობილ-ჰყვეს იგი ოდიშს, ციხესა შხეფისასა და მუნ მოკვდა ლეონ, ქრისტეს აქეთ ჩფჟბ, ქორონიკონსა სპ (¹):

ესმა რა ესე მეფე-მან სვიმონ შეიყარა სპანი თვისნი და გარდავლო მთა ლიხისა და ჩავიდა ქუთაის, ქრისტეს აქეთ ჩფჟგ, ქორონიკონს სპა (²): მაშინ ძმის-წული ლევანისა ბაგრატ იყო ციხესა შინა ქუთაისისა განმაგრებული, მიადგა მეფე სვიმონ ციხესა მას და აღიღო იგი, გამოიყვანა ბაგრატ, ძმის-წული ლეონისა და სხვანიცა მრავალნი თავადნი იმერეთისანი და გამოართო მძევლები და დაიპყრა მტკიცედ იმერეთი და წარმოიყვანა ბაგრატ თანა: და ოდეს მოკვდა მპყრობელი იმერეთისა ლეონ უძეოდ, რამეთუ არა დაშთა თესლი მისი და არღარა-ვინ სხვა იყო სახლსა შინა მათსა, თვინიერ ძე კონსტანტინესი როსტომ. და რაჟამს წარვიდა მეფე სვიმონ ქართლს ამან როსტომ მოიყვანა დადიანი მამია და მისცა ქალი დადიანმა და წარმოიყვანა იგი და გაახატონა და დაიპყრა იმერეთი როსტომ, მიადგეს ციხესა ქუთაისისასა და აღიღეს იგიცა:

ხოლო რაჟამს ესმა მეფესა სვიმონს საქმე, შეიყარა და წარმოვიდა ამასვე ქორონიკონსა, გარდავლო მთა და მივიდა რაჭას და აღიღო ციხე კვარისა და ციხე სკანდისა და ციხე კაცხისა, მივიდა ქუთაის და აღიღო ციხე და დაიპყრა კვალად იმერეთი და ვერღარა დაუდგა როსტომ და წარვიდა ოდიშს დადიანისა-თანა: მაშინ წარვიდა მეფე სვიმონ დადიანსა ზედა, ჩავიდა და დაბანაკა ოფიშკვიტს დიდებითა და ძალითა მრავლითა და წარიღო თანა ზარბაზნები დიდ-დიდნი, სახელოვანნი, რომელი აწცა არის ზუგ-დიდს და უდიდესი ზარბაზანი ერთი არს რუხს დღესაცა:

508 მაშინ დადიანმა მოუგზავნა მოციქული მეფესა სვიმონს: „და რა, რათამცა ჰპატივ-სცემს მას და შეირიგოს სიძე მისი როსტომ და მისცეს სარჩო მამული და იყოს დამონებულ და მორჩილ ბრძანებისა თქვენისა და მეცა ვიქმნები დამორჩილებულ, ვითარცა ერთი თავადი შენი ერთ-გული და მონა, მორჩილი ბრძანებისა თქვენისა დი ესრეთ ერთობით დაიმკვიდრო საქართველო, ვითარცა პირველ დავით აღმაშენებელმა:“ ხოლო მეფე-მან სვიმონ არა მოიხსენა განლაღებულ-მან თქმული იგი სოლომონისა ვითარმედ. „რაჟამს ამაღლდე ღმრთისა მიერ, მაშინღა უფროს ჯერ-არს შენდა დამდაბლება თავისა შენისა:“ რამეთუ არა ისმინა დადიანსა განზრახვა იგი ფრიად სარგებელი მათი და უმჯობესი ზოგად ყოველთა-თვის: მაშინ სილაღით და კადნიერებით მიუმცნო მეფე-მან სვიმონ: „ვითარმედ ვერ ეგების საქმე ეგე, არამედ მოვსრულ ვარ ბრძოლად თქვენდა, უკეთუ ძალ-გიძს წინა-განწყობად ჩვენდა, აჰა ჟამი სიმხნისა თქვენისა:“ ესმა რა ესე დადიანმა მამია-მ შემოიყარა სრულიად ოდიშარნი და რომელნიმე თავადნი იმერელნი, თანა გარდაყოლილნი

(¹) ცოტაოდენ არის წელიწადი უნდა იყოს სპ, ქრ. აქვს ჩქ.
(²) ხოლო უნდა, ქრ. აქვს ჩქ.

როსტომისანი, წარმოემართნეს მსწრაფლ და განთიადისა ჟამსა დაესხა თავსა მეფესა სვიმონს
უგრძნობელად: მაშინ მეფე სვიმონ და სპანი მისნი შესხდეს და იქმნა ბრძოლა ძლიერი. არამედ
ჰსძლო სამართალ-მან დადიანისა-მან და მიეცა გამარჯვება ქართველთა ზედა: რამეთუ ჰქვანდა
ცხენი ორი რჩეული, ერთსა ერქუა ფალავანი და მეორესა შურდანი; რამეთუ იყო მეფე სვიმონ
მრავალ-გვარად გამოცდილი ბრძოლასა შინა და პირველსავე ჯარის მიდგომას სცნობდა, უკეთუ
გამარჯვებოდა, მაშინ შეჯდებოდა ფალავანზედა და უკეთუ დაუმარცხდებოდა, მაშინ შეჯდებოდა
შურდანსა ზედა და წარმოვიდოდა და არა-ვინ უწყოდა ესე. გარნა საამ და თურქისტანის შვი-
ლი და მზერდა ესე თურქისტანის-შვილი საქმესა მეფისასა, რომელსა ცხენსა ითხოვსო და ესრეთ
იყო ჩვეულება მისი: მაშინ მოითხოვა შურდანი. ჰსცნა რა ესე თურქისტანის შვილ-მან, რომელი
იყო კაცი ყრმა, ახალ-ვაჟ-კაცი და მზერდა საქმესა მეფისასა, მოახსენა: „რა არს მიზეზი შურდან-ზედ
შეჯდომისა თქვენისა, ნუმცა მიხილავს თვალითა ჩემითა ლტოლვა მრავალ-ჯერ განმარჯვებულისა და
სახელოვანისა თავისა თქვენისაო და მე აქადამ შეუბ-მოუქნეველი ცოცხალი არ წავალო:“ მაშინ მიეტევა,
გამარჯვებული შეისწრაფა რაზმთა შინა, ჰსცნა ოროლითა და გარდააგდო კაცი და ქმნა სახელი დიდი
დამარცხებულსა ომსა შინა: ხოლო მეფე-მან სვიმონ სცნა რა გაჭირვება ომისა და გამარჯვება
მამია დადიანისა. მაშინ უკუნ-იქცა და წარმოვიდა მარტო თავ-კაცად, ამოვლო იმერეთი და მოვი-
და კოლიბაურს: ხოლო ოდეს წარმოემართა მეფე სვიმონ და წარვიდა ბრძოლად მამია დადიანისა,
მაშინ დაიბანაკა კოლიბაურს. მაშინ ერთ-მან ვინმე დედაკაც-მან კოლიბაურელ-მან მიართვა მე- 509
ფესა სვიმონს შვილი თვისი და ფრიად ევედრა დედა-კაცი იგი, რათამცა იხილოს და წარიყვანოს
შვილი მისი. ხოლო მეფე-მან სვიმონ არა იახლა იგი და უბრძანა: „დედაო ესე არა უწყი, რო-
მელ კაცითა მთვრალი ვარო:“ და რაჟამს ოტებული მხოლოდ წარმოვიდა, მივიდა მუნვე კოლი-
ბაურს. მაშინ დედა-კაცი იგი სთოხნიდა ახოსა და იხილა დედაკაც-მან მან მეფე სვიმონ,
მომავალი მარტო უკაცოდ, მიეგება დედაკაცი იგი და იცნა მეფე სვიმონ და ჰსცნა დედოფალ-
მან მან დამარცხება მეფისა სვიმონისა. მაშინ მოახსენა: „ხელმწიფეო კაცისა-გან რომ მთვრალი
იყაო, ვეჭობ ახლა-კი გამოგიფხიზლებიაო.“ და რა ესმა მეფესა სვიმონს გაუკვირდა და მადლო-
ბა შეწირა ღმერთსა და წარვიდა: მაშინ წარმოვიდა თურქისტანის-შვილიცა და ყოველნივე ქარ-
თველნი და მრავალნი ამოსწყვიტეს მუნ და დაშთა მუნ მრავალი საუნჯე და დიდნი თოფნი და
ზარბაზანნი, რომელი არს დღესცა ზუგ-დიდს: ხოლო მეფე-მან სვიმონ გარდავლო მთა ლიხისა,
ჩავლო ზემო-ქართლი მხოლო-მან, თვინიერ კაცისა და მივიდა კავთის-ხევს, რამეთუ დაშვრა და
ვერღა-რა ძალ-ედვა სლვა, მიადგა ერთსა მუნ მკვიდრსა მცირეთაგანსა გლეხსა და ინება მუნ
მცირედ-ჟამ განსვენება და გამოვიდა სახლისა მის-გან ქალი ერთი და ვერა იცნა მეფე სვიმონ:
მაშინ აწვია და უსადგურა კეთილად და მოუმზადა სერი და მიართვა მას და მიართვა მცირედი
საზრდელი და მერმე მოახსენა ქალ-მან მან და ჰკითხა ამბავი ლაშქრისა და მეფისა: „თუ მეფე
რა იქმნ, ანუ ცოცხლებით არისო ანუ გამოვიდა ომისა-გან მშვიდობითო:“ ხოლო მეფე-მან

უბრძანა: „არა უწყი რა მეფისათ:“ ამისა შემდგომად ჰკითხა ქმრისა თვისისა და ანიშნა ნიშანი ქმრისა თვისისა და უბრძანა: „არა უწყი-რა მათი, თუ რა შეემთხვია ლაშქართა მეფისათა:“ ხოლო ქალი დიდად მწუხარე იქმნა და ტიროდა მეფისა-თვის უფრო, ვიდრე ქმრისა თვისისა და იტყოდა: „ნეტარ თუმცა ღმერთ-მან მიხედოს წყალობითა და გვაღირსოს მეფისა სვიმონის ცოცხლებით გამოსლვა და სხვანი ყოველნივე სპანი მისნი ჭირისა მისისა სანაცვლო იყოსო:“ მაშინ ფრიად მხიარულ იქმნა მეფე გულსა შინა თვისსა ერთგულობისა-თვის დედაკაცისა მის და მერმე წარვიდა სახიდ თვისად: ამისა შემდგომად მოვიდა ქმარი ქალისა მის და უყო წყალობა ფრიადი მეფე-მან სიტყვითა მით ქალისათა და უბოძა ყმა და სახელო და სხვა საბოძვარი მრავალი; და მიერით-გან აზნაურ-იქმნა კაცი იგი, რომელ აწცა არიან ქვლივიძენი:

ხოლო ესმა ლორის ციხესა შინა მყოფთა დამარცხება მეფისა სვიმონისა, მაშინ გამოვი-
510 დეს და იავარ-ჰყვეს რომელნიმე კერძონი საქართველოსანი და დაიბანაკეს ტაშირ-ზედა და იყო სიხარული დიდი ოსმალთა შორის:

ხოლო მეფე-მან სვიმონ კვალად შემოიყარა მცირედი რამე სპანი ქართლისანი, რაოდენიცა დაშთომილ-იყვნეს და წარვიდა ლორეს ოსმალთა ზედა უგრძნობელად და ეწყვნეს ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯვა მეფესა და აღიღეს ციხე ლორისა და მოსრნა იგინი პირითა მახვილისათა და დაიპყრა ლორე და წარმოვიდა გამარჯვებული სახიდ თვისად: ამისა შემდგომად წარვიდა ზემო-ქართლს და მივიდა გორის-ჯვარს, რამეთუ ჟამსა მას ეპყრა ციხე გორისა ოსმალთა. მაშინ მეფე სვიმონ დაჯდა გორასა მას ზედა გორის-ჯვარისასა და სმიდა ღვინოსა და სჭამდა თრიაქსაცა, რამეთუ ესე ჩვეულება ესწავა ყიზილბაშთა შინა: ხოლო ოდეს განმხიარულდა ღვინითა და თრიაქითა, გახედა გორის ბოსტნებსა და იხილა ახალი მწვანვილი მაშინ უბრძანა მეფე-მან მუნ მყოფთა: „აჰა რჩეულნო სპანო ჩემნო, ქართველნო, მნებავს ახალ-აღმოცენებული იგი მწვანვილი მოღებად ჩემს წინაშე და რა საკადრებელ არს ესე სიმხნისა თქვენისაო:“ ესმა რა ესე ქართველთა მყის ისწრაფეს და განვიდეს გალმა გორის ბოსტნებსა შინა, დაგლიჯეს მწვანვილი. მაშინ დაუშინეს ოსმალთა თოფი და დიდნი ზარბაზანნი და მოკლეს კაცნი მრავალნი, დიდნი და მცირენი. რამეთუ მუნ მოკლეს ბატონის-შვილი გოჩა, რომელი იყო პაპის-ძმის-წული მეფისა სვიმონისა და სხვანიცა მრავალნი თავადნი და აზნაურ-შვილნი, ამო-სწყვიტეს მწარეს სახისა-თვის და მაშინ განგმეს მეფე სვიმონ და ამა სვიმონსა უწინაცა სძრა-ხევდენ ჭკუასა ტყვეობას უკან, და ყიზილბაშნი და ოსმალნი დელუ სვიმონს უწოდდენ, რომელ-არს ხელი: ხოლო შეუძნდა ფრიად საქმე ესე და შემდგომად მცირედისა შემოიყარა სპანი ქართველთანი და გარე მოადგა ციხესა გორისასა და ბრძოლა უყო ციხესა გორისასა და აღიღო იგი და ამოსწყვიტნა ყოველნივე ოსმალნი მყოფნი ციხესა შინა:

ხოლო ესმა-რა საქმე ესე ხვანთქარსა განრისხდა ფრიად ესე-ოდენისა სპათა მისთა ამო-წყვეტისა-თვის, არა-თუ ერთ-გზის. არამედ მრავალ-გზის და წარმოავლინა ამირ-სპასალარი თვისი

ვეზირი ჯაფარ-ფაშა და გამოატანა თანა სიმრავლენი სპათანი ურიცხვი, წარმოვიდენ და დაი-
ბანაკეს ნახიდურს: მაშინ მეფე-მან სრულიად შემოიყარა სპანი თვისნი, მივიდა და დაიბანაკა
თავსა სალირაშნისასა და მერმე განიზრახა თვისა-გან საქმე არა კეთილი და არა აუწყა სპათა
თვისთა, არამედ მინდობითა თავისა თვისისათა ჰყო საქმე ესე და არა ითხოვა ღვთისა მიერ
შეწევნა, რამეთუ ესრეთვე ქმნა მეფე-მან სვიმონ და წარვიდა ათითა ცხენოსნითა მარტო და
წარიტანა ერთი საყვირისა მცემელი მექანარე და ეგულებოდა განმსტრობა ბანაკისა მის ოსმალთა-
სა: მოვიდა და გარდაადგა თავსა ნახიდურისასა, რომელ არს მცირე ეკკლესია და მუნით-გან 511
განიხილა ბანაკი იგი ოსმალთა: მაშინ უბრძანა მეფე-მან დაცემა ქანარისა და ალირიანეს სპანი
მათნი. ხოლო ვითარცა ესმა ოსმალთა ხმა საყვირისა, თქვეს უცილოდ მოსლვა მეფისა სვიმო-
ნისა, შეიშფოთნეს მეის და ალსხდეს ჰუნეთა ზედა, მოეტევნეს ამიერ კერძოდ, სადა მდგომარე
იყო მეფე: და რა ჰსცნა მეფე-მან მოისწრაფა სპათა თვისთა-თანა. ხოლო მათ დევნა უყვეს
ძლიერად, მიეწივნეს და იპყრეს მეფე სვიმონ, რამეთუ ცხენი მისი შთაფლულ იყო ლიასა შინა
ბოლოს-ფარცხისასა და თვით მდგომარე იყო: ამას ზედა მივიდეს ოსმალნიცა და გარე-მოადგეს
და იწყო ბრძოლად მხოლო-მან და რაოდენ ძალ-ედვა აჩვენა სიმხნე თვისი. არამედ სიმრავლენი
ოსმალთანი ზედა-დაესხნეს და შეიპყრეს იგი, ქრისტეს აქეთ ჩჟ: მაშინ ჰსცნეს რა მეფობა მისი
განიხარეს ფრიად და მსწრაფლ იხმიეს სიფლტოლა, აიყარეს და წარვიდეს ლორეს. მაშინ მიესმა
ქართველთა საქმე, რამეთუ გიორგი ძე მეფისა სვიმონისა მუნ იყო ქართველთა შორის, წარმოუ-
დგეს ოსმალთა უკან და დევნა უყვეს ძლიერად და ვერღა-რა მიეწივნეს: მაშინ ოსმალთა აღილეს
ციხე ლორისა და შეაყენნეს მცველნი თვისნი და წარვიდეს და წარიყვანეს თანა ხოლო მეფე
სვიმონ და მიიყვანეს სტამბოლს:

ხოლო გიორგი ძე მისი განაგებდა ქართლსა, წარავლინა კაცი სტამბოლს და აღუთქვა სა-
ხსარი მამისა თვისისა. ხოლო მათ ჰსთხოვეს სახსარი მრავალი და აღუთქვეს განტევება მეფისა
სვიმონისა: ხოლო ხვანთქარ-მან მიუმცნო მეფესა სვიმონს დადება ხარკისა საქართველოსა ზედა
დამორჩილებად ბრძანებისა მისისა. ხოლო მეფე-მან სვიმონ არა ნება ჰსცა, ამის-თვის რომე
ყაენის ბეგარა ქართლსა შინა ამან განაწესა კომლის თავს გლეხ-ზედ მარჩილი ასი, რამეთუ ამა
თეთრითა იყიდდეს ტყვესა შვილსა და წარუგზავნიდეს ყაენსა: მაშინ გიორგი-მ, ძე-მან მეფისა
სვიმეონისა-მან აღილო ყოველივე საუნჯე მამისა თვისისა, ანუ რომელიცა თვისი ჰქონდა და
სხვა, სადაცა მონასტრებისა საქონელი იყო, ანუ რომელიცა ქართველთა დარბაისელთა ჰქონდათ,
მოჰკრიბეს ზოგად და წარგზავნეს სახსრად მეფისა სვიმონისა და ვიდრე საქონელისა მისლვადმდე,
მიცვლილ-იყო მეფე სვიმონ საპყრობილესა შინა და ესე-ოდენი საუნჯეცა მუნ დაშთა:

ხოლო იყო მუნ სტამბოლს ერთი გორელი ვაჭარი, რომელსა ეწოდა დიაკვნის-შვილი და
ამან იშოვა ძვალნი სვიმონ მეფისანი და წარმოიღო იგი და მოართვა გიორგის და დედოფალსა
ესტატანდარეჯანს და ჰყვეს გლოვა დიდი და დამარხეს სამარხოსა თვისსა მცხეთას: ხოლო რო-

მელმანცა მოიღო ჭვალნი მისნი, იგი დიაკვნის-შვილი ყოვლი-თურთ სახლეულით მისით გააზსა-
ტეს და შესწირეს პატრონსასა და ცხოველს-მყოფელსა ჯვარის-მონასტერსა, სალხინებელად და
512 სახსად მეფისა სვიმონისა და არიან აწცა გორს დიაკვნის-შვილები ყმანი ჯვარის-მონასტრისანი:

ხოლო გიორგი-მ დაიპყრა ქართლი და მეფობდა კეთილად: ამისა შემდგომად შემოიყარა
ქართველნი და წარვიდა ლორესა ზედა და აღიღო ციხე და დაიპყრა ლორე მეფე-მან გიორგი-მ.
და ამას ჟამსა შინა მიიცვალა მპყრობელი იმერეთისა როსტომ, ქრისტეს აქეთ ჩქიდ და არა
დაშთა როსტომს ძე. ხოლო ჰყვა ნაშობი მხევლისა, რომელსა ეწოდა გიორგი და ესე გააბა-
ტონეს იმერელთა: ამავე ჟამთა შინა მოკვდა დადიანიცა მამია და დაუშთა მას ძე ერთი, სახე-
ლით ლევან: ესე იყო ნაშობი კახი ბატონის ასულის ნესტან-დარეჯანისა. ესე ლევან წარმოიყვანა
კახმა ბატონმა ალექსანდრე-მ პაპა-მან მის-მან და აღზარდა კახეთს: ხოლო შემდგომად მამია
დადიანისა, ესე ლევან ძე მისი წარმოიყვანეს ოდიშართა და დასვეს დადიანად: ამასვე ჟამთა შინა
წარმოემართა ყაენი შააბაზ აღებად ერევნისა. მაშინ იხმო ყაენ-მან მეფე გიორგი და კახი ბა-
ტონი ალექსანდრე სპითა მათითა და წარვიდეს და რა მივიდნენ დიდად მოეწონა შააბაზს სპანი
ქართველთა და კახთანი და უბრძანა ყოველთა სპათა მისთა იერიში ერევნის ციხისა: მაშინ ზიმხნე
დიდი აჩვენეს ქართველთა უმეტეს ყიზილბაშთა და მივიდეს მეწინავედ და აღიღეს ციხე ერევნისა
და დაიპყრა შააბაზ ერევანი და შეაყენა ციხესა შინა სპანი თვისნი: ხოლო ჰსთხოვა შააბაზ
მეფესა გიორგის ლორე და ციხე ლორისა და შემოუჩნდა ფრიად და რამეთუ არა ეძლო უარი
შააბაზისა დაანება ლორე და დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ და შეაყენა სპანი თვისნი და მიიქ-
ცა სახიდ თვისად:

რამეთუ იყო ყაენი შააბაზ კაცი მზაკვარი და აღსავსე ყოვლითავე სიბოროტითა. პირველად
ესე წყალობა უყო მეფესა გიორგის ერთგულობისა ნაცვლად მამისა თვისისა: მაშინ წარმოვიდნენ
მეფე გიორგი და კახი ბატონი ალექსანდრე საყოფსა თვისსა და შემდგომად მცირედისა წარმო-
ვიდეს ძენი კახი ბატონის ალექსანდრესი დავით და გიორგი და ესტუმრნეს მეფესა გიორგის,
მამიდას შვილსა თვისსა: მაშინ მიეგებნეს წინა ავლაბარში მეფე გიორგი და განიხარეს ნახვა
ურთიერთარს და წარმოუძღვა და დააყენა და ისტუმრნა იგინი კეთილად და უმსადა სერი დიდი
და იყო ლხინობა და გამოჩვენება დიდი და ესრეთ იყვნენ დღესა რაოდენსამე და მერმე კვალად
შინაგან თვისად მოაწვივნა იგინი და წარვიდა დავით და რაოდენნიმე კახნი იახლნეს თანა: ხო-
ლო გიორგი მიზეზ-ჰყო სნეულება ბევრთა ღვინისა სმათა მიერ და არა წარვიდა: მაშინ შექცეს
ლხინსა იგინი, ხოლო გიორგი-მ უმცირეს-მან ძმა-მან დავითის-მან განიზრახა ზრახვა ბორო-
ტი აღრჩევა, გაანდო ერთგულთა ყმათა თვისთა, რამეთუ იყო ესე გიორგი კაცი გამცემი და
513 მოყვარე ყმათა და იყვნენ კახნი უმრავლესნი ამის კერძო და ერთგულნი დიდად. ხოლო უხუ-
ცესი ძმა მისი დავით იყო კაცი კადნიერი და მრისხანე. ამისთვისცა დიდად ერთგულ-იყვნეს გი-
ორგისა კახნი: მაშინ შემოიფიცა ერთგულნი ყმანი თვისნი გიორგი-მ და დაასკვნეს ღალატად

სიკვდილი დავითისი ღამესა მას, რამეთუ ეგულებოდათ ღვინითა მთვრალსა ღალატი დავითისი და იმარჯვებდა ყამსა აღსრულებად ძმისა მკვლელებრითა გულის-სიტყვათა, წარმწყმედელთა სულისათა: ხოლო იყო ვინმე მათ შინა მეოფე ღმრთის-მოყვარე კაცი, ჩოლაყაშვილი და ამან არა თავს-იდვა დაფარვად საქმე ესე. არამედ წარვიდა და აუწყა დავითს ღალატი იგი, მის-თვის განმზადებული: მაშინ დავით აღდგა მეის სერისა მის-გან და წარმოვიდა, რამეთუ ვერა აგრძნა საქმე ესე მეფე-მან გიორგი-მ და მივიდა დავით კარავსა ძმისა თვისისა გიორგისსა და იხილა ძმა თვისი აღჭურვილი კარავსა შინა და ჰრქუა დავით: „ძმაო, ვის-ზედა აღჭურვილ ხარ ანუ ვის ზედა მიმავალ ხარ ბრძოლად:" ხოლო მან ვერა რა სიტყვა უგო და შეიპყრა იგი და მის-თანაცა შეოქმულნიცა იგი კაცნი და წარიყვანა იგი და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა ტორღასა და თორმეტნი ყმანი მისნი ჭეთის-ციხიდამ გარდმოყარნა და დახოცნა და თვით დაიპყრა კახეთი და იქმნა ურჩ და წინააღმდგომ მამისა თვისისა ალექსანდრესი, რამეთუ მძლავრებით მიუღო კახეთი და თვით დაიპყრა და იბატონა თთვესა ექვსა, და მერმე ურჩებისა მის-თვის ეწია მსწრაფლ გულის-წყრომა ღმრთისა და მოკუდა იგი და შემდგომად კვალად იპყრა კახეთი ალექსანდრე-მ და გამოიყვანა ძე თვისი გიორგი, პატიმარი ციხისა-გან და რამეთუ სხვა არღა-რა ჰყვა ძე თვინიერ მისსა:

ხოლო დავითს ესვა ცოლად ასული მუხრანის ბატონის აშოთანისა, და ესე იყო ღვაწლ-მრავალი და სამ-გზის სასატრელი, დედათა შორის ახოვანი, დედოფალი და მოწამე, ყოვლად-ქებული, ქეთევან და ამას დაუშთა დავითის მიერ ძე ერთი, ყრმა მცირე, თეიმურაზ და ფრიად შიშნეულ იყო და ზრუნვიდა ქეთევან მხოლოდ-შობილისა ყრმისა მისისა-თვის: „ნუ უკვე ძვირი იხსენოს გიორგი-მ:" რომელ ჰყო ძვინად მის-ზედა დავით. ამის-თვისცა ქეთევან იხმია გონიერება კეთილი და წარგზავნა ძე თვისი თეიმურაზ შაჰაბაზ ყაენ-თანა და წარჰყვა თანა შერმაზან ჩოლაყაშვილი: ხოლო მივიდეს რა დიდად პატივ-ჰსცა შაჰაბაზ და ითვისა, ვითარცა ძე თვისი, რამეთუ მაშინ დიდად წადიერ იყო შაჰაბაზ და ღონე ჰყოფოდა დაპყრობად საქართველოსა: ხოლო ალექსანდრეს, მპყრობელსა კახეთისასა, პირველ ოდესმე მიეცა ძე თვისი კონსტანტინე შაჰაბაზ ყაენისა-თვის და აღეზარდა ჰსჯულსა თვისსა ზედა: ესე კონსტანტინე წარმოგზავნა შაჰაბაზ და წარმოატანა თანა სპანა შირვანისა და ყარაბაღისანი და ხელითა კონსტანტინესითა წარმოუგზავნა მამასა მისსა ალექსანდრეს ხალათი: მაშინ შაჰაბაზს მზაკვარებითა თვისითა აღჭურა და ამცნო კონსტანტინეს. „ვითარმედ არღარა-ვინ დაშთომილ-არს სახლსა მამის შენისასა, თვინიერ შენსა, წარვედ და უღალატე მამასა შენსა და ძმასა შენსა, დაიპყარ შენ-თვის კახეთი და მეცა ვიყო თანა-შემწედ შენდა და მიიღო ჩემ-გან პატივი და წყალობა ურიცხვი:" ესე აცთუნა ბოროტ-მან მან და წარმოგზავნა მკვლელად მამისა და ძმისა თვისისა: ხოლო მან უბადრუკმან ირწმუნა განზრახვაი ესე ბოროტი: ჰოი დიდი ესე უგუნურება, რამეთუ ვინ სადა იხილა, თვინიერ სულელთა და ხელ-ქმილთა, რათამცა სარწმუნო იქმნა განზრახვათა მტერისათა: მაშინ წარმო-

ემართა კოსტანტინე და რა მიიწია საზღვართა გაჴეთისათა, მაშინ წარავლინა კაცი და მოუმცნო მამასა თვისსა ალექსენდრეს: „ვითარმედ წარმოვედ დასტურითა შაარითა შაანშაჰისათა, რამეთუ ფრიად მსურის ხილვად შენდა:“ მაშინ ფრიად განიხარა ალექსანდრე-მ და წარვიდა და თანა წარიყვანა ძე თვისი გიორგი და მიეგებნეს წინა, იხილეს რა ურთიერთარს, განიხარეს სიხარულითა დიდითა და განისვენეს მცირედ: მაშინ მიუძღვანა კოსტანტინე-მ ხალათი იგი, რომელი წარმოეცა შააბაზს ალექსანდრესთვის და იყვნენ მუნ შვებით და სიხარული‥: ხოლო კოსტანტინეს ავერთებდა ბოროტი იგი გულის-თქმა და აღდგა მკვლელად მამისა თვისისა და ძმისა: დღესა ერთსა განაზრახა სპასა იგი შირვანელნი და განიგულა წარწყმედა სულისა თვისისა და სიკვდილი მამისა და ძმისა თვისისა. მაშინ მიუწოდა ალექსანდრეს და გიორგის. —

---

ქ. სამი დედანი ვნახე, ამის მეტი არ ეწერა და სიტყვანიცა და ლექსნიცა ესრეთ ეწერნეს. სხვა-თუ არის სადმე მეტი და ან თვით ამისსავე ავქსონნსა ლექსა და სიტყვას დაუწყუნებთ, თქვენ იცით და მან: მე შენდობილმცა ვიყო, აღმწერი აღმკითხავთაგან, ცოდვილი ზაქარია, მე დეკანოზისა, უღირსი მღვდელი, აგვისტოს, წელსა ქრისტესით ჩღჟა:

ძლიერებითა ღმრთისათა, ვიწყოთ ცხოვრება მეფეთა, მსმენელთა-თვის არა უნდომი ამბითა უცხოთა ქვეყანისათა, არა მარტივად ქართლისა, ჩემის თვალთ-ნასული, ზოგი-ერთი მნახავთა-გან სმენითა:

---

იყო მეფე მეფეთა ესე სახელ-დიდებული, სვე-ამაღლებული, ხელმწიფობით სჳადარი, ამილ- 3
ბარობით სპასპეტი, ლაშქარ-ჯაროვნებათა ზეაღმატებული, ოთხთა-ვე კიდეთა ქვეყანისათა ზარ-
განხდით ხმა განფენილი, ყოველთა მებრძოლთა ზედან დიდად მძლეველი და თვით არა ვის-გან
ძლეული, თვით-მპყრობელი საქართველოსი, რომელი არს ახოვან-ტანითა, ძლიერი ძალითა, უძ-
ლიერესი სიმახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადილეს მჭმუნვარებითა, მადლიერ-ხედვითა, სა-
ზარელ-ლმობიერ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ-სახითა, 4
მრავალ-სახე მართებითა, შემრისხველ-ყუდროებითა, მაამებელ განსწავლულებითა და არცა ერთისა
კეთილისაგანისა შემაშფოთებელი, უზომოებითა თვით მათ მტერთაცა საწადელ და საყვარელ, სა-
თნოებათა მისთა-გან შეკდიმებულთა. და ვითარცა ვინ აღრაცხნეს, რაოდენნი საქმენი ეთსოებიან
მეფესა მეფეთასა, რაოდენი მართებანი და განსაგებელნი. კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭერანი,
განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარობანი, ლაშქართა მეცნიერებანი, მთავართა ზაკვისა
ცნობანი, მხედართა განწყსებანი, სახლთა ნაბოლჳთა საავჯონი, საჭურჭლეთა შემოსულთანი, მო-
ტყუებულთა შემთხვევანი, მეძლვნეთა ჯეროვანი, შემცოდეთა წყალობათა წურთანი, მსახურებელთა,
ნიჭის მრავლობანი, მთავართა მართვანი, განმგებნი მოსაკითხავთა, შესატყვისნი შემთხვევანი,
სპათა აწყობანი (1), ღონიერთა მიმართებანი:

იყო მეფე ესე ძირისა-გან იესესა და თესლისა-გან დავითისა აღმოცენებული, სოლომონისა ნაყოფი, მისად შედარებული, ბაგრატიონად წოდებული, ვახტანგ, სპარსთა ენითა შანაოზ წოდებული, თვით-მდიდარი განძლიერებული, უხვი და მოწყალე, ყოველთა ზედა მართლიად მოსამართლე, განსვენებასა და მოცალებასა შინა მყოფი, შემხედველთა შემაზარავი:

---

(1) წყობა უნდა ლაშქრისა. ჩ. 6.

რა მოვიდა ბძანება ღმრთისა და გაფინა უშურველი მისი წყალობა და მიანიჭა მეფეს შა-
ნაოზს პატრონობა საქართველოისა, ქორონიკონსა ტმვ: წინად ამისად იყო მეფე როსტომ,
რა მიიცვალა, მოვიდა ბრძანება შაჰაბაზ ყაენისა-გან და უბოძა ქართლი შანაოზს და შეირთო
როსტომ მეფის მეუღლე, ასული დადიანისა, დედოფალი მარიამ. წინათ ამისა ჰყვანდა ასული
ყაფლანისა როდამ დედოფალი და ამას-თან ესხნეს ძენი შვენიერნი. არჩილ, გიორგი, ალექსან-
5 დრე, ლევან, ლუარსაბ და სულეიმან და ასულნი ორნი ანუკა და თამარ: ესენი იყვნეს შვენიერნი,
ლომ-გულოვანნი, კაცთა-გან ქება მიუწდომელნი: იყო სიხარული დიდი, ნადიმობა, სადირთა სჳრა,
ზენარმა ღმრთისა-მან, ამას ბძანებდით ამათ-თანა ყოფა ქვეყანაზე კაცია არ ექმნებისო: გამოხდა
ხანი მცირედი და დაიბარა შაჰაბაზ ყაენმა ბატონი-შვილი არჩილ, შემანდარი ებოძა, რაყამი დი-
დის წყალობისა. ,,და დამორჩილდესო ბრძანებასა ხელმწიფისასა:" წაბძანდა, თან-გაატანა მეფემ
ამილახორი გივი, ვითაც სიძე იყო და ერთგული: მას ჟამსა ოდეს ხელმწიფე მაზანდარას მო-
ბძანებულ იყო, მივიდა, რა ხელმწიფემ მისჳლა შეიტყო, მოაგება კარი, ნახა მასვე დღესა,
მოეწონა სიმხნე და სიკეთე არჩილისა, დასდვა პატივი, ვითარცა შვილი მამას მისლოდა, უბოძა
საბოძვარი მრავალი და კახეთის ბატონობა, რჯული მისი და დაარქვა სახელად შაჰ-ნაზარ-ხან:
არად ინება კახეთი, ამის-თვის რომ ბატონის თეიმურაზის შვილის-შვილი ძე დავითისა ერეკლე
უმაწვილი დარჩომილ-იყო და არჩილს და ედვა მისი. მაგრამ ყაენი უწყრებოდა, წინათ ამისად
ებრძანა მეფის შანაოზისა-თვის დაჭირვა ერეკლესი და გაგზავნა: მიუხდა კახეთს, შემოადგა
თორლას და გააპარეს კახთ ერეკლე და წავიდა რუსეთს: რადგან კახეთი უპატრონო იყო, აღარ
მოეშვენ მეფეს არჩილს, დამორჩილდა ბრძანებასა ხელმწიფისასა, უბოძა საბოძვარი მრავალი და
გამოისტუმრა დიდის პატივითა, მობძანდა კახეთს, შეიქმნა სიხარული დიდი და განსვენება. ხან
ქართლში მობძანდებოდა, ხან ესენი კახეთსა: თქვენმა მზემა და თავ-მან ამათ-მან, რა ესენი ერთად
შეიყრებოდიან მნახავთა-გან გასახარელი იყვიან, განისვენებდიან, იბურთიან, ისადილიან, ნადირთა
სჳრიდიან, ლხინებდიან, უხვად გასცემდიან, სამართლობდიან, მტერი არსით აჰქონდიან, ერთ-
გულთა წყალობა უყვიან, ორგულნი მოსჳრიან, ქართლი და კახეთი მსახურებდიან:

6 გამოხდა ხანი, ქორონიკონს ... მიიცვალა შაჰაბაზ და დაჯდა შაჰ-სულეიმან. მოუვიდა წყალობა
აურაცხელი მეფეს შანაოზს, ეთხოვნა ძე და ასული: აახლო ძე მისი ალექსანდრე და ასული ანუკა.
რა ისპაანს ჩავიდა მიაპყრა ყაენმა უშურველი წყალობა ალექსანდრეს, მისცა ისპაანის ტარუღობა
და ასული მეფისა შეიყვანა სახლად თვისა, მრავალი და აურაცხელი წყალობა უბოძა მეფისა-თვის:

გამოხდა ხანი, ქორონიკონს ... მეფე-მ არჩილ აღარ ინება კახეთის ბატონობა, აღარც რჯული
მათი, გაუშვა კახეთი, აღარ ისმინა მამისა, აღარც ძმებისა, აღარც ოჯახის წახდენისა, წავიდა
იმერეთს და დაიჭირა ხმლით, დაიმონა მცირესა რასმე ჟამსა და მოვიდა ხვანთქრისა-გან ბრძანება
და მიუცემლობა იმერეთისა. დააგდო იმერეთი და გარდავიდა ოსეთს მეფე არჩილ და დედოფა-
ლი ქეთევან, ორნი ძენი ამათნი ალექსანდრე და მამუკა, ასული ერთი დარეჯან წაბძანდა რუსეთს,

დახუდა ხელმწიფე რუსეთისა დიდითა პატივითა, მიაპყრა წყალობა აურაცხელი, მიიჩინა ძმად თავისა და ძეი ძედ, უნდოდა ძალად დაჭერა: მოუვიდა ყაენისაგან ბძანება მეფესა შანაოზ ერეკლეს დაჭერვა. მიუხდა, გასთეს, ვეღარ დაუდგა, გაეცალა, წავიდა შირვანს და იქიდამ ყაენთანა: ამას-შიგან იბატონა მეფე-მ შანაოზ და დაუწყეს ზეზღობა მეფის არჩილის წასულისათვის და დაიბარა ყაენმა მეფე შანაოზ და ისმინა ბძანება ხელმწიფისა და წაბძანდა დიდითა და მცირითა დარბაისლითა და დააგდო ძე მისი, ბატონი-შვილი გიორგი გამგებლად საქართველოსა: იარა დღენი რაოდენიმე, მუხრანთ-მან და მიუწდომელმა სოფელ-მან მოაბრუნა უკუღმა ბორბალი. რა ხოშკარის ქარვასლაში მიბძანდა, ამა სოფლისაგან მიიცვალა. შექმნეს ქართველთა გლოვა საშინელი, აახლეს კაცი ხელმწიფესა და ბატონისშვილს ალექსანდრესა, შეიქნა წყენა უმრავლესი, დაიბარეს ქართველნი, წაასვენეს მცხედარი, მიიღეს ყუმს, წავიდნენ ქართველნი შემოეხვივნენ ალექსანდრეს:

ქორონიკონს ტნივ, დაიბარა ყაენმა ძე შანაოზისა გიორგი, მოვიდა რაყაში და მემანდარი, 7
წაბძანდა, ძმა ლევან დააგდო გამგებლად საქართველოსა, წაბძანდა ისპაანს, დახუდა ხელმწიფე მხიარულისა პირითა და მოეწონა სიკეთე და სიმხნე მისი, გამოხდა თვესი ხუთიდა, უბოძა ქართლის ბატონობა მრავალი, დაასხა თავის ხელით თავსა მისსა თავისი ჯიღა მურასა, გამოისტუმრა აუარებელის წყალობითა და მოვიდა ქართლში წელიწადს-ზე, შეიქმნა სიხარული დიდი და განცხრომა, აახლო ყაენსა ძმა თვისი ლუარსაბ, იბატონა მეფემ გიორგი-მ და დედოფალმა თამარ: ესე იყო ასული დავით დავითის ელისბარის შვილისა:

მიიცვალა დედოფალი თამარ ქორონიკონს . . . დარჩა ძე ერთი ბაგრატ და ასული ერთი მარიამ, შერთეს ქსნის ერისთავს დავითს: გამოხდა ხანი, ითხოვა მეფე-მ გიორგი ასული მიქელაძისა გიორგისა და გარდმოიყვანა დედოფლად, იქმნა დედოფალი ხვარაშან, შექმნეს სიხარული დიდი და ქოსთა და ნაღარათა ცემა: ამა სიხარულსა შინა მოვიდა ყაენისაგან ბძანება და ეთხოვნა ძე მეფისა სასურველი და სიკეთით აღსრულებული და ებძანა: ,,გამომიგზავნე ძე შენიო, მივსცე წყალობა აუარებელიო:,, შეექნა ჭმუნვა მეფეს გიორგის, შეეხვეწა შვილის უთხოვნელობისათვის, ერთის შვილის მეტი არ ესვა: არ ესმინათ, კიდევ მოვიდა ბძანება, ეთხოვნა ძმა ლევან და ძე მისი ბაგრატ: შეიქმნა შეჭირვება დიდი. ამიტომ აღარც ძე რჩებოდა და აღარც ძმა, მაგრამ თავის წახდენას ხედევდნენ, რადგან დამნაშავე არასი იყვნენ, სხვა ღონე აღარ იყო, გაგზავნა ორნივე, აახლო ქართველნი არა მცირედი, ხუთასი ოდენ: აქა შეექმნათ რჩევა მეფეს გიორგის, რადგან უკუ-მდგარი იყო არაგვის ერისთავი იასონ: ესე ერისთავი იასონ თავის სახლის გაცმა დაარჩო, დაუწყეს ლაპარაკი შერიგებისა, აღარ ისმა შერიგება, გასწყრა მეფე და შეიყარა ქართველნი და შეუხდა საერისთოს, გარდაიარა მჭადის-ჯვარი, დაავენჯინესია ტინსა, 8
დაუწყეს სროლა, შეექმნა ცემა და სროლა, თავ-მან თვისმა, ასე მოდიოდის ვინდიხისაგან ფოთოლი ხშირი წვიმა ყოფილ იყო: გაიხტუნა ცხენი მეფე-მან, მზე-მან ლუთისა-მან, ამას

ბძანებდა ამის-თანა არა სიხარულ-რაი, იყო მორთული ყოვლისა გვირტაგით და კისრა მურასსა ჯიღა მარგალიტისა ქუდსა ზედა, ჩამოაკიდის გავი, ყითარზე კატა, გარდაყარეთ ტინი და დავედ-ქით განაჩენის ქუდსა: მოვიდა ერისთავი ქსნისა დავით დიდის ჯარითა, შეეწყინდა წყა და დავიგე. გიორგით სამსა დღესა: ისპაჰანიდამ ამბავი წყრომა ყაენისა, ქმნილის შვილის დაჭერვა, ბატონი-შვილთ ლევანი და ბაგრატ გაგზავნისა ერანის და ლეკვარიან ქართვლის, სიცოცხა ქართველი მეფის ერე-კლეს-თვის, ბატონის იოანეს შვილი შვილისა-თვის: რა ეს ამბავი მოვიდა, წამოაბძანდა მეფე გიორგი კოჯორზე, და აიყარა და წაბძანდა ზემო-ქართლს, დადგა ქარისის: ამასაც ქალაქსა შვილი, სარდალი იოანეს საბატონიშვილო უბედური იყო: რა ესმის მეფის ერეკლეს მომავალობა, მოსვლიდა ამბავი მეფისა-გან და ყასიმისობა, შეიქმნა ციხეს ტფილისისა,

მოვიდა მეფე ერეკლე ქართლისკენ ცოლი, შემოეყარნენ ქართველნი, დაჯდა ქალაქს ტფი-ლისისასა, შექნა სიხარული და განსვენება. მეფე გიორგი გარდავიდა იმერეთს ამა ცოტა ხანში მოვიდა რუსეთიდამ მეფე არჩილ. ბატონობდა იმერეთს ძე ბაგრატ მეფისა ალექსანდრე და ჩავიდა იმერეთს მეფე არჩილ, მეფე გიორგი დახვდა იმერეთს და წაართვეს იმერეთი ალექსანდრეს და გარდა-მოაგდეს და შეიქმნა გორს ციხეში. ამას მოუდგა მეფე ერეკლე, დიდის მეტივითა აშოიყვა, გარდა-ვიდა გორიდამ მალვით მეფე ალექსანდრე და მოუვლინეს სოფლის იმერელნი და შეიყარა მეფე-მ არჩილ ჯარი, შეიბნეს, იაგ-მან თქვენ-მან, გესახათ მეფე არჩილ, ამას ბძანებდით, თუ არ ლეშითისა-
9 გან. თვარა კაცთა-გან არა ეწყებარი: შეუტივა ჯართა, ასე ამოასწყვიტა, გაემარჯვა, თავ-მან მის-მან შები რამდენსაც კაცს მოასდგიან. ისე დარჩებოდიან: გამოექცა მეფე ალექსანდრე და შევიდა ისევ გორს. წავიდა მეფე გიორგი იმერეთიდამ და დადგა ოშორას: ამა ხანთა შაჰის გაგზავნის ელჩი ხვასიოქარ-თან ყაენსა და კოხოვის მეფე გიორგი. „რადგან ჩვენში წყობა არისო, ჩემი ყუ-ლი შენს საბატონოში არისო, მიბოძეო:“ ქმნის ხვასიოქარს მოხსენება ყაენისა და მიცემა მე-ფის გიორგისა: რა ესმის მეფესა შევიდა ახალ-ციხეს ციხეში და მოუდგნენ ენგარისნი და აღარ დაანებეს: წავიდა ელჩი ცარიელი, დაუწყეს ქართველთ ლაშქარი მეფის გიორგის, აღარ ინებეს მეფის ერეკლეს ბატონობა, მისცეს ზარი და ახსეს ლემერთი, მოიბა წელთა საზელი, ჩამოუშვა ციხიდამ, ძირს ციხენი და კაცნი შემომწირებული ჭკვასიდა, ჩამოვიდა, დასხდნენ ციხეებსა, მოვიდა ოშორას, აჭარა დედოფალი ხვარამზან, რძალი თავისი, ბატონის შვილის ლევანის მეუღლე, ასული ავალი-შვილის გიორგისა თისითი, ძე ლევანისა ქაიხოსრო, ვახტანგ, დომენტი, იესე, სვიმონ, და თეიმურაზ, მოიყვანა და დააყენა სადგურს, თვითან ჩამობძანდა ქართლში:

რა ესმის პატრონისა მათისა ჩამოსვლა შეიყარნენ ზემო-ქართლი, ჩაუხდა რუის, აიგლო ქორთასი. ესე იყო იმერეთიდამ იმერელ მეფის ვეზირი და მოვიდა ქალას ამილახორის გივისა. რადგან ამილახორს გივს და მეფისა თამარ ედგა, ნახვა მისი და სიხარული დიდი, აღარ დადგა, მიბძანდა თავსეთს: არაგვის ერისთავი იყო გიორგი და ძმა მისი მდივანბეგი ბარძიმ: რა ესმის
10 პატრონისა მათისა მოსვლა გაიხარეს სიხარულითა დიდითა და მოეგებნეს, წინა დახვდნენ, ყი-

თარცა მართებდათ, მოართვეს მოასართმევი მრავალი, წამოუძღვნეს წინა და შემოეყარნეს ქარ-თველნი ჯარი: მოუვიდა მეფეს ერეკლეს ამბავი გარდმოსვლა მეფის გიორგისა და ქართველთ შეყრა, შექნა შფოთი: მას ჟამსა იდგა გოჯორისა, აიყარა და ჩაბძანდა ქალაქს ციხეში და შემოი-ყარა საბარათაშვილო: ჩამოვიდა მეფე გიორგი გოჯორისა. რა გოჯორს ჩასრულდა შეიტყვეს ბარა-თიანთა, წამოვიდა სარდალი თამაზ და ჯარი საბარათაშვილოსი, შემოეყარნენ მეფე გიორგის, შეიქნა სიხარული თავისის გამზრდელს ბატონის ნახვისათვის, დაუწყეს ყაენს ლაშქარაგი და შეკრეფნა ქართლის მოცემისათვის: რა ყაენმა მეფის გიორგისა ქართლში ჩამოსვლა შეიტყო, გაგზავნა სიყარი, დაიბარა მსუბი და ძე მეფისა: მაგრამ ძე მეფისა ერთის დამარცხებულ იყო და ბატონიშვილი ლევან მოიყვანეს და ლუარსაბ ქირმანიდამ, მოიპყრეს ბატონი, მოვიდა ამბავი მათის გარეშე მოყვანისა და იმედის წყალობისა:

ამას-შიგან გასრულდა ხანი წელნი ერთი, გარდმოვიდა მეფე არჩილ იმერეთიდამ, ებოძა ხვან-თქარს იმაყ ალექსანდრესათვის იმერეთი, გარდვიდა, დაიჭირეს იმერელთ მეფე ალექსანდრე და გამოუგზავნეს მეფე გიორგის, მიიცვალა და დამარხეს რუის, გარდავიდა მეფე არჩილ და დაჯდა იმერეთს: შეიყარა ჯარი მეფე-მ გიორგი-მ, მივიდა ლილო-მდე, დაუწყო გასთ ლაშქარაკი, მო-სცეს შირობა: მას ჟამსა მართებდა გასტეის აბაზ-ყულიხან, გაგზავნა მეფე-მ მდივანბეგი ბარძიმ, ამილახორი გივი, თამაზ სარდალი, ამორჩევით ქართველნი. მივიდნენ სინი-წყალს, რადგან გახთ შირობა მოეცათ იმათის შესაჯრელად მოვიდნენ. ერთი თარაფში სახლიუხუცესი გასტეისა რევაზ, ამისი მოკიდებულნი მოელოდნენ დურმიშხანს და მის თარაფს. თურმე ისინი ხერხში იყვნენ: 11
წამოადგნენ სინი-წყალს, იავს შექნათ სროლა, მოკლეს მდივანბეგი ბარძიმ, დაუმარცხდა ქარ-თველნი, მოვიდნენ ლილო-მდე, წამოვიდა მეფე, მოვიდა მცხეთას: ამას-შიგან მიიცვალა ყაენი შაჰ-სულეიმან, დაჯდა ძე მისი შაჰ-სულთან ჰუსეინ, იგი უმაწვილი იყო და მტერნი ამათნი ავად გამშინჯველნი, იწყეს ძალად დაჭერა ქართლისა, გამოუგზავნა ჯარი და სარდალი ქალბალიხან: ესე იყო გასტეის ხანი, ხვანთქარ-თან ელჩიც ეს იყო და გასტეთიც იმას მიაბარეს, იბატონა ქართლში, მეფე-მ გიორგი-მ წელნი სამნი და მოვიდა ქალბალიხან ურიცხვითა ლაშქრითა, გამოვიდა მეფე ერეკლე ციხიდამ და შემოეყარნენ გასნი და ყიზილბაშნი ქართველნი ციხეში ასხდა, სარდალი ლუარ-საბ და ამილახორი ავთანდილ შეეყარნენ სარდალს ჭამბაქთს: მეფე გიორგი იდგა დიდ-გორზე, შემოიარეს საბარათაშვილო და დადგნენ თრიალეთში: აქეთ ქართველნი დადგნენ კლდე-კარს, ეცემოდიან ჩვენის ჯარის კაცნი, იმათ მოსაშორეს კაცსა გააქცევდიან, დახოცდიან. შეიქნა რჩევა შეზმისა, თავის ხელმწიფის ხლმის-კვრა აღარ აკადრეს. მაგრამ აღარც ქართველთ მოინდომეს: წაბძანდა მეფე გიორგი, ნაიარა გრგოსს, ერთი ამას წინ დამარცხდა ამაზ გრგოსს ლელოვალი ხვარაშან, მიასცენეს ქვათა-ხევს, აჭარა რძალი, ბატონის შვილის ბაგრატის (ვახტანგის) ნათესავი იყო ჩერ-ქეზის ბატონის ასული, რუსუდან, წაბძანდა და იგითან გარდვიდა იმერეთს და ბატონიშვილი გიორგი, ვახტანგ და რძალი გაგზავნა ნსეიძის ქაიხოსროს სახლში, ვიდრე ერთგული იყო და

შვილი ქაიხოსროსი თეიმურაზ ისპაანს ბატონი-შვილს ლევანს შერჩომოდა და ერეკლე მეფეს
არ გამოჰყოლოდა: მეფეს გარდაუვა ერთ-პირად ერისთავი გიორგი, ამილახორი გივი, ძმა ამილა-
ხორისა, ქათალიკოზი ნიკოლაოზ, ყორჩიბაში მუხრანის ბატონის-შვილი დათუნა, ზურაბის-
12 შვილი ზურაბ, სხვანი თავადნი და აზნაურნი მრავალნი:

რა ჩხეიძეს მეფის ერეკლეს წყრომა მოუვიდა ვეღარც ბატონი-შვილები დადგნენ, აიყარნენ,
წაუძღვა სეხნია, ერთ-პირად მოყვარე იყო აბაშიძე გიორგი, ციხე ჰქონდა მაგარი, ხარაგეულს
დააყენა ბატონი-შვილი ვახტანგ, რძალი მეფისა რუსუდან, ბატონი თინათინ ქვაბს დააყენეს,
დადგა ბატონი-შვილი ქაიხოსრო წიფას: ამაში-გან გარდმოვიდა მეფე ერეკლე და ქალბაღიხან
გორსა და შემოიყარეს ქართველი და დააფიცეს: შექმნა რჩევა მეფეს გიორგის, რადგან ძმები
ყაენის კარ-ზე ყვანდა, გამოგზავნა ძმის-წული ქაიხოსრო ამ ხერხითა, ეგება ყაენ-თან მიეწია
და საქმე წარემართა: რა შეიტყო მეფე-მ ერეკლე-მ და ქალბაღიხან ქაიხოსროს მოსვლა, აახლეს
ციცი-შვილი ქაიხოსრო და საფიცარი მტკიცე, ჩამობძანდა გორს, დასდვეს პატივი უსაზომო და
მოართვეს მოსართმევი მრავალი, გაგზავნეს ყაენ-თან ჩაიყარი, აყარენ ქართლს, არა ავნეს-რა, ჩა-
ვიდნენ ქალაქსა ტფილისსა, შემოირიგეს ერისთავი ქსნის დვით, მუხრანის ბატონი პაპუნა,
სარდალი თამაზ: რა ესენი ხელში ჩაიყარეს სამნივ ისპაანს გაგზავნეს. მაგრამ თამაზ სარდალი
ორის ვაჟითა და ორის ქალით: რა ისპაანს ჩავიდნენ გაუწყრა ყაენი და ყველა ქირმანს დაატყვე-
ვეს: გამოხდა ხანი მცირედი, მოვიდა ყაენისაგან მემანდარი და წყალობის რაყამი ბატონის
შვილს ქაიხოსროს, გაისტუმრეს პატივითა. მაგრამ კაცნი მცირედი გაატანეს, გაჰყვა ჩხეიძე სეხნია
და მცირედი აზნაურნი და მსახურნი თან-წაიყვანა და ჰყვანდა ხარჯა:

რა ისპაანს ჩავიდა იმავ დღეს ეთხოვნა და ბატონის შვილისა, მიართვა, დააყენა მამას-თან,
ჯერ ყაენს არც ბატონის-შვილი ლევან ენახა, არც ლუარსაბ: მესამეს დღეს იხმო ხელმწიფემა,
ნახა სამნივე, დასდვა პატივი უშურველი, მოეწონა სიმხნე და სიკეთე ამათი, მისცეს სასახლე
შვენიერი და დადგნენ მამა-შვილნი ერთად: რაც იმ დღეს გაეწყობოდა ნახევრიან ღვინისა, ქორონი-
13 კონს ტჳთი, მკათათვის, ვიყვენით ამა განცხრომაშია, არც მისცეს ულუფა, შევსძვირდით ხარჯ-ზედა,
მისცა ვინცა-ვინ ქართველნი ახლდნენ დასტური. მაგრამ ჩხეიძე-მ სეხნია-მ არად ისება მოშორება
მათი, თავად ლევანის გაზდილი იყო და მერმე ქაიხოსროს თან-შეზრდილი, მოხდა სილარიბე დი-
დი და გამოხდა ხანი და გამოეგზავნა მეფეს გიორგის ხელმწიფეს შემოხვეწოდა, ზურაბი-შვილი
ზურაბ: რა სცნა ყაენმა მეფის გიორგისა შემოძლევა და ხლება განიხარა სიხარულითა დიდითა,
მაგრამ არ ჯერ იყო, რადგან ისე სახელოვანნი კაცი იყო, დიდად უნდოდა ნახვა მისი, გაუგზავნა
მემანდარი და წყალობის რაყამი. „თუმცა მნახო ჩემ-გან აურაცხელი წყალობა მოგანიჭო:“ მი-
ვიდა ზურაბ იმერით და მემანდარი ალს, გარდმობძანდა მეფე და ვინცა-ვინ დარბაისელნი ახლდენ.
ამილახორი იმერეთს დამარცხებულ იყო, სხვანი თავ-თავის მამულებში დააყენა მეფე-მ ერეკლე-მ.
რადგან ყაენს ებრძანა: „ყველას თავ თავის მამული მიეცით:“ დააყენეს ცოლ-შვილნი და თვითან

მეფეს გიორგის გაჰყვნენ, გარდმოიარეს თრიალეთი და მივიდნენ ერევანს, აცნობეს ყაენს: იამა სიამოვნითა დიდითა და მოაგება წინ თუმანი ხუთასი, ხალათი და ოქროთ შეკაზმული ცხენი: ჩაბძანდა ისპაანს, ქორონიკონს ტპე, მარტს ე: მიეგებნენ ძმანი და ძმისწული: რა ნახეს ერთმანერთი, გარდაეხვივნენ ერთმანერთსა, შეიქნა სიხარულის ტირილი, მზემა ღ̃თისამა და თავ-მან ამათ-მან, ეს ოთხნივ ერთად გენახათ ამას ბძანებდით, ამათ-თანა კაცთა შვილი უკეთესი არ იქნებოდა: შევედით, მოგცეს სარაი ტურფა და დარბაისელთ ცალ-ცალკე: დღესა მეოთხესა ნახა ყაენმა, დახვდა ტკბილად და საყვარლად, ვითარცა მამასა და დასვა პატივი მისად შესაფერად, მოეწონა სიკეთე მეფის გიორგისა: ამაშიგან გამოხდა თვენი ოთხი-ღა, მოახსენა მეფე-მ გიორგი-მ ხელმწიფესა: „რათა უყოს წყალობა და დაიხსნას ქირმანიდამ ერისთავი დავით, მუხრანის ბატონი 14
პაპუა და სარდალი თამაზ:“ უყო წყალობა და გაგზავნეს ჩაფარი და მოვიდნენ ესენიცა: გამოხდა მცირედი დღესი და დაჰპატიჟეს ქართველთ რჯული. „თუ რჯული არ დააგდოთ ქართლში წავიდენო.“ შეექნათ ჭმუნვა დიდი, თავად რჯულის დაგდებისა-თვის, მერმე პატრონის გაყრისა-თვის, არა ცოტანი იყვნენ, ქართველნი იყვნენ ექვსასი. შექნეს რჩევა, აღარა გაეწყობოდა-რა, მისცა დასტური ქართველთა: მაგრამ ზოგი არ გაუშვეს, გაათათრეს არაგვის ერისთავი გიორგი, ერისთავი დავით, ციცი-შვილი ვახტანგ, ციცი-შვილი პაპუნა, აბაში-შვილი დავით, ზურაბი-შვილი ზურაბ, წინათ თათარი იყო თამაზ სარდალი და მისი შვილი კაცია, ყანდაარის ხანი ამისავ გვარისა იყო ყაფლანი-შვილი. ამის-თვის გამოითხოვა და თან-წაიყვანა მამუკა, ამისივე შვილი ქართლში, გაისტუმრეს. და დარჩნენ მეფეს გიორგის-თან ეს გათათრებულნი და სხვანი თავადნი ორასი-ოდენ კაცნი: რა ნახევდა მეფეს გიორგის პატივსა და წყალობის სიტყვას არ დააკლებდა, უნდოდა ხელმწიფეს წყალობა. მაგრამ დრო და სოფელ-მან არ მოახდინა: გამოხდა წელნი სამნი და მიიცვალა ბატონი-შვილი ლუარსაბ, შეექნათ ძმებს მწუხარება და ჭმუნვა დიდი, იქნა წყალობა ღ̃თისა და განადიდა უშურველი წყალობა მისი:

დაუძახა მეფეს გიორგის ხელმწიფე-მან, ქორონიკონს ტპზ, გიორგობის-თვის კ, დაუწყეს სუმა და დახვდა ხელმწიფე მოცინარითა პირითა, დასვა ახლოს თავისა და უბოძა ღვინო თავისა ხელითა, ილაღობეს მხიარულად, თვით ხელმწიფე კარგი აზნაურ-შვილი იყო. მაგრამ მეფის ხუმრობასა და სიტყვის მარჯვობას არა გაეწყობოდა-რა: უბოძა ქირმანის ბეგლარ-ბეგობა და დაარქვა სახელი მამისა, შაჰნავაზ: არად ინება მეფე-მ გიორგი-მ ქირმანი, რომ საქართველოს პატრონი იყო და ქირმანი იუკადრისა, მოახსენა უარი. მაგრამ არ მოუშვა ხელმწიფე, დაუჭირა ხელი ხელითა. აღარა გაეწყობოდა-რა, აკოცა მუხლსა, იამა ხელმწიფეს დამორჩილება მისი, ორნივე დიდად და- 15
თჳრნენ. ხან ყაენი დაუსხამდა ღვინოსა. ხან მეფე: წამოვედით მხიარულებად, შეგვექნა სიმხიარული, არა ქირმანისა-თვის. არამედ საქმისა და წყალობის გამობრუნებისა-თვის: მეორეს დღესა მოვიდნენ ბეგლარნი და მოულოცეს წყალობა ხელმწიფისა და მოართვეს მოსართმევი მრავალი, ვის უნდოდა და ვის არა: მესამესა დღესა დაუძახა ბატონი-შვილს ლევანს, უყო წყალობა და

ნაიბობა ქირმანისა და გაგზავნა ჩავრათ: თურე ქირმანის ქვეყანა ბულუჯთა-გან აოხრებულ-იყვნენ, რადგან ეს მტერი ყვანდათ. მაშ, ღმერთო, არ ავად მოიგონეს ქირმანის ამათი მიცემა: წაბძანდა ბატონი-შვილი ლევან, თანა-იახლა ჩხეიძე სეხნია, გაატანა მეფე-მ გიორგი-მ აბაში-შვილი დავით და ათიოდ სხვანი: ვიარეთ ოცისა დღისა სავალი, ჩავედით ქირმანსა, ქალაქი იყო შვენიერი და მოგვეგებნეს წინა ჯარი და მოქალაქენი, შექნათ სიხარული შვილისა (შვილისა) მათისა-თვის: გამოხდა დღენი თორმეტი, მოვიდა ამბავი ბულუჯთა ჯარისა: „წარმოვიდა მირ-ხოსრო შაჰ ჯარითა მძლავრითა, მოვა დასარბევლად ბანდარისა ქვეყანისასაო:“ რა ვისმინეთ ამბავი ესე, ჰკრეს ნაღარასა, შევსხედით, ვიარეთ მცირისა ჯარითა, ვიარეთ სახელსა ზედა ღჳთისასა, ვლეთ დღე და ღამე, მეათექვსმეტესა დღესა მივედით ქანუ-დინარსა, სამძღვარსა ბანდარისასა, დავდექით. დღესა მეორესა მოვიდა ყარაული ჩვენი და მოგვითხრო (1) ამბავი: „დაარბია ბანდარის მამულები ხოსრომაო:“ უკანვე საშოვრად დამდგარ იყო და ორი მისი სარდალი და ნაშოვარი გამოესტუმრებინა. მოვიდა ამბავი ჩამოხდომისა მათისა ადგილსა კლდოვანსა, გვიანბეს ლაშქრისა სიმცრო, ორი ათასითა კაცითა, ორნი სარდალნი არიანო: ჰკრეს ქანარასა, ვახსენეთ სახელი ღჳთისა, დარჩომილ იყო დღისა ორი საათი, შეჯდა ბატონი-შვილი ლევან, მზემან ღჳთისამან, ასე სიხარულით მივსდიოდით, ვითაცა ქორწილსა შინა წვეული ვყოფილ-ვიყავით. მაგრამ ჩვენის ჯარის

16 სიმცრო გვიმძიმდა, ახლდა თათარი ავ-კარგათ ექვსასი ოდენ, ქართველნი ორმოცნი: ბრძანა ბატონმა ჩვენმა ლექსი:

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებან ხმელთა სპანი.“ (2)

გვესწრა ღამე და მოვადგეგით, სადა ბულუჯნი ჩამომხდარ-იყვნენ, ადგილსა კლდოვანსა და გარე აქლემი შემოეწვინათ და თვითან, კლდე იყო მაღალი, იმაზე იდგნენ: რა შემოვადექით გარე და დავაწყევით რაზმი, ღამე იყო. რა შეიტყვეს მისლვა ჩვენი, არად გვახსენეს და არც დაიძრნენ, თავად ჯარის სიმცროსა-თვის და მერმე მრავალ ჯერ ამოეწყვეტათ და გაექციათ უიზილნაშნი: იყრაყსა ოდენ ჟამსა გამოხდა ხმა მათ ყარაულთა-გან, უხმეს ჩვენ ყარაულთა. „თქვენ საბრალოდ აშენებულნო, ვის მოუცთუნებო-ხართო, თუ კიდევ მამადალი-ხან მოსულაო, სამჯერ ჩვენ-გან გაქცეულაო, წამოსულაო, ჯარი მისი ამოგვიწყვეტიაო, საქონელი გაგვიყვიაო, იშალა (3) კიდევ აგრე იქნებაო, თუ გათენდაო:“ მისცა პასუხი ჩვენმა ყარაულმა გისებით: „მოვიდა რისხვა ღჳთისა თქვენ-ზედაო, მობრძანდა საქართველოს ვალი ლევან, ახლავს ქართველნი ჯარი, კაცისმჭამელნიო:“ შექნეს თურე ჴმუნვა დიდი, ეს-კი არ იცოდნენ, არც ოცი ქართველნი გვახლდა, თითოს ქათმის შეჭმაც არ შეგვეძლო. მაგრამ ჩვენმა ყარაულმა კარგი ტყუვილი გამოიგონა. შე-

(1) უნდა მოგვითხრა დ. ნ.

(2) გაუხვის ტუახნისა-გან არის. დ. ნ.

(3) ღმერთმა ქმნას (თათრულად) დ. ნ.

გვექნა ჩვენ აქ სიცილი: რაც (1) ცა-მან სინათლე გამოაჩინა, ვილოცეთ და დავსხედით უკეთესსა
ცხენსა, სეხნია შესვა თავისა წინა სამლსა ტაიჭსა, არ ავად მოიხმარა, რა გავიცანით ერთმანერ-
თი, შეგვექნა სროლა, თურე ღამით ასე ახლოს მივსდგომოდით თოფი გვწვდებოდა: მოახსენა
სეხნია-მ პატრონსა მისსა. „ცოტა სადავის აწევა და ცხენის უკან უკუდგომა: გაუცინა: „აღარ
ეგებისო·“ რა არ დაიშალა, დაუდგა გარდი-გარდმო, გარდაივლო ხელი ქარგადანსა, ფარსა და
მიიცა ღლიასა, მოუხდა თოფი ფარსა, გავარდა შიგა, მოხუდა ბატონ-თან მდგომელს ცხენისა
კისერსა და დაეცა ცხენი: დიდს კლდესა ქვეით გორა იყო მომცრო, სამი კაცი იმა-ზედ ჩამო-
გვეპარნენ, იმათ თურე გვესროლეს: გაიხტუნა ჯაფარ-ბეგ ცხენი, გაჰყვა მსახური ერთი, მიუხდა 17
ძირსა, გაუშვეს ცხენები, აუხდენ ორნი პატრონ-ყმანი, დასჭრეს ორთ თავები, ერთი გაექცა,
სანამდისინ ცხენს დავსძრევდით. მოართვეს პატრონსა ჩვენსა თავები: ეს ჯაფარ-ბეგ იყო მეფის
მაჰმადიანის ვეზირისა შვილი, ვაჟ-კაცობის იადგარი, უბრძანა მადრიელობა და წყალობისა სიტყვები:
გაჭირდა ომი, ვიდრე შუადღემდი, გვიბძანა პატრონმა ჩვენმა: „აწ ვნახოთ ვაჟ-კაცობა თქვენი:“
მივქუსლეთ ცხენი, შევერიენით შიგა, თქვენმა მზემა და თავმა პატრონისა ჩემისა-მან, სანა-
მდისინ პატრონი მოუსწრობდა ჩხეიძე-მ სამი მოკლა შუბით, იკადა თეთრსა ტაიჭსა ბატონი,
შემოერია შიგა, ზენარ-მან ღმერთისამან, ასე შეერია შიგა, როგორც ლომი თხასა შიგა გარეულ-
იყო, გაიგრა ისარს ხელი, მოკლა სამი კაცი. მოუხდა ერთი ბუღუჭი, შემოსტყორცა თოფი
იღლიას, თურე კაბაში გავარდა. მოუხდა სეხნია, შემოსცა შუბი მარცხენას ღლიასა და თქვენმა
მზემა, მარჯვენას გვერდს გაავლო: ძლიერებითა ღმერთისათა გაგვემარჯვა, გაგვექცნენ, ცოტა რამე
კლდე და სიმაგრე იყო, შეგვესწრენ: იმას ზედან ავივსენით ნაშოვრითა, მრავლითა საქონელი-
თა: მოჭრა თავი მათი ათას-ხუთასი, ჩვენის ჯარიდამ დაგვეკლებოდა ას ორასი (2):

თუცა გვენახვნით მცირე პატრონ-ყმანი, არ ავად გიყვენით, წამოვედით გამარჯვებულნი, მო-
ვედით იქავ ქანუდინარსა, მოლოდინი გვქონდა: ხოსროშას თურე ამბავი მისლოდა ჩვენისა
გამარჯვებისა და გვერიდებოდა და წასულ იყო მანიჯავის ღელე-ზედა გზა საჭირო და ძნელი
იყო, თვით პატრონმა ჩვენმა აღარ ინება გამოდგომა მისი, უთავა ჩხეიძე სეხნია და აღარ (წა-
ბძანდა თვით), გაატანა ორასი ამორჩეული თათრის ჯარი, გარდაუსწრეს მანიჯავის ღელესა, შეე-
ქნათ სროლა, გაიქცა ხოსრო, დარჩა ნალარა-ხანა, მოიჭრა თავი მათი ასი. მოვიდა გამარჯვებული
პატრონთა მისთა, შეიქნა სიხარული დიდი, უბოძა საბოძვარი უშურველი და შემოსა ყვითლითა
ზარბაბითა, მიანიჭა საშოვარი ლაშქართა და გაუყო მცირესა და დიდებულსა. გაგზავნა ჯაფარ- 18
ბეგ მახარობლად ყაენ-თანა და ძმას მის-თან მეფეს გიორგის-თან ისპაანს:

ქორონიკონს ტპჱ, თებერვალს ია, წამოვედით ქალაქსა ქირმანისასა, მივიახლენით ერთისა

(1) უნდა: რა. დ. ჩ.

(2) ას ორი უნდა. დ. ჩ.

დღისა სავალსა, მოუვიდა ხელმწიფის წყალობა უშურველი, ხალათი, ხმალი მურასა, ცხენი ოქროთა შეკაზმული, ისამი და სიმხიარულე აუარებელი, მოლოცვა გამარჯვებისა: მივედით, მოგვეგებნენ მოქალაქენი, შესხეს ქება, ღმერთს თაყვანის-ცემა: „კურთხეულ არს ღმერთი, რომ ჩვენად მეშველად გამოგვიჩინაო და დაგვიხსენ მტერთა ხელთაგანო:“

დავყავით ხანი სიხარულსა შინა, ინადირის, გაიცემოდის, სამართლობდის: გამოხდა ხანი მცირედი, წამობძანდა მეფე გიორგი ისპაანით და მობძანდა ქირმანს, მაისის ქ, შეგვექნა სიხარული დიდი და მიგებება ჯარისა: ორისა დღისა სავალსა, შეიყარნენ ძმანი, მოულოცა გამარჯვება. ამას ბრძანებდი, თვალი კაცისა ამათ-თანას რას ნახავსო: ჩამოვედით ქალაქსა, ჩამოჰყვნენ ქართველნი თანა, არაგვის ერისთვისა და პაპუას გარდა: გამოხდა დღენი რაოდენიმე, მოვიდა ჩაპარი ხელმწიფისა, ეთხოვნა ქსნის ერისთავი, თურე ქართლში ქსნის ერისთავი მოეკლათ თავის ყმათა: ძმის-წული ამ ერისთვისა რა მივიდა, უყო ყაენმა წყალობა, უბოძა საბოძვარი და მაჯმა ოქროსი და ერისთობა, გაისტუმრა ქართლში:

გამოხდა თვე ერთი მოვიდა ამბავი: „ბულუჯნი და ავღანი შეიყარნენო და მოდიანო.“ თურმე ბიაბანსა შიგან ასრე გაევლოთ, ვერა ვსცანითურა ამბავი, წასულ იყვნენ ქვეყანასა ქაშანისასა, დაარბიეს გარეშემო ქაშანისა, პასუხის მიმცემი არა-ვინ ჰყვანდათ: გასწყრა ყაენი და გაუსია ჯარი, ვერა ევნოთ-რა, გაექციათ და მოეწყვიტათ ჯარი ყაენისა: დაჰყვეს ბულუჯთ თვე ოთხი ქვეყანასა ქაშანისასა, არბიეს და მოსწყვიტეს მრავალი სული და წამოვიდნენ ჩვენისა ქვეყნისაკენ: მოვიდა ყაენისა-გან ბრძანება და მოეწერა წიგნი მეფეს-თანა: „დამირბიეს ქვეყანა და ამამიწყვიტეს ლაშქარიო, წამოვიდნენ ქვეყნისა შენისა-კენ, გამოაჩინე ლომ-გულობა შენიო, ნუ
19 გაუშვებ მაგათ უზიანოთო:“ ვითაცა ბრძანებაცა არ მოსულ იყო, წესი მისი სიოკენაც მტერი გამოჩნდის, უომარი არ გაუშვის. გაგზავნი ყარაულნი, მოვიდა ამბავი ყარაულთა-გან: „წამოვიდნენ და მიდიან გზასა სისტანისასაო:“ შეგვექნა სიხარული და გააყენა ბატონი-შვილი ლევან და შეიყარა ჯარი ქირმანისა, წავედით ბამს, იყო ქირმანიდამ ექვსისა დღისა სავალი: რა ჰსცნა მეფემა იმა გზაზე ჩამოვლა, წამობრძანდა ქართველთ ჯარითა, ჩამობრძანდა ბამსა, ვიარეთ თავმან თქვენმა, ხან ოცს ალაჯს გავივლიდით, ხან უფროსა, ვიარეთ და მეოცესა დღესა მივეწივენით, ფირიქეს თურმე ჩამამხდარ იყვნენ: იყო ბიაბანი, შესობა არსადა, წყალსა სადაცა ვნახევდით, ამას ბძანებდით, მლაშე თევზის წვენი არისო: მოვიდა ბძანება ღუთისა, დავადასტურეთ მათი დგომა, გაისტუმრა მეწინავეთ მეფე-მან ძმა და აახლო ქირმანის ჯარი და ზოგნი ქართველნი, მეოცესა დღესა რა ქვეყანის მაშვენებელმა ცამა სინათლე მოგვცა ვილოცეთ, ვახსენეთ ღმერთი, ვეზიარენით ქართველნი, შევსხედით უკეთესთა ცხენთა, მოვადექით წინადამე: რა ჰსცნეს მისლვა ჩვენი ველარ აიყარნენ და მოვიდნენ სიმაგრესა, კლდე იყო მაგარი, მის კლდესა ზედან ნაშენები ყორე ქვისა, მის დაბლა გორა ორი, მის-გან უმცროსი. ვახსენეთ სახელი ღუთისა და შემოვადექით, ვკარით ქოსა და ნაღარასა, ქვეით ბატონი-შვილი და ზეით მეფე, შეგვექნა სროლა და ამა სრო-

ლასა შიგან მოვიდა ხანი სისტანისა, შემოეთვალა: „ბრძანება თქვენი ვისმინეთ და რომელსა მხარსა ბრძანოთ მიუხდეთ:“ გვიამა მოსვლა მისი, არა ავი-დროს მოვიდა. უბრძანეს მარცხენასა მხარსა შემოდგომა, არ ავად მოვიდნენ, თუცა ბოლო გაეტანებინათ: თქვენმა მზემა ამას ბრძანებდით უთუოდ სიმაგრე აიღეს, დაუძრეს ცხენითა, მოადგნენ კლდესა, გარდაიჭრნენ ცხენიდამე გაიკრეს ხელი ხმალთა, შეებჯინნენ ქვეითათ, შეგვექნა ჩვენ ქართველთ ჭმუნვა, შევქენით წყევა, მათაცა იმათი ჯობნა გვეთაკილა, დაგვტუქსეს პატრონთა ჩვენთა: რა მიეწყრნენ წამოეშალნენ, ბულუკნი, თავმა თქვენმა და მზე-მან პატრონისა ჩვენისა-მან, როგორცა მაღლიდამ ხელის ქვა კაცმა ჩამოაგდოს ყველანი ისე ძირს ჩამოცვივდნენ, შეგვექნა ზოგთა სიხარული, ზოგთ წყენა 20
ლაშქრისა დამარცხებისა-თვის, იყო ომი დიდი, იხოცებოდიან თვით ისინიცა და მცირედნი ჩვენიცა, გაჭირდა ომი, გაიყვნა ცხენი მეფემა, დაიგრგვინა, ვითარცა ცა-მან, დაუძახა ქართველთა: „აწ ვნახო ჭაბუკობა თქვენიო:“ ეგრეთვე ბატონის-შვილმა, თავ-მან თქვენ-მან, ომად კმა იყო, მივქუსლეთ და დავერიენით შიგან, არ ავად იყვნენ ისინიცა, არც ხმალ-მოუქნეველნი დაგვრჩომიან. გაგვემარჯვა, ამოვწყვიტეთ, ავივსენით ნაშოვარითა მათითა: წამოდგა ერთსა გორასა მეფე და ერთსა ლევან და შუაში გვქონდა ცემა, თავის-ჭრა იყო: იმათში ერთი მხნე და მომაღლო კაცი, შერჩომოდა ხმალი ერთი, გარდმოიჭრა მაღლიდამ, მოუხდა ჩხეიძეს სეხნიასა, შემოკრა ქარქაშსა, გაუწყვიტა ბოლო ქარქაშისა. მაგრამ მუხლს ვერა ავნო, აიჭრა, ვითარცა ვეფხი და ჩამოაგდო ხმლით ორი თათარი: ვინ უყურებდა ერთს კაცს აქ ცემა იყო, წავიდა მინდორსა შიგან:

ამაშია-გან მოვიდა ზურაბის-შვილი ზურაბ, მოუღლოცა ბატონი-შვილს გამარჯვება იმათ ნახვა უბრძანა ერთმანერთისა: „უყურე, იმ ერთს კაცს ლამის მოგვრჩესო:“ მოახსენა ზურაბ: „მე მზასა-ვარ სამსახურად, უშალა ბატონი-შვილმა „თავად მაშვრალი ომისა-გან, და მერმე შორდარჩომისა-გან:“ არ დაიშალა, იარა, რა მიწევის დრო შეიქნა, თურე ერთი ქირმანელი კაცი წასდგომოდა, მოუხდა მოგანებით, შეკაზმული ქარქაშითა, ცხენითა მალითა, მოიცადა იმა კაცმა, რა მიეახლა შემოუტია, ჰკრა ხმალი მარცხენასა მხარსა, ასწია ფეხსა, თქვენმა მზემა, როგორც კატა ისე ცხენიდამ ჩამოიღო, არა დაჭრილობა ჰქონდა: ეს გვიკვირდა, თუ ისე ჯაბანი კაცი იყო, რას მისდევდა: შეგვექნა გინება და ზრახვა მის კაცისა, შეჯდა ბულუკი ცხენსა მის კაცისასა, ასე ბრძანებდი შავარდენსავით გაფრინდაო, დარჩა ზურაბ მიუწევარი, ვითარცა ცხენი დამაშვრალიყო და აღარა გაეწყობოდა-რა: რა გამობრუნდა, თურე კიდევ ჩვენ-გან ოთხნი ბულუკნი წასულ იყო და თხუთმეტი თათარი ცხენ-კეთილნი უკან მისდევდა, თავ-მან თქვენ-მან და მზე-მან პა- 21
ტრონისა ჩემისა-მან, რომ ეს ოთხნი გამოუბრუნდებოდნენ ამ თხუთმეტს გამოიქცევდნენ, ის ქვეითნი მისდევდნენ და ვერა ავნეს-რა: რა ნახა ზურაბ ამ ყოფაში არიან, შემოუტია, ჰკრა ერთსა შუბი და მეორეს-ზე იცა, ორივ წაიქცნენ, ჰკრა მესამესა შუბი, თქვენმა მზემა, გაავლო შიგა და მიწას დააბა იგი კაცი, გატყდა შუბი და გაიკრა ხმალსა, ხელი მიმართა მეოთხესა, არა ავად იყო იგი კაცი, შემოუვარდა ცხენს ქვეშ, შემოჰკრა ხმალი ზურაბს ავჯანდასა, გაუჭრა ავჯანდა, ფეხს

ვერა ავნო-რა. გაიხტუნა ცხენი, შეჰმოკრა თავსა ბულუჩისასა და ჩაჰკვეთა კისრამდის, დასწყვიტეს ამ თხუთმეტმა კაცმან თავები და მიართვეს ზურაბს და მიულოცეს გამარჯვება, არად ინდომა: „თქვენი იყოს, მე მოგეხმარეთო:“ იმათვე მისცა, მოვიდა წინაშე მეფისა, იამა ნახვა მისი და გამარჯვება, გარდავხედით ნაომარსა ადგილსა. მაგრამ დამაშვრალი უწყლობითა, მას ადგილსა წყალი არა იყო, შევსხედით ცხენსა იმავ საღამოსა: ხანი სისტანისა ბელადი იყო და ადგილი მისი, გვითხრა: „წყარო არის აღაჯსა ორსაო იქ უნდა დავდგეთო: გვიამა და შეგვექნა სიხარული წყაროსა მის-თვის, გვეგონა ქართლის-წყაროს მსგავსი იქნებისო: ვიარეთ აღაჯი ორი და დაეცა ბინდი მივედით ადგილსა მას, სადაცა წყარო გვითხრეს, შევქენით ძებნა წყაროსი, გვაჩვენეს, ვნახეთ, ღმერთმან თქვენს მტერს მისცეს ის წყარო იყო, ასეთი მარილი იდვა ნაპირსა მის წყლისასა, თავ-მან თქვენ-მან გურდღელი მოიკლვოდა: წყალი იყო მწარე მარილისა-გან, შეგვექნა ზოგთა სიცილი და ზოგთა მის ხანისა გმობა. მაგრა რა ღონე იყო, დავდექით მას ღამესა იქი და რა გათენდა დაჯდა მეფე კარავსა შიგან, მოართვეს ნაშოვარი და თავი ბულუჩთა შვიდას
22 სამოცი: იმ ერთის კაცის მეტი არ მოგვჩომიაო, უბოძა ნაშოვარი ლაშქართა მისთა:

მოვიდა ყარაული ჩვენი და გვიამბო ამბავი: „უკან კიდევ ჯარი მოდისო:“ თურმე ესენი გაუთვილ-იყვნეს და ნაშოვარი გაეყოთ, ესენი ბულუჩნი იყვნეს და უკან ავლანი დამდგარ-იყვნენ: რა ვსცანით შეგვექნა სიხარული, ვახსენეთ სახელი ღუთისა, ჰკრეს ქანარასა, შევსხედით, დავა-წყევით რაზმი, მინდორი იყო თვალთ-უწდომელი, შემოვიარეთ წინა ერთსა უდაბურსა ადგილსა და იმავ მინდორსა შიგა გორა კლდიანი დიდი და გრძელი და გარეშემო მინდორი. ძირსა მას კლდისასა დააყენეს ნაშოვარი და შემოვადექით გარე, შეგვექნა სროლა, წინად-გან უმწარესი: დარჩომილ იყო დღისა სამი საათი, ოდეს დაეწყურა მზე გვიბრძანეს პატრონთა ჩვენთა: „ღაღობა ნუ გგონიათო, დავიქვეითეთ, შეუცვივდით, ზესარამან ღუთისა-მან, არც ერთი კაცი არ მოგვჩრ-ჩომია, ამოვსწყვიტეთ, ავიფორიაქეთ ნაშოვარი მათი, გარდავხედით მოსვენებად. დავყავით მას ღამესა იქი, რა გათენდა მიართვეს თავი ხუთას ორმოცი, აქაცა და იქაცა ააშენებინა იავების მინარა, თითო ოცოცი წყრთა: ავიყარენით და წავედით, დახვდა ხანი სისტანისა, გვიმასპინძლა, რაც ოდენ ბიაბანს გაეწყობოდა. მაგრამ წყალი ჰქონდა: უბოძა მეფე-მან შესამოსი მძიმე და გამოგვესალმა: იური სისტანი ორისა დღისა სავალი დარჩომილ იყო: ჩვენ წავედით დიდისა სი-ხარულითა, ვიარეთ ბიაბანი, თავ-მან თქვენ-მან, თხუთმეტს დღეს ცხენს ბზე არა ჰქონია, ბია-ბანსა შიგან სიარულმა შეგვაწუხა, თვარამ სასიხარულო დიდი გვქონდა, თავად გამარჯვებისა და მერმე ამიტომ, იმ ალაგების ნახვისა-თვის, ის ალაგები გზათაც არა-ვის გაევლო, არამ-თუ სალო-მრად ვინ წავიდოდა: ვიარეთ თვე ერთი, გაგზავნა მახარობელი ყაენ-თანა და შემოვიქეცით ქა-ლაქსა ქირმანისასა, შექნათ სიხარული დიდი და ჯართა მის ქალაქისათა შექნათ ჯართა-გან (ლახვა) (1) ფეხითა ნახვისა მეფისა-თვის, ასხემდეს ქებასა და ლოცვიდეს: „კურთხეულ არს

(1) კაზრისთვის მომლოცველთა ეს სიტყვა.

ღმერთი, თქვენ მაგისთანა კაცნი დაუბადებიხართ და ჩვენ-თვის გამოგარჩივეთო:" შეიქნა იმა ქვეყანასა სიმშვიდე და ნაოხართა შენობა, განისვენებდა მეფე ჩვენი სიმხიარულითა დიდითა, 23
მეჯლიშითა და ლხინითა:

გამოხდა დღესი რაოდენიმე, მოვიდა ხელმწიფიდამ წყალობა და დიმადლება დიდი და ებოძა თაჯი დაჯიყილა მურასა, ხმალი და ხანჯალი, შემკული იაგუნდითა და მარგალიტითა, ცხენი ოქროთა უნაგირითა, თეთრად ორი ათასი თუმანი, ხალათი მძიმე სიამურის ქათიბითა, რაც დარბაისელნი იყვნენ თავ თავის-თვის ინამი და ხალათი ორმოცდა-ათი, გვქონდა მორჩმა და მოვლენა, ლხინი და ნადირობა, ბურთაობა და ყაბახთა სროლა: ამავე ქორონიკონს ამათ-ზე გაგვემარჯვა გიორგობის-თვის ით:

ვითარცა გამოხდა თთვესი ხუთიღა მოსულ-იყვნენ ავლასნი, დაერბიათ ბაღდადი: მოგვივიდა ამბავი, ვახსენეთ ღმერთი, ვიარეთ და ჩავედით ბაშს, აღარ ინება მეფე-მ წაბრძანება, აღარც ქართველნი, ამიტომ რომ ცოტანი იყვნენ: უბრძანა ბაშელსა უსეინ ბეგს, კაცი გამოცდილი და მხნე იყო, აახლო ქირმანის ჯარი, გაევლოთ ავლანთ გორგი ბიაბანი, მიეწივნენ რუდმაის, ასე ამოეწყვიტათ, მზე-მან პატრონისა ჩემისა-მან, არც ერთი ცოცხალი ვერ მორჩომოდა: გაგზავნა მეფე-მ გიორგი-მ კაცი ხოსრო შაჰს-თან მოსულისა და შერიგებისა-თვის, უბოძა წიგნი და ფიცი: „არა გვენოს ჩემგანაო წყალობის მეტიო:" ესმინა ბრძანება მეფისა, მოვიდა ჯარითა კარგითა, მოუყვა მელიქი ბუდუღლისა, დასდვა პატივი მეფე-მ მირ-ხოსროს, არა ავი კაცი იყო, მობერ-კაცო, შვენიერი, ეტყობოდა ჭაბუკობაში გაზდილობა, შეჰფიცა მეფესა ფიცითა მტკიცითა, უბოძა შესამოსი მძიმე და ზარბაბი ხუთი, ცხრა და მსახურთა მათთა თავ-თავისად, მოვედით ჩვენსა ქალაქსა:

ქორონიკონს ტპა, ებრძანა ყაენსა და დაებარებინა ბატონი-შვილი ლევან: წაბრძანდა ქირმანიდამ, რა მივიდა ისპაანს მასვე დღესა ნახა ყაენმა, დახვდა მხიარულისა პირითა, ჰკითხა ამბავი ძმისა და გამარჯვებისა, მოახსენა რაც ოდენ ხელმწიფეს მოეხსენებოდა, დაჯდა ნადიმად და შექნა სიმხიარული, უბოძა თავისის ხელით ღვინო და მდივანბეგობა ერანისა და დაარქვა სახელი შაჰ-ყულიხან: გამოხდა მცირედი ხანი, მოახსენა ხელმწიფესა: „შვილი ჩემი შენი ყულიაო, 24
სხვის საბატონოში პურს რატომ ითხოვდესო, მიეც წყალობა და რაც ქართლში საუფლის-წულო მქონია, მიბოძეო:" ისმინა მოხსენება ყაენმა და მისწერეს რაყამი მეფეს ერეკლეს: ისმინა ბრძანება ხელმწიფისა, აახლეს კაცი ბატონი-შვილს ვახტანგს, იქავ იმერეთს ხარაგეულს ექნა ქორწილი ჩერქეზის ბატონის ასულს რუსუდან-ზედა და ესვა ძე ერთი ბაქარ, გარდმოვიდა სურამს, შეექნათ მათ ერთ-გულთა სიხარული და ორგულთა წყენა: დაჰპატიჟა მეფე-მ ერეკლე-მ, იდგა მეფე კოჯორ-ზედას. რა ნახა, დასდვა პატივი შვილურად და შეიყვარა ძმათ და შვილად, უბოძა საბოძვარი მრავალი და ხმალი მურასა შეარტყა წელსა მისსა, ნახვდიან ლხინსა და შექცეოდიან:

გამოხდა ხანი რაოდენიცა მოავლინა ღმერთმან უშურველი მისი წყალობა, უბოძა ყაენმა შაჰ-

სულთან უსეინ, მეფეს გიორგის ქართლი და ერანის სპასალარობა, ყანდაარის ბეგლარბეგობა, გირიშკი: გაუგზავნა კაცი ქირმანს, უბრძანა ყანდაარის გარიგება, იქაც ებრძოდა მირ სამანდარ და აეოხრებინა ყანდარის ქვეყანა და მოეკლა თამაზ სარდალი ომში და გამაგრებულ იყო ხანი ყან-დაარისა მასულ-ხან სარდალი, რომ გაჰყვა ბრძანებასა ხელმწიფისასა, რა გაეწყობოდა: შეგვექნა სიხარული ქართლის შოვნისა-თვის. მაგრამ ყანდაარს წასვლის მოწყვეს:

დაიბარეს ქართლიდამ მეფე ერეკლე, წაბრძანდა ისპაანიდამ, საქართველოს ნაიბად ბატონი მდივან-ბეგი, ქორონიკონს ტჟა, და დააგდო ძე მისი ქაიხოსრო ნაიბად მდივან-ბეგისა კარსა ხელმწიფისასა: თვით ყმაწვილი იყო. მაგრამ ცოდნის იადგარი: თქვენმა მზემა და თავ-მან მის-მან ასე გაუძლვა ერანის მდივან-ბეგობას, რომე დიდი და მცირე გააკვირვა: შეიქნა ხელმწიფისა კარგი ყმა, და სდევდა პატივსა უშურველსა:

იარა მდივან-ბეგმა დღესი რაოდენიმე, რა თავრიზს მიბრძანდა, ქართლიდამ მოვიდა მეფე ერეკლე, შეიყარნენ ერთად, გარდაეხვივნენ ერთმანერთსა, დასხდნენ ძმურად, დაპატიჟეს ერთმან-ერთსა, ნახეს ლხინი სიმხიარულისა, მიართვეს ერთმანერთსა მისართმევი, გაიყარნენ, ჩაბრძანდა მეფე ერეკლე ისპაანს, დახვდა ხელმწიფე მხიარულად, მიაპყრა წყალობა და უბოძა ყულარაღასობა და ძესა მისსა იმამყულიხანს, წინათ ერქვა დავით, მისცა კახეთი, მეორესა ძესა მისსა ხორეშას კონსტანტილეს უბოძა ისპაანის ტარუღობა, ამასაც წყალობაები უყო, დაუსაშაყებელი იყო და ნამსახური, რადგან სამკვიდრო კახეთი მიეცა, ქართლს არას ნაღვლობდა, თავ-თავისი სამკვიდრო და საბატონო ორთავ დარჩათ: აქეთ-გან მიბრძანდა ბატონიშვილი მდივან-ბეგი მაჰმადყული-ხან: რა ჰსცნა ბატონიშვილმა ვახტანგ შეიყარა ქართველთ ჯარი, მიეგება მამასა ტაშირ-ზედა, დადგა იქით მდივან-ბეგი და აქეთ ძე მისი, შეიქნა მისალმება, მივიდიან ერთმანერთსა დარბაისელნი, აკოციან მუხლსა და თავ-თავის ალაგს დადგიან: რა გათავდა ჯართ სალამი მიბრძანდა ძე მისი, გარდახდა ცხენიდამ, მოეჭდო ყელსა მისსა, შეიქნა ტირილი, თქვენმა მზემა და თავ-მან ამათ-მან, ასე ბრძანებდით არც სასახავი და არც დღე ამის უკეთესი იქნებისო:

მობრძანდა ქალაქსა ტფილისისასა მკათა-თვის კ, მოეგებნენ მოქალაქენი სიხარულითა დიდი-თა, შექნეს სიხარული დიდი და გარიგება ქართლისა, როგორაც თვით პირველად ყოფილ-იყო: გამოხდა ხანი მცირედი და მოუვიდა ქირმანიდამ მეფის გიორგის ამბავი ძმასა და დაებარებინა ქართველთ ჯარი, შეყარა ქართლის დარბაისლის შვილები და უთავა ყაფლანის-შვილი ვახუშტი, გაგზავნა ჯარი ათასამდე ენკენის-თვის ი. წავიდა ჯარი ქირმანს, მოაგება მეფე-მ გიორგი-მ ვინც ვინ ქართველნი დარჩომილ-იყო, ქნა მეჯლიში თალარსა ქირმანისასა, ნახა ლხინი და გასცა საბოძვარი მრავალი:

გამოხდა თთვენი ათიდა და ქორონიკონს ტჟბ აახლო მდივანბეგმა ძმასა მისსა მეფეს გიორ-გის ფეშქაში, გაგზავნა ჩხეიძე სეხნია, ვითაც ბევრს გარჯილი იყო და თან მიყოლილი, იცოდ

ამბავი მის ქვეყანისა, წავიდა აპრილის კგ. ამა მისვლასა დახვდა ტკბილად და მისად უღირსად
მეფე; ამავე ქორონიკონსა, მაისა ბ, წაბძანდა მეფე გიორგი ქირმანიდამ ყანდაარს, გავებით ბია-
ბანსა გორგისასა. მაგრამ სიცხის ამბავი რის შესადარებელი მოგახსენო, ან გაძლება ქართველთა
მზემან ღუთისამან და თავისან პატრონისა ჩემისა-მან, ზარბაზანი იდვა სევანს, წინა ტყვია გაა-
პტეულეს და ისდვეს ზარბაზანსა ზედა და ორ საათს შუა-დღეს უკან ტყვია დაადნო: თვით მეფე 26
იჯდა სევანსა შიგან და შიგან იდგა ალაჩუხი სპისა, ედგა გვერდს საწერელი, მიახლო ხელი და
ამოიღო მაკრატელი, ასე გაცხელებულ-იყო, თავ-მან მის-მან, ხელი ვეღარ გაუყარა ქაღალდის
წასაჭრელად: ამა სიცხისა გაძლებასა მეფისა-გან, ზენარ-მან ღუთისა-მან და მზე-მან მის-მან,
ამას ბრძანებდი იმის სილომე კაცი, რაც ფერ-მან შეაწუხოს: იყო წესი მისი როიცა სამწუხარო
საქმე იყვის, მაშინ უფრო გამხიარულდის, ჩემ-გან ქება არ გაეწყობოდა, რადგან ქება მიუწდომ-
მელი იყო. მაგრამ მე ასე ვჰგონებ დედათა ნაშობი მჯობი ამის არა იყოს ქვეყანასა ზედა:
ჩაბძანდა ყანდაარს თიბათვის კდ, მოეგება ჯარი ყანდაარისა და მასულხან, შექმნათ სიხარული
დიდი ამის-თვის. როგორაც ქირმანის ქვეყანა მოარჩინაო მტერთა ხელთაგანაო, ღუთით ისე
ჩვენ გვიშველისო: მიბრძანდა ციხესა ყანდაარისასა, ციხე იყო მაღალი და ძირს გალავანი სამი
ქვლო, კარი ჭქონდა ოთხს კუთხესა შიგან, ქალაქი, სასახლე და ბაღები შვენიერი, ჩანგიყალა
მაღალსა კლდესა ზედან აყვანილი, ციხისა ქება და სიმაგრე თუ არ ნახვით, თვარა დაუჯერებელი.
ერთის მხრისა-გან წინ ხანდაკი, ზურგით კერძო სულ მინდორი, კლდე გრძელი და სიგრძე ალა-
ჯი ერთი, სიმრგულე, ადგილი კარგი, გარეშემო სანადირო და უგუსაყარი. მაგრამ ქალაქი ცხელი,
სალამო ყამს ასეთი ქარი მოვიდის ცხელი, რომ პირს ვერ შეაქცევდენ, ეს მინახავს აქაურის
სიცხისა-გან კვერცხი სპილენძის თეფშ-ზე გათქვეფილი და დასხმული მზისა-გან შემწვარ-იყოს
და ციხის საღს კლდე-ზე პური მიეკრას და გამამცხვარ იყოს, სხვა ქება რა მოგახსენებათ:
ამაში-გან გაარიგა ყანდაარის მამული, ვინც ურჩნი იყვნენ დაიმონა და ერთ-გულს წყალობა
უყვის:

გამოხდა წელნი ერთიდა, დაიბარა ყაენმა ქართლიდა-მ მდივანბეგი შაჭულიხან და წარბძანდა,
ძე მისი იესე თან-წაიყვანა, ძე ბატონი-შვილი ვახტანგ გამგებლად საქართველოსად დაადგინა:
რა ჩავიდა ყაენ-თან იამა ნახვა მისი და ძისა მისისა, მოეწონა სიმხნე და სიმშვენიერე მისი,
გამოხდა მცირედი ხანი და ხელმწიფე-მ გაუგზავნა ძმას მეფეს გიორგის ბატონი-შვილი იესე, 27
რა მიახლა ყანდაარს, მოეგება ქართველთ და ყიზილბაშთ ჯარი, დიდისა დიდებითა შეიწყნა,
დახვდა მამა-შვილურად: რა ნახა გარდაქცევა, თავ-მან თქვენმა ერთი საამოვნო მის-თანა არ
იქნებოდა, ქნა მეჯლიში და ნახა ლხინი, უბოძა საბოძვარი მრავალი, იყო ამ განცხრომასა და
სიხარულსა შიგან, სამართლობდის, განისვენებდის, ყოველსა შაფათსა ქნის მეჯლიში ქართველთა,
სამშაბათს თათრისა, სხვას დღეებსა გავიდის სანადიროდ, შექცეოდის, საითკენაც ურჩნი იყო
გაუსევდის ჯარსა და უყვის ყათლამი, ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის,

ზოგთ გბიდები დაასჭრის და თავ-ზე დაარჩევის; შეშინდა ყანდაარის ქვეყანა და შეიქნა უშენ-თა შენება:

დღესა ერთსა მოვიდა მირსამანდარისაგან ფეშქაში და ჩვენსა: „რადგან ღმერთის შეწევნის ძლევა მოგეცა და სახელოვანი ხელმწიფე ამ ქვეყანის გამოჩენილხარ, მიეც წყალობა და ნახვა შენი მადლისა, რაც ოდენ შენსაცოდვარი მაგ ქვეყანის მიქნია, შემინდე, მოგართვა ხარჯი, რაც ოდენი დამკლებია:“ შეიწყნარა პატრონმა ჩვენმან, მოვიდა ჯარითა სრულითა სამანდარისან და ბიძაშვილი მისი ქალახან, გარგუსანსახანი, მზნე ყაფლანი, მოარიდეს მოსართმევი აურაცხელი. ნახა მეფემან, დასდვა პატივი, უბოძა საბოძვარი მრავალი, შემოსა მისითა შესამოსლითა, დაჭერო თვე ერთი, უბოძა დასტური და საბოძვარი, მსახურებდა როგორც ყმანი მისნი:

გამოხდა ხანი, იყო ქვეყანა აყლანითა უკუ-მდგარი, არა ინებეს სამსახური მეფისა, გაუსია ძმის-წული თვისი ივანე და ახლდა ქართველთ ჯარი, შეუხდნენ ორად, ქვეითი თათრის ჯარი და ცხენით ქართველნი, შეიქნა ომი ფიცხელი, ოქვესმა მკვმა და თავმა მისმა, იმ დღეს ბატონიშვი-ლი იყო გესახათ ამას ბრძანებდი, კაცთა შვილი ამისთანა რა ინახებოდა, გაიმარჯვეს, ამო-სწყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი: რა ბიძამ იხილა შექნა სია-მოვნე ესაზომო, უყო მეჯლიში, შეარტყა წელთა ხმალი მურასა და დამოსა დიდნი და მცირენი

28 ყოლისგან იახლა, მისცა ვექილობა ძმისწულსა მისსა: იყო სულთანი ყანდაარისა მირზეისა, გაუსია სულთანსა ასარისასა, გაიმარჯვა და მოიყვანა შიკრ-შეკრული: ინახა მეფემ და უბოძა საბოძვარი და შემოსა სამოსლითა კარგითა: გამოხდა ხანი და შექნა ამაგ სულთანმა ურჩობა, გაგზავნა ჩაფრად ყაენთანა და მისწერა სიცრუის ნაწერით არზა და მოახსენა. „ესე სულთანი ურჩობს, უნდა არევა ამა ქვეყანისა, ნუღარ გამოუშვებთ, თუარამ ერთს რასმე მოახდენს:“ შეინახა ყაენმა:

ქორონიკონს ტჳმ, ფებერვალს ღ, გაისტუმრა ნიკოძე სეხნია, ფეშქაშის მაგიერი ასხლო ძმასა მისსა მდივანბეგს შაჭუჩულიხანს თეთრად თუმანი ათასი, ფარჩას გარეთად, ძმისწულსა საქართველოს გამგებელს ორი ყათარი აქლემი, აკიდებული, მოიკნილობა და ფარჩა, თოფი, ოქროსა ზარნიშანით შემკული, ოქროსა იარაღითა, საპირისწამლე მურასა, სეხნიას უბოძა საბოძვარი მრავალი და ქართლის მოლარეთუხუცესობა: მას ჟამსა მოვიდა ყაენი მაშათს თან-ახლდა მდივანბეგი და ძე მისი ქაიხოსრო და მიართვა მისართმევი, მეფის გიორგის გამონაგზავნი ნიკოძემა:

ამავ ქორონიკონს, თიბათვის ი, მოვიდა მაშათს ისპაჰანიდამ ჩაფარი, ისპაჰანის ხალხის უკუ-დგომა და შიმშილით შეწუხება, ხელმწიფის ალაყაფის კარი ქვით ჩაქოლვა, მონდომა ძალით ყაენის ძმის მოყვანა: რა ეს ამბავი მოვიდა შექნეს ჭმუნვა და მისცეს ბატონიშვილს ნაიბობა ყაენისა და ტარუღობა და ნახალი, გაისტუმრეს, ჩაფრად თან-წაიყვანა სეხნია, ვიარეთ ორმოცისა დღისა სავალი თორმეტს დღეს, მივედით რა შევიდა ქალაქსა შინა, შეიქნა სიხარული დიდი. რა სცნეს მისვლა ქაიხოსროსი წინათ ამისად კიდევ ბევრი ნახალი ექნა და დაეცათ შიში დიდი შეო-

ყარა ქალაქი და მოეგებნენ წინა და ლოცვიდენ შიშშილის მორჩენისა-თვის; გამოსულ-იყო დღისა ორი საათი დარჯაზსა თოვლის შეგიდა, თავ-მან თქვენ-მან, შუა-დღე გარდაიყარა, ძლივ ალაყაფის კართა სულა მივაწიეთ, განა სიშორით. მაგრამ ჯარისა სიმრავლისა-გან ადგილს ვერ 29
ვშოობდით, წაიკითხეს რაყამი კარსა ხელმწიფისასა, ჩავიდა სადგომსა, შეჯდა მეორესა დღესა ცხენსა და ქნა ნასადი უცხო და საკვირველი: ზოგი დახივა მუცელ-სკედა, ზოგი ყორით მიაბა დარაბასა, ზოგი დასჭედა ნალ-ლურსმნითა, თქვენმა მზემა, მეორეს დღეს გენახათ ქუჩა-და-ქუჩა ჩვარბილით აივსო და ალებისა ლამით ყაისარა, თხუთმეტს ლამეს სულ ბაზარი ღია იყო, რომ მცველი კაცი არ უდგათ, იყო ჩირახოვანი, იარებოდა სარდასტასა შიგან ქვეითად მალვით, არას თუ ვინმე დააშავის რამე, შეიქნა ისპანში საშშვიდე და იეფობა, აახლო ყავს ჩავარი და დამშვიდება ქალაქისა. ებოძა შესამოსი მძიმე და მადრიელობა; გამოსცა თვისნი შვიდნი, მაშაოიდამ გაეგზავნა მეფეს გიორგის-თვის ყაენს ხალათი და მირზასის საშუამავლო წიგნი: „შეირიგეთ და მიიწვივე მის მართებულადო:„ წამოვიდა მაშაოიდამ ყაენი, რა მიახლოვდა ისპაჰანს, მოეგება ბატონიშვილი ქაიხოსრო დიდითა ჯარითა, იამა ხელმწიფეს ნახვა მისი და გარიგება ტახტისა მისისა, უბოძა შესამოსი მძიმე, თუმანი ათასი, იყო მშვიდობა და მორჩმა-მოვლენა: ამა ხანთა შინა ქართლიდამ შემოსძლეოდა ბატონიშვილი, კათალიკოზი დომენტი, დაიბარა, ჩამოვიდა, დახვდა უშურველითა წყალობითა, უბოძა საბოძვარი და გასცა შინა, რაც მცველად-გან მამულები ჰქონ-იყო:

ამა დროთა შინა განაგებდა გამგებელი საქართველოსი, ზნე სრული და მხნე ძლიერი, ყანიჯიანად თქმული. მაგრამ მეფედ წოდებული, ბატონიშვილი ვახტანგ, იყო განსვენებასა და სიხარულსა შიგა და განაგო საქმე საქართველოსი, განაჩინა წიგნი სამართლისა, ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამდივნოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა-თანა, კვირესსა და სამშაბათსა განაგებდა მეჯლისსა, სახვედის ლხინსა, გასცემდის უშურველსა საბოძვარსა და როიცა სამართლისა და ლხინისა-გან მოიცალის, ნადირის და გაგიდის მოედანსა, 30
აბურთის და ქსროდენ ყაბახსა: იყო ამა განცხრომასა შიგან, თვით ქრისტიანე იყო და ქრისტეს სარწმუნოება-ზე აღზრდილი, იქმნა საქართველოს სარწმუნოებაზე განძლიერება, აღაშენა ქალაქს სიონისა გუმბათი და სამხრო და შეამკო ყოვლითურთ სამკაულითა, განაპატიოსნა ცხოველს-მყოფელი სვეტი და დაასვენა კარსა სვეტისასა ხატი პატიოსანი, შემკული ყოვლითურთ სამკაულითა, შემოავლო სვეტსა ფარდა მძიმისა ზარბაბისა, გამოუცვალა განველსა ზეით სვეტები, თლილისა ქვისა აღაშენა ურბნის სამრეკლო და გალავანი, განაპატიოსნა შიგნით გარემო, მოიყვანა ვლახეთის ხელმწიფიდამ მესტამბე და გამოიღო სტამბა, განამრავლა სალმრთო წერილი, გამოიღო რუ სახიდურით-გან, ვიდრე ყისყალამდის, აღაშენა ხიდი, სოფლები უშენსა ადგილებსა და გამოიღო რუ საგურიდამ ბოლოსა, ყარაიისასა და აღაშენა სოფლები და აღაშენა ქალაქსა სახლი პატიოსანი მიჯურიტისა და ოქროსა ფარაყითა შეთხზული, მზე-მან ამის-მან, ამის უმშვენიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახავს, აღაშენა ქართლი, იქმნა მოსვენება და სიმხიარულე:

დღესა ერთსა ინება ნადირობა მთისა და წაბძანდა თრიალეთსა და შანზიანსა მთასა, ვი-
თაცა არას ხელმწიფისაგან არ ნადირებულ იყო ამ რიგათ და დაიბარა ქართველთ-დარბაისელნი
და შემოადგენ კერუტსა და ინადირა სარზევითა და შეიქნა ირემთა მოდენა, იყო სარზევი ძნელი
და ქვიანი, მოვიდა ხარი ერთი და გარდაიხტუნა მართალსა მსარსა გამგებელ-მან საქართველოსა-
მან, ვითაცა სირი იყო, ეგრე მოკლა. ეგრეთვე დარბაისელთა ამოსწყვიტეს: დაჯდა ნადიმად, რაც
ოდენი პატრონსა ჩვენსა მოართვეს, იყო სამოცი-ოდენი: მეორესა დღესა შემოვადექით შანზიანსა
შემოარტყა იმგრგვლივ ჯალგა, დადგნენ საზუნდართა შინა და გააკრეს არყნალისა ხევი და მო-
ვიდა ნადირი უანგარიშო, შეიქნა სროლა, თქვენმა მზემა, ამას ბძანებდით ერთს ომში ამდენი
31 სროლა არ ეგებისო, ამოსწყვიტეს, დაზალეს, თვით პატრონმა ჩვენმა თოფით სამი მოკლა, შე-
გვექნა სიხარული დიდი, დაჯდა ნადიმსა ზედან, მოართვეს მას დღესა ირემი ას-სამოცი და სხვას
ნადირს ვინ დასთვლიდა, სახა ღხინი და გაცემა უშურველი და ჩამობძანდა თავსა ახალ-ქალაქი-
სასა და ბრძანა დასაგულა ქციისა და მოახსენეს ყოველთა: „თავ-მან თქვენს-მან, არას ოდეს არ
ქნილა და ან ვინ ჩავა ამა კლდესა შიგან:“ კლდე იყო ძნელი და მას კლდესა ქვეშე მორევი დიდი.
ახსენა ღმერთი და სახელი ქრისტესი, დადგეს კარავი თავსა კლდისასა, დაჯდა ნადიმად, ჩაუშვეს
კირი, იახლა დარბაისელნი, შეიქნა ჭერა ორგულისა, ზესარმა ღვთისამან და მზე-მან პატრონისა
ჩემისა-მან, ერთი დღე უგუ-ურისა ამას ვერა სჯობდა, იჭერდენ და მოქონდათ გაუწყვეტლად,
შექნა სიმხიარულე, გაცემა უშურველი, მოვიდა წინაშე ორაგული ორას-სამოცი, თვინიერ ვინც
სხვათ მჭერელთ წაეღო, იმას გარდა, იტყოდიან ოთხასი დაიჭირესო: შეგვექნა სიხარული ამა
შექცევისა-თვის, ერთი ამის-თვის, რასაც საქმეს ძნელსა ბძანებდის ადვილად იქნებოდის: ჩამო-
ბძანდა ქალაქსა ტფილისისასა, დაჯდა ნადიმად სახლსა პატრიოსანსა, შემოისხა თავადნი, მზე-
მან ღვთისამან და თავ-მან მის-მან, ასე გასცა საბოძვარი არც მჯდომი და არც მდგომი უბო-
ძვარი არ გაუშვია, თვინიერ ერთის კაცის მეტი:

გამოხდა ხანი მცირედი, შეიყარა ქართველთ ჯარი, გარდუხდა დვალეთს, გაემარჯვა, დასწვა და დააქცია ციხე ოცდაათი ძირითურთ, დაიმონა ზემო ნარიდამ ქვემო კუდაროამდის, დასდვა ბეგარა და მსახურებდენ:

ქორონიკონს ტჟვ, ყანდაარიდამ გამოისტუმრა მეფე-მ გიორგი-მ ძმის-წული თვისი იესე, მისცა ნაიბობა ქირმანისა და ძმის-წული მისი, ძე ლუარსაბისა ხარჭა, ჩაიყვანა ყანდაარს:

ქრონიკონს ტჟზ, აპრილის კა, ღალატა მეფეს გიორგის ყანდაარის სულთანმა მირვეისმა,
რადგან გალაშქრებულ-იყო მეფე გიორგი ყანდაარიდამე ორს მანძილზე და ძმის-წული ალექსანდრე
32 და ქართველთ ჯარი გაუსია უჰუ-მდგარსა ავღანსა. ჯარი აღარ ახლდა, მოუხდა განთიადსა, დაესხა
თავსა. რა ჰსცნა მეფე-მან, ედვა ქარქაში სარჩისა გვერდსა მისსა, გაიკრა ხელი, თავ-მან მის-მან,
სანამდის ისარი ჰქონდა არც ერთი არ დააცდინა, რა ისარი დაელია, გაიკრა ხმალს ხელი, როგორც
დევი, ისე იბრძოდა, ჰკრეს თოფი ამა მორჩმა დიდების პარტონსა და მოკლეს, ვინცა-ვინ

ქართველნი დარჩომილ იყო ამოსწყვიტეს, შევიდა ციხესა ყანდაარისასა, აიყორაქეს საქონელი, რაც ქართველი იყო ციხეს შიგან ამოსწყვიტეს: მიუვიდათ ამბავი ალექსანდრეს და ქართველთა, იქ თურე იმათ გამარჯვებოდათ, შექნეს თავსა ცემა და წამოვიდნენ, რა ყანდაარს მოვიდნენ, შექ-ქნათ ომი ფიცხელი, გამოეგზავნა მირვეის კაცი ალექსანდრესა-თვის და ფიცი საშინელი: „წაი-ყვანე მეფის ქუდფათიო:“ შევიდა ციხეში, მოსცეს ვინცა-ვინ იყვნენ, საქონელს გარდა: ამაშიგან გამოეცალნენ ქართველნი, დაუწყეს უკან დაქცნა და ომი ფიცხელი, თავ-მან თქვენ-მან, თორმეტ-ჯერ ქართველთ გაემარჯვა, მოკლეს იმათი ჯარი ორი-ათასი და შეწევნითა ღუთისათა, ამათ არა რა ევნოთ, იარეს და შევიდნენ ციხესა გირიშკისასა:

მოუვიდა ამბავი გამგებელსა საქართველოსასა ვახტანგს, მას ჟამსა შინა იდგა კოჟორსა, ჩავიდა ქალაქსა, განაგო გამჟღავნებისა საქმე, დაჯდა სამჯდომოსა სახლსა და აივსო დარბაი-სლითა, გარეთ მოედანი მოქალაქითა, შემოვიდნენ ევისკოპოზნი, მიუჩოქეს, ჭკადრეს მეფესა სა-გუნდილი: შეიქნა თავსა ცემა, აქ ამათ-გან და გარეთ ჯართა-გან, განაგო რიგი, დაჯდა იმავე სა-ხლსა ჭირის-უფლად, დადგეს კარავი ფილაქანსა ზედან, დაფინეს თავსა კარვისასა სუზანი და დორი, მიაფარეს დორსა ბაყალბანდი სისამური, დაუსხდნენ იქით აქეთ დიდრონი კაცნი, თუ მცირედნი, სამღვდელონი, გაშალეს სიშანი, დაფინეს ქვეშაგებნი, ქეშიკ-ხანაში იდგნიან თითო-თითო დარბაისელნი, იტირიან მცხედარი და მიტირიან ჭირის-უფალთა, მზუმან ღუთისამან. არა მწუხარება ამას არ შეედარებოდა, ორმოც დღემდი ტირილი გაუწყვეტელი:

მეორმოცესა დღესა ისპაანს დამარცხებული-იყო მდივანბეგი ლევან, ამავ ქორონიკონს, მკათა-თვის იგ, მოვიდა ამბავი და შეექნათ მგლოვარობა, ებოძა ყაენს ბატონის-შვილის ქაიხოსროსა-თვის ქართლი, ერაყისა სპასალარობა, თავრიზი და ბარდა: მოვიდა ხელმწიფისაგან ხალათი და 33
ისევ ნაიბობა. დაებარებინა ხოსროხანს ქართველნი ჯარი და შეყარა ბატონის-შვილმა ვახტანგ ჯარი, უთავა მუხრანის ბატონი პაპუა, და თითო სახლის დარბაისლის შვილები, ჩავიდნენ მაშაისა, იქიდამ მობრძანდა მეფე ხოსრო, მისცეს ბატონის-შვილს იესეს ქირმანის ბეგლარ-ბეგობა, დაარ-ქვეს ალიყულიხან, როსტომს ძესა ლევანისასა ხარჯს მისცეს ისპაანის ტარუღობა: იარა მეფე-მ ხოსრო და ჩავიდა ყანდაარს, ახლდა ქირმანთ ჯარითა ალიყული-ხან და ალექსანდრე, მივიდა ცი-ხესა ყანდაარისასა, შემოება მირვეისი, გაემარჯვა მეფესა, ამოსწყვიტეს მრავალი:

ქორონიკონს ტყჳ, გაიქცა მირვეისი და შევიდა ციხეში, გამოუვიდა ციხიდამ მირვეისი, დაესხა მეფეს ხოსროს თავს. მაგრამ ადრე შეუტყვეს და დაემზადნენ, შექნეს ომი ძლიერი, მოუკლეს მირვეის ძმა და ძმის-წული, ამოსწყვიტეს, გაიმარჯვეს ქართველთა, მირვეის გაიქცა:

ქორონიკონს ტყთ, ენკენის-თვის კზ, დაუმარცხდა ბატონი-შვილს ალექსანდრეს, მეწინავედ იდგა, სანამდი აქედამ ჯარი მიესწრებოდა, მოკლეს ბატონი-შვილი ალექსანდრე, ჩხეიძე; თეი-მურაზ, თარხანი და ზოგნი სხვა ვინმე თათარნი: გამოხდა მცირედი დღენი, გამოვიდა ციხიდამ მირვეისი ჯარითა სრულითა, აქეთ სპასალარი, შეიქნა ომი ფიცხელი, თავ-მან თქვენ-მან, ნახავთა-

თვის საზარო იყო, გამოექცა თათარის ჯარი მეფესა, დარჩნენ ზოგნი ვინმე ქართველნი: მოა-
ხსენა ცალქალამიძე-მ იასე-მ: „ხელმწიფეო, გაგვეცალა ჯარი და აღარცა ჩანს ძმა თქვენი, ნუ
მოიკლავ თავსა,“ უბრძანა მეფე-მ: „ჩემისა სიცოცხლისა-თვის არა მოვაყივნო თავი, არცა გვარი
ჩემი:“ მიქუსლა ცხენი, შეერია შიგა, ვითარცა ქორი კაკაბსა გუნდისასა, ჩამოაგდო შუბითა
ორი კაცი, დახჳდა ნათხარი რუ, წაექცა ცხენი. რა ჰსცნეს ცხენის-წაქცევა წამოეხვივნენ, დაჩე-
ხეს ხმლითა, ცალქალამიძე იესე წინ მოუკლეს, გამოიქცა ჯარი და ძმა მეფისა ალიყულიხან,
34 მოვიდნენ ფარჩსა, აცნობეს ყაენსა, შეექნათ შეჭირვება დიდი, დაიბარეს ალიყული-ხან: რა მი-
ვიდა უბოძა ყაენმა თოფჩიბაშობა, ვინცა-ვინ ქართველნი დარჩომილ-იყო ჩხეიძე, ურბნელი ფარას
მამკვდარ იყო, სხვათ მისცეს მემანდარი და ხარჯი:

მოვიდა ამბავი საქართველოს გამგებელთა ვახტანგისა-თვის ებოძა ყაენსა ხალათი და სა-
მძიმარი, შექნეს შეჭირვება და გლოვა, ამავ ქორონიკონს ქრისტიშობის-თვის კდ: მას ჟამსა
შინა იდგა გორსა, წამობძანდა, მობძანდა ქალაქს, გაგზავნა ყაენ-თან ჩაფარი და აახლო არზა
შემდლევისა: „რადგან შენს სამსახურ-ზე ამოვსწყდი, გიახლო და მოვიცამოვიკლა თავი ჩემი
შენ-თვის:“ რა მოისმინა ხელმწიფე-მ, იამა სიხარულითა დიდითა, ებოძა რაყამი წყალობისა
და მემანდარი:

ქორონიკონს უ, თებერვალს კტ, წაბძანდა აპრილს ჟბ დიდითა პატივითა და ხარჯითა, იახლა
ქართველნი დარბაისელნი, მცირედი და დიდი იყო სამასი კაცი, რა ჩავედით ისპაანს დახვდა ხელ-
მწიფე მხიარულად. მეორესა დღესა უყო მეჯლიში დაჯდა ნადიმად, სცეს ხუთსა საათსა, უბოძა თასი
მურასა, წამოვედით მხიარულად, შევექცა სიმხიარულე, ვიყავით განსვენებასა და ლხინს შიგან:
გამოხდა დღენი რაოდენიმე და დაამახა ღამესა ერთსა ხელმწიფე-მან, იჯდა თალარსა შვენიერსა
დახჳდა ხელმწიფე მხიარულისა პირითა, უბრძანა წყალობისა სიტყვები, დაალევინა აზარფეშა
დიდი, თქვენმა მზემა, ჩაგიდოდა ღვინო ლიტრა ერთი, შესვა უტყუვრათ. უბრძანა ყმათა მის-
თა შეყვანა, იყო ავალიშვილი ზაზა, მოლარეთ-ხუცესი სეხნია, ციცი-შვილი ბაგრატ, მდივანნი
გიორგი, ასვა ღვინო და უბოძა ოთხასი თუმანი, წამოვედით მხიარულად: გამოხდა ხანი და შე-
მოუკვეთეს თათრობა და ქართლის მიცემა, არა უგულებელს-ჰყო რჯულისა მისისა დაგდება,
გაათახსირეს ბატონი-შვილი ვახტანგ ქორონიკონს უბ, მარტს ი, მისცეს ძმასა მისსა ალიყული-
ხანს ქართლის ბატონობა და ბატონი-შვილი ვახტანგ გაგზავნეს ქირმანსა. უკუ-უარეს ქარ-
თველნი, აახლეს მეფეს იესეს:

რა მივიდა ამბავი საქართველოსა, ჯანიშინად დააგდო ძმა თვისი ბატონი-შვილი სვიმონ და
35 აღარ ინება ქართლში დადგომა დედოფალ-მან რუსუდან, თან გაიტანა ძე მისი ბაქარ და გიორგი.
მოვიდა ქართლში მეფე იესე, ოკდომბრის გ, მიეგება ძმა სვიმონ და ქართველნი გატეხილს-ხიდს
გაღმა, შეიქნა მისალმება, როგორც წინათ ყოფილ-იყო, გარდაეხვივნენ ძმები ერთმანერთსა, შე-
ქნეს ლხინი და უაუურა, გაცემა საბოძვრისა, დამოსა ქართველთ დარბაისელნი, შექნა ლხინი და

განსვენება: გამოხდა ხანი რაოდენიმე, შეირთო ასული ყაფლანის-შვილის ერასტისა მარიამ, ესვა ძე ამას-თან გიორგი: გამოხდა ხანი, ქორონიკონს უგ, მეფეს იესეს წინათ ნათხოვნი იყო მეფის ერეკლეს ასული ბეგუმ, გაშვება მისი არ ეგებოდა, წაბძანდა მარტყოფს, ქნა ქორწილი, მოიყვანა ქალაქსა თვისსა, შეიქნა ქორწილი, სიმხიარულე, გამომჩვენება დიდი, რვას დღეს და ღამეს ჩირახ-ვანი, ბურთაობა და ფარჩათა ხვევა, დედოფალ-იქნა ელენე. იყო განსვენებასა და სიხარულსა შიგან:

ამავე ქორონიკონს დაუმარცხდა კახთ ლეკთაგან, ამოსწყვიტეს კახნი. მას ჟამსა ბატონობდა კახეთს მეფის ერეკლეს ძე დავით, სპარსთა ენითა იმამყულიხან: მაშველა მეფე-მ იესე-მ ქართველთ ჯარი და სარდალი ლუარსაბ, შეიბნენ ლეკნი და ქართველნი წინა მინდორსა, დაუმარცხდა ქართველთა, მოვიდნენ დამარცხებულნი:

ქორონიკონს უდ, თიბა-თვის ა, მოიყვანეს ქირმანიდამ ბატონი-შვილი ვახტანგ, გაათათრეს, მისცა ყაენმა პატივი და უშურველი წყალობა, გაათათრეს და დაარქვეს ჰუსეინ ყული-ხან, უბოძა ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა. გამოეგზავნათ ქართლში რაყამი და ბრძანება. ბატონის-შვილისა-თვის ბაქარისა-თვის ნაიბობა ქართლისა: რა ესმა მეფე-მ იესე-მ, მას ჟამსა იდგა კოჯორსა, აიყარა და მივიდა მცხეთას, გარდმოვიდა რაჭიდა-მ ბატონი-შვილი ბაქარ, ენკენის-თვის იჱ: რა ესმა მეფე-მ იესე-მ ძმის-წულისა მისისა მოსვლა, აიყარა და გავიდა კახეთი ([1]). მოვიდა ძე მეფისა მცხეთას: ამავე თვესა გარდმობძანდა რაჭიდა-მ დედოფალი რუსუდან, შექნეს მხიარულება, გამოხდა დღენი მცირედი და მოვიდა ყაენისა-გან ბძანება და ყული, გაათახსირეს მეფე იესე კახეთსა, აუწერეს საქონელი, მოიყვანეს ქალაქსა ტფილისისასა, დააყენეს 36 შიგნით ერთს სახლში მეფე იესე და დედოფალი ელენე და ამსახურეს ერთი მხევალი: ქორონიკონს უე, მოუვიდა შაჰ-სულთან ჰუსეინისა-გან ბატონი-შვილს ბაქარს ხალათი და ორი ლომი, ერთი ვეფხი იყო, კოჯორსა ზედან, მკათა-თვის კ, ჯდა თალარსა შიგან, ახლდნენ ქართველნი: რა მოიყვანეს სხვათა უკითხავათ ჩამოეგება წინა ლომებსა, შესტაცა ყია და აკოცა შუბლსა ლომისასა, გაგვიკვირდა საკვირველობითა, თავად მინდობა ლომისა, მერმე ემაწვილისა-გან ამისი გაბედვა, დაჯდა ნადიმად, შექნა ლხინი და გაცემა უშურველი:

ქორონიკონს უე, მარიამობის-თვის ა, მოუვიდა ყაენისა-გან ბატონი-შვილსა ბაქარს საქართველოს ბატონობა, თაჯი, თომარი, ხმალი მურასა, ხანჯალი მურასა, მარგალიტითა და თვლით შემკული, საბუხარი, სურა და თასი ოქროსი, ყალიონი მურასა ოქროთ შეკაზმული, ცხენი ბედაური, სახელათ სპარსთა ენითა შაჰნაოზ წოდებულ-ექმნა, უსუნათოთ რჯულსა მათსა მიჰყვა უნებლიეთ: ამავ ქორონიკონს, ენკენის-თვის კე, თავრიზს მოვიდა მეფე ვახტანგ და ყაენი მოვიდა ყაზმინს: ქორონიკონს უვ, დაიბარა ყაენმა მეფე ვახტანგ, ჩაბძანდა ყაზმინს: გამოხდა

---

([1]) კახეთს უნდა. დ. ჩ.

მცირედი ხანი და მისცეს ქართლის ბატონობა, დაუდვა სპასალარობა, მისცეს ძმასა მეფისასა
როსტომს ყულარაღასობა და ქირმანი. ამავ ყაზმინს ჩამოვიდა ქსნის ერისთვის-შვილი შანშე
ყაენ-თანა, ვითარცა მეფეს ბაქარს შემოსწყრომოდა, ცოტა რამ სამდურავი გამორეოდათ, იწყინა
მეფე-მ ვახტანგ და მოახსენა ყაენს, გაუწყრეს და მოსცეს, ვითარც ბიძა-შვილი იყო შანშე და
უპტიური არა უყო-რა, გამოატანა მოლარეთ-უხუცესი სეხნია-შვილი, გამოგზავნა ქართლში.
რა მიიყვანა, ქალაქსა დააყენეს ერთს სახლში და შეინახეს მცველთა, რათა არა სადა წასუ-
ლა ჰქონს:

ქორონიკონს უჟ, აგვისტოს ჟ, წამობძანდა ყაზმინიდამ მეფე ვახტანგ, მობძანდა
აიდარ-ბეგსა სამზღვარსა ლორესასა, აქედამ მიეგება ძე თვისი მეფე ბაქარ ჯარითა ქართველითა,
იქით დადგა მეფე, აქეთ ძე მისი, მიესალამნენ წინათ საბარათაშვილოს დროშა, სარდალი ლუარსაბ,
37 მეორე. დროშა საამილახვროსი, გიორგი და ზემო-ქართველნი, მესამედ მუხრანის-ბატონი არა-
გვისა და ქსნის ერისთავი, მერმე სამღვდელო დასნი, კათალიკოზი, ბატონის-შვილი, ძმა მეფისა,
დომენტი და სრულად ეპისკოპოზნი და ბოლოსა ჟამსა ჩამოვიდა ზნე-სრული, მხნე, შვენიერი
მეფე ბაქარ, გადეხვია მამა, თქვენმა მზე-მან და თავ-მან ამათ-მან, მნახავთა-თვის უამესი აღარა
იქნებოდა რა, შექნეს სიხარული და განცხრომა, მობძანდა ქალაქსა ტფილისისასა, შეიქნა სი-
ხარული, განცხრომა, დაჯდა სამეფოსა ტახტსა და დაისვა გვერთსა მნათობი, მზეებრ ბრწყინ-
ვალე დედოფალი რუსუდან, შექნეს მილოცვა, აყრიდნენ ოქროსა და ვეცხლსა ქვიშისაებრ, იყო
სიხარული და განსვენება, განაგო საქმე საქართველოსი, რა-გვარად წინათ თვით განეგებულ-ექმნა,
განისვენებდა, ლხინობდა, გაიცემებოდა, ისადირის და სამართლობდის:

გამოხდა მცირედი ხანი, ქორონიკონს უჩ, მარტს იე, უღალატა იმერელ-მეფეს გიორგის
აბაშიძე-მ სვიმონ და მოკლა. მოუვიდა ამბავი მეფეს ვახტანგს, შექნა წყენა და გლოვა, ვითარცა
სიძე იყო და ასული მეფის გიორგისა მემცხედრე იყო როდამ დედოფალი იმერეთისა და ძე
მისი ალექსანდრე, მეფის ვახტანგისა-გან გაზდილი და თვით ჰყვანდა ქართლში. რა იქმნა ამბავი
ესე გაგზავნა კაცი მეფე-მ ფაშას ახალ-ციხისასა, ისაყ ფაშას-თანა და შეუთვალა მართებული
სიტყვანი და მიცემა იმერეთისა ალექსანდრესა-თვის, და დაიბარეს ალექსანდრე, მოუმართა ხელი
მეფე-მან და უბოძა საბოძვარი მრავალი, შეიყარა ფაშა-მ ჯარი და ჩავიდა იმერეთს, დასვა მეფედ
იმერეთისად ალექსანდრე და შერთო ქალი დადიანის ბეჟანისა:

ქორონიკონს უი, ამა ჟამსა იდგა ყეენი მაჭ-სულთან უსეინ თეირანსა და შეაჩნდა ყეენის
დალატი ეთიმადოვლეს ფათალი ხანს: ესე იყო გვარად ლეკი, შამხლის სახლის კაცთა-გან.
მაგრამ ხელმწიფისა-გან გაზდილი დიდისა პატივითა, უნდოდა თვით გახელმწიფება. მაგრამ ბძა-
ნებითა ღმრთისათა და მოყვლინა რისხვა მისი და დაიჭირა და დასთხარა თვალები და იავარ-ჰყო
38 ქონება მისი: მოუვიდა მეფეს ვახტანგს წყალობა უშურველი და ბრძანება ლეკთ მიხდომა და
მოწყვეტა: შეიყარა სპა-ლაშქარი ურიცხვი, წაბძანდა კახეთ-ზე და მიბძანდა მაღაროს: კახეთს
ბატონობდა ძე მეფისა იმამყული-ხან, თვით სნეულობით შეპყრობილ-იყო, და ახლო ძმა თვისი

თაიმურაზ, სიძე მეფის ვახტანგისა, ედგა ასული მეფისა, შვენიერი და ქება მიუწთომელი, თამარ და შემოეყარა კახთ ჯარი: ამა ამბავთა ზედან მოუვიდა მეფესა ბძანება ყეენისაგან და ხალათი, დაბრუნება და შირვანის ხანისა-გან ლეკ-ზე ლაშქრობა. წყენა მეფისა-გან და სიმხიარულე ლეკთა-გან. „რადგან ლომის ხელისაგან მოვრჩითო, ყიზილბაშთ ხმალი ჩვენ ვიცითო.“ მაგრამ რა ღმერთი გასცს გაუწყრება ჭკუაც დაეფანტება, თვარა რა საბრუნებელი იყო: ეს ეფიქრებინათ. „თუ მეფე-მ ვახტანგ ჯვარი დაიკრა, ქვეყანასაც ის დაიკრისო:“ მობძანდა საბატონოსა თვისსა, წამოვიდა შირვანის ხანი, მოვიდა, სანამდის კახნი შეეყრებოდნენ დაესხნენ ლეკნი, მოკლეს ხანი შირვანისა, ამოსწყვიტეს, იავარ-ჰყვეს საქონელი მათი, მოუხდნენ კახეთსა და დაიმონეს და გაალეკეს კახეთი: მცირესა ჟამსა ქალაქიდამ გაიპარა ერისთვის-შვილი შანშე და მივიდა თვისსა მამულსა: იწყინა მეფე-მ ვახტანგ, გაილაშქრა, მიუხვდა ახალ-გორს, დასწვა სასახლე მისი და დაუხვდა ზებე-ყურს და შემოესვეწა და შემოირიგა, ჩამოიყვანა მცხეთას და შეფიცა ფიცითა საშინელითა და უბოძა ერისთობა ქსნისა და საბოძვარი უშურველი და გაისტუმრა თვისსა საბატონოსა: მობძანდა მეფე თვისსა ქალაქსა და გამოიყვანა ძმა თვისი ტყვეობისა-გან, მეფე იესე და უბოძა ბატონობა მუხრანისა, მდივან-ბეგობა და საქონელი თვისი სრულად:

ქორონიკონს უი, თებერვალს ვ, მოუხდა ისპაანს შვილი მირვეისისა ყანდაარიდამ, მამუდ. მირვეისი მამკვდარ იყო: რა მოუვიდა ამბავი ყეენსა მოსვლა მათი, გააგება ჯარი ისპაანისა აღაჯის სამსა, შეიბნენ, დაუმარცხდა ყიზილბაშთა, მოკლეს ყულარაღასი როსტომ, ძმა მეფის ვახტანგისა და მოსწყვიტეს, გამოექცნენ, შემოადგნენ ისპაანს, დადგა ჯულფას, შეუკრა ყოვლგნით გზა და შეწუხდა ისპაანი შიმშილითა: ამა ამბავსა შიგან გამოუგზავნა ყეენმა ხალათი და ყულარაღასობა მეფის ბაქარისათვის და ხვეწნა მიშველებისა: მოინდომა მეფე-მ ბაქარ წასვლა და დადგა ტაშირ-ზედ. მაგრამ არ ამჯობინა მეფე-მ ვახტანგ წასვლა ძისა თვისისა, დააბრუნა: და მცირესა ჟამსა მიეცა კახეთი, ერევანი, შამშადილო და ყაზახი მეფის ერეკლეს შვილის კონსტანტილესათვის, სპარსთა ენითა მამად ყული-ხან წოდებული: იყო მეფის ერეკლეს ძე 39
ხარჯა და მოვიდა შამშადილოს, გაუგზავნა მეფე-მ ვახტანგ მოლარეთ-ხუცესი სეხნია, ფეშქაში შერიგებისა-თვის, ვითაცა ერთმანერთ-ზე გულ-ძვირად იყვნენ, დაიფიცა ფიცითა საშინელითა და აახლო მეფეს ვახტანგს საფიცარი და რათა ერთმანერთისა-თვის იყვნენ და შველა ერთმანერთისა: გავიდა კახეთს კახი ბატონი და შველა აღარ მოუხდინეს, უქცია პირი და ეწყინა მეფეს ვახტანგს ფიცისა გატეხა:

ამა ამბავსა შინა მოუვიდა ყეენიდამ მეფეს ვახტანგს ხალათი და ლახტი მურასა და სარდლობა და შირვათ და შირვან-ზე ლაშქრობა, ვითაცა შირვანი ლეკთ ეპყრა: შეიყარა სპა ლაშქარი ქართველთა: ამა ამბავთა შიგა მოვიდა ელჩი რუსეთის ხელმწიფის პეტრესა-გან მეფეს ვახტანგ-თანა და ებოძა ქართა წყალობისა და ხლება მის-თანა: „ძალითა ქრისტესითა აღვსდეგ ტახტით ჩემით-გან და მოვსრნე მტერნი ჩემნი და წარმოვალ ადგილთა შირვანისათა, ნახე ბრწყინ-

ვალება და სხვათა სიმრავლე:“ იამა მეფეს სიხარულითა დიდითა, ვითარცა ქრისტეს-მოყვარე იყო, ქრისტიანე ხელმწიფე იპყრობდა ქვეყანასა. იარა მეფე-მ ვახტანგ, ჩაბძანდა მჯმულსა განჯისასა, დადგა შანქორსა, შეიქნა დაყოვნება ხელმწიფისა, თურე ხელმწიფე ასტარხანიდამ დაბრუნებულ-იყო: შექნა მეფეს ჭმუნვა დიდი, აუტყდა ზურგით კერძო ბატონი კახთა კონსტანტილე, რადგან ყაზახი და შამშადილო იმისი იყო, შექნეს ნუზლის ჭირა და კაცთა სრვა, ველარ წავიდა შირვანის-კენ:

ამა ამბავთა ზედა, ამავ ქორონიკონს, თვესა ოკდომბერსა ი, აილო ისპაანი მამუდ. დაიპყრა ყაენი შაჰ-სულთან უსეინ და საქონელი, ყოფა მისი, ცხოვრება მისი, შევიდა, დაჯდა ყეენად, დაამწყვდია ყეენი ერთსა სახლსა შინა და იავარ-ჰყო ცხოვრება მათი: ამა არეულობასა შიგან, გამოაპარეს ერთი შვილი ყაენისა შაახ-თამაზ და მოვიდა ყაზმინს და დასვეს, ყაენად შეიქნა შაჰ-თამაზ, იყო წლისა იჱ: მოვიდა ამბავი ისპაანის დაპყრობისა და ყაენის შვილის ყაზმინს მოსვლისა: ამავ განჯიდამ გაგზავნა ყაენ-თან მეფე-მ ვახტანგ ჩხეიძე სეხნია, ჩავიდა ყაზმის, წამოვიდა ყაენი თავრიზს და უყო წყალობა მეფეს ვახტანგს და გამოუგზავნა მამა-შვილთ ხალათი და ოქროს სურა

40 და თასი და ხუთი ათას თუმანი დაგასკარის ქალაქი. და დაიბარა მეფე ბაქარ მისაშველებლად მამისა: გამოხდა მცირედი ხანი ([1]) და დაბრუნდა განჯიდამ მეფე ვახტანგ, იწყინა ყაზახთა-გან მტერობა, მოუხდა, ამოსწყვიტა, დაარბია, აივსო ქართველთა ჯარი ნაშოვრითა, მობძანდა ქალაქს ტფილისისასა: ამა ამბავთა შინა გამოუსია ჯარი მალვით, მოუხდნენ კახის ბატონის ჯარი წინ-წყაროს და იავარ-ჰყვეს და დაატყვევეს: გაგზავნა კახმა ბატონმა ყაენ-თან კაცი და შეასმინა მეფე ვახტანგ: „ამა-ზე არის მტერი შენიო და ეყმო ხელმწიფესა რუსეთისასა, ამოსწყვიტა რჯულისა თქვენისა მოსავნიო, მიბოძე საქართველო, გიახლო ქართლისა და კახეთის ჯარითა და ვსძლო მტერთა შენთაო:“ თვით ეშმაწვილი იყო და რა იცოდა, ან მეფის ვახტანგისა, ან კახის ბატონისა, კარის კაცნიც იმ-გვარი, თურე მართალი ეგონა: გაუწყრა მეფეს ვახტანგს ქორონიკონს უია, იანვარის ათს და მისცა მამად ყულიხანს ([2]) და დაუბრუნეს წყალობა მეფეს ვახტანგს, თავრიზიდამ და დაუჭირეს ჩხეიძე სეხნია, დაატყვევეს: მოუვიდა კახს ბატონს რაყამი კახეთს საგარეჯოს. მოვიდა ღამით ავლაბარსა შიგან, თურე ციხის კაცთა. იცოდნენ და მეფე ვახტანგ უმეცარ იყო: რა ჰსცნა ამბავი, აჰყარა დედოფალი და ბარგი მძიმე და გაგზავნა გორს, შეიქნა იმათ-გან სროლა და ციხიდამ ზარბაზნისა. ეჭირა ციხე და ავლაბარი კახ-ბატონსა: და დაიბარა ჯარი მეფე-მ ვახტანგ, შემოეყარნენ ქალაქსა შიგან. რამდენჯერ იმათი ჯარი გამოვიდოდის, შესხდიან ქართველნი და ძლიერებითა ქრისტესითა გაემარჯვის ბაქარსა, დაიჭირეს კახთ მცხეთა და დადგნენ შიგა. უჩინა მეფე-მ ვახტანგ ძმა თვისი სვიმონ და .... შეუჩინეს დეკანოზი მცხეთისა დანიელ, რათა შევიდნენ რა კახნი საყდართა შინა დაუკლიტონ კარი: იყო მარხვა დიდი და დიდ-

([1]) ან ღდენი დ. ნ.

([2]) გ. ო. შეკუობა ქართლისა. დ. ნ.

სა ხუთაშაბათსა ცისკრად შევიდნენ კახნი საყდართა შიგან: რა ჰსცნა ლეკანოზმა აღარავინ დარჩა
შეუსვლელი, გამოვიდა საყდრიდამ, დაუგდო კარი მცხეთისა, დარჩა კახნი შიგან საყდართა, მო-
ვიდა ჯარი მეფისა, იგური კოდმანის დამალული იყვნენ, მოადგნენ კარსა მცხეთისასა, გამოიყვანიან
თითო-თითო, დაუკრეს ხელები კახთა და ჩაიყვანეს მეფეს ვახტანგსათანა: იყო სიხარული და 41
გამარჯვებისა, სიცილი მათის ეგრე მოყვანისათვის: შექნა კახს ბატონს ჭმუნვა მათისა დარ-
ბაისელთა დაპყრობისათვის: იყო სროლა უწყვეტელი და მოუმართეს ზარბაზანი ხიდსა ავლა-
ბრისასა, და კრეს ხიდისა ძელსა, გასწყვიტა ძელი ხიდისა და ჩავარდა წყალსა შიგან: გამოვიდა
კახი ბატონი და დადგა სეითაბადსა და გასდვა ხიდი ხალვათ კარსა ბოლოსა, დაიჭირეს თა-
ბორი და იყო ყოვლ-დღივ ომი, შეეპარნენ თაბორსა ჯარი ქართველთა, აიღეს თაბორი,
დაესხა მეფე ვახტანგ დილასა განთიადისასა კახს ბატონსა, ზიანებითა ღვთისათა გაემარჯვა,
ამოსწყვიტეს, გაიქცა კახი ბატონი, გავიდა მტკვარსა, მიმართა ლეკთა ჭარელთა. აქა ციხესა
შიგან დარჩა ძმა კახ-ბატონისა თეიმურაზ, სიძე მეფისა, ეხვეწა შემორიგებასა, არად ისმინა,
გაუსია ჯარი მარტყოფსა და ივარ-ჭყვეს და დაატყვევეს, მიუხდენ ხატს მღუთაებას, იდგა აქა
ასული მეფის ვახტანგისა თამარ, მეუღლე თეიმურაზისა. გამოიყვანეს და დასვეს ქალაქსა: გა-
მოხდა დღენი მცირედი; ეშოვნა ლეკთა ჯარი და აღუთქვა მისაცემი მრავალი კახსა ბატონსა:
მოუვიდა ამბავი მეფესა ვახტანგს ჯარის შოვნისა, არად ჩააგდო მოსვლა მისი, არცა ხიდთა
ჭერა: მოვიდა დილა ბინდ-ზედა სამ პირად, ერთი ავლაბარსა ზედა, ერთი ხიდის პირსა: რა
ჰსცნეს მოსვლა მათი, ხიდის ჭერა ვეღარ დაასწრეს, ქნეს იერიში, გამოვიდნენ ხიდ-ზე და ცი-
ხიდამ გამოვიდნენ ბატონიშვილი თეიმურაზ და იქი მყოფნი თათრები. შეიქნა ცემა, გაემარჯვათ,
მრავალი დარბაისელი ამოსწყდეს, ამილახორი გიორგი, სხვანი მრავალნი: წამოვიდა მეფე ვახტანგ
შვილითა და ძმებითურთ, გამოიარეს ქალაქთ გარე, ჩამოხდა ქაშოეთს, შემოეყარნენ მოქალაქენი
და დაუწყეს წვევა ქალაქსა შიგან. მაგრამ სპათა სიმრავლე აღარა იყო-რა, არც ეგებოდა დაყო-
ვნება ხანისა, იარეს, მეფე ვახტანგ წაბძანდა გორსა, ძე მისი ბაქარ წავიდა დუშეთს, არაგვის 42
ერისთავი იყო გიორგი, სიმამრი ბაქარისა და მივიდა, სთხოვა ლაშქარი და მოხმარება თავისა,
არად ისმინა და არც გაჰყვა: წაბძანდა მეფე ბაქარ გულ-ტკივნეული, მივიდა ცხინვალსა მამას-
თანა: კახი ბატონი შეუხდა ქალაქსა, აიოხრა, ამოსწყვიტნეს მოქალაქენი, აიკლეს საქონელი
ურიცხვი, შეუხდნენ სიონსა, დასწვეს, შეაგინეს საწმინდე, ხატი ჰატიოსნისა სიონთა ღვთის-
მშობელი წაიღეს, დღესაც არ ვიცით რა უყვეს, ზოგი ვინმე დამსხვრევას იტყვიან, ზოგნი
დამალვასა:

დაჯდა მამად ყულიხან ქალაქსა ტფილისისასა, შემოეყარნენ ქართველნი: შექნეს რჩევა, ვა-
ხტანგ წინათად ნალაპარაკევი იყო ურუმთა თანა და იდგა სარასკარი იბრეიმ-ფაშა ყარსს მრავლი-
თა ჯარითა, გაუგზავნა შალიკაშვილი ნაზირი ედიშერ, შესთვალა სიტყვა, რომელიცა იმათი
გულის ნება იყო: „მობძანდი და საქართველო დაგვამონე ხელმწიფესა თქვენსა და ვიყვნეთ მშ.

ბედნიერისა ხვანთქრისა:“ რა მივიდა ამბავი, შექმნათ სიხარული დიდი და შეხხდნენ მასვე წამსა შინა, მოვიდნენ ტამირ-ზედ. აქედამ მიეგება მეფე ბაქარ და ძმა მეფე იესე: რა ნახეს, მისცა ჰატივი ამათი შესაფერი სარასკარმა და მოვიდნენ სოღლალუხს: რა ჰსცნა მაჰმად ყული-ხან მო-სულა ურუმთა და მიგებება ბაქარისა, ღონე აღარ იქნებოდა, წავიდა ქალაქიდამ, მიეგება სარა-სკარს სოღლალუხს, მიართვა კლიტენი ციხისანი, აიყარნენ მასვე წამსა, შემოვიდნენ ციხესა ქალაქისასა, ურუმთ მამად ყული-ხან და დაატყვევეს, მისცეს მეფეს ბაქარს ქართლი და შექნეს რჯულისა მისისა მისავი და დახურეს ყაუხი, დაარქვეს იბრეიმ ფაშა: გამოხდა მცირედნი დღენი და გაიპარა ციხიდამ მამად ყული-ხან, გავიდა კახეთს. დაიჭირა მეფე-მ ბაქარ არაგვის ერის-თავი გიორგი სიმამრი თვისი და მოაგონა მიდგომა კარსა მისა და მოუხმარებლობა და გაგდე-ბისა თავი:

43 წავიდა სარასკარი იბრეიმ ფაშა დასამონებლად განჯისა, დაუწყეს ლაპარაკი, დართვეს ნება მოქალაქეთა. შექნეს რჩევა: „აუცა ძლიერით (1) დუქითით და ხერხითა:“ შეუშვეს ჯარი ურუმისა, მივიდნენ მოედანსა განჯისასა, შეუკრეს ქუჩები განჯელთა, დაუწყეს ბრძოლა, ამოსწყვიტნეს ურუმნი: გაიქცა სარასკარი, გაამაგრეს ქალაქი განჯისა:

ამა ამბავსა შიგან მოუვიდა ხონთქრისა-გან ბძანება და დაბარება იბრეიმ-ფაშას და გამო-ეცალა განჯას, წავიდა და მოკვდა გზაზე და ქალაქს დიარბეგის ფაშა სარასკარად: ამა მცირედ-თა ჟამთა იყო მეფე ბაქარ ქალაქსა შიგან, შექნა ჭმუნვა და გაუძლებლობა ურუმთ შიგან, ვი-თაცა ჩვეული იყო ლხინსა და ნადირობასა, ბურთობასა და სიმხიარულესა: ამათ შიგან არც ერთი არ ეგებოდა, ახსენა ღმერთი და მოიმხრო ქართველნი, შეჯდა ცხენსა და გავიდა ნანადი-რით, აღარ დაბრუნდა, მივიდა ციხესა სამშვილდისასა, შემოიყარა საბარათაშვილო, დაუწყო მონაპირესა ჯარსა მათსა ბრძოლა, მრავალი ამოსწყვიტეს, წაბძანდა მამასახლის ქცხინვალს, შეი-ყარნენ ერთად ძმები და შვილები, შექნეს რჩევა, აღარ ენდუნენ ურუმთა. მაგრამ მეფე-მ იესე-მ აღარ გაჰყვა ძმასა, ჩავიდა ქალაქს, შეიქნა ოსმალის რჯულის და დაარქვეს მუსტაფა:

ამა ამბავთა შიგან წავიდა სარასკარი ერევანსა ზედა და მოვიდა ქალაქს რაჯაბ-ფაშა, ქორო-ნიკონს უიბ, გაუსია ჯარი მეფეს ვახტანგს, ფაშა ახალ-ციხისა ისაყ და ძმა მეფისა იესე, მიუხდეს ქცხინვალს, აოხრეს ურუმთ ის ხეობა და გაეცალა მეფე ვახტანგ ძითა და ძმითა, მრავლის დარ-ბაისლით და გარდავიდა რაჭას და წაბძანდა რუსეთს: ამავ თვესა მივიდა სარასკარი, აიღო ციხე ერევნისა და გამოიყვანეს ხანი ერევნისა ალიყული-ხან: ესე იყო ციცის-შვილი, დასდვა ჰატივი ფაშასამ და მოსცა დასტური და ახუქა და გაისტუმრა ყაენ-თან. მას ჟამსა იყო ყაენი არდაველს: ამავ ქორონიკონს გაგზავნა რაჯაბ-ფაშამ კათალიკოზი დომენტი, ძმა მეფის ვახტანგისა ხვან-თქარ-თან:

(1) აუცა ძლიერით უნდა ღ ნ.

ქორონიკონს უიგ ებოძა ხვანთქარს ქართლი ისაყ ფაშისა-თვინ და ერევანი რაჯა ფაშისა-
თვინ, სარასკრობა სარი მუსტაფა ფაშისა-თვის: ამან აიღო ციხე ლორისა, ჩავიდა განჯასა, შეე- 44
ბნენ განჯელნი, ორგნით-ვე ამოსწყდა მრავალი, ბოლოს სძლეს ურუმთა და აიღეს განჯა და
დაიმონეს: ამავ ქორონიკონს წაბძანდა მეფე ვახტანგ რაჭიდამ ჩერქეზის ბატონის სახლში, ვითარცა
მოყვარე იყო და დახჴდა მართებულად, რომელი იმ ქვეყანასა გაეწყობოდა: მარიამობა იქ გარდა-
იხადა, წაბძანდა და მოეგება ნოღა და კალმუხი და ყაზახი, იყო ათასი კაცი, წაუძღჳნენ წინა:
მეორეს დღეს რუსის ჯარი ქვეითი და ცხენოსანი, ხელმწიფისა-გან გასწავლული, შვენიერნი და
მხნენი ათას ორასი, იმათი უფროსი ბელულადრის ეძახოდეს, სარდალს შედექი კაცი იყო
ფრანგი, ახლდა შვიდი ზარბაზანი, დაიწყეს სროლა ზარბაზნისა და ვარჯიში თოფითა, ერთი სია-
მოვნე არ შეედრებოდა, ჩაიარეს დაღისტნის პირი და სოლაღის სიახლოეს მიეწურნეს ორს
ალაჯუ-ზე, მოეგება სარდალი კალასკით, შექნეს ზარბაზნის სროლა: მიბძანდა მეფე, სადაც სავანე
მოემზადათ, დაჰპატიჟა სარდალმა, დახჴდა დიდ-გამომჩენებით, მოართვა მოსართმევი, დაჰყო
თვე ერთი და წაბძანდა აშტარხანს ღვინობის-თვეს, ჩასხდნენ ხომალდსა, ბძანებითა ღ̃თისათა,
ერთსა დღესა და ღამეს ზღვას გავიდნენ. მაგრამ ედილში ავის ქარისა-გან ოცდა შვიდს დღეს
დაჰყვეს, დაიფანტა ხომალდი, ბატონი გაბძანდა ცხრას გიორგობის-თვეს, ზოგნი მეორესა და
მესამეს დღესა, დახჴდა იქაური სარდალი მასპინძლობითა დიდითა, დაჰყო მცირედი ხანი, მო-
ვიდა რუსეთის ხელმწიფიდამ ამილახვარი ვახტანგ: ეს ბატონს სოლაღიდამ გაეგზავნა ხელმწი-
ფეს-თან:

დაებარებინა მეფე ვახტანგ, წაბძანდა მეფე და ძე მისი ბაქარ, ძმა მეფისა სვიმონ დარჩა
აშტარხანს. რა აშტარხნიდამ ათის დღის სავალი გაიარა, მიბძანდა ცარიცინს; ქალაქი იყო, იქ
მჯდომი ღრუბენატორი, ვითამ ბეგლარ-ბეგი, დაჰპატიჟა, დახჴდა კარგა და გაუმჟღავნა პეტრე
ხელმწიფე, თურმე ოცდა-რვას იანვარს ამიერ სოფლით მიფარულ-იყო: შეექნათ მწუხარება და
გლოვა. მაგრა ბძანებასა ღ̃თისასა არა გაეწყობოდა-რა. იარეს და მიბძანდა ქალაქსა დიდსა მო-
სკოვს, მოეგება ჯარი და კალასკები, თითოს კალასკაში ექვს-ექვსი ცხენი ება, დააყენეს დიდი 45
თა პატივითა, იყო იმა ქალაქსა ვეზირი, მჯდომარე ადგილსა ხელმწიფისა. ამის-თვის რომ
ხელმწიფე პეტრებურხს ბძანებულ-იყო და იქ დამარცხებულ-იყო: დაჰყო მეფემ ორი თვე და აც-
ნობეს ხელმწიფეს მოსვლა და ებოძა სამასი თუმანი და დაებარებინა: წაბძანდა მაის. რა მიიახლა
სამის დღის სავალს პოლკოვნიკი მემანდრად მოაგებეს, ათასის თავს ჰქვიან, მოაგებეს ხომალ-
დები საკვირველი, მნახველთა-თვის სასიამოვნე. გაბძანდა და მოაგებეს ჯარი, შეიქნა სროლა ზარ-
ბაზნისა, რომე ყურთა ხმა აღარ იყო, მიიყვანეს სადგომსა, სადაცა სავანე მოემზადათ, ებძანა
ხელმწიფეს წყალობა, სამს დღეს იყო მასპინძელი თავისის მოხელეებითა, რაც მოუნდებოდათ,
ლხინი მათად შესაფერად:

მას ჟამსა ხელმწიფობდა დედოფალი, ამისათვის რომ ხელმწიფეს პეტრეს ძე არა ესვა და
შვილი-შვილი ყრმა იყო, მომცრო. დაჰპატიჟა მეფე ვახტანგ დედოფალმა და მიბძანდა სამე-
ჯლიშოსა სახლსა, იყო კარიკება დიდი და დარბაისელთა მორთვა მძიმითა-მოკაზმულობითა და
იჯდა ხელმწიფე სანდალსა ზედა: იყო სანდალი მურასა უცხოსა მორთულობითა, მიიწვიეს მეფე
და მიბძანდა პირსა ტახტისასა: მოახსენა ხელმწიფესა სამძიმარი უცხოსა რიტორისა ენითა, რო
ქება და მიმტკივნება მდუღრისა ცრემლითა, დაყოვნდა ცოტასა ხანსა და ხელმწიფობისა და ტა-
ხტისა მილოცვა ჰკადრა: მოეწონათ სიბრძნე და სიტყვა-მჭევრობა. უბრძანა ხელმწიფემ მადლი
და წყალობისა სიტყვები და წამობძანდა თვისსა სადგომსა: გამოხდა მცირედი ხანი, ბძანა მე-
ჯლიში ბაღთა შიგან, იჯდა ხელმწიფე, მარჯვნით უჯდა სიძე და ელჩი შვეთისა, მიიწვიეს მეფე
46 ვახტანგ და მათთან დასვეს და ძე მეფისა ბაქარ, ამათი დარბაისელნი და ქართველნი შიგან
ჩარევით: სახეს ლხინი უამესი რაღა ითქმოდა, სმისა და საზთა მღერისა, გაიყარა მეჯლიში
და მიბძანდა სამყოფსა თვისსა: გამოხდა ხანი რაოდენიმე და უყო წყალობა მეფეს ვახტანგს
ხელმწიფემ, უბოძა საბოძვარი მრავალი და გამოისტუმრა ჯარითა უთვალავითა გილანის დასაჭე-
რად: დაავგდო ძე მისი ბაქარ და გიორგი, დედოფალი რუსუდან, წამობძანდა მეფე ვახტანგ,
დღესა მეხუთესა უბოძა ხელმწიფეს კავალერია, სპასალარის დასაკიდებელი არის, ანდრია მო-
ციქულის ჯვარი, დიდად მურასად შემკული ძვირ-ფასისა: წაბძანდა გილანს, დაიპყრა და აღაშე-
ნა ციხენი:

ქორონიკონს უიე, თვესა აგვისტოსა, ისაყ ფაშა-შვილი უსუფ-ბეგ გარდვიდა იმერეთს, შემოირიგა აფხაზი და მოვიდა გუგუთს (გეგუთს) იაშვილის სასახლეში. უღალატა დადიანს ბექანს და მოჰკლა:

ქორონიკონს უივ, მარტს ი, მოუვიდა მეფეს ვახტანგს ბძანება რუსეთის ხელმწიფისა და დაბარება, ვინათგ რუსეთის ხელმწიფე დედოფალი ხატონობდა და ის მიცვლილ იყო და წაბძანდა გილანიდამ და დააგდო ჯარი გილანსა, დასვეს ხელმწიფედ პეტრე ხელმწიფის შვილი-შვილი

ქორონიკონს უიზ, სომეხთ აღდგომა კვირა-ცხოვლობას გაითენეს და თევდორობის-კვირას ხორცი ჭამეს: ამავ ქორონიკონს ყაენმა შაჰ-თამაზ თავისი ტახტი ისპაჰანი დაიჭირა, ამადანი და თავრიზი:

ქორონიკონს უიჱ, თიბათვის ი, გამოვიდა ლეკის ჯარი გულხადარა, აოხრეს ზემო-ქართლი, საციციანო, აბუხალო, გუჯარეთი, თრიალეთი, ჯავახეთი, სამსრები, საბარათაშვილო თავით ბოლომდი, ქციის გაღმართი, დმანისს ქვეითი, წავიდნენ უზიანოთ: ამავ ქორონიკონს გამოვიდნენ ჭარელნი, აოხრეს ბოლნისები და სომხითი, ამოსწყვიტეს, წაასხეს მრავალი ტყვე, თუ საქონელი: მოვიდა ქალაქს ამბავი, წავიდა ისაყ-ფაშა და იახლა ჯარი ურუმთა და ქართველთა, მიეწია ბაიდარში, შექნა ომი ფიცხელი, ბძანებითა ღმრთისათა, გაემარჯვა ფაშასა, ამოსწყვიტეს ლეკნი:

ქორონიკონს უით, თვესა ივლისსა, შეუხდნენ ქსნის ერისთავს შანშეს, კახი ბატონი, 47
ურუმთ ჯარი და ქართველნი, მრავალი სული დაატყვევეს, დასწვეს სოფლები, კლდე, თუ კოშკი
და მესერი, საცხენისი და ქვაბები, დააქციეს ციხე ვანათისა. ბოლოს შემოეხვეწა ერისთავი შანშე
და შეირიგეს, შეუხდენ სამაჩაბლოს, აიღეს ციხე სვერისა და დააქციეს გაღმა-გამოღმა ორივ
ციხე, გარდიარეს მთა ოსეთისა, მიუხდენ მუგუთსა, კოშკი იყო მაგარი და ადგილი კლდოვანი,
შექნათ სროლა, დაიხოცა თათარი არა მცირედი, იყო სროლა დილიდამ ბინდამდი, უსწრო და-
მემა, გაიპარა კოშკიდამ მაჩაბელი თეიმურაზ თავისის ხალხითა. რა იგრძნეს ურუმთა, აანთეს
მაშხლები, შეუხდნეს, აიფორაქეს საქონელი და მრავალი სული დატყვევდა:

ამა ამბავსა შინა მიუხდნეს ლეკნი ჯავახეთს, ააოხრეს ხეობა ზანავი, გარდვიდენ მთასა ნუ-
ნისისასა, აოხრეს ხარაგეული ნუნის ქვეითი, გარდმოიარეს ქვიშხეთს, წაახდინეს ციხის ძირი,
ააოხრეს სტეფანწმიდა. კიდევ მეორეთ გარდმოიპარნენ მთას იქით, დაწვეს მზვარე და ჩრდილი,
იშოვეს მრავალი: შეიყარნეს მთას იქით კაცნი საბაშიო და საჩხეიძო, უყვეს წინა უკანა, შე-
ქნათ ცემა, ამოსწყვიტეს ლეკნი, დააყრევინეს ნაშოვარი, ვინც მორჩა დაიფანტნენ მთაში გზისა-
გან უცოდინარი, რომელიც ქართლში გარდმოვიდნენ ყველა დაიჭირეს და ამოსწყვიტეს:

თვესა სეკდემბერსა კდ, მოუხდნეს ლეკნი სურამს, გარეშემო ააოხრეს, დასწვეს ოსიაური,
ახალ-სოფელი, სატივე, ლეუბრმატცედანი, ოძისი, წაიღეს ნაშოვარი, ტყვე, თუ ბარუტყვე, გავიდნენ
ერისის-ხევს, ჩაიარეს წრომს, დაამსხვრიეს გალავანი, შეუხდნეს, უყვეს ყათლანი, ამოსწყვიტეს
შიგ საყდარში, გავიდნენ გაღმა, მიუხდნეს ჭალას. ამილახორის სასახლეში იყო გამაგრებული,
იდგა შიგ ერასტი ამილახორის ბიძა-შვილი, შექნათ სროლა დილიდ-გან ბინდამდის, მოკლეს 48
ლეკნი ას სამოცი, ბოლოსა ჟამსა მოკლეს ერასტი, აიღეს გალავანი, უყვეს ყათლანი, წაიღეს
ტყვე, თუ საქონელი:

ქორონიკონს უკ, მოვიდა ამბავი და გათაკსირება ხვანთქრისაგან ისაყ-ფაშასა. მის შვილს
ესუფ-ფაშას რა ყაფუჩის მოსვლა შეიტყო, ღამე დაამსხვრევინა კარი ქალაქისა და გამოვიდა
გარეთუბანს, დაახვედრა წინ-ყაფუჩს კაცნი და დაიჭირა და წაიყვანა თანა და წავიდა ერევანს:
იყო სარასკარი ალი-ფაშა, ამის მისვლა-ზე მოუვიდა წყალობა ხვანთქრიდამ ალი-ფაშას და
აზან ვეზირობა, წავიდა სტამბოლს, თან-წაიყვანა ესუფ-ფაშა, ისაყ-ფაშას მისცა ახალ-ციხე,
წაართვეს ასლან-ფაშას:

ქორონიკონს უკ, მოვიდა ქართლში ბატონათ როსტომ ფაშა, სერისკ-გან შეპყრობილი
აპრილს იდ, მიიყვანა მაისის იზ: ამავ ქორონიკონს დაასხა ხვანთქარ-მან ყაენს არეს ქვითი
და რუსეთის ხელმწიფემ გილანი:

ამავ ქორონიკონს გამოვიდა ლეკნი სომხითს და შემოადგა სამშვილდეს: იყო მეპატრონე
სამშვილდისა მეფის იესე შვილი აბდულა-ბეგ. მას ჟამსა იყო სომხითს: რა ჰსცნეს ჯარის მოსვ-
ლა, მოეშველა ყაფლანი-შვილი ქაიხოსრო, სარდალი საბარათა-შვილოსი და მათნი სახლის კაცნი

და ჯარი სომხითისა, მოუხდენ კრწანისის მხრისა-კენ, შეიქნა ომი და სრულა ძლიერი, ბძანებითა ღჳთისათა, გაემარჯვა და ამოსწყვიტეს ლეკნი, მორჩა, გაიქცა

ამავ ქორონიკონს მოვიდა ლეკის ჯარი, ტეხერი, ბეკამი, გვერდის უბანი აოხრეს, წავიდნენ ნაშოვრიანი, გავიდნენ წრომს, შეება გორის ფაშა, მოკლეს ლეკთ: დახჳდა მეჯვრის ხევს ამილახორი გივი, გაემარჯვა, ამოსწყვიტეს ლეკნი და დარჩათ ნაშოვარი:

ამავ ქორონიკონს მკათათვის ჱ, მოვიდა ლეკის ჯარი ღამით, ამოიარეს ბეკამი ღამით გარდიარეს წიფვის-მთა, ჩაუხდენ წიფვს, ზოგი ვინმე წაახდინეს, გარდმოიარეს იტრია და ნუმა-თელეთი წაახდინეს:

49 ამავ ქორონიკონს, მკათათვის კა, შემოადგა ლეკნი ქვიშხეთს. ერთ-ღამე ვინცა-ვინ სააზნაურო კაცნი ციხეში იყო კარგათ იცჳნეს, მოკლეს ლეკი მცირედი და დარჩათ ლეკის ბაირახი ორი. შეიარეს ხეობა, მიუხდნენ დვირს, წაახდინეს ახვისძა, ოშორა, სხვა ბევრი სოფლები, გარდმოიარეს ციხის-ჯვარი და შემოადგნენ სადგერს, ზეით თედია-შვილის ციხესა, თერთმეტი დღე ადგნენ: ამა შეჭირებასა შინა მოვიდა ოსმან-ფაშა ახალ ქალაქს ჯავახეთისასა, ებოძა ხვანთქარს ქართლი, შესმა ამბავი ლეკთა, გამოუსია ჯარი და აქედამ ავალი-შვილები მოადგნენ, განთიადისასა დაესხნენ ლეკთა, ამოსწყვიტეს ლეკნი, ვინც მორჩა გაიქცნენ, გარდიარეს საცივასიო-ზე და გავიდნენ იკორთას, დახჳდა გორიდამ ჯარი და ამილახორი გივი მოეშველა, ასლან-ფაშა ქალაქიდამ და აქედამ ქართველნი, ამოსწყვიტეს ლეკნი, გაემარჯვა დიდად:

ამავ ქორონიკონს მკათათვის კჱ, ქალაქს მოვიდა ოსმან-ფაშა, ესე იყო აზსან ვეზირი ხვანთქრისა:

ამავ ქორონიკონს მისცეს ისაყ-ფაშას ქართლი, ამის შვილს უსუფ-ფაშას ახალ-ციხე და ოსმან-ფაშას აზრუმი. წავიდა ოსმან-ფაშა ქალაქიდამ ღვინობის-თვის ი, მოვიდა ქალაქს ისაყ-ფაშა ღვინობის-თვის იე:

ქორონიკონს უკა, ქრისტიშობის-თვის თ, მოუხდენ ლეკნი, აოხრეს გომარეთის ხეობა,
ჩამოიარეს გომის-ჯვარზე, გავიდნენ ქსოვრის წეწია წყლევის ბოლოს: ამილახორი გივი, თარხანი
ლუარსაბ, მცირე ურუმთ ჯარი, ლეკთაც ბევრი ზიანი ქნეს. მაგრამ ბოლოს დიდათ გაემარჯვათ
და ამოსწყვიტეს ლეკნი: ამავ თვესა დაარბიეს ლეკთა სომხითი, მოვიდა ამბავი ქალაქსა, შეჯდა
ისაყ-ფაშა, ჯარი ურუმთა, ქართველთა, დახჳდნენ ნიჩბისა. მოვიდნენ ლეკნი ხუ-კორძის თავს წვერ-
ზე საუდრათა, დიდი სიმაგრე იყო, დაიჭირეს ქართველთა და ურუმთა ენკინართა, იყო სრულა
დილით-გან შუაღამემდი, დაუმარცხდა ლეკთა, ამოსწყვიტეს, გაიქცნენ ლეკნი, უგანგე დიდ-გო-
50 რისაკენ და ღამე კოწახურის ფონს გავიდნენ: ამავ თვეს იე ლეკთ ზემო-ქართლი დაარბიეს, აქავ
ხუ-კორძიდამ ღამე წაბძანდა ფაშა, მიეწივნენ იკორთის ბოლოს, გაიქცნენ ლეკნი, დარჩათ ნა-
შოვარი. ამავ თვესა მოვიდა სტამბოლიდამ უსუფ-ფაშა ქალაქს და გაილაშქრა განჯის, ქრისტიშო-
ბის-თვის კზ:

ამავე თვესა კჲ, უკუდგა იმერეთს მეფეს ალექსანდრეს ძმა მამუკა, წავიდა დადიანის-თანა, ვითაც და ედგა დადიანისა, ერთი და მეფეს ალექსანდრეს ედგა, დაუმარცხდა და მეფე-მ შეირთო ასული აბაშიძის ლევანისა; და ვითაც დადიანის ქალი აქ მეფის სახლში დას-თან გაზრდილი იყო მოყუჲრობაზე ხელი არ აიღო მეფემა და ძმას შერთო. მაგრამ დანდობა არ მოაკლდინეს. დადიანმა მამუკას ბატონობა (მოაინდომა): შეიყარნეს დადიანნი ოტია, რაჭის ერისთავი გრიგოლ, აბაშიძე ზურაბ. მაგრამ (მეფემ ალექსანდრემ) შვილი გაგზავნა დავით-ჯარითა, შეიბნენ ჩიხორს, ამა შებმაზე დადიანისა და ძმა მისი კაცო მოკლა და კაცოს მსახურმა დადიანს თოფი ჰკრა და დაჭრა: ზმანებითა ღვთისათა, გაემარჯვა მეფეს ალექსანდრეს, დარბაზი იმათი კაცი მეფეს ჯარს ათას-შვიდასი, სიკვდილს გარდა, წაიყვანა მეფემ დადიანი დაჭრილი, დააყენა ქიმებში და გაამთელა:

ამავ თვეს კტ, შემოეყარა გაჩი ბატონი ესტუმ-ფაშასა ბეჟანბაღს. იქით ის, იქით ეს (1) ცხენით გარდახდა, გაჩი ბატონი აქეთ ფაშა ჩამოხდა, შეესალმეს, ერთმანეთის გარდეხვია. ფაშა შეჯდა ცხენს, გაზრუნდა გაჩი ბატონი: ამის დროს ულალატეს და მოკლეს ბატონი, წაუსხვნენ გახთა, ამოსწყვიტეს კაცნი, ვინც გაიქცა მოირჩა: წავიდა ფაშა ყარალაჯუში, შემოეყარა სურხავი: ესე იყო ლეკი და ხლმით დაიჭირა შირვანი, გაყიდეს გალმა-მხარისა, აიოხრეს გაყაზი და შიღდა:

ამავ ქორონიკონს დაიჭირა ყაენი მახ-თამაზ ისმაანს და გაგზავნა მაშაის თამაზ-ხან: 51
ესე იყო, ჯერ მოუდგა ყაენსა და მერმე ულალატა და გაილაშქრა ბაღდად-ზე: ქორონიკონს უკა, დაუმარცხდა თამაზ-ხანს ბაღდადს, გაემარჯვა ოსმან ფაშას: ეს ფაშა, რომ ქართლში მოვიდა, იმას სარასკარობა მისცეს და იმან გაიმარჯვა, ბოლოს ავად შეექცა: ამავ ქორონიკონს გაემარჯვა თამაზ-ხანს ბაღდადს, მოკლეს სარასკარი ოსმან ფაშა, აიკლეს და მოსწყვიტეს ურუმნი, შემოადგა ციხესა ბაღდადისასა, შეწუხდნენ შიმშილითა შიგნით ციხისა, შეურიგდა ბაღდადის ფაშა, მისცა ძირი და ფიცი და სიკვდილები დაანება, რაც ყაენს მამული წართმეული ჰქონდა და გაგზავნეს ხვანთქარ-თან კაცნი და ხვანთქარ-მან აღარ დაანება: ამავ ქორონიკონს ააშენა ციხე მუხრანისა ისაყ-ფაშამ აზრიაღამ თიბა-თვის გ, იყო მუშა ექვსასი, ქართლი თუ-სომხითი საბარათაშვილო:

ქორონიკონს უკბ მოუხდნენ ჭარელნი ელსა, წაიღეს საქონელი მრავალი, მოვიდა ამბავი ქალაქს, გაუსიეს ჯარი ქალაქიდამ, და უთავეს შამადინბეგ: ესე იყო მხნე ვაჟ-კაცი და ხაზინადარი ესაყ-ფაშისა. წაეწივნენ შირაქს იქით, გაექცნენ ლეკნი, დახოცეს ასი ოდენ, დარბაზი საქონელი, მოვიდა ქალაქს, გაეგებნენ ორნივ მამა-შვილნი და ნახეს სიხარულითა დიდითა, დაასვეს ჯილა მურასა თავსა და ჩააცვეს ქურქი, უყვეს წყალობა: ამავე ქორონიკონსა ააშენა ისაყ-ფაშამ ციხე აყ-ჭალისა, კოშკები დიდმას ბოლოდამ ატენის წყლამდის თირმეტი, სადაც ფონი იყო ლეკთ გამოსავალი:

ქორონიკონს კბ (უკბ), მკათათვეს აიღეს ყაზილბაშთ შამახია თამაზ-ხან:

(1) ჩქარ ქჳ ურდა დ. ჩ.

ამავ ქორონიკონსა, აგვისტოს, წავიდა ქალაქიდამ ესუფ-ეფაშა და მცირე ქართველთ ჯარი
კახეთს, დაესხნენ თავს კახნი, ამოსწყვიტეს ურუმნი, დარჩათ საქონელი ურიცხვი, გამოიქცნენ
ფაშა და ვინც ცხენს შეასწრეს, ახლდა ერისთავი შანშე, ამილახორი გივი, ყაფლანის-შვილი
52 ქაიხოსრო, თარხანი ლუარსაბ: ამავ ქორონიკონს, სეკდემბერს, სურხავმა შეიყარა ჯარი, მიე-
შველა განჯიდამ ურუმთ ჯარი, მივიდნენ შირვანს, გამოვიდა თამაზ-ხან, შეიქნა ომი ფიცხელი,
გაემარჯვა თამაზ-ხანს, ამოსწყვიტეს ლეკნი და ურუმნი, გაიქცა სურხავი:

ამავ ქორონიკონსა ღვინობის-თვეს შემოადგა თამაზ-ხან ციხესა განჯისასა, მოუვიდა ქარ-
თველთ ბძანება და აშლა ურუმთა. დაუწყეს ბრძოლა, შეიყარა ჯარი ამილახორმა გივმა, მოვიდა
ბერბუკს ღამით, დაიქვეითა თვითან და მუხრანის ბატონმა მამუკამ, გორელთ მისცეს პირობა,
შევიდნენ ღამით და დაიმალა ჯარი სახლებშია, ვერა იგრძნეს ურუმთ, ციხეში მიუჩინეს ოთხი
გამორჩეული ვაჟ-ვაცი, მისცეს საზოძვარი, ვითარცა ურუმნი ხეებსა ზიდევდნენ, ვინცა აუტანდათ
არას უკითხევდნენ. გაიენდა ამ ოთხმა კაცმა შეიდვეს ძელები მხართა, იყო ნიშანი ამათი, რომ
ციხის კარ-ზე ერთი იქით დაუდვან ერთი აქათ, რომ ციხის კარი ვეღარ მოუგდონ. გააღეს კარი
ციხისა და გამოვიდნენ ციხიდამ ურუმნი, ჩამოვიდნენ ქალაქსა გორისასა, აიტანეს ძელები და
დაადვეს კართა ზედა: იდრიკეს, გამოვიდა დამალული ჯარი, თუმცა ყარაულმა იგრძნა, მოასწრეს
კარი ქვეით გალავნისა, შეიქნა ცემა გორში. ამ ოთხმა კაცმა გაიკრეს სატევარს ხელი, თურე
დამალული ქონდათ, შეუხდნენ ციხეში, მოკლეს ერთი ურუმი, მიუხდნენ ენგიჩარ-აღას, დასჭრეს:
გამოვიდნენ მშვიდობით, ჩამოვიდნენ კარსა გალავნისასა, მოკლეს მცველი კარისა, დალეწეს კლი-
ტენი, გამოვიდნენ ყიზილბაშთ და ვინცა ვინ ციხიდამ ურუმნი ჩამოვიდნენ ამოსწყვიტეს, დაიჭირეს:
დააყენა ჯარი გორსა და წავიდა თვითონ გაგზავნა მახარობელი და თავები სარდალ-თან. ეს სარ-
დალი გამოეგზავნა თამაზ-ხანს, მოვიდა კახეთს ასლამაზ-ხან: ესე იყო ყაფლანიანთ სახლის
53 კაცი, მოვიდა საგარეჯოს, წავიდა ამილახვარი და ქართველთ ჯარი მიეგებნენ წინა, მოვიდნენ და
დადგნენ გლდანს: გამოვიდნენ ურუმნი, მოვიდნენ გლდანის ბოლოს, აქეთ გავიდნენ ყიზილბაშნი
და ქართველნი, დაემარცხდა ყიზილბაშთ და ქართველთა, მოვიდნენ მცხეთას თვესა სეკდემბერსა
თ: აიღეს გორი, სულუხი და მიუხდნენ ქართველნი ახალ-ციხის ქვეყანასა, მრავალი სოფლები
აოხრეს. შემოადგა ურუმთ ჯარი სადგერსა, გამოვიდნენ ავალი შვილები და გააქციეს ურუმნი
და მოსწყვიტეს:

ქორონიკონს უკგ, მივიდა თამაზ-ხან ყარსის ქვეყანასა და იქით სარასკარი, ჯარი ხვანთქრისა
ქოფრულის შვილი, შეიბნენ, გაემარჯვა თამაზ-ხანს, მოკლეს სარასკარი, დარჩათ თოფ-ხანა და
საქონელი ურიცხვი, იტყოდნენ ორმოცი ათასის კაცის სიკვდილსა: ამავ თვესა იგ მივიდა სარ-
დალი ასლამაზ-ხან და სულ ქართველნი დადგნენ კოჯორს იქით სერზედა, გამოვიდნენ ციხიდამ
ურუმნი, მოვიდნენ კოჯორსა, აქედამ ქართველნი და ყიზილბაშნი, გაიქციეს ურუმნი, ამოსწყვიტეს,
ჩაუჩნენ წავკისის ბოლომდი, ვინც მორჩა შეასწრეს ქალაქსა:-ამავ ქორონიკონს, მკათა-თვის ი,

დაარბიეს ლეკთ სომხითი, წამოიღეს ნაშოვარი, წამოუდგა სარდალი ყაფლანის-შვილი ქაიხოსრო
და ბარათიანი, გაასწრეს, ავ-ჭალას შევიდნენ ციხეში, შემოადგა გარ და დაუწყეს ლეკთ-ხვეწნა,
გამოიყვანა ციხიდამ, მოიყვანა შინდის, იდგა ჯარი შინდის და უჭვეს ყაილანი ლეკთა, იყო
სამოცი ლეკი: დაებარებინა თამაზ-ხანს ამილახორი, გავიდა, წავიდა, ჩავიდა, გაუწყრა და დაიჭირა.
ამის-თვის ქალი ეთხოვნა, ვერ მისცა. რა დაიჭირა და უპატიოდ გახადა, დაიბარა და ჩაგვარა ქა-
ლი. მაგრამ აღარ გამოუშვა:

ამაგ ქორონიკონს, მარიამობის თვესა ა, დაუწყეს ურუმთ ლაპარაკი შერიგებისა ქალაქიდამ
ისაყ ფაშა-მ და უსუფ-ფაშამ, გზმანა თამაზ-ხანს გზისა დასნებება და ურუმების თხოვნა, ათხოვეს 54
ურუმები სამასი-ოდენი, გაუმძღვანეს მემანდარი და წავიდნენ უვნებურად და შევიდნენ ყიზილბაშნი
და ქართველნი ქალაქსა ტფილისისასა: რა შეიტყვეს განჯას სარასკარის დამარცხება, დაასნებეს
და წავიდნენ ხანის დასტურით ურუმნი:

ქორონიკონს უკგ, დაიბარა თამაზ-ხან კახი ბატონი თეიმურაზ, ძმის-წული ამისა ალი-
მირზა, კახნი და ქართველნი: დამორჩილდნენ ბძანებასა მისსა, წავიდნენ. მას ჟამსა იდგა თამაზ-
ხან ერევნის ყირხბულახს, შეეყარნენ თამაზ ხანს, დაყვეს დღენი სამი და მისცა ალი-მირზას
ქართლი და კახეთი. იქ შესიახა კახი ბატონი თეიმურაზ, ქისიყის მოურავი აბელი, ქართველნი
მუხრანის ბატონი მამუკა, ამილახვარი გივი, ავალის-შვილი ქაიხოსრო: მოვიდნენ ქალაქს მეფე
ალექსანდრე, სარდალი ასლამაზ-ხან და ამირეჯიბი ალიყული-ბეგ, ქართველნი, წაართვეს ქალაქს
რვა ათასი თუმანი, სახასოს სოფლებს სამი ათასი თუმანი, ჰური ათასი სარასკარი (1), ერთი
ხარვარი, ათი კოდი, ქართლსა და კახეთში ორი ათასი მოლაშქრე კაცი: დაასნებეს ერევანი ურუმ-
თა და არა ავნეს რა ურუმთა: მიეცა დასტური თამაზ-ხანს კახის ბატონის თეიმურაზისა-თვის,
რომ ცოლითა და შვილით კახთ დარბაისლით ქალაქს ჩამოსულ იყო: რა კახეთს მივიდა, კახთ
ეს არა ქნეს ცოლ-შვილით ჩასულა, აიყარნენ და წავიდნენ ფშავში: ღვინობის-თვის გ, მოვიდა
ქალაქს თამაზ-ხან დიდისა დიდებითა; გაუმართეს მოქალაქეთ ფეიანდაზი ციხის-კარიდამ ალაყაფის
ჩარდახამდის, დადგა ჩარდახში და შიგნით არამი დაიყენა: გაპარულა სომხითიდამ ამილახვარი
გივი, მუხრანის-ბატონი, ავალის-შვილი ქაიხოსრო, მივიდნენ თავ-თავისათ. ამილახვარი წავიდა
იმერეთს, მუხრანის ბატონი რუსეთს: იწყინა ეს თამაზ-ხან, დააქცია ციხე გორისა, ქალაქს
თაბორი, გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემო-ქართლს, ოთხი ათასი
საციციანოს: არაგვის ერისთავი ანანური და იმას აქეთ ქსნის ერისთავისა, მონასტერს ქვეით, აწე- 55
რის-ხევს ქვეით დაატყვევეს, დასწვეს ზემო ქართლისა. ფახანიდამ დაწყებული მუხრანამდი აა-
ოხრეს, დაატყვევეს, დასწვეს, საძგრიდამ სურამლის დაატყვევეს, დასწვეს, შეაბილწეს ეკკლესია,
ყოვლ-გნით გაოხრეს მღვიმე ხატითა და მორთულობითა, წაიყვანეს ქართლიდამ კომლად რვა-ასი

(1) უნდა ხარვარი დ. ჩ.

(კომლი), ვინ იცის სახლში რამდენი სული იყო: ეს ტყვე ხუთი ათასი საავალიშვილოსი და საციციანოსი, ხუთასი კომლათ და ათასი ტყვე, საერისთოსი ხუთასი ტყვე, მოსრეს ყმაწვილნი ეროდეს მსგავსად, ჩჩვილს ერიდენ და დიდი, რომელიც დავარდის ცხვირსა და ყურებს აჭრიდიან: ოკდომბერსა კე წავიდა თამაზ-ხან ქალაქიდამ კახეთს, გაუწყრა კახეთს, აყარა სულ კახეთი გაღმა-მხარი და გამოღმა, შეაბილწეს ალავერდი, ქისიყს გარდა და ქართლისა და კახეთისა, გაგზავნა ხვარასანს, თითვან გავიდა ალაზანს, წავიდა ჭარ-ზე, აახრა ჭარი, მივიდა შამახიას: რაც ქართველნი და კახნი იყვნენ, რა ქალაქიდამ გადგნენ ყველას იარაღი შემოსხნეს. რა ალაზანს ხანი გავიდა, ესენი განჯის-კენ გაგზავნა. რა მიახლენ მტკვარსა გასასვლელად შეკრეს პირი და ქართველ და კახთ ერთს ღამეს დასცეს ყიყინა, მრავალი სული მორჩა და გამოვიდნენ უგზიანოთ:

ქორონიკონს **უკგ** მიიცვალა კათალიკოზი ბესარიონ: თვესა ნოემბერსა აყარა განჯა, ყარაბაღი, ელი ქართლისა და კახეთისა, ერევანი, ყარსი, ყაიყული, ფანბაკი, რაც თოფხანა დარჩა ურუმთა გაგზავნა ხვარასანს, თვითან წავიდა თათარხანზე, გაემარჯვა და მოვიდა მუღამში: ქართლიდამ დაიბარა მეფე ალექსანდრე, მეფის იასეს შვილი, აბდულა-ბეგ, ამირეჯიბი ალიყული-ბეგ, სარდალი ქაიხოსრო. წავიდნენ მუღამში: ამავ ქორონიკონს **უკდ** მუღამში შეიყარა ერანის ჯარი, ეს ვინც ქართლით წავიდნენ, ქნეს ყრილობა და ყაბული თამაზ-ხანის ყაენობისა და დაჯდა ყაენათ შაჰ-თამაზ-ხან: ქართლში ესენივე გამოისტუმრა და დადვეს ქართლს სამი-ათასი სამასი თუმანი და ხუთასი ნოქარი ცოლ-შვილით ქალაქსა უნდა დამდგარ იყო, კაც-ცხენ იარაღითა: ზემო ქართველთ ეს ვერ შესძლეს, უკუდგა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი და სულ ზემო-ქართლი, გაღმით თარხანი ღუარსაბ და მისი სახლის კაცნი, დაუწყეს ხვეწნა სეფი-ხან სულთანსა: „როგორც სხვის ყეენისა-თვის გვიმსახურებია, ან სამსახური გვდებია ისე გვიმსახურეთ, ხელმწიფის დიდი-ხნის ყმანი ვართო:“ ეს იმათ არა ქნეს: ამაში გაეცალა ამხანაგებს არაგვის ერისთავი ბარძიმ, სულ ციციანი, სულ საბარათაშვილო მიუდგნენ ყიზილბაშთა. წამოვიდა ჯარი, დადგა ფხვენის, დაიწყეს იქიდამ თარეშის გასევა, მიუხდნენ ქსნის ერისთავსა, რამდენჯერაც მივიდნენ, ბრძანებითა ღმრთისათა, იმდენჯერ გაემარჯვა, კახეს მიუხვდნენ სამ-ჯერ ამილახვარს გივსა, სამ-ჯერვე გაემარჯვა და მოსწყვიტეს ყიზილბაში: ამაში გამოუსია თარეში, მოუხდნენ დილაბინდ-ზე საბაშიოსა და საჩხეგოსა (საჩხეიძოსა) და სურამის ხეობასა, ბევრი წაახდინეს და დაწვეს სათავადაგანდლისშვილო და გამოუღებ ააოხრეს, დაწვეს, სადაც სიმაგრე იყო, ღმრთით ვერა ავნეს-რა:

ამავ ქორონიკონს მკათა-თვის ორსა რიყრაყ-ზედ შეუტყობლად მოვიდა ჯარი ორი ათასი კაცი. თითვან სულთანი, აბდულა-ბეგ, ვინცა-ვინ ქართველნი იმათ-თან იყო ციხის ძირს (1) დაუწყეს ბრძოლა და გართ მოვიდნენ, ნუნის ჩამოვიდნენ, თარეში ჩრდილსა იდგა, აბაშიძე ვახუშტი ვახანს: რა მოვიდა ამბავი, იარა და შემოეყარა თავისი საყმო, შეიქნა სროლა, ბრძანებითა ღმრ-

(2) დედანში სწერია ასრე: ციხი ძირს, უნდა ციხისძირს დ. 6

თისათა, ნუსისა ღუთისმშობლის ძლიერებითა, გაიქცნენ და მოსწყდა მრავალი სული, ჩაუჭნენ
ციხის ძირამდის ცემითა და ხოცითა: ამის-თანა გამარჯვება ერთსა და ორს არა ეს (ვის) უნახავსო, 57
თან პირ-იქითი ჯარი, თქვენმა მზემა, სხვას გარდა ორასი ასეთი ცხენი შეკაზმულობითა, ზოგი ვეცხლის რახტითა აბაშიძეს მოართვეს. სხვა რაც ვინმე დამალა, ის ღმერთმა იცის. ასე ღმერთმან წყალობა მოუვლინა, ერთი კაცი არ მოკდომია, მოვიდა და დაჯდა ნადიმად და გასცა საბოძვარი, ან ვინც თავი მოიტანა და ვინც კარგათ ყოფილ-იყო: მორჩა სეფი-ხან გაქცეული და ვინცა-ვინ მორჩათ, იმავ დღეს ფეხვენის წავიდნენ: დაუწყო ლაპარაკი, ვინც უკუმდგარნი ქართველნი იყვნენ შეურიგდნენ ფიცითა საშინელითა: აიყარა სულთანი ფეხვენისიდამ, ჩავიდა ხელთუბანს. რას მოტყუებითა დაუძახა კახს ბატონს თეიმურაზს, არაგვის ერისთავს ბარძიმს, ამილახვარს გივს, თარხანს ლუარსაბს, კახთ სალთ-ხუცეს ჩოლაყა-შვილს გივს, ქისიყის მოურავის ძმას თამაზს, ჩერქეზის-შვილს ქაიხოსროს: ესენი ერთ-პირათ დაიჭირეს, გაგზავნეს ქალაქს ციხეში: იმათი აქ დაჭერა და ქსნის ერისთავ-ზე ჯარის გასევა იკორთას და, ბრძანებითა ღუთისათა, გაემარჯვა ერისთავსა, გამობრუნდნენ და ჩავიდნენ გორს, წავიდა ქალაქს და დააგდო გორს ნაიბად აბდულა-ბეგ, ძე მეფის იესესი:

გამოხდა მცირე ხანი და გამოვიდა ლეკის ჯარი გულხანდარა, თვესა ოკდომბერსა, ქორონიკონს უკდ, წაახდინეს გვერდის-ძირი და ზემო-ქართლი, ვიდრე სურამამდი და დადგნენ დარბს: წავიდა გორიდამ აბდულა-ბეგ, აახლო ჯარი ქართველთა და ყიზილბაშთა, პირველსავე მისვლაზე გამოვიდნენ ლეკნი და შეიბნენ ყელ-ქცეულს, ბრძანებითა ღუთისათა, გაემარჯვა აბდულა-ბეგს, ზოგი დახოცეს, გაიქცნენ და შევიდნენ დირბს, ღამე-მ გაუარა. ღამით გაიპარა ლეკნი და გავიდა ხევდურეთს: ამაში მოვიდა ქალაქიდა-მ სულთანი სეფი-ხან დიდის ჯარითა, გორს გავიდნენ, გო- 58
რიდამ, რა მივიდნენ ღულევის-ზოლოს გამოვიდნენ სამ დაფათ: რა ნახეს მძლავრი ჯარი ველარ შემოებნენ, გაიქცნენ ლეკნი, მცირედი დახოცეს, შევიდნენ სიმაგრეში, ღამით გაიპარნენ, გავიდნენ ბებნის, მცირე ყარაულსი გაუდგეს უკან, ზოგი ცოცხალი დაეჭირათ, მცირე დიეხოცათ, გაიარეს, დუშეთი წაახდინეს: ამა ამბავსა შიგან მოვიდა ყაენისაგან ბძანება და წყალობა, ქართლი ებოძა აბდულა-ბეგისა-თვის, იქმნა მეფედ საქართველოსი და დაარქვეს არჩილ, კახეთი ალიმარზისა-თვინ, რომ მცირესა ჟამსა მეფედ იყო ქართლისა, ერევანი სულთნის სეფიხანისა-თვის: წავიდა ერევანს და კახი ბატონი კახეთს, დაჭერილი თავადები გაგზავნეს ისპაანს: კახი ბატონი თეიმურაზ, არაგვის ერისთავი ბარძიმ, ამილახორი გივი, თარხანი ლუარსაბ. რა ჩავიდნენ, უყო წყალობა ყაენმა, მისცა ხალათები და ინამი, თითვან წავიდა ყანდარს საბრძოლად და ესენიც თან-წაიყვანა:

ქორონიკონს უკე, აპრილს გასულს კიდევ მოვიდა სეფიხან დიდის ჯარით ქართლში, მივიდა ქსნის ერისთავს შინ შეხვდა, აიღეს ციხე იკორთისა, ციხე ვანათისა, ციხე კულბითისა, მოუხდნენ აბაშიძეს ვახუშტის, აიღეს ციხე ციხის-ძირისა და ციხე სურამისა, შეუხდა ქსნის ერისთავს, აიღო ციხე აწყვერისა, ციხე ბეშო და მონასტერი: გაეცალა ქსნის ერისთვის ძმა იესე ცოლ-შვილით კახეთს,

დახუდნენ წინა, გაექცა ერისთვის შვილით, დარჩათ ცოლ-შვილ და საქონელი ყიზილბაშთ. წავიდა შანშე ცოლ-შვილით იმერეთს, იქიდამ წავიდა რუსეთს: წავიდა სეფი-ხან ქალაქს და დაიჭირა მეფე არჩილ და აიყვანეს ციხეში: დაებარებინა ყაენს მეფე არჩილ, წავიდა გიორგობის-თვესა ი. წავიდა, შეიყარა ქსნის ერისთვის ისნი და საერისთო, აიღეს ციხე ანანურისა, მონასტერი და ახალ-გორი

59. გაუგზავნეს კახეთს ქსნის ერისთვის ძმას იესეს, მოვიდა და შეიყარნენ: დაებარებინა ყაენს ყანდარს ქართველნი, ამილახვარი ოთარი, სარდალი საბარათაშვილი ყაფლანის-შვილი, ქაიხოსრო, ციციშვილი, მოურავ-ეპისკოპოზი კირილე, ქაიხოსრო ჯავახის-შვილი, აფიანდილ ფალავანდის-შვილი, ფეშანგი ორბის (1) მელიქი, ფარსადან სომხითის მელიქი, ბადურ, ალიყულიბეგ ამირეჯიბი:

ქორონიკონს უკე, მარტს კე, აშტარხანს დამარხებულ იყო მეფე ვახტანგ:

ქორონიკონს უკვ, მარტს ი. წავიდა სეფიხან, დაებარებინა ყაენს ყანდარს, მოვიდა ქართლში განჯის-ხანი უღურლიხან, ამ ქალბანის-ხანისა სარდლად: ამავ ქორონიკონს მარტს დ, აიღო ყანდაარი ამავ ყაენმა და წავიდა ინდოეთ-ზე, აიღო შვიდი ქალაქი, შემოებნენ ინდოეთის სპასალარი ინდოთ, დაიჭირეს სპასალარი:

ამავ ქორონიკონს, მაისს შვიდსა, ყანდაარიდამ გამოისტუმრა ყაენმა ვინცა-ვინ ქართველნი იყვნენ. წინდა-წინ ნათურად მოვიდნენ, ხანჯან ქართლის ბატონად, ალიყულიბეგ ისევ ვექილად:

ამავ ქორონიკონს მოვიდა ქსნის ერისთავი რუსეთიდამ თავის მამულში: მოვიდა კახი ბატონი თეიმურაზ კახეთისა:

ქორონიკონს უკვ, წამოვიდა თავრიზიდამ სპასალარი იბრეიმ-ხან ყაენისა, დაიბარა ქართველნი და ხანჯან-ხან, შეიყარნენ ჯარს, შეუხდნენ ჭარს, დასწვეს, დააქციეს, გამობრუნებაზე წამოეწივნენ ლეკნი, უჭვეს წინ-და-უკან, გაემარჯვათ ლეკთა, ამოსწყვიტეს ყიზილბაში და ქართველნი, მოკლეს სპასალარი იბრეიმ-ხან, უღურლი-ხან, განჯის ხანი, სხვანი გამოიქცნენ. თეიმურაზ კახი ბატონი კახეთის და ხანჯანხან ქართველნი ქალაქს:

ამავ ქორონიკონს, მაის კე, სტამბოლიდამ მოვიდა კათალიკოზი დომენტი, ძმა მეფის ვახტანგისა:

60 ქორონიკონს უკზ, თვესა მაისსა გ, პირველსა ლამესა, ერთი საკვირველი და კაცთა-გან ჭკუა-მიუწდომელი აჩნდა შუა-ციდამ, ცა მოწმენდილ-ზე, ნათელი დიდ-ძალი, რომ მთვარის შუქი აღარა ჩნდა, ვიდრე დასავლეთადმდე განათლდა ყოველი ქვეყანა, რა განქარდა, ერთი ასეთი დაქუხა მოწმენდილი იყო, რომ ქვეყანა შესძრა, არც ცის გახსნა იყო, მაგრამ ნაალით ნახევარ-ცა ეჭირა, მთა და ბარი სულ განანათლა: ესე საკვირველთ მოქმედსა ღმერთისა:

ამავ ქორონიკონს, მარტში, ინდოეთ-ზე გაემარჯვა ამავ ყაენსა, დამორჩილდა ინდოეთის ხელმწიფე და მოართვა მრავალი:

---

(1) ლორეს მელიქი უნდა დ. ჩ.

ქ. ვინადგან ვიდრე აქამომდე აღწერილ-იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერელსა ამისას ჩხეიძე სეხნიასა, დაშთომოდა შემდგომნი ყოფილნი და ყოფადნი. და მე პაპუნა-მ ორბელიანმა ხელ-ვჰყავ აღწერად, პირველად, რათა არა დავიწყებულ-იქმნენ ესე ვითარნი ამბავნი და მეორედ, შემდგომნი ჩვენნი მოიხსენებდენ ეს-ოდენთა ჟამთა, ვითარებათა და ცვალებათა, რომელ კნინღა და არა-ოდეს ყოფილ-არიან ესე ვითარნი იწროებანი ქართლისანი და მალიადნი ცვალებანი დამპყრობელთა და განმგეთა ქვეყანისა ჩვენისა-თანი, მწარენი და მძიადნი მოხარკეობანი, რომელი მე ვიხილე თვალითა ჩემითა და რომელიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთა-გან და არა უდებ ვჰყავ ხელ-ყოფა ამისი მსგავსად ძალისა ჩემისა, რათა მოზარდულნი ქართლისანი განეკრძალნენ ქვეყანათა თვისთა 61
სიმტკიცისა-თვის, ვინად-გან ეს-ოდენი ჭირნი და იწროებანი წარგუხდიან და იუწყებოდნენ, თუ ვის-გან და ვითა რომლისა მიზეზითა იქმნნეს ესე ყოფილნი:

ქ. შეუდექ ამბავს ქართლისას პაპუნა ორბელიანი,
განმაძლიერა მეუფე-მან, ვინ არის გვირგვინოსანი,
აღვსწერე ყოველი ყოფილი, მრავალ-გზის საჩივრიანი,
და ვინ წარიკითხოთ, ნუ მკიცხავთ, სიტყვა თქვით შენდობიანი:

ქორონიკონს უკზ, თვესა ივლისსა, მოიშველა ერისთავ-მან შანშემ ჯარი ლეკისა, პირველ მიუხდენ ხაშმის ციხესა, აიღეს ციხე და იავარ-ჰყვეს საქონელი ანუ ტყვე ურიცხვი, წამოვიდნენ, მოვიდნენ, შემოადგნენ ანანურის ციხესა, ერისთავი ბარძიმ შიგ-იყო თავისის ძმით და სახლის-კაცით, ჩამოვიდა ერისთავი შანშე და ძმა მისი იესე ყულარაღასი თავისის ჯარით, დაუწყეს

ბრძოლა: არ ავად იქმნენ შიგნით მყოფნი ციხისანი, ამდონი ლეკი ამოსწყვიტეს, რომ მკვდრის
სანგარს ივლებდნენ ლეკნი და ეგრე იბრძოდეს, ვითარ მასში ერისთავის კაცნი ბელადნი იყვნენ,
უპოვეს ადგილი წყლისა და მოუჭრეს წყალი, ზაფხულის ჟამი იყო და დიად შეწუხდეს უწყლოდ,
62 მისცეს ფიცი ბარძიმ ერისთავს და გამოიყვანეს უთრუთ ერისთვის-შვილი თავისის ცოლ-შვილით,
არ მოუნდო და შეუპოვარის კოშკში ავიდა, უღალატეს ერისთავს ბარძიმს და მოკლეს. ეგრევ
ამას-თანა აბელ და გივი დახოცეს, დაიჭირეს ვინც თან გაყოლოდათ, შეესივნენ ციხესა, აიკლეს,
აოხრეს მონასტერი, დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი, გამოასხეს ტყვე უთვალავი, უთრუთ, რო-
მელი იყო კოშკში, გამოწვეს ცეცხლით, უყვეს ყაილანი, ქალით კაცამდის: ეს ლეკის ჯარი
იტყოდენ თორმეტი ათასი კაცი არისო: წავიდა ეს ჯარი, აოხრეს სომხითი და შემოადგნენ
დმანისის ციხესა: მაშინვე აცნობეს სეფი-ხან სარდალს, განჯას იდგა, რას-წამს შეიტყო, მა-
შინვე წამოვიდა სეფი-ხან დიდის ჯარით, მოეშველა დმანის, სანამდის ეს ჯარი მოეშველებოდა
გავიდის მებრძოლი დმანისის ციხით და შეების. ლეკთ ვერა ავნეს-რა ციხეს და ვერცა რა წაუ-
ხდინეს, მოვიდა სეფი-ხან, გავიდნენ ყაფლანის შვილები სრულიად, მიუძღვნენ ლეკ-ზე, გაე-
მარჯვა. მაშინვე გაიქციეს ლეკნი, ამოსწყვიტეს, რომ რისხვა ღუთისა დასცეს, ასე დაფანტეს
ჯარი ლეკისა, ათს დღემდის ტყეში იჭერდნენ მრავალს და მოუყვანდათ ცოცხალი დმანისა ციხესა
შინა: წავიდა ეს ლეკის დანარჩომი ჯარი, მივიდა ახალ-გორს, რაც ანანურისა და ხაშმის ნაშო-
ვარი ტყვე ანუ საქონელი ჰყვანდათ, იქ შეენახათ, აყარეს მაშინვე და გაემზადნენ დაღისტანში:
გაუდგა სეფი-ხან ხანი ქართლისა, ასლამაზ-ხან, გავიდნენ კახეთს, დახვდნენ ახმეტის ბოლოს,
გაემარჯვათ კიდევ ყიზილბაშთა, ამოსწყვიტეს ლეკნი და რაც მიქონდათ სულ დააყრევინეს, იტ-
ყოდენ ათას ხუთასი თავი მოიჭრაო: მოვიდნენ ქალაქს გამარჯვებულნი და მისცეს ტყვე ანუ
საქონელი თვის თვისსა პატრონებს. წავიდა სეფი-ხან ისევ განჯას და ასლამაზ-ხან და ორი სხვა
63 ხანი, მიუხდნენ ერისთავს შანშეს, დააქციეს იკორთის სამრეკლო და კულბითის ციხე და შემოა-
დგნენ ვანათის ციხესა, ოც-და-ორი დღე იდგნენ, უყვეს იერიში და ვერა ავნეს-რა, ციხის კაცთა
ბევრი თათარი და ქართველი მოკლეს. მოვიდა ავ-დარი და თოვლი, ჯარმა ვეღარ გაძლო, და-
ბრუნდნენ და ჩამოვიდნენ ქალაქს:

ამავ ქორონიკონს, გიორგობის-თვეს კზ, გადმობძანდა ბატონი-შვილი დომენტი კათა-
ლიკოზი იმერეთიდამ, ძმა მეფის ვახტანგისა, რომელიც იყო სტამბოლს თახსირად, უყო ხვანთქარმა
წყალობა და გამოისტუმრა, მოვიდა მეფეს ალექსანდრეს-თან:

ქორონიკონს უკჱ, გორს მიიცვალა საქართველოს ბეგლარ-ბეგი ასლამაზ-ხან, რომელი იყო
ტომით ორბელიანთა, შვილი მამად ალიხანისა.

ამავ ქორონიკონს, მოვიდა ნაიბად ქართლში ხვარასნელი იმამყული-ხან, გაისტუმრა აბდუ-
ლა-ბეგ, ძე მეფის იესესი ჯარით ქსნის ერისთავ-ზე, მივიდნენ არაგვის ერისთვის მამულ-ზე,
გარდავიდნენ ლომისაზე და დადგნენ ცხრა-ძმას, აოხრეს გარემო სოფლები. მაგრამ ვერსით

ვერა-ფერი სახლი ვერ მიიტანეს-რა, დაშიმდა ჯარი, აიყარა ისევ და ჩამოვიდნენ ქალაქს, ვერა ავნეს რა ერისთავს შანშეს:

ამავ ქორონიკონს, ნოემბერს, მეფე-მ ალექსანდრე-მ ულალატა გადის ციხეში აბაშიძეს და-ვითს და წერეთელს პაპუნას, ისევ დახოცა: ამავ მეფის ძმა გიორგი და ლევან აბაშიძე გარდმო-უხდნენ ვახუშტი აბაშიძეს, დაეხსნენ მალვით თავსა, დაიჭირეს აბაშიძე ვახუშტი და საქონელი ანუ ტყვე ურიცხვი დარჩათ, წაიყვანეს ვახუშტი და ნავარძეს (1) ციხეში დაამპატიმრეს:

ქორონიკონს უკთ, მიუხდა დადიანი და რაჭის ერისთავი მეფეს ალექსანდრეს. მეფე ქუთაის გაეცალა, ამათ ვაკის სოფლები აოხრეს, მიეშველა ქსნის ერისთავი მეფეს, გაიქცივა დადიანი 64
და ერისთავი რაჭისა თავის თვისა ქვეყანასა, შეუსივა ჯარი ლეკისა, ააოხრეს ოდიში, დააქციეს ციხები, ამოწყვიტეს მრავალი, დაატყვევეს ურიცხვი, ვინც დარჩა დამძლეს, წამოვიდა მეფე გა-მარჯვებული:

ამავ ქორონიკონსა, თვესა მარტსა, მიუხდა ჯარი ყიზილბაშისა, შეესივნენ ჭარსა, ააოხრეს, ამოწყვიტეს და ტყვე, რაც ქართლისა იყო ქართლში გამოგზავნეს:

ამავ ქორონიკონს მოვიდა მუმეიზი, რომელ-არს მწერალი ქვეყნისა, აღწერად ქართლისა ესრეთ იყო აღწერა, რაც ძველთ სასოფლარი სადმე იყო ყველ-გან ზომეს მიწები საბლით, ხრევი დასდვეს. ეგრეთვე ამ მახით (სახით) შენობა სადმე იყო დიდი ხრევი (2) დასდვეს, ვითაც ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ამ ქვეყანას განუწესეს, თვალეს გზები (3), ეგრე გზის (4) სათვალავს, რასაც მიხვდნენ ვაზს, ერთი ბისტი დასდვეს, სოფლისა და ბაღსა შინა რაც ხე ნახეს თითო შაური დასდვეს, გაცს ორი მინალთუნი, ემაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათის წლამდის ხარჯი დასწერეს, ემაწვილ-ზე, პირუტყვ-ზე ყოველს ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს, ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისა-გან დიდად შეუძლებელი იყო: ოდეს ურჯულოთ მეციოთა ეს ქვეყანა ეჭირა. მაშინ იმათაც დაწერეს და დასდვეს მირი, რომელ-არს ხარკი, თორემ არას დროს ერანის ხელმწიფისა-გან ქართლის ქვეყანა არ დაწერილ-იყო: ესეც ცოდვათა ჩვენთა დავაბრალოთ: ამა ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა, მრავალი კაცი ვე-ნახსა და ბაღებსა თავისის ხელით კაფვიდის და აოხრებდის, ვინც დარჩა, კიდევ ამისი იმედი ქონ-დათ, რომ ერთი მემკვიდრე პატრონი....

ამავ ქორონიკონს გამოეცალა ერისთავს შანშეს ძე თვისი იოანე და ჩამოვიდა ქალაქსა თბი- 65
ლისისა: რა სცნა იმამ ყულიხან განიხარა ფრიად და მიიწვია პატივით, დააყენა მემანდრად. გა-

(1) ნაკარძეთს უნდა დ. ნ.
(2) ხრევი. ხარკი დ. ნ.
(3) გზებს უნდა დ. ნ.
(4) გზის უნდა დ. ნ.

წესა ულუფა, დაპირდა ხელმწიფისა-გან დიდის წყალობის მოტანასა, მოინდომა ერისთვის-შვილმა იოანე-მ ხელმწიფისა-თვის წასლვა. განსტუმრეს მაშინვე, რა წავიდა თავრიზს, ნახა სპასალარი, მოახსენეს ხელმწიფესა. უკუ იქიდამ შურახანი და დაბრუნდა, მოვიდა ისევ ქალაქსა თბილისისასა: ხელმწიფე მას ხანთა შინა მოსულ-იყო ინდოეთიდა-მ, გამობრუნებული ყაზმანის. რა ჰსცნეს ქართველთ მაშინვე წავიდა ორბელიანი სარდალი ქაიხოსრო და ამილახვარი გივი. რა წავიდნენ, მაშინვე ნახეს ხელმწიფე, რომელი ახლა სახელი თავისი დაერქვა შანშე, იყწყა ამათი-გან ამბავი ქართლისა, რაც ძალ-ედვათ ყოველივე მოახსენეს. მაშინვე გამოგზავნა ნაიარი და ვინცა ვინ ქართლის ნიშნეულნი თავადნი იყვნეს ყველა დაიბარა: რამ-წამს მოვიდა ბძანება, მაშინვე წავიდნენ ქართველნი, წავიდნენ და ყოველთა ერთად ნახეს ხელმწიფე: შანშე-მ მოახსენა ქვეყნის გაოხრება ლეკისა-გან, შანშეს ერისთვისა-გან ბელადის ძლევა და შეჭირვება ყოველი: იწყინა ხელმწიფე-მ და დაპირდა დაღისტანის გასწორებასა, მოსცა ჯარი შანშე ერისთვის წასაყვანად: „თუ დამიჭიროთ შანშე, ყოვლი იქვენი საწადელი აღვასრულო და მოგცე წყალობა უშურველიო:“ მისცა ამილახვარს გივს ქსნის ერისთობა და დასდვა იმ ქვეყნის ბელადობა: იყო ხელმწიფის მოსლვა-
66 მდის იმამყული-ხან ქართლში ნაიბად, ახლა მოსცა ბეგლარ-ბეგობა და გამოისტუმრა, მოსცა ჯარი ინდოელნი, ლაურელნი და ავშაურელნი. ოთხი სელიანი ექვსის ათასის კაცით შემოვიდა ქალაქსა თბილისისასა: შემდგომად ამისა მოიწივნეს ჯარი ავლნისა, იყვნეს კაცნი შავნი და დუხჭირნი, შიშველნი, მცირე რამ სავარმნელი (1) ეფარათ ტანსა ზედა, ვითარცა ზედრაგი, გინა ზეწარი ნამოეფარათ თავსა ზედა, მსგავსად დედათა ფავლთასა (2). ესე იყო ჩვეულება ქვეყნისა:

ოთვესა აგვისტოსა, წავიდა ეს ჯარი ქსნის, რა მიეახლნენ მუხრანს აბელადნი ამილახვარი გივი, ვითაცა ხელმწიფეს ბელადობა მის-თვის დაედვა, გაყვეს ჯარი სამად, მისცეს ერთი ჯარი არაგვის ერისთავს და გარდუსიეს ლომისი-ზე, მეორე ჯარი ქსანი-ზე შევიდა და მესამე ჯარი ლიახვ-ზე, შევეს თარეში, აოხრეს ქსანი, დაწვეს, დაატყვევეს და ამოწყვიტეს ურიცხვი, დააქციეს ციხეები, ან სადაც კოშკი იყო, არსად გაუშვეს შენობა: გაიქცა ერისთავი შანშე, ცოლ-შვილიც იქა ჰყვანდა და შევიდა აწურისა ციხესა შინა: მაშინვე მივიდა ხანი ღამითვე და შემოადგა გარს, ვეღარა სძლო შანშე-მ და გაიპარა ციხიდამ, თავის ძმა იასე და მცირე რამ კაცნი თან-გაიტანა, შეიარა ხეობა-ზე, მივიდა ახალ-ციხესა, შეეხვეწა ფაშას, შეიწყნარეს პატივით და დააყენეს ქალაქსა შინა: რა გათენდა აიღეს ციხე აწურისა ყიზილბაშთა, შეიტყეს გაპარვა ერისთვისა, აიღეს ციხე და იავარ-ჰყვნეს საქონელი ანუ ტყვე, ძიებდეს ცოლსა ერისთვისასა და ვერა-სადა ჰპოვეს: ხოლო შემოსა სამოსელი უშვერი და ვერ ჰსცნეს, მცირეთა ხანთა მეცნიერსა თავადთა ვისმე ეცნა და გამოიყვანეს ცოლი ერისთვისა. მაშინვე გამოისტუმრა იმამყული-ხან ქალაქსა და

(1) სალარინელი, მოსაფარებელი დ. ნ.
(2) თუ ქართველთა დ. ნ.

დააყენა პატივით. დააქცივა ციხე აწყურისა და ანუ სადა სიმაგრენი იყვნეს სრულად ააოხრა. გაუშვა
მარბიელი ავლისა და სადაც რამ დარჩომილი იყო დაატყვევეს, ოსეთს აქეთ სულ აჭყარა და 67
მოაბარა გივს ამილახორს: ჩამოუძღვა გივი და დააყენა ფხვენის. გაბრუნდა ხანი, მიუხდა ერთს
ალაგს, ცოტა რამ საქონელი დარჩომილ-იყო, მთის ოსნი შემორიგებულნი იყვნეს. რა შერ-
ტყვეს ღალატი, შეუკრეს ერთი ვიწრო ალაგი, დაუშინეს, გამოაქციეს ყიზილბაშნი, დაიჭირეს
ხანი, მოკლეს პაპუა მუხრან ბატონი-შვილი, რომელი იყო ნასახბაში, ამოწყვიტეს ყიზილბაშნი,
წამოვიდნენ, შემოეყარნენ გორს თავის ჯარსა და გორიდამ აიყარნენ და ჩამოვიდნენ ქალაქსა
თფილისსა:

გაგზავნეს ჩაფარი ხელმწიფეს-თან და აცნობეს ყოველივე ყოფილი: იმა ხელმწიფეს და-
ჭირდა ქსნისა და უიმედა ყოველთა წყალობა, უბრძანა რაყამი: „რაც ტყვე იყოსო სულ ავლინის
ჯარს მიეცითო:“ იყო ტყვე დიდი და პატარა ცხრა-ასი, მისცეს სრულიად ჯარსა ავლინისასა, იყო
ტირილი და ვაება ტყვეთა-გან, ეგრეც წყნდიან ქრისტიანენი და ვისაც ძალ-ედვა იხსნიდიან და
განუტევდიან, ასე გაიაფდა ტყვე, რომ თითოს ყაყ-კაცს ოროლ მისალთუნად აძლევდიან, რომე-
ლიც არ გაუყიდისთ ცხვრულებ ყელსა სჭრიდიან და მტკვარს წყალში ყრიდიან:

ამა ამბავთა შინა ებძანა ხელმწიფეს: „რაც ქართლის ქვეყანას ჩემი ხარჯი აქვსო იმისი
სულ ლიტრა ერთ ბისტათ პური მამეცითო:“ ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ თქვენმა
მზემა, ბევრ-ჯერ ცხენთ ბალახის გურგას გაახმობდიან, დაფქვიდეს და იმას სჭამდენ: დაუწყვეს
თხოვნა პურისა, ეკიდა კაცი და დედა-კაცი მრავალი სულით ჯოხით მოკრულა, თუ პურს სადმე
გასასყიდს იშოვიდეს თავისის ხელით შვილეშს აძლევდეს, მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით
და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა. ურუმის ქვეყასა ქართლის კაცით აივსო: მოვიდა ჩაფარი ხელ-
მწიფისა, დაებარებინა ქართლის ხანი და ჩინებულნი თავადნი: მაშინვე წავიდა იმამყული-ხან, 68
აბდულა-ბეგ ბატონი-შვილი, მდივან-ბეგი ქაიხოსრო, ამილახორი, ერისთავი გივი და სხვანი
თავადნი: რა მიიწივნეს, დარუბანდს მოდგომოდა ხელმწიფე შანშა დაღისტანს, თვესა აგვისტოსა,
აოხრებდა და მოდიოდის თავი ურიცხვი ასე ცოცხალი კაცი უთვალავი: ნახეს ქართველთ ხელ-
მწიფე, დახუდა მხიარულის პირითა და დაუმადლა ერთ-გულობა: ამათ მოახსენეს ქვეყნის წახდენა,
უბძანა: „თქვენს შეძლებას ყველას შევიტყობ და იმით გამსახურებო:“ განუახლა ყველას ჯამაგირი,
განუწესა ბატონი-შვილს აბდულა-ბეგს სამასი თუმანი და ქვეყნის იხტიარობა, ორბელიანს მდი-
ვან-ბეგს ორასი თუმანი და ქართლის ვექილობა, მეორე ვექილობა, ერისთობა ქსნისა გივს ამი-
ლახორს ასი თუმანი, ამილახორს ოთარს ორმოცდა-ათი თუმანი და ქეშიკ-ბაშობა, აბაშიძი-
შვილსა პაატას ბარქიერთ-ხუცობა და ორმოდაათი თუმანი, ორბელიანს ელისბარს ეშიკ-აღაბა-
შობა, უწინვე ასლამაზ-ხანის დროს ქონდა და ახლაც განუახლა და ორმოცდა-ათი თუმანი, ოცდა
ხუთი თუმანი მუხრან-ბატონს და ნასახჩი-ბაშობა, ოცდა-ხუთი თუმანი ციცი-შვილს ქაიხო-
სროს და მილახორ-ბაშობა, ოცდა-ხუთი თუმანი თარხანს ლუარსაბს, ოცი თუმანი დჯვით ორ-

ბელიანს, ათხუთმეტი თუმანი ყაფლან ორბელიანს, ათხუთმეტი თუმანი სულხან ორბელიანს, ეგრ ეგ ყოველთა თავადთა შვილთა, ვის რა შეეფერებოდა, თითონ ხელმწიფემ იქავ სახელი და ჯამა-გირი განუწესა, ყველას რაყამი უბოძა და ეგრე სიხარულით და წყალობით წარმოავლინა ქვეყანა-სა თვისსა: რადგან ქაიხოსრო ორბელიანს მდივან-ბეგობა ქონდა და ვექილობაც ახლა უბოძა, სომხით-საბარათიანოს მეიდრის ჯარი მის ძეს რევაზს მიაბარა და ასი თუმანი ჯამაგირი განუწესა:

69 მოვიდნენ ქართველნი ქალაქსა თბილისსა, ამილახორი როსტომ იქავ ბზა-ზე დამორჩილებულ-იყო ქვეყანასა შამშადილისასა, ცხედარი მისი მოიტანა პატივით გივმა ამილახორმა:

ამავ ქორონიკონს ხანი ქართლისა ზემო-ქართლში იდგა, აიშალა იმერეთი, უღალატა მე-ფეს ალექსანდრეს დადიანმა და აბაშიძემ ზურაბ, გარდმოიყვანეს ჯარი ურუმისა, გარდმოავლეს მეფე, აიყარა თავის ცოლ-შვილით და მოვიდა ციხესა ჩხერისასა, მოუვლინა თავის მისანდობი კაცნი და თათარი ასი-ოდე კაცით გარდმოვიდა სურამს, აცნობა ამილახორს გივს, მივიდა გივი, მო-ახსენა ხანს, ხანმა მაშინვე გაგზავნა ამილახორი მეპასპორტად და მოიყვანეს მეფე ალექსანდრე, დახვდა დიდი პატივი. ვითა შეეფერებოდა და მაშინვე ხელმწიფეს აცნობეს: რა ესმა ხელმწიფემ, იამა და მოსწერა რაყამი დიდის იმედისა და წყალობისა, უბძანა ხანისა-თვის: ,,ხელმწიფურის რიგით ყოველი რიგი განუწესეთო.'' ჩაიყვანეს ქალაქსა თბილისსა, დააყენეს ხელმწიფურად და ვითა მეფეთა წესია, ეგრე ყოველივე ულუფა განუწესეს. ამავ ამბავთა შინა მოვიდა მეფის ძმა მამუკა სამოცი ოდენ კაცით და შემოეყარა ძმასა თვისსა, იყვნენ დღე და ღამ-ლხინსა და შე-ქცევაშია, არა აგლდისთვის, თვინიერ თვისსა ქვეყანისა:

ისევ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ, რა მოვიდნენ ქართველნი, განაგებდნენ საქმეთა ქარ-თლისათა, მოვიდა ნაიბარი და ყოჩაღხან ხელმწიფეს ქართლიდამ ხუთასი ნოქარი, ძველს გარდა, ამ ხელმწიფის რიგი იყო, რაც ჯარი ჰყვანდა სულ ჯამაგირს აძლევდა და თავის საბძანებელში მართალ-ზე კაცს აღარ გაუშვებდის, დიდთა ანუ მცირეთა შვილნი რა მოსულ, ჯარად არ გამოი-ყვანდის. ესეც უბძანა ავღანის ჯარის ქართლში დაზამთრება და მათის სურსათის მიცემა, რომელ-არს ულუფა ჯარისა, ამის ცდასა და რიგებაში იყვნენ გამგენი ქართლისანი:

70 ამა ამბავთა შინა უბოძა ხელმწიფემ რაყამი ახალ-ციხის ფაშისა-თვის და კოხოგნა ერისთავი შანშე: მაშინვე გაისტუმრეს ბორჩალუს სარქარდა ნადირ თავისის ჯარითა, რა მივიდა ახალ-ციხესა და მიუტანა ბძანება და რაყამი ფაშასა ახალ-ციხისასა, მაშინვე დართო ნება შანშეს და-ჭერისა ..ქმნეს ერისთავს.. რა შეიტყო ერისთავმა შანშემ, ორივ ძმანი შეეყოფიდნენ ციხეში და შეეხიზნენ ენგაისართა, არა ენებათ მოცემა ენგაისებს. მაგრამ მივიდა თითონ ფაშა და გამოი-ყვანა ძალით და მოსცა ორივ ძმანი და კაცნი მათნი, დასდვეს გისურთა მათთა ხუნდნი, შეუყარნეს ბორკილნი ხელთა და ფერხთა და ეგრე ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისსა. ეგეთხოდენ მოქა-ლაქენი და აუვლიერებულნი მხედველნი ყოველნი მათნი: მცირეთა ხანთა შინა გაისტუმრეს ეგრე პერობინისა ხელმწიფესთან და ისევ გაატანეს სარქარდა ბორჩალუსა: რა მიწივნენ, ვარსკვლავთა-

გან უმრავლესა ჯარსა შინა, მოახსენეს ხელმწიფეს ერისთვის მოყვანა: ერისთავმა მოინდომა მორთულება თავისი. მაგრამ არად უსმინა ხელმწიფემან და ბძანა დაპატიმრება მათი და შეყვანა ციხესა დარუბანდისასა: მცირეთა ხანთა გამოსტყუნა ორნივე ძმანი მაშინ პატიმრად და ებრძანა მათის ტოლ-მეგობრისაც იქ ჩაყვანა: მოიყვანა ნაიბი, ყულარ-აღასის ტოლი კაცის მეტი თეიმურაზის სახლში იყო და იქიდამ ჩამოიყვანეს და შანშე ერისთვის ტოლი ქალაქში ჰყვანდათ, ორივ მაშინვე გამოსტყუმრეს და შეეყარნენ ძმებს თვისს. ქსნის-ხევის სანაცვლოდ დაიმკვიდრეს ხორასანი:

ამაგ ქორონიკონსა გამოეგზავნა ელჩი და ფეშქაში ახალციხის ფაშას ხელმწიფისათვის 71
და ეთხოვა მეფე იმერეთისა, რომელიც იყო ქალაქს თბილისსა შემოხიზნული. ებძანა რაყამი და ებძანა გამოტყუმრება პატიმრისა ახალციხესა შინა: რაყამი ებოძა ახალციხის ფაშისა-თვის „ჩემი შემოხვეწილი არის და ისევ თავისი ქვეყანა დაანებე და რასაც აძას პატივს მისცემთ ჩემად პატივად ჩავთვლიო.“ გაატანეს ყაზახის სარქარდა თავისის ჯარით და გამოსტყუმრეს: რა მიახლნენ ახალციხეს ხელმწიფის რაყამი მიუტანეს ფაშასა. მაშინვე მიაგებნეს დიდროვანი კაცნი ახალციხისანი და გამგენი კარისანი, დაიჭირა ფაშამ მხიარულის პირითა და მოართვა ქურქი სასამურისა: მაშინვე აღასრულა ბძანება ხელმწიფისა და გაატანა ჯარი და დასვა იმერეთი: მეფის ძმა მამუკა ქალაქით გამოსტყუმრეს და მივიდა იმერეთს და შეეყარა ძმასა თვისსა მეფეს ალექსანდრეს: ამილახვრის ოთარის სწყენდნი ხელმწიფეს მოახსენდა, მისი სახელი ქეშიკჩი-ბაშობა და ჯამაგირი მის ძეს რევაზს მოუცემდა:

ქორონიკონსა ულ, თვესა ივნისსა, პატრონის-შვილი დომენტი კათალიკოზი მიიცვალა: ამასვე თვისაც სიცოცხლეში ბძანა კრებით გამორჩევა კათალიკოზისა: მას ჟამსა შინა დედოფალი კახეთისა, სადგური ქეთილისა და საუნჯე სათნოებისა თამარ ქალაქს ბძანდებოდა, ვითაც ბძანება იყო კათალიკოზი და სნეულებისა-თვის ჩამობძანდა, მიცვალებასაც აქ დაესწრა, მიიღო ყურთხევა სრული, შეკრიბნა ეპისკოპოზნი დედოფალმან ქართლისა და კახეთისანი და კათალიკოზად, ვითაც მრჩობლად ღირსი იყო ანტონი, ძე მეფისა იესესი, გამოარჩიეს, ვითარცა ამან უმაწვილო- 72
ბით-გან გაუშვა სიმდიდრე, შეიყვარა ამა სოფლის და ეტრფოდა ზენათა სასუფეველსა და აღიკვეცა ბერად, რამეთუ ისევ თვისისავე სიცოცხლეს შინა ბძანებაც უნდოდა თვისი სანაცვლოდ პატრიაქად. და ესე შემოკრებულნი კრებანიც აძლევდნენ, რათა დაჯდეს ტახტსა ზედა ბძანებისა თვისისასა: არა რა ისმა და არღარა მიიღო უმაღლესი ხარისხი სიმდაბლისა და სათნოებისათვის: ოდეს შეკრიბდა ყოვლად სანატრელი დომენტი პატრიაქი დაუძახა ურბნელს ეპისკოპოზს ნიკოლოზს, რომელიც იყო ძე ხერხეულიძისა, დაასხა სარეცელსა თვისსა წინაშე, დასდო ხელი თავსა მისსა, აკურთხა პატრიაქად, მისცა კურთხი ხელთა მისთა და განვიდა ამიერ სოფლით და მივიდა წინაშე უფლისა: წმიდა ამისი გვამი წაასვენეს დიდის დიდებითა ვითა შეჰფეროდა მეფეთა ასულობასა, ეგრე შეამკო-ქმნა დედოფალმა თამარ და მიასვენეს დიდსა სამეფოსა ეკკლესიასა, შვენიერსა და დიდსა აღმოსავლეთისასა მცხეთასა და მიიღეს ადგილსა, ხარისხსა საპატრიაქოსა წინაშე:

ამა ამბავთა შინა ქართლის ხანმა იმამყულიხანის თასაული დააყენა, კათალიკოზს ნიკოლაოზს და რაც მცხეთას საქონელი იყო, წირვის იარაღი ანუ ეკკლესიისა სხუა თავისობითან მიატანინა, უგეთურისა და ღვთის მოძულეს ვისმე დაებეჭდებინა, კათალიკოზი რომ გარდაიცვალა, საქონელი სახელმწიფო არისო. მაგრამ სამღთო ძალმა აღარ მიუშვა: ორბელიანი, სარდალი ქაიხოსრო და გივი ამილახორი გულს-მოდგინებით გაისარჯნენ, ისევ დაიხსნეს და მიაბარეს უკლებრივ კათალიკოზს საქონელი მცხეთისა:

შემდგომად ამისა მოვიდა ბძანება ხელმწიფისა: „რომელიც შია სუნისა სჯულისა აგად ახსენებს და ომარსა და ოსმანს შეაქებს ხმისა რისხვით მოკუდესო:“ ქალაქში მყოფნი ყიზილბაშნი დიდათ მწუხარე იქმნენ. მაგრამ შიშითა შანშა ყაენისათა ვერა რას იტყოდნენ:

73 ამავ ქრონიკონს დაებარებინა იმამყული-ხანს ქართლის ჯარით აღრიბეჟანის სარდალს ფე-
თალიხანს, რომელსა გამოელაშქრებინა ჭარის ქვეყანას-ზედ. ესენიც ალაზნის-პირს უნდა შეყრო-
დნენ, საბარათაშვილოს ჯარი რევაზს ორბელიანს ახლდა და ამას ხელმწიფის ბძანებით ორასი
ნოქარი. კიდევ სხვა ქვეყნის კაცი ებარა, ზემო-ქართლის ჯარის გამგედ ამილახორი ამირინდო;
მივიდა ხანი, ჩამოხდა იორ-ზე და კიდევ სარდლის ამბავს მოელოდა: იყვნენ ხანი და აბდულა-
ბეგ ძე მეფის იესესი დღე და ღამ ლხინსა და განცხრომაშია:

ამა ამბავთა შინა, თვესა აპრილსა თურთმეტსა, ღამესა ბზობისასა, ქალაქიდამ ღამე გაიპარა
გივი ამილახორი, რომელი იყვა ვექილად, წავიდა თვისის ცოლ-შვილით და თან გაიტანა პაატა
აბაშიძის ცოლი და სარიდან ერისთვის-შვილის ცოლი. პაატა აბაშიძე და ზოგი ვინმე თავადნი
ზემო-ქართლისანი: ამავ ბზობის ღამეს გამოიპარნენ იორის პირიდამ, რომელნი ახლდნენ ჯარად
ხანსა ქართლისასა და მივიდნენ ამილახორ-თან: რა მივიდა მცხეთას ამილახორი წამოეგება არა-
გვის ერისთავი ბეჟან ჯარით, ხიდი მცხეთისა ნაფარდნილ-იყო და ნავ-ტიკები მზათ დაახვედრა:
გავიდნენ უვნებელად და მივიდნენ დუშეთს, შემოიყარა ქსნისა და არაგვის-ხევისა კაცნი, მისცა
მოსაცემელი და გამოართვა ფიცი და ერთგულობა, ყოველნი თავადნი ზემო-ქართლისანი გაიერთა:
ესმა ამბავი ესე იმანყული-ხანს, დაწუხნდა ფრიად, გამოგზავნა კაცი ქალაქს და ვინცა ვინ ზემო-
ქართლის თავადნი იყვნენ დაიჭირეს და მაღალ ციხეში დაამწყვდიეს. აგრეთვე ჯალაბნი დარბაი-
სელთანი ერთს სახლში დააყენეს ერთად, გარს-მცველი მოუყენეს, ითთონ ხანი და აბდულა-ბეგ
წავიდნენ ჩაფრად ფეთალიხანს-თან: რა მივიდნენ აცნობეს ესე ყოველი, მანცა ხელმწიფეს მოახსე-
74 ნა, ჭარელნიც შემოირიგებინეს და ამათაც დასტური მოსცა, მოვიდა ხანი, აყარა ჯარი იორიდამ
და მოვიდა ქალაქსა, მაშინვე აუშვა პყრობილნი თავადნი, გაგზავნა კაცნი ამილახორთან და
ჰკითხა მიზეზი წასვლისა: ეს პასუხი მოეცა ამილახორს: „ქვეყანა ოხერი შეიქნა და არა გამო-
დიოდის რაიო, ვეღარ შევძელ სამსახური ხელმწიფისა და წავედო,“ ზემო-ქართლისა თავადნიც
ამაზე ემოწმებოდნენ: ამილახორის შვილი რევაზ, რომელი იყო ქეშიქჩიბაში გაგზავნეს გორს,
მცველად. რა მივიდა გორს წავიდა მაშინვე და მივიდა ამილახორთან:

ამა ხანთა შინა გამოეგზავნა ხელმწიფეს ბარდის ხანი და ეკითხა მიზეზი ამილახორის წასვლისა: მოვიდა და დაელაპარაკა და მისცა ფიცი. „თუ ჩამოხვიდე არა-ვითარი ხელმწიფისა-გან არა დაგიშავდეს რაო. მაგრამ არა ინება და ვერას ღონის-ძიებით ვერ დაიმორჩილეს ამილახორი: მოახსენეს ხელმწიფეს შანშას მოუსვლელობა, კვალად რაყამი კიდევ ამილახორისა-თვის წყალობისა: „თუ ჩამოხვიდე, ყოველი შენი ცოდვა მოგეტევებაო:“ მოუვიდა ეს რაყამიც, მაგრამ არა რად ინება და შემოუთვალა უარი:

ამა ამბავთა შინა დაწერეს ქართველთ გაომხრე [1] ხელმწიფეს-თან და მოახსენეს ქვეყნის სიღარიბე და მეფეთ-მიზეზისა-გან უსამართლოდ დაწერა და ქვეყნისა-გან შეუძლებლობა: რომ ისმინა ხელმწიფემ ქართველთ შეწუხება. მაშინვე დაიბარა აბდულა-ბეგ და ქაიხოსრო სარდალი და ქვეყნის უხუცესნი კაცნი: „თქვით ჩამოვიდნენ ჩვენს დიდებულის კარ-ზე და მოგვახსენეს, რაც მოსახსენებელი ჰქონდეს თავისის პირით, აღსრულდა საწადელი მათიო:“ მაშინვე წაბძანდა აბდულა-ბეგ ბატონის-შვილი, გამოლაშქრის თავადი ყინწაყის დარბაშილ-იყო, თან იახლა აგრეთვე სარდალი მდივან-ბეგი ქაიხოსრო ორბელიანი და თან იახლა სომხით საბარათაშვილი უფროსის კაცით:

ამისა შემდგომად გამოეგზავნა ხელმწიფეს ერთი დიდებული კაცი და ეთხოვნა ქართლისა 75
და კახეთისა-თვის ორისა [2] ყული ოცის წლისა და ოცდა-ხუთის წლისა: ამას წინათაც ქალი ეთხოვნა ათორმეტი და ბიჭები იყო, ქალს ქალური საქციელი უნდა ესწავლა, აქაც ვაჟს კაცური საქციელი ესწავლა და ეგრე მიართმევდა ხელმწიფეს: მსწრაფლ აღასრულეს ბძანება, დაავროვეს ქალი და ვაჟი, ვისაც ჰკვანდა საკადრი ხელმწიფისა და დააწყვეს ქალაქს შინა ესწავლად საქციელთა ქართველთა: ბატონიშვილი ანუკა ლევანისასიას ახლდა კახეთის, ვითაცა და იყო, ქალაქიდამ თან-წაიყვანა. ეს აბაშიძისა ვახუშტისა რომ გაიპარა ბატონიშვილი ისევ კახეთს ბძანდებოდა: ვეღარ უძლებელს-ჰყო ვახუშტი აბაშიძე-მ მეუღლე თვისი ანუკა ბატონის-შვილი და ჩამოვიდა ქალაქს თბილისისასა, იამა დიდად იმამყული-ხანს, ებოძა ხალათი, დააყენა პატივით: ოდეს განვიდნენ ქართველნი ქალაქით გატეხილ-ხიდ-ზე, შემოეყარათ ნიავარი, ეთხოვნა ხელმწიფეს ქართლისა-თვის თავისის ყალ-ბეგით ექვსი ათასი ხარი, განჭიდა-მ პური უნდა აეკიდათ და დაღისტანში მიეტანათ: ესენი რომ ვეღარ დაბრუნდნენ და ბძანება მოვიდა, ქალაქში მყოფთა ვექილ-ვეზირთა მსწრაფლ დააგროვეს და გაისტუმრეს. მაგრამ აღარ დარჩა ქართლში ხარი, ამით რომ იქაც დაღისტანს ეთხოვნა (ში), ეთხოვნა სამი ათასი ურემი შებმული, გასტუმრეს, აქედგან პური ორიალი ხარვარი, რომელ ხარვალი არს ასი ლიტრა, შამახიიდამ მიიტანეს დაღისტანში. ამისა 76
შემდგომად ეთხოვნა ხარი ორი ათასი, გაისტუმრეს, აკიდეს პური ბარდიდამა და მიიტანეს დაღისტანში:

---

(1) გამოხარი უნდა. დ. ჩ.

(2) ორასი უნდა დ. ჩ.

მოვიდა ბრძანება ხელმწიფისა, უბძანა ქართლის ხანისა-თვის ამილახვარ-ზე გალაშქრება. აღასრულა ბრძანება და გავიდა ქალაქით, რა მიახლდა მცხეთას, ეს ურმები რომ გავიდა ერთს ღამეს მარწყულს ისადგურეს, ქვეყანამაც მოვიდა ქარვანი ქაშანისა ტვირთული რა-რითა, ეს ქარვანიც ამ ურემებ-თან დადგა, დაესხნენ მასვე ღამესა ქსნელნი და მოსწყვიტეს კაცნი და იავარ-ჰყვეს საქონელი ურიცხვი; აცნობეს მაშინვე ხანსა, მაშინვე გამოუსია ჯარი. მაგრამ ვერსად მოეწივნეს და წაიღეს დიდ-საშოვარი ურიცხვი უვნებელად. ამილახვრის გაქცევა-ზე ხელმწიფეს ქართლში ყაენ-ხანის დის-წული გამოეგზავნა; ეს ქალი აბაშიძესი (წაიყვანა), მოვიდა წინ-წყაროს ჯარით, რაც საბარათაშვილოს ჯარი და ურემი იყო შეყარა, იქ მოიყვა მტრებით ცხვარი და გაისტუმრა მშვიდობით.

რა მიეახლა ხანი გორს დაუწყო რბევა ქართლსა და წვა მოსავლისა გორის. ხანის მისვლამდის წასულიყო ამილახვარი და გაემაგრებინა ციხენი შიდა-ქართლისანი, სურამის ციხეში თვისნი მისანდო კაცნი უდგნეს და ეწვია ძალით ხელაბაში მეტრეს ციხე და შეჰყარებინა კაცნი თვისნი. გარდამოეტანა ახალ-ციხიდამ ტყვია-წამალი, ვითაც ახალ-ციხის ფაშის ფირმან-ჯარ მოეცა ჯაბახანა მისცეს ერისთვისა და სხვაგვარად ურჩ-მდგართა ქართველთა-თვის, ახლაც მეზიზსად ღონისა მის, მეუდამ ადლეყდა ჯაბახანისა და მირდებოდა მოხმარებასა ამილახვრისა, გამოიარა ამილახვარმა ქრისტიანეთ-ზე და იმ ძირობა-ზე და განამდიდრა მიმდგომი თვისი და მოვიდა, დადგა სხვილოს.

ამა ამბავთა შინა, მოვიდა ერევნის ჯარი და განჯისა, შემოეყარნეს იმამყული-ხანს, ლომგულ ღლე წავიდის ამათი მარბიელი და მოარბევის მთას აქეთი, დაწვის მოსავალი ანუ მესხობა და
77 მოვიდის უვნებელად. დაუწყო ლაპარაკი ხანმა ქართლისმა თავადთა ურჩმდგართა, დაპირდა წყალობასა უშურველსა, მისცა ფიცი უშიშობისა-თვის, მოვიდნენ ზოგნი ვინმე თავადთაგანი, დამოსა ხალათით და არა ავნო რა.

გაისტუმრა ხანმა ავალის-შვილი ზაალ, მე როსტომისა მეტრეს ციხის ასაღებლად, ადვილად მისცემელი. მივიდა, შეამარცხა კაცნი, აიღო ციხე და გამოასხა კაცნი ამილახვრისანი, შეყავასა კაცნი თვისნი, უბოძა ხალათი ხანმა და უქმნა წყალობა ფრიად.

გამოეგზავნა დიდს ზაალს ავალის შვილის შვილი მძევლად, დაუდვა სამსახური. გაუგზავნა ხანმა წიგნი წყალობისა და ვინა მოვიდის უბოძის ხალათი და აღრაცხის ერთ-გულთა-თანა.

დაუწყო ლაპარაკი გაშუშტი აბაშიძეს. „თუცა არ მოიყვანე შენი შვილებით, არა ხარ ერთგული ხელმწიფისა." იდგა ურჩველი სამსახური ხელმწიფისა, გაშუშტი-მე დაიჭირა ფიცითა და გაისტუმრეს მშვიდობით.

აიყარა ხანი ჯარითა მძიმითა და ჩამოხდა ჭალას. გამოვიდა ამილახვარი გივი სხვილოსის ციხით, დასცა კარავი გარეთ, გავიდის გარეთ ასათი მებრძოლი და გამოვიდის იმათი. იყვის ომი ფიცხელი, დაიხოცის ორგნითვე ურიცხვი, იყო მცირედი ხანი რამე და აიყარა იქიდამაც,

ჩამოვიდა მუხრანში. იქიდამ არაგვის ერისთვის მამულში შესლვა დააპირეს: შეუტყვეს ერისთვიანთა, გამოუძღვა ოტია ერისთვის-შვილი და რაც შესავალი გზები იყო სულ შეუკრეს: რა მივიდნენ საბრძოლველსა ადგილსა დაუშინეს არაგვის ერისთვის კაცთა და მრავალი ყოჩაღობაში მო- 78
კლეს და ძალიან გამოდარიგეს: მერმე უბძანა რევაზ ორბელიანსა, მიიმძღვარეს საბარათაშვილოს ჯარით, გიით ხელჯობდა სიკვდილსა მათსა. ეგრე მისულ იყვნენ. გაიქცნეს ოტია და დაადევნენ გზანი საჭირონი და მივიდნენ უცნობელად: მოვიდა ხანი და ჩამოსხდა ბაზალეთს, შეკრეს საგარი სანგარი და დაადგინეს ზარბაზანი, გამოვიდოდნენ შებრძოლნი მათი, კაცთა ასთი, იყვნენ ომი. დაჭრა ამა ჯარმა იბრძოლეს დღე და ათასი დღესა შეიმუსრეს და მოვიდა ისევ გორს:

დაიბარა ხანმა ყაზახ-ყიზილბაში და მუსტაფა: რა მივიდნენ გორს დაუწყეს ჩუმლაყის რიგება და მაღლაკთათისაც იმათმა დაუშინეს: რა შეიტყვეს, ვინც ახალი მოდგომილი სამხატის კაცის შვილი იყო სულ გაიპარნენ და წავიდნენ: ეს იცოდა ხანმა, შეიქმნა ხანი. მივიდა, საქართლის ციხესა (ციხის) აქეთ სულ მოაოხრეს, დაატყვევეს ურიცხვი და ჩამოვიდნენ გორს: წავიდა მეორედ. წაახდინეს ხერთვისის გარეშემო და ჩამოვიდნენ უცნობელად: ათასი გორიდამ, ჩამოვიდა, დიდგორს, გავიდა მტერს ჯარით, ადლის კასპის-ციხე, ჯარი გორს დააყენა, ხანი ჩამოვიდა ქალაქს:

ამა ხანსა შინა შეიქნა დიდი სასწაული, რომ ორშაბათი დღე და ღამე ქვეყანა იძროდა. დიდი საშინელება შეიქნა ქვეყანა-რყევისა-გან, არსად დადგა კაცი, ალავერდის საყდარი დაიქცა, ლილის-ყურის და ახმეტის ციხები ორივე დაიქცა, იალბუზის მთები ბევრს ადგას გარდმოიქცა და მრავალი სული, მსახლობელი კაცი ქვეშ მოიტანა, ქართლშიაც მრავალი შენობა დაიქცა: ოთხის შუეკ ოქიმურამ და დედოფალი თამარ, ყოველ ღვთის-სავედრებელი იყვნენ და ტირილ შენდობის სურვილისა, ეგრე გულ-მოდგინედ ქვეთისა მოაირნეს, გულ-მდუღარედ, თვალ-ცრემლოვანნი და მოი- 79
ლოცნეს წმიდათა ადგილნი და ევედრებოდნენ ღმრთისა შეუძლოებასა ქვეყნისასა: ავრეთვე ქართლში იყო ყოველ-გან ტირილი და ვედრება ღვთისა წინაშე ქორონიკონი იყო უღ, თვე იყო აგვისტო:

რა ქართველნი ნახვიდნენ და შეაყარნენ ყარსაგვლეთა უმრავლეს ჯარსა, მიიყვანეს ქართველნი ერთ-ერთ დაშლქ'ისასაში ჩამოსხდნენ: ბერყველსაც მისგლა-ზე ელიზბარ ორბელიანი დასწყრეს, რომელი იყო ქმნილებაში ქართლისა. აბის-თვის რომ ამათი და ამილახვარს გიგს ცოლად ესვა და ამ ელიზბარის უმრწემესი ძმა ყაიტანს და ორი ბიძას-შვილი გიორგი და სულხანი ამილახვარის წასლვას უგანი ქმნილი თავისის ადგილიდამ აიყარნენ და წავიდნენ. არა ხელმწიფის ორგულობითა, სილარიბეზე და ავმა დროზე შეაწუხათ და იმერეთის გარგი მოუყრები ქვყანიდა, მივიდნენ, შეეხიზნნენ, რაჭის ერისთავმა გრიგოლ შეიწყნარა ფრიად და მისცა სამყოფი: ამათის წასვლაში სამი ურუმი მიმავალი ვისმე გზა-ზე მოეკლა, ამათ შებრალდათ. ურუმებს მოსვლამდის კაცნი რომ მოვიდნენ, მტერმა შეასმინა, იმათ დაადვა ორბელიანთ სახლს: მაშინ მტერი ბევრი ქვეყანა, ამით რომე დიდებული, შეუძრველი სახლი ქმნილდათ და მერე არ-ოდეს არას ხელმწიფის

ორგულობა და ღალატი არ შეხსენებოდათ. ეს კეისრებოდათ და ყოველ-გზის ცდილობდნენ მათს დამცრობასა: დააყენეს ურუმნი და წარუღო-იყვნეს, ხელმწიფისა-თვის მოეხსენებინათ და ამილახვარისა და ამათი მოყვრობაც გაეშინჯებინათ: ხელმწიფე ამილახვარზედაც გამწყრალი იყო და
80 ეძიებდა ისევ ახალ ამართლებისა და მოჭკლა მოხმობით: სარდალს ქაიხოსროს უბძანა. „რადგან შენს ქვეყანაში ეს საქმე მომხდარა, სისხლი ურუმებისა და საქონელი შენ მიეცი:“ სხვა მრავალი აუკრძალა ქართველთ ამილახვარის წინადადებისა-თვის და ზემო-ქართლის უგულგრილობისა-თვის მეჯქარა მოითხოვა: „ქართლში მიწასაც აღარ გაუშვებო.“ გამობრუნდნენ ქართველნი დიდათ შეშფოთებულნი: მოუბრუნა კიდევ ღმერთმან გულნება ხელმწიფეს და დაუძახა ქართველთ, მიატანინა მუშტაიდის დავთარი და თავისთან წააკითხა. ბძანა: „ხუცებისა და საყდრების ხარჯი მიპატიებიაო:“ ნიკვი ლფიისა სარჯიც მოუკლო, რომ ქვეყნისა სამი ათასი თუმანი მოაკლდა, ქართველის კაცის მალი გაუშვა და სიმუხს, ვითა წესია ისევ დადვა. მორჩნენ ქართველნი შიშსა და გამობრუნდნენ მხიარულად:

კახი ბატონი თეიმურაზ ამათს უწინ ნამობძანებულ-იყო, დახლომოდა მხიარულის პირით და რაც მოეხსენებინა ხელმწიფისა-თვის, ყველა გარკვად შეესმინა, კახეთიდამ რაც სახელმწიფო ხარჯი ეთხოვნა, ის თავის ნოქარში გაებარებინა და სხვა აღარა ეთხოვნა რა: ებძანა. „ერთი წყენი მუსტაფი შენ-თან იყოსო, როგორც გინდა შენ იმსახურეო, სხვა შენის ქვეყნისა არა მინდა-რაო, მუდამ წემის ხლებისა-გან უუხვესის წყალობის მოიმედე იყავო:“ მობძანებულ-იყო კახი ბატონი ამ წყალობით კახეთს: გამოისტუმრა ქართველნი ხელმწიფე-მ და უბძანა: „თაიმურაზ-ხანს იახელით და ამილახორი შემარიგეო:“ ერთი რაყამი მეფეს თეიმურაზს უბოძა. „შენ თავდებად დაუდეგ ამილახორსაო, რომ წემ-გან არა დაუშავდეს რაო:“ მოვიდნენ ქართველნი და მაშინვე კახეთს გაგზავნეს ბატონიშვილი ესეისბეგ და თარხანი ლუარსაბ და აცნობეს მეფეს თაიმურაზს ბძანება ხელმწიფისა: მაშინვე წამობძანდა მეფე და მობძანდა ავჭალას, ხანი ქარ-
81 თლისა წავიდა გორს, ბატონი მცხეთას მიბძანდა, ბატონიშვილი ანდუღაზბეგ და ქაიხოსრო სარდალი შეიყარნენ იქა და იქიდამ დაუწყეს ლაპარაკი ამილახორს: მას ხანში ამილახორს მეიდან-ათასი ლეკი მოსვლოდა და თავის-თან ედგა, ულუფას აძლევდა, შემოუთვალა ამილახორს: „ამდენი ლეკი შენი (შინ) მიდგასო, ეს გამაცალეო და მე ნამოვალო:“ წავიდა ამ ლეკისა ერთი ბელადი თავის ჯარითა, გარდიარეს თრიალეთი, დაესხნენ თავ-ფარავანს და მთლად საქონლით და ტყვეთ სულ აიკლეს და ნაშოვარი წამოიღეს ურიცხვი, მოვიდნენ უვნებლად, შეეყარნენ ჯარსა თვისსა:

ამა ჟამთა შინა მოუვიდა ამბავი მეფეს ალექსანდრეს, თავისის დედის გოჯი-ბრალისა-თვის ღალატი შეუმცნია და მოჭკლა მახვილით:

ეს ამბავი მოვიდა ქვეიდამ, შანშე ერისთავს და თავის ძმას ყულარაღას ისხეს ხელმწიფე-მ ორთავ თვალები დასთხარა, რომელნი იყვნეს ხორასანს თახსირად: გაგზავნეს კახნი ბატონმა თვისი ეშიკაღასბაში სულხან და თარხანი ლუარსაბ, დაემოციქულა ამილახორს, პირი მისცა:

„არაფერი შენ ხელმწიფისა-გან არა დაგიშავდეს-რაო:“ შეიდინენ, ყოველი ბძანება შეუტანეს. მაგრამ ვერ დაიმორჩილეს და მოახსენეს მიზეზი ზოგ-რიგი წამოუსვლელობისა:

ამა ამბავთა შინა ადრიბეჟანის სარდალი ფათალი-ხან, ცოლის ძმა ყაენისა, თოფჩარაღაჯს მოსულ-იყო და წაფარი გამოეგზავნა მეფის თეიმურაზისა-თვის და დაებარებინა: აიყარა მაშინვე მცხეთიდამ და წაბძანდა, შეეყარა ფათალი-ხანს ყარაღაჯში, იქავ მოუვიდა ფათალი-ხანს წაფარი ხელმწიფისა: „შვიდი ათასი ლეკი წამოვიდა ქართლ-ზედაო, შენ ახლავ თანა უყავო:“ მოვიდა ეს ლეკის ჯარი და შეეყარნენ ამილახორს: ამ ლეკების თავი ერთი გალეგა იყო, რომელი სამი წელიწადი ხელმწიფეს თავრიზს ხარაჯში (¹) ჰყვანდა და იქიდამ გამოიპარა, ერთი თავი მალაჩი და სხვა წვრილი ბელადები ბევრნი: აიყარა ფათალი-ხანც და მოვიდა ქალაქს ტფილისისას, თან- 82
ახლდა ავახან, რომელი იყო სტამბოლს ხონთქარ-თან ელჩად, დიდის დიდებითა, ჯარი მაშინ-
ვე გაგზავნა გორს და თითონ დაჯდა მეჯლიშად, დიდ ღვინის-მსმელი კაცი იყო და მოთამაშე და მომღერალ-მგერულნი თან ბევრი ახლდეს: გარდა მეტეხის პირი რიყე სულ ჩირაღდნით გააკეთებინა და სამი დღე და ღამე ეგრე ლხინი ჰქონდა: რა ეს ჯარი მივიდა გორს, ამილახორი-შვილი რევაზ და გალეგა და ორი სხვა ბელადი ლეკისა კაცის ჯარით ფალდოს შვიდს ათასს მისდგომოდა ერე-თის ციხე-ზე, დიდ შეეწუხებინათ: ამ ჯარის მისვლა რომ შეეტყოთ ციხის კაცთ ძალი მოემა-ტებოდათ და მიშველებასაც ელოდეს და ლეკნი კი არ იცოდნენ ყიზილბაშის მისვლა: ერთს ღამეს უყვეს ერიში ლეკთა, გამოუხდნენ ციხით და გულ-სრულად შემოებნენ. პირველსავე მისვლაზე სამიც ლეკის ბელადი დასცეს და გალეგა დიდად დასწყლულეს. მაშინვე გამობრუნდნენ და მოვიდნენ ისევ წყალსა: მოკვდა გალეგა და დამარხეს იქავ:

მოვიდა ჯარი ლეკისა ურიცხვი და ჩამოდგა ორბელიანთ მამულში, აიოხრეს, დასწვეს, არსად გაუშვეს შენობა, თვინიერ ციხეებისა:

გავიდა ქალაქიდამ ფათალი-ხან სარდალი ადრიბეჟანისა გოჯს ამილახორ-ზე, მივიდა, წამოხდა მეტეხს. იქიდამ დაუწყეს ლაპარაკი და მოციქულობა გოჯს: „ნუ გეფიქრება ხელმწიფისაო, რაც შენი საწადელი არის, მე აგისრულებო:“ სამი დღე ამილახორს შუღლათი ეჩხუბა. ამ სამს დღეში ეს იანდარიგი დაიჭირა, რაც ლეკი ნაშოვარი ეშოვნათ, ამათ ერთი კაი ჯარი გაატანეს ლეკისა და გაისტუმრეს დაღისტანში. სხვა ლეკის ჯარი ისევ ამილახორ-თან დადგა: შემოეთვალა ამილახორს „ლეკი ამდენი ნაშოვარი მაქვთო, მაგათ დაჩვდით, ნაშოვარიც მრავალი დაგრჩებათო და მეც თქვენს სამსახურში მოვალო:“ ამა ფათალი-ხანს, ამილახორის მოსვლაც დაიჯერა და ლეკ-ზე გამარჯვების იმედიც ჰქონდა: აიყარა მაშინვე მეტეხიდა-მ და გაუდგა ლეკთა, მიეწია გახეთის, 83
გახსნიც შემოეყარნენ, ერთს მთა-ზე შეეწყვნენ, პირველ მისვლა-ზე ეამარჯვათ ყიზილბაშთ და რაც მიჰქონდა სულ დააყრევინეს და ლეკნიც ბევრი დახოცეს. მაგრამ უგან თურმე, ლეკთ სხვა

(¹) არამმა ქმნა და ნ.

ჯარი ჭყვანდაი დამალული, წამოუშალნენ, გამოურიდნენ შიგა, გამოაქციეს ყიზილბაშნი, ნამოვა-რიც ისევ გაარევინეს და თათარნიც ბევრი აჰოსწყვიტეს; ბორჩალოს ხანი იმ დღეს მოკლეს და ვახი ოალია სუფრაჯი სოლდაკა-შვილი მოკლეს. სარდალი ფათალი-ხან ლალის-ყურს იყო სამო-მხდარი, აგარა იქიდამ, ჩამოვიდნენ თელავს სახლსა შეფისასა, დასვდა ბატონი გამომწვევნებით და მიართვა მისართმევი, იქიდამ ჩამოვიდა ყუმეკადას: ამა ამბავში ქარიმ-ხან, რომელი იყო ნა-თესავი ხელმწიფისა ქართლში გამოგზავნა დიდის ჯარით ხელმწიფეს. რასაც დღეს შემოვიდა, მეორეს დღეს გავიდა, მივიდა, დადგა შულავერს, იმამყული-ხან გასვლის იყო და ისას ელოდა: ფა-თალი-ხან ხელმწიფეს დაებარებინა და წავიდა. იმამყული-ხანი ქართლისა მოვიდა, შემოუყარა ქერიმ-ხანს, ორივ წავიდნენ ამილახორისკე: უკუსდგომოდა არაგვის ერისთავს თავისი კაცნი. ამისა გოგია-შვილი ბეჟან ერისთვის დაჭირა მოკლდომებისათ, ვითაც შრავალ-ჯერ მოკლდათ ერისთავი არაგვისა: შეუტყო ამილახორმა და იმ საქმეში რეულნი კაცნი სულ-ერთად მოტყუებით შეყარა, დაიჭირა და ბატიმარ-ჰყო ყველნი. გაგზავნა ამისა სალი-ხურცესი ერისთვისა, დაჭერას ციხიდამ გარდმოაგდებინა: მოვიდა ანანურს, იავარ-ჰყვნა ორგულნი და უწყალობნა ერთ-გულთა, მით რომ ბეჟან ერისთავი სიძე იყო ამილახორისა და მერე თუ არაგვის კაცნი უკუსდგომოდნენ, ვითარცა ქსნის კაცთა დაიმორჩილებდა:

შეატყო ჯარის მისვლა ამილახორმა, დაცალა ციხეები და დაასხნა სალთი მეთოფე, თითონ თავისის ჯარით სხვილოს ზეით მთაში დადგა: გავიდნენ ყიზილბაშნი და შეიქნა ომი, გაემარჯვა ამილახორს. ჩამოვიდნენ ყიზილბაშნი, შემოადგნენ სამთავის და აიღეს, ჭალის-ციხე დაუცალეს გამაგრებით. მერე მოვიდნენ და შემოადგნენ სხვილოს ციხეს, მოუტანეს საგრები, ქვეით გალავანი
84 იგითან დაუცალეს, დარჩა ყიზილბაშთა, იყო ბრძოლა ყოველ-დღე მაგრით მეციხოვნეთა-გან და აქეთ ყიზილბაშთა-გან: ამა ამბავით მისს მოვიდა ბრძანება ხელმწიფისა, დაებარებინა იმამყუ-ლიხან, გამოერთმევინა ქართლის სანახი და მიეცა ყოვლა ხასიას-თვის, რომელი იყო ყმაკალას-ბაში ხელმწიფისა და გვარად ქურდი: რას დღეს მოვიდა ამისა ნიავარი, მასვე შემოეცალნენ ციხეს, აიყარნენ, იმამყულიხან წამოვიდა ქალაქს და ქერიმ-ხან მივიდა გორს: რა ჰკითხა ამი-ლახორმა გამოცვლა იმამყული-ხანისა, მაშინვე გამოგზავნა აზნაურ-შვილები ქერიმხანს და და-პირდა მორჩილებასა. იმა დიდათ და მისცა სალაროსა, მისწერა წიგნი ამილახორს: „თუ ჩამოსვი-დე ყოველი შენი საქმე მე თავს მიდვია:"

მოვიდა ამბავი, ყაენს შაჰმას თავისის უფროსის შვილისა-თვის თვალები დაეთხარა, რომელ-სა ერქვა რიზა ყული-ხან და ამისივე ბიძის-თვისაც, რომელი იყო უფროსი ძმა ფათალი-ხანისა, დუგთვალი-ხანს:

გამოგზავნა ხელმწიფემ ერთი მახლობელი ყული ფერიდონ-ბეგ, დაებატიოა დედოფალი ყანიოისა თამარ და მეუღლე აბდულა-ბეგისა, ბატონიშვილისა, რომელი იყო ასული გახის ბა-ტონისა, ბექუმ, და რაც ქართლში სახელმწიფო ტყვე იყო დაგროვებული ისიც დაებარებინა:

ამაზე ყორღოხ ბეგის-თვის ებძანა ხელმწიფეს: „იმამყული ხანისა-თვის ხონობა გამოეცხადე-
თმეყით და საქონელი სულ სახლისა დაუწერეთ და თითონ ჩვენ-თან გამოეგზავნეთო,, გაიარეს
ბძანება ხელმწიფისა, დაუწერეს საქონელი და თითონ გაისტუმრეს ხელმწიფეს-თან: მოვიდა
ხანად ქართლში ყორჩახან, სიტკბოებითა და სამართლის ჩემულობითა: რა მიუვიდა ამბავი ამი-
ლახვარს, მაშინვე გამოუგზავნა თავისი მისანდო კაცი და ფეშქაში ყორჩაყ ხანისა-თვის, დაპირე- 85
ბოდა სამსახურისა ხელმწიფისასა: მისცა ხანმა ხალათები მოსულს კაცთა და გაგზავნა გაათავლიკო-
'სა ნიგოლდარი'ს, შეუთვალა ყოვლად: „იგი ხამოხცვიდე, არა-ფერი შენი საზიანი არა გვინდოდესო-
რაო:"

გახეთში მოსულიყო ოთხ-ათასი ავღანი დასახმარებლად. ჩამობძანდნენ მეფე და დედო-
ფალი გახეთის ქალაქს და ქალაქიდამ წაბძანდა მეფე და დედოფალი თამარ და ბატონის-შვილი
ბეჟუმ ხელმწიფეს-თან, ასრე რომ: რაც ქალაქში სახელმწიფოდ ყველა იყო დაგროვებული, ან
ქალი ერეკლე გაისტუმრეს: ყორჩა-ხანის მოსვლამდე ყარჩიღა-ბაში სოფლიდამ ქალაქიდამ გაიპარა
ცოლ-შვილითა და ატენის ციხეში მივიდა. აცნობა ამილახვარს, გასაძლიერე, ცოტა ლეკიც იშოვა
და მანც დაუწყო რბევა ქართლისა. იტყოდეს, ყრიის-შვილი ყოფილაო: ამილახვარს შემოუთვა-
ლა: „ბატონის-შვილმა აბდულა-ბეგ და ვექილ ვე'ზირმა მნახონო და ჩემს სიტყვას სწორეს იმათ
მეტყვიო:" რა ეს ამბავი ნამთიტანის გაათავლიკოში სიგოლდარის, მაშინვე წაბძანდა აბდულა-ბეგ და
ვექილ ვე'ზირი, ნახეს ამილახვარი, აცნობეს ერთმანეთის თავისი ამბავი, ბოლოს ეს პირობა
მისცა ხელმწიფეს: „ეს მამისხსენით, ჩემის შვილებით სამსახურისა და სანამდის ხელმწიფის
ამბავი მოვიდოდეს, მძევლებს მოგცემო:" წამოვიდნენ, ეს ამბავი ყორჩა-ხანს მოუტანეს და
ამილახვარმა მაშინვე დაავროვა საამილახვროსა, ქსნისა და არაგვის აზნაურ-შვილები და გამო-
უგზავნა ხანთან მძევლად: აიყარა ხანი და მივიდა, დადგა გომს, გაგზავნა საფარი და მოახსენა
ხელმწიფეს: „მძევლების მოცემა ამილახვრისა-განო:" წამოვიდა ყარჩიღა-ბაში სოფლიდამ, რომელი
ეგო ატენის-ციხეში შეუმდგარი, შემოეხვეწა ხანს, მოხსიხოვა შეცოდების შენდობა, აპატია
ხანმაც დასაშვები და არა აწყინა-რა:

რა ჩამობძანდა კახი ბატონი და დედოფალი თამარ ხელმწიფეს-თან მიიწვია ეგრეთ, დასდვა 86
პატივი უზომო, უბოძა ხალათი მძიმე და ისმინა ეგრეთვე: რამდენჯერ-მე ჩაბძანდის ბატონი უზო-
მო პატივი მისცეს, რომ ყოვლის ერანის ხანებს უკვირდებოდა: მაშინ ხელმწიფე გამოსულიყო
დაღისტნიდამ, დაემორჩილებინა დაღისტნისა უფროსი კერძი, მცირედღა დარჩომოდა, მოვიდა მუ-
ღან-ჩოლში თავსა მარტისა: რაც ხელმწიფეს დაღისტანში დაეყო გამოსულიყო ერთი წელიწადი
და შვიდი თვე, თავის-შვილის რიზა-ყულის შვილი შარუხ-ბეგ, რომელი ჰყვანდა ყაენის ქალ-თან,
ის ერანის ხელმწიფედ დასვა და იმის მაგიერ შეუთვალა ხონთქარს: „მზა-იყავ, შენ-ზე მო-
ვალო:" ხონთქარსაც სარასკარი გამოეგზავნებინა და ყაენიც გამართა, წავიდა ხონთქარის ქვე-
ყანა-ზედ:

ამილახვარის მზვერვების მოცემის ამბავი რომ ჩაუვიდა იწყინა ხელმწიფე-მ და მოსწერა რაყამი: „ამდენი ქვეყანა ჩემს საბძანებელში არისო, ვის გამოვართვი მზვერავი, რომ ეგ მზვერვით ვიმსახურო, თუ ჩემის ბძანების მორჩილი არისო, ჩამოვიდეს და ბძანებისა-ებრ ჩემისა მემსახუროსო და თუ არა ქნას, ყოვლის წახდენით წაახდინეთო:"

მოვიდა ბძანება ესე. მაშინვე გაუგზავნეს ამილახვარს თავისი მზვერვები და შევიდა ხანი ქართლისა, ხანი ერევნისა და ხანი დოსბოლისა დიდის ჯარით და წავიდნენ, აბელადეს ფალავანდის შვილი იორამ, დაესხნენ სამაჩაბლოსა, მრავალი სული დაატყვევეს, აოხრეს ის ქვეყანა, იმათაც ომი აკიდეს, ყიზილბაშნი ბევრი დახოცეს. ჩამოიტანეს ნაშოვარი, შესხეს ჯარი მთლივ და ათარეშეს, ზემო-
87 ქართლის ქვეყანა, საფალავანდისშვილო და ის ძირობა სულ გაოხრეს: მიუხდნენ სურამის ციხეს, გარეთი სულ წაახდინეს, ჩამოვიდა ეს ჯარი დიდის ნაშოვრით და დადგა გორს:

მოვიდა ჩაფარი, დაებარებინა ბატონი-შვილი აბდულა-ბეგ: რა ჩაბძანდა, ჰკითხა ამბავი ქართლისა და მოახსენა ყოველივე: ამისა შემდგომად გამოვიდა ჩაფარი, დაებარებინა ვექილ-ვეზირი მუსტაფი და ქალაქის ვეზირი ალა, წავიდნენ ესენიც და მათგანც იუწყო ამბავი ქართლისა:

მოვიდა ბძანება და გამოერთმევინა ქართლის ხანობა ყოჯა-ხანისა-თვის და კარ-ზე დაებარებინა: ქერიმხან, რომელი იყო კაცი დიდებული, მსგავსად ხელმწიფისად მქცეველი, რაც ჯარი ახლდა ჯაჭვ-ჰოლორტიგითა, მოჭედილნი ცხენით კაცამდის და მუდამ განმზადესულნი საომრად, და ხანი ერევნისა და დონბალისა ესენიც დაებარებინა. ასეთი ხმალი გაიჩინეს ქართველთა მას ჟამში, რომ რაც კაი ჯარი ჰყვანდა ხელმწიფეს აქ ქართლში გამოგზავნილის, ეს ოთხივ ხანები თავისის ჯარებით წავიდნენ და შეეყარნენ ხელმწიფესა:

მიეცა ქართლი ალია (ალიხან?) ხანისა-თვის, რომელი იყო გვარად ხვარასნელი, რომელსა ერთი ზამთარი ქალაქში დაეყო. ჯარად მოეცა, რომელი იდგა კახეთს ჯარი ავლასნისა და ყაზახ-ბორჩალუ და ქართლის ჯარი: მოვიდა ალი-ხან ქართლში ხანად და ბატონის შვილის აბდულ ბეგისა-თვის დაედვა საქმე ქართლისა: „ამის შეუკითხავ არა იქნას რაო:" გამოესტუმრებინა ბატონის-შვილი ბეგუმ და ებოძა ურიცხვი: მობძანდა კახი ბატონი, ებოძა საკადროდ თავისა ხალათი და თეთრი ინამად, აგრეთვე დედოფლისა-თვის ხალათი მძიმე, ინამი და ექვსასი თუმანი
88 ჯამაგირი ამსალად და ელი კახეთისა, რაც ძველთა-გან ჰყოლოდათ კახთა მებატონესა. აგრევ მოეცა ლარი ანუ მოსართმევი, ხელმწიფობისა შესაფერი სიძესა თვისა, რომელი ჰყვანდა . . . უმრწემესი ასული მეფის თაიმურაზისა ალიყული-ხანს, რომელი იყო ხემწიფის ძმის-წული, ძე იბრეიმ ხანისა, რომელი მოჰკლეს ჯარში: გამოეგზავნა ხელმწიფეს აქავ ნაეფზირალნი მირზა აშუმა: „ქართველნი ჩივიან, ქვეყანა ხარბა არისო და მიდი, დაწერე და მართალი მომახსენეო:" მოვიდა, დაიარა, დაწერა. მაგრამ არა-თუ ციხეში შენობა ვერსად დაახვედა: შეაბეზღეს ხელმწიფეს: „ქართველნი ქრთამს აძლევდა და ქვეყანას ხარბად აწერინებო:" გამოეგზავნა აქავ ნაფქილარი მამად ალი-ბეგ და ორი ჰირველი მუმეიზთაგნი მოვიდენ, ქართლი გათავებულ-იყო თავად ლეკისა-გან,

მერმე ბევრის საფიხიავარისა-გან, რომ არას ხელმწიფის დროს ეს არ გარდახდოდა. მოვიდნენ ამათაც დაიარეს ქვეყანა და მრავალი ხარაბა დაწერეს, წავიდნენ ეს მუმეიზები, რომელთაც მწერალნი და წაიღეს დავთარი, ვეზირი, მელიქი ქალაქისა და ქალანთარი, ესენიც დაბარებულნი იყვნეს და თან გაჰყვნეს, წავიდნენ, მიართვეს დავთარი და აცნობეს საქმე ქვეყანისა: დღეის აქამდისინ ქართლში ქალანთარი არ ყოფილ-იყო, ახლა ამ ხელმწიფემ გაარიგა: ეს იყო ციცი-შვილი, მე ედიშერისა, რომელი ისპაანს გათარებულ-იყო და ეს ქალანთარი მერალი-ბეგ იქ გაზდილ-იყო და ამ ხელმწიფისა-თვის ბევრი ემსახურა, სამსახურის ნაცვლად ეს წყალობა უყო, სამოცი თუმანი ჯამაგირი განუწესა და ქართლის ქალანთრობა მისცა:

წამოვიდა ჯარი ლეკისა, რაც ამილახვარ-თან იყო მალაჩი ბელადი და ორი სხვა თავ-კაცით დიდის ჯარით, ბელადი გამოეტანებინა ამილახვარს, აპრილის ნახევარი გასულ-იყო, წყალი დიდი იყო, ხეობაში ახალ-დაბის ხიდ-ზე გამოვიდნენ, დაესხნენ ბოლნისებს და მრავალი ტყვე და საქონელი წაიღეს, ქვემო ბოლნის მამასახლისი მაღათა თავისავ სახლში გაუმაგრდა, არაა-რა დაანება და ხუთ ლეკს თავიც მოსჭრა: ამ ლეკის ჯარისა-გან ზოგნი მოვიდნენ და დმანის 89
ქვეითი აახრეს, აღარ სად გაუშვეს შენობა, თვინიერ ციხეებისა, წავიდნენ, ისევ ამავ ხიდს გავიდნენ და გაიტანეს ნაშოვარი სურამს:

გამოისტუმრეს სარდალი ქაიხოსრო სომხით საბარათაშვილოს ჯარით: „შენი ქვეყნები გამაგრეო:“ მოვიდა ჯარი, სადაც სომხით საბარათაშვილოში ციხეები იყო, გაჭყო, დააყენა. თითონ ხანი ქართლისა წავიდა, მივიდა ატენის ბოლოს, გუფთის მინდორში გააკეთებინა სანგარი, დადგა მაშინვა: ამ ყაენის რიგი იყო ამისი ჯარი უსანგროდ ვერ დადგებოდა, ესე იყო სანგარი მიწისა-გან, ბელტს მოსჭრიდნენ იმით კაის ძალიანს გალავანს მოავლებდნენ და ჯარი შიგ დადგის; ალი-ხან დაიჭირა ციცის-შვილები ალექსანდრე, დავით და ოთარი: „ამილახვარს ელაპარაკებითო:“ იწყინეს ეს ციციანთ, მისცეს მართლად ციხეები ამილახვარს აბუხალ და მძოვრეთისა, შეაყენეს კაცნი ამილახორისანი, დადგა თითონ ამილახორი სურამის ციხეში და მოუმატა გალავანი, დაცადა სიმაგრესა:

გამოისტუმრა გივმა ამილახორმა მალაჩი ბელადი ლეკის ჯარით, გამოატანა რევაზ ამილახორი შვილი ქართლის ჯარით ხეობაში, ორი სხვა ხიდიც გააკეთებინა, გამოვიდა ეს ჯარი, საბარათაშვილოში მრავალი ადგილი წაახდინეს, ღამე შეიპარნენ წვერის-ციხესა, აიღეს, იავარჰყვნეს ტყვე ანუ საქონელი, ამოწყვიტეს კაცნი, მაშინ გატეხეს ქვაბები მწყნეთისა და აიკლეს ტყვით და საქონლით: გაეგზავნა ამილახორს დაღისტანში კაცი, დაებარებინა ჯარი, მოუყვანდა ქვეითი ლეკი სურამს, სხვა რაც აქა ჰყვანდა ეს ერთად შეიყარა, ზემო-ქართლის თავადნი სულ იქ ახლდნენ, მათი ჯარიც გამოატანა, სხვა სამტრო ალაგი ხომ აღარ ჰქონდათ, ყველას პირი ერთი იყო და საბარათა-შვილოს სცემდნენ მუდამ და ახდენდნენ, დაესხნენ პირველ ციხე-ქვაბს, გალავანი ჰქონდათ ყორისა და იმაში იდგნენ. იყო სროლა და ომი გაუწყვეტლივ: არ ავად იყო- 90

ნეს მყოფნი ციხისანი. მაგრამ თურამ (თურმე) ერთის მხრისა-კენ გალავანი გაუკეთებელი დარჩომოდათ. უვლეს იქიდამ ლეკთა იერიში, ლაერივნენ ერთმანერთსა, დაიხოცა ორგნითვე ურიცხვი, მოგლიჯეს ლეკთ ერთი მხარე ციხისა და გაიტანეს ტყვე და საქონელი, პირუტყვი ხელთ დარჩათ. გარდმოვიდა ეს ჯარი დმანისის ხევში, მიუხდენ მანაკერტს, ქვაბები იყო გამაგრებული, ასეთი იერიში მიუტანეს, კიბეებ-ზე აუცვივდენ, დააუშინეს შიგნიდამ, მრავალი ლეკი დახოცეს, იქავ იარაღით დაინარჩუნეს, ჩამოეცალნენ ლეკნი და მათ ვერა ავნეს-რა, დასჭრეს თავები და მოართვეს სარდალს ქაიხოსროს: მიუხდნენ ლეკნი სანაინს და ის ქვეყანა სულ წაახდინეს, წამოიღეს ნაშოვარი ანუ ტყვე უთვალავი, სარდალი ქაიხოსრო ქვეშის ციხეში იდგა და ლორის ხანიც იქ იყო: რა ჰსცნეს ეს ამბავი, წამოვიდნენ მაშინვე, დახვდნენ წინ, ამოწყვიტეს ლეკნი და თუ რამ მიჰქონდათ სულ დააყრევინეს: ამისა შემდგომად ჩამოდგა ლეკის ჯარი და ზემო-ქართლისა ორბელიანთ მამულში და აღარ გავიდნენ, აღარ-სად გაუშვეს შენობა, არას დროს ზემო-ქართლის კაცისა-გან ასე საბარათაშვილოს მტრობა არ გაგონილ-იყო, რომ ახლა იჩემეს და აშკარად ლაშქრობდენ:

ქართლის ვექილ-ვეზირი რომ ჩავიდნენ, ეკითხა საქმე ქვეყნისა, მოახსენეს შემოსავლის გამოსვლა ქვეყნიდამ და ზოგი კიდეც მეტათ აელოთ, შიოამ ერთ-გულობა იჩემეს და მოახსენეს: იცოდა ხელმწიფე-მ ამდენი ქართლისა-გან ღალატი სათხოვრისა-გან ამდენის რთმევის მიზეზი იყო: ამა-ზე გასწყრა და ქართლის მუსტაფი ჯოხით მოკლა, მირზა აშუმა, რომელი იყო ქართლში მწერლად, იმას ცხვირ-პირი დასჭრა, რაც ქართლში ხარაბა ადგილი იყო იმისი ხარჯი ეპატივებინა:

მოვიდა ქართლში აჯი-ხან დიდის ჯარით და დადგა ქალაქსა: მაშინვე გაგზავნა კაცი კახეთს და დაიბარა მეფე თეიმურაზ. ჩამობძანდა ბატონი, ნახა აჯი-ხან, დახვდა მხიარულის პირით და
91 მოართვა მოსართმევი ბატონს და კახთ ხალათები ყველას, აგრევე ცალკე ხალათი მისცა დიმიტრი ორბელიანს, რომელი იყო სიძე მეფის თეიმურაზისა. დაპატიჟა ბატონს საერისთო-ზე ლაშქრობა. მოსცა ბატონმა პირობა და წაბძანდა კახეთს, შექნა მზადება და თადარიკი:

ხანი და ბატონის-შვილი აბდულა-ბეგ გორს იყვნენ, წავიდნენ, მიუხდნენ სურამს, გარეშემო სულ დაუწვეს და ის ხეობა წაახდინეს, ჩამოვიდნენ ისევ გორს: წავიდა აჯიხანც, მივიდა გორს: ამა ამბავში გამოვიდა ლეკის ჯარი საციციანო-ზე, ჩამოიარეს, გაუსივა ჯარი აჯი-ხანმა. მოვიდა ლეკის ჯარი. ბობნავის თავს ჩამოხდენ, ტყე იყო, დაიქვეითეს ყიზილბაშთ და შეუტივეს. მოეპარა ცოტა რამ კაცი ლეკი და ყიზილბაშთ ცხენები სულ დასტაცა, დარჩნენ ყიზილბაშნი ქვეითნი, გამოერივნენ ლეკნი შიგ და მრავალი ყიზილბაშნი ამოწყვიტეს, გაუსივა აჯი-ხანმა თავისი ჯარი და საცა რამ ზემო-ქართლში დარჩომილ-იყო სულ აოხრა:

ციცი-შვილი ოთარი დაჭერილი ჰყვანდა ალიხანსა, გაიპარა და მივიდა ამილახორ-თან, მოუხდა იქიდამ მძოვრეთის ციხესა, ღალატით აიღო, აიკლო თავისი სახლის კაცები, სეხნია შვილებით დაატყვევა, ელენე ბატონიშვილი, რომელი ჰყვანდა ზაზა ციცი-შვილსა საქონლით, სულ

აიკლო, შეაყენა ციხეში თავისი მისანდო კაცნი: შეიტყო ალი-ხან, ცოლ-შვილი ქალაქში ჰყვანდა,
დაუჭირა და პატიმარ-ჰყო. მაგრამ მან არად თავს შეიდვა: მას ჟამსა შინა უღალატეს არაგვის
ერისთავს ბეჟანს და მის ბიძა-შვილს ოტიას არაგვის კაცთ და ორივ მოკლეს, იავარ-ჰყვეს სა-
ქონელი: ამილახორის ცოლი, რომელი იყო ასული ორბელიანთა და ბეჟან ერისთვის ცოლი,
ორივ მთიულეთ იდგნენ. აქ რომ ერისთავს უღალატეს, იქ იმათ შეესივნეს და აიკლეს მღვიმისა
წმიდის შიოს საქონელი, ხატი ანუ ჯვარი იქა ქონდა და მაშინ დაიკარგა, ცარიელნი დედაკაცები 92
გაუგზავნეს ამილახორს: ქსანი ხელთ-უჭირა ამილახორს, იქ დააყენა ცოლ-შვილი: ამ ერისთვის
სიკვდილ-ზე გაუგზავნეს კაცი არაგვის კაცთ კახს ბატონს თაიმურაზს, მიიწვივეს: „თქვენს
მეტი ბატონი არ გვინდაო:“ ბატონი მაინც განმზადებულ იყო და მაშინვე წაბძანდა, მოეგებნეს
ქვეყნის კაცნი, მიუძღვნეს ანანურს, უბოძა ხალათი და დაჰპირდა. „რაც ძველთ ერისთვებისა-გან
არა გდებიათ მის მეტს მე თქვენ არას გთხოვო, და ხელმწიფის სამსახურსაც მე გარდავსწყვეტო:“
სთხოვა მძევლები, ყოველს უფროს კაცს გამოართვა და კახეთს გაისტუმრა: ქართლის ხანი და აბდულა-
ბეგ გორს იყვნენ, საერისთოს კაცმა იქაც კაცი გაგზავნეს და ეს თავისის ბატონების ამოწყვეტა
იმათაც შეატყობინეს: მისწერეს ბატონი-შვილს ისაყ-ბეგს წიგნი, რომელი იჯდა ქალაქში ნაი-
ბად: „ახლავ წამოდი, ანანურს დაჯექიო:“ წამოვიდა ისაყ-ბეგ, მოვიდა დუშეთს, რახან კახი ბა-
ტონი ანანურს ბძანდებოდა, აღარა მიუშვეს არაგვის ხეველთა და იქიდამ დაითხოვეს, წამოვიდა
ისევ და ჩამოვიდა ქალაქსა:

გაგზავნეს ჩაფარი ალი-ხან ცალკე, და კახმა ბატონმა ცალკე ხელმწიფეს-თან და მოახსენეს
ერისთვის სიკვდილი და საერისთოს დაჭერა: მოუვიდა მეფეს თაიმურაზს ხელმწიფისა-გან რა-
ყამი წყალობისა, ებძანა: „თუცა ქსნის-ხევსაც დაიჭერო, ორთავ საერისთოს შენ (შენ-თვის) მოგვი-
ცემიაო:“ დაუწყო ლაპარაკი ქსნის-ხეველთა, მოახსენეს: „ამდენი ლეკი შინ გვიდგასო, ეს აქედამ
გაგვაცალეო და თქვენს სამსახურში მოვალთო:“ მოვიდა ჯარი ლეკისა, დაესხა ავ-ჭალას და
საქონელი სულ წაიღეს:

გამოვიდა დიდი ჯარი ლეკისა. გზა-ზე შემოიარეს და ლიახვის ქვეყანა წაახდინეს: გამოუდგა
აჯი-ხან. მაგრამ ლეკთ ჯავახეთს გარდაასწრეს, მოვიდა სხვა ჯარი, დაესხა ორბელიანთ მამულს 93
და მრავალი საქონელი და ტყვე წაიღეს, გავიდნენ დმანისით მებრძოლი, დაესხნენ თავსა და გაემარ-
ჯვათ დმანისელთ, არ ავად იყო ორბელ ყაფლანის-შვილი, კაციც იშოვა და სხვა რიგადაც ბევრი ავნო
ლეკთა: მუდამ იყვის ლეკი ორბელიანთ მამულში და აოხრებდეს, ასე რომ არა-ფერი მიწის ნა-
ყოფიერება აღარ აღებისეს რა: ცდილობდნენ გარემოს თავადნი ქართლისანი აყოლებინათ ორბელიანთ
სახლში. მაგრამ ისევ ხელმწიფის მეხანათობას თავისი წახდენა არჩიეს და არ იყვნენ (აჰყვნენ):
დახვდნენ კახნი იორ-ზე, დააყრევინეს ნაშოვარი ლეკთა: გაუსივა ამილახორმა ჯარი არაგვის ერი-
სთვის მამულს, რაც ქართლში ჰქონდა, ტრძნისი, შინდისი სულ წაახდენინა: გარდმოვიდა ჯა-
ვახეთიდამ ჯარი ლეკისა, რაც გარდასულ-იყო და შემოეყარნენ ამილახორს, წამოვიდა, მოვიდა ამ

ჯარით, დადგა სხვილოს. მივიდა აჯი-ხან ჯარით და დადგა მუხრანში, ჩაბძანდა კახი ბატონი
ანანურით, ნახა აჯი-ხანი და განიგეს საქმე ლაშქრობისა: გაუსია აჯი-ხან ჯარი, მიუხდენ ახალ-
გორს, წამოიღეს ლეკის ნაშოვარი და ცხენები სულ. მოეწივნენ ლეკნი, ნაშოვარიც ისევ გააყრე-
ვინეს და ყიზილბაშიც ბევრი-ბევრი დახოცეს, ავიდნენ ისევ ლეკნი ახალ-გორს:

ამა ამბავთა შინა შეიყარა შირვან შამახიის ხალხი და ჰქნეს ჯანყი და უგმ-უდგნენ ყაენს
შანშას, დაიჭირეს თავისი ხანი და ვექილ-ვეზირი, ზოგი დახოცეს, ზოგი დააპატიმრეს, იავარ-
ჰყვეს საქონელი მათი: დაღისტნის ქვეყნებიც შეყრილ-იყო და რაც პირი მიეცათ ხელმწიფისა-
თვის გაუტეხეს, იმათაც ამ ქვეყნებს ძალი მოსცეს, ერთი ვინმე დასვეს. „ეს ძველი ყაენის-შვილი
არისო:“ და იმას შემოეხვივნეს: ხელმწიფე შიგნით ურუმის ქვეყანაში შესულ-იყო, ამ ქვეყნებს
94 დაშორებოდა და ადრიბეჟანის სარდალს ესმა ეს ამბავი, დაიბარა მაშინვე აჯი-ხან, რომელი იყო
ქართლში, წავიდა, ჩავიდა განჯას თვისსა საბეგლაროსა: რა ჰსცნეს ესე მტერთა ქართლისათა უმე-
ტესად გაამაყდეს, დაუწყეს ცემა საბარათაშვილოსა, მოვიდა ჯარი ოსისა და ჩერქეზისა, რო-
მელნი მოსულ-იყვნეს ამილახორ-თან მოსახმარად, დაესხნენ საბარათაშვილოსა, ბირთვისის-
გარეშემო, კუმისის გარეშემო და იმას ზეით სულ წაახდინეს: ასე გათამამდენ, რომ ქალაქის-
პირიდამ მუდამ ნაშოვარი მიქონდისთ: დასვდნენ კახნი საგურამოს ლეკთა, ნაშოვარი მრავალი
დააყრევინეს, დახოცნეს ლეკნი და დასჭრეს თავები, გამოუგზავნეს ქართლის ხანს: მოვიდა ამი-
ლახორი გივი, აჰყარა ქრცხილვანი და დაუქცა თავის მისანდოს ალაგს: ეცადა მეფე თაიმურაზ
მრავლის წყალობის დაპირებითა და ქსნის-ხევის კაცნი ვერ შემოირიგა, მოსწერა წიგნი ძესა
თვისსა ერეკლესა და კახეთის ჯარით დაიბარა: აღასრულა ბძანება მამისა მცნებისა-ებრ და შე-
ყარა ჯარი ფრიადი კახეთისა და წამოვიდა დიდის ჯარით ერეკლე, საუნჯე კეთილისა და შეეყარა
მამასა თვისსა ანანურს, მოვიდნენ პირაქეთ ლეკნი ანწუხელნი, თებელნი და ყირახელნი, რო-
მელნი იყვნეს მოსამსახურე კახეთისა, შემოეხვეწნენ კახ-ბატონს, დაჰპირდენ სამსახურს: უბოძა
ბატონმა ხალათები და სთხოვა ჯარი: წავიდნენ მაშინვე ეს ლეკნი, შეყარეს ჯარი, მოვიდნენ და
შეეყარნენ კახ-ბატონს ანანურს:

მოვიდა ბძანება ხელმწიფისა: „ქალაქს თაბორს ციხე, რომ ხელმწიფის შანშას ბძანებით
დაექციათ, ისევ ააშენეთო:“ ააშენეს მაშინვე: ულალატა ავალი-შვილმა პეტრე-მ თავის ბიძა-
შვილს ზაალს, აართო ციხე და იავარ-ჰყო საქონელი ურიცხვი, წავიდა ზაალ, შეეხვეწა ამილა-
ხორს, გამოართვა ისევ ციხე და მოსცა ზაალს: მას ჟამთა შინა მოსულ-იყო სარასკარი ყარსის
ქვეყანასა, იქიდამ გამოისტუმრა ერთი ფაშა, თან აახლო მალაჩი ბელადი ლეკისა, რომელი იყო
95 ახალ-ციხეს ფაშას-თან, გამოატანა ხაზინა, რომელი შამახიელთ დაეხვათ და შაჰზადას უძახდენ
მის-თვის: წამოვიდა ეს ჯარი ხაზინით, ჩამოიარეს ორბელიანთ მამულ-ზე, ჩავიდნენ, დადგნენ
ორი დღე გატეხილ ხიდ-ზე, ასეთი ჯარი იყო, რომ ქალაქში ამისი დამხდომი ჯარი აღარ იყო,
გავიდნენ მტკვარს, მივიდნენ ალაზნის პირ-ზე, მოეგებნენ ლეკნი, მიიბარეს ხაზინა და წამოვიდ-

რენ, დაესხნენ ყაზახის ქვეყანას, მრავალი სული ტყვე და საქონელი წამოიღეს, შემოიარეს სომხით-ზე, გავიდნენ მცირე ჯარი ყიზილბაშისა, სომხით საბარათაშვილოს ჯარი, დახვდენ, მათიშის ხიდ-ზე, უყვეს წინა უკან, დაერივნენ შიგ და რისხვა ღვთისა დასცეს, დააყრევინეს სა ქონელი, ამოწყვიტეს ურუმნი, გამობრუნდეს ესენი გამარჯვებულნი და ურუმნი მივიდნენ დამარცხებულნი ყარსა: მისწერეს ეს გამარჯვება ხელმწიფეს, მოუვიდა სარდალს ქაიხოსროს რაყამი წყალობისა და მოემატებინა საბარათაშვილოს ნოქრისა-თვის ჯამაგირი, მოვიდა ჯარი ლეკისა, დაარბია ორბელიანთ მამული, გავიდა ქალაქიდამ ალი-ხან, დახვდა წინ თელათ-გორს, ამოწყვიტეს ლეკნი, დააყრევინეს საქონელი, ჩამოვიდა გამარჯვებული ქალაქსა თბილისისასა:

შევიდა კახი ბატონი თეიმურაზ, დაიმონა ხმლით ქსნის-ხევი, დადგა შიგ. გამოიყვანა ცოლი ამილახორმა ქსნის-ხევიდამ და მოიყვანა სხვილოს ციხეში. ამილახორს ჰქონდა გამაგრებული სხვილოს ციხე, ორი ჭალა, სურამი, კეხვი, ქრცხილვანი და საქართლის ციხე. ქსან-ზე კიდევ წიქორი: ესენი უთოფხანოდ ვერ დაიმორჩილა კახხმა ბატონმა, მოსწერა წიგნი ქართლის-ხანს ალი-ხანს, სთხოვა თოფხანა. ჩამობძანდა ბატონი-შვილი ირაკლი და მოსცეს და წამოიღო თოფხანა ჯაბა-ხანით და შეეყარა მამასა თვისსა:

ქორონიკონს უღბ გარდმოვიდა ჯარი ურუმისა, მოეშველა ამილახორს გივს: მას ხანში ყაენი ურუმის ქვეყანაში იყო და ფიქრიც არა-ვისი ქონდათ და ქართლის დაჭერაც ენებათ, ზამთრისა ჟამი იყო, რომ ეს ჯარი გარდმოვიდა: არა-ოდეს ოსმალუსა-გან ზამთარს ლაშქრობა არ 96
გაგონილ-იყო, ჩამოიარეს, ავალი-შვილები უკუმდგარნი იყვნეს, გზა დაანებეს, მოვიდნენ სურამს, შეეყარნენ ამილახორს: ერთი ყაენის-შვილი კიდევ ურუმის ქვეყანაში გამოჩნდა, მოსცა ხონთქარმა ჯარი და ხაზინა, სარასკარი და ეს მოვიდნენ ყარსის ქვეყანაში. გამოეგზავნა ამ შაჰზადას ამილახორისა-თვის ხალათი, ცხენი და თეთრი ფრიადი: „ვინც ჩვენ სამსახურ-ზე ხმალს იქნევდეს, იმათ მიეციო და კიდევ უმეტეს წყალობას მოელოდეთო:“ ეს ჯარი და ამდენი წყალობა მოუვიდა ამილახორს, შეჰქდა ამ ურუმის ჯარით და ლეკნიც თან-ახლდა, წავიდა ამილახორი კახ-ბატონს თავს-დასხმას უპირებდა: მიუვიდა კახ-ბატონს ეს ამბავი, იწყინა დიდათ და მაშინვე წამობძანდა ერეკლე ბატონი-შვილი კახთა-ჯარით, მივიდენ, მიადგნენ ანაბეთის ციხესა, ნებით არ დამორჩილდენ, დაიქვეითეს კახთა და თუშთა, რაც პირ-აქეთ ლეკნი დამორჩილებოდენ, ამათი ჯარიც თან-ახლდა, გარდ-უცვივდენ ციხეში, აიღეს ციხე, იავარ-ჰყვეს საქონელი: ამა ამბავში, მოვიდა ამილახორი გივი ურუმის ჯარით და გარს შემოადგა ბატონი-შვილს, გამოვიდნენ კახნი, დაუშინეს ერთმანერთს, რომ თოფის ხმისა-გან ყურთა ხმა აღარ იყო: სძლიეს კახთა, გააქციეს ურუმნი, მიჰყვნენ კახნი უკან კაფვით ქრცხილვანამდის, ამოსწყვიტეს ურუმნი, გამობრუნდენ კახნი გამარჯვებულნი და ტვირთულნი და ჩამოხდენ ისევ თვისა სამყოფსა: მას დღეს რომ გენახათ ბატონი-შვილი ერეკლე ამას ბძანებდით: „თუცა ლომი ეგრე იბრძვისო:“ ჰასაკითა იყო მცირე, მაგრამ რასაც საქმეს იქმოდა ფალავანის შესადარისი იქნებოდა: ეს ურუმის ჯარი და ამილახორი

წავიდნენ, ცოტას ხანს ქრცხილვანს ჩამოხდნენ, დააცლევინეს ციხე, კაცნი აჰყარეს, თან-წაასხა ამილახორმა, რაც შენობა იყო დაწვეს და წავიდნენ, მივიდნენ სურამს, ჯარი დიდი იყო და ზამ-
97 თარი ცივი და რაც უნდოდათ ვერც ის საწადელი აღასრულეს, აიყარნენ, შეიარეს ხეობა-ზე და მივიდნენ ახალ-ციხეს სირცხვილეულნი ჯარი ურუმთა: დიდს ხელმწიფეს ყაენს გამოესივა თავისი შვილი ნასრულა მირზა დიდის ჯარით შირვან შამახიის ასაკლებლად, რომელს ეახლნენ ძველს ყაენის-შვილს, რომ დაესვათ მის დასაჭერათ. შეიბნენ, მრავალი ლეკი და შირვან-შამახის ჯარი ამოწყვიტეს ყიზილბაშთა, მოვიდა ყაენის-შვილი ნასრულა-მირზა გამარჯვებული და დადგა:

ვეღარ შეიძლო ამ ახალმა გამოჩენილმა შაჰ-სადამ იმ ქვეყანას დგომა, ასი-ოდენ კაცით წა-მოვიდა გამოპარვით, ენება ამილახვარ-თან მოსვლა და იქიდამ ყარს წავიდოდა ურუმში, რომ ყაენის-შვილი გამოეკიდნა, ამბობდა. „ჩემი ძმა არისო:" შემოიარა არაგვ-ზე და მივიდა ქსან-ზე, ამილახორი იქ ეგონა. მაგრამ ქსან-ზე კახი ბატონი იდგა, ბატონი სხვა-გან ბძანდებოდა და საცა ჯარი იდგა მივიდა, იქ ჩამოხდა: ჯერ კახთ მიმშველებელნი ყიზილბაშნი ეგონეს. რა სცნეს რომ ახა-ლი გამოჩენილი ყაენის-შვილი არისო, შეესივნეს კახნი და დაიჭირეს თავისის ჯარით: მობძანდა ბატონი თეიმურაზ და ძე მისი ერეკლე, წაიყვანეს და ანანურის ციხეში დააპატიმრეს: თითონ ბატონი ჩაბძანდა გორს, ქართლის ხანიც იქ იყო: ამ ამბავ-ზე გაგზავნეს ჩაფარი ცალკ-კერძ ყაენთან და ცალკ-კერძ ყაენის შვილ-თან, რომელი იდგა ბარდას. თითონ მეფე თეიმურაზ და ბა-ტონი-შვილი ერეკლე მიბძანდნენ ქსან-ზე, წიქორის ციხე ისევ გამაგრებული იყო და რევაზ ამილახორის-შვილი იდგა შიგ, მიადგნენ გარს და დაუწყეს ლაპარაკი და აღუთქვა წყალობა უზო-მო, დამორჩილდა ბძანებასა მეფისასა და გამოვიდა რევაზ, მიართვა ციხე, უბოძა ხალათი, და-
98 პირდა უმეტესა წყალობასა:

მოვიდა ყაენის-შვილის ჩაფარი, ებოძა ბატონისა და ბატონის-შვილის ერეკლესა-თვის თითო მძიმე ხალათი და ინამად თეთრი და გამოგზავნა ერთი თავისი მისანდო კაცი და დაებარებინა ეს დაჭერილი შაჰ-ზადა: მეფემ თეიმურაზ, რაც ციხეები იყო თავისი მისანდო კაცნი დააყენა და თვითან წაბძანდა კახეთს და ბატონის-შვილმა ერეკლე-მ წაიყვანა შაჰზადა ყაენის შვილ-თან:

გამოვიდა ჯარი ლეკისა მალაჩი ბელადი, შემოიარა, ღამე უჩინარი დაესხა ორბელიანთ მა-მულ-ზე, ზამთარი იყო და საქონელი სოფლად ჰყვანდათ, წაილო მრავალი, გარდაიტანა ჯავახეთს, ურუმის ჯარიც შეყრილი იყო და შეეყარნენ იმათ ნაშოვრით:

ქორონიკონს ულბ, დეკემბერს დამდეგს ერთი უცხო და საკვირველი ვარსკვლავი გამოჩნდა, რომე არ-ოდეს ნახულ-იყო, ცისკრის ოდენი, სიბრწყინვალეც მას უგვანდა, ასეთი სხივი აეშვირა, რომ მაშხალასავით მისდევდა, უცხო რამ იყო, ყოველს უკვირდა: პირველსავე ღამეს ამოვიდის ისევ დასავლეთით კერძო მალე ჩავიდის, მიმავალსა გვანდა, რომ ყოველ-მან მაყურებელმან შეი-ტყვიან მიმავალობასა, დეკემბერს გამოჩნდა თებერვლის ნახევრობამდისის ჩნდა, ქვეყანასა ქართლი-სასა და მერმე უჩინარ-იქმნა:

ყაენს შანშას ჩაფარი მიუვიდა მეფისა თეიმურაზისა ქსნის-ხევის დაჭერისა და ციხეების დაჭერისა: იამა ფრიად და მაშინვე გამოუბრუნა ჩაფარი, მოსწერა რაყამი დიდის წყალობისა, ერთი უცხო მძიმე ხალათი და ასი თუმანი თეთრი, კიდევ უმეტეს წყალობას დაპირდა: მოუვიდა ეს წყალობა მეფესა ღვთის-მორწმუნესა და საუნჯესა სიბრძნისასა, განიხარა ფრიად, მადლობდა ღმერთსა: ჩაბძანებულ-იყო ბატონი-შვილი ერეკლე ყაენის შვილ-თან, მიეყვანა ეს დაჭერილი, რომელი თავის-თავს შაჰნაზარს ეძახდა, დაუმადლა დიდათ და უიმედა წყალობა: ამ შაჰნაზარს დაჭერა და ურუმ-ზედ ბატონი-შვილის ერეკლესა-გან გამარჯვება დიდს ხელმწიფეს შანშას მო- 99
ხსენდა, დიდად დაუმადლა და ერთ-გულობა დაუჯერა, მოსწერა რაყამი, რომ ვითა ძმა ყოფილ-იყო მისთვისაც ძნელი იყო ასეთი პატივის რაყამი. მოუვიდა წყალობად კიდევ ორი-ათასი თუმანი თეთრად: იყო მეფე თეიმურაზ ლხინ-ნადიმობით და გასცა ეს თეთრი უშურველად ჯარსა ზედა კახეთისასა-ზე: გამოისტუმრა ყაენის-შვილმა ბატონი-შვილი ერეკლე, უბოძა ხალათი, ხმალი და უნაგირი, ხელმწიფობისა შესაკადრი, ასი (1) თუმანი თეთრად, აგრეთვე ვინც ახლდა თავადთაგანი ყველას წყალობა უშურველი მიუბოძა და ხალათით დამოსნა: მოვიდნენ მხიარულად ქალაქსა ტფილისისასა, დიდს ყაენს ებძანა: „მას შაჰნაზარს თვალი მოსთხარეთო და ყარსს რომ ძმა ჰყავს, იმას-თან გაისტუმრეთო და მე ორსავ ერთად ვნახავო:" მოსთხარეს ცალი თვალი და გამოისტუმრეს ურუმში, ქართლიდამ გაატანეს ბარათა-შვილი ერასტი და სამი უზბაში: მიიყვანეს მთა-ზე და გარდავიდა ახალ-ციხეს. ესენი გამობრუნდნენ ისევ:

გარდმოვიდა ჯარი ურუმისა ორბელიანით მამულ-ზე, მოადგნენ ციხე-ქვაბს, ოთხი დღე და ღამე გაუწყვეტლად ესროლეს. მაგრამ ღონით ვერა აგნეს-რა: ეს ამბავი ყაენის-შვილს შეატყობინეს, წამოვიდა მაშინვე ბარდიდამ და დადგა განჯის მინარას-თან, ამ ურუმის ჯარის გაბრუნება მოახსენეს, აიყარა ისევ და ჩავიდა შამახიას: მოვიდა ხეჯი-ხანის შვილი ათასის ჯაზირჩით ქართლში სამყოფლად, შეუკრეს ღვინჯრობს სანგარი და დაასხნეს, მოვიდა ლეკის ჯარი, დაესხა სომხითს, მელიქის მამული მოგლიჯეს, წამოიღეს ნაშოვარი ურიცხვი, გავიდა ქალაქიდამ ხანი ჯარით, მოეწივნეს, საქონელი სულ დააყრევინეს და ლეკნი გაიქცნენ: მოუვიდა მეფეს თეიმურაზს წყალობის რაყამი ხელმწიფისა, დადვა საქმე ქართლისა და ყაზახ ბორჩალუსი: „შენი უნე- 100
ბური არა იქნას-რაო, როგორც შენ მამსახურებ ჩვენ, შენ სიტყვას ვჯერ-ვართ:"

აბძანდა ბატონი საერისთოს, ფსნებად-კვირა იყო, აღდგომა იქ გარდაიხადა, იქაური საქმე კეთილად განაგო და ჩამობძანდა ქალაქს, შემოიყარა ქართველნი, არჩიეს და მისწერეს არზი ხელმწიფესა: „ქვეყანას დიდ ძალი დამართებია და გაოხრებული არისო, წყალობას ვითხოვ ხელმწიფისა-გან, რომ ქართლს შეღავათი უყოსო:" გაგზავნა კახეთის ვექილი და სულხანს ეშიკაღასბაში თვისი, წავიდნენ, ხელმწიფეც ურუმის ქვეყნიდა-მ გამოსულ-იყო, შეეყარნენ თავრიზს ქვე-

(1) ან ათასი, ცუდად არის დაწერილი, არ გაირჩევა დ. ჩ.

ით, არზი მიართვეს და მოახსენეს საქმე ყოველი ქართლისა: წავიდნენ სარასკარ-თან, ვინც ზემო-ქართლის თავადნი იყვნეს, ნახეს, რომელი იყო შეჭმადა ურუმის ჯარში, მოსცა ყველას მისაცემელი ურიცხვი და გამოუგზავნა ამილახორსაც მრავალი, ეგონა ეს ქართველნი რომ ნახა, ქართლი ჩემი შეიქნას: რაც ამილახვარ-თან ლეკნი იყვნეს მოუხდენ მაჩაბელს, აუოხრეს ქვეყანა, მაჩაბელი კახ-ბატონს ახლდა, იმისის ჯავრით, ჩამოუყენა ამილახორმა ჯარი ლეკისა და მუდამ აოხრებდენ მაჩაბლის ქვეყანასა: მივიდნენ კახ-ბატონი და ქართლის ხანი, ლეკნი არაბეთს გაუმაგრდენ, შემოეხვივნენ კარს, სხვა ღონე რომ ველარ დაიდვეს ლეკთა, ღამე დაიკრეს ხმლები და გავიდნენ უვნებლად, ეს ჯარი ჩამოვიდა გორს და ლეკნი მივიდნენ სურამს: დაუწყეს ავალიშვილებმა ერთმანერთის ცემა, ვითაც პეტრეს ზაალის-თვის წაერთმევინა ციხე და საქონელი აეკლო, ცდილობდა დაკლებასა, მიიყვანა ჯარი, დაუწყო მტრობა პეტრეს, ადგა ზაალ ლეკის ჯარით ორივე. მაგრამ ვერა აგნია-რა ციხესა და მამული სულ აუოხრა, აგრევე მოიყვანა პეტრე-მან ჯარი ლეკისა და ახდენდა ზაალის მამულსა, ამ გზით დიაღ ერთმანერთი (დიაღ) შეაწუხეს:

101 მოვიდნენ კახის-ბატონის ნაიბრები და ებოძა ხალათი მძიმე და რაყამი წყალობის, დაჰპირებოდა მიცემასა ქართლისასა. ამა თვისაც მიეცა ასი თუმანი თეთრი ინამად, ქართლის ხანისათვის ებძანა: „თეიმურაზ ხან-თან მიდით და მაგის ბძანების მორჩილი იყავო:" კახი ბატონი გორს იდგა და ალი-ხან ჯაჭვს, მიუვიდა ხალათი, ჩაიცვა მეფე-მან კეთილ-მან და საფუძვლე-მან სათნოებისა-მან, დაჯდა მეჯლიშად და გასცა საბოძვარი, მხიარულ-ჰყვნა ყოველნი, ქართველთაც რაყამი მოუვიდათ: „მეფეს თეიმურაზს შეეკარენით და რაც თქვენი საქმე იყოს ეგ მამახსენებდესო და მაგის სიტყვის მორჩილებით, ახლავ ჩემს დიდებულს კარზე ჩამოდითო და თქვენი სიტყვა სწორე შემატყობინეთო:" წავიდნენ ბატონი-შვილი აბდულა-ბეგ, სარდალი ქაიხოსრო, მუხრან-ბატონი კოსტანტინე, ამილახორი ამირასდო, თარხანი ლუარსაბ და სხვანი თავადთაგანი ყოველნი, წაიღეს მეფის თეიმურაზის მოხმარების არზი, შეეკარნენ ხელმწიფეს ნახჩევანს:

მოეცა სარასკარს ბძანება უსუფ-ფაშისათვის ქართლ-ზე ლაშქრობისა, ვითაც ახალ-ციხის ფაშა იყო, ქართლის ბელადობაც იცოდა, ხაზინა ბევრი გამოეტანებინათ: „ზემო-ქართლი ხომ ჩვენი არისო, ჩაიარე იმაზე და ალაზნის პირ-ზე დადექ, იქ ლეკი შემოიყარეო, ხაზინა გაუყავო და ქართლი დაიჭირეო:" შექნა მზადება ახალ-ციხის ფაშა-მ და გაგზავნა პური და ქერი ამდენი, რომ სურამის გარეშემო რაც საბძლები იყო სულ აავსეს: დიდი თადარიკი ქონდათ ურუმთა: თარხნი-შვილი-დავით დიდათ შეაწუხეს ხელმწიფის მოსაქმეთა ბევრის სათხოვრით და გაიპარა ქალაქით, მივიდა ამილახორ-თან, მისცა პატივი უზომო:

მოუვიდა ერეკლეს ბატონის-შვილს ხელმწიფისაგან ცხენი, თავისი საჯდომი, უცხო მძიმედ მურასად შეკაზმული და რაყამი დიდი წყალობისა, ჰქონდათ სიხარული დიდი კახთა, რომ აღარ ეგე-
102 ბოდა. ამით რომ უკეთესა და უკეთესი წყალობა მოადიოდისთ: მას ჟამში კახეთი ლეკისაგანც მო-

სვენებული იყო და არც ხელმწიფის სათხოვარი ეთხოებოდისთ, ვინც გზას იშოვნიდის ქარ-თლის კაცნი, თავადნი, აზნაურნი ანუ გლეხნი იქ იხსნებოდიან, კარგადაც აპატიებდენ მისულს კაცს, რომ არას-ფერს აწუხებდენ:

გარდმოვიდა უსუფ-ფაშა დიდის ჯარით, ჩამოიარა ხეობა-ზე, მოვიდა და დადგა სურამს. მოეგება ამილახორი გივი. მისცა ფაშამ უზომო: მეფე თეიმურაზ გამოპარვისა ნაფარი, დაიბარა ხანი ქართლისა და უბძანა იარს მიმბაში და ქართლის ვექილს ჯარით მცხეთას დადგომა: გამოგზავნა ალი-ხან რაც ყიზილბაშის ჯარი ახლდა მცველად ქალაქისად, თითონ წავიდა გორს, შეეყარა მეფეს თეიმურაზს, გაგზავნა კაცი ბატონმა და დაიბარა ძე თვისი ერეკლე კახეთის ჯარით. რუა მიმბაში კიდევ სხვა გამოეგზავნა ხელმწიფეს ქვეყნის ჯარით, ესეც ქალაქს დააყენეს, დღე-და-ღამ სცვიდენ გარემოს ქალაქისათა. ბატონიშვილმა ერეკლემ, აღმოსარჩებულმა ძირთა-გან დავითისა-მან და სამუელ-მან გოლიათობისა-მან და სოლომონ-მან სიბრძნისა-მან, ღირს მე-ფეთ ძეობისა-მან, მსწრაფლ აღასრულა ბძანება მეფისა, შეჰყარა ჯარი კახეთისა, აღარ დაიყოვნა და წამობძანდა, ჩამოხდა მარტყოფს: თურმე უსუფ-ფაშას ერთი ხონთქრის კარის კაცი, ხონ-თქრის ფარვნები და ხალათები ჰქონდა დაღისტნის უფროს კაცებ-თან, ამას უნდა მიეტანა, გა-მოატანა ფაშა-მ ცოტა-რამ ლეკი-და ეს ურუმნი გაისტუმრა დაღისტანში: დახვდა ბატონიშვილი ერეკლე, ეს ურუმნი სულ დაიჭირა და ეგრე ხელმწიფეს-თან და გაგზავნა, აიყარა თითონაც და მიბძანდა საგურამოს:

წამოვიდა ავალი-შვილი ქაიხოსრო, ძე მისი პეტრე და შეეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს. თა-ვის ციხეებში ისევ თვისნი კაცნი დააყენეს: აიყარა უსუფ-ფაშა სურამიდამ, ჩამოვიდა, დადგა 103
რუის და ურბნის შუაზედ მონასტრებში, დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი, გორს გარეშემო, სადაც რამ ყანა იდგა სულ გათიბეს, აღარ-სად გაუშვეს წაუხდენელი, თვინიერ გორისა: დღესა ერთსა გავიდა ამათი ყარაული და შეეყარნენ ურუმის ყარაულთა, გაემარჯვათ და გაიქციეს ურუმნი. შეიტყო ფაშამ, შესხა მთლივ ჯარი და მოუხდუნა ლიახვისა კერძო: შეჰყვა ქართლის ხანი ალი-ხან, კახ-ბატონი თეიმურაზ. მაგრამ ბატონს ჯარი ცოტა ახლდა, ჯერე თვისი არ შემოყროდა, გაჰქცნენ, შემოუტიეს ურუმთა, რომ შიგ დაერივნენ. გამოვიდნენ ურუმნი ლიახვსა და ამ ბა-ლებ-თან, წისქვილებ-თან შეიყარნენ ერთად, იყო ომი ფიცხელი, რომ აღარ ეკვებოდა, ურუმისა ჯარი დიდ დიდი იყო და ესენი ცოტანი: დაიხოცა ორგნითვე ფრიადი. მაგრამ გამარჯვება ურუმთ დარჩათ: კახ-ბატონს საჩინო კაცი ზურაბ მდივანი მოუკლეს და აზნაურ-შვილნი და გლეხ-ნი დაიხოცნეს. ესენი შემოვიდნენ ისევ გორს, ურუმნი მივიდნენ რუის: არჩივა ათასი კაცი ფაშამ, უთხრა თავისი ყაფუჩი ქეხ და ხინიზ-ბეგ, რომელი იყო გვარად შირვანელი, მალაჩი ბელადი ლეკისა, გამოატანა ხაზინა ურიცხვი: „დაღისტანში მიიტანეთო, მეც ალაზნის პირზე ჩამოვალო იქ შემომეყარენითო: პასუხი ქონდა ამ ფაშას, რომ დაღისტნიდამაც დიდი ჯარები შემოეყარა და ქართლისა და კახეთისა-თვის ყათლანი ექნა: ჩამოიარა ამ ჯარმა ღამით, მოადგა დილას არაგვს

განსვლელად. ერეკლე ბატონი-შვილი კახეთის ჯარით საგურამოს იდგა; ეს ჯარი რომ ნახა ბატო-
ნის-შვილმა, მაშინვე გამოგზავნა ჩაფარი მცხეთას, ორი მინბაში იდგა ჯარით, ისინიც დაიბარა. მაშინვე
შეიყარა ჯარი და წავიდა იქიდამ, კახნი წამოეგებნენ, აქეთ ყიზილბაშთა და იქით კახთა დაუწყეს
104 ცემა, გაიქცივეს ურუმნი, მიჰყვნენ გზა ხმალ-და-ხმალ კავთის ხევიდამ ციხემდის, ამოწყვი-
ტეს, რომ რისხვა ღვთისა დასცეს: ბატონი-შვილი ერეკლე, რომ ესახათ იმ დღესა, ასე ბძანდე-
ბოდა, არა-თუ ფალავანი, თვარემ ესე ვის შეუძლია სათვისოსა იმისა გარდა, ვითა ისარგლა, შვა-
ბა ჯარი განუკვირდებოდათ ყოველთა: მალაში ბელადი მაშინ მოკლეს, ყაფუჩლარ ცოცხალი შეი-
პყრეს, სხვა ამდენი დაიხოცა, რომ მცირედიღა გადარჩათ: მიუვიდა ეს ამბავი უსუფ-ფაშას, დიდათ
დაჭმუნდა. მაგრამ რაღა გაეწყობოდა: ესმა ამბავი ესე გამარჯვების მეფეს თეიმურაზსა, განიხარა
ფრიად და გაგზავნა ქალანთარი მერალი-ბეგ, აცნობა ხელმწიფეს გარდმოსვლა ურუმისა, ბატონი-
შვილისაგან გამარჯვება: დიდათ იამა ხელმწიფეს და ორმოც-და-ათი თუმანი ქალანთარს უბოძა,
მინბაშებს ინამი გამოუგზავნა, ბატონი-შვილის კაცს წაელოდა. ქალანთარმა ეს წყალობა მოიტანა:
მინბაში ქალაქისა დურსუნ-ბეგ იმ ომში დაჭრილ-იყო და მოკვდა: მოვიდა ქალანთარი, მოიტანა
რაყამი მადრიელობით წყალობისა:

გარდმოვიდა ჯარი ურუმისა, ჩამოიარეს ორბელიანთ მამულ-ზე, წავიდნენ, ჩამოხდნენ ბაი-
დარში, რაც ქართლისა და კახეთის ჯარი იყო სულ გორს იყვნენ და აქ ქალაქში ჯარი არ ეგუ-
ლებოდათ, არც ურუმთ დამარცხება შეეტყოთ. მის-თვის უშიშრად ჩამოიარეს: რაც მცხეთას ჯარი
იდგა ჩამოვიდნენ ისინი. მაგრამ ურუმნი გაეცალნენ, მივიდნენ, გატეხეს შულავრის ციხე, ტყვით
საქონლით სულ აიკლეს, წავიდნენ, გარდიტანეს ჩაშოვარი უვნებელად. ყიზილბაშის ჯარი მი-
105 ყვნენ მცირედი ხანი და გამობრუნდნენ ცარიელნი, შემოვიდნენ ქალაქს ქართლის ხანი, მეფე თეი-
მურაზ და ბატონი-შვილი ერეკლე, ჩამოვიდნენ ამ ურუმის ჯარის მოსვლა რომ შეეტყოთ. მა-
გრამ ველარ ჩამოუსწრეს:

აიყარა უსუფ-ფაშა რუისიდამ, შეიარა ისევ ხეობა-ზე და მივიდა ისევ ახალ-ციხეს, დარჩა
პური რაც სურამს ჩაეყარათ, შეუკრეს ავალი-შვილების კაცთ გზა, ვითაც საჭირო გზები არის,
დახოცეს ურუმნი და დააგდებინეს ზარბაზნები, აიტანეს პეტრეს ციხეში. მოიგონა ფაშა-მ ჯა-
რი და ქართლში ლეკის გარდა სუფასი კაცი დაკლებოდა, შეიპყრა სუსმა ჯავრისამა უსუფ ფაშა
და მოკვდა:

გაგზავნა მეფე-მ თეიმურაზ ელისუთ მოურავის-შვილი გიორგი და ეს ამბავი ყველა ხელ-
მწიფეს მოახსენა. ბატონი წაბძანდა კახეთს და ბატონის-შვილი აბძანდა ჯარით ქსან-ზე, ზოგს
კაცს ღალატი შეენიოდათ და ბატონის დაყენებული რატის-შვილი, რატი მოეკლათ. მიბძანდა
მაშინვე, შემოეხვეწნენ და შემოეცეს: „ვინც თქვენი ორგული არის, ხელ შეკრულებს მო-
გცემთ:“

ებძანა ხელმწიფეს აშურ-ხან სარდლისა-თვის, რომელი იდგა ბარდას: „ქართლს მიეშველეო;“ თითონ არ წამოსულ-იყო და ოთხი ათასი მეომარი კაცი გამოეგზავნა, ოსპაგი და ყანდარელნი დია კაი ჯარი იყო, სულ მოისარნი და შუბოსანნი, კაის ცხენ-იარაღით, მოვიდნენ, ჩამოხდნენ საგარეჯოს. მაგრამ ურუმის ომებს ვერც-ერთს მოუსწრეს:

მოვიდა გიორგი ელჩით მოურავის-შვილი ხელმწიფიდამ, ებოძა ბატონის-შვილისა-თვის რაყამი დიდის წყალობისა და ფული მრავალი: მაშინ ბატონი-შვილი ერეკლე იდგა ასანურს, მიართვა წყალობა ხელმწიფისა: გარდმოვიდა ჯარი ურუმისა და ლეკისა, წაახდინეს ორბელიანთ 106
მამული და ბოლნის ელნი, გარდავიდნენ უვნებლად:

შეყრილ-იყვნენ გამოღმა-მხრის კაცნი: ზაზა თარხნის-შვილი და ციცი-შვილი ქაიხოსრო, წავიდნენ ჯავახეთ-ზე, დახვდნენ ნაშოვრიანს ლეკს და ურუმს, გაემარჯვათ ამათ, დააყრევინეს ნაშოვარი:

მოვიდა ფერიდონ-ბეგ, მხლებელი ყმა ხელმწიფისა ჯარების ხანის ასალებლად. აშურ-ხანს სარდალს განწყრომოდა: „რატომ თეიმურაზ-ხანს არ მიეშველეო:“ და განძული ექმნა: ებძანა ხანისა-თვის ხელმწიფეს: „სადა მეფე თეიმურაზ შენახვაბი ნახოს, ეგ ჯარები იქ დააყენეო:“ ჩამობძანდნენ ქართლისა და კახეთისა ხანები, აყარეს ჯარი და დააყენეს იორს უბან-ზე და თითონც იქ დადგნენ:

ბატონის შვილმა ერეკლე-მ ქსნის-ხეველი ყოვლს უფროს კაცს ქეთხუდას მძევლები გამოართვა და კახეთს გაგზავნა:

მოვიდა ბძანება, რაც აქ აშურ-ხანის ჯარები იდგა იმისი სარდლობა ფერიდონ ბეგისა-თვის მიეცა და თავის-თან დაებარებინა არაფრისა, გამოერთმევინა ქართლის ხანობა ალიხანისა-თვის: ფათალი-ხან სამშადილოს იდგა დიდის ჯარით, ამ ალი-ხანისა-თვისაც იქ დადგომა ებძანა:

ქორონიკონს ულბ, თვესა იგლისა, მოუვიდა ქართლის ბატონობის ამბავი მეფეს თეიმურაზს, კახეთის ბატონობა ძესა მისსა ერეკლეს, იყო სიხარული ქართლსა და კახეთსა სიხარული უზომო,

მოვიდა იბრეიმ-ბეგ, მხლებელი ყმა ხელმწიფისა და ხალათები და რაყმები მოუტანა მეფეს თეიმურაზს და ძესა მისსა ერეკლეს, ებოძა ამასაღად ჯამაგირი ბატონისა-თვის ორი-ათასი თუმანი და ბატონის შვილისა-თვის ათას ოთხასი თუმანი: მივიდა ეს იბრეიმ-ბეგ უბან-ზე, გა- 107
მოართვა ალი-ხანს დროშა და მოხელენი კარისანი, მოართვა მეფეს თეიმურაზს და იქმნა მეფედ ქართლისად:

აყარა ფერიდონ-ბეგ ეს ჯარები, მოვიდნენ, ჩამოხდნენ, ნახევარი ავლაბარში, ნახევარი სეიდაბადში. აყარეს, რაც ქალაქში ყაზარიისა და არეის ქვეყნის კაცი იყო შეუყარეს, ამ ჯარებს გაუძღვა ფერიდონ-ბეგ, შეიარეს ლორე-ზე და შეიყარნეს ერევნის ქვეყანაში ხელმწიფეს: წავიდა ალი-ხანც სამშადილოს ფათალიხან-თან: მობძანდა მეფე კეთილ-მორწმუნე თეიმურაზ, დადგა ლი-

ლოზე: შემოეყარნენ ქართველნი ხელმწიფეს-თან წასულნი, ქართველნიც მოვიდნენ, ეპატივებინა ხელმწიფეს ქართლის ხარჯის ადგილის ხარჯი და ან თუ რამ მეტად ქართლს სათხოვარს არ აკლებდენ, მეფის გულისა-თვის ყოველს-ზე ხელი აიღო: ბატონი-შვილის აბდულაბეგისა-თვის და ქაიხოსრო სარდლისა-თვის ებოძა ხელმწიფეს ხალათები და ასი თუმანი ინამად:

აიყარა მეფე თეიმურაზ ლილოდა-მ შემობძანდა ქალაქსა თბილისისასა, თვესა ივლისა ია, მიეგებნენ მოქალაქენი ანუ დასნი სამღვდელონი, შეასხეს ქება და შესწირეს მადლობა ღმერთსა, გაუშალეს მოქალაქეთა ფეინდაზი მძიმე ლართა, შეიქნა სროლა ზარბაზნითა, რომე ყურთა ხმა აღარ იყო, ავლაბრით-ალაყაფის კარამდის მორთვეს ბაზარი და განაბრწყინვეს ჩირახდნით, იყო სამი დღე და ღამე გაუწყვეტლად მეჯლისი და ლხინი უჩომო, სიხარული ფრიადი:

108 რა მეფე ვახტანგ ქართლით წაბძანებულ-იყო გ წელი გადევლო და მემკვიდრე მეპატრონე აღარა-ვინ მჯდარ-იყო ქართლსა, ამის-თვის უფრო სიხარული ჰქონდათ, მემკვიდრე ქრისტეს მოყვარე მეფე დაუჯდათ და ამით ყოველი შეჭირვება დაავიწყდათ ქართველთა:

მოუვიდათ ეს სიხარულისა ამბავი ბატონის-შვილს ერეკლეს. მაშინვე წაბძანდა ქალაქს, გავიდნენ, დასცეს სევასი დიდუბეს, ჩამოხდა მას შინა, გავიდა იბრეიმ-ბეგ, მიუტანა რაყამი ხელმწიფისა და ხალათი ჩაიცვა იქ და ეგრე შემობძანდა ქალაქში: გაეგება მამა თვისი, მიულოცეს ერთმანერთს და ეგრე შემობძანდნენ: თქვენმა მზემა, ისევ მეფენი მნახავთა-თვის სასიამოვნო იყო, ვითაც მეფეს თეიმურაზს ეგრევ ჩირახდნით და ფეინდაზით მართვენ (მორთვეს) ქალაქნი და განვიდეს შესხმად ქებისად მოქალაქენი: იქმნა მეფედ კახეთისად მეფე ერეკლე, დაიდვეს ნადიმი და დასხდნენ მეჯლიშად მეფენი ქართლისა და კახეთისანი:

მცირეთთა ხანთა წაბძანდა ორივ მეფენი კახეთს, ენება თავისის ხელით ძისა თვისისა და-
სხმა და ვითა მამისა წესია დაელოცა სამეფო და ეგრევ წაბძანებული იყო. ერთ-პირ ბატონი დედო-
ფალი ისევ კახეთს ბძანდებოდა, ქართველნი, კახნი სულ-თან ახლდნენ: მიბძანდნენ საგარეჯოს,
მოუვიდათ ამბავი, სამი ათასი ცხენოსანი ლეკი გამოსულ-იყო: ამ ამბავ-ზე ქართველი ბატონი
ველარ გარდაბძანდა თელავს, იქ გამოესალმნენ მამა-შვილნი. მაგრამ მნახავთა-თვის დიდად შე-
საწუხარი იყო, იცეს გახთ თავსა და ეგრე მწარის ტირილით გამოესალმნენ. ეგრევე მამა-
შვილნი ტირილით გაეყარნეს ერთმანერთსა: მეფე ერეკლე წაბძანდა კახეთს და მეფე თეი-
109 მურაზ მობძანდა ქალაქს. იმ ღამეს იდგა სეიდაბათში, მეორეს დღეს წაბძანდა ყაზახში, ფა-
თალი-ხან იქ იდგა, ლეკიც მტკვარს გამოსულ-იყო, შეიყარნენ ხანები ერთად, გამოუდგნენ
ლეკთა, მოეწივნენ ერთს მთაში, გაუმაგრდნენ ლეკნი ტყეში, იყო სროლა, სძლიეს ქარ-
თველთა და ყიზილბაშთა, გააურევინეს საქონელი ლეკთა და დასჭრეს თავები. მაგრამ ლეკმაც
ბევრი ავნო: ფათალი-ხან წავიდა ისევ ყაზახში, მეფე თეიმურაზ მობძანდა ქალაქსა თბილი-
სისასა:

გარდმოვიდა ერთი ჩერქეზის დიდი კაცის შვილი, მოართვა მეფეს მოსართმევი, დაპირდა სამსახურსა და ჯარის მორთმევასა. ებოძა ხალათი და გაისტუმრა წყალობით, ეგრევე კაცთა მისთა გასცა უხვად მისაცემელი, დაჰყვდა ნადიმად, ნახა ლხინი და გასცა ყოველთა ზედა:

უკეთურმა და ღვთის შემცოდემ, იუდის მსგავსად აღმშფოთებულ-მან თამაზის შვილმა ტარიელ, ერთის უბრალოს მიზეზისა-თვის სცა ქათალიკოზს ნიკოლაოზს სატევარი ზაკვით და მოკლა. ეგრევე ორი ყულუხჩი ხმლით ზედ დააკაფა, თავისი ბიძა-შვილი პაატა, ფრიად დასწყლულა: შეწუხდა მეფე, ვითაც მართებდა, თითონ ეშმაკის უბოროტესი ტარიელ დაიჭირეს და მოკლეს, ძმით ცოლ-შვილით სულ აიკლეს: წაასვენეს წმიდა გვამი პატრიარქისა დიდსა ეკკლესიასა საპატრიაქოსა მცხეთას:

ჟამსა ოდეს ფაშა ახალ-ციხისა პატრონობდა ქვეყანასა ქართლისასა მეფე-მან და მპყრობელ-მან კახეთისა-მან, ტომობით დავითიან-მან, მობაძავ-მან სოლომონისა-მან, ზნე სრულ-მან და მოყვარე-მან ქრისტეანობისა-მან, მსვრელ-მან უსცხო თესლთა-მან, სადგურ-მან კეთილისა-მან და საუნჯე რჯულისა-მან, ძე-მან მაღლისა ხელმწიფისა ერეკლესა-მან, პატრონმა თეიმურაზ უბოძა პარმშო და მრჩობლ მეფობისა საკადრად, ღირს ბრწყინვალებითა აღზენავებულ, კეთილ-აღ- 110
ზრდილი და ნათლად განშვენებული, საქციელ-წყნარი და სიტყვა ნარნარი, სასურველი ასული თვისი ანნა ორბელიანს, სარდლის ძეს, დიმიტრის მეუღლედ, დასწერა ჯვარი დიდებულსა და ღვთის მიერ კურთხევით დამყარებულსა სახლსა თვისსა და დღეის აქამდის, ვითა შვილი თვისი ეგრე იზდებოდა: ხოლო წყალობა ღვთისა მოეფინა აოხრებულს ქართლს, დაჰყვდა მეფედ, ვითა მწყალობელი იყო დიმიტრი ორბელიანისა და თვისი მახლობლობა უმეტეს ინება, მიანიჭა ხარისხი მაღლობა, უბოძა ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს მანდატურთ-უხუცესობა, ამასღად ორმოც-და-ათი თუმანი განუწესა ხელმწიფის რაყმითა, ვითაც სიძე იყო და თვისი დიდებულიც კარიც მიაბარა, ვითა შვენოდა სახლისა შვილობასა მისსა და ძველთაგანაც უმაღლესსა სახლოსა ჩვეულ-იყვნეს სახლი ორბელიანთი და ერთ-გულობისა საფუძველი დაედვათ გულთა შინა, აწცა დიმიტრი მხნე კისკასად ქცევასა არა და ერთ-გულად სამსახურსა არა დააცადებდა და ბატონისაგანაც არ აკლდის წყალობა უშურველი:

მოუვიდა ბძანება ბატონს: „თოფხანით სართში დადექო.“ გაბძანდა ბატონი მაშინვე და ქალაგირს დადგა. დარბაისელნი და სამღვდელონი დასნი, ეპისკოპოზნი ყოველნი გაისტუმრნა კახეთს, ბატონის დედოფლის წამოსაბძანებლად ქალაქს დააყენა სიძე თვისი მანდატურთ-უხუცესი, გასაგებად საქმისა და მისა ყოფად ბატონის დედოფლის დასახლომელ: მსწრაფლ აღასრულა ბძანებანი მეფისანი, მოამზადნა და მოფარდაგნა სარაია საყოფელნი. ჟამად განაწესნა მოქალა- 111
ქენი ანუ დასნი სამღვდელონი, რომელიმე მიმგებელ და შემსხმელ ქებათა, რომელიმე შლად ფეინდიზთა, მიმრთმეველ შაქარ-საუნოსელთა და რომელიმე იყვნეს ცდად მეჯლიშისათა: ჩამობძანდა დედოფალი, ძე თვისი სასურველი ერეკლე, მეფე თან-ჩამოუვა ჯარითა კახეთისათა, ეგრევ თან-

იახლა ბატონის-შვილი ანტონი, სადგური სულის-წმიდისა და საუნჯე სათნოებისა, ვითაც ბიძა-
შვილი იყო ბატონის დედოფლისა და დის-წული მეფის თეიმურაზისა და სახლსა მათსა იყო-
ფებოდა, არ უგულებელს-ჰყო უმახლობელ ყოფა მათი და თანა მოგზაურ-ექმნა: გაეგებნენ დასნი
სამღვდელონი ანუ ერთა გუნდნი და დედათა ბანაკნი, შეასხეს ქება და მადლობდეს ღმერთსა: „ვინა
გამოგვიჩინა ხსნად ჩვენდა ჭირვეულთაო და გვიხსნა მტერთა-გან ჩვენთაო,“ შემობძანდა ქალაქში
და დაბძანდა ტახტსა ზედა დედისა თვისისასა რუსუდან დედოფლისათა. მიეგებნენ დარბაისელთა
ჯალაბნი, დაულოცეს ტახტი და დაიდვეს ნადიმი, შეიქნა მეჯლიში და იყო ლხინი, განცხრო-
მა უზომო:

წაბძანდა ბატონი ჯარით და მიბძანდა დმანისის ციხესა, გარეთ სანგარი გააკეთეს და დადგა
მას შინა, უხმო კაცი და ებძანა: „ანტონი ბატონი-შვილი, რომელი იყო ქუთათელ ეპისკოპოზად
ქათალიკოზად დასვითო:“ ყოველივე ეპისკოპოზნი ქალაქს შემოკრებულ-იყვნეს, უწინაც სულ-
ბრწყინვისა დომენტის კათალიკოზის მიცვალებისა-ზე მოინდომეს სამღვდელო დასთა ანუ ერი-
საგანთა. არა ინება, აწ-ცა ინება უარის ყოფა. აიძულებდა დედოფალი და ანუ დასნი სამღვდელონი,
არღა-რა უარ-ჰყო და დართვა ნება, მიუტანეს იქავ ბატონისა სამყოფსა შინა ბარტყულა ჯვა-
რი-თურთ, კვერთხი და მდინარი: ეგრე ბატონისა სრით მდინარით წამობძანდა, სამღვდელო
112 დასნი, რომელიმე წინა-უძღოდნენ გალობით და აგმევდნენ საკმელთა დიაკონნი შემოსილნი, რო-
მელიმე უკანა მოსდევდეს. აგრევე მეფე კახეთისა ერეკლე ღვთის-მოყვარე და სარწმუნოება
მტკიცე თან-მოყვა სამყოფამდის დარბაისლი-თურთ და დასვეს ტახტსა ზედა პატრიარქად ან-
ტონი კეთილი და ღირს კეთილისა, ნათლის მრჩობლი მახსივნებელი, აზრისის კურთხევისა
დამამტკიცებელი, მთავრობა იაკობისა მანიჭებელი. ხოლო ლევიტელობის განმამდიერებელი,
აღმასრულებელ სჯულისა და განმაშვენებელ ეკკლესიათა, დამარხველ მცნებათა: შემდგომად რაო-
დენთამე დღეთა, წაბძანდა მცხეთას და მიიღო კურთხევა ეპისკოპოზთა კრებათა-გან და განშვენ-
და ყოვლით კერძო:

უბძანა დმანისიდამ ბატონმა ჯარსა, უთავა მერალი-ბეგ ციცის-შვილი, რომელი იყო ქალან-
თარი ქართლისა, გარდაუსივა ჯავახეთს, ახალ-ციხეს აქეთ სულ დაარბიეს და მოვიდნენ მრავლის
საქონლით: წავიდის მარბიელი, მოათხრის ჩილდურსა და ახალ-ციხეს ქვეით და მიიტანის ური-
ცხვი: ყაენი შანშე ყარსისა ციხეს ადგა და იყო ყოველ დღე ომი საშინელი და ხოცდნენ ყი-
ზილბაშნი ურუმთა, ვითა კატა: წავიდის ყარსიდამ ყიზილბაშის მარბიელი, მოათხრის აზრუმს
აქეთი და მოვიდის ურიცხვისა საქონლით: ასე მოუჭრეს წყალი, რომ ციხესა მყოფნი თითოს
ფიალას წყალს თითოს ფლურად ვერა შოულობდნენ: იყვნეს ურუმნი შეჭირვებულნი: დაებარებინა
ხელმწიფეს ქალაქიდამ ოთხასი კაცი მუშად, გაუძღვა ქალაქის მელიქი აღა და მივიდნენ ყარს,
ამუშავეს თვე ერთი და გაისტუმრეს ისევ: ათასი ლეკი ჯამაგირით, ურუმთ ყარსის ციხეში
უდგათ, რა წყალი ველარ იშოვეს და ზარბაზანი დაუშინდა, რაც ძალას ატანდა, ეს ლეკთ ველარ

გასძლეს, გამოიპარნენ და წამოვიდნენ. შეიტყო ხელმწიფემ, გამოუყენა ჯარი. მაგრამ ველარ-
სად მოეწივნეს, გაბრუნდნენ ყიზილბაშნი, მოაოხრეს ახალ-ციხის ქვეყანა და მიატანეს ყარს:
მოვიდა ჩაფარი დმანისის მეფეს თეიმურაზ-თან. „ლეკის ჯარი გამოგვეპარაო და ჩემი ერთ-გუ-
ლობა ახლა გაგიჩნდებაო, მაგათ დაუმარცხებელს ნუ გაუშვებო: მათ-გან რაც ჯარები იდგას 113
ყველა შენ იხელო:“ მაშინვე გაგზავნა მეფე-მ ჩაფრები. აშურ-ხან და აჯიხან ალაზნის პირ-ზე
იდგენ, ალი-ხან ყაზახში და კახი ბატონი კახეთს. ამათ ყოველს შეატყობინა, თითონც წაბძანდა
დმანისიდა-მ და თოფხანა დმანისის ციხეში დააგდო, მიბძანდა მარტყოფს: ლეკის ჯარი თურმე
ისევ უკან იყო. მოვიდა ჯარი ლეკისა შუა-დღის ჟამსა და თავს წამოადგნენ: უბძანა ბატონმა
ჯარს, შესხდა მაშინვე რომელი რომელს დაასწრებდა, შეუტივეს, თითონ ბატონი, ვითა ლომი
ეგრე მიესივა, ბატონს ჯარი ცოტა ჰყვანდა თავის-თან, რომ აქა იქ გზები შეაკრვევინა ჯარისა-
თვის. მაგრამ არა-ოდეს არას ომში არ დამარცხებოდა, სარწმუნოება ჰქონდა მტკიცე და გო-
ლიათობა შეურყეველი: სძლივა ლეკთა, გაემარჯვათ, ამოწყვიტა, ერთი შამხლის სახლის კაცი
ცოცხალი დაიჭირეს, თავები მოართვეს ბატონს ფრიადი: ეს ხანები, ვისაც ბატონმა აცნობა
ყველა წამოსულ-იყვნენ. მაგრამ ვეღარც ერთ-მან მოუსწრეს, მოვიდნენ საგარეჯოს, ამ გაქცეულს
ლეკს ეს ჯარები სულ გამოუდგნენ, კახმა ბატონმა გზები შეუკრა. ესენი ვერც-ერთი შეიყარნენ:
მეორედ ისევ მეფეს თეიმურაზს გაემარჯვა, წამობძანდა ბატონი გამარჯვებული, ქალაქს შემო-
ბძანდა. მაშინვე გაისტუმრა ხელმწიფეს-თან თარხანი ლუარსაბ, ეს ყიზილბაშების ჯარები წავი-
დნენ ისევ თვისა სანგრებსა: მივიდა თარხანი, მოახსენა გამარჯვება მეფისა, იამა დიდად და
დაჰპირდა დიდსა წყალობასა: უბოძა თარხანს ხალათი, თეორი ინამად, გამოუგზავნა მეფეს თეი-
მურაზს ხალათი, ცხენი, მძიმედ შეკაზმული და რაყამი დიდის წყალობისა:

მოუვიდა აშურა-ხანს, აჯი-ხანს და ალი-ხანს წყრომა ხელმწიფისა: „რატომ თეიმურაზ-
ხანს მალე არ შემოეყარენითო და ომში არ დაესწარითო:“ იყო ბატონი ყოვლ-დღე ლხინსა 114
შინა, დაჯდის ნადიმად და გასცის საბოძვარი. მოდიოდნენ გაქცეულნი თავადნი ზემო-ქართლისა-
ნი, აძლევდა ბატონი საბოძვარსა და იმედსა წყალობისასა:

უბოძამ მეფე თეიმურაზ ხელმწიფის რაყმით ზაალ ორბელიანს თუნქჩი-ალასობა, რომელ
არაგვის ერისთვის ბარძიმისა-თვის ხელმწიფეს მიეცა, ის რომ გარდაცვლილ-იყო და ახლა ამას
უწყალობა და მოქალაქეთ ნოქარნი ორი უზბაში თავისის თაბურით, რომელნი ბატონის წინა-
მძღომელნი იყვნეს, ისიც ამ ზაალს ორბელიანს მიაბარეს: აგრევე ამის უფროს ძმას ყაფლანს
საბარათაშვილოსა უზბაშობა უბოძა, ვითა ამას წინათ ხელმწიფეს ამის მამის დიმიტრისა-თვის
მიეცა. ახლა ამას ისევ თვისის მამის სახელო განუახლეს, ორმოც-და-ათი თუმანი ზაალს თუნ-
ქჩი ალას განუწესეს და ოცი თუმანი ყაფლან უზბაშს:

წავიდა დმანისიდა-მ ჯარი საორბელიშვილოსა, გაუძღვა მათი სალთხუცესი ბეჟან, მიუხდნენ,
დაესხნენ ხერთვის და ყორახს სოფლებსა ჯავახეთისა; ჩაუხდნენ ხრამებში, საქონელი ხმალ-და-

ხმალ ამოასხეს, წამოიღეს ნაშოვარი დიდ-ძალი, მოუწივნენ ურუმნი, დაერივნეს ერთმანერთისა,
იყო ცემა ხმალთა. მაგრამ არ ავად იყვნეს მსახურ აზნაურ-შვილნი ორბელიანთ, ასე რომ გუ-
ლად გაისარჯნეს, რომ ერთსა ომსა კმა ეყოფოდეს, სძლეს ჯარითა ურუმისათა, დაუხოცეს კა-
ცნი საჩინონი და წამოვიდნენ გამარჯვებულნი ნაშოვრით მრავლით, მოვიდნენ დმანისს, იყვის
ბატონი ლხინსა და შექცევაში, იყვის მეჯლიში და განცხრომა ფრიადი: გაისტუმრა მეფემ
ამილახვარ-თან ვახუშტი აბაშიძე და თარხანი ლუარსაბ სურამს, დაპირდა დიდს წყალობას და
ხელმწიფისა-გან დანაშაულის მოტევებასა: ბატონმაც გორს წაბძანება დაპირდა (დააპირა), ბატონი
115 დედოფალიც მცხეთას წაბძანდა, სვეტი-ცხოვლობის დღესასწაული იყო, იქ გარდიხდიდენ და ბატონი
გორს წაბძანდებოდა, დედოფალი ისევ ქალაქს ჩამობძანდებოდა: ამა ამბავთა შინა მოვიდა კა-
ხეთიდამ ჩაფარი, მოიტანა ამბავი საზარელი და ყოველთა შესაწუხარი, მეფის ერეკლეს მეუღლე,
დედოფალი კახეთისა ქეთევან დამარცხებულ-იყო. ბატონებს შეწუხებით ყოფნა მოახსენეს. მა-
შინვე წამობძანდნენ და წაბძანდნენ კახეთს მეფე და დედოფალი, თან-იახლნენ ქართველთ-დარბაი-
სელნი სახლეულითურთ: რა ჩამოხდენ ცხენიდამ, ესმათ ხმა საგლოველი და გაუმჟღავნეს, იუწყეთ,
ვითა შეწუხდებოდენ, მეფის ერეკლეს მეტი ძე არ ესვა და მისის შეწყენისა-თვის რაბამსა საურავსა
მიეცემოდნენ, მცხედარი ისევ დახვდათ, ალავერდს მიასვენეს, თითონ ბატონებმა თვალავს გლოვა,
ტირილი საშინლობით, ვითა წესი იყო ეგრე გარდაიხადეს:

მოვიდა ჩაფარი ხელმწიფისა, დააბარებინა მეფე და დედოფალი და მეფე ერეკლე: ვეღარ
დაიყოვნეს ხანი და მაშინვე წამობძანდნენ და ჩამობძანდნენ ქალაქსა თბილისისასა: წაბძანდა ბა-
ტონი, მიბძანდა დმანისსა. ბატონი-შვილი აბდულა-ბეგ, ლორის სულთან მამად-ხან და ქართველნი
თან-ახლდნენ: ყაენი გამობრუნდა ყარსიდა-მ, ესწრათ ზამთარი, სიცივე-მ ჯარს ვეღარ გააძლებინა,
ჩამოეცალა ციხეს, მოვიდა, დადგა ახალ-ქალაქსა. აქიდამ ურევდა (უსევდა) ჯარსა და აოხრებდა ქვეყანასა
ახალ-ციხისასა: წამობძანდა ბატონი დმანისიდა-მ, შეეყარა ხელმწიფეს იქავ ჯავახეთისა ქვეყა-
ნასა: მაშინვე მიიყვანა მეფე თეიმურაზ და ახლდა მხიარულისა პირითა და უბოძა ხალათი მძიმე,
აიყარა ჯავახეთით, გარდმოიარა ყაიყული და ჩამოვიდა ტაშირ-ზე, ორი დღე იქ დადგა, დააგდო
ლორეს ოზბეგისა და ბულუჯის ჯარი, თითონ აიყარა და ჩაიარა სომხით-ზე და ჩავიდა ალჯაყა-
ლას მანძილასა და მანძილ-ზე ებოძის ხალათი მეფეს თეიმურაზს, იქ აიღო ხელმწიფე-მ ხანი
116 ქართლისა და დიდათ მოიწონა ჯარი ქართველთანი და ოთხასი ნოქარი კიდევ სთხოვა ქართლს
ყალ-გებებით: ამ ყაენისა რიგი იყო, რაც ჯარი ჰყვანდა დიდი ანუ მცირე ყველა ჯამაგირით
ჰყვანდა, რომ ყველას მარტს, რომ ნავროზსი მოუვათ, ეს ვექილი და ვეზირი მუსტაფი, ამისთვის
უსხდა ყოველს ქვეყანაში, რომ ქვეყნის გამოსავალს სახელმწიფოდ აიღებდენ და ამ ჯარებს
გაუყოფდენ და თუ რამ გადარჩისთ ქვეყანისა-გან სახელმწიფოდ შეინახევდენ: მიბძანდა მეფე
კახეთისა ერეკლე კახ-დარბაისლით. რას წამს მიბძანდა, ნახა მაშინვე ხელმწიფე-მ და უბოძა ხა-
ლათი, მიბძანდა დედოფალი საქართველოსი თამარ, თან ახლდა ბეგუმ აბდულა-ბეგ ბატონის-

შვილის ჯალაბი, რომელი იყო და მეფის თეიმურაზისა და ბატონი-შვილი ანუკა, მეუღლე ვა-
ხუშტი აბაშიძისა: მისვლასავე მოეგებნენ ხოჯები და ჩამოახდინეს არამში: ნახა ხელმწიფემ,
მოიკითხა ტკბილად და უბოძა ბატონს დედოფალს ხალათი მძიმე, თეთრი ინამად საკადრად თვი-
სად: აგრევე ბატონი შვილებს ბეგუმს და ანუკას უბოძა ორთავ ხალათები და ინამად თეთრი,
დააყენა დიდის პატივით: როსცა ჯარი აჰყრის, ვითაც შაჰზადის, რომელი ჰყვანდა ყაენს ცოლად,
ეგრევ ბატონს დედოფალს თამარს მოართმევდეს ხელმწიფის ქუჯაოზი. ყაზახიდამ გამობრუნა
ბატონი დედოფალი მრავლისა საბოძვრით, შემობძანდა ქალაქსა თბილისისასა: ბატონმა თეი-
მურაზ უბოძა თვისი ჯანიშინობა ბატონი-შვილს ისაყ-ბეგს, ძმასა აბდულაბეგისასა, ხელ-
მწიფისაგანაც სამოცი თუმანი ჯამაგირი განუწესა, უბოძა ორსავ მეფეს ხალათები მძიმე და ინამი
ფრიად: უბძანა მეფეს თეიმურაზს: „ვითა შვილი ჩემი, ეგრე გიყურებო, მარტო ქართლი შენი
საკადრისი არ არისო, სხვის ქვეყანსაც მოიმედე იყავო,“ აგრევე უბოძა ბატონი-შვილს აბდულა- 117
ბეგს ხალათი და ინამი, ქაიხოსრო სარდალს და დიმიტრის ეშიკაღათბაშს ხალათები და ზოგთა
კახთა და ქართველთა ამორჩევით მისცეს ხალათები: ეგრე სიხარულით და ნიშ-ფრიადობით წარ-
მოევლინენ მეფენი ქართლისა და კახეთისა. ალი-მარდანხან ოთხისა ათასის კაცით თან-გამოატანა
და უბძანა ამილახვარს გივი-ზე ლაშქრობა: შემობძანდნენ ამ ჯარებით ქალაქსა თბილისისასა, წა-
ვიდა ხელმწიფე და დააგდო ჯარები ყაზახში და ბორჩალოში და უბძანა: „რაც თეიმურაზ ხანმა
გიბძანოსთო, მორჩილნი იყავითო: წავიდა ჯარი ოზბეგისა და ბულუჯისა, რომელი იდგა ლო-
რეს, დაარბივა ჩილდურის ქვეყანა, მოიტანეს ფრიადი საქონელი და ტყვე:

გაბძანდა ბატონი ქალაქით დიდის ჯარით, გაილაშქრა გივი ამილახვარ-ზე, თან-ახლდა ალი
მირდან-ხან ყიზილბაშის ჯარით, ბძანება ჰქონდათ ხელმწიფისა: „რაც თეიმურაზ ხანმა გიბრძა-
ნოსო იმ ბძანების მორჩილი იყავო:“ მორჩილობდენ მეფეს ჯარი ყიზილბაშისა და ეშინოდენ,
ვითა ყმანი თვისნი: მიბძანდა ბატონი სურამს თვესა დეკემბერსა გ: გამოვიდნენ ციხით მეომარი.
მაგრამ ვერა რად იბრძოლეს და შევიდნენ ისევ ციხეში, ციხეს მოშორებით სანგარი შეკრეს
დიდი და ჯარი მაში დააყენა ბატონმა და სხვა მეომარი გამოისტუმრნა ციხისა მახლობელ,
შეუკრეს საფრები, დაუწყეს ბრძოლა, გაგზავნა ყველგან კაცი მეფე-მ თეიმურაზ და დაიბარა
თავადნი ზემო-ქართლისანი: რასაც წამს შეიტყვეს ბატონის ბძანება მაშინვე შემოეყარნენ თა-
ვადნი ქართლისანი, უბოძა ხალათი ყოველთა და აპატივა დანაშაული ცთომილებისა მათისა და
უიმედა უმეტესი წყალობა, მისწერა ხელმწიფეს არზი და მოუტანინა ყოველთა, ზოგს ინამად
თეთრი და ზოგთა ამასალად ჯამაგირი განუწესნა: გაგზავნა ვაფლან-ორბელიანი ამილახვარის
შვილს დიმიტრის-თან, რომელი იყო ახალ-დაბის ციხეში გამაგრებული, ვითაც ვაფლანის და 118
ედგა დიმიტრის და სიძე იყო მის, სიტყვას ისმენდა, დაიბარა ბატონმა თავის-თან, სთხოვა ციხე
და დაპირდა წყალობას ფრიადსა: ვითაც ორბელიანთ წესი არის, ბატონის ერთ-გულობა და სამ-

სახურის ბეჭითობა, ყაფლან ორბელიანი ეგრე გულს-მოდგინებით. გაისარჯა, დართო ნება დი-
მიტრის, მოვიდა ბატონ-თან, მოარიგა ციხე ახალდაბისა.. თვესა.....

ქორონიკონსს ულგ, შეიყენა ციხეში ბატონმა მელიქი-შვილი მამად-ბეგი უზბაში ეგრევ
საბარათაშვილოს კაცით: უბოძა ამილახორის შვილს დიმიტრის ხალათი და დაპირდა წყალობასა:
ყაფლანს უბოძა ხალათი, უიმედა წყალობა და აღრაცხა ერთ-გულთა-თანა, გაგზავნა ბატონ-
მან ხელმწიფეს-თან ნაფარი და მოუტანინა ორმოცდა ათის თუმნის ჯამაგირი დიმიტრის
და უბოძა ამილახვრობა ხელმწიფის რაყმით: ეგრევ ყაფლანს მოუმატეს ჯამაგირი: იყვის მუ-
დამ მეჯლიში, ვითარც პირველ ქართველთა მეფობისა, ეგრევ ყოველგვე განაწესნა მეფე-მ თეიმურაზ,
ვითარც ქრისტეს-მოყვარე იყო და ებრალებოდა ქართველნი: აღასრულა ბძანება სახარებისა, მიუ-
ტევა შემცოდეთა ცოდვა თვისი, მხიარულ-ჰყო ყოველნი, ადიდებდიან ღმერთსა დასნი სამღვ-
დელონი ანუ გუნდნი ერთანი: „ვითა გამოგვიჩინა ესე მოწყალე ტკბილ-გონებითა მეფეო:“ უგზავნი-
დეს ამილახვარს კაცს და ეპატიჟებოდეს გამოსლვასა ციხიდა-მ. მაგრამ ვერ დაიმორჩილეს, ცოტა
რამ ლეკიც ჰყვანდა ციხეში და ციხეც კარგად დაწყობილი ჰქონდათ სანოვაგითა მრავლითა და
ჯაბახანითა ფრიადითა: არ ჰქონდათ ციხის აღების იმედი, იყო დღე და ღამ სროლა ზარბაზანთა
და ყუმბარათა, რომე კოშკისა-გან ციხე აღარა ჩნდის: აგრევ ესროდენ ციხიდამ ზარბაზანთა:
განაწესნეს ღამით მეომარი ხუთასი მცველად გზებისა, რომე ციხიდამ არა-ვინ გაპარვოდათ: ერის-
119 თვის-შვილი სარიდან ბრმა, ამილახვარის კაცით კეხვის ციხეში იდგა და ისიც ცდილობდა გამა-
გრებასა ციხისასა. გაისტუმრა მეფე-მ ჯარი, დაუტევა ამილახვარი-შვილი ამირინდო და მეითარი
ზურაბ, მივიდნენ და შემოადგნეს ციხესა კეხვისასა, იყო ბრძოლა დღე და ღამ, გამოხდა ხანი
თვე ოთხი. მერე უბძანა ყაფლან-ორბელიანს საბარათშვილოს ჯარით და მიაშველა კეხვის-ციხეს:

გავიდა ესეც და იყო დღე და ღამ ცდაში და სამსახურისა და ერთ-გულობისა გამოჩენაში,
არა ზოგავდა თავსა თვისა, ბარათა-შვილმა საამ უზბაშმა გამოირჩინა სროლა ზარბაზნისა, ასე
ესროდის, რომ ხელმწიფის მოყუსაბრე-მოზარბაზნენი დანასნა: მერმე უბძანა საამს უზბაშს და
გაისტუმრა, თოფხანა წარავლინა კეხვის ციხესა, დაუწყეს სროლა ციხესა კეხვისასა ზარბაზანთა
და ყუმბარათა:

შეწუხდენ მყოფნი ციხისანი, გამოგზავნა ციხით კაცი სარიდან ერისთვისშვილმა: „სარდა-
ლი ქაიხოსრო მოვიდეს და იმას მოვენდობი და გამოვალო:“ მოახსენდა ბატონს, მაშინვე გა-
მოგზავნა სარდალი ქაიხოსრო: რას წამს მოვიდა, მაშინვე გამოიყვანა სარიდან და მოგვარა
ბატონს, დასცალეს ციხე: იამა დიდად ბატონს და დაუმადლა სარდალს ერთ-გულობა, ვითარც
სანინო დიდებული კაცი იყო, ეგრე ნიჭ-ფრიადობითა აღივსო და ისმენდა სიტყვასა მისა. რო-
მელი იდგა ჯარი ბულუჩისა და ოზბეგისა წავიდის მათი მარბიელი, მოაოხრის ყარსისა ქვეყანა
და მოიტანიან ურიცხვი ტყვე ანუ საქონელი. ეგრევე წავიდის ჯარი ქართლისა, მოარბივის ახალ-
ციხისა ქვეყანა და მოიტანიან საქონელი უთვალავი:

ხელმწიფეს ერთი თვისი წინამძღვი კაცი, რომელსა ერქვა უსეინ-ბეგ, გამოეგზავნა ამილა-
ხვარ-თან, ებოძა რაყამი წყალობისა და ეპატიებინა ფიცით დანაშაული ცთომილებისა: შეუგზავნეს
რაყამი გივს ამილახვარს და აცნობეს ესე ამბავი: შემოეთვალა ამილახორს: „ბატონი მობძანდეს, 120
სიტყვა მაქვს, მოვახსენებ და გამოვალ იმის ბძანებითა:“ მიბძანდა ბატონი მცირეს კაცით, ციხეს
მახლობელ გარავი დადგეს, დაბძანდა იმაში, ჩამოვიდა ამილახორი თავისის კაცით, ნახა ბატონი
და შემოფიცა ქელ-პეშმარიტზე: „შენი ორგული არ ვიყო:“ უბოძა ხალათი მძიმე და დაპირ-
და დიდსა წყალობასა: მოახსენა ამილახორმა ბატონს: „თქვენი სარწმუნო ვარ. მაგრამ ხელმწი-
ფისა-გან ერთი ასეთი რაყამი მომიტანინეთ, ჩემი გული შესჯერდესო და ციხეს მაშინვე მო-
გართმევო:“ მაშინვე გაგზავნა ჩაფრად ხელმწიფეს-თან მილახორი რევაზ და ამილახორი ისევ
ციხეში შევიდა: ამ ამბის მაყურებელი იყო სანამდის ეს მილახორი რევაზ მოვიდა, ციხის კაცნი
ჩვენს ჯარში მოდიოდის და ჩვენი ჯარის კაცნი ციხეში შედიდის, ერთმანერთში ვაჭრობდიან:
მოვიდა რევაზ მილახვარი ხელმწიფიდამ, მოუტანა გივ ამილახვარს რაყამი ხელმწიფისა ფიცით:
„შენი დანაშაული და სისხლი ჩვენის სიმაღლისა და განმძლიერებელის მდომბელის მეფეს თეი-
მურაზისა-თვის გვიპატიებიაო:“ შეუგზავნეს რაყამი ციხეში და ესე ყოველი აცნობეს. მაგრამ
კიდევ გულება მართლად ვერ მოუნდეს: ჩამოაპარეს კაცი ციხიდამ, ძირიდამ ციხისა-თვის
ნაღმი გაეკეთებინათ, იმას ქვევა დაუწყეს: ეს ბატონს მოხსენდა, გაუსია სამი უზბაში საბა-
რათასშვილოს ჯარით, მიუხდნენ, ერთი მათი კაცი მოკლეს და სხვანი გაიქცნენ, შევიდნენ ისევ
ციხეში. უკუდგნენ ციხოვანნი, დახშეს კარი ციხისა და შეიქნა ისევ ბრძოლა: მთავარ-ეპისკო-
პოზი კირილე ციხეში ამილახვარ-თან იყო, გამოვიდა ამა ამბავ-ზე, მოვიდა, იახლა ბატონს,
მიიჩნივა ფრიად და დაადგინა პატივით, ნიკოლაოზ აბაშიძის-შვილი ციხეში დაესწრა ამ ამბავ-ზე 121
და აღარ გამოუშვა ამილახვარმა, იყო ყოველ-თვის ომი ფიცხელი უმეტეს პირველისა:

მიბძანდა კახი ბატონი ერეკლე სურამს, გაგზავნეს კაცი იმერეთს და აბაშიძის ზაალის ქალი
მშვენიერი და შემკული ყოვლითა ბრწყინვალებითა გარდმოიყვანეს ქვიშხეთს, ანუკა ბატონი-შვილი,
ვითაც მეფის ერეკლეს დედი-და იყო და ამან მოინდომა და მიათხოვა მეუღლედ: წაბძანდნენ ორი
მეფენი, სათნონი ღუთისანი და საქებელნი კაცთანი, მიბძანდნენ ქვიშხეთს სახლსა ვახუშტი აბა-
შიძისა, ვითაც ვახუშტის აბაშიძის ძმის-წული ქალი იყო და ქორწილი თითონ გარდაიხადა: დაი-
წერა ჯვარი მეფე ერეკლემ და იქმნა ასული აბაშიძისა დედოფალი ანნა, განისვენეს ორი დღე
ლხინ-ნადიმობით, ვითა მას დღეს მეფობდა და მობძანდნენ ისევ სურამს: იყო სროლა მუდმი-
სად ყუმბარათა და ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყვის, დაუწყეს კიდევ სამს ნაღმს თხრა
ციხისა გარემოს: ამა ამბავ-ზე, გაგზავნეს ხელმწიფეს-თან ჩაფარი და მოახსენეს ამილახვარი-
სა-გან ისევ პირის გატეხა და ციხის მეორედ გამაგრება. დიდად ეფიქრებოდათ ხელმწიფისა-გან,
ამით რომე ჯერ მოახსენეს შემორიგება და ახლა უკუდგომა: ჩავიდა ჩაფარი, მოხსენდა ეს ყო-
ველი ხელმწიფეს, ებოძა მაშინვე რაყამი მეფის თეიმურაზისა-თვის წყალობისა: „რაც გინდოდეს

ჩემი ხაზინა დახარჯეო, ყველა შენ-თან ეს იბარი (ეხთიბარი) გვაქვსო:" ასეთი მიჩნეული იყო მეფე თეიმურაზ ხელმწიფისა, რომ რაც საქმე დაშავებული-იყო უმეტესი წყალობის რაყამი მოუვიდის: გამოეგზავნა ხელმწიფეს სამი დიდი კაცი თვისის დიდებულის კარისა ნასხჩი-ბაში (¹), ჩანდულ-ბაში, დარიქა-ბაში თავისის დასტებით. ებძანა: „ვითარც ჩემ-თვის, ეგრე თეიმურაზ-ხანს ემორჩი-
122 ლებითო და იმის ბძანების მაყურებელნი იყავითო:" მოვიდნენ ესენი სურამს, ბატონს შეეყარნენ და ვითა ხელმწიფეს-თან ყოფილ-იყვნენ, ეგრე განკრძალულად ექცეოდნენ: გამოეგზავნა ხელმწიფეს კიდევ კაცი და ეთხოვნა სურამ ციხის სურათი, მხატვარიც იქიდამ გამოეგზავნა. დახატეს მაშინვე და გაუგზავნეს: რა ჩავიდა, გაშინჯა ციხის სიმაგრე, გამოეგზავნა კიდევ კაცი ერთი დიდებული და ებოძა ბატონისა-თვის თეთრი ფრიად ინამად და ეგრევე ჯარისა-თვის ებძანა: „მაგ ციხეს იმგვრლივ ასეთი გალავანი შემოავლევითო, რომ კაცს გარდასვლა არ შეეძლოსო და გარს ამ გალავანს ჯარი მოუყენეთო და თქვენ ჩამოეცალენითო, ეგ სასამძლის იყოსო, რომ თითონვე შემოიხვეწოსო:" აღასრულეს ბძანება და შემოავლეს მაშინვე გალავანი დიდი და შეუყენეს მცველი ფრიადი: მოვიდა ბძანება ხელმწიფისა და ებძანა: „ლორეს რომ ოზბეგისა და ბულუჩის ჯარება დგასო, ჩამოვიდეს, დმანის დადგესო:" აიყარნენ მაშინვე და დადგნენ დმანისისა მახლობელ:

ამა ხანთა შინა მოვიდა ხელმწიფისა-გან ხალათი ორი მამის მეფის თეიმურაზისა-თვის და და მეფის ერეკლესა-თვის. რაყმები დიდის წყალობისა, ერთი ხალათი აბდულა-ბეგ ბატონი-შვილისა-თვის: მოუწერა წიგნი ისაყ-ფაშას ამილახორის გივისა-თვის დიდის იმედისა და დაპირებოდა კიდევ მოხმარებასა. ეს წიგნები ქაიხოსრო ავალი-შვილს ჩაბარებოდა, მოიტანა და მოართვა ბატონს: გაგზავნა ბატონმა მაშინვე სააკ და პაპუა უზბაში საბარათაშვილოს ჯარით და ხეობის გზების შესაკრავად. მილახვარი რევაზ და პეტრე ავალი-შვილი უწინვე გაესტუმრებინა და იქ იდგნენ ხეობაში: ეს საბარათაშვილოს ჯარიც მივიდა და შეეყარნენ იმათ, ციცის-შვილი ფარსადანაც გაისტუმრეს ჯარით და ბუჯარეთის გზები შეუკრეს: ამა ამბავთა შინა კახმა ბატონმა
123 ერეკლე-მ წამოიყვანა დედოფალი ანნა ქიშხეთით, ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისისასა, სახლსა მამისა თვისისა, ქართველთა მეფისასა: იყო მეორე ქორწილი და განცხრომა ფრიადი, ვითა იმ დღესა და სიხარულსა გაეწყობოდა:

წავიდა ხეობა-ზე, რომ ქართლის ჯარი იყო ახალ-ციხისა ქვეყანასა, აიღეს ციხე საკირისა, იავარ-ჰყვნეს საქონელი: ასე ტყვე ურიცხვი და მოახსენეს ბატონს: მაშინვე მოახსენა ბატონმა ხელმწიფეს და სასამძლის ხელმწიფის ამბავი მოვიდოდა, ეს ქართლის (ჯარი) იმავ ციხეში დააყენეს, ზოგი საბარათაშვილოს კაცი იყო, მხნენი და მოუდრეკელნი და ზოგნი ავალი-შვილისა: შეტყვეს ეს ურუმთა, ვითაც მართებდათ ეგრე დაჰშვენდენ. უთავეს სოლაღასი და ფოცხ-ბეგ დიდის ჯარით და თოფხანით, ამ ციხეს გარს შემოახვიეს. იყო ბრძოლა და ომი საშინელი. არ ავად

(¹) უნდა ნასახჩი-ბაში დ. ნ.

იყვნენ ციხეში მყოფნი ქართველნი, კაცი ბევრი დაუხოცეს ურუმთა: მოხსენდა ბატონს ურუმის
შემოსდგომა, გაგზავნა ბატონმა ჩაფარი და დაიბარა მამად ალი-ხან და იმამ-ყულიხან დიდის
ჯარებით: მაშინვე აღასრულეს ბძანება, წამოვიდნენ და შემოუყარნენ. ასეთი ბძანება ჰქონდა
ბატონს ხელმწიფისა, რომ სადაც ადრიბეჯანის ქვეყანაში ჯარი ყოფილ-იყო დაებარებინა, მაშინვე
უნდა შემოეყრნენ: მოუვიდა ბატონს ბძანება: „ახალ-ციხის ქვეყანაში რომ ციხე დაგიჭერიათო,
ისევ დაცალეთო:“ ამა ამბავ-ზე დაიბარა ციხეში მყოფნი ქართველნი და უბძანა დაცლა ციხისა:
ურუმის ჯარი ისევ გარს ადგნენ. მაგრამ გამოვიდნენ ხმალ-და-ხმალ, ურუმიც ბევრი მოკლეს და
მოვიდნენ უვნებელად:

მისცეს სურამის ციხეს ერთი ნაღმი და ვერა ავნო რა, მისცეს მეორე ნაღმი და ციხის
ნახევარი სულ დაანგრია, ბევრიც ავნო მყოფთა ციხისათა: ამა ამბავ-ზე დაუწყო ლაპარაკი გივმა
ამილახვარმა და შემოუთვალა: „ბატონი დედოფალი მობძანდესო და იმის მოვენდობიო:“ მა- 124
შინვე გამოგზავნა ჩაფარი ბატონმა და მოახსენა ბატონს დედოფალს: წაბძანდა დედოფალი თა-
მარ და მიბძანდა სურამს: მაშინვე გამოვიდა ამილახვარი გივი და იახლა ბატონს დედოფალს,
მოართვა ძელი ჭეშმარიტი და თავისის საქონლის დავთარი, ეგრეც. „რომ თქვენი მოღალატე აღარ
ვიყავიო:“ მისცეს ბატონებმაც პირი: „რომ არა-ფერი, არც წახდენითა და არც სიკვდილითა არ
გიმავდესრაო:“ მოართვა ციხე სურამისა და წამობძანდა ბატონი დედოფალი ქალაქს და თან
წამოიყვანა ამილახვარი გივი: ბატონმა იქავ ხელმწიფის ამბავი მოიცადა, გაგზავნა სარდალი
ქაიხოსრო და მოახსენა ამილახვარის შერიგება და სურამის ციხის დაჭერა. მოსთხოვა ხელმწი-
ფეს ამილახვარის დანაშაულის პატიება: ჩავიდა სარდალი, იამა დიდად ხელმწიფეს, აქო ერანის
ჯარშია მეფე თეიმურაზ და დაპირდა ფრიადსა წყალობასა: უბოძა სარდალს ორბელიანს ქაი-
ხოსროს ხალათი, ხუთასი თუმანი ითერი და ხმალი უცხოდ მურასად გაკეთებული და ხუთასი
თუმანი კიდევ სხვა ჯარის სარქარდებისა-თვის: მოვიდა სარდალი და მოიტანა ეს წყალობა ხელ-
მწიფისა. ბატონი ჩამობძანდა სურამიდამ და მუხრანში ავიდა სარდალი და შეეყარა ბატონს და
მიართვა წყალობა ხელმწიფისა. აიყარა მუხრანიდამ და ჩამობძანდა ქალაქს, წაიკითხეს რაყამი
ხელმწიფისა და ებძანა: „ამილახვარი თავისის საქონლით შენ-თვის გვიბოძებიაო და მაგისი სი-
სხლიც შენ-თვის გვიპატიებიაო:“ უბოძა ბატონმა სარდალს ქაიხოსროს ხალათი მძიმე, ლაილო
ნადიმი, ნახა ლხინი უზომო, გასცა საბოძვარი უშურველი და უბოძა გივს ამილახვარს სალთხუ-
ცობა თვისი და განაგეს ყოველივე საქმე ხელმწიფური, ვითაც ძველთა-გან წესი ყოფილ-იყო
ქართველთა მეფეთა-გან:

მოვიდა ბძანება ხელმწიფისა და ებძანა ამილახვარის ციხეებისა დაქცევა და ყიზილბაშის ჯა- 125
რების დაბარება: გაისტუმრეს ამილახორის შვილი ამირინდო და დააქციეს სურამისა და ქეხვის
ციხე: ახალ-დაბის ციხეში საბარათაშვილოს ნოქარი უდგა და სხვილოს ციხეშიაც თვისნი მი-
სანდონი კაცნი დააყენეს. გაისტუმრეს ჯარები ყიზილბაშისა და ამ ჯარებისა ორი ხანი თავისის

ჯარებით ლორის სართოებში დააყენეს: მოვიდა ბძანება ხელმწიფისა. უბძანა გივის ამილახორის
დაჭერა და თავის-თან დაებარებინა: შეწუხდენ ფრიად მეფე და დედოფალი, ამის-თვის რომ პირი
მიეცათ: „რომ არაფერი არა დაგიზიანდესრაო:“ მაგრამ ასეთი მძლავრი ხელმწიფე იყო, რომ
იმისი წინა-აღმდეგი არა იქნებოდარა, დაიჭირეს გივი, აიყვანეს მაღლა ციხეში, სამი დღე იქ
დაამპატიმრეს და მერე გაისტუმრეს ხელმწიფეს-თან, თან გაატანეს კახი ბატონის მორდალი
სოლომან და ყაზახის სულთანი: ჩაიყვანეს გივი ამილახორი ხელმწიფეს-თან ხელ-ხუნდით, გა-
გზავნა ჩაფრად ბატონმა ხელმწიფეს-თან კახი ბატონის ეშიკაღასბაში სულხან და მოსთხოვა
ფარვანი ამილახვარის პატიობისა:

წავიდა სულხან, მიართვა არზი მეფისა. მაშინვე ისმინა აჯა მეფისა და მიაბარა ამილახორი
მაიარბაშს, რომელი იყო მახლობელი ყმა ხელმწიფისა და ტომი არღუთაშვილისა: ებოძა მეფის
თეიმურაზისათვის რაყამი წყალობისა: „ჩემის დოვლათის მონახევრე შენა ხარო, ყოველ-ჟამ
ჩემის უხვის მოწყალების მოიმედე იყავო, ამილახორის სისხლი შენ-თვის გვიპატიებიაო და ცოტა-
ტა ხანს უკან ისევ შენთანვე გამოვისტუმრებთო:“ გამხიარულდენ მეფე და დედოფალი დიდათ
ამილახორის სისხლის პატიებისა-თვის და მერმე ამის-თვის უფრო, რაც რაყამი მოუვიდის,
126 ამის-თანა რაყამი არას ქვეყნის მეპატრონესა და ბეგლარ-ბეგს არ მიუვიდის: ხელმწიფეც წასულ-
იყო დიდის ჯარებით, ერევნისაკენ დაებარებინა ქართლის ამალები: წავიდნენ ვექილი, ვეზირი, მუ-
სტაფი და ქალაქის მელიქი: უბძანა სარანებში ჯარების დაყენება: გაისტუმრეს ლორის სულთანი
და ბამბაკში სარანებში დააყენეს. აგრევე რევაზ ორბელიანი სომხით საბარაშვილოს ჯარით და
ზაალ ორბელიანი ღმანისის სართოებში დააყენეს: მოვიდა სარასკარი მრავლის ჯარებით არფა-
ჩაიზე და დადგა ალაგაზის მთის ძირზე: ყაენიც მივიდა, დაუდგა პირდაპირ მურად-თაფაზე.
ამილახორი გივი გაეგზავნა ხორასანს: წამოვიდა ჯარი ლეკისა, მიმართა ურუმთა მისაშველებლად,
შემოიარეს, წაახდინეს ბოლნისები, გამობძანდა ბატონი, გამოუდგა, ლეკთ ჯავახეთს გადაასწრეს,
ბატონი მიბძანდა, დადგა ბოლნის, მოვიდა ურუმისა და ლეკის ჯარი, მოუხდენ ღმანისს კალ-
დოსა მხარეს, მკის დრო იყო და მრავალი მუშა და საქონელი წაასხეს: გავიდნენ ღმანისიდამ
რევაზ ორბელიანი და ზაალ თვანქჩიაღასი და ვინც ყაფლანის-შვილები იყვნენ. მაგრამ სანამდის
ჯარი მიეწრებოდა რევაზ ორბელიანი და ზაალ ორბელიანი ცოტას კაცით, ვითაც შავარდენი
ტრედის გუნდში ეგრე შიგ ხმალ-დახმალ გაერივნენ, რაც მიქონდათ ისიც დააყრევინეს და ბევ-
რიც ავნეს: ზაალ ორბელიანმა კაცი იშოვა და თავი გამოიტანა, მივიდნენ ჯარიც, დაერივნენ შიგ,
რომ რისხვა ღვთისა დასცეს, ამოსწყვიტეს ურუმი და ლეკი ფრიადი და შემოვიდნენ გამარჯვე-
ბულნი ღმანისს: წაიღო რევაზ ორბელიანმა და ზაალ თვანქჩიაღასმა თავები ბოლნის, მიართვეს
ბატონს, იამა დიდათ და უიმედა წყალობა, აიყარა ბოლნისიდამ ბატონი და ჩაბძანდა ქალაქს:
127 გარდმოვიდა ჯავახეთიდამ ჯარი ლეკისა და ფალოვანს ზეით სოფლები სულ წაახდინეს, წაიღეს
ნაშოვარი, თრიალეთ-ზე. გამოიარეს: ბატონს გვიან მოხსენდა, გამოუყენა სარდალი ქაიხოსრო

ჯარით. მაგრამ ვეღარ სად მიეწივნეს: გარდიტანეს ნაშოვარი ურიცხვი ჯავახეთს, იმა-ზე შეყრილ იყო ურუმნიც გამორეოდნენ, გარდმოვიდნენ, მოუხდნენ სამშვილდეს, ციხეს გარეთ მრავალი წაახდინეს და გარდაიტანეს ჯავახეთს: ამისა შემდგომად წამოვიდა დიდი ჯარი ურუმისა და ლეკისა, მიუხდნენ ლორეს და მრავალი სული დაატყვევეს და საქონელს და პირუტყვს რიცხვი არა ჰქონდა, წამოიღეს, გამოუდგა ლორის სულთანი, მოეწია ტაშირ-ზე, ამოწყვიტა მრავალი და ეგრევე ცოცხალი შეიპყრა ფრიადი, რაც მიქონდა სულ გაარჩევინა. მოართვა თავი და ცოცხალი ლეკისა და ურუმისა მეფეს თეიმურაზს: გაგზავნა ბატონმა ჩაფარი და მოახსენა ესე გამარჯვება ხელმწიფეს: ამა ამბავ-ზე მოუვიდა მამად სულთანს წყალობა და თეთრი ინამად: ამაზე დაუწყეს ქართველთ ცემა ახალ-ციხის ქვეყანასა, იმ მხრით ზემო-ქართლისა და საერისთოსა ჯარი და ამ მხრით საბარათაშვილოსა და საორბელიშვილოსა ჯარი წავიდის, მოაოხრის ახალ-ციხის აქეთი ქვეყნები და წამოიღიან საქონელი ურიცხვი და ტყვე არ ინდომიან, თუ სადმე მტერი აუჩნდისთ, რისხვა ღვთისა დასციან. ახალ-ციხის ქვეყნების კაცნი თუ სიმაგრესა და ციხეებში თურემ სხვა-გან ვეღარსად დაუდგიან:

გამოვიდა ქვეიდამ ჯარი ლეკისა, ამისი თავი მაშად-ხან იყო, გვარ-ლეკი, შემოიარეს ყაზახ-ზე და მივიდნენ ყარს სარასკარ-თან, მეფე თეიმურაზ კახეთს ბძანდებოდა, მოილოცნა ადგილნი წმიდათანი და მიბძანდა თელავს, დაიდვეს ნადიმი ორთა მეფეთა და გარდაიხადეს მეჯლიში:

ამა ამბავთა შინა, ყაენის ჯარი და სარასკარი ჯარი არფაჩაის შეიბნენ, გაემარჯვათ ყიზილ- 128
ბაშთ, ამოწყვიტეს ურუმნი და გაიქცივეს, მიყვნეს, თან აიყარა ყაენიც და შემოადგა ყარს. მოუვიდა ამისი მახარობელი მეფეს თეიმურაზს, ჩამობძანდა კახეთიდამ ქალაქს, უბოძა მახარობელს ხალათი მძიმე და თეთრი ინამად, იყო სროლა ზარბაზანთა და ჰქნეს მოქალაქეთა ჩირახდანი, უბოძა მეფისათა და მორთვნეს ქალაქნი უცხოს ლარითა: დაიდვა მეფე-მ ნადიმი და გარდაიხადა მეჯლიში. იყო სიხარული უზომო, ამით რომე ურუმის ჯარი ასე დიდი იყო, რომ იტყოდნენ: „ექვსასი ათასი ულუფის ამღები კაცი ახლავსო სარასკარს და ყაენი ორმოცს ათასს კაცს მეტს არ იახლებდაო:“ ამით ქართველნი დიად მოშიშინვარე იყვნეს. რომ ყაენის გამარჯვება არ ეგონსათ და ქართლი სულ ყათლამს მოელოდა:

გამოვიდნენ მეორედ ურუმნი, შეებნენ ყიზილბაშნი, გაემარჯვათ კიდევ, მოკლეს სარასკარი, რომელი იყო დის-წული ხონთქრისა და დიად დიდის დიდებით მოსული, ამოწყვიტეს ურუმნი, რომ სიმრავლისა-გან ხოცა ვეღარ შეიძლეს. დარჩა ყაენს თოფხანა ხონთქრისა და ხაზინა ფრია-დი, რაც საქონელი ვერა ზიდეს ცეცხლით დასწვეს ყიზილბაშთა: ოთხმოცი ათასი ენგიჩარი შეეპყრათ ომში, უბოძა ამათ ყაენმა ჯამაგირი მსგავსად თვისა ჯარისა და ალრია ჯარსა თვისსა: მოუვიდა მახარობელი მეფეს თეიმურაზს, განისარა უმეტეს პირველისა, უბოძა ხალათი და შექნა მეჯლიში სამი დღე და ღამე, იყო შადლუხი ზარბაზანთა, ცემა ქოსთა და სპილენძთა ჭურ-

თა, მორთვეს ქალაქი ჩირაღდნით, მისცეს მადლობა ღმერთსა ქართველთა, იჯდის მეფე ნადიმსა
და გასცის საბოძვარი და აძლევდის ნუგეშს ქართველთა:

მეფე იმერეთისა ალექსანდრე თვისმა უმცროსმა ძმამ მამუკამ გარდმოაგდო, მოიპყრა
129 იმერეთი და დაჯდა მეფედ იმერეთში მამუკა: გამოგზავნა თვისი მისანდო კაცნი ალექსანდრე
მეფემ მეფეს თეიმურაზთან, შემოეხვეწა და სთხოვა ჯარი და მოხმარება, მოახსენეს ხელ-
მწიფეს და მოუვიდა ბძანება მიშველებისა. უთავეს ყაზახის სულთანი სეფიყულიბეგ, ყიზილ-
ბაშის ჯარს და მაჩაბელი იასე ზემო-ქართლის ჯარს და გაისტუმრეს იმერეთს. შეეყარნენ მე-
ფეს ალექსანდრეს:

ამ ხანთა შინა დაუწყეს ცემა ოსთა ზემო-ქართლს. აგრეთვე ჩამოადგა ჯარი ლეკისა სომ-
ხით-საბარათაშვილოში: წაიღის მარბიელი ქართლისა და მოარბიეს ახალციხისა ქვეყანა. იყო
ცემა და ომი ყოველგან, ყაენიც დაბრუნდა გამარჯვებული ერანისაკენ, უბძანა მეფის თეიმურა-
ზისათვის ხელმწიფემ: „ვითაც თქვენი მეფობის რიგი ძულისო, ეგრე კურთხევა მიიღეო:" ვითა
დიდთა ხელმწიფეთა წესია, რომ ყოვლის ქვეყნის რიგი უნდა იცოდეს, ასეც რომ შეეტყო
ქართველნი მეფენი გვირგვინით ეკურთხებიანო, ეს მეფეს თეიმურაზს წყალობად მოსცა, ვითაც
იტყვის წინასწარმეტყველი: „მეფეთა გული ხელთა შინა ღმრთისათა არიანო." ეს ღმერთმან
მეფეს თეიმურაზს წყალობად მოუვლინა და სცხო საცხებელი მეფობისა, თორემ რამდენი წელი-
წადი გარდასულიყო ჟამთა ვითარებისაგან და ცხებული მეფე ქართლში არა მჯდარიყო, მადლო-
ბდეთ ღმერთსა, რამეთუ ვითა მოსე ეგვიპტეს წყვდეულთა ისრაილთა მოუვლინა ხსნად, ეგრე
ქართველთა აგარიანთაგან ტყვექმნილთა მოუვლინა მეფე თეიმურაზ: იწყო მზადება მეფემ კურ-
თხევისა და მოიწვივნა ყოველნი დასნი სამღვდელონი: ქართლის ომალები, რომ ხელმწიფეს-
თან იყვნეს, გამოეცვალა ვექილი აბაზბეგ და იმის სანაცვლოდ სამი ვექილი გამოეგზავნა,
უბძანა: „მეფეს თეიმურაზს ემსახურენითო:" ქართლს რაც გარეშემო ქვეყნები ჰქონდა, ვითა
130 ძველადაც ქართლზე სდებოდა და ახლა ამანაც ქართლს დაადო და ვექილებიც გაუჩინა, ამ მიზე-
ზისათვის სამი ვექილი ქართლში გამოეგზავნა. მაგრამ ბატონის ურჩობის ვერას იქმოდნენ:

გაგზავნა კაცი ბატონმა კახეთს და მოიწვივნა ძე თვისი მეფე კახეთისა ერეკლე და დედო-
ფალი ანნა კახეთის დარბაისლით კურთხევისათვის: აღარ დაიყოვნა მეფემ ერეკლემ და წამო-
ბძანდა ერთპირად, გზაზე მტერი აუჩნდათ, გაერივნენ კახნი ხმალ და ხმალ, ვითაც კახნი მუდამ
გამზადებული იყვნეს და მერე ბატონი უყურებდა, გარდუცვივდნენ დასაფრებულთა ლეკთა და
რისხვა ღმრთისა დასცეს, ამოწყვიტეს ლეკნი, დასჭრეს თავები ლეკისა და წამოიღო მოსართმევად
მეფის თეიმურაზისა: რა მოვიდა ქალაქს მეფე ერეკლე გაეგებნენ სრულიად ქართველნი, აგრეთვე
დასნი სამღვდელონი და მოქალაქენი, შეასხეს ქება, ვითა შვენოდა: თავნი ლეკთანი წინ-მოუ-
ძღოდა და ჯარი აქეთ და იქით ესხათ მოსდევდა და თითონ მარტივად მობძანდებოდა. მაგრამ
თქვენმა მზემა, ერთი უკეთესი სანახავი კაცის თვალით აღარა ინახებოდა, წითელს ტაიჭსა ჯდა,

ქარქაშ ხილვითა, ოქროთა მოჭედილი, წელთა ერტყნეს, კაცს მისი შეხედვა განალიგებდა, სუმბულნი ახლად აშლოდეს, ვარდნი, მუშკთა მოშვებულნი, თხემთა დაშლოდეს გარე-მოცვითა, ვარდნი სახდომად გაშლოდეს, ტან-კვიპაროსში გმირ-ფალავნურად აღზრდილეს, მისთა შემხედთა ზედა შიშვრით ერთი მეორეს გაქონდეს, ქება ყოველთა და ბანოვანთა შინა დაქონდეს: შიბძანდა სარაითა სამყოფოთა მეფისათა, გარდმოხდა ცხენისაგან, მოეგებნენ მეფე და დედოფალი, მოეხვივნეს სურვილით, ვითა ძე იყო. მაგრამ მის მეტი ძე არ ესვათ, მერე ყოვლის კეთილით და ხელმწიფურის ქცევა მეტადინობით სრული იყო, უცხოთაგანაც დიდად საკვირველი და საყვარელი იყო: არა-თუ დედ-მამათა-თვის, დაიდვეს სადილი, გარდიხადეს შექცევაში:

ბძანა მეფე-მა: „დროშათა გაკეთება: გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილ-იყო, დროშა 131
ოთხი ჯვართა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანსს ქაიხოსროს, მეორე მუხრან ბატონს კოსტანტინეს, მესამე ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო ვლიდა: გაემართნეს მცხეთას მეფენი ორნი და დედოფალნი, ერნი და დარბაისელნი ქართლისა და კახეთისანი სასულიერო-თურთ, აგრეთვე დასნი სამღვდელონი სრულიად, ვინ ვისა დროშა-ზე ჯვარი ყოფილ-იყო, ისევ ძველსა რიგ-ზე განაწესეს და შეეკრიბნეს თვის თვისი ჯვარი დროშათა. ორისავ საერისთოს ჯვარი აუ-ვალეს მოეგებნეს, უბძანა. „ორსავე ერისთვის ჯვარს მუხრან-ბატონის დროშა-ზე მისვლა." ვითაც ძველთა-გან ორი ერისთვისა მამული მუხრან-ბატონის სასარდლო ყოფილ-იყო:

შიბძანდნენ მეფენი და დედოფალნი ქართლისა და კახეთისანი მცხეთას. ანტონი კათალიკოზი კეთილ-სამოსლებითა აღჭურვილი, ტრიფიალებითა საზესართა ზედ-მიწევნითა აღზესებული და ყოვლად სარწმუნოებითა მტკიცედ დამტკიცებული. ხოლო მადლთა მიერ განსრულებული, არა დაატადებდა ყამითი ყამად სიბრძნე მრავლობით წყლით და მართლიად გამოიყვლევდა წვრილთა-გან კურთხევასა მეფისასა, ასაკითა იყო მცირე. მაგრამ სოლომონისა სიბრძნესა არა რად კლებულ-ექნებოდა. მეფეთა შვილი იყო და სულიერსა მეფობასაც ღირს იქმნა. ეგრე მწიობრ მეფობისა საკადრად განაგებდა ყოველთა საზღვართა კეთილისათა: ორი დღე დაიყოვნა და განაწესნა ყოველნი სამღვდელონი ანუ საერონი და წესნი დღისა მისისანი მზადება ყოველნი: დღესა მესამესა გამობძანდა ბატონი გარეთ საყდარს წინ ანტიოქიასა, ზემორე ხეყე იდგეს დიდი და ხეყესა გვერდით ხევანი დაუდგნეს, დაბძანდა ხევანსა შინა და გვერდით იახლნეს დარბაისელნი, ვინა ჯდომისა ღირს-იყვნეს, ვინა დგომისა ეგრეთვე ყოველნი განაწესნეს: შემოიტანეს სამეფო შესამოსელი. 132
პორფირი, ბისონი და დიადემა ბოხნებით. ეგრეთვე გვირგვინი, ხმალი, სკიპტრა და ქვეყნისა სავერთი: ესე ყოველი ამიერ და იმიერ მოიყვნეს: ამისა შემდგომად მოვიდა მთავარ-ეპისკოპოზი არსენ შემოსილი, მთავარ-დიაკონნი შემოსილნი წინა უვიდოდეს კმევითა საკმეველისათა, აგრეთვე ჯვარისა მტვირთველსა ჯვარი პატიოსანი აღემართნეს და მგალობელთა დასნი მოუძღოდეს და გალობდნენ გალობასა ჯვარისასა:

თა, მოარტყვეს ქალაქი წირახდნით, მისცეს მადლობა ღმერთსა ქართველთა, იყიდის მეფე ნადიმსა და გასცის საბოძვარი და აძლევდის ნუგეშს ქართველთა:

მეფე იმერეთისა ალექსანდრე თავისსა უმცროსსა ძმასა მამუკასა გარდმოაგდო, მოუდგა
129 იმერეთი და დაჯდა მეფედ იმერეთში მამუკა: გამოგზავნა თვისი მისანდო კაცნი ალექსანდრე მეფემ მეფეს თეიმურაზთან, შემოეხვეწა და სთხოვა ჯარი და მოხმარება, მოასხვენა ხელმწიფეს და მოუგზავნა ბძანება მიშველებისა. უთავეს ყაზახის სულთანი ხუდასვერდი-ბეგ, ყიზილბაშის ჯარს და მახაბელი თავე ზემო-ქართლის ჯარს და გაისტუმრეს იმერეთს. შეეყარნეს მეფეს ალექსანდრეს:

ამ ხანთა შინა დაუწყეს ცემა ოსთა ზემო-ქართლს. აგრეთვე ჩამოადგა ჯარი ლეკისა სომხით-საბარათაშვილოში: წაგიდის მარბიელი ქართლისა და მოაარბივის ახალ-ციხისა ქვეყანა. იყო ცემა და ომი ყოველ-გან, ყაენიც დაბრუნდა გამარჯვებული ერანისა-კენ, უბძანა მეფის თეიმურაზისა-თვის ხელწიფეს: „ვითაც თქვენი მეფობის რიგი იყოსო, ეგრე კურთხევა მიიღეო:" ვითა დიდთა ხელმწიფეთა წესია, რომ ყოვლის ქვეყნის რიგი უნდა იცოდეს, ესეც რომ შეეტყო ქართველნი მეფესა გვირგვინით ეკურთხებიანო, ეს მეფეს თეიმურაზს წყალობად მოსცა, ვითაც იტყვის წინასწარმეტყველი: „მეფეთა გული ხელთა შინა ღმრთისათა არიანო." ეს ღმერთმან მეფეს თეიმურაზს წყალობად მოუვლინა და სცხო საცხებელი მეფობისა, თორემ რამდენი წელიწადი გარდასულ-იყო ჟამთა ვითარებისა-გან და ცხებული მეფე ქართლში არა მჯდარ-იყო, მადლობდეთ ღმერთისა, რამეთუ ვითა მოსე ეგვიპტეს წყვდიადსა ისრაილთა მიუვლინა ხსნად, ეგრე ქართველთა აგარიანთა-გან ტყვე-ქმნილთა მოუვლინა მეფე თეიმურაზ: იწყო მზადება მეფე-მ კურთხევისა და მოიწვივნა ყოვლნი დასნი სამღვდელონი: ქართლის იმალები, რომ ხელმწიფესთან რჩენს, გამოეცვალა ვექილი აბაზ-ბეგ და იმის სანაცვლოდ სამი ვექილი გამოეგზავნა, უბძანა: „მეფეს თეიმურაზს ემსახურენითო:" ქართლს რაც გარეშემო ქვეყნები ჰქონდა, ვითა
130 ძველადვე ქართლ-ზე სდებოდა და ახლა ამანაც ქართლს დაადო და ვექილებიც გაუჩინა, ამ მიზეზისა-თვის სამი ვექილი ქართლში გამოეგზავნა. მაგრამ ბატონის უნებურს ვერას იქმოდნენ:

გაგზავნა კაცი ბატონმა კახეთს და მოიწვივნა მე თვისი მეფე კახეთისა ერეკლე და დედოფალი ანნა კახეთის დარბაისლით კურთხევისა-თვის: აღარ დაიყოვნა მეფე-მ ერეკლე-მ და წამობძანდა ერთობ მწირად, გზაზე მტერი აუხსნდათ, გაერივნენ კახნი ხმალ და ხმალ, ვითაც კახნი მუდამ გამზადებული იყვნეს და მერე ბატონი უძღოდა, გარდუცვივლენ დასაფრებულთა ლეკთა და რისხვა ღმრთისა დასცეს, ამოწყვიტეს ლეკნი, დასჭრეს თავები ლეკისა და წამოიღო მოსართმევად მეფის თეიმურაზსა: რა მოეახლა ქალაქს მეფე ერეკლე გაეგებნეს სრულიად ქართველნი, აგრეთვე დასნი სამღვდელონი და მოქალაქენი, შეასხეს ქება, ვითა შვენოდა: თავნი ლეკთანი წინ-მოუძღოდა და ჯარი აქეთ და იქით დასათ მოსდევდა და თითონ მარტივად მობძანდებოდა. მაგრამ ითქვენმა მზემა, ერთი უკეთესი სანახავი კაცის თვალით აღარა ინახებოდა, წითელსა ტაიჭსა ჯდა,

ქარქაშ ხილვითა, ოქროთა მოჭედილი, წელთა ერტყნეს. ვაცს მისი შეხედვა განალიგებდა, სუმბულნი ახლად აშლოდეს, ვარდნი, მუშკთა მიუშვებდნი, თხემთა დაშლოდეს გარემოცვითა, ვარდნი სახდომად გაშლოდეს, ტან-კვიპაროზი ამირ-ფალავანურად აღსრულდეს, მისთა შემხედთა ზედა მიკვრით ერთი მეორეს გაქონდეს, ქება ყოველთა და ბისნებათა შინა დაქონდეს; მიბძანდა სარაიათა სამეფოთა მეფისათა, გარდმოხდა ცხენისა-გან, მოეგებნეს მეფე და დედოფალი, მოეხვივნეს სურვილით, ვითა ძე იყო. მაგრამ მას მეტი ძე არ ესვათ, მერე ყოვლის კეთილით და ხელოვნურის ქვეყნ მეტადინობით სრული იყო, უცხოთაგანაც დიდად სატრფიალო და საყვარელი იყო არა-თუ დედ-მამათა-თვის, დაიდვეს ნადიმი, გარდიხადეს მეჯლიში:

ბძანა მეფემ: „დროშათა გაკაზმვა გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა 131
ოთხი ჯვარითა მოტული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე მუხრან ბატონს კონსტანტინეს, მესამე ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის გერძო გლიდა: გამართნეს მცხეთას მეფენი ორნი და დედოფალნი, ერნი და დარბაისელნი ქართლისა და კახეთისანი სასლე-ულიათურთ, აგრეთვე დასნი სამღუდელონი სრულიად, ვინ ვისა დროშაზე ჯვარი ყოფილიყო, ისევ ძველსა რიგზე განაწესეს და შემოეხვივნეს თვის თვისი ჯვარი დროშათა. ორისავ სარისთოს ჯვარი აფხაზეთს მოეგებნეს, უბძანა. „ორსავე ერისთვის ჯვარს მუხრან-ბატონის დროშაზე მისვლა." ვითაც ძველთაგან ორი ერისთვისა მამული მუხრან-ბატონის სასარდლო ყოფილიყო:

მიბძანდნენ მეფენი და დედოფალნი ქართლისა და კახეთისანი მცხეთას. ასტორნი კათალიკოზი კეთილ-სათნოებითა აღჭურვილი, ტრფიალებითა საშვენათა ზედ-მიწევნითა აღჩენებული და ყოვლად სარწმუნოებითა მტკიცედ დამტკიცებული. ხოლო მადლითა მიერ განბრწყინვებული, არ დაალედებდა ჟამითი ჟამად სიბრძნე მრავლობითა წესთა და მართლიად გამოიკვლევდა წერილთა-გან კურთხევასა მეფისასა, ასაკითა იყო მცირე. მაგრამ სოლომონისა სიბრძნესა არა რად ელებულექნებოდა. მეფეთა შვილი იყო და სულიერსა მეფობასაც ღირს იქმნა. ეგრე მრჩობლ მეფობისა საკადრად განაგებდა ყოველთა საშლივართა კეთილისათა: ორი დღე დაიყოვნა და განაწესნა ყოველნი სამღვდელონი ანუ საეროსნი და წესნი დღისა მისისანი მზა-ქმნა ყოველნი: დღესა მესამესა გამობძანდა ბატონი გარეთ საყდარს წინ ანტიოქიასა, ჩემორე სვეტ იდგეს დიდი და სვეტსა გვერდით სვეტნი დაედგნეს, დაბძანდა სვეტნსა შინა და გვერდთა იახლნეს დარბაისელნი, ვინა ჯდომისა ღირს-იყვნეს, ვინა დგომისა ეგრეთ ყოველნი განეწესნეს: მოიტანეს სამეფო შესამოსელი, 132
პორფირი, ბისონი და დიადემა ბოხჩებით. ეგრეთვე ბვირგვინი, ხმალი, სკიპტრა და ქვეყნისა საფეროი: ეს ყოველი აქეთ და იქით მოუწყვეს: ამისა შემდგომად მოვიდა მთავარ-ეპისკოპოზი არსენ შემოსილი, მთავარ-დიაკონნი შემოსილნი წინა უძღოდეს კმევითა საკმეველისათა, აგრეთვე ჯვარისა მტვირთველსა ჯვარი პატიოსანი აღემართნეს და მგალობელთა დასნი მოუძღოდეს და გალობდნენ გალობასა ჯვარისასა:

მოეგებნეს წინაშე მეფისა და თაყუანის-სცეს და კანბორნეს მეფესა. ხოლო აღიღეს ერთი კს სამეფო შესამოსელი და იარაღი, მოსცეს მთავარ-ეშიკაღასბაშსა, იტყვიროთ ორთა მკლავთა და წა-მოეგებნეს ეგრეთვე გალობითა, შეიტანეს ეკლესიასა შინა, დარეკეს მწუხრისა, წამოასხნა მეფე ეკლესიასა, ჭრეს ქოსთა და სპილენძ-ჭურთა; მოეგებნეს ეპისკოპოზნი, ყოველნი მწირართ შემოსილნი, ბატონს წინ და თაყუანის-სცეს, დაიწყეს ლოცვა მწუხრისა, გასრულდა ლოცვა მცო-რედი, დაიჭირნეს და შეიწყნეს ეკლესიასა: იყო ღამის თითქმით გარდასულ, დღესასწაული იყო ხატი-ცხოველისა დღე, იყო ის დღე და მეფის კურთხევის რიგით შესხმისა ყოვლად ნეტარმა ანტონი პატრიარქმა არამედ კლებულ-ქმნა ურიცხვლ დღესასწაული, ყოვლითვე სრულიად გარდაიხადა ზეროს-კურთხევით, ხანილის გაყოფით, ზეთის-ცხებით და ყოვლისა წესითა განსამზადისა ეკლესია, გათენდა დილა, მოეჭარდაგნეს ხელი და მოაიტანეს დროშანი ოთხნივე და აღმართნეს ხელსა წინ და თვის თვისი ჯარი გარეს შემოუჩინეს.

მოაბრძანდა ბატონი და დაბრძანდა ხელსა შინა. ამისა შემდგომად მოეგებნენ დასნი სამღვდელონი შემოსილნი, ჯარის დეკანოზის ხატი მოტანილი თავსა ედვა, ჯვარის მტვირთველის
133 ჯვარი ეპყრა, მთავარ-დიაკონსა აკმევდეს საკმეველით, მღვდელნი უკანა უვიდოდეს, ყოველთა დიდროსნი ლამპარნი ეტვირთნეს და მგალობელნი გალობდენ მოეგებნეს ეგრეთ და ბატონს თაყუანის-სცეს, რაც ეპისკოპოზნი ქალაქს იყვნეს ყოველნივე ნახევად მოსხდელ-იყვნეს და იქ ისხდნეს წარდგა პატრიარქის, არქიდიაკონი და ბატონის დიმიტრიოს მოასხნა და ქება შეასხა: გამოაბრძანდა და ბატონის მეფობით ნუგეშ-სცა და მიიწვიეს ბატონი ეკლესიად. წარუძღვნენ ეგრეთვე დასნი სამღვდელონი, ჭრეს ქოსთა და სპილენძ-ჭურთა, უწინარეს ყოველთა მერიქიფეთა აქლემთა კიდებული ქოსი-ნაღარანი და სპილენძ-ჭურნი მიუძღოდეს და ამას დროშა საწოლის მისდევდეს, მარჯვნივ შეკაზმულნი ამას შეუდგნეს, გამგენი ჯარისანი, მასდევდენ წინა-უძღოდა ხოლო თვისი ლომტრი ორბელიანი, რომელი იყო მსახლტუხუცესი და განმგე დიდებულისა ჯარისა. აგრეთვე წინა-უძღოდა ზაალ ორბელიანი, რომელსა ებარნეს წინა-მძღოლნი მეთოფენი მეფისანი, მოაბრძანებდა ბატონი, მარჯვნივ მკლავს ხარჯულის ქაიხოსროს ორბელიანს ეპყრა, და მარცხნიდ მკლავს მუხრანს ბატონს კონსტანტინეს, უკანა მასდევდეს მოსაკმელ დიდებულთა გვამთ შვილნი, ტყვიროფნი სამეფოთა იარაღთა, ყოველივე იარაღნი მეფისანი, თითო თითოსა ეპყრნეს და ეგრე მოსდევდეს. ეგრეთვე სამი დროშანი თვისის ჯარებით მარჯვნივ და მარცხნივ მოსდევდეს: რა მიახლდნეს ეკლესიასა, სამი დროშა მარტოდ კარ-ზე დააყენეს და ჯარი იარაღით ეკლესიასა შევიდნენ. ბატონის დროშა მოსრდა დავითის ეზოსა, შეიტანეს საყდარსა და აღსავლის კარს-ზე დააყენეს. კარის-ბჭეში მოეგებნეს ბატონს პატრიარქი შემოსილი და ეპისკოპოზნი ასე სამღვდ-
134 დელონი ყოველნი და თაყუანის-სცეს, ტალ-კარს პატრიარქს მიუძღვა, ტალ-კარს მთავარ-ეპისკოპოზი, სამღვდელო დასნი წინ შეუძღვნენ ხატითა, ჯვარის წინა-მძღოლითა და ლამპრებითა მთებრითა და ეგრე გალობით შეიყვანეს ეკლესიასა შინა, ფეხნიდაზი ეშალა კარითგან საყდრისა შუა

-ტულობაშიდის ბორჯღლად მიიყვანეს. ალსავლის კარის ქვეშით დააყენეს, ეპისკოპოზნი ჟოგულნი ამიერ და იმიერ მოუდგნეს, აგრეთვე სოშქითა დასნი და ფარაშნი ჟოგულნი იდგნეს შემოსილნი და განკრძალვით ისმენდეს. პატრიარქ-მან ქილისა შეგზე სარწმუნოება და მერე ალოცვის ეპისტოლე წაიკითხა, მერე წამოუძღვნეს წინ და საყდრისა შუა-გულობას ტახტი იდგა დიდი, ოთხი ხარის-ხი შეიქმნოდა, აიყვანეს ორი სელი იდგა, ერთი-ზე მეფე დაბრძანდა და მეორე-ზე პატრიარქი, ცალ-კერძ მთავარ-ეპისკოპოზი და ცალ-კერძ ალავერდელი, სხვანი ეპისკოპოზნი ქვეშე ამიერ და ქვეშე იმიერ განეწყვნეს. ამის შემდგომად მოიტანეს მარტოდ ბისონი და ჩაცვეს, დაიწყეს წირვა. ოდეს მოვიდა ჟამი, წაბრძანდა პატრიარქი, შებრძანდა წმიდა წმიდათასა. ამის შემდგომად მოიწვიეს მეფე საკურთხევლად, ცალი მკლავი სარდალს ქაიხოსროს ეპყრა და მეორე მკლავი მუხრანის ბა-ტონს, ალსავლის კარი-ზე მთავარ-ეპისკოპოზი და ალავერდელი მოეგებნეს და შეიყვანეს საკურთხე-ვლად. სცხეს საცხებელი შუბლთა, მკერდსა და გულთა ჯვარის სახედ. იქვე პატრიარქმა სამეფო მადლი და შემდგომი ამისა, ბისონის ზედა ჩაცვეს დალმა, წამოასხეს პორფირი, დაადგეს გვირგვინი სამეფო, მისცეს მარჯვენისა ხელსა სკიპტრა და მარცხენისა ხელსა ქვეყანის სფერო. ოდეს მოვიდა ჟამი წმიდის ზიარებისა, პირველად სამღვდელონი დასნი ეზიარნეს და მერე გარდ-მოასვენეს წმიდა ბარძიმი და მიიღო მეფემ წმიდა ზიარება პატრიარქის ხელითა. ამისა შემდგო- 135
მად სკიპტრა რევაზ ორბელიანს მოსცეს და სფერო შეითარს ზურაბს, ვერ ხელთა მტვირთველნი მეფისა მახლობელ იდგნეს. განსრულდა ჟამის წირვა, გამობრძანდა მეფე ცხებული საკურთხევლით, ცალ-კერძ პატრიარქს ეპყრა მკლავი, ცალ-კერძ მთავარ-ეპისკოპოზს. მოიყვანეს მაწყინით კერძო სამეფო ტახტი იყო. იქ დაბრძანდა. მოიტანა სარდალმა ქაიხოსრო ორბელიანმა, რომელი იყო ამირ-სპასალარი, ხმალი მეფისა, დაულოცეს და შემოარტყეს. პირველად მივიდნენ დასნი სამ-ღვდელონი და ხელთა ემთხვნეს. მერე მივიდნენ დარბაისელნი გუნდნი ერთანი და ხელთა და კალთებზედ ემთხვნეს.

ამისა შემდგომად გამობრძანდა ეკკლესიით, შეიქნა სროლა ზარბაზნისა ანუ თოფისა, სცემდენ ქოსთა და სპილენძ-ჭურთა, რომ ყურთა ხმა აღარ ისმოდა. მადლობდენ მორწმუნენი ღმერთსა, აკურთხევდენ დასნი სამღვდელონი, აქებდენ ერნი, ამკობდენ მგალობელნი, ლოცვიდენ გლახაკნი, აღამაღლებდენ ხმასა ქნარნი, შეუწყობდენ თბოლნი და ჩანგნი სტვირნი შეასხმიდენ ქებასა მეფესა მეფეთასა. შებრძანდა საყდარსა, გარეშემოს სვანი იდგნეს ოქსინით მოყვარდულნი, დაბრძან-და მას შინა და დიდებულნი თავ-შიშველნი იყვნენ იდგნეს. და მიბრძანდა დედოფალი და მიულოცა და გარდააყარა ფლური, მერე მიბრძანდნენ უფლის-წულნი, მიულოცეს, აგრეთვე ქალაბნი დარბაისელ-თანი, მიუძღვნეს და მიულოცეს. გათავდა რიგი მილოცვისა. წამობრძანდა მეფე სეფესა შინა, წინა-თა ჩვეთი აღმიწყრია, ეგრე დიდებითა და რიგ-წესიერებითა, მობრძანდებოდა სარდალი და მუხრანის ბატონი მკლავთა-მპყრობელნი, ამიერ და იმიერ უდგნეს, მორჩილობის უბან მკლავთა ცალ-კერძით რევაზ ორბელიანს ეპყრა და ცალ-კერძით შეითარს ზურაბს. მიბრძანდა სეფესა შინა და დაბრძანდა. 136

დროსა მას ოთხთავი სეფისა წინ აღმართნეს და ჯვარი გარს შემოეხვივნეს. მიეგებნენ კათალიკოზნი და ეპისკოპოსნი, ვისა მეფისა საბრძანებლო იარაღი დიდებულთა შეიღეს ეპყრნეს, ეგრე თავს აცვნეს, შუქნა და რა განსრულდა რიგი მოლოცვისა, წარმოდგნეს მდიდრნი წესისაებრ, წარგზავნეს დიდე-თარნი, მოაწივნეს დარბაისელნი, ვინა ჯდომისა ღირსი იყვნეს, ვინა დგომისა. დიმიტრი ორბე-ლიანი, საუნჯე კოლმეისა გუარდისა, ეგრე განაგებდა რიგთა და წესთა მეჯლიშისათა. შუქნა ლხინი, ვითარცა ქართლის რიგი ჩვეულ იყო ტახტობდეს გამოჩენისა. ვითა მართებდათ ქარ-თველთა, ეგრე გულმოწრფელობით სიხარულს არა დასცადდებდეს, ამით რომე დიდი ხანი გარდასულიყო ქრისტეანე მეფე არა სჯდომოდათ, მერე კურთხეული გვირგვინოსანი მეფე არ ენახათ ასრე ეს ღვთის წყალობა მოეგებათ, ქრისტეს მოწყალებას და საწყალობელს შეურაცხყოფილი მეფე დასჯდომოდათ, ვითარცა მართებდათ, დიდნი ანუ მცირენი მადლობდეს ღმერთსა. განაყარა შეკრებილნი. ტა ამასა იყვნეს მუშტულსართ კასის ბატონს არ შეეძლო, ამისთვის აღარ დაიყოვნეს და გამო-ემზადნეს ქალაქს.

ამა ამბავთა შინა მოვიდა ამბავი იმერეთიდამ, ყაზახის სულთანი და მახმუდი იასე რომ მეფის აღექმნეს ჯარითა მიაშველეს, მოშველებოდნენ ურუმნი იმერელთა, შეკრიბა ლაშქარი, ვითარცა საჭირო ბრძანება არის, აღარ გამოუშვა ჩვენი ჯარი, შეეწყნარებინა შიშმიდისა, ღიდის სი-მხნით ჯარი იქავე გამოსრულ იყო და ურუმისა ჯარი ხაზით დაეწირათ. გაისტუმრა მეფემ მისაშველებლად ბორჩალუს სულთანი და ყაზახის აბაშიძე ჯარით. აიყარნეს მეფისა მცხეთით და წამოაბრძანდნენ ქალაქს, მოეგებნენ მოქალაქენი ანუ ლასნი სამღვდელონი, შესხდნენ ქუჩა, შე-
137 მობრძანდა ქალაქსა შინა დაჯდა ტახტისა ზედა და იპყრა სასწორი სამართლისა.

იმერეთიდამ წაიყვანეს მურთაზილნი. ყაზახის სულთანი, მახმუდი იასე და ხოჯანი მუმა ქართლის თავითა (თავადითა) შეიღნი ურუმით და ასადეურისა დაამარცხნეს.

მოვიდა სულთანი შამადუმისი, რომელი გაეგზავნა მეფეს მამისა თავის სამეფოს აღიყვანეს-ხანითან, რომელი იყო ძმისწული ყაენის შაჰ-შასი, გამოეგზავნა ლარი ფიყალაგი, კიდევ სხ-ლი აქლემთა.

განბძანდა მეფე საგურამოს, დასხდა წინ ლეკთა, შემადეღლისა სიმხნითი, ამოწყვიტეს ლეკნი. თუ რამ მიქონდათ სულ დაიყრევინეს, შემობრძანდა გამარჯვებული ქალაქსა შინა.

მოვიდა ქსნის ერისთავი შანშე ტოლმეშვილით ქალაქს, კულარაღასი იასე, ძმა ერისთვისა გზაზე დამარცხებულ იყო, მცხვარი შემოიტანეს. ქრისტიანისათვის ოქალაქი ხელმწიფეს და-თხარა. ეგრე მოვიდა ხორასნით, განბძანდა ბატონი კიდევ ლეკზე, დასხდა მეფეს, გაიმარჯვე და შემობრძანდა გამარჯვებული ქალაქსა. დიდისა და მაღალის ხელმწიფეს, მმერობელისა რუსეთისას, წარმოგზავნილისა ბერი მღვდელი, საგანძურითა ურიადითა კაცსა შინა ქალაქებად და მცნებად სჯულთა ქრისტესთა. მიოყვანდა მოვიდნენ დიდის ოფისერისა შინა და ძმა მაღლად ქალაქს იყოს ქრისტე ძედ ღმრთისად და აღხილეს სჯული შეურყეველი ქრისტიანობისა, მსგავსად მოციქულთა, ამენს

სარწმუნოება ჭეშმარიტი და ურიცხვი სული მოაქცევინეს და ნათელ-სცეს წმიდითა ემბაზითა; ვითარცა საგანძური ურიცხვი მოეცა რუსეთის ხელმწიფეს, ესენი ერსა განუმზადნეს და არა თვის თვისს იუწყურდეს; ესე ზენი ღირსნი და სათნონი ღმრთისანი ქართველთა შვილნი იყვნეს, ქარ-თლით მეფის ვახტანგის გარდაიოლდომეს რუსეთის შინა, მრავლითა სიბრძნითა აღესრულ-იყვნეს 138
და ამ ქვეყანას დასხდნენ კეთილ კარგა იღოდნეს: უმეტეს ურიცხვი ხელმწიფე-ში და წამოსვლის სახელითა იესო ქრისტესითა, ამათგანი ზოგი ერთი სასოებით ქალაქსა იბნეოსისასა: ესმისა მას შეერიბნა ქართლის ცხებით გვირგვინოსანი მეფე თეიმურაზ, ვითა მოისმინა ზერისა მიერ ეს ამბავი ქრისტიანობისა, ვითარცა სალოთ ტრფიალებითა აღმხნევებული იყო, ურიცხვს სიხარულსა მიეცა, აგრეთვე პატრიარქმა ანტონიმ განამდიდრეს ზოგი, სუფევსცეს ურიცხვ და ყოველთვე წარა-ვლინეს ტაძარსა შინა.

ვითარცა ქართლი მტერისაგან წახდარი და აოხრებული იყო ქვეყანა, ზურისა და ლეკისის მო-სავალი არ მოდიოდა, და ხელმწიფის მოხელენი ზოგი რაც ადგა ქვეყანას ხელმწიფისა ამის ფასსა ოვისად ზედის იოსორდეს. ქვეყანა დიდათ შეწუხდა; გაგზავნეს ბატონმა ნაცვლად ხელმწი-ფისთან ყოვლადსოვრძნელისანი, რომელი იყო უსხაშად, ებარნეს საბარათაშვილოს ქარისაგან ერთი გერმი, ხელმწიფემ ქართლის წასულ-იყო, მიეწერა ხორასნის ქვეყანასა და მიართვა არზი მეფისა და აუწყო შეჭირვება ქვეყნისა; მაშინვე მოსწერა რაყამი წყალობისა და გამოისტუმრა ისევ ქართლად.

ქორონიკონს ჩუდ, თვესა იანვრისა ა დამარცხდა ასუკა ბატონი-შვილი, ძმისწული მეფის ვახტანგისა ქალაქსა, რომელი ჰყავდა შეუღლებულად აბაშიძეს ვახუშტის; მიიცვალა სიონს შინა, შეწუხდა ურიცხვ დიდად თამარ, ვითარცა დიდად საყვარელნი დანი იყვნეს, ეს დამშვიდდა ღვ-ლოცვითა, რომ სიკვდილობისა ურიცხვისა მიეცა.

იქნა ისევ მეფედ იმერეთისად ალექსანდრე, გამოიხსნა თავი თვისი მპყრობილობისაგან მაზ- 139
ბედმა ისევ მისათვის ურიცხვითა და მოვიდა ქართლად. აგრეთვე მოუყვნეს ვინ ქართველნი შვილნი იყვნეს მპყრობილნი ახალციხეს შინა: ჯარი გარდმოვიდა დიდი ლეკისა ჯავახეთს, გარდ-მოვიდის, დაარბიეს ქართლის, გამოვიდეს, აგრეთვე მოვიდის, მოარბიეს საბარათაშვილო და გარ-დაიტანის სახლეული ჯავახეთისა. გაგზავნა ბატონმა ჩემდგინიძე ლეკის ამ ლეკებში. დაელმარაგნენ შემოსარიგებლად, მისცეს ფიცი: „ჩვენ-გან არა დაგიშავდეს-რა." ვითარცა ამ ლეკებს ქვეყნისა თვის მრავალ-ჟამს ბედნიერობა ექნა და კარგად იცნობდეს, მოვიდა ლეკებში, დაუწყო დამარაგი და მისცა ფიცი, წამოუძღვა ლეკთა, მოვიდნენ, დასდგნენ ტინის ხიდს; მოახსენეს ბატონს. მაშინ-ვე უბრძანა უდრუჯა და დააყენა მემანდარი, ვითარცა გულწრფელი გული აქვსთ ლეკთა და მტერნი არი-ან ქრისტიანობისა, აღარ ინებეს შემორიგება, გაიმარჯვეს ღამით და წავიდნენ, მიმართეს ღალო-ნცასა; მოვიდა ამბავი, მოახსენეს ორივე მეფეთა, უთხრეს მოურავი ქისიყისა თამაზ, მხნე და მოუდრეკელი კახეთის ჯარითა გაისტუმრეს, შემოკრბა სწრაფად ჯარი კახეთისა, ვითარცა მეფემ

სად კაცნი ომად განმზადებულნი არიან, აღარ დაიყოვნეს. აგრევე შემოიყარა ჯარი თუშეთის
მოურავმა ჯიმშერ და წამოუდგნენ ლეკთა, მოეწივნეს ალაზნის-პირსა, დაერივნენ ხმალ-და-ხმალ,
დასცეს ლეკთა რისხვა ღვთისა: იმ დღეს გენახათ მოურავი თამაზ, ამასა ბძანებდი, ერთის
კაცისაგან ძნელად შესაძლისი არის, გაერივა შუბით და მრავალი კაცი დასცა. მაგრამ ეს უფ-
რო საქებური იყო, რომ ასეთის სარდლობით შეაბა ჯარი, რომ ლეკნი სულ ამოწყვიტეს და
ამათ ერთი კაცი არ მოუკვდათ: აგრევე ჯიმშერ მოურავი იბრძოდა მხნედ და აძლიერებდა ჯართა,
140 ვინც კაცთა თავადნი დაესწრნეს, ჯაბნად არა-ვინ იყვნეს, დასჭრეს თავი ლეკთა მრავალთა, ეგრე
გამარჯვებულნი შემოვიდნენ ქალაქსა შინა და მოართვეს თავი ლეკთანი, მეფეთა უიმედეს წყა-
ლობა ფრიადი მოურავს თამაზს და დარბაისელთა კაცთა:

გაგზავნეს მცირეს ჯარით ფარსადან ციცი-შვილი მცველად გზებთა, დახვდა მომავალთა
ლეკთა ნაშოვრითა და გაუმარჯვა, დააყრევინეს ტყვე ანუ საქონელი, ჩამოვიდა ქალაქს, უბოძა
ბატონმა ხალათი და უიმედა წყალობა:

მოვიდა ჯავახეთიდამ ჯარი ლეკისა, წაახდინეს საბარათაშვილო, წაიღეს ურიცხვი: მოხსენ-
და მეფეს, გამოუსივა ჯარი, უთავა ზაზა თარხნის შვილი და აგრევე საბარათაშვილოს ჯარით
გამოატანეს ბეჟან კოსტაბაშის შვილი, მოეწივნენ მანგლისს, დაერივნენ ხმალ-და-ხმალ, მრავა-
ლი თავი მოსჭრეს ლეკისა. აგრევე ცოცხალი დაიჭირეს ფრიადი, ჩამოვიდნენ ქალაქს გამარჯვე-
ბულნი: იამა დიდათ ბატონს და დამოსნა ხალათით: გარდმოვიდა ჯარი ურუმისა და ლეკისა,
ღამით ჩაიარეს ორბელიანთ მამულ-ზე, ჩავიდნენ, დაკრეს ბაიდარს და მრავალი სული საქონელი
წაასხეს, შეიარეს სომხით-ზე და გარდაიტანეს უვნებელად: მოვიდა კიდევ ურუმის ჯარი და
ლეკისა: წაახდინეს ბამბაკი: მეფეს თეიმურაზს ბძანება და რაყამი ჰქონდა ხელმწიფისა, ადრიბე-
141 ჯანს საცა ჯარი იდგა, რაერთიც დაებარებინა, მაშინვე შემოეყროდენ: გაგზავნა ჩაფარი სპასა-
ლარ-თან, რომელი იდგა თავრიზს მუსტაფა-ხან, სთხოვა ჯარი რაოდენიცა ენება: რა მიუვიდა
კაცი მეფისა, მაშინვე გამოგზავნა ჯარი ყიზილბაშისა:

უკუდგნენ ოსნი ერისთვისანი და დაუწყეს ცემა ზემო-ქართლსა: გაგზავნა მეფე-მ ერეკლე-მ
კაცი და დაიბარა ანწუხელნი, თებელნი და ყირაზელნი ლეკნი, რომელი მონებდეს კახს-ბატონსა,
აღასრულეს ბძანება და მოვიდა ჯარი ლეკისა, დააყენეს აგ-ჭალას, მისცეს ულუფა, მცირედთა
ხანთა შინა გაატანეს ბელადათ მაჩაბელი და იასე ამილახორის შვილი და გაუსივეს უკუმდგართ
ოსთა, აიოხრეს ოსეთი და გარდვიდენ იმერეთს, საწერეთლოც წაახდინეს და მრავალი ტყვე წა-
მოასხეს: ამ იმერეთის წახდენაში ბატონი არ ერივა. მაგრამ ოსეთის ნაშოვარი არ ეყოთ და
იმერეთს მის-თვის დაკრეს, ჩამოვიდნენ ნაშოვრით გორს ლეკნი:

დედოფალი ქართლისა თამარ, პირმშო ასული მეფის ვახტანგისა მოიცვა სნეულობა-მან ფრიად-
მან, შემოკრიბნეს აქიმნი ქალაქით ანუ სადა ესმნეს აქიმთა ამბავნი, ყოველივე მოიწვივნეს, ეცად-
ნენ ბევრის ღონის ძიებით და ვერა კურნეს რა: იყვნეს მეფე თეიმურაზ და ძე მისი მეფე ერე-

კლე ფრიად ურვილნი და მწადნი აქიმთა გამოჩჩნისათვის და სენთ-კურნებად, დასნი სამღთონი
ანუ გუნდნი ერთანი ვედრიდენ მდუღრიად და სთხოვდენ ღმერთსა კურნებასა დედოფლისასა: არა
ისმინა ღმერთმან და, დაგვსაჯა ქართველნი ცოდვათა ჩვენთა მიერ და გვამხილა ურწმუნოება ჩვენი
და მოიღო უწყალოება, უჩინარმა და ანაზდათ წარმტაცებელმა: ხოლო ადამისა ურჩებისა მომპოვ-
ნებელმა, მეფეთა უმაღლესმა და გოლიადთა უძლეს-მან და ნიჭთა დამცარიელებელმა და სიმაღლეთა
დამამდაბლებელმა, ჯართა განმბნეველმა და გმირთა დამჯაბნელ-მან, ელვარეთა ზაფრან-მქცეველ-მა
და ვარდთა დამჭკნობელ-მან, ბროლთა დამმიწებელმა და ოქრო-ქსოვილთა დამძაძებელ-მან, გვირ-
გვინ-სკიპტრა დამნარცხებელმა და პორფირო-ბისონ-გამშვენებელმან, ლხინ-ყოფა გამცუდებელმა
და სათელთა დამბნელებელ-მან, ენათა დამადუმებელმა და სახედველ დამაშრტომელ-მან, ბრძანე- 142
ბადმან მიწად-მიქცევისა-მან და არ მრიდმა მეფობისამან მისცვალა ამიერ სოფლით დედოფალი
კეთილ-მორწმუნე და წარივლინა წინაშე უფლისა: მეფე ცხებული და ძე მათი სასურველი მეფე
კახეთისა ერეკლე და პირმშო ასული მეფისა, ნათლით მოცული ანნა იფხვრიდენ თმათა და იტ-
ყებდენ თხემთა, მიეყრნეს ფრიადსა მწუხარებასა, წაასვენეს მცხედარ დიდსა სამეფოსა ეკკლესიასა
მცხეთას, მისდევდეს ქართლისა და კახეთის ჯარი, სრულიად დარბაისელნი ანუ ჯალაბნი დარბაი-
სელთანი, ყოველნივე მცემელნი თავთანი და მხეველნი საყელოთანი, მდუღრიოდენ ცრემლთა მი-
ლებით. მიიღეს აღსავლის კარის ჩამოსწორ, იქავ წინ შუა-გულობასა: ქართლსა და კახეთში
რაც სამღთო დასნი იყვნეს ყოველივე იქ შემოკრებულ-იყვნეს: ანტონი კათალიკოზმა განადიდნა
ყოველივე იმ დღის წესნი, ეგრე ხარისხი მაღლობით მიიღო: დაბძანდა ბატონი საბნელოსა შინა,
იყვის თხუთმეტამდის ტირილი და ვაება გაუწყვეტლად და რა თხუთმეტი გარდასწყდა წამობძან-
დნენ ქალაქს, მოიფლოსვნენ ყოველნი შავთა ძაძათა მიერ, იყო ყოველ-გან წუხილი უზომო,
რომე მეტი აღარ ეგებოდა: გაგზავნეს ჩაფარი და აცნობეს ყაენს დედოფლის მიცვალება, ვითაც
ხელმწიფეს მრავალ-ჯერ ენახა და დიდი პატივი მიეცა, შეწუხნა ფრიად:

ჩამოიტანეს ლეკთ ნაშოვარი ოსეთისა და იმერეთისა ტყვე ურიცხვი, არა ინებეს მეფეთა
მორწმუნეთა ტყვეობა ქრისტეანეთა, უბოძეს ლეკთა თეთრი, რაცა ენებათ და გამოართვეს, რაცა
ტყვე ჰყვანდათ და განუტევეს და განათავისუფლნეს სრულიად, მოუხდნენ ლეკნი ლორეს, ცალი
მხარე ქვეყანისა და ტაშირი სულ წაახდინეს და წავიდნენ უვნებელად:

ამისა შემდგომად მოუხდენ დმანისის ციხესა ურუმნი ლეკთა რეულხი, ასეთი იერიში მოუ- 143
ტანეს რომ ციხის კარს მოახლოვდენ, გავიდნენ დმანისიდამ მებრძოლი, დაერივნენ შიგ და გაა-
ქცივეს და ცოტა რამ საქონელი მინდვრიდამ გაიტაცეს და სხვა ვერა ავნეს-რა ციხოვანთა:

მოვიდა ყაფლან ორბელიანი ხელმწიფიდამ, მოუტანა ბატონს რაყამი წყალობისა და ებ-
ძანა: „ვითაც შენ გწადდეს ეგ ქვეყანა ისე მამსახურეო:“ ამ ბძანებით რაც ქვეყნისა-გან ვექილებს
თეთრი აელოთ ნახევარი ისევ ბატონმა მიაცემინა ქვეყნის კაცისა-თვის: ხელმწიფეს ყაფლანი-
სა-თვის ხალათი ებოძა და ეშიკაღასბაშის ნაიბობა და ოცდა ხუთი თუმანი თეთრი ჯამაგირი:

მოვიდა ჯარი ყიზილბაშისა, რომელი დაებარებინა ბატონს ადრიბეჟანის სპასალარისა-გან,
მიაგებეს ყაფლან და დააყენეს ყოშაქლისას; ეთხოვნა ხელმწიფეს ას სამოც-და-ათი ნოქარი ყაბა-
ხანის ამალად და ას-ოცი ახალი ვაჟ-კაცი თვისა მახლობელ ყულად: გაწერეს ყოველ-გან ქვეყა-
ნათა ქართლისათა და გაისტუმრეს ხელმწიფეს-თან, ხელმწიფეც ქალაქიდამ გამოსულ იყო
ადრიბეჟანის ქვეყანა-ზე; წარმოემართა, ხონთქრის ელჩიც მოსულ-იყო დიდის სიმდიდრით და
თავრიზს ელოდა: წაბძანდა კახი-ბატონი კახეთს, შემოიყარა ჯარი კახეთისა და მინდობილნი
ლეკნი ანწუხისა და მთის ჯარი სრულიად და ჩამობძანდა ქალაქს, შემოიყარეს ქართლის ჯარიც.
კახეთის ჯარი დააყენეს ავ-ჭალას და ქართლის ჯარი ლილო-ზე, წავიდა სულხ-ხან ორბელიანი
მცირეს ჯარი, დაჰკრა არტანის ქვეყანას და მრავალი ტყვე და საქონელი წამოიღო, ვინცა მტერი
აუხნდათ რისხვა ღვთისა დასცეს, მრავალი ამოწყვიტეს და გარდმოიტანეს ურიცხვი საქონელი
144 ქვეყანასა ქართლისასა: წაბძანდა კახი ბატონი კახეთის ჯარით, მიბძანდა ანანურს: ორსავ საე-
რისთავოსნი დიდად აუკადრობდენ, არც ბეგარას აძლევდენ და არც მოხელე შეუშვეს. ამათი წახდენა
ისებეს, მოსწერა მამას წიგნი მეფე-მ ერეკლე-მ და დაიბარა, წაბძანდა მეფე თეიმურაზ ჯარითა
ქართლისათა, მიბძანდა ვანათს, ორისავ გზის მხრები შეუკრეს, რომ მიმშველი აღარა-ვისგან
ჰქონდათ:

აიყარა კახი ბატონი ანანურით, წაბძანდა ოსეთი-ზე, არაგვის ერისთვის ჯარს ჯიმშერ თუშთა-მოურავი უთავა და მეწინავეში მიიმძღვარა, მემარჯვენე და მემარცხენე განაწყვნა და თითონ ბატონი უკან მიჰყვა: მოეგებნენ ოსნი და შეიქნა ომი, ვითა ხვდებოდა სიმხნე სიკეთესა მისსა, ჯიმშერ ეგრე იბრძოდა და ჯარსაც აბრძოლებდა. მიბძანდა ბატონიც, დაერივნენ ხმალ-და-ხმალ, გააქციეს ოსნი და მიჰყვნენ, შეყარეს კოშკებში და შემოადგნენ გარს, განაძლიერა ჯარი მეფე-მ ერეკლე-მ, აღუთქვა მისაცემელი, უბძანა იერიში, რასაც კოშკს იერიში უყვეს მაშინვე გატეხეს. ორმოცი კოშკი აიღეს და დაწვეს, ოსნი დაატყვევეს და ყოვლით გზით ქათლამი უყვეს, რომ რისხვა ღვთისა დასცეს, ვითა ვახტანგ გორგასალ თხუთმეტის წლისა ბრძოლი ოსეთში და დამჯაბანი ბუმბერაზთა, ეგრე მეფე ერეკლე უმხნეს იქცეოდა, ასაკითა იყო მცირე, რომელსაც საქმეს და ან ძნელსა საბრძოლსა მოინდომებდა, წინ ველარა-ვინ აღუდგებოდა: სხვა სიკეთე საშვენიერე და საკადრი ხელმწიფობისა ძეობისად ქცეულება ანუ სადთო სურვილი ანუ საეროდ ზნე სრულობა მეფის ერეკლესი, ვითა მოითვლების და ანუ ხმალთა რიცხვსა შინა შემოვალს: ჩამობძანდა გამარჯვებული ანანურს, დაიჭირა ვინცა-ვინ ბეჟან ერისთვის სისხლში რეულ იყო, ზოგი გამოუგზავნა მამას და იქ ბატონმა დასთხარა თვალები და სხვა ვინც აქ დარჩა კახ-ბატონმა დასთხარა თვალები და ცოლ-შვილით აყარა და კახეთში გაისტუმრა: რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ქსნის ერისთვის ოსთა მოვიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს, ყოვლის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვასი და მისცეს სრული ბეგარი:

მოუვიდა ორსავ ბატონს რაყამი ხელმწიფისა, დედოფლის მიცვლისა-თვის ნუგეში დიდი- 145
ებმანა, და ხალათები შავის გამოცვლისა-თვის და ათასი თუმანი ებოძა: მოუვიდათ წყალობა ესე, რაც სიმწუხარეს შეეფერებოდა დიდათ განიხარეს მეფეთა და გამოიცვალეს შავი და აგრეთვე ვისა ემოსნეს შავნი ქართველთა ანუ კახთა აგრეთვე ხელმწიფის ომალი და მოხელენი ვინც ქალაქში იყვნეს ყველას თალხი ეცვნეს, სრულობით ყველას ბატონმა ხალათი უბოძა: ჩამობძანდა კახი ბატონი ქალაქს და უბოძა ჯარსა კახეთისასა დასტური: დედოფალი კახეთისაც ქალაქს ბძანდებოდა და აღარც თითონ წაბძანდა:

წავიდა სულხან ორბელიანი საბარათაშვილოს ჯარით და კახეთის ჯარიც მცირე რამ გაჰყვა, ვინაც ტოტას ხანს სულხანს ახალ-ციხის ქვეყანაში დაეყო, ბელადობა იმ ქვეყნისა კარგად იცოდა და სიმხნე და სიმამაცეც არ აკლდა: მივიდა ყარსის ქვეყანას, ქართლის ჯარისა-გან ოსმალოს ქვეყანა ასე შეშინებული იყო, რომ ყოვლის ქვეყნის კაცს ციხესა და სიმაგრესა შინა მოემართნეს. ყარსის ციხეს მახლობელ ციხე იყო მაგარი და ძველითაგანვე თლილის ქვით გაკეთებული, რომ მის ციხის სიკეთეს, ყოველი მნახავი აქებდეს, რომელსა ეწოდებოდა ციხე-ზარიშადისა: რა მივიდნენ, ჯარი სრულიად გარს შემოახვივა, დაუწყეს ომი ფიცხელი და უყვეს იერიში, ვითაც საბარათაშვილოს ჯარი მეწინავედ გამზადებულნი არიან და ომია ფიცხელთა მიუდრეკელნი. მივიდნენ მეწინავედ, გაბაშვილის ძმა იყო (1) შიოში თამაზა, პირველსავე მისვლა-ზედ მიიდგა კიბე და გარდიჭრა ციხეში მარტო: რა ჩავიდა, შიგ სამი ხმალ-და-ხმალ მოკლა და რამდენიმე 146
დასწყლულა, არიმეგდის შიგნით ციხის მეომართა იარაღთა და ყრიდის გარეთ ჯარსა შინა: რა დაშვრა ომისა-გან მოკლეს, მივიდნეს ჯარი საბარაშვილოსი, მიიდგეს კიბები ყოველთა და გარდუცვივდეს ციხეში: აიღეს ციხე, უყვეს ყათლამი და იავარ-ჰყვნეს საქონელი უთვალავნი. გამოუძღვა სულხან ორბელიანი, გამარჯვებულთა ჯართა და გარდმოვიდნენ ქვეყანასა ქართლისასა უვნებელად: გაუსია ჯარი მეფე-მან თეიმურაზ ახალ-ციხის ქვეყანასა, უთავა ყაფლან-ორბელიანი, მოაოხრეს ახალ-ციხის ქვეყანა, და სადა მტერი აუწყდათ რისხვა ღმრთისა დასცეს, ვითა ორბელიანი ბატონის ერთ-გულობისა და სამსახურ-ზედ თავ-დადებულნი არიან და მამაცობისა მიუდრეკელნი, ეგრე ყაფლანს უმხნეს იქცეოდა: გარდმოვიდა უვნებელად და გარდმოიტანა ურიცხვი ტყვე ანუ საქონელი: ჩამობძანდა ბატონი ქალაქს და შეიქნა მზადება ქორწილისა: წავიდის ჯარი ბორჩალუსი, მოაოხრის ყარსის ციხის აქეთ ქვეყნები და მოიტანის საქონელი ანუ ტყვე ფრიადი:

აგრეთვე გარდმოვიდის ჯარი ურუმისა და ლეკისა, რომელნი იდგნენ ახალ-ქალაქს, მოარბივიან ქართლის ქვეყანა: აქედამ წავიდის ქართლიდამ მარბიელი, მოაოხრიან ახალ-ციხის ქვეყანა, იყვის ორგნითვე ცემა და ომი, აოხრდა ყოველი ქვეყანა, თუ არ ციხეთა და სიმაგრეთა ადგილისა

(1) ყულ. გვარ., ღ. ნ.

მოვიდა ჯარი ყიზილბაშისა, რომელი დაუპატრონებია ბატონს ადრიბეჟანის სპასალარისა-გან, მიაგებეს ყაფლან და დაადგინეს ყოვლისა: ქოხტეგის ხელმწიფეს ეს სამოც-და-ათი სოფლარი ყაზა-ხანის ამაღად და ას-ოცი ახალი გაუ-გაცა თვისა მასლდობელ ყულად: გაწირეს ყოველ-გან ქვეყა-ნათა ქართლისათა და გაისტუმრნეს ხელმწიფის-თან, ხელმწიფეც ქალაქიდამ გამოსულ იყო ადრიბეჟანის ქვეყანა-შე, წარმოემართა, ხოიქის ელიც მოსული-იყო დიდის საჩუქრით და თავრიზს ელოდა: წაბძანდა კახი-ბატონი კახეთს, შემოიყარა ჯარი კახეთისა და ჩინდობილნი ლეკნი ანწუხისა და მთის ჯარი სრულიად და სამობძანდა ქალაქს, შემოიყარეს ქართლის ჯარიც. კახეთის ჯარი დააყენეს ავ-ჭალას და ქართლის ჯარი დიღომ-შე, წავიდა სულ-ხან ორბელიანი მცირეს ჯარი, დაჭკრა არტანის ქვეყანას და მრავალი ტყვე და საქონელი წამოიღო, ვინცა მტერი აუწნდათ რისხვა ღმრთისა დასცეს, მრავალი ამოსწყვიტეს და გარდმოიტანეს ურიცხვი საქონელი
144. ქვეყანისა ქართლისასა: წაბძანდა კახი ბატონი კახეთის ჯარით, მიბძანდა ანანურს: ორსავ სა-რისთაოსნი დიდ აგ-გაცობდეს, არც ბეგარას აძლევდეს და არც მოხელე შეუშვეს. ამათი წახდენა ინებეს, მოსწერა მამას წიგნი მეფეუმ ერეკლეუმ და დაიბარა, წაბძანდა მეფე თეიმურაზს ჯარითა ქართლისათა, მიბძანდა ვასათს, ორსავ გზის მხრები შეუკრეს, რომ ჩამშველი ალარა-ვინა ჰყვანდათ:

ადგარა კახი ბატონი ანანურით, წაბძანდა ოსეთ-შე, არაგვის ერისთვის ჯარს ჯიმშერ თუშით-მოურავი ყოფა და მეწინავეში მიიძღვარა, შემარჯვენე და მემარცხენე განაწყვნა და თითონ ბა-ტონი უკან მიჭყვა: მოეგებნეს ოსნი და შეიქნა ომი, ვითა ხელებოდა სამხნე სიკეთისა მისსა, ჯიმშერ ეგრე იბრძოდა და ჯარსაც აბრძოლებდა. მიბძანდა ბატონიც, დაერივნენ ხმალ-და-ხმალ, გააქციეს ოსნი და მიჭყვნენ, შეუვარეს კოშკებში და შემოადგნენ გარს, განაძლიერა ჯარი მეფეუმ ერეკლეუმ, ალუთქვა მისაცემელი, უბძანა იერიში, რასაც კოშკს იერიშა უყვეს მაშინვე გატეხეს. ორმოცი კოშკი აიღეს და დაწვეს, თურნი დაატყვევეს და ყოვლითი გზით ყათლამი უყვეს, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს, ვითა ვასტანგ გორგასალ ოსეთისა წლისა ბრძოლი ოსეთში და დამჯაბნარი ბაყბუხრა'სათა, ეგრე მეფე ერეკლე უმხნეს იქცეოდა, ასაკითა იყო მცირე, რომელსაც საქმეს და ან ძნელსა საბრძოლსა შეიმდომებდა, წინ ველარა-ვინ ალუდგებოდა: სხვა სიკეთე საშვენიერე დი საგადრი ხელმწიფოებისა მეობისად ქცეულება ანუ სალთი სურვილი ანუ საეროდ ჩნე სრულობა მეფის ერეკლესი, ვითა მოითვლებისა და ანუ ხმალთა რიცხვისა შანა შემოვალს: სამობძანდა გამარჯვებული ანანურს, დაიჭირა ვინცა-ვინ ბუჟან ერისთვის სისხლში რეულ იყო, ზოგი გამოუგზავნა მამას და იქ ბატონმა დასთხარა თვალები და სხვა ვინც აქ დარჩა კახ-ბატონმა დასთხარა თვალები და ცოლ-შვილით აყარა და კახეთში გაისტუმრა: რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ქსნის ერისთვის ოსთა მოვიდნენ მაშინვე ვასათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს, ყოვლის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვასი და მისცეს სრული ბეგარი:

მოუვიდა ორსავ ბატონს რაყამი ხელმწიფისა, დედოფლის მიცვალებისა-თვის ნუგეში დიდი 145
კებისა, და ხალათები შავის გამოცვლისა-თვის და ათასი თუმანი ებოძა: მოუვიდათ წყალობა ესე, რაც სამწუხაროს შეეფერებოდა დიდათ გაიხარეს შეიმოსნა და გამოიცვალეს შავი და აგრეთვე ვისა ემოსნეს შავნი ქართველთა ანუ კახთა აგრეთვე ხელმწიფის ომალი და მოხელენი ვინც ქალაქში იყვნეს ყველას თავსა ეცვნეს, სრულობით ყველას ბატონმა ხალათი უბოძა: ნამობძანდა კახი ბატონი ქალაქს და უბოძა ჯარსა კახეთისასა დასტური: დედოფალი კახეთისაც ქალაქს ბძანდებოდა და აღარც თითონ წაბძანდა:

წავიდა ხუდიხან ორბელიანი საბარათაშვილოს ჯარით და კახეთის ჯარიც მცირე რამ გაჰყვა, ვინათგან ცოტას ხანს ხუდიხანს ახალ-ციხის ქვეყანაში დაეყო, ბედალობა იმ ქვეყნისა კარგად იცოდა და სიმხნე და სიმამაცეც არ აკლდა: მივიდა ყარსის ქვეყანას. ქართლის ჯარისა-გან ოსმალეთის ქვეყანა ასე შეშინებული იყო, რომ ყოვლის ქვეყნის ხალხს ციხესა და სიმაგრესა შინა მიემართნეს. ყარსის ციხეს მახლობელ ციხე იყო მაგარი და ძველთაგანვე თლილის ქვით გაკეთებული, რომ მის ციხის სიგრძეს, ყოველი მხარე აქუნდეს, რომელსა ეწოდებოდა ციხე-ხარიმადისა: რა მივიდნენ, ჯარი სრულიად გარს შემოახვივა, დაუწყეს ომი ფიცხელი და უცხვეს იერიში, ვითაც საბარათაშვილოს ჯარი მეწინავედ გამზადებულნი არიან და ომთა ფიცხელთა მიუდრეკელნი. მივიდნენ მეწინავედ, გაბაშვილის ყმა იყო (1) მგელი თამაზა, პირველსავე მისვლა-ზედ მიიდგა
კიბე და გარდახტა ციხეში მარტო: რა ნახეს, შიგ სამი ხმალ-და-ხმალ მოკლა და რამდენიმე 146
დააწყლულა, ამოწყვიდის შიგნით ციხის მეომართა იარაღთა და ყრილის გარეთ ჯარსა შინა: რა დაშვრა ომისა-გან მოკლეს, მივიდნეს ჯარი საბარათაშვილოსი, მიიდგეს კიბენი ყოველთა და გარდუხტნენ ციხეში: აიღეს ციხე, უცხვეს ცეცხლში და იავარ-ჰყვნეს საქონელი უთვალავნი. გამოუძღვა ხუდიხან ორბელიანი, გამარჯვებულთა ჯართა და გარდმოვიდნენ ქვეყანასა ქართლისასა უვნებელად: გაუსივა ჯარი მეფე-მან თეიმურაზ ახალ-ციხის ქვეყანასა, უთავა ყაფლანს-ორბელიანი, მოაოხრეს ახალ-ციხის ქვეყანა, და სადა მტერი აუნდათ რისხვა ღუთისა დასცეს, ვით ორბელიანი ბატონის ერთგულობისა და სამსახურ-ზედ თავ-დადებულნი არიან და მამაცობისა მიუდრეკელნი, ეგრე ყაფლანს უმხნეს იქცეოდა: გარდმოვიდა უვნებელად და გარდმოიტანა ურიცხვი ტყვე ანუ საქონელი: ნამობძანდა ბატონი ქალაქს და შეიქნა მზადება ქორწილისა: წავიდის ჯარი ბორჩალუსი, მოაოხრის ყარსის ციხის აქეთ ქვეყნები და მოიტანის საქონელი ანუ ტყვე ფრიადი:

აგრეთვე გარდმოვიდის ჯარი ურუმისა და ლეკისა, რომელნი იდგნეს ახალ-ქალაქს, მოარბიეის ქართლის ქვეყანას: აქედამ წავიდის ქართლიდამ მარბიელი, მოაოხრიან ახალ-ციხის ქვეყანა, იყვის ორგნითვე ცემა და ომი, აოხრდა ყოვლი ქვეყანა, თუ არ ციხეთა და სიმაგრეთა ადგილთა

(1) მგლის გვარ. დ. ნ[illegible]

ვერსად დადგიან, ვერც ყარსის კარი და ვერც ახალ-ციხისა ქვეყნებისანი: მპყრობელ-მან ქართლი-
სა-მან და რტო-მან დავითისა-მან, უბრძნეს სოლომონისა-მან და სამართლე-მან რჯულისა-მან,
147 კიდის კიდემდი სახელ-განსვენილ-მან, ცხებით გვირგვინოსანმა, მეფეთ მეფე-მან თეიმურაზ მია-
ნიჭა წყალობით თანად ერთ-გულსა მეფეთა სახლ-შვილობითა, ხსენებულსა, გვარ-დიდებულსა
და მაღალ-ხარისხობით ცნობილსა მუხრანის ბატონს კონსტანტინეს სახლთ-უხუცესობა თვის-
დიდებულისა სახლისა და მიანდო ყოველი შემოსავალი სახლისა თვისისა, მისცა ბძანება სა-
ხლთა, აგარაკთა თვისთა ცხედა და აუფლა ყოველთა, ვითა შვენოდა სიმხნეს-სიბრძნესა მისსა,
ეგრეც უმეტეს იქცეოდა კონსტანტინე და განაგებდა ყოველთა წეს-ჩვეულებათა საკადრ დარბაზი-
სათა, ვითაც დიდი ხანი იყო ქართლის ქცევა და მეფეთა რიგი გარდაცვლილ-იყო: ამან იგულს
მოდგინა და ისევ პირველსავე სამზღვარსა დააწყუნა, ყოველნი რიგნი დარბაზისანი, ამით უფრო
გულ-დაჯერებულ-იყვნეს ერთ-გულობასა სახლთ-უხუცისასა, რომ მეფე ერეკლე ემზახლა და ასუ-
ლი კონსტანტინესი ძისა თვისისა-თვის მიწოდის და ყოვლი-თურთ მოელოდა უმეტესსა პატივ-
სა აღწევნისასა:

ჩამოვიდა კახეთში დიდი ჯარი ლეკისა, მოუხდნენ თუშეთს ბევრი აცნეს, ჩამოვიდა ამბავი,
მოახსენეს ბატონებს, მაშინვე წაბძანდა კახი ბატონი კახეთს, მიეშველა თუშეთს:

მისწერა მეფე-მ ხელმწიფეს არზა მანშეს ქრისთვის შებრალებისა, ვითაც ჩვენის მეფის
სიტყვას ყაენი ჯეროვნად ისმენდა: ებოძა მაშინვე მანშეს ქრისთვისა-თვის ასი თუმანი ისამად,
იდგა მანშე ქალაქში ცოლ-შვილით და ქისნის ხევს პატრონობდა ქართველი ბატონი:

მაღალმა და ღუთისა მიერ დამყარებულმა, ცხებით გვირგვინოსანმა, კეთილ-სათნოებისა
სავსებულმა მეფე-მან თეიმურაზ მოიწოდა თვისად მეუღლედ და დედოფლად ქართლისად ანა-
148 ხანუმ, ასული ბეჟან იათამის შვილისა, რომელი ნათესაობდა მეფეს იასეს დედი-და-შვილობით:
ესე ყოველთა ბანოვანთა შორის უმეტეს აღვსებულ იყო და სხივსა მისა მზისა მარავანდედი
ბნელ-ექმნა, შვიდნივე მნათობნი ცისანი მონებად დაერდომილ იყვნეს და სიბრძნისა მიერ გო-
ნება აღმზესაც აღემატებოდა და კვალად მორწმუნეობითა კეთილითა შეუძლებელი წარიყვანა პატრიარქ-
მან, ბატონი-შვილმა ანტონიმ, სახლად თვისად და ჰქმნა უხუცესი ამა მისა ბატონი-
შვილი არჩილ, ძე მეფის იესესი, რათა ნათესაობისა მიზეზით თვისისა სახლით მოსცეს: ამისა
შემდგომად მობძანდა მეფე, ვითა ქორწილის წესი იყო და წამოიყვანა პატრიაქის სახლით სახლ-
სა დალოცვანსა, ჭკრეს ქოსთა და ნაღარათა და სპილენძ-ჭურითა, მორთვნეს ქალაქი და უმეტეს
სამეფოვე მეფისა მოიფარდავენეს ოქსინოსთა ოქრო ქსოვილითა და მოაბრწყინვეს ყოველი ლამ-
პრითა საბრწყინვალოთა, ისხდნენ მგოსანნი და აქებდნენ მეფეთ მეფეს თეიმურაზს: იყო ლხინი
და განცხრომა დღესა რვასა და იყვნენ ქართველნი მწად ქართულთა ლხინთა გამოჩენისა-თვის,
იყვნეს ყიზილბაშნიცა წვეულნი ხანები, ათასის თავნი და მოხელენი ხელმწიფისანი და მოსწონ-
დათ ყოველი რიგი და ლხინი ქართლისა, განსრულდა ქორწილი აგვისტოს:

ქორონიკონს ულდ, მოუვიდა მეფეს თეიმურაზს ხელმწიფიდამ ქორწილის შესამოსავრად ოქრო, ვერცხლი ანუ ლარი ურიცხვი:

მოვიდა აბაშიძე ზურაბ, უხუცესი ძმა ვახუშტისა, რომელი იყო სიძე მეფის ვახტანგისა ვახუშტი და ერთ-გულობა და უბოძა, დაარწმუნა მეფეს თეიმურაზს, ამისდა სამუქაფოდ (1) უბოძა ქუთნის (2) ხევი, რომელი არის სამძღვარ ქართლისა და იმერეთისა, მკვიდრი მამული ქართველის ბატონისა:

ქალაქში მყოფი ყიზილბაშის ჯარი დაებარებინა ხელმწიფეს და მისდა სანაცვლოდ გამოე- 149
გზავნა ათასი ავღანი და მოეცა მეფის თეიმურაზისა-თვის ჯარად: „როგორც ქართლის ჯარი ეგრე იმსახურეო:“ რა მოვიდნენ, ასე მოსვენდნენ, ვითა თვისი მისანდო ყმანი ყოფილ-იყვნენ:

გამოვიდა დაღისტნით დიდი ჯარი ლეკისა, ამას თაობდა სურხავის შვილი, დადგნენ ბელაქანში, იტყოდენ. „ათხუთმეტი ათასი კაცი იყო.“ დაუწყეს კახს ბატონს ლაპარაკი. „შეგვირიგეთ და ყველს ხმალი დავკრათო და თუ არ შეგვირიგებო, კახეთსაც წავახდენთო და ქართლსაცაო:“ ეს მათი შერიგება დიდ შორს დაიჭირეს კახმა ბატონმაც და ქართველმა ბატონმაც: რა სწამს ეს ამბავი გაიგონა ქართველი ბატონიც ქართლის ჯარით კახეთს გაბძანდა და ორნივ მამა-შვილთ გაუგზავნეს კაცი სურხავის შვილს და გამოსთხოვეს იმას: აღარ იყოვნეს ლეკთ, პირველ მოუხდნენ ქისიყს. მაშინვე გამოვიდნენ ქისიყელნი, მოურავი იყო თამაზ, მხნე და გოლიათი და მოუდრეკელი, დაერივნენ ხმალ-და-ხმალ, გააქციეს ლეკი, მიეგნენ ალაზნის პირამდის ხოცით, ვეღარ შემაგრდნენ ლეკნი, ამით რომე ვერც ბატონების პირი აიღეს და პირველ კიდეც დაუმარცხდათ, წავიდნენ შამახიას და ქართლი და კახეთი დაიცვა ღმერთმან უვნებელად: ქართლისა და კახეთის ქვეყნები ასე აყრილ იყო, რომ უსიმაგროდ და უციხოდ აღარსა-ვინ იდგა. გამოვიდნენ ყოველნი, ისევ თვისავე სამყოფს და მადლობდნენ ღმერთსა: გაგზავნეს ხელმწიფეს-თან სარდალი ქაიხოსრო ნაზრად და მოახსენეს ამბავი ქართლისა და მოსვლა ლეკისა:

წაბძანდა ქართველი ბატონი კახეთიდამ, მობძანდა ქალაქს: ამისა შემდგომად გაგზავნეს 150
ქისიყის მოურავი თამაზ ხელმწიფეს-თან, ლეკზე გამარჯვება და გაქცევა მოახსენეს:

გამოვიდა რუსის ელჩი ყაენ-თან მოსასვლელად, მოუვიდა ბძანება კახ-ბატონს, მეფეს ერეკლეს: „ქართლისა და კახეთიდამ ათასი კაცი აარჩიე და წინ მიეგებეო:“ შექნეს მზადება ქართველთა და კახთა, წაბძანდა მეფე ერეკლე ათასის კაცით რუსის ელჩის წინ-მისაგებლად. ქართველი ბატონიც თან-გაყვა ყაზახამდის და იქიდამ დაბრუნდა, მობძანდა ქალაქს თბილისისას: რა წაბძანდა მეფე ერეკლე, მოუვიდა ბძანება: „ისევ დაბრუნდიო:“ სხვა ჯარები მოეგებებინათ და ამის-თვის მერახსსა ექნათ, დაბრუნდა განჯის მისდგრიდამ, მობძანდა ლხინ-შექცევით:

(1) დედანში [illegible]. სამუქაფოდ. დ. ჩ.
(2) უნდა [illegible] ხევი, დ. ჩ.

მოვიდა სარდალი ქაიხოსრო, უბოძა ხელმწიფემ ხალათი მძიმე და ანამად ორმოც-და-ათი თუმანი, გამოეგზავნა ბატონისა-თვის ოქროს ათასი თუმანი და რაყამი დიდის წყალობისა: ეს ამბავიც მოვიდა, ხონთქარი და ყაენი შერიგდნენ: მოვიდა ახალ-ციხით კაცი ყაზახის სულთნისა, რომელი იყო პატიმრად სტეფანწმინდა-ზედ. უბოძა ბატონმა ხალათი და უქმნა წყალობა, უბოძა ისევ სულთნობა ყაზახისა:

მოვიდა ხელმწიფიდამ ქისიკის მოურავი თამაზ, მოუტანა კაბა ბატონს რაყამი დიდის წყალობისა:

მოისხა მხედრობა ქართლისა-მან, მეფე-მ ცხებულ-მან თეიმურაზ, ნადირობა ყარისა, მოიწვია ძე თვისი მეფე კახეთისა ერეკლე კახ-ბარბაისლითა. წაბძანდნენ ქალაქით თვესა იანვარსა, ქორონიკონს ულე, რა შებძანდნენ ნაგებში, განაწესნეს ყოველნი რიგნი ნადირობისანი და
151 განაწესნეს ჯარგა, ვითა წესი იყო: ინადირნეს ზორველის ტყენი და მოსწყვიტეს ნადირნი ურიცხვი. ამისა შემდგომად გაისტუმრეს ჯარგა ლამით, გაუმძღვარეს პაპუნა გაბა-შვილი, შემოარტყა მისლიბის ყარისასა და მიბძანდნენ ბატონებიც ლამითვე, წესისა-ებრ ცისკრისა ჟამსა დაეცნენ, დიდი ჟამი გარდასულიყო იყო და ყარაია ალარა-ვის ენადირა და ქართლი ასე წამხდარი იყო, რომ მშვილდ-ისრითა (1) შოვნა გაუჭირდათ ქართველთა: უბძანა ბატონმა. „ვისაც მშვილდი არა აქვს-დეს, ხის მშვილდები დაიკეთონ, იმით დადგნენო:“ ყველამ დაიკეთეს მშვილდ-ისარი ხისანი და ის აჭირათ, წესი იყო ჯარის სირბილისა თითოეთ კარზე ჯერანის ყერა-ვინ მოკლევდა: დაიწყო დენა ჯერანმა, რომ რიცხვი არ ეგებოდა, მოკლეს ბატონებმა კარზე ჯერანი:

აგრეთვე ამოწყვიტეს ქართველთა და კახთა ურიცხვი, გაიყარა ნადირობა, მიბძანდნენ ბატონები, ჩამოხდეს ხევსისა შინა, მიართვეს ყოველთა ჯერანი, აღწერეს მღვდლებმა და მას დღეს მოკლული იყო სამასი. დასხდნენ მეჯლისად, სმეს ღვინი ქისამო, დიდად მხიარულად ბრძანდებოდნენ ბატონები ორნივ, ამით რომ დიდი ხანი გარდასულიყო იყო ყარაია არა-ვის ენადირა, კარგადაც შეექცნენ და ხელმწიფეც მწყალობელი ჰყვანდათ და ეგრე თვისად ნებად იქცეოდნენ: გაბძანდნენ მტკვარს, ინადირეს ჭალა, გამოვიდა სიმრავლე ღორთა. მას დღეს შვიდი ქართველმა ბატონმა მოჰკლა ისრით ღორი და ხუთი კახმა ბატონმა, ამოწყვიტეს, რომ ერთი ამისთანა ნადირობა და შექცევა არას ქართველის ბატონის დროს არა ყოფილა-იყო, გაისტუმრეს ნადირნი
152 უთვალავნი ქალაქსა და კახეთს. იყო სიხარული ფრიადი, მიბძანდნენ ბატონებიც ქალაქს, დაიდგეს ნადიმი და გარდაიხადეს ლხინი. უბოძა პაპუნას გაბაშვილს ხალათი მძიმე, ვითაც კარგა გაისარჯა და შეაქციეს მეფენი, აგრეთვე ვინ გაბა-შვილი ახლდა ყველასი დამოსნა ხალათით და უქმნა წყალობა პაპუნას.

---

(1) ისარი უნდა, დ. ჩ.

მოვიდა იასაული ხელმწიფისა და დაებარებინა ქართლისა და კახეთის თავადები. მაშინვე წაასხეს. შირშა იბრეიმა, რომელი იყო ყმ'სარი ქართველის ბატონისა, ყაფილები, ყმ'სარი მუსტაფა, ყოველივე მოხელენი ქართლისა და კახეთისანი, ბატონმა იგინი მეითარი ზურაბ თასიყავა-ტანის, რა მიახლეს ყარსგულადგის-გან უმრავლეს ჯარისა მოიხსენიდა ხელმწიფის მაჰნადირს, რომელს ახლა ეწოდებოდა შასშე: მაშინვე მოასხმევინა ომალები და იგინი გაიყვანა, არბაბი დაურიგა, ყოველს ქვეყანას უმრავლეს ოიკარს შეაგდებდის, აროთმეგდის და ალარიბებდის: ამის-გამო ქართლ'ის ყდარე ქოშდა მისხ'სისა, რათა იყოთის ჯარიმა დაედვა: ჭკითხა იმალებს: „ქვეყანაში ან ხანეშმა და ან ქართლის დიდროსმა გადმა რა შეჭამეს?“ ამათ ყოველია არა რაი იცოდეს და ვერა რა მოახსენეს რა: რაც ქართლს სახელმწიფო ხარჯი ედვა, ის რადის გამოდიოდა ან მეხუიედი, რომ მეტი ვისმე შეეჭამა: არ მოეშვა ხელმწიფე კითხვისა-გან, გაუწყრა და იქიდა იფალი მოასთხარა: წადგა ყა'საის ყაფილი, რომელიც ქართლს ყაფილად იყდა და ქართველისა და კახს ბატონს ქართლისა და კახეთის დიდროსის გაცებს ყველას არბაბი დაუწერა. მაგრამ არც ეს იკმარეს, ითითონ გააკეთა არბაბი ქართლისა და კახეთისა, ორასი ათასი თუმანი დააწერა და ქართველის ბატონის ყმ'სარს შირშა იბრეიმას, ყაფილებს, ყმ'სარს მუსტაფას ყველას თვისრამ ჭქონდათ წაართო, ორისავ თვალები დათხარა ბძანა: დათხარეს ყველას და ეგრეცა ბრმანი ქართლშია 153
გაისტუმრა: მოვიდა ზურაბ მეითარი და მოიტანა ეს ამბავი და რაც-მაც ჭქონდა, რომ ქართველის ბატონისა-თვის ებძანა: „ეს თვითონ შვსათ დაიჭიროს სამასი ათასი ყა'ხილბაშისა-თვის.“ ამ იყოთის იასაულობა ებძანა: გახი ბატონიც ქალაქს ბძანდებოდა: რა ეს ამბავი მოისმინეს დიდად შეწუხდეს, აგრეთვე ქართველნი და კახნი ჯავრისა-გან შეიშთეს, არიდეს. მაგრამ ამის მეტი ღონე ვეღარ დაიდვეს, რომ გადლის მეტი გ'სა აღარა ჭქონდათ რა, აღარა მეფე ცხებული იყნიყრაზ, ერთ-მირ თასივაჩევა ბატონის-შვილი აბდულა-ბეგ, ერთ-მირ აგრეთვე მატრიარქი, ბატონის-შვილი ანტონი, ეპისკოპოსნი და ყოველნი სამღვდელოს დასით და ქართველნი ყოველნი, ვინა ქალაქსა შინა სახლეულად იდგნეს. ეს ყოველნი გაუცნე ბატონს ქალაქის მელიქი ალა აღარა სახლით. აგრეთ მოქალაქესა, რომელსა შეეძლო, უყურისა აღარა ქალაქისა და წავიდნენ. მიბძანდა ბატონი და დადგა ანანურს, ეს ყოველნი თავადნი ანუ მოქალაქენი დაეკვნეს თვისთასა და არა რომელი გაუშვა თვისა ადგილსა: ორბელიან-სარდალს ქაიხოსროს უბოძა ახალ-დაბის ციხე, მიიყვანა ტოლ-შვილი და დააყენა მას შინა: სარდალი ქვეშის ციხეში იდგა ერთ-ჩირად, ბატონი მიბძანდა ანანურს, ბძანებითა მეფისა გამოგზავნა ძე თვისი რევაზ და აჯარა და მიიყვანა სახლეულნი თვისნი ციხესა ახალ-დაბისასა, ვინა ორბელიანთ სახლის-შვილნი იყვნეს, ყოველნი სახლეულით ბატონს გაყვნეს: რადგან თვისა ქვეყანასა შინა აღარა-ვინ ედგულებოდათ. ქვეყანა ასე ირყეოდა ყაენის შიშისა-გან, რომ ქართლის ქვეყანაში გამაგრების იმედი აღარა-ვის ჭქონდათ. მაგრამ ბაბუნამ ორბელიანმა და ყაფლან თავის მამულის დაკარგვას ისევ თავისი წახდენა 154
არჩიეს, გამოსთხოვეს ბატონს იჯარმანი და წამოვიდნენ თვისა მამულსა შინა, მოვიდნენ ბარ-

ზედ სომხის ხეობასა შინა და სადაც ციხე იყო, ასე გალავანი გაამაგრეს და მისცეს იმედი: „თუ რომელი ამბავი მოხდეს მტრისა-გან თქვენ-თან დაგეხმარებით:" მის მეტი ღონე აღარა ჰქონდათ, რადგან ბატონს მოშორდნენ თვისის მამულის გულისა-თვის, ესოდენ ყოვლად გაშვება აღარ ეგებოდა: აიყარნენ სახლეულით-თურთ და მივიდნენ იგინი სამკვიდრისა ციხესა ღმანისისასა, აყარეს მამული თვისი და შემოკრიბეს ციხესა შინა, აგრეთვე აყარეს ტაშირის ქვეყანა და შემოიყვანეს ციხეში: იყვნენ ჰაშუხა და ყაფლან ორბელიანი დღე-და-ღამ მატებასა სიმაგრეთა ციხისასა და აგროვებდნენ ქვათა იგითა და ქვათაც ეს იქადებოდათ, რომ რახან ცოლ-შვილით ესენი იქ დაიბუდნენ, გული დააჯერეს ერთ-გულობასა ზედა: რადგან ყაენს ლორის ხანისა-თვისაც არზების თეთრი ბევრი ეშოვნა და გასცლოდა ხანი ლორიდა-მ, დარჩომილ-იყო ქვეყანა უპატრონოდ, მოვიდნენ ქართველები ლორისა ღმანისს და შემოეხვეწნენ ამათ: „ჩვენ მუდამ ორბელიანის შვილითა ოჯახის შეწევნით ვდგომილ-ვართო და ახლა ასე უპატრონოდ ვართო და მოგვიარეთო:" წავიდა მაშინვე ყაფლანი ჯარით და შევიდა ციხესა ლორისასა და დამშვიდდა ქვეყანა ლორისა, შეაყენა კაცნი თვისნი ციხესა და თითონ მოვიდა ღმანისს: გაგზავნეს კაცი და სადაც ლეკი იყო ქართლის ქვეყნებში, რომ დიახ ბევრს ახლდნენ და წინა-აღმდეგიც აღარა-ვინ ჰყავდათ, ეს
155 ლეკის ჯარები სულ შემოიკრიბეს და ღმანისს მიიყვანეს, რაც ურიცხვი კაცნი იყვნეს დამოსხნეს ხალათითა, მისცეს ჯარს ულუფა და დააყენეს სოფელსა ჩინჩახურს, ციხისა მახლობელ და აღარსად გაუშვეს ლეკნი მარტოდ, ინახევდნენ თავისის მამულით და არასა აწუხებდნენ ქვეყანასა: აგრეთვე გამაგრდნენ მეორენი ქართლისანი ციხეში ვისაც ჰქონდა და ვისაც არა ჰქონდა ერთმანერთში იხიზნებოდნენ: კახეთი მთლიად ორის იარაღად გაკეთდა და ოთხი სიმაგრე გაიკეთეს. ერთი კალდური მთა, რომ თითონ კახი ბატონიც იმაში დგებოდა და მეორე ბოჭორმა, მესამე ლოპოტის მთა, მეოთხე თიანეთისა-კენ, აგრეთვე ყოველნი მეორენი ქართლისა და კახეთისანი იყვნენ მთაღებში საომრად და მოელოდნენ ჯარსა ყიზილბაშისასა. ბძანდებოდნენ ბატონები ანანურს:

ამა ჟამსა შინა გორს ისევ ავღანის ჯარი იდგა. რა ეს ამბავი შეესმათ და ბატონიშვილების ანანურს მიბძანება, დაცალეს გორის ქალაქი და ავიდნენ, გაამაგრეს ციხე გორისა, ხალხიც აიყარა და მთებში შევიდა: შემოიყარა მეფე-მ თეიმურაზ მთიების ჯარი, აგრეთვე ქართველთა და მიბძანდა გორს, დაუწყო ავღანის ჯარს ლაპარაკი. მაგრამ ნებით არ დაცალეს, ბატონს თოფხანა არ ახლდა, ამით ციხის აღება საჭირო შეიქნა: ამაში ქსნის ხევის ჯარი მიესია გორის ქალაქსა და აიკლეს. ვინც მათის ჯარი იყო ყველამ დაუწყო გლეჯა და ოხრება, ეცადა ბატონი. მაგრამ ჯარი დიდი იყო და მერე დიდი ხანი გამოსულ იყო, რომ ქართველის ბატონის მორჩილება აღარ ექნათ, ვერ დააშლევინეს, აიკლეს რაც დახვდეს, საყდრები აოხრეს, მრავალი ხატი დაამტვრიეს. აღარ დადგა ბატონი და წაბძანდა ისევ ანანურს: უგულდგომოდა ამ ყაენს მთლიად ადრიბეჯანის ქვეყანა, რა მისლოდათ მეფე თეიმურაზ, ქართველთ და კახით სულ უკუდგნენო, გაეხარათ დიდათ:

მოაწერეთ ერეკლის ხანსა და სულ ამ ქვეყნის უფროს კაცთ ბატონისათვის არზი: „და 156 რახან იქმნა ეს საქმე გიქნიათო, ჩვენ თქვენს ყმასავით გვიმსახურეთ, სადაც გვებრძანებოდეს, ჩვენს ჯარს იქ გაახლებითო.“ ბატონმაც ამისი შესაფერი პასუხი მისწერა და გაისტუმრა კაცი: სამის თვის ამის წინათ სპასალარი ამირ ასლანხან მოსული იყო დიდის ჯარით და ერევანს ადგა. იყო ყოველ-დღე სროლა ზარბაზნითა და ყუმბარათა. მაგრამ ვეღარა აიღეს-რა ციხესა ერევნისასა: ამ ქართლისა და კახეთის უკუდგომამდე კიდევ უფრო გამაგრდეს. ჩასვლოდა ამბავი შაჰზადის ყაენსა, რომელსა ახლა ერქვა შაჰ: „მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე უკუ-გიდგნენო, დაცალეს ქართლი და კახეთი, მთებში ავიდნენ:“ მიეცა ფრიადსა შეჭირვებასა, გამოუსია მაშინვე ჯარი დიდი. მაგრამ ისევ დაბრუნა გზიდამ, ამისათვის რომ ბევრ-ჯერ ენახა ქართველთ ხმალი და თვისი საწადელი ქართლში ვეღარ აესრულა: თითო თავადი ქართლისა უკუდგის და ერანის ჯარი ამოსწყვიტის, ხაზინა რამდენი გაიტაცის და ძლივ ისევ ქართლის ჯარით დაიმორჩილის: ახლა ქართლი და კახეთი ორივ ერთად გაერთებით გაუდგნეს, რას დააკლებდა. მერე მეფის თეიმურაზის სახელი ასე განთქმული იყო, რომ ერანში ერთმანეთისა საქადულად და საყვედურად ამისა სახელი ჰქონდათ:

მოუვიდა ბატონს ნაფარი ყაენისა, მოუწერა რაყამი სიტკბოებისა და წყალობისა. თხუთმეტი ათასი თუმანი, რომ მეფეს თეიმურაზისათვის ეთხოვნა და ათი ათასი თუმანი მეფეს ერეკლესათვის, ეს ორივე ეპატივებინა და ქვეყნის თეთრისაც ებმანა: „როგორც შენ გინდოდეს ისე გაარიგეო, ბეგრება კი გააცოტე ხალხს ნუმიო. ისევ ქალაქში ჩამოდი და ქვეყანას მოუარეო:“ ეს ნაფარი ჯაშუშისგვითაც იყო, ხელმწიფის ბძანებას არ დამორჩილდებოდნენ ამას ჯარსა და რიგს გაშინჯავდა, ნახავდა, ამბავსა რომ ჩაიტანდა. მაშინვე დიდი ჯარით წამოვიდოდა: ბატონიშვილი აბდულაბეგ და სარდალი ქაიხოსრო საბარათასშვილოში იყვნენ, რომ შესაშირედ და- 157 ვლენებისა ბატონის: ამა ამბავ-შიკ მაშინვე მოუვიდათ ნაფარი და დაიბარეს ასანურს. მივიდნენ რა ესენი, რაყამი წაუკითხეს, ერთი რაყამიც მეფეს ერეკლესათან იყო, რომ ხელმწიფეს თავისათან დაებარებინა: „რასაც მაგის პირით შემახსენებთო გარიგებული გვქონდესო:“ შეიქნა ამისი რჩევა, ბატონმა მეფეს ერეკლეს წასვლა შორს დაუჭირა, შის-მეტი ძე არ ესვა და მერე რამდენი ხანი ინდოეთსა და სხვით ქვეყნებში ახლდა მეფე ერეკლე ხელმწიფეს. კახეთიც უპატრონო დარჩებოდა, ქალაქს ჩამობძანება კი აპყრობდეს. ამის-თვის რომ ქართველთ დარბაისელთ ჯალაბნი, რომ ბატონს თან-ახლდნენ ყველამ ფარგანი მოსთხოვეს: „ჩვენს ადგილში წავალთ ჩვენის ცოლ-შვილითა და ჩვენს ქვეყნებს გავამაგრებთო:“ ქართლის ჯარიც მართებულად არ შემოეყარა, მთის ქვეყნის ჯარებმაც უარშიობა დაიწყეს, ასე ამ რიგის ყოფასა, ისევ ხელმწიფის მორჩილება ირჩიეს: აიყარა ბატონი, აყარა დედოფალიც და ჩაბძანდა ქალაქსა თბილისსა, ქართველნი ყველამ თვისი ცოლ-შვილი თავ-თავის ადგილს წაასხეს, ბატონიშვილმა აბდულაბეგ თავისი ჰარამი მოიყვანა ციხესა სამშვილდისასა:

გამოვიდა დიდი ჯარი ლეკისა, შეიარეს სომხითი-ზე, დაესხნენ, ყაზახის ელი და ბაიდრისა ერთად იდგნენ, მათ-ზე მრავალი სული საქონელი და ტყვე წაასხეს და გარდაიტანეს ჯავახეთს:

რადგან მეფის ერეკლეს წაბძანება აღარ ამყობდა(?), ქალაქშიაც ნამობძანდა, ბატონმა ქვეყ აცნობინა, რომ თავისი წაბძანება. ბძანა: „ხელმწიფეს-თან წავალო, ჩემი თავი ქვეყნისათვის დამიდვიაო, თუ ქვეყანას უშველო რამე და ან ხელმწიფეს ჩემი სიტყვა შეესმინა, ქართლს მოვედს(?)
158 რიგ-ზე დავაყენებო და თუ ვერ შევასმინებო, მერე ყველამ იცოდნენ თავს უშველეთო:“ გარდადვა თავი ქრისტიანობისა-თვის, წაბძანდა მეფე ცხებული თეიმურაზ ერანში ყაენ-თან, რომელსა ეწოდებოდა სახელად შაჰ-ნადირ:

გაბძანდა ქალაქით, მას ი, თან-ახლდა ორბელიანი სარდალი ქაიხოსრო, თარხანი ლუარსაბ, მარტყოფელი მოურავი ქაიხოსრო, მოლარეთ-უხუცესი პაატა, მდივნობაში რევაზ, სოფრომ მამადაულეან(?) და ორიოდ ყულუხჩი და ეგრე სრულად (სულ-ბუქად?) წაბძანდა ქალაქით ბატონი, მიბძანდა სამშვილდეს, სამ(?) და ორი დღე ნახეს ლხინი და მესამეს დღეს წაბძანდა სამშვილდით და მიბძანდა ბოლნისს, თან-გაჰყვა აბდულა-ბეგ ბატონიშვილი და სულ ქართველნი და გაღმა დარბაისელნი, უბძანა ქართველთა: „ბატონიშვილს აბდულა-ბეგს ნუ გაუწყრებით და ჩვენის ერთ-გულობით ამისა სიტყვის გამგონენი იყავითო:“ აგრეთვე აბდულა-ბეგს უბძანა: „რადგან მეფე ერეკლე შვილად ქართლისათვის ვერ მოიცალისო, ქართლს მოუარეთ და ერთმანეთის ნებით და შეკრებით ორთავ ქვეყნები მტრისაგან კარგა გაამაგრეთო და ჩემდა მოსვლამდის მშვიდობიანად იყვნითო: მიბძანდა ბატონი. ჩამოხდა ლორის მაჯაში, ლორის ციხე ყაფლანის ორბელიანის ეჭირა, გამოართვა ბატონმა და ისევ ლორის ქეთხუდებს მიაბარა და ლორის სულთნობა ქალბი-ულხან(?) ხანის შვილს მუსას მისცა:

წამოიღო ლორის ციხიდამ აბდულა-ბეგ ბატონიშვილმა ზარბაზნები და ჯაბახანა, შეიტანა ციხეს სამშვილდისასა და მოეხსენიენ(?) ქართველნი და გახნი ბანბაკს და გამობრუნდნენ. ბატონი წაბძანდა, აბდულა-ბეგ ბატონიშვილი მოვიდა სამშვილდის ციხეში და დაუწყო კეთება და მაგრება ციხესა:
159 მეფე თეიმურაზ რომ ერევნის მაჯაში მიბძანდა, გაგზავნა წინ მაშინვე ყმანი(?) სოფრომ ამირ-ასლან ხან სარდალს-თან, რომელი იდგა ერევნის ციხეს და იყო ყოველ-დღე იმით მცველი(?): რა სცნა მეფე თეიმურაზის მოსვლა, გაიხარა ფრიად და უბრძანა მაშინ ყმანის ხალათი მისცე და ათორი ურიცხვი(?), თითონ შეეყარა ციხესა სარდალი და ბატონის სამ აღაჯ-ზე წინ-მოეგებება, მოესალმა მდაბლად და მიართვა თავისი სადგომი ციხე, რადგან ერევანი და სარათის(?) ქვეყნები ხელმწიფეს უბრ-სრულ(?) და ამ სარდლისა-თვის თავს დაედვა და გამოეგზავნა, ცდილობდა დაჭერასა, ქართლის იმედი სულ არა ჰქონდა: რასაც მეფე თეიმურაზს გაუმჯობესდა(?) და დაუმტკიცებლად მიბძანდა, დიდად იამა და მისართმევით და ლხინით კარგად ედგა, ამით რომ ხელმწიფესაც სამსახურად დაანახვა: მიართვა ბატონს მისართმევი, აგრეთვე დარბაისელნი, რომელნი

ახლდენ ყეენის ხალათი, ცხენი და იარაღი მისცა, გაატანა კაი მემანდრები და გაისტუმრა ხელ-
მწიფის-თანა; წაბრძანდა ბატონი ერეკლე ყაენ-თან,

გამოვიდა ჯარი ლეკისა ურიცხვი, წაასხდნენ მრავალი ადგილი, წაიღეს ურიცხვი ტყვე და
საქონელი, წაბრძანდა მეფე ერეკლე კახით და ქართველის ჯარით, ქისიყის ბოლოს შეებნენ, გაა-
ქციეს ლეკი, ამოწყვიტეს მრავალი, რომ ერთი ამის-თანა გამარჯვება ამ ჟამთა ხანში არ
ყოფილ-იყო, წამოასხეს ტყვე და საქონელი, მობრძანდა ქალაქსა თბილისსა და უბოძა ისევ
თვისავე პატრონებსა. განისვენა ტფილისს ხანს ლხინით ცრიალობით და წაბრძანდა მეფე ისევ კახეთს.

მეფე თეიმურაზ რომ წაბრძანდა, ლელო-ვაჟი კეთილ-მორწმუნე და მშვენიერების სადგური ანა-
ხანუმ ძალიმედ ბრძანდებოდა. შემდგომად მცირედისა ხანისა დაწვა ღვთისმსახური და მისი ქე კეთილ- 160
ნერგად აღმოცენებული, ძირით ესრეთ აღმოფხვრილი, ცხებული მეფის ქალაბით აღმოცენებ-
ლებული, ბატონიშვილი სოლომონ, თვესა მაისსა კდ, ქორონიკონს ულგ, ქრისტეს აქეთ ჩფმე.

შემოირიგა აბდულა-ბეგ ბატონიშვილმა რაც ქართლში ლეკი იყო, აგრეთვე სულხანის
ორბელიანის ლეკი ჭყვანდა შერიგებული დმანის ჭისსოვა და მოუწოდა სულხან და შემოარიგა,
დამოსა ლეკთა ბელადები ხალათით და დაავლნა ციხესა სამშვილდისასა; დასხდა ლეკის ჯარით
ქისიყის მოურავი თამაზ წინა, გაემარჯვა ლეკ-ზე, ამოწყვიტა მრავალი და წამოვიდა გამარჯვე-
ბული მეფის ერეკლეს-თან, მოართვა თავი ლეკისა მრავალი.

შეიქნა ადრიბეჯანის ქვეყნებში ურიდობა და არეულობა, უჯაყ-ადგნენ ყაენს მაჭნადირს და
თავრიზს თითონ დასვეს ყაენი, რომელსა ერქვა სამ-მა, ძველის ყაენის შვილობით იხსენებდენ,
რაც გაეწყობოდათ ყაენის რიგი მისცეს და ჯარი შემოაყარეს; თურმე ლიდი ყაენი მაჭ-ნადირე
მოეკლათ, თვის ძმის-წულს ალიყულ-ხანს ელადატა და თითონ მის-წილ ყაენად იქ ის დამჭდარ-
იყო და იმის-თვის უჯურო იყოვდა ქვეყნები; ეს ამბავი ჩვენ რა გვიდოდით, ქართლში გინ ბრძა-
ტეოდა და ვერ მეფეს თეიმურაზს შეატყო, თურმე რაღათ წავიდოდა, სპასალარი ამირ-ახორ
რომ ერეკლის ციხეს ასაღებლად იდგა, ამას სამშაჭ მტრობა დაუწყო და ეს სპასალარიც გამ-
ცდა ერეკლეს და ასამშაჭ სამტროდ წავიდა: რადგან ეს ქვეყნები ასე აირია და მეფე-მ თეიმურაზ
ყაენ-თან ვერარ მიაწია, ყაზმინს დაიჭირეს და ალარ-სად გაუშვეს. ამასობაში ქართლში მეფის
ამბავი (¹) აღარ მოვიდა, ორი სამი ნივარი აქედამ გაგზავნეს და ვერღა-რა იმით შეიტყვეს და 161
ვერცა-რა მეფე-მ თეიმურაზ იშოვა გზა, რომ ქართლში ნივარი გამოეგზავნა და თვისი ასის ეცნობებინა.

ამა ამბავში ბატონიშვილი აბდულა-ბეგ საბარათაშვილო შემოიკრიბა: „შენს მეტი ბა-
ტონი არ გვინდოდესო, შეუდგე სამშვილდისა და ბირთვის ციხეების კეთებასა“ განიზრახა:
„თუ მეფეს თეიმურაზს დაუშავდა, ქართლი ჩემი არის და ალარავის დავანებებო;“ ააშენა სამ-
შვილდის ორი დიდი ბურჯი, აქეთ და იქით გააკეთა აუზი დიდი წყლისა სადგურად და დაიჭი-

(¹) ლეონიძე ჩხეიძე ამბავს მცდარად ამბობს, ტ. 1.

რა ორის წლისა თადარიგი ყოვლითურთ. ვინა თვისისა სიტყვის მოშლილი იყო, გლეხი ყოვე-ლივე აყარა და ამ ორს ციხეში დაასახლა ასე თუ-რამ ქალაქით ჰსწადოდა, ყველა მოატანინა, წინა-აღმდეგიც აღარა-ვინ ჰქონდა: ბორჩალოს სულთანი, რომელი შასადირს გამოექცა და სამ-ღერეთს იხიზნებოდა ასი-ოდენ კაცითა ისიც აყარა და ციხეში შეიყვანა და თვისი სამზღვართი (¹) ინახვიდა: მისწერა სააშას, რომელი იჯდა თავრიზს ყაენად, აცნობა ყმობა და ერთ-გულობა თვისი და თავის-იდგა ქართლი და სამსახური მისი: ეს ამბები არ (²) შეიტყო მეფე-მ ერეკლე-მ, მაშინ-ვე გაგზავნა კაცნი ყოველ-გან და დაიბარა ჯარები, მოვიდა კახეთისა თუშოვაშსა, ხევსურ-მოხევისა, ფშავისა საერისთოისა და ქართლისა, ყოვლის ადგილს ჯარი შემოეყარა ქალაქსა თბილისისასა მე-ფე ერეკლეს:

წავიდა სამშვილდით ჯარი ლეკისა, მიუხდენ სომხითის მელიქს და წაუხდინეს ქვეყანა და წამოიღეს ტყვე ასე საქონელი მრავალი, მოიტანეს სამშვილდეს:

162 უზოის მეფე-მ ერეკლე-მ შასმეს ისევ ერისთაობა ქსნისა და მამული თვისი და სთხოვა ჯარი: შეიყარა მაშინვე კაი ჯარი და ნამოვიდა ქალაქს და დაუდგა ფიცი მტკიცე, შეჰფიცა თავდებობითა: „მამას შენსა და შენს მეტი ბატონი არ ვიცოდე:“ მოუვიდა აბდულა-ბეგს ქარ-თლის ბატონობის რაყამი სააშასგან და შასადირის სიკვდილიც გამოცხადდა და აქამდის ქარ-თლშა არ ვიცოდით ყაენის სიკვდილი, მისწერა აბდულა-ბეგ ბატონის-შვილმა მეფეს ერეკლეს: „მეფე არწიგლობით ქართლი ჩემია, დამანებე და შენ კახეთს მიებატონე:“ აგრევე ქართლის დარბაისელთ ყველას მეფობის ბასებით წიგნები მოუვიდა: „ახლაც ჩვენს სამსახურში მოდი-თო:“ ეს ამბები დიდად იწყინა მეფე ერეკლე-მ და აგრევე ქართველთა ყოველთავე დიაღ შორს დაიჭირეს, ამით რომ მეფე თეიმურაზ ქართლის გულისა-თვის თავი გამოიმეტა და წავიდა, ჯერ მისი ამბავიც მართალი არა იცოდნენ რა, მერე ადილშა, რომელი ახლად ყაენად დამჯდარ იყო, სიძე იყო მეფის თეიმურაზისა, ქეთევან ასული მისი ცოლად ჰყვანდა: მისგან უფრო კიდევ დიდს წყალობას მოელოდნენ: ეს სააშა ერთი არშარქარი ვინმე გამოჩენილ-იყო და იმის სიტყვით მე-ფეს თეიმურაზს როდის წაუყვიდოდნენ: მისწერა მეფე-მ ერეკლე-მ მუქარიანი წიგნი და აგრევე ქართველთა და უარი და წინა-აღმდეგი სიტყვები: „ჩვენ-გან შენი ყმობა აღარ იქნებათ:“ რა ეს ამბავი მოუვიდა აბდულა-ბეგს დიდათ ეწყინა, თადარიგს შეუდგა, ნება რომ აღარ იქნა, ძალით ცდასა შეუდგა, ყაზახს ბორჩალოც აბდულაბეგთან-გან დადიოდნენ და ემსახურებოდნენ: გაუსია
163 მეფე ერეკლე-მ ჯარი დიდი ბორჩალუსი და ყაზახისა ელები სულ წაახდინეს, ვინა მოენდოთ, არა აწყინეს რა, მოიტანეს ნაშოვარი ურიცხვი, შეიყარა ბორჩალოსი და ყაზახის ქეთხუდები, მოვიდნენ მეფეს ერეკლეს-თან, მიართვეს ფეშქაში და ითხოვეს დანაშაულის ფარმანი, რადგან

(¹) სამზღვრით დ. ნ.

(²) არ უნდა ჰქონდეს შე-ტყო დ. . . . დ. ნ.

ქაიხოსრო სარდალი მეფეს თეიმურაზს ერანში თანა ახლდა, ეშიკაღას-ბაში დიმიტრი რევაზ სარ-
დლის-შვილი და იოანე ორბელიანი ქალაქს ცოლ-შვილით მეფე ერეკლეს ახლდნენ და არც ამათ-
გან მეფის ერეკლეს გარეთ იქნებოდა. ამათის ქალაქს ყოფნასა და იასაულ-თან უმეგობრობას აბდულა-
ბეგ წყინობდა, ვითაც მხლებელი იყო. გაუსია ლეკის ჯარი და ბარათიანნი, აილო იოვნობის
ქვაბები, იავარ-ჰყვნეს საქონელი და ტყვე ლეკთა, მისცა და შეაკრბინა კაცი თვისი მისანდოთ ქვაბებში.
ვინა ქაიხოსრო სარდლის კაცნი იდგნეს გამოიყვანნა ყოველნი რისხვით: აგრეთვე წავიდის სამ-
შვილდით მარბიელი და მიათარხნის ორბელიანთ-მამული და ბატონის ციხესა სამშვილდისასა:

მოვიდა ერთი უცხო ჯარი ლეკისა, რომ ჯერ ქართლის მიწაში ამ გვარი კაცნი არ გვენახა,
ზღვის პირის კაცნი იყვნეს და სულ მოისარ-შუბოსანნი და კარგა დაკაზმულნი, სასახავად კარგნი,
შემოიარეს ალგეთის ხევ-ზე, გუმბის და იმ მარიბის საქონელი წაიმძღოლა, იასამოყვანდათ საზ-
ლადობით, ბირთვისის ძირი გაიარეს, დახვდნენ ბარათიანნი სახიქვაოს, ომი ძალიანი აგიდეს,
გაიქცივნეს და არა დაანებეს რა: წავიდა ეს ჯარი, მიუხდა ციხე-ქვაბს, გატეხეს ზღუდის გალავანი,
აიღეს, ტყვე ანუ საქონელი წამოიღეს, დიდ-გორი ჩაატარეს და უვნებელად გაატარეს, წავიდნენ 164
ისევ თვისა ადგილსა:

მეფე-მ ერეკლე-მ გამოუგზავნა ბატონიშვილს აბდულა-ბეგს თბილელ ეპისკოპოზი ათა-
ნასე, დაელაპარაკა და აღუთქვა საბატონიშვილო მამული თვისი სრულად, დაუწყნარება დაპატიჟა
და ნახვაც მოინდომა: ეს არ ინება და რადგან მეფობა ეთქვა აღარ შეიძლება აბდულა-ბეგ, შე-
მოუთვალა: „ქართლი ჩემიაო და კახეთი შენიაო, შენ იმას დასჯერდი, მე ქართლი დამანებეო:“
ზაალ მუსხელიშვილიც თან-გაატანა, ჩამოვიდა თბილელ ეპისკოპოზი და ეს ამბავი ჩამოიტანა
ქალაქს: რომ ახლა მართლა გული დააჯერა მეფე-მ ერეკლე-მ, რომ შვიდობა აღარ დაწყნარდა, ჯა-
რისა მატებასა და ყოველ-გზის მტრის პასუხის მიცემისა თადარიგს შეუდგა. აგრეთვე დარბაი-
სელთა ქართლისათა დიდი ჯარი შეუთვალეს ბატონიშვილს აბდულა-ბეგს: „ჩვენი და შენი
ბატონ-ყმობა აღარ იქნებაო:“ ეს ამბავი რომ მოუვიდა სამშვილდეს მასც ციხის მაგრება და
ჯარის მატებას შეუდგა, გაგზავნა მეფე-მ ერეკლემ და ვინც თვის მოსამსახურენი პირ-აქეთი
ლეკი იყო, მათი ჯარი სულ მოასხმევინა:

რადგან საბარათაშვილო მას-თან იყო და სომხითი კი არ მოუდგა, დასცა ჯარს დასტური
და წავიდის, მოარბის სომხითის ხეობა, გარდაუხდიან ახპატ-სანაინსა, ატხრიან და ტყვევნას და 165
ურიცხვი საქონელი მოიტანიან ციხესა სამშვილდისასა. პაპუნა ყაფლან და სულხან ორბელიანნი
თვისა ციხესა ხულუტს იდგნენ და იქიდამ თვისა მამულსა პატრონობდნენ, წავიდის ამათი ჯარი,
მიუხდის ყარსისა ქვეყანასა და წამოიღიან უთვალავი საქონელი, ასე შეაშინეს ოსმალნი ქვეყანა,
რომ თუ არ სიმაგრეთა და ციხეთა სხვა-გან ველარსად დადგიან ჯავახნი ანუ ყარსელნი:

შეიყარა ჯარი აღიხან, რომელი მცირედით ხანით ქართლში ხანად იჯდა, ნადირშა რომ
მოკლა ამანაც აქა იქ ტაცება და რბევა დაუწყო. ეს წამოვიდა ქართლ-ზე, მეფე თეიმურაზ რომ

ქვეით ბძანდებოდა ქართლში თვისი წინააღმდეგი კაცი ალარა ვინ ეგონა. მოვიდა ყაზახში, შემოეყარა ყაზახის ჯარი, მოსცა თალი-ბეგ ყაზახის სულთნის ძმას მირობა: „ქართლს მე დაგაჭერინებო" გამოუძღვა წინ, მოვიდნენ ქალაქ-ს-ზე, წინ ორი ნაცვარი გამოგზავნა, ერთი მეფის ერეკლეს-თან და ერთი აბდულაბეგ-თან სამშვიდობელ, -ორივე თავის-თან დაიჭირა და დიდათ ამაყანი სიტყვა შემოუთვალა: მეფე ერეკლე-მ შეუთვალა: „თუ ყაენის ბძანება და რაყამი გაქვს ის შე-მასრულებინე და თუ სამტროდ მოხვალ, მეც მზა გარო" არც აბდულა-ბეგ მოუწონა:

მოვიდა, ჩამოხდა კუმისს. შინაში კაცი გამოგზავნა, არც იმან შეუშვა ციხეში: იწყინა ალი-ხან, ჯარი დიდი ჰყვანდა, მოუხდნენ ქალაქს, ხევთ და ყურის ხეობის საქონელი სულ წამოიღეს: უბძანა მეფე ერეკლე-მ ჯარს გასვლა, უთავა ორბელიანი დიმიტრი ეშიკაღასბაში: რა მივიდნენ ქალაქით მაშინვე დაწვნენ ცხენები და რა მოეწივნენ, შიგ დაერივნენ, გაიქცა ყიზილბაშის ჯარი, მიყვნენ ხმალ-და-ხმალ, ამოწყვიტეს ორაგული, რომ რასაც ლეშთაცა დასტეს: მიყვნენ გაქცეულთა კუმის თავამდის, ვინ მორბის ცხენები აქ დარჩათ, ეგრეთვე იარაღები ჰყარეს და ქვეით-ნი უიარაღონი ალიხანს შეეყარნენ: გამოუძღვა დიმიტრი ეშიკაღასბაში და შემოვიდა ქალაქში გამარჯვებული, მოართვა თავები ბატონს, იმა დიდად და დაპირდა დიმიტრი ეშიკაღასბაშს წყა-

166 ლობასა ურიცხვსა: გასცეს ქალაქის ციხით, ამოხადეს, გიდევ ალიხანს იმაც დამეს თავს-დასხმა დაუპირეს, ალი-ხან იმაც წამს აიყარა და წავიდა ისევ ქვეყნითვე სირცხვილეული:

წავიდა განჯას და ახლა მოიწადინა სააშას მტრობა, რომელი იყვნა თავრიზს ყაენად, მივი-და ალი-ხან, ამა-ზედა დაიჭირა სააშა ხელებ-შეკრული სარდალს ამირ ასლან გაუგზავნა: იმანაც თვალები დასთხარა და ალიშას ყაენს გაუგზავნა: ეს ამბავი მოვიდა ქართლში, ქართველთ დიდ იამათ და განიხარა მეფე-მ ერეკლემ და დასწყვიდა აბდულა-ბეგ, გაუგზავნა კაცი და ფეშქაში სარდალს ამირ ასლან ხანს, მოვიდა მის-გან წიგნი დიდის იმედის აბდულა-ბეგს: შეიქნა მეფის ერეკლესა და აბდულა-ბეგს შუა მტრობა და ომი, ტფილის ერთმანერთისა, გაუსია ჯარი სამშვიდ-დით ლეკისა და საბარათაშვილოსა, შემოაყენა თავისის ციხესა, იყო სროლა ორი დღე და ვერა აყნეს რა: ამასობაში მოუშველა დიმიტრი ორბელიანი ქალაქიდამ დიდის ჯარით, შემოუტიეს, გააქციეს და სამშვიდლემდის ცემით მიყვნენ, მაშინ ყაფლანი და სულხან ბატონის-შვილს აბდუ-ლას-თან იყვნენ, ცდილობდნენ მის-გან თავისის მამულის მოხმარებასა. რა-ხან ამათის სამშვიდ-დეს ყოფით ორბელიანით მამულს არა ეშველა რა, თავისი შვილნიც ქალაქს მეფის ერეკლეს სამ-სახურში ჰყვანდათ, მაშინა და ყაფლანც წამოვიდნენ, მოვიდნენ მეფის ერეკლეს სამსახურში, უკო წყალობა ისევ პირველი:

აესივნენ ლეკნი, აგრეთვე საბარათაშვილოს კაცნი და დაუწყეს რბევა ქართლის ქვეყანასა, სულ-ხან-ორბელიანს ისევ დმანისს დადგა, უწინვე ლეკში ყოფილ-იყო და ბელადები კარგა იცნობდნენ, შეურიგდა ლეკთა და ხოგი რამ თავისი ქვეყანას მოარჩინა, ბატონიშვილმა აბდულა-ბეგსაც სულ-ხან კარგად მიანდო და ერთ-გულებით თანა ალარაცხა:

რადგან მტრობა აღარ დაშალეს და ამ ლეკისა-გან ბევრი ალაგიც წახდა, მეფე ირაკლიც 167
გამოვიდა ქალაქიდამ, თოფხანა, ჯაბახანა ყოველივე ძისბაში გამოართვა და გამოუგზავნა საბა-რათაშვილოზე: მოვიდა მეფის თეიმურაზისა ამბავი მშვიდობისა, რომ ადილშაისთან მიეწია, რომელიც იყო სიძე მისი, მიეცა პატივი, დიდი იმედი და მამაშვილური, ეპოვა ურიცხვი საქონელი, შექმნა სიხარული. ამდენი ხანი ყოფილა, რომ პატრონის ამბავი აღარა გაგონილიყო-რა, შექმნა სიხარული ფრიადი ქართველთა შინა:

მიბძანდა მეფე ერეკლე დიდის ჯარით, შემოადგა სამშვილდეს, იყო სროლა ზარბაზნითა და ყუმბარათა დაუცდელად. აგრეთვე ისროდენ ციხიდამ თოფითა და ზარბაზნით: მეფე ერეკლე იდგა კრწანისის ქვემორე და ჯართა ყოველ-მხარეთ სავერა ჰქონდათ და ეგრე იბრძოდენ, იყო რამდენიმე დღე ბრძოლა (იყო) და შერე იგულისმოდგინეს მეფეთა ციხისათა და შექმნა ერთმანერთში ლაპარაკი, მოითხოვა აბდულაბეგმა ბატონის-შვილმა დიდრონი კაცნი. შევიდა სახლთუხუცესი კახის გრიგოლ, თუში მოურავი ჯიმშერ და ელისეთ მოურავი დავით, ალაპარაკეს და ეს პირი დადვეს: „მასამდისინ მეფე თეიმურაზ ერანის ქვეყნიდამ მობძანდებოდესო ჩვენ ორსავ მეფე-დროებით ვიყვნეთო:“ რაც სამშვილდეს ციხეში ლეკის ჯარი ჰქონდათ, მეფეს ერეკლეს რომ ლეკის ჯარი ახლდა, ამისმა ბელადებმა ლაპარაკი დაუწყეს და სულ გამოიყვანეს და მეფეს ერეკლეს შემოუყარეს, ისევე ისებს მშვიდობა და შერიგდეს თითო ძირობის წიგნი ერთმანერთს მისცეს და მოშალეს ბრძოლა: შექმნა ერთმანერთში მშვიდობა, ჯარის კაცი ციხეში შევიდის და ციხის კაცი ჯარში გამოვიდის, ასეარა მეფე ერეკლე, წაბძანდა ქალაქს, პატრონი-შვილი აბდულაბეგ დარჩა ისევ ციხეს სამშვილდისასა:

გამოვიდა ჯარი ქართლიდამ, მოუხდენ ღამითვე. დაესხნენ სოღანლუღს, მრავალი ცხვარი და ძროხა წაასხეს: გამოუდგა დიმიტრი ეშიკაღასბაში მტერის კაცით, მოეწია ყარაიაზე, გააქცია 168
ლეკი, გაარეყვინა საქონელი და შემოვიდა გამარჯვებული ქალაქს იბრეჲისისასა: მოუხდა ლეკის ჯარი ბოლნისის ხეობას, მოაშველეს ყაფლან ორბელიანი ქალაქიდამ, მივიდა, შეება გულ-სრულად, გააქციეს ლეკი, დახოცეს. მაგრამ დიდათ რომ შიგ დაერივნენ, ფიცხელი ომი რომ შექმნა, ჰკრეს ყაფლანს თოფი და გამობრუნდნენ: მაშინვე წამოიყვანეს დაწყლულებული, მოკვდა ყაფლან ბოლნისსა მეორეს დღეს. მოუვიდა მეფეს ერეკლეს სპასალარის ამირ ასლან ხანიდამ ცხენი შეკაზმული და ხალათი მძიმე, აგრეთვე ქართველთა და კახთა დარბაისელთათვის თითო-ათი ხალათი ბისნებითა ალი-შაჰ ყაენისაგან: შექმნა სიხარული ფრიადი, ამით რომ ალი-შას ყაენობასაც გული დააჯერეს და მეფის თეიმურაზის წიგნი და კაი ამბავი, რომ მოუვიდათ ამით კიდევ უფრო შექმნათ სიხარული:

გამოვიდა ბელადები ლეკისა ათასის კაცით, შემოიარეს ქართლი, მოვიდნენ, აიღეს საგირის-ციხე, გარდმოვიდნენ, შემოადგნენ, ატენის ბოლოს ციხე იყო, აიღეს ისიც, წამოიღეს ორისავ

ციხის საქონელი და ტყვე უთვალავი, გარდმოვიდნენ საბარათაშვილოში, მიაგება კაცი აბდულა-ბეგ ბატონი-შვილმა, შეირიგა ეს ლეკის ჯარი და დააყენა ციხეს გარეთ კრწანისს:

მოვიდა ადილ-შაჰ ყაენისა-გან ჩაფარი, ებოძა მეფის ერეკლესა-თვის ხალათი მძიმე და რაყამი დიდის წყალობისა: „რად-გან მეფე თეიმურაზ ჩვენს სამსახურში არისო, ქართლსა და კა-
169 ხეთს ორსავ კარგა მოუარეო:“ აგრევე მეფის თეიმურაზის წიგნი და მშვიდობიანი ამბავი მოვიდა, შეიქნა დიდი სიხარული და განცხრომა, რომ უკეთესი აღარ ეგებოდა, შესწირეს ქართველთა მადლობა ღმერთსა: ებოძა იქიდამ მეფეს თეიმურაზს ორბელიანისა-თვის მდივანბეგობა ქართლისა, მეფე-მ ერეკლემაც ბრძანებისაებრ მამისა და ალახარისხეს დალიჯასა საბრძნოსა და მისცეს სასწორი სიმართლისა, ვითაც იოანე საფილოსოფოსოთა წესითა აღზრდილ-იყო და კიბეთა ბრძნობისათა აღმხდარ-იყო და ქართლშიაც უბრძნე და უმცოდნე არა-ვინ იპოვებოდა, დაუმტკიცეს ესე საბრძნო ხარისხი და საზომისა-ებრივ არა დააცადებდა მეცნიერად ყოველთა მიგებებასა სამართლისასა:

უკუდგა სპასალარი ამირ-ასლანს ალი-შაჰს და ამანაც მოისდომა ადრი-ბეჟანის ქვეყანაში ყაენობა: დაიჭირა ქვეყნები, ყაენიც ამ ქვეყნებს დაშორებულ-იყო და ქვეით წასულ-იყო, დაუწყო სპასალარმა აქა იქ ცემა:

აბდულა-ბეგ ბატონი-შვილმა გაუგზავნა ფეშქაში სპასალარს, ალაჯან უზბაშის ხელით და სთხოვა ჯარი და მოხმარება: გამოებრუნებინა ალაჯან და მოეწერა იმედი და დაპირებოდა მოხმარებასა: გაუსივეს ფასნა უზბაში, დაახვედრეს ლორეს, წინ მოკლეს ალაჯან უზბაში, სხვანი სულ დაიჭირეს, ორი სპასალარის კაცი იყო და სხვა აბდულა-ბეგ ბატონი-შვილისა, მოასხეს ქალაქს, მიართვეს მეფეს ერეკლეს: უყო წყალობა ფრიადი ფასნა უზბაშს და სპასალარის კაცებს
170 არა ავნო-რა, პატივიც მისცა და სხვანი პყრობილ-ჰყვნა, ზოგთა თვალნი დასთხარა: ამა-ზე ისევ აიშალნენ, საბარათაშვილოს კაცებმა ქალაქის პირს სოფლებს ცემა დაუწყეს, ქალაქიდამ ჯარი გავიდის და საბარათაშვილოს ჰსცემდნენ და აოხრებდნენ ყოველ-თვის:

მაჰმად, სულთანი ლორისა, რომელი იყო სამშვილდეს, მოუვიდა რაყამი, მიეცა განჯის ხანობა, წავიდა სამშვილდიდამ და ჩავიდა განჯას, არ ინება სპასალარმა ალიშასა-გან მიცემა: დიალ მრავალი ტყვე ჰყვანდა ლეკებს სამშვილდის ციხეშია და კაიყო ჯარი, ზოგმა ტყვე წაასხეს დაღისტანში და სხვა ჯარები აქავ დარჩა და არბევდეს მუდამ სომხითს და აგრევე დმანისის ხეობას და მიქონდათ სამშვილდეს:

გამოეგზავნა სპასალარს კაცი და ხალათი მეფის ერეკლესა-თვის და ეცნობინა ხერხით ნდომა და სიყვარული:

უბოძა მეფე-მ კახეთისა-მან და გამგებელმა ქართლისა-მან, სათნოებისა საფუძველ-მან, ძე-მან ცხებულის მეფისა-მან, მეფე-მ ერეკლე-მ ორბელიანს დიმიტრი ეშიკაღასბაშს ელიაღასობა სრულიად

ქართლისა, ელის საჯილდაოთ, ვითაც ალიხანის ჯარ-ზე დიდად გაიმარჯვა დიმიტრი-მ და მერე
ლეკ-ზე მხნედ გაისარჯა და გააქცივა, ნაშოვარი დააგდებინა, ვითა წყალობას ემართლებოდა და
ეგრევე აღუსრულა და დაუმტკიცა წყალობა ესე:

აჭყარეს ყაზახის სულთანი მუსაბეგ და ქალაქში დაასვენეს, აგრევე ქეთხუდები ბაიდრისა და
ყაზახ-ბორჩალუსი შემოკრიბეს ქალაქს:

უბოძა მეფე-მ ერეკლე-მ ქალაქის მოურაობა მუხრანის ბატონს, სალთი-ხუცეს კონსტანტინეს:
დახვდა ლეკთა მოურავი ქისიყისა თამაზ, გაიმარჯვა დიდათ:

ალი-შაჰ ყაენი მაზანდარას წასულ-იყო, მეფე თეიმურაზც თან-ახლდა, ადრიბეჟანის ქვეყნებს
დაშორდენ: მოიცა მალი სპასალარმა ამირ ასლა-ხან, ჯარი დიდი შეიყარა, ადრიბეჟანის ქვეყნები 171
სულ მიუდგა. მაგრამ ქართლი და კახეთი არ მიუდგა, ამის-თვის რომ ეს არც ხელმწიფე იყო
და რასაც იქმოდა თავისის ძალითა, მერე რომელიც ერანის ხელმწიფე იყო მეფე თეიმურაზს
იმას ახლდა: ამით ეს სპასალარი ქართლსა და კახეთს ემუქარებოდა, მტრობაც უნდოდა. მაგრამ
ვერ იჩენდა, ბევრ-ჯერ ენახათ ქართველთ ხმალი: გაგზავნა მეფე-მ ერეკლე-მ სპასალარ-თან დე-
მეტრე მდივანი საცნობელად ამბისად: ჩავიდა მდივანი შამახიას, შეეყარა სპასალარს, დიდი
პატივი მისცა და იამა, ამით რომე ამათის გალაპარაკების იმედი არ ჰქონდა: აბდულა-ბეგს ბა-
ტონიშვილსაც სამ ბარათა-შვილი და გლახა ციცი-შვილი გაეგზავნა, ესენიც იქ წავიდნენ:
გამოისტუმრა მდივანი, ხალათი მიეცა და მეფის ერეკლესა-თვის გაი თავაზიანი წიგნი მოეწერა
და ყაზახ ბორჩალუს და ქალაქის ქეთხუდები დაებარებინა. სამ და გლახა გამოესტუმრებინა და
აბდულა-ბეგ ბატონი-შვილი დაებარებინა, ქორონიკონს ულე:

კახეთისა დედოფალი ანნა მარტყოფს წაიყვანეს, იქ დაწვა, შვა ასული შვენიერი თამარ: მო-
ვიდა მდივანი დემეტრე, ეს ამბავი მოუტანა მეფეს ერეკლეს. მაგრამ ქეთხუდები ვერ გაუგზავნა,
იცოდენ რომ ყველას ხერხით ეგიდებოდა, თორემ რადგან მეფე თეიმურაზ ყაენ-თან ეგულებო-
და და ეს ყაენის უკუმდგარი იყო, ქართლისა და კახეთის კაცს როდის დაინდობდა, მის-თვის
არც ესენი მიენდვნენ: წავიდა აბდულა-ბეგ ბატონი-შვილი სპასალარ-თან, ჩაიარა ყაზახში, უკუ-
დგა ყაზახი მეფეს ერეკლეს, გაყვა თალი-ბეგ ყაზახის ქეთხუდებით, ჩავიდნენ, მოსცა ქართლისა
და კახეთის ბატონობა და ჯარად რვა ათასი მეომარი კაცი თან-გამოატანა:

მოვიდა ეს ამბავი ქალაქში, შეიქნა მზადება ომისა, აყარეს ანნა დედოფალი მარტყოფიდამ, მიი- 172
ყვანეს ბოჭორმის ციხეში, ქართველთ დიდრონის კაცების ბარგიც იქ მოვიდა: თუ გაუჭირდებოდათ
ცოლ-შვილით იქ მოვიდოდნენ, ქალაქის ციხის მინბაში მეფეს ერეკლეს აღარ მოენდო, დაჯდა ციხეში
და აღარ ჩამოვიდა ქალაქში: მოვიდა აბდულა-ბეგ ბატონი-შვილი ამ ყიზილბაშის ჯარით, ჩამოხდა
გოდა-ზე: ამ ჯარის თავი ქაზუმ-ხან იყო, რომ შაჰნადირ ყაენის მახლობელი ყმა ყოფილ-იყო და
თვალებიც იმ ყაენს დაეთხარა და ახლა იმ ყაენის სიკვდილს უკან სპასალარ-თან მოსულ-იყო
და დიდი პატივი მიეცა და ახლაც სარდლათ აქეთ გამოელაშქრებინა, აბდულა-ბეგ ბატონი-შვილისა-

თვის გამოეტანებინა, არცა ომი დაჭირ-და-ჭირი ეგონათ: გამოუგზავნეს ერეკლეს მეფესა კახეთი-
სასა და გამგებელსა ქართლისასა. „ქალაქი დაგვიცალეო.“ და ქართველნიც დაებარებინა კოდა-ზე და
ეგრევე მინბაში ციხისა: რა მოისმინა მეფე-მ ერეკლე-მ ამბავი ესე ბძანა: „სანამდის სული მი-
დგას ჩემ-გან აქედამ გასლვა არ იქნებაო:“ აგრევე ქართველთა ყოველთა შეუთვალეს: „ჩვენი და
შენი ბატონ-ყმობა არ იქნებაო:“ არც მინბაში მიენდო: ეს აბდულა-ბეგ ბატონის-შვილმა დი-
დად იწყინა, აიყარნენ დილას ადრე, ლაშქრობის წინა-დღე ჭარასკევი იყო და ამოვიდა ეს ჯარი
მთლივ შინდისის წყერ-ზე, იქავ კოდა-ზე შემოეყროდა ძმა თვისი უსეინ-ბეგ, რომელი ჰსცევდა
ბირთვისის ციხესა საბარათაშვილოს ჯარით. აგრევე სულხან ორბელიანი შემოეყარა, მოვიდნენ
173 ქალაქ-ზე, წინ საბარათაშვილო მოიმძღვრეს: შეიქნა ქალაქში მზადება ომისა, შეყარა სამღვთო-
დასნი ყოველნი ანტონი პატრიაქ-მან, კეთილ-სათნოებისა სავსე-ყოვლ-მან და ეკკლესიანი ქალა-
ქისანი ყოველნი ჭარაკლისითა და ცრემლთა დინებით მოილოცნა. ამისა შემდგომად აკურთხა
მეფე ერეკლე ჯარი-თურთ და გაბძანდა ქალაქით ომად: უბძანეს რევაზს ორბელიანს და ქისიყის
ჯარს მეწინავედ მისვლა საბარათაშვილოსი, აქ მეფეს ერეკლეს-თან იყვნენ. ორბელიანნი სრუ-
ლიად, სულხანს გარდა, ზურაბის შვილები, იარალის შვილები, სოლაღა შვილები, გაბაანი და
თურქისტანის შვილები. ესენი შემოიყარა რევაზ სარდალმა, აგრევე ჭაჭუა ქისიყის მოურავის
შვილმა ქისიყელნი და მოქალაქენიც ამათში იყვნენ, ავიდნენ ესენი თაბორისა-კენ, მეფე ერეკლეც
წაბძანდა წავკისის მხარეს: მოვიდნენ ისინიც ქვეით, საბარათაშვილოს ჯარს უსეინ-ბეგ ბატონი-
შვილი მოუძღვა, ლეკისა და ავლნის ჯარს (ჯარი) ამათში იყო, ზევით წავკისაკენ აბდულა-ბეგ ბატონი-
შვილი, თალი-ბეგ და ყაზახის ჯარიც თან-ახლდა და შუაზე ქაზემ-ხან. ამ დიდის ჯარით ამ
ციხეს უკან მთა-ზე წამოდგიან. შეიქნა ომი ფიცხელი, რომ თოფის ხმისა-გან აღარა ისმოდა-
რა და კომლისა-გან ჯარი აღარა ჩნდა, პირველსავე მისვლა-ზე გაემარჯვათ რევაზ ორბელიანს
და ქისიყელთ გაიქციეს ჯარი: ესე რა ნახეს ჯარის გაბრუნება შეუტივეს ქართველთა და კახთა
ერთ-პირ გაიქცა ეს ჯარი მთლივ, დაუწყეს კაფა, რომ ლეშის რიცხვი დასცეს: რა დაშვრა ჯარი
174 ხოცისა-გან მოსდიან შუბი ანუ ხმალი და სუთი და ექვსი თითო კაცმა ყიზილბაში ეგრე იჭი-
რის. მიყვნენ იაღლუჯის ბოლომდის, დარჩათ კარავი მოფენილობა, თუ რამ სხვა:

ასეთი გამარჯვება მოუხდა მეფეს ერეკლეს, არას დროს ქართლში ამის-თანა გამარჯვება
არ მომხდარ-იყო და რაც (არც) ამ რიგად ყიზილბაშს ქართლში დამარცხებოდათ, ხანებს დროშები აქ
დარჩათ, წაიღნეს სირცხვილეულნი და განჯამდის ველარ დადგნენ და აბდულა-ბეგ ბატონი-შვილი
მიბძანდა სამშვილდეს, ბარათიანი, ვინა გარდარჩნენ მივიდნენ ბირთვის: მეფე ერეკლე შემობძანდა
ქალაქში გამარჯვებული. მიეგებნენ დასნი სამღვთონი და ანუ გუნდნი ერთანი და შეასხმიდნენ ქე-
ბასა, დაბძანდა და შეიქნა მოტანა თავისა და მოლოცვა, აღწერდნენ მდივანბეგი, იქნა რიცხვი
თავისა ანუ ცოცხლისა აიას შვიდასი, გამოგზავნეს ყოველ-გან მახარებელი და ეგრევე ვინც
ცოცხალი ყიზილბაში მოართვეს, ყოველი თავ-თავის ქვეყნებში გაისტუმრა და ამით კიდევ უფრო

განიფინა ამბავი გამარჯვებისა, ან ვინა ბარათაშვილი ცოცხალი მოართვეს განუტევა მშვიდო-
ბით და აპატივა ცთომა თვისი, დაჯდა ნადიმად, ნახა ლხინი და გასცა საბოძვარი:

გაისტუმრის კაცნი დიდებულნი ბოჭორმას და დედოფალი ანნა ქალაქს რა მოიყვანეს და
უმეტეს დამკვიდრდა მეფეს ერეკლეს ქართლში (¹), დაუწყეს ყაზახის ქვეყნებმა ხვეწნა მეფეს
ერეკლეს და დანაშვილის ფარვანი მოითხოვეს, მოართვეს მოსართმევი ურიცხვი და შეუნდო,
აყარა მათი ქეთხუდები და დაასახლა ქალაქს იმათ-თან, ვინც სრულთანი ყაზახისა ქალაქს იყო ტოლ-
შვილით. აგრევე ბორჩალოს და ბაიდრის ქეთხუდები აჰყარეს და ქალაქში დაასახლეს: 175

მოვიდა ყაზახის ქვეყნებში ზუბეიდალა, ბელადი ლეკისა შვიდასის კაცით, წაახდინეს მრა-
ვალი ადგილი, წამოიღეს ტყვე ანუ საქონელი და მოვიდნენ, შეურიგდნენ აბდულა-ბეგს ბატონი-
შვილსა, დაასახლა ციხესა სამშვილდისასა და იქიდამ დაუწყეს ცემა ქვეყანათა ქართლისათა: გაუ-
სივა მეფე-მ ერეკლე-მ ცხრა ათასი კაცი ქართველთა და კახთა, მიუხდეს სამშადილოს, წაახდინეს
და მოიტანეს ნაშოვარი ურიცხვი: შეეშინდა ადრიბეჯანის ქვეყანას და ყველამ დაუწყეს ხვეწნა
და ლაპარაკი მეფეს ერეკლეს, მოვიდა ხილხილის ხანი, მოართვა მრავალი და შემორიგდა: წა-
ვიდის სამშვილდით ჯარი ლეკისა, მოარბივის სომხითის ხეობა და მოიტანიან ციხესა სამშვილ-
დისასა. შეწუხდა სომხითის ხეობა, ველარ შეიძლეს დგომა ქვეყანათა თვისთა, აიყარა მელიქი
სომხითისა თავისის სახლის კაცით და ყმით, აგრევე არღუთას შვილები, მთლივ სანაინის ხეო-
ბა და ახპატის ხეობა, ჩამოვიდნენ ქალაქსა და ქალაქით წავიდნენ ერთ-პირ მუხრანში, მისცა
ალაგი მუხრანის ბატონმა კონსტანტინე-მ და დაასახლა ქვეყანასა თვისსა: მთელს სომხითში ბოლ-
ნისის მეტი და სამწევრის მეტი შენობა აღარსად არ იყო. ორბელიანთ მამულიც ასე დაიცალა,
რომ დმანისა და ფიტარეთის მეტი შენობა აღარ-სად იყო:

შემოიყარა ჯარი მეფე-მ ერეკლე-მ და წაბძანდა საბარათასშვილო-ზე, მიბძანდა, ჩამოხდა
დაღეთს, გაგზავნა ზურაბ სავერლის შვილი და გაბა შვილი პაპუნა ბირთვის, დაუწყო ლაპარაკი, 176
ენება შემორიგება, ფიცი: „რომ ჩვენ-გან არა დაგვიანდეთ-რაო, თუ ჩვენს სამსახურში მოხვი-
დეთო, თუ არა და წაგახდენო:“ ბატონი-შვილი უსეინ-ბეგიც ბირთვისის ციხეში იყო, მივიდნენ
ესენი და უანბეს დავედრებული ყოველი მეფის ერეკლესი: იმათ მოახსენეს გარდაწყვეტილი.
„თუ ბატონი ჩვენი სამშვილდეს ზისო, ჩვენ იმისი ყმანი და მორჩილნი ვართო, თუ ის შერი-
გდება, ჩვენც თქვენს სამსახურში მოვალთო და თუ ეგ არ შეგრიგდებაო, ჩვენ უმისოდ თქვენ-
თან მოსვლა არ შეგვიძლიაო:“ მოვიდნენ ზურაბ და პაპუნა და ეს სიტყვა მოახსენეს მეფეს
ერეკლეს: ბატონი-შვილს აბდულა-ბეგს რაც ლეკის ჯარი ჰყვანდა, ციხეს გარეთ სანგრები შე-
კრეს და იქ დაასახლა, ციხე სამშვილდისა გაამაგრა კარგად და დადგა საომრად:

---

(¹) დაუმკვიდრდა მეფეს ერეკლეს ქართლი: თუ უმეტეს დამკვიდრდა მეფე ირაკლი ქართლში. დ. ჩ.

მეფეს ერეკლეს ოთხი ლეკის ბელადი ახლდა, წავიდნენ დაღესთით ეს ბელადები და სამშვილ-დის ლეკებს ლაპარაკი დაუწყეს, შემორიგებას ცდილობდენ, მიიტყუეს იმათ და სამშვილდეს გაიყვანეს, დაიჭირა აბდულა-ბეგ ბატონი-შვილმა ეს ბელადები და შეუკრა ხელ-ფეხი და ეგრე დააპატიმრა. ერთს ბეჭდა ბელადი ერქვა, მეფის ერეკლეს ერთ-გული იყო, ის კი მოკლა და სხვები დაჭერილი შეინახა: რა მოისმინა მეფე-მ ერეკლე-მ, ეწყინა დიდად. მაგრამ აღარა გაე-წყობოდა რა, რა ნებით შერიგება არ მოხდა და არც ციხის (აღება) და არც შემოდგომის რი-გით გამოსულ-იყვნენ, შებრუნდა თითონ და ჯარი სულ რაც სამშვილდეს გამოადგა, ან დალეკუებისა, საცა რამ მოსავალი იყო, მკის ჟამი მოახლოვებულ-იყო, ყანა სულ გათიბეს, ვენახები სულ გა-
177 კაფეს და აიყარნენ დაღესთიდამ და გარდმობრუნდა, წამოხდა ფარცხის, იქაური მოსავალიც ბირთვის ქვეით სულ გათიბეს: წამოეკიდნენ ბარათიანნი ტბის, შემოებნენ გულ-სრულად, შეიქნა ომი ფიცხელი, დილით-ვან შუადღემდის სროლა იყო, ქვეითი ჯარი ბევრი ჰყვანდა მეფეს ერე-კლეს, თითონ დაბრუნდა ტბის გამოღმა გორაზე, საყდარ-თან და ქვეითობა შეუსია, გააქციეს ბარათიანნი და მიყვნენ ციხემდის. ბირთვისის ციხის ომი, ხომ არ იქნებოდა, წამოეცალნენ, წაახდინეს, საცა რამ შენობა იყო, ხაშმის შვილის სასახლე დაწვეს და ბრძანა ქალაქსვე წაბრძანება მეფემ ერეკლე-მ: იქ უბოძა ამირინდოს ამილახორობა, დიმიტრის გამოართო: აიყარა ფარცხი-სიდამ და წამობრძანდა, წამოხდა დურნუკს ბოლოს ალგეთ-ზე, იქ მოუვიდა ნაყარი ადილშას ყაენისა, რაყამი დიდის წყალობისა, მეფეს ერეკლეს-თან კახეთის ბატონობით და ქართლის ნაი-ბობით მოეწერათ. აგრეთვე მეფის თეიმურაზის წიგნები მშვიდობიანი და მრავლის წყალობის მინიჭება ადილ-შაჰისა-გან: შეიქნა დიდი სიხარული, წამობრძანდა მეფე ერეკლე მაშინვე ქალაქს და შეიქნა ცემა ქოს-ნაღარათა და სზიღლიმ-ჭურთა, სროლა ზარბაზნთა, ამით რომე დიდი ხანი იყო მეფის თეიმურაზის ამბავი არა სმოდათ და მერმე ადილშას წყალობა და ქართლის ბატონო-ბის განახლების რაყამიც მოუვიდათ:

მიუდგა საამ იხტიერი ამირ ასლან-ხან ადილშას ყაენის უფროს ძმას და ყაენს ადილშას შეუ-უდგნენ, შექმნათ ერთმანეთში მტრობა. რადგან მეფე თეიმურაზ ადილშას-თან იყო და არც
178 მეფეს ერეკლეს იმედი ჰქონდათ, იბრეიმ მირზას და ამირ ასლან-ხანს ბატონი-შვილის აბდულა-ბეგისა-თვის წიგნი მოეწერათ: „თუ ქართლს ჩვენ გვიმსახურებ, ქართლს შენ მეტს არავის გაბატონებთო:“ აგრეთვე ქალაქის ციხის მინბაშისა-თვის მოეწერათ: „ვინც ჩვენი ერთ-გული ყმა არ იქნებაო, ციხეს ნუ მიასდობთო:“ ამ ამბავ-ზე ციხიდამ შეიქნა სროლა ზარბაზნებითა, ის შაბ-ლუხი იყო, ამა ამბის სიხარული გარდაიხადეს: მეორეს დღეს დაკეტეს კარი ციხელებმა და შეიქნა მტრობა ქართველთა და თათართა, ვინც მაშინ მძევლად ყაზახისა და ბორჩალოს ქეთხუ-დები ცოლ-შვილით მოაყვანინა მეფე-მ ერეკლე-მ ბორჩალუს სულთანი და ბაიდრის სულთანი, ესენიც სულ ციხეში დარჩნენ და ვითაც ქრისტიანობის მტერნი იყვნენ, ეგრეთვე იმათაც გამოიხი-ნეს. ამათ ცალკე მეტეხის ციხე გაამაგრეს, შეუკრეს ქალაქით სავრები ციხის მეიდან-თან მტკვ-

რიდამ გლდის უბნამდის სულ გააგრეს: ჩამობძანდა მეფე ერეკლე და გაარიგა საფრის კაცნი. ქარ-თველთა და კახთ დარბაისელნი სულ ყოველნი სანგრებში იყვნენ, აგრეთვე ჯარი ქვეითი და ცხენოსანი გააწყვნა: უბძანა წყალობა ყოველთა და განსვენება. ერთობით ქართველთ ასეთი ერთ-გულობის სიყვარული დაედვათ მეფის თეიმურაზისა და მეფის ერეკლესი, ასე არას ბაგრატიონისა არ ყოფილ იყვნენ, შექმნა სროლა ციხით ყუმბარა-ზარბაზნითა, რომ კვამლისა-გან ციხე აღარ ჩნდა, ხმისა და ზრიალისა-გან ქალაქი აღარა ჩნდა:

და აქათ ქალაქით იყო სროლა თოფით და იქით ციხით, რომ ყურთა ხმა აღარ ისმოდა: გამოეგზავნა აბდულა-ბეგს ბატონიშვილს თავისი უფროსი შვილი ალასი და გამოეტანებინა სამოცი კაცი საბარათაშვილოსი, ვის საბატიოს კაცის შვილი იყო, ვის აზნაურ შვილი, სახლიდამ ერთი არა-ვის დააკლო, შემოვიდნენ ციხეში, დააყენეს ნარიყალაში, იყვნენ სრულად მუდამ დღე-ღამ. სამ- 179
შვილდიდამ მუდამ უგზავნიდა პურსა და ღვინოს და ას რა აკლდისთ ციხეში შემოგზავნის მუდმისად და ამაგრებდა ციხესა თბილისისასა ბატონიშვილი აბდულა-ბეგ: რა შეიტყო მეფემ ერეკლემ, რომ ციხეში საზდო აკლდათ და საბარათაშვილოდამ მოსდიოდათ ყოველ-დამ უთავის ერთი სარდალი ხუთასის კაცის და გაგზავნის, შეუკრის გზები: ეს რომ აბდულა-ბეგ ბატონიშვილმა შეიტყო, ორასი ლეკი შეგზავნა ქალაქის ციხეში, მისბაშამა დააყენა აბანოებში, ზეიდამ რომ საზდო მოსასვლელი შექმნის ეს ლეკნი მიეგებებიან წინ და შეიტანიან ციხეში: მრავალ-ჯერ დაარჩენიან მეფის ერეკლეს ჯარ-მან და აგიდებული პური შეიტანიან ქალაქსა თბილისისასა:

გურიელს თავისი ბიძა შემოქმედელ ეპისკოპოზი გამოეგზავნა, მიერთმევინა ფეშქაში მეფის ერეკლესათვის და შემოეხვეწოდა ურუმ-ზე მოხმარებასა: შესწამეს ქალაქის მელიქს ალას ღალატი და ციხეების ლაპარაკი, დაიჭირა მეფე-მ ერეკლე-მ, პატიმარ-ჰყო ცოლ-შვილით აგ-ჭალას, წაართვა მელიქობა და ჯთასი თუმანი ჯარიმა და ანტონი პატრიარქის შუა-მავლობით ისევ განათავისუფლა პატიმრობისა-გან, მელიქობა უბოძა . . . პაპას . . . .

შექმნა უფიცხე ომი, რომ ზარბაზანი და ყუმბარა ასე მოდიოდის ქალაქ-ზე, რომ წვიმა ცეცხლი წვიმსო, მარა ბასნებითა ღვთისათა ვერა-რას ავნებდიან მეოფთა ქალაქისათა: მოუმარ-თეს შეტეხით ზარბაზანი და ესროდიან სასახლესა მეფისასა, ხან-და-ხან ციხიდამ სიხარულის შა- 180
დლუბი ჰქვიან. „იბრეიმ ხანისა და სპასალარის რაყამი მოგვივიდაო, აღიშა გაგვიგზავნებიანო:“ გზები წახდა, არეულობა შექმნა ადრიბეჟანის ქვეყნებში და აღარც აღიშას ყასიის რაყამი მოუვიდათ მეოფთა ქალაქისათა და ვერც მეფის თეიმურაზის ამბავი შეიტყვეს. მაგრამ არა მოუშლელად მეფე ერეკლე და უმხნეს და უმხნეს იქცეოდა და გოლიათობის ძალსა გამოიჩენდა: ქართველნი საბარათაშვილოს გარდა, სრულიად თან-ახლდნენ, მთების ჯარები და კახნი გაუშრელად, აგრეთვე მოქალაქეთა ვისაც თოფის აღება შეეძლოთ ყოველნი სანგრებსა არა დააკლდნენ, დიდნი და მცირენი ერთ-გულად და დაუზარებელიც სამსახურსა არა დააკლდებოდნენ:

გაგზავნა ბატონმა ამილახვარი ამირინდო და გორიდამ დიდი ზარბაზანი დაიბარა, ეს ზარ-
ბაზანი შანადირ ყაენმა მოიტანა ქართლში ერევნიდამ, იტყოდენ: „ორი ათასი ათასი ლიტრა არისო.“
მოიტანეს პირველ და მეტეხის ციხეს მოუმზადეს, აგრევე თაბორის ციხეს სროლა დაუწყეს:
რა ეს ზარბაზანი ნახეს ციხელებმა, მაშინვე შეშინდენ, დიდად აქცევდა, სადა მოხვდის და მი-
სისა ხმისაგან ქალაქი ირყეოდა, ათი ლიტრა ტყვია მოუნდის და წამალიც მისი შესაფერი:
შემდგომად მცირედთა ხანთა მოვიდა ჯანდიერის შვილი ჯანდიერ, მეფის თეიმურაზის მშვი-
დობისა ამბავი მოიტანეს, ალიშას ყაენისაგან მრავლის საქონლის მიცემა და ქართლის გაკე-
თების და გამდიდრების პირობაც მიეცათ მეფის თეიმურაზისათვის: განიხარა ფრიად მეფემ
ერეკლემ და ქართველთა ყოველთა შეექნათ ურიცხვი სიხარული: აბძანდა მეფე ერეკლე თაბორის
საომრად, სანგარი შეკრეს ქართველთა პირდაპირ და იქიდამ ჩავიდის მებრძოლი, საღამომდის
181 იყვის სროლა ერთმანერთში და საღამოს ბატონი ისევ ქალაქს ჩამობძანდის და თითო სარდალი
დადგის: რა გაჭირდა აღება ციხისა, ბძანა ბატონმა დიდის ზარბაზნის გამოტანა თაბორზე:
წამოიღეს სოღანლუღს წყალში გამოიტანეს, თელეთზე შემოატარეს და შინდისის მხრიდამ
მოიტანეს თაბორზე, მოუმართეს ციხესა თაბორისასა, განუმზადეს ჯარი იერიშისა, დაუშინეს
ეს დიდი ზარბაზანი, მეოთხე რომ ჰკრეს და უყვეს იერიში, მივიდა ქართველთა და კახთ ჯარი და
მილივ ციხეს გარს შემოეხვივნეს, გარს მიწით სავსე თოფრა შემოეხვივათ ციხისათვის, რომ
სიმაგრე მიეცათ, მცირედნი კაცნი იყვნეს შიგა. მაგრამ არ ავად იყვნეს მეოფნი ციხისანი. არც
თოფის სროლა გაუწყვეტიათ და სანამდის ციხეში შიგ არ ჩაუცვივდენ, არც ომისაგან და-
სწყნარდენ, აიღეს ციხე და იავარჰყვნეს საქონელი, შიგა მეოფნი კაცნი ზოგი ცოცხალი მოარ-
თვეს მეფეს ერეკლეს და ზოგთა თავი წარკვეთეს: არ ავად იყო იმ დღეს მღებრის შვილი შავერდა,
ყმა პაპუნა ორბელიანისა. მივიდა გულსრულიად და ზედ კოშკზე აიჭრა, მეტის სიახლოვისა-
გან იარალი რომ ვეღარ ახმარა ციხიდამ ხელდახელ ეჭიდებოდენ, რომ ჯარი სულ ხედვიდა და
უქებდენ მამაცობასა, დააწყლულეს ბაირამ და წამოიღეს, ეგრე დაწყლულებული მოართვა პაპუნამ
მეფეს ერეკლეს, უბძანა წყალობა და სცა სუგეში: ამისა შემდგომად დააყენა მუშა ფრიადი,
შემოავლო სწრაფად გალავანი თაბორის ციხეს და დააყენა ჯარი კახთა, აგრევე რომელი იყო
სანგარი ჯარისა იქაც დაადგმევინა კოშკი მაგარი და შეაყენა კაცნი მისანდონი, თითონ ჩა-
ბძანდა ქალაქს გამარჯვებული და იურვა საქმე ციხისა:

182 წავიდის ქალაქით მარბიელი, მოარბივის საბარათაშვილო, მიუხდიან სამშვილდეს და ბირთვისის
გარეშემო მოარბივიან და მოიტანიან ქალაქსა თბილისისასა. აგრევე წამოვიდნენ ჯარი ბარათიანთა
ლეკის ჯარით, რომელი იდგა ციხესა სამშვილდისასა მოუხდიან კოჯრის კერძოთ და ცხენი დაახვ-
დისთ ბალახზე გასული ანუ კაცი ჯარისა და მოიტანიან და ციხესა სამშვილდისასა მიიყვანიან:
წავიდა სამშვილდით ბელადი ერთი ლეკისა ცოტას კაცით, შემოიყარა ცხენოსანი ჯარი და-
ღისტანში, მოვიდა, მოუხდა ღამითვე, დაესხა ავჭალას და ქალაქის საქონელი და საპირის

სოფლებისაც სულ ლილოებ-ზე იდგა, დაესხნენ ყველას ერთად და მრავალი საქონელი წაიღეს,
აგრეთვე ტყვე უფრო მცირედი. მაგრამ საქონელი სიმრავლისა-გან უფრო ვერ მიუდიოდათ, ეგო-
ნათ: „ციხეს ადგანან, იმას ვერ გაუშვებენო და არა-ვინ გამოგვიდგება და ეს საქონელი ჩვენ
შეგვრჩებაო:“ მაგრამ მეფე-მ ერეკლე-მ, გოლიათობისა საფუძველ-მან, არა ინება მათი ეგრე
წარსლვა, ჯარი, ვითა იდგნენ სანგრებსა და ქუჩაბანდებსა არ მოშალა არც ერთი და თითონ მცი-
რეს კაცით წაბძანდა, წინ ჩაფარი გაგზავნა, კახთა კაის ჯარით, ზოგი საგარეჯოს, ზოგი მანა-
ვის ბოლოს შემოეყარნენ: გამოუდგა და შირაქის ბოლოს მოეწია ჯართა ლეკისათა, ახსენა
დამბადებელი ღმერთი და პირველ თითონ შეუტია და უბძანა ჯარსა: „ვის უყვარს ღმერთი და
ერთ-გული არის ჩემი, გულ სრულიად შეიბასო:“ მისლვასავე ჩამოაგდო კაცი და შეუტივეს,
ერთობით გაიქცნენ ლეკნი, გარივნენ ქართველნი და კახნი ხმალ-და-ხმალ და ხოცდენ ლეკთა, 183
ვითა კატათა, ამოწყვიტეს, რისხვა ღვთისა დასცეს: ბატონი ერთს ადგილს ჩამოხდა, ჯარი
მაშვრალი იყო და მერე ვითაც მოართვეს და გამარჯვება მოულოცეს, თურმე ეს გაქცეული ლე-
რის ჯარი, ერთს მომავალს დიდს ლეკის ჯარს წინ შემოყროდათ, თვისი ამბავი ეხნათ: „ღალა-
ტად საქონელი წაგვართვეს კახთაო, ცოტანი არიანო:“ მოეცთუნებინა ეს ლეკის ჯარი, მოუძღვნენ
ამ დამარცხებულის ლეკის ჯარის კაცნი დილას, რომ ჯერ მართლა არ ენათლა, ზოგი ტან გა-
ხდილი იყო, ზოგი ილოცვიდა და ზოგი ეგონათ, ვერა გაიგეს-რა ქართველთა, ეგრე უფიქროდ
თავს წამოადგნენ: რა შეიტყვეს მაშინვე ბატონი ცხენს შებძანდა, შეუტივა, ვინ ცხენი მოი-
სწრო ერთმანეთს არ მოუცადეს, შეუტივეს, გააქციეს, გარივნენ შიგა, დაყარეს ცხენისა-გან
ლეკნი და ვინა გარდარჩნათ ისიც ქვეითი წავიდნენ, რომ ცხენები დაყარეს და ეგრე ტყეში შე-
ცვივდნენ: ეგეთი ომი გარდაიხადა იმ დღეს მეფე-მ ერეკლე-მ, რომ პირველი ომი ლაღობად ჩაიგდებო-
და, მოართვეს თავი მრავალი და ცხენსა და იარაღს რიცხვი არ ჰქონდა, რაც საქონელი იყო ისევ პატრო-
ნებს უბოძა და ეგრე გამარჯვებული წაბძანდა ქალაქსა თბილისისასა, ჯერ ქალაქში არ შემობძანებულ-
იყო. ბატონი-შვილი სოლომონ დამარცხდა ივლის იტ: გამარჯვებისა-თვის დიდი სიხარული იყო.
მაგრამ ზედ ეს სიმწუხარეც დაერთვათ, შეიქნა დიდი წუხილი, მიიღეს სიონში: შეწუხდნენ მე- 184
ტეხში მყოფნი ციხოვანნი და მიაგებეს წინ კაცი ბატონს მარტყოფს, შეეხვეწნენ და შენდობის
ფარვანი სთხოვეს: „კაცი გვიბოძე, ციხეს მოგართმთო:“ გამოგზავნა მაშინვე სულხან ეშიკ-
აღას-ბაში და ჯიმჯერ თუშთ-მოურავი, რომელსა ებარა არაგვის ერისთვის მამული, იმის-თვისაც
ებძანა მეტეხის ციხე-ზე მისვლა, მარტყოფის და საგარეჯოს ჯარი გარს-ადგა: მოვიდა სულხან
ეშიკაღასბაში და ჯიმჯერ ქალაქიდამ, გავიდა საერისთოს ჯარით, მონასტერ-თან ნავები იყო
მრავალი და ჯარი მას ზედა დადიოდა, თურმე ხიდი ხომ აღარ ეჭირათ, მიადგნენ ღამითვე,
გაუღეს ქვეითი კარი და შევიდნენ ჯარი კახთა, მიადგნენ გალავნის ძირს, რა ინათლა და შევიდ-
ნენ მეტეხის ციხეში: რა ეს შეიტყვეს, ქართველთა აღარ იყოვნეს და მიადგნენ დაბლა ციხესა,
მოიტანეს კიბები მოქალაქეთა, მიიდგეს და შეიქნა დენა გალავან-ზე. ამათი მიმძღოლი და თავი

მუხრანი ბატონი კოსტანტინე იყო და ორბელიანი, მდივან-ბეგი იოანე და პაპუნა თავისის
მსახურ-აზნაურ-შვილითა, გარდაუცვივდნენ ციხეში და მოადგნენ, შიგნიდამ ციხის კარსა პირ-
თამდის მიწით აევსოთ, დააყენეს მუშა და კარის გაღებას ეცადნენ: მოსქდა ქალაქი და ან ვინც
ქართველნი იყვნენ ქალაქში, ზოგმა ახლა შეიტყვეს, აგრე მალე ციხის აღების იმედი არა ჰქონ-
დათ და მოვიდნენ, კარიც გააღეს და სულ ციხე ჯარით აივსო. გაიქცნენ ციხელები დი სულ
ნარიყალაში აკრბნენ, დარჩათ გამარჯვება და ციხის აღება ქართველთა, შეიქნა ზევით ციხიდა-მ
სროლა თოფთა და ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყო, კაცი ბევრი მოკლეს. მაგრამ, რა
ნახე (1) ნაშოვარი ციხეში ნახეს და იშოვეს ქართველთა, აღარა ინაღვლეს რა, შეიქნა მაღლა
185 ციხე ყალაბანდი, განჯის კარი და აბანოების კარიც ქართველთა დაიჭირეს:

ამა ამბავთა შინა მობძანდა მეფე ერეკლე, მიეგებნენ ქართველნი და კახნი, მიულოცეს
გამარჯვება, უიმედა წყალობა და უბძანა: „თუ ჩვენ გამარჯვებულნი მოვედითო, არც ავად თქვენ
დაგვხვდითო:" მერე მობძანდა სასახლეში, გაუმჟღავნეს ბატონი შვილი სოლომან და შეიქნა
წუხილი უზომო:

ამისა შემდგომად მოვიდა ჯარი ლეკისა, სულ ცხენოსანი, შეიარეს მუხრანი, წაახდინეს
საამილახვროსი, მრავალი წაიღეს და ერთი კოშკი ამილახვარისა აიღეს, ქარუმიძები იდგნენ
შიგა, აიკლეს ამილახვარის სალთხუცესი ქარუმ, მოკლეს, წაიღეს ეს ნაშოვრები და მიადგნენ
აბაშიძის ქვიშხეთის ციხესა, აიღეს ისიც და წამოიღეს უთვალავი ტყვე ანუ საქონელი ურიცხვი,
და მოვიდნენ ციხესა სამშვილდისასა: მისცა ხალათები ბელადებს ბატონი-შვილმა აბდულა-ბეგ
და დააყენა სამშვილდეს, უგზავნიდა შემოპარვით კაცსა მინბაშსა და თავის შვილს და ეგრევე ბა-
რათიანთ აძლიერებდა. მაგრამ რა ეს ციხები აიღეს, დიდად შეშინდნენ მყოფნი ციხისანი, ციხე
ცოტა იყო და სული მრავალი, ზაფხულის ჟამი იყო ივლისი და სულმა დიდათ შეაწუხათ, საზრ-
დოც მოაკლდისო, დაუწყეს ლაპარაკი და ხვეწნა მეფეს ერეკლს: „თუ დანაშაულს გვაპატიებო
და არ დაგვხოცო ციხეს დაგანებებთო:" ერთი ამან უფრო შეაწუხათ, თაბორიდამ რომ დიდი
ზარბაზანი მოუმართეს, შიგ ჩამოესროდათ და დიაღ ბევრს ახდენდა და აოხრებდა: ვითა ხელ-
მწიფობის წესია, შემცოდე კაცი რომ შენდობას მოითხოვს მიუტევებენ. ამანც ეგრე მოწყა-
ლების კარი განაღო და მიუტევა ვინც ციხეში იყვნენ ყველას ერთად ტომა თვისი, დიდი
186 მოწყალება იხმარა, თორემ ციხის იათრებს ეს როგორ შეენდობოდა, სიონს მონასტერს ზარ-
ბაზანს ესროდენ და მეფის საჯდომი სასახლე ყუმბარით აავსეს და ზარბაზნითა 'დაამტვრიეს,
ყუმბარით ერთი ქვის სროლა შემოიღეს, რომ ქალაქი სულ ქვით აავსეს, ასეთს ქვას ისროდნენ

---

(1) ნახე აქ საჭირო არ არის. დ. ჩ.

რომ იყო ლიტრა, მოვიდოდა: ეს ყველა აპატივა და თავისის საქონლით გაშვება ბძანა, რომ არც საქონელი წაართვა, ეს უფრო დიდი მოწყალება იყო, გაგზავნა ქისიყის მოურავი თამაზ და ეშიკაღაბაში სულხან, შეფიცეს: „რომ არ დაგიშავდეთ რაო:“ გამოვიდნენ სულ ერთ-პირ და მოუძღვნენ, წამოვიდნენ ბატონ-თან. აბდულა-ბეგის შვილი ალასი, ვინც ბარათიანი ახლდენ, იმათით მინბოში თავისის თაბუნის კაცით, ციხელები სულ და ყაზი მათი, სჯულის თავნი არიან, მოვიდნენ, თავი დაუკრეს მეფეს ერეკლეს, სიტყვა უბძანა მიტევებისა, დააჯერეს გული მათცა და უბძანა დაყენება და სადგომების მიცემა და უბოძა ჯილუფა, ყოველთა და დააყენა ქალაქში, გამოზიდეს ციხელებმა ბარგი ციხიდამ და მოასხეს ცოლ-შვილი, დაცალეს ციხე: აბძანდა მეფე ერეკლე ციხეში, ნახა ჯაბახანა, ყოველი დაწერა სრულიად და დააყენა ნარიყალაში მერაბ ენდრონიკას შვილი სამოცის კახის კაცით. დაბლა ციხის სახლები უბოძა თავადთა ყოველთა და მეტეხის ციხეში დააყენა ალადად ჩერქეზის შვილი კახის კაცითა:

რა ეს ამბავი შეიტყვეს, ადრიბეჟანის ქვეყნების კაცთა შეშინდნენ დიდად და მაშინვე გამოუგზავნა განჯის ხანსა და ერევნის ხანს ფეშქაში მეფის ერეკლესა-თვის, აგრევე აჯინალაბის, 187
რომელი იყო ისიც ერთი ჯარის პატრონი დაღისტნის მხარეს და პატივსა სდებდეს ყოველნი: ამა ამბავში მოუვიდა ხალათი მეფეს ერეკლეს ალიშა ყაენისა-გან, შეიქნა სიხარული დიდი და შადლუხი, სროლა ზარბაზანთა, ებოძა მეფის თეიმურაზისა-თვის ყაენს ალიშას ურიცხვი ოქრო-და ვეცხლი და ყოველივე ხელმწიფური შესაფერი საქონელი, აგრევ ორბელიანს სარდლის ქაიხოსროსა-თვის ხუთასი თუმანი და ცხენი შეკაზმული, დანა მურასა ქვირფასისა და ხალათი მძიმე, აგრევე ვინ ქართველნი, ანუ კახნი დარბაისელნი ახლდენ, საქონლით აღევსო: მეფის წიგნი და ეს ამბავიც, რომ მოვიდა უფროსად განახარეს, მეფის მშვიდობიანი ამბავი და მრავლის შოვნა დიდად იამათ. მაგრამ სარდალი ქაიხოსრო (არ) ავად გამხდარ-იყო, გამოესტუმრებინა ბატონს მრავლის საქონლით. მაგრამ აღქანთას რომ მოსულ-იყო, იქ დამარცხებულ-იყო, თარხანი ღუარსაბ, პაატა მოლარეთ-ხუცესი და ზურაბ მეითარიც მიცვლილ-იყვნენ: ბატონს დარჩომოდა ქაიხოსრო მარტყოფის მოურავი და მილახვარი რევაზ: ამა ამბავ-ზე მეფე ერეკლე შეწუხდა, ამის-თვის რომ მეფე თეიმურაზც შეწუხებულ-იყო, თორემ სხვა რიგად სიმდიდრე და ხელმწიფის წყალობა არ აკლდა, ყაენი გამოსტუმრებასაც დაჰპირებოდა მეფეს და ქართველთა და კახთა გამდიდრებას და მრავლის მოცემას:

აეშალა ცხადად ყაენ ალიშას თავისი ძმა იბრეიმ მირზა, სარდალი ადრიბეჟნისა ამირასლან-ხან, მივიდნენ ერთმანერთ-ზე, ორსავ დიდი ჯარი ჰყვანდათ. მაგრამ ვითაც მუხანათნი არიან ერანელნი, ამ უმცროსის ძმის-გან უფრო მოიწიეს, შეიბნენ, გაემარჯვა ყაენ-ზე იბრეიმ მირ- 188
ზას და ადრიბეჟანის სარდალს, ამოუწყვიტეს ალიშას ყაენსა, წაართვეს ხაზინა და თითონ დაიჭირა და თვალები დასთხარა: დიახ დიდი ხაზინა სადმე ჰქონდა, ნადირშა რომ მოჰკლეს, იმისი

დარჩომოდა, აავსო იბრეიმ მირზამ თავისი ჯარი საქონლით და უმეტესი ჯარები შეიმატა: ახლა თითონ განემზადა ყაენად. მეფე თეიმურაზ თავისის ცოტას კაცით განშორებოდა ამ ჯარს და წასულ-იყვნენ მაზანდარისა-კენ, მრავალი ჭირი გარდაეხადათ, თუ რამ საქონელი ან სიმდიდრე ჰქონდათ სულ ასე დაკარგოდათ, რომ თითოს ცხენისა და თითოს ხელის იარაღის მეტი არა შერჩომოდათ რა: მრავლის ცდითა და სასჯელით მაზანდარის ქვეყანაში მისულ-იყვნენ, იქ ამილახორი გივი დახვედროდა და მოგებებოდა, ვითაც მართებდა ეგრე განეხარა და მრავლის მისართმევით და ლხინ-ერთადობით განეცხვენა მეფისა-თვის, ცდილ-იყო სამსახურსა მონურსა და არა რა კლებულ-ექმნა, რაცა ძალი სდებოდა: ესე ამილახორი გივი იყო, რომელ ქართლსა შინა საჩინოდ ქმნილ-იყო და სახელოვნად ხსენებით, რომელსა ყოველთა ქართლისა მეპატრონეთა-გან მარად პატივ-ცემულ ქმნილ იყო და როდეს ყიზილბაშთა განუდგა და მეფეს თეიმურაზს უბძანა მრავლის ჯარის წარმოვლენითა, გამოიყვანეს სურამის ციხიდამ ფიცითა მტკიცითა და წარავლინეს წინაშე შაჰნადირ ყაენისათა: რად-გან მეფეს თეიმურაზს იცი მიეცა, ვერც ყაენმა მოკლა და რად-გან სახელოვანი კაცი იყო, არც ამდენს ენდო რომ კიდევ ქართლში გამოეგზავნა,
189 ხორასანს დააპატიმრა: შაჰ-ნადირ რომ თავისმა ძმის-წულმა ადილშა-მ მოკლა და თითონ ყაენად დაჯდა ეს მილახვარი გივი იმან გამოიყვანა, მრავალი უბოძა და რად-გან შემძლებელი კაცი იყო ყულარაღასობაც მისცა და მაზანდარას ერთის ციხის ქალაქის გაკეთებაც უბძანა: ეს ციხე გაეკეთებინა. ადილ-შაჰ ყაენიც თავის ძმას წაეხდინა და მეფე თეიმურაზც იმ დროს მიბძანდა, დიდათ ეცადა თავისის ხელმწიფის დახდომას და ვითა ერთი მცირე მონა, ეგრე მოქცეოდა. მრავალიც მოერთმევია: ამა ამბავსა შინა იბრეიმ მირზას მოეკითხა ქართლის ვალი: „მეფე თეიმურაზ ჩემს ძმას-თან იყო, რა იქნა, სადა ჩემს საბრძანებელში იყოს მოიპოვნეთო:„ მისულ იყო მაზანდარას ეს ბძანება და წაეყვანათ დიდის პატივითი და ხელმწიფურის რიგით. რა რომ ენახა იბრეიმ მირზას დიდი პატივი ეცა და მრავალი უბოძა და თვისისა დიდების საკადრად დაედგინებინა:

ამისა შემდგომად სარდალი ამირ ასლან ხან უკუდგა, გაუსივა ჯარი, ქლიფათ მის-თვისაც და მოერთმევინათ იბრეიმ მირზისა-თვის დაჭერილი. დასთხარა თვალები და აიკლო სრულიად: ამა ამბავში უბოძა მეფის ერეკლესა-თვის ხალათი მძიმე და რაყამი წყალობისა: „რად-გან მამა შენი მეფე თეიმურაზ ჩვენს სამსახურში არის, შენ ქართლსა და კახეთს კარგად მოუარეო:“ დიდათ განიხარა მეფე-მ ერეკლე-მ ხელმწიფის წყალობა და უფროსად მეფის მშვიდობიანი ამბავი და ამ მირზას-თან მოსვლა და იმის-გან შეტკბობა, რომ რად-გან ერანის ჯარს ხმალი დაჰკრა ეშინოდათ და ახლა ამით გული დაამჯერეს, რომ თუ გასწყრომოდა, არც მეფეს თეიმურაზს პატივს მისცემდა და არც აქ ხალათს გამოუგზავნიდა: ამისდა სასიხარულოდ გაგზავნა ჩაფარი მრავლისა მიცემითა მეფე-მ ერეკლე-მ და უღო არზი ერთ-გულობისა, დაიდო სამსახური თავსა
190 რომ რამ-წამს ჩავიდა ჩაფარი, მაშინვე გამოუგზავნა, კიდევ მეორედ მურასა დანა და ხალათი

მოუვიდა და წყალობისა და ერთ-გულობის რაყამი: აგრევე პატრიაქსა ანტონის მოუვიდა ხა-
ლათი და რაყამი წყალობისა, თასვე აბდულა-ბეგს ბატონი-შვილს მოუვიდა ხალათი და რაყამი
დაბარებისა: წავიდა მაშინვე სამშვილდიდამ და დაგდო თვისად ნაიბად ძმა თვისი უსეინ-ბეგ:
მაშინ იბრეიმ მირზა მოსულ-იყო თავრიზს, დაჯდა ყაენად და დაირქო შაჰ-სულთან იბრეიმ:
მოვიდა ბძანება, დაებარებინა კახის ბატონის-შვილი ასან მირზა და ქართლისა და კახეთის თა-
ვადნი და უფროსნი კაცნი: გაისტუმრა მეფე-მ ერეკლე-მ ბატონი-შვილი ასან მირზა ხელმწი-
ფურის რიგითა და თან-ახლო ქართველნი და კახნი სახლის-კაც ერთი თავადნი: ამილახორის,
რომელსა ერქვა შაჰყული-ხან და ყულარაღასი ყაენისა, გამოეგზავნა ქართლში ოქრო და ვეცხლი
მრავალი თვისისა მსახურ აზნაურ-შვილთა-თვის და ესენიც სულ და თვისი ძმის-წულიც დავით,
დაებარებინა თავრიზს: გაიკეთეს იარაღი ყოველთა ოქროსი და წავიდნეს თავრიზს: დიდათ მო-
სწონებოდა ბატონი-შვილი ასან მირზა და ერთობით ქართველთა და კახთა-თვის ორი ათასი
თუმანი თეთრი და ასი ხელი ხალათი მოეცათ, დაეყენებინათ ულუფით: აგრევე ბატონის შვილის
აბდულაბეგისა-თვის ხალათი და ინამი უბოძა, ან ვინ ბარათიანი ჩაყოლოდეს ყველასა-თვის ცალ-ცალკე
ეწყალობათ. მოუვიდა კიდევ მეფეს ერეკლეს შაჰ-სულთან იბრეიმისა-გან ხალათი. სალთხუცესი გრი-
გოლ გაგზავნა ჩაფრად თავრიზს, ჩავიდა, დიდი პატივი მიეცა ხელმწიფეს და ალათი, დანა ოქ-
როსი, თეთრი ინამად ებოძა და მოვიდა ქალაქს, მოუტანა მეფეს ერეკლეს რაყამი დიდის 191
წყალობისა და მეფის თეიმურაზის წიგნები და მშვიდობიანი ამბავი, ხოჯა გამოეგზავნა და
ტყვეები ეთხოვნა: ამა-ზე დიდათ წუხდა ბატონი, გარქვა ეზარებოდა, მაგრამ დიდათ ეფიქრე-
ბოდათ, მტერი ბევრი ჰყვანდათ და აბეზღებდენ, მერე მეფე თეიმურაზც იქ ეგულებოდათ და ეს
აწმუნვებდა, თორემ მეფე იყო მორწმუნე და პატრიაქი იყვნა ზესით ტრფიალი, ქართლიდამ
ტყვის გასვლა როგორ იქნებოდა: გაგზავნეს ჩაფრად რამაზ ყორჩიბაშის შვილი და სოლომონ
მორდალი: რა ჩავიდნენ, ნახეს ყაენი, ამათ უბოძა ხალათი და ოქროს დანები და ინამად თეთრი,
მოვიდნენ ისევ მალე და მოართვეს რაყამი და ტყვეების დაბარება მალობით:

რევაზ მილახორი მოვიდა, რომელი ახლდა მეფეს თეიმურაზს და მოიტანა ბატონისა კაი
ამბები და მობძანების იმედი და კიდევ ხალათი მოუვიდა მეფეს ერეკლეს: გამოეგზავნა თაღი-ხან
სარდალი ყაენს, მოვიდა ბარდას, გამოეგზავნა ჩაფარი და დაებარებინა ქართლისა და კახეთის
უფროსნი კაცნი: გაგზავნა მეფე-მ ერეკლე-მ სომხითის მელიქი ბაადურ და ესენი კი აღარ გა-
გზავნა, გაგზავნეს ზაზა ედლოფლის ეშიკაღასბაში შაჰ-სულთან იბრეიმ-თან ჩაფრად, მოვიდა ბაადურ
მელიქიც და მიეცა ხალათი და ინამი: გაისტუმრეს ხოჯა და ტყვეები, მრავალი აწუხეს ხოჯას,
დიალ მახლობელი და კაი ყმა იყო ყაენისა, რომელსა ერქვა ალათალიბ, მოვიდა ჩაფარი და და-
ბარებინა ხელმწიფეს აბდულა-ბეგის შვილი ალასი, რომელი იყო ქალაქში პატიმრად, გაისტუ-
მრეს, მივიდა სამშვილდეს სახლსა მამისა თვისასა და იქიდამ წავიდა, ჩავიდა თავრიზს, ნახა
ხელმწიფემ და დააყენა მახლობლად თვისსა:

192 მოუვიდა კიდევ ხალათი მეფეს ერეკლეს და ხმალი მურასა, დიდ მალ-მალ მოსდიოდის წყალობა. ამით რომელ, თუ ქართლი და კახეთი არ მისდგომოდა, ვერც ადრიბეჟანის ქვეყნებს დაიმორჩილებდა, ყველას მეფეს ერეკლეს-თან ჰქონდათ პირი, ხანები ასე უთვლიდენ: „ვისიც შენა ხარ, ჩვენც იმისი ვიქნებითო:“ მერე ხმალიც აჩვენა და შეშინდენ და ხელმწიფეც ეფერებოდა: ეს ხოჯა და ტყვები, რომ ჩასულ-იყვნენ, დიდათ ამებოდა ხელმწიფეს და ხოჯასაც დიდი მადრიელობა და ქება ეთქვა მეფის ერეკლესი: მეფეს თეიმურაზს ბატონი შვილი აბდულაბეგ შეერიგებინა. სულიმ-ხან, რომელი იყო ეთიმადოვლე ყაენისა, შუა ჩამოვარდნოდათ და მიეცათ ბატონის შვილის აბდულაბეგისა-თვის, რაც საბატონიშვილო იყო სომხით საბარათაშვილოსი და ბოლნისები, წინწყარო და სხვა რაც ძალით ეჭირა ხელი აელებინათ:

მოუვიდა ხალათი კიდევ მეფეს ერეკლეს და ამ ხალათისა მერვესა დღესა კიდევ მოუვიდა ცხენი, თვისი საჯდომი მურასა უნაგირით და ოქროს რახტით შეკაზმული, ხალათი და ათასი თუმანი სულ ფლურად, რომელი იყო ერთი ფლური ექვსის მინალთუნისა: აგრეთვე პატრიაქს ანტონი ბატონი-შვილს ხალათი მძიმე და რაყამი წყალობისა, კვალად დარბაისელთა ქართლისა და კახეთისათა. მუხრან ბატონს კონსტანტინეს, სარდალს რევაზს, ეშიკაღასბაშს დიმიტრის, შანშე ერისთავს, ამილახორს, ალავერდელს, ქისიყის მოურავს თამაზს, თუშეთ მოურავს ჯიმშერს, ელისეთ მოურავს დათუნას, ეშიკაღასბაშს სულხანს. ამათ ყოველთა ხალათი მოუვიდათ: ქართლის დედოფალსა ანახანუმს და კახეთის დედოფალს ანნას, ოროლი ხელი ხალათი და ასი თუმნის ჯამაგირის რაყამი მოუვიდათ.. აგრეთვე ბატონის შვილის ანნასა-თვის ორი ხელი ხალათი ებოძა და რაყამი დიდის წყალობისა:

193 უბოძა მეფე-მ ერეკლე-მ სარდლობა სომხით საბარათაშვილოსი რევაზს ორბელიანს, ვითაც ძველათ-გან მკვიდრად ამათი სახლის სახელო ყოფილ-იყო და მერმე ამ რევაზის მამა სარდალი ქაიხოსრო მეფეს თეიმურაზს ერანის ქვეყანაში გაყოლოდა, მრავალ-ჟამ ემსახურა და იქავ დამარცხებულ-იყო: ამასაც არა უგულებელს-ჰყო შრომა მისი და თვისივე ხარისხი და პატივი შვილთავე თვისსა მიუნიჭა:

ამა ამბავსა წინათ გამოეგზავნა ხელმწიფეს ერთი ხანი სამოცის კაცით და ეთხოვნა ათასი ნოქარი ქართლიდამ და კახეთიდამ: მეფე-მ ერეკლემ არზი უყო: „ჩვენ-გან ეს არ გარიგდებაო:“ ესმინა ეს მოხსენება და ამ ათასის ნოქარ-ზე ხელი აეღოთ და მარტყოფის მოურავი ქაიხოსრო, რომელი ახლდა მეფეს თეიმურაზს ის გამოეგზავნათ და ამილახორი ამირინდო, ასან მირზა ბატონი-შვილს რომ გაყვა, ამათის პირით ეთხოვნა ხელმწიფეს სამოცი თავადის შვილი და აზნაურშვილი ქართლიდა-მ და ორმოცი კახეთიდა-მ. „ჩამოვიდნენ და ბატონის-შვილს ასან მირზას-თან იყვნენო.“ სამასი ნოქარი, კიდევ ყაზახ ბორჩალოსა-თვის ეთხოვნა: ეს ყველა ასან მირზასა-თვის მიებარებინა, ამათი სარდლობა მიეცა, გაარიგეს ეს ბძანება და ისევ გაუძღვა მოურავი, ქაიხოსრო და წავიდნენ:

გამოეგზავნა შაჰ-სულთანს იბრეიმს თავის სახელ-ზე ზარაფხანა ქალაქში და დაჰკრეს სიქა. ბძანებისა-ებრ მისისა მოსჭრეს საშ-აბაზიანი და შაური, ფლური ოც-და-ათის შაურისა:

გამოეგზავნა ამილახორს გივს, რომელი იყო ყულარაღასი ყაენისა შაჰ-სულთანს, ფეშქაში მეფისა-თვის და ქართველთ დიდროსნის კაცებისა-თვის, აგრეთვე პატრიარქის ანტონის ბატონის-შვილისა-თვის ორასი თუმანი უდაბნოებისა-თვის, ცალ-ცალკე ფერანგების საყდრებისა-თვის, და იმერეთს ანუ ახალ-ციხესა, ამ ქვეყნებში ვისაც იცნობდა დიდროსნის კაცებისა-თვის ყოველთა-თვის მრავალი ოქრო და ანუ ლარი ტურფა-მოუძღვანა ყოველთა ცალ-ცალკე:

ჩამოვიდნენ ბარათიანნი სრულიად მეფეს ერეკლეს-თან და მოითხოვეს შენდობა დანაშაუ- 194
ლისა, აპატიეა ცოომა თვისი ყოველთა და არა უსაყვედურა რა: აგრეთვე ყაზახელთ რამდენი ორგულობა იდვეს თავსა და შესცოდეს. მაგრამ როსცა მოვიდნენ მიუტევა დანაშაული, ვითა ქრისტიანობის წესია: „ვინც შეინანის მიეტევის ცოომა მათი:"

მეფე-მან კეთილ-მორწმუნემან და პატრიარქმა სათნოებისა საფუძველ-მან ინებეს და სურვილითა მოიძიეს სჯულნი ქრისტესნი და სიმართლით და ღვთის-მსახურებით წეს-ჩვეულებანი ქართლისანი. კარგა ხანს გამოჰყვლო, რომ ქართლს ქრისტიანნი მეფე აღარ სჯდომოდა, აგარიანნი პყრობდენ მრავალ-ჟამ. ამის მიზეზით მრავალ-რიგად მართლ-მადიდებლობის რიგი შეცვლილ-იყო, რომელი ნათესაობისა აღრევითა, რომელიმე მრუშებისა მიზეზით წმიდასა სახარებაზე წინა-აღმდგომ ექმნებოდეს, რომელიმე სამღვდელოთა დასთა თვისი ქცევა და ეკკლესიის რიგი შეეშალათ, სხვაცა რაიმე ამ-გვარი საქმით მრავალ-რიგად კლებულ-ქმნილ-იყვნეს მყოფნი ქართლისანი: შემოკრიფეს ქართლისა და კახეთის ეპისკოპოზნი ანუ სამღვდელოსი დასნი სრულიად, დაბძანდა მეფე ერეკლე სახლსა ანტონი კეთილ-მორწმუნისა პატრიარქისასა და ესე სამღვდელოთა დასნი ყოველნი მიკრბნეს იქა, დაისვენეს ცხოველს-მყოფელი ჯვარი პატიოსანი, დაიდვეს წმიდა სახარება და სჯულის კანონი და იქნა მსოფლიო კრება ქალაქსა ტფილისისასა, თვესა . . . , განარჩიეს და აღმოიხვრეს ყოველივე უწესოდ ქცევანი და დაუდვეს მოციქულთ და მღვდელთ მოძღვართ კანონით სჯული მტკიცე და შეურყეველი ქრისტიანობისა, რომელსა მოგითხრობსთ წმიდა კანონი მათი: ესეცა შესძინეს, გამოიძიეს დიდის ცდით და გამოიღეს სტამბა, რომელ 195
პირველ მეფეს ვახტანგს მოელო ვლახეთით და მის მეფობას აქეთ ქართლში აღარსად იყო: ანტონი ბატონი-შვილმა, პატრიარქმა კეთილ-მან და სარწმუნოებისა და ქრისტეს სჯულისა განმაძლიერებელმა იგულს-მოდგინა ფრიად. შემწე ექმნა მეფე ერეკლე და გამოიღეს სტამბა და აღავსეს წიგნითა ქართლი: ყოვლით კერძო იჯდა ქართლსა შინა მას ჟამსა ეპისკოპოზად. მთავარ-ეპისკოპოზი თბილელი, დმანელი, ბოლნელი, წირქნელი, სამთავნელი, მროველი, ურბნელი, ნიქოზელი. აგრეთვე კახეთში ალავერდელი, ბოდბელი, სამებელი, ნეკრესელი, ჭერემელი, რუსთველი, ნინო-წმიდელი: მოუვიდა ამბავი ორბელიანს რევაზს სარდალს ხელმწიფის რაყამი სარდლობისა, აგრეთვე მეფის თეიმურაზის წყალობის წიგნი: „როგორც მამა შენს ჰსჭეროდეს, ჩვენც მამის

სახელო და პატივი შენთვის გვიბოძებიყო, რადგან მამა შენი სარდალი ქაიხოსრო ჩვენ-ზედ ერთ-გულობა-ზე და სამსახურ-ზე მრავალს გაისარჯაო და აქაც ჩვენ სამსახურში მოკვდაო, ჩვენ-გან მუდამ წყალობისა და პატივის მოიმედე იყავო:“ რა მოუვიდა წყალობისა რაყმები რევაზს სარდალს განიხარა დიდად, ვითა სიმწუხარესა მისსა შეეფერებოდა, ეგრე სიხარულით მიითვალა და მადლობდა ღმერთსა:

გაგზავნა დედოფალმა ანახანუმ სუფრაჯი ზურაბ ყაენ-თან და მიართვა ფეშქაში საკადრისი ხელმწიფისა და მეფის მობძანებას რომ გვახარებდეს ამის შესატყობლადცა: წავიდა ზურაბ, მიართვა ფეშქაში, უბოძა ხელმწიფე-მ ხალათი და ინამი და მაშინვე გამოისტუმრა და მეფის მობძანების ამბავიც ზურაბ მოგვიტანა და მოვიდა, შეიქნა სიხარული ქალაქსა შინა:

აყარეს ბარათიანნი სრულიად ცოლ-შვილით ბირთვისის ციხიდამ და ჩამოიყვანეს, დააყენეს
196 ქალაქში: ხანი, რომელი იყო ქალაქში ყაენის გამოგზავნილი, იმისი დაჭერა უბძანა მეფის ერე-
კლეს-თვის ყაენს, დაიჭირეს მაშინვე და მოუყვანეს მცველნი: თავრიზს ქალაქსა შინა უღალა-ტეს ზებურის შვილებმა პაპამ, რომელი ახლდენ კახი ბატონის-შვილს ასან მირზას, მათს ვეზირს აბითურაბეგს, დაკაფეს ხმალ-და-ხმალ და გამოვიდნენ თვისის ხმლის ძალით, მოვიდნენ კახეთს: მოახსენდა ყაენს და უკვირდათ სულ ერანელთ ასე თამამად გაბედვისა-თვის და უქებდენ ყოველნი მამაცობასა: ხელმწიფე აქ იტყოდა. „ეს გაბედესო, ქართველს კაცს თავის ალაგში ვინ დაუდგინობსო:“ ეწყინა მეფეს და აგრეთვე ასან მირზამ დიდი სიმწუხარე გარდაიხადა. მაგრამ რაღა გაეწყობოდა:

დაითხოვა მეფე თეიმურაზ ყაენმა, გამოისტუმრა ქართლში, გამოდგა თავრიზით თვესა მარტსა კთ, მოვიდა მახარობლად რევაზ მილახვარი და ბატონის მობძანების ამბავი მოიტანეს: შეიქნა სიხარული ფრიადი, მისცეს მახარობელთა უზომო მეფე-მ ერეკლე-მ, დედოფალთა და ქართველთა: სადაც მობძანდა ბატონი ადრიბეჟანის ქვეყნებში დიდად გამომჩენებით დახვდეს, მრავალი მოსართმევი მოართვეს, ყაზახ ბორჩალუში რომ მობძანდა, ვითაც თვისი ყოლბეგი იყო, ახლა კიდეც უფრო ამ შაჰ-სულთან იბრეიმს ასეთი რაყამი მოეცა მეფის თეიმურაზისა-თვის რომ: „როგორც საქართველო ეგრე ყაზახ-ბორჩალო იმსახურეო:“

მიეგებნენ ყაზახისა და ბორჩალოს სულთნები, თავისის ჯარებით დახვდენ ჯმურად და მიარ-
197 თვეს მისართმევი, წამობძანდა რა ყაზახის ქვეყნით, აქედამ წაბძანდა მეფე ერეკლე ქართლისა და
კახეთის ჯარით, აგრეთვე პატრიარქი, ბატონი-შვილი ანტონი სამღვდელო დასით: მობძანდა ბატონი ხაიდარში, ესენიც მოვიდნენ. რა მოახსენდა ბატონს მეფის ერეკლეს მობძანება ჩამოხდა, დაბძანდა და იახლენ ვერთ დარბაისელნი, რომელ ახლდენ-თან: მიბძანდა მეფე ერეკლე, მოეგება მამა და ვითა წესია მამა-შვილთა საყვარელთა და მერე ეგრე შორით გზით .... ეგრე შეიყარნეს, გარ-დაეჭდენ ერთმანერთსა, რომ ყოველნი კაცნი .... უყურებდეს. მერე მიესალმა წმიდა პატრიარქი და შემდგომად დასნი სამღვდელონი, შემდგომად მოვიდნენ ქართველთა დარბაისელნი, მიესალმნეს მუხლს-კოცნით და ეგრეთვე კახთა დარბაისელნი და შორით თაყვანი-სცეს ჯართა ყოველთა:

მობძანდნენ სავსენი სიხარულითა, ჩამოხდნენ იმ ღამეს მარნეულს, მეჯლისი გარდაიხადეს და იყო ლხინი უზომო, მეორეს დღეს მობძანდნენ, ჩამოხდნენ კოდაზე, მეჯლისი რიგი ყოველივე მზა ექმნათ ბძანებითა ერეკლე მეფისათა და ის დღე იქ ილხინ-თვრიადნეს და საღამოს დროს მობძანდნენ ქალაქსა თბილისისასა, მიეგებნენ მოქალაქენი, დასნი სამღვდელონი, შემოსილნი შეასხმიდენ ქებასა და მადლობდენ ღმერთსა ბატონის მობძანებისა-თვის: გაუშალეს მოქალაქეთა ფეინდაზი, მორთვეს ბაზარნი და ალლამპარნეს ჩირახდნით: შებძანდა ბატონი სახლთა პატიოსანთა, მოეგებნეს დედოფალნი მშვენიერნი და ასული თვისი ანნა, სათლით მოცული, იყო 198
სიხარული უზომო, რომ იმ დღისა სიხარულსა ჩემი უძლური სული ვერ შეიძლებდა. შექნა სროლა თოფთა და ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყო და კომლისა-გან ქალაქი აღარ ჩნდა, გამოუკეტანებინა ყაენს მინბაში სამასის კაცით და ებძანა: „რადგან ჩემი ერთგული ხარო, რაგვარადაც აქამდის ქალაქისა თბილისის ციხეში ჩემი კაცი მდგარაო, ახლაც ისევ დააყენეო:“ დააყენეს მინბაში თავისის დასტით მაღლა სარიყალაში და ვინც მკვიდრე ციხის კაცნი იყვნენ ესენი სულ ბატონისა-თვის მოეცა ხელმწიფეს. „რადგან შენ-თვის ამდენი შეუცოდებიათო, მომიცემია, სადაც გენებოს იქ დაასახლეო.“ აყარა მეფე-მ სულ ერთობით ეს ციხელები და კახეთს გაღმა მხარში გაიყვანა და გრემს დაასახლა:

დაბარებინა ხელმწიფეს ხანი, რომ იყო დაჭერილი ქალაქში ყასუმ ხან, აუშვეს და გაისტუმრეს მშვიდობით:

ბატონი შემობძანდა ქალაქში თვესა აპრილსა კ, ქორონიკონს ჳლზ, მარად ცდილობდენ მეფენი ქვეყნის შემატებასა და აშენებასა, ვითაც ლეკისა-გან ქართლისა და კახეთისა ქვეყანა დიდათ შეწუხებულ-იყო, მოინებეს სადა მოსავალი გზა იყო ციხეების აშენება: წაბძანდენ ორივ მეფენი საგურამოს, მოიყვანეს ქართლის მუშა და აღაშენეს ციხე ბოკოწინს, დააყენეს კაცნი ფრიადნი, წაბძანდა მეფე ერეკლე კახეთს, აღაშენა ციხე ჭოეთისა და გაამაგრა ფრიად. მაშინ განასრულა ციხე ბოჭორმისა, ჩამობძანდა მეფე თეიმურაზ ქალაქსვე და მობძანდა ერეკლე მეფეცა, ლხინობდენ და უკუ-იყრიდენ და სადაც მტერი გამოჩნდის ქვეყანათა თვისთა რისხვასა მიფენდენ: გამოიყვანეს ციხიდამ მინბაში ზეიდალიხან, დააყენეს ქალაქში, ციხეში ისევ დააყენეს, მერმე 199
ენდრონიკა შვილი, მოუყენეს ჯარი კახეთისა და მოქალაქეთა-გან. ვინცა-ვის ბარათა-შვილი იყო ცოლ-შვილით ქალაქს იდგნენ და ზირთვისის ციხეში აბდულა-ბეგ ბატონის-შვილის კაცნი იდგნენ: გაუსივა ბატონმა რევაზ მილახორა ბოლნისს, დაიჭირეს ბოლნისის მოურავი გლახა ციცი-შვილი და სხვა ვინც ბატონი-შვილს აბდულა-ბეგის კარის-კაცი და მოხელე ჰყვანდა სულ ბოლნისებში იყვნენ, ყველა დაიჭირეს და ჩამოიყვანეს ქალაქს, ჰსთხოვეს ციხე ზირთვისისა და დაჰპირდენ აშვებასა ამა კაცთასა: აბდულა-ბეგ ბატონი-შვილი ხომ ქვეით იყო და უსეინ-ბეგ ბატონი-შვილი სამშვილდის ციხეში იყო და ცოლ-შვილიც იქ უდგათ.... დააცლევინეს ზირთვისის

ციხე, გაგზავნა ბატონმა უზბაში დავით დისამიძე, თავისი წინამძღომნი შეიოთვენი და დააყენა
ციხესა პირთვისისასა და ესე ვინა დაჭირილნი იყვნენ უყო წყალობა და აუშვეს ყველანი:

შეიქნა ყრილობა ერანის ქვეყანაში, ულალატეს ყაენს შაჰ-აბრეიმს, გაიქცა მცირეს კაცით,
აიღეს ხაზინა და არამი ყაენისა, შეიქნა დიდი არეულობა, შეიყარა ვინც ქართველნი იყვნენ ან
კაცნი, შემოეხვივნენ ბატონი-შვილს ასან მირზას, დააპირეს წამოსვლა ქართლში, მაგრამ გაუ-
ჭირდათ დიდათ, ამით რომ ღარიბად იყვნენ, შიმშილმან შეაწუხა და თუ არა დაეხარჯათ-რა,
ვერც მარტო თავის ძალით წამოსვლას შეიძლებდნენ: ამილახორმა გივმა, რომელი იყო ყაენისა
ყულარაღასი შაჰ-ყულიხან მისცა ქართველთა, ვის როგორ ეფერებოდა ან საზრდელი და რაც
გლეხულობა ჰქონდათ, ყველა გაურიგა ქართველთა, გამოუძღვა და წამოვიდნენ ქართლისა-კენ:
დახვდნენ წინ ყიზილბაშნი მრავალ-ჯერ. მაგრამ ასე ლომ-გულად და კაის სარდლობით მოიქცა
200 შაჰ-ყულიხან, რომ სადაც მტერი აუჩნდისთ რისხვა ღვთისა დასცეან და ეგრე ხლმის ძალით
მოვიდნენ ქვეყნისა ქართლისათა: მოვიდა წინა-კაცი და მოხსენდა ბატონს, ბატონი-შვილს ასან
მირზას მოსვლა, დიდათ იამა ძმის-წულს ნახვა და მერმე ამდენის ქართველის კაცის გამოხსნა:
მიაგება ქაიხოსრო ბოქაულთ-ხუცესი ორბელიანი, შემოვიდნენ ქალაქსა თბილისისასა. მაგრამ
რომ ვინახათ გივი ამილახორი, რომელსა ერქვა შაჰ-ყულიხან, მნახავთა-თვის სასიამოვნო იყო,
დიდისა დიდებითა და გამოჩენით, ვითაც შეეფერებოდა სიმდიდრესა და სიმაღლესა მისსა, ეგრე
განეწყო მოსანი თვისნი და აღემკო მოხდომით და აღეჭურა ყოველნი იარაღითა ოქროსათა,
ესე იყო სიკეთე მისი, რომელსა საძნელსა საქმესა ჩავარდის, ასე რიგად მოიყვანის საქმე, რომ
დიდება და პატივი არ მოაკლდის და უმაღლესა ხარისხსა აღვიდის საბრძნითა და მხნე და ქცე-
ვათა თვისითა: ესე რომე აუშვა პატიმრობისა-გან ყაენმა ხორასნით და რა მიაწია ხელმწიფის
კარზე, ასეთი სამსახურები აჩვენა ხელმწიფეს, რომ სიმაღლეს აღიყვანეს და უშურველად
უთვალავი საქონელი უბოძა და ერთი დიდი პატივი ეს მიენიჭა, რომ ყულარაღასობა მისცეს
და სჯული ვერ დაავდებინეს და ეპრევე ქრისტეანობით მოვიდა ქართლში. დიდი პატივი მისცა
მეფე-მან თეიმურაზ და მეფე-მან ერეკლემ და დადგა ქალაქში და აღარ წავიდა სამკვიდროსა
თვისსა და სუფევდა მდიდრობით ქალაქსა თბილისისასა:

შეიქნა დაღისტანში ყრილობა, შეიყარა დიდი ჯარები ლეკისა, რომ ამის-თანა ჯარი ჯერ
ერთად არ შეყრილ-იყო, წამოვიდნენ, პირველ დააპირეს ჩამოსვლა კახეთში: შემოიყარა ჯარი
ქართლისა და ყაზახ-ბორჩალუსი მეფე-მან თეიმურაზ და მაშინვე გაბძანდა კახეთში, შემოეყარა
201 მეფე ერეკლე კახეთის ჯარით, მიბძანდენ და დადგნენ საკურ-ციხესა: შეიტყვეს ლეკთა ამ ჯარე-
ბის ამბავი, წამოვიდა ერთი ბელადი მცირეს კაცით ცნობად ამბისა, გავიდა მტკვარს, დაჰკრეს
შამშადილოსა, შეიტყვეს ბატონებმა, გამოუდგნენ, შეუკრეს გზა შირაქის ბოლოს, იგრძნეს
ლეკთა, გაიქცნენ და გავიდნენ ჭარში: შემოიარეს მეფეებმა ჭარის პირ-და-პირ, დაელაპარაკნენ
ჭარელებს და მოსთხოვეს მექარა: შემოეჭვიცეს ჭარელებმა: ,,არც ჩვენს ქვეყანაში დაღისტნის

კაცი შემოუშვათო და რაც თქვენი ბძანება მოგვივიდეს იავს ვიდგათო:" წამოიბძანდნენ ბატონები ამ ჯარებით და ჩამოხდნენ ისევ ბაკურ-ციხესა: მოუვიდათ ამბავი, რომ ეს ლეკის ჯარები შეყრილ-იყვნენ კახეთში ჩამოსასვლელად, შეშინდნენ, ველარ გაბედეს ჩამოსვლა და ისევ მოიშალნენ:

გამოეგზავნა ერევნის ხანს კაცნი სარდონნი და შემოხვეწოდა მოხმარებასა: ერთი ერევნის მემკვიდრე კაცი გამოჩენილ-იყო, რომელსა შაჰნადირ ყაენი ღალატით მოეკლა, მაჰმად-ხან. ამას ეშოვნა ჯარი და ერევნის ხანის ძმა დაეჭირა, ცოლ-შვილი აეკლო და ერევნის ციხეს გარეთა ქვეყანა სულ დაემონებინა და მუდმისად ციხესაც სთხოვდა: დიდათ ეწყინათ ბატონებს, ერთის იმ გვარის კაცისა-გან თავისის ძალით ქვეყნების დაჭერა, ბძანეს წაბძანება და მოხმარება ერევნისა: შეეტყო ეს იმ მაჰმად-ხანს, რომ ერევნის ხანი ქართველს ბატონს შეეხვეწაო, გამოეგზავნა იმასაც კაცნი ბატონ-თან და მუქარა გამოეთხოვა: ეს იწყინეს და წაბძანდნენ ქართველი ბატონი და კახი ბატონი დიდის ჯარით ერევანს, ყაზახში რომ მიბძანდნენ მოუვიდათ განჯის ხანის კაცი, დაედვა თავს სამსახური და ისიც შემოხვეწოდა მოხმარებასა, იქაც გამოჩენილ-იყო, ერთი ჯავანშირელი კაცი, სახელით ფანა, შეეყარა ჯარი და გლეჯდა განჯა ყარაბაღის ქვეყნებსა; მოვიდნენ სიღნახის მელიქის შვილებიც ასი-ოდენ კაცით და ისინიც შემოეხვეწნენ ფანაზე მოხმარებასა. მაგრამ რად-გან ერევან-ზე გამზადებულნი იყვნენ, აღარ მოიშალეს, ამათაც მოხმარებას დაპირდნენ და წაბძანდნენ ერევანს. რომ შეიტყვეს ჯარის მისვლა, შეიქნა დიდი სიხა- 202
რული ერევნის ციხეში, მოაგებეს კაცნი წინა და მოახსენეს ამბავი მაჰმად-ხანისა, ერევნის ციხის ერთს მანძილზე რომ მიბძანდნენ, შეეტყო მაჰმა-ხანსაც, დაეწყო რაზმი, მოსულ-იყო და ნახევარ აღაჯზე, ციხეს სიახლოვეს დამდგარ-იყო, მიბძანდნენ მეფენიც, მოეგება ერევნის ხანიც, დაუპირდაპირდნენ, განაწყვეს ჯარი ქართველთ და კახთ, ოთხს დროშად, მეწინავედ ორბელიანი, რევაზ სარდალი საბარათაშვილოს ჯარით და თათრის ქართლის ელით, ქისიყის მოურავი თამაზ ქისიყის ჯარით და ვინა დროშის კაცნი ჰქვანდნენ, მემარჯვენედ ამილახორი ამირინდო ზემო-ქართლის ჯარით და ვინა მემარჯვენე ჯარი იყო კახის ბატონისა და ყაზახის ჯარსაც ამათ-თან უბძანეს მისვლა, მემარცხენედ მუხრანის-ბატონი, სახლთ-ხუცესი კონსტანტინე ორივ საერისთოს ჯარით და ბორჩალოს ჯარით, ჩერქეზის ბატონიც ჯარით თან-ახლდათ, იმასაც მემარცხენე დროშაზე უბძანეს მისვლა, ორისავ ბატონის დროშები თვისისა ჯარებით ბატონებს ეხვივნეს და ესე რაზმ დაწყობილი გავიდნენ საომარსა ალაგსა: მეფე თეიმურაზ რაზმ წყობით მიბძანდებოდა და მეფე ერეკლე ხან ერთს დროშაზე მიბძანდის და ხან მეორეს დროშაზე, ჯარებს არიგებდის, აძლიერებდის და უბძანის იმედი წყალობისა: შეიქნა ომი ფიცხელი, სარდალმა რევაზ და მოურავმა თამაზ მიიყვანეს მეწინავე ჯარი გულ-სრულად. ასე შეცვივდნენ ყიზილბაშის ჯარში, რომ ვითაც ქორი გუნდსა ტრედისასა, გაიქცა მაჰმად-ხან, შეუტივეს მემარჯვენე-მ და მემარცხენე-მ ჯარმაც, გაერივნენ ქართველნი და კახნი, კაფეს ხმალ-დასხმალ აგრევე იჭირეს ცოცხალი თათარი ურიცხვი, უბძანებლად მოიშალა ბატონის დროშის ჯარიცა და ამათაც შეუტივეს გაქცე-

203 ულს ჯარსა, იწყისა მეფე-მ თეიმურაზ დიდათ და გაუწყრა თვისის დროშის კაცთა. მიუვნენ
ქართველნი ოთხს ალაჯაზე, ასე გაექცევს მაჰმად-ხან, რომ თვის ციხეში ველარ შევიდა ცოლ-
შვილში: ჩამოხდენ ბატონები ერთს გორაზედ, გათავდა ომი მზის ჩასვლამდის, რომ მიართვეს
თავი და ცოცხალი კაცი ათას-შვიდასი, შეიქნა შადლუხი და სროლა ზარბაზნთა, ერევნის ცი-
ხეში მიბძანდენ ბატონები, ჩამოხდენ ციხეს გარეთ, ერთი ამის-თანა ხმალი და გამარჯვება ქარ-
თველთა-გან ერანის ქვეყანაში არ მომხდარ იყო:

წაბძანდა მეფე ერეკლე იმავ ღამესვე ჯარით, მიუხდა მაჰმად-ხანის ციხეს, სადაცა უდგა
ცოლ-შვილი, აიღო ციხე, აიყვანა ცოლ-შვილი, იავარ-ჰყო საქონელი, გამოიყვანა ძმა ერევნის
ხანისა, რომელი პატიმარ ჰქონდა მაჰმად-ხანს, წაბძანდა მეფე თეიმურაზ და აიღო მეორე ციხე,
რომე რაც მაჰმად-ხანის სანდო კაცი იყო იმაში იდგნენ, ტყვის დატყვევება და კაცის სიკვდილი
კი აპატია და საქონელი იავარ-ჰყვეს: მიბძანდა მეფე ერეკლე მამას-თან, მრავლის საქონლით,
შეყარეს ორისავ ციხის საქონელი ერთად და გაუყვეს ჯარსა, სარდლებს, თავადთა, აზნაურთა,
გლეხთა, ჯარს ყოველთა; ვის როგორ შეეფერებოდა, ეგრე უბოძეს თეთრი, ლარი ანუ ხოვსტანგი:
აიყარნენ, მობძანდენ ისევ ერევნის ციხესა, მიართვეს ხუთი-ათასი თუმანი ერევნელთა, ისიც
გაუყვეს ისემად ჯარსა და წამობძანდენ ისევ ქვეყანასა ქართლისასა. ყაზახში რომ გარდმოვიდნენ
ერევნის ხანიც თან-გარდმოუჰყვა. ფანა, რომელი იდგა შამახიის ქვეყანაში მაჰმად-ხან შეჰხვეწოდა
და იმათი საქმეც ერთი იყო, შეყარა ჯარი დიდი, მოსულ-იყო განჯას და წინ დახდომასა ლა-
მობდა: ბატონები რომ ყაზახს მობძანდენ, ფანა მოვიდა ალაქოლას, შეიქნა მზადება ომისა,
გზაზე დამარცხდა კახის ბატონის-შვილი ასან-მირზა, ამის-თვის ორივ მეფენი მწუხარე
204 იყვნეს. თორემ ომი სიხარულად მიაჩნდათ, ქართლის ჯარი კიდევ დაბარებული-იყო და კახეთისა:
მოვიდა ქართლის ჯარით ეშიკაღასბაში დიმიტრი ორბელიანი, სიძე მეფის თეიმურაზისა, რო-
მელი იყდა ქალაქშა ზარიშისად, შემოეყარა ბატონს. ესეთი ჯარი მოიყვანა, რომ მტერს თვალი
დაუბნელდა, მოყვარეთა-თვის დიდი საამო იყო, კაის რიგით და წყობილობითა, რომ ორთავ
მეფეთა დიდათ იამათ და აღუთქვეს წყალობა, აგრეთვე მოვიდა ჯარი კახეთისა: რა ესმა ამბავი
ესე ფანახ-ხანს, აღარა მიისდომა შემობმა და დაუწყო ლაპარაკი, ენება შემორიგება, გამოგზავნა
ფანახის კაცი და. შიეხმა მუხრანის ბატონი კონსტანტინე, ვითაც კაი ყმა იყო და ერთ-გული
ბატონისა და მისის პირით შემორიგება უნდოდა: გამოართვეს მძევლად შირვანის და განჯა ყა-
რაბაღის ქვეყნების დიდებულნი კაცნი და გაგზავნეს მუხრანის ბატონი, თან-აახლეს მდივანი გო-
ჯასპი: მივიდა-რა მათს ჯარში დიდათ იამა ფანახს და დახვდა მხიარულად: ერთი თავი კაცი იყო
კაის ჯარის პატრონი, აჯი-ჩალაბი გვარად ლეკი, ისიც ფანახს მოჰყვებოდა. მაგრამ ის ბატო-
ნებს უდგა და შერიგებასაც ცდილობდა, მოსცეს მუხრანის ბატონს მოსაცემი საკადრი, გამოი-
სტუმრეს, შემოუგზავნეს: „მამად-ხანის ცოლ-შვილის საქონელი მოგვეცით და ყაზახის ქვეყანაც
დამაცებეთო და შემოგრიგდებით:“ ეს დიდათ ეწყინათ მეფეს თეიმურაზს და მეფეს ერეკლეს,

იმის-გან ისე ამაყად ლაპარაკი და ასეთი იმედიც ჰქონდათ, რომ ორი იმდენი ჯარიც ჰყოლოდა, მაშინაც ქართველნი ასე დაიამამებულნი იყვნენ ყიზილბაშ-ზე, რომ ერთის შეტევით ვერ გაუ-ძლებდეს: იმ სიტყვის პასუხი ეს შეუთვალეს ფანას: „ეს რაც შემოგვეთვალა, ხომ არც ერთი იქნებათ და შენ ეს კი უნდა ქნათ, რაც ჯარი გვახლავსო კაც-ზე ხუთი თუმანი ინამი უნდა მისცეო და რაც ელი გისახლობს ჯავანშირი მუდამ ქართველის ბატონის ყმა ყოფილაო, ეგ ელიც დაგვანებოო. თორემ ჩვენი შერიგება არ იქნებაო:“ ეს ამბავიც იმის-გან ძნელად საქნელი 205
იყო, შუაკაცებმა ასე გაარიგეს რომ, აღარც ბატონებს ელი ათხოვინეს და თეთრი არც ფა-ნას, რაც შემოეკვეთა ის გაუგონეს და ბატონის სამსახური ფანახანს თავს დაადვეს და შერიგ-დნენ, გაიყარნენ მშვიდობით, ესეც უბძანეს: „რადგან მაჰმად-ხან ერევნელი არისო, იმის ცოლ-შვილს ერევნის ხანს მივსცემო და ამან ვისაც ენებოს მისცესო:“ ფანა-ხან აიყარა, განჯას წავიდა, ქარ-თველი ბატონი და კახი ბატონი მობძანდა ქალაქს თბილისსა, ერევნის ხანიც თან-მოჰყვათ:

დედოფალი კახეთისა ანნა დამარცხდა ქალაქს, დეკემბერს კა, ქორონიკონს ულზ: მიიღეს მცხეთას, იქნა გლოვა მწუხარება ფრიადი, იქნა წმიდა კრება და აღმოიფხვრეს ქართლისა ქვეყნი-სა-გან საქმე ყოველი უჯერო, წმიდამან პატრიარქმან ანტონიმ განმართა განდრეკილება და წი-ნააღმდეგი სჯულისა, ტირილი და უჯერო კერპური გლოვა ყოველივე დააყენეს:

მოვიდა განჯის ხანის ბიძა ყოჯა-ხან და ჯაფარ-ხან ერევნელი, რომელსა დასტყვევებოდა ცოლ-შვილი მაჰმადხან-თან, ამათი ცოლ-შვილი ითხოვეს, შეეხვეწნენ ბატონებს, უბოძეს ყო-ველივე ერევნის ხანს და იმათი ნებაც მისცეს იმას ისინი, ამ პირობით გაისტუმრეს და ერევნის ხანს აჩუქეს მრავალი, გაატანეს ზაზა თარხნის შვილი მემანდრად და გაისტუმრეს საზღვა-როსა თვისა:

გამოეგზავნა ნახჩევნის ხანს, ბამას-ხანს ჩაფარი და შემოხვეწოდა ორსავ ბატონს ქარ-თლისას და კახეთისას, ეთხოვნა ჯარი და მეშველი: უბძანეს ზაალს ორბელიანს, რომელი იყო თოფანქჩი-აღასი, წავიდა მცირეს ჯარითა და მივიდა ნახჩევანს, იამა დიდათ ბამას-ხანს და მოსცა 206
ურიცხვი ზაალს და კაცთა მისთა და დააყენა ქალაქსა ნახჩევნისასა დიდებულებისა რიგითა: გაი-თქვა ხმა ყოველ-გან ადრიბეჟანის ქვეყანაში: „ქართლის ჯარი ჩამოადგაო და პირველისა-ებრ ადრი-ბეჟანის ქვეყანა ქართველმა ბატონმა დაიპყრაო:“ შეშინდა ყოველი ქვეყანა და მოიწონებდნენ მე-ფესა ქართლისასა თეიმურაზს და ძესა მისსა მეფესა კახეთისასა ერეკლეს:

აიშალნენ ფანა-ხან და განჯის ხანი შაჰვერდი-ხან, მოინდომა ფანამ განჯის-ხანობა თვის-თვის და ადრიბეჟანის სარდლობასაც ცდილობდა: ეს შაჰვერდი-ხან არ იყაბულა და ფანამ ჯარი შემოიყარა, თითონაც კაი ელი ჰყვანდა, ჯავანშირი და ყარაბაღში შიგ ჩადგა, ჯარი ასე შემოი-ყარა, რომ განჯის ქალაქის მეტი აღარ დარჩა, გამოგზავნა განჯის ხანმა თავისი ძმა რიზაყული-ბეგ ქართლში და შემოეხვეწა მეფეს თეიმურაზს და ძესა მისსა მეფეს ერეკლეს: „დამიხსენით ამ კაცისაგანაო, მე და ჩემი ქვეყანა თქვენი მონა შევიქნებითო, ჯარსაც ჯამაგირს მივსცემო და

სიღნახის ორი მელიქიც, რომ აქ იყვნენ და ეხვეწებოდნენ. „ქრისტიანე ხელმწიფევ ზმანდებითო, თქვენ დაგვიმონეთო, თათრის ხელისაგან დაგვიხსენითო:“ ამა ამბავსა შინა ერთი სომხის კმისკომიშიც მოვიდა, ფანა-ხან სიღნახში ჩამდგარ-იყო, დიდათ შეეწუხებინა: ესეც რომ შემოეხვეწა ბატონიშვილს თავს შეიდვეს და ჯარის თადარიგი დაიჭირეს: ამა ჟამთა შინა მოვიდა განჯის ხანის ჩაუარი, ფანა-ხან განჯის ციხეს გარს-შემომდგომოდა, აოხრებინა ქალაქი განჯისა და შეეწუხებინა მეოფნი ციხისანი: უბძანეს მეფეთა ქართლისა და კახეთის ჯარებსა და ლაშქარნი მაშველებასა განჯისასა. ამით რომე, ჯერ პირი მოეცა ფანა-ხანს, „ჩემს ელს დაგვიჭერდეთ და არას ქვეყანას არა უმტეროთ რათ:“ ეს პირი გაუტეხა, მერე თუ განჯას ძალით დაიჭერდა ყაზახ-ბორ-

207 ჩალუსაც მოინდომებდა: ყაენი ალარსად იყვდა მას ჟამში და ამით ბევრს შფოთებს აშლიდა. მერე ქართველნი ყიზილბაშთა სამფლობელოზედ დიდად აღელვებულ-იყვნენ, მოიწვივნეს ჯარები ქალაქსა თბილისისასა ქართველნი სრულად, იმერნი, ჩერქეზნი, ოსნი და კავკასიისანი, აგრევე კახს-ბატონს შემოეყარა კახნი სრულად, თუშნი, ფშავნი, ხევსურნი და ლეკნი, რომელნი მონებდნენ კახს ბატონს: რა ეს ჯარები შემოკრბნენ ქალაქსა თბილისისასა, გავიდა თითფხანა და გაბძანდა მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე ქალაქით თვესა ფებერვალსა ლ, ქორონიკონს ულთ, გატეხილ-ხიდზე რომ ჩაბძანდნენ, ბორჩალუს ჯარი შემოეყარათ, ყაზახის ჯარი ყაზახში და მიბძანდნენ სამშადილოში, ერევნის ჯარებიც დაბარებულ-იყო და მოელოდნენ, მოვიდნენ სამშადილოელნი და მოართვეს ფეშქაში ორსავ ბატონებს:

რა ესმა ფანა-ხანს: „ქართველ-ბატონი შენ-ზედ მოვიდაო:“ ვითაც ვერ შეიძლებდა პირდაპირ ქართველთასა, აიყარა მაშინვე ღამით განჯიდამ და წავიდა, ჩავიდა თავის ელებში, დაუწყო აყრა და მაგრება: მოეგება განჯის ხანი მისარის ბოლოს, მიბძანდნენ ბატონები; ჩამოხდნენ განჯას ქალაქისა მახლობელ, მოვიდა ჯარით ერევნის ხანი, შემოეყარა და მოართვა განჯის ხანმა მეფეს თეიმურაზს და მეფეს ერეკლეს ცხენები, შეკაზმულნი მძიმედ და მოსართმევი ხელმწიფური. აგრევე დიდებულთა კაცთა ყოველნი აღავსნეს ხოვსანჯითა ([1]) და ლარითა ტურფითა:

გაგზავნეს კაცი შირვანს და აცნობეს აჯი-ჩალაბს, რომელი იყო შაქელი და ჰფლობდა შაქსაცა და შირვანსაც. მაშინ-ვე გამოსცა პასუხი და მოახსენებინა ბატონებისა-თვისაცა: „მიბძა-

208 ნეთო, ჩემის ჯარით იქ გიახლებით, ყოველივე სამსახური თავს მიდვიაო:“ ასე გაეხადა ფანა-ხანის ჯარს განჯა, რომ ციხის მეტი შენობა აღარ-სად გაეშვა, მენითებიც კი დაექცია, ვითაც ემართლებოდა დაქცევას, თორემ სხვას რას შენობას გაუშვებდა, გამოვიდა განჯის ხალხი ციხიდამ და ისევ დაუწყეს შენობა ქალაქსა განჯისასა. ბატონები აიყარნენ მეექვსეს დღეს და წაბძანდნენ ფანას ხან-ზე. მასცა თავისი ელები ჯავანშირი აეყარა, არაზის პირისაკენ გაესტუმრებინა და თითო ექვსის ათასის კაცით გზა-ზე დაუყენებოდა, ყარაბაღის ჯარი ჯავანშირის

([1]) ხოჯსანჯითა უნდა, ლ. ნ.

შამშადილისა, სიღნახისა, ბარგუშათისა და შჭისეგანისა, ამ ქვეყნების ჯარი სულ თან-ახლდა, მოსულიყო და ხეივანს დამალულიყო, ლამოდა ზაკვით შემობმასა: რა ჩავედით ხეივანს, იქ შემოეყარა აჯიჩალაბის-შვილი ცხენოსნის ჯარით და მოვიდა თეიმურაზ მელიქი სიღნახისა და ოქევარტერი განძასარისა, მოართვეს ფეშქაშები ბატონებს და დაიდვეს სამსახური და მოიტანეს ჯარისა-თვის სურსათი, რომელ-არს ულუფა:

გავედით იქით, რა ერთსა ალაგსა გავიარეთ გამოჩნდა ჯარი ფანახანისა. თურმე იდუმალ იდგნეს და ჩვენმა ყარაულმა არ შეიტყო, თითონც გამოჩნდნენ. მაგრამ საომარსა ალაგსა ვერ გამოვიდნენ, ტყეთა პირ იდგნენ და ტყე და სიმაგრე ზურგად ჰქონდათ: იმ დღეს აღარ მოხდა შებმა. წაბძანდნენ ბატონები, ჩამოხდნენ სიღნახის ქვეყანაში, იქ მოართვეს იმ ქვეყნების სურსათი და ქეთხუდები მოვიდნენ სამსახურში: აშათან მუხრან ბატონის-შვილი ორის კაცით უკან საშოვნად დარჩომილ-იყვნეს, ამათ ფანას კაცნი შეეყრნეს და დაეხოცათ, თავები ფანა-ხანისა-თვის მიერთმევიათ: ამ აშათანს ფანას მრავალ-ჯერ ენახა და იცნობდა, დიდი კაცის შვილი იყო, მისწერა ჯარში წიგნი: „დაუმარცხე ქართველთაო, გავაქციეო, მუხრანის ბატონი მოვჰკალიო, გაქცეულნი მთის ძირისა-კენ ავიდნესო და მე უკან მივსდევო, თქვენ გამოდით, გზები შეუკა- 209
რითო, საქონელი სულ თქვენ დაგრჩებათო და თქვენც წყალობას სხვასაც გიზამო.“ ასრევე შამშადილოელებს მიუწერა და იმათი ჯარიც თან-ახლდა: დაიჯერეს, გამოვიდნენ ჭარელნი, ზოგნი ყაფან დაგვიდგნენ და ზოგნი ისევ მტკვარს გაღმა იყვნეს. ასრევე სამშადილოელთ შეგვიკრეს გზები, ჩვენ რა ვიცოდით, წავედით სიღნახიდამ და მივმართეთ, სადა გვეგულებოდა ფანა-ხანის სადგური: რა გავიარეთ მცირე რამ ალაგი, მივედით ერთსა კლდოვანსა ალაგსა, მოვიდა ჩვენი ყარაული, მოახსენა მეფეს ერეკლეს: „აქათ ჯარი დგას ფანასიო:“ თურმე თითონ ფანა-ხან მოსულიყო და რჩეულის კაცით და წინ გვიდგა, ლამოდა შემობმასა, მისდვრად კი ვერ გაბედა ომი და სადალატოსა ალაგსა ცდილობდა შემობმასა: არ მოისმინა მეფე-მან ერეკლე-მ, მამას მეფე თეიმურაზს კაცი აახლო: „თქვენით ჯარით მისდვრად წამობძანდით და მე მცირეს კაცით მათ ვნახაო:“

წაბძანდა მეწინავეს ჯარით, ვისაც შეეძლო ის იახლო. აღმართი იყო და კლდე. ისინი, ტყიანი მთა იყო, იმა-ზე წამომდგარ-იყვნენ, სასამდის ავიდოდით, რაც ჯარი მიგვყვებოდა ნახევარი ველარ ამოგვყვა: რა აბძანდა მეფე ერეკლე, მცირე რამ კაცი ჰყვა, ასე დავახლოვდით, რომ ჩვენი და იმათი კაცი ერთმანეთს იცნეს: ბძანა მეფე-მ ერეკლე-მ: „ვინ არის ერთ-გული ჩემი და აქვს გული მამაცობისაო, ჟამი ეს არის:“ თითონც, ვითა ლომი ეკრე მიესივა და ჯარი ვინა იქ იყვნეს ვინცა დადგებოდა, მეფეს ერეკლეს-თან თავს ვიდა დაზოგავდა. მერე ყიზილბაშის ჯარ-ზე ქართველნი და კახნი ასე გამამაცებულ-იყვნეს, რომ ერთი ჩვენი კაცი ას ყიზილბაშს არ დაერიდებოდა: მიუძღვა რევაზ ორბელიანი, სარდალი საბარათაშვილოს ჯარისა და ქისიყის მოურავი თამაზ ქისიყელი, თითო თოფი დასცალეს და მერე ხმალ-და-ხმალ გაერივნეს, პირველ-ზე ისინიც კარ-

210 გად იყვნეს, რომ ალმები ჩვენს ჯარში შემოიტანეს. მაგრამ რა ქართველნი და კახნი თავ-გამო-
მეტებით, იმათ ჯარში შიგ შეცვივდენ, ველარ დადგნენ ყიზილბაშნი და გაიქცნენ:

რა შეიტყო ფანა-ხანმა, მეფე ერეკლე ამ მეწინავეს ჯარში ურევიაო. მაშინვე გაიქცა: ეს
მეწინავე ჯარი ცოტანი იყვნეს. მაგრამ დიდათ მამაცად გაისარჯნეს, რომ დიდის ჯარის მგზავსი
საქმე ქნეს: ორბელიანი სრულად მეწინავეში დაესწრნეს და არ ავად იყვნეს, რომ ქება რაღა მო-
გახსენო: მეფე თეიმურაზ დიდის ჯარებით ქვეიდამ მისდრევით მობძანდა, კაცი აახლო მეფე-მ:
„თქვენის დოვლათით ამათი საქმე ჩვენს ხელთ დარჩაო და ჯარი მოგვაშველეთო, რომ მარ-
თლად ჩვენი ხმალი ვაჩვენოთო:“ ბძანა მეფე თეიმურაზ ჯარის შეტევა, შეიქნა ზამბურაკის
სროლა და ნაღარახანის ცემა, შემოუტივეს ამ დიდმა ჯარმა. მაგრამ აღმართი იყო და გვიან ამო-
ვიდნენ. სანამდის ეს ჯარი მოვიდოდა მეწინავე ჯარი ომობდა, მრავალი კაცი ჩამოაგდეს, ცოც-
ხალიც ბევრი დაინარჩუნეს, მოვიდა ჯარი, გაერივნენ შიგა გაქცეულს ჯარში, გაიყარეს წინა და
მიჰყვნენ კაფვით, რომ რისხვა ღვთისა დასცეს. ოთხი საათი კიდევ დარჩენილ-იყო და შუაღამემ-
დის ჩვენი ჯარის კაცი ისევ უკან მისდევდა და ხოცდა ყიზილბაშთა: ამდენი კაცი მოკლეს და
ცოცხალი დაინარჩუნეს, რომ ერთი ამის-თანა გამარჯვება არას დროს ერანში ქართველის ბა-
ტონისა-გან არ მოხმდარ-იყო,

ჩამოხდნენ ბატონები მას ღამესა ნაომარსა ალაგსა, მიართვეს თავი ანუ ცოცხალი ყიზილ-
ბაში, რომ სიმრავლისაგან აღმწერელი დაშვრებოდეს. ქართველთა ზოგთა ოთხი თავი მოქონ-
დისთ, ზოგთა ოთხი და ხუთი ცოცხალი ეპყრისთ, უკეთუ ყოველსი თვითოელად აღმეწერა, სიგრ-
ძისაგან ამბისად საწყინო შეიქნებოდა: ქართველნი და კახნი ერთობით ყოველნი კარგად იყვნეს
და უმეტესად მეწინავე ჯარი, ორბელიანნი, საბარათაშვილო და ქისიყის ჯარი: ამ გამარჯვებაში
211 არა ჯარი ყიზილბაშისა არა რეულა, ერევნისა, განჯისა და ანუ აჯი-ჩალაბისა, შაქელნი და შირ-
ვანელნი, ყოველნივე შორით იმზერიდეს და ვისა საქართველოს ჯარი იყო, დემურჩასალი, ყაზახ-
ნი და ბორჩალუ ესენი დიდად მამაცად გაისარჯნეს და კაცი ბევრი დაინარჩუნეს: წავიდა ფანა,
რაც კაცი დარჩენოდა იმითი და ყარადაღის მთას მიმართეს, თავის ელსაც გასწივა:

მეორეს დღეს წაბძანდნენ ბატონები, გამარჯვებულნი და სიხარულით სავსენი, მიბძანდენ,
სადა იყო სანგარი ფანა-ხანისა, სიღნაღის ბოლოს თულში იქ დარჩომოდა ფანა-ხანს თოფხანა
და ჯაბახანა: მიართვეს მეფეთა მორწმუნეთა და ლომ-გულობისა საფუძველთა და მოულოცეს
ყოველთა, აღავსნეს ნუგეშით და წყალობის სიტყვით ქართველნი და კახნი: მოვიდა თულის მელიქი,
რომელი იყო დიდის ჯარით ფანახან-თან და ითხოვა მიტევება დანაშაულისა და დაიდვეს სა-
მსახური თავს, ვითა ჩვენი მეფენი ღვთის-სიყვარულითა და მოწყალებითა სავსენი იყვნეს: აპა-
ტივეს ცთომა თვისი: უბძანეს სიღნაღელთ ექვსის დღის ჯარის ულუფის მიცემა და განუმზადნეს
ზარგუშათსა და ფანახანის გაქცეულს ელ-სე: გამოგზავნეს მახარობლები განჯასა, შირვან-შაქსა,
ჭარსა, კახეთსა, ქართლში, ყაზახ-ბორჩალუში, ერევანსა და ნახჩევანსა და აცნობეს გამარჯვება:

შეიქნა სიხარული, ყოველ-გან და მოიშალა ჯარი ჭარელთა, რომელი შეყრილ-იყვნენ წინ დასა-
ხლომად ქართველთა და შერცხვათ შამშადილოელთ, რომელთა წაუხდინეს გზანი და აპირობდენ
ღალატსა ქართველთა და კახთასა:

განარჩივეს კაცი მეომარი და რჩეულის ჯარით წაბძანდენ მეფენი არაზის პირისა-კენ აღ-
მოფხვრად წინა-აღმდეგთა თვისთასა, დააგდეს თუღას ჯორ-აქლემნი, ბარგნი, სამძიმონი და
თოფხანა. მოუყვნეს ჯარი და უთავეს მისკრობაში: აღარა გავიარეთ ორი დღე, მესამეს დღეს
გაუშვეს მარბიელი, წავიდა ჯარი, მოიცვა ადგილი ბარგუშათისა და არაზის გაღმა-გამოღმა, 212
დარჩათ უთვალავი საქონელი, დახვდა ფანახან მცირეს კაცით ხოზაფუნის ხიდ-ზე, ექნდა ომი.
მაგრამ რა სცნა მისვლა ქართველთა, დაუტევა ელი თვისი და გაიქცა და მოარჩა მცირეს კაცით:
ჩამოხდეს ბატონები არაზის პირ-ზე და წავიდა ჯარი, მოარბივეს მუღანსროლს ზევით, ნაშოვრის
სიმრავლესა ამის მეტს ველარ მოგახსენებ. ეს დიდი საშინელი ჯარი ახლდათ ქართველს ბა-
ტონს და კახ-ბატონს და იმ ნაშოვრის მოვლა ვერ შეიძლეს: წაბძანდა მეორეს დღეს მეფე ერეკლე,
მპყრობელი კახეთისა ბარგუშათის ქვეყანა-ზე. მიეგება ხანი ბარგუშათისა, შემოეხვეწა დიდათ:
,,ნუ წამახდენო:“ აპატივა სახლი და ქალაქი თვისი და ბძანა მოოხრება ქვეყნისა, ამდენი წა-
მოვიდეთ, რომ პირველის ნაშოვრისა-გან უმეტესი, ეს ორივე ერთად რომ შეიყარა, დიდი
სიმრავლე შეიქნა საქონლისა, რომ შენახვა ვისა არა ძალ-ედვა ორ-შაურად ცხვარსა ჰკიდდენ და
ხუთ-აბაზათ ძროხას. ორ-მილანთუნად ტყვეს: უბოძეს ჯარსა თეთრი, სამი ათასი ტყვე გამო-
იხსნეს და განუტევეს პატრონთა ჩვენთა და არა ინებეს დაპატიმრება ტყვისა: გაგზავნეს გუ-
გუნა ბოქაულთ-უხუცესი ყარადაღს ქაზუმ ხან-თან, რომელი იყო დიდებული კაცი და პატივ-
ცემული შაჰნადირ ყაენისა-გან, აცნობეს ამბავი ესე ყოველი: წამოვიდა თითონ ნახვად მეფეთა
ჩვენთა: რა მოუვიდათ ამბავი მოსვლა ქაზუმხანისა, მიეგება ორას აღაჯ-ზე მეფე ერეკლე, მოი-
ყვანეს დიდის პატივით, ჩამოხდა მეფეს თეიმურაზ-თან, მოეგება და დაისვა მახლობელ, მოართვა
ფეშქაში ორთავ მეფეთა და დიდებულთა თვისცა თითო ცხენი უბოძა, დაიყოვნეს დღენი რამო-
დენიმე ბარგუშათისა ქვეყანათა. აჭყარეს გარემონი კაცნი, ვისა მიეყვანეს ფასნი მძლავ-
რებით:

დავარდა ხმა: ,,მოვიდა ქართლის ვალი და მეფე კახეთისა, ააოხრა ქვეყანა და დაიმონა ქა-
ლაქნი და ქვეყანანი ადრიბეჟანისაო:“ შეშინდეს ყოველნი და მოართვეს ფეშქაში თავრიზის ხანმა 213
და ანუ რომელ მისსა საბეგლარბეგოსა ხანი სადმე იჯდა, ახლეს კაცი, მოულოცეს გამარჯვება
და მოართვეს მოსართმევი ხელმწიფური: წამობძანდნენ ბარგუშათით, მობძანდენ ისევ თუღას,
მოართვა ორთავ მეფეთა განჯის ბეგლარბეგმა შავერდიხან თავისის ქვეყნით და ყულბეგით ათი
ათასი თუმანი, გააწერეს ქვეყანასა თვისსა, გაგზავნეს შავერდი ხანის ძმა რიზაყულიბეგ და თან
გაატანეს ბატონის-შვილი ისაყ-ბეგ ამ თეთრის ასაღებად. აგრეთვე გაგზავნეს იასაულად ქარ-
თველთა, კახთა თავადთა და აზნაურთაგანი და გაატანეს ყოვლისა ქვეყნების კაცნი ასაურელად-

ღლეხთა, რაც საქართველოსი, კახეთისა, ყაზახ-ბორჩალუსი ანუ ერევნისა, რაც ღლეხი ყარაბაღის
და სიღნაღის ქვეყნებში ხასულ-იყო სულ აავრევინეს მეფეთა ჩვენთა:

ბატონიშ-შვილი ელისაბედ დაიბადა თვესა მარტსა კგ, ქორონიკონს ულტ, მახარობელი
მოუვიდა ბატონს ქვეყნით: და განჯას რომ მოვედით ერევნის ღლეხი ერევნის ხანს უბოძა, ყაზახისა
ყაზახის სულთანს, ბორჩალუსი ბორჩალუს და ქართლისა ქართლში გაისტუმრეს და კახეთისა
კახეთში: ასეთი ბძანება გადიოდის ადრიბეჟანის ქვეყნებში მეფის თეიმურაზისა, რომ რასაც
ალაგს ამისი კაცი და ბძანება მივიდის, ვითა ყაენისას ეგრე დამორჩილდებოდა, მოხნებდა ყოველი
ქვეყანა ადრიბეჟანისა ქართველს ბატონს: აჯიჩალაბისა და შირვანის ჯარი იქავ ბარგუმათიდა-მ
დაითხოვა და სხვის ჯარებით განჯას მობძანდა, ჩამოხდა ორას ალაჯზე. მოართვეს ეს ათი-ათასი
თუმანი და ამის-გან ათას ხუთასი დააკლდათ, რომ ვერ აელოთ, ამ ათას ხუთასის თუმნის
გირაოდ მოართვეს შამშადილოს ქვეყანა: წამობძანდნენ განჯიდამ, მობძანდნენ შამშადილოს. გან-
ჯის ხანმა მოიყვანა შამშადილოს ქეთხუდები, მიართვა ბატონს და თითონ დაითხოვა ბატონმა,
წავიდა განჯას, ერევნის ხანი დაითხოვეს, წავიდა ერევანს, ბატონები წამობძანდნენ ქართლისა
214 და კახეთის ჯარით ქართლისაკენ: ყაზახში რომ მობძანდნენ, იქ მოეგებნენ ბამან-ხან, ორი
ავღნის ხანი, ოდეს პყრობდა ავღანი თავრიზს, მოართვეს ფეშქაში და თან გამოჰყვნენ ქართლში:
ნაშოვარი ქართლისა ქართლში წავიდა, კახეთისა კახეთში. მაგრამ სიმრავლისა რაღა მოგახსენო.
ასე იტყოდნენ: „ორასი ათასი ცხვარი იყოო, რაც სულ ჯარმა იშოვა და ამისა შედეგათ ძროხა
და ანუ გიდებული საქონელი: და აქებდნენ მეფეს თეიმურაზს და ძესა მისსა მეფეს ერეკლეს:
შეშინდა ყოველი ქვეყანა და მოხნებდნენ ქართველ-ბატონს ხმლის ძალით გარეშემონი ქვეყანანი,
მობძანდნენ საყალთუთანში, წმიდა აღდგომა იქ გარდაიხადეს და შემობძანდნენ ქალაქს თბილისს,
აპრილს იგ. წმიდა პატრიაქი ანტონი სამღვდელო დასით იქავ საყალთუთანში მიეგება და რა
მოეახლა, მოეგებნენ მოქალაქენი და დასნი სამღვდელონი, შეასხმიდნენ ქებასა, შეიქნა სროლა
ზარბაზანთა ქალაქსა შინა, რომ ყურთა ხმა აღარ იყო: მორთვნეს მოქალაქეთა ბაზარნი და იყო
ჩირახდანი და ლხინი ქალაქსა შინა, დღესა სამსა: დაითხოვა ბატონმა ჩერქეზის ბატონი, უბოძა
მრავალი, აგრეთვე ჯარსა მათსა და ოსისა პირ-იქით ჯარსა, აღავსო ყოველნი საბოძვრით და
გაისტუმრა ქვეყანასა თვისსა:

ისაკ ბატონის შვილი, რომელი ესევდა სჯულსა მაჰმადისასა, აღიარა წმიდა სჯული ქრი-
სტიანობისა და განიხარა მეფე-მან მორწმუნე-მან, ცხებულ-მან თეიმურაზ, განიყვანეს ქალაქისა
გარეთ, ჩასვეს ისაკ მტკვარსა შინა, განანათლეს შვილი-თურთ წმიდისა ნათლის-ღებითა და აღ-
ბეჭდეს წმიდისა ბეჭდისა მირონისათა. აღმქმელ ექმნე თითონ მეფე ცხებული და უწოდეს სა-
ხელი ქრისტიანობისა ალექსანდრე და ძესა მისთა უწოდეს იოანე და სოლომან და ეგრეთვე
ნათელ-ჰსცეს ოსთა, გაურიგეს მამული საბატონიშვილოსი ალექსანდრე ბატონი-შვილს და მარად
215 ცდილობდნენ მეფენი მორწმუნენი მატებასა ქრისტიანობისასა: ინებეს და განაშვენეს მეტეხის

ყოვლად-წმიდისა მონასტერია, წმიდას ეკკლესიად, დაადგინეს დასნი სამღვდელონი, რომელი ქმნილ-იყო . . . . . . . ხოლო განაბრწყინვა წმიდა-მან პატრიარქ-მან ანტონიმ სახლად ღვთისად და განანათლა ყოველი კერძო:

ბრძანა მეფე-მან და აღიღეს გალავანი ქალაქისა, რომელი იყო ციხესა და ქალაქსა შუა და გააერთნეს ციხე და ქალაქი თბილისისა:

დაითხოვეს ხანები ნახჭევნისა და ავღნისა, უბოძეს საბოძვარი, წავიდნენ ქვეყანათა თვისთა და მონებდნენ ბძანებასა მეფეთა ჩვენთასა:

აღიარა წმიდა სჯული ქრისტიანობისა ციცი-შვილმა მერძალი-ბეგ და ნათელ-ჰსცეს წმიდისა ემბაზით ქალაქსა თბილისსა, უწოდეს სახელი ქრისტიანობისა დიმიტრი:

მოვიდა წელსა ამას მკალი ურიცხვი, რომელ მთა ანუ ბარი ასე ხელთ ეჭირა, რომ კაბდოები შეაბეს მრავალი და ისე ხვეტეს და ვერა რასა ავნეს აუვიდნენ, ქართლისა და კახეთის ქვეყანა ასე გაათავა, რომ მიწის ნაყოფიერება აღარ-სად დარჩა: იყო დიდი ტირილი და ვედრება, და მადლითა ღვთისათა (1) მოაკლდა ძალი მათი და შემცირდენ სიკვდილით: უბძანა მეფე-მან ცხებულ-მან თეიმურაზ დიმიტრი ეშიკაღასბაშს ორბელიანსა და წარავლინა აღშენებად ციხეთა და სიმაგრეთა ქვეყანასა სომხითისა და საბარათაშვილოსათა: ისმინა ბძანება და აღაშენა მაღლად ციხე შულავრისა, ციხე მარნეულისა და ციხე რატევნისა, დააყენა მეთოფენი მცველად ციხისა და დაასახლნა გლეხნი, რაოდენი დაიტევნენ ციხენი ესენი:

შეიქნა ყრილობა დაღისტანში და მოინდომეს გარდამოსლვა კახეთში და ეგრეთვე დაპყრობა ქართლისაც მოინდომეს: ისმინეს ამბავი მეფეთა ჩვენთა, შეიყარა ქართველ ბატონმა ჯარი ქართლისა, ყაზახ ბორჩალუსი და წაბძანდა კახეთს, კახეთის ჯარიც იქ შემოეყარა და დადგნენ მაღაროს: რა მიესმა ლეკთა ამბავი ესე ქართლისა და კახეთის შეყრილობა, ვეღარ გაბედეს გარდამოსლვა და უკუდგნენ. ისევ ინადირეს, ვითაც კახეთის ქვეყანა კაი სანადიროა, შირაქის მინდორში მრავალი ირემი ამოწყვიტეს, ლხინი და ნადირობა კარგი გარდაიხადეს და ქართველ ბატონი ისევ ქართლში წამობძანდა და მეფე კახეთისა ერეკლე განაგებდა საქმეთა კახეთისათა, ეგების მცირეს ხანს სტუმრობა-ებრ, თორემ მეფე ერეკლე კახეთში არ მიბძანდის, სულ მამას-თან ქართლში ბძანდებოდის და ორისავ ქვეყნის საქმეთა იურვიდა და დიდათაც მორჩილებდა მამასა თვისსა მეფესა თეიმურაზს: 216

მოვიდა ქალაქში კაკის სულთანი, რომელსა ეწოდებოდა მამად-ხან, თან მოჰყვა ჭარელთ ქეთხუდები, შემოხვეწოდენ ჭარელნი შემორიგებას და ეს კაკის სულთანი მისცეს მეფეთა ჩვენთა, შერიგებასაც დამორჩილდენ. მაგრამ მზვერვლები ჰსთხოვეს ჭარელთა და უბოძეს მისაცემელი ფრიადი და გაისტუმრეს: რა მივიდნენ ჭარში მოისმინეს მეფეთა ჩვენთა ბძანება, თურმე და-

(1) უნდა: მადლითა ღვთისათა, დ. ჩ.

ღისტანშიაც ელაპარაკებოდნენ და აქაც შიშისა-თვის სიტყვით ცდილობდნენ შემორიგებასა, თორემ მზვერებს როდის მოსცემდნენ: მისცეს პირი დაღისტანს და შეიქნა ჯარის მზადება და დააპირეს წამოსვლა ქართლსა და კახეთ-ზე: მცირეთა ხანთა მოვიდა კაცი, მოახსენა მეფეს ერეკლეს დაღისტნის შეყრა და აქეთ ამომავალობა: მოახსენა მამასა თვისა მეფესა თეიმურაზს, შეაწყრეს ჯარი ქართლში და შეიქნა მზადება კახეთს წასასვლელად, გაბძანდა ბატონი, დადგა ლილო-ზე,
217 შემოეყარა ჯარი, ჯარი ქართლისა და ყაზახ-ბორჩალუსი, იქიდამ წაბძანდა, ხაშმზე დადგა და იქ უყურებდა ამბავთა ლეკისათა. რა გამოხდა ხანი და ლეკის ჯარი აღარ გარდმოვიდა, ეგონათ აღარ გარდმოსვლა, მაგრამ ეს ლეკთა ოსტატობით ექნეს, შეეტყოთ ქართლისა და კახეთისა შეყრა და დაიყოვნეს და ხმა დაიგდეს. „აღარ გარდავალთო:" ვითაც ამას წინათ, რომ ქართველი ბატონი მაღაროს დიდის ჯარით ჩაბძანდა, კიდევ ამავ ლეკის შესაბმელად. რა შეეტყოთ ლეკთა გაბრუნდნენ და თუშეთს მიხდომოდნენ. აქიდამ გახი ბატონი მეფე ერეკლე მიეშველა, იქიდამ გაიქცნენ და ახლა ეს იყო, კიდევ მეორედ შეიყარნენ, დიდათაც შიშობდნენ კახეთში და ქართლში მოსვლას, ბევრ-ჯერ ენახათ მეფეთა ჩვენთა ხმალი. მაგრამ ამას განიზრახვიდნენ: „თუ ჩვენ არ გარდავალთო ქართველთა ჯარი აქ დაღისტანში გარდმოვლენო:" ამა საქმეზე ჭარელნიც ემოწმებოდნენ და ქარსაც აძლევდნენ: ახლა რომ გარდმოსვლა დაუგვიანდათ, უიმედონი შეიქნენ კახნი და მოახსენა მეფე-მ ერეკლე-მ მამასა თვისსა ცხებულს მეფეს: „ისევ ქალაქს მიბძანდითო, ლეკის ჯარი მოიშალაო:" წამობძანდა ბატონი, მობძანდა ქალაქსა თბილისისასა და უბოძა ჯარებს დასტური, წავიდნენ ყოველნი სახლად თვისად:

ქალაქის მოურაობა შაჰ-ყულიხანს უბოძა ამილახორის-შვილსა: ზამან-ხანის ცოლ-შვილი მოვიდა ნახჭევნით ქალაქში, რომელი იყო ასული ქსნის ერისთვის შვილის იასე ყულარაღასისა: გამოვიდნენ ლეკნი და დაიფანტნენ, მრავალი ტყვე და საქონელი იშოვეს, საციციანოს მიუხდნენ, მრავალი წამოიღეს, თრიალეთ-ზე დიდი ქარვასი წაახდინეს: გამობძანდა მეფე თეიმურაზ, ჯარი შემოეყარა, დადგა შულავრის ბოლოს აივაზოღლოში, გააყენეს ყარაულები ყოველ-გან, მოვიდა ერთი ჯარი ლეკისა, რომელსა წაეხდინათ საციციანო და ქარვანი აზრუმს მიმავალი ალგეთ-ზე, მარნეულის ბოლოს რომ ჩამოვიდნენ ყარაულმა მოახსენა ბატონს, შებძანდა ბატონი და მო-
218 ბძანდა ზედ ლეკ-ზედ, ლეკნი ერთს ჭალაში გამაგრდნენ, ბძანა შემოხვევა ჯარისა, შემოეხვივნენ გარს, შეიქნა სროლა, რომ თოფის კომლისა-გან ჯარი აღარა ჩნდა. ბძანა და დაუშინეს ზარბაზანი, შეესივა ჯარი ქართველთა, ამოწყვიტეს ლეკნი, რომ რისხვა ღუთისა დასცეს:

ამისა შემდგომად, მოვიდა მეორე ჯარი ლეკისა, ორბელიანთ მამულს და სომხითს ნაშოვარი მიქონდათ და მერე ბატონს მოახსენდა, გამოუდგა უკან, გავიდნენ მტკვარს, მოეწივნენ ნაგებში, დაარევინეს თუ-რამ მიქონდათ და მრავალი ლეკი მოკლეს და მოართვეს თავი ასე ცოცხალი: ბატონს გაეგზავნა მახარობელი კახს ბატონ-თან, გამარჯვებისა და ბატონი მობძანდა მხიარულად, გამარჯვებული ქალაქსა:

უსეინ-ბეგ ბატონი-შვილი ჩამოვიდა სამშვიდობით, შემოირიგა მეფე-მან და ბოლნისები კი დაადებინეს და ისევ სახასოდ დადვეს და უსეინ-ბეგს სარჩოდ საბატონის-შვილო სოფლები უბოძეს და ორმოცი თუმანი ჯამაგირი გაურიგეს: ამისა შემდგომად მოვიდა ზაალ ორბელიანი ნახჩევნით ქალაქსა თბილისისასა, აზათ-ხან, რომელი სპასალარობდა ადრიბეჯანში ის გასწყრო-მოდა ხამან ნახჩევნის ხანს და ის თავისის დედა-წულით წამოსულ-იყო, ცოლ-შვილი აქ რომ ქართლში გამოეგზავნა და თითონ ერევანს ამოსულ-იყო, ზაალც ვისთან-ღა დადგებოდა, მოვიდა ესეც თავისის ჯარით, რაც ქართლიდამ გაჰყოლოდა, დარჩა ნახჩევანი აზათ-ხანს, დასო ხანად ოვისი მისანდო კაცი ნახჩევნისა ქვეყანასა:

რა შეიტყვეს ლეკთა ქართლისა და კახეთის ჯარები ისევ გაბრუნდესო, ჯარი შეურილ-იყო და გარდმოვიდნენ, რაც დაღისტანში ბევრი იყო სულ შეურილ-იყვნენ, დიდ დიდის ჯარებით, რომ ასე მოახსენდა ბატონს: „ლეკის ჯარი ამის-თანა არას-დროს არ გარდმოსულა:“ მოვიდნენ ჭარში ჭარელნიც შეეყარნენ, ჯარსაც უსადგურეს, ულუფა მისცეს და გამოვიდნენ ჭარიდამ, ქისიყს ცემა დაუწყვეს: მიეშველა კახი ბატონი, ორ-ჯელ გაემარჯვა, გააქციეს, ლეკიც ბევრი მოკლეს. დიდათ დაუმარცხა მეფე-მ ერეკლე-მ და იმ ომებში კაის სარდლად მოიქცა თამაზ 219
მოურავი და თითონაც გულოვნად შეება, ბევრი დაუზიანეს ლეკთა, ისევ ჭარში გავიდნენ. მაგრამ ასეთი ჯარი იყო ლეკისა, რომ ამ დამარცხებით არ გაბრუნდებოდნენ და არც ჭარელნი უშვებდნენ, თავის თავისაგანაც ეშინოდათ: ეს ამბები მოახსენა მეფე-მ ერეკლე-მ მამასა თვისსა მეფეს თეიმურაზს, მაშინვე შემოიყარა დიდი ჯარი და წაბძანდა კახეთს: ამ ლეკის ჯარი წავიდა შვიდი ათასი ცხენოსანი, ყაზახის ქვეყანას დაჰკრეს, მრავალი საქონელი, ტყვე წაიღეს, სხვა ქვეითობის ჯარი ისევ ჭარში ჰყვანდათ: ქართველ ბატონი, რომ საგარეჯოს მიბძანდა, ყაზახიდამ კაცნი მოვიდნენ და მოახსენეს ყაზახის წახდენა: წაბძანდა საჩქაროდ ბატონი, მიაშურა ქისიყს, რომ კახი ბატონიც იქა ბძანდებოდა და კახეთის ჯარიც იქ შემოეყრებოდა, მოეგება კახი ბატონი ბეჟან-ბაღზე; მიბძანდნენ მაღაროს, დაუძახეს, შემოიყარეს კახეთის ჯარი, მოვიდა ამბავი: „ლეკისა ჯარი იორზე ჩამოვიდაო:“

წაბძანდნენ ორნივ მეფენი ქართლისა და კახეთისა ჯარით, შირაქზე ჩაიარეს, საცა გზები იყო ლეკთა გამოსასვლელი, ის გზები შეუკრეს, ლეკნი გაბრუნდნენ, იორის პირს დაჰყვნენ და განჯის ბოლოს, ალაზანი და იორი რომ იერთვის დანდიზს, იქ ჩავიდნენ: ეს ამბავი მოახსენეს მეფეთა ჩვენთა: წაბძანდნენ დღით და ღამით საჩქაროდ, მივეწივნენ ალაზნის პირ-ზე, დილას ადრე შეიქნა ომი ფიცხელი, ლეკნი ასე უწინ შემოგვებნენ, რომ უფროსი ომი აღარ იქნებოდა, მეწინავის ჯარი რომ მივიდა მემარცხნის ჯარიც მიეშველა, ძლივეს ლეკთა, გაიქციეს ლეკნი, შეიტყვეს ქართველთა და კახთ, ერთობით გაჰყვნენ ალაზანსა და აგრის შუა ერთი მთა არის, ლეკის ჯარი იმაზა შეცვივდა, მიყვა ჯარი ქართველთა, დაიქვეითეს და ისე შეესივნენ: თითონ მეფე ერეკლე მოწინავეს ჯარში ბძანდებოდა და ისე აბრძოლებდა და ახლეიერებდა წყალობისა სიტყვით,

დაკაფეს, ამოწყვიტეს ლეკნი, რომ ყათლამი დამართეს, რომ ერთი ამის-თანა გამარჯვება და
220 ძალიანი ხმალი ბატონს ჩვენს არ მოსვლოდა: მიბძანდა მეფე ერეკლე, ჯარი ძალად ჩამოატალა,
თორემ ორის სამის დღით ჩვენი ჯარი ლეკთ არ მოუშვებოდა, გამოუძღვა გამარჯვებულს ჯარს
და მოულოცა ცხებულს მეფეს, მამასა თვისსა. ბატონი ჩამომხდარ-იყო ალაზნის პირ-ზე ცალმა,
მიართვეს ლეკის თავი და ცოცხალი შვიდასი და ცხენი ლეკისა ათას ხუთასი. წამობძანდა დიდის
სიხარულით გამარჯვებულნი:

ჩამოხდეს ნაომარსა ალაგსა და შეიქნა შადლუკი სიხარულისა, სროლა ზარბაზანთა და ზამბურაკთა: მიესმათ გარემოსთა სოფლებთა და მოვიდნენ მოლოცვად დასლიჩულნი და იმა ალაგების კაცნი, რომელთა პატრონობდა ჭაჭი-ჩალაბი, მოართვეს მოსართმევი და შეასხეს ქება: მეორესა დღესა გამოემართა გამარჯვებული დროშა კახეთისა-კენ, შეიქნა ნადირობა ივრის პირზე, ამოწყვიტეს ირემი, ღორი და სხვა მრავალი ნადირნი, რომ სიმრავლის რიცხვი არ შეიგებოდა: მოვიდა იმ დღეს, მოეგება განჯის ხანის ეშიკაღასბაში განჯის ჯარით, მოულოცეს გამარჯვება და შეასხეს ქება, მოვიდა ჭაჭი-ჩალაბის კაცი და მოულოცა გამარჯვება: ესე სიხარულით სავსენი მობძანდნენ ისევ კახეთს მაღაროს, გაისტუმრეს მახარობელნი საცნობელად გამარჯვებისად, პირველ ქართლსა შინა და მერე ადრიბეჯანისა ქვეყანასა. ყოველ-გან, ეს ლეკის ჯარი დამარცხებულნი წასულ-იყვნენ, ზოგი კაკში და ზოგი აჯინალაბის მამულში, იმათაც ქართველ ბატონის შიშით არ დაეყენებინათ და წასულ-იყვნენ ქვეყანათა თვისთა: ჭარელნი რა ჭარსა შინა მივიდნენ, ვინც ქვეითობა ლეკის ჯარი იქ იდგა გულხადარა, შეშინდეს და მაშინვე დაღისტანისა-კენ გასწივეს, ჭარელნი ეცადნენ მრავლის მისაცემლით, რომ დიდად ეშინოდა ჭარელთა და ვერ დააყენეს: ამისა შემდგომად ბატონმა ჯარებს მურახასი უყო და მცირეს ჯარით მიბძანდნენ, ორივ მეფენი ალავერდს წმიდის გიორგის მონასტერში, მოილოცნეს, წმიდათ საფლავნი. მაშინ განსრულებულ-იყო გუმბათი და სამხრონი ეკკლესიისანი, რომელ დაიქცა ძვრისა-მიერ, იგულს-მოდგინა და ხელ-ჰყო აღშენებად საფასითა თვისითა, სულ-ბრწყინვალე-მან და ცხებულთა მეფეთა ასულ-მან, დედოფალ-მან ქართლისა და კახეთისა-მან თამარ და შემდგომად მისსა განსრულა ძე-მან მის-მან, პატრონ-მა კახეთისა-მან მეფე-მ ერეკლე-მ და შეამკო ყოვლადვე:

221 მერე წამობძანდნენ თელავს, დახვდა მეფესა ცხებულს მამასა თვისსა, აჩვენა ლხინი, გარდაიხადეს სიხარული ფრიადი და უბოძა მეფე-მ ერეკლე-მ ქართველთა დარბაისელთა ყოველთა საბოძვარი უშურველობით: და მოვიდა ჩაფარი შარუხ-შაჰ ყაენისა და ებოძა რაყამი მეფის თეიმურაზისსა-თვის, არაყისა და ადრიბეჯანისა სპასალარობისა და მეფის ერეკლესა-თვის ამის ნაიბობისა და დიდის წყალობისა, შეიქნა სიხარული უზომო და წამობძანდნენ ქალაქს, რა მოეახლნენ, შეიქნა სროლა ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყო ქალაქსა შინა: ერევნის ხანის ძმა და აირუმლუს ხანიც მოსულ-იყვნენ ხილვად მეფეთა ჩვენთა, დახვდომოდა გამომჩვენებით სიმე

მეფეთა, ეშიკაღას ელიაღასი დიმიტრი ორბელიანი, რომელი იჯდა ქალაქში ჯანიშინად. რა ბა-ტონი გაბძანდის ლაშქარს, ეს განაგებდა საქმეთა ქართლისათა:

წარავლინეს იმერეთად ხორაშან ბატონის-შვილი და თან-აახლეს ნინო-წმიდელი საბა ეპი-სკოპოზი და ითხოვეს ქალი დადიანისა დარეჯან, მეფის ერეკლესა-თვის: წამოიყვანეს სახლით მეფისა ალექსანდრესით და მოიყვანეს სურამს: ქალაქიდამ წაბძანდა მეფე ერეკლე, თან-გაყვა პატრიაქი ანტონი ბატონის-შვილი, მიბძანდენ სურამს, ნახა ქალი მეფე-მ, დიდად მოეწონა შვენიერება მისი და წამოიყვანეს ლხინ-მრავლობით და ჩამობძანდენ ქალაქს: მისა ქმნა რიგი ქორწილისა მეფეს თეიმურაზს ცხებულს და შეიქნა ქორწილი და სახლსა ახალსა, რომელი აღუ-გო მეფეს თეიმურაზს მტკვრის პირს, შვენიერი და შემკული ყოვლით გვრძო: იყო შვიდს დღეს და ღამეს შვება და განცხრომა უჩომო, რომ ერთი ამის-თანა სიხარული არ გვენახა: დაპატი-ჟებულნი იყვნეს განჯის ხანი, ერევნისა და აჯი-ჩალაბის ძმის-წული. მოვიდნენ, მოართვეს ძღო-სართმევი, ხელმწიფეთა საკადრი, და მცირედთა ხანთა ალხინ-მრავლნეს, უბოძეს მეფეთა ჩვენთაც 222
საფერად თვისად, დაითხოვნეს და წავიდნეს ისევ ქვეყანათა თვისთა: იყვნეს მეფენი ჩვენნი მარადის სიხარულსა და განცხრომასა შინა: მას ჟამსა გაერთნეს ქართლი და კახეთი, იურვიდენ საქმეთა ორისავ ქვეყანისას ერთად. ვითაც მამა-შვილნი იყვნეს, მეფენი ჩვენნი სახელმწიფონიც გაერთნეს, დაადგინა მეფე-მ ერეკლე-მ დედოფალი დარეჯან სახლსა მამისა თვისისასა:

ერთი შაზადა მოვიდა ადრიბეჟანის ქვეყნიდა-მ ქალაქსა თბილისისასა, რომელი ამბობდა ყაენის შვილობას. შემოეხვეწა ქართველს ბატონს ჯარსა და მოხმარებასა, დააყენეს ქალაქში პატივით და აღარ-სად გაუშვეს:

რადგან ლეკთა ქართლისა და კახეთის (მტრობა) არ მოიშალეს, ამას სულ ჭარელნი ამტრობდეს, გარდმოჰყვანდეს ჯარი დაღისტნიდამ, უსადგურიან, ბელადი მისციან და აოხრებდიან მუდმისად ქართლსა და კახეთს: მოინდომეს ქართველთა და კახთა ჩინებულთა კაცთა ჭარ-ზე მისლვა, მეფე-მან თეიმურაზ და ძე-მან მის-მან მეფემ ერეკლე-მ დაამტკიცეს რჩევა ესე და შემოიყარეს ჯარი ქართლისა და კახეთის, ყაზახ-ბორჩალუსი სრულიად და გაემართნეს ჭარ-ზე, დაიბარეს განჯის ხანი, გზიდა-მ გაისტუმრეს წყალობით აჯიჩალაბის ძმის-წული, რომელი იახლა ასის კაცით და დააჯერა ფიცით ერთ-გულობა თვისი აჯიჩალაბმა: რად-გან ჭარს გარდა შირ-აქეთ ბატონს ჩვენს მტერი აღარა-ვინ ჰყვანდათ, ჭარის დაჭერის იმედი ჰქონდათ, ჯარიც დიდი ჰყვანდათ და კაის ხელმწიფურის რიგით და თადარიგით წაბძანდენ: თოფყარაღაჯში რომ ჩაბძანდნენ, შემოეყარა განჯის ხანი ყარაბაღის ჯარით: ჭარელთ ხვეწნა დაუწყეს და შერიგება მოინდომეს. მაგრამ რო-გორც ბატონს ჩვენებს უნდოდათ და ან შერიგების გზა იყო, ისე არ შემორიგდეს და არც ამათ ინებეს: აჯიჩალაბმაც მოინდომა მათი შემორიგება. მაგრამ რაც თითონ უნდოდათ იმას ამ-ბობდენ, ბატონების ბძანება, რომელიც იყო, იმ ბძანებას არ დამორჩილდენ: მიბძანდენ, ჩამოხდენ 223
ალაზნის პირ-ზე, ფადარში გადვეს ხიდი: უბძანეს მეფეთა ჩვენთა მეწინავეს ჯარს, გავიდნეს

ალაზანს გაღმა, დადგნენ სანგარსა შინა. თურმე ჭარელნი სულ აყრილ-იყვნენ, ზოგი სიმა-
გრეებში შესულ-იყო და ზოგი ავჭიჩალაბის ქვეყანაში დახიზნულ-იყვნენ: ამა ამბავთა შინა
გამოეგზავნა ავჭიჩალაბს კაცი. „თუ გამოეცლებითო ჭარელთა კარგიაო, თუ არა და მე ჩემის
ქვეყნითი მაგათ-თან ამოვსწყდებიო:" ეს მუქარის გამოთხოვა და ამაყიანი სიტყვა დიდად ეწყი-
ნათ მეფეთა, მოუშალეს მაშინვე ხიდი, გამოიყვანეს მეწინავე ჯარი სარდალი რევაზ და ქა-
სიზის მოურავი თამაზ, აიყარნენ იმავ დღეს და წარუვლინეს ავჭიჩალაბის ქვეყანა-ზე: მეორეს
დღეს ავჭიჩალაბის მამულში გავიდნენ, მესამეს დღეს ორშაბათს დილაზე შემოება ავჭიჩალაბი,
თურმე ჭარელნი, იმ ძიროხის ლეკის ქვეყნები, კაკის სულთანი და ის ქვეყნები სულ შემოეყარა
და ჯარი შეეყარა და მზათა ჰყვანდა. აქა იქ ქვეითობას ჯარები დაემალა და თითონ ცხენოსანის
კაცით შემოება: უბძანა მეწინევეს ჯარს, მივიდნენ სარდალი რევაზ და ქისიყის მოურავი თამაზ
საბარათაშვილოს ჯარით და ქისიყის ჯარით, ასე იყვნენ, რომ ქება აღარ უნდა: აგრევე მიეშველა
მემარჯვენე ჯარი ამილახორის დროშა, გააქციეს ლეკი და მრავალი კაცი მოუკლეს ავჭიჩალაბს:
ამ გამარჯვების ამბავში დამალული ჯარები, რომ ჰყვანდა ავჭიჩალაბს, ამათ მემარცხენეს ჯარს
შემოუტიეს, პირველსავე შემოტევაზე გამოაქციეს საერისთოების ჯარი, ვეღარ შემაგრდეს, ამათ
განჯის ჯარი უდგა უკან, ეს რომ გამოქცეულნი ნახეს, ის განჯის ჯარი უგრავად გაიქცა, აი-
რივა ჯარები, მეფე ერეკლე მეწინავეს და მემარჯვენეს ჯარებში ბძანდებოდა, აბრძოლებდა. ქარ-
თველი ბატონი უკან დასტაში ბძანდებოდა: რა ეს დიდი ჯარი ერთმანერთს ეცა და აირივა, ეკა-
ლნეს ორივ მეფენი და ჯარი ვეღარ დააყენეს, გამოიქცა ჯარი ვერსად შემაგრდა, დარჩათ ჯორ-
აქლემი, კარავნი ანუ ბარგნი და საცხოვრებელი ჯარისა, ვინა ქვეითი კაცი ალაზანს ვეღარ გა-
224 მოვიდა, სულ დარჩათ ლეკთა:

მობძანდნენ ბატონები დამარცხებულნი მაღაროს, იქიდამ ჯარს ყველას თავ-თავის ქვეყანას
დასტური უბოძეს. თითონ ჩამობძანდნენ ქალაქსა ტფილისისასა, ამის მეტად მეფეს თეიმურაზს
და მეფეს ერეკლეს არ დამარცხებოდათ და ახლაც გაუჭირებლად უბრალოდ დაუმარცხდათ, ერთის
ავის კაცის მიზეზით, თორემ ამათი ხმლის ძალი და სახელი ყოველს ქვეყანას განფენილ-იყო:
ამა ამბავს უკან ასტყდა ლეკის ჯარები, ყაზახად ჩამოდგნენ, ქართლსა და კახეთში და მრავალი
ადგილი წაახდინეს, წაბძანდა მეფე ერეკლე კახეთს, დახვდნენ ლეკნი მანავის თავში, ძლიერებითა
ღვთისათა გაემარჯვა მეფეს ერეკლეს და ამოწყვიტეს ლეკნი, მოვიდა სხვა ჯარი ლეკისა, და-
ესხა აგჭალას, წაიღეს საქონელი: მოხსენდა ბატონს, გაბძანდა მაშინვე, მიბძანდა მარტყოფს,
იქ შემოეყარა ის თვისი მეფე ერეკლე, წაეწივნენ იორის პირ-ზე, გაემარჯვათ დიდათ, რომ რი-
სხვა ღვთისა დასცეს: მკვდარს გარდა ას სამოცი ცოცხალი ლეკი მოართვეს, შემობძანდნენ ქა-
ლაქში გამარჯვებულნი: მიუხდა კიდევ სხვა ჯარი ლეკისა საგურამოს და მრავალი საქონელი წაი-
ღეს. გაუსია ჯარი, მიეწივნენ, იმათაც გაემარჯვათ იქაც და გააქციეს ლეკნი და წაართვეს სა-
ქონელი სრულად:

ამა ამბავთა შინა წამოთამამდენ ყიზილბაშნი და მოინდომეს მტრობა ქართლისა. მაგრამ
რადგან განჯა და ერევანი ქართველ პატრონის მოდგომილნი იყვნეს, ჯერ იმ ქვეყნების დაჭერა
მოინდომეს: აზატ-ხან ავღანი, რომელი თავისის ძალით ადრიბეჟანის ქვეყნებს პატრონობდა,
ამან გამოუსია ჯარი ერევნის დასაჭერად და მამად-ხან, რომელი იყო ერევნელი უთავა: მოვიდა
ჩამოდგნენ ერევნის ქვეყნებში, მოვიდა ერევნის ხანი და უფროსნი კაცნი, შემოეხვეწნენ პა-
ტრონსა ჩვენსა, სთხოვეს ჯარი და მოხმარება, გაგზავნეს კაცნი, მაშინვე ჩერქეზში, ოსეთში
და მთების ქვეყნებში, ჯარები დაიბარეს და აქაც მზადება შექნეს ჯარებისა. ამით რომე თუ
ერევანი ყიზილბაშთ ძალათ დაეჭირათ, განჯა და ყარაბაღიც ხელთ დარჩებოდათ და მერე სულ 225
ადრიბეჟანის ქვეყნები ქართლს-ზე დაიწყებდნენ მტრობასა: გააყენეს მენაპირეს ჯარად ბამან-ხან
რომელი იყო მცირედ ხანს ნახჩევანს და პატრონობდა იმ ქვეყნებს ბრძანებითა სპასალარისა,
მეფისა საქართველოსა თეიმურაზისათა: ეს ბამან-ხან სიძე იყო ქსნის ერისთვისა, მტრის გა-
მოცლილი ველარ დამდგარიყო ნახჩევანს, მოვიდა ქალაქსა და იყოფებოდა ბძანებასა ქვეშ პა-
ტრონისა ჩვენისათა: ამას მისცეს ჯარი თათრისა, აგრევე ზაალ ორბელიანს უბოძეს ჯარი ქარ-
თლისა და გაისტუმრეს, უბძანეს: „სანამდის ჩვენ ჯამოვემართნეთ, ჩვენ გვაუწყევით ყოველივე ამბავნი
და ძლიერებითა ღვთისათა, ჩვენცა ადრე მოვალთ და დავსცემთ რისხვასა მტერთა ჩვენთა ზედა:“
წავიდნენ, მივიდნენ ბანბაკის ხევში, მოინდომეს ერევნის ქვეყანაში გარდასვლა. მაგრამ ერე-
ვნის ქვეყნები დიად მოოხრებინა და შიგ ჯარი იდგა ავღანისა, ერთის ციხის მეტი აღარა დარ-
ჩომილიყო რა, სულ მტერს ეჭირა, დადგნენ ესენი ბანბაკში და მოახსენეს მეფეთა ჩვენთა ესე
ამბავნი ერევნისანი: მეფენი ჩვენიც მოემზადნენ და შემოიყარეს ჯარი ქართლისა და კახეთისა
და ყაზახ-ბორჩალუსი, რაც მთებისა მოესწრათ: მეფე-მან თეიმურაზ თითონაც მოინდომა წაბძა-
ნება. მაგრამ ქართლი მტრით სავსე იყო, რომ ალაგი აღარ იყო, რომ ლეკი არ იდგა. მაგრამ
სხვის მტრებიც ფიქრებიც ჰქონდათ: მოახსენეს დიდებულთა, წარჩინებულთა თავადთა დაუშალეს
წაბძანებნ: მოახსენა ძე-მან თვის-მან სასურველ-მან, პატრონმა კახეთისა-მან, მეფე-მან ირაკლიმ:
„ბძანდებოდე აქა და დადექ ქალაქის გარეთ ჯარით და მე მიბძანე და წავალ ვეპასუხები მტერთა
ჩვენთაო:“ ისმინა რჩევა ძესა თვისსა, აარჩივა ჯარი, რომელი ენება მეფეს ირაკლის და გაატანა,
გაისტუმრა ძე თვისი, ოოხივე სარდალნი საქართველოსი თან-აახლო: წაბძანდა მეფე ირაკლი
ერევანს, შეიარეს სომხით-ზე, მიბძანდა ბამბაკში, იქ დახვდნენ ჯარით ბამან-ხან და ზაალ ორბე-
ლიანი: მოვიდა ქალაქში ჯარი ოსეთისა პირიქითნი კაცნი, უბოძა მეფემ ულუფა და გაუმძღვარა
კაცნი და გაუგზავნა ძესა თვისსა, მივიდნენ, შეეყარნენ მეფეს ირაკლის ბანბაკში: წაბძანდა ფვანი-
ბაკიდამ, რა გარდაბძანდა ალაგთა ერევნისათა იგრძნეს ავღანთა, აიყარნენ ქანქირიდამ და ჩავიდნენ
ქვეით, დადგნენ მახლობელ ციხისა ერევნისათა: მიბძანდა მეფე ირაკლი, დადგა ქანქირს: გამო- 226
ვიდნენ ერევნის ციხიდამ წყვდეულნი ყიზილბაშნი და შეასხეს ქება, დიდ შიმშილს ძალი ექნა
ციხის მეოფოთა-თვის: უბძანა ჯარსა თვისსა მგის ჟამი იყო, ამგვარა, აღეწვინა ჯარის კაცსა

*

და ათი ათასი კოდი პური გამოართო ჯარსა და შეუგზავნა ციხესა ერევნისასა: ასე მოოხრე-
ბული იყო ერევნის ქვეყანა, მგის მუშაც აღარ იშოებოდა: ერევნის ციხისა და ეჩმიაძინის მეტს
ადგილს შენობა აღარსად იყო: ეს ავლის ჯარი და მამად-ხან ისევ ერევნის ქვეყანაში იდგნენ,
პირ-და-პირი ომი კი ვერც გაბედეს და მოუხდიან ყაზახად, ცხენსა და კაცს მოიტაციან, გაგიდის
ჩვენი ჯარი, შეუტიის, გაექციან და არა მოუცადიან საომრად ავღანთა: აიყარა მეფე ირაკლი, მი-
ბძანდა შარურისა და სადარაკის იალაღებზე, დადგა მთაზე და იქიდამ გაუსია ჯარი მარბიელად:
სადა მიმდგომნი კაცნი სადმე იყო ავლისა სრულად მოარბიეს, ააოხრეს, იავარ-ჰყვეს ნახჩევანს
აქეთი არაზის პირამდის ქართველთა და კახთა, აღივსნენ ყოვლითა სიუხვითა. ეგრე აღვსილნი
სიქადულით მოვიდნენ: ჩამოხდა ბატონი ყარხბულახს, აყარა ერევნის ციხიდამ ცოდ-შვილით
ზეიდალიხან, ერევნის მინბაში ბადიმ-ბეგ და ოთხი კიდევ დიდებული კაცი, გამოატანა ჯარი
ბორჩალუსი და ზოგი საბარათაშვილოსი, გამოუგზავნა ძეებულსა მამასა თვისა დასაყენებლად
ქალაქსა თბილისისასა: ამათ აზრალებდნენ ღალატსა და გაცემასა ერევნის ციხისასა, თითონ მეფე
ირაკლი დადგა იქავ და განაგებდა საქმეთა ერევნისათა:

მიუვიდა ეს ამბები აზატხანს, აღშფოთდა მხეცი ცოფოვანი და განიზრახა საქმე ბოროტი,
ყაოლაში ქართველთა და მოოხრება ქართლისა, შეიმოკიდა თვრამეტი ათასი კაცი, თოფხანა ხელ-
მწიფური, ზამბურაკნი მრავალნი, აქლემთა კიდურნი, ხმლოსმელნი წინ და ეგრე დიდებით წამოვიდა
მეფეს ერეკლე-ზე, ლამოდა იდუმალ დასხმასა, მოვიდა ყარხბულახს და სადა მეფე ირაკლი იდგა
მთათა ზე წამოდგა: მოვიდნენ ყარაულნი, მოახსენეს მეფესა მორწმუნესა, უბძანა ჯარს შესხდომა
და თითონ დადგა ლოცვად, დავარდა ქვეყანასა და ევედრა ღმერთსა მხურვალედ და სთხოვა ძლევა
აგარიანთა-ზე: რა გაათავა ლოცვა შეჯდა ცხენსა, აღჭურვილი საბჭურთა იარაღთა მიერ, გე-
227 ნახათ ბძანებდით: „კაცისა-გან ამას არა დავეგვარები-რამე:“ გაბძანდა საომართა ადგილთა, მიუძღვა
ამირ სპასალარი რევაზ ორბელიანი მეწინავეს ჯარით, ქისიყის ჯარიც ამას-თან ერივნეს, აგრეთვე
მემარცხენე და მემარჯვენე ჯარი ქართლისა და კახეთისა ერთად რეულნი, წესისა-ებრ განეწყვნეს,
ბატონი თვისითა ჯარითა, მახლობელ ჯარებსა ზურგით კერძო უდგა, ერევნის ჯარი ბამან-ხან
და რაც თათართა ჯარები ახლდა, რომელთამე მეწინავეთა ჯართა თანა უბძანა, რომელთამე მემარ-
ჯვენესა და მემარცხენესა-თანა, ეგრე მივიდნენ საომრად: გამოვიდა აზატ-ხანც ზამბურაკთა სრო-
ლით და ამაყად, რომ გულსა მათსა შიშსა ვერ შეატყობდა კაცი, მასცა ჯარი სრულიად, ესვსად
გულდად გაეკეთებინა და ჯარიც ასეთი ჰყვანდა, რომ ქართველთა ჯარი მათი მეხუთედი ძლივ
იქნებოდა: პირველსავე მისვლაზე მიუხდნენ მემარცხენესა ჯარსა, პირველ გაემარჯვათ ქართველთ,
მერე გაემარჯვათ ავღანთა, გამოაქციეს მემარცხენე ჯარი ქართველთა, გამაგრდა ქვეითობა ერთს
ნასოფლარში ქართველთა, და დიდი ომი გარდაიხადეს, დაიხოცა ორგნითვე:

ამა ამბავში მოვიდნენ გუნდ-გუნდად ჯარები აზატ-ხანისა და მეფის ერეკლეს სამსავ დრო-
შის ჯარს აღვსად ცარს შემოერტყა, ასეთი იერიში მოუტანეს ავღანთა, რომ შიგ ჩვენს ჯარში

შუბით კაცნი ნამოყარეს: უბძანა მეფე-მ ირაკლიმ ამირ სპასალარს რევაზ ორბელიანს თავის-თან
მახლობელობა. მივიდნენ მეწინავენი და ბატონის ჯარს შეუერთდნენ: ნამოხდა ბატონი და ბძანა:
„ვინცა ხართ ყმა-კაცი ეს არის ჟამი, გულოვნობისაო, თავი ჩემი დამიდვია საკვდავად და მე აქა-
დამ ხმალ მოუქნეველად არ გავალო:" ამისი ბძანებაც ესმათ: „სანამდის მე თოფი არ ვესროლო,
ნურა-ვინ მოინდომებოს შეტევასაო:" ოთხ-ვერსის ავღანითა პირველსავე მოსვლაზე შესტყორცა
თოფი მეფე-მან და ერთი ავღნის ჯარის უფროსი კაცი ნამოაგდო: ამის ნამოგდებაზე გადრკა
ჯარი აზატ-ხანისა, შეუტიეს მეწინავეთა ჯართა. რევაზ-სარდალი იბრძოდა, ვითა ხვდებოდა
სიმხნესა და ძალ-გულობასა მისსა, გაიქცა ეს დიდი ჯარი, რომ სიდიდისა-გან ძლივ იძროდა,
გაერივნენ ქართველნი და კახნი, კაფეს ხმალ-და-ხმალ: მეფე ერეკლე, ვითა ლომი დაუშრომელი, 228
ეგრე იბრძოდა თვითცა და ჯარსაც აბრძოლებდა: ამოწყვიტეს ავღანნი და ყიზილბაშნი, რომ
ყაიღამი დამართეს, თაიხ-ალაჯამდე ხოცით უკან მისდევნეს, გამობრუნდნენ, დარჩათ თოფხანა, ჯაბა-
ხანა, ურიცხვი ზამბურაკი აქლემ-კიდებულნი, სრულიად ჯორ-აქლემნი, ბარგ-ბარხანი, მეითარ-
ხანა და ყოველივე აზატ-ხანისა და მისის ჯარისა სულ ასე დარჩათ ქართველთა, რომ თითოს
ცხენის მეტი არა გაჰყოლიათ-რა: აზატ-ხან ასეთი კაცი იყო რომ საყაენოდ ემზადებოდა, ადრი-
ბეჯანის ქვეყნებიც დაემორჩილებინა და ამ დიდებით დადიოდა: აიღალავეს ესე ყოველი ქართველთა.
მაგრამ სიმრავლისა-გან ვერა ზიდეს: დაუდგეს აზატ-ხანის კარავი, დაბძანდა მეფე ირაკლი მას
შინა, მოვიდნენ ერევნისა, ნახჩევნისა, აირუმლუსი ანუ რომელიმე ხანები ახლდნენ, მიულოცეს
და შეასხეს ქება, აგრეთვე მოვიდნენ ქართველნი, კახნი მიულოცეს გამარჯვება, მოართვეს ცო-
ცხალი ანუ თავი, რომ რიცხვი არ იყო: შეიქნა სროლა ზარბაზნისა ერევნისა ციხესა შინა და
სიხარული დიდი, აგრეთვე განიყვანა მაშინვე ამბავნი ადრიბეჯანისა ქვეყნებთა შინა: ყოველ-გან
უბოძა წიგნი და აცნობა გამარჯვება გარემოს ქალაქებისა ხანებსა, მისცეს ურიცხვი მახარო-
ბელთა: მოვიდა ქართლში მახარობლად მეითარი იოანე და ბერი მამუკის-შვილი, მიულოცეს მე-
ფეს თეიმურაზს, განიხარა ფრიად და უბოძა საბოძვარი მახარობელთა, დაჯდა მეჯლიშად, შეი-
ქნა ლხინი და სიხარული უზომო, ბძანა შადლუში და ჩირახდანი ბაზარია, შეიქნა სროლა
ზარბაზანთა, რომ კომლისა-გან ქალაქი აღარა ჩნდა, მოირთვნეს ბაზარნი და ალალაშრნეს და იყო
სიხარული დიდი ქართლსა და კახეთში:

მიბძანდა მეფე ერეკლე ერევანს ბძანებითა მამისა თვისისა მეფისა თეიმურაზისათა, უბოძა
ერევნის ბეგლარბეგობა აბდულა-ხანს, რომელი იჯდა ციხეში მინბაშად, რომელ-არს ათასის თავი:
აგრეთვე დააყენა ქართველთა თავადთაგანი გამგეთა საქმეთა ერევნისათა, უბოძა ჯარი ყაზახ-ბორ-
ჩალუსი და ერევნისა ბამანახანს. აგრეთვე ჯარი ქართველთა ზაალს ორბელიანს და გაისტუმრა ნა-
ხჩევანს: რა ჩავიდნენ, დაიჭირეს ისევ ნახჩევანი და დადგნენ შიგ:

მეფე ერეკლე აიყარა ერევნიდა-მ, წამობძანდა ქართლში, მობძანდა სომხითს, დახვდა წინ 229
ლეკის ჯარი, რომ დიდი ტყვე და ნაშოვარი მიუყვანდათ: უბძანა ჯარსა, შემოეხვივნენ ლეკსა,

თქვენმა მზემა, სულ ცოცხალი დაინარჩუნეს: ესე ორ-გზის გამარჯვებული მეფე ერეკლე მობძანდა ქალაქსა თბილისისასა, გაეგება ქალაქის მახლობელ მამა თვისი, ცხებული მეფე თეიმურაზ, დიდებულნი კაცნი ქართველთა და მოქალაქენი, ეგრე ქება მრავლობით შემოიყვანეს ქალაქსა შინა: იყო სიხარული და განცხრომა ფრიადი: უბოძეს ბორჩალუს ხანობა მუსას ქალბუსეინის ხანისშვილს, ვინით რამე აზატ-ხანის დამარცხებაში დიდათ კარგად ეომნა იყო და მეფეს ერეკლეს მოსწონებოდა სიმხნე მისი: ამისა შემდგომად წაბძანდა მეფე ერეკლე კახეთს, განაგებდა საქმეთა კახეთისათა და ქართლს მართებდა და აძლიერებდა მეფე თეიმურაზს. ფიქრი აღარა-ვისი ჰქონდათ, თვინიერ ლეკის მეტისა:

შეიქნა დაღისტანში ყრილობა ჯარისა, გარდმოვიდა დიდი ჯარი ლეკისა ჭარში, ასეთი რიგ ჯერ ამის-თანა ჯარი ერთად არ გარდმოსულ-იყო: მოინდომეს ქართლისა და კახეთისა სრულიად წახდენა: ნახევარი ჯარი კახმა ბატონმა, ჩაბძანდა ქიზიყში, მოახსენა მამასა თვისსა, ნახევარი ჯარი ქართველთა და ყაზახ-ბორჩალუსი ქართველ-ბატონმა, გაემზადა კახეთის მისაშველებლად, გაამაგრნეს ციხენი ქართლისა და კახეთისანი: მოუვიდათ ესე ამბავი ლეკთა. „ერთად გამოსულა კი ველარ გაბედეს და იმათგანი ჯარი სამად, ათას-ათასი კაცი. ერთი ჯარი მივიდა ყაზახს დაჰკრა, ერთი ჯარი მივიდა ორბელიანთ-შვილი წავკისა და მესამე ჯარმა საციციანოს დაჰკრეს: იმას ქვეითი სულ მოასხრეს და წამოიღეს: ქართველ-ბატონი წაბძანდა მისაშველებლად, სანამდის გორს მიბძანდებოდა ლეკის ჯარი დიდ-გორი-ზე ჩამოვიდა, ჩამოიარა, ბატონი სურამს მიბძანდა: იმერელნი კიკინაძენი ქართლის ქვეყანას შუდამ არბევდნენ: ამათი წახდენა მოინდომა. რა შეიტყვეს გარდმოვიდნენ კიკინაძენი, მოართვეს ფეშქაში და შემოეხვეწნენ: დაბრუნდა ბატონი, ჩამობძანდა ისევ ქალაქს: რა ნახეს ლეკთა ძალი და შეყრა ჯარებისა, შამხლის-
230 შვილი . . . და ერთი წადაარის-შვილი კაცი, მოვიდნენ ათასის კაცით და კახს ბატონს შემორიგდნენ, მოიყვანა კახმა ბატონმაც ქართველს ბატონს შემოარიგა ჯარი, თითონ შამხლის-შვილი და თავისი მისანდონი კაცნი ქალაქში დააყენეს და ჯარს ედიშერ მდივანი გაატანეს და ბორჩალუში დააყენეს, მისცეს პატივი თვისა თვისად შესაფერად ყოველთა:

სიღნახელნი აჯი-ჩალაბს შერიგდნენ, ფანა-ხანიც გაძლიერდა. ამის შესატყობლად მეფეთა ჩვენთა ჩაფრები გაგზავნეს. ყარადაღის ხანსაც წიგნი მისწერეს: მოვიდა აჯი-ჩალაბი, განჯას შემოადგა, გარეშემო სულ წაახდინა, ელჩები აყარა ყარაბაღისა და წაიყვანა თავის ქვეყანას: ჩვენი ჩაფრები მოვიდნენ სიღნახიდამ, გარდაპეტიც თან-მოჰყვა, აჯი-ჩალაბთან ყოფილ-იყო და შერიგებას ცდილობდა, შუამავლად მოვიდა: მარტყოფის მოურავი განჯას გაგზავნეს ამის შესატყობლად, ვინ იყო ქართველის ბატონის ერთ-გული, ვინ-არა:

მოუხდა აზატ-ხან ნახჭევანს, გამოეცალნენ ჩვენი ჯარი. ბამან-ხან მოვიდა გოგჩას, ზაალ ორბელიანი მოვიდა ქალაქსა, ბამან-ხანიც დაიბარა ბატონმა, მოვიდა ქალაქს თავისის ჯარით:

მოვიდა განჯიდამ მოურავი ქაიხოსრო, თას-მოჭიქვა განჯის ვექილი, ფანა-ხანის ბიძა-
შვილი და ყარადაღის ქოხუდები და ჯავანშირისა, ბარგუშათის ხანის ძმის-წული: მოეხსენებინათ.
„ეს ქვეყნები თქვენი არისო, თქვენ ავლან-ზე მოეხმარებით, ბევრსაც მოგართმევთ და ჩვენ
ეს ქვეყნები ჩვენის ჯარითა და ხარჯით ლეკ-ზე მოვეხმარებით და თქვენ-თან დავისოვლებით.“
ეს ამბავი ბატონებსაც იამათ, ქართველთა და კახთაც. ამით რომ ლეკ-ზე ჯარი ილოცნეს და ამ
მიზეზით. „ადრიბეჟანის ქვეყნებიც ხელში დაგვრჩებაო:“ სომხითში რომ ლეკის ჯარი იდგა,
წავიდა ეს დიდის ნაშოვრით: გაგიდნენ ორივ ბატონები ქართლის და კახეთისა, დახვდნენ წინ
ყარაია-ზე, ასე გაემარჯვათ, რომ სულ ცოცხლები დაიჭირნეს, ტყვე და საქონელი გამოართვეს
და ლეკნი დახოცეს-ვან შამხლის შვილმა იპატიჟა და ქალაქის თავის ჯარ-თან დააყენა: კიდევ 231
მოვიდა მეორე ჯარი ლეკისა ნაშოვრით სავსენი, კიდევ ამასაც დახვდნენ ბატონები და გაემარჯვათ
და ცოცხალი დარჩათ: სულ ესეც შამხლის შვილს აპატივეს და დააყენეს ქალაქში ესენიც:

ერევნის უფროსნი კაცნი დაიბარეს, კაცის სულდათის თავისი ძმის-წული გამოეგზავნა, შე-
რიგებას შემოხვეწოდა, ჯარელთ განჯის-ხანი შუა ჩამოაგდეს, შერიგებას იხვეწებოდნენ:

მოვიდა პაატა ბატონი-შვილი ძე მეფის ვახტანგისა ხარჯა სტამბოლიდამ. რუსეთის სასწა-
ვლოში ყოფილიყო, ესწავლა არტილერია, საქმე თოფხანისა, მეფე ვახტანგ, რომ მიცვლილ-
იყო რუსეთს აღარ დამდგარიყო, იქიდამ გაპარვით წასულიყო, საფრანგეთის ქვეყანას მიველო,
სტამბოლს მისულიყო და იქიდამ მოვიდა ქალაქსა ტფილისისასა: ნახა მეფე-მ თეიმურაზ და
მეფე-მ ერეკლე-მ, ვითაც ბიძა იყო მეფის ერეკლესი და მისცეს პატივი, დააყენეს მისჩივით ქა-
ლაქში, ქართნიკოსის უბ:

შემოიყარეს ჯარი ქართლისა და კახეთისა, პირ იქით და პირ აქეთი ოსისა, თუშ-ფშავნი,
მოხევე ხევსურნი და ყოველი მთის ჯარები, რომელნი მონებდნენ ქართველ-ბატონების ანუ კახ-
ბატონის, შამხლის შვილი ლეკის ჯარით, ეს ყოველნი თანაიხლნეს და წაბძანდნენ მეფე თეიმურაზ
და მეფე ირაკლი განჯას, იქიდამ ენებათ ბაიდაღაბის წახდენა, გაგიდნენ ქალაქიდამ იფუსა თავვარისა
ით, გატეხილ ხიდ-ზე შემოეყარათ ჯარი ბორჩალუსი და ლეკისა, რომელი იდგნენ ბორჩალუსი
ლეკის ჯარი დიდი შეეყარათ: არა ინებეს ბატონთა ჩვენთა ამდენის ლეკის წაკვეთა, დაარბიეს
აიასი კაი ფუ-კაცო ლეკისა, შამხალს აახლეს, თან-წაიყვანეს და სხვას დასტური მისცეს. წა-
ვიდნენ ქვეყანასა თვისსა: წაბძანდნენ, ყაზახში, რამდენიმე დღე დაიყოვნეს. შემოეყარათ ჯარი
ყაზახისა, მერე ჩაბძანდნენ შამშადილოში, მოართვეს ფეშქაში და ჯარი, უძლურა გარეგი საყმრად
ჯარისა, რაც მოუნდებოდათ, მოეგება განჯის ხანის ძმა და შემოეყარათ ერევნის ჯარი: რა
განჯას მახლობელ მიბძანდნენ მოეგებათ განჯის ბეგლარბეგი, შაჰვერდი-ხან, დახვდა კარგად და 232
მოართვა ფეშქაში: გაგზავნეს ჩაფრები განჯიდამ ყარადაღის ქოჩუმხან-თან, ფანახან-თან და დაი-
ბარეს იმათ ჩამოსვლა ხანები ადრიბეჟანის ქვეყნებისა: დაიბარეს პაატა ბატონი-შვილი განჯას
წასაყოლად, არ წავიდა, დაიჭირეს ქალაქსა შინა, დააპატიმრეს: რა შეიტყვეს ქართლის ვალი

განჯას მობძანებულაო, იამათ, დაემზადნენ, წამოვიდნენ მაშინვე: „თქვენც აზარშათას ჩამობძანდითო და ჩვენც იქ შეგეყრებითო:“

აიყარა ქართველ-ბატონი განჯიდამ, ჩაბძანდა აზარშათას, თან-ახლდა განჯის ხანი, შემოეყარათ სიღნაღის მელიქები ჯარით, ორის მელიქის მეტი, მოართვეს ხარჯი ჯარისა, რაც ენებოდათ: მოუვიდათ კაცი: „მოდიან ადრიბეჯანის ქვეყნების ხანებიო:“ მიაგებეს ამირ-სპასალარი რევაზ ორბელიანი: რა ნახეს ხანებმა ასეთი პატივი მისცეს, რომ ამხანაგურად მიიჩნიეს: ყარადაღის ხანი ქაზუმ-ხან დიდათ გამომჩვენებით და დიდებით წამოსულ-იყო, რომ ამას იტყოდა კაცი. „ყაენის რიგი აქვსო:“ ფანა-ხან ბარგუშათის ხანი, შაისევანის ხანი და ამათი ქვეყნების უფროსი კაცნი სულ თან-მოყვნენ: რა მოახლოვდნენ ჯარსა, მიეგება მეფე ერეკლე და სულ ქართლისა და კახეთისა ჩინებულნი კაცნი, მოვიდნენ, ნახეს სპასალარი ადრიბეჯანისა: მეფე ქართლისა თეიმურაზ დახვდა მხიარულის პირით და დასდვა პატივი უზომო. ამ ხანებსაც კაი ჯარები მოყვათ და ქართველთ ჯარი ხომ ისეთი იყო, რომ ამას ბიანებდი ერთ-ორად კმა არისო: დააყენეს ჯარს მახლობელ, მოართვეს ფეშქაში ყოველთა ხანებმა მეფეთა ჩვენთა, სარდლის რევაზისათვისაც მრავალი ლარი ტურფა და ანუ ცხენ-ჯორი მოეცათ ცალ-ცალკე ხანებსა და დიდათ დაჯერებულნი შექნილ-იყვნენ: „რომ ჩვენ ქართლის ვალისა-გან კაის მეტი არა დაგვემართებარაო:“ იყვნენ ლხინსა და განცხრომაშია, ქართველ-ბატონი იქმოდა მეჯლიშსა და უბძანებდა ხანებსა, უბძანებდის ნუგეშსა და პირდებოდა სიკეთის ქნასა ურიცხვსა: აგრეთვე დაპატიჟა ყარადაღის ხანმა მეფეთა და ქართველთა და კახთა ჩინებულთა თავადთა, ასე დახვდა, რომ ასე იტყოდნენ. „თუ არ ყაენისა-გან, სხვისა ამ გვარის კაცისა-გან ასეთი დახვდომა ძნელად შესაძლებელი არისო:“ წამობძანდნენ მეფენი მხიარულად კარავსა თვისსა:

233 ამა ამბებში ადიდდა ალაზანი, ველარ გავიდნენ აჯიჩალაბ-ზე. ეს ხანები ქვეით ავლან-ზე ეპატიჟებოდნენ, თურმე ღალატი ეწადათ ქართველთა-თვის: "ეს ამბავი შეიტყვეს მეფეთა ჩვენთა, ეს არჩიეს: „ეს ხანები დავიჭიროთ და ამათი საქონელი ჯარს მივსცეთო:“ დაასკვნეს ესე თათბირი და მოიწვიეს ხანები. განჯის ხანი თავისის ძმით, ქაზუმ-ხან ყარადაღელი, ბარგუშათის ხანი, შაისევანის ხანი ფანა-ხან და ამისი შემდეგი უფროსნი კაცნი, იმ ქვეყნებისა და სიღნაღელი ჩანახჩის მელიქი, ესე ყოველნი დასხეს ქართველ-ბატონის სეფაში. ესენი ლხინსა და მეჯლიშს მოელოდენ, ვერა იგრძნეს-რა, დიდრონი კაცნი ქართლისა და კახეთისანი ხანებ-ზე მიჩენილნი იყვნეს: მეფენი ორნივ ხალვათში ბძანდებოდნენ: რა გარიგდნენ, ყალიონს წყვა დაუწყეს და ყავა მიართვეს, იმ დროს მიესივნენ ქართველნი და კახთა თავადნი, დაიჭირეს ხანები: რა რომ შეიტყვეს ჯარის კაცთა: „ხანები დაიჭირესო:“ ასეთი არეულობა და შფოთი შეიქნა, რომ მეორედ მოსვლის დღეს დაემსგავსა. რამდენი რიგი ჯარი ახლდა მარტო ქართველნი ხომ არ იყვნენ, მიესივნენ იმ დაჭერილს ხანების ჯარსა და კარავსა და ბარგსა, აიკლეს, აიფორიაქეს, ვინ ცხენს შეჯდა, გაიქცა, ვინ დაიჭირეს დაატიტვლეს, რომ აღარა შეარჩინეს-რა: ბატონებს ქაზუმ ხანისა

და შეისყვანის ხანისა დაჭერა არ უნდოდათ. მაგრამ ჯარს თავი ვერ დაუჭირეს, ისინიც სხვას
ხანებსავით აიკლეს: გასცეს ბძანება და რაც იმათი საქონელი იპოვეს. ცხენი, ჯორი, კარავი ანუ
იარაღი, ყოველი მოაგროვეს, თავისიც ბევრი დაადვეს და მისცეს ისევ: აიყარნენ იქიდამ ამ სა-
ქონლით და მოვიდნენ განჯას, დაჭერილნი ხანებიც იქ მიიყვანეს, ენებათ განჯის ციხე დაეჭი-
რათ, თვისი მისანდო კაცნი დაესვათ და წამოსულიყვნენ ქართლში და ეს ხანებიც დაჭერილნი
ქართლში მოეყვანათ: განჯის ხანის ბიძა ყოჯა-ხან და დის-წული ხუდადად-ბეგ განჯის უფროსის
კაცებით უწინვე განჯიდამ გამოისტუმრეს ქალაქსა თბილისისა მძევლად, განჯის ციხეში ერთი 234
შიხალისლამი იყო, სხვანი განჯელები შეშინდნენ:

ამ ამბავ-ზე დაკლიტეს ციხის კარები და აღარ შეუშვეს ქართველთა კაცი, დადგნენ მეფენი
ჩვენნი ქილისა ქანთას: ფანა-ხან ჯავანშირი, რომ ბატონებს შემორიგდა, თვისი შვილები, ძმის-
წულები და ან რაც ნათესავი და მოყვარე ჰყვანდათ, შორეული თუ თვისის სახლისა, სულ თან-
მოიყვანა, უფრო მენდობისათვის: ამ დაჭერაში ეს ამის შვილი და ძმის-წული კაის ცხენს შეასწრეს,
წასულიყვნენ და აჯი-ჩალაბს შეხვეწოდნენ: „გვიშველე და ეს შენი შეიქნებაო:“ აჯი-ჩალაბმაც
გული დააჯერა, თუ ამდენს ხანს და კაცს დაჭერილს ხელით დაიხსნიდა ამათი ქვეყნები ამისი
შეიქნებოდა: შირვან-შამახიის ჯარი, ჭარელნი, კაკის სულთანი, თავის ჯარი, შამახიის ხანი, ესენი
შეყრილნი იქა ჰყვანდა, რომ ამ ქართველთ ჯარს იქ გაელოდა: ამ ამბავ-ზე მომზადებული ჯარი
წამოიყვანა, მაშინვე წამოვიდა, მოუხდა განჯას, ცხებათ-კვირის პარასკევი იყო, იმ დღეს კი
აღარ მოხდა ომი, დაღამდა, მეორესა, რომ დიდი შაბათი გათენდა, გამოვიდა ქართველთა ჯარი
და მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე არიგებდნენ ჯარსა დას-დასად, მოვიდა აჯი-ჩალაბიცა დიდის
ჯარით, შეიბნენ განჯის ქალაქს ზევით, შეიქნა ომი ფიცხელი, რომ ამის-თანა ომი არ გვენახა,
იბრძოლეს დილით-გან საღამომდის, გასძლიერდა ომი, დაიხოცა ორგნითვე ურიცხვი: უბძანა
ერევნის ჯარსა მეფე-მან ქართლისა-მან, მისლვასავე გამოიქცნენ, აჩვენეს ზურგი, ეცა ამ სხვას
ჯარებსა და არივეს ერთმანერთის ჯარები, ვეღარ დაუყენეს ბატონებმა ჯარი, ვერცა რისხვით და
ვერც წყალობის დაპირებით, დამარცხდნენ ქართველნი, დაწყდნენ, ზოგი წავიდა სიღნაღისა-კენ,
ზოგი ერევნის მხარეს და ზოგი მაშინვე მოვიდა ქალაქსა თბილისისა:

მეფენი ორნივე ავიდნენ განჯის მთაში: რა შეღამდა, ჩამოვიდნენ შამშადილოს ბოლოს
და ვინა შერჩათ მით მობძანდა ყაზახში, იქიდამ ქალაქში შემობძანდნენ დამარცხებულნი, დარჩათ
საქონელი ურიცხვი, რომ თითოს ცხენის მეტი არა მოჰყოლიათ-რა: ომში არ დარჩა იმდენი
კაცი, რომელიც აჯი-ჩალაბიცა დაიხოცა. მაგრამ გამოქცეულსა ჯარს დახვდა წინ შამშადი-
ლოელნი, ზოგი ხოცეს და ზოგი ატიტვლეს, რომ საქართველოს სისხლი შამშადილოელთ
დაიდვეს:

ჩავიდა აჯი-ჩალაბი განჯას, ჩამოხდა გამარჯვებული და საქონლით სავსე, აუშვა დაჭერილი 235
ხანები, რომელი ჰყვანდა პატიმრად ქართველ-ბატონს, ყველა შეიფიცა და თავისად გახადა, ყვე-

ლა თავ-თავისა ქვეყანასა დაჰყვა (¹) აჯი-ჩალაბმა, რაც გაჭარი იყო ტფილისის ქალაქისა ამათი საქონელი სულ აიღო, რომ დიად დიდ-ძალი საქონელი და ტყვე წაიღო და წავიდა შირვანს ქვეყანასა თვისსა: კაცნი გამოგზავნა, მოსწერა წიგნი ყაზახს ბორჩალუს, დემურჩასალის ელებს, ბაიდარს: „ქართველ-ბატონს ნულარ ემსახურებით, თორემ ყათლამს გიზამთ, თათარს ქართველს კაცს აღარ გაუყმობთ:" იმათ ეს ამბავი ამ თათრებს, მაშინვე გააკეთეს ფეშქაში ყოველმა საქართველოს ელებმა და ყაზახ-ბორჩალუმ, მივიდნენ, მიართვეს აჯი-ჩალაბს და დაიდვეს სამსახური და მისცეს პირი ყმობისა და ერთობისა. მოვიდნენ ისევ შინ, შეიყარნეს ჯარად, დაუწყეს ცემა სომხითს საბარათაშვილოს, მოვიდნიან ბორჩალუ ბაიდრელნი და ქალაქის გარემემო მოარბევიან და წაიღიან. აგრეთვე გამოასხეს ყაზახელთ ჯარი ლეკისა, ნავებით გამოუყვნენ-თან და დაუწყეს რბევა ქართლს: იყვნეს შეწუხებულნი მეფენი ერთის ამისთანას დაბალის კაცისა-გან დამარცხებისა-თვის, რომ ბაიდარიც კი მტრათ აუსივა, რომ ამათის შიშით ერანის ქვეყანა იძროდა: ეს ყოველივე ჩვენის ცოდვის სიმრავლით მოგვევლინა, რომ ახლა ამ ხანსა და დროში ჯმათი დამარცხებული კაცი არსად იყო:

გაგზავნეს ზურაბ ზედგინიძე ჩერქეზში ჯარისა-თვის, ბატონი-შვილი ვახტანგ საერისთოს დუშეთს დააყენეს და მოუყენეს ერისთავი ჯიმშერ: კახა ბატონი წაბძანდა კახეთს, წაიყვანა დედოფალი დარეჯან, ქალაქის ციხესა და ქალაქს მაგრება დაუწყეს: რევაზს სარდალს უბძანეს სამშვილდეში დგომა. ბატონი-შვილი უსეინ-ბეგ და მათი ხიზანი ქალაქში ჩამოიყვანეს, სარდალი დადგა შიგ, სომხითი აჰყარეს, დააყენეს სამშვილდეს, სადა შესობა იყო სიმაგრეებში შევიდა:

აუშვა პაატა ბატონი-შვილი, კახეთს-წაიყვანა, ამეოხვა პაატივით, გამოეპარა კახეთიდამ, გარდავიდა იმერეთს, შეეხვეწა აბაშიძე ლევანს:

236 ელისაბედ ბატონი-შვილი გიორგის მისცეს ამილახორის-შვილს ცოლად: შამხლის შვილს ცოლი შერთეს, ქორწილი მეფემ გარდუხადა, დაჰპირდა ჯარის შოვნასა, წავიდა დაღისტანში: მუხრანის ბატონს სალთ-ხუცეს კონსტანტინეს და ამილახორის-შვილს შაჰ-ყულიხან გივს დაადვეს საქმე ქართლისა, ასე რომ ამათისა უსებურსა და გარდუვალსა ვერცა მეფენი და ვერცა თავადნი ვერა-რას იქმოდნენ: გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა თვისსა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრი და აძლევდნენ ჯარსა, ცდილობდნენ კიდევ შეყრასა ჯარისასა: გამოვიდნენ მოქალაქენი თბილისისანი სამი-ათასი კაცი ვაჟ-კაცნი, კარგ-იარაღიანი, ბძანებითა მეფისა ჩვენისათა და დადგნენ ყველ-გან ქალაქთა გარემო და მაღლა ციხეთა მეტეხისა, ციხეთა თაბორსა და სცვიდნენ დღე-და-ღამ და მოელოდნენ ბრძოლად ყიზილბაშთა:

მოუხდიან ყაზახისა, ბორჩალუსა და ბაიდრის ჯარი ქალაქისა გარემო და წაიღიან საქონელი ურიცხვი, აგრეთვე მოიყვანეს ჯარები ლეკისა, დააყენეს ყაზახში და ბორჩალუში, გაერივიან მათი

(¹) ვგონებ აქ ადგილი დედანში გაუსწორებელია არის: თავ-თავის ქვეყანას წავიდნენ, დააყენა კაცნი აჯი-ჩალაბმა: დ. ჩ.

ჯარებიც, წამოუძღვიან და აოხრებდიან სომხითსა და საბარაშვილოსა. დაწვეს ნაშრომი და აღარ-სად გაუშვეს შენობა, თვინიერ სამშვილდისა, ქვეშისა, ბირთვისისა და ციხე-ქვაბის მეტი, სადა მთებში ან ჯავახეთის ქვეყნებში საქართველოს ქვეყნების საქონელი სადმე იყო, იპოვეს და სულ წამოიღეს, სადა პური სადმე იყო სომხით საბარათაშვილოში სულ გაზიდეს: ამის-თანა მტრობა ყიზილბაშს არ უქნია, რაც ამათ ქნეს, აღივსო საქონლით ყაზახ-ბორჩალუ და ბაიდარი. დაიდვეს თავს ორგულობა ქართველ-ბატონისა ყაზახელ ბორჩალუელთა და ბაიდრელთა, აგრეთვე დაუწყეს ცემა ქვეყანათა ჯავახეთისათა და ყარსისათა, თავისის ძალით წაუყვიდნენ ქართველ-ბატონს და ემსახურებოდნენ აჯი-ჩალაბს, მიიყოლიეს დემურჩასალის ელებიც და თათარი ვინც იყო სულ დაიჭირა აჯი-ჩალაბმა, ჩამოუყენა თავისი მისანდო კაცნი ამ ელებს და ართმევდა ძალიანს ხარჯს:

რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე დიდის ჯარით იმერელ მეფე-ზე წამოვიდნენ, სოლომონ მეფეც წამოვიდა ჯარით, შეიყარნენ, შეიბნენ, დაიხოცა ორგნითვე ურიცხვი, ბოლოს რაჭის ერისთავსა და ლევან აბაშიძეს გაემარჯვათ: მეფე სოლომონ გაიქცა, ახალ-ციხის ფაშას შეეხვეწა. მეფის მამული აოხრეს:

ბამან-ხან და ასლან-ბეგ თავეთის ჯარით მესაპირეთ ვაშლოვანს დაეცნენ ლეკ-ზე, გაემარჯვათ, თავები ქალაქს მეფეს მოართვეს, ბოლოს ღალატი შეაჩნდათ, აზატ-ხანს ლაპარაკი დაუწყეს. ბამან-ხან და უსეინ-ბეგ დაიჭირეს:

რაღ-გან ეს ქვეყნები ასე აირია, მტერი ქართლის ქვეყანა-ზე დიდათ გათამამდნენ, ჯარი 237
აღარ-სად იყო შეყრილი, ქართლისა და კახეთისა ჯარები დაიფანტნენ, ყველა თავ-თავის ალაგს ამაგრებდა, მეტი ღონე ვეღარ მოიპოვეს, აჯი-ჩალაბის შერიგება მოინებეს და ყოჯა-ხანს განჯის ხანის ბიძა, რომელი იყო ქალაქსა თბილისსა მცველად, იმას წიგნი მისწერეს: ,,თუცა გნებავს ქართლისა ვალსა და კახეთისასა ორსავ მე შეგარიგებო:“ მოსწერა აჯი-ჩალაბს: ,,შენ წამოდი და ერთი ვალის მისანდო კაცი წამოიყვანეო და შევრიგდებით:“ ამ ამბავ-ზე გაისტუმრეს ყოჯა-ხან, თან-გაატანეს მილახორი რევაზ და მდივანი ედიშერ, რა მივიდნენ აჯი-ჩალაბთან, დახვდა ამაყად და ამათ-გან შეკვეთილი შერიგების ამბავი იმან არც ერთი არ იყაბულა, შემოუთვალა: ,,რაც თათარი ქართველ-ბატონს ემსახურესიანო სულ ყველა-ზე ხელი აიღონო, ქართლს დასაჯერდესო, ადრიბეჟანის ქვეყნებში საქმე არა ჰქონდესო და შევრიგდებით. თორემ მტრობა-ზე ხელს არ ავიღებო:“ ეს ხომ არც ერთი ქართველის ბატონისა-გან არ იქნებოდა, ვერც ერთ-ზე ხელს ვერ აიღებდა. ეს ელჩები განჯას გამოგზავნა და უთხრა: ,,მეც იქ მოვალო და იქიდამ გაგისტუმრებო:“ მოვიდნენ განჯას რევაზ მილახორი და მდივანი ედიშერ, დააყენეს განჯას და აღარ გამოუშვეს. ქართლში მოსწერათ: ,,შერიგება აღარ მოხდაო, თქვენი ფიქრი ნახეთო:“ აჯი-ჩალაბმა ჯარი შემოიყარა, შვილი გამოგზავნა, მოვიდა განჯას, იქაც შემოიყარა ჯარი ყარაბაღისა და სიღნაღისა:

ჩერქეზიდამ მერაბ ზედგინიძე მოვიდა, ჯარის იმედი მოიტანა. მაგრამ ჯამაგირი ეთხოვნათ,
კიდევ გაგზავნეს კაცნი, დაპირდნენ ჯამაგირს: ტფილელ მიტროპოლიტი ძე ამილახორისა ათანასი,
გაგზავნეს რუსეთს დიდს ხელმწიფეს-თან, მიართვეს ფეშქაში და არზა ხვეწნისა: „ოხრდა ქარ-
თლი ურჯულოსა-გან, შეიბილწა მონასტერი და დაინგრა ქრისტიანობა. ვევედრებით შენს ხელ-
მწიფობას და სიმაღლეს გვიხსნა ურჯულოს ხელთა-გან და ვაქოთ ხელმწიფება და სიმაღლე
შენი:“ წავიდა თბილელი მის ლე:

გარდმოვიდნენ ჩერქეზთ თავადნი და აზნაურნი და მოისმინეს ბძანება მეფისა ჩვენისა და
238 მათიცა სიტყვა ეს იყო: ჯარი რამთენი უნდოდათ, რომ იმათი ჯამაგირი იქავ გარდაკვეთილ-იყო
და მერე ჯარი გარდმოეყვანათ: მტერი დიად მოგვეახლა, ეს ამბები დაგვიანდებოდა, ითხოვა ფარ-
ვასი მეფე თეიმურაზისა-გან ძე-მან სასურველ-მან მის-მა მეფე-მან კახეთისა-მან ერეკლე-მ და
წაბძანდა თვით ჩერქეზში, მიბძანდა, ხევში დადგა, იქიდამ გაგზავნა თავადთა შვილნი ჩერქეზში,
სანამდის შემოეყრებოდა ჩერქეზი, მანამდის შემოეყარა ჯარი ოსეთისა, მოვიდნენ უფროსნი კა-
ცნი ჩერქეზისანი და მეფეს ერეკლეს-თან განარჩივეს ჯარის საქმე და გაურიგეს ჯარს ჯამაგირი,
წავიდნენ ესენი, შეეყარნეს ჯარი. წინ მოვიდა ხუთასი კაცი ჩერქეზთა და ამათ მოუძღვა. მეფის
ერეკლეს ბიძა ჩერქეზის ბატონი, თითონ მეფე ერეკლე იქავ ხევს დადგა, ჯარს ერისთავი ჯიმ-
შერი გამოუძღვარა მუხრანში: მიაგება ბატონმა შაჰყული-ხან და მუხრანის ბატონი, შეიყარნენ
მიით-უბანს, უმასპინძლა ამ ჯარებს მუხრანის-ბატონმა კონსტანტინე-მ. სანამდის მეფე ერეკლე
სხვას დიდს ჯარს გარდმოიყვანდა, ამ ჯარს მუხრანში უნდა მოეცადა:

ზუბეიდალა ბელადი ათას ხუთასის ცხენოსანის ლეკით გამოვიდა, ჩამოდგა ზემო-ქართლში,
მრავალი ალაგი აოხრეს, ციხეები აიღეს, ბევრი იშოვეს, თილვას ციხეს შემოადგნენ, ათი დღე
გაუმაგრდნენ, შაჰყული-ხან მიეშველა და ერისთავი ჯიმშერ, თეთრი უბოძა შაჰყული-ხან, კაი ვაჟ-
კაცი აარჩივა, ამირეჯიბი ქაიხოსრო უთავა, ღამით ციხეში შეაპარა, დაუშინეს თოფი, მრავალი
ლეკი მოკლეს: რა ჯარის შემატება შეატყვეს ლეკთა, აიყარნენ და მორჩა თილვის ციხე აღებასა:
გაუძღვა ჩერქეზისა ჯარსა მუხრანის-ბატონი, მიიყვანა ზემო-ქართლში და დადგნენ ხვითსა. წა-
მოვიდა ეს ლეკის ჯარი, დაარბივეს პატარა ლიახვის შეუღლება სადა რამ შენობა იყო, დაწვეს
კულბითის გარეშემო: შესხდნენ მუხრანის-ბატონი, შაჰყული-ხან, ერისთავი ჯიმშერ არაგვისა,
ამილახორი ამირინდო ზემო-ქართლის ჯარით, გაუძღვნენ ჩერქეზის ჯარს, შეეყარნენ ლეკის ჯარს
კულბითის ბოლოს, შეიბნენ, გაემარჯვათ ლეკ-ზე დიდათ, ამოწყვიტეს მრავალი ლეკი, მიჰყვნენ
239 ორბოძლის მთის ძირამდის, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი მრავლის ნაშოვრით ჩერქეზნი და ქარ-
თველნი. ჩამოხდნენ ისევ ხვითს: ლეკნი გამოქცეულნი წავიდნენ ღამე, მივიდნენ წალკას თრიალეთ-
ზე, იქ კიდევ ნაშოვარი ჰყვანდათ და ჯარი იქიდამ გარდვიდნენ ჯავახეთს, დაუწყეს ცემა: აი-
ღეს ციხე ფიტარეთისა ლეკთა და იავარ-ჰყვეს საქონელი ურიცხვი საყდრისა, წაასხეს ტყვე
ფრიადი:

წამოვიდნენ აჯი-ჩალაბის შვილი და განჯის ხანი შაჰვერდი-ხან ქართლ-ზე დიდის ჯარით. მიეგებნენ ყაზახისა ბორჩალუს ჯარი და დემურჩისალისა, შამშადილოში მოვიდნენ. ყაზახში ეთქვათ ყაზახ-ბორჩალუს ქეთხუდებს აჯი-ჩალაბის და მისის შვილისა ალაქიშისა-თვის: „თქვენ მოდითო და ქართლის საქმე ჩვენ დაგვადევითო:“ ამ სიტყვით მოელორებინათ, თორემ ქართლში სალაშქროდ არ მოვიდოდნენ. ამით რომ ერანელთ ქართველთ ხმალი ბევრ-ჯერ ენახათ:

მოუვიდა ჯარი ჩერქეზისა მეფეს ერეკლეს ხევს, მახაბელი ისე დიდს ჩერქეზში გაგზავნა კიდევ ჯარისა-თვის და თითონ ამ ჯარით წამობძანდა მუხრანში, შემოუყარნეს მუხრანის ბატონი და შაჰ-ყული-ხან, ჯიმშერ ერისთავი და ჩერქეზის ჯარი, რომელი პირველ გამოეგზავნა, წაბძანდა, დადგა მცირედ ხანს საამილახოროში, შემოიყარა ჯარი ზემო-ქართლისა და ერისთვებისა. კიდევ მოელოდა ჯარსა ჩერქეზისასა:

აიყარა ყაზახიდამ აჯი-ჩალაბის-შვილი ალაქიში და განჯის-ხანი, მოვიდნენ, დადგნენ ბაიდარში: გაგზავნა ჩაივარი მეფე-მ ძესა თვისსა-თან, დაიბარა ჯარით: წამობძანდა მეფე ერეკლე, ჩამობძანდა ქალაქს, ჩერქეზის ჯარი დილმის ბოლოს დააყენა და ქართველთ ჯარი ქალაქ-ში შემოიყარა კახეთის ჯარიც: გამოეგზავნა აჯი-ჩალაბის შვილს ყოჯა-ხან, გამოეტანებინა ერთი თვისი მისანდო კაცი აჯი-ფერინა, რევაზ მილახორიც გამოუშვა და მდივანი ედიშერც, მოვიდნენ ქალაქს: რადგან ამ ჯარების შეყრა და მეფის ერეკლეს გარდმობძანება შეეტყოთ, შერიგება მოინდომეს. მაგრამ პატრონთა ჩვენთა აღარ ინებეს, რად-გან კარ-ზე მოხდომილნი-იყვნენ, ურჩობა აღარ ივადრეს: გაბრუნდენ მოციქულნი, რა ამბავი მიუტანეს ჯარის სიკეთისა და შეურიგებლობისა აიყარნენ მაშინვე და წავიდნენ ყაზახში: 240

შემოადგა ჯარი ლეკისა ხრამში მუღლეთას ქვაბებსა, დიდათ საქმე გაუჭირეს, უბოძეს ჯარი ქართველთა და კახთა დიმიტრი ეშიკაღასბაშს, მიუძღვა წრაფის მხარეს, შეიბნენ სოფელში, გაემარჯვათ ლეკ-ზე, მრავალი ამოწყვიტეს და ჩამოვიდნენ გამარჯვებულნი ქალაქს, აყარეს ხრამის ხეობა: ჩამოიყვანეს ქალაქს: გარდმოვიდა ისე მახაბელი, მოუგვა დიდის ჩერქეზის ბატონის შვილი ჯარით, დაიწყეს მზადება მეფეთა ჩვენთა საომრად: მოვიდა რუს ხელმწიფის ბძანებით ერთი პოდპოლკოვნიკი (1), რომელი არს ხუთასის თავი ქალაქსა თბილისისასა ცნობად ამბავთა ქართლისათა:

გაბძანდნენ მეფენი ქართლისა და კახეთისანი აჯი-ჩალაბის შვილსა და განჯის ხან-ზე, რომელნი იდგნენ ყაზახში, გატეხილ-ხიდს რომ გაბძანდენ დახვდათ ლეკი, გაემარჯვათ ჩერქეზთა ლეკ-ზე: მიუვიდათ ამბავი ქართლისა და კახეთის ვალი ორივ შენ-ზე მოდისო. აიყარა მაშინვე და წავიდნენ განჯისა-კენ: მოხსენდა ბატონებს, წაბძანდენ მაშინვე საჩქაროდ, რა მიბძანდენ იმათ სასადგომარში ბარგი და ქვეითობი იქ დააყენეს და ბატონები ორნივ ცხენოსანით ჯარით გამოუდგნენ, ჩერქეზის ჯარი, სულ ქისიყელთა ჯარი და ქართველთა-თავადთა შვილი არჩევით, ეს

(1) დედანში პოდპოლკოვნიკ- ჭიჭერია. გ. 6.

მეფე-მ ერეკლემ იახლო და მეწინავედ წაბძანდა, სხვა რაც ჯარი იყო ქართველთა და კახთა ეს სულ ქართველს ბატონს იახლნეს და ისე რაზმ დაწყობით წაბძანდა, ყაზახის-ხანი და ზოგი ყაზახელნი ბატონს შემოეყარნენ: გაჯდა უკეთესა ცხენსა მეფე ერეკლე, ჭკრა მათრახი და წავიდა, ვითა შავარდენი. ყაზახისა და სამშადილოს სამძღვარში რომ ჩავიდა აჯი-ჩალაბის შვილი, მოეწია მეფე ერეკლე. რა ცნეს ჯარის მიწევა დადგნენ და შემოებნენ. ასე ძალიან მოინდომეს (ომი), რომ სახმლოდ შიგ ჯარში შემოვიდნენ, ცოტას ალაგს ოსის ჯარიც გამოაქციეს: მეფე-მ ერეკლემ იწყინა, მიბძანდა თვითონ, მიუძღვა ჯარს და ვითა ლომი ეგრე მიესივა, გაერივა ხმალ-და-ხმალ, ამის მნახველი ვინღა დადგებოდა უომრად, იამაზ მოურავი მიუძღვა ქისიყის ჯარს და
241 ამას ბძანებდი. „ამის უკეთესად ერთი მეომარი კაცი აღარ იქნებაო." გააქციეს აჯი-ჩალაბის შვილი და განჯის ხანი, გაერივნეს ჩერქეზნი შიგა და ვითა კატათა ეგრე ხოცდენ ყიზილბაშთა: დიდის ჩერქეზის ბატონი-შვილი, რომელსა ერქვა ქერუყ ასე შევიდა ყიზილბაშის ჯარში, ასე ეგონებოდა კაცსა ლხინად მივაო. ქება აღარ გაეწყობოდა, ასე ლომ-გულად იყო, აგრევე ჩერქეზთა ჯარი ყოველივე ვაჟ-კაცურად იყვნეს და კაი ხმალი მოიქნივეს: უბძანა ჯარს მეფე-მ თეიმურაზ შეტევება, მოიშალა რაზმი, გაერივნეს ქართველნი, კახნი, ჩერქეზნი ყიზილბაშთა ჯართა შინა. გაიყარეს წინ და ხოცვით განჯის მინარამდის მიყვნეს, ამოწყვიტეს, ყათლამი დამართეს, მკვდარს გარდა ათას-ხუთასი აჯი-ჩალაბისა და განჯის ხანის ჯარის კაცი დაანარჩუნეს, შირვან-შამახისა დიდროვანი კაცები დაიჭირეს, აჯი-ჩალაბის სარდლები დახოცეს: დარჩათ საქონელი, ჯორი, აქლემი, ყოველივე საცხოვრებელი მათი:

მიბძანდნენ მეფენი გამარჯვებულნი და ჩამოხდნენ საომარსა ალაგსა სამშადილოსა ალაგსა შინა, ისინი წავიდნენ დამარცხებულნი. განჯის ხანი განჯას შევიდა, აჯი-ჩალაბის-შვილი შაქს მივიდა, სხვა რაც ჯარი გარდარჩომოდა დაიფანტნეს, ყველა თავ-თავის ალაგს მივიდნენ, გაუსივეს მარბიელი სამშადილოს ქვეყანასა, მოარბივეს ქვეყანა მათი, დაწვეს, მოაოხრეს, ვითაც ემართლებოდენ ქართველნი, აიყარნეს იქიდამ, მობძანდნენ ყაზახში, შემოეყარნენ ყაზახის უფროსნი კაცნი, რომელთა დანაშაული ჰქონდათ, ამხილეს მეფეთა ჩვენთა და დამნაშავენი და ორგულნი რომელიმე მოაშთვეს წყალში, რომელთამე თავი წარკვეთეს და რომელიმე ჰპატიმარ-ჰყვეს, ერთგულთა წყალობა უიმედეს:

242 მუსაყული-ხან ძველი ბორჩალუს-ხანი, რომელი შემორჩა ქალაქს და არ მიუდგა აჯი-ჩალაბს ამას უბოძეს ბორჩალუს ხანობა და გაისტუმრეს ალჯაყალას: ბორჩალუს ხანი, მუსა ბაიდრის სულთანი, ვითაც დამნაშავენი იყვნეს და ორგულნი გაიქცნეს, მივიდნენ ქვეყანათა ერევნისათა:

აიყარნეს მეფენი ყაზახიდამ გამარჯვებულნი და საქონლითა სავსენი მობძანდნენ სოღანლუღში, დადგნენ იქ და იქიდამ განაწყვეს საქმენი ყაზახ-ბორჩალუსნი, შეუნდვეს ცოდვა და აპატივეს დანაშაულნი, მოართვეს მოსართმევნი და აქებდენ მოწყალებასა მეფეთა ჩვენთასა: დაიბარეს ხუდათ-ბეგ განჯის ხანის დის-წული, რომელი იყო ქალაქს თბილისს მზევლად, გაისტუმრეს

განჯას და შემობძანდენ ქალაქს, ჩამოხდნენ სეითაბადში, გაიხადეს ფეხთ ორთავ მეფეთა და სულ ქართველთა და კახთა დაირბაისელთა, პატრიარხი ანტონი სამღვდელო დასით წინ წამოუძღვა და ჯვრით მობძანდნენ სიონს ეკლესიაში და სამადლობელი პარაკლისი გარდაიხადეს: იქიდამ ისევ ცხენებით და ჯარით მობძანდნენ სამეფოთა დარბაზთა ზედა, შეიქნა სროლა ზარბაზანთა და ცემა ქოს-ნაღარათა და სპილენძ-ჭურთა, იყო ქალაქსა შიგან სიხარული ფრიადი:

ჩერქეზის ბატონები და მათი თავადნი ქალაქსა შიგან დააყენეს და მათი ჯარი დიღომს, ხუთი დღე მეჯლისით და ლხინით განუსვენეს და მეხუთეხა დღესა უკან დაეთხოვნენ ჩერქეზნი და წასასვლელად დაემზადნენ, მისცეს მრავალი ბატონთა ჩერქეზისათა და თავადთა მათთა ოქრო, ვერცხლი, ლარი ტურმანი და აგრეთვე ჯართა მათთა თეთრი, რომელსა დაპირდებოდა მეფე ერეკლე: წავიდნენ ჩერქეზნი გამარჯვებულნი და საქონლით სავსენი ქვეყანათა თვისთა და ეს პირობა მოახსენეს მეფეთა: „რასაც დროს თქვენი ბძანება მომივიდეს, მაშინვე ჯარით გიახლოთ, ჩვენი თავი თქვენს სამსახურ-ზე დაგვიდვიათ:“ მოუვიდა ქართველს ბატონს კალმუხის ხანისა-გან ფეშქაში და მოეხსენებინა: „რაერთსაც ჯარს გვიბძანებთ, კაის ჯარს გაახლებთ:“ უბოძა საბოძვარი კაცთა მისთა და გაისტუმრა, ზამთრის ჟამი იყო და მისწერა: „გაზაფხულის ჟამს ჩვენს კაცს გაახლებთ და რაც ჯარი მოგახსენოთ იმდენი გამოგვიგზავნეთ:“

ზეიდალი-ხან გაგზავნეს ერევანს მეფეთა ჩვენთა, ამის-თვის რომ ქართველ-ბატონის დას- 243
მული ხანი აბდულ-ხან აზატ-ხანს დაებარებინა და თავის-თან შეენახა, აღარ გამოეშვა, ერევნის ხანობა გამოერთმევინა და ისევ ასან ალიხანისა-თვის მიეცა, რომელიც უწინ იყვნა: გამოგზავნა ეს ხანიცა და ავლის ჯარიც ერევნის ციხეში დაეყენებინა: ესეები ყველა ბატონის ჩვენის წინააღმდეგი საქმე ექნა: ეს ზეიდალ-ხან ერევნის ციხეში უნდა შესულ-იყო და თავის მაგიერად აზატ-ხანს დალაპარაკებოდა: „თუ შერიგებას მოინდომებდა ბატონებიც შერიგდებოდენ, შაჰნაზ ხან იყო აზატხანისა-გან გამოგზავნილი ერევანს, დიდებული კაცი, ეს მოეგება ზეიდალ-ხან და დიდი პატივი მისცა, ერევნის ციხეში დააყენა და ლაპარაკი დაუწყო აზატ-ხანს:

სულ-ხან ემიკალასბაში გაგზავნეს ყაზახში, იმ ქვეყნისა საქმის გასაგებლად. კახი ბატონი წაბძანდა კახეთს, ქართველთ ჯარები დაითხოვეს ყოველნი, წავიდნენ ქვეყანათა თვისთა:

შეიტყეს გარემოს მტერთა, რომ საქართველოსა და კახეთის ჯარები მოიშალა, შემოიყარა ჯარი ჭარისა და შირვანისა აჯი-ჩალაბის შვილმა ალაქიშიმ, წამოვიდა, განჯის ხანმაც თავის ქვეყნის ჯარი გამოუშვა, ეს ჯარები ყაზახ-ზე მოვიდნენ: სულხან ემიკალასბაშს ამბავი მოუვიდა, ჯარი ხომ არა ჰყვანდა, ამის მეტი ვერა ღონე მოიპოვა, წამოვიდა ჩქარად ქალაქს, ქართველს ბატონს მოახსენა ეს ამბავი და ჯარი სთხოვა მოხმარებისა. ამა ამბავში მოვიდა აჯი-ჩალაბის-შვილი დიდის ჯარით და ყარაბაღის ჯარი ყაზახში, დაუწყეს რბევა, ყაზახელნი აყრილ-იყვნენ, სიმაგრეებში შესულ-იყვნენ. მაგრამ სიმაგრეები გატეხეს და მრავალი იშოვეს, ბევრი ალაგები დაარბიეს, ეს საქონლით სავსენი ჩამოხდნენ, ისევ ყაზახში: ყაზახს ამა-ზე მტრობდა და ელა-

ჰარეკებოდა: „თქვენ მომიყვანეთო და დავმარცხდით და ჯარი ქართველთ ამომიწყვეტესო, სისხლი
თქვენ-გან მინდაო:“ უფრო მტრობას აპირობდა, ჯერ წასვლა არ უნდოდა, იდგა იქავ და არბევდა:
ქართველ-ბატონმა ამის მეტი ჯარი ველარ მოისწრა, სომხით საბარათაშვილოს ჯარს სანქაროდ
დაუძახეს, ამას დიმიტრი ეშიკაღასბაში და მდივან-ბეგი იოანე უთავა. მოქალაქეთა ჯარი, ცოტა-
რამ მთის ჯარი იყო ქალაქში ისი, ბამან-ხან თავისის თაბუნის კაცით, ბორჩალუსა და დემურ-
ჩასალის ჯარი, ესე ყოველნი სანქაროდ შეყარეს: ამ ჯარს ყველას ბატონმა თავის ნაცვლად მუხრა-
244 ნის ბატონი სახლთ-ხუცესი კონსტანტინე უთავა და ყაზახს მიაშველა: ეს ჯარი რომ აღჯაყალას
ჩავიდა, შეიტყო აჯი-ჩალაბის შვილმა. „ქართველთ-ჯარი მოვიდა შენ-ზედაო.“ აიყარა მაშინვე ამ
საშოვრით და წავიდნენ: სულხან ეშიკაღასბაში და ბამან-ხან კაის ცხენოსნის კაცით, ჩავიდნენ
ყაზახში. მაგრამ ველარ ჩაუსწრეს. ესენი იქავ ყაზახში დადგნენ. მუხრან-ბატონი და ეს ქარ-
თველთა ჯარი დადგნენ აღჯაყალას: ქართველ-ბატონმა გაგზავნა ჩაფარი, ეს ამბავი აცნობა კახ
ბატონს, დაიბარა ჯარით ქისიყელნი, მიუხდნენ შამშადილოს, მრავალი კაცი ამოწყვიტეს და სა-
ქონელი წაუხვნეს, წავიდნენ გამარჯვებულნი, გზა-ზე დახვდათ მიმავალი ლეკის ჯარი, ნაშოვრით
მათ-ზედაც გაემარჯვათ, ლეკი ბევრი მოკლეს, ტყვე ანუ საქონელი, რაც ჰყვანდათ სულ დაა-
ყრევინეს,

ჩამობძანდა კახი ბატონი მეფე ერეკლე, ერთ-პირად ქალაქსა ტფილისისასა, თან-ჩამოყვა დარ-
ბაისელნი კახეთისანი და ჯარი შეიყარნეს მამა შვილნი და იყო ლხინი და განცხრომა ფრიადი.
დაიბარეს აღჯაყალიდამ მუხრან ბატონი კონსტანტინე და ჯარი ქართველთა, რომელი ახლდა თან
შემოიყარეს ზემო-ქართლისა და ორისავ საერისთოს თავადნი, თვისის ჯარით ქალაქსა ტფი-
ლისისასა:

მოვიდა აზატ-ხანის ჩაფარი, მოერთმევინა ბატონებისა-თვის წიგნი დიდის ერთობისა და
შერიგებისა, ერევანს რომ ზეიდალ-ხან აქედამ მისულ-იყო შეეტყო, მაშინვე დაებარებინა, რა
ჩასულ-იყო და ენახა დიდი პატივი მიეცა და დიდათ სიხარულად მიეთვალა ქართველ-ბატონისა და
კახ-ბატონის გალაპარაკება და შერიგება: ეს ჩაფრები წინ გამოგზავნა და მერე ზეიდალი-ხან
გამოესტუმრებინა მისაცემელითა ფრიადითა და შემოეფიცა ყურან-ზე ზეიდალიხანისა-თვის: „მე
ქართველ ბატონის ორგული არ ვიყოო და სამსახურიც მინდოდესო და რაც მიბძანოს მორჩილი
ვიყოვოო:“ ეთქვა: „მე რომ შენ შემოგფიცეო, შენ ჩემ მაგიერად მეფეს თეიმურაზს და მეფეს
ერეკლეს შეჰფიცეო:“ მოვიდა ზეიდალიხან ქალაქსა ტფილისისასა, მოიტანა ეს ამბავი, თან-
გამოეტანებინა აზატ-ხანს ოთხი თვისი მისანდო კაცნი, მოვიდნენ, ნახეს მეფენი მორწმუნენი
245 და დასჯერდნენ ფიცსა და ამ შემოთვლასა აზატ-ხანისასა, უბოძეს საბოძვარი კაცთა მათთა და
გაისტუმრეს ისევ და თან გაატანეს მარტყოფის მოურავი ქაიხოსრო და მელიქის შვილი აბაბეგ.
ამათაც მისწერეს წიგნი ერთობისა და ნდომისა, უბძანეს პირობა: „თუ შენ ჩვენ-ზე არა
იმტყუვნო-რაო ჩვენც შენ-ზე არა ვიმტყუვნოთ-რაო, წავიდნენ ესენი: მაშინ აზატ-ხან
იდგა . . . . .

მეფეს თეიმურაზს მეფის ერეკლეს მეტი ძე არ ესვა და ორთავ მეფეთა სასურველი. ვახტანგ იყო ძე მეფის ერეკლესი, შვენიერი და ხელმწიფობისა მათისა საკადრისი ძე და ყოვლისა სიკეთითა შემკობილი, ასაკითა იყო მცირე. მაგრამ ამას იტყოდა მისი მნახველი. „ახლავ ხელმწიფობა შეეფერებაო:" ამას უბოძეს მეფეთა რაც ქართლში და ან კახეთში საბატონიშვილო მამული იყო, სოფელი ან ციხე და ალაგი, აგრევე არაგვის ერისთვის მამული მთლივ მთა და ბარი საუფლისწულოდ გაურიგეს: უბძანეს ჯიმშერს ერისთავს: „სანამდის ეს ჩვენი შვილი გაიზრდებოდესო, ან ქვეყნის მოვლას შეიძლებდესო, ეს ჩვენი შვილიცა და ეს ქვეყნებიც შენ-თვის მოგვიბარებია, რიგიანის საქმით ამ ქვეყნებს მოუარეო და ჩვენს შვილს ამსახურეო:" ამისა შემდგომად აღაშენა ციხე დუშეთისა ჯიმშერ ერისთავმა და ცდილობდა შემატებასა ამა ქვეყნებისასა მეფენიც ჯეროვნად უსმენდენ:

ქორონიკონს უმა, თვესა იანვარსა, ჩაბძანდა მეფე ირაკლი ქართლისა და კახეთის ჯარით ბაიდარში: იქ სანი აილო ჯარისა და ენება ყაზახში წაბძანებულ-იყო, დამდგარ-იყო და იქიდამ გარემოთა მტრისა-თვის პასუხი მიეცა და ყაზახ-ზედაც გული დაეჯერებინა ერთგულობისა: შეიტყვეს ყაზახელთ, მოვიდა სულთნის ძმა თალიბეგ და ყაზახის ქეთხუდები, მოართვეს ფეშქაში და შემოეხვეწნენ: „ამდენის ჯარის დახდომას ჩვენ ვერ შევიძლებთო, მძევლებს მოგართმევთ, რომ თქვენის მეტი ბატონი ჩვენ არა გვინდოდესო და ჯარიც დაგვიყენეთო და თქვენ კი ნუ გაირჯებითო:" უსმინა ეს მოხსენება მეფე-მ ერეკლე-მ, გამოართო მძევლები და გამოგზავნა 246 ქალაქსა თბილისისასა: აარჩივეს ხუთასი ცხენოსანი კაცი, ამას უთავეს მილახორი რევაზ და ამილახორის შვილი რევაზ ქართლისა და კახეთის კაცსა, ბამან-ხან თავისის კაცით და ესენი გაგზავნა ყაზახში, დააყენა მესაპირეს ჯარად. რად-გან ელების კაცთ ბევრი შემოსცოდეს ქართველ-ბატონს და ამათაც დანაშაული აპატივეს, ალარც ასე ენდვნენ, რომ კიდევ იმ გვარი საქმე ექნათ, ჩააყენა მეფე-მ ერეკლე-მ კაცნი ჩინებულნი ბორჩალუსა ბაიდარში, დემურჩასალის ელებში, კახეთის ელებში და ვინც თავი დოზების ქეთხუდები იყვნენ სულ ყველა ცოლ-შვილით აჰყარა და მოიყვანა ქალაქსა თბილისისასა:

თითონაც აიყარა ჯარით, წამობძანდა ქალაქიდა-მ ქართველ-ბატონი, გაბძანდა, შეიყარნენ მამა-შვილნი ერთად, ინადირეს, ილხინეს, და ეგრევ ერთად ორივ მეფენი შემობძანდენ ქალაქსა თბილისსა: აჰყარა კახეთის ელი კახმა ბატონმა, წაიყვანა კახეთს, დააყენა თიანეთს: მოუხდა ჯარი ყაზახს, შეებნენ ქართველნი და კახნი, გაემარჯვათ ლეკ-ზე: გაიქცა ბამან-ხან. თავისის კაცით ყაზახიდამ, თან-გაჰყვა ცოტას კაცით ზურაბ ქსნის ერისთავის შვილი, მივიდნენ განჯას, მოეგება განჯის-ხანი, იამა დიდათ, დააყენა პატივით განჯას, აცნობა აჯიჩალაბს: მაშინვე დაიბარა, წავიდნენ მაშინვე ბამან-ხან და ზურაბ, მისცა ხალათი და თეთრი ინამად და დაჰპირდა ბამან-ხან. და ზურაბ ერისთვის-შვილი ქართლის დაჭერასა: დაუჯერა აჯიჩალაბმაც და შექნა მზადება, შემოიყარა ჯარები და დააპირა წამოსლვა ქართლი-ზე და კახეთი-ზე, ორ-პირად გაყო ჯარი, ერთს ჯარს

ბამან-ხან მოუძღოდა ქართლ-ზე, მეორეს ზურაბ ერისთვის-შვილი კახეთ-ზე, ამათ ახლდათ ჭა-
რელნი, შაქის-შირვანისა, განჯა-ყარაბაღისა, ბარდისა, ბარგუშათისა და სიღნაღისა: ამ ქვეყნე-
ბის ჯარი ეყოლა ქართლსა და კახეთ-ზე გამოუმზადეს: ამა ამბავსა შინა აეშალა აჯიჩალაბს შა-
მახიის ხანი და ყუბა-ხან, შეემოებმნენ, გაემარჯვათ, დაუმარცხეს აჯიჩალაბს და განჯის ხანს,
ასე რომ ყაოლამი დამართეს: მოვიდა განჯას გამოქცეული განჯის ხანი და თან-მოჰყვნეს ბამან-
247 ხან და ზურაბ ერისთვის შვილი, ნაუარათ ცუდმა თათბირმან, დარჩნენ განჯას შეწუხებულნი, ცოლ-
შვილი დარჩა ქალაქსა თბილისსა: ბამან-ხანს ქსნის ერისთვის ქალი ჰყვანდა ცოლად და აღარ მი-
სცეს; რადგან ერევნის აზატ-ხან ეჭვიდებოდა მძლავრებით, ქართლისაც უნდოდა დაჭერა. მაგრამ
ქართველთ ხმალი ბევრ-ჯერ ესახა და ძალით ველარა გააწყო რა და ახლა დაიწყო ცდილობა შე-
რიგებისა-თვის, გამოუგზავნა კაცი და მიუთხოვა თავის-თან ბატონის სანდო კაცი: აქედამ რომ
გაისტუმრეს მოურავი მარტყოფისა ქაიხოსრო და რადგან იმან შემორიგება მოინდომა მეფე-
თაც ნება დართეს: რა მივიდა ქაიხოსრო მოურავი, მისცა პატივი დიდი და მრავლის მისაცემე-
ლით გამოისტუმრა, შემოეთვალა: „ჩემი სამსახური გეჩვენებათო და ჩემთვის გულის დაჯერებაო,
ერთი თქვენის სახლის ქალი ჩემდა საცოლოდ მომეცითო და მერე მე ვიცი რამდენს თქვენს
ქვეყანას შევმატებო:" მოვიდა მოურავი, გამოეტანებინა თვისნი მისანდონი კაცნი: რადგან
ადრიბეჟანის ქვეყანაში გამოჩენილი კაცი იყო და მერე ქართლს სხვა მტრებიც ბევრნი ჰყვანდნენ.
ამის-თვის ამას უარი ველარ უთხრეს მეფეთა ჩვენთა და უბოძა მეფე-მ თეიმურაზ თვისი დის-წული,
(რომელი) ჰყვანდა აბდულა-ბეგს პეგუმ, იმისი ქალი მარიამ ბეგუმ, აზატ-ხანის კაცთ გაატანეს მეი-
თარი იოანე კახი და დაიბარეს წასაყვანელად კაცნი: რა მივიდა მეითარი, იამა აზატ-ხანს დამო-
ყვრება ქართველ-ბატონისა და კახ-ბატონისა, მისცა მეითარს ფრიადი:

ამის შემდგომად გამოუგზავნა აზატ-ხანს ქალის წასაყვანელად მირზა შეფა თავრიზელი,
დიდებული კაცი, რომელი ყოფილ-იყო შაჰნადირ ყაენისა მახლობელი კაი ყმა და მდიდარი კაცი,
ამას მოჰყვა ათი-თხუთმეტი ავლის უფროსნი კაცნი ასის-თავნი და ათასის-თავნი. ამათ-თვის
248 გამოეტანებინა მცირე ჯარი, მოერთმევინა საქორწილოდ თვალ-მარგალიტთა მიერ შეთხზული
იარაღნი ოქროსანი ქალისა-თვის და აგრეთვე ბატონებისა-თვის ლარი ტურფანი, კიდებულნი
ჯორთა და აქლემთანი და დედოფალთა-თვის, უფლისწულთა-თვის თეთრნი და ოქრონი. აგრეთვე
დიდებულთა თავადთა ქართლისა და კახეთისათა ყოველთა-თვის ლარნი თვისად და თვისად შესა-
კადრნი: ესე ყოველთა მიუძღვნესეს და მეფეთაც ამა მოსულთა ყიზილბაშთა უბოძეს ურიცხვი:
ამზადეს ქალი მარიამ ბეგუმ და გაისტუმრეს. ამას-თან გაატანეს, ორბელიანი იოანე მდივან-ბეგი
და ზაალ თვანქჩი ალასი: წავიდნენ, შეეყარნენ აზატ-ხანს ქვეყანასა არაყისასა ფერიას, სცა დიდი
პატივი მდივან-ბეგს იოანეს და ზაალს, უბოძა ხალათი მძიმე და ინამად თეთრი, გამოუგზავნა
კაცი თვისი მახლობელი მეფეთა და შემოუთვალა მადლი ქალისა და დაპირდა ერთობასა და სი-
ყვარულსა: თითონ წავიდა ქალაქსა ისპაანსა დასაპყრობად და თანა-წაიყვანა მდივან-ბეგი და ზაალ

ორბელიანნი. ამათ მიანიჭნა პატივი დიდი მისაცემელითა ფრიადითა და ლხინ-განცხრომითა განუსვენა. ყოველ-დღე იყვნენ ამატახანთან და სცემდა პატივსა უზომოსა:

გარდმოვიდა დიდროსი ჯარები დაღისტნიდამ, მივიდნენ ქვეყანასა ბამბაკისასა, გატეხეს ციხები, დაატყვევეს, ამოწყვიტეს, ურიცხვი ტყვე და საქონელი წამოიღეს: მიუხდნენ ყარსისა ქვეყანათა, წაახდინეს მრავალი ალაგი, ვერსად გამოუჩნდათ წინააღმდეგი, მივიდნენ ჯოგბას, აიღეს ციხე და აიგლეს ყოველი საცხოვრებელი მათი. მიუხდენ ერევნის ქვეყანასა, დაუწყეს რბევა ქალაქისა თბილისისასა გარეშემოთა: შემოიყარა ჯარი ქართველმა ბატონმა მეფემ თეიმურაზ და კახმა ბატონმა მეფემ ირაკლიმ ქართლისა და კახეთის ჯარი, გაბძანდენ ქალაქით, დადგნენ მარაბდას: მოვიდა ჯარი ლეკისა, შეიბნენ, შეუტივეს მეფეთა ჩვენთა გულ-სრულად და გასილიე- 249
რეს ჯარი, ვინცა დადგებოდა მსახველი მათი, რომ აღ შეეტივათ, ქართველთა და კახთ ყოველთავე ერთობით შეუტივეს, გაწყვიტეს ჯარი ლეკისა ორად: ერთი წავიდა ზევით ბირთვისის მხარეს და მეორე ჯარი იაღლუჯისაკენ ზევითისა ჯარსა, თვით მეფენი ორნივ გამოუდგნენ ხოცვითა და ხმალ-და-ხმალ კაფვით და ერთსა ვიწროსა ხევსა შიგან ჩაყარეს და მიბძანდეს მეფენი და ჯარი გარს შემოიხვივნეს: იყო სალამომდის სრულა, ამოწყვიტეს ლეკნი, რომ ყათლამი დამართეს. იაღლუჯისაკენ რომ ლეკნი გაიქცნენ ამათ მუხრანის ბატონი კონსტანტინე გამოუდგა და ზოგნი ვინმე ქართველთა და კახთა თავადთაგანი, დაერივნენ შიგ ხმალ-და-ხმალ, ასე ამოწყვიტეს ლეკნი, რომ მცირედიღა გარდარჩნენ, იმ დღეს კენახათ მუხრანის ბატონი ივალაზისის მსგავსად იბრძოდა, დააწყლულეს მუხრანის ბატონი და გამობრუნდნენ გამარჯვებულნი, მოვიდნენ, ჩამოხდნენ ისევ მარაბდას მეფენი და მიულოცეს გამარჯვება ქართველთა და კახთა, უბძანეს ყოველთა ჯართა იმედი და წყალობისა სიტყვები: მიბძანდნენ ორივ მეფენი მუხრანის ბატონისა კარავსა შინა, მოიკითხეს დაწყლულება მისი და ნუგეშინისცეს, უიმედეს წყალობა და უქეს გულოვნება და გაისტუმრეს ქალაქსა თბილისისასა:

ამილახვარის შვილს რევაზს მინბაშობა უბოძეს, ქალაქის ციხე მიაბარეს: აიყარნენ მარაბდით, შემობძანდნენ ქალაქსა რამდენისა დღეთამე. წაბძანდნენ ლართის კარ-ზე, დაუყენეს ხანი ტატა, კიდევ დაიბარეს ჯარი საერისთოებისა, დაიჭირეს ერისთავი შანშე, მისცეს ქსნის ერისთობა მის ძმის-წულს დავითს. შანშე გამოგზავნეს ქალაქს, შეიპყრა სენმა და მოკვდა შანშე: კახი ბატონი წაბძანდა კახეთს, განასრულა გალავანი თელავისა. ქისიყელნი შეუხდნენ, ჭარის სოფლები დაარბიეს: ლართისკარ-ზე ჯარი დააყენა, ბატონი მიბძანდა ქალაქსა: კახი დედოფალი დაწვა, შვა ასული ელენე:

ქორონიკონს უმზ, მამუკა იმერეთ მეფის შვილი გარდმოაგდეს თავისის მამულით ურუმთა, 250
გარდმოვიდა, შემოეხვეწა ქართველს ბატონს და კახს ბატონს, გაგზავნეს ელჩად ახალ-ციხის მოურავი იორამ, შეარიგეს ისევ ფაშას და მამული, რომელი წაერთმია უშოვეს ისევ და გაისტუმრეს ისევ ქვეყანასა თვისსა: მოვიდა ელჩი ახალ-ციხის ფაშისა, მოუწერა წიგნი ერთობის

და სიყვარულისა: წაბძანდა კახი ბატონი ფშავში, შემოიყარა ჯარი ფშავისა და ხევსურისა და
ჩამობძანდა ქალაქსა თბილისისასა:

მოვიდა ჯარი ლეკისა, ჩადგა სომხითში, მივიდნენ იდუმალ ღამით, შეეპარნენ სამწევრისის
ციხესა, აიღეს ერთი მხარე ციხისა, გაუმაგრდნენ მეორესა მხარესა მეციხენი: შემდგომად ამისა
მიუხდნენ, შემოადგნენ ციხესა მჩხიკვითისასა, შემოუგზნეს ცეცხლი კარსა და გამოწვეს კოშკსა
შინა ვინც ბარათიანთაგანნი იდგნენ შიგა: მივიდა ეს ლეკის ჯარი ამა ციხების ნაშოვრებით და
დადგნენ ფიტარეთის ციხეში: გზა იყო საჭირო და ვერა მივიდნენ ჯარნი ჩვენნი. მოინდომეს
მეფეთა ჩვენთა მათი შებმა, იგრძნეს ლეკთა, გავიდნენ ისევ სომხით-ზე, მივიდნენ ახპატს, იქი-
დამ ჩაიარეს ყაზახის მთა-ზე და წავიდნენ განჯას:

აპრილს ქორონიკონს უმბ დამარცხდა ამილახვარის-შვილი გივი მაჭუტლი-ხან, რომელი
იყო დიდებული და მდიდარი კაცი და ყოველ-გან სახელ-განთქმული, ქალაქის მოურაობა მისცეს
ბატონის-შვილს ვახტანგს, ნაიბობა მილახვარს რევაზს: მოვიდა კაცი განჯის ხანისა, მოუწერა
წიგნი შერიგებისა და ერთობისა, მეფეთა გაიტანეს მარტყოფის მოურავი ქაიხოსრო, ამათ ინე-
ბეს ერთობა და შერიგება შირვანის ხანისა, აგრეთვე ერევნის ხანისა ელჩები მოვიდნენ, ცდილობ-
დნენ გარემოსი ქვეყნების კაცნი შერიგებასა და ერთობასა ქართველთასასა: წაბძანდა მეფე ერე-
კლე კახეთს, მიბძანდა ქისიყს, დაიჭირა ქისიყის მოურავი თამაზ და ჰერობილ გაგზავნა და დაა-
251 პატიმრა ციხესა სურამისასა: მიბძანდა ქართველი ბატონი, ააშენა ციხე წარასყურისა და დაა-
ყენა მას შინა ბარათიანნი: მცირედთა ხანთა იყო წყალობა ქისიყის მოურაობისა ამილახვარი-
შვილს იასეს და დაადგინა ქისიყს მოურავად: განუტევა მშვიდობით პატიმრობისა-გან თა-
მაზ მოურავი:

მოვიდა მარტყოფის მოურავი განჯიდამ, მოჰყვა კაცი განჯის ხანისა, მოუწერა წიგნი ერ-
თობისა და სიყვარულისა: ხამან-ხან, რომელი იყო სიძე ქისის ერისთვისა და განჯას იყოფებოდა
შემოწყრომით, შემოხვეწილ-იყო და მოსვლის დასტური ეთხოვნა: გაგზავნეს მეფეთა ჩვენთა
ამას მოსაყვანად ნახჩიობაში სვიმონ მუხრან ბატონიშვილი: მოვიდა კაცი მდივან-ბეგის იოანე
ორბელიანისა და ზაალისა, რომელნი იყვნენ ისპაანს აზატხან-თან, მოსულ-იყვნენ ერევანს,
მოეცა აზატ-ხანს ამათ-თვის ოქრო და ლარი ურიცხვი, ორი თავისი მისანდო ყული თან-გა-
მოეტანებინა მეფეთა და დედოფალთა-თვის საკადრად თვისად ოქროთ იარაღი ან ლარი, ტურ-
ფანი მოერთმევინა აგრეთვე პატრიარქისა და ქართველთა და კახთა დიდებულთა კაცთა-თვის: და-
ვარდა ამისი ხმა ყოველ-გან. ერანის ქვეყნიდამ დიდი ყაზინა მოდისო, ტყუვილი არ იყო. მაგრამ
რომ ეგონათ გარემოსთა ქვეყნებისა კაცთა, იმდენი კი არ იყო: წამოვიდა ორ-სამ პირად ლეკის
ჯარი. ერთი წავიდა ერევნის მხარეს, მეორე სომხითის მხარეს და მესამე ჯარი ზემო-ქართლი-
საკენ შეიარეს: ბატონებს მოეხსენდათ. ეს ჯარები ყველა იმათ დასახდომად გამოვიდნენ: მა-
შინვე გაგზავნა ბატონმა ჩაფარი ერევანს, მისწერეს მდივან-ბეგს იოანეს და ზაალს: ,,მანდავ

მოიცადეთო, ეს ჯარები თქვენ-ზე წამოვიდაო და როგორც ჩვენი ბძანება მოგივიდესთო ისე
ქენითო:“ დამდგარ-იყო ერევანს და მიეცა ერევნის ხანს დიდი პატივი. აგრევე კარგად დახვდო-
მოდათ სომხითს პატრიარქი ეჩმიატის: ერევნისა-გან რომ ლეკის ჯარი წავიდა, იმან წაახდინა 252
სადარაგი, უყვეს ყათლამი, წამოიღეს საქონელი, ტყვე ამდენი, რომ სიმრავლისა-გან ძლივ მიქონ-
დათ, ჩაიარეს ყაზახ-ზე და წავიდნენ ნაშოვრით სავსე. ყაზახის ჯარიც თან-გაჰყოლოდათ ამ
ლეკის ჯარს, იმათაც ბევრი ნაშოვარი მოიტანეს:

აბძანდეს ორივ მეფენი ქართლისა და კახეთის ჯარით, მიეშველნენ ზემო-ქართლს, გაგზა-
ვნეს ჩაფარი და მდივან-ბეგი და ზაალ ორბელიანი დაიბარეს: „მაგ ახსატ-ხანის კაცსა და საქო-
ნელსა გამოუძეხითო, ურუმის ქვეყანა-ზე გამოიარეთო და ზემო-ქართლში შემოგვეყარენი-
თო:“ რად-გან სომხით საბარათაშვილოს ალაგები ხარაბა იყო და მტრით სავსე, იქით მშვი-
დობისა-თვის დაიბარეს, ისპაანის ყაფილაც მოსდევდათ, და ემორჩალეს ჯარი მიაგებეს ერევანს,
გამოუძღნენ, მოვიდნენ ახალ-ქალაქს, დახვდნენ საკადრად დიდის პატივით ურუმნი, მოარიდეს
სამასპინძლო, წამოვიდნენ, იქ მიაგებეს ჯარით აბაშიძე ნიკოლაოზ, ჩამოიარეს ხეობა-ზე, მო-
ვიდნენ ქვიშხეთს, ვითაც სიძე იყო ნიკოლაოზ აბაშიძე მდივანბეგისა, განუსვენეს ლხინითა
უზომოთა და მისცა მდივან-ბეგმა ასულსა თვისსა თვალ-მარგალიტი და ლარი ტურიფანი,
აგრევე სიძესა თვისსა, წამოვიდნენ, მოვიდნენ გორს: ლეკის ჯარმა წაახდინა ტინის-ხიდი და
მივიდნენ, შემოადგნენ დირბის ციხესა: მიაგებეს დიმიტრი ეშიკაღაბაში მდივან-ბეგს და ზაალს
ორბელიანთ, წაუძღვა ჯარით, მივიდნენ ქრცხილვანს ქართლისა და კახეთის პატრონნი ორივ
მეფენი ჯარებით იქ იდგნენ და ემზადებოდნენ შებმასა ლეკთასა: რა მივიდნენ მდივან-ბეგი და
ზაალ ნახეს მეფენი, აგრევე ახსატ-ხანის კაცნი თან-მიუყვათ, დიდათ იამათ მეფეთა და სცეს პატივი
უზომო, მიართვეს ახსატ-ხანისა-გან გამოგზავნილი ფეშქაშნი. ორთავე მეფეთა-თვის მოერთმევინა,
მძიმენი და უცხო-ქსოვილნი ლარნი, ტურიფანი, საკადრად მეფობისა მათისა, ქართველის დედო-
ფლის ანახანუმისა-თვის ლარი ტურიფანი და ქამარი ოქროსი, მჯურსად გაკეთებული ძვირ-ფა- 253
სისა, კახის დედოფლისა-თვის ლარნი საკადრისი მრავლობით, აგრევე წმიდის პატრიაქის ანტო-
ნისა-გან მძიმენი ლარნი და აგრევე ყოველთა დიდებულთა საჩინოთა თავადთა ქართლისა და კა-
ხეთისათა ყოველთა-თვის ლარნი ტურიფანი მოეძღვანებინა, ესე ყოველნი მიართვნეს: დააყენეს
ახსატ-ხანის კაცნი გორს, მეფენი მიეშველნენ დირბს, ზიგლისავე მისვლაზე აყრძნეს ლეკთა,
მოეგებნენ, შემოებნენ, შეიქნა ომი ფიცხელი: უბძანეს წყალობა მეფეთა ქართლისა და კახეთის
ჯარსა, მივიდნენ გულ-სრულად, ასე რომ თავადთა შვილნი რომელიმე მოკვდა, რომელიმე და-
წყლულდა, სძლიეს ლეკთა ზედა, გააქციეს, ამოწყვიტეს ლეკნი, გაემარჯვათ მეფეთა, გაიქცნენ
ლეკნი, მივიდნენ ციხესა წალკისასა: მორჩა ტყვეობისა-გან დირბელნი, დიდათ გაეჭირებინათ საქმე,
რომ ალებად მიეწურათ. მაგრამ იოანე ხერხეულიძე დასწრებოდა ციხეში და იმას გაემაგრებინა
და ძალა მიეცა და რა მეფენი მიეშველნენ, ვითა შავარდენთა გუნდნი ტრედთანი, ეგრე დაფანტეს

ჯარი ლეკთანი (ლეკთანი), წამობძანდენ გამარჯვებულნი, ჩამობძანდენა გორს, დასხდენ მეჯლისად,
ნახეს ლხინი უზომო:

ამა ამბავთა შინა მოვიდა ამბავი კახეთით. „ხუნძახის ბატონი დიდის ჯარით შილდის თავს
ამოვიდაო, კახეთ-ზე მოდისო, მუქარა მოუთხოვა ქართლსა და კახეთს დავიჭეროო, ჯარიც ასეთი
ყავსო, რომ ჯერ ამის-თანა ლეკის ჯარი ქართლსა და კახეთში არ ჩამოსულაო:“ შეწუხდენ მე-
ფენი და თავადნი ქართლისა და კახეთისანი, ამის-მეტი რჩევა ველარა გააწყვეს-რა, ქართველი
ბატონი ისევ ქართლის ჯარით იქავ ქართლში დადგა და კახი ბატონი კახეთის ჯარით კახეთს
მიეშველა, პირობა ასე დადვეს: „თუ კახეთს გაუჭირდებოდა, ქართველი ბატონი მიეშველებოდა
254 და თუ ქართლს გაუჭირდებოდა კახი ბატონი მიეშველებოდა. თუ თავ-თავისად პასუხი შეეძლოთ,
ეს ქართლს გაამაგრებდა, ის კახეთსა: მიბძანდა კახი ბატონა მეფე ერეკლე თელავს, ხუნძახის ბა-
ტონი იდგა შილდის თავში და ყოველ-დღე ემატებოდა დაღისტნიდამ ჯარი ლეკისა: აყარა
კახეთი კახმა ბატონმა და სულ ციხეებში შეიყვანა და ჯარი სულ კახეთისა თელავს შემოიყარა
და ქართლშიაც ხიზნობა სიმაგრეებში შეიქნა. ჭარელთ, კაკის სულთანმა, აჯი ჩალაბმა, შირვანელთ-
ფანა-ხან, განჯის ხანმა, ამათ ყოველთა პირი მიეცათ: „თუ ეს ხუნძახის ბატონი ქართველსა და
კახს ბატონ-ზე გაიმარჯვებსო, ეს კაცნი სულ ქართლსა და კახეთ-ზე მოვიდოდნენ და ვითაც
მტერნი იყვნენ ეგრევ აოხრებდენ, დაატყვევებდენ და მერე აოხრებულს ქვეყანასა რას უზამდენ,
თავის-თვის უნდოდათ ის კი არ ვიცით: გაგზავნეს მეფეთა კაცნი ჩერქეზში, აღუთქვეს მისა-
ცემელი ფრიადი და დაიჭირეს ჯარი, ეგრევე ოსისა და მთის ჯარები, კავკასიდამ მოიწვივეს ჯა-
რები: ამ ამბავში წამოვიდას თრიალეთის წალკას რომ ლეკის ჯარი იდგა, გამოვიდის საციცია-
ნოზე, დაარბივის ზემო-ქართლის ქვეყანა და მიიტანის ციხესა წალკისასა, გამოუდგის ქართვე-
ლი ბატონი მეფე თეიმურაზ, უპასუხის და ზოგ-ჯერ წაიღიან და ველარ მოეწევიან ქართველნი,
ამით დიდ შეაწუხეს ქვეყანა ქართლისა: ამისა შემდგომად ჩამოვიდა ხუნძახის ბატონი კახეთში:
მიუსწრა კახმა ბატონმა მამასა თვისსა მეფეს ცხებულს თეიმურაზს: „მოშველების დრო ეს არი-
რო, ჯარი ჩამოვიდა კახეთში და ახლავ უნდა წამობძანდეთო:“ რევაზ სარდალი საბარათაშვილოს
ჯარით ტაბახმელას იდგა მენაპირეთ, მოუვიდა ბძანება: „ახლავ შემოგვეყარეო:“ წამოვიდა
255 სარდალი მაშინვე, წამობძანდა ბატონიც ქართლით კახეთისა-კენ: გამოიარა ხუნძახის ბატონმა
გაღმა-მხარზე, დაწვა ზოგი-ერთი ალაგები, გამოვიდა ალაზანს, მოვიდა, დაწვა რუის-პირი, აიყარა,
ავიდა, დაწვა ახმეტა, გაიარა, ავიდა გაგნაკორას: ქართველი ბატონი ჯერ არ მიბძანებულ-იყო.
და მარტო კახეთის ჯარით კახი-ბატონი ვერ შეება, ხუნძახის ბატონს დიდი ჯარი ჰყვანდა, წა-
მოვიდა ქართლზე, კახეთზე ხელი აიღო, გამოუგზავნა კაცი მეფეს თეიმურაზს მეფე-მ ერეკლემ.
„ჯარი ქართლ-ზე წამოვიდაო და ეგ ქვეყნები გააფრთხილეთო, მეც უკან მოვსდევო:“ წამოვიდა
თითონაც კახეთით, ჯარი კახეთისა ქიზიით და ცხენოსანი მთლად თან-ახლდა: გაყო ჯარი ლეკისა
ოთხად ხუნძახის ბატონმა და გამოვიდა არაგვს ოთხ-პირათ, შემოუშვა ჯარი არაგვის ერის-

თვის მამულში, დაწვეს, აიკლეს, ააოხრეს ანანურს აქეთ აღარსად-რა გაუშვეს-რა წაუხდენელი:
მივიდნენ დუშეთს, დაწვეს სასახლე ერისთვისა, შეაბილწეს მონასტერი, ჩამოხდენ იქ დიდის
ნაშოვრით: მიბძანდა ქართველ-ბატონი ახალ გორს ქართლის ჯარით, მოელოდა ძესა თვისსა კახს
ბატონს, აიყარა ხუნძახის ბატონი დუშეთიდა-მ თვესა აგვისტოსა ი, გარდმოვიდა, შემოაყენა
ჯარი ციხესა მჭადიჯვრისასა, რომელი აღეშენებინა მუხრანის ბატონს სვიმონს კონსტანტინეს,
ჩამოხდა თითონ ხუნძახის ბატონი ციხის ბოლოს ჭალაში, გაეკეთებინა სანგარი მაგარი, დაა-
დგმევინა კარავნი, დადგა შიგ და აბრძოლა ციხესა ჯარი ლეკისა. იყო დღე-და-ღამ ბრძოლა და
ომი გაუწყვეტლად: არ ავად იყვნენ მეოფნი ციხისანი, მრავალი ლეკი მოუკლეს და დიდათაც
გულ-მამაცად იყვნენ ციხის კაცნი, უგზავნიდა მუხრან ბატონი ყოველ-დღე კაცსა და ტყვია წა-
მალსა, ამხნევებდა, უთვლიდა იმედსა დაჰპირდებოდა წყალობასა და მოხმარებასა: მიბძანდა კახი 256
ბატონი დუშეთს, აცნობა ქართველ-ბატონს, წამობძანდა ახალ-გორიდამ, იქ დააყენა პატრიარქი
ანტონი, თან-აახლო მდივანბეგი იოანე ორბელიანი, მობძანდა ბატონი დუშეთს, შეეყარა ძესა
თვისსა, შეიყარნენ ქართველნი და კახნი ერთად, შექნათ რჩევა შებმისა, წამობძანდა მეფე ერე-
კლე, დახვდა ზევით მთიდამ ჯარსა ლეკისასა, ბევრი დიდრონი ჯარები ენახა ერანის ქვეყანაში,
ბევრი ხანი დაეყო ჰინდოეთს, თან-ახლდა ყაენს და ჯარის ბევრსა და ცოტაობას კარგად იცნობდა:
ნახა რა ჯარი ლეკისა დიდათ მეტი იყო ქართლისა და კახეთის ჯარ-ზე, ამით რომ ეს
ხუნძახის ბატონი დაღისტნის ერთის ქვეყნის პატრონი იყო და მერე რა ქართლ-ზე და კახეთზე
წამოსულა აცნობა ლეკთა, რაც დაღისტანში ბელადები და უფროსი ჯარები კაცები იყვნენ, თან-
გამოყოლოდენ და ამის-თვის დიდი ჯარი შეყრილ-იყო: ეს ხუნძახის ბატონი კაის დიდებით
წამოსულ-იყო, რაც ლეკობას გაეწყობოდა, მართლა ხანობის რიგ-ზე თურმე იქცეოდა: დიდათ
წუხდენ ქართველნი და კახნი და შებმაც არ ესებებოდათ. მაგრამ შებმის მეტი რაღა ღონე ჰქონ-
დათ, შეაწუხეს ციხე და მოსდიოდა კაცი მუხრანის ბატონს: „თუ არ მოგვეშველებით, ამის
მეტი ღონე აღარა გვაქვსო:“ ჩერქეზის და მთების ჯარებს მოელოდენ, გაგრძელდა ხანი და რა
ეს ჯარი აღარ მოუვიდათ დაასკვნეს ხვალისად შებმა. წამობძანდნენ დუშეთიდამ მეფენი შესა-
ბმელად ლეკისა, გარდმოვიდნენ ჭილურტის მხარეს, ჩამოვიდნენ ზევიდამ, ზედ-ადგა გარე-შე-
მოცვით ლეკის ჯარი ციხესა მჭადისჯვარისასა და იყო ომი ფიცხელი, შეეწუხებინათ მეოფნი
ციხისანი და თურმე აჰპირობდენ მიცემასა ციხისასა:
რა ჰხედნეს მისვლა ქართველთა განძლიერდენ და შექნათ ომი ფიცხელი ციხიდა-მ: გაყვეს
ჯარი მეფეთა, ცალ-კერძ დააყენეს ქართველნი და ცალ-კერძ კახნი. აგრეთვე ამიერ და იმიერ ქვეი-
თობის ჯარი მიიმძღვარეს, თოფხანა ამათ მიაყოლეს და ერთი სხვა რაიმე ღონე მოიპოვნეს.
აღავსნეს ურემი მრავალი ჯარჯითა და ნახევარ ამიერ და ნახევარ იმიერ, ესეცა თოფხანას მიადე-257
ვნეს. ამას-თვის რომ ჯარს საფრად გაუკეთეს: მივიდნენ ამ რიგით ქართველნი და კახნი, გა-
მოვიდნენ ლეკნიცა საომარსა ადგილსა. ლეკის ქვეითობამ ქართველთ ქვეითობას შემოუტია და

ცხენოსანი ლეკის ჯარი ცხენოსან-ზე მოვიდნენ. მაგრამ ლეკის ცხენოსანი სამად გაყოფილ-იყო და ყოვლის-მხრიდამ მოვიდნენ, ქართველთ ჯარები დიად თვალში ეცოტავათ და დიდათ ამაყად მოინდომეს ომი ლეკთა: შეიქნა ომი ფიცხელი, რომ უფიცხე აღარ ეგებოდა, მოვიდნენ ასე რომ ლეკის ქვეითობას ცოტაღა უკლდათ ხმალ-დახმალ ჩვენს ჯარსა შინა შემოსვლა. რა გაჭირდა ომი ბძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა, გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისა-გან და უბძანა გარდახდომა ყოველთა: „ეს არის დღე ვაჟ-კაცობისა და სიყვარული რჯულისა:" დაი-ქვეითეს ქართველთა და კახთა, შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომლისა-გან კაცი აღარა ჩნდა, მეფე ერეკლე ხან იქ და ხან-და-ხან აქა აძლიერებდა ჯარსა დაპირდებოდა წყალობასა, შეუ-ტივეს ქართველთა და კახთა გულ-სრულად, დაუშინეს ზამბურაკნი და ზარბაზანნი, გააქციეს ერთი დასი ჯარი ლეკისა, ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორესა ჯარსა, აირია ეს საშინელი ჯარი ლეკისა. გაიქცნენ შეუტივეს ხმალ-და-ხმალ, დაერივნენ შიგ, რომ ვითა ჭატა ეგრე ხოცდნენ, ლეკთა. თითონ მეფე-მ ერეკლე-მ ჩამოკაფა ლეკი ხმალ-და-ხმალ, მიყვნეს ხოცით არაგვამდის, რომ მათის მძოვრითი ალვის ტყე და გული (აავსეს), ვინა მორჩა მათი ცხენიც და იარაღიც ჩვენს ჯარს დარჩათ:

იმ დღეს მამაცად და-ღონ-გულად მუხრან-ბატონი კონსტანტინე, სარდალი რევაზ ორბელიანი, ქსნის ერისთავი დავით, არაგვის ერისთავი ჯიმშერ, ამილახვარი ამირინდო, ციცი-შვილი ალექ-
258 სანდრე და ყოველივე თავადნი ქართლისანი. ასე რომ ქებისა-გან უზომოდ გაისარჯნენ, მხნედ ხმალი მოიქნივეს, თითონც შეიბნენ და ჯარიცა კარგად შეაბეს და განაძლიერნეს. აგრეთვე მამა-ცად ვაჟ-კაცობისა თვისისა საკადრად კახნი შეიბნეს, თავადნი გლეხის კაცისა-გან უმჯობეს და გლეხი კაცი თავადისა-გან უკეთესად. ეგრე ყოველივე უკეთეს და უკეთესად გაისარჯნენ. ქისიყის მოურავი ძველი და ახალი ორივ მოსაწონად შეიბნენ, რომე იმ დღეს მათი ქება ბევრისა-გან მოგვესმნეს, ვითა ქართველთა და კახთა ომისა სიკეთე და ხმალი განთქმულა ყოველ-გან. იმ დღეს იმის-თანა გამარჯვება მოუხდათ, დახოცეს, ყათლამი დამართეს უფროსი-ერთი უკრავად კლდე-ზე გარდაცვივნით დაიხოცნეს: ხუნძახის ბატონს მოუკლეს ბიძა და ბიძას-შვილი, დარჩა კარავნი და ყოველივე საცხოვრებელი და დიდება, რომელი წამოეღო დაღისტანიდამ: მოვიდნენ საომარნი ჯარნი, მოულოცეს მეფეთა მორწმუნეთა და მოართვეს თავი ლეკისა ხუთასი: განიხა-რეს მეფეთა, უბძანეს წყალობა, ყოველთა თითოსა თავისა-თვის ერთი თუმანი ინამი: წავიდა ყოველ-გან მახარობელი ამბისა ამისად, შეიქნა სიხარული ურიცხვი ქართლსა და კახეთში: წავიდა ეს დამარცხებული ჯარი, საცა გაიარა, დახვდნენ კახნი და დაუმარცხეს: მივიდა ხუნძახის ბატონი სირცხვილეული დაღისტანში, ჩამობძანდნენ მეფენი ქალაქსა თბილისსა, დასხდნენ მეჯლი-შად, ნახეს ლხინი და გასცეს საბოძვარი ჯარსა ქართლისა და კახეთისა-ზე, რომელ აღეთქვათ, უბოძეს დიდით მცირემდი ყოველთა:

ამისა შემდგომად გარდმოვიდა ჯარები შემწედ, რომელნი დაიბარეს მეფეთა ჩვენთა, ჩამოვიდნენ

ანანურს ჯარი ჩერქეზისა, ყალმუხისა, ჯიქისა, ქისტისა, ღლიღვისა, სოლისა და ოსისა, ამა
ქვეყნების ჯარები თავ-თავისის უფროსითა კაცითა იყვნეს:

ესენი სხვა-და-სხვა რჯულთა მსახურნი, მომადიანნი და უფრორე კერპთ-მსახურნი, ავად-
მქცევნი და საჭმელთა ფინითა და არაწმინდათა მჭამელნი. ზოგნი კარგი თვალად ტანადნი და
ზოგნი დუხჭირნი და ავ-სანახავნი, თმათა-წვერთა უქონელნი და ცხვირთა ძნიად ჩენილ, კარგ-ცხე-
ნოსან-მოისარნი და ფიცხად-მქცევნელნი: გამოუძღვა ერისთავი ჯიმშერ და ჩამოიყვანეს ქალაქსა 259
თბილისსა მახლობელ, დააყენეს დიღუბეს, დააყენეს მემანდარნი და უბოძეს ულუფა კმა საყო-
ფელად მათდა:

მას ხანთა შინა იდგნეს მეფენი ჯარით ტაბახმელას; ამის-თვის რომე ზემო-ქართლი, რომ
წაახდინეს ის ლეკის ჯარი თრიალეთს წალკის ციხეში იდგა. კიდევ ქვეიდამ სხვა ლეკის ჯარი
გამოვიდა, შეიარა, ჯავახეთს გარდავიდა, ერთი ციხე აიღო, დიაღ მრავალი იშოვეს ტყვე ანუ
საქონელი, რომე სიმრავლისა-გან ძლივღა მოუდიოდათ: ამათაც მოიტანეს წალკას, იქ რომ ლე-
კის ჯარი იდგა, იმათაც ქართლში ნაშოვარი ბევრი ჰქონდათ: ახალ-ციხის ფაშას წიგნი მოეწერა
ქართველ-ბატონისა-თვის: „ჩემი ქვეყანა ლეკმა გააოხრაო და მრავალი საქონელი მოაქვთო, თქვენი
სახელი და ხმალი გვასმიაო და მოგვეხმარენითო:“ ამის-თვის ტაბახმელას დადგნენ, რომ ყა-
რაულები ჰქვანდათ, რომელსაც გზა-ზე ჩამოივლიდეს, წინ დახვდებოდეს. იქ დაიბარეს ამ ახალის
ჯარის უფროსი კაცები: ავიდნენ ყოველნი, ნახეს მეფეთა, უსალამნეს და რომელი მათ შეეფერე-
ბოდა პატივი-სცეს: ამათი სიტყვა შეიტყვეს და გაგზავნეს კაცი და ამათი ჯარებიც იქ დაიბარეს:
მეფენი წაბძანდნენ ქართლისა და კახეთისა და ახალის ჯარებით ლეკის თავ-დასასხმელად. წალკას
ბედენის მთა-ზე რომ აბძანდნენ, იგრძნეს ლეკთა მისვლა ჯარისა, აიყარნენ ღამე ლეკნი, წაი-
ღეს ეს ნაშოვარი, გაიარეს დმანისის თავს, მთის-ძირზე ტაშირ-ზე ჩაიარეს და მივიდნენ ახპა-
ტისა ხეობა-ზე: მოხსენდა ყარაულებისა-გან მეფეთა. გამობრუნდნენ ბედენიდამ და ჩამობძანდნენ,
ნახიდურს, იქიდამ გაგზავნეს კაცნი ყაზახსა და ბორჩალუში, ცდილობდნენ შეკვრასა გზათასა
ვითაც ქართლისა და კახეთის ჯარები დიაღ კაი ჯარები ახლდათ. აგრეთვე ეს ახალი გარდმო-
სრულნი ჯარები დიდათ კაი ჯარები იყვნეს და ერთად რომ შეიყარნეს დიდი ჯარი შეიქნა. გა-
ვარდა ყოველ-გან ხმა: „ქართველ ბატონს უცხო ჯარები უშოვნიაო და დიდი ჯარი შეუყრიაო:“
შეშინდნენ გარემოს მტერები და ფიქრი შეექნათ, ყეენსახის ბატონ-ზე გამარჯვებაც შეეტყოთ:

ეს ამბავი ახპატს რომ ლეკის ჯარი იდგა ნაშოვრიანი თათართა ქართლისათა აცნობეს, ვი- 260
თაც რჯულის მტერნი არიან და ჩვენსას იმათი არჩივეს: „დიაღ დიდის ჯარით მეფე თეიმურაზ
და მეფე ერეკლე წინ-გიდგათო, თქვენი ყათლამი უნდათო:“ აიყარნეს მაშინვე და შედგნენ ყაზა-
ხის მთა-ზე და განჯისა-კენ გაემართნეს ღამით და წავიდნენ. აიყარნეს მეფენიც, წაბძანდნენ ამ
ჯარებით, მტკვრის პირს დადგნენ საყალთუთასის: რამდენსა-მე დღეთა აიყარნეს იქიდამაც და შე-
მობძანდნენ ქალაქსა თბილისსა: ეს ახალი ჯარები დააყენეს დიღომსა მინდორსა შინა და რომე-

ლი-მე ვერის ხევ-ზე ბაღებსა კერძო: დავარდა ხმა ამ ჯარებისა, შეუდგა მტერსი და აღარსად გამოუჩნდეს, თვინიერ მცირედ ავაზაკთასა: მოახსენეს ამ ჯარის უფროსთა კაცთა: „აწ გვაჩვენე მტერი თქვენიო და ზედ შეგვახოცეთო და ან დასტური გვიბოძეთო ჩვენს ქვეყანაში წავიდეთო:“ ქართლი მტრისა-გან დიდათ შეწუხებულ-იყო და ღარიბნი და შესახვასა დაზარდენ, რომ ხარჯი ბევრი უნდებოდათ: ბძანეს მეფეთა ჩვენთა გასტუმრება, უბოძეს უფროსთა კაცთა ოქროსა და ვეცხლისა იარაღსი და ღარსი ტურფასი და ჯარის კაცთა ყოველთა მისცეს თვის-თვისად შესაფერსი ღარსი და იარაღსი და ან რომელთა ოსთა ჭქონდათ ძველთავე ბაგრატიონთა-გან ჯამაგირის წიგნი განუახლეს და უბოძეს ჯამაგირი, აღავსეს ესე ჯარები საბოძვრითა და გაისტუმრეს ქვეყანასა თვისსა, მისცეს პირობა მეფეთა ჩვენთა ამ ჯარების უფროსთა კაცთა: „როდესაც ბძანება თქვენი მოგვივიდეს, ვითა ყმანი ეგრე სწრაფად შევეყარნეთო და თქვენსა სამსახურში დავიხოცნეთო:“

მოვიდა რუსეთით ბარათას-შვილი თომა ქართლში, რომელი გაეყოლოდა ქართველს ბატონს მეფეს ვახტანგს რუსეთს: მეფე ვახტანგ რა გარდაცვლილ-იყო, ვინა ქართველი თავადთა-შვილი იყო რუსეთს ხელმწიფის დავთარში დაწერილ-იყვნეს, მიეცათ ჯამაგირი და მას აქეთ იყოფე-ბოდენ იქ ქართველნი რომელიმე და მსახურებდეს: ახლა ამ თომასა-თვის მიეცათ თეთრი და
261 იმ ქვეყნიდამ ეახლოვნათ ხელმწიფისა შესაკადრსი ცხენნი ბედაურნი: წავიდა ეს თომა ახალციხის ქვეყანასა, გადავიდა იმერეთს, ოდიშ-გურიასა და სადა ჰპოვა ცხენნი ბედაურნი, იყიდნა ძვირ-ფასად და გარდამოიყვანა და დააყენა სურამს, ბძანებითა ქართლის მპყრობელისა მეფისა თეიმურაზისასა, მოუყენა რუსნი, რომელნი ახლდენ რუსისა ხელმწიფისა გამოტანილნი რუსნი. თითონ თომა ჩამოვიდა ქალაქსა თბილისისასა, დააყენა პატივით მეფემა:

მოვიდნენ რუსეთის ხელმწიფეს-თან შესახვეწრად გაგზავნილი სვიმონ მაყას-შვილი და თბილელის კრებულნი, ქალაქსა თბილისისა და თბილელი ათანასე, სნეულების მიზეზით მოსკოვსა ქალაქსა შინა დამდგარ-იყო: ებოძა რუსეთის ხელმწიფეს ქართველის ბატონის მეფის თეიმურაზისა-თვის და კახის ბატონის მეფის ერეკლესა-თვის ბეწვნი სამურისანი და ღარსი ოქრო-ქსოვილნი, ძვირ-ფასად ღირებულნი და ხელმწიფოებისა შესაკადრისი და მოხმარებისა-თვის იმედი ებძანა, ჯარი კი არ მოეცათ, შურითა ვისმე დაეჩხუბა ისევ ქართველთა შვილსა, თორე-მ დიდი მოხმარებისი და ჯარის იმედი გვქონდა და დიდისა მაღლისა სანატრელის პეტრე ხელმწიფის ანდერძიც იყო. საქართველოს მეფე ვახტანგ, რომ რუსეთს მივიდა შესახვეწნელად ჯარის სათხოვნელად ქართლის მოხმარებისათვის და მეფე ვახტანგ ვეღარ მიუსწრა: რუსეთის მპყრობელი პეტრე ხელმწიფე რომ შეწუხებულ-იყო. მაშინ ანდერძი ებძანა: „საქართველოს უჭირსო და რჯულის გულისა-თვის მოეხმარენითო, ჩემის ხაზინით ჯარი ათხოვეთო:“

მას აქეთ, ვინცა ხელმწიფენი დასხდეს რუსეთისა მპყრობელად იმათაც მოინდომეს, რომ პეტრე ხელმწიფის ანდერძს ვერ მოშლიდენ. მაგრამ ვინა ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იყო-

ფებოდეს იმათ ერთმანერთის მტრობა და შური არ მოშალეს და ამათის მიზეზით ქართლში 262
მოხმარება რუსთა აღარ ინებეს:

ქორონიკონს უმგ. ამა ხანთა შინა ხევსურის ქვეყანა აღარ დამორჩილდა კახს ბატონს და პირველისაებრ აღარ მოსნებდეს. ჩამობძანდა კახეთიდამ კახი ბატონი ერეკლე ქალაქს და მოსთხოვა ფარშანი მამასა თვისსა ქართველ ბატონს მეფეს თეიმურაზს, ინება ხევსურეთისა დალაშქრვა, გაისტუმრა მამა-მან ცხებულ-მან ძე თვისი მეფე ერეკლე და გასცა ბძანება თავადთა ქართლისათა, რათა იახლნენ თან: მიბძანდა მეფე ერეკლე ანანურს, შემოეყარნენ იქ ქართველნი ამორჩევით დიდებულთა შვილნი და აზნაურ-შვილნი, ზემო-ქართლისანი და ერისთვები ორივე, დავით და ქიმშერ, წაბძანდა ანანურიდამ, მიბძანდა თიანეთს, იქ შემოეყარნენ ჯარი კახეთისა. ზამთარი იყო, თოვლი დიდი და გზა საჭირო, დაიქვეითეს ყოველთა, თვინიერ მეფისა და იმანცა ბევრ-ჯერ იარის ქვეითად, მივიდნენ, ფშავნი მოეგებნენ, ფშაველნი დახვდნენ, რაც იმ ქვეყანას გაეწყობოდა მოართვეს მოსართმევი, ენებათ იქიდამ გარდასვლა ქვეყანასა ხევსურისასა:

რა შეიტყვეს ხევსურთ შემოეხვეწნეს ხევსურნი და ითხოვეს დანაშაულისა მოტევება, შეუნდო ცთომა მათი და შემოირიგა, იახლნენ უფროსნი კაცნი და მოართვეს ჯორნი, ძროხანი და ცხვარნი ფეშქაშად და დაიდვეს თავს სამსახური, რაცა ძველთა-გან კახ ბატონებისა-გან სდებოდათ, გამოართო ბატონმა მძევლები და განუტევა ხევსურნი მშვიდობით, აგრეთვე მოართვეს ფშაველთა ფეშქაშნი და ბეგარა და წაბძანდა ბატონი, ჩამობძანდა ქალაქს, შეეყარა მამასა ცხებულს მეფეს:

გაბძანდნენ ორივ მეფენი ბორჩალუსა მხარეს და მოვლეს სომხითისა ქვეყანა, მტერი ვერსადა დახვილეს (დაახელეს) და ინადირეს და შემობძანდნენ ისევ ქალაქსა თბილისისასა:

გამოართვეს ბორჩალოს ხანობა მუსაყული-ხანს და დააყენეს დიმიტრი ეშიკაღასბაში ორბელიანი მონაპირედ ჯარში ბორჩალუს:

მოვიდა ზამან-ხან ლეკის ჯარით ყაზახის ქვეყანაში, ქვსი ბელადი, დაღისტნის უფროსი 263
კაცი წამოეყვანა, დაპირდებოდა მრავალსა ტყვისა და საქონლის შოვნასა. მაგრამ ეს იყო მისი ცდა და რჩევა, ცოლ-შვილი რომ ქართლში ეგულვებოდა, ქსნის ერისთვისა და იყო, აღარ მისცეს. ამის-თვის რომ დაბალი კაცის-შვილი იყო და თათარი: ეს ქალი ოდეს შანშე ერისთავი და ძმა მისი ყულარაღასი იასე შაჰ-ნადირ ყაენის რჩევით ერანის ქვეყანაში ცოლ-შვილით პატიმარქმნეს იქ შეერთო, აქ ქართლში, რომ მოვიდა თავისმა ძმა-მ ერისთავმა დავით თვისი და თვისა სახლში დააყენა: რაზათ (¹) ზამან-ხან ქართლით გაიქცა, ცოლ-შვილი აღარ დაანებეს. ამას ცდილობდეს ერთის მიზეზით ეს წაეყვანა, ყაზახიდამ ლაპარაკი დაეწყო მეფეთა: „თუცა ჩემი ცოლ-შვილი მომცეთ, თქვენი საწყენი ჩემ-გან არა იქნას რაო:" მაშინვე სარდალი რევაზ და სულხან

(¹) უნდა რაჟამ დ. ჩ.

კახის ბატონის ეშიკაღასბაში ქართლისა და კახეთის ჯარს უთავეს და გაისტუმრეს, მივიდნენ
დადგნენ ბაიდარში: აიყარა ბაშან-ხან ყაზახიდამ და მოვიდა ბორჩალუს ქვეყანასა, გამოგზავნა
თვისი მისანდო კაცნი ქალაქსა თბილისისასა, მოახსენა მეფეთა ჩვენთა: „ცოლ-შვილი მიბოძეთ
და შემირიგეთო, ორი თქვენი მისანდო კაცი მიბოძეთო, გული დამაჯერონო და მე თქვენს სა-
მსახურში მოვალო:“ გაგზავნეს რევაზ ქართველის ბატონის მილახვარი და მოურავი მარტყო-
ფისა ქაიხოსრო, მივიდნენ ალჯაყალისა ციხესა შინა: ბაშან-ხან და ლეკის ჯარი იდგა სომხითის
მელიქის მამულში, ჩამოვიდა იქიდამ ბაშან-ხან, აქეთ ესენი გავიდნენ, ნახეს ერთმანეთი და აც-
ნობეს ანბავნი გულთა თვისთანი ერთმანეთს: ესენი ისევ შემოიქცნენ ალჯაყალისა ციხესა და
ისინი წავიდნენ ჯართა შინა ლეკისათა: ეთხოვნათ ლეკის ბელადებს მზევალი ქართველთა, რათა
264 შემოვიდეთ ციხესა ალჯაყალისასა და მოვისმინოთ ბძანება მეფეთა: გაგზავნეს შიოშა არღუთას-
შვილი მზევლად ლეკებთა: რა მივიდა, დააყენეს ლეკებმა თვის-თან და წამოვიდა ხუთი ბელადი.
ჩუბეიდალა, ამირ-ხან, ამირ და ორი სხვა, მოვიდნენ ციხესა ალჯაყალისასა, მიეგებნენ მილახვარი
რევაზ და ქაიხოსრო მოურავი, ჩამოახდინეს სამყოფსა თვისსა, ამათსა მისლვაში ქართველთა
ჯართა-გან დიდებულნი კაცთა შვილნი ბევრნი მივიდნენ ციხესა ალჯაყალისასა. სხვათ კი არა
იცოდეს რა, მილახვარი და მოურავი დარიგებულნი იყვნენ და ბძანება ჰქონდათ მეფეთა-გან. „თუ
ბაშან-ხან, ამ (ან) ლეკის ბელადი ხელთ ეგდოთ უნდა დაეჭირათ:“ ბაშან-ხან ხომ აღარ მოვიდა, ეს
ბელადები, რომ სახლში დასხდნენ, ქაიხოსრო მოურავმა თქვა: „ბძანება არის დაიჭირეთო:“ მიე-
სივნენ დარბაისელთა შვილნი და დაიჭირეს ეს ხუთის ლეკის ბელადნი, აყარეს იარაღი და შეუ-
კრნეს ხელები: ამათის ჯარისა-გან ლეკი ბევრი ჩამოსულ-იყო ბორჩალუში ჭურისა-თვის, შერიგება
ეგონათ, იმათ მიესივნენ ჯარი ქართველთა და ბორჩალუსი და მრავალი ლეკი ამოწყვიტეს, დარჩათ
ცხენი და იარაღი: წამოვიდა ჩაფარი, მოახსენეს მეფეთა დაჭერა ბელადებისა და მოწყვიტეს, (მო-
წყვეტა) ლეკის: იამათ დიდად პატრონთა ჩვენთა, მაშინვე შებძანდა ცხენსა კახი ბატონი ერეკლე მეფე
და წაბძანდა ბორჩალუში, წარასწყურს რომ მიბძანდა, მოეგებნენ მილახვარი რევაზ და მოურავი
ქაიხოსრო, მოულოცეს გამარჯვება, მოართვეს ბელადები ლეკისა ხელ-და-ხელ-ხუნდით. უბძანა
დიდი მადლობა და უიმედა წყალობა უზომო მილახვარსა და მოურავს: ეს დაჭერილი ლეკები
ამათისავ ხელით გამოუგზავნა მამასა თვისსა ქართველს ბატონს, ერთი ბელადი გარდმოაგდეს
ალვაზრის კლდე-ზე და სხვათა წარკვეთეს თავნი: კახი ბატონი წაბძანდა ბორჩალუხის, ბაშან-ხან
265 და ლეკის ჯარი ისევ სომხითის ტყეში იყვნეს: ჩაბძანდა მეფე ერეკლე ბაიდარში, ცდილობდა
იქ ჯარის შეყრასა: რა ჩაბძანდა ბაიდარში, მოართვეს თავები ლეკისა და ცოცხალი, რომელი
შეეპყრათ ბორჩალოელთა: რა სცნა ბაშან-ხან და ლეკთა: „მობძანდა მეფე ერეკლე დიდის ჯარით
თქვენ-ზედაო:“ გაიქცნენ მაშინვე, დღე-და-ღამ იარეს და ჩავიდნენ განჯას: არღუთა-შვილი
შიოში, რომ ჰყვანდათ ლეკებს მზვევლად მოეკლათ გზა-ზე: მიბძანდა მეფე ერეკლე ბორჩალუში,
დადგა რაოდენსთა დღეთამე და წამობძანდა, მობძანდა ისევ ქალაქსა თბილისისასა:

მცირეთა ხანთა შინა წამოვიდა ჯარი ისევ ლეკისა განჯიდამ და დადგა სომხითის ქვეყანაში და დაუწყო ცემა აქა იქ და დადგა გზებზე, მრავალი მიმსვლელ-მომსვლელი ქარვანი წაახდინა. დიმიტრი ეშიკაღასბაშს ორბელიანს უბოძეს ჯარი, დააყენეს მონაპირედ: წავიდა ეს ლეკის ჯარი და ჯავახეთისა მთებ-ზე ავიდა, შეკრა გზები:

მოვიდნენ რუსეთის ქვეყნიდამ კაცნი თომას წასაყვანელად, რომელი იყო ბარათა-შვილი და ყმა რუსეთის ხელმწიფისა, მოვლინებული საქართველოში, რომ მის ამბავი ზემო აღვიწერა. უბოძეს მეფეთა საზომვარი და გაისტუმრეს, წავიდნენ და წაიყვანეს ცხენები, რომელი ეყიდა თომას რუს ხელმწიფისა-თვის: რადგან ლეკმა ქართლსა და კახეთ-ზე მტრობა აღარ დაშალეს, ზამთარ და ზაფხულ ჩამოდგის და აოხრებდის უმეტეს ქართლსა, მარადის ქართლის ჯარი ვერ შეინახეს ერთად შეყრილი. ამით რომ, ჯარი შემოეყარის მეფეთა ჩვენთა, ლეკის ჯარი ჩაუდგის სახლებში და აღარა-ვინა ჰყვანდათ მეპასუხე. ამის მიზეზისა-თვის გამოართვეს ქართლსა და კახეთს ათასი კაცი ფაჟ-კაცი, ჯამაგირი გაუწყვეს, უზბაშები განაწესეს და დააყენეს ქალაქსა თბილისსა, სადაც ვისმე გასჭირებოდათ ამათ მიაშველებდეს და თუ დიდი მტერი მოვიდის, თვით მეფენი მიეშველებოდნენ ქვეყნის ჯარებით:

გაისტუმრეს ეს ახალი განწესებული ჯარი და დააყენეს ბაიდარში მონაპირედ, ამ ჯარებთა ასის-თავნი და უფროსნი იყვნეს ამილახორი შვილი ნიკოლაოზ, ამირეჯიბი ზაზა, ციცი-შვილი 266 თეიმურაზ და თარხნი-შვილი მამუკა. აგრეთვე საბარათაშვილოს უზბაში, რომელ-არს ასის-თავი, ოთარის-შვილი რევაზ, აგრეთვე კახთა თავადთა შვილნი:

ამისა შემდგომად მოინდომა ხუნძახის ბატონმა მტრობა და დალაშქრება ქართლისა და კახეთისა, შეკრა გზები იალბუზისა და არც ჯარი ლეკისა და არც ყაზახად აღარა-ვინ გამოუშვა; ყველას დაპირდა დაღისტნის ლეკთა: „სულ მე გამომყევითო ქართლსა და კახეთს დავიჭეროდ და ამდენს ტყვესა და საქონელს გაშოვნინებთ, რომ შვილითი შვილამდის გეყოსთო:" ეს ის ბატონი იყო, რომ პატრონთა ჩვენთა მჭადისჯვარის ციხე-ზე დაუმარცხეს ჯარი, ამოუწყვიტეს და დამარცხებული და სირცხვილეული გაიქცა იმ დღის ნაცვალს ცდილობდა, შემოიყარა დაღისტნის ჯარი ასეთი, რომ შამხალი და სურხაიც მოიყვანა და თავისის ჯარი თან-წამოიყვანა, პირ-იქითი და პირ-აქეთი რაც ლეკი იყო, ყველას ჯარი გამოართო, ზოგს ძალად და ზოგს ნებით გამოემზადა პირველ კახეთ-ზე. მოხსენდათ ეს ამბავი მეფეთა ჩვენთა: მაშინვე წაბძანდა კახი ბატონი ერეკლე კახეთს, რა მიბძანდა თელავს, შემოიყარა ჯარი კახეთისა და აყარა კახეთი სულ და ციხეებში გაამაგრა და ყოველს ციხეს ოთხ-ოთხის-თვის თადარიკი დაუჭირა, აავსო პურით, ღვინით, აგრეთვე მეთოფით და ტყვია წამლით: ბატონი-შვილი ვახტანგ გაგზავნა ფშავში და იმ ქვეყნების ჯარებიც შემოიყარა: ქართველ ბატონი, მეფე თეიმურაზ წაბძანდა ზემო-ქართლში, მიბძანდა გორს, შემოიყარა ჯარი ქართველთა, რომ იარაღის ამღები აღარა-ვინ დააგდო შინა გლეხი, თორე თავადი და აზნაურთაგანი ვინ დააკლდებოდა: ამ ჯარებით მიბძანდა ახალ-გორს,

შემოუყარა ქსნის ერისთავი თავისის ჯარით, მივიდა სარდალი საბარათაშვილოსი რევაზც ჯარით და შეეყარა მეფესა, იქიდამ მიბძანდა და ანანურს დადგა და მოელოდა ამბავსა ძისა თვისისა მეფის ერეკლესა:

მოვიდა ხუნძახის ბატონი დაღისტნის დიდის ჯარით, რომელი აღვსწერეთ ზემორე, დადგა
267 ყვარელის მთა-ზე, იქიდამ გაგზავნი შამხლის შვილი გაბაგ-ბეგ ჭარში და დაიბარა ჭარელთ ჯარი. აგრევე გაგზავნა კაცნი აჯიჩალაბის შვილ-თან, ყაზის სულთან-თან, განჯის ხანთან და ამათ ყვე-ლას ჯარი და მოხმარება სთხოვა: ესენი ყველანი ქართლისა და კახეთის მტერნი იყვნენ, აჯი-ჩალაბის შვილი თვითან მოვიდა ჯარით, ყაზის სულთანიც შემოუყარა, აგრევე ჭარელთ ჯარი შეიყარა და ესენი ერთად შეეყარნენ ხუნძახის ბატონს. განჯის ხანსაც გამოეგზავნა ჯარი. ეს ყვე-ლანი ერთად შეიყარნენ და წამოვიდნენ კახეთ-ზე: გამოგზავნა კახმა ბატონმა მეითარი თვისი იოანე და მოახსენა მამასა თვისსა: „დრო ეს არის მოშველებისაო, მობძანდითო:" წაბძანდა ქართველ ბატონი მეფე თეიმურაზ ანანურიდამ ჯარითა საქართველოსათა, მობძანდა კახეთს, შეეყარა ძესა თვისსა მეფეს ერეკლეს, დადგნენ თელავს და შექნეს მზადებად ლეკთა ომისად: მოვიდა ეს ლეკის ჯარი, შემოადგა ციხესა ყვარელისასა, დიაღ დიდი ჯარი იყო და შეიქნა ფი-ქრი ყოველ-გან, აყარეს საგარეჯო და მარტყოფი, შემოვიდა ქალაქსა თბილისისასა, აგრევე აი-ყარა ზემო-ქართლი, მუხრანი და ზოგი საერისთოებში შევიდა და ზოგნი სანდოთა მაგართა ციხეთა შეეხიზნნენ, იყო ყოველ-გან შიში დიდი და ცდა სიმაგრეთა ციხეთა ქვეყანათა ქარ-თლისა და კახეთისათა: გაგზავნეს რამაზ ენდრონიკაშვილი ამისავე წინათ ჩერქეზში ჯარისა-თვის, მოვიდა მცირე-რამ ჯარი ჩერქეზისა, ყალმუხისა და ოსისა, შეეყარნენ მეფეთა და თან-ახლდა მეფეს ერეკლეს ჩერქეზის ბატონი ცოტას ჯარით, რომელი იყო სიმამრი გიორგი ბატო-ნის შვილისა, ანანურიდამ გაეგზავნა ქართველ ბატონს იასე მაჩაბელი ჩერქეზში ჯარისა-თვის და აღუთქვეს ფრიადი: მივიდა იასე ქვეყანათა ჩერქეზისათა, ეცადა დიდათ და ვერ დაიმორჩილა, არა-ვინ გამოყვა: „მთელი დაღისტანი წამოვიდაო და ჩვენ იმათი ომი არ შეგვიძლიაო:" მოვიდა იასე მაჩაბელი თელავს, მოახსენა ესე ყოველი მეფეთა:

268 ამა ამბავთა შინა დაეტანებინა ძალა სიღნაღისა-თვის ფანახანს ყარაბახელსა, ვეღარა ემლოთ სომეხთა, აერილ-იყო ერთი ხეობის მელიქი უსუფ-ბეგ თავისის ხიზნით ასის კომლის კაცით, მოვიდა საქართველოსა შინა და შემოხვეწად მეფეთა: მოხსენდა ესე ამბავნი თელავს მეფეთა, მაშინვე უბოძეს კაცი და დააყენეს ეს სიღნაღელნი ქალაქსა შინა კლდის უბნის მხარე და თითონ დაიბარეს კახეთს, წავიდა მელიქი უსუფ-ბეგ თვისისა ჯარით კახეთს, შეეყარა მეფეთა, უბძანეს წყალობისა სიტყვები და დააყენეს პატივით:

წამოვიდა ლეკის ჯარიდამ საქართველო-ზე წასახდენელად სამე ხუთასი ცხენოსანი კაცი ლეკისა, რად-გან ბატონები და სულ ქვეყნის ჯარი კახეთს ეგულებოდათ, აქეთ ფიქრი აღარა-ვისი ჰქონდათ, თუ ამათის მიზეზით ჯარს მოშლიდენ მეფენი, მერე ლეკთ კახეთ-ზე მტრობა

უფრო გაუადვილდებოდათ და თუ ჯარს არ მოშლიდნენ ამით უფრო ბევრს იშოვნიდნენ: მეფეთა
ჩვენთა ხომ ჯარი ვერ მოშალეს და ვერ გამოჰყვნენ: წამოვიდა ეს ლეკის ჯარი, გამოიარა, ავჭა-
ლის საქონელი წაელო, შეიარა არმაზის წყალ-ზე, ავიდა კავთის ხევისა ხანდაკსა და ის შეუო-
ლიება, სადა რომ ციხეებს გარეთ დაახვედრეს წაახდინეს, წაიღეს ნაშოვარი და ავიდნენ ატენის
მთაში, იქიდამ დაუწყეს რბევა გორისა გარეშემოთა:

ჭარელნიც ქისიყს მიუხდნენ, ქისიყელთ გაემარჯვათ, შემოსაფრეს ყვარელის ციხე ლეკთა,
იყო ომი დღე-და-ღამ, კარგად კაცურად და მამაცურად ებრძოდნენ მყოფნი ციხისანი. მაგრამ ასეთი
მაღალი სათრები შეუკრეს გარედამ, რომ შიგ ციხეში თოფს ჩაისროდნენ: ამით შეაწუხეს თით-
რე-მ სხვა რიგად არა უჭირდათ-რა, მუდამ დღე უგზავნიდნენ მეფენი კაცსა, ტყვია წამალსა ანუ
რომელი რამ აკლდათ ციხეში და ამძიერებდნენ იმედით მყოფთა ციხისათა: ომი მოინდომეს მე- 269
ფეთა ლეკისა. მაგრამ მისავალი გზა საჭირო იყო და ლეკის ჯარი დიდი ჰყვანდათ და ამათ ამისა
შესაბმელი ჯარი არა ჰყვანდათ: ვეღარ გაბედეს ომი, ბძანეს: „სხვა ღონე რომე მოვიპოვნეთო
და ყვარელის ციხე განვამძლიეროთო, თუ იმ ციხეს აიღებდა გაღმა-მხარი ხელთ დარჩებათ და
რახან გაღმა-მხარს იშოვნიან, კახეთის შოვნაც გაუადვილდებოდათო. მერე დასუსტებულს ქარ-
თლს რითღა შევიმაგრებთო:“ ამის ფიქრში და რჩევაში იყვნენ მარად-დღე, ამის-მეტი ღონე
ვეღარა მოიპოვნეს-რა. უბძანეს ქართველთა და კახთა ერთობით: „რომელიც ინებებს და თავისის
გულოვნებით მინდომით წარვალს და შევალს ციხესა ყვარელისასა და იმათ შემწე რჯულისა სი-
ყვარულისა-თვის და ჩვენის ერთ-გულობისა თავის გარჯასა და თავს არ დაზოგავს ჩვენც სამუ-
ფქმოდ ამ წყალობასა უზომოდ (უზამოთ). თავადის შვილს თავის შესაფერს სახელოს და რომელსაც
თავის მუნასიბსა და სამსახურსა მამულს შემოგვიკვეთს წყალობას უზამთო და აგრეთვე აზნაურ-
შვილს და გლეხს კაცს, კაცზე ოთხს თუმანს, ორს საკომლო მამულსა და სათარხნეს
მივსცემთო:“ გამოირჩივნეს ამათში საბარათოსშვილოდამ. იოთამის-შვილი რევაზ-უზბაში, გუ-
გუნას-შვილი ვახტანგ, სოლოღას-შვილი ტარიელ და ზოგნი ვინმე გლეხთაგანი, აგრეთვე ზემო
ქართლიდამ. მაჩაბელი ძაღლუა, უხრან ბატონის-შვილი, ზედგინიძე და ერთი ხუცესი, აგრეთვე
ქსნის ერისთვისა ორი კაცი და ზემო-ქართლიდამ აზნაურ-შვილი ჩამორაძე ერასტი და სხვა
ცოტა რამ კაცი. აგრეთვე კახთა თავადი-შვილთაგან. ბებური-შვილი პაპა, მღივნის-შვილი სოლო-
მან, თაყა-შვილი ფარემუზ, რომელი იყოფებოდა კახეთსა შინა შეხიზნვით და ბეჟან რატის-
შვილი, მახლობელი უმა მეფის ერეკლესი, ერთი ორი კაცი თელავიდამ და სხვა კახთა კაცთა-
გან ვერ-ვინ დაიმორჩილეს: შებძანდა მეფე ერეკლე, თან-იახლნენ ჯარი ქართველთა და კახთა 270
ცხენოსანნი და ჩაბძანდა ქისიყს, ქართველ ბატონი თელავს დადგა ჯარითა საქართველოსათა,
დაუძახა მეფე-მ ერეკლე-მ ქისიყელთ, აღუთქვა წყალობა, რომელი ებძანათ სხვათა-თვის და
ზემორე აღვწერეთ: „ვინც გამოვა თვისა ნებითა და წავა ციხესა ყვარელისასა შემწედ აღვრაცხო
ერთ-გულთა-თანა და მივსცე წყალობა უშურველი:“ აერჩივნენ ქისიყელნი ას ოც-და-ათ გაუ-კაცი,

ეს ქართლისა და კახეთისა კაცნი ერთად შეყარა ბატონმა, უბოძა ტყვია, წამალი უშურველად,
უბძანა იმედის სიტყვები, გაუმძლავრა ეს ქართლისა და კახეთისა თავადთა შვილნი, რომელნი
ზემორე აღვწერეთ და გაისტუმრა ქვეითნი: წავიდნენ ქისიყით, გავიდნენ ალაზანს, მივიდნენ ღამე
და მიესნდვნენ ხმალსა და მამაცობასა თვისა: რა მიეახლნენ ციხესა ყვარელისასა ქვემორე გავა-
ზისა მხარე იდგნენ ჭარელნი. კაკის სულთანი თავისის ჯარით და აჯიხალაბის შვილი შაქისა და
შირვანის ჯარითა, ზემო-მხარეს იდგნენ ქუნძახის ბატონი, შამხალი და სურხაი დაღისტნის
ჯარითა: იგრძნეს ყარაულთა ლეკისათა მისვლა ამათი, შეუკრეს გზები, მაგრამ ღუთოვნობისა ძა-
ლითა და სიმხნისა და ვაჟ-კაცობისა მინდობითა მივიდნენ ქართველნი და კახნი ციხესა ყვარე-
რელისასა, მოეგებნენ ციხოვანნი, იამათ დიდათ და უიმედათ მისლვა მათი, დაუშვნეს ციხით და
ქნეს შადლუხი, შეატყობინეს მისლვა თვისი ციხესა და თვისთა ყარაულთა მიუტანეს ამბავი.
„შემოვიდა ჯარი ქართველთა ციხესაო:“ ხოცდეს ლეკთა ციხით და განძლიერდნენ ფრიად ციხოვანნი:
ამა ამბავთა შინა აარჩია კაცნი გულოვანნი და კარგ-ცხენოსანნი ქისიყელნი კახმა ბატონმა და
გაუსია ჭარისა ქვეყანასა წასახდენლად: გავიდნენ ალაზანს, დაჰხვდათ საქონელი ურიცხვი ფადარისა,
წამოიღეს მრავალი ცხენი, ძროხა, ტყვე უფრო ცოტა, მოიტანეს ქისიყს და მოართვეს მეფეს
271 ერეკლეს: მიუვიდათ ამბავი ჭარელთ, დაჰწუხდნენ დიდად, დასდვეს საყვედური ქუნძახის ბატონს:
„ჩვენ აქ უსრალოდ ერთს ციხეზე ვიღალებითო და ჩვენს სახლებს კახი ბატონი აოხრებსო:“
უთხრა ხუნძახის ბატონმა: „აგერ ამ ციხეს ავიღებო და კახეთიც ხელთ დამრჩებაო და თქვენს
ზარჯას გარდავიხდიო:“ გაუსივა კიდევ ჯარი მეფე-მ ერეკლე-მ ქართველთა და კახთა ჭარისა
ქვეყანათა: რა გავიდნენ ალაზანს, შეატყოთ ჭარელთაც და წამოსულიყვნენ წინა-დასახდომად:
მიუვიდათ ეს ამბავი ქართველთა, გამოუბრუნდნენ ქისიყის მოურავი ასე, სულხან ყაფლანიშვილი
და მარტყოფის მოურავი ქაიხოსრო, მოიყვანეს ჯარი ისევ ქისიყს. ამისათვის შეიქნათ ლაპა-
რაკი და ჩხუბი ჭარელთა დაღისტნის ლეკთა: ამა ამბავზე ჭარელნი ეუბნებოდნენ: „ციხეს ხომ
ჯარი მოიშველეს, ამას ჩვენ ძლით ვეღარ ავიღებთო, ჩვენს ქვეყანას ქართველთა და კახთა ცემა
და მტრობა დაუწყესო, ჩვენ აქ რას ვისხოცებითო:“ ამა-ზე ჩხუბი გამოერივათ ერთმანეთში,
კაციც მოუკვდათ და ბევრიც დაიჭრა. შემოსწყრნენ ჭარელნი და წავიდნენ ქვეყანათა თვისთა, კა-
კის სულთანიც იმათ გაჰყვა და არც აჯიხალაბის შვილი დადგა, მოიშალა ერთი მხარი ჯარი,
მეორე ჯარშიაც შეიქნა ლაპარაკი, აიყარა სურხაი თავისის ჯარით და წავიდა ქვეყანათა თვისთა,
ამ დაღისტნის ჯარიც ბევრი გაჰყვა, დარჩა ხუნძახის ბატონი და შემოვიდნენ ქართლზე, გამო-
იარეს, წაახდინეს საგარეჯო, გამოვიდნენ მტკვარს, ღვინობის თვე იყო და ელი, ახალი ჩამოსული
მთიდამ: გაიყო ხუთად ეს ლეკის ჯარი. ერთი ჯარი მოვიდა ალჯაყალაზე, ებაშირი ქციისა და
დებედის შუა, რომელები სულ იქით დგა და თითონ ქუნძახის ბატონი მოვიდა ბაიდარზე, შე-
მოადგა ბაიდრის ციხესა, შიგ დახვდნენ ბაიდრის სულთნის შვილები, დაუწყეს სროლა თოფითა
ციხიდამ და რომელი კარში დაესწრა, კარში ისინიც გამაგრდნენ სახლებში, ლეკიც ბევრი მოუ-

გლეჯს, არც ციხე დაანებეს და არცა-რა წაალებინეს. ასე გატეხილ იყვნენ, რომ ასისა და ორასის 272
კაცისაგანაც ძნელი შესაძლებელი იყო. სადამომდის იდგა ხუნძახის ბატონი ბაიდრის ციხეს და
საღამოს გაეცალა, გავიდა ბორჩალუს მხარეს: აეკლოთ ლეკის ჯარს დემურჩასალის ობები და
დებედას გამოღმა ბორჩალუს სოფლები დაერბივათ, ეშოვნათ ძროხა, ცხვარი, ჯოგი ცხენთა
ანუ სახლთა საგანძურნი ურიცხვნი: ის ღამე იქავ დაალამეს, დადგნენ ალაჩუხთა თათრისათა
ლეკნი, ამდენი იშოვნეს, რომ სხვა კიდევ ყოფილ-იყო იმის მეტს წაღებასაც ვერ შეიძლებდნენ.
ბორჩალუს ელმა ადჯაყალისა ციხესა შეასწრა და ვერა ავნეს-რა, წაიღეს კი დიდი ნაშოვარი და
ტყვეც მრავალი, ავიდნენ ახპატისა ხეობაზე, გამოუგზავნეს კაცი და ითხოვეს ფასი ტყვეთა:
წავიდნენ თარაქამანი, ტყვეც ბევრი დაიხსნეს და საქონელიც მრავალი მოიყვანეს, რომ სიმრავლით
ვერ მიუდიოდათ და რჩებოდათ გზასაა ზედა: ავიდა ეს ჯარი ყვანბაკში ყარაქილისას, გაიყვეს
ნაშოვარი: ხუნძახის ბატონი და შამხალი თავისის კაცით წავიდნენ განჯას, ჩაიტანეს ეს ნაშო-
ვარი, იქ თითონ წავიდნენ ქვეყანასათა თვისთა. სხვა დაღისტნის ჯარი დარჩა ყვანბაკში ყარაქილისას,
დაავდეს ნაშოვარი იქ, თითონ წავიდნენ, ერევნის ქვეყანა დაარბიეს, მერე წავიდნენ, დაკრეს
ყარსის ქვეყანათა, მოიტანეს მრავალი საქონელი და ტყვე, აგრეთვე გარდავიდნენ ჯავახეთს, დაარ-
ბიეს ბარალეთი, წამოიღეს მრავალი ნაშოვარი, გარდმოიტანეს ყვანბაკში და არა-ვინ აყენებდათ
მებრძოლი.

ჩამობძანდნენ ბატონები კახეთიდამ ქალაქსა ტფილისსა და გავიდნენ ციხეებიდამ კახეთისა და
ქართლისა კაცნი სოფლებთა თვისთა, რომელნი შეხიზნულ-იყვნენ შიშითა ლეკთასა, უბოძეს
დასტური ჯარებთა მთისათა ანუ რომელნი ახლდენ ოსნი და ჩერქეზნი, უბოძნეს ლარნი გამა-
საყოფელნი თვისნი. აგრეთვე უბოძეს წყალობა ქართველთა და კახთა. თავადთა, აზნაურთა და
გლეხთა, რომელნი შევიდნენ ციხესა ყვარელისასა და დიდათ შემწე-ექმნეს, რომელსა დაპირებო-
დენ და აღუთქვა მამული, სახელოსნი ანუ აზატობანი გლეხთანი და თეთრი ინამად:

ამისა შემდგომად დაიფანტა ჯარები ლეკთა ყაზახობით და დაუწყეს ცემა და მოიცვეს ყო- 273
ველნი ადგილნი, მოვიდიან ბევრ-ჯერ და ქალაქის გარემოთა ბაღებთა, წისქვილებ-თან და მოიტა-
რეშიან. უკეთუ ერთსა მხარეს გავიდის ქალაქიდამ მებრძოლი და გაასრევის და გააქცევის,
მეორე მეორესა მხარეს დაკრიან და წავიდიან: უბოძეს ჯარი ქართველთა მუხრანისის ბატონს
სალთ-ხუცეს კონსტანტინეს და გაისტუმრეს მონაპირედ და პასუხისა მიცემად მტერთასა, თან-
გაატანეს კახ-ბატონის ეშიკაღასბაში სულხან კახეთის ჯარით. მივიდნენ ესენი და დაადგნენ ამ
ჯარებით ყულარში, რომელ მახლობელ-არს ბაიდრისა, გამოართვეს პური, ქერი და ძროხა,
ცხვარნი ბორჩალუს ქვეყანასა, გამა-საყოფელად ჯარისა და სცვიდნენ გარემოთა ქვეყანათა: რად-
გან ჯარი ბაიდრისა და ბორჩალუს მხარეს დაიგულვეს ლეკთა, შევიდნენ ლეკნი ტყეთა და
კლდეთა სომხითისა და საბარათაშვილოსათა, იქიდამ დაუწყეს რბევა ქალაქისა გარეშემოთა სო-
ფლებთა: ასეთსა კლდეთა შეიტანიან ნაშოვარი, რომ ქართველთა ჯარი იქ ვერ მიუდგიან: მო-

ვიდნენ ღამე ერტისისა ციხე-ზე, მიდგეს კიბეები, გარდაუცვივდნენ შიგ ლეკნი, აიღეს, აიფორიაქეს და ისევ ღამე წაასხნეს ტყვე ანუ საქონელი, აიტანეს ბირთვისისა მახლობელ ტყეთა შინა: მოხსენდა მეფეთა ჩვენთა, გაუსივეს ქვეითი მეთოფეები საბარათაშვილოსი, დაეხსნეს ღამე, ამო-წყვიტეს ლეკნი და წაართვეს ნაშოვარი ანუ ტყვე ყოველი, ჩამოიყვანეს ქალაქსა შინა: მიუხდნენ კიდევ ღამე ლეკნი, გარდვიდნენ იგინიცა კიბებით სომხითის სამწევრისისა ციხესა შინა, შეუტყვეს ადრე, ზოგნი გაუმაგრდნენ შიგავე ბურჯებში და ზოგნი გამოცვივდნენ ქვეით პატარას კარიდამ და ჩამოვიდნენ ციხესა ბოლნისისასა:

ამისა შემდგომად მოვიდა ცხენოსანი ლეკის ჯარი, დაყარეს ცხენები ტყეთა შინა, დააკეთეს კიბები, მივიდნენ ბოლნისისა ციხესა ზედა, მიდგეს კიბენი და გარდვიდნენ ციხეში: მაშინ ბოლ-
274 ნისის ციხეში დადგენილ-იყო იოთამის-შვილი დავით, შეუტყვეს, მაშინვე აცვივდნენ კოშკებში. გაამაგრნეს ბურჯები და სავდრის თავში აიყვანეს დედაკაცნი ანუ ყმაწვილნი, რომელნი იყვნენ ციხესა შინა, დაუშინეს თოფი, დახოცეს ლეკნი, რომ გალავანი სულ ლეკის სისხლით შეღებნეს, ხოცდნენ ლეკთა გალავანზე და არა შეიშინეს და კიდევ გარდადიოდნენ ლეკნი ციხესა შინა, აავსო ლეკითა ციხე, იყო ერთი დღე და ღამე ერთმანერთში სროლა, ლეკნი სახლებში იყვნენ და ციხის კაცნი კოშკსა და ბურჯებში: ასე მამაცურად იყვნენ ბოლნელები, რომ დიდათ საქებელი არის, აგრეთვე ორბელიანით ასნაურშვილები და ყმანი დაესწრნენ ციხეში, ასე ლომ-გულად ომი გარდაიხადეს, რომ მნახველთა-თვის სანატრელი იყო: აცნობეს მუხრანის ბატონს, წამოვიდა მაშინვე შველად მათდა, ჭაპალას რომ მივიდა, ამბავი დახვდა: „ლეკნი ციხიდამ გავიდნენო:“ თითონ აღარ ავიდა, ჯარი აარჩივა ციხისა გამა-საყოფელად და შეგზავნა ციხეში ბოლნისისასა: ლეკნი წავიდნენ დამარცხებულნი, მუხრან ბატონი კონსტანტინე ჯარით ისევ წამოვიდა ყულარში და დადგა: დავით იოთამის-შვილი და ფარსადანა ჩობანას-შვილი ქალაქს იახლნენ, მიულოცეს გამარჯვება მეფეთა და მოახსენეს ესე ყოველი ყოფილი: უბოძეს ხალათები და უიმედეს მათ წყალობა: უბოძა ეს ჯარი საბარათასშვილოსი და ზემო-ქართლისა დიმიტრი ორბელიანს ეშიკ აღასბაშს და დააყენეს ციხესა ბოლნისისასა შემწედ მათდა: შეიკრა გზები მტრისა-გან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო-ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალ-ციხისა ქვეყნიდამ ქარვანი, ამით ქალაქს თბილის ძვირობა შეიქნა და ხალხი დიად შეწუხდნენ: გაბძანდა ბატონი
275 საქართველოს ჯარით, რომელი ქალაქში ახლდნენ, მიბძანდა, დადგა მცხეთას, შემოიყარა საერისთოების ჯარი, დააყენა გზებზე, გაიხსნა გზები და უკუდგა მტერი, ჩამოვიდა ურიცხვი პური, ღვინო, თუ რაც რაფერი საზდო, აავსო ქალაქი ყოვლითა სანოვაგითა: ქართველ ბატონი რომ მცხეთას მიბძანდა იმ დღესვე კახი ბატონი მეფე ერეკლე კახეთის ჯარით ბაიდარში მიბძანდა, მოეგება მუხრან ბატონი კონსტანტინე და სულხან ეშიკაღასბაში ჯარითა, მიუძღვნენ, ჩამოახდინეს ყულარში, დაიბარეს ყაზახ და ბორჩალუს ხანები და ქეთხუდები: მოვიდნენ ორნივ თავისის ქვეყნების უფროსის კაცებით, მოართვეს ფეშქაშნი და ჰურნი და საკლავნი ჯარისა

ულუფად: იქიდა-მ წაბძანდა საყარღუთანში, იქ განაგო საქმე ყაზახის ქვეყნისა და ბორჩალუსი და განსტუმრა ხანები ქვეყანათა თვისთა, გაიხსნა ამა მხრისა გზებიც და შემოვიდა ქალაქში საზდო ურიცხვი ყოვლისა ქვეყნიდამ, რომელნი იყვნენ ქართლისა მახლობელ:

შებძანდა ისევ მეფე ერეკლე ქალაქსა თბილისსა და ქართველ ბატონი მეფე თეიმურაზ ისევ ბძანდებოდა მცხეთას: მივიდა ლეკის ჯარი ღამე კუმს, გარდავიდნენ კიბით ციხეში, გაუმაგრდნენ სახლებში, ისევ ღამე გამოასხეს ლეკთა ტყვენი და საქონელნი, ზოგი წაასხეს და მიმართეს ტყეთა და ნაპრალთა: იმავ ღამეს მოხსენდა მეფეს ერეკლეს, მაშინვე შებძანდა ცხენს, თანა-ახლნენ ჯარი ქართველთა და კახთა, გაუდგა ფიცხად ვითა შავარდენი, მიეწია იმავ დღეს სამღერეთს ტყეთა შინა, შეუტის მამაცად, შეუცვივდნენ ლეკნი ტყეთა, მოკვდა და დაწყლულდა ლეკნი რამდენიმე, გაარევინეს ტყვე ანუ საქონელი და ბარგნი და ცხენიცა თვისი და ესე გამარჯვებული შემობძანდა ქალაქსა თბილისსა, შეასხეს ქება ყოველთა: ამ გამარჯვების მახარობლად მაწაბელი ძაღლუა წარავლინა მცხეთას მეფესა საქართველოსა ცხებულსა თეიმურაზის-თან. რა მოისმინა, იამა ფრიად და შემოსა ხალათი მაწაბელს:

ამა ამბავთა შინა მოუხდნენ ჭარელნი ავლაბარს და ბაღების კერძოვე მრავალი ძროხა და ცხვარი წაასხეს: მოხსენდა მეფეს ერეკლეს, აღიჭურა მაშინვე საომართა იარაღთა მიერ და გან- 276
ვიდა ბრძოლად მათდა. რა ნახეს ლეკთა, გაიქცნენ მაშინვე და დაყარეს რაც მიეგვანდათ, მოეწია მოურავი ქისიყისა თამაზ და ვითა ეფერებოდა სიმხნე მამაცობასა მისსა, ეგრე ბრძოლა-ჰყო, მიენდო გულოვნობასა და გაერია ლეკთა შიგან და ჩამოაგდო უფროსი კაცი თოფითა და შეუტივა მეორესა ხმლითა: ამა ამბავთა შინა ჰკრა თოფი ლეკმა მოურავს და დაასწყლულა ფრიად, გამოვიდა დაწყლულებული: უბძანა ნუგეშისა სიტყვები მეფე-მ ერეკლე-მ და უქებდნენ ყოველნი მამაცობასა. ამაზე დაშალეს ომი და წამობძანდა ბატონი გამარჯვებული ქალაქსა შინა და მოართვეს თავნი ლეკთასნი:

ამისა შემდგომად წაბძანდა მეფე ერეკლე კახეთს და ქართველ ბატონი ჩამობძანდა მცხეთიდამ ქალაქსა თბილისსა: როსტომ მირზამ, ძე-მან აბდულა-ბეგ არჩილისა-მან იშოვა მრავლის დაპირებით ზოგნი ვინმე საბარათაშვილოდამ თავადთა ძენი ბარათიანი, ზოგი მცხეთელი აზნაურშვილი და მოქალაქეთა შვილი და დააპირა გაპარვით წასვლა ერანის ქვეყანასა: შეუტყვეს მეფეთა, დაიჭირეს როსტომ მირზა და ამყოლნი მისნი და ყოველნივე პატიმარ-ჰყვნეს და მცირედთა ხანთა შინა აუშვეს ისევ პატიმრობისა-გან და ქალაქიდამ წავიდა ყიზილბაშისა ქვეყანათა, სადა ჰყვანდეს ძმები თვისნი და რომელნი ბარათიანთა ძენი აჰყოლოდნენ ისინიც აუშვეს პატიმრობისა-გან და დაადგინეს ისევ სახლთა შინა:

აზატ-ხან რომელი პყრობდა არაყისა და ადრიბეჟანის ქვეყანათა გამოუგზავნა ერთი ყული თვისი ერევნისა ქვეყანასა: ,,რაც საქართველოს ელებიდამ კაცი იმ ქვეყანაში ესახლოსო, სულ აყარე და ქართველ ბატონს მიაბარეო:" მოვიდა ეს იასაული, ბორჩალუს ელები და კიდევ ქარ-

*

277 თლისა ელებისა, კიდევ სხვა ბევრი ესახლა, ქართველს ბატონზე ბევრი დანაშაული ჰქონდათ, ეშინოდათ და ვერ მოუნდუნეს: ეს აზატ-ხანის ყული გამოგზავნეს, ქართველისა და კახის ბატონისა-გან ერთი მისანდო კაცი ითხოვეს, მოვიდა ეს ყული, მოახსენა ეს ამბავი მეფეთა, გაისტუმრეს კახის ბატონის ეშიკაღასბაში სულხან და თან გაატანეს სომხითის მელიქის შვილი ავთანდილ, უბძანეს ფიცი და აპატიეს დანაშაული ყოველთა შემცოდეთა ბორჩალუსათა: წავიდა სულხან ეშიკაღასბაში და ბძანება ჰქონდა. ყაზახისა, ბორჩალუსა, დემურჩასალის უფროსი კაცები სულ თან-წაიყვანა, მივიდა ერევანს, შემოეყარნენ ბორჩალუს ხანი და ქეთხუდები, ლორისა და ფანბაკის ქეთხუდები იქ იყვნეს: შეფიცა სულხან ეშიკაღასბაშმა, დააჯერა გული ყველასა და გამოუძღვა, მოიყვანა ქალაქსა თბილისისასა, კახი ბატონიც ჩამობძანდა კახეთიდამა:

შეიყვარნეს ორნივ მეფენი, უიმედეს წყალობა ფრიად სულხანს ეშიკაღასბაშს და უბოძეს ისევ ხანობა მუსა-ხანს ბორჩალუსი და დააყენეს ციხესა აღჯაყალისასა: ბძანებითა მეფეთა წავიდა ასან-მირზა, ბატონიშვილის დედა აზატ-ხან-თან, თან-იახლეს ძმა თვისი ასლან ბებურის-შვილი და კახის ბატონის მოლარეთ-უხუცესი ელიზბარ გლურჯიძე: რა ჩავიდნენ აზატ-ხან-თან, მისცა პატივი დიდი, ვითაც სძე იყო და ამ ქეთავან ხანუმის ქალი ცოლად აზატ-ხანს ედგა, შეიყვანა არამში და დედა-შვილურად მიიჩნივა: უბოძა ელისბარს მოლარეთ-უხუცესს ხალათი მძიმე და ინამად თეთრი და წარმოგზავნა ისევ საქართველოსა მეფეთა წინაშე და წარმოატანა კაცი თვისი მისანდო და მოსწერა წიგნი სიყვარულისა და ერთობისა: ამათაც მისწერეს წიგნი მაგიერი და დააჯერეს ერთობაზე: გაჰყვა ისევ ელისბარ, ჩავიდნენ, რა ნახა აზატ-ხან, უბოძა კიდევ ელის-
278 ბარ მოლარეთ-უხუცესს საბოძვარი და გამოგზავნეს, ისევ ქართლში გამოისტუმრა ასან-მირზა, დედა ქეთავან ხანუმ მისაცემელითა ფრიადითა და პატივითა დიდითა, მოვიდა ერევანს. აგრეთვე უბოძა საბოძვარი ურიცხვი ასლანს ბებურის-შვილს, ხალათი და ცხენი და ყოველითა საბოძვრითა აღავსო:

ქორონიკონს **უმდ**, თვესა თებერვალსა ქალაქსა თბილისისასა დაწვა დედოფალი დარეჯან კახეთისა, შვა ძე კეთილ-სახითა შემკობილი ლევან, იყო სიხარული ფრიადი ორმოცსა დღესა: მოვიდა გურიელის ბიძა შემოქმედელ ეპისკოპოზი, შემოეხვეწა მეფეთა ჩვენთა შველად გურიელისად. ჩამოსდგომოდეს ურუმნი და მეფე იმერეთისა სოლომან, გარდმოეგდოთ გურიელი მამია, დაესვათ უმცროსი ძმა გურიელისა, უწყრებოდა ფაშა ახალ-ციხისა და თუ ხელთ-ეგდო, გურიელს სიკვდილსაც უპირებდა: ამისა მეშველად გაგზავნეს ახალ-ციხის ფაშას-თან ელისბარ თაქთაქის-შვილი და პაპუნა გაბაშვილი, მისწერა მეფემა საქართველოსა-მან ფაშას: რა მივიდნენ მოციქულნი, შეიწყნარა ფაშამ ბძანება ქართველ ბატონისა, მოსწერა ფიცი გურიელისა მოუკლველობისა-თვის: „რომელიც თქვენი ნება იყოსო, ჩვენ თქვენის სიტყვის წინა-აღმდეგობა არ შეგვიძლიაო:“ გამოუსტუმრებინა ფაშას საბოძვრით ელისბარ და პაპუნა: მოიტანეს ამბავნი ესე ფაშისანი, რა მიესმა გურიელს მამიას ამბავნი საამონი, თითონ წამოვიდა ქართველს ბატონ-

თან, რაჭის ერისთვის სახლიდამ და თან-გამოყვა კათალიკოზი იმერეთისა ბესარიონ, ძმა რაჭის
ერისთვისა: რა გარდმოვიდნენ საქართველოსა მიწაში და მოაგებნეს თავადნი და მისცეს ულუფა
საკადრად და კმა საყოფელად მათდა: მოახლოვდნენ რა ქალაქს, ჩამოახდინეს დიდებს, მიაგებეს
ბატონი-შვილი გიორგი დარბაზისა ერნი, ჩინებულნი თავადნი, ყოველნი მოუძღვნეს ეგრე პა-
ტივით ქალაქსა შინა. გურიელი ჩამოახდინეს ქაშოეთს და იმერეთის კათალიკოზი ალავერდელისა
სახლსა შინა: ნახეს მეფეთა ქართლისა და კახეთისათა, მიეგებნენ, მიიჩინეს დიდი პატივი, 279
დაიდვეს ნადიმი, ჰქონეს მეჯლიში გამოჩინებით, რომელი ზნეობა და ქართლის წესი იყო, იმ
რიგით აწყვეს ლხინი.. მერე შებმასნდენ ცხენთა, თვით მეფე ქართლისა თეიმურაზ და მეფე კა-
ხეთისა ირაკლი, წაიყვანეს მამია გურიელი და ინადირეს ლოჭინის მინდორი, დახოცნეს ჯერანნი
მრავალი და ეგრე შექცევით მიბძანდნენ ქალაქსა შინა. დასხდნენ ლხინად და გასცეს საბოძვარნი
გურიელისა დიდებულთა კაცთა ზედა და ეგრეცვე რაჭის ერისთვის ჩინებულთა კაცთა ზედა, რო-
მელნი მოუძღოდნენ კათალიკოზს ბესარიონს: რაოდენთა დღეთა ეს ლხინითა განისვენეს გუ-
რიელს, კათალიკოზს იმერეთისასა. მერე მიართვნეს ლარნი ტურფანი საკადრისი მათდა და გაი-
სტუმრეს ახალ-ციხესა ფაშისა შესარიგებლად, თან-გაატანეს სალთ-ხუცესი მუხრანის ბატონი
კონსტანტინე შუა-მავლად: რა მიახლნეს ქვეყანასა ახალ-ციხისათა, მოაგება ფაშამ კაცნი საჩინონი
და გამგენი კარისა თვისისანი, დიდი პატივი მისცა ფაშამ მუხრან ბატონს და რომელი საქმე
მოხსენდა გურიელსა (გურიელისა). გაუგონა, კარგად შეარიგა და უშოვა ქვეყანა თვისი გურია.
მისაცემელითა ფრიადით გამოისტუმრა მუხრან ბატონი ისევ ქალაქს და მოსცა საჩუქარნი
შესაფერად ამისად და გურიელი ისევ დაიჭირა თვისთან პატივით, დაპირდა ჯარის გატანებასა
ქვეყანასა თვისა: აგრეთვე მეფეთა მისცეს საბოძვარი იმერეთის კათალიკოზს ბესარიონს და გაი-
სტუმრეს ქვეყანასა თვისა: მოვიდა მუხრან ბატონი ქალაქს თვისა . . . . .

ამისა შემდგომად მოვიდა ლეკის ჯარის ქვეითობა, შემოადგნენ ციციშვილის გივის ციხესა
ნიჩბის ზევით, აიღეს ციხე, აავარ-ჰყვეს საქონელი ანუ ტყვე, წაასხეს ცოლ-შვილი გივისა და
მისის ბიძა-შვილისა, წაიყვანეს ყარის კერძო: გამოუდგა კახი ბატონი მეფე ირაკლი ქართლისა
და კახეთის ჯარებით, მოეწვნეს უდაბნოებისა მთები და ყარაიისა მინდვრები, გაასწრა ამ ნაშო-
ვრიანმა ჯარმა ჭარში, დახვდა სხვას მეორეს ნაშოვრიანს ლეკის ჯარს ღამე, შეუტივეს ხმალ-
და-ხმალ მაშინვე და გაემარჯვათ ფრიად, გაარეკვინეს ტყვენი და დახოცნეს ლეკნი: შემობძანდა
გამარჯვებული ქალაქსა თბილისისასა მეფე ირაკლი და წაბძანდა კახეთს და წაიყვანა დედოფალი 280
დარეჯან და გამოართვა ძე თვისი ლეონ დედოფალ-მან ანახანუმ აღსაზრდელად სახლსა თვისსა:

მიუხდა ცხენოსანი ლეკის ჯარი: წაახდინეს სათარხნოს სოფლები, გამოუდგა ქართველ
ბატონი თეიმურაზ საქართველოს ჯარით, მიეწია დიდგორ-ზე, გაემარჯვა დიდათ, ამოწყვიტეს
ლეკნი და გაარეკვინეს ტყვენი ანუ საქონელი ფრიადი და უბოძა თვისთა პატრონებსა და შემო-
ბძანდა ქალაქსა გამარჯვებული: წაბძანდა კათალიკოზი ანტონი ბატონი-შვილი გორიდამ რუსეთს

თვესა აპრილსა . . . , მივიდა ანანურს, თან-გაყვა ხევის სამძღვრამდის ერისთავი ჯიმშერ, წაბძანდა ანტონი ბატონიშვილი თავისის კრებით ყიზლარს, დააყენეს პატივით და მოახსენეს ამისი მისვლა ხელმწიფესა რუსეთისასა: ჯიმშერ ერისთავი, რომ გამობრუნდა, მივიდა მთიულეთს სახლსა წაზღაიძისასა, უღალატეს ღამით კაცთა საერისთოელთა და მოკლეს თოფით და წამოიტანეს გვამი მისი, დამარხეს ანანურს მონასტერსა შინა: დაჰშურდნენ მეფენი ამ ამბავ-ზე, ფრიად უმეტეს მეფე ირაკლი თან-შეწუხდილ-იყო ჯიმშერ და კაი ყმა. მაგრა რა გაეწყობოდა, საერისთოს კაცნი წვეულ-იყვნენ ერისთვების სიკვდილს და არცა მას რიდეს:

დიდოფალი საქართველოსი ანახანუმ წაბძანდა გორს, თან-იახლნენ დარბაისელთა ქალებნი, რომელნიც იყოფებოდნენ ქალაქსა შინა, აღაშენა სახლნი გორისა ციხესა შინა და დადგა მას შინა ერთი ზამბურაკი:

გამოვიდა სამი ათასი ცხენოსანი ლეკი, ზოგნი მიუხდნენ ახალ-ციხისა ქვეყანათა და მრავალი ტყვე და საქონელი წამოიღეს, რომ სიმრავლისა-გან ძლივღა მიუდიოდათ, ზოგნი დაიფანტნენ საქართველოსა შინა და იყო ცემა და ტაცება, ყოველ-გან ხოცა და ტყვეთა წასხმა:
281 მოეშველა კახი ბატონი ირაკლი კახეთის ჯარით, გაბძანდა ქალაქიდამ მეფე თეიმურაზ, შემოიყარა საქართველოს ჯარი, შეიყარნეს ორივ ერთად მამა-შვილნი, შეებნეს ლეკის ცხენოსანთა ჯართა ნიშნის, გააქციეს ლეკნი, მიჰყვნენ უკან ხოცით, ერთს ალაგ-ზე ამოწყვიტეს, დახოცეს ბელადები ლეკისა და ეგრე გამარჯვებულნი ორივ მეფენი მიბძანდნენ გორისა ქალაქსა შინა და უმეტეს შემოიყარეს ჯარები ქართლისანი, თვე იყო ივლისი, მიბძანდნენ ამ ჯარებით, წამოხდნენ ახალ-დაბას: ღამესა მას მოვიდა ცხენოსანი ლეკის ჯარი, მოადგა ქარალეთისა ციხესა, აიღეს ქვეითი გალავანი, იმავ ღამესვე წაიღეს ნაშოვარი ურიცხვი, ტყვე ანუ საქონელი: მოახსენეს მეფეთა მორწმუნეთა, შესხდნენ ცხენთა დილას ადრე, ქვეითობისა ჯარი წინ მიიძღვარეს და ცხენოსანი ჯარი უკან შეუდგნეს: რა შეიტყვეს გაასწრეს ლეკთა, მიაშურეს საციციანოსა მთასა, აიმაღლა ჯარები, გამოუდგნენ ფიცხად, თითონ ბატონები და ვისაც კაი ცხენი ჰყვანდათ მივიდნენ წინარე, მიეწივნენ სკრას სასოფლარშინა, დააყრევინეს ტყვე ანუ საქონელი, დახოცეს ლეკნი და მოართვნეს თავნი მეფეთა: იმ დღეს რომ გენახათ ქისიყის მოურავის შვილი ზაქარია, ამას ბძანებდით ერთის ფალავანდისაგანც ძლივ შესაძლებელ არისო, რომ ის მამაცურად გაისარჯა, კაცი და ცხენი იმისი და ლეკის სისხლით შესვრილმა ორთავ ბატონებს თავი და ლეკის ცხენი და იარაღი მოართვა: ასაკითა იყო მცირე, მარა დიდად მამაცურად ომსა შინა შევიდა და გამარჯვებული სახელოვნად გამოვიდა, იხმათ მეფეთა და უბოძეს წყალობა, მიბძანდნენ და წამოხდნენ დირბისის ბოლოს: მოვიდნენ კიდევ ლეკნი და ქარელის საქონელნი და მინდვრიდამ ტყვენი წაასხეს, გამოუდგნენ მაშინვე, გაეყარეს ლეკთა ნაშოვარი, შეასწრეს ტყეთა შინა, აყვა ჯარი ქართველთა და კახთა ტყეთა შინა, დახოცეს ლეკნი და მოართვეს თავნი მეფეთა:

282 მიბძანდნენ, დადგნენ მცირედ ხანს სურამს, უკუუდგნენ ლეკნი და წავიდნენ ქართლისა

ქვეყნიდამ, ბატონები ჩამობძანდნენ ისევ გორს: ხუნძახის ბატონს გამოეგზავნა კაცი მისან-დონი და შემოხვეწოდა კახ-ბატონს შერიგებასა: მეფე-მ ირაკლი-მ ეს მოციქულები კახეთი-დამ თვისსა მამას ცხებულს მეფეს თეიმურაზ-თან მოიყვანა, უბოძა საბოძვარი, დამოსეს ხალათით და გაისტუმრეს გორიდამ და ეს პირი შეუთვალეს: „თუ შენ ჩვენ-ზე არა იმტყუვნო რაო, ჩვენც შენ-ზე არა ვიმტყუვნოთ-რაო:“ წავიდნენ ამა პირსა ზედა ხუნძახის ბატონის კაცნი და-ღისტანში, მიუტანეს ამბავი ესე: შეიყარნენ საქართველოს ელები ერთად, რომელნი იდგნენ ოსმალეთს ქვეყანასა, დადვეს პირი და ფიცი: „ნუღარ მივალთ საქართველოში, ნუ ვემსახურებით ქართველ ბატონსაო, წავიდეთ ერანის ქვეყანაშიაო:“ აიყარა ყაზახის ხანიც, სულ ყაზახის ელით და წავიდა ფანბაკს: ესმა ამბავი ესე მეფეთა ჩვენთა, ცოტას ჯარით ქართველ ბატონი გორს დადგა და კახი ბატონი წაბძანდა ბძანებითა მამისა მეფის თეიმურაზისათა და თან-იახლნენ სა-ქართველოს სარდლები და კახეთისა ჯარებით, გარდაიარეს თრიალეთი, გარდავიდნენ ყაიყულს, იქ მოეგებნენ დემურჩასალისა და ბაიდრისა ქეთხუდები, (ჩვენი) ჩემს ერთ-გულობა თავს დაიდვეს და ბელადობა (1). უბძანა წყალობა, არჩევით გაგზავნა კაი ცხენოსანი ჯარი წინა და თითონ ბატონი დიდის დასტით უკან ჩამოუდგა, მიეწია მეწინავე ჯარი ყარასუზე ამ ელებს და გარს შემო-ერტყნენ, მიბძანდა ბატონიც, დიახ დიდი ელები იყო. მაგრამ მეფის ერეკლეს ხმა განიყენილ-იყო და ქართველთ ხმალი ყიზილბაშთ ზედ-ზედ კარგად ესახათ: შიშით ველარა იკადრეს რა-რამე ხელ-ყოფა, მოეგებნეს წინ და შეასხეს ქება და ითხოვეს დანაშაულისა მოტევება, რო-მელთამე თავნი წარკვეთა და რომელნი აიკლო სახლით და საქონლით: აჰყარეს ეს ელები სრუ- 283
ლიად, გამოუმძღვარეს სარდალი ორბელიანი რევაზ და დიმიტრი ელიაღას ეშიკაღასბაში და წინა ჩამოუყენეს, უკან ერისთავი ქსნისა დავით და მაჩაბელი ასე, წამოიყვანეს ეს ელები, ჩამოიარეს ტაშირზე დმანისის ციხის პირდაპირ და მოიყვანეს და დააყენეს სომლაღუხსა:

იქავ გზიდამ გაგზავნეს მცირე რამ ჯარი ქართველთა და კახთა, უთავეს იოთამის-შვილი უზბაში რევაზ ყაზახის ხანის, გიგის ხანის ციხეში დააყენეს. მობძანდა ესე ყოველი ქართველ ბატონს, წამოძანდა გორიდამ, ჩამობძანდა სომლაღუხს და შეეყარა ესა თვისსა მეფეს ირაკლის: გამოართვეს ბორჩალუს დემურჩასალის ბაიდარს და ზოგთა ყაზახელთა უფროს კაცებს მძევლები და აჰყარეს, შემოიყვანეს ქალაქსა თბილისისასა და დააყენეს, მოუყენეს მცველნი, დააყენეს სარ-დალი რევაზ და ზოგი ვინმე თავადთა შვილნი იასაულად: ამ თათრის ელებს გამოართვეს ხუ-თი-ათასი ცხვარი, ოთხი-ათასი ძროხა და ასი ცხენი ჯარიმად და ვინა თან-ახლდა მეფეს ერეკლეს და ამ ჯარებს წყალობად უბოძეს, ამით რომე ამ ელების ჯარი შეყრილ-იყო მთა-ზედა, იქიდამ მიხდომოდენ, ყარსის ქვეყანა დაერბიათ და მრავალი საქონელი მოესხათ. მეფის ირაკლის მო-ბძანება რომ შეეტყოთ, ერევნის ხანსაც ახლებისა დიდებულნი კაცნი ერევნისანი და მოერთმევინა

(1) შუანის კედელში ასე უნდა იყოს: ჩვენი ერთ-გულობა თავს დაიდვეს და ბელადობა. დ. ჩ.

ცხენები ბედაურნი და ფეშქაშნი საგზლნი: აგრეთვე გამოეგზავნა ყარსის ფაშას ფეშქაში და კაცნი
თვისისა ქვეყნისანი: „თქვენმა ელებმა ჩემი ქვეყანა წაახდინესო, რადგან თქვენსა და ჩვენში
შერიგება არისო სამართალი გვიყავითო:“ ამის-თვის გაუწყრნენ მეფენი, წაართვეს რაც ყარსის
ქვეყნიდამ საქონელი მოესხათ და ისევ ყარსის ფაშას გაუგზავნა მეფემ ირაკლიმ და სხვა ეს
284 რაც ჯარს უბოძეს ჯარიმად წაართვეს, აყარეს ეს ელები სონღალუხიდამ, გაუმძღვარეს ბორჩა-
ლუს ხანი მუსახან, დაასვენეს ალგაყალას, ბაიდრის სულთნობა უბოძეს მამადჯან-ბეგს და დაა-
ყენეს თავისის ელით ბაიდარში, აიყარნენ ბატონებიც. ქართველ ბატონი შემობძანდა ქალაქში, კახი
ბატონი წაბძანდა კახეთს. დაითხოვეს ჯარები, წავიდნენ სახლთა თვისად:

შეიყარნენ გაღმა-მხარს კახნი და თუშნი, ითავეს თუშთა მოურავის ძმა ჯანდარ, გარდუხდეს
დაღისტნის სოფლებს, წამოიღეს მრავალი ცხვარი და ძროხა, ვინა ლეკნი მოეწივნეს დახოცეს
და უვნებელად ნაშოვარი კახეთში გარდმოასხეს: აგრეთვე მიუხდენ ქისიყელნი, აათხრეს ჭარელნი,
სოფლები, წამოიღეს ნაშოვარი, მოიტანეს ქისიყში: წამოვიდნენ, ქვეითობის ჯარი ლეკისა დაი-
ფანტა საქართველოსა შინა, დაჰხვდნენ მუხრანის ბატონს სახლთ-ხუცეს კონსტანტინეს ღართის-
კარში ლეკნი მომავალნი, მოკლეს მუხთლად და რომელი ახლდნენ კაცნი თვისნი, ყოველნი
გაიქცნეს და გვრათა სახმარ-ექმნეს, ჩამოიტანეს გვამი მისი, დამარხეს მცხეთას სასაფლაოსა
თვისსა შინა: ესმათ ამბავი მეფეთა დაჰმწუხრდნენ ფრიად: შემოიყარა ჯარი კახმა ბატონმა ირაკლიმ
დახვდა ამ მუხრან ბატონის მკვლელს ლეკის ჯარს წინა, ღალის ყურის-ბოლოს, გაემართა
დიდათ, რომ მოასწრე არ წასვლიათ, დაერივნენ კახნი და თუშნი ხმალ-და-ხმალ შიგა და ყათლამი
დამართეს: დასჭრეს თავები, აჰკიდეს ულაყთა და საპალნებით მოართო მამასა თვისსა მეფესა
თეიმურაზს ქალაქსა შინა: მუხრან ბატონს ხომ აღარა ეშველებოდა-რა, თორემ სისხლი კარგი
აიღო მეფემ ირაკლიმ და აიყარა თითონ კახეთიდამ, მობძანდა ანანურს, დაასვენა დედოფალი
დარეჯან, თითონ ჩამობძანდა მცხეთას: ქალაქიდამ გაბძანდა მეფე თეიმურაზ ნოემბერს კა. შეი-
285 ყარნენ ერთად, მიბძანდნენ მუხრანში, იტირეს მწუხარედ მუხრან ბატონი და ნუგეში-სცეს
ცოლსა მისსა ბარბარეს, რომელი იყო ასული არაგვის ერისთვისა ბარძიმისა, მას-თან დარ-
ჩა ორი ძე დავით და იოანე და სამი ასული. უფროსი ქეთევან ნათხოვნი, იყო ვახტანგ ბა-
ტონი-შვილისა, სახლთ-ხუცობა უბოძეს იასე ამილახორის შვილის-შვილს, რომელი იყო მცირედ
ხანს ქისიყის მოურავი, ისევ უბოძეს თამაზს მოურავს, ვითა მამა-პაპით მისი სახლთ ყოფილ-
იყო, მუხრანის ბატონობა უბოძეს სვიმონს ძესა ლევანისასა: გაგზავნეს ჯარი გორს, ჩამოი-
ყვანეს დედოფალი საქართველოსი ანახანუმ, ჩამობძანდნენ მცხეთას, აკურთხეს კათალიკოზად იოსებ
რუსთველი, კაცი ჯანდიერის-შვილი, სათნოებითა და სიწმიდით სიყრმითგანვე განბრწყინვებული.
დასვეს ტახტსა ზედა საპატრიაქოსა, თქვეს ყოველთა წმიდათა ეპისკოპოზთა ღირს არს და შემ-
დგომადი. რა განსრულდა ესე ყოველი, წარვიდნენ ყოველნი ეპისკოპოზნი თვის-თვისად ეკკლე-
სიასა და მეფენი ჩამობძანდნენ ქალაქსა თბილისსა:

ქორონიკონს უმე დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი 286
გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო-ქართლში და საერისთოებში, აღარ-სად დარჩა შენობა იმ-
მხარეს, მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და ყარაბუდახის შვილები სამშვილდესა შინა: იყო
ცემა ლეკთა-გან მარადის და ოხრება საქართველოსა შინა. გავიდიან მეფენი ქალაქით, შეებიან,
ზოგ-ჯერ გაემარჯვისთ ლეკ-ზე და ზოგ-ჯერ წაილიან ფრიადი: მიუხდა ფათიხანის შვილი
მამად ჰასან-ხან აზატ-ხანს, ამოუწყვიტა ჯარი, წაართო ცოლ-შვილი, ციხენი და თოფხანა, თით-
თონ ცოტას კაცით გაიქცა, ურუმთ შეეხვეწა, იქ ამოწყდენ ქართველნი ბევრნი. ეს ხანი მოადგა
განჯას, იქ დაიბარა ქართველ ბატონი ზაკვით, ლამოდა ქართლის წახდენასა, აუჩნდა ამას სხვა
მტერი ქვეიდამ, გაბრუნდა ისევ და მორჩა ქართლი მისის მტრობისა-გან:

მოვიდა ათასი ლეკი ქვეითი ავალიშვილების მამულში ხეობაში, აიღეს ყავბასის ციხე, მერე
მიადგნენ ჭაბის ხევს ციხესა, მიეშველა მეფე თეიმურაზ ქართლის ჯარით, დადგა თითონ ქვიშ-
ხეთს, უთავა ამილახვარი, მოუსივა ჯარი, მიაშველა ციხეს, გაეცალნენ ლეკნი უომრად, მეფე
ჩაბძანდა ისევ ქალაქსა თბილისისასა, წავიდნენ ეს ლეკნი, წაახდინეს ჯავახეთის ქვეყანა:

გურიელმა მამია-მ წმიდის გიორგის ხატი მოართო ბოჭორმისა მეფეთა, ძველად დახიზნული
იყო ეს ხატი გურიას (1): დაუმარცხა იმერეთის მეფე-მ სოლომან ურუმის ჯარს, რომ ლევან
აბაშიძეს და რაჭის ერისთავს მოეყვანათ მის წასახდენათ, მოკლეს ლევან, ამოწყვიტეს ჯარი
მისი და ურუმნი სულ ხელთ დარჩართ, სამი ფაშები ცოცხალნი დაიჭირეს: ჭარელნი შერიგდნენ
კახს ბატონს:

ქორონიკონს უმვ მოვიდა ბამან-ხან, ქართველს ბატონს შერიგდა, მისცეს ბორჩალუს
ხანობა, განჯას რაც ქართლის ელები იყო ყაზახ-ბორჩალუ დემურჩასალოსი სულ მოიყვანა, თა-
ვის ალაგებში დააყენა ყველა: ჭარელნი შემოირიგა კახმა ბატონმა, მისლვა მოსლვა შეიქმნა
კახთა და ჭარელებში: აქ განსილიერდა მამად ასან-ხან, ელაპარაკებოდა ქართველთა, დაიბარებდა 287
თვისად მონებად, გაგზავნეს დიმიტრი ეშიკაღასბაში და ვეზირი მირზა ალინდი-ბეგ იმას-თან
ფეშქაშებით და შეტყობადცა საქმისა მისისა, სანამ ესენი წავიდნენ, იმას ჯარმა უღალატა, თით-
თონ გაიქცა ქვეყანასა თვისა. ესენი ქართლსავე გაბრუნდნენ, უღალატეს გზებში უიზილბაშთა, გამო-
ვიდნენ ხლმითა:

დედოფალი ანახანუმ მიიყვანეს, დააყენეს სამაჩაბლოში ციხესა, რომელსა ქვიან ციხე-გოჯი:

წამოვიდა კიდევ ქუნძახის ბატონი ქართლის სამტროდ დიდის ჯარით, მოვიდნენ ორივ მეფენი
ქართლისა და კახეთის ჯარით გორს. გამოიარა ქუნძახის ბატონმა კახეთი, შემოვიდა ქართლში,
მეფენი მობძანდნენ ქრცხილვანს, მოვიდა ლეკის ჯარიც ქრცხილვანს, შეიქნა ომი, მოშველდნენ
მალე. იმ ღამეს ნიქოზს დადგა ის ჯარი ლეკისა, მეორეს დღეს აიყარა, მიადგა ალაის ციხეს,

---

(1) ეს გადახეც მოუმატებია. დ. ჩ.

აილეს, ამოწყვიტეს, დაატყვევეს და წაილეს ურიცხვი ანუ საქონელი, მიიტანეს ახალ-ციხეს, მისცა პატივი და ულუფა ფაშა-მ ახალციხისა-მან: დაიმშა ჯავახეთი, მოვიდა ქარვანი ჯავახეთიდამ პურისა-თვის, დიდად ბევრი იყიდეს ქართლში, წავიდნენ, დახვდნენ ქართლის მიწაში იმერელნი, ამოწყვიტეს ჯავახნი, აიღეს საქონელი: მეფეთა ქსნის ერისთავი გაგზავნეს იმერეთს, სთხოვეს ჯარი, დიდი ჯარი წამოვიდა, მარა ვეღარ მოუსწრეს, ქართველთ ჯარი ცოტა იყო და ვერ შეებნენ, მეფე სოლომან მცირეს ჯარით გარდმოვიდა, ნახა მეფენი გორს, დახვდნენ საყვარლად და გაისტუმრეს ისევ მიცემითა და შერიგდნენ პირითა მტკიცითა: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო ერთმანეთს მიეშველნეთო:

ეს ქუნძახის ბატონი ამ ლეკის ჯარით გაუსივა ფაშა-მ იმერეთის ქვეყანასა და დაპირდა
ჯამაგირსაც, ჩავიდა ქუთაის ქვეით და ზევით სულ დაატყვევეს, გააოხრეს იმერეთი, მრავალი
288 იშოვეს: მეფე სოლომანმა შებმა ვერ გაბედა, არც ქართველთ სთხოვა ჯარი, გელათის ეკკლესია
მაშინ წახდა, ეს ნაშოვარი მოიტანეს ახალ-ციხის ქვეყანასა, მისცა ფაშამაც ბევრი ლეკთა და
გაისტუმრა დაღისტანსა შინა: მეფენი ისევ ქალაქს ჩავიდნენ, დედოფალიც ჩაიყვანეს, კახი ბა-
ტონი ლეკის ჯარს დახვდა, გაემარჯვა ლეკზე: ეს ნაშოვარი ნახეს ლეკთა, წამოვიდა დაღისტნიდამ
ქვეითი და ცხენოსანი, აივსო ზემო-ქართლის ქვეყნები ლეკით, აოხრებდნენ და მიქონდათ ურიცხვი:

---

სრულ-იქმნა ძალითა ღვთისათა წიგნი ესე მცირე ქართლის ცხოვრება ხელითა ხარების საყდრის დეკანოზის ძის დავითისითა: აღმომკითხველთა გევედრებით, უკეთუ ნაწერსა ამას შინა ჩემსა ცთომილება იხილოთ რაიმე, ნუ მწყევთ. არამედ კურთხევასა ჰყოფდეთ ჩემ-თვის, თქვენ უცრუვნელად იქნებით და მე დიდად შემწე მექმნებათ: თვესა აგვისტოსა რიცხვსა ლ, ქორონიკონს უკა:

დედანში რუსულად სწერია ბოლოს: *Въ Тифлисѣ, Сентября* **27, 1773** *года.*

## მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა:

### შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისა-თვის, თუ ვითარითა შრომითა მიიღო მან მეფობა ქართლისა, რომელსაცა გარდამატებულისა-თვის სიმხნისა მისისა პირველად მიებოძა შაჰნადირ კასთ მეფობა და შემდგომად შეაერთა მან სკიპტრა ორ-მეფობითი:

ქმნილი ომან მდივან ბეგისა-გან:

წელსა **1722** დაჯდა ყაენად ძე შაჰ-სულტან უსეინის შაჰ-თამაზ და იმ ჟამად იჯდა ქართლში მეფედ ვახტანგ ლევანის ძე. ხოლო კახეთს იჯდა მეფედ კონსტანტინე ირაკლის ძე, რომელსა ეწოდა სახელად მაჰმად-ყულიხან თათრობის გამო: გარნა ესე ორნი მეფენი იყვნენ სიყვარულსა და ერთობასა შინა ურთიერთასადმი: ხოლო ოდეს ჰსცნა ერთობა ამათი შაჰ-თამაზ არა მცირედ შეუძნდა მას ესე და განიზრახა მათ-შორის შთაგდება შურისა, რომლისა-თვის მისწერა და მისცა მეფობა ქართლისა მაჰმად-ყულიხანს და მოუმცნო მას: „ვინაიდგან ხარ მაჰმადიანი, შენ ამის-თვის სარწმუნოდ გრაცხ და მეფესა ვახტანგს ვერღა-რა ვენდობი, განაძე მეფე ვახტანგ და ქართლი იპყარ:“ და მისცა ამის-თვის შემწედ განჯა, ყარაბაღი და ერევანი: და ამის-ძლითა 1 შეჰკრიბნა ამ ადგილებით ჯარები და მივიდა მეფე მაჰმად-ყულიხან მახლობელ ტფილისისა სეიდაბადში, სადაცა განვიდა მეფე ვახტანგ, ეწყო და აოტა მაჰმად-ყულიხან და წარვიდა მეოტი: გარნა არა ინება დაყოვნება დროისა, არამედ მასვე ჟამსა მეოტი განვიდა ჭარში, შემოიკრიბნა ჭარელნი და განიმრავლნა სპანი: კვალად მოვიდა მეორედ სეიდაბადში და განვიდა მეფე ვახტანგცა, ეწყვნენ ურთიერთთა, გარნა ივლტოდა მეფე ვახტანგ და არღა-რა შეიქცა ტფილისად. არამედ წარვიდა შიდა-ქართლს. ხოლო მაჰმად-ყულიხან შემოვიდა ტფილისს და დაჯდა მეფედ ბრძანებითა შაჰ-თამაზისათა:

ხოლო წელსა **1723** ხონთქრის სარასკარი მოვიდა ყარს და ამან ჰსცნა ესე ვითარება ქართლისა და ნახა ჟამი მარჯვე, რომლისა-თვის მიუწერა მეფესა ვახტანგს: „მე წარმომივლინე

ერთი ნათესავთა შენთაგანი და მე ვაოტო მაჰმად-ყულიხან და შენ დაგიმტკიცო ქართლი:“ და
მეფე-მან წარუვლინა ძმა თვისი იესე, სარასკარი წარმოემართა ჯარით და მოვიდა შანბიანს
და კვალად მიაგება მეფე-მან ძე თვისი ბაქარ და წარმოემართა სარასკარი, მოვიდა და დაიბანაკა
ყურყუთას: ხოლო ჰსცნა რა ესე მაჰმად-ყულიხან, რომელ არა აქვს პირის-პირ ბრძოლისა შეძლე-
ბაი. ამის-თვის მიეგება და მიართვა კლიტენი ციხე-ქალაქისა და ევედრა მიცემასა ქართლისასა
2 და დამტკიცებასა მეფობისასა: ხოლო მან არა ინება და შეიპყრი თხოვითა ბაქარისათა და
შტიმარ-ჭყო: ხოლო მასვე წელსა ივნისის თვესა შაბა სარასკარი შემოვიდა ტფილისს და მის-
ცეს მეფობაი ბაქარს ძესა მეფის ვახტანგისასა და ვინათ-გან არა ნებისა-ებრ ამეფეს იგი, მასვე
წელსა განივლტო მან ოსმალთა-გან და მივიდა მამისა თვისისა-თანა:

წელსა **1724** მეფე ვახტანგ და ბაქარ წარვიდნენ რუსეთს, წელსა **1725** ძმა მეფის ვა-
ხტანგისა მეფე იესე გამაჰმადიანდა და კვალად მისცეს ოსმალთა მეფობა ქართლისა. გარნა არცა
იგი აღუფლეს ნებისა-ებრ თვისისა და მოკვდა მეფე იესე წელსა **1733**:

ამასვე წელსა კახთ მეფეს მაჰმად-ყულიხანს უღალატეს ოსმალთა და მოკლეს სამზირალში
და მრავალნი თავადნი და გლეხნი მოსწყვიტეს მის-თანა. გარნა კახეთი ვერა ნებისა-ებრ თვისისა
დაიპყრეს და მაშინ მოინდვეს ძმა კახთ-მეფისა მაჰმად-ყულიხანისა თეიმურაზ და მისცეს მე-
ფობა კახეთისა ზაკვით, ვინად-გან ნებავდათ დაპყრობაცა კახეთისა, მსგავსად ქართლისა:

წელსა **1734** უსუფ-ფაშა მოვიდა დიდის ჯარით ქისიყს-მალაროს და დასდგა მუნ, რათა
ნებისა-მებრ თვისისა დაიპყრას კახეთი: ხოლო ჰსცნა ზაკულება მეფე-მან თეიმურაზ, შემოი-
კრიბნა კახნი, მოვიდა ღამე და თავს დაესხა და გაემარჯვა ოსმალთა ზედა და მრავალნი მო-
3 წყვიტნეს და უკუნ-იქცა უსუფ-ფაშა მეოტი და მიერით ვერღა-რა იკადრეს ოსმალთა შესლვად
კახეთად: და ამასვე ჟამსა მოსულ-იყო თამაზ-ხან განჯას, რომელსა ეწოდა შემდგომად ნადირ-
შაჰ და რა ესმათ ესე ქართველთა, უკუდგნენ ოსმალთა-გან ქართველ-კახნი და განჯას თამაზ-
ხანთან წარვიდნენ: და რა იხილეს ოსმალთა უკუდგომა ქართველთა, ამის-თვის გაიერთეს ლეკნი
და მოიმწყს მუნით სპანი და აოხრებდენ ქართლ-კახეთსა და უფროსად სომხით-საბარათიანოს,
და ესრეთ აღაოხრეს, რომელ არღა-რა იპოებოდა შენობა ქართლსა შინა, თვინიერ ციხეთა და
სიმაგრეთა კიდე და კახეთით გალეკდენ ქისიყელნი და გაღმა-მხრელნი და მისცეს პირი ლეკთა.
გარნა ეგნეს მტკიცედ თავადნი და აზნაურნი და შიგნით კახნი სარწმუნოებასა ზედა მართალსა
ად განამაგრეს თელავი და ალავერდი და შეჰკრბენ მას შინა, შეაწუხეს ქისიყი ლეკთა და გაღმა-
მხარი, რომლისა-გამო ვერღა-რა შეუძლეს მოთმენა და უღალატეს მუნ მყოფთა ლეკთა და
მრავალნი ლეკნი მოსწყვიტნეს და მოიყვანეს მეფე თეიმურაზ ფშავით და დასვეს მეფედ კახთა:

ხოლო წელსა **1735** მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბიეს: მაშინ იყო ძე მეფისა თეი-
მურაზისა ირაკლი წლისა **15**, რომელ-მან შემოიყარა სოფლებიდამ ჯარი, ეწია ნეიშნის მინ-
დორში და ძლიერად შემოებნენ ლეკნი. გარნა თვით ესე ყრმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი,

მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი და ამის მხილველთა კახთა ერთ-პირად მიმართეს ყიჟილით და წინა-წარიქციეს ჯარი ლეკისა, აჰყარეს ტყვენი და სა- 4 ქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი, და მოვიდა მალაროს გამარჯვებული, რომლისა-თვის ფრიად მხიარულ-იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა:

ამასვე წელსა **1735** შაჰნადირ დემურ-ტაშკედ სარასკარი დაამარცხა, მაისის **19** და ივნისის **11** ტფილისში მყოფთ ოსმალთა ნადირ-შაჰს წერილი მოუვიდათ: „სარასკარზედ გავიმარჯვე და თქვენც მზად იყავითო:“ ივლისის **30** ოთხშაბათს დღეს ოსმალნი ტფილისით განვიდნენ და ოკდომბრის **6** ნადირ-შაჰ ტფილისს ქალაქს შემოვიდა. **25** ქალაქით განვიდა და კახეთი მისცა თეიმურაზს, და მეფობა ქართლისა ძმის-წულსა მეფის თეიმურაზისასა ალიხანს და თანა-წარიყვანა იგი. ხოლო ტფილისს ქალაქსა შინა დასვა სხვა ხანი ერთი ყიზილბაშისა:

წელსა **1736**, ნადირ-შაჰ სეფი-ხან სარდალი წამოუყვლინა ქართლს. ამან მიუწოდა მეფესა თეიმურაზს კახეთით და ქართველნიცა შეჰკრიბნა ფშავისის სოფელში, სადაცა უღალატეს მეფესა თეიმურაზს და დაიჭირეს ყიზილბაშთა და ამას-თანავე დაიჭირეს გივი ამილახორი, არაგვის ერისთავი ბარამ და თარხანი ლუარსაბ და ეგრეთვე კახნიცა ჩოლაყაშვილი სახლთ-უხუცესი გივი, ქიზიყის მოურავი ქაიხოსრო და წარასხნეს ესე ყოველნი სპარსეთს. და რა ისპაანს მიიყვანეს იქ პყრობილობისა-გან განსხნეს და პატივით შეიწყნარეს: გარნა იმ ჟამად შაჰ-ნადირ ყანდაარს წარვიდა და მეფე თეიმურაზცა თან-წარიყვანა, რაიცა ქართლ-კახნი თან-ახლდნენ ისინიც პ თან-იახლნა ყანდაარს, და ოდეს მიაწიეს ყანდაარად. მაშინ აუწყეს გაცხადება მეფეს თეიმურაზს: „რომელ შენი შვილი დაიბარე და რა ის მოვა, შენ მაშინ დაგითხოვთო:“ ვინაიდ-გან ჰხედვიდა ქართველთა მხნედ, ამის-თვის თვით შაჰ-ნადირ მოსწერა წიგნი დაბარებისა ირაკლის და მას-თან დაიბარნა ქართველ-კახნი: ხოლო მსმენელთა ამისთა ქართველ-კახთა ერთ-პირობით არა ინებეს წასვლა ირაკლისა სპარსეთად, რომლისა-თვის შეიყარნენ ქართველ-კახნი და არა აუფლებდნენ წარსვლად ირაკლის. გარნა არა მიხედა პატივსა და დიდებასა ამის სოფლისასა. არამედ სათნო-ეყო ბრძანებასა მამისასა, მორჩილი ჭაბუკისა, „პატივ-ჰსცემდე მამასა და დღე-გრძელ-იქმნე:“ და დიდად უარ-ჰყო წარუსვლელობა თვისი და ჰსთქვა. „მამა ჩემი იქ უნდა ჰყვანდესთ და ჩემის იქ მისვლით გამოუტევებდნენ და მე ამა-ზედ დავბრკოლდე და არა წარვიდე, ეს ჩემ-გან შეუძლო არისო:“

წელსა **1737** წარვიდა ირაკლი ფერვალს შაჰ-ნადირ-თან და ყანდაარს ჰმთავიდა. ხოლო ნადირ-შას, ყანდაარი მარტის **16** აეღო და ოდეს მოვიდა ირაკლი, მყისვე წინაშე შაჰ-ნადირ ლაპარაკი დაუწყო და ჰკითხა ირაკლის ბრძანების გვარად საშიშარის სახით. „არ გასთათრდებიო,“ და ვითარცა მოწამე-მან აღიარა მძლავრისა წინაშე ქრისტე და პასუხ-აგო წლითა და დღითა ყრმა-მან. ხოლო გონებით ბრძენ-მან, „ჩემი სიკვდილი შესაძლებელ არს და სულისა ვერ-ვის ძალ-უძსო და არც მე გაგმაჰმადიანდებიო.“ შემდგომად უბრძანა ნადირ, „ნუ გეშინიან, მე აღარ

გაიმულებო." და მეორეს დღეს მეფე თეიმურაზ და ქართველ-კახნი მიაყვანინა და ყოველნი დაითხოვა და გამოისტუმრა და თვით ნადირ ინდოეთ-ზედ განიმხედრა და ძე მეფის თეიმურაზისა
6 ირაკლი თანა-წარიყვანა. შთავიდა ინდოეთს და ინდოეთის ხელმწიფე ამად-შაჰ შემოება 300000 კაცით. გარნა ნადირ-შაჰს გაემარჯვა და მთელი ინდოეთის სახელმწიფო დაიპყრა, მუნით დაბრუნდა და სინდეთს შევიდა და სინდეთის სამეფოცა დაიპყრა. გარნა მუნ დიდნი ბრძოლანი გარდაიხადნა, რომელსაცა ყოველთა ამათ ბრძოლათა და ომებთა შინა თან-დასწრებულ-ჰყვა და ყოველ-თვის თვალითა თვისითა უწარჩინებულეს მხნედ ჰხედვიდა ძესა მეფის თეიმურაზისა ირაკლის და ამის სიმხნისა და სიგონიერისა-თვის ფრიად შეიყვარა, მუნით გამობრუნდა და მოვიდა ყანდაარს შაჰ-ნადირ:

წელსა 1739 შაჰ-ნადირ ყანდაარს მოვიდა და ვინადგან მადლიერ-იყო მეფის ძის ირაკლისა, რომელმანცა აჩვენა სიმხნე და ერთ-გულება. ამის-თვის უბრძანა. „მეფის ძევ ირაკლი, შენ შენს ქვეყანას ეწყინები და ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასვლისა და მარადის ჩვენის წყალობის მოიმედე იყავი:" ხოლო მან მადლობა მოახსენა და მაისის 28 ყანდაარით წარმოსრულ დეკემბრის 13 ღამის ოთხს საათს განსულს კახეთს ალავერდს მობრძანდა: ამ ჟამად შაჰ-ნადირ თურქისტან-ზედ წაბრძანდა ბალხისა-ბუხარი, ორგანჯი სამარყანდი და მრთლად თურქისტანი სრულიად დაიპყრა და იქ რაოდენიმე ხანი დაჰყო, მუნით წარმოსრული დაღისტანში მოვიდა ძლიერის ჯარითა და შეამუსრნა ლეკნი ძლიერითა ბრძოლითა და ეგრეთვე ქართველნი სურსათის თხოვნითა, რომლისა-თვისცა განჰსდგნენ ნადირ-შაჰსაგან, ვიეთნიმე ქართველნი და მოიყვანეს ლეკისა და ოსმალისა ჯარები, აოხრებდნენ დაატყვევებდნენ ურთიერთს, ვინათგან ვერღარა შეუძლეს პირის-პირ სამსახური ნადირ-შასი. ხოლო ტფილისს შაჰნადირისა-გან დასმული ხანი ჰბრძოდა მარადის ქართველთა და აოხრებდნენ მარადის ორნივ მხარენი ქართლსა და ესე ყოველი აცნობა ტფილისს მჯდომ-მან ხან-მან შაჰ-ნადირს, რომელიცა განძვინდა საქართველოსა ზედა და განიგულა ყრა მათი და მოწყვეტა ქართლ-კახეთის ერისა. ჰსცნა რა ესე მეფე-მან თეიმურაზ წარავლინა დედოფალი თამარ, ასული მეფის ვახტანგისა ვედრებად ყაენისა წინაშე, რათა არა აწყვიდოს ქართლ-კახეთისა ხალხი და დასცხრესცა მრისხანება მისი ქრისტიანეთა ზედა: ხოლო მოვიდა რა დედოფალი თამარ დაღისტანში ნადირ-შაჰს-თანა და ევედრა აუჯრელობასა ქართლ-
7 კახეთისასასა და ეგრეთვე აცნობა ურთიერთობა ქრმისა თვისისა მეფის თეიმურაზისა და ერთგულება ძისა თვისისა ირაკლი მეორისა, რომლისა-თვის მეის თანად ლმობიერ-იქმნა მძლავრი იგი და პატივ-ჰსცა, ვითარცა დედასა და ყოველი თხოვილი მიანიჭა და გამოუტევა დიდითა ნიჭითა კახეთს და მოუწერა შაჰ-ნადირ ტფილისს მჯდომს ხანსა, უკუმდგართა ქართველთა ზედა ბრძოლა და ოხრება: მივიდა ესე ტფილისს მჯდომი ყიზილბაშით და მოადგა აწყურის ხევსა, შემუსრა აწყურის ხევი და გამოიყვანა ქსნის ერისთვის შანშეს ცოლ-შვილი და ძმებისა მისისა. ხოლო შანშე ივლტოდა ახსიხას (ახალციხეს), გარნა ჰსთხოვეს იგი ყიზილბაშთა და მოსცეს ოსმალთა

შანშე და შეიპყრეს ძმაცა შანშესი იესე და წარგზავნეს ცოლ-შვილით ხორასანს და დაიპყრეს ქსნის-ხევი და მამული შანშესი ამილახორ-მან გივი-მან: და ამ ჟამადვე მოჰკლეს არაგვის ერის-თავი ყმათა თვისთა და გამოაძეს სახლის კაცნიცა მისნი და მაშინ იწყო გივი-მან დაპყრობაცა არაგვისა, მოიყვა ქალი ოსმალთა-გან და განსდგა ყიზილბაშთა-გან: ესე ყოველი ამცნო ტფი-ლისს მჯდომ-მან ხან-მან და გამოუცხადა შაჰ-ნადირს ერთგულება მეფის თეიმურაზისა და ძი-სა მისისა ირაკლისა: ხოლო შაჰ-ნადირ უბოძა არაგვის საერისთავო მეფესა თეიმურაზს და მოუ-მცნო ბრძოლა და კირთება გივი ამილახორისა, რამეთუ გივს აქუნდა ქსნის-ხევის ციხენი გან-მაგრებულნი და ჰყვა ძმა-შვილი თვისი რევაზ! ეზრახნენ მეფენი ამ რევაზს და აღუთქვეს წყა-ლობა, უკეთუ მოსცეს ციხენი და მაშინ მოსცა რევაზ ციხენი ქსნის-ხევისანი და დაიპყრეს 8
ქსანიცა მეფე-მან თეიმურაზ და ირაკლი-მ და მრავალნი ბრძოლანი გარდაიხადეს: ხოლო ვიეთ-თამე ქართველთა მოუწოდეს ძესა მეფისასა ირაკლის და წარვიდა ირაკლი სამასისა კაცითა და წარიყვანა სამასი ლეკიცა და შემოეყარნენ რაოდენნი-მე ზემო-ქართლელნი თავადნიცა ირაკლის ძესა მეფისასა, მივიდნენ და დასდგნენ ქრცხინვალს ზემო, აბო-წმიდას: ჰსცნა რა ესე გივი-მან სურამს მდგომ-მან, შემოიყარა ოსმალისა და ლეკის ჯარი, ვიდრე 5000 და ვიეთნიმე ქართველ-ნიცა შეეწეოდნენ გივსა, მოვიდნენ ღამე და დილას ბინდს დაესხნეს ირაკლის: ეკვეთა ირაკლი, ძე მეფისა ძლიერად და ფიცხელი ომი მოუხდათ. გარნა მოსცა ღმერთმან ძლევა ირაკლის ძესა მეფისასა და ამათ-გან ლტოლვილნი იგი ოსმალ-ლეკნი წავიდნენ გივითურთ სურამს: ხოლო მეფის ძე ირაკლი წაბრძანდა კახეთად და მეფე თეიმურაზ მივიდა ზემო-ქართლს და ერედვს დასდგა:

არამედ ამ ჟამად ძველი ყაენის შვილი, ლტოლვილი შაჰ-ნადირისაგან, დაღისტანში იყოფოდა: ამას დაღისტნელთ ლეკები გამოუძღვნენ და ხონთქარ-თან გაისტუმრეს და ვინად-გან ქსან-ზედ გივი ამილახორი ეურჩებოდათ, იქ მივიდნენ: ჰსცნა ესე მეფის ძე-მ ირაკლი-მ კახეთის შფოთ-მან და ფიცხლად დევნა უყო. ეწია ქსან-ზედ ყანჩაეთს და შეიპყრა იგი და მისთანანი, წარასხნა და ერედვს თავის მამას მიართვა: ხოლო მეფე-მან თეიმურაზ მაშინვე თვისი ძე ირაკლი ნადირ- 9
შასთან გაისტუმრა და იგი ყაენის შვილიც თან-წარატანა: იმ ჟამად შაჰ-ნადირ ოსმალთ მოსულს ჰბრძოდა და მენ მცესმა: „ვითარმედ შირვანი უკუდგა, ყაენის შვილი მოიყვანეს და დაღისტანიც ითანხმეს და გაახელმწიფესო:“ ამის-თვის თვისი შვილი ნასრულ-მირზა გამოისტუმრა დიდის ჯარით და მტკვრის პირ-ზედ რა მივიდა შირვანში განსასვლელად, იმ ჟამად მეფის ძე ირაკლი მი-ვიდა და ყაენის შვილი შეპყრობილი მიართვა, რომელმანცა ფრიადი მადლობა უბრძანა და ესე ყო-ველი მისწერა მამასა თვისსა ნასრულ-მირზამ, ვიდრე მისვლამდე ამისსა: ხოლო შაჰ-ნადირ მე-სულით წარმოსრულ-იყო და ესე ამბავი გზასა ზედა ემთხვია, რომელიცა ფრიად მადლიერ-ექმნა და მოსწერა წიგნი მადლობისა მეფეს თეიმურაზს და მიუბოძა ათი ათასი ოქრო და მოუმცნო ტფილისს მჯდომს ხანს ყიზილჯალი-ხანს: „მეფის თეიმურაზისა-თვის იხტიარობა მომიცია და

ყველას საქმეს მაგას ჰკითხვიდესო,“ და თვით შაჰ-ნადირ უკუნ-იქცა და ყარსის ციხეს მოადგა:
ხოლო ნასრულ-მირზამ მისცა მრავალი ნიშნი მეფის ძეს ირაკლის და გამოუტევა დარწმუნებულისა სი-
ტყვითა. „შენ წარვედ, რად-გან ახლა შენს ქვეყანას ეჭირვება, იქ მიეშველე და მაგიერს ყილ-
დოს მსწრაფლ-მოელოდეო:“

ხოლო წელსა 1744 წარმოავლინა ხონთქარ-მან უსუფ-ფაშა სპითა დიდითა და წარმოატანა
ხაზინა, რათა წარგზავნოს იგი დაღისტანსა შინა და მით გამოიყვანოს ჯარი და მწე-ეყოს ამილა-
ხორს გივს: ხოლო მოსრული უსუფ-ფაშა და გივი მოვიდნენ რუისს და დასდგნენ მუნ: ხოლო
ჰსცნა რა ესე ტფილისს მჯდომ-მან ალიხან, ამან აცნობა მეფესა თეიმურაზს და იგი წარმო-
ვიდა სწრაფად კახეთის ჯარითა და მოვიდა ალი-ხანისა-თანა: ხოლო ხანმანცა შემოიყარა ქარ-
თველნი, მივიდნენ და დასდგნენ გორს, მოვიდნენ ოსმალნი თედო-წმიდას და ყიზილბაშ ქარ-
თველნი განვიდნენ გორით საომრად, ეკვეთნენ ძლიერად. გარნა იძლივნენ ოსმალთა-გან ყიზილბაშ-
ქართველნი, გამოაქციეს და მოჰყვნენ გორის გალავნის კარებამდე, გაბრუნდნენ ოსმალნი და
დასდგნენ რუისსვე. მაშინ მოიყვანეს დაღისტნის ბელადი მალაჰი და მიაბარეს დაღისტანში გა-
საგზავნი ხაზინა: ხოლო ესე მალაჰი იყო იმ ჟამის წარჩინებული დაღისტნის პირველი ბელადი
და ყოველნი დაღისტნელნი მორჩილ-იყვნენ მისა, ესე წარუძღვანეს ორი-ათასის ლეკით და თან-
წარატანეს ორი-ათასი ოსმალნი და გაისტუმრეს: ხოლო ესე ყოველი მოუწერა ხან-მან ირაკლის
10 ძესა მეფესა და აცნობა ყოველი ყოფილი, სმენასავე თანა-ახლდნა და მსწრაფლ შემოიკრიბნა
რაოდენნიმე ნაშთნი სპანი კახეთით და ორასნი ყიზილბაშნიცა მოერთვნენ ტფილისით და ამ
მცირედის ჯარით შეუკრა არაგვის პირი: და მოვიდნენ რა დილას ოსმალ-ლეკნი დაიწყეს გან-
სვლად არაგვისა, მყის ეკვეთა ირაკლი და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი: შეჰკრეს სანგარი
ლეკთა დასავალით არაგვის პირთა და იწყეს მუნით ძლიერად თოფთა ცემა და დარჩა ძე მეფისა
ირაკლი არაგვს-გამოღმა აღმოსავალით კერძო, რომელ არაგვის მდინარე მაშინ ფრიად განდი-
დებულ-იყო და უფონოდ არ გაისვლებოდა და განგრძელდა თოფთა ცემა იმიერ და ამიერ: მაშინ
შეუხდა ძე მეფისა ირაკლი არაგვსა და პირველ ყოველთასა თვით განვლო ფონი იგი. ხოლო
მხილველთა სპათა არღა-რა ჰრიდეს საშინელებასა წყალთასა და შეუდგნეს ყოველნი სპანი მისნი
და იქმნა ბრძოლა უძლიერესი, ვინაით-გან ოსმალ ლეკნი უმეტესობდეს და ძლიერსა ამას ომსა
შინა პირველ მიუხდა ირაკლი ძე მეფისა და დაღისტნის პირველი ბელადი მალაჰი თვით მოჰკლა.
ხოლო სიკვდილსა მისა მყის იძლივნენ ოსმალ-ლეკნი და მიჰყვნენ ესენიცა ვიდრე ქსანს გაღმა
ოკმადმდე და მრავალი მოსწყვიდეს და დაიჭირეს, და რაიცა წარვიდეს ნაშთნი ოსმალ-ლეკნი, მი-
11 ვიდნენ რუისს უსუფ-ფაშისა-თანა. გარნა ფრიად შიშნეულების-გამო მასვე ღამესა წარივლტო
უსუფ-ფაშა, ვითარცა მეოტი: ხოლო მეფე-მან და ყიზილბაშთა დევნა უყვეს ოსმალთა. მაგრა
ვერღა-რა ეწივნენ: ესე ყოველი ყოფილი და ქმნილი ირაკლის მიერი მიუწერა ხან-მან შაჰ-
ნადირს, რომელიცა ფრიად მადლიერ-ექმნა მას და მოხარულ-მან წარმოუვლინა ცხენი ოქროსა

აღკაზმულობითა და ხრმალი მძიმედ მოჭედილი და მოუბოძა ქართლის მეფობა თეიმურაზს და კახეთის მეფობა ირაკლის, ძესა მისსა, წელსა 1744:

ხოლო ამასვე წელსა შაჰ-ნადირ ყარსით გამობრუნდა. ჰსცნა ესე მეფე-მან თეიმურაზ და წინ-მიეგება აბოცს (რომელ-არს ყაიყული), იქიდამ მობრძანდა ბორჩალის და დებედის პირ-ზედ, გოგთიავას დასდგა, და რაოდენსამე დღეს მუნ დაჰყო. ხოლო აქა მობრძანდა დედოფალიცა თამარ და კახეთით ირაკლი, რომელთაცა დიდად პატივ-ჰსცა და უმეტესის პატივით მიიღო და მაშინ ევედრნეს მეფე თეიმურაზ და ირაკლი დედოფლის თამარით და მოითხოვეს ერისთავი შანშე, ძმის-წულნი და სახლეულნი და მასვე წამს პატივ-სცა და მიანიჭა და მიუწერა ბრძანება ხორასანს ხან-თან განთავისუფლებისა მათისა და გამოტევებისა: გაბრუნდა შაჰ-ნადირ, ყაზახსა და განჯაზედ ჩავლო, მუღამს შთავიდა და მუნ რაოდენსა-მე ხანსა დაადგრა. სადა მოვიდა შანშეცა ხორასნით სახლეულით თვისით და მეფე-მან თეიმურაზ და მეფე-მან ირაკლი ოსმალთა-გან წა- 15
სართმევნი მამულნი მისნი და ერისთაობა ქსნისა კვალადვე მიუბოძეს შანშეს:

კვალად წელსა 1745, გივი-მან ამილახვარ-მან განამაგრა ციხე სურამისა ოსმალთა მიერ, შევიდა და დასდგა მუნ: მაშინ მოვიდა მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ბრძანებითა ნადირ-შაჰისათა და ერთი ყიზილბაშის ხანიცა და მოადგნენ გარს და შემდგომად რაოდენისა-მე თთვისა გამოიყვანეს ციხით პყრობილი და წარუგზავნეს შაჰ-ნადირს:

შემდგომად ამისა, წელსა 1747, შაჰ-ნადირ განრისხდა ყოველსა სამფლობელოსა ზედა თვისსა და საქართველოსაცა არბაბი შემოაწერა, ვითარცა სხვათაცა ქვეყანათა: ამასვე წელსა მოჰკლეს შაჰ-ნადირ ყიზილბაშთა და დასვეს ყაენად ძმის-წული მისი ადილ-შაჰ: ხოლო მას მოუწოდა მეფესა თეიმურაზს და მეფე-მან თეიმურაზ ქართლი მიაბარა ძესა თვისსა ირაკლის. გარნა დავედრა საქმის კითხვა იესე მეფის ძის აბდულაბეგისაცა. არამედ ამან აბდულა-ბეგ გარდაჰბირნა რაოდენნიმე ქართველნი სომხით საბარათიანოდამ და ვიეთნიმე სხვანიცა და უკუ-უდგა ირაკლი მეფესა, მოიყვანა ყიზილბაშის ხანი სახელით სააბიხტიარ ჯარით. ამას მოუვნენ განჯა-ყარაბაღის ხანები, დაღისტნის ხანი აზატ-ხან და საქართველოს ელები. შამშადილი, ყაზახი, ბორ- 16
ჩალუ დემურჩასალი, ბაიარი და სხვა ყოველი თურქი ოიმალები და მოვიდნენ მახლობელ ტფილისისა: მხილველი ამისი მეფე ირაკლი განვიდა ურიდად მცირითა სპითა, ეკვეთა ძლიერად, მოსცა ღმერთმან ძლევა და განემარჯვა და ივლტოდა აბდულა-ბეგ მეოტი და შევიდა ციხესა საშვილდისასა და განამაგრა იგი:

წელსა 1748, კვალად მოიბირნა ქალაქის ციხის-მცველნი მეციხოვნენი აბდულა-ბეგ და განუდგნენ ირაკლი მეფესა და უგრძნეულად საქმისა იწყეს ციხით თოფითა და ზარბაზნითა ცემა ქალაქსა შინა: ხოლო ამას მოადგა მეფე ირაკლი ქართლ-კახეთის ჯარებით და უმეტეს ტფილისის მოქალაქენი ჰბრძოდნენ ციხესა და მტკიცედ სდგნენ ერთგულებასა მეფის ირაკლისასა და აბდულა-ბეგცა შემოაშველა ციხეში 500 ლეკი და იყო დღე ყოველ ბრძოლა: ამ ჟამად მოვიდა

დაღისტნის ბელადი ყოჯახ დიდის ჯარით და ავ-ჭალები მოარბია, ტყვე და საქონელი წარიღო:
ჰსცნა რა ესე მეფე-მან ირაკლი-მ, რაიცა ჯარები ჰყვა ტფილისის ციხის ბრძოლად დაუტევა და
თვით ორასის კაცით სატიოზედ მტკვარი განსცურა და ყოჯახ-ბელადს წარუდგა და მდევრულად
ქისიყის ჯარიც შემოიყარა ნაპირის სოფლებიდა-მ და გარდაასწრო ქისიყის ბოლოს შირაქში.
17 მენ შეება ყოჯახს და ფიცხელი ომა მოუხდათ, მოსცა ღმერთმან ირაკლის ძლევა და განემარჯვა,
მრავალი მოსწყვიტეს, ტყვე და საქონელი სულ დაუყრევინეს, უკმოიქცა მეფე ირაკლი და მუნვე
შირაქის თავში ძელდოგლის წყარო-ზედ მობრძანდა და იქ დასდგა და ამა ყოჯახს დანაშთის
ჯარით გაქცეულს სხვა დაღისტნის ჯარი შემოეყარათ ახალი მომავალი და ამ დამარცხებულთა
ყოველივე თვისი გარდასავალი უანბეს: იმ ახალმა მომავალ-მან ჯარ-მან უთხრა ყოჯახს ბელადს.
„თუ იმ თქვენ-გან ნაშოვარს ტყვესა და საქონელში წილს დაგვიდებ დღეს ისინი ვერ-სად გა-
გვასწრობენ, ჩვენც გიშველით, მოვეწევით და ისევ დავაყრევინებთო:“ რა ეს ყოჯახს ესმა ფრიად
მხიარულ-იქმნა, შეითქვნენ და წარმოვიდნენ, იმ ღამეს იარეს და მეორეს დილას ძელდოგლის
წყარო-ზედ მეფეს ირაკლის თავს დაესხნეს: გარნა ძლიერი იგი და მხნე მეფე ირაკლი უწი-
ნარეს ყოველთა აღმხედრდა ცხენსა და პირველ თვით ესროლა თოფი და ყოველთა უწინ ამან
მოჰკლა კაცი და უბრძანა ჯართა მხნედ შეტევება და უმეტეს პირველისა დაამარცხეს იგი ლეკთა
ჯარნი და უმრავლესნი ლეკნი მოსწყვიტეს: მუნით უკმოქცეულ-მან აღიღო ტფილისის ციხე
და თვისი მეციხოვნენი შეაყენა, წაბრძანდა და სამშვილდის ციხე აღიღო და შემოიქცა გამარ-
ჯვებული ტფილისადვე:

18 წელსა **1749** მეფე თეიმურაზ ერანით მობრძანდა. იმ ჟამად ერანში იბრეიმ-შაჰ მოკლეს
და სრულიად ერანი აირია და ურთიერთარს რბევა, ტყვევნა და ოხრება დაუწყეს: ამ დროს
მაჰმად-ხან ვინმე ადრიბეჟანს მხარეს განძლიერებული, მრავალსა ქვეყანასა აოხრებდა, რომლისა-
თვის მოსწერეს ერევნელებ-მან მეფესა თეიმურაზს და მეფეს ირაკლის: „ერანში მეპატრონე
აღარ არის და ეს მაჰმად-ხან ამ ქვეყანას აოხრებს, თქვენ მოგვეშველენით, ამას მოგვარჩინეთ
და თქვენ გმსახურებთო:“ ხოლო სმენსა-თანა მეფენი ორნივე წარვიდნენ ჯარებით, ერევნის
მისაშველებლად. გარნა მეფე ირაკლი წინ-წარვიდა ხუთასის კაცით და რა ეს მაჰმად-ხან-მან შეი-
ტყო თავისის სრულის ძალით წინ-მოეგება და მეფე ირაკლის შემოება, მოსცა ღმერთმან
ირაკლის ძლევა და გამარჯვება, გაიქცა მაჰმად-ხან და ყარაბაღში შევიდა, რამეთუ მუნ ხარ-
გვირაბის ციხე განმაგრებული აქვნდა და თვისი ცოლ-შვილნიცა მას-შინა ჰყვა: მიჰყვა ირაკლი
მეფე და გარსმოადგა, აღიღო ციხეცა და ცოლ-შვილიცა მაჰმად-ხანისა გამოიყვანა და რაცა
აქვნდა სიმდიდრე ხაზინისა ყოველივე მეფე-მან ირაკლი წამოიღო და მობრძანდა ერევანს: მუნ
მოვიდნენ ერევნელნი მეფისა თეიმურაზის-თანა და მეფის ირაკლისა და თვით ერევნის ხანიცა.
19 მაშინ მოსცეს თავი მოხარკედ და თავს-იდვეს სამსახური. და ამათ მეფეთა დასვეს თვისი კაცი
ერევანს და უკმო-იცნენ: ხოლო ვიდრე მუნით მეფენი გამობრუნდებოდენ ყარაბაღის-ხანი ფანა,

განჯის-ხანი შავერდი-ხან და ნუხის-ხანი აჯი-ჩალაბი, ესენი შეკრბნეს განჯა-ყარაბაღისა და შაქი შირვანის ჯარებით და მოვიდნენ ყაზახს ალსტაფაზედ და ამ ჟამადვე მეფენიცა ერევნით ყაზახ-ში გარდმობძანდნენ. გარნა ამ შეკრებულ-მან ხანებ-მან ომი ველარ გაუბედეს, მირიდეს და სი-მაგრეში დასხდნენ და დაუწყეს მეფეთა ლაპარაკი მშვიდობისა, ზავ-ჰყვეს ურთიერთარს და უკუ-იქცნენ და მეფენი მოვიდნენ ტფილისს გამარჯვებულნი და მიერ დღით იყო ერევანი მოხარკეობასა ქვეშე მეფეთასა, ვიდრე მოსვლადმდე საქართველოსა შინა ყაჯარი მაჰმად ხანისასა. გარნა ვერცა მან მოშალა სრულიად ერევნისა სამსახური საქართველოსადმი:

და შემდგომად წელსა 1750 მოვიდა ყარაბაღის ხანი ფანა და მოადგა განჯას. მაშინ მო-სწერა წიგნი განჯის ხან-მან და ითხოვა შეწევნა მეფის თეიმურაზისა და მეფის ირაკლისა-გან: შემოიკრიბეს ჯარები მეფეთა და წარემართნენ. ესენი რომ ყაზახში შთავიდნენ და ჰსცნა ფანა-ხან-მან მსწრაფლად განჯას მირიდა და თვისსავე ქვეყანასა მიიქცა და ჯარები განიმრავლა და 20
რა ესე მეფენი განჯას შთავიდნენ. მაშინ შავერდი-ხან თვისი ჯარით მეფეთა მოერთო და მუნით წარვიდნენ ყარაბაღში და ფანა-ხანიცა დიდით ჯარებით წინ მოეგება საბრძოლველად, ურთიერ-თისა მოშორვებით დასხდნენ და მეფე ირაკლი ორასის კაცით ჯარების დასახედავად წარვიდა: რა ესე მათ ჰსცნეს სრულიად ჯართა შემოუტიეს და მეფე-მან ირაკლი-მ ერთი კაცი ამა ამბისა საცნობლად უკმოაქცია მეფეს თეიმურაზ-თან და ესე ყოველი აცნობა და თვით ირაკლი ამ ცო-ტას კაცით პირის-პირ საბრძოლველად დაუდგა, ესრეთ ურიდი შემმართებელი არა ჰრიდებოდა ომსა და შექმნათ ომი და განგრძელდა ბრძოლა და მეფე თეიმურაზცა ჯარებით მოეშველა. გარნა უწინარესვე მისცა ღმერთმან ძლევა, ვიდრე მეფე თეიმურაზ მიბრძანდებოდა და ამ მცირის კაცით დამარცხდა იგი მძლავრი ჯარი და ამ გაქცეულთა ჯართა მოსწევდნენ მდევრულად მეფის თეიმუ-რაზის ჯარნიცა და მრავალი მოკლეს და დაიჭირეს: მეორეს დღეს ორნივე მეფენი ყარაბაღის მოსარბევლად განემზადნენ, წარვიდნენ და არაზს გაღმა მრთელი ყარაბაღის მამული მოარბიეს და მრავალი იშოვეს და დაჰწვეს მუნ თვე ორი და მოინდვეს მრიელნი ყარაბაღელნი და დასდვეს ხარკი განჯა ყარაბაღსა და მოსცესცა ამისა პირი: „რომელ სადაცა ჯარი გინდეს, იქ ჯარიც 21
მოგცეთო:“ მაშინ უკმოიქცნენ და მოვიდნენ ტფილისს გამარჯვებულნი: ხოლო ამასვე წელსა შეჰკრბნენ დაღისტნელნი და მოვიდნენ მოპარვის გვარად, ვითარცა არს მარადის ჩვეულება მათი, მოარბიეს ელები და მრავალი იშოვეს ტყვე და საქონელი: ესე ჰსცნეს მეფეთა და დევნა-უყვეს, ეწივნეს დამღისს, მუნ სადაცა ერთვის იორის მდინარე ალაზნის მდინარესა და იმ ალაზნის პირ-ზედ შეებნეს: მოსცა ღმერთმან ძლევა მეფეთა, განემარჯვათ და მრავალი კაცი მოკლეს და უმრა-ვლესნი ალაზნისა-გან მოიშთვნეს ლეკნი. ხოლო ნაშთენი რომელნიც გაღმა გავიდნენ, არცა იგინი ათავისუფლეს, გაუხდნენ გაღმა და შიშნეულთა მათ გარდარჩომილთა ლეკთა მიმართეს ერთის დამწვარსა ფლატიან გორასა, სიმაგრის იმედეულთა შევიდნენ ამ გორაებში. მოსძლა ეს და-მწვარა ფლატიანი გორა და ესრეთ დაანთქნეს ეს დანაშთენი ლეკთ ჯარნი, რომელ მატყუვიცა ვერ-

ლარა განერა: უკმოიქცნენ მეფენი გამარჯვებულნი და მოვიდნენ ტფილისს და მიერით-გან ვერღარა
იკადრეს ლეკთა ჯარად გამოსვლა. გარნა ქურდად არა დასცხრებოდენ ავაზაკობასა:

წელსა **1752**, ქორონიკონს **439**, წავიდნენ ორნივე მეფენი ჭარისა და შაქი-შირვანის დასარ-
ბევლად, შემოიყარეს ჯარები და შთავიდნენ იორ-ზედ, სადაცა მოერთვნენ განჯა-ყარაბაღის
22 ხანები, წარვიდნეს მენით, ჭარი დააგდეს და ჯარს ქვემო აგრისზედ განვიდნენ: მოვიდა ნუხის
ხანი აჯი-ჩალაბი, შემოიყარნა ჭარელნი და დაუდგნენ პირისპირ: ეზრახა აჯი-ჩალაბი იდუმალ
მეფეთა თანა-მყოფთა განჯისა და სხვათა ხანებთა, გარდაჰბირნა ესე ხანები და მეორეს დღეს
შემოება აჯი-ჩალაბი, მეფეთაც დასტები დაასწყვეს და მიმართეს ძლიერად და ორი და სამიცა
დასტა დაამარცხეს აჯი-ჩალაბისა ქართველ-კახთა და ორი ძლიერი სანგარი დააგდებინეს: მაშინ
აჯი-ჩალაბი მოუხდა ყიზილბაშთ ხანებისა დასტასა და განაზრახვითა ურთიერთითა, უწინარეს
მისულისა გამოიქცნენ ესე ხანები პირობისაებრ და წარვიდნენ თვისსა მხარესა მშვიდობიანად:
რა ესენი გაქცეული ნახეს ქართლ-კახეთის ჯართა, ესენიც აირივნენ და ურეგულომან ჯარ-მან
ვერღა-რა შეიძლეს დადგრომა და გამოიქცნენ: ხოლო მეფენი სიმხნითა თვისითა მრავალსა ეცა-
დნენ. გარნა ვერცა გარე შეიმაგრეს ჯარი და მიზეზითა ამით მრავალნი მოსწყვიტნენ ქართველ-
კახნი და უმრავლესნი ალაზანსა შინა მოიშთვნეს და მოვიდნენ ორნივე მეფენი ტფილისს და-
23 მარცხებულნი: ხოლო ესე იქმნა თვესა თებერვალსა და მასვე წელსა ივნისის თვეში მოვიდა დიდ-
ძალითა ჯარითა აზატ-ხან და დაუწყო ერევანს რბევა და ოხრება, ვინად-გან აზატ-ხანს ეპყრა
მიდია (რომელ-არს ადრიბეჟანი) და იწოდებოდაცა პყრობილად სპარსეთისად. ხოლო ამის-თვის
მიუწერეს მეფესა ირაკლის ერევნელთა: „ვინად-გან მიიღებთ ხარკსა და ვართ მორჩილებასა
ქვეშე თქვენსა, გაქვსთ ვალი და თანამდებობა, რათა განგვათავისუფლო ესე-ვითარისა მძლავრის
ხელისა-გან.“ და ჰსთხოვეს მიშველება, რომლისა-თვის ინებაცა მეფე-მან ირაკლი-მ მიშველება
ერევნისა: გარნა ოდეს ჰსცნა მუსახან-მან, რომელიცა მოსდგომოდა ერევნისა ციხესა მისვლა
ირაკლი მეფისა, მასვე წამსა მიჰრიდა მას ციხეს. ხოლო მეფე ირაკლი მივიდა ერევანს და დი-
დად შეჭირვებულნი უსაზრდელობითა ერევნელნი აღავსო სურსათითა, მიუტანა მრავალი საზრ-
დელი და თვით გამობრუნდა ქანაქირს და ყარაბულაღზედ კარვს ჰყერში დასდგა, მახლობელად
ერევნისა, რომელიცა შორავს ერევანს ვიდრე **12** ვერსადმდე, ვითარცა აღაჯი ერთი:

თუმცა ესე მუსა-ხან ერევანს შემოეცალა. გარნა დაუყოვნებლივ მისწერა წიგნი აზატ-ხანსა
24 და აცნობა მყოფსა მიდიასა შინა მისვლა ირაკლი მეფისა და ყოველი ქმნილიცა მის-გან: ხოლო
ჰსცნა რა მან ესე, განძვინებულ-მან შემოიკრიბნა ჯარები ყიზილბაშ-ავღანისა, ვიდრე ორმოცი-
ათასამდე, ესრეთ რომელ ათორმეტი-ათასი მხოლოდ მუშკეტიანი კაცი ჰყვა, თვისიერ თოფხა-
ნისა და აქვნდა ათორმეტი ზარბაზანი და ორასი ზამბურაკი, რომელიცა უგრძნულად მოვიდა
და გარნისაი-ზედ ჩამოხდა, რომელ ესე გარნი-ჩაი შორავს ქანაქირს ოცითა ვერსითა და სადა-
მო-ზედ ჰამბავი მოერთვა მეფეს ირაკლის. „აზატ-ხან დიდის ჯარით მოვიდა და გარნიჩაი-ზედ

გარდახდათ:“ მოუწოდა მეფე-მან ირაკლი ქართველ-კახთა და რჩევა შეექმნათ ქართველ-კახთა,
დაბრუნება არჩიეს უფროსი-ერთთა. გარნა მეფე-მან ირაკლი არა ინება დაბრუნება. „იცოდეთ მე
აზატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები, ამაღამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზა-ზედ მოგვეწევიან და
უსამესოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი ჯობს, ჰკი ყველამ უწყით, რომ სიკვდილის
შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა და სახელსა ორის დღის სიცოცხლისა-თვის ნუ მოვაყივნებთო:“
და ამაზედ რაოდენნი-მე თავადნი და წარჩინებულნი გვამნი ემოწმნენ მეფეს ირაკლის, დაამტკიცეს
ომი პირის-პირ მძლავრისა მის და აღრიცხა მეფე-მან მხედრობა თვისი, რომელიცა იყო რი- 25
ცხვით სამი-ათასი და ამ რიცხვსა შინა იყო თათარი ხუთასი და ავად-მყოფი ხუთასი. ხოლო
ესე ავად-მყოფნი და ბარგის კაცნი დაშთნეს სანგალთა შინა და წარვიდა ორის-ათასის კაცითა
აზატ-ხანის შესაბმელად და მცირედი რა წარვლეს, იქით მხარესაც გამოსჩნდა აზატ-ხანის ჯა-
რები დასტებად: მაშინ გარდახდა მეფე ირაკლი, დაემხო მიწასა და ღმერთსა ევედრა. ხოლო ზე
რა აღსდგა, გამობრუნდა და უთხრა მხედრობათა: „ჩემნო ძმანო და შვილნო, თქვენ ჩემის გან-
ძლიერებისა და ჩემის გულისა-თვის იხოცებით და მე ღმერთ-თან თქვენი დიდი მოვალე ვარო
და დღეს რაც მე გითხარით ის დამიჯერეთ და სისხლსა თქვენსა მე ვინდობო:“ მაშინ ყოველთა
მხედრობათა ერთ-პირად ნებასცეს და მოახსენეს. „მეფეო და დიდებაო ჩვენო, სისხლი ჩვენი
თქვენ-თვის შემოგვიწირავს და ბრძანებასა თქვენსა ვერჩით და ნებასა თქვენსა აღვასრულებთო:“
და ვინად-გან ესოდენი ერთ-გულება და სიმხნე მხედრობათა თვისთა იხილა, მაშინ უბრძანა.
„ვირემ მე ცხენ-ზედ არ შევჯდე, თქვენც ნურვინ შესხდებით და ვირე ჩემი თოფი არ გავარდეს,
თქვენ თოფს ნურვინ ესვრითო:“ მაშინ ქართველ-კახთა ერთობით აღუთქვეს ბრძანებულისა
მის აღსრულება. ხოლო ხუთასნი იგი მყოფნი თათარნი ირაკლი მეფისანი შესხდნენ ცხენსა
და განეშორნენ ქართველთა ჯარსა, განსდგნენ ცალ-კერძ და გაკეთდნენ ერთ-დასტად. გარნა დაა- 26
დგრა ერთი ერევნელი თათარი აირუმლის სულტანი მეფის ირაკლის-თანა, სახელით ალავერდი და
მხილველ-მან მეფე-მან თვისისა ჯარისა სიმცირისა-მან ფრიად მწუხარედ თაყვანი-სცა ჯვარსა
ქრისტესსა ცრემლით და ყოველნი სპანი თვისნი ათაყვანნა ჯვარსა და მაშინ მოვიდა თათარიცა
იგი ალავერდი სულტანი და ჰრქვა ჯვარსა ქრისტესა, მეტყველ-მან ესრეთ. „უკეთუ შეძლება
რამე არს შენ შორის დღეს გამოსჩნდებაო:“ და დაადგრა მეფის ირაკლის-თანა: მაშინ გაუძღვა მე-
ფე ირაკლი ათას-ხუთასსა კაცსა დაქვეითებულსა წინარად და სადაც უფრო უდიდესი დასტა
იყო აზატ-ხანისა მუნ მიჰმართა: მოვიდა განძვინებული აზატ-ხან და თვისი დასტები გარს
შემოახვია და ოთხ-კერძოვე ესოდენ ახლოს მოაწიეს, რომელ შუბი აღარ გაიმართებოდა და
ლამოდეს იგინი ერთობლივ ცოცხლივ შეპყრობასა ქართველთასა. მაშინ მოახსენა ერთ-მან ხან-
მან ვინმე აზატ-ხანსა. „დასტური მეც, რათა წარვიდე და მეფე ირაკლი ცოცხლივ შეპყრობილი
მოგართვა:“ მანცა ნება ჰსცა და იგი დიდი ხრმლითა და ცხენ-მალედ მოვიდა, რომელსა საბრძოლ-
ველად აქვნდა შუბი ხელთა და ხმა ჰყო: „ჰამამან ჯანიერ ირაკლი ხან (რომელ-არს ქართულად, სად 27

არის ირაკლი მეფე)?“ მაშინ გაუხდა მეფე ირაკლი მკვირცხლ და შესძახა: „მე ვარ ირაკლი მეფე.“
და ხმა-ყოფასთანა მისცა თოფს ცეცხლი, გავარდა თოფი მეფისა და მოხვდა მას ხანსა გულსა,
გარდმოვარდა ცხენით და დაეცა წინაშე მეფისა ირაკლისა და რა იხილეს ესე-ვითარი სიმხნე
მეფისა ირაკლისა-გან ქართველთა და კახთა განმხნდნენ ესენიცა და ერთობით მისცეს ცეცხლი
თოფთა თვისთა და რაცა მახლობელად მოსრულნი ყიზილბაშნი და ავღანნი იყვნეს ერთობით
ხმოცვარნეს და დაეცნენ მიწათა ზედა; მაშინ აღმხედრდა ირაკლი ცხენსა თვისსა და აღუძახნა
სპათაცა თვისთა აღმხედრება. აღმხედრდნენ სპანი და იგრეს ხრმალთა ჴელი და ერთობით შეუ-
ტიეს და მეის-თანად მისცეს ოტნა ყიზილბაშთა-ავღანთა; ხოლო მას დღესა-თანა ჴმევდოდა
აზრუმლის სულტანი აღავერდი, რომელმანცა ითხოვა სასწრაფოდ კეჲსარისა-გან და იყო მხნეცა
წარიყვდეთო, ვითარცა შეუტ-მან სარწმუნოებელად ახატ-ხან და გამარჯვებასა ამას შინა დარჩა
მეფესა ირაკლის 24 ზარბაზანი, 200 ზამბურაკი თვისის ასის აქლემით და ძრომა მრავალი
და ოქრო ათას-ხუთასი გარდა და ტყვისა და საქონლის რიცხვი არ შეიძლებოდა: ხოლო იგი
28 აღავერდი სულტანი დიდად განკვირვებული იტყოდა წინაშე ჴელმწიფისა. „ესე საქმე კაცობრივის
ძალისა-გან შეუძლებელი-იყო. მაგრამ-მ ამ ქრისტიანის ძალ-მან ქმნა;“ და ესრეთ ჰსთქვა. „ხან სანა
ყურბან ოლდუმ (რომელ-არს, ჴელმწიფე, შენ-თვის მსხვერპლად შეგწირავთ):“ გარნა არა ნათელსა-
იყო. წარმოვიდა მეფე ირაკლი და მობრძანდა ტფილისს გამარჯვებული. ხოლო ესე ძლევა იქმნა
ივლისის თვეში;

წელსა 1753, ქორონიკონს . . . , თვესა იანვარსა, მოსწერეს წიგნები განჯის ხან-მან, შუშის
ხან-მან და ყარადაღის ხან-მან, შეიწყალეს და აღუთქვეს მეფესა თეიმურაზს და მეფესა ირაკლის,
რათა ისინი მისცვლა ნუხის ხანს აჯისალაბ-ზედ და ესენიცა იხლნენ თვისითა ჯარებითა; ამის-
თვის იხვნეს მეფეთაცა წაბრძანება და ჯარები შემოიყარეს; წარვიდნენ მეფენი და განვლეს სიბასა-
ღნელ. იქ ზემო-ხსენებულნი ხანები შემოეყარნეს თვისითა ჯარებითა და შეიქმნიცეს ერთ-გულე-
ბასა ზედა. გარნა არა დაადგრნეს ფიცსა ზედა და ჰსძლიათ ჩვეულება-მათ სიმუხთლისა-გან, ვი-
თარცა ჰქმნეს ჯვარის ამსა ზედა, ეგრეცა აქ-ედამ დაუწერეს წიგნები წყრა იდუმალ ნუხის ხანს
29 აჯი-ჩალაბს და დაიბარეს: „შენ გამოდი შენის ჯარებით და როდესაც შენ გამოხვალ, ჩვენ შინ
ღალატებთო.“ ეს ამბავი მეფეთა ჰსცნეს და იმათი მიწერილი წიგნებიც ხელთა მოიგდეს და
ყისად-გან ერწმუნებოდნენ მეფენი მათ-გან ესე-ვითარსა ღალატობასა: ვინაი-გან არა აქვნდათ
ჭეშმარიტებითი ერთ-გულება. ამის-თვის განიზრახეს მაგათ მაგიერის და ზემო-ხსენებული
იგი ხანები ერთობით დაიჭირეს დახსნების დაჭერა-ზედ მათი ჯარებიც აირივა და ოქროთ მეფე-
თაცა თვისი ჯარები დაუწყობელნი ჰყვანდნენ; შემთხვევასა ამას შინა მოვიდა ნუხის-ხანი აჯი-
ჩალაბი შირვანისა და დაღისტნის ჯარებით, დასარეტელნი მეფენი და მრავალნი მოისრნენ ქარ-
თველ-კახნი ბრძოლასა შინა და ეშმაკეულნი შემდგომლობა გასწყვიტეს გზა-ზედ. ხოლო მეფე-
ნი მოვიდნენ ტფილისს ლტოლვილნი, თვესა მარტსა; ამავე წელსა მაისის თვეში, შემოიყარა

ჯარები აჯი-ჩალაბის შვილ-მან ალაქიშიმ, გამოვიდა განჯას შაქის შირვანის ჯარით და იქ შე-მოეყარა ყარაბაღის ხანი ჯარებით, მოვიდნენ და ყაზახ-ბორჩალუ აჰყარეს და თვით ბაიდარში დასდგნენ უშიშრად. ვინად-გან ქართველ-კახნი, ახალის დამარცხებულნი იყვნენ და დასუსტე-ბულნი, მაშინ წაბძანდა ირაკლი მეფე არაგვის ხევსა, მოიყვანნა ჩერქ'ზ-თვისნი ჯარად და მთის კაცნიც მოიყვანა და გიდრე მეფე ირაკლი მენით გარდმობძანდებოდა, მასამდის დაღისტნის 30
ბელადმა ნურსალ-ბეგმა დაღისტნის ბელადები თვისის ჯარებით შემოიყარა, მოვიდა ზემო-ქარ-თლში და ქართლის რბევა დაუწყო და ყანის გალავანს შემოადგა და აიღო. შიგ-მყოფნი მრავალნი სულნი დაატყვევა და მენით წარსული თიღვას შემოადგა და იმ ჟამს-ზედ მეფე ირაკლი ჩქარად გარდმოვიდა ჩერქ'ზის ჯარით და ეს ამბავი დუშეთს მოესმათ: ამ ჩერქ'ზის ჯარს წარუძღვნა ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახორი და იმ ლეკის ჯარ-ზედ გაისტუმრა თიღვის მისაშვე-ლებლად და თვით მეფე ირაკლი კახეთს წაბძანდა ჯარების გამოსაყვანად: ლეკთა თიღვა ველარ აიღეს, მატარა ლიახვს გამოღმა, კარბის სოფელ-თან რა მოასწიეს, იქ ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახორი შემოეყარნენ ჩერქ'ზის ჯარით, შეუტიეს და ეს ლეკის ჯარი დაამარცხეს, მრავალი ლეკი მოკლეს და ქალაქს მეფეს თეიმურაზთან მოიყვანნენ. ირაკლი მეფეც კახეთის ჯარით შთამოვიდა და ორნივე მეფენი ქართლ-კახეთისა და ჩერქ'ზის ჯარით ტფილისით გასცვივდნენ რა ქვენი სოხლადუს მოაყვინეს. მაშინ ბაიდარიდამ აჯი-ჩალაბის შვილი ალიქიშა და სხვა ხანები ვინც იყვნენ აიყარნენ და უკან გაბრუნებულნი ყაზახში მივიდნენ: ხანები, რომელიც გუმბატ-ყაიაზედ 31
იდგნენ, აიყარნენ და ვითარცა მეოტნი მსწრაფლ წარვიდნენ და შამშადინში თოვუზზედ მივიდნენ და იქ ორ-ორ-დასტად გაიყვნენ და დაემალნენ ქართველ-კახთა. გარნა ამათი ესრეთ საჩქაროდ წარ-სვლა რაჲმ იხილეს, ამათაც დასტები მოუშალეს და ნაყაჩაღებმა ცხენ-რემებით ჭამდნენ: ხოლო მეფე ირაკლი ამ წინა-სიმაღლეთა შინა იყოფოდა და მეფე თეიმურაზ წყნარად დასტა დაწყო-ბილი წარვიდა. ხოლო ოდეს თოვუზზე ქართველთ ჯარი თავს-წაწევრილადათ მისრული ნახეს, ისინი დასტა-წყობილნი მიიქცნენ და ფიცხლად შემოუტიეს და მრავალი კაცი მოკლეს, ამ დროს მოასწრო მეფე-მან ირაკლიმ და დიდი გრძელი ომი შექმნა, მოსცა ღმერთმან ძლევა ირაკლის, გაემარჯვა და მრავალი კაცი მოკლეს და მრავალი ცოცხალი დაიჭირეს, ოც-და-ათი ვერსი სდიეს (რომელ შეადგენს გიდრე სამის საათის სავალად), გამობრუნდნენ გამარჯვებულნი და მოვი-დნენ ტფილისს:

ხოლო ამასვე წელსა კვალად ასტყდნენ დაღისტნელნი რბევად ქართლისა, ორასობით და სამასობით დაჰქონდნენ მრავლად მრავალთა ადგილთა და დიდად შეაწუხეს ქართლი და მეფე ირაკლი მრავალს ადგილს დახვდა და ათასნა მოსწყვიტნა ლეკნი. გარნა ეგრეთაც არა დასცხრნენ რბევად ქართლ-კახეთისად სიმრავლისა-გამო მათისა და განგრძელდა ჭირი მათ-გან ქართლ-32
კახეთისა:

წელსა 1755, ქორონიკონს 442, ავარის ხანმან, ხუნძახის ბატონმან ომან-ხან შემოი-

ჯარა დაღისტნის ჯარები და მოვიდა უგრძნეულად შიგნით კახეთს, მუნით შემოიარა, მოვიდა არაგვ-ზედ და დუშეთს შემოადგა (რომელ-არს ციხე კოშკი) და აიღო მუნით, მოვიდა მუჯადის-ჯვარს და გარს მოადგა: ამისი მცნობელი მეფე ირაკლი კახეთის ჯარით მოეშველა და არაგვ-ზედ დუშეთს მოვიდა და მეფე თეიმურაზიც ქართლით მობრძანდა და ორნი ესე მეფენი დუშეთს შეიყარნენ: მეორეს დღეს მივიდნენ და მუჯადის-ჯვარს მდგომს ომარ-ხანს ჭილურტის მხრით შემოებნენ, მისცათ ღმერთმან ძლევა და განემარჯვათ მეფეთა, დაამარცხეს ხუნძნის ბატონი და მრავალი ლეკი მოკლეს და წარვიდა ხუნძხის ბატონი ფრიად მეოტი. ხოლო მოვიდნენ მეფენი ტფილისს გამარჯვებულნი: გარნა არა დაცხრნენ ლეკნი კვალად ქურდულად რბევად ქართლისა და კახეთისა, კვალად შეკრბნენ დაღისტნელნი, მოვიდნენ ქართლში და დირბის ციხეს შემოადგნენ, მოეშველნენ მეფენი და დაამარცხეს ლეკის ჯარი, მრავალი მოსწყვიტეს და ციხე იგი განარინეს აღებისა-გან:

33 წელსა **1755**, კვალად შემოიკრიბა ავარის ხან-მან, ხუნძხის ბატონ-მან ომარ-ხან დაღისტნის ჯარ-ი, გარდმოვიდა და მოადგა ყვარლის სოფელსა, ამას მოეროსნენ ჭარელნი და შაქი შირვანელნი, ვითარცა არს ჩვეულება მათი, დის თანადობისა ქრისტიანეთა ზედა. მოვიდნენ და მოადგნენ ციხესა ყვარლისასა კაცი, ვითარ ოცი-ათასი და ოც-დაორვას დღეს გარ-მოდგომილთა შეამჭიდროვეს ყვარლის ციხე. გარნა გამოერჩივნენ ქართველ-კახნი მხნენი, ვიდრე ორასამდე და შესწირეს სისხლი მსხვერპლად ქრისტიანობისა და ერთ-გულებისა-თვის მეფეთასა, ბრძანებითა მეფეთათა შეეშველნენ ციხესა ყვარლისასა და შეიღეს ტყვია წამალიცა მრავალი: მეფე თეიმურაზ დასდგა თელავს და მეფე ირაკლი წაბრძანდა ქისიყს და იქ შეჰკრიბა მხედრობანი და გაუსია ჭარს. მოსწყვეს ჭარი და მოარბიეს ყოვლითურთ: ხოლო ამასმი მსმენელნი ჭარელნი აიყრნენ და გაეცალნენ ყვარლიდამ და ამათ გაჰყვნენ შაქი შირვანელნი და მეფენიცა წარვიდნენ ყვარლის მხრისა-კენ. ჰსცნა ესე ავარის ხან-მან, აიყარა და წარვიდა, ვითარცა მეოტი:

წელსა **1755**. დაიწყეს კვალად რბევა და ოხრება ქართლისა დაღისტნელთა ქურდულად, ვიდრე ასობით, ორასობით და უმეტესობითაც ვლიდნენ მრავალთა ადგილთა ცალ-ცალკე და ამით
34 დიდათ შეაჭირვეს ქართლი. გარნა არცა მეფე-მან ირაკლი მისცა განსვენება თავსა თვისსა დევნისა-გან მათისა, რომელ-მანცა უმრავლესნი ჰსდევნა, ატყვნა და მოსწყვიტნა, რომელთაცა რიცხვი ვსინდა თქმად შეუძლო არს და ერთითა შრომითა და ხმლითა აქვნდა მეფობა და მართვიდა კეთილად: გარნა ეგრეთცა არა დასცხრნენ დაღისტნელნი ავაზაკობისა-გან:

ამასვე წელსა საქართველოს თათრის ელნი, ჩვეულებისა-ებრ მთა-ზე წარვიდნენ, მუნით გაიქცნენ და ერევნის მაზრაში შევიდნენ: მცნობელი ამისი მეფე ირაკლი ზემო-ქართში წაბრძანდა. იქ იდუმალ ჯარები შემოიყარა აკვნისტოს თვესა, თირადეჯუთა გარდავლო, მოვიდა ერევნის მაზრაში სეკდემბრის თვესა, არაზის პირ-ზედ ეარსუ ეწოდება, მუნ მოეწია და ეს წარსრულნი ელნი სრულიად დააბრუნა და, ოკდომბრის თვესა თავ-თავის ადგილს დასხნა:

წელსა 1757, ქორონიკონსა 445, მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ზემო-ქართლს ბრძანდე-
ბოდნენ და წვრილს ლეკის ჯარებს სდევნიდნენ, ორ-გან, სამ-გან დაამარცხეს, მივიდნენ ქრცხინვალს
სებუქად თავის ამალით, დაჰხვდნენ და სხვა დაბარებული ჯარები არა ჰყვათ. ამ ჟამად დაღისტნის
ბელადი ნოსნოლ-მუსა ჭტარისა და იტინა მოვიდნენ ქრცხინვალს დაღისტნის ჯარით, ვიდრე
ოთხი-ათასამდე და პირის-პირ სროლა უწყეს და ვინად-გან არა ჰყვათ ჯარები მეფეთა, ამის- 35
თვის ვერ იკადრეს რამეთ ომა მინდორთა სვლა და ამის-გამო სიმაგრით ბრძოლა უყვეს ძლიე-
რად, რომელ მასვე ღამესა აიყარა დაღისტნის ჯარი, წარვიდნენ და ალის-ციხე აღიღეს და მრა-
ვალნი სულნი ტყვე-ჰყვეს:

კვალად წელსა 1758, ქორონიკონსა 446, ოქტომბრის ოცესა დაესხა დიდი ჯარი ლეკისა
ლართის-კარში, კოსტანტინე მუხრანის ბატონი მოჰკლეს და სხვა-ვნის ქართველნიც წაახდი-
ნეს: ჰსცნა ირაკლიმ, დახვდა ნაოკარუეულშა და იქ მოსწყვიტა, რომელ მცირედნიღა გარდა-
ეხვეწნენ:

წელსა 1759, კარდმოვიდნენ კვალად დაღისტნის ბელადი კოხტა და ნოსნოლ-მუსა დაღი-
სტნის ჯარებით, ვიდრე რვა-ათასამდე კაცნი: ესენი ვაიყვნენ. ნოსნოლ-მუსა მივიდა ასაბეთს
და აღიღო და მრავალნი სულნი დაატყვევნა, შემდგო ლიახვ-ზედ, სამანაბლოს ოსები დაარბივა
და მუნით წარმოსრული ავნევს სოფელს შემოადგა და კოხტა ბელადი ატოცის ციხეს შემოადგა:
მივიდნენ მეფენი თეიმურაზ და ირაკლი ქართლ-კახეთის ჯარით ყორნისს და მეფე იმერთა სო-
ლომონი შემწე ექმნა მეფეთა და მოვიდა ჯარით და სამთა ამათ მეფეთა შექმნეს რჩევა, თუ
რომელსა მიეშველნენ ავნევს ანუ ატოცსა და უმჯობეს განიზრახვეს მიშველება ატოცისა: მი-
ვიდნენ მოსწრაფედ და დილას ადრე თავს-დაესხნენ ლეკის ჯარს ატოცს, მოკლეს კოხტა ბე- 36
ლადი და ლეკის ჯარნი მრავალნი მოსწყვიტნეს და სამთა ამათ მეფეთა სპათა საშხივ და სი-
მარჯვე უჩვენეს კაცთა-გან მოსაწონ-იყო და ჰსდევნეს და ლტოლვილნი იგი ლეკნი მივიდნენ
ავნევს და აცნობეს ნოსნოლ-მუსას ესე ყოველი ყოფილი: ამისი მსმენი იგიცა შემოკვეთლა ავნევს,
მოვიდა და დვანს სიმაგრეში ჩასხდა ჯარით: მასვე დღესა მოვიდნენ სამნივე მეფენი ავნევს მო-
საშველებლად. გარნა არღა-რა ადგნენ ლეკნი ავნევსა: ჰსცნეს მეფეთა დვანს დგომა მათი, მი-
ვიდნენ მეფენიცა და პირის-პირ დაუდგნენ. გარნა ვერღა-რა იკადრეს გამოსვლა ლეკთა საო-
მრად დასტით. არამედ მცირეთა კაცთა-გან მოხდა თოფთა ცემანი, სიღამემდე უსწრათ და არღა-
რა მოხდა ომი და დასხდნენ მეფენი მას ღამესა ახლოს ლეკისა ჯარისა, ხვალისად ომისა იმე-
დეულნი. გარნა მას ღამესავე აიყარა ნოსნოლ-მუსა და გაიპარა ჯარით, მეორეს დილას ჰსცნეს
მეფეთა გაპარვა ლეკის ჯარისა, წარუდგნენ. გარნა ვერღა-რა ეწივნენ:

კვალად წელსა 1760, ქორონიკონსა 448, წარვიდა მეფე თეიმურაზ რუსთა შინა იმპერა-
ტრიცა ელისაბედ-თან თხოვად შეწევნისა: ამასვე წელსა ზანდი ქარიმ-ხან განძლიერდა, ყაჯარი
მაჰმად-ხან დაამარცხა და ომში მოკლა, ყულარ აზატ-ხან გამოაქცია თავის ქვეყნისა-გან ვერღა-რა 37

წარვიდა და ადრიბეჟანისა-კენ წარმოვიდა ჯარითა და ბევრი ავი საქმე ჰქმნა აფშარებმა: და მოუ-წერა ქარიმ ხან-მან მეფეს ირაკლის ძმობით და სიყვარულით წიგნი: „აზატ-ხანი ადრიბეჟანის მხარისა-კენ წარმოვიდა და ქვეყნებს არბევს და აოხრებს და უკეთუ მასით გამოსწირდეს საქმე დაი-შორე და გამომიგზავნე, რომლისათვისაცა ჩემს-ზედ დიდი მადლობელი გექმნებათ.“ ამ ჟამად აზატ-ხანიცა იმ ადგილებში ვეღარ მოიცადა და დაღისტნისა-კენ წარმოვიდა. ჰსცნა ესე ირაკლი-მ და ყაზახში გარდაასწრო და თავის ჯარებით სრულიად შეიპყრა აზატ-ხან, ქარიმ-ხანს გაუგზავნა და ჯარნი მისნი ყოველნი განათავისუფლნა და თავის ქვეყნებში გაისტუმრა: ეს საქმე ქარიმ ხან-მან დიდათ დაუმადლა და მრავალი ძღვენი წარმოუგზავნა და დაუმტკიცა ერევანი და მოუწერა ხანსა ერევნისასა: „შენ რაიცა ხარჯი სახელმწიფოს გედვას ყოველსავე მეფეს ირაკლის მისცემ-დე და ჰმორჩილებდე, ვითარცა აწ წელს მორჩილებენო:“ და მოსწერა სხვათაცა ხანთა ადრი-ბეჟანისათა მორჩილება მეფის ირაკლისა:

ამასვე წელსა ლეკებმა ჯაყახეთი მოაოხრეს და მრავალი ქრისტიანე დაატყვევეს. დახვდა მეფე
38 ირაკლი ყარაია-ზედ ლაშე. ეს ლეკის ჯარი დაამარცხა. მრავალი ლეკი მოჰკლა და ტყვე, საქონელი სულ გაარჩევინა და მისცა ნება ყოველთა თვისსავე ქვეყანასა წარსვლისა: ესე გამარჯვება იყო ივნისს 4:

წელსა **1761**, წარმოვიდა დაღისტნის ჯარი საქართველოს საოხრებლად: ჰსცნა რა ესე მეფე-მ ირაკლი-მ ჯარის შეყრა ვეღარ მოასწრო და თვისის ამალით წარვიდა, სუჭულიანში დაე-მალა, რომელ-არს ნათლისმცემლის მონასტრის კერძო, მუსით მეფე ირაკლი ყარაულად წარვიდა და განიმსტრო და ჰსცნა, რომელ ხომად უმეტესობდა ლეკი მისს ჯარ-ზედ, გამობრუნდა და ასეთს ადგილს დაახვედრა და ესრეთ შეამუსრა ეს თავისი ამალა, რომელ მისგლასაყუ-თას ათ-ტანეს და მრავალნი მოსწყვიტნეს:

წელსა **1762**, მაგრით კახეთს ახმეტას სოფელს ლეკის ჯარი მოვიდა და ამათ შეის-თვისად მიუხდა მეფე ირაკლი, შეება და დაამარცხა და მრავალნი მოსწყვიტნა და დანაშთენი წარიღეტნეს სირცხვილეულნი:

წელსა **1763**, მოვიდა საშანბლოში ქეხვისს ლეკის ჯარი, მიასწრო მეფე-მან ირაკლი, გა-ნუმარჯვა და მრავალი მოსწყვიტეს:

წელსა **1764**, ქორონიკონსა **451**, დახვდა მეფე ირაკლი ლეკის ჯარს მრავალს წყარო-ზედ, გაიმარჯვა და მრავალი მოსწყვიტეს:

39 კვალად წელსა **1765**, ქორონიკონსა 452, ლეკის ჯარითა გორი დაარბიეს და ტყვენი წარა-სხნეს, დაუხვდა მეფე ირაკლი სამ-გორის მინდორში ლაშე, ეს ლეკის ჯარიც სრულიად მოსწყვი-ტეს და ტყვენიცა განათავისუფლეს:

წელსა **1767**, ერევნის ქურთები განსდგნეს და ჭრილა-რა მოსცეს ხარჯი, წარვიდა მეფე ირა-კლი ივანის თვესა, ხათაც ჰსცნეს მეფის მიმავლობა, გაიქცნენ და არეზის მდინარესა გან-

ვიდნენ, არარატის მთის იქით რა მივიდნენ, ეწია ირაკლი მეფე, დაარბია ქურთები და მრავალი იშოვეს, ესრეთ რომელ უმეტეს მოსავლისა ხარკისა, ვიდრე ათ-ოთხმეტჯერ და მოვიდა ტფილისს: ამასვე წელსა დაღისტნის ჯარი გარდავიდა იმერეთს, რაჭის სოფლები მოარბიეს, სამასამდის ქრისტიანე ტყვე იშოვეს და წარმოვიდნენ ქიზიყს ესე შეიტყო-მან ირაკლი შეიყარა ჯარები, წარვიდა და ოორის წყალ-ზე დასდგა, ყარაულის განაწესის ცნობისა-თვის მათის მოსავლობისა: მივიდნენ ლეკნი საქონლითა და ტყვით სავსენი, ამათ შეება მეფე, ტყვე და საქონელი სრულიად დააგდებინა და ის ლეკნი ასე გაწყვიტნა, რომელ დაღისტანში იმათი მთამბე ვერღარა მივიდა:

წელსა 1769, ქორონიკონს 457, კვალად გასწყვიტნენ ერევნის ქურთები და არღარა მოსცეს 40 ხარკი. წარვიდა მსწრაფსადვე ჯარით, მოეწია, არეზს გაღმა დაარბიეს და მრავალი იშოვეს ჯარებმა და მოვიდნენ ტფილისს და ქურთნიცა მოვიდნენ ერევნის მამულში, იგინივე ადგილსა ზედა დასდგნენ და მოსცემდნენ ხარკსა და მიერით ვერღა-რა იკადრეს განდგომა და იყვნენ მოხარკეობასა ქვეშე მეფისა ირაკლისასა:

კვალად წელსა 1770, ქორონიკონს 458, განიზრახა მეფე-მან ირაკლი ახისხაზედ განმხედრება, ვინაიდგან რუსნი და ოსმალნი ბრძოლილნი იყვნენ და რუსეთის მხედრობა ჭიდობდა ოსმალოთ საზღვრისაის მხარეს და საქართველოსაცა წარმოუგზავნა იმპერატრიცა ეკატერინამ რუსეთის უძლეველი მხედრობა, მხედარ-მთავრობასა ქვეშე ღენერალ-მაიორის გრაფ ტოტლებენისასა, რომელიცა წინას წელიწადებში იყო მოსული და იდგა ჯარით ქიზიყს: ეახლა მეფე ირაკლი ამ ღენერალს ტოტლებენს, შეიკრიბნენ და წარვიდნენ ალისხად, მივიდნენ და შემოადგნენ აწყურსა და რამდენიმე დღე ადგნენ: ამა-ზედ შეიყარნენ ოსმალნი და დაღისტნის ბელადი გოსტა მაშინ ფრიად განთქმული იყო და ესეცა დიდის ჯარით იყო-იყოდა ოსმალთ ჯარში შემწედ ოსმალთა, მოვიდნენ და შემოეშველნენ აწყურსა და იყო მარადის ძლიერი ომი და დაუცხრომელი ყოვლსავე თითოეთ ცემა: ხოლო მოაგდეს ზურგი ბოროტისა გეთა და უზიღეველს ღრაფ ტოტლებენს ყურა სიტყვასა და ამის ძლით შემოსწყრა ღრაფ ტოტლებენი მეფესა, აიყარა თავისის ჯარით და წარმოვიდა: მოვიდა მეფე ირაკლი მრავალს ეხვეწა. გარნა მან არა ისმინა და სუბისა-ებრ თვისისა გამობრუნდა: ხოლო დასდგა მეფე ირაკლი მუნვე და სთქვა ესრეთ: „უმჯობესი არს სიკვდილი ჩემი, ვირემდის ამათგან რუსეთის მხედრობას ვყოთ რამეო:“ ხოლო ამისი მხილველნი ოსმალო-ლეკნი გაბრუნებისა-თვის რუსეთის მხედრობისა არა მცირედ განმხნევდნენ, გამოვიდნენ გაამაყებულნი და შემოებნენ, იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი, ვიდრე სამ-საათამდე და ლეკნი და ოსმალნი უკუდგნენ სიმაგრეთა და რუსნიცა შემოვიდნენ ხეობაში სამშვიდობოს და ამისა შემდგომად მეფე ირაკლი აიყარა მასვე დღესა და წარმოვიდა ჯავახეთის მხრისაკენ მისდორი-ზედ, გამოვლო აწყვერიდამ 12 ვერსი და ამას ღამესა მუნ დაივანა და გამოჭყვნენ ოსმალ ლეკნიცა: ამას ღამესვე ბარიზევს ოსმალთა გაცნი ცხენოსანნი, მთა- 42

სწრეს წინ და ასპინძის ხრამის პირი შეუკრეს, მოვიდა მეფე ირაკლი და ასპინძის ხიდის ისრები აჰყრევინა და მტკვარში გარდააყრევინა: ამ ჟამს ვიეთნიმე ქართველნი ჯარის კაცნი აყრილს სოფლებში საქონლის საშოვრად წარვიდნენ: შემოუტივეს დამალულთა ოსმალთა თავ-წვრილად მიმავალს თარეშის კაცთა, დაამარცხეს ნაოვაულის კაცნი და მიჰყვნენ ხოცით, ვიდრე მეველმდე და ამისი მხილველნი მეფის ჯარნიც შეიძრნენ, რომელნიც მეფეს-თან იყვნეს, დაიწყეს ლტოლვად და მეფე ირაკლიცა მოჰყვა მცირედ და ევედრებოდა დაბრუნებასა. გარნა ვერავის ასმინა მცირედთა-გან კიდე. უკმოუბრუნდა თვით მცირედითა, ეკვეთა ძლიერად და ძალითა ღვთისათა აოტნა ოსმალნი: ამისი მხილველნი სპანიცა მეფისანი მოიქცნენ და დაუწყეს დევნა ლტოლვილთა ოსმალთა და მრავალნი მოსწყვიტეს, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი და ვირე ერთი საათი განვიდოდა, უკან გამოდგომილნი ოსმალ-ლეკნი, მოეწივნენ რიცხვით ვიდრე ათასადმდე და სპანი მეფისანი გზის სივიწროს მიზეზითა აშლით და თავ-წვრილად მოვიდოდნენ დასტა დაწყობილნი. ოდეს იხილნა მეფე-მან ირაკლი ეს ჯარები მიწევნილი, მაშინვე თვით გამობრუნდა რაოდენითამე ნიშნებულითა და შინა-ყმითა თვისითა და მგიდითა ხევსურითა, განჰსწირა თავი თვისი და ეკვეთა
43 ფიცხლად, ვიდრე სიკვდილადმდე და იყვნეს ყოველნი მეფისა-თანა მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს მგიდნი იგი ხევსურნი: თუმცა თავადნი მრავალნი სახელოვნად გაისარჯნენ. გარნა განგრძელებისა-თვის დავიდუმე: ამ-ჟამად უკანანიცა ჯარნი მეფისანი, რომელნიცა იყვნენ გზის სივიწროვისა-გან გაგრძელებულ, ჰსცნეს რა მეფისა ესე ვითარებანი, იგინიცა შედგნენ და ვიეთნიმე მამაცნი კაცნი მობრუნდნენ მეფისა-თანა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და თვით მეფე-მან მოჰკლა დაღისტნის წარჩინებული და მხნე ბელადი კოხტა და მყისვე ივლტოდნენ ოსმალ-ლეკნი და მოუდგნენ ქართველ-კახნი და უმრავლესნი ოსმალ-ლეკნი მოსწყვიტეს: ხოლო ლტოლვილთა ოსმალ-ლეკთა ასპინძის ხიდს მიჰმართეს და ქართველნიცა ჰსდევნიდნენ ფიცხლად, ხიდის ფიცრები უწინარესვე აყრილი იყო და რომელმანცა სიკისკისითა ერთს ისარ-ზედ არ განვლო, მის-გან კიდე ყოველნი მოსწყვიტნეს და მრავალნი წყალში შთასცვივდნენ და მოიშთვნენ, ვინად-გან იმ ჟამს მტკვარი განდიდებულ-იყო, ამის-თვის ვერ უძლეს მშვიდობით განრინება მტკვრისა-გან. მრავალი იშოვეს ქართველ-კახთა და მოვიდნენ ტფილისს გამარჯვებულნი:

44 წელსა **1771**, ქორონიკონს **459**, მეფეს ირაკლის-თან იყო ღვოვი ივან ლავრენტიჩი მინისტრად წარმოყენილი. ამან უთხრა მეფეს ირაკლის: „ვინად-გან თქვენსა და ღრაფ ტოტლებენსა შორის შფოთი რაიმე არს შთამოვარდნილი, თუ რომ ოსმალთ არ აუშლები და ერთს რასმე სამსახურს არ დაანახვებ იმპერატრიცა ეკატირინას ხელმწიფეს, შენ უთუოდ ღრაფი შეგასმენს და ეს ასე არ ვარგა:“ ამისის რჩევით განიგულა მეფე-მან ირაკლი აშლა ოსმალთა და მოიბირა ერთი ბელადი ხერთვისისა, შეჰყარა ჯარები, მივიდა საწინააღმდეგოდ ხონთქრისა და რომელიცა არის პირველი ციხე ათაბაგისა ხერთვისი, დიდად განმაგრებული იგი, ალიღო და თვისნი მეციხოვნენი შეაყენნა. გარნა ლვოვ-მან ივან ლავრენტიჩ-მან არა ინება ციხისა შენახვა, სიტყვი-

-თა ამით: „რომელ ესე საქმე ერთ-გულებად რუსეთის ხელმწიფისად კმა არსო და ციხეში მცველთ
კი სულარ შეაყენებო, ამის-თვის რომელ არამც ხონთქრის ძალი მოვიდეს და ეს ციხე, რომ ძა-
ლად აგვართვან სირცხვილი არისო:“ მაშინ მეფე-მან ირაკლი გამოიყვანნა მცველნი ხერთვისის
ციხეს შეყენებულნი და მრავალი ტყვე და საქონელი გამოიტანეს და ძვირ-ფასი ნივთები იშო-
ვეს, რომელშიაც ესახლნენ მდიდარნი ხალხნი და არს იგი ხერთვისი ქალაქი და ამისა-გამო
აქვნდათ მრავალი სიმდიდრე: მეფე ირაკლი ჯარით ქართლში გარდმოვიდა. გარნა სამაგიეროდ
ხერთვისისა გამოუსია ალსიხის ფაშა-მ ოსმალისა და ლეკის ჯარი ქართლის მოსარბევლად, 45
იმ ჟამს მეფე ირაკლი ქრცხინვალს იდგა და ეს ჯარი რა ხვითის სოფელს მოუხდა და ამ ზემო
მინდორ-ზედ ჩაფაული გამოუშვეს, მოასწრო სწრაფად მეფე-მ ირაკლი სოლთვისის მინდორ-
ზედ, დაამარცხა ოსმალ-ლეკნი და მრავალნი მოსწყვიტნეს და ლტოლვილნი ოსმალ-ლეკნი ავი-
დნენ ალსიხას: ხოლო ამა-ზედ გაიერთა ალსიხის ფაშა-მ ლეკნი, მოიყვანა დაღისტნის ჯარები
და აოხრებდენ ავაზაკებრ ქართლსა და იყო მარადის ქართლსა შინა მათ-გან დაუცხრომელი
ჭრბევა, თუმცა მეფე-მან ირაკლი არა მისცა თავსა განსვენება და მრავალ-გზის დაამარცხნა ლეკნი.
გარნა იგინი არა დაჰსცხრნენ და ესე ყოველი აცნობა ლვოვ-მან ივან ლავრენტიჩ-მან იმპერა-
ტრიცა ეკატერინას:

წელსა **1772**, ქორონიკონს **460**, კვალად უთხრა ლვოვ-მან ივან ლავრენტიჩ-მან მეფეს
ირაკლის: „ერთ-ხელ კვალად დაჰკარ ხონთქრისა მამულსაო, რომელ შენს ერთგულება-ზედ გული
დაავჯეროსო:“ ეზრახა ამ საქმე-ზედ იმერთა მეფესა სოლომონს, შეჰკრბნენ ორნივე მეფენი
სურამის ბოლოს, გარდავლეს მთა საციციანოსი, მივიდნენ და ჯავახეთის ახალ-ქალაქს შემო-
ადგნენ და ძლიერად შეამჭირვეს, კინაღა აღებამდე. გარნა ამ ჟამსა მეფე იმერთა სოლომონ
ფრიად ავად შეიქმნა სათოვლით, რომელი სიკვდილს მიახლდა, ამის-თვის ინებს წარმოუყვანა მეფის 46
სოლომონისა, გაუკეთეს მოაბა, აიყარნენ იმერნი და წარმოიყვანეს მეფე სოლომონ და მეფე
ირაკლიცა შემოეცალა ციხესა ახალ-ქალაქისასა და მოარბიეს მამულნი ალსიხისანი, არტაანი და
ჯავახეთი, მრავალი ტყვენი და საქონელი წარმოასხეს და წარმოვიდნენ: ხოლო ესეცა მისწერა
ლვოვ-მან ივან ლავრენტიჩ-მან იმპერატრიცა ეკატერინა ხელმწიფეს და აცნობა ერთ-გულება
მეფის ირაკლისა და მეფის სოლომონისა: ხოლო შემდგომად ამისა იმპერატრიცა ეკატერი-
ნამაც წარმოუვლინა ღენერალ-მაიორი სუხოტინი და დაიბარა ღენერალ-მაიორი ღრაფი ტოტ-
ლებენი:

ამისა შემდგომად მიესმა ესე ყოველი ყოფილი მეფის ირაკლისა-გან ხონთქარს და გან-
ძვინდა მეფეს ირაკლის ზედა და მისცა აზრუმს აქეთი სულეიმან ფაშას და წარმოუგზავნა უსჯი,
რათა განამრავლოს ჯარები და ემტეროს მეფეს ირაკლის და ქართლსა: ხოლო მან წარგზავნა
საგანძური დიდ-ძალი დაღისტანს და მოიყვანა დაღისტნის ჯარები ალსიხას და იწყო ავაზაკებრ
რბევა ქართლისა და იმპერატრიცა ეკატერინამაც წარასხნა მხედრობა თვისი მიზეზითა ამით, 47

რომელ ზავ-ჰყო ხონთქრისა-თანა და საქართველოთა დაშთა მფარველობასა ქვეშე რუსეთის იმპე-
რატორისასა: გარნა არა დასცხრა სულეიმან-ფაშა, ბრძანებითა ხვანთქრისათა და იყო მარადის
ტყვენვა-ოხრებასა შინა ავა'ზაკებრ და ჯარადცა წარმოავლინა ერთი პირი ჯარი ზემო-ქართლს,
მოარბიეს ზემო-ქართლი და მოვიდნენ უფლის-ციხეს: ამ ჟამად კახეთის ჯარი იყოფოდა ქარ-
თლსა და ეწივნეს ქართველ-კახნი, ეწყვნენ და იძლივნეს ქართველ-კახნი და მრავალნი მოსწყვიტეს
ოსმალ-ლეკთა. ხოლო დღესა მეორესა ქალაქის პირსა გამოუშვეს თარეში ოსმალ-ლეკთა, გან-
ვიდა მეფე ირაკლი, შეება და მრავალნი ოსმალ-ლეკნი მოსწყვიტნა და აოტნა და სადაცა განე-
მარჯვა მუნვე გარდახდა ვასად: გარნა მოერთვა ამასვე ჟამსა ამბავი. ,,უფლის-ციხეს თქვენი ჯარი
დაამარცხესო:" რომლისა-თვის ფრიად მწუხარე იქმნა: ხოლო დროსა ამას განძლიერდა ქარიმ-
ხან და ჰსცნა მეფის ირაკლისა-გან რუსეთის იმპერიისა საფარველისა ქვეშე შესვლა, განძვინდა
ამის-თვის, ვინაიდ-გან იყვნენ მრავალნი მეშურნენი მეფის ირაკლისა ქარიმ ხანისა-თანა, რომ-
ლისა-თვის შეჰკრიბნა ჯარნი ერანელნი და მოვიდა თავრიზს და ჰსცნა რა მეფე-მან ირაკლი
48 მომავალობა ქარიმ-ხანისა არა მცირედ მწუხარე იქმნა, ვინაიდ-გან იმედეულ-მან რუსეთისა მფარ-
ველობისა-მან არა რიდა ბრძოლად ხვანთქრისა და არცაღა ჰმორჩილებდა მოადგილესა ყაენისასა
და ამ ჟამად დაშორვებულ-იყო მფარველობა რუსეთისა. გარნა გამბედავ-მან და გამოცდილ-მან
ირაკლი წარგზავნა ორნი სანდონი გვამნი კარის-კაცნი თვისნი, თავადნი. ანდრონიკაშვილი ქაი-
ხოსრო მდივან-ბეგი და თავადი თარხნის-შვილი ზაზა ყორიასაულ-ბაში დესპანად და აცნობა
ყოველივე ერთ-გულება და მხნეობა თვისი, თუ ვითარ ჰბრძოდა ოსმალთა და აქვნდა ოსმალთა-
გან შეწუხება: ხოლო მივიდნეს რა ესე წარგზავნილნი თავადნი თავრიზს ქარიმ ხან-თან, რო-
მელიცა მზად იყო წარმოსასვლელად და ბრძოლად მეფის ირაკლისად. მაშინ მისრულთა ამათ
თავადთა მრავლითა ლაპარაკითა და ღონის-ძიებით, ვითარცა აქვნდათ დაბარება მეფისა ირაკლი-
სა-გან, აგრეთ მოამშვიდეს ქარიმ-ხან, რომელ უკუნ-იქცა თავრიზით და განერა მეორეს მძლავრს
მეფე ირაკლი. გარნა ვერა დაამშვიდა ახლციხის-ფაშა სულეიმან და ბრძოდა მარადის ლეკის ჯა-
რითა ქართლსა: მოვიდნეს უგრძნულად და ქრცნინვალი წაახდინეს, რაც ციხეს გარეთ ხალხი
49 იყო სულ დაატყვევეს, ვიდრე ქქვსას სულადმდე და ოსიაურის ციხეც აიღეს და იქმნა ესე ყო-
ველი ბოროტ-შემთხვეულება მიზეზითა ამით, რომელმანცა ურჩია აშლა ოსმალთა და არა
ჰყვა შემწე, რომლისა-გამო არა ერთ-გზის მიეცა მწუხარებანი. გარნა აგრეთცა სიმხნითა თვი-
სითა ვერა რომელ-მან მძლავრ-მან დაიმორჩილა ირაკლი მეფე პყრობადცა თავის-უფლებისა-
გან და მარადის ჰბრძოდა ოსმალთა და ლეკთა. ვინაიდ-გან ჰბრძოდა მძლავრი ვინმე ხელმწიფე და
და არა აქვნდა პირ-და-პირი ძალი, არცა ჯარითა და არცა ხაზინითა და თვინიერ სიმხნისა კიდე
არა რაი აქვნდა პირის-პირი თანასწორება: მაშინ ფრიადისა ღონის-ძიებითა და შრომითა ქმება
მამულსა თვისსა მიწა ოქროსი და ვეცხლისა, რომელმანცა იპოვა სომხეთის მამულსა შორის
ახტალას, რომელ-არს მამულობით თავადთა სომხეთისა მელიქისა და მოიყვანნა საბერძნეთით

ბერძენნი მცირედნი, გამომდნობელნი ოქროსა და ვეცხლისა მიწისანი. ვითარცა დაიწყო მადნისა
მის მუშაკობა, ისარგებლა მით ფრიად. ხოლო ამ მადნების ქებნის ჟამსა შთამოვიდა თვით
სულეიმან ფაშა დიდის ჯარით და მოადგა ქარელის ციხეს, ერთი დღე ადგა, მეორეს დღეს მიუ-
ტანეს მას ამბავი: „მეფე ირაკლი წარმოვიდა შესაზედაო:“ აიყარა მსწრაფლ და ვითარცა მეოტი
ივლტოდა. გარნა იყო მარადის აფაზაკებრი რბევა რაოდენსამე წელსა: კვალად მოუვიდა ამბავი 50
მეფეს ირაკლის: „დაღისტნის ჯარი შეუყრია ფირუდაღ ბელადს და ალაზანს გამოვიდაო:“ ამის-
თვის წარვიდა მეფე ირაკლი და სამგორის გზა შეუკრა, დახვდა ღამე და დიდად დაამარცხა.
კვალად იყოფოდა რა მეფე ქისიყს, გამოვიდნენ ჭარელნი და თარეში მოუშვეს, გაუხდა მეფე
ირაკლი თავისის ამალით და მდევრით და ძლიერად დაამარცხა. ხოლო ესე ვითარნი გამარჯვებანი
ირაკლი მეფისა-გან უანგარიშონი არიან და ამად ყოველივე ვერ მოვიხსენეთ. არამედ იგი აღვრი-
ცხეთ, რომელი ღირსად-ხსოვნისა იყო და სხვანი მრავალნი წვრილნი გამარჯვებანი დავი-
დუმეთ:

კვალადცა არა დასცხრებოდა ფაშა ახალციხისა სულეიმანცა მარადის აბეზღებდა ხონთქარ-თან
მეფეს ირაკლის, რომლისა-გამო სარგებლობდა ძლიერად ხაზინის მოტანითა და აგრეთვე საქარ-
თველოს რბევითაცა. გარნა დარწმუნებულ-იყო ხვანთქარი, რომელ ფრიად შეაწუხა მამული
მისნი და ამის-თვის წარავლინა ელჩი თვისი ხვანთქარ-მან ერანის მეპატრონის ქარიმ ხანისა-თანა 51
და შეუთვალა: „თუცა ჩვენსა და თქვენსა-შორის არს მშვიდობა, რამეთუ ზავ-გვიყოფიეს. გარნა
ეგრეთცა აღგიშვია ერთი ლომი (რომელ-არს საქართველოს ვალი), რომელი აოხრებს მარადის
სამთავრობელოსა ჩემსა და ამის-გამო იხარჯვის ჩემ-გან არა-მცირედი ხაზინანი, რომლისა-თვის
მაქვს განცხადება მეგობრობისადმი თქვენისა, რათა დააყენოთ იგი ესე ვითარისა მძლავრებისა-
გან:“ ხოლო მსმენელი ამისი ქარიმ-ხან ეტყოდა ვეზირთა თვისთა და ადრიბეჯანისათა ხანებთა,
რომელნიცა აბეზღებდენ მეფესა ირაკლის: „შეხედეთ მეფეს ირაკლის, ახლა მე ის როგორ არ
უნდა მიყვარდესო, რაც ჩემ-თვის უმსახურია, იმას გარდა ეს უმეტესი ჩემი დიდება არის, რო-
მელ ხონთქარი დააჩოქა და ჩემ-თან აჩივლებსო, ამის-თანა კაცი ერანის ხელმწიფისა-გან დიდად
პატივ-საცემელი არისო:“ რომლისა-თვის განუცხადა სიყვარული და მოსწერა წიგნი ქარიმ ხან-
მან მეფესა ირაკლის და წარმოუგზავნა ხრმალი და ცხენი ოქროსა იარაღითა აღკაზმული: შე-
მდგომად ამისა განიზრახა ხვანთქარ-თან გაგზავნა ელჩისა და წარავლინა კარისა თვისისა მირზა
გურგინა, სომეხი ვინმე ყარაბაღით მოსრული. გარნა მრავალთა ენათა მეცნიერი და ცნობით
გონიერი, რომელიცა მოვიდა კოსტანტინეპოლის და ყოველივე დაბარებული მეფისა ირაკლის 52
მიერ, განუცხადა ვეზირსა ხვანთქრისასა, რომელმანცა მიიღო იგი და დიდა პატივ-სცა: თუცა
აქვნდა მრავალი წყენა მეფის ირაკლისა-გან. გარნა დიდად მხიარულ-იქმნა ვეზირი მისვლისა-
თვის ირაკლის ელჩისა, ცნობილ-იყო მეფე ირაკლი ფრიად წინა-აღმდგომ ყოველსა ხვანთქრისა
საბრძანებელთა შორის და ამის-გამო ესე ვითარითა პატივითა შეიწყნარეს, რომელ უმეტესისა

წადილი არღა-რა აქუნდა ელჩსა მეფისა ირაკლისასა: აწუქეს მრავალი, წარმოუვლინეს დესპანი,
მოუძღვანეს ცხენი შვენიერად აღკაზმული და ძვირ-ფასი ქურქი და გარდა ამისა, რომელიცა
უწინარეს ამისსა დატყვებულნი ხალხნი ალსიხას წარესხათ რაოდენნიმე თავადთა გვამნი ცოლ-
შვილით და სხვანიცა მდაბალნი გლეხნი, რომელნიცა ქრცხინვალით წარეყვანილ-იყვნენ და გინა-
თუ სხვათა სოფლებთა-გან ალსიხას იგინი ყოველნი განათავისუფლნეს და მოუწერეს სულე-
მან-ფაშას განთავისუფლება მათი და მშვიდობა ურთიერთისადმი და მოიყვანეს იგი ტყვენი
ტფილისად და რომელნიცა ჭყვა ფაშას ჯარად დალესტნელნი, იგინიცა დაითხოვა მამულისა-გან
თვისისა: გარნა ჩვეულნი იგი ლეკნი არა დასცხრებოდნენ რბევასა ქართლისასა. არამედ მოჰსცა
53 ღმერთმან მეფესა ირაკლის ძე ერთი სახელად ლეონ, რომელიცა ემსგავსა მამასა თვისსა სი-
მხნითა და მრავალ-გზის შემუსრნა მან ლეკნი და მოსპო ამან ლეონ ხშირად რბევა ქართლისა
ლეკთა-გან და ეგრეთვე განაწესა მეფე-მან ირაკლი მორიგე ქართლ-კახეთით, რომლითაცა დიდად
ისარგებლა და იყო მარადის სამი ათასამდის განმზადებული ჯარი, თავადნი, აზნაურნი და გლეხ-
ნი და ამათ-თანა თვით და ძენიცა მისნი, ყოველნივე თვითოსა თვესა გარდაიხდიდენ და სადაცა
იყო ლეკთა-გან საფიქრო ადგილი, მუნ მდგომარებდენ, რომლისა-გამო დიდად შეშინდნენ ლეკნი
და ამის-გარე კვალად შეირიგა დაღისტნის პირველნი ბელადნი და თვით ომარ-ხან და მისცა ჯა-
მაგირი რაოდენ ძალ-ედვა და ამ ყამსა ფრიად დაამშვიდეს ქართლ-კახეთი და იწყეს მოოხრე-
ბულთა დაბნებთა შორის საქართველოსათა შენობა და მრავალნი სოფელნი აშენდნენ ქართლ-
კახეთსა შინა და სომხითსა:

ხოლო წელსა **1780** ქორონიკონს 467, ერევნის ხანი ასან ალი-ხან უკუდგა და არღა-რა
მისცა ხარკი, წარუგზავნა თავადი თარხნის-შვილი ყორა-ისაულ-ბაში ზასა და განუცხადა ყო-
ველი შრომა თვისი და სისხლ-დათხეულება ქართლ-კახეთისა ერევნისა-თვის და თვით ამ ასან
ალი-ხანის ხანობის მიცემა, თუ ვითარ მისცა ხანობა ერევნისა მეფე-მან ირაკლი: თუცა ესე
54 ყოველი ყოფილი საქმენი განუცხადა. გარნა არა ისმინა, ვინა-დ-გან აქუნდა შემატებული ძალი
რაიმე განმრავლებისა-გამო ყმისა და სიმდიდრისა, რომელმანცა შემოუთვალა სიტყვანი ფრიად
მკვახენი და ბრძანა მეისვე მეფე-მან ირაკლი მოწვევად ლაშქრისა ქართლ-კახეთისა და ლეკნიცა
მოიწვია ჯარად რაოდენიმე ათასი და წარვიდა ამასვე წელსა აგვისტოს, მივიდა და დასდგა ში-
რაბათის სოფელში, რომელი შორავს ერევანს ვიდრე ორს ალაჯადმდე და იწყო ჯარ-მან რბევად
ერევნისა და ალარ-სად დარჩა შენობა, თვინიერ ერევნისა და ეჩმიაწინისა: ამასვე დროსა და-
მორჩილებულ-იყვნენ ირაკლისადმი განჯა, ყარაბაღი და მოერთვნენ მუნით ჯარნიცა რაოდენნიმე
ათასნი, ხოლო ერევნით ლტოლვილნი ელნი წარმოსრულ-იყვნენ ბაიაზეთის მამულში, რომელი
არის სამფლობელო ხვათქრისა. წარვიდნენ ქართლ-კახეთის თავადნი და ჯარნი და მოარბიეს
სრულიად მამული ბაიაზეთისა და მრავალი ტყვე და საქონელი წარმოასხეს: მოუწივნეს ქურთნი.
გარნა იგინიცა დაამარცხეს და შეურაცხ-ჰყვეს და ყოველი ადრიბეჟანის ხანები დაემორჩილნენ

მეფესა ირაკლის და მოართვეს ელჩნი და ფეშქაშნი ძვირ-ფასნი თავრიზის ხანისა-გან, ხუის
ხანისა, ურუმის ხანისა, შაყაყის-ხანისა, მარაღის-ხანისა, ბაიაზეთის ფაშისა და ყარსის ფაშისა- 55
გან და ეგრეთვე მოერთვა ერევნის მამულში მდგომი შამადიანლა ქურთი, ძლიერი კაცი და მრა-
ვალთა ქურთთა მეპატრონე და მოსცა თავი თვისი ყმად: გარდა ამისა შორაგლის სულთანი ყა-
რამან მოვიდა და მოერთვა ყმად ყოვლითა შორაგლის ხალხითა და მამულითა და ესოდენ გან-
ძლიერდა ერევანს ყოფისა ჟამსა მეფე ირაკლი, რომელ ელოდნენ ერანელნი უთუოდ გახელმწიფდება
და ერანის ნაწილებსაც დაიპყრობსო. ვინადგან აქვნდა ცნობა ნადირ შაჰს-თან ყოფილთა და
ესმოდათ მარადის სიმხნე ქველობა მისი და ვერცა-ვის ჰხედვიდენ მოპირ-და-პირედ ირაკლისა
და ამის-თვის დიდად ჰფიქრობდენ და ყოველ-თვის მოლოდება აქვნდათ. „ერანისა-კენ წარმოვაო."
ესოდენთა მიზეზთა-გამო დიდად შეამჭირვეს ერევანი და იხვეწებოდა შერიგებასა: ხოლო ერთსა
დღესა წარვიდა მეფის ირაკლის ძე გიორგი, რათა გარდაჰხედოს ერევნის ციხესა და ქალაქსა
ერევნისასა: მაშინ იხილეს-რა მცირე ცხენოსანნი მახლობელად მისრულნი ერევნელთა, გამოვიდ-
ნენ იგინიცა, შეხვეწნის უიმედონი და დიდითა მჭიდროებითა თავ-გასწირულნი, ეკვეთნეს სავსე-
ბელად ამ მეფის ირაკლის ძეს გიორგის და შეექმნათ ომი ძლიერი: და ვინადგან ეს ერევნელნი
უმეტეს მახლობელ-იყვნეს ციხისა. ამის-თვის არა მცირედ შეაწუხეს მეფის ძე. ხოლო ესე
აცნობა გიორგიმ მამასა და ჰსთხოვა ჯარი შემწედ:

გარნა ჯარნი მეფისა ირაკლისა უმეტესნი ნაწილნი წარსრულ-იყვნენ ჩათვალად და რაო- 56
დენიცა თანა-ჰყვა, უბრძანა მიშველება ძესა თვისსა ლეონს და სხვათაცა და ეგრეთვე აღმხედრდა
თვითცა მეფე ირაკლი და სარდალნი მისნი, მიჰმართეს ბრძოლასა მას და ერევნითცა გამოვიდნენ
რაოდენნიცა იყოფოდნენ მბრძოლნი და შექმნეს ბრძოლა ძლიერი, ვიდრე სამ-საათადმდე: თუმცა
ვერ შემძლებელ-იყვნენ ეს-ოდენ ჟამ პირის-პირ ომისა. გარნა აქვნდათ ერევნელთა ფრიადნი
სიმაგრენი კლდეთა და კედელთანი და ჰყვანოცა ლეკნი მეომრად ხანსა ერევნისასა და ჰმაგრობდეს
მით: ხოლო მხილველი ამისი მეფე ირაკლი განრისხდებოდა, ვითარცა თხათა ზედა ლომი და
ამ დროს მცნობელ-მან ვინმე. ერევნის ციხით ესროლა პირის-პირ ზარბაზანი მეფესა ირაკლის
და წინა-მდებარესა კლდესა მოჰხვდა, რომელიცა განერა ფრიად განსაკვირვოდ და შემდგომად
ამისა განრისხებულ-მან აღუზახნა მჭირსედ სპათა და მეისვე აიღნა და მოსწყვიტნა ფრიადნი
და მოსპო ყოველი ძალი ერევნისა და მრავალნიცა ცოცხალნი შეიპყრეს და მისცა ბრძანება სპათა
თვისთა, რათა ყოველ-მან კაცმან სახლი გაიკეთოს და იზამთროს მუნ: მხილველნი და მსმე-
ნელნი ამისნი, ფრიად მწუხარე იქმნენ და ევედრა ერევნის ხანი და დაიდვა, ვიდრე ოთხი-ათას
თუმნადმდე გარდაკვეთით და უმეტეს სხვა-და ფეშქაში შესამატნი მოერთმეოდეს. გარნა არა 57
დაჰრთო ჯერეთ ნება მეფე-მან ირაკლი: ხოლო მუნ ყოფასა შინა მოუვიდა წიგნი ქართლით
რომელ: „მოვიდა ბაქარ მეფის-შვილი ალექსანდრე იმერეთს და მეცადინობს, რათა ვიეთნიმე
ქართველნი შეიტყუოს და გარდაჰბიროს:" თუმცა არა სარწმუნო იქმნა. გარნა ურჩიეს ვიეთთამე

გეზირთა და უმეტეს ტფილისით დაუწყეს წიგნების წერა ხშირად: „მოეშველე ქართლს, თუ-არა საქართველო აირევაო.“ და ამის მიზეზით გამობრუნდა ერევნით მესამეს თვესა. აჰყარნა მრავალნი მეკომურნი სომეხნი და წარმოასხნა საქართველოსა შინა, რომელნი დღესცა მდგომარებენ რაოდენსამე ადგილსა და სხვა ტყვე, საქონელი ურიცხვი იშოვეს ჯართა, მრავალი თეთრი მოართვა ოქიგატერმა და ზემო-ხსენებული რიცხვი თეთრისა დასდვა ერევანს ხარკად. შემდგომად განუწესა მოურავიცა თვისი მუხრანის ბატონი, სიძე თვისი იოანე, კონსტანტინეს ძე და იყო ერევანსა მოხარკედ მეფის ირაკლისა, ვიდრე მოსვლადმდე ყაჯარი აღა-მაჰმად ხანისა:

შემდგომად რაოდენისამე წლისა კვალად იქმნა შური სულეიმან ფაშამ და იწყო საქმობა იდუმალ შუშის ხან-თან და დაღისტანში ომარ ხან-თან და ეგრეთვე ასტეხნა ლეკნი მარბეველად
58 ქართლისა დასარბევით, რომელიცა ჰმართლობდა თავსა მეფესა ირაკლის-თან, რეცა არა იყოს ნება მისი, ოდეს ლეკნი ახალციხის მხრით აგაზაკობდნენ: ჟამსა ამას მოიწია უბედურება და გარდაიცვალა ძე ირაკლი მეფისა ლეონ და ოდეს მიესმა ახალციხის ფაშას სულეიმანს, მაშინ ჰსთქვა ფაშამ: „მოხუცების ჟამსა მეფეს ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა საქართველოს, რომელიცა ოთხ კერძოვე იგურდივ იფარებდა და აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი მეფესაო:“ ჰსთქვა ესე და უმეტესად განიგულვა ქართლის ოხრება: მაშინ მეფე ფრიად მგლოვარე ძისა-თვის ლეონისა დამცხრალ იყო ომებისა-გან და აღარ ნებავდა ლაშქრობა, არცა ერთსა მხარესა და აღსტყდეს ლეკნი ახალციხის მხრით ოხრებად ქართლისა: ამისსა შემდგომად ჰსცნა იმპერატრიცა-მან ეკატერინა რუსიისა-მან წინასი ქმნილნი და შემდგომნიცა ესე ახალციხის ფაშისა-გან საქართველოს რბევა და ოხრება, რომლისა-თვის წარმოავლინა მეფეს ირაკლის-თან მინისტრად პოლკოვნიკი და ორი ბატალიონი მხედრობა: გარნა უმეტეს განძვინდა სულეიმან ფაშა და შექმნეს სხვათა ადრიბეჯანის სანებთაცა შიშნეულება მხედრობისა-გამო რუსეთისა. ვინაჲ-გან აქვნდათ მარადის რიდი მეფის ირაკლისა-გან და უმეტესად განიგულვეს მაშინ დაპყრობა თვისი ძალითა რუსის მხედრობისათა
59 და ამის-გამო შექმნეს ურთიერთისადმი დასარჩვით ღონისძიებისა თანხმობა: ხოლო ამას ჟამსა ეპყრა სრულიად განჯა და ყოველი მამული მისი მეფესა ირაკლის და აქვნდა ფრიადი მეგობრობა შუშის ხანსა-თანაცა, რომელ ერთი ამისი კაცი და ერთი მეფის ირაკლისა განაგებდნენ ქალაქსა განჯისასა. გარნა ზემო-ხსენებულისა ფიქრისა და შურისა-გამო გამოაძეს მან მყოფი იგი კაცი მეფის ირაკლისა, თავადი ანდრონიკა-შვილი, მდივან-ბეგი ქაიხოსრო, შეიყვანეს იგივე მემკვიდრე ჯავათ-ხან და დასვეს ხანად: მასვე დროსა სულეიმან ფაშამ მოუწოდა დაღისტნის ომარ-ხანსა, ხუნძახის ბატონსა, მან შემოიყარა დაღისტნის ჯარები და ეგრეთვე ჭარელნი, ვიდრე ოცი-ათასამდე და მოვიდა ურდოს-ზედ (რომელ-არს ალაზნის-პირი) და მოვიდა მეფე ირაკლიცა რუსეთის მხედრობით ქისიყს და დასდგა სიღნაღს, რომელ ხუნძახის ბატონი სიღნაღ-ზედ მისვლას აპირებდა და მუნ მოელოდა მეფე ირაკლი. გარნა იგი აიყარა უგრძნულად, ამოვლო ჭერხლის ხევს, ამოვიდა ღელოვლის წყაროს-ზედ და გარდავიდა იორ-ზედ: მცნობელი ამისი მეფე ირაკლი

გამოუდგა ჰსწრაფად რუსის მხედრობით. გარნა ვერღა-რა ეწია, მივიდა ომარ-ხან ახტალის მა-
დანში, აღიღო ციხე ახტალისა, აღაოხრა მადანი და დაატყვევა ყოველნი მუნ მყოფნი ბერძენნი
და ქართველ-სომეხნი და ავიდა ახალციხის ფაშას-თან, რაოდენსამე ხანსა მუნ განისვენა და შე-
მდგომად წარმოუძღვარა კაცი ფაშა-მ ხუნძახის ბატონს და მოჰგზავნა საბაშიოთ-ზედ და ვახანის 60
ციხეს მოადგა, აქაც მიეშველა მეფე ირაკლი თვისისა და რუსის მხედრობით მიბრძანდა სურამს:
გარნა ვერ დაამტკიცეს მისვლა ვახანს და მიშველება მისი, ვინად-გან არ იყო ადგილი მარჯვე,
რათა რეგული მოხმარებულ-იყო და აღიღეს ციხე ვახანისა და მრავალნი სულნი დაატყვევეს და
თავადნი აბაშიძენი ცოლ-შვილით და სიმდიდრითა და ყოვლითა საგანძურითა ცარიელ-ჰყვეს და
წარასხეს და უკუნ-იქცა ომარ-ხან ახალციხადვე. მას ზამთარს მუნ ისადგურა და მეორე ზამთრის
პირს შემოდგომა-ზედ გამოისტუმრა: გარნა ვერღა-რა იკადრა შთამოვლა ქართლ-ზედ. არა-
მედ განვლო მთანი და შთავიდა ყარაბაღში იბრაიმ ხან-თან: შემდგომად ამისა მეფე ირაკლიცა
წარვიდა განჯას და ეგრეთვე მხედრობაცა რუსეთისა თანა-წარასხნა. ვინად-გან მასვე წელსა
გაქცეულ-იყვნენ საქართველოს ელნი ყაზახისა და შამშადილოსნი და იყოფოდნენ განჯა-ყარაბაღსა
შინა და ყარაბაღითცა გამოიქცნენ მელიქნი იბრეიმ ხანისანი, სომეხნი ფრიად მდიდარნი და
განძლიერებულნი ყმითა და ციხე სიმაგრითა, რომელნიცა მოვიდნენ მეფეს ირაკლისა-თანა და
ჰსთხოვეს შეწევნა, რათა მისცეს ჯარი და აჰყარონ ყოველი საყმო თვისი: ამის-თვის წარგზავნა
ძე თვისი იულონ და წარატანნა სარდალნი და სხვანი საქართველოსანი. მივიდნენ რა შამშულსა 61
ყარაბაღისასა, მუნითცა მოეგება ჯარი და სარდალი იბრეიმ ხანისა და მოინებეს აყრა მელი-
ქებისა. გარნა ჟამსა ამას განუცხადა მინისტარ-მან ბურნაშოვ-მან. „რომელ ბრძანება მომივიდა,
დღესვე უნდა გავბრუნდეო:" ჰსთხოვა მოცდა. გარნა არა ინება ჰოლკოვნიკ-მან და გამობრუნდა
განჯიდამ და მეფეცა მათი-თანა. ხოლო ამასვე ჟამსა თანხმობისა-თვის იბრაიმ-ხანისა შთამო-
ვიდა ომარ-ხან ჭარში დაღისტნის ჯარებით და მეფე ირაკლიც მიბრძანდა ქისიყს, რამეთუ რუ-
სეთის მხედრობა მოვიდა ტფილისს და მუნით წარვიდნენ რუსეთს: ომარ-ხან რაოდენსამე
თვესა ჭარში დაშთა. გარნა ვერღა-რა იკადრა მოსვლა ქისიყ-ზედ, გაბრუნდა და შამახიას
მოადგა:

ხოლო მეფობასა ამისსა, რომელიცა დავსწერე ძლევანი სახელდობ, გარდა ამისა ვჰგონებ
უმეტეს ოც-და-ათისა ძლევანი მიელოს და ჰყვა სიცოცხლესა მისსა მოხარკეობასა შინა განჯა,
ყარაბაღი და ერევანი და ჰმსახურებდნენ შესაბამითა ვალ-დებულებითა, ვიდრე მოსვლადმდე ყაჯარი
აღამამად-ხანისა: მეფობასა ამისსა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი, ვიდრე ას სამოცად-
მდე გალავანი და ბურჯნი მტერთა-თვის:

ხოლო თვით მეფე-მ ირაკლი-მ განაახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა,
ბოჭორმისა, ჭოეთისა, გალავანი სევირელისა, საუბისა, გრემისა, ფედისა, შატარძეულისა და 62
ნორიისა:

ხოლო შრომანი და ღვაწლნი მეფის ირაკლისანი არა ადვილ შესაძლებელ-იყო აღწერად. არამედ რაოდენ ძალ-მედგა სმენითა და მეხსიერებითა, სარწმუნოთა კაცთა-გან ცნობით აღ-ვსწერე:

ხოლო რომელნიცა მოიწია მას-ზედა, ჟამსა ღრმად მოხუცებისა მისისა, საქმე უბედურე-ბითი და მოვიდა აღა-მაჰმად-ხან და აღაოხრა ტფილისი, მის-თვის არა-რა დამიწერიეს ჯერეთ. ვინად-გან მიზეზნი და ვითარებანი განვრცელდებიან:

# შედეგი კახეთის ცხოვრებისა:

ნახე 142 გვერდი.

მოსცა ნადირ-შამ თეიმურაზს ქართლი, ხოლო ერეკლეს, ძესა მისსა, კახეთი, შემდგომ მოვიდა თეიმურაზ ტფილისს ქრისტეს აქეთ **ჩღლდ**, ქართულს ხუთასიანს ქორონიკონსა **ულბ**: ჟამსა ამას იქმნა ესრეთი განსაცდელი, რომელ არა-სად შემთხვეულ-არს ესე-ვითარი. მით რამეთუ ყოველთა შორის უბოროტეს-მან თაზის-შვილმა ტარიელ მოკლა ხანჯლითა კათოლიკოზი ნიკოლაოზ და იგი განლტოლვილ განიტვინა ქვემო სატიოს რიყესა ზედა და საცვლად მისსა ჰყვეს კათოლიკოზად ანტონი, შვილი იესეს მე: ხოლო წელსა **ჩღლე**, ქორონიკონსა **ულგ**, განძვინდა გული ნადირისა ყოველსა სპარსეთსა ზედა და წარსწყვიდა არბაბი: წელსა ამას დასდვეს ქართველნი ეპოხად ანუ ქორონიკონად, რომელსაცა უწოდებენ არბაბობის წლად: ხვედრსა ამას ქართველთაცა შეხვდათ ორმოც-და-ათი-ათასი თუმანი, რომლისა-გამო მიეცნენ ერნი შფოთსა და იწყეს განბნევად უცხოთა ქვეყანათა: მხილველი ამისი მეფე თეიმურაზ წარვიდა იძულებული წინაშე ყაენისა, რათა განარინოს სამეფო თვისი ესე ვითარისა სიმძიმისა-გან და ოდეს მიიწია თავრიზს, მუნ ჰსცნა სიკვდილი ნადირისა, რომელიცა მოიკლა მამად-ხან ყაჯარისა, მუსაბეგ ირილელისა და კოჯაბეგ გუდუზლელისა-გან, ბირებითა ძმის-წულისა მისისა ალიყულ-ხანისათა, რომელ მასცა შეხვდა არბაბსა ამას ურიცხვი ჯურუმი და იქმნა ალიყული-ხან ყაენად, რომელსაცა უწოდეს ადილ-შაჰად. მაშინ თეიმურაზ მეფე არღა-რა მოიქცა ტფილისად, არამედ წარვიდა წინაშე ყაენისა, ვინად-გან იყო სიძე მისი: ჟამსა ამას ორგულ-ექმნა ადილშას ძმა მისი იბრეიმ-ხან, რომელიცა იყო ბეგლარ-ბეგი ისპაანისა: ამან მოკლა ზორაბ-ხან სააკაძე, ვეზირი ადილშაისა: ხოლო ესე იქმნა დასაბამი სიძულილისა ძმათა-შორის: მოვიდა ესე ადრიბეჟანს და მიუწოდა თვისთა-თანა ამირ-ასლან-ხანს, რომელიცა იყო ესე დადგენილი ბეგლარ-ბეგად ნადირისა-გან ადრიბეჟანსა შინა: ესე მივიდა მის-თანა. სცნა-რა ესე ადილ-შაჰმა, მოვიდა ზანგანს, ეკვეთნენ მუნ, იძლია ადილშა. უკანასკნელ შეიპყრეს და აღმოხადა თვალნი იბრეიმხანმან: ხოლო დაუტევა მუნ ამირ-ასლან-ხან განმგედ და თვით წარვიდა ჰამადანს. სცნეს-რა ესე ხორასნელთა, მაშინ გამოიყვანეს ციხით შარუხ-მირზა, ძე რიზაყული მირზასი და ძის ძე ნადირისა, რომელიცა ჰყვა პყრობილად მაშინ ადილშას, შემდგომად მოწყვეტისა ძეთა ნადირისათა, რომელიცა მოსწყვიტნა მან და დასვა ესე განძრახვითა ამით: „უკეთუ ერანელთა არა ინებონ მორჩილება ადილშაისა და მოითხოვონ მეფედ ძეძე ნადირისა. მაშინ გამოიყვანონ ესე და დააცხრონ ამით რუდუნი ერთა ამათ:"

ჟამსა ამას მოვიდა ყილიჯილი ალი-ხან განჯით მხედრობითა: ესე ალი-ხან, რომელიცა პირველ იმყოფებოდა ტფილისს ხანად, მოიყვანა ამან სამი ვინმე, რომელსაცა უწოდდა სეფაზიათა შთამომავლობათა-გან და შეუგზავნა კაცი მოსრულ-მან კუმისს მეფესა ირაკლის, რათა ემონოს და

წარუგზავნა დაბეჭდილი თეთრიცა საჴელსა ზედა საამისასა. გარნა ილტვა-რა მეფისა-გან, მსწრაფლ უკუნ-იქცა: ჟამსა ამას ორგულ-ექმნა იბრეიმ-ხანს ამირ-ასლან-ხან და მოადგა შუშის. ხოლო ციხეცა ქალაქისა განამაგრა დურა-ხან ბეგ-მან, რომელიცა იყო დადგენილი სპარსთა-გან მცველად და ციხესა ამას შეკრიდეს ციხელნი თათარნი: სცნა-რა ესე აბდულა-ბეგ-მან, ძე-მან მეფისა იესესა-მან, რომელიცა ჟამსა მას დადრკენილ-იყო განმგედ ბარათიანთა ზედა მეფისა თეიმურაზისა-გან, ესე ორგულ-ექმნა მეფესა ირაკლის და სთხოვა ამირასლან-ხანს მხედრობა. ხოლო მანცა წარმოუგზავნა: მაშინ მოვიდა სოღანლუგსა ზედა უეცრად, განვიდა მეფე მცირედითა მხედრობითა. ვინად-გან მაშინ მცირე ჰყვა მხედრობა, განვიდნენ ერთისა უკვე მხრით მოქალაქენიცა, რომელთაცა ბრძოლეს ფრიად მხნედ, ილტვნენ მხედრობანი სპარსთა და ბარათიანთანი, ესრეთ რომელ ერთი იმერიბდა ათსა. ხოლო ერთ-მან მებაღე-მანცა შეიპყრა ცხრა ყიზილბაში და უკუნიქცნენ სირცხვილეულნი და შეიქცა მეფე ქალაქად გამარჯვებული: მაშინ გამოვიდა ლეკი და მოარბია აგჭალა და მარტყოფი და წარვიდა. ხოლო მეფე განვიდა საგინულესა-თანა წყალსა ტივებითა, ვინად-გან არა ძალ იდებოდა კარსა აღაბრისასა განსვლა, რომელ მეტეხიცა აქვნდათ გამაგრებულ ციხელებსა, მოვიდა ქასიეს, შემოიკრიბნა მხედრობანი კახთანი, ეწია ლეკთა დასლიის და სძლო: ეგე საკვირველი, რომელ ლეკნასა მას ლეკთასა წარმოიქცა ფლატე იგრისა და მოსწყვიტნა უმეტეს სამასისა ლეკნი ცხენ-თურთ მოტანითა ქვეშე და სძლო და უკმოქცეული მოვიდა ღამესა მას და დადგა ლელოფლის წყალსა ზედა: ხოლო ლტოლვილნი იგი ლეკნი მიიწივნეს რა აღაზნს, მუნ იხილეს ხოჯას ლეკი ვინმე, რომელსაცა ჰყვა შეკრიდობა ლეკთა და სწადდა გამოსვლა კახთა ზედა: მაშინ შეკრიდეს ესენი ღამესა მას და დაეცნენ განთიად თავსა ზედა მეფესა. გარნა ილტვნეს ლეკნი: მაშინ შემოიკრიბა მუნ მეფე-მან მხედრობანი კახთანი სრულიად, გორიდამცა მოამოატანინა ზარბაზანი იგი დიდი ბოჭორმისად წოდებული და აიღეს მეტეხი. ხოლო უკანასკნელ თაბორი და თაბორითა იწყეს რა ცემა ზარბაზნითა მით შეპკრებულთა მათ ერთა მოსცეს ციხე მეფესა:

ესცნა რა იბრეიმ ხან-მან ორგულება ამირ-ასლან ხანისა, წარმოვიდა მას ზედა. ხოლო ძლეულთა ამირ-ასლან-ხან შეიპყრეს ყარადაღს და მიიყვანეს იბრეიმ-ხანისა წინაშე, რომელმანცა წარკვეთა თავი და იწოდა იბრეიმ-ხან ხანად, ესე იგი იბრეიმ-შაჰად და წარვიდა შარუხსა ზედა, სადაცა მხედრობათა მისთა შეიპყრეს იგი გზასა ზედა და მიიყვანეს შარუხ-ხანისა წინაშე და მან წარკვეთა მას თავი: ხოლო შარუხსაცა ქურთთა ხაზუშანნისათა აღმოჰხადეს თვალნი და ჰყვეს მამათსა შინა ხელმწიფედ: და იქმნა ერანსა შინა ფრიადი აღრეულებაჲ ხოლო მეფე თეიმურაზცა მოვიდა წელსა ჩღჟ, ქორონიკონს ულე: ჟამსა ამას მოადგა მამად-ხან ყაჯარი, ერთი იგი მკვლელთაგანი ნადირისა ერევანს და ლამოდა დაპყრობასა მისსა: ევედრნენ ერევნელნი მეფესა თეიმურაზს და წარვიდა ესე მხედრობითა, სძლო მამად-ხანს, აღიღო ფრიადი ალაფი, განარინა ერევანი მოოხრებისა-გან. გარნა და მოხარკე-ჰყო მან ერევნელნი და მოვიდა ტფილისს:

ხოლო მოვიდა წელსავე ამას ფანა-ხან შუშისა განჯას: მაშინ წარვიდა მეფე თეიმურაზ ძით-ურთ თვისით მეფე ირაკლით შველად განჯისა: ჰსცნა-რა ფანახან-მან მიმავალობა მათი, დაუტევა გარემოდგომა განჯისა და უკუნ-იქცა ყარაბაღად: ჰსცნეს-რა ესე მეფეთა შეუდგნენ უკანა ამას და შთავიდნენ ყარაბაღს, ეგრეთვე ყარათაყად წოდებულსა ადგილსა, მუნ იყო ფანა-ხა-ხან, სადაცა მხედრობა-მან ქართველთა-მან მოარბიეს, ვიდრე ხუდაფერისადმდე და ესე-ოდენი მოსრვეს ალაფნი, რომელ ცხვარი იყიდებოდა აბაზად. ხოლო ცხენი, გამოწვი და ძროხა ხუთ-აბაზად და უკმოიქცნეს ალაფითა გამარჯვებულნი:

გარნა წელსა ჩღმთ, ქორონიკონს უკჱ შეერთდნენ მეფენი აჯი-ჩალაბისა შაქისა ხანისა-თანა, სადაცა შემოიკრიბნეს მხედრობანი და წარვიდნენ ჭარსა ზედა და რაოდენ ეგრეთვე ჭარელნი მონებასა არა ისმენენ მეფეთა და მივიდნენ რა ჭარსა ზედა. მაშინ აჯი-ჩალაბიცა შეურ-თდა ჭარელთა და განსტეხა აღთქმა თვისი, იძლივნენ მუნ ფრიად მეფენი. გარნა მეფენი განერნენ მშვიდობით. ხოლო აღაზანსა შინა, ვინად-გან გაუწყრა მეფესა ერეკლეს გამოსვლა, რომელ ქვეითნი იგი ქართველთანი, რომელნიც მოაქცნდა წყალსა ეხვეოდნენ ცხენთა განრინებისა-თვის. მაშინ ბებურის შვილ-მან პაპამ მოსწყვიტნა კაცნი იგი და განიყვანა მეფე მშვიდობით. ხოლო ვინად-გან ნაშიერი მღვდლისა აღაზნისა არს ფილატონ, ამად პაპამ მუნ გერლადა აღიყვანა ცხენი მეფისა და ვირე მოატარებდა შორის ქვეითისა მეოფსა მეფესა შეემთხვა ბოსტაშვილი მანუჩა-ნელი და მიარონა ცხენი და ესრეთ განერა მეფე; ხოლო ამავე წელსა განძლიერდა აზატ-ხან ავღანი სპარსეთისა შინა წარმოვიდა ერევანსა ზედა, ეგრეთვე უკვე ერეკლენი მეფესა თეი-მურაზს, რომელმანცა წარუგზავნა ძე თვისი ერეკლე შესაწევნელად სამი-ათასითა მხედრობითა მოიწიენ-რა ყირიხბულაღს, იგიცა მოვიდა, რომელსაც ჰყვანდა უმეტეს ათვრამეტი-ათასის კაცისა. ეწყვნეს მუნ, იძლია აზატ-ხან ქართველთა-გან და განარინეს ერევანი და მოიქცნენ გამარჯვე-ბულნი ფრიადითა ალაფითა, ესრეთ რომელ მრავალთა მოლაშქრეთა იშოვნეს ყაისარიობით, ქალემი და ქორი:

მაშინ მეფე თეიმურაზ-მან, მდგომ-მან მარაბდას, სძლო ლეკთა და მოიკლა ბრძოლასა შინა ქალაქის მოურავი თარხნის-შვილი იორამ და ჟამსა ამას გარდაიცვალა დედოფალი აბაშიძის ასული ანნა და იქორწინა მეფე-მან ირაკლი-მ დადიანის ასულსა ზედა: მხილველთა ხანებთა ადერბეჟა-ნისათა ძლევისა-თვის აზატ-ხანისა სთხოვეს მეფესა თეიმურაზს, რათა წარვიდეს მხედრობითა დასაპყრობლად ადრიბეჟანისა და თანა წარიტანოს ესენიცა თანა-სმობილი: ამას-ზედა მეფე თეი-მურაზ შთავიდა რა განჯას ძით-ურთ ერეკლეთი, მაშინ მოვიდა წინაშე მეფისა ხანი განჯისა, შუშისა და ყარადაღისა. გარნა ნებითა მეფის ირაკლისათა შეიპყრეს ხანნი ესე, თუმცა-ღა არა-სადა სწადდა მეფესა თეიმურაზს ესე ფითარისა უგვანისა საქმისა ქმნა და ვერცაღა აღუდგა ძესა თვისსა: ჰსცნა-რა ესე მე-მან აჯი-ჩალაბისა-მან აღაქიშიმ, გამოვიდა მტკვარსა, ეგრეთ მეფეთა, რომელთაცა ამხილა ღმერთმან ესე-ვითარისა უსამართლოებისა ქმნა და დაჭკარნეს მუნ ურთ-

ბილნიცა იგი და ივლტოდნენ, რომელთაცა მიეცათ ფრიადი ნაკლულევანება. ხოლო იქმნა ესე წელსა 1751, ქორონიკონსა ულთ: მაშინ ძლევა-შემოსილი ალაქიში მიიწევა-რა სახლად თვისად, შეკრიბნა მან მხედრობანი შაქისა, შირვანისა და ლეკთა და წარმოვიდა წელსავე ამას, ამოვლო განჯა, თანა-წამოიყვანა ხანი განჯისა მხედრობითა თვისითა, ამოვლო შამშადილო და ყაზახი და მოვიდა ბაიდარს: ჰსცნა რა ესე მეფე-მან თეიმურაზ, წარგზავნა ძე თვისი ირაკლი სტეფან-წმინდას და მოუწოდა მხედრობასა ჩერქეზთასა. მაშინ მოვიდნენ მხედრობანი ჩერქეზთანი: განვიდნენ-რა მეფენი ტფილისით, მცნობ-მან ალაქიშიმ უწყო უკან-ქცევა. მაშინ მეფენი ეწივნენ შამშადილოსა შინა თულქი-თავად წოდებულსა, იბრძოდნენ მუნ, იძლივა ალაქიში, რომელსაცა მიჰყვნენ კავით შამქორამდინ:

ხოლო წელსა 1751 (1753 უნდა), ქორონიკონსა უმა, მოვიდა ნურსალ-ბეგ ავარელი ფრიადითა მხედრობითა და მოადგა მჭადისჯვარს. გარნა ერთ-მან მოხუც-მან დედათაგან-მან დაუწვა მათ შვიდი სათვარი მიტანილი ციხესა ზედა და მოკლეს იგიცა ლეკთა მერვესა სათვარსა ზედა. ხოლო სძლეს მუნ მეფეთა მათ და მოსწყვიტნეს ფრიადნი ლეკნი და სირცხვილეული უკუნ-იქცა სახლადვე თვისად:

წელსა 1752 (1754 უნდა), ქორონიკონსა უმბ, შეიკრიბნა ამანვე მხედრობანი ლეკთანი და მოადგა ყვარელს. მაშინ შეაშველეს მეფეთა დაუთალაბად ბებურის-შვილი პაპა, მდივანი სოლომონ ქობულის ძე, თაყა-შვილი ფარემუზ, რატი-შვილი ბეჟან, ნამორაძე ერისტო და სხვანი ქართლ-შობილნი და განარინეს ციხე ესე და ლეკთა ვისიდ-გან ვერა-რა ჰყვეს, უკუნ-იქცნენ სირცხვილეულნი:

ხოლო წელსა 1753 (1755 უნდა), ქორონიკონსა უმგ, იქნა კათოლიკოზი ანტონი ძე მეფის იესესი შეცთომილ და მიიღო სარწმუნოება რომისა კათოლიკისა, რომელიცა განძებულ-იქმნა მეფისა თეიმურაზისა-გან რუსეთად და მიიწია რა იგი რუსეთად მუნ ეწყალობა ელისაბედ პეტროვნისა-გან არხიერობა ვლადიმერისა: ჟამსა ამას მოვიდნენ ლეკნი შთამოსრულნი მთით და მოაოხრეს რუის-პირი, გარდავლეს გომბორი და შთამვლელნი მიიწივნენ დედოფლის-წყაროს: შთამოსრულთა ოთხ-ყარაღაჯს შთაეწივნენ კახნი ქიზიყელით-ურთ. გარნა იძლივნენ კახნი და მოსწყვიდნენ უმრავლესნი მუნ, რაოდენისამე თავადთა ძეებით-ურთ: ჟამსა ამას აიყარნენ ბორჩალოელნიცა და დასახლდნენ ყარსს-ეს ზედა ერევანს: მაშინ მეფე-მან ირაკლი-მ შეიყარა მხედრობა, მოვიდა ერევანს და დაჰყარნა იგინი და გარდამოასახლნა ბორჩალოდვე: კვალად შეკრილობანი ლეკთანი მოვიდნენ დარიალ-კარს, წარტყვევნეს ქარავანი ქართლისა და მოკლეს მუნ მუხრანის ბატონი კონსტანტინე, მიმავალნი მათ ლეკთა: კახეთს მსმენ-მან მეფე-მან ირაკლი შეუკრნა მათ გზანი და მოსწყვიტნა სრულიად. კვალად მოვიდნენ ლეკნი და მოაოხრეს ჯუგაანი: მაშინ მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი იმეოფებოდნენ ქისიყს და შეუდგნენ მეფენი უკანა, მიეწივნენ მახლობელ დანლისისა და მოსწყვიტნეს ლეკნი და მიუღეს ყოველი იგი ნატყვევნავი:

ხოლო წელსა ჩღნდ, ქორონიკონსა უმე. იქმნა ფრიადი სიყმილი, ესრეთ რომელ ერნი იზრდებოდნენ მდელოითა და განიბნივნენ მრავალნი მცხოვრებნი: მაშინ გამოვიდა მამად-ასან

ყაჯარი, რომელმანცა დაიპყრა უმეტეს ნახევარი სპარსეთისა და მოადგა შუშის: ამან იხმო თვისთანა მეფე თეიმურაზ, რომელმანცა იწყო მზადება წარსვლად მის-თანა: ხოლო გამოჩნდა რა შირაზს ქარიმ-ხან, მაშინ წარვიდა ესე მამად-ასან მისს ზედა, სადაცა გარემოდგომასა ქალაქისასა დაეფანტნეს მხედრობანი და თვითცა ლტოლვილი მოიკლა მსახურისა მის-გან, რომელმანცა მოჰკვეთა თავი და მიართვა ქარიმ-ხანს და ნაცვლად ესე ვითარისა ბოროტ-მოქმედებისა-თვის ბრძანა ქარიმ-ხან მონისაცა მის სიკვდილი: ჟამსა ამას განაგრძეს ლეკთა ხდომა და გამოხდა ჩონჩოლ-მუსა: მაშინ ორნივე მეფენი იყვნენ ქრცხინვალს, მოვიდნენ ლეკნი ზღუდერს. ხოლო მეფეთა ვერ თავს იდვეს პირის-პირ გამოსვლა. ვინად-გან არა-ჰყვათ მხედრობა: მუნ იქმნა მცირედი კინკლაობა, გატრიალდნენ მუნით ლეკნი, შევიდნენ და აიღეს ალი და აღვიდნენ ახალ-ციხეს: კვალად მუნით შთამოვიდნენ, სადაცა განიყვნენ ორად. ჩონჩოლ-მუსა მოადგა აწყვეს. ხოლო კოხტა ატოცს: მეფეთა იხმეს შველად მეფე სოლომონ, რომელიცა გარდმოვიდა იმერთა მხედრობითა. მეფე-მან თეიმურაზ და ირაკლი-მ მოიკრიბნეს მხედრობანი ქართლისა და კახეთისანი, შეერთდნენ იმერთა-თანა, დაეცნენ ატოცს და მოსწყვიტნეს ფრიად ლეკნი. და ჩონჩოლ-მუსა, მხილველი ამისი, განივლტო ღამე და ესრეთ განერა: ესე იქმნა წელსა ჩღნთ, ქორონიკონს უმზ: უწინარეს ერთისა წლისა ამის, ოდეს აშენებდა მეფე თეიმურაზ ციხესა პატარძეულისასა, მუნ მოვიდნენ ლეკნი, ხოლო მეფე-მან ირაკლი-მ მოსწყვიტნა აზამბურს უმეტეს სამასისა. მუნ მოიკლა ბრძოლასა შინა სააკის-შვილი ედიშერ:

ხოლო წელსა ჩღნთ, ქორონიკონს უმზ, მოვიდნენ ლეკნი ტუსერს, მუნ სძლო მეფე-მან თეიმურაზ. გარნა ბრძოლასა შინა მოიკლა ციცის-შვილი გლახა, გერი მეფისა თეიმურაზისა:

წელსა ჩღჲ, ქორონიკონს უმჱ, წარვიდა მეფე თეიმურაზ რუსეთს: მეფე-მან ირაკლი კვალად სძლო სუეუულიანსა შინა ფრიად ლეკთა და მეფე თეიმურაზცა გარდაიცვალა წელსა ჩღჲბ, ქორონიკონს უნ და დაფლეს ასტარხანს და იწოდა ირაკლი მეფედ ქართლისადცა: ამან მოიყვანა კათოლიკოზი ანტონი რუსეთით და განაწყვეს სკოლა ახლისა ფილოსოფიისა ბაუმეისტერისა, რომელიცა რუსეთს ყოფასა შინა სთარგმნა კათოლიკოზ-მან რუსულით ქართულად:

განძლიერდა რა ქარიმ-ხან სპარსეთსა შინა. მაშინ ლტოლვილი და დაცემული აზათ-ხან მოვიდა მეფისა წინაშე და ევედრა შეწევნასა. ხოლო ამან შეიპყრა და წარუგზავნა ქარიმ-ხანს, რომელმანცა ნაცვლად სამსახურისა მის უძღვნა მეფესა მადლობა საბოძვარით-ურთ: ჟამსა ამას აღდგა ფათალი-ხან ავშარი, მოიკრიბნა მხედრობანი ადრიბეჟანისანი და მოადგა შუშის და სთხოვა მეფესა შეწევნა. ამან მიაშველა მხედრობა და ოდეს წარმოუმართა ამათ ზედა ქარიმ-ხან, მაშინ არღა-რა წარყვნენ მხედრობანი ქართველთანი და მოიქცნენ უკანვე და შაგერდიხან განჯისა, რომელიცა ჰყვა ფასას პყრობილად და განათვისუფლა ფათალიხან-მან, იგი მოვიდა მეფისა წინაშე, რომელმანცა წარატანა მხედრობანი, აღიღეს კვალად განჯა და ჰყვეს ესე ხანად: გარნა განჯელ-მან მსახურ-მან უკვე შაგერდიხანისა-მან მოკლა ხანი და გამოაძეს განჯელთა

ქენი მისნი, რომელნიცა მოვიდნენ მეფისა ირაკლისა წინაშე: ხოლო ამან წარატანა მხედრობანი, აღიღეს განჯა და ჰყვეს პირ-მშო ძე შავერდი-ხანისა მაჰმად-ასან ხანად. გარნა სძლო კვალად მეფემან ყარაიასა ზედა ლეკთა, რომელთაცა განერყვნათ გორისა გარემონი და დაეყრევინა მუნ ყოველი ნატყუენავი. კვალად სძლო ახმეტას ლეკთა და მოსწყვიტნა ფრიად, რომელნიცა დაცნეს ახმეტას:

კვალად შეკრბენ შეერილობანი ლეკთანი და სწადდათ ზედა-დასხმა სამაჩაბლოსი: სცნა მეფე-მან, შეუკრნა გზნი და მოსწყვიტნა სრულიად: კვალად მოვიდნენ შეერილობანი ლეკთანი და დაეცნენ ბორჩალოს და მოსტყვევნეს აღმამადლი. გარნა იძლივნენ ფრიად ბორჩალოველთა-გან: მუნ იყო მხნედ თარხანი გიორგი მოურავი ბორჩალოსი, რომელთაცა მოსწყვიტეს უმრავლესნი ლეკნი და წარვიდნენ სირცხვილეულნი:

ხოლო წელსა ჩღჲზ, ქორონიკონს უნე შეითქვნეს მეფესა ზედა ამილახორის-შვილი დიმიტრი სახლთ-უხუცესი და ესე იყო მძახალი მეფისა, რამეთუ და მეფისა ელისაბედ ჰყვა ძესა მისსა გიორგის და გლახა ციცის-შვილი და თაქთაქის შვილი ელისბარ. ამათ მისცეს პირობა პაატას ბატონის-შვილს, რომელიცა იყო ესე არა-რჯულიერი ძე მეფისა ვახტანგისა, რომელიცა იმყოფებოდა მეფისა წინაშე დიდითა პატივითა. გარნა იყო კაცი ესე ფრიად მეცნიერ, რათამცა წარსწყმინდოს მეფე: ჰსცნა რა ესე მეფე-მან შეიპყრა ესენი, შეკრბენ ქართველნი და მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ტფილისს შინა თაქთაქის-შვილი ელისბარ და დიმიტრი პატიმარ-ჰყვეს და შეურაცხ-ჰყვეს აღკუდომითა მისათა კარაულსა ზედა და მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი და გლახასაც მოჰკვეთეს ენა: მიოკრიბნა კვალად მეფე-მან მხედრობანი და დაეცა ქურთთა ერევნისათა, წარტყუენა და მოიქცნენ ქართველნი ალაფითა დიდითა: მაშინ ფამბაკი იყო რა ოხერ, გამოსთხოვა პირმშო-მან ძე-მან მის-მან გიორგი-მ და აღაშენა: კვალად შეიყარნეს ფრიადნი ლეკნი, დაეცნენ თუშეთს, გარდაეშველნენ ფშაველნი, სძლეს და მოსწყვიტეს უმეტეს ორის-ათასისა და წარივლტინეს სირცხვილეულნი: განძებულ-იყო რა მეფე სოლომონ იმერთა-გან და წაიყვანეს რა მხედრობანა თურქთანი იმერთა, რომელთაცა ჰყვეს თეიმურაზ ბიძა-წული მისი მეფედ: თუმცალა განსძლევნა მეფე-მან სოლომონ თურქნი და შეიპყრა თეიმურაზ და შესვა ციხესა, რომელსაცა დაეცა მეხი და მოკვდა. გარნა კვალად თურქთავე ეპყრათ რაოდენნიმე ციხენი და ვინად-გან ერისთავი რაჭისა როსტომ არა ერჩდა, რომლისა-გამო მეფე-მან იმერთა-მან იხმო მხედრობა ლეკთანი და წარსტყვევნა რაჭა და ალაფითა სავსენი ლეკნი უკუნ-იქცნენ რა თვისად. მაშინ მცნობ-მან მეფე-მან ირაკლი-მ შეუკრნა იორი, სადაცა მოსწყვიტნა სამასნი და მიუღო ყოველი ნატყუენავი:

ხოლო მეფე სოლომონ ევედრა კარსა რუსეთისასა, რათა მოსცენ მხედრობა შესაწევნელად და მოვიდა გრაფ ტოტლებენი ექვსი-ათასითა მხედრობითა რუსთათა, წელსა ჩღჲთ, ქორონიკონს უნზ: ჰსცნა რა მეფე-მან ირაკლი-მ მიეგება კოპს, შეითქვნეს მეფე და ტოტლებენი,

რომელიცა არღარა წარვიდა იმერეთად. არამედ წარვიდნენ ორნივე ახალ-ციხესა ზედა, წარმოიშვა შორის მეფისა და გრაფისა სამდურავი, სადაცა აწყურით დაბრუნდა გრაფი: ხოლო იხილეს რა დაბრუნება რუსისა ქართველთა იწყეს ლტოლვად, სადაცა გზასა ზედა შეემთხვა მეფესა მხედრობა დელუბაშებისა, რომელსაცა სძლო მეფე-მან, მოვიდა და დაიბანაკა ასპინძას: ესმინეს თურქთა უკუნ-ქცევა ქართველთა და რუსთა, ეგონეს თურქთა, რეცა ქართველნი შიშისა-გან ივლტიან და შეუდგნენ უკანა მრავალნი მხედრობანი ლეკთა და თურქთანი: ჟამსა ამას მრავალნი ლეკნი იმყოფებოდნენ ახალ-ციხესა. ღამესა მას გამოვიდნენ უკვე ნახევარნი ხიდსა ასპინძისასა და ნახევარიცა ღამოდნენ მეორესა დღესა გამოსლვად, ხოლო ღამესა მას წარგზავნა მეფე-მან ქრისთვის-შვილი ალაბაბა, სვიმონ მუხრან ბატონის-შვილი ნასაღირიბაში და ხუდია ბარძაღოელი, ჩინებული და მამაცი ყოველსა საქართველოსა შინა და ამცნო მათ, რათა აჭყარონ ხიდი ასპინძისა და მათ სრულ-ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მეფისა: დღესა მეორესა იქმნა-რა ბრძოლა, იძლივნენ ლეკნი და თათარნი, ჰგონეს მათ ხიდისა მის კვალად-გება, რომელნიცა მიივლტნენ მუნ, ესრეთ უკვე იყვნენ შიშნეულ, რომელ ერთი მეორესა ჰკრიდა ხიდისა-გან ისრებით მტკვართა შინა, დღესა მას მოკლა მეფე-მან ირაკლი ხელითა თვისითა კოხტა ბელადი, რომელიცა იყო ჩინებული მძლავსი ლეკთა და მოიშთვნენ უმეტეს წყალთა შინა ორისა-ათასისა ლეკნი და თათარნი და მოიქცნენ ქართველნი ალაფითა სავსენი სახლად თვისადვე: შთავიდა რა გრაფი სურამს. გარდავლო მთა საფიჩხისა და შთავიდა იმერეთს, მოეგება მეფე იმერთა სოლომონ, მიუძღვა და აღიღეს ციხე ცოცხვათისა, შორაპნისა და ქუთაისისა, რომელიცა ეპყრა თურქთა: ხოლო ჟამსა ამას იქმნა საშინელი მომსვრელი ჟამი საქართველოსა შინა: და მოადგილედ მოვიდა ამა გრაფისა წილ მუნ ღენერალი სუხატინი და გრაფი წარვიდა რუსიად: ხოლო სუხატინი შთავიდა ფოთს, გარნა ოდეს ვერ ძლო დაპყრობა უკმო-იქცა: ხოლო ჟამსა ამას წარვიდა კვალად მეფე ირაკლი ქურთთა ზედა, მოარბივნა იგინი და მოვიდნენ ქართველნი ფრიადითა ალაფითა. ხოლო რუსნიცა უკუნ-იქცნენ რუსეთადვე:

წელსა **ჩღობ**, ქორონიკონს უჲ, რომლისა-გამო მეფე-მან წარგზავნა რუსეთად ძე თვისი ლევან და კათალიკოზი ანტონი: მოვიდნენ კვალად შეკრილობანი ლეკთანი ქართლში. მაშინ ქართლისა და კახეთისა მხედრობანი იყვნენ შეკრიდ. გარნა იგვეთნეს უფლის-ციხეს, იძლივნენ ქართველნი და მოსწყდნენ მრავალნი, განვიდნენ ლეკნი გორის-ბოლოს ღვიაზვსა და წარვიდნენ ახალ-ციხესა: განივლტო ხიდირ-ბეგის-შვილი როსტომ ახალ-ციხესა და მოუხდა ლეკისა შეკრილობითა და შევიდა ქრცხინვალს, მოაოხრა გარე-ციხისა და მრავალნი ტყვენი წარასხნნ: ხოლო იყვნენ თურქნი განძვინებულ საქართველოსა ზედა და იყოფოდნენ ლეკნი მრავალნი ახალ-ციხესა შინა და სტყვევნიდიან ქართლსა: გარნა ჩვენნიცა მარადის უხდებოდიან და აოხრებდიან ჯავახეთსა, ესრეთ რომელ ძეთა მელიქისათა გიორგი-მ და ავთანდილ შეიპყრეს უმეტეს ხუთასისა ორასითა კაცითა მდევარნი თურქთანი: კვალად უხდებოდის და აოხრებდის ჯავახეთს და ზედა-დასხმასა უყოფდის

ლეკთა ხუნდისა და სხვანი ბორჩალოელნი და სხვანი ყოლნი ჩვენნი, რომელთაცა მიიყვანეს კერძო ახალ-ციხისა და ყარსისა ძრწოლასა. ხოლო შეკრბენ ყაზახნი ბორჩალოელნი და ფამბაკელნი, მოსტყვენეს სახნავსნი და სძლეს ხანსა მურებურსა შუქურლას, რომელიცა ეწყვა მდევრად და მოიქცნენ ალაფითა დიდითა:

შემთხვევასა ამას იქმნა ორგულ ფაშასა ახალ-ციხისასა სულეიმანს ათაბაგსა იბრეიმ-ბეგს ხერთვისელი, რომელმანცა მოსცა ციხე მეფესა და ვისდ-გან შეაყენა მუნ მეფე-მან მცირენი ტალანი. კვალად შიუღეს ციხე თურქთა და ტალანთა მათთაგანი რომელნიმე ტყვე-ჰყვეს და რომელნიმე განივლტნენ, რომლისა-თვის მეფე-მან მოუწოდა მეფესა იმერთასა სოლომონს და შემოიკრიბეს ორთავე მეფეთა მხედრობანი ქართველთა და იმერთანი, მივიდნენ ახალ-ქალაქს და მოარტყნენ გარს, იქმნა უძლებ მუნ მეფე იმერთა სოლომონ, რომლისა-გამო უკმოიქცნენ. გარსა ქართველთა მოსტყვენეს ჯავახეთი, მუნით წამოსრულნი შთამოვიდა მეფე ირაკლი ქრცხინვალს: ოდეს ჯდა სადილად მეფე, მოვიდა ფრიადი შეკრებულობანი ლეკთანი და დაესხნეს ხვითებს, აღმხედრდა თვით მეფე ამალითა თვისითა და სძლო ფრიად და მოსწყვიტნეს მრავალნი. მუნ იყო მხნედ ქისიყის მოურავის-შვილი იესე, რომელმანცა მოკლა ოთხი, ხოლო აბაშიძესა იოანეს მოსწყვიტა თითი ლეკმა ხმლითა: განვრცნა რა ხდომა შორის ქართლისა და ახალ-ციხისა და იქმნენ ორნივე კერძონი შემწირგებულ, ამად ზავ-ჰყვეს ურთიერთ-არს და წარგზავნა მეფე-მან დესპანი თვისი ორ-გზის მირზა გურგინა ენაკოლოფა-შვილი, რომელსაცა მოერთვა სულთანისა-გან აჰმედისა ორ-გზისვე ქურქი, ხმალი, ალკაზმული ჭუნე და უმეტეს ათორმეტი ათასისა ოქრო, ხოლო ვეზირისა-გან საათი ძვირ-ფასი მოოჭვილი:

ხოლო ახალ-ქალაქსა ყოფასა მეფისასა მოვიდნენი ლეკნი ჭარისა კერძოთ და წარსტყვენვეს სოფელი ფხოველი და წარიყვანეს ტყვედ მოურავის შვილის პაატას მეუღლე, რომელიცა შეირთო უსეინ-ხან-მან შაქისა-მან: კვალად შეიყარა ნურსალბეგ-მან მხედრობა დიდი ლეკთა და შთავიდა შაქ-შირვანსა კერძო, მუნით უეცრად წარმოვიდა და დაესხა ბოდბეს და ივარ-ჰყო რაოდენიმე უბანი: მაშინ მხნედ იყვნენ ბალაანი, ამოვიდა სიღნაღით მოურავი რევაზ ენდრონიკას-შვილი მაღაროს, სადაცა შემოკრბნენ ქისიყნი, ჰსძლეს და მოსწყვიტნეს უმეტეს ათასისა და მუნ ლეკმან ერთმან ჰყო ტყვედ დიაცი ერთი, სწადდა რა დამდაბლება მისი, წაიძრო ხანჯალი და მოკლა ლეკი იგი დიაც-მან მან და ესრეთ განერა დიაცი იგი და წარვიდა ნურსალ სირცხვილეული. ვითარმედ შეამოვიდა ნურსალ-ბეგ და წარვიდა შამახიას, რომელსაცა უსტუმრა ფათალი-ხან ყუბელმა, უღალატა და მოკლა იგი: ჟამსა ამას მოვიდა ფათალი-ხან დარბანდისა უსეინ-ხან შაქელსა ზედა. ესე ევედრა შეწევნისა-თვის მეფესა: ამან მიაშველა მხედრობანი თვისნი და განარინა უსეინ-ხან:

იქმნა კვალად საკვირველი შემთხვევა ჟამსა ამას, რომელ ბირებითა ეშმაკისათა, განივლტო დაყით-გარეჯისა მონასტრით მონაზონი დაუდებული ლეკთა შინა, მოუძღვა ლეკთა და ვინად-გან

ციხის კარნი იყვნეს დახშულ, მუნ ვერა შესრულ-მან აღმოიყვანა ლეკნი წმიდისა ნიკოლაოზისა ეკკლესიისა ხვრელისა დაყარულისა გზით და წარსტყვევნეს წმიდა ესე მონასტერი. ხოლო შეითქვნეს მეფე ირაკლი და შუშის-ხანი იბრაიმ და წელსა 1778, ქორონიკონს უჲვ, აიღეს განჯა და შეიპყრეს მამად-ხან განჯისა სახლეულით-ურთ, რომელიცა წარიყვანა იბრეიმ ხან-მან შუშისა-მან ტყვედ და დაადგინნეს ორთავე გამგენი თვისნი განჯასა შინა: ჟამსა ამას ქართლით მომავალსა ქისიყის მოურავის ასულს, მეფის სძალსა ქეთევანს, შეუღლეს პირ-მშოსა მეფის ძის გიორგისასა დაუხვდნეს ლეკნი ლართის-კარს, ვიდრე ჩუაისამდე და მეფის სძალსა ქეთევანს რა ჰყვა თანა უმეტეს სამასისა მხედრობანი, მორიგედ-წოდებულნი, რომელნიცა თან-გამყოლად ახლდეს მას და არცა-ვინ ჰყვა თვის-თანა მეცნიერი ბრძოლისა. მაშინ თვით იქმნა თავ-მხედრობისა თვისისა და განამხნო მორიგენი, ეწყო და იძლივნეს ლეკნი და განსწყვიტნეს მორიგეთა მათ უმრავლესნი ლეკთანი: ხოლო ჰსცნა რა მეფე-მან ირაკლი ესე ვითარი სიმხნე სძლისა თვისისა მხიარულ ქმნილ-მან შეიყვანა ტფილისს დიდებითა დიდითა და ზარბაზნის სროლითა და ღამესა მას ყოველსა ქალაქსა იყო ჩირაღდანი: ჟამსა ამას უკუ-უდგა ყულარაღასი გიორგი ერისთავი ქსნისა, ამას ზედა წარგზავნა მეფე-მან ძე თვისი გიორგი და ლევან, რომელნიცა შეიპყრეს და შთამოიყვანეს პყრობილად: თუმცაღა მეფე-მან მიუტევა შეცოდება. გარნა მიუღო მას ქსანი და მოუბოძა ძესა თვისსა გიორგის და ლიახვი იულონს.

ვინად-გან ლეკნი მარად აოხრებდნენ ქართლსა, ილონისძია მეფე-მან და განაწესა ყოველთა სახლთა-გან კაცის თავს ერთი, რაოდენნიცა იყვნენ სახლსა მას შინა, რათა მსახურობდნენ თვითოსა თვესა მამულსა მორიგედ-წოდებული და ეგრეთვე განაწყო თოფხანა მებრძოლ-რუსეთისა კანონითა და განასწავლა თოფჩნი, რომელიცა განაწყო ესენი ქისიყის მოურავის შვილ-მან პაატამ: ესე განსწავლილ-იყო მოსკოვს და თვითცა მეფე ძეებითურთ თვისით დაეწერა მორიგედ და იხდიდა თვითოსა თვესა: უკეთუ გლეხთა დაიყოვნიან, მაშინ იგინი წკეპლასა შინა განივლიდიან, რაოდენსა დღესა დაიყოვნიან ეგოდენ-გზის და უკეთუ თავადთა და აზნაურთა დაიყოვნიან, ეგოდენ დღე პატიმარ იქმნებოდიან: ხოლო ესე იქმნა ქართლსა სარგებელ ფრიად, მით რამეთუ თვით მეფე-მან რაოდენსამე-გზის აოტნა ლეკნი. ეგრეთვე მეფის ძემ გიორგიმ, რაოდენსამე ლართისკარსა შინა, ეგრეთვე იორსა ზედა და ლევანმაცა მისაქციელსა და ქისიყსა შეიმოსა ფრიადი ძლევა ლეკთა ზედა და მსგავსადვე თვით მორიგენიცა აოტებდიან მარადის გამომსვლელთა ლეკთა: ესრეთ იქმნენ შიშნეულ ლეკნი, რომელ ვერღარა სადა იკადრეს გამოსვლა და ესრეთ დამშვიდდა ქართლი, რომელ ლართისკარსა შინა დიაცნი, თვინიერ მამაკაცისა ვიდოდიან:

წელსა ვითარცა ვთქვით, ჩღოთ, ქორონიკონსა უჲზ არღარა ინება ხან-მან ერევნისა-მან უსეინ-ყულიმ ხარკისა მოცემად ქართველთა, რომლისა-გამო წარვიდა მეფე მას ზედა, იქმნა მუნ ბრძოლა, სადაცა მუნ მხნედ აღმოჩნდა მეფის ძე გიორგი. მუნ სძლო მეფე-მან ერევნელთა მხედრობასა, მიახარკე ჰყო და მსწრაფლ უკმოიქცა ამად. ვინად-გან იყო სამძღვრად შორის

ირაკლისა და მეფისა იმერთასა სოლომონისა და ამან სოლომონ მოიყვანა ძე ბაქარისა და ძის-ძე მეფისა ვახტანგისა ალექსანდრე შირაზით: ურჩ-ექმნა უკვე ძე თჳსი მეფესა იმერთასა სოლომონს, რომელსაცა ეწოდა ალექსანდრე და რომლისა კიდე არა ჰყვიდა სხვა ძე და მოვიდა მეფისა ირაკლისა წინაშე: ამან შეიწყნარა, პატივ-სცა და დასვა მამასა, რომლისა-გამო ზავ-ჰყვეს და მეფემანცა სოლომონ განუტევა ძე ბაქარისა ალექსანდრე, წელსა ჩღპა, ქორონიკონსა უჲთ: ჟამსა ამას მოვიდა თავრიზით მცბიერი ვინმე. ამან ინება გაკეთება ქიმიისა, რომლისა-გამო უწოდეს შაზადა და ოდეს ვერარა აღმოაჩინა მოქმედება თჳსი და ჰსცნეს სიცბილი მისი, ამან შეჭამა თრიაქი და წარიწყმიდა თავი: შეიქმნა მწუხარება სახლსა მეფისასა სიკვდილისა-გამო მეფის ძის ლევანისა:

წელსა ჩღპბ, ქორონიკონსა უო, გარდაიცვალა მეფე იმერთა სოლომონ და ჰყვეს მეფედ დავით, ძე გიორგისა ბიძა-წული მეფისა სოლომონისა, და მოკვდა ხანი ერევნისა ჰუსეინ-ყული და ჰყვეს ხანად ძე მისი ჯულამალი: ვინაჲ-გან ესე იყო გონება მსუბუქი, მოკლეს ესე ერევნელთა, სადაცა იძულებულ-მან მეფე-მან წარგზავნა მირზა გურგინა ენაკოლოფა-შვილი და ჰყვეს უმრწემესი ძე ჰუსეინ ალიხანისა მაჰმადხან ხანად და განამტკიცეს ესე ბრძანებითა მეფისათა ხანად ერევანს: წელსა ჩღპგ, ქორონიკონსა უოა შევიდა მეფე ირაკლი საფარველსა ქვეშე რუსეთისასა, რომელსაცა წარმოუგზავნა იმპერატრიცა ეკატერინამ ნიშანნი სამეფონი. გრამმატა და ორი ბატალიონი მხედრობა, რომელნიცა შეიკრნეს უცვალებელითა პირობითა და წარგზავნა კარსა რუსეთისასა ორნი ძენი თჳსნი ანტონი და მირიან:

ამას ზედა განძვინდა ფაშა ახალ-ციხისა სულეიმან ათაბაგი, აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრობა ქართლისა: ჟამსა ამას მოვიდა იარასალ-პორუჩიკი პოტომკინი ამან დაუტევა მეფესა-თანა იარანალ-მაიორი სამოილოვი და თჳთ წარვიდა რუსეთადვე: შეითქვნეს უკვე ესენი ჯარსა ზედა და წავიდნეს საქართველოსა და რუსთა მხედრებითა. მიიწივნეს რა ურდოს, მუნ შეემთხვა მცირედნი მხედრობანი ლეკთანი, სადაცა უქმნეს მათ მხედრობათა ქართველთა და რუსთასა მცირედ რამ ვნება და მოკლეს პრინცი ლუსკი რეინფელსისა: პოლკოვნიკი და მუნით ვინაჲ-გან ვერღარა განსდევნეს მდინარესა ალაზნისასა სიდიდისა-გამო, უკმო-იქცნენ და წარვიდა სამოილოვიცა რუსეთად: განვრცნა უკვე ტყუენა ახალ-ციხით: ლეკთა-გან, სადაცა კვალად შეკრბეს უმეტეს ორი-ათასისა მხედრობისა, მოვიდნეს და აღიღეს საქაშეთი და ტყუე-ჰყვეს სახლეული დიასამიძისა. სცნეს სურამს მყოფთა რუსთა და ქართველთ-მყოფთა მორიგეთა, მოეგებნეს ჭალას, იქმნა მუნ ბრძოლა, მხნედ ბრძვეს ქართველთა, იძლივნეს ლეკნი და ესრეთ შიშნეულ-იქმნეს, რომელ მტკვართა შიგან შესრულნი მოიშთვნეს უმეტეს ათასისა კაცისა: მუნ დაეცემა ერთ-მან, ტყუეთა ქართველთა-მან შეიპყრა შემპყრობი თჳსი ლეკი და მოიყვანა მხედრობასა შინა ქართველთასა:

კვალად შეკრბნენ ლეკნი და თათარნი და მოვიდნენ ფხვენისს და ვინაჲ-გან მუნ ვერა რა

ჰქვეს; უკუნ-იქცნენ, სადაცა მოხვისს შეემთხვათ რუსნი და ქართველნი და ძლევა-შეიმოსნეს ფრიად მათ-ზედა და უკუნ-იქცნენ სირცხვილეულნი: წელსა ჩღპე, ქორონიკონს უოგ: გამოვიდა ომარ-ხან ავარელი, ძე ნურსალ-ბეგისა, გამოვლო იორი და ყარაია, განვიდა მტკვარს, მოვიდა და აღიღო ახტალა და მივიდა ახალ-ციხეს. მუნით შთამოვიდა, აღიღო ვახანი და ტყვე-ჰყო სახლეულნი აბაშიძისანი: ჟამსა ამას უკუდგა განჯაცა და გამოყარნეს მოურნენი მეფისა და იბრეიმ ხანისანი, განივლტო შუშით ძე შაჰვერდი-ხანისა რაჰიმ-ხან, რომელიცა მაშინ ჰქვა იბრეიმ-ხანის ჰყრობილად. მივიდა და იქმნა ხანად განჯასა შინა: ხოლო მოსრულ-მან იბრეიმ-ხან განჯასა ზედა სთხოვა შეწევნა მეფესა: აღიღეს გვალად განჯა და ჰქვეს ძე შაჰვერდიხანისა ჯავად-ხან ხანად, რომელიცა მაშინ ჰქვა მას ჰყრობილად. ხოლო ომარ-ხან-მანცა განვლო გოგჩა, მივიდა, მოაოხრა შამქორი და წარვიდა:

წელსა ჩღპვ, ქორონიკონს უოდ, მაშინ ნახჭევნელთა ჰქვეს შფოთი და გამოაძეს ნახჭევნით ხანი თვისი ქალბალი, იგი მივიდა და ევედრა ხანსა ერევნისასა მაჰმადს და მაჰმად-ხან ევედრა მეფესა, რათა შეეწყე-ექმნას: მაშინ მეფე-მან წარავლინა მუხრანის-ბატონი იოანე მხედრობითა და ზარბაზნებითა, შეერთდეს ესენი ერევნელთა-თანა, მივიდნენ ნახჭევანს და აკვეთნეს, იძლივნეს ნახჭევნელნი და ევედრნეს მხედრობასა ქართველთასა: „უკეთუ უკუნ-იქცევიან ნახჭევნით, კვალად ჰყოფენ ნახჭევნელნი ხანად თვისთა ზედა ქალბალის“ და პირობითა ამით მოიქცნენ ერევანსა და ერევნით ქართლადვე ძლევა-შემოსილი: აიყარა სრულიად ყაზახი და წარვიდა შუშას და შამშადილი განჯას: შემდგომად ერთისა წლისა წარვიდა მეფე ირაკლი მხედრობითა რუსთა და ქართველთათა, რათა აყაროს ელნი თვისნი და ხამსისა მელიქნიცა, რომელთაცა აქვნდათ პირობა მეფისა-თანა, მიიწია-რა განჯას, წარგზავნა მხედრობითა ძე თვისი იულონ, მიიწივნენ-რა ზეიბას, შეემთხვათ მათ მხედრობანი ყარაბაღელთანი, იძლივნეს ყარაბაღელნი და მოსწყვიტნეს უმრავლესნი ყარაბაღელნი ქართველთა: შემთხვევასა ამას მოვიდა ჩაფარი განჯას რუსეთით, სადაცა იხმეს მხედრობანი რუსთანი. არამედ უკუნ-იქცა რა რუსი, არღა-რა რაცხა მეფე-მან წარსვლა ყარაბაღისა ზედა და უკმოიქცა მეფეცა განჯით და დაშთა ელნი აუყრელნი და წარვიდა რუსი წელსა ჩღპზ, ქორონიკონსა უოე:

წელსავე ამას მოკვდა კათოლიკოზი ანტონი. ხოლო მოვიდა რუსეთით ძე ირაკლი მეფისა ანტონი, რომელიცა ჰქვეს მუნ როსსიას ეპისკოპოსად: ესე უკვე გამოირჩიეს და ჰქვეს კათალიკოზად:

წელსა 1789, ქორონიკონს უოზ წარგზავნა მხედრობანი თვისნი განჯასა ზედა, მივიდნენ შამქორს, მოარბიეს ჩინჩილი, და აჰყარეს შამშადილი და მოიყვანეს. უკანასკნელ მეფეცა შთავიდა შამქორს, მუნ მოვიდა ფათალიხანი დარუბანდისა და მაჰმად-ხან შაქისა, დაასკვნეს წარსლვა სამთავე ყარაბაღსა ზედა, ამად ვინად-გან დაივიწყა იბრეიმ-ხან-მან კეთილობა მეფისა ირაკლისა, რაოდენ-გზის განარინა იგი ხელისა-გან ფათალი-ხანისა და ასუ ვითარ შეეწყე-ექმნა, ოდეს დაი-

ჰყრა მან ყარადაღი და გილანი. ამად შეიერთიეს ჯავათხანცა, რომელსაცა ეპყრა კერძო იბრეიმ-ხანისა. გარნა ეგანრყვნომა განზრახვასა მათსა უძლებ-უყოფა ფათალიხანისა და უკუნ-იქცნენ თვის-თვისად: გარნა ძე არჩილისა, ძმის-წული მეფისა სოლომონისა დავით იპოვებოდა მაშინ, გამოდევნილი მეფისა დავითისაგან და იზრდებოდა სახლსა შინა მეფისასა. ვინადგან იყო ასულის-წული მისი, იქმნა უკვე სამდურავი ორთავე მეფეთა შორის და შორის მეფისა დავითისა და დადიანის გრიგოლისა იქმნა შური და განვიდა მეფე დავით და მოსწვა ოდიში. შემთხვევასა ამას წარატანა მეფე-მან ირაკლი ძის ძესა თვისსა ძესა გიორგისასა დავითს ძე არჩილისა დავით, რათა წარგზავნოს იგი ოდიშს და მან წარგზავნა: იხილეს-რა ოდიშართა ძე არჩილისა, შეკრბნენ მისთანა: სცნა-რა ესე მეფე-მან დავით, ამანცა შეიკრიბნა მხედრობანი იმერთანი და მივიდა ხუნწს. მაშინ ძის ძემანცა დავით ჰყო მოძრაობა სამძღვართა ზედა ზემო-იმერთა, ჰგონეს ვითარმედ ქართველთა, რეცა სწადთ გარდასლვა მუნ:

ჟამსა ამას შინა სახლიცა წერეთლისა იყო ორ-გულ მეფისა დავითისა, იკვეთნეს ხუნწს, იძლივა მეფე დავით და განივლტო ახალ-ციხეს: შემდგომად ძე არჩილისა ჰყვეს იმერთა მეფედ და უწოდეს სახელად სოლომონ მეორე: და მეფე დავით მოვიდა მეფისა ირაკლისა წინაშე და ამან დაჰგო მეფისა იმერეთისა წინაშე და ჰყვეს ზავი: კვალად მოვიდნენ ახალ-ციხით შეურიდობანი ლეკთანი და დაეცნეს ძეგვერას. გარნა მეფის ძის ძემ დავით-მან სძლო მათ და განაბნივნა: იყო უკვე ხდომა ლეკთა-გან ახალ-ციხით და ჰრყვნიდიან ქართლსა და სომხითსა, მით რამეთუ ალვიდნენ ძენი ერისთვისანი ახალ-ციხეს და ზაქარია ციცის-შვილი სალთ-ხუცესი დედოფლისა მოვიდნენ და დაეცნენ ხელუბანს და წარტყვენვეს იგი:

კვალად მოუხდნენ ქისიყს ჭარელნი, სძლეს ქისიყის მოურავს ზაქარიას და მოსწყვიტნეს უმეტეს სამასისა ქისიყელნი: მაშინ შეურიდობანი ლეკთანი ფრიადნი მოვიდნენ და დაეცნენ ყა-რაღაჯს, სადაცა გორს მყოფნი მეფის ძენი იულონ ირაკლისა და ძის ძე მეფისა იოანე გიორ-გისა განვიდნენ, იქმნა უკვე ბრძოლა ზედაველას. მუნ მხნედ იყო მეფის ძის ძე იოანე, იძლივნენ ლეკნი და წარვიდნენ სირცხვილეულნი, რომელნიცა იყვნენ მოყვანილ ერისთვის ძის მიხაილისა-გან: კვალად მოიყვანა არღუთა-შვილმან მიქელამ ლეკნი, მოუძღვა და წარიღეს კრწანისი: თუმცაღა განვიდნენ მდევარნი ქალაქით. არამედ ვერღა-რა ეწივნეს, კვალად მოუძღვა არღუთა-შვილი მიქელა და მოსტყვენვეს ყალაჩა, სადაცა წარიყვანეს უმეტეს ორასისა ტყვენი სომხთანი: კვალად შეკრბა ლეკთა და თათართა მხედრობა, მოვიდა და აღიღო რუსთავი და მეფე იძულებული წარ-ვიდა მათ ზედა, სადაცა წარგზავნა ძის ძე თვისი დავით, რათა უყოს ზედა-დასხმა ჯავახეთს: ხოლო მან წარგზავნა ხიდ-ზევითი შეურიდობა თათართა და მოარბიეს ჯავახეთი და მოვიდნენ გამარჯვებულნი ალაფითა დიდითა და ლეკთა მათ განვლეს ტყით და წარვიდნენ მშვიდობით ახალ-ციხეს, მით რამეთუ მეფე-მან არღა-რა ამჯობინა მისვლა ტყეთა შინა ლეკთა ზედა:

წელსავე ამას ბრძანებითა მეფისათა მიუხდა მეფის ძის ძე. დავით ყარსს ათასითა კაცითა

და მოსტყუვნა ინჯაღარა, ფალდერევანი და ჯომუშლი და აიალაველ უმეტეს ათასისა ტყვისა: მაშინ მოუწივათ უკანა მხედრობა დიდი თურქთა, მძლავნეულობითა ალი-ბეგისა და მამად-ბეგისა ძეთა ხათუნისათა: მუნ თვით მეფის ძის ძე დავით იყო ფრიად მხნედ, რომელმანცა ხელითა თვისითა მოკლა თიქნისელი ხანი თოფანჩიბაში, რჩეული მხედარი თურქთა შორის: უკანასკნელ მოვიდა მას ზედ იშიყ-ბეგ, გამორჩეული მხედარი ყოველსა ყარსსა და ქურთსა ზედან, სადაცა მეფის ძესა დავითს სცა მან შვიდი ხრმალი. გარნა დაიცვა იგი ჯაჭვ-მან, ვინად-გან აქვნდა დაფარვითი ტანსა ჯაჭვი, უკანასკნელ მოკვდა ესეცა ხელითა მეფის ძისათა; ესე იყო საკვირველ, რომელ ყრმა წლისა ოც-და-სამისა და გამოუცდელი ბრძოლისა ესრეთ იყო დღესა მას მხნედ, რომელ განაკვირვნა, ვითარცა ქართველნი და ეგრეთვე თურქნი. გარნა ბრძოლასა მას დაეფლა ღიასა ცხენი და გარდმოვარდა, გაექცა ცხენი, რომელიცა შეიპყრა და მოართვა გულ-მაჭმადა სარვანმან, ძე-მან შარიფასამან და აღვიდა კვალად: მუნ მოსწყდნენ ბრძოლასა წინაშე მისსა ორნი ყრმანი ბებურის შვილები, რომელნიცა იყვნეს მხნენი მამაცნი: კვალად მოუძღვა არღუთა-შვილი მიქელა ახალ-ციხით ლეკთა, მოსტყუვნა ტაურარხი, სადაცა ეგულა საბარათიანოსა მხედრობითა სარდალი დავით ორბელიანი დურნუკს: მუნ იძლივა სარდალი და მოაკლდა უმეტეს ასისა ცოცხალი და მკვდარი. გარნა შემოვიდნენ საგურამოსა შინა: კვალად ლეკნი მოვიდნე უმეტეს ათასისა კაცისა, რომელნიცა გაიყვნეს ორად. ნახევარ-მან წარიღო პირუტყვი მახლობელი ქალაქით, სადაცა ქისიყს მოურავ-მან მეფის ძე-მან იულონ შეუკრა იორი, განაბნივნა ლეკნი იგი და მიუღო ნატყვევნავი მათი და ნახევარ-მან აღიღო ფრუსეთი და წარვიდა საგურამოთ დაღისტნად: მაშინ მეფის ძე-მან დავით-მან, მოურავ-მან მატანსა შინა, მოიკრიბნა ახმეტელნი, ვიდრე ასს კაცადმდე, შეუკრნა გზანი პანკჯარისა, სძლო მათ და მიუღო ყოველივე ნატყვევნავი და ტყვენი: ესრეთ შიშნეულ-იქმნენ ლეკნი, რომელ ოდეს იწყეს რა ლტოლვა ერთი მეორესა ჭერიდან ფლატესა ზედა იოლტოსასა, ვინ წინა-უსწრას ურთიერთ-არს, რომელნიცა იყვნენ უმეტეს ხუთასისა. სისხლ-მან მათ ლეკთა დახოცილთა-მან სრულიად შეღება წყალი იგი იოლტოსი წითლად: იქმნა კვალად სამდურავი მეფისა სოლომონისა და დავითისა, მაშინ დავით-მან შემოიკრიბნა მცირედნი ლეკნი ახალ-ციხით, წელსა ჩღჟ, ქორონიკონს ჳოჱ, სძლო მეფესა სოლომონს და დაიპყრა კვალად იმერეთი შემოკრბნეს ამას-თანა ოდიშარნი და აფხაზნი, მით რამეთუ მანუჩარს დადიანის ძესა აქვნდა ამას-თანა შეკრულობა და ორგულ-იყო, ვითარცა ძმისა თვისისა დადიანისა გრიგოლისა, ეგრეთვე მეფისა სოლომონისა: მხილველ-მან ამის-მან მეფე-მან ირაკლი-მ მიაშველა ძის-ძე იოანე მეფესა სოლომონს. მაშინ მეფე სოლომონ დამაგრებულ-იყო სახლსა წერეთლისასა. ვინად-გან წერეთელი პაპუნა და ზურაბ იყო ორ-გულ მეფისა დავითისა: იქმნა ლოსიათხევს ბრძოლა, იძლივა მუნ მეფის ძის-ძისა იოანესაგან მეფე დავით, რომელსაცა ჰყვანდა უმეტეს ათი-ათასისა იმერნი, აფხაზნი და ოდიშარნი და ქართველნი არა იყვნენ უმეტეს ხუთასისა, მით რამეთუ ზარბაზან-მან დასცა მათ ზარი: ამავე წელსა მეფის ძე-მან დავით შემოიკრიბნა ქისიყელნი,

მიუხდა ბაიამათლოს და ფადარსდა მოსტყვენვა. დღესა მას სამ-ჯერ სძლო გამოსრულითა ლეკთა მდევართა:

ვინაიდ-გან აქვნდა შური ხანსა განჯისასა ჯავად ალი-სულთნისა შამშადილისა, რომელიცა არა მორჩილებდა და ძმასა მისსა მაჭმად-ხანს უკუ-უდგა, პირველ ხანობასა მისსა აჭყარა შამშადილი და მოიყვანა შულავერს: ხოლო მუნით მისრულს შამშადილადვე დაუსხა მაჭმად-ხანს მხედრობითა. გარნა სძლო მან მაჭმად-ხანს და გარდა ამისა მრავალ-გზის იძლივა, ვითარცა ხანი, ეგრეთვე განჯელნი ალი-სულთანისაგან, თუმცადა მრავალ-გზის უკუ-უბრუნა მეფემან განჯელთა შამშადილი, გარნა არა ემონენ: ამად დაიცა დრო და მოუხდა ჯავად-ხან განჯურითა და მელიქებისა მხედრობითა და მოსტყვენა შამშადილი, რომელსაცა ჰყვა უმეტეს სამიათასისა მხედრობანი: მაშინ გარდაუშველნეს ყაზახნი, სადაცა შეკრბნეს ყაზახნი და შამშადილელნი უმეტეს სამასისა, სძლეს ჯავად-ხანს და შეიპყრეს უმეტეს რვა-ასისა განჯელნი და დაუშთა ჯავად-ხანს თვისი ყოველივე ბარგი, ჯორი და აქლემი და განივლტო სირცხვილეული: კვალად მიუხდა ბაიამაილოველთავე მეფის ძე ალექსანდრე და მოსტყვენა იგინი:

ხოლო გარდაიცვალა რა ქარიმ-ხან და ზაქი-ხანცა ძმა მისი მოკლეს სპარსთა ბარბაროზებისა და ტირანობისა-თვის, რომლისა შემდგომად დაიპყრა სპარსეთი ალი-მურად-ხან-ზანდმან: და ოდეს გარდაიცვალა ესე, მაშინ გამოჩნდა აღა-მაჰმად-ხანად წოდებული, ძე მაჭმად ასან-ხანისა, გვარით ყაჯარი, რომელიცა ჰყო საჭურისად ადილ-შამ, ძმის-წულმან ნადირისა-მან. ამან სძლო ჯაფარ-ხანს ზანდსა და დაიპყრა არაყი და მოვიდა ადრიბეჟანს მეშკანბარსა ზედა. მუნით აბირა მეფე მეგობრობასა თვისსა ზედა და უკუ-იქცა შირაზად: ამად ვინაიდ-გან შირაზსა იპყრობდა მაშინ ლუთვალი-ხან, ძე ჯაფარ-ხანისა, ესე გამოვიდა პირის-პირ ამისა. გარნა იქმნა ამბოხი შორის მხედრობისა ამისსა; რომლისა-გამო განიბნივნეს მხედრობანი ლუთვალი-ხანისანი და მივიდა ქირმანს, განვლო ხოჯა-მან, აღიღო შირაზი, წარვიდა და მოადგა ქირმანს და დაიპყრა იგი. განივლტო მუნით ლუთვალი-ხან, რომელმანცა განარღვივა ერთი გუნდი მხედრობისა ხოჯასი. ვინაიდ-გან იყო ესე ლუთვალი-ხან ყამსა ამას ესრეთი მხედარი და მხნე, რომელ მსგავსი მისი ყოველსა შინა სპარსეთსა არა იპოვებოდა. ხოლო მისრული ბამს, შეიპყრეს ესე ბამელთა და მოიყვანეს ხოჯასა წინაშე, რომელმაცა აღმოხადნა თვალნი:

მოიცალა რა ხოჯამ საქმისა-გან სპარსეთისა, მოვიდა და მოადგა შუშის, მით რამეთუ არა ერჩდა მას ხანი შუშისა იბრეიმ. გარნა ვერა აღიღო ციხე ესე და მოვიდნენ ელნიცა ქართლისანი განვლტოლვილნი, ძველნი და ახალნი და სხვაცა მრავალნი ყარაბაღისა მცხოვრებთაგანი, შიშისაგან ხოჯასა: მაშინ მეფის ძე იულონ და ალექსანდრე მიუხდნენ განჯას და მოსტყვენეს, რომლისა-გამო განძვინებული ხოჯა წარმოემართა ტფილისსა ზედა: ყამსა მას ძე არჩილისა, მეფე იმერთა სოლომონ იმყოფებოდა ტფილისს შემწედ პაპისა თვისისა. პირველსა დღესა იკვეთნენ ველსა კრწანისისასა მეწინავენი სპარსთა და ქართველთანი, სადაცა მეწინავეთა შორის იმყოფე-

ზოდა მეფისა ძის ძე დავით, წერეთელი ზურაბ, მუხრანის ბატონი იოანე, მოურავი ქიზიყისა ზაქარია და ამილახვარი ოთარ: დღესა მას იყვნენ მხნედ ქართველნი, რომელთა ძლით იძლივნეს სპარსნი: ხოლო დღესა მეორესა, ვინადგან იმერთა იწყეს ტყვევნა აურილთა მათ მცხოვრებთა ტფილისისათა: დღესა მეორესა არღარა უვიდოდათ ორთავე მეფეთა მხედრობა უმეტეს ათას-ხუთასისა კაცისა. იქმნა ბრძოლა ველსა ზედა კრწანისისასა, იძლივნეს ქართველნი და იმერნი, გა-სივლტნენ მეფენი და აღიღეს ტფილისი, წელსა ჩღჟე, სეკდენბრის ია, ქორონიკონს უპგ, და მიუღეს ყოველივე თოფხანა მეფესა: დღესა ამას იყო მხნედ მეფის ძის ძე იოანე. ესრედ, უკეთუ იგი არა ყოფილ-იყო მისნი შეიპყრობდნენ მეფესაცა: ხოლო მეფის ძემ დავითმა შთაყარა ხევთა შინა საგუბარისათა ზარბაზანნი იგი, რომელიცა აქვნდა მას თაბორისა გორსა, რათა არა დაუშთეს სპარსთა და ესრეთ განარინა: აღიღეს ტფილისი და მოწვეს და თვით მეფე განივლტო მთიულეთს: დაჰყო უკვე ხოჯა-მან ცხრა დღე სოღანლუღს, მუნით აიყარა და შთავიდა მუღანსა და მუნით წარვიდა ხორასანსა ზედა: მაშინ მოვიდა შემწედ ორი ბატალიონი რუსეთისა მხედრობისა: იხილეს-რა ლეკთა უძლურება ქართველთა, შეკრბნენ უმეტეს ათას ხუთასისა, მივიდნენ ნორიას. გარნა იძლივნეს ფრიად მოურავისაგან მათისა ზაალ ენდრონიკაშვილისაგან, რომელიცა იყო სიმხნითა აღმოჩენილ ყოველსა საქართველოსა შინა: მუნით განვლეს დიღომი, აგლეს დიდგორი და მი-ვიდნენ კოთელიას, მუნით წამოსრულნი მივიდნენ და დაეცნენ იედიბოლუქსა ზედან დემურჩიასანს: მაშინ მეფის ძის ძე დავით იმყოფებოდა ბორჩალოსა შინა: სცნა რა მან, მოიკრიბნა ბორჩა-ლოველნი, ვიდრე ასს კაცამდე, ეწია იედიბოლუქს, სძლო მათ და მიუღო ყოველივე ნატყვენავი: ესრეთ შეშინებულ-იქმნნეს ლეკნი, რომელ მოიშთვნენ მტკვარსა შინა უმეტეს სამასისა და დღესა მეორესა შემოვიდა ტფილისად გამარჯვებული, რომელმანცა შემოიტანა ჯოართა ზედან აღკიდე-ბული საპანლითა თავნი ლეკთანი. ამას ზედა განმხნდნენ ტფილისელნი:

ხოლო დაიწყეს კვალად აოხრებულისა ქალაქისა შენება და იბრეიმ-ხან შუშისა მოვიდა განჯასა ზედა. ვინადგან ხანი განჯისა იყო მიზეზ აოხრებისა ყარაბაღისა და ტფილისისა, სთხოვა მეფესა შემწეობა, რომელმანცა წარუვლინა ძე თვისი ალექსანდრე და ძის ძე დავით, მივიდნენ ესენი განჯასა ზედა, აღიღეს ქალაქი და მოსწვეს და რაოდენ გამოვიდოდიან ციხით განჯელნი ეგოდენ იძლეოდიან, სადაცა ფიცხლად ბრძოდიან ქართველნა, რომელ სიმხნესა მათსა განკვირვებულ-იყვნენ ყარაბაღელნი და ლეკნი. უკანასკნელ შთავიდა თვით მეფე, გამოართვა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი დროსა ხოჯისასა ტყვედ ქმნილნი, უმეტეს ათასისა, ზავ-ჰყო განჯელთა-თანა და უკუნ-იქცა: ჟამსა ამას მოვიდა მხედრობა რუსთა, მძღვანელობითა უვალერიანე გრაფ ზუ-ბოვისათა. ამათ დაიპყრეს დარუბანდი, შამახია, ბაქო და სალიანი, წელსა ჩღჟვ, ქორონი-კონს უპდ:

მაშინ აღამამად-ხან ხოჯა იპყრობდა ხორასანს, დაპყრობისათვის მისისა რომელმანცა აღიღო მაშათი, ტყვე-ჰყო ძის-ძე ნადირისა შარუხ და მიუღო უმრავლესი ნაქონები, უკანასკნელ

*

მოიკლა ესეცა: ხოლო ზუბოვმანცა წარმოგზავნა მხედრობითა ღენერალ-მაიორი კორსიკოვი: ამან დაიპყრა განჯა. მუნ დაუტევა მცირედი მხედრობა და მოვიდა თვით ტფილისს მხედრობითა:

წელსა ამას გარდაიცვალა ეკატერინა იმპერატრიცა და იქმნა ძე მისი ხელმწიფედ პავლე: ამან უკუნ-აქცია ყოველნი მხედრობანი რუსთანი რუსეთადვე: ოდეს მოიცალა აღამამად-ხან საქმისა-გან ხორასანისა, წარმოემართა და მოვიდა შუშის. სცნა-რა იბრეიმ-ხანმან მომავალობა მისი განივლტო სახლეულ-თურთ ხვისით ბელაქანსად და ალამამად-ხანმან დაიპყრა ციხე. მუნ მოიკლა ესე მონათა თვისთა-გან წელსა ჩღჟზ, ქორონიკონს უპე. და უკუნ-იქცნეს სპარსნივე თვის-თვისად: წელსა ამას იქმნა მეფე უძლებ წელისა მანკიერებითა: ჟამსა ამას შთამოვიდა ომარ-ხან, მოწვა ველის-ციხე და მუკუზანი და უკუ-იქცა და შთავიდა შაქად და მეფეცა გარდაიცვალა თე-ლავს 80 წლისა, წელსა ჩღჟჱ, იანვრის ია, ქორონიკონს უპვ და იქმნა ძე მისი გიორგი მეფედ:

ჟამსა ამას მოვიდნეს კვალად შეურილობანი ლეკთანი და დაეცნენ ქრცხინვალს და ვერა-რამე-ჰყვეს. გარნა უკუნ-ქცეულთა შეემთხვა მეფის ძე იოანე დირბს და იძლივნეს მათ-გან: მუნ მოიკლა ბრძოლასა შინა წინა-მძღვარი ლეკთა, სინებული ალი-ფოლადად წოდებული: წარმოიშვა კვალად სამდურავი შორის ქართლისა და ყარსისა: მაშინ წარგზავნა მეფე-მან გიორგიმ ძე თვისი დავით და იოანე, მიუხდნეს ყარს, მოსტყვევნეს გარემონი ყიზილჩახჩახისანი. გარნა გამოვიდა მხედრო-ბითა დიდითა ალი-ბეგ და იძლივა ქართველთა-გან ოსმალნი, ესრეთ რომელ უმეტეს ორისა ათასისა სდევნეს ქართველთა ოსმალნი ხოცითა და ჭრითა, შემოიქცნეს ქართველნი ალაფითა დიდითა, მძლეველნი თურქთანი: ჟამსა ამას იყო ყაენად ბაბა-ხან, ძმის-წული ალამამად-ხანისა და ვინად-გან ესე აწყევდა მეფესა გიორგის მონებასა, ამად იძულებულ-მან შეიტანა თავი თვისი მონებასა ქვეშე, იმპერატორისა პავლე პეტროვიჩისასა: ხოლო ამან წარმოუგზავნა დესპანი და სამეფონი ნიშანნი და ერთი პოლკი ეგერისა და შემდგომად ერთი პოლკიცა მუშკატერისა. კვალად შთამოვიდა ომარ-ხან ავარელი ბირებითა იბრეიმ-ხანისათა და დაიბანაკა კიდესა ალაზნისასა: მუნ მივიდა მეფის ძე ალექსანდრე. ვინად-გან იყო ურჩი მეფისა, წარმოვიდნენ და მოვიდნენ პირის-პირ ნიახურისა, მუნ ეკვეთა მეფის ძე იოანე კახეთისა მხედრობითა და ექვსასისა რუსითა და რაოდენ-იყო თვით მხნედ, ებრეთვე მხედრობანი კახთანი, იძლივნენ ლეკნი და მოსწყდნეს უმრავლესნი, რომელიცა შეურილობა ესე იყო ვიდრე ათი-ათასისა კაცადმდე და უკუნ-იქცნეს სარცხილეულნი, შთავლეს იორი, მიუხდნენ განჯას. გარნა მუნცა იძლივნეს და მეფე გიორგიცა გარდაიცვალა წელსა ჩყ, დეკემბრის კჱ, ქორონიკონს უპჱ, ხოლო შემდგომად მისსა ჰყვეს განმგედ და მმართებელად ქართლისა პირ-მშო ძე მისი დავით, ბრძანებითა იმპერატორისათა: წელსა ჩყ, ქორონიკონსა უპჱ, გარდაიცვალა პავლე სრულიად რუსეთის იმპერატორი და დასჯდა მის წილად იმპერატორი ალექსანდრე ძე პავლე იმპერატორისა. ამან წარმოგზავნა მთავარ-მმართებელად ღენერალ-ლეიტენანტი კნორინგი:

# როსტომ მეფის ცხოვრება:

## გამოწერილი საქართველოს ისტორიიდგან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა:

### §. 1.

### აქა იმერეთის ბატონის-შვილის მამუკას ჩამოსვლა ახალ-ციხით ქართლსა:

მეფის გიორგის შვილი (მამუკა) და მეფის ალექსანდრეს ძმა იყო, მამაცი და უხვი და უშურველი კაცი იყო. ლევან დადიანი ნამეტნავად განძლიერებულ-იყო და იმერეთი დაეჩაგრა. მამუკა ბატონის-შვილს ჩხეიძის ბეჟიას ქალი ნათხოვნი ჰყვანდა და დადიანს თავისის ქალის მიცემა უნდოდა: ჩხეიძენი და მათნი კერძნი ბატონის-შვილს უდგნეს. მაგრამე დადიანის ძალით იმერეთით გაყრილნი-იყვნენ და ბატონის-შვილი მამუკა და ჩხეიძენი თავისის სიძეს საფარფაშას-თან იყვნენ, ახალ-ციხეს, ჩხეიძენი და სხვა მრავალი თავადის შვილებიც თან-ახლდნენ, იმერეთსა და გურიას, არბევდეს და ქართლის თავადნი მეფეს როსტომს შემოეხვეწნეს და მოციქული მიუგზავნეს: „ამის-თვის საქართველო არ წყნარდებისო, რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესავნი არა გყვანანო და თქვენს საბოლოს ვერა ხედვენო. ამის-თვის მალე აიშლებიან და სხვას ბატონს ეძებენო, მამუკა ბატონის-შვილის სიკეთე თქვენც მოგხსენებიათ, თავად ბატონი და მერმე მეფის-შვილი და თქვენი ნათესავი არისო, ახალ-ციხით ჩამოაყვანინეთო, იშვილეთო და თქვენც მოისვენეთ და საქართველოც მოასვენეთო და ქვეყანა დაწყნარდებაო: თუ ღმერთმან თქვენ ყმაწვილი მოგცესო, ეს თავის სამკვიდრო-ზე გააბატონეთო. თუ თქვენ შვილი არ გაგიჩნდეს სანამდისინ ბრძანდებოდეთო სურამის შესავალი საუფლის-წულო უბოძეთო, იმერეთიც ზედ-აბიაო და იქიდამაც ჴელს მოიმართავსო და თქვენად შვილად აკურთხეთო და ღმერთმან დიდს-ხანს გაცოცხლოსო, თქვენს უკან მაგას ვიბატონებთო:“ მოატყუეს მეფე როსტომ, მამუკა ბატონის-შვილი ჩამოიყვანეს თავისის ჯარითა და მეფე ნამეტნავად კარგად დახვდა და მრავალი ხარჯი გარდიხადეს ბატონებთა და ყმებს ზედან, თუ სასმელ-საჭმლითა, თუ მიცემითა: აწ შექნეს ეშმაკივით რჩევა და ღმერთი ჰგმეს და პატრონ-ყმობა სწყალეს და მეფის როსტომის სიკვდილი გაბედეს და მამუკა ბატონის-შვილის გამეფება მოინდომეს ქართლშია და მეფეს როსტომს ქალაქის სასახლის აბანაში მოღალატები ჩაუსხეს, რომ როსაც მეფე შევიდეს მოკლან და მამუკა გაბატო-

ნონ: იქნა სიმართლისა-თვის მეფე როსტომ ღვთისა-გან დაცულ-დაფარული. ერთი მერიქიფეთ-უხუცესის ყმა ავხანაში შევიდა, ბატონი ეგონა, წამოუშინეს ღამით, დასჭრეს. მაგრამე ხმით იცნეს, რომ მეფე არ იყო, მოკვლა აღარ მოიცალეს და მტკვარში გარდასცვივდეს და ცურვით გავიდნეს და დაკოდილი კაცი მეფეს მიჰგვარეს და მოახსენეს: მეფე მრავალ-გვარად ნაცადი და აუწყარებელი ჭკვიანი, მონახული ბატონი ბძანდებოდა, ქვეყნის აშლას და ჯარის არევას ერიდებოდა. თავად ყმათ დაფრთხობა არ უნდოდა, დაკოდილს კაცს მეფემ ხუმრობა დაუწყო, ასრე უბძანა: „ლამაზი ბიჭი შეგიმწყდევიათ, ძალად საავკაცოდ მოგინდომებიათ, იმასაც დანა შემოუტყემიათ და შიშით ეგ ტყუვილები მოგიგონიათ:“ და გარეთ გააგდებინა, უფრო გამხიარულდა: მისა ამბავი აღარც თვითან თქვა და არც სხვათ ათქმევინა: მაგრა მეფე-მ თვით იცოდა, თუ ვისი ქნილობაა არის და ან რა სწადიათ და ან მოღალატე ვინ არის, თვის-დღემდისინ ამისი აღარა ითქვა, მას-უკან მეფე-მ აუწყარებელ-მან ათის-ათასის მარჩილის საჩუქარი სომანეთის ჭალაში შვიდომს მამუკა ბატონის-შვილს გაუგზავნა და ასრე მისწერა: „ყაენისა-გან მერიდებისთ, არამც კარ-ზედ გიხმონთ, ჩემ-გან საფიცარი გაქვთ, რომ თქვენი უნებური არა გკადროთ რა, თვენც მოგეხსენებისთ ყაენის უარის თქმა არ შეგვიძლიათ, ისრევე ახალ-ციხეს მიბრძანდითო და რაც ხელით გამოგვივა აქიდამაც მოგიმართავთო ხელსაო: ბატონის-შვილმან შეიტყო, თუ-რა ამბავია და ცუდი და ეშმაკეური რჩევა გაცხადებულა, მის ქართლში დგომა აღარას არგებს, აიყარა და ისრევე ახალ-ციხეს მივიდა საფარ-ფაშისასა, ჩხეიძენი და ზოგნი სხვა საბატიოს კაცის შვილები ქართლს დადგნენ, ზოგი ციცი-შვილის ნოდარისას და ზოგნი სხვა-გან. აწ სხვა ეშმაკობა და. საქართველოს არევა მოინდომეს და თავადები შეიფიცნეს და ბატონს თეიმურაზს საფიცრები გაუგზავნეს, რომ თვითან ლაშქრით ცხეთას მობრძანდეს და გაღმით ერისთავი და ამილახორი ლაშქრით მოვიდნენ და გაღმართი მხრის ლაშქარი ნოდარ შემოიყაროს, ჩხეიძენიც თან-იახლოს და როსტომ მეფეს მტერობა გაუცხადოს და ძალად ბატონობა წაართვან:

## §. 2.

## სოვლეთსა საჯავახიანოში ციცი-შვილი ნოდარ თავის ბატონს მეფეს როსტომს შეება და გაეცალა:

ციცი-შვილმან ნოდარ სამართოდ გამარჯვება მოინდომა, არც ბატონს თეიმურაზს მოუცადა და არც ერისთავსა, არც ამილახორსა, ვითაც ჩხეიძენი და სხვა საბატიოს კაცის შვილები მასთან იყვნენ და ყველანი იმ-ნაცადი კაცნი იყვნეს და საციციანოს მხრისა-კენ თავისი და სხვის ლაშქარი შემოეყრიდა. მოვიდა ხოვლეთს, ჩამოხდა თავისის კერძოს. ლაშქარი ვინც არ შემოეყარა მაშულები (დაარბივა) და ეს ამბავი იორამ მოურავის-შვილს მეფისა-თვის მოეწერა: „მალე წამობძანდით,

ოთარაანდა გალმაშმხრის ლაშქარი შემოყრებისო და საქმე გაჭირდებისო:“ შუაღამისას ეს ამბავი ქალაქში მეფეს მოუვიდა, იმავ წამს ეს ისივ კაცი დააბრუნა და იორამს ასრე მისწერა: „რომ რასაც წამს ეს წიგნი მოგივიდესო, ფიცხლავ გზები შეუკვრევიო. რომ აქიდგნივ მიმავალი კაცი იქით არ გაუშვასო და ღვთისა შეწევნით ამაღამ ქრდგან შეგიერთებითო:“ და იმ მისულს კაცს ასრე უბრძანა: „ჩქარად წადიო, ხვალ ამავე დროსა აქავ უნდა ამბავი მამიტანოო:“ კაც-მან მადლი გარდიხადა და წავიდა, მეფე-მ ქალაქის მოურავს უბრძანა: „ჯარში დაამახვიო, ვინცავინ ქალაქში მზას იყვნენო თათარნი, ქართველნი და სომეხნი. ვისაც ცხენი ჰქვანდესო შესხდნენო და რა ქარანის ხმა გაიგონონო, სწრაფად წავიდნენო და ცხეთის საბაყოს-თან მზათ დაგვხვდნენო: იქ აღლუმს ვნახავო. მაგრამ ესეც ვინცა-ვინ ცხენის მქონებელი არ წავიდესო, თავი მოჰკვეთეთო და თავისივე ცხენით უკან მამწივეთო:“ საღამოს ჟამს ქანარები დაამახვეს და ჯარმა სამქაროდ იარა და მეფე ცხენს შეჯდა და სამქაროდ წაბძანდა, მეფის მისვლამდისის უცრისი-ერთი ჯარი მისულ-იყვნენ, მეფე-მ უბძანა: „ღამე არისო და უკანა ჯარიც არ მოგვეწევიასო და ისინიც მოვიდნენო, თქვენც ჩქარა იარეთო და გათენებისას სანსა ვნახავო:“ იარა და შუა-ღამისას კავთისხევს მივიდა და მოურავის-შვილი იორამ იმ გარემემოს ლაშქრით კარგ-გვარად წინ-მოეგება: მეფე-მ ელიზბარ ბოქაულთ-უხუცეს უბრძანა: „ლაშქარს უკან ჩამოუდექო და ვისაც ცხენი შეძლება ჰქონდესო, ჩქარა წამოასხიო. რომ ღვთისა შეწევნითა დილას სოდარ-თან გავითენებთო:“ მიჯრის ჟამს დილისასა მეფე ხოვლეთის ბოლოს მივიდა, მარქაფა გამოიცვალა და ჯარსაც უბრძანა: „ცხენებს მოსართავები უნახეთ და გაუკეთეთო და იარაღნი მოიმარჯვეთო:“ რაზმი გააწყვეს და ქანარები დაამახვეს და მეფეს ასრე მოახსენეს: „შეუტყობლად თავს-დავესხათო:“ მეფემ თავს-დასხმა არ იკადრა და ასრე ბრძანა: „ქართველთ სამართლის ქნის გამართლებისა-თვისო ერთმან-ერთს შევებმებითო, მეც ჩემს ყმას სამართალს-ზედ შევებმიო. თუ იმა-ზედ მემტყუვნებინოს გამარჯვება იმასაო, ბედნიერს ყაენს გამოეპარაო და მთხოვა და არ მივეცო, ფარსადან მამა-მან მისმანო მრავალი მაძლიაო, რომ საციციანო მისის შვილის-შვილის ბაჰუას ყორჩიბაშისა-თვის მთხოვაო და არ მიგეცო და მაგას უქრთამოთ მივეცო და ახლა ამდენის სიკეთის მაგიერათო ჩემ-თვის უმეხნსათებიაო და სხვას ბატონს ჰზბირებია, ამა-ზედ მინდა ღვთის სამართალი გავშინჯო, თუ რომელი ვსტყუვითო:“ დაამასხებინა ქანარები, ამდენი-ხანი რაზმს მოაცდევინა, რომ იმათაც შეიტყეს და საომრად შეიკაზმნენ და ცხენს შესხდეს და რაზმი გაირიგეს და საომრად წინ-წამოდგნენ და შეიქნა სროლა, კისკლაობა. იქიდამენ ჩხეიძენი და სხვანი იმერელნი წამოდგნენ. შეიქნა შუბთა ძგერება და ხმალთა ელვარება, ლახტების ჯახა-ჯუხი, მუზარადთა ხეთქინება: დიდს ხანობამდისინ ჩხეიძეებმან ძალ-მიცემით ომი გარდიხადეს და საქმეც გაუჭირეს, ლაშქარიც დაამარცხნეს და კარგათაც იყვნენ, მაგრამ სოდარ ომს არ მოსულ-იყო და უწინვე ვერის ციხისა-კენ წასულ-იყო და ჩხეიძებს ზურგი არ მოაბა და კიდეც დაიჭირნეს, დაიღალნეს, მეფემანც თვითან ცხენს დაუმრა და ერთ-პირად ქართველნი მიეტევნენ და წაუშინეს. ბექია ჩხეიძე

მოურავის შვილ-მან იოთამ დაირჩინა და ზოგნი ბარათიანთ დაირჩინეს, ზოგნი ელიზბარ ბოქაულთ-ხუცის ყმებ-მან დაირჩინეს ყველანი, ორგნითვე კარგად იყვნენ და ძალ-მიცემით ომი გარდიხადეს და მეფე-მ გაიმარჯვა, ნოდარ-ვერის ციხეში შეიხვეწა და ჩხეიძენი დაჭრილნი და დარჩენილნი მეფეს წინ-მოასხეს მხარ-წაკრულნი და გამარჯვება მოულოცეს: მეფე-მ ბძანა, ჩხეიძეებს მკლავნი გაუხსნეს და გორს გაგზავნეს, რომ ტანისამოსი გამოუცვალონ და ქვეშ-საგები და ზედ-საფარი გაუმზადონ და კარგის პატივით ხელი შეუწყონ: და ვისაც მამაცობა ექნა ყველაყას ხალათი და საჩუქრად მამულები უბოძა. უფროსი-ერთით საციციანო დაუყენეს და კაცები უჩინეს, რომ გაქცეულთ კაცთ უკან ნურ-ვინ აედევნებით და ვისაც საციციანოს კაცი დაეჭიროს გაუშვანო: იმ ღამეს იქივ ნაომარ-ზედ დადგა და მეორეს დღეს გორს მიბძანდა და მეორეს დღეს გორიდამენ ქალაქს ჩაპარი გაგზავნეს და ქაიხოსრო ბარათას-შვილი, დედოფლის სახლთ-უხუცესი დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს: ,,დამთვრალა და თვითონ გარდმოვარდნილაო'' და ამისი შვილები დააჭირვინეს და გორის ციხეში დაატყვევეს და მისი სიძე ბაჩუტა ჭუსეინ ბეგის-შვილი ბაგრატიონი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდაიხვეწა და კახეთს მივიდა და იოთამ ამილახორი ჯალაბობრივ საერისთოში მივიდა: თვითონ ბატონს თეიმურაზ-თან მივიდნეს და ზამთარშაც მოატანა: ნოდარ ზოვრეთის ციხეში გამაგრდა, მეფე-მ გორიდამ ლაშქარი გაუძახა და სურამ-ზეითი საციციანო დაარბევინა და ჩხეიძენი ელიზბარ ბოქაულთ-უხუცის ელიზბარის ხელით ყაენ-თან გაგზავნა, არზა მისწერა: ,,ქართველნი ჩემის უშვილობისა-თვის და უსათუსობისათვის ურჩობენ და აჯანყობენო, რომ ჩემს საბოლოს ვერა ხედვენო, ჩემს ბიძას-შვილს თეიმურაზ მირზას სამნი შვილნი ჰყვანანო და რომელსაც პაპის ჩემის ლუარსაბი სახელი ჰქვიანო ის შვილად გვიბოძეთო, რომ ჩვენს უკან ქართველთ საბატონოთ ეგულებოდეს:'' ესენი ყაენ-თან გაისტუმრა და თვითონ გორის ციხიდამ ზარბაზნები ჩამოიტანა და ზოვრეთის ციხეს შემოადგა: ზარბაზნებით დაუშინა. მაგრა ქვიტკირს ვერა ავნორა: მალე მალე ხმას დაგდებდეს, ,,რომ ბატონი თეიმურაზ მოეშველებისო:'' მეფეს აშინებდეს. მაგრა მეფე-მ ასრე ბრძანა: ,,ხონთქარიც მოეშველოსო სიდამდისინ ნოდარს ციხიდამენ არ გამოვიყვანო აქით-გან არ დავიძვრიო:'' წყალ-კურთხევამდისინ სრულ ქართველთ ლაშქარი ზოვრეთის ციხეს ადგნენ და ვერ აიღეს და არც მშველი გაუჩნდა და ციხეს შიგნით ყმათ უმუხანათეს და ჰგმეს ბატონი და გაუორგულდნენ და ციხის გაცემას შეუდგნეს: ეს ნოდარ შეიტყო, რომ ყმანი ღალატს უპირებენ, ჩათრეულს ჩაყოლილი აყობინა და თავისი დედა კახეთის ბატონის-შვილი როსტომ მეფეს-თან სახვეწრად გამოგზავნა: რა მოვიდა ნამეტნავად მეფე-მ დიდი პატივი დასდვა და სახვეწარი დაუჯერა, გაცლის გზა სთხოვა, ვინაც ნათესავი იყო მეფისა და მერმე დედათა შიგა სიკეთე-ზედ ნაქები იყო და საქართველოში ძველით წესათ იყო. რომ ვისაც გასჭირებია შესახვეწრად, ან დედასა და ან ჯალაბს გაუგზავნიდეს, მეფენი და თავადნი პატივს დასდებდიან, მეფემაც გაათავა ძველი წესი, ბატონის-შვილს ფეშქაში მიართვა და უვნებლობის

საფიცარი მისცა, რომ სადაც უნდა წავიდეს თავისის მხლებლებითა და ქონებით არა უშავდეს-რა და ამდენი ცხენი, ჯორი ათხოვეს ზოვრეთიდამენ, რომე თავიანთ ქონებით ახალ-ციხემდისინ მიასხან. მაგრა ბევრს შემოიხვეწნეს, რომ ნოდარ ინახვინოს, არ ინახვინა: მაგრა უზიანოთ სა-მცხეს მივიდნენ და ერისთავი ზაალ და ამილახორი იოთამ ბატონს თეიმურაზს-თან იყვიან. მაგრა გზებ-ზედ იწყენებოდეს და ნაპირის ადგილებს ერთი-მეორეს ურბევდეს: ვინც იმათ შე-მოსწყრებოდეს, ამათ მოუვიდის. ვინც ამათ შემოსწყრის იმათ მიუვიდის და ამათის საქმით ქარ-თლი და კახეთი მოუსვენებელი და არეულ-აოხრებული იყო:

## §. 3.

## აქა მეფის როსტომის ილღარი ქალაქით, მისის ჩასვლისას ცხენს შეჯდა, გათენებისას შობის დღისას ახალ-გორს ერისთვებს თავს-დაესხა და გაიმარჯვა ღვთითა:

ქალაქს შიგ მჯდომს მეფეს როსტომს ამბავი მოუვიდა „რომ ხვალ შობას ორნივ ერის-თვები და იოთამ ამილახორი ახალ-გორს შობას ერთ-გან იქმონენო და იქ ლაშქარს შეიყრიანო და ბატონს თეიმურაზს საფურცლეს შემოეყრებიანო, იქიდამენ ცხეთას მოვლენო და ვისაც მათ-თან პირობა აქვთო, იქ შეეყრებიან და შეეფიცვენ:“ რა ეს მეფეს მოახსენეს, ფიცხლავ მუ-ხრანის ბატონს ბახტას, რომ უკანას დროს თავისის ბატონის ადგილს-ზედ გამეფდა, წიგნი მისწერა: „შენის ლაშქრითაო მცხას დამხვდიო, რომე ღვთისა შეწევნითაო, ამაღამ მანდ მო-ვალთო:“ კაცი რომ გაისტუმრა, ჯარში დაამახეს „ვაი იმასაო, რომელსაც ცხენი ჰყვანდესო, მისის ჩასვლისას მცხეთას არ დამხვდესო, ავად მივეპყრობიო:“ ვინაც ახლო იყო ყველანი მეფეს უწინ მოვიდნენ: რა მეფე-მ ამდენი ჯარი ნახა, დიაღ იამა და მრავალი საიმედო სიტყვები ჯარს უბრ-ძანა და მუხრანის ბატონს ჩაფარი გაუგზავნა: „რომ ჩვენც კარგის ჯარით მოვდივართო და თქვენც თქვენის ჯარით მცხეთ დაგვხვდითო, რომ ღვთის შეწევნითაო გაუთენებლივ თავს და-ვესხმითო:“ რა მეფე მუხრანს მივიდა, მუხრანის ბატონი კარგის ჯარით შემოეყარა და მეფეს იამა და აღარ შეისვენა დ ჩქარათ იარეს, შობას დილას ახალ-გორს ლოცვაზედ მდგომთ თავს-დაესხნეს და იმ დღეს მუხრანის ბატონის მამაცობის ქება თქვეს და ისინი შეუტყობარნი იყვნეს და თავს-დასხმის ეჭვიც არა ჰქონდათ: რა ძახილი შეიქნა, ცხენი და იარაღი ვეღარ მოისწრეს და არც ამათ დააცალეს, ანაზდეული-მოულოდინებელი საქმე მოუვიდა. ისინი ზოგნი ცხენით გარდიხვეწა და ზოგნი ქვეითათ, აქეთ-იქით გარდიხვეწნეს და იმათი მასპინძლობის საჭმელი მეფის ლაშქარ-მან შეჭამა: მეფემანც სადილ-ვახშამი იმათის სადგომს ჭამა და მეორეს დღეს, ვისაც დარჩენილი კაცნი ჰყვანდა მეფეს-წინ მოუსხეს: მეფე-მ ყველაკანი გაამშვებისა და თვითან

გორისა-გან წაბძანდა და იმ ზამთარს იქ დადგა. ელიზბარ დავითის-შვილი ყაენიდამ მოვიდა და ხალათი და ბატონის-შვილი ლუარსაბ მოიყვანა:

§. 4.

## აქა ბატონის-შვილის ლუარსაბის გამოგზავნა ყაენისა-გან როსტომ მეფის შვილად:

გორს ყაენის ხალათი ჩაიცვა და რაყამი წაიკითხეს. მოეწერა: „შენის ბიძას-შვილის თეიმურაზ მირზის შვილი ლუარსაბ შენ-თვის შვილად გეთხოვნაო, გამოგვიგზავნიაო და ქართველთა-თვის გვიბრძანებიაო, რომ უფლის-წულად და თქვენად შვილად მიაჩნდესო და თქვენს უკან ქართლის მეფობა მაგის-თვის მიგვიცემიაო:“ ეს ამბავი გოჩა-შვილს გიორგის ეწყინა. ამის-თვის რომ ბატონობას თვითან მოელოდა და ლუარსაბის მოყვანისა-თვის გაავგულდა: ეს ამბავი ბატონს თეიმურაზსაც ეწყინა. ამა-ზედ კახ-მან ბატონ-მან ცალკე და ერისთავ-მან ცალკე დაუწყეს გოჩა-შვილს ლაპარაკი: „რომ შენ გაგაბატონებთო:“ დატყუეს და ქართველთა და ბარათიანთ წიგნი ჰსწერეს, დაუწყეს ბირება. დიასამიძე კათალიკოზი და რევაზ ბარათა-შვილი და სომხითის მელიქი ყორხმაზ-ბეგ მრავლის ქადებით დატყუებულ-იყვნენ და ეს სამნი საქმობდნენ. მათი რჩევა და საწადელი ამათ-თან უმალავი იყო და გოჩას შვილს ატყუებდნენ, თორა და ყველას მეფობა ბატონის თეიმურაზისა-თვის უნდოდა და ასრე პირობა შეჰკრეს. „რომ როსტომ მეფე ცოტას გაცით ცხირეთს არისო და ბატონი თეიმურაზ ცხენ-კეთილის ჯარით, ანაზდად მეტეხს მოვიდესო. რა მეფე მისის ჯარის სიცოტავეს ნახავსო, საომრად მოვაო და ომში მოვკლავთო, რომ სამარტოდ არ-ვის დაებრალოსო:“ სომხითის მელიქს ყაენისა-გან შეეშინდა და მათი საწადელი და მონაწერი წიგნები მეფეს მოართვა, ფიცის გატეხისა და სათიცარის მიცემ-მოცემისა არღა-რა ინაღვლა-რა და იმ ღამეს, რომ ბატონი თეიმურაზ მეტეხს მოვიდა, მეფე გორს მოვიდა. ამათ-იმა რჩევა-მ ცუდად ჩაიარა და ბატონი თეიმურაზ ისრევ კახეთს ჩავიდა. ქართველნი გორს მივიდნენ უშიშრად, ასრე ეგონათ: „იმათი ქნილობა მეფე-მ არა იცისო:“ მეფე-მ კათალიკოზი და გოჩას-შვილი გიორგი და ერისთვის-შვილი ლარგველი დააჭერვინა. გოჩას-შვილს თვალები დასთხარა, ლარგველი გორის ციხით გაეპარა, საავაძე იყანეს კახეთს გარდიხვეწა და მის ძმას ზურაბს თვალები დასთხარეს, კათალიკოზი ქალაქის ციხეში ტყვეთ-იყო თათრებში და ისიც დაარჩვეს, ციხიდა-მ გარდმოაგდეს. ბარათა-შვილი რევაზ კახეთს გარდიხვეწა და მეფე გორიდა-მ ქალაქს ჩავიდა და ეს ამბები ყაენს მისწერა და ყაენისა-გან ხალათი და თაჯი და თოშარი მოუვიდა და ხმალი და ოქროდ შეკაზმული ბედაური ცხენი ებოძებინა, და ადამ სულთან ენდრონიკა-შვილი როსტომ მეფის დის-წული სარდლათ ექნა და ერანის ლაშქარი თან გამოატანებინა და საქართველოს-ზედ გამოეძახაო, „რომ ვინც როსტომ მეფის ურჩია და მაწყინარი,

შეჳადამ ამოიღონ და ბატონი თეიმურაზ გააგდონ და მისს ალაგ-ზედ კახეთში ადამ სულთანი გააბატონონ:“

§. 5.

## აქა ადამ სულთნის სარდლობა საქართველო-ზედან:

ყრანის ლაშქრით თავისის ბიძის როსტომ მეფის მოსაშველებლად: ამ ლაშქრის მოსვლა ბატონ-მან თეიმურაზ შეიტყო და ახალ-ციხით ბატონი ანახანუმ ნოდარის და ზალ ერის-თვის სიდედრი მეფეს-თან სახვეწარად მოვიდა და ძმისა და სიძის უვნებლობის საფიცარი სთხოვა და მეფე-მ უბოძა და ნოდარის . . . იმში. ამისი მაზლი, მისის შვილით ოტიათი და ორნი ანახანუმის შვილები, გიორგი და ხუცია დაირჩინეს და ყაენ-თან გაგზავნეს და ისპაჰნს ტყვეთ იყვნეს: იმათ მოსხმასაც შემოეხვეწა, მეფე-მ შეიწყალა და ასრე უბრძანა: „თუ ერისთავი ყაენის კარს წავა შემოვირიგებო და ყაენის კარით ისრევ მალ მოვიყვანო, ზაალსა და შვილებსაც მოვიხსმევინებო და სატიტიანოსაც ნოდარს მივსცემო. ერისთავსაც, რაც ქართლშია მამული ჰქონებია მივსცემო და ყაენისა-გან კარგს სოფლებსაც უშოვნიო:“ ამ რიგი საფიცარიც უბოძა, ვითაც როსტომ მეფე ფიცსა და პირობას არ გარდვიდოდა, არც უმტყუნებდა: ბატონ-მან ანახანუმ მეფის საფიცარი თავის სიძეს ზალ ერისთავს მიუტანა: რა სიდედრი მიუვიდა, ერისთავი მეფეს-თან ქალაქს ჩავიდა და ფეხს აკოცა და მეფე-მან კარგის თვალით ნახა და მრავალი უბოძა და რაც ქალაქში ვაჭრები ჭყოლებოდა ისინიც მისცა და ისევე მალე საერისთოს გაისტუმრა და რა ნოდარს საფიცარი მიუვიდა, საფარ-ფაშა-მ თავისი ქეხა ოსმანაღა თან-გამოატანა, ქართლი ნამოიარა და ქალაქს მეფეს ფეხს-აკოცა, შეაწყალა და სატიტიანო მისი ნაქონი მასვე უბოძა. ომარ-აღასაც მრავალი მისცა და გაისტუმრა და ეს ამბავი ყაენს მისწერა და ჩხეიძე გიორგი და ოტია მოაყვანინა და ბეჟია და ხუცია იქავ ყაენის კარს დარჩნენ და ადამ სულთან ყრანის ლაშქრით ისრევ დააბრუნეს:

§. 6.

## სიკვდილი მარიამ დედოფლის შვილის ოტიასი, რომ გურიელისა-გან ჰყვანდა:

ამ ყმაწვილს როსტომ მეფე თავის-თვის შვილად ზრდიდა და ზაალ ერისთვის სიძე იყო. ამის-მან სიკვდილ-მან ზაალ ერისთვის ყაენ-თან წასვლა ცოტას ხანს უგჳაგდო, გორს მიიცვალა, შეიქნა დიდი გლოვა, ტირილი თორმეტს დღეს. იქვე გორს იყო ზარით ტირილი, ქართველნი ჯალაბობით თავიანთ ჯარითა და შეძლებითა ზარის თქმით მოვიდიან, უწინ მკვდარით მიმგზავსებულს, სახე დახეულს, თმა დაგლეჯილს, შვენება შემლილს, ტანისამოს სისხლით გასვრილი,

*

მიწა-ზედ მჯდომს, ღონე იმედ-დაკარგულს ბატონს დედოფალს მიუტირიან, მერმე გამზრდელსა და ჩარიგებით მათს მხლებლებსა, მერმე მეფესა და ჭირის უფლებსა თავადთა და აზნაურთა და მსახურთა და მოხელეთა, მერმე მცხედართა მიუტირებდნენ და გარდასაბურავს გარდაფენდიან, ამას უკან იარაღსა და მოართულობასა, *ტახტისამოსსა, მურასა გვირგვინსა და ჯიღასა და ხმალსა და ხანჯალსა, მუზარადისა და ჯავშნსა და ხელნავებსა და ცხენსა და მისს-შეკაზმულობასა, ყოველს ნიშანს ცალკე-ცალკე მიუტირებდნენ და ერთს წელიწადსაც არ გათავდებოდა: მეფე-მ ბძანა: „ვითაც გზა-ზედ მიმავალთა ისრევე ტირილში ერთმანერთს მოსდევნონ.“ დილით შუადღემდისინ იტირე-ბდნენ და სამხრობით მზის-ჩასვლამდისინ გამოიტირებდნენ. მაგრა მაშიც ბევრს რიგი და ნობათი არ ერგო ამ თორმეტს დღეში: მერმე მეფე-მ ბრძანა: „ვისაც აქ არ ეტიროსთ გზა-ზედ მო-გვიტიროსთ და ან ცხეთას იტიროსთ,“ და რაც მკვდარს თავს-ადგნენ. კათალიკოზი, ეპისკო-პოზნი, ბერნი და მღვდელნი, რომ სახარებას და დავითნს კითხულობდნენ, ასევე ბატონს დე-დოფალს ადგნენ მონოზონნი და ჩოხოსანნი და ამ სოფლით გადგომილნი მკვდრის მონებაზედ მოწოსებულნი დედანი და ქალწულნი ცრემლის ფრქვევით სახარებას და დავითნს კითხულობდნენ. მაგრამე ბატონის დედოფლის შებრალებით ყველას ამდენი ეტირა, რომ მართლა ველარ ხედევდნენ, ყოველს ნიშანს-ზედ ორმოცი ბერი და მღვდელნი ადგნენ, სახარებასა და დავითნს კითხულობ-დნენ, რვაასი მეორმოცე დაუყენეს და ქართველნი ძაძითა და შავით შეიმოსნენ, ლასტისგან დაა-წვნევინეს, ვითაც კუბოსი და ბატონი დედოფალი, ვითაც მკვდარი მაშიგ მიიღეს და ზედ შავი ზეწარი გარდაბურეს, ქვეშ თავადნი და მათნი ძმანი და შვილებნი შეუსხდნეს, ასრევე მცხედართა ძვირ-ფასის ოქრო-ქსოვილები გარდაბურეს და ახალ-გაზრდილნი თავადის შვილები შეუსხდნეს საკაცეს-ქვეშა: საქართველოს ჯვრები, ვითაც დროშები წინ-წაიძღვანეს და ამ ვაებით სწორ-ზედ გორიდამენ ცხეთას ჩავიდნენ და ბატონის დედოფლის შვილი ოტია საფლავს მიიღეს და მეფე მეორეს დღეს ქალაქს მიბძანდა და სააღაპო ძროხა, ცხვარი და თევზი და ხიზილალა, ბანბა, და მარილი, სანთელი და საკმეველი, ამდენი მოატანინა, რომ ორმოცამდინ ცხეთას იდგნეს, სხნილის დღებში ასი ძროხა და ცხვარი დაიკლოდა, მარხვის დღეებში ათასი ხმელი თევზი გაიჭრებოდა, ბანბასა და მარილსა და სანთლესა და საკმეველს გარდაისად, ამ ორმოცს დღეს დედოფალს მარილიანი ვერ აჭამეს, ქერის პურის მეტი მას არა უჭამია-რა და რა ორმოცი გათავდა, კიდევ ცხრაასი მეორმოცენი დაუყენეს: ბატონ-მან დედოფალ-მან თავისის შვილის ქონება ზოგი იერუსალემს გაგზავნა, ზოგი საყდართა და მონასტერთ შეწირა და შვილის საფლავი მოაზუკინა, სომხითში დარბაზის სოფელი სვეტის-ცხოველს შესწირა, მის გამზრდელი თავისის მხლებლებით შვილის საფლავ-ზედ დააყენა და სარჩო გაუჩინა. ტირილით საფლავს გამოეყარა და ქალაქს ჩა-ბძანდა. მოქალაქენი შეიყარნენ, კარს მოდგნენ, შეწევნისა და შეძლების ღონით გარდასაბურავნი მოართვეს და სამძიმარი მოახსენეს და ამათნი ჯალაბნი თვითოს დღეს თვის უბნისანი მივიდიან და მიუტირებდნენ. ვისაც შეძლება ჰქონდათ ძღვენსა და გარდასაბურავს მიართმევდიან: და ამდენი

ხარჯი გარდიხადეს და ერთის შაურის ფასი თვით არა სთხოვეს რა, მიცემის მეტი და ეს ამ-დენი ხარჯი მეფეამ თავისის სალაროდამ გაიღო: ოცს წელიწადს ბატონ-მან დედოფალ-მან არც ხორცი ჭამა და არც შავი გამოიცვალა და შის-მეტი არც ვაჟი ჰყვანდა, არც ქალი და არცა შობისა და მოლოდინის იმედი: აქ ამის-თვის ბრალია ერთის პატრონი. მაგრამე ბრძანება მღვთი-სა არ-ვის-გან შეიცვლების, ნება მღვთისა არის. თუ უნდა ერთისა-გან, ვითარცა ადამისა-გან მრავალს მოაშენებს და თუ უნდა ნოვეს წარღვნისაგით ყველას ერთს წამს გარდაჰგვლენს: ხელ-მწიფესნი მის ბრძანებას ვერა სცვლიან:

## §. 7.

## ზაალ ერისთავი და იოთამ ამილახორი ყაენის-კარს წავიდნეს:

ზაალ ერისთავი ყაენ-თან მიდიოდა, იოთამ ამილახორ-მან მეფეს კაცი მიუგზავნა: „მე და ერისთავი ყაენ-თან ერთ-გან გაგვისტუმრეო:“ ეს მეფესაც იამა და ორთავ მრავალი უბოძა და ჰამზა-ბეგ სუფრაჩი წინ წაუძღვანეს და გაისტუმრეს და გზებ-ზედ ყველ-გან სამასპინძლო მზაო დაახვედრეს და საცა გზის-პირს ხანი და სულთანი იყვნენ წინ-მიეგებნენ და თავისას ჩა-მოახტუნეს, კარგად ისტუმრეს, ლხინი აჩვენეს და საჩუქარი მიართვეს და გაისტუმრეს და რასაც ქალაქში მივიდნენ, ქალაქის თავნი კაცნი წინ მიეგებნენ და კარგად დახვდნენ და რა ისპაჰანს მიახლოვდნენ, მოურავი ისპაჰანისა მირ-ყასუმ-ბეგ, როსტომ მეფის ყმა იყო, ამზა-ბეგის ბიძა-შვილი იყო. რა ქაშანით გადგნენ, დღეში ორ-ჯერ სამ-ჯერ წინ ბარხანას მოაგებდიან. რა ის-პაჰანის ერთის დღის სავალზე მიახლოვდნენ, ყაენს მოახსენეს ამათი მოსვლა. მირზა-თაყი ეჰტიმადოვლე და სიაოშ-ხან ყულარაღასისა-თვის ებრძანებინა: „რაც მაგათი წესი და სამარ-თალი იყოსო ისრე დახვდითო:“ ეტიმადოვლეს ებრძანებინა ისპაჰანის ვეზირისა და ქალანთრისა-თვის და მოურავისათვის: „თავნი უფროსნი კაცნი ისპაჰანისანით, კარგად მოკაზმულის ჯარით, ფიშვაზი უკავთ და წინ-მიეგებენითო.“ და ყულარ-აღასმან ადამ სულთანს უთხრა, ყაენის ბრძა-ნება არისო: „ვინც ისპაჰანში ყულებისა-გან მყავს იყვნენო ხანი და სულთანი, მინბაში და უზბაშნიო და თავადთა და აზნაურთ-შვილებისაგანო, ადამ სულთანს გვერთ იახელნითო და ერის-თავსა და ამილახორს წინ-მიეგებენითო და კარგის რიგით ალაყაფის კარს მოიყვანეთო, კარს აკოცნინეთო და იქიდამ ჯულფას მიუძღვითო და ხოჯა-საფარა სასახლეში ჩამოახტუნეთო:“ იმათაც ბრძანება გაათავეს და რვას დღეს ყაენის სახლით ოქროს ჭურჭლებითა დამზადებული, სა-დილ-ვახშამი მოუვიდის. მას უკან დღეში შვიდი თუმანი და სამოცი ლიტრა ღვინო ზაალ ერის-თავს გაუჩინეს და ისრევე იოთამ ამილახორს გაუჩინეს და ყოველს დღეს ლხინში იყვნეს: ხან აწვევდენ და ხან ეწვეოდენ მოყვასთა და მეცნიერთა: უწინ ბოძებაში ხელმწიფე-მ სამასი თუმანი თეთრი და ფარჩა ერისთავს მოსცეს და ესრევე ამილახორს მოსცეს და ხელმწიფემ მეჯლიში

ქნა და მივიდნენ, ფეხსაკოცეს და ყაენ-მან როსტომ მეფის ამბავი მათ ჰკითხა და ამათაც დიდი ქება მოახსენეს და ნაზირს ქვეით დასხეს. ას-ასის თუმნისა ეტიმადოვლეს გამოუგზავნათ და ყაენ-მან ორთავეს ქართული ჩოგანი ათამაშა და ორთავ ოქროთ შეკაზმული ბედაური ცხენები უბოძა: ამისთანას დროს როსტომ მეფისა-გან ჩაფარი მოვიდა ყაენ-თან, ასრე მოეწერა: „ერისთავი და ამილახორი მალე გამოისტუმრე:“

## §. 8.

## ქორონიკონს ტლგ, ჯანი-ხან ყორჩიბაშმა მირზა თაყუ ეტიმადოვლა მოკლა და ყაენ-მან ჯანიხანც მოაკვლევინა:

ჯანი-ხან ყორჩიბაში თავი კაცნი და ან ხანი და ან სულთანნი ვინც კარ-ზედ იყვნენ შემოიფიცა, დილას ეტიმადოვლეს, მირზა თაყის შიგ მიუხდა და მოკლა ნამაზს ზედან, უყაენის ბძანებოდ და მერვეს დღეს ეტიმადოვლობა ხალიფა სულთანს მისცეს და ყაენს არც-ერთს შეეკითხნენ: ყაენი ყმაწვილი იყო, ბებია ჰყვანდა ჩერქეზის ქალი იყო და ჭკვიანი მანდილოსანი ბძანდებოდა მისი სიტყვა გადიოდა და ჯანი-ხანს იმისი გამოგდება უნდოდა. მაგრამ სიაოშ-ხან ყულარ-აღასისა და ყულებისა ჯანი-ხანს ეშინოდა, მაგრა დროს ეძებდა, რომ ყულარ-აღასიც მოკლას და ყულებიც ამოწყვიტოს და მას უკან ყაენის სახლიდამ ყაენის დედა გამოაგდოს: ყაენის დედა მცოდინარე ბატონი იყო, მალვით ყორჩი-ბაშობის რაყამი თურთუზა ყული-ხანს ბეჯირლუს გაუგზავნა და ქოქილუს ბეგლარ-ბეგობის რაყამი სიაოშ-ხანს გაუგზავნა და ორთავ ასრე მისწერა: „რა იქნა თქვენი კაცობაო და ან სით მოსწანს თქვენი ერთ-გულობაო ჩემს ოჯახს ზედანო, რომ ჯანი-ხან თავისის ძალით ეტიმადოვლე მამიკლასო და თქვენ ეს დასთმოთ და არა თქვათ-რაო, დღეს არის, თუ ხვალეო თქვენც დაგხოცენო. მერმე შვილს შემიკვლენო და თვითონ გახელმწიფდებისო, აწე თუ ჩვენი ერთ-გულნი ხართო, ჩვენი ყულებიო, რომ ღამით ჩვენს ქეშიკში მოვლენო, ადრიან თქვენც კარ-ზედ მოდითო, და რა ჯანი-ხან თავისის კრძის კაცით კარ-ზე მოვიდესო, უბრძანეთო, წაუშინო, დახოცონო:“ ბრძანება გაათავეს და გაუთენებლივ კარ-ზედ მოვიდნენ და ეს ამბავი ჯანი-ხანისა-თვის უთქვათ. რომ ბეგლარი ადრიან ხელმწიფის კარს მივიდნენო, ისიც აჩქარდა და კარ-ზედ მივიდა: რა ჯანი-ხან მაშიას გახდა დაიწყო, რომ ზეით აკიდეს, მურთუზა ყული-ხან ბეჯირლუმ სახელოს ხელი წასტაცა და შემოუძახა. „შენ ხაინო და მუხანათო, ხელმწიფეს ეტიმადოვლე რას-თვის მოუკალო:“ შესცა მუცელში ხანჯალი და მოკლა და დაუძახეს ყულებს. „ხელმწიფის ბძანება არისო, დახოცეთ ეს მუხანათებიო:“ წაიკრეს ხმალს ხელი და ჩვიდმეტი ხანი და სულთანი მოკლეს და მათი მძორები თრევით მეიდანში ყაბახის ძირში დაჰყარეს და ცოლ-შვილი დაუწიკეს და მათი ქონება სახელმწიფოდ წამოიღეს: და ცოტას ხანს უკან ერისთავი და ამილახორი მორჩმითა და მრავლის ბოძებით

განსტუმრეს. განსტუმრებაში ერისთავს უბოძეს ხუასის თუმნის თეთრი და ხალათი და ოქროთ შეკაზმული ცხენი, თხუთმეტი სოფელი ყაზმინის სიახლეს მოჭრილი. ასრევე ხალათი, თეთრი და ოქრო-შეკაზმული ცხენი ამილახორსა და ორმოც-და-ათი თუმანი ჯამაგირიც გაუჩინეს და რაც საქართველოს კაცნი, იმერელნი, ქართველნი და კახნი ტყვეთ იყვნენ, ყველაკა ამათ აპატივეს და ცხენი, იარაღი გაუკეთეს და სახარჯო უბოძეს და თან-გაატანეს. ყველას ხალათი ჩააცვეს და ხელმწიფის კარს მიასხეს და ჭარმის კარი უორული ქნეს და ორთავეს თავისი ქალები აჩვენეს და წასასვლელად ხელმწიფეს ფეხს აკოცეს და ხელმწიფემ ორთავე ასრე უბძანა: „რასაც როსტომ მეფეს ამებთ და ერთ-გულად ემსახურებითო, ჩვენ გვეამებისო და იმისის მოწყალებით ჩვენ-გან წყალობა დაგემართებისო და ასრევე მისის მოწყალობითაც ჩვენ-გას რისხვასაც ელოდეთო:" მეფეს როსტომს ამათის ხელით ხალათი, და ოქროთ შეკაზმული ცხენიც გაუგზავნეს და მეჭმანდარი გაატანეს და ხელმწიფისა-გან მრავალი წყალობა დამართებულნი, მორჭმულნი საქონლითა და იარაღითა მორთულნი, მოკაზმულნი მოვიდნენ: ქალაქის სიახლოეს მეფე და სრულ ქართველნი წინ-მიეგებნენ: რა შორიდამ მეფე დაინახეს ცხენით მამავალი, ამათ დაუქვეითეს, დიდი გზა ფეხ და ფეხ წაიარეს, მეფეს ცხენს მუხლომს აფხანდას აკოცეს, მეფე ცხენით გარდმოხდა ხელმწიფის ნაბოძები ხალათი ჩაიცვა, დიდის სიმხიარულითა და შადლუხის ქნით, ქალაქში შებძანდა: ათს თორმეტს დღეს ქალაქში ლხინა და შეასვენა. მერმე მეფე-მ უბძანა: „გზისა-გან გარჯილნი ხართო და შინაც გულიანო, წადით, ამ ზამთარ თქვენსას შეექეცითო:"

## §. 9.

## რაც ზაალ ერისთავს კახეთში მამული ჰქონდა ბატონ-მან თეიმურაზ წართვა:

ბატონს თეიმურაზს ასრე ებძანებინა: „როსაც როსტომ მეფეს წამოუყვიდართ და ჩვენ მოგვივიდართ, ქართლში-რაც მამული აქონდა მეფე-მ წაართვაო, იმისი მაგიერი მე კახეთში მიეციო, ახლა თავის ბატონ-თან მისულაო, ქართლის მამულებს ისრევე მისცემსო და ნამეტნავი წყალობა უაენისაგანც დამართებიაო, ის ჩვენ-თან ვეღარ მოვაო:" თიანეთი და ან კახეთში სადმე ზაალ ერისთავს მამული ჰქონდა ბატონ-მან თეიმურაზ წაართვა, ერისთვის კაცი კახეთში ვეღარ გაივლიდა: ისრევე შეიქნა მიხდომ-მოხდომა, რბევა და ოხრება და გზებსა და გზებ-ზედ ყაზახობა: ზაალ ერისთავი ჯალაბობრივ ქალაქს ჩამოვიდა. და კახეთში მამულების წართმევა მეფეს უჩივლა და მეფე-მ უბძანა: „მე მაგაზედაო ბატონს თეიმურაზს ვერას შევეძლო, რომ თავისი სამკვიდრო მამული თქვენ არ მოგცესო, მაგიერი მე მამიცემიაო:" ამ დროს, რევაზ ბარათა-შვილი თავის ცოლს როინის ჯავახის-შვილს დაეჭირა იმერეთს, მიმავალი და მეფეს მოგვარა, საჩხუბარი

წიგნები უპოვნეს და რევაზსა თვალები დასთხარეს: რა როინის ჯალაბ-მან ძმა ნახა თვალ-დათხრილი ქმარი გაუშვა და ჩოხსნი ჩაიცვა და რა ცოცხალ-იყვნენ ქმარი თვალით ხღარ იხილა, ძმის დაჭირვის ჯავრითა: და რა რევაზს ეს წიგნები უპოვნეს, ბატონს თეიმურაზს მოციქულობა დაუწყეს: „რას-თვის არ დაწყნარდებით და ჩვენ რას-თვის არ დაგვაწყნარებო, ჩვენსა და თქვენს შუა მრავალი საქმენი ქნანია, ამას წინათ კახეთში სამი სოფელი დაგვიდევითო, გაბრჭობამდისინო. ახლა ორნივე უსაქმოდ ვართო და სიკვდამდისინ უნდა ჩვენსა და თქვენს შუა საქმენი გარდუწყვეტი არისო, ქართლი და კახეთი არ მოისვენებსო, დრო ამის უკეთესი არ იქნებისო, ორიოდე მცოდინარი ბერი და ერიო შენს სიძეს მეფეს ალექსანდრეს ვსთხოვოთო და ასრევე ლევან დადიანს ვსთხოვოთო, გურიელსა და ახალ-ციხის ფაშასაც ვსთხოვოთო, გავიბრჭნეთ და შევრიგდეთო, ჩვენც მოვისვენოთო და ჩვენი ქვეყანანიც მოვასვენოთო:“ ეს ბატონს თეიმურაზს სწყენოდა, გაჯავრებულ-იყო და ის სოფლები რომ გაბრჭობამდისინ მეფისა-თვის დაედვა, ისრევე წაართვა და მოხელეები გამოუყარა და მეფისა-თვის ასრე მოეწერა: „შენის ძმის-წულის მეფის სვიმონის მკვლელი ზურაბ ერისთავი იყო და მე მოვკალო, თქვენ კიდეც უნდა დამიმადლოთო, თო-არა და ჩემ-თან სხვა რა საბრჭო გაქვთო, თქვენი მესისხლე ეგ არისო, რომ ყაენ-თან გაგიგზავნია და მორჭმული და გამდიდრებული მოგიყვანიაო, თუ სისხლს ჰკითხულობო, მესისხლის ძმებსა და სახლის კაცებს მოკითხეო, აქამდისინ რომე ჩვენ გვახლდაო, იქნებოდაო რომ თქვენი მესისხლე გეთხოვნაო და ახლა თქვენ გახლავსო და თქვენი ყმაც ეგ არისო და მესისხლეცაო, რომელიც გეპრიანებისო ისრე ჰქენითო:“ მეორეს წლამდისინ ასრე იმოციქულეს. ამასობაში ჩოლაყაშვილები რევაზ სახლთ-უხუცესი და ბიძინა სუფრაჩი გარდვიდნენ: . . . .

§. 10.

## ეს ამბავი მეფე-მ ალექსანდრე-მ დარეჯან დედოფალს მოახსენა:

„მამა თქვენი კახეთით მეფეს როსტომს გამოუგდიაო და იმერეთს გარდმოსულანო:“ შექნათ ტირილი და თავს-ცემა, უწინ გენათელი და თავადები წინ მიაგებეს და ყველგან ნუზლი და სამასპინძლო მზას დაახვედრეს. მერმე მეფე წაბძანდა დიდის ჯარითა, მიეგება, ნახეს ერთმანერთი, შექნეს ტირილი და თავს-ცემა და გენათელ-მან ბატონის-შვილის დათუნას მოკვლა მალვით მეფეს ალექსანდრეს ასრე მოახსენა: „იმერეთს ამდენი შეძლება არა აქვსო, რომ ორ-ჯერ ცალკე ცალკე თემი შევჰყაროთო, ბარემ დედოფალი მობძანდესო და დედა-შვილთ შეყრაში გაუცხადოთ, რა ზარი ამაღლდესო მეფემანო თავს-ცემით ბატონის-შვილის დათუნას წამება თათართა-გან ქებით წამოთქვასო:“ ამაღლდა ზარი და მეფე ალექსანდრე მხარ-ჩახდილი თავს-ცემით ბატონს თეიმურაზს წინ დაუჩოქა და ბატონის-შვილის დათუნასი მამაცობითა და ქებით მოკვლა წამოსთვა: „ბატონი თეიმურაზ და ორნივ დედუფლები, ვით უსულო მკვდარნი შეიქმნენ, გენათელი და

ეპისკოპოზნი წამოდგნეს და გულ-ზედ წყლის-დასხმით ძლივს სულს-მოვიდნეს, სამღთო სი-ტყუანი უქადაგეს და განკითხვის დღის შიში დასდვეს და ღმრთის საწყენის საქმეები დაარიდეს და ჭო-რის-უფალნი დასხეს, ორმოცამდისინ ტირილი და ზარი (იყო), იმერეთის თავადნი და აზნაურ-შვილნი დილას საღამოს მოუტირებდეს: ვისიც მამული ახლო იყო, ისინი უმალ მოვიდნენ, ვისიც შორ იყო ისინი გვიან მოვიდნენ: მრავალი გარდასაბურავი მოიღეს, მეფე-მ გასაკვირვებელი ხარჯი გარდიხადა ცოცხალთა და მკვდართა ზედან: აბა-თუ ამ გამოსვენების დღის ამბავი, თუ სრულ დაგვეწერა, ტირილისა-გან კაცი ვეღარ წაიკითხვიდა. ამის-თვის მოკლებით დაიწერა, მაგრა ვინც ამათნი ცოცხალნი დარჩნენ, ორმოც-და-ათს წლამდისინ ამის გლოვასა და ტირილში იყვნენ და მეფე-მ ალექსანდრე-მ ბატონს თეიმურაზს და მისს თავადებსა და აზნაურთ ყველას ცალკე ცალკე სოფლები და სარჩო გაუჩინა და ბატონის თეიმურაზის კახეთით გაგდება და შვილის მოკვლა რუსეთის ხელმწიფეს მისწერეს და მეფე-მ ალექსანდრე-მ ამის-თვის ბატონს თეიმურაზს ვერ მოეხმარა, რომ ლევან დადიანი ძლიერი ბატონი იყო და მეფეს როსტომს მისი და მარიამ დედოფალი ცოლად ჰყვანდა, ყაენიც მწყალობელი და ლაშქრითა და სალაროთი მამხმარებელი ჰყვანდა და ყაენი ბატონს თეიმურაზს უწყრებოდეს. თუ მეფე ალექსანდრე, თუ იმერეთით და-ძვროდა დადიანი იმერეთს ჩამოუდგებოდა: ბატონი თეიმურაზ დარჩა იმერეთს და მეფე-მ რო-სტომ ბატონის-შვილის დათუნასი და მას-თან დახოცილის თავად-აზნაურთ თავები და ბახუტა სუფრაჩი და ბატონის თეიმურაზის დროშა ელიზბარ ბოქაულთ-უხუცის ხელით ყაენს გაუგზავნა: ყაენს ყანდაჰრის ასალებლად გაელაშქრებინა, ესენი ბასტამის ჩიმანში წინ დაახვედრეს, ყაენ-მან ულუფისა-თვის კარგ ნიშნად ბძანა და კახეთი როსტომ მეფეს მისცა. და სამი სოფელი განჯაში ელიზბარს უბოძა და ხუთასი ხალათი ქართველთ გაუგზავნეს და მეფეს როსტომს თაჯი, თომარი და მურასა ხმალი ყაენის ფეშში (ყელ-სახვევი) და ხალათი და ოქროს იარაღით-შეკაზმული ბედაური ცხენი უბოძეს და ყაენი ყანდაჰარ-ზედ წავიდა და მრავლის ბრძოლითა და ომითა და ლაშქრის ამოწყვეტითა და სიბის მიტანითა და შეთხრა ციხეში შესვლით, უწინ ყალაი-ბისტი აიღეს და მაშიგან მყოფი ხანი და უფროსნი კაცნი ხელ-ხუნდით ყანდაჰრის ციხეს ქვეშ გაატა-რეს, რომ მაშიგ-მყოფთ ყაენებსა და სულთნებს შეეშინდეს და ციხე მოსცეს:

## §. 11.

### ქორონიკონს სამას ოცდა-თხუთმეტსა, შაჰბაზ ყაენ-მან ყანდაჰარი აიღო:

მრავლის ბრძოლითა და ძალ-მიტანებითა და მრავალი კაცი დაიხოცნეს სიბასა და იერიშს ზედან, აიღეს და ყიზილბაში შიგნით შეუსვნეს, ციხე-ქალაქი დაარბიეს და მრავალი იშოვნეს და ინდოეთის ხელმწიფისა-გან დასმული ხანი თავისის ყმებით ყაენის წინ მოასხეს: ხანი და თავ-ნაჩენნი კაცნი თან-წამოასხეს და სხვათ უვნებლობის ნიშანი უბოძეს. რომ სადა უნდოდეს წარ-

ვიდნენ და ყანდაჰრი მერაბ-ხანს მისცეს და ყაენი მაშათს წამოვიდა: მეორეს ზაფხულს ინდოეთის ხელმწიფის შვილი დიდის ლაშქრით ყანდაჰრს შემოადგა და ყოველ-გნით სიბები წინ-წაიღეს და შიგნიდამენ და გარედამენ დაუშინეს თოფებსა, ზარბაზნებსა და გარედამენ ზანაგს ესროდეს და სიბები ხანდაგს მიაწია და ზოგი კიდეც გასცილდა. შეიქნა იერიში კედელ-ზედა და შიგნიდა-მ კარგად იყვნენ, ნამეტნავად ყიზილბაშნი, კაცის მძოვრით აივსო ხანდაგი და ინდოელთ გასაკვირ-ვებელი ომი გარდიხადეს და სიკვდილისა-თვის საღველი და შეწყენა არ იცოდეს. მაგრა ციხე ვერ აიღეს და ქება ითქვა იმ დღეს ინდოთ მეომართა და კარგადაც იყვნენ და სამ-ჯერ გასა-ჭირი იერიში ქნეს და ციხე ვერ აიღეს: ამისთანას დროს მერაბ-ხან ციხეში მამკვდარი-იყო. მკვდარი მიფარვით შეინახეს და მაშინც ციხე ვერ აიღეს და ხემწიფის შვილი ბევრს გაისარჯა და ციხე ველარ აიღო და გარჯილი და ლაშქარ-ამოწყვეტილი დაბრუნდა და ყანდარი ყაენ-მან ოთარ-ხანს მისცა და ინდოეთის ხელმწიფეე-მან ოთარ-ხანს ზედანც თავისი უფროსი შვილი. დარაბუქუ მრავლის ლაშქრითა და თოფხანით გამოუძახა, ოთარ-ხანს ციხეში გარ-შემოადგა და როსტომ-ხან, დექენის ბატონი, ინდოეთის ლაშქრის სარდარი ყალაი ბისტს-ზედ გამოგზავნა და შაჰაბას-ყაენმან მურთუზა-ყული-ხან ბეჯირლუ ყორჩი-ბაშს სარდრობა უბოძა, ერანის ლაშ-ქარი თან-გამოატანა და ინდოეთის ლაშქარს გამოუძახა, ვითაც ინდოეთის ხელმწიფის შვილი ყანდარის ციხეს იდგა. სარდარი ყალაია ბისტს-ზედ გამოეგზავნა და ლაშქარიც ცოტა ეგონათ და ყიზილბაშთ უკანა ლაშქარიც არ მოიცადეს:

## §. 12.

## აქა ომი ჰემრანდს ზედა ერანელთა და ინდოელთა ეს არის:

მურთუზა ყული-ხან ანაზდეულ ინდოეთის სარდარს დაესხა. იმათ რაზმი გარიგებული მზად დაახვედრეს, ვითაც ზღვა სავსე წყლითა, ისრევე ინდოთ რაზმი ათას კაცად იდგნენ და ალაგ-ალაგ ჩელად სპილოს მოსდევდეს და ისარსა და ფუნბარს მოისვრიდეს. მსროლი ისროდის და შკუ-დგის და სხვა მსროლი წამოდგის. მაგრა ლაშქარს არ-ვინ მოშორდის და ვერცა-ვინ ლაშქარში შეუვიდის და სითკენც ყიზილბაშნი შეუტევდიან ისინი ისარსა და ფუნბარს დააყრიდიან ან გარდმოაგდიან და ან გაქცევდიან, ბოლოს ინდოელთ გაიმარჯვეს: და ყაენმა მურთუზა ყული-ხან დააჭირვინა და ვითაც ნამსახური კაცი იყო არ მოკლა და ყუმს ოთურალი უბძანა: მაგრა ინდოელთ მაშინ ყანდაჰრი ვერ აიღეს. ხელმწიფის შვილი ლაშქარ-ამოწყვეტილი დაბრუნდა და მაჰ-იჯან ინდოეთის ხელმწიფეს შვილები შეეცილნეს. ოთხნი ძმანი გარდვიდნეს და რომელსაც ავრენგზიბ ერქვა ამან ჭკუით ყველა დაატყუა და თვითან გახელმწიფდა, ძმები დახოცა, მამა ტყვედ ნაგდო და ქვეყანა დაიჭირა და ძმის-წულები წაუვიდნენ და ინდოეთის გარეშემო მემკვიდრეს ბატონებს შეეხვეწნენ და დაუწყეს ომი და ბრძოლა. ამის-თვის ყანდაჰრს აღარ მოვიდნეს, ხალიფა სულთან ეტიმადოვლე მოკვდა და მისი ალაგი და ვაზირობა მაჰმად ხანს ეტიმადოვლეს მისცა ყაენმან:

## §. 13.

რა მაჭმადხან ეტიმადოვლე შეიქნა, ყაენი ყაზმინს მოვიდა: როსტომ მეფემ ბატონის-შვილს ლუარსაბისა-თვის თავისის დის-წულის ადამ სულთან ენდრონიკაშვილის ქალი თამარი ყაზმინით ქალაქს მიიყვანეს და ლუარსაბ თავისის ბიძის ვახტანგის შვილის თეიმურაზ მირზას შვილი იყო და მეფემ უშვილობისა-თვის იშვილა და საუფლის-წულოდ მიიყვანა, რომ მეფეს უკან ქართლი მისი იყოს და ადამ სულთნის ქალს თამარს-თან გასაკვირებელი და სახელოვანი ქორწილი უყო, ქართლი და კახეთი ფეშტუქუ, ისპაჰნის მოურაობა, ხუისი, სამასი თუმანი, გილანით და ქალაქის ზარაბ და ხუთი-ათასი კომლი თათარი-ელი და ოიმახი როსტომ მეფეს აქონდა და მტერი არსით ჰყვანდა: იყო საქართველო მოსვენებით, ლხინსა და ნადირობაში და რა ბატონის-შვილის ლუარსაბის ქორწილი გათავდა, ვინც ჯალაბობრივ ქორწილს მოსრულიყვნენ ყველას მრავალი საჩუქარი მიართვეს და გაისტუმრეს და მეორეს გაზაფხულს მეფე და საქართველოს უფროსნი, დედოფალი, თავადების ჯალაბებით კახეთის დასავლელად წავიდნენ ქალაქით, ლილოზედ მივიდნენ, იქ თოვლ-ჭყაპ-მან ძალი ქნა, სამგორს მივიდნენ და ინადირეს და საიისწალაში დადგნენ, მანავის ბოლოს, მივიდნენ და საგარეჯო ჩაინადირეს და ბუყან-ბალს მივიდნენ, ისიც ინადირეს, იქით შირაქებში ჩავიდნენ და ორივე შირაქები ინადირეს, ქისიყს მივიდნენ, მალაროში დადგნენ და იქიდამენ ოფადარს მივიდნენ და იქ დადგნენ და ვარცლები და ალიტლები ინადირეს და ალაზნის-პირს გარდვიდა, ბაშინკალს ზეით დადგა. სამს დღეს უკან აიყარა და მეოთხეს დღეს თოფ-ყარაღაჯი ინადირა, მრავალი ირემი და ჯეირანი და სხვა ნადირიც მოიკლა და ფრინველთ ანგარიში არ იქნებოდა: იქიდამენ წინა მინდორში მივიდნენ და ნახევარი ინადირეს და ათას ხუთასი ამ ნახევარს მინდორში ნადირი, რომე რაც მეფეს წინ მოილეს, იმაების გარდაისად რომ თავ-თავისთვის წაელო, ზოხობსა და ფრინველთ გარდა, იქიდამენ აიყარა და ამავე წინა მინდვრის ნახევარი ინადირეს, ჯერ აქ უფრო ბევრი ამოსწყდა და იქით, აბელის მონზედ მივიდნეს: მეფისა-თვის ჩალური სახლები დაედგათ, იმაში დადგნენ ერთს კვირას და იქიც მრავალი ღორი, ირემი და შველი და ხოხობი ინადირეს, იქით აიყარნეს ნადირობით, ახლო-ახლო ჩამოხტომით ალავერდს მივიდნენ. ალავერდის საყდარი ბატონის-თეიმურაზის დროს დაქცეულ-იყო და აშლილობისა-გან არ დასცალებოდა, რომ აეშენებინა და მეფეს როსტომს მისი დაქცეულობა აეშენებინა: ათს დღეს იქ დადგნენ, იქიდამ ალონს გავიდნეს, მიცვალებულთ მეპატრონეთა-თვის, რომ ალავერდს ემარხნენ, მარიამ დედოფალ-მან ჟამი უწირვინა და ჭამა-უყო და ალაში გარდიხადა და მეორმოცენი დაუყენა და ყველა ცალკე-ცალკე გამოიტირა: რა იქ იყვნენ წირვა არ დააკლო, ალაზნის წყალს გავიდნენ და ოცს დღეს ალონს დადგნენ, იმ ალონშიგ და მის გარემოს მრავალ სხვა და სხვა ფერი ყვავილნი, იანი და ყაყაჩონი გაშლილ-

იყვნენ: იქით აიყარა და ორს დღეს-ზედ გრემს მივიდა, იქ მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულ-დანგრეულ ვნახეთ, უკარო და უშუერო ნადირთ სადგომ-ქმნილნი: რა როსტომ მეფე-მ ამ რიგი სახელმწიფო სასახლე ასრე აოხრებული ნახა, საწუთროს გაუტანობლას შეუწყინდა და ფარსადან გორგიჯანიძეს უბრძანა: „ამ სასახლის ასრე მინგრეულობისა-თვის ერთი მუნასიბი ლექსი გვითხარი:" მანც ეს ლექსი მოახსენა, ასე თქვა:

„მღვთის მეტა ყური მათხოვეთ, გრემის სასახლის ქებაო,
ვისაც გენახოს, ეს ასრე რად გული დაგედებაო.
ეხე სოფელი ცუდია, არ-ვის არ გასთავდებაო,
და ამის ამშენი რომ მოკვდეს, თქვენ ცეცხლი მოგედებაო:"

§. 14.

## სიკვდილი იმერეთის მეფის ალექსანდრეს ძმის მამუკა ბატონის-შვილისა:

იმერეთის მეფეს ალექსანდრეს თავისის ძმის მამუკა ბატონის-შვილის ნიშანი მეფეს როსტომ-თან გამოეგზავნა, გასამჟღავნებელი და სატირალი წიგნი მოეწერა: უწინ ლევან დადიანისა-გან ომშიგ დარჩენა, ტყვეობაში ტანჯვით შენახვა და თვალების დაწვა, მრავლის საცადურით წამება და უპატიოთ მკვდრის ყმაწვილობით სიკვდილამდისინ გაუკითხავთ, შეუსვენებლად, ათას რიგად ულირსად უკადრისის საქმით მოკვდინება წიგნით მოეწერა: და რა ნიშანი გაუშალეს და წიგნი ბატონს მარიამ დედოფალს წაუკითხეს, ვითაც თავის შვილს ოტიას-ზედ, ისრევე თმა გაშლით და მკლავ-ახსნით, გულ-მწუხარის ცრემლის-ფქვევითა, მამუკა ბატონის-შვილი მრავლის ქებით ტირილშიგან მოსთქვა და შავის ჩაცმით იგლოვა და სრულ-ქართველნი, თავადნი და დედანი და მანდილოსანნი, ვითაც საყვარელის შვილებ-ზედ, ისრე გულ-მწუხრად გამოიტირეს ნამეტნავად მრავლის სატანჯავის წამებისა-თვის. ამას სტიროდეს და ლევან დადიანს სწყევლიდეს: მეფე-როსტომ ქართველთა და კახთ ჯარით, მხარ-ნახვითა და თავს-ცემით, გულ-მწუხარად გამოიტირეს, დადიანს სძრახვიდნენ: აბა აქ გაშინჯეთ სამართალი ღმრთისა, რომ მაგიერი . . . ლევან დადიანს შვილი მოუკვდა და მამა-მ შვილის ტირილში ლახტი თავს გარდიკრა და შვილ-ზედ დააკვდა დაუმარხავს: მეფე ალექსანდრე ლაშქრით მიუხტა და მისი სალარო და საბატონო ყველა დაიჭირა და დადიანი კარგის წესით დამარხა და ლიპარიტიანი ვამიყ დადიანად დასვა და სალაროს სახეყარი მას მისცა და რაც კარგი და უკეთესი იყო მეფე-მ წამოიღო და რაც ლევან დადიანს მეფის გიორგის სახსარში უსამართლოდ წაეღო მეფეს გიორგის შვილ-მან მეფე-მ ალექსანდრე-მ სამართლით წამოიღო და ღმერთ-მან დიდის რისხვით მამუკას ბატონის-შვილის უდიერი ლევან დადიანს და მის შვილებს გარდაახდევინა და თავისის ხელით თავი მოიკლა და მის-გან

ნაძალდევად შეგროებული მრავალი ოქრო, ვეცხლი და მერასა და ძვირ-ფასი თვალ-მარგალიტი, რომ თავის-თავის მოუხმარებელი სხვას დარჩა და თვითან უშვილო გარდავლილა და ყველამ ასრე თქვეს: „ლევან დადიანის უშვილოდ გარდავლენა, მამუკა ბატონის-შვილის უსამართლოდ მოს-თხარა, სახლიან-შვილიან გარდავლილა. აბა ეს ნიშნად ყველა გვეყოფა, აბა აქ გათავდება იესოს ქრისტეს ნაბრძანები სიტყვანი: „რომლისათ საწყაოთ მიგიწყავსო, იმავე საწყავით მოგიწყვენო." აბა სამართალი აქ გათავდება და ნაძალადევი არ-ვის შერჩების: ვამიც დადიანი მეფის ალე-ქსანდრეს მორჩილი იყო: ამ ჟამს ბატონი თეიმურაზ რაჭას იდგა და რუსეთის მიემზადე-ბოდა. მეფე-მ წიგნი და კაცი მისწია: „ღვთის-გან ამ რიგი დიდი წყალობა დაგვემართაო, რუსეთს ნუღარ წახვალო, გინდა ოდიშს შიგ გაბატონდიო, თუ გინდაო ქართლსა, კახეთის მეფეთ დაგსვამო:" არ დაუჯერა და რა ბატონი თეიმურაზ იმერეთს გარდვიდა ქართლ-მან და კახეთ-მან მოისვენა, ლხინისა და ნადირის მეტი სხვა საქმე აღარ-ვის აქვნდა და კიდევ ძველე-ბურად ჩხუბს თავი აუღეს და ასრე თქვეს: „ჩვენი მეფე ბერი და უშვილო არისო და ლუარსაბ ბატონის-შვილიო თავის-თვის შვილად და ჩვენად საბატონოდ მოიყვანაო და საქართველოს თავადებსაო ყველას მაგისის ბაბის ვახტანგის მამული გვიჭირავსო და რა გაბატონდებაო, ყველას წაგვართმევსო და თავის-შვილს საუფლის-წულოთ მისცემსო, ჩვენ მოუგვარეთ რამეო: როსტომ მეფე ბერი-კაცი არისო, დიდს არას გამოეკიდებისო, რა ცოცხალი ვემსახურებითო და რა მიიცვალოსო, რომელიც ბატონსათ გვინდოდესო ყაენსა ვსთხოვოთო:" ეს ფიცი და პირი მალვით შეჰკრეს და შეიფიცნენ:

§. 15.

## როსტომ მეფემ განჯის გზაზე გატეხილს ხიდს ზეით დებადეზე გუნბეთით ხიდი ააგო:

სოფელი და ქარვასლასარაია ააშენა, რომ მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზათ დახვდეს: მეფე ქალაქით დედოფლითა და თავად აზნაურით იმ ხიდისა და ქარვან-სარაისა და სოფლის გასაშინჯავად მივიდა და იქ დადგა: თავადის შვილებ-მან ბატონის-შვილს ლუარ-საბს მოახსენეს: „მეფეო, ხუთს-ექვს დღეს აქ იქნებისო, თქვენ გაღმა გაბძანდით, ჭალა ისა-დირეთო:" ყმაწვილი კაცი იყო, იმასაც იამა და მეფეს დაეთხოვა, უწინ ნება არ მოსცა და კიდევ დაეთხოვა: მეფემანც ბძანა. „წავიდესო." გაღმა გავიდნენ, რომ ჯერგით ჭალაში ირემი და ღორი ინადირონ, ჯერგა გაარიგეს და ალაგ-ალაგ ნადირის მოსასვლელთ კარები უჭირეს და მეთოფენი ჩაუსხეს და საპატიოს კაცის შვილები, თავადნი და აზნაურნი მშვილდ-ისრით დაჰყვეს და თითოს კარს თითოს თავადის შვილი თავად უჭირეს და რა ჯერგამ ტყენი გამოიარეს და კარებს მოახლოვდნენ შეიქნა თოფისა და ისრის სროლა ღორებ-ზედან: ამ დროს ბატონის-

შვილს ლუარსაბს ხელს (1) თოფი ეცა და შეიქნა ტირილი და თავს-ცემა, ნადირობა მოიშალა და მეფესთან ჩაფარი გაგზავნეს, ამ რიგი ვაების ამბავი მოახსენეს: მეფე-მ ნამეტნავად იწყინა და ელიზბარ ბოქაულთ-უხუცესი ამავე ბატონის-შვილის დედის ძმა გაგზავნეს და ჰაქიმი და ჯარა თან-გაატანეს, თვითან მეფეც ჯარით მივიდა, ცოცხალს მიუსწრა. მაგრამე ყველგან ტირილი და თავს-ცემა იყო, მეფე ჩამოხდა და სადა ბატონის-შვილი თოფ-ნაკრავი იწვა, იმ კარავში შევიდა: რა ბატონის შვილ-მან მეფე დაინახა, ფეხს ზედა წამოდგომას ეცადა. მაგრამე ღონე აღარ შერჩომოდა, ვეღარ წამოდგა: მეფე-მ ქუდი მიწას დაახეთქა და შექნა თავს-ცემა და ტირილი და ბატონის-შვილს გვერთ მოუჯდა და გამოჰკითხა: „შუ თოფი სითკენ გეცაო და ან იქით ვინა-და-ვინ იდგნენო და ან გაიგნეთო თუ ვისი თოფი გეცაო:“ ბატონის-შვილმან ასრე მოახსენა: „თუ მოვრჩებიო, ჩემს მკვრელს მე ვიპოვნიო და თუ მოვკვდებიო თქვენ კარგად იყვენითო, რომელიც გიჯობდეს ისრე ჰქენითო:“ მეორეს შუა-დამემდისინ ცოცხალი იყო და მიიცვალა და ყოველს კარავში ტირილის ხმა და თავს-ცემა ამაღლდა, ვისაც უხაროდა ის უფრო სტიროდა და თავს იცემდა, აზრის არ მიხდომისა-თვის:

რა დილა გათენდა, თათარნი, თავიანთ წესით, ალმები და დროშები გაშალეს და მოლებნი მუსათვის კითხვით ხმანი აჯების მვლთის-წინაშენ ტირილით ამაღლდეს და ქართველნი და კახნი მხარ-ჩახდილნი ზარითა და თავს-ცემითა და ქება მოთქმით მიუტირეს. ცხენები მრუნდათ დაჰკაზმეს და კუბოსა და მცხედარს ძვირ-ფასის ნაქსოვები გარდაბურეს, სისხლიანი ტანისსამოსი მხლებლებ-მან მხარს გარდიკიდეს და თავადთ შვილები მცხედარს ქვეშ შეუსხდნენ და ალვაბრის გზით ქალაქში მიასვენეს და ქალაქთა შიგან შეიქნა დიდი ტირილი და ვაება და ყოველნი ვინმენი, თავიანთ რჯულის წესით, მკვდრის საკაცეს წინ გაეგებნენ, ბატონის-შვილის სასახლე ალვაბრის გზის პირ-და-პირ იყო: ბატონისშვილისა-თვის რომ თოფი ეკრათ, იმ ღამეს ბატონს თამარს, ბატონის-შვილის ჯალაბს, სიზმარში ენახა: „რომ თავი მამჭრესო“ და იყო ამ სიზმრის ნახვისა-თვის შეღონებული, დაინახა, რომ ალვაბრის გზით მცხედარი მოაქვთ და ქვეყანა მას მოსდევს სრულ მხარ-ჩახდილნი, ზარითა და თავს-ცემითა: რა ბატონ-მან თამარმან ესები ნახა, თავის გუნებით ასრე ბძანა: „ეს ამ-რიგი ღრიალიო არ ვისზედ იქნებაო, თუ არ მეფესა ზედანო და ან ბატონის-შვილს ზედანო, უსაცილოდ ჩემი ნახული სიზმარი ეს არისო, ან მეფე მომკვდომიაო და ან ბატონის-შვილიო:“ თავი კედლისა-თვის ეკრა და ვითარცა უსულო მკვდარი შექნილი იყო და წყლის სხმით მოესულიერებინათო, ქმარი თოფით მოკლული შინ მოუსვენეს და სრულ ქართველნი და კახნი ჯალაბობრივ ქალაქში მოვიდნენ და მეფე თვითან და მარიამ დედოფალი სწორამდისინ ბატონის-შვილის სასახლეში ჭირის-უფლად ისხდნენ და ყოველ-მან კაც-მან შეძლებითა და შეფერებითა თავიანთ წესით მიუტირეს და გარდასაბურავი

(1) ვახ[illegible] ქრონიკონში, გვერდი 85 რომელიც დაიბეჭდა 1850 წ. [illegible]

მიართვეს. ჭამა ალაში, გაცემა თათრისა და ქართველთ წესითა გარდიხადეს და მკვდარი არდაველს შახ-სეფის სავლავში მიასვენეს:

რა არდაველს ერთის დღის სავალს-ზედ მოახლოვდნენ, არდაველის ხანი და შახ-სეფის მუ-თაველი მხალისლამი, ყაზი და ქალანდარი და მოლანი და თაბილელმნი და მუშტაიდნი და მერჯულენი მუსაფის კითხვითა და დროშა ალამით წინ გაეგებნენ: და რა ქალაქს არდაველისას მოახლოვდეს სრულ მოქალაქენი დიდნი და პატარანი გაეგებნენ და დიდის პატივით მოასვენეს და შახ-სეფის სავლავს ახლო მიწას მიიღეს: და როსტომ მეფე-მ ეს ამბავი ყაენს მისწერა და ვითაც ყანდაჰარს-ზედ ლაშქრობა იყო, თემის აშლილობისა-თვის მეფე ამის ქებნას აღარ გამოუ-კიდა. მაგრა ვითაც ბარათაშვილ-მან სიაოშ თუმანია-შვილს ბაინდურს დასწამა და ასრე უთხრა: „შენი ნასროლი თოფის ფინდიხი ეცა:“ ამის-თვის სამართალს-ზედ ესენი შეაბეს:

ამ ჟამს ბარათა-შვილი სიაოშ და თუმანის-შვილი ბაინდურ სამართალ-ზედ შეაბეს, ვითაც ყოვლს რჯულში მართებულია, ხელმწიფეთ შეწყენისა და შემცოდლობის დარიდება, სამეტნავად უკადრისობის შებედვა და მათს სისხლში გარევა, ქართლში ქართველნი მრავალნი და ძრიელნი არიან და სომეხნი ცოტანი და უღონონი და მათ-გან ამ რიგის საქმის თქმაც ძნელია. თორა და ქნა: და ქართველთ უნდოდა ეს სისხლი სომეხთ-ზედ დაეტეხა, ამის-თვის უღონონი იქმნეს სომეხნი, რომ სხვა რიგად ფიცითა და ჯვრით არ გარდასწყდებოდა და სიაოშ ბარათაშვილ-მან წამოსთქვა: „რომ თუმანისშვილ-მან ბაინდურ ჰკრა ბატონის-შვილს თოფით:“ იმან ასორო თქვა. ამის-თვის სამართალს-ზედ შეაბეს და ბძანებითა მღვთისაითა სამართალი გაცხადდა. ორნივე თავიანთ რჯულის წესი გარდიხადეს და შესაბმელად აემზადნეს. მეფე და თათარნი სომეხთა-გან მოდგნენ და დედოფალნი და ქართველნი სიაოშ მიუდგნენ, მეფეს მოახსენეს: „ამ რიგი საქმე-ნი უხმლოდ არ გარდასწყდებისო:“ მეფემანც ბრძანება ქნა: „თავიანთ რჯულში, რაც მართე-ბული იყოს გარდიხადონო და პაემანი დაუდვან ერთმანეთსაო. შებმის დროს ჩვენს კარს მო-ვიდნენო:“ მეფის ბძანება გაათავეს, გაინდვნეს და ინანეს და თობა და თმობა აუთქვეს, ანდერძები გაათავეს და ეზიარნეს და ავის ნაქნარნი ინანეს და ვის-თვის შეეცოდებინათ, შეეხვეწნენ და შენ-დობა ითხოვნეს და ვისიც რამე ემართა გარდუხადეს. თავიანთ საყდრები დაიარეს და შესაწირავი მიართვეს და რაც შეეძლო გლახაკთა და უღონოთ მისცეს, ორშაბათსა და პაემან-ზედ თბილის ქალაქს მოვიდნენ და მეფის სახლის პირ-და-პირ მტკვარს გაღმა საომრის ალაგად უჩინეს. რომ ყველგნით დასჭვრეტდეს: ორნივ საომრის იარაღით შეიმოსნეს და ცხენს შესხდნენ და გაღმა გავი-დნენ და მეფე-მ ექვსი იასაული უჩინა საომრის ალაგ-ზედან და ციხის კარები დაუგდეს, რომ არც-ვინ შეუშვან და არც-ვინ გამოუშვან და ერთმანეთის მოშორებით ცხენით იდგნენ: გამო-ღმიდამ დაუძახეს: „ომისა და შეტევის დრო არისო:“ უწინ ცხენ-ჭენებით სიაოშ მოუხდა და შუბი შემოსცა და ზედ შეამტვრია, ჯაჭვი გაუტეხა და გვერდში გასჩარა, შუბის პირი შიგ შეარ-ჩინა. ამას უკან ბაინდურ მიუხდა და შუბი შესცა და ბარკალ-შიგ შეამტვრია და გასტილდა: აწ

სიაოშ წაეწია და ლახტი სცა და გასცილდა, აწ კიდევ ბაინდურ მიეწივა და ლახტი სცა. მაგრა ვითაც თავისის სისხლით ხელი სოველი აქვნდა, ლახტი გასხლტა და ცხენ-მან თავ-გამზიდვარობა ყყო და სიაოშ ლახტის ცემით მისდევდა, ბაინდურ ხმალს ხელი წაიკრა და უკან უკუ ქნია და სიაოშს საცხვირეში მოახვედრა და ფიცხლად ცხენით გარდმოვარდა და თათართა და სომეხთა-გან შეიქნა ხმა-მაღლა „ალაჰ ალაჰ" ძახილი. ბაინდურ მოსაკლავად სიოშს მიუხდა, იასაულებ-მან არ დაანებეს, მაგრა ცხენი მაშინც მოუკლა: მეფე-მ ბძანა: „სიაოშ ციხოვანით ტყვეთ მიაბარეს და ბაინდურ ამ დაკოდილობით, ისრევე საომარ-ცმული, თავისივე ცხენ-იარაღით გამოღმა გამოვიდა და მეფეს თაყვანის-სცა და ასრე მოახსენა: „თქვენს მტერს უნდოდა შევბმოდითო, ორნივ უბრალონი ტყუვილად შევიხოცენითო" და თავის სადგომს წავიდა და მეფე-მ ჯარა და მომია გაუგზავნა მრავლის სარჯილით შუბის პირი ამოართვეს, ორს წლამდისინ დაკოდილი ძლივს გაუმთელდა: სიაოშ და ქართველთ იპატივეს და მისი ჯაჭვი და იარაღი მეფე-მ ბაინდურს მისცა და ბატონისშვილ-მან ცუდად ჩაიარა, ვითაც ბატონის-შვილის ჯალაბი მეფის დის-წულის ადამ სულთნის ქალი იყო, მეფე-მ ბრძანა: „ბატონის-შვილს ლუარსაბსაო ძმა ჰყავს ვახტანგ, სახელად უქვიანო იმას ჩემად შვილად მოვაყვანინებთ და ბატონის-შვილის ჯალაბს იმას შევრთავთ, თათართ წესით ერგებისო. რად-გან ორნივ მუსურმანი არიანო:" ეს იწყინეს, მაგრა ვერა თქვეს რა:

## §. 16.

## აქა მეფე-მ როსტომ თურმან ყაენთან გაგზავნა და ვახტანგ ბატონის-შვილი საუფლის-წულად სთხოვა:

ყაენი მაზანდარნას ბძანდებოდა, თურმან მეფის არზები მიართვა და ვახტანგ თავისის ბიძის ვახტანგის შვილის თეიმურაზ მირზის შვილი ვახტანგ შვილად სთხოვა და ვახტანგ კარზედ არ იყო. ყაზმინს მოურავად იჯდა: ყაენ-მან ბატონის შვილს რაყამი მისწერა: „როსტომ მეფეს შვილად უთხოვნი-ხარო, თურმან მანდ გიახლებისო, შენი საქმე კარგად გაირიგეთო და ჩვენს კარ-ზედ მოდითო, ხალათი ჩაიცვითო და აქედამენ გაგისტუმრებთო:" რა ეს რაყამი ყაზმინს ბატონის-შვილს მოუვიდა, დედამ მის-მან ასე თქვა: „უფროსი შვილი წამგვარაო და მამიკლესო, ახლა შენც წაგიყვანოსო, მე შენის მეტი არ-სად გამაჩნია რამეო, მე შენ არ-სად გაგიშვებო და არ-ვის მოგაკვლევინებო, მე თვითან ყაენ-თან წავალო, ან როსტომ მეფის სიცოცხლეში საქართველო შენ მოგცესო და ან საქართველოს სიახლოესაო ერთი ასეთი საბატონო მოგცესო, რომ როსტომ მეფის ხელის შემხედავი არ იყოთო და ან როსტომ მეფეს-უკან გაგისტუმროსო:" აქ არის ნათქვამი: „მწიფეს ესროდესო და მკვახე სცვიოდაო:" ბატონისშვილ-მან ვახტანგ თავისი დედა ყაენს-თან გაგზავნა, თურმანს უბძანა: „შენ საქართველოში წადიო და რისაც წამოსასვლელი შევიქნებით ჩაფარს გამოვგზავნით და დაგიბარებთ,

წამობძანდით და სწრაფით წავიდეთო:“ თურმანს შესაფერისი პატივი არ დასდვა და არც საჩუქარი მიართვა და გაისტუმრა: თურმან გულ-საკლული და გაჯავრებული როსტომ მეფეს-თან მივიდა და მრავალი საწყინარი ამბავი მოახსენა: „თქვენ შვილად მოგყავსო და ის ძმის მოკვლას თქვენ გაბრალებსო, მესისხლეს გეძახისო:“ მეფე ამა-ზედ გაჯავრდა და ასრე ბრძანა: „შვილად მინდოდაო, თუ ღმერთს ჩემ-თვის შვილი სდომებოდაო ის მაძლევდაო, ახლა სიდამდისინ ცოცხალვარო თვითან ვიბატონებო, ჩემს უკან ვისაც უნდა მისცესო:“ და ბატონის შვილის დედა ყაენ-თან მისულ-იყო და შვილის არ გაგზავნას საქართველოში შეხვეწნოდა, ყაენს ებძანებინა: „თუ წასვლა არ უნდა შენს შვილსაო, ნუ წავაო:“

ამ დროს ხალიფა სულთან ექტიმადოვლე მაზანდარას მოკვდა და მისი ვაზირობა და ექტიმადოვლობა მჭმ-ბეგს მისცეს და ყაენი ყაზმინს მოვიდა და მეფე-მ როსტომ ფარსადან გიორგიჯანიძის (1) ხელით ექტიმადოვლობის მისალოცავი ფეშქაში გაუგზავნა: ექტიმადოვლე კარგად დახვდომოდა, მრავალიც მოეცა და მეფის გამოგზავნილი ტაყვები და ჩემი მირთმეულიც ყაენს მიართვეს და ჩვენი სახელი მოეხსენებიანა და კარგ-ვვარად გაეშინჯებინა და ყაენს ებძანებინა: „გამოკითხეო, თუ რას-თვის მეფე-მ ლუარსაბის მკვლელი არ იპოვნაო:“ ერთს ღამეს ვეხმევ და ასრე მიბძანა: „რას-თვის მეფე-მ ლუარსაბის მკვლელი არ იპოვნაო;“ მერმე მე ასრე მოვახსენე: „თუ ფათერაკად სცემია, ცუდის კაცისა-გან იმას რაღა ძებნა უნდა და თუ შეკვრებით უკრავს მაშ დიდის კაცის საქმე იქნება და ხელმწიფე ინდოეთის-ზედ ლაშქრობით და თუ მოსძებნოს არამც საქართველო აირიოს და თქვენი საწყენი იქნას რამე, თორა და მას-თან მოძებნაცა და პოვნაც ადვილი არის:“ ამან ასრე მიბძანა, რომ ყაენს ასრე მოხსენებიაო: „როსტომ მეფეს მოუკვლევინებია:“ მე ფიცი მოვახსენე: „ამას-მეტად არ გამიგონია-მეთქი:“ იმ ღამეს ბატონის-შვილი ვახტანგ იქ ყოფილ-იყო და მე ვერ ვიცნობდი, მეორეს დღეს ჩემად სანახავად მობძანდა. მითხრეს: „ბატონის-შვილი მოვაო:“ წინ გავეგებე, ვიცან, რომ წუხელის ექტიმადოვლეს-თან იყო: როსტომ მეფის სიკეთის ამბავი მკითხა და მეც ტკბილად მამიკითხა და მადლი მოვახსენე და არ ხლების ბოდიში მოვსთხოვე და მეორეს დღეს სანახავად მივედ, აღარ გამამიშვა, კარგად დამხვდა და მრავალი ჭკვიანური სიტყვა ბძანა. და რა ყაზმინს ვიყავ მალე-მალე დამპატიჟის და რა გამისტუმრეს, მეფეს როსტომს არზა მისწერა და საამელი და თავ-დაბალი სიტყვები დამაბარა, მე იმ ზამთარს ლაჭიჯანს დამემყოფნა, მეფის სამასის თუმნის ასაღებლად. ბატონის-შვილის მინაწერი წიგნები და ან რაც ჩვენ-თვის ზეპირად დაებარებინა ისიც წიგნად მოვსწერეთ, მეფეს გაუგზავნეთ:“ რა ბატონის-შვილის მინაწერი წიგნი მეფეს წაეკითხა, ჯილავხანა თავლილი ჩემ-თან ჩაფრად ლაჭიჯანს გამოეგზავნა, წიგნიც ებოძებინა და ასრე ებძანებინა: „რასაც წამს ეს კაცი შენ-თან მოვიდესო, ფიცხლავ ყაენ-თან ჩაფრად წადიო და ჩვენი მინაწერი არზა მიართვიო,

(1) ფარსადან გიორგიჯანიძე გაგზავნილი იყო როსტომ მეფისაგან ხვარაზმის მეფისამდე ლუარსაბის სიკვდილის, 1649 წელსა.

ბატონის-შვილი ვახტანგ საუფლისწულოდ გვითხოვნიაო, სადა ყაენს იახლოო, ბატონის-შვილს გამოისტუმრებენო, შენ წინ წამოუძეხო და დიდის პატივით მოიყვანეო:" ლაჭიჯინიდამე მეხუთეს დღეს ყუმს ყაენს ვიახელ და მეფის მისაწერი არზა ხემწიფეს მივართვი და მე ეტიმადოვლისს დამაყენეს და ასრე მიბძანეს: „ისპაჰნს წავალთო და იქიდამ გაგისტუმრებთო:" რა ქაშანს მივე-დით მეფის ნაფარი მოვიდა ყაენის-თან ასრე არზა მოეწერა: „თუ ბატონის-შვილი ვახტანგ არ გამოგესტუმრებინოსო, სულარ გამოისტუმრებთო, მეხრანის ბატონი გამოგვიგზავნიაო, ის წამოუძღვანეთო და ფარსადან ისრევე გილანს წავიდესო და თუ გამოგესტუმრებინოსო სულარ მოაცდევინებთო, მალე წამოვიდნენო:" და ჩუმოვისცა ასრე მოეწერა, ეს წიგნიცა და ნაფარიც ქაშანს მოგვივიდა, ჩვენ ისევ გილანს წავედით და ყაენი ისპაჰანს მიბძანდა და მეხრანის ბატონი ისპაჰნს ნასულიყო, ყაენი კარგად დახვედროდა, ვახტანგ ბატონის-შვილი ავად გამხდარ-იყო და მიცვალებულიყო: ეს ამბავი როსტომ მეფეს მოასხსენეს, სამეტნავად იწყინა და ხო-სია ბარათაშვილი ყაენ-თან ნაფრად გაგზავნა და მეხრანის ბატონი ყასიმხანად ეთხოვნა: ყაენ-მან წყალობა უყო და მრავალი მისცა და გაისტუმრა: რა ქართლს მოვიდა მეფემანც პატივი მოუმატა და ზოგ-ზოგი სავახტანგო სოფლებიც მისცა, ხემწიფის ნაბოძებს მამულის სიგლებში შვილობით დაანერინა, მეხრანის ბატონ-მან უფრო გამრიელება მოინდომა და მიივარვით მეფის კარგნი ყმანი შეიმოიფიცა, ნოდარს ციცის-შვილს თავის შვილის არჩილისა-თვის ქალი სთხოვა, და ზალ ერისთავის შვილს ზურაბს თავისი ქალი მისცა და მარიამ დედოფალმაც სიფიცარი უყოს. კარის-კაცი მეფის მალვით მატრონ-ყმობა-ზედ შეჭფიცეს. ამის-თვის რომ მეფის როსტომის უშვილობისა-თვის ქართველნი უიმედოდ იყვნენ, თავად დიდის ხნის ბატონი ბძანდებოდა, და სი-ბერეს დიაღ მოეტეხა და მერმე შვილი და ახლო სათესავი არა ჰყვანდა. ამის-თვის ნათქვამია: „ყოვლს სიგლახესაო სიბერე უარესიაო" და მრავალი სახელმწიფო და სამეფო და სათავადო და ვაჭართა და გლეხთა თავიანთ წესითა და შეძლებით უშვილობისა-გან მოიხრილან და მათი ქონება, მორჩმა, ტახტ-გვირგვინი და საღარო, ქვეყანა და ლაშქარი სხვას დარჩომია:

## §.17.

## ქრონიკონს ტმდ, ამ ჟამს მეფემ როსტომ ისპაჰანის მოურაობა მე ფარსადანს მამცა:

ყოვლის მოართვითა და გაწყობითა ისპაჰნს ნამოველ. ბეგლიერ-მან მჯმბან ყაენ-მან კარგის თვალით მნახა და დიდი პატივი დამდვა, ასე რომ უფროსი ერთი სადივანბეგოს სამსახურს მე მიბძანებდა: ესეები დივანბეგს ეკავა და ისპაჰნის ლოთებს ასწავლა, ტყვილად ამოიღიალა და მრავალი ტყუვილი მოგონება აიქმევინა, ეს ხელმწიფეუმ შეუტყო, დააჭირვინა, თვალები დასთხარა და რაც აქვნდა ყველაკა წაართვა და მე ეშიკაღასობა მიბოძა და ხუთი სოფელი გულფეიქანში

სარჩოდ გამიჩინა, მე ყაენის კარს დავრჩი და ჩემი ყმანი საქართველოში დარჩნენ: ამასობაში სეხნია თურქისტანის-შვილი საქართველოდამ ჩაფრად მოვიდა, როსტომ მეფეს ყაენ-თან არზა მოუწერა: „ლევან დადიანი მოკვდაო და მისი ქვეყანა და სადარო მეფემ ალექსანდრემ დაიჭირაო და ერთი დადიანის შორ ნათესავი დადიანის ალაგ-ზედ გააბატონაო და მისი ძმა და ძმის-წულები ჩვენ-თან არიანო და ოდიშელნი ამათ ითხოვენ თავიანთ საბატონოდო და ჩვენ შეძლების ღონე აღარა გვაქვსო. ერთი რაყამი მუხრანის ბატონს უბოძეთო, რომ ჩემს უკან მეფობა მისი იყოსო, რომ ჯარსა და ლაშქარს მის-გან შიში აქვნდესო, რომ მისდა სარდლად ვქნაო და ოდიშს გავგზავნო, რომ დადიანის ძმის-წული თავის სამკვიდრო-ზედ გააბატონოსო:“

ამ ამბავს უკან ადრბეჟანის ვეზირის-გან ჩაფარი მოვიდა. „როსტომ მეფე გარს მიიცვალაო და ადრბეჟანის ელი შემოუვრთხა და არაზის წყალს გამოვიდაო:“ ამ ამბავს ელოდენ სხვაგნიდამ, აღარ მოვიდა: ყაენ-მან ჯილავდარი მამუდ-ბეგ საქართველოში გაგზავნა, მართალი ამბავი მოიტანის, ერთს თვეს წავიდა და მოვიდა და ასრე ამბავი მოიტანა: „არ მომკვდარაო. მაგრა ავად ყოფილაო და ახლაც ავად არისო:“ ამის მოსვლა-ზე ზაალ ერისთვის ჩაფარი მოვიდა, ყაენ-თან არზა მოუწერა: „მეფე დიად შემძლებელდაო და ეგ არზები, რომ სეხნიამ წამოიღოო მეფეს მაგის-გან ამბავი არა აქვსო, ბეჭედი მოეპარესო, ნუ დაუჯერებთო, სიდამღისინ მართალი არ შეიტყოთო:“ ამ არზას-ზედ ხელწიფე-მ ასრე მიბძანა. „ფარსადანო, შენ იქა-ურობა კარგად იცითო ჩაფრად წადიო და მეფესა და მუხრანის ბატონსა და ზაალ ერისთავს ხალათები მიუტანეთო და ამ არზებისაც მართალი შეიტყვეთო, თუ მეფის მოწერილი არისო, თუ არაო, იქაურ საქმე კარგად გამინჯე და შეიტყევო და მალე გამობრუნდიო:“ მომცეს ხალათები და ასრე მიბძანა: „ქამდისინ ერისთავიო მუხრანის ბატონის სიკეთესა მწერდაო და ეხლა არ ვიცითო, თუ რასთვის გაავებულანო, ესეც კარგად შეიტყევო, როსტომ მეფე თუ ცოცხალი იყოსო მისვე შეკითხულობითაო გუჯარმაზარი დააწერინეო და საქართველოს თავადთა და უფროსს კაცებს დაბეჭდინეო. რომ როსტომ მეფის უკან ბატონად ვინ უნდათო. სეხნია თან-გამატანეს, ჩაფრად წადიო და ისრევე მალეო ჩაფრად წამოდიო:“ ხალათები ხურჯინებით დავიკარით, სამის ჩემის კაცით ისპაანით მეთორმეტეს დღეს ქალაქს მივედით. მეფე ავად იყო და ხალათი ლოგინში ჩაიცვა და ყაენის ნაბძანები სიტყვანი მეფეს მოვახსენე.“ იმან ასრე მიბძანა: „ორნივ ლაშქრით სომხეთის ჭალაში დგანანო, ჯერ ეგ ხალათები მიუტანე, ჩაიცვანო და ათიოდე დღე შენს სახლში დაჯდაო და როსაც გიხმო წამოდი და გაგისტუმრებო და აქაურს საქმეს ყველას ხელმწიფეს მივსწეროო:“ ქალაქით გორს მივედით, ბატონი დედოფალი გორს ბძანდებოდა და ძმის-წულები ოდიშის დასაჭირავად გაეგზავნა. იქ ვნახეთ და ყაენის ამბავი გვკითხა, მოვახსენეთ: მეორეს დღეს სომხეთის ჭალაში მივედით, სრულ ქართველნი და კახნი წინ მოგვეგებნენ, მუხრანის ბატონ-მან და ერისთავ-მან ყაენის ნაბოძები ხალათები ჩაიცვეს და ხელმწიფე დალოცეს და მუხრანის ბატონის კარავში მივიდნენ და სადილი იქ ჭამეს: მეორეს დღეს სადილათ ერის-

თავ-მან დაგვპატიჟა და მუხრანის ბატონისა-გან და თავისის სახლის კაცებისა-გან მრავალი საჩივარი ბძანა. მესამეს დღეს დავეთხოვე, გორს ჩემსა მოველ, რომე სიდამდისინ მეფის ბძანება მოვიდოდეს იქ ვიყო, სომხეთს ამბავი მოსვლოდა: ,,მეფე-მ ალექსანდრე-მ გაიმარჯვაო და დადიანის შვილები დახოცაო:“

§. 18.

## აქა ომი მეფის ალექსანდრესი და დადიანის ძმის-წულის ლიპარის მოკლვა:

ამა-ზედ ქართველთა და მესხთ ლაშქარი ლიპარს ახლდენ, მეფეს ალექსანდრეს შეებნენ, მეფე-მ გაიმარჯვა და ქართველნი და მესხნი ზოგნი დაიხოცნენ და ზოგნი დაირჩინეს და ზოგნი გარდაიხვეწნეს და გამოქცეულნი სომხეთს მოვიდნეს და ზაალ ერისთავი და ელიზბარ ერისთავი თავიანთ ლაშქრითა და კახნი ერთ-პირად წამოვიდნეს და ქალაქს მეფეს-თან მოვიდნეს, ალვაბარში დადგნენ: მეფე სიბერისა-გან ავად იყო და ლოგინად იწვა და ერისთვებ-მან ჯამალხან მეფეს მიუგზავნეს და მუხრანის ბატონიც ქალაქს ჩამოვიდა და ჯამალ-ხანის პირით ასრე შესთვლეს მეფეს: ,,რა თქენ ცოცხალნი ბძანდებითო, შენს მეტი პატრონი არ გვინდაო და თქვენს უკან სხვას საქართველოს ბატონს ჩვენ ყმობას არ უზამთო, ჩვენი ბატონი ყაენი არისო:“ მეფემ ასრე შესთვალა: ,,ჯერ ავად ვარო, ჩემი საქმე მოიცალეთო, ვნახოთ როგორ შევიქნებითო. თუ მოვიჯობინებ ყველას მე გავარიგებო, თუ-არა-და კახნი თქვენ-თან იყვნენო, სხას ხელი არ ჰქონდესო და მუხრანის ბატონიც ქალაქში თავის-თვის იყოს:“ მაგრამე მუხრანის ბატონ-მან მეფეს ასრე მოახსენა: ,,თუ ერისთავით იმერეთს გარდამეოლოდაო, მეფე ჩვენ-ზედ წამოვიდოდაო და დადიანის ძმის-წული ლიპარი ოდიშს დაიჭერდაო, რამდენ-ჯერ გარდასვლა მოვინდომეო, არც თვითან წამოვიდაო და არც ლაშქარი გამოუშვაო და რა ჩვენის ლაშქრის დამარცხების ამბავი მოვიდაო ფიცხლავ აიყარა და ქსნის ერისთავი და კახნი თან-წამოასხაო და ალვაბარში მოსულაო:“ იმასაც მეფემ ასრე უპასუხა: ,,ჯერ ავად ვარო და თუ მოვიჯობინებო ორთავ გაგარიგებო და თუ ვერ მოვრჩით მას-უკან რომელიც გიჯობდეს ისი ჰქენითო:“ რა მუხრანის ბატონ-მან მეფისა-გან ეს სიტყვა გაიგონა, მეფეს მსტოვი მაჭმად-ზამანა და თუმანის შვილი ბაინდურა თან-გამატანეს და ერისთავ-თან მიგვგზავნეს და ასრე შესთვალა: ,,თავ-და-პირველ შენ მოინდომეო ჩემი გაბატონებაო, ახლა რა შეგცოდეთო, რომ აგრე გაავგულებულ-ხართო შენის შვილისა-თვის ქალი მიმიციაო და რასაც მამულს იტყვი მოგართმევო:“ ესები ერისთავს მოვახსენეთ, იმან ასრე ბძანა: ,,როსაც მისი ბატონობა გამოვარჩიეთო და ჩემს ზურაბს ქალი მოსცაო, ნოდარის ქალი თავის შვილს არჩილს უთხოვაო. ჩვენს-შუა დამხდომი ნოდარ მამჰვდარაო, მაგრა თუმან და თბილელი ცოცხალნი არიანო: ქართლის მეფობა მაგის-თვის გვი-

თქვამსო და კახეთის ბატონობა. ჩემ-თვის ითქვა. თორა-ღა მაგას-თანაც მრავალ-ჯერ დამიფიცავსო, რომ როსტომ მეფეს უკან სხვას ქართლის მეფეს ყმობა არ უყოო, გინდა ეგ იყოსო, გინდა სხვაო.“ ეს ერისთვის ნათქვამი სიტყვები მეხრანის ბატონს ვახტანგს მოვახსენეთ: ამა-ზედ სხვა მოციქულები გაუგზავნა და იმათაც ესევ ანბავი მოუტანეს. მე ფარსადანს ყაენის ბძანება მქონდა. რომ მეჯალა გავაკეთო და ქართველთ დავაბეჭდინო და ყაენს, . . . . . .

## §. 19.

## აქა მეორედ ყაენთან მოსვლა ზაალ ერისთვისა და დიდის პატივის დადება:

ყაენის ბძანება იქნა. ისპაანის მოურავი, ვეზირი, ქალანთარი და ისპაანის უფროსნი და თავისი კაცნი და ყაენის ყულების უზბაშნი და ბინბაშები და თავადის შვილები წინ მიაგებეს და მოვიდა, ყაენის ალაყაფის კარს ემთხვია და მირზა თაყი ეტიმადოვლეს სახლში ჩამოასტუმრეს და მეჭმანდარი უჩინეს და ხელმწიფე-მ კარგის თვალით ნახა და მრავალი პატივი მიაპყრო და მრავალი უბოძა და საზამთროდ მაზანდარის სანადიროდ წაიყვანა და დადიანის შვილი შამადავლე და ქსნის ერისთავი იასე იასეს-შვილი ისპაანით საქართველოში გაისტუმრა და ერისთავი და ჩხეიძე გიორგი და კახნი მაზანდარს მიასხა, ანადირა, ალხინა, ჩრაღვანები აჩვენა და ხუთასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა და კახეთის ნაპირის ალაგიც ერისთავს უბოძა და სხვა კახეთი განჯის ხანს მისცეს და ერისთავი მორჭმითა და ყოვლის რისიმეთი მორთული მაზანდარით საქართველოს გაისტუმრეს: კახეთის ბატონს მურთუზა ყული-ხანს თაზუნათ მისცეს: ეს ამდენი ყაენის წყალობა ერისთვისა-თვის შეშურდათ და თავისავე მოყვრები უაზრობისა-თვის მოსატყუებლად შეუყენეს და აქეს და ადიდეს და ასრე მოახსენეს: „შენს დროშაით რას-თვის უნდა კახეთი თათრით აივსოსო, ასეთი რამე მოახდინეო, რომ საქრისტიანო არ წახდესო:“ ამაში ერისთავი ვერ ჩამოიყოლიეს ასრე ითქვა. „შვილი და სიძეო სიტყვით გაერიგნესო“ და კახთ ერისთვის მტერობით თუშნი ერთმანერთს შეაფიცეს, ასრე რომე, სადაც კახეთში თათარი დაესახლებინოს, დაესხან და ყათლამი უყონ: და ასრე ქნეს, დაესხნეს და სადაც თათარი ნახეს ხმალ-ქვეშ დაყლეს და ალიყული-ხან ქანგარლუ თვითან ციხეში გამაგრდა: ეს ყველა სხვათა ნაქმარი ერისთავს დააბრალეს და ყაენს მისწერეს, ყაენის ბძანება მოუვიდა: „ეცადეთ ერისთავი დაიჭირეთო ცოცხალი:“ მისი დაჭირვა ძნელი იყო, მისივე ძმის-წულები დაატყუვეს, მოღალატედ შეუყენეს და არხალუხით, ფარაღათად ჯდომს, უიარაღოსა და უჟამს-დროს წაუშინეს და ბიძა მოკლეს და ერისთვის-შვილი ზურაბ და მისი სიძე ქსნის ერისთვის-შვილი შალვა, ცოლის ძმა, ჩხეიძე გიორგი. თიანეთს ყოფილ-იყვნენ და იქიდამენ გაპარვით ფშავლეთის გზით ახალ-ციხეს მიმავალნი თათართ ენახათ და ეცნათ და ცხენ-შვენებით ცხირეთს მეფისა-თვის მოეხსენებინათ. მეფეს ჯარი გაეძახა

და მისწყოდნენ და გიორგი ნჩეიძე მოეკლათ და ერისთვის შვილები მეფეს-თან მოასხეს და მეფეჲმ ყაენს გაუგზავნა და ყაენ-მან უმცროსი ძმა შიგნით შეინახა და უფროსი ზურაბ ქირმანს გაგზავნეს და იქ თავისას დღით მიცვალებულ-იყო და ერისთობა თათარს მისცეს: კახეთი განჯის ხანს ჰქონდა, ბიძინა სუფრაში და ელიზბარ ერისთავი და შალვა თავიანთ ნებით განჯის ხან-თან მივიდნენ და იმან ყაენ-თან გაგზავნა და კახეთში თათართ ამოწყვეტა იმათ დააბრალეს: უწინ ბევრი ჰატივი დასდვეს. მაგრა შიგნით გარეთ სხვათა მოხმარებისა-თვის დაუწყეს ბეზღობა, დააჭირვინეს და განჯას გაგზავნეს და ვისიც კაცი კახეთში დაეხოცათ იმათ ხელთ მისცეს და უბრალოდ დახოცეს სამნივე და ქართველი მეფე გაძრიელდა და . . . . . .

## §. 20.

## აქა დარეჯან დედოფლისაგან თავისის გერის ბაგრატ მეფის თვალების დაწვა:

რა მეფე ალექსანდრე მოკვდა, დარეჯან დედოფალ-მან თავისი ძმის ქალი თავის გერს ბაგრატს შერთო და მეფედ აკურთხა. მაგრა თვითან მეფეც იყო და დედოფალიცა, ბაგრატს არა ფერი ეკითხებოდა და შეუჯდნენ დედოფალს ეშმაკივით მაცთურები და ასრე გამოურჩიეს. „ბაგრატ მოკალო და ჭუჭუნეის შვილი ვახტანგ ბაგრატოანი შეირთეო და მეფედ აკურთხეო და სიდამდისინ ცოცხალი იყოო, შენ იბატონეო და მანამდისით რუსეთით ძმის-წულიც მოაყვანინეო და ის გააბატონეთო“ და ბატონი თეიმურაზც რუსეთით ახალი მოსრული იყო და ხორეშან დედოფალს-ზედ მგლოვარედ იყო. სკანდაში ციხეში იყო: გაუწყრა ღმერთი მრჩეველსა, დარეჯან დედოფალ-მან ბაგრატ მეფე დააჭირვინა და თვალები დაუთხრევინა და მეფობას თავის მამას შეეჰატიჟა, მამამ უჯავრა: „რას-თვის ჩემს სიძეს თვალები დასთხარაო:“ სკანდით ქუთათის არ წავიდა, დედოფალმანც მამის ჯავრით ვახტანგ მეფედ აკურთხა და ქმრად შეირთო. რომელიც დედოფლის გერძნი არ იყვნენ, ქართლისა-კენ თავადნი ქართლის მეფეს საყმოდ შემოეჰატიჟნეს, იმერთ გარდიუვნეს ჩალმა-მხრის თავადნი, დადიანს საყმოდ შეეჰატიჟნეს და ქუთათის მოიყვანეს, ორნივ იმერეთს წავიდნენ: დედოფალმა ქართლის მეფეს წიგნი მისწერა: „თუ მაშველებიო, ჩემს ქეიყვანსაო თქვენს არჩილს მივსცემო და ლიხთ იმერეთს მეფედ ვაკურთხებო“ მეფემაც სამასის მეიოფით კათალიკოზი მიაშველეს, ქუთაის ციხეში შეგზავნა და ოტია ჩხეიძემ უმუხანათა და ვახტანგ ახალი მეფე ფიცით ციხიდამ გამოიტყუა და დადიანს დააჭირვინა და თვალები დასთხარეს და გარეთ მეფე და დადიანი ასრე შერიგდეს. „რომ არგვეთს აქეთი ქართველს მეფესა და იმას იქით დადიანსა და მასუკან დადიანმა თვისი ქალი მეფის შვილს არჩილს მისცეს და იმერეთში გააბატონონ:“

ამ დროს არაგვის ერისთავი უკუნდგომოდა და ბატონის თეიმურაზისა-თვის სკანდის ციხეში კაცი და საფიცრის (წიგნი) გაეგზავნა. „რომ ქართლსა და კახეთს თქვენის მეტი მემკვიდრე პატრონი არსად დარჩომილაო, მანდ ნუ დგა-ხარ, კახეთს ჩაბძანდითო, ქართლიც თქვენი იქნებისო:“ ბატონს თეიმურაზს ეს ანბავი იამა და კიდეც ჩამოჭყვა და წამოსვლა დააპირა: ზოგ-ზოგნი კახნი, რომ ერისთვისა-თვის ავნი იყვნეს და შაჰნავაზ მეფისა-თვის კარგნი, იმათ ბატონს თეიმურაზს ასრე მოახსენეს: „რად გინდათ ამის-თანა სიცოცხლეო, რომ ზაალ ერისთავით, თუნდა გაგვაგდებსო, თუნდა გაგვაბატონებსო, ახლაო თუშთაო რაც კახეთში თათარი ყოფილაო, ამოუწყვეტიათო, ყაენს ერისთვისა-თვის დაუბრალებიათ, ახლა უნდა ილეთით ჩაგვასხაო და ჩვენ დაგვაბრალოსო, რომელიც თქვენი ყმანი ყაენ-თან ჩავიდნენო ბატონობა იშოვნესო და დღეს ყაენი შაჰნავაზ მეფის მწყალობელი არისო, რად-გან არც თქვენს ქალს მიუშვებლეთო და არც იმერეთი ინდომეთო, სხვა გზა აღარ არის ამის მეტიო, რომ შაჰნავაზ მეფის საქმითაო ყაენ-თან წაბძანდეთო:“ იმანც დაუჯერა და თავისი სახლთ-უხუცესი ოთარი შაჰნავაზ მეფეს მიუგზავნა და ასრე შესთვალა: „თქვენის საქმით მინდა ყაენ-თან წავიდეო:“ ეს ნამეტნავად მეფეს იამა და ამილახორი გივი გაუგზავნა და დიდის პატივით გარდმოიყვანეს კიდევ ზაალ ერისთვის კაცი მოუვიდა: „ცუდად ნუ ჩაიკარგებიო, ჩემსა მობძანდითო, ქართლი და კახეთი ორივ თქვენიაო:“ კიდევ კახთ არ აქნევინეს და ასრე შესთვალა, „გინდა მამცემო და წამართვამო, მე შესულს აღარა მინდა-რაო:„

აქა რევაზ ზაალ ერისთვის ძმა ყაენ-თან შაჰნავაზ ხანს ჩაფრად გამოეგზავნა და ასრე მოეწერა: „იმერეთი დავიჭირეთო და დადიანს შეა-გავეყავითო და ბატონი თეიმურაზ სკანდის ციხეში იყო და ხელმწიფის კარზე წამოსვლას შემოგვეპატიჟაო და ჩვენც ამილახორი გივი გავგზავნეთო და დიდის პატივით ქართლს მობძანდაო, ხელმწიფის ბძანება რა იქნებისო:“ ყაენს იამა და სომხითის მელიქის ძმა, მაჭმად-სულთან მემანდრად უჩინეს და ჩაფრად გაგზავნეს, რომ ბატონს თეიმურაზს წინ წამოუძღვეს და დიდის პატივით ყაენ-თან მოვიდეს და ყველგან ფეშქაში უყვეს და ყოველს მანზილს-ზედ, რაც მოუნდის სამასპინძლო მზად დაახვედრიან: რა ისპაანის სიახლოეს მოვიდა ხელმწიფის კარ-ზედ ვინც მზად იყვნენ ყოველი მდიდარნი და მათი შვილნი და მოხელენი და ქალაქის უფროსნი წინ მიაგებეს, ხანი იყო თუ სულთანი ყველანი გაეგებნეს და ალაყაფის კარს მოვიდა, ემთხვია და წინ წაუძღვნეს და მირზა თაყის ეტიმადოვლეს სასახლეში ჩამოახტუნეს და იმავე ღამეს ვახშამს უკან ყაენი თვითან მიბძანდა ბატონის თეიმურაზის სანახავად შეუტყობლად, ბატონი თეიმურაზ ძილს იყო და ხელმწიფე-მ თვითან გააღვიძა: რა იცნა რომ ხელმწიფე არის ფიცხლავ ფეხს მოეხვია და მოახსენა: „მე მაგას რასა ვღირს-ვარო, ხელმწიფე გარჯილაო, ყაენი გამხიარულდა, იმ ღამეს მეორეს სადილობამდისინ იქ ლხინი ნახა და მეორეს დღეს ათასი თუმანი თეთრი და ათასის თუმნის ფარჩა გაუგზავნა და ხელმწიფე-მ, ვითაც შვილ-მან მამას, იმ რიგად პატივი უმატა, ალხინა, ანადირა, კარგა შეაქცია. დედოფალს

ზედ შავი ეცვა, გამოუცვალეს: და ქართველს მეფეს გივი ამილახორი ბატონის თეიმურაზისა-თვის გამოტანებისა და შვენიერობისა-თვის და კარგ-საქციელობისა-თვის ყაენ-მან მოიწონა და დიდი პატივი სცა და მრავალი წყალობა დამართა და ხელმწიფე-მ ბატონს თეიმურაზს ასრე უბრძანა: „შენის შვილის-შვილი მამკვდარეო, კახეთსაც მოგცემო და სხვას მრავალს წყალობასაც დაგმართებო:“ ამა-ზე ბატონ-მან თეიმურაზ გიორგი ჩერქეზი და ბებურის-შვილი გაგზავნეს და ყაენ-მან აბასყული-ბეგ თან-გაატანა, ერეკლე ბატონის-შვილის მოსაყვანად:

რა ესენი მივიდნენ ბატონიშ-შვილი თუშეთ არ გამოუშვეს. ეს ამბავი ყაენს მოახსენეს, იწყინა და არ მოსვლა ბატონს თეიმურაზს დასწამა, გაუავდა და ბატონი თეიმურაზ ასტარაბადის გაგზავნა და ცოტას ხანს უკან იქ მიიცვალა და ანდერძი ექნა, რომ კახეთს თავის მამა-პაპათ სასაფლაოში, ალავერდის საყდარს მიიტანონ და როგორც ანდერძი ექნა ხელმწიფეს მოახსენეს, ბძანება იქნა: „წაიღონო“ და მიიტანეს, მისი ყმანი ზოგნი მცხედარს გაატანეს და ზოგნი ხორასანს და ყანდარს გაზარეს:

ამ დროს ურუმთა-გან ჩაფარი მოვიდა: „ჩვენსა და თქვენს შუა წყობა არისო, შაჰნავაზ-ხანს იმერეთი რას-თვის დაუპყრიავსო, ოდიშ-შიგ ცოლის ძმა დადიანად დაუსვამსო და იმერეთში შვილი გაუბატონებიაო, არ-ვიცითო თქვენის ბძანებით უქნიაო, თუ თავისის ძალითაო:“ ამათ ასრე მისწერეს: „დაუშავებიაო და ჩვენ გარდავახდევინებთო:“ ამირ ჭამშსა-ხან თალიში გაგზავნეს, იმერეთი დაუცალეს და მეფის-შვილი არჩილი და გივი ამილახორი მაზანდარას ყაენთან მოვიდნენ, კარგად დახვდა და მრავალი წყალობა დამართა და ორნივ დაათათრა და კახეთი არჩილს უბოძა და შანაზარ-ხან დაარქვა და ყოვლი სამეფო იარაღი და ქარხანები უბოძა და კახეთს გაგზავნა, ქართლში მამა მეფობდა და კახეთში შვილი ბატონობდა: კახთ ასრე მოახსენეს: „თუ გინდათ რომ ეს ქვეყანა საბოლოოდ თქვენ დაგრჩესო, ჩვენის ბატონის ქალი შეირთევითო:“ ეს მეფე-მ ყაენის შიშით ვერ გაბედა და ამასობაში ბატონის-შვილი ერეკლე თუშეთიდამ კახეთში მამაშვილს ღამით თავს-დაესხა და მრავალი კაცი მოიკლა, ზოგნი გაიქცნენ და ზოგნი შანავაზ მეფესა და მის შვილს ბატონს არჩილს-თან გათენებამდისინ იბრძოლეს და და მეფე ადგილით ვერ დასძრეს. რა გათენდა ქარანები დაამახეს, დაიფანტული ლაშქარი მოგროვდა და ჯარი თუშთ უკან გაადევნეს და მიეწივნეს და მრავალი თუში მოკლეს და წანაღები ნაშოარი გააყრევინეს და ბატონის-შვილს ერეკლეს ვერ წაეწივნეს და მეფე და კახი ბატონი ქალაქს მოვიდნენ და თუშების თავები ყაენს გაუგზავნეს: და მეორეს გაზაფხულს კიდევ ერეკლე ბატონის-შვილი მარტყოფს მოუხდა ცოტას კაცითა. მეფე-მ ლაშქარი შეიყარა, თათრის ჯარიც მოეშველა და უჯარმის ბოლოს ომი აჰკიდეს და სიცოტავით ქართველთ ველარ გაუძლო და ისრევე თუშეთს წავიდა და დედა მის-მან თორღის ციხე უკუ-ჰყრა და კახნი ზოგნი თან-გაჰყვნენ და ზოგნი ციხეში შეჰყვნენ: შვილს თვეს მეფე ლაშქრით ციხეს გარ შემოადგა და ვერ აიღო. მაგრა ციხოვანნი შეჯერდნენ: ერთს ღამეს დედოფალმა თუშური ჩოხა ჩაიცვა და საფეთე მშვილ-

ისარი შემოირტყა, ბოხოხის თუშური ქუდი დაიხურა და ციხიდამ ჩამოვიდა და მეფის ლაშქარშიგ გაიარა და თუშეთს მივიდა. მეორეს დღეს, რომელიც კახნი ციხეში იყვნენ მეფეს შემოეხვეწნენ და უვნებლობის საფიცარი სთხოვეს: ამათაც მისცეს და იმათაც ციხე მოსცეს და აიარლით მეფე აიყარა და ქალაქს მობძანდა:

ბატონის-შვილი ერეკლე დადიანით იქავე თუშეთს იყვნენ და დარეჯან დედოფალი ახალ-ციხეს იყო და თავისი ძმის-წული ქეთევან დედოფალი გვერდს ახლა და მრავალი მურასა იარაღი და თვალ-მარგალიტი აქვნდა, ფაშას ქრთამად მისცა და ბაგრატს იმერეთი წაართვეს, დარეჯან დედოფალს მისცეს: ბაგრატ ლეჩხუმს გაეცალა, დედოფალ-მან თავის დარბაისელთ უბრძანა: „წადით თქვენს ადგილსაო, ცოტას ხანს თქვენს სახლში მოისვენეთო, დიდი ხანია ჩვენის გულისათვის ირჯებითო:" დარბაისელნი თავისას წავიდნენ და დედოფალი და მისი თვალებ-დათხრილი ქმარი ვახტანგ იქ დარჩნენ, თავის-თავის იყვნენ, მიუხდა დასნდობილს, ფიცი გაუტეხა და წაუშინეს და მეფე დედოფალი ორნივე დახოცეს და მათი მკვლელიც იმერელთ დახოცეს და ისრევე ბაგრატ მოიყვანეს და გაბატონეს და ქეთევან დედოფალი ახალ-ციხეს ფაშის სახლში დარჩა, შვილივით ინახევდენ:

## §. 21.

### ქორონიკონს ტნე, შააბაზ ყაენი მიიცვალა და შაჰ სულეიმან, შვილი მისი გახელმწიფდა:

ვითაც ახალი ხელმწიფობა იყო აღარ-ვის იკითხა-რა და ნოდარ ციცი-შვილი მიცვალებულიყო, იმისი ქალი ბატონისა-გან არჩილისა-თვის ნათხოვნი იყო, იმ ქალის დაგდება და ქეთევან დედოფლის შერთვა უნდოდა და საბოლოთ ციცის-შვილის სისხლს ერიდებოდა, ტყუილი ძრახვა თქვეს, უქადეს და გაწირეს სული და ჰგმეს ღმერთი და ის დაუგდეს, ახალ-ციხის ფაშას ქეთევან დედოფალი სთხოვეს და მანც, ვითაც თავისი ქალი კარგის წესითა და მზითვით მოსცეს და ამათაც მრავალი მისაცემი გაუგზავნეს და საქებური ქორწილი გარდიხადეს: კახი ბატონი შაჰნაზარ-ხან ახალ-ნაქორწილევი კახეთს მივიდა და კახთ ჩვეულობით ისრევე დაიწყეს არეულობა და ასრე მოახსენეს: „კახეთის ბატონს გეძახიანო და უფროსიერთი კახეთი სხვათ უჭირავსო, მაშ შენ რისიდა ბატონი ხარო:" ეს სიტყვები კახ-მან ბატონ-მან თავის მამას შაჰ-ნავაზ მეფეს მოახსენა, მამა-მ ასრე პასუხი უბრძანა: „ჩვენ-გან არ მისცემიათ და არც წაურთმევიათ, თუ არ მემკვიდრის ბატონებისაგანო, როგორც ჩვენ მოგვცემიათ, ისრევე იმათ მისცემიათო" და შვილ-მან მეფეს ასრე მოახსენა: „რაც საკახეთო არისო ბედნიერ-მან ყაენ-მან მე მიბოძაო და მე არა-ვის არ დავანებებო, ერისთავი თქვენი ყმა არისო და თუ მათ-თვის მისაცემი გინდაო

ქართლიდამენ უბოძეთო:" ამა-ზედ მამა-და-შვილი დამდურდნენ. მაგრა შვილი ვერ დასთმო და ერისთვიანთ მოციქული გაუგზავნეს და შესთვალეს: „რაც საკახეთო მამული და ალაგი გეჭიროსთ დაგვიდევითო:" იმათ ასრე შემოუთვალეს: „ბედნიერ-მან-ყაენმანო კახეთის ნახევარი ზაალ ერისთავს მისცაო, ჩვენ თქვენის გულისა-თვისო იმის-თანა სახელოანი და შვიდს სამეფოში უამხანაგოთ ქებული და სწორ-უპოვარი ბიძა მოვჰკალითო და სრულ კახეთი თქვენ დაგანარჩუნეთო და რაც თქვენი მტერი გაჩნდა ჩვენ წაგიხდინეთო, ჩვენ სხვას მრავალს წყალობას მოველითო და თავად ყაენისა-გან მოცემული გვაქვსო და ვერც-ვინ უყასნოთ წაგვართვამსო:" ამა-ზედ მამა-და-შვილო-მან რჩევა დაიწყეს და ასრე თქვეს: „ამათ ამოუწყვეტლად ეს მამული არ წაერთმევისო, მაშ ესენი ამოვსწყვიტოთო და ქართლი და კახეთი მოისვენებსო:"

ეს ამბავი ერისთვიანთა-თვის ეთქვა ვისმე, მაგრამ აღარ გამჟღავნდა და ერისთვიანი დაუთხოვრად შინ წავიდნენ და ყაენს არზა მისწერეს და მისვლას შეეპატაიჟნეს, ყაენ-მან ჯილავის ყაბადარბაში ფესად-ბეგ, რომ ყაენის შირვანის ხანი შეიქნა, ის მეჰმანდრად გამოუგზავნა და ერისთავი კარ-ზედ ეხმოთ: ყაენის კარს მოვიდა, ჯერ ყაენი არ ენახა, ჩაფარი მოვიდა. „ქართველი მეფე და კახი ბატონიო თავიანთ დიდის ლაშქრითაო საერისთოს შეუხდნენო და ერისთვის ძმა პაპუა მოკლესო და საერისთო დაარბიესო და რაც საკახეთო მამული ეჭირათო წაართვესო:" ეს ამბავი ყაენს ეწყინა და ასრე ებძანებინა: „ჩემს კარ-ზედ მოსვლისა-თვის უქნიათ:" მანსურ-ხან ყულარ-აღასი ბარათა-შვილი ყაენის კარგი ყმა იყო და ქართველს მეფეს უნდა (უდგა) და ერისთვიანთი ავი იყო: ამან ყაენს ასრე მოახსენა: „მისდღემდისაო საქართველო იმად-გან აშლილი და აოხრებული არისო და იმათი დანაგვრა ხელმწიფის დოვლათს უყოფსო. თუ არა-და ამათ სადავეს დაანებებთო, დღეში ერთ-ხელ ქართლსა და კახეთს ბატონი უნდა გამოუცვალოთო:" ამ სიტყვით ყაენი დაამშვიდა, ოთარ ერისთავს აღარა გაუგონეს-რა, ხალათი უბოძეს და იეგან სულთან ერისთავს თან-გაატანეს და მეფეს წიგნი მისწერეს: „რაც ამათი წაგერთვას ისრევე ამას მიეციო:" აღარ მისცეს და იეგან სულთანი მოძღურავი გაისტუმრეს და ერთ-მან წელიწად-მან შუა-ზედ გამოიარა, ოთარ ერისთავი და მისი ძმა ედიშერ დივანბეგი დაიხოცნენ და მოწამლვა ითქვა მათი, ერისთობა მათს ბიძას რევაზს მისცეს რევაზის ქალი მეფე-მ თავის-შვილს ლუარსაბს უთხოვა, ვინაც რევაზ ერისთავი რაჭის ერისთვის სიძე იყო, იმის გამოღმით იმერეთის ბატონობა ლუარსაბმა მოინდომა და ახალციხეს ფაშას-თან მივიდა და მრავალი ქრთამი მისცა, რომ ხონთქრისა-გან იმერეთის მეფობა მას უშოვნოს, ვინაც დიდიხანი იყო არჩილი იმერეთის შოვნას ცდილობდა. ამის-თვის ლუარსაბის წასვლა კახ-მან ბატონ-მან თავის მამას დააბრალა და გაუავგულდა და ცოლ-შვილი უკან აიდევნა:

## §. 22.

## აქა შაჰნვაზ მეფის სახლის არევა და შვილების წასვლა ახალციხის ფაშას-თან:

ცოლ-შვილი უკან გაუშვა და ცოტას კაცით არჩილი იმერეთს გარდვიდა და ვინც ჰზირებოდა აღარც ისინი მოუვიდნენ და იქ ვეღარ დადგა და ისრევე ალს გადმოვიდა და დედოფალი სუ-რამს გაუშვა და თვითან ახალ-ციხის ფაშას-თან მივიდა და მრავალი ფეშქაში მიართვა და სხვა-საც მრავალს დაჰპირდა, რომ ხონთქრისა-გან იმერეთის მეფობა უშოვნოს: ისიც გამორჩომის გულისა-თვის ჩამოჰყვა და ასრე უთხრა: ,,ერთი კაცი თქვენ გაგზავნეთ ხონთქრის კარზედ, ერთს კაცს მეც გავატანო, ვეზირ-აზამს ფეშქაში გაუგზავნეთო; ამანც დაუჯერა და მამაც ბევრს უგზა-ვნიდა იმერეთის შოვნის გულისა-თვის: გაუგზავნეს მრავალი ოქრო და ვერცხლი, იარაღი ვეზირ-აზამს: კახეთი უპატრონოთ იდგა და ერისთავ-მან მისი ნაქონი სოფლები ისრევე დაიჭირა და არჩილს ასრე ეგონა: ,,რა მე წავალო კახეთს ერეკლეს მისცემენო:" შაჰნავაზ მეფე-მ ყაენს არზა მისწერა: ,,რომ ჩემად უნებურად შვილები წამივიდნენო, არამც მტერ-მან ჩემი თავი ტყუ-ილად შემოგაბეზღონო, ერთი კაცი გვიბოძეთო, რომ ხელმწიფის კარ-ზედ გვინდათ ჩამოვიდეთო, ჩვენი თავი ვიმართლოთო:

მუსტაფა ყული-ბეგ ყაჯარ ყორჩი-ბაშისშვილი შაჰნვაზ მეფეს მემანდრათ გაუგზავნეს და შეპატიჟება ინანა და სხვებს დააბრალა, მაგრა წასვლის მეტი ღონე აღარ-იყო. მაგრა კარგის მორთვითა და დიდის ჯარით წავიდა. ყველგან მებატონენი ხანნი და სულთანნი წინ-მიეგებოდნენ, დიდის პატივით მაჰყვანდათ და ბატონის შვილების გიორგისა და ლევანისა-თვის დაებარებინა. ,,მე რომ ყაენის წინაშე წავიდეო, თქვენ ისე ერისთავს მიუხვდითო და რაც ავი იყოს ის უყავითო" იმათაც მამის ბძანება გაათავეს, უწინ ყმანი გარდმოიბირეს, გაუორგულეს, დიდის ლაშქრით შეესივნეს, წინადამ საქართველოს ლაშქარმა და უკანიდამენ თავის-მან თოფი დაუყარეს და ცოტას კაცით ვეღარ გაუძლო და ჯალაბები გაუშვა და ხუთის კაცით კახეთ-ზედ ჩაიარა და ყაენის კარს ჩავიდა და სახლ-კარი აუკლეს და დედა და ცოლი და მხლებლები დაუტყვევეს: შაჰნავაზ მეფე ყაზმის ჩასულ-იყო, იქ მიაახსენეს: ,,ქსნის ერისთავს ისეს ჩაუვლიაო და ყაენ-თან წასულაო:" თავად ავად იყო და მერმე ეს ამბავი დიად ეწყინა. ყაზმინით ავად-მყოფი წავიდა და ხოშკარუს ქარვან-სარაიში ძლივს ჩააწია:

## §. 23.

## სიკვდილი შაჰნავაზ მეფის ხოშქარუს:

ხოშქარუს ქარვან-სარაიში მიაწია და იქ მიიცვალა და ეს ამბავი ყაენს მისწერეს, მკვდარი თავის გამზდელის მეფის როსტომის სასაფლავოში მიიტანეს და ყაენს მეფის შვილის ალექსან-

დრესა-თვის ებრძანებინა: „კაცი გაგზავნეთ და მამის შენის საქონელი ზავთი აქნევინეთ და ქართველთ როგორც ულუფა აძლიონ, ისრევე მისცენ და კარ-ზედ მოვიდნენო: და ყაენს ბატონის-შვილის ერეკლესა-თვის ებძანებინა: „გათათრდიო ქართლსა და კახეთს ორსავეს შენ მოგცემო:“ იმას თათრობის უარი მოეხსენებინა, ყაენს სწყენოდა და განჯის ხანის შვილი აბას ყული-ბეგ ნაცვრად ქართლს გაეგზავნა, გიორგი ბატონის-შვილი სამეფოდ ჩამოეყვანა: ამის წამოსვლას უწინ შაჰნავაზ მეფის სიკვდილი ახალ-ციხის ფაშას გაეგონა და არჩილი დაეჭირვებინებინა და ციხეში დაეტყვევებინა და ფაშას ქართველთა-გან მუქარის ამბავი მისვლოდა. ამის-თვის იმათვე გამოეპარებინათ და სურამს მოვიდა, ლუარსაბ ძმა მისი საერისთოში მივიდა და მამა გაიყოლავნეს და თვის-თვის იყვნენ. რომ განჯის ხანის შვილი აბას ყული-ბეგ ნაცვრად მოვიდა გიორგის წასაყვანად, კარგად დახვდნენ და მრავალი საჩუქარი მიართვეს. წინ-წაუძღვა და დიდის პატივ-ცემით ყაენ-თან მიიყვანა: მასამდისინ გიორგი წავიდა მის ძმას ალექსანდრეს კარი ქრთამით შეკრა და მეფობას თავის-თვის ცდილობდა. ამის-თვის ცოტას ხანს გიორგის მეფობა უგუვარდა. ამ დროს ნაცვარი მოვიდა: „ულურღუ-ხან მოკვდაო:“ იმისი ალაგი მეფის გიორგის აბას ყული-ხანს მეჯმანდარს მისცეს განჯის ხანობა და ცოტას ხანს უკან კახეთის ბატონობაც მიეცა და გიორგის დიდი ქება ყაენს მოახსენა და მისის საქმით ქართლის მეფობა გიორგის მისცეს და კიდეც გაათათრეს და სახელმწიფო თაჯი, ხმალი და ხალათი და სხვა მორთულობა გაურიგეს და ორი-ათასის თუმნის ნაღდი და ჯამისი ქართველთ უბოძა და ალექსანდრე-მ მამის საქონლისა-გან ძმას წილი არ მისცა. მაგრა ღუთისაგან ნაბძანებია: „ძალათა და უსამართლოდ მამისა-გან შეკრებული საქონელი შვილს საკეთილოდ არ გამოადგება:“ ვითაც შაჰნავაზ მეფის ქონება სრულ სხვათა-გან ძალათა და უსამართლოდ წართმეული იყო: ალექსანდრე მოკვდა და მისს დას დარჩა და შავერდი-ხან ლორის ბატონი ქმრად შეირთო და თვისი ქონება ქმრისას მიიტანა, შეეგზავნა ცეცხლი და ქმრისა და ცოლის სალარო ორივ დაეწვათ და რაც მორჩა, რომ ცეცხლი ვერ დასწვევდა, ყაენ-მან ქმარი მოუკლა და რაც ებადათ ქმრისა და ცოლისაც სრულ საეკლესიოთ წაართვეს: „ნაძალადევ-მან ასრე იცის და ღმერთი ჭეშმარიტ ყოვლის ძლიერის გამაქარვებელია:“

## §. 24.

## აქა იქივ გიორგის მეფის ამბავს მივიღეთ, თუ რა იქნა და რა მოხდა:

ბედნიერმა ყაენ-მან მეფის შაჰნავაზის საბატონო მისავეს შვილს გიორგი მეფეს მისცა და მუსტაფა ყული-ბეგ მეჯმანდრად გაატანა, განჯას რომ მივიდა განჯის ხანი თავისი ნამეჯმანდარელი აბას ყული-ხან კარგად დახვდა: ხუთს დღეს განჯას შეინახა, წინ-მოეგება და თანაც გაჰყვა და კარგი ფეშქაშიც მიართვა და ქართლისა-კენ გაისტუმრა. რა ქალაქს მიახლოვდა საქართველოს ჯარი და სრულ-მოქალაქენი წინ-მოეგებნეს, ციხოვანთ შადლუხი ჰქნეს და ქართველთ მეფედ

აკურთხეს და წყლითა მათითა ფეხს აკოცეს და თემის შეშინებისა-თვის ჩითახა-შვილს ზალინას თავი გააგდებინა, თვისი მეჭმანდარი ყაჯარის ყორჩიბაშის შვილი მუსტაფა ყული-ბეგს საჩუქარი მიართვა და გაისტუმრა, განჯას მიაწია და მოკვდა: კიდევ შაჰნაზარ-ხან იმერეთი დაიჭირა, ბაგრატ გურიას გაეცალა და მისა ცოლი დადიანის ნაყოლი ისრევე დადიან-მან წაიყვანა: გურიელ-მან ბაგრატ აზრუმს მიიყვანა, ფაშა-მ ეს ამბავი ხონთქარს მისწერა, იქით ბძანება მოვიდა ფაშას: „მანდეთი ლაშქარი შეიყარეთო, მიუხედითო, ან მოჰკალით, ან დაიჭირეთო და აქ გამომიგზავნეთო და თუ ყაენის ბძანებით მოსრულ-იყოსო, ჩვენ შეგვატყობინეთო:" ეს ამბები აზრუმის ფაშას შიხალი-ხან ეტიმადოვლეს-თვის მოეწერა, ამან ასრე მისწერა: „ჩვენ წაგვსვლიათ და ჯალალჲ შექნილა, თავის თავად აქეთ იქით ქვეყანას არბევსო. ჩვენც აქედამან ლაშქარს გაუძახებთო და თქვენც მანდედამ ლაშქარი გამოუძახეთო" და ჭაჯი ალიყას ეტიმადოვლეს ძმისწული გიორგი მეფეს ჩაფრად გაუგზავნეს და ეს ამბავი შესთვალეს და იმას ასრე მოეწერა: „ჩვენი ლაშქარი მას არ ახლავსო, ისრევე იმერელნი მოსვლიან და იმათ ჩაუყვანიათო:" რა ჭაჯი ალიბეგ ქართლიდამ მოვიდა, სიტყვით თავისის შოვნისა-თვის, საქართველოს საქმე გაუადვილა და ასრე ეგონა, რასაც ქსით იტყვის, მისი ქნაც შეუძლიაო. და ეტიმადოვლე საკადრად ჭყვანდა და სარდრობა და თავრიზის ხანობა იშოვნა და ადრიბეჟანს მივიდა და აზრუმის ფაშას მისწერეს: „ჭაჯი ალიხან თავრიზის ბეგლარ-ბეგი სარდრათ დავაყენეთო, დიდის ლაშქრით გამოგვიგზავნიაო, თუ ქართველნი არჩილს მიეშველებიანო, ჩვენც საქართველოს წასახდენად ლაშქარ ჩაუყენებთო:"

ამ ამბის დაბრუნებამდისინ ურუმთ ბაგრატ ისევე იმერეთში ჩაიყვანეს, გურიელი თან-ახლდა და იმერელნი სრულ წინ მიეგებნენ, არჩილი რაჭას უკუ-ეცალა, იქაც ჯარი გაუძახეს და რაჭა, რომ მისდღემა არვის-გან დარბეულ-იყო ურუმთ დაარბიეს და მრავალი კაცი მოკლეს და ტყვე წამოასხეს, არჩილი ოსეთს გაეცალა და ქუთათისის ციხეში უნგიჩარა დააყენეს და ბაგრატს მცველი გაუჩინეს, ახალ-ციხის ფაშას როსტომ ფაშას თავი მოჰკვეთეს და ხონთქარს გაუგზავნეს არჩილის მოხმარებისა-თვის და მრავლის ნაშოვრითა და კარგის გამარჯვებით წავიდნენ და მეფე-მ ბაგრატ გურიელი იშვილა და თავისი ქალი შერთო, შეყრობაც მის-თვის უნდოდა და გურიელი დადიან-ზედ გაუძახა და რომ ცოლი წაართვას და მეფეს მოჰგვაროს და ასრეც ჰყო, რომელიც გაძრიელდის მისი იყვის:

ამასობაში დადიანი მოკვდა, მისი ცოლი ისრევე მეფეს მოჰგვარეს და ცოტას ხანს უკან ბაგრატ მეფეც მიიცვალა და გურიელ-მან სწვალა ღმერთი და ჰგმო თავისი რჯული და საქორწილევი ცოლი გაუშვა და თავისი სიდედრი ცოლად შეირთო და ყოვლმან რჯულ-მან შვილის გზით დაკრულეს და დაიწყევლა და ძალით მეფობა დაიჭირა და მეათეს თვეს ისიც მოკლეს და ცოლიც მოუკვდა და იმერეთის თავადთ გურიელის მეფობა ეთაკილებოდათ, ხონთქრის შიშით არჩილი ვერ ჩაიყვანეს, სხვას საბატონოს ეძებდეს და მამუკა დადიანის-შვილი მეფის დის-წული გურიელს

სიძეთა ჭყვანდა: აქა გაუწყრა ღმერთი და უფრო გაცხადა ღვთის გმობა და იესოს რჯულის მწვალებლობა თავის უგუნურს ყმაწვილს მამუკას თოფი აკვრევინა და მოკლა. ამისის ეჭვისა-თვის: „რომ მეფის დის-წული არისო, არამც იმერელთ მეფედ ქნანო, ამასაც მოვჰკლავო და სხვა მემკვიდრე ბატონი არა ჰყავსთო, სამკვიდროდ მე დამრჩებისო:“ გაუწყრა ღმერთი გურიელს, საქართს შერცხვა და საიქიოს წაწყმდა, რომე თავად სიდედრი შეირთო და მერმე ფიცით მიბა-რებული ყმაწვილი სიძე უბრალოდ მოკლა: აბა გასინჯეთ სამართალი ღვთისა გურიელ-ზე, რასა იქს: გაუწყრა ღმერთი გურიელს და იმერელთ მამუკა დადიანის შვილისა და მეფის დისწულის მოკვლა გურიელს უწინარეს და ახალ-ციხის ფაშას-თან მივიდნენ და ასრე მოახსენეს: „ჩვენ გურიელის ამხანაგნი ვართო და იმის ყმობას არ ვიკადრებთო, ჩვენი ბატონის-შვილი ქართლის მეფეს ჰყავსო და ლევან დადიანის-შვილი თქვენსა გყავსო, ესენი გაგვიბატონეთო:“ ფაშა-მ ამათი სიტყვა ხონთქარს მისწერეს, იქით ბძანება მოუვიდა: „ქართველს მეფესაო ბაგრატის შვილი სთხოვეთო და იმერეთს მეფეთ დასვითო, დადიანის შვილი დადიანად დასვითო:“ ხონ-თქრის ბძანება გაათავეს, მაგრამე გურიელი ხელში ვერ ჩაიგდეს: ესენი გაბატონეს და ფაშები ისრევე ახალ-ციხეს გარდვიდეს:

და ერევნის სარდარი ყარაბაღში იდგა ლაშქრით, კახეთის ჯანიშნობა ბედნიერ-მან ყაენ-მან კახაბრის შვილს გორძასპის უბოძა, ფარსადან გორგიჯანიძის საქმითა. ამის-თვის სხვას არ მისცეს, რომ რუსეთის ხელმწიფეს ელჩი და ფეშქაში გამოეგზავნა და შუა შემოსვლოდა, რომ კახეთი თავის მემკვიდრეს ბატონის-შვილს ერეკლეს მისცენ, აქედამ ყაენ-მან რუსეთის ხელ-მწიფეს ასრე მისწერა: „რომ გვმართებს თქვენის პატივის დადებაო და რომელიც გიბძანებაა კიდეც გავათავებთო. მაგრა თქვენ უკეთ მოგეხსენებისო, ამისმა პაპა-მ მრავალი შეგვცოდაო, არც დაწყნარდაო და არც დაგვაწყნარაო, ჩვენ ერეკლე კარ-ზედ ამის-თვის შევინახეთო, რომ კა-ხეთის ჯანიშნობა ყმას მიეცითო და მას ჩვენს ზნესა და საქციელს გავასწავლებთო და ამასაც ბატონად გავისტუმრებთო:“ კახთ თავიანთ წესი გაახლეს, ზოგი გორჯასპი უნდოდა და ზოგსა არ უნდოდა, აიშალნეს და გორჯასპის თოფი ჰკრეს, ვერ მოკლეს და სარდარს-თან მოვიდნენ და განჯის ხანი ბატონად ითხოვეს, ეს ყაენს მოახსენეს და კახეთი განჯის ხანს მისცეს და ერე-კლეს საქმე უკუ-ვარდა და კახთ საქმე საჭიროდ გაუხდა: ყოვლის დღეს წახდენას მოელოდეს, თავის მემკვიდრეს ბატონის-შვილს საქმე წაუხდინეს და ყაენ-თან დარჩა:

§. 25.

## ერეკლე ბატონის შვილი, რომ მოვიდა ხუთს წელს უკან დედა მოუვიდა შირვანს:

ქორონიკონს ტნა, ერეკლეს მოსვლა რუსეთით ხუთს წელიწადს უკან ბატონი დედა იმისი ზღვით გზით შირვანს გამოსულა და მისის სიძის კახეთის ბატონის არჩილისა და ბატონის

ქეთევან დედოფლის რუსეთს წასვლა ჩურქეზის გზით ერთ-გან მოხდა, ოცდა-ათის წლის გავრილ-მან და ნახვის მონატრეთ ერთმან-ერთი ვეღარ ნახეს და ერეკლეს დედას მემანდარ-ბაში უსუფ-ბეგ და კახაბერი გორჯასპში შირვანს წინ მიაგებეს და დიდის პატივით ისპაჰანს მობძანდა, ქორონიკონს ჩნიე და ოთხს წელიწადს ამას უკან მარიამ დედოფალი მიიცვალა და შაჰნავაზ მეფის სახლიც აიშალა: გიორგი მეფესა ყაენი უწყრებოდა არჩილის საქმეზედა და მაშინც ძმა ვერ დასთმო და ყმანი გაუორგულდენ და მოყვარენი გაუავდენ და ამისთანას დროს ყაენს მოახსენეს: „გურგინ-ხანს ცოლი ავად ჰყავსო და დალ-დასმულ-მან გედიან-მან, რომ ქართველნი მისანს ემახიანო იმათ ასრე მოახსენესო. შენი ყალაბი მარიამ დედოფლის-გან ავად არისო, კაცი გაგზავნესო და ბარით სამლავში თავი მოსჭრესო და გვერდით ამოდვესო, მაგრა მაშინც მოუკვდა ცოლიო:“ ყაენს ებძანებინა: „მე მუსურმანი მეგონაო, ის ისრევ ქაფარი ყოფილაო, მკვდარს თუ შეძლება ჰქონდესო თავის-თავს უშველის, ჩემი და მამის ჩემის ერთ-გულიო და ქვეყნის დამწყნარებელი ბატონი მანდილოსანი იყო, რას-თვის ასრე ავი კაცი არისო, რომ თავის დედას ასრე ავ-კაცათ შეკადრაო:“ დასწყევლა მქნელი, გაუჯავრდა და აღარ დაუტკბა და იასონ ერისთავი განჯის ხანითა და სხვა და სხვა გზით იბეზღებოდნენ და კიდეც მისწერა: „ერისთობა მიბოძოსო, გურგენ მეფეს წავახდენინებო:“ განჯის ხანის საქმით ერისთობა იასონს მისცეს და მეფეს არ შეეკითხნეს: და ყაენ-თან იმერლის მეფის ალექსანდრეს კაცი ჩაფრად მივიდა ხელმწიფისა-თვის არზა მოეწერა: „ჩვენს მამა-პაპად ხელმწიფის ოჯახისა-თვის უმსახურებიათ და ფეშქაში მოურთმევიათ და ჩვენც ამისი მოხვეწარნი ვართო, რომ ჩვენი თავი თქვენად ყმად გვამსახუროთო და ერთი ბძანების რაყამი გვიბოძოთო, რომ ქართლის მეფე-მ გზა დაგვანებოსო და ვითაც ამას წინათ მეფეებს, როგორც თავი კაცი გამოუტანებია და ფეშქაშს წამოსძღოლია და ხელმწიფის კარ-ზედ ნამოუყვანიათ, ამათაც მათ-ებრ ხელი მოგვიმართონო:“ ყაენს იამა და იმერელი მეფე კიდეც ებრალებოდა, ერთი რაყამი გიორგი მეფეს მისწერეს: „როსაც იმერლის მეფის ფეშქაში წამოვიდესო, როგორც სხვას ქართლის მეფეებს ექნასო თქვენც ისრე ჰქენითო და ჩვენს კარ-ზედ მოიყვანეთო, მესტუმრე და მემანდარი წამოუძღვანეო, რომ ყოვლგან სამასპინძლო და ცხენი და აქლემი მზას დაახვედრონო:“ იმერლის მეფის კაც-მან ეს რაყამი ახალციხის გზით წაიღო, რომ იქიდა-მ მეფეს გამოუგზავნოს, ეს გიორგი მეფეს ეწყინა და ახალციხის ფაშას ასრე მისწერა: „იმერელი მეფეო ხონქარს წაუვიდაო და ყაენს ებირაო და თუარ დამიჯერებო, ამა-დაამ კაცს თქვენის მამულის გზით რაყმები მიაქვთო, უნახეთო:“ რა ეს წიგნი ფაშას მიუვიდა. იმერლის მეფის ყმა დააჭირვინა და აღარ გაიკითხა და ჩამოართობინა: კიდეც ყაენს მოსწერეს. ეს კიდევ უფრო ეწყინა, კიდევ ამ ამბავ-ზე ეს ამბავი მოსწერეს: „თქვენის ერთ-გულებისა-თვისო ზოგის თავები დაუურეგინებიათ და სომხითის მელიქს თოფი აკვრევინაო და ჰაჯი ალიხანს თქვენ თვისა კარგი ტყვეები სდომებიათ და მრავალი ნაქსოვი და ფარჩა და თეთრი გაუგზავნიათ, რომ იმერეთში კარგნი ტყვენი, ქალები და ვაჟები იყიდონო

გიორგი მეფეს გზა-ზედ კაცები დაუხვედრებიაო და ყველასი დაუხოციაო და რაც საქონელი ჰქონებიათო, გურგის ხანისა-თვის მიუტანიაო:“ ეს ამბავები ზედი-ზედ მოსწერეს და ყაენი უფრო გაუწყრომეს:

## §. 26.

## აქა ერეკლე ბატონის შვილის წამოსვლა რუსეთით, შირვანს მოვიდა თუშეთის გზითა:

აქა მეფის თეიმურაზის შვილის, დავითის შვილის ერეკლეს ამბავი გვთქვათ, ქორონიკონს ტნი (სამას სამოცსა) უწინ რუსეთით ბედნიერს ხელმწიფეს არზა მოსწერა: ,,ასრე რომ, თქვენს კარ-ზე მოსვლა მინდაო და ამას მოველი თქვენის ღვთიანი გულების მოწყალებისაგანო, რომ ერთ საიმედო რაყამი მიბოძო, თავ-ზედ დავირჩო და ხელმწიფის ფეხის სამთხვეველად წამოვიდეო:“ ეს ხელმწიფეს იამა და ჯულფელის ხოჯა გრიგორას ხელით ხმალი და ხალათი და რომელიც რაყამი ეთხოვნა გამოგზავნეს და ხალათი არ აჩვენეს. მაგრამ რა რაყამი მიუვიდა, რუსეთის ხელმწიფეს დაეთხოვა და დედა შვილი იქ გაუშვა და წამოვიდა და თუშეთის გზით კახეთს ჩამოვიდა და შაჰ ნაზარ-ხან კახეთში ბატონობდა და ერეკლეს და ქეთევან დედოფლობდა და ოცი წელიწადი იყო და ამათ ერთმანერთი არ ენახა: რა ნახეს დიდი სიმხიარულე შეიქნა მათში და სრულ კახეთში და ლხინსა და ნადირობას შეექცეოდნენ და წამს და არ მოშორდის და საჭმელსა და ღვინოს უწინ ქმარს მიართვის და მერმე ძმასა, მამამთილისა-გან მოწამლვისა ეშინოდა და რაც აქონდათ მეფესა და დედოფალსა უკეთესი და უძვირესი ძმას მისცეს და ყოვლის ფერით მოჰკაზმეს ცხენები ოქროთი შეკაზმული და ზოგი ვერცხლითა და ოქროთა და ნაქსოვ-ნაჭედითა მას და მისსა ყმებსა: სიძე ცალკე-ცალკე ასლუქდა და ცალკე ხოჯა გრიგორამ კახეთში სიძეს და დას-თან ხელმწიფის ხალათი მიართვა და ჩაიცვა და კიდევ უფრო გამხიარულდნენ და შეიქნა ღვინის სმა და ლხინი და ჩანგთა კვრა და მეჩანგეთ შუშპარი და სიმღერანი გაახშირეს:

ბატონის შვილ-მან ერეკლე-მ, ყაენ-თან წამოსვლას დაეთხოვა და და სიძე ტირილით გაეყარნენ, ვითაც კახეთის მემკვიდრე ბატონის-შვილი იყო, თავადთა და აზნაურთ შვილებისა-გან თან-მრავალნი წაჰყვნენ და რა შირვანს მივიდა. შირვანის ხანი მანუჩარ ენდრონიკას შვილი შკვდარი დახვდა, ყაენის ბძანება იქნა: ,,შირვანის ხან-ზედან ვითაც ერეკლე ბატონის-შვილი მთის გზით კარდმოსულაო, არამც აკლდეს რამეო, ათასი თუმანი მიართვითო და რაც აკლდეს გაირიგოსო, წამოვიდესო, ჩვენის ნაზირის ძმა ხალიფ სულთან მეჭმანდრად გამოგვიგზავნიაო, ყველგან ფეშვაზი უყონო, სამასპინძლო რაც მოინდომონ მიართვანო და დიდის პატივით ყაზმინს ჩვენ-თან მოიყვანონო:“ მოვიდა ყაზმინის საახლეს. ხელმწიფის ბძანება იქნა: ,,ვინცა-ვინ

ყაზმინს არიანო, ყველანი წინ-გაეგებონო:" საკვირველი ბევრი ერი შეიყარა და ალბაბის სოფლით ყაზმინამდისინ კაცის ფეშხაზით სავსე იყო და ყაზმინის ქალაქში შემობძანდა, ხუთ-მას დღეშ გაიარა, კიდევ ათასი თუმანი ნაღდი და ათასის თუმნისა სხვა მორთულობა და იარაღი შინ მიუტანეს და მეშვიდეს დღეს ყაზმინის ჩიღ სუთუნს შიგ მეჯლიში იქნა და ბატონის-შვილს . . . .

## §. 27.

## ერეკლე ბატონის შვილის მოსვლა ყაენ-თან ყაზმინს და დიდის ჰატივის დება:

ერეკლე დაჰპატიჟეს და თავისის ჯარით, ქართულად მორთულნი, ყველანი ახალ-გაზრდა ვაჟ-კაცნი, ტურფანი და შვენიერნი, ნამეტნავად ბატონის-შვილს ერეკლეს წვერ-ულვაში ახლა ეხვეოდა და ტანად ყველას უმაღლე იყო და ნაქმრათ ყველას აჯობინეს: რა ალაყაფის კარს მოვიდა თა-ყვანის-ცა და მიწას დაემხო და კარის ზღრუბს ემთხვია. ზეინალ-ხან ეშიკაღასიბაში კარამდი-სინ გაეგება და რა მეჯლისშიგ შემოვიდა ბატონის-შვილი სიტურფე-მან და შვენიერობა-მან და ტანადობის ნაქმრობამან ყველაყასი გაკვირვებული შეიქნეს. წადგა და ხელმწიფეს ფეხს-აკოცა და მარჯვნით ყველას ზეით დასვეს და თორმეტი ყმანიც მეჯლის-შიგ დაუსხეს: ხელ-მწიფე-მ სამ-ჯერ წინ მიიხმო და უწინ რუსეთის ხელმწიფის ამბავი ჰკითხა და მერმე თავისი და რუსთ შეძლება და გაწყობა და მათი კაცობა გამოჰკითხა, მან უკან რომლის გზით მოსვლა და გარჯა. უწინ ნახვაზე ხელმწიფე-მ კარგის თვალით ნახა და შეიყვარა, თავად დიდ-გვარის კაცობისა-თვის და მერმე შვენიერობისა-თვის და კარგად აგებულობა მოეწონა: წელიწადში ორი-ათასი თუმანი თეთრი და დღეში თორმეტი ჩიქა შირაზული ღვინო და ხუთასი თუმანი ხონსრის მალუჯაჭით ღვინისა და მაზის ფასად გაუჩინა. სხვებს წყალობებს გარდაის ამაებს ყოველს წელიწადს მოსცემდეს: ყაენი ყაზმინით ფერისქეს გზით მაზანდარას წავიდა და ვითაც ხელმწიფეს ჯალაბნი და ჭასამნი . . . . . . . რს დააყენეს და ყველგან სამასპინძლო შეაწყვეს და კარგად დახვდეს და ხაფარი გაუგზავნეს და ეს ამბავი და არჩილის იმერეთში გამეფება და მეფის ალე-ქსანდრეს გორს მოსვლა ბედნიერს ყაენს მოახსენეს: ყაენ-მან იმერეთის მიცემა იმათოვს და ალექსანდრე მეფის გამოგდება იწყინა. ამის-თვის რომ ყაენს შაჭნავაზ მეფის შვილები ხონთქრის შეწყენილობისა-თვის გარდეყარა ბატონობითა და მეფეს ნაზარ-ალიხანს რაყამი მისწერეს: „ალე-ქსანდრე მეფეს კარგად ხელი შეუწყევო და კარგად დახვდით, სიამ ჩვენი ბძანება მოგივიდესო" და მეფეს ალექსანდრესაც სამედო რაყამი მისწერეს: „რადგან ჩვენს მამულში მობძანებულ-ხარო:" გვირგვინი სამეფო და ოქროს ქამარი და ოქროთ შეკაზმული ცხენი და მრავალი ძვირ-ფასის ნაქსოვები გაუგზავნეს და ერეკლე მეფე დიდის დიდებითა და მორთვითა და საქართველოს ჯარით მუხრანის გზით გორს წაბძანდა მეფის ალექსანდრეს სანახავათ და მეფე ალექსანდრე

თავისის ჯარით ყვავის საყდრამდისინ წინ მიეგება და რა შეიყარნენ, ვითაც მამა-შვილი სიხარულით ერთმან-ერთს დიდი პატივი სცეს და მოვიდნენ გორსა და ერეკლე მეფის სადგომს ჩამოხტნეს და იმ დღეს დიდი ლხინი გარდიხადეს და მეორეს დღეს ერთი სამეფო მორთულობა ჭურჭელნი ოქრო ვერცხლისა, ცხენები ბედაურნი დაკაზმულნი ოქროსა და ვერცხლის უნაგირ-ლაგმებითა, ტანის შეკაზმულობა ძვირ-ფასის ნაქსოვებისა და სიასამურებითა, ფლური და თეთრი მიართვეს და მესამეს დღესაც ერთ-გან ლხინი გარდიხადეს და მეოთხეს დღეს ნაზარ-ალი-ხან ქალაქისა-კენ წავიდნენ და მეფე ალექსანდრე გორს დარჩა დიდის პატივითა, ამდენი ყაენის წყალობა და ერეკლე მეფის ქალაქით გორს მიგებება ასრე კარგად დაგვხდომო და ამდენის საჩუქრის მირთმევა:

რა იმერეთის თავადთა და აზნაურთა ჰსცნეს, გული გამოეცვალათ და მეტადრე იმერეთის უბატონობაში ვისაც თავისის ძალით სხვათ მამული დაეჭირა. რასაც დღეს არჩილი გამეფდა ყველას თავისი სამკვიდრო მამულები უბოძა, ეს იმათ იწყინეს და წავიდნენ და ალექსანდრე მეფეს გორს კაცი და გულის შესაჯერები საფიცრები შაუგზავნეს და ეს ანბავი გორით მეფის ერეკლესათვის გაეგზავნა და მეფეს ერეკლეს ეს სდომებოდა, ეს ანბავი ყაენისა-თვის მიეწერა, მეორეს დღეს სხვა ანბავი მოსვლოდა: „თუ მეფე-მ ალექსანდრე-მ მთა გარდიარაო:“ ჩაფარი გაეგზავნა, რომ მეფის ალექსანდრესა-გან ანბავი მოეტანა, ჭალა-ტყეს მოსწეოდა, იმ დღეს რომ იმერელთ შეეფიცათ და გული შეეჯერებინათ და იქით აყრილ-იყო და დიდის ლაშქრით სკანდას მისრულიყო: „და არჩილ მეფე ქუთაის არისო და გიორგი მეფე ახალ-ციხეს არისო“ და ეს ანბავი ნაზარ-ალიხანს ბედნიერის ხელმწიფისა-თვის წიგნათ მოეწერა და ჩაფრის ხელით გამოეგზავნა: ხელმწიფეს ნამეტნავად იამა, ამის-თვის რომ იმერლის მეფის ალექსანდრესი ნამეტნავად მწყალობელი იყო და თავისას ეძახდა, და ჩაფარი რასაც დღეს მოვიდა, მესამეს დღეს თავ-დაბეჭდილი რაყამი მისცეს და ისრევე ჩაფრად გაისტუმრეს, რომე კიდევ იქაური რაც ანბავი იქნებოდეს, მალ-მალე მოგვწერდენ:

ქორონიკონს ტპ, მკათა-თვის ა, სულეიმან ყაენ-მან თავისი ყორჩიბაში სარუხან მურთუზაყული ხანის-შვილი საანდლუ გათენებისას კარ-ზედ იხმეს და როსტომ-ბეგ მდივან-ბეგს უბძანეს, გაუკითხავად თავი მოჰკვეთეს და ტანი სამს დღეს მეიდანში ეგდო და გასაკვირვებელი საქმე მის-გან იქნა, ნამაზის ქნა დაასცალეს და თავის მოსაჭრელად ხმალ-დაწვდილნი თავს ადგნენ, არც ფერნი გამოეცვალა და არც სიტყვა შეეცვალა, ნამეტნავად გულ-მაგრა და მხიარულად ხმალს ქვეშ წაუჩოქა და ასრე თქვა: „ღმერთი არის ამაში მოწამეო, რომ ერთგულობისა-თვისა მკვლენო, თორა და დანაშავებულობა არ შემახნიაო:“ დოლბანდი გარდააგდო და შემოკრეს ხმალი და სისხლი გულის პირზე ჩაედინა და აივსო თავისის სისხლით ორივ მჯიღვი და გარდისხა პირისახე-ზედ, შესძახა ღმერთსა: „გვედრებოდესო უბრალოდ წამებული სული ჩემიო:“ კიდევ ხმალი ჰსცეს, ვერ გააგდებინეს და მცემელს უთხრეს: „ხელიმც მოგკვდებისო, მჭრელი ხმალი

ვეცით:" ჰსცეს და მოკლეს და იქნა იმავე დღეს საქმე გასაკვირებელი, ზაფხულის შუას-გულს სიცხეში ასტყდა წვიმა და საზარელი ქარიშხალი, რომ ასის წლის ისპაანში გაზრდილთ კაცთ ასრე თქვეს: „ამისთანას დროშიგან ამ-რიგი წვიმა და ქარიშხალი არც გვინახავსო და არცა გვასმიათ:" კაცი იყო ტანად დიდი, სახით შვენიერი, თავ-დაბალი, უხვ-უშურველი, კარგად მრჩეველი, მძიმე და აუჩქარებელი, ქრთამის არ ამღები, ყოვლის კაცის პატივის-მდებელი, დაჭირებულთ მამხმარებელი, მლოცავი და მარხული, ღვთის-მოშიში, ძველის ანბავების კარგად მცოდნე, კარგად სამართლის მქნელი. ასე შვენიერი და ტანად სრული, რომ ამის დროში ერანელთაგან არ-ვინ შეედრებოდა და ასეც ითქვა: „ხელმწიფე-მ ნამეტნავად ინახაო" და ამის-მეტი ვერ-ვინ რა სცნა, რომ ბედნიერ-მან ხელმწიფე-მან, ამ მოკლულის ყოჩიბაშის შვილს სმნანის ბატონს როსტომ მაჭმად-ხანს საიმედო რაყამი მისწერეს: „რომ მამა თქვენიო სიტყვით მაწყენინებდაო და ის მოვაკვდინეო და შენ იმედოვნათ იყავო და შენს საბატონოს გაუფრთხილდიო და შენი ლაშქარი კარგად მორთეო და რაც საქმე გაქვნდეს მოგვწერდეო და ჩვენ-გან დიდს იმედს ელოდეო:" ამის მეტი დანაშავებულობა მის-გან ვერ-ვინ რა გაიგო, სხვა ღმერთმან უკეთ იცის. იტყოდნენ: „ტყვილად მტრისა-გან შეებეზღდაო და განკითხვა არ ელირსაო:" მაგრა ვინც რას დასთესავს ის ამოუვა მთესავსა:

ამ დროს მაშათის ხანობა და მუთავლობა ნაჯაფ ყული-ხან ნაზარს მისცეს და ნაზირობის ჯანიშინობა იმის შვილს მაჭმად ჭუსეინ-ბეგს მისცეს: ამ დროს ასტარაბათის ხანობა ყაზახანის შვილს ჭაჯი-ლუთფ ალიხანს მისცეს და დიდის პატივით გაისტუმრეს: და ორს წელიწადს ამას წინათ შიხალი-ხან ეტიმადოვლე მიიცვალა, ყოვლის-ფერით კარგი კაცი იყო, მისი სიკვდილი ხელმწიფე-მ ნამეტნავად იწყინა და ორს წელიწადს ვეზირი არ დააყენა და მას-უკან ვეზირობა მირზა თაჭრს ძველს ვალანვისს უბოძა და ერთს წელიწადს ხელმწიფე თავის სასახლეში ლხინსა და შექცევას იყო, რომ ცხენს არ შეჯდა და ასეთი ბედ-ძრიელი იყო, რომ სითკენც მტერი გაუჩნდის უომრად გარდავლინდის:

## §. 28.

ფარსადან გორგიჯანიძეს ნამეტნავად ხელმწიფე ჰსწყალობდა, იყო და ვაზირობასა და ქვეყნის სარჩევს საქმეს ჰკითხევდა. კარის უფროსს კაცს შურდათ და გარდავიდნენ და მრავალი ტყუილი მოუგონეს და ხელმწიფეს-თან შეაბეზღეს, ვითაც სახელო არა ჰქონდა და რასაც ხელმწიფეს ბევრს არ მიართმიდა არასა სთხოვდა და არცა ვის-თან ხელი აქონდა. ვინც გარდეკიდის წლამდის ვერ გაძლის, შვილი ჰყაანდა დავით სახელად, ყმაწვილი კაცი იყო და თექვსმეტის წლისას ბედნიერ-მან ყაენმა ბოქაულთ-უხუცობა უბოძა და სიყმაწვილით ლხინის მოყვარული იყო და ამაყი და შეუპოვარი იყო, რამდენ-ჯერ ხელმწიფე ცხენს შეჯდის იმდენ-ჯერ მამას მისის მტერობით დაამბეზღებდიან და ხელმწიფე არ შეიბეზღებდა: აბუსად-

ყასუმ ხანის შვილებმა ყაენის ყულისა-თვის ცემა დაუწყეს, იმან დაუძახა: „დაუთხვეგო, მიშველე თუ-არ მამკვლენო, შენც ყაენის ყული ხარო:" მიშველებოდა „რას-თვის მოჰკლავთო, ყაენის ყული არისო." ამის-თვისაც წამოუშინა, ისინი ოთხნი ძმანი ყოფილ-იყვნენ და დავით-ბეგ მარტო ამასაც ჯოხით ეცადა ოთხთავეთა-თვის თავ-პირი დაემტვრივათ და შერითში შეეხვეწნა და ყაენის-ყული მოერჩინათ: ვითაც ძველით ყორჩნი ყაენის ყულების მტერნი არიან და დროს ეძებენ, რომ ყულები ამოაგდონ და როგორც ძველით ხელმწიფის ოჯახისა-თვის უმუხანათებიათ, ისრევე ქნან. მაგრა ყულების შიშით ვერ იქმნ, თვითან ამ აბულ-ყასუმ-ხანის მამა-მან ჯანიხან ყორჩი-ბაშ-მან შემოიფიცა რაც ყორჩში ხანი, სულთანი, ბეგლარი და ან თავნი კაცნი იყვნენ, და დილის ნამაზის დროს მიუხდნეს მირზა თაყი ეტიმადოვლეს, წაუშინეს და მოკლეს, იქით და-ბრუნდნეს, რომ ყაენი მოკლან და თვითან გახელმწიფდნენ: ანბავი დაახვედრეს: „რომ სიაოშ-ხან ყულარ-აღასი შეყრილი კარ-ზედ არისო:" რაც ეწადათ ის ვეღარ ჰქნეს, ყაენის დედას არზა შეუ-გზავნეს, ხელმწიფის წახდენას უკან იყო ეტიმადოვლე: „რომ თავისი ძმის-წული მირზა ყასუმ გაეხელმწიფებინაო და ჩემი ქალიც ამის-თვის შერთო მირზა ყასუმსო და ამ მუხანათობაში ჩვენც უნდოდა გავერიეთო. ამის-თვის მოვკალითო, ხელმწიფის ბძანება რა იქნებისო:" ხელმწიფის ბებია ჩერქეზის ბატონის ქალი იყო და ნამეტნავად ჭკვიანი და მცოდინარე ბატონი მანდილოსანი ბრძანდებოდა. მიგნიდამ მადრიელობის წიგნი და ხალათი უბოძეს და ავაქილეს: „ვინც გინდა ეტიმადოვლად დასვითო:" მესამეს დღეს ხალიფა სულთან ეტიმადოვლად დასვეს და ჩანი-ხანს ასრე ეგონა: „ამის ვეზირობით რასაც მინდა იმასა ვიქო:" მაგრა მიფარვით ყაენის ბებია ამათ ამოწყვეტას უკან იყო, ქართულად სიაოშ ხან-თან წიგნი მოეწერა: „ნულარ აგვიანებო, არამც კიდევ ამათ დაგასწრანო, ვისაც ენდობოდე ქართველის შვილებსაო უბრძანეო, ყოველ-ღამესაო იარაღით ქეშიკში მოვიდნენ და ვისაც ენდობოდეო, ყორჩის ბატონებსაც შეატყობინეთო და ვინც ყორჩიბაშის კერძნი იყვნენ ცოცხალს ნუ გაუშვებო:" ამ რჩევას ფიცით ბიჯირლუს მურ-თუზა ყული-ხანს და ალიყუბათ-ბეგს ჭარმიშეშიკ-აღას გაუტყდნენ და მეშვიდეს ღამეს ქართველთ საბატიოს კაცის შვილები იარაღ-შემორტყმულნი ხელმწიფის ქეშიკში მივიდნენ, მეორეს დილას ჯანი-ხან ყორჩიბაში თავისის კერძის ხანათა და სულთნით წინადურად ამაყად და შეუპოვრად კარ-ზედ მოვიდა, მაშაია რომ გაიხადა მსხდომნი წინ-წამოეგებნეს, იმას ასრე ეგონა პატივს-მდებენო, მურთუზა ყული-ხან ბიჯირლუმ ჯანი-ხანს ყორჩიბაშს სახელოში ხელი წასტაცა და შეუძახა: „მუხანათო ვისის ბძანებით ხელმწიფეს ვეზირი მოუკალო, ხანჯალი ჩასცა და წააქცია, ნაღდი-ხან დაუძახა: „ყორჩებო, თავს უშველეთ, გვიღალატესო:" ამ დროს სიაოშ-ხან ყულარ-აღასმან ყულებს შეუძახა: „რას უდგეხართო, წაუშინეთო:" ფიცხლავ წაუშინეს და ოც-და ოთხი ხანი, სულთანი და ბეგლარი დახოცეს და ამათი მძოვრი მეიდანში გაყარეს და საქონელი და მორჭმა ქონება მათი სახელმწიფოდ წამოიღეს და ყორჩიბაშობა ბიჯირლუ მურთუზა ყული-ხანს მისცეს და ნაღდი-ხანისა და თავისის შვილის ზეინალ-ხანის ნაქონი ქოჰკილუს ბეგლარ-

ბეგობა სიაოშ-ხანს უულარ-ალას მისცეს და მანამდისინ შაჰბაზ ხელმწიფე ცოცხალ-იყო, ამათი სახელი მუხანათობით იხსენებოდა. და რა შაჰ-სულეიმან გახელმწიფდა ორ-გულობა ალარ-ვის უხსენა და ჯანი-ხანის შვილს აბულყასუმ-ხანს ჭამადნის ბატონობა მისცა და იქიც მუხანათო-ბისა-თვის დააჭირვინეს და ისპაანს ჩამოასხეს და ბევრი შვილები ჰყვანდა და ყოველ დღით ბოხობასა და ავ-კაცობა-ზედ შუღლობდენ და არ-ვინ ახსენებდა, ვითაც ფარსადანისაგნი იყვნენ აბულ-ყასუმ-ხან ყაენს არზა შეუგზავნა: ,,რომ ფარსადანის შვილს დავითს ჩემი ოთხი შვილი დაუჭრიაო:“ ყაენ-მან დივან-ბეგს უბძანა:,, სამართალი უყავო:“ ვითაც ხმლით არ დაჭრილი იყვ-ნენ და ვით შუღლის ამორო არა თქვა და დივან-ბეგს ამაყათ პასუხი მისცა: ,,რომ ისინი ოთხნი მცემდენო და მე მარტო ვიყავო, მე უნდა ვჩივოდეო:“ დივანბეგი გასწყრომოდა და ეთქვა: ,,ბეჭებს ამოგართმევო: იმას ეთქვა: ,,ყაენის თავი კარგად იყოსო, შენ მე ბეჭებს ვერ ამამართმევო:“ ამისის ჯავრით მრავალი-გვარად შეაბეზღა და ხელმწიფეს-მ დააჭირვინა და ისპაა-ნის მოურავს მიაბარეს და ვითაც შვილი მოურავი იმ პატივით ინახევდა და ისევე მაბეზღართ ხელმწიფისა-გან იპატივეს და დასტური აართვეს და ადრბეჟანისა-კენ გაისტუმრეს და კიდევ მამის მისის მტერებ-მან წინ კაცი გაგზავნეს, ესეუმ აბადს შუღლი დაუწყეს, თვითან ცხენით გაეცალა, ეუმს მივიდა, მხლებლები დაუჭირეს და საქონელი აუკლეს და თვითან ეუმს წავიდა და იქაურს უფროსებს მოახსენა და რაც ძალი და უსამართლო დამართებოდა შეუკაალა დააწერინა, მანამდისინ შეუკალა მოვიდოდეს მტერებ-მან მრავალ-გვარად ტყვილად შეაბეზღეს, იასაული გაუძახეს და კარ-ზედ იხმეს, სამართალი უყვეს და ვერა დატეხეს რა და მობეზღარნი შეშინდნენ და ტყუვილნი მოწამენი იქირავეს და სამართალში მოასხეს და პრჭეთა და მოსამართლეთა გასწირეს სული მათი და გმესა სამართალი ღვთისა და მიუდგნენ მტყვანს მობეზღარსა. ამის-თვის რომე არამც ხელმწიფე-მ: ,,ტყუვილის მოხსენებისა-თვის წაახდინოსო და დავითის მამა ხელმწიფეს-თან კარგი ყმა არისო და თავის შვილს უშველისო:“ ყაენს მათი ტყუვილად განბრჭობის წიგნი შეუგზავნეს . . . . . . . . .

## §. 29.

## აქა ამბავი თვალ-დამწვრიანთა:

პაპა კახის ბატონებისა თეიმურაზ ყოფილა და მის უფროს შვილს დავით რქმევია და უმცროს გიორგი, უფროსი ძმა ათაბაგის ქალის შვილი ყოფილა დავით, ჩერქეზის ქალ-თან ჰყოლებია უმცროსი ძმა, გაუხდია და კარგი ცოლი შეურთავს და ბატონად დაუსვამს, ასრე მოუ-ხსენებია უმცროსის ძმისა-თვის: ,,რომ ერთს ქვეყანაში ორი ხელმწიფე არ იქნებისო, რაც გემეტებოდეს მამული მამეცო:“ კახეთის მეხუთეთამდისინ მამული მიუცია, საყვარელი ძმანი ყოფილან, დავით მამაცობაში ნაქები ყოფილა, უხვი და უშურველი და მსმელ-მჭამელი და კაც-მოყვარული და ყველას გამწყრო კაცი ყოფილა და კახნი ბატონის შვილობისა-თვის ემსახურე-

ბოდეს. ეს ჩოლაყაშვილებმა ბატონს გიორგის მოახსენეს: „კახნი შენს ძმას ემსახურებიანო, არ ვიცით, თუ რა სწადიანო, სჯობს, რომ თვალები დასწვათო:“ ბატონს ებძანებინა: „ამაში ღმერთი რას კარგს მიზამსო, გამზარდა და დამაქორწილაო და უფროსი ძმა იყო და თავისი ხელმწიფობა მე დამანება, რის გზით გამოვიმეტებო:“ მაგრა არ დაესხნეს სიდამდისინ თვალები არ დააწვევინეს და ამდენი სინათლე შერჩომოდა, რომ ხის ძირში მწოლეს ხიდამ ისრით ტრედი ჩამოუგდია. რა ეს შეუტყვია ჯაჰრაისა-თვის უთქვამთ: „ასეთი წამალი დააჰდევო, რომ სინათლე წაუხდისო, რომ ვეღარას ხედვიდესო, ჰაქიმსაც მათ თქმული უქნია და შენარჩომი თვალის სინათლე მეორედ წაუხდენიათ. და ბატონი დავით შაჰთურ ყაენ-თან მოსრულა ორის შვილითა, შაჰთამაზ ყაენს კარგის თვალით უნახავს და უბძანებია: „კარგი შვილები გყვანანო:“ ერთს შვილს გვერდი ფიქალი ჰქონებია, ერთი ძრიელი კაცი მამაცი, ცხენოსანი ჰეოლებია და ასრე უბძანებია: „შენს შვილს იმას შეგვაბამო, თუ ჩამოაგდებსო კახეთს მივსცემო:“ თვალ-დამწვარს მოუხსენებია: „აგრე იყოსო. მაგრა ჩემი შვილი მისანდოს ცხენს შემისვითო:“ თავი-ლიდამ ცხენები მოუსხამთ, არც ერთი მოსწონებია და ერთი კიდევ სხვა ცხენი მოჰგვარეს, ის მოიწონა და თქვა: „ეს ჩემის შვილისა-თვის კარგი არისო“ და შვილი გასწავლა და ასრე უბძანა: „შეჯექ ამ ცხენსაო და შუბი აიღე და ფარი მზათ დაახვედრეო, რომ შუბის შემოცემა არ და-გასწროსო“ და შეუსხამთ ორნივე ცხენებსა და მეიდანში გასრულან და ქვეყანა სათამაშოდ იქ მოგროვებულ-იყვნენ, და ყაენ-მან იმ ცხენოსანს უბძანა: „თუ გარდმოაგდებსო, თავს მოგკვეთო და თუ შენ ჩამოაგდებო ნუ მოჰკლავო:“ კახ-მან ბატონის შვილ-მან გარდმოაგდო, თავი მოჰ-კვეთა და ყაენ-თან მოიტანა, ყაენ-მან კახეთი საჯილდოდ უბოძა და ფარი ფლურით აუვსო და ქართლს წაიღო და იმით სოფლები იყიდა: „სიდამდისინ კახეთი დაიჭირონო ქართლს იყავო:“ უწინ დირბი, ბრეთი და ბებნისი იყიდა და ერთს შვილს ციცი-შვილის ქალი შერთო და მეორეს შვილს ფალავანდის შვილის ქალი შერთო და თავადები მოხმარებიან და დირბს მაგარი ციხე აუგია: მერმე კახს ბატონს უთქვამს: „თუ ის ქართლს არისო, არ მოგვასვენებსო, კახეთს წა-მართვამსო:“ ადგა და მეფეს ლუარსაბს მოციქულები და მრავალი ფეშქაში და აბრეშუმი გაუ-გზავნა და ასრე შესთვალა: „ყოველს ახალ-წელიწადს ამდენს საპალნეს აბრეშუმს მოგართმევო, დავითს ჩემს ძმას დირბის ციხე დაუქციეთო და თქვენს მამულში ნუ დააყენებთო და მისი მა-მული მისს ძმას რამაზს მიეცითო:“ ამათაც დაუჯერეს, დირბის ციხე დაუქციეს და მისი მამული მის ძმას რამაზს მისცეს და დავით იმერეთს მეფეს-თან მივიდა და იმან ზემო-ქართლში ნული, თორმანეული, ღვერთეთი, ფლევი, ქანბალი, ცხეთას-ჯვარი, მოხის რუისი ის გლეხები და საედარ სასაძლავოთი, აზნაურნი და ხერხაულიძენი და ტატი-შვილები მიუციათ: რამაზ მეფეს მოსწო-ნებია და ეს სოფლები შაჰ-თამაზ ყაენის ნაბოძების ოქრო-ვეცხლით უყიდიათ და შაჰ-თამაზ ყაენი მამკვდარა და ესენი ქართლს დარჩომილან და კახი ბატონი შვილის ათასის კაცით ნა-სყიდს მამულში მიუხდა და იმათ მუხრანის ბატონი მოსდგომიან და იმათ შვიდასი კაცი შე-

ყარათ და შვილს ათას კაცს შემობმოდენ და გაემარჯვებინა და იმერელ-მან მეფე-მ რამაზს ქალი მოსცა და ქართლსა და იმერეთში იმის უკეთესი კაცი არ იყო და სახელმწიფო კარგი მზითევი მოჰყვა, სამცხესაც მამული მიეცა და შვიდი ვაჟი უშობია მეფის დას-თან კონსტან-ტინეს (ელიზბარ) სიაოშ, გიორგი, დავით ბოქაულთ-უხუცესი ყოფილა და სიაოშისა-თვის სვიმონ მეფეს ყულიჯ-ყორჩიობა მიეცა და გიორგი იმათი უმცროსი ძმა გაეგდოთ და ერთი მსახურიც არ მისცეს. მაგრა სადა მეფე წავიდის თან-გაჰყვის, ვისაც ნახავდა იკითხავდა, თუ ვინ არისო. მეფე ბძანებდა: „რამაზის უმცროსი შვილიაო:“ ყველანი მრავალს მისცემდენ. მაგრა ნამე-ტნავად უმობას შეწყენილ-იყო. დედა მისი შამშვეთის ბატონის ქალი ყოფილა, მეფის ქალის შვილი იყო, სამცხეს სამშობლოსას იყო და გიორგიც დედას-თან წავიდა, ვითარც ბერათ შეეყე-ენებინათ, დედას გაუტყდა ასრე მოახსენა: „დედავო, ბერობა არ შემიძლიაო:“ ამის თქმისა-თვის დედა გაუწყრა და შვილი შემოსწყრა და მამიდას-თან წავიდა, მამიდას ბიძა-შვილი ავად-მყოფი ჰყოლია და იმას ერთი კარგი ცოლი ჰყოლებია, გიორგა უნახავს და შეჰყვარებია და ასრე უთქვამს: „შენის-თანა კარგი და ლამაზი ვაჟი კაცი რას-თვის უნდა ბერად იყოსო, ღმერთმან შენი თავი მე ქმრად მამცესო, თორემ მამის ჩემისა ამდენი მამული და სოფლები და საქონელი დამრჩომიაო, რომ შენ გეყოფისო და ასი ყმაც შეინახოო მაინც გმარაო:“ დედა-კაცს ნატრა აუხდა, იმ ავად-მყოფობისა-გან ქმარი მოუკვდა და ბერი გაიპარსა და ცოლად შეირთო და სა-მცხეს დარჩა. სიმამრის მამულ-ზედ მორჩმული და მოვლენილი ძმათა-თანა გალარიბებული უმოთ გაგდებული, ღმერთმან ჴელი მოუმართა და აღარა-ვის ამარას არ გახადა:

## §. 30.

. . . . . . . . . ძვირ-ფასის თვალ-მარგალიტ, მურასა და ნაქსოვი, მრავალი ძვირ-ფასისა და ცხე-ნები ბედაური მურასით შეკაზმული და ერთი სპილო ოქროს ტახტითა და სხვა იარაღით შე-კაზმული, განჯის ბეგლარ-ბეგის უღურლუ ხანის შვილს ქალბალი-ბეგს მიაბარეს და მასაც მრავალი უბოძეს და დიდის მორთვითა და მოკაზმულობით გაისტუმრეს და დიდის ქებით წიგნი მისწერეს და ასრე ნაუწერეს: „რომე ჩვენი ყმანი შაჰნავაზ მეფის შვილები, შაჰნაზარ-ხან კახეთის ბატონი თქვენს მამულს იმერეთს ეწიდებოდა და ქართლის მეფე გიორგი ძმას ესმარებოდა და ზოგთ იმერეთის თავადთ თავიანთ მემკვიდრეს მეფეს ალექსანდრეს წასვლოდენ და შაჰნაზარ-ხანს მისვლოდენ, ვითაც ჩვენსა და ხონთქარს შუა წყობა იყო და ხონთქრის მამულს ეწო-დებოდენ, ორთავ ძმათ ბატონობა წავართვით და ჩვენის სახელმწიფოდ გაგვჴადეთ და რაჭის ერისთავ-მან შეიხიზნა და უფროსი ერთი თავადნი, თავიანთ მემკვიდრეს ბატონს გარდაბირეს და გიორგი მეფე ახალ-ციხის ფაშისას მოვიდა და ქრთამის მიცემით ჴელმწიფეს ტყვილად გააშინჯვინეს და მემკვიდრე ბატონი წაახდინეს და თქვენის შეწყენის გულისა-თვის ჩვენ-გან

გამოგდებულს შაჰნაზარ-ხანს უშოვნეს და მეფეს ალექსანდრეს თქვენს კარ-ზე მოსვლის გზა შეუკრეს, ღონე გაუწყვიტეს და ჩვენ შემოგვეხვეწა, ახლა ამას მოველით ხელმწიფისა-გან, რომ ვითაც საქართველოს ბატონებში უხსუბარნი ყოფილან და მტრის სახლში არ მისულან, ჩვენი სახელმწიფოც თქვენია და ამას მოველით, რომ იმერეთი თავის მემკვიდრეს ბატონს ალექსანდრეს უბოძეთ და ჩვენს გამოურიდლს ყმებს თქვენს მამულში ნუ დააყენებთო:“

## §. 31.

## მისვლა ქალბალი-ბეგისა და ხონთქრისა-გან დიდის ჰატივის მიპყრობა:

რა ყაენის ფეშქაში ხონთქარს მიართვეს და წიგნები წაიკითხეს, იმა ხონთქარსა და ყაენის გულისა-თვის იმერეთი თავის მემკვიდრეს მეფეს ალექსანდრეს უბოძეს და ხათიშარიფი ახალ-ციხის ფაშას თავისის ქეშხის ხელით თბილის ქალაქს მეფეს ალექსანდრეს მოუტანეს და ქართლის მეფეამ ნაზარ-ალი-ხან საბატონო მოურთო და გასტუმრა, ახალ-ციხეს მიიყვანეს, და ურუმის ლაშქარი შემოუყარა, იმერეთს ჩაიყვანეს და ქუთაის გაბატონეს და არჩილი გაეცალა და გიორგი მეფე ხონთქრის ბძანებით ახალ-ციხის ფაშამ დაიჭირა და ციხეში აპატიმრეს და ციხიდამ წამოუყვიდა და არაგვის ერისთავი და ქსნის ერისთავი და გივი ამილახორი და თამაზ ბარათიანთ სარდალი გაერთდენ და სრულ-ქართველნი მათის შიშით მიუვიდნენ და ნაზარ ალი-ხან კოჯრით ქალაქის ციხეში შევიდა და ეს ამბავი ყაენს მისწერეს და აბასყული-ხანისა-თვის გიორგი მეფეს მოეწერა: „რომე მე ყაენის ყული ვარო და ხელმწიფის კარ-ზედ ჩავალო“ და დღეს-ხვალობას უთვლიდა და თავისის ძალით ქართლი დაეჭირა რის ჭკუვით ჩამოვიდოდა: მაგრამე ერთმანერთს აბალითებდეს და აბას ყული-ხანს მოეწერა: „ერეკლე მეფისა და იმათი სიტყვა ერთი არისო, თორამ ქართლის მეფე ერთს გაგდებულს კაცს რას-თვის უომრად ციხეშა შეეხვეწაო, უწინაც დაბეზღდა, რომ იმათი და ამისი საქმე ერთი არისო და არას კაცს მათ-თან მისვლასა და სამსახურსა და მირთმევას არ უშლისო:“ ამის-თვის იქნა რომ ერეკლე მეფე ერთი ალალ-მართალი კაცი იყო და ყოველს კაცს დაუჯერის და ორ-გულისა და ერთ-გულის გარჩევა არ იცოდა და იმათი გაზდილი თათრის-შვილი ივეჩირა და ასრე შევიდა, რომ იმის უნებურად მეფე წყალსაც ვერ დალევდის და რასაც ერთ-გული ყმა ჰყვანდა გაუაგდუბლა და რაც შაჰნავაზ მეფის შვილების კერძნი იყვნენ ისინი დააკეთეს და სახასოები ასრე გააცემინეს, რომ უფროსი-ერთს ხანს სასმელ-საჭმელს ვერ იშოვნიდა და ხუთი-ათასი თუმანი მოსავალი ასრე გაუცუდეს. რომ გამოსაცვლელს ტან-საცვამს ვერ იშოვებდა და გიორგი მეფესა და არჩილ მეფეს სამსახურს არ-ვის დაუშლიდა და ყაენის ნაბოძები რაც აქვნდა, ყველა ქართველთ დაუყო: მაგრა ვერ-ვინ შეაშინის და ყველამ უღონობა დასწამა და ვისაც რამე მისცა იმათ ასრე თქვეს: „ეშინიანო ჩვენგანიო და ქრთამად გვაძლევსო“ და ამხანაგურად დაუწყეს ხუმრობა და ენა შეაჩვიეს და შვიდამ შიში ადგა და აღარ-ვინ შეეპუა და გიორგის მეფე ჩამოიყვანეს და ყველანი მიუვიდნენ და

ერეკლე ქალაქის ციხეში იყო, გიორგი მეფე კოჯორ-ზედ იდგა: იქიდამ ჯარი გამოუშახა, ქალაქის ციხეს ხელ-თოფი დაუარეს და ციხიდამაც თოფი დაუშინეს და დააბრუნეს:

აბა ჭკვიანნო და მცოდინარენო ყური მამიგდეთ და კარგად გაშინჯეთ, რომ საბოლოოდ მარგებელია. ჰაჯი ალი-ხან ზანგასა ხორციელი ეშმაკი იყო და ბიძა ეტიმადოვლედ ჰყვა. ყაენის ნაზირიც მოიყვანა და ქართლს ჩაგრად წასვლით და მრავალის ტყუვილის ამბის მოტანით თავრიზის ბეგლარ-ბეგობა და საქართველო-ზე სარდრობა იშოვნა და დიდის ლაშქრით ათს წელიწადს ხან ყაზახს ავიდის და ხან უშლასხს ჩამოვიდის და ქვეყანას ცრცვიდის და აღარ ვისმე რამე შეარჩენდის და ხელმწიფეს ტყუვილის წერით ატყუებდის: და გიორგი მეფე-მ შვილი და ძმა ყაენ-თან გამოგზავნა და თავის-სამართლებელი არზები მიაწერა. ვითაც ეტიმადოვლე შხალი-ხან გიორგი მეფისა ავი იყო, არ გაიკითხეს, ქართლის მეფობა ბატონის თეიმურაზის შვილის შვილს მისცეს და ლევან და ბაგრატ ჰერათს გაგზავნეს და ლუარსაბ ქირმანს, და გიორგი მეფეს საიმედო რაყამი მისწერეს: „რომ თქვენი საბატონო ნაზარ ალი-ხანს მივეცით და თქვენ ჩვენს კარ-ზედ ჩამოდითო და ჩვენ-გან დიდი იმედი გაქვნდესო:“ ვითაც სარდარს გიორგი მეფის ჩამოსვლისა ეშინოდა, აჰმად-ხან ბეგ მიქრის უზბაში გიორგი მეფეს-თან გაგზავნეს და ასრე მოახდინეს, რომ გიორგი მეფე აღარ მოვიდა და უომრად გაეცალა და ნაზარ ალი-ხან გაბატონდა და ყიასა სარდარ-მან ვეზირად დააყენა და ასრე დაიბარა. „რომ განჯის ხანის წახდენას და ნაზარ ალი-ხანის დატყვევებას ეცადეო, რომ ჩემი ნამსახური გამოჩნდესო:“ ნაზარ ალი-ხან ამით შეუშვიდა, რომ არჩილის ქება და კერძობა დაანახა და იამა და თავისი სამეფო იმას მიაბარა და განჯის ხანი აბას ყული-ხან კახეთის ბატონი ამით დაატყუა, რომ რაგინდ ცუდი ამბავი ყოფილ-იყო ყიასა თვითან მივიდის და ისიც დაატყვევა და ერეკლესი ასრე მოახდინა, რომ მოარტყოვა, ქალაქის ციხეში შეახვეწა, და აბას ყული-ხანისა რაც მოხდება ამას უკან დაიწერების, და თავადები შემოიფიცა და თვითან ნაზარ ალიხან-თან დადგა, რომ რაც ყაენით ამბავი მოუვიდის, გიორგი მეფეს გაუგზავნოს და თავადთ, რომელთაც ერეკლესა-გან მრავალი წყალობა სჭირდათ, ისინი წაუვიდნენ და გიორგი მეფეს მიუვიდნენ და ამის-თვის ხმა დაუგდეს, რომ ერეკლე მეფე იმათი კერძი არისო და ყიასას ვაზირობით ეს დაემართა, რომ ორ-გულობა და ულონობა და ხელ-გამოუსვლელობა დასწამეს და ასრე ბოლო მოუღეს და გინდავ მისს სიტყვას არ გარდვიდის და ასრე დამჯერო იყო მისის სიტყვისა, რომ საცა თავისი და ყაენის ერთ-გულნი ჰყვანდა, ტყვილის ბეზღობით ყველა-კანი შეაძულვა, ასრე რომე აღარ-სით ერთ-გული და მოკეთე აღარ ჰყვანდა, არც თავისი მემკიდრე, არც მეუფისნი და არც ნათესავნი, არც მუსაიბნი და არც მეცნიერნი, ნამეტნავად ფარსადან გორგიჯანიძე ერთ-გულობა-ზედ მრავალი გვარად ვალ-დებული და ნამსახური, ასე მოახდინეს, რომ წიგნის არ მიწერითა და საქმის შეწყენითა, იმასაც გული გაუავეს და არსით ერთ-გული და მომხმარე არ შეარჩინეს და მაშინც ვერ შეიტყო და ამ რიგით გაურიგა კარგ-მან ვაზირ-მან სამეფო სახლი და საბატონო და

ამას-უკან რა მოხდების, ღმერთმან უკეთ იცის და მაშინც ვერ შეიტყო ვაზირის ორ-გულობა და ხელმწიფეს ასრე აცნო: „რომ იმათი კერძი არისო და მერმე ხელით ბატონობა არ გამოუვაო:“ და უკადრისად და ხელმწიფის საწყენს არზებს მიაწერინებდის. მაგრამე ფარსადანს ყაენისა-თვის მოეხსენებინა: „რომ ნაზარ ალი-ხანის ვაზირი ყიასა გიორგი მეფის გაზდილი არისო და იმისი ურჩევნიაო და ჭაჭი ალი-ხან სარდარმანც ამის-თვის ნაზარ ალი-ხანს ვაზირად დაუყენაო, რომ საქართველო არიოსო და კახეთის ბატონი აბას ყული-ხან აცდინოსო და კახნი დატყუოსო და ისინიც არისო, რომ სარდრის სამსახური გამოჩნდესო და ნაზარ ალი-ხანისა-თვის მოუხსენებიაო, რომ თქვენი ტოლ-შვილი ფარსადან არ გამოაშვებინსაო. ამის-თვის წიგნს აღარ მამწერსო, მაგრა ხელმწიფის ერთ-გულია ნაზარ ალი-ხანო და აქამდისინ თავი არ დაანებესო და ხან სარდრის ბრძანებას ქვეშ იყო და ხან აბას ყული-ხანის ბრძანებას ქვეშ იყო და თავისი ვაზირიც კარგს საქმეს უშლიდა და ავს ურჩევდაო და ამით ერთ-გულიც გაუორგულდაო და გოჯრით ქალაქის ციხეში შემოეხვეწაო, რომ ხელმწიფეს მისი უღონობა აცნოსო. თორა და ხელმწიფეს მოე-ხსენებისო, რომ ერეკლეს არც ხელმწიფე სწყალობდაო და არც ქართლი უდგა და არც კახეთი ჰქონდაო მარტოვა თუშითაო ორ-ჯელ შაჰნავაზ მეფეს შემოებაო და თუ ხელმწიფე თავს დაა-ნებებსო და აბას ყული-ხან კახეთის ბატონი არ დაუმარცხებსო კახეთითა და თუშით და მთის კაცით გარდაახდევინებსო და თუ ხელმწიფე ბატონობას წაართმევსო, ესენიც მათ მიუდგებიანო და უფრო გაძრიელდებიანო:“

და ვითაც შიხ ალი-ხან ეტიმადოვლე მიცვალებულ-იყო და მირზა თაჰრ, ძველი ვაყანვისი ეტიმადოვლედ შექნილ-იყო, ამის ცდაში იყო, რომ შხალი ხანის ნაქმარი საქმეები ავად გააშინ-ჯოს ხელმწიფეს, საბოლოს არა შინჯევდა, ამის-თვის რომე თავად იყო ოთხმოც-დაათის წლისა და მერმე ასეთი მექრთამე იყო, რომ სხვა მისებრივ არც ძველით და არც ახალი მისებრივ მე-ქრთამე არ გაგონილ-იყო: და რა კარის მებატონედ ვაზირი ასრე მექრთამედ ნახეს, მათაც ქრთა-მის აღება დაიწყეს და ხელმწიფე ღვინის მოყვარული იყო და ვაზირს მექრთამობისა-თვის ჰატივი ახადეს და მის ნათქვამს აღარ-ვინ დაუჯერებდიან და აირივნეს კარიცა და ნაზირი ალაგიცა:

რა ქართველთ ეს იცნეს, რომე ქრთამით საქმე გარიგდების ვინც ერთი ტყვე მოჰგვარის, რაც უნდოდის გაირიგის და ხელმწიფისას არას ნაღვლობდის: ერთს წელიწადში თვითან და თა-ვისი შვილნი და მეყვისნი და ნათესავნი ასრე მორჭმულნი და საქონლიანნი შექნა, რომ სხვათ ეტიმადოვლეთ ოცს წელიწადში ვერ ეშოვნათ, ღვთის შიში არ აქვნდა და არც განკითხვა სწამდა, და რა-გინდ გლახა კაცი ესახა ხელში მჭერას დაუწყებდა და თუ მის-თვის არა მოეტანა-რა ტუქსვასა და გინებასა დაუწყებდა: ქართლით ბარათაშვილი ლუარსაბ ჩაფრად მოვიდა და ლაშ-ქარი და მიშველება ეთხოვნა ნაზარ ალი-ხანს და კახეთის ბატონი აბას ყული-ხან გიორგი მე-ფეს ეხმარებოდა და ეტიმადოვლე და უფროსიერთნი კარის ბატონები განჯის ხანის საქმით გიორგი მეფეს ეხმარებოდეს და შხალი-ხანის შვილმან შაჰყული-ხან ყორჩიბაშმა და თარანის ხანი

ეშიკაღასი-ბაშ ხელმწიფეს ასრე გააშინჯვეს: „რომ გიორგი მეფე ურუმთ ტყვეთა ჰყვანდაო და იმათ გამოაპარესო და თავისის ძალით ქართლი დაიჭირაო და ერთ-მან ახალ-ციხის ფაშამანო შაჰნაზარ-ხან იმერეთით გარდააგდო და ხონთქარ-მან თქვენის გულისათვის იმერეთი თავის მემკვიდრეს ბატონს მეფეს ალექსანდრეს უბოძაო და რა ცოცხალი თქვენი ერთ-გული არისო, რისა-გან იქნასო და ან რა გაგვიჭირდა მაგისთანაო, რომ ერთ-მან თქვენ-გან გაგდებულ-მან ყულმანო ძალად საბატონო წაგვართვასო:" ხელმწიფე-მ ამათი თქმული მოიწონა. მაგრა ქალ-ბალი-ბეგს ულურთუ-ხანის შვილს ელოდენ, რომ ხონთქარ-თან ელჩად წასული-იყო და შაჰნაზარ ხანც იმას გაუგდებინა და იმერეთი ისევე მეფის ალექსანდრესა-თვის ეშოვნა და გიორგი მეფე დაეჭირვინა და წამოსვლოდა და ხუთნი თავადნი მისვლოდენ. გივი ამილახორი, არაგვის ერის-თავი გიორგი და მისი ძმა ბარძიმ და ქსნის ერისთავი დავით და ბარათა-შვილი თამაზ, და ამათის ძალით სხვანიც მისვლოდენ და უომრად მეფე მის-მან კარგად მრჩეველ-მან ვეზირ-მან ქალაქის ციხეში შეახვეწა, თორა და სხვა თავადნი ყაენს არ წაუგვიდოდნენ, ამის-თვის უბძანე-ბია ალექსანდრე მაკედონელსა: „რომ სხვათა ხელით ეკალი უნდა გრიფოსო. თორა და სხვა დიდი საქმეო არც ძმასა და შვილს უნდა ანდოსო, რომ მათაც თავისი ურჩევნია შენსაო და ბევრსა ჰკითხოსო, ზოგს ერთგანო და ზოგთ ცალკე ცალკეო და ჭკუვითა და საბოლოოს საქმით გამსინჯეო და რომელიც გიჯობდესო ისრე ჰქენო და დღევანდელს საქმეს სახვალიოდ ნუ მიაგდებო და გულის პასუხს გათავებამდისინ ნურ ვის ანდობა, რომ ერთს დიდს ხელმწიფესაო, ორი ვაზირი ჰყვანდაო, ერთი სამეტნაგად ერთ-გულიო და მეორე სამეტნივად ორ-გულიო, ის კარგი ვა-ზირი ტყუვილის მოგონებით შეაძულვაო და ხელწიფის ცოლი სხვას თავის კერძს და ხელ-მწიფის ნათესავს შეაბირაო და ხელმწიფეს-თან თავისივე ცოლი მისად წასახდენლად მოიყვანაო' ორგულები გაამდიდრდაო და ერთ-გულები წაახდენინაო და კარგად მრჩეველი და ერთ-გული ვაზირი ტყუვილის მოგონილობითაო და ცოლისა-გან ბეზღობითა და თვითან დამოწმებით სა-ქმე ასრე გაუხადეს, რომ მართალს არას დაუჯერებდის და მოსაკლავად მოინდომა და ისივ ხელ-მწიფის ორ-გული ვაზირი მოეხმარა და ასრე მოახსენა: „მრავალ-გვარად სამსახური არისო და დიდის ხნისა არისო, ხელმწიფე-მ აზატი ქნასო, ერთს ალაგს დაჯდესო, ხელმწიფის მლოცავი იყოსო: დაუჯერა და ვაზირი თავის სახლში მჯდომარე შეიქნა და აღარას საქმე-შიგ აღარ გაერივის:"

„ცოტა რამ ხანმან გამოიარა, ორ-გულ-მან ვაზირ-მან მიმალვით ჯარი დედოფალსა და მის საქმროს შეაფიცა, ასრე უთხრა: „მეფეს შორეს სანადიროს წავიყვანო და შენ იქორწილეო და სალაროს გახსენო და ყველას მრავალი უბოძეო:" რა ეს ამბავი ნადირობაში მოგვივაო, მეც თან-გავჰყვებიო და გარდავახვეწებო და ვინც ხელმწიფესა გამოჰყვებისო თითო-თითოს აქავ გა-მოგიგზავნიო და მათ უკან მეც წამოუვალო:" მუხანათის ვაზირის ნარჩევი ავ-გვარმა და ავ-ხაქციელ-მან გაათავა. და ეს ამბავი ნადირობაში მეფეს მოუვიდა და მუხანათ-მან ვაზირ-მან სხვა

რჩევა აღარ დაატალა, თვითანც თან-გაჰყვა და სხვას ქვეყანას გარდაიხვეწა, ჯარიც გაუორგულდა და თვითანც წაუვიდა, ხელმწიფე აბდლად შეიკაზმა და მარტოკა ქვეყნის ტარება დაიწყო:"

„ერთს მეცხვარეს-თან მივიდა, ნახა რომ ერთი ქოფაკი ძაღლი დაეკიდნია და ძაღლ-ზედ სცემს და ერთს სხვა ძაღლს ხორცს უჭრის და აჭმევს: ჰკითხა მეცხვარესა: „რისა-გან არისო, რომ ერთსა აგრე ძაღლს-ზედ სცემო და მეორეს აგრე კარგად ეპყრობიო, მეცხვარე-მ მოახსენა: ამას რომ ვსცემო ძუ მგელი შეიყვარაო და როსაც მოვიდის ერთს ცხვარს მისცემდისო და მრავალი ცხვარი გამიცუდაო და ამ ძაღლს რომ ვაპატიებო, როსაც მგელი მოვიდისო, შეჰქნის ძაღლს-ზედა ყეფასაო და წუწკუნსაო. მეც გაუწყრებოდი და დაუწყებდი ცემასაო და ეს ძაღლიც დაუწყებდა გბენასო და დღეს ცისკრისას ძუ მგელი მოსრულ-იყო და ამას ცხვარი წინ წაგდოდა და მიყვანდაო. ამ ძაღლ-მან ფეხის-ცემითა და თავის ქნევით მაცნობაო და წუწკუნით წინ-წამიძღვაო, ცხვარი მოკლაო, რომ არ წაუვიდესო და თვითან მგელს შეჰკლეტოდაო, ასრე მათზედ მიმიყვანაო, რომ გაურა ველარ დამასწრესო, მგელი მოვჰკალო და სამი დღე არის ამ ქოფაკს ორ-გულობისა-თვის ვსცემო და იმათი მოკლულს ცხვარსაო უხარშავო და ამ ერთ-გულს ძაღლს ვაჭმევო:"

„რა ხელმწიფე-მ ესები მეცხვარისა-გან გაიგონა, ამოიხვნეშა და თავისის ვეზირების ორგულობა და ერთ-გულობა მოაგონდა და ცოლის სხვათი ბირება და ლაშქრის გაორგულება და კარგის ვეზირის არ დაჯერება და ავისა და ორ-გულის ვეზირისა-გან თავის-მოთხრა და შერცხვენა და სახელმწიფო წართმევა და ცოლის გაცემა მოაგონდა და ასრე თქვა: „მივალ ძველის ვეზირისასაო, უნდა მამკლას, უნდა დამარჩინოსო:" დავრიშულად მიდგა, ვითაც გლახა ერთ-გულის ვეზირის კარსა. რა ვეზირ-მან ნახა ფიცხლავ იცნა და დიდის ტუქსვით გარ გაადებინა და ულონო ქმნილი დაბრუნდა და ვეზირიც თან-გაჰყვა და მარტოკა ნახა და ასრე უთხრა: „ამისთვის დაგტუქსე და უკადრისი სიტყვები მოგახსენეო, რომ თქვენი გაცხადება არ-ვინ შეიტყოსო, ჩემის ბაღის კარ-ზედ გლახათა-თვის სადგომი გამიკეთებია და სასმელ-საჭმელი, ტანი-სამოსი გამიჩენია, როსაც ბაღში მოვალო სამარტოდ დაუძახებლად თან-გამომყვეო და უასრობისათვის კიდეც გაგიწყრებიო, დრომდის არ-ვინ შეგვიტყოსო:" ხელმწიფე-მ მადლი მოახსენა და ამ ერთ-გულ-მან ვეზირ-მან სამს წელიწადს მრავლის ჭკუვითა და საქონლის გაცემით სრულ ჯარი და ყმა ასრე მოიყვანა, რომ ახალ-მან ხელმწიფე-მ ცოლი მალვით დაარჩო და ვეზირი ხე-ზედ ჩამოარჩობინა და დედოფლის ყმანი და ნათესავნი გაუავდნენ და ვეზირის კერძნი თავადნი და ნათესავნი შეშინდნენ და შემოფრთხნენ: ამისთანას დროს ძველი ხელმწიფე გააცხადა და მეფენი და თავადნი და ერის-მთავარნი შემოეყარნენ და ახალი ხელმწიფე შელონდა და ღონეს რასმე ეძებდა. მისი მისანდო კაცი ვეზირს გაუგზავნა: „შენის დაუჯერლობისა-თვის ორი ხელმწიფენი იმ მუხანათის ვეზირის საქმით წავხდითო, ახლა რომელიც გვიჯობდეს გვირჩიეთო:"
ვეზირ-მან ასრე შესთვალა: „რად-გან ჩვენ შემოგვეკითხენითო, გვმართებს ღვთის წინაშენო,

რომელიც გიყობდეს ის გამოგირჩიოთო, ჯარი და მეფენი და თავადნი შენ წაგჰყვლიან და მას მისვლიასო, შიშით შენ აღარ-ვინ მოგივაო, სალაროს კარი გაალეო და დიდი გაცემა ჰქენო, რომ შენი გარდახვეწნა არა-ვინ იაზროსო და ამ გაცემის დროსა, რაც ძვირის-ფასი თვალ-მარგალიტი იყოსო, რომ თან წაღება შეგეძლოსო ნაპირის ალაგამდის გაცემით და ლაშქრის გროვებით და რომელიც წასაღებლად გინდოდესო ივეშქაშის მაგიერად წინ-და-წინ გაგზავნეო, თუ დაატეო რომ შემობმა შეგიძლიაო, კარგი არისო და თუ შემობმა არ შეგეძლოსო ნადირობის სახელით მშვიდობით გაეცალეო და თუ დრო დაიცე კიდევ წამოეჭიდეო, თორა და სხვა იქნები შენი სარჩო გექნებისო და დიდი პატივი და ნებიერობა გექნებისო:" ხელმწიფე-მ მოეწონა რჩევა და ასრე ქნა, როგორც მოეწერა და ხელმწიფობითა და დიდის დიდებითა და სალაროთა და მორჭმით გაეცალა და ზოგნი თან-გაჰყვნეს და უფროსიერთი დაბრუნდეს და თავიანთ ძველს ხელმწიფეს იახლეს და დღევანდლამდისინ ეს არაგი მიემსგავსების ნაზარ ალი-ხანის საქმესა და მისის ვეზირის გარიდებასა. ნაზარ ალი-ხან უომრად და გაუჭირებლად ქალაქის ციხეში შეახვეწა და გიორგი მეფე-მ უომრად და გაუჭირებლად ქართლი დაიჭირა და კახეთის ბატონი ყასამ თავისი ქრძი შექნა და რაგინდ ცუდი საქმე ყოფილ იყო ერეკლე მეფისა-გან კახეთის ბატონს აბას ყულიხანსთან თვითან გაეგზავნებოდა და ისიც ერეკლე მეფეს გაუგა და გიორგი მეფის ქრძი შექნა. მაგრა მაშინც ერეკლე მეფე ამ ვეზირის უსნებურს ვერას იქმნოდის და ამას უკან რა მოხდების, ღმერთმან უკეთ უწყის:"

ამ დროს ბარდის ხანი ჩაფრად მოვიდა და ქართლის თავადთა-გან ხელმწიფეს არზა მოართვა: „რომ ჩვენ გიორგი მეფის მეტი ბატონი არ გვინდათო, ხელმწიფე-მ ჩვენი სახვეწარი შეიწყალოსო და ქართლის მეფობა უბოძოსო და თუ ამან ხელმწიფის ოჯახს-ზედ სტყუოსო, ჩვენ გარდაგვახდევინოსო:" და ზოგ-ზოგს ხელმწიფის კარის კაცთაც ქვეყნის დასაწყნარებლად გიორგი მეფის მიცემა უნდოდათ და ზოგნი ხელმწიფეს ასე ეუბნებოდეს: „ურუმთ თქვენის გულისა-თვის გააწყრესო და იქით გამოპარულ-მან თავისის ძალით საქართველო დაიჭირაო და თქვენ-გან დასმული მეფეო ციხეში შეახვეწაო, ამისი დათმობა ხელმწიფისა-თვის უკადრისი იქნებისო:" და ამ დროს ქიჩი მაქრანელნი ქირმანს არბევდეს და ოს-ბეგნი ხორასანს აოხრებდეს და ქურთნი ადრიბეჟანის, სანაპიროს ეჭიდებოდეს და ზოგი ადგილი დაეჭირათ და ხელმწიფე ლხინსა და ღვინის-სმას იყო და კარის კაცნი არას უკან იყვნეს და გაცხადებით ქრთამს იღებდეს და შიში და მორიდება აღარ ვის-გან ჰქონდათ, რაგინდ კაცი მტყუვანი ყოფილ-იყო ქრთამის ძალით მართალს კაცს გაამტყუნებდიან და მტყუანს გაამართლებდიან, და მერჯულეთაც სხვათა მოსამდრიელებლად ჰგმეს ღმერთი და შესცვალეს სამართალი და წაიწყმიდეს სული და მართალი გაამტყუნეს და მტყუვანი გაამართლეს და განკითხვა და წაწყმენდის შიში აღარ აქვნდათ და ვისაც ვისიმე ქმართა და ან მიებარებინა აშიროს იტყოდა და ნახევარს ქრთამად გაიღებდა და პატრონს აღარას მისცემდა და თუ არ ჯარით ამ სოფლით იმ სოფელში ვერ წავიდის და უგზო-გან მზირნი

გზისა და ქურდნი ატეხილ-იყვნენ და ვისაც ძალა აქვნდა ქვეყანას სცრცვიდა და შეკვეთით მორ-ჭმულთა და მქონებელთ საქონელსა სთხოვდიან, თუ მისციან თავის თავს მოირჩენდიან და თუ უვარს ეტყოდიან, ან ღამით თავს დაესხმოდიან და დახოცდიან და საქონელს წაიღებდიან და ან დღისით დანას შესცემდიან და მოჰკლევდიან და ესეები ნამეტნავად ისპაჰნის ქალაქში იქნებოდის და განკითხვა არ იყვის, ამის-თვის რომ ქრთამის აღება იყო და სიმართლე და შიში მღვთისა და ხელმწიფისა აღარ-ვის აქვნდა და ნაპირის ქვეყნებში ხმა გავიდა: „რომ ხელმწიფე ღვინის-სმასა და ლხინს არისო და კარის კაცნი გაცხადებით ქრთამს იღებენო.“ ამის-თვის ყოველი სანაპირო ქვეყანა არივა და ზოგნი საქართველოს კაცნი ისპაჰნს ჩამოვიდნენ და ცოტას რისამე ქრთამით უაენის უნახავად რაც უნდა გაირიგეს და წავიდნენ და რა ქართლს მივიდნენ ხელმწი-ფის კარის ამ რიგი ამბავები მიიტანეს, მათაც გაბედეს, ერეკლე მეფე უომრად ქალაქის ციხეში შევიდა და ქვეყანა მეფე-მ გიორგიმ დაიჭირა და ასრე თქვა: „უაენის კარ-ზედ ჩავალო და:“ მეფის ძმა ლევან ექრათს იყო და ლუარსაბ ქირმანს, კარ-ზედ ითხოვეს. ამის-თვის რომ გიორგი მე-ფეს უფრო გული დაედებისო:

ამ დროს კასპიის ბატონს აზას ყული-ხანს ზარდის ხანი ჩაფრად გამოეგზავნა და გიორგი მეფის კაცებიც თან-გამოეტანებინ და ამას წინად რომ იწერებოდა „უაენის კარ-ზედ ჩამოვა-ლო“ ახლა გაცხადებით განჯის ხანისა-თვის მოეწერა: „რომ ხელმწიფე-ზედ არა დამიშავებია-რაო, გამიწყრაო და გავეცალეო და ახლა ქართველთ ფიცით გული შემაჯერესო და ყველანი მამივიდნენო და არვის-თვის არა შემიცოდებია-რამეო, ჩემი საბატონო დამიჭირავსო და ხელ-მწიფისა-გან ამას მოველიო, რომე თავისად ყმად მიუოლიოსო:“ და ქართველთაც ხელმწიფეს-თან არზა მოეწერათ: „რომ ჩვენ გიორგი მეფის მეტი ბატონი არ გვინდაო, ამას მოველით ცათა სწორის ხელმწიფისაგანო, რომ ჩვენი სახვეწარი შეიწიროსო და ამისი დანაშავები ჩვენ გვაპა-ტიოსო და თუ ამან ხელმწიფის ოჯახ-ზედ სტყუოსო, ჩვენ გარდაგვახდევინოსო:“ ეს ამბავები და გიორგი მეფის არ ჩამოსვლა ხელმწიფეს ეწყინა და პაშტა ხანობამდისინ ზარდის ხანი არ ინახვისა და არც ამბავი ჰკითხა:

ამ დროს ერეკლე მეფის ჩაფრები მოვიდნენ და ხელმწიფისა-თვის არზა მოეწერა. „რომ გიორგი მეფეს გაეგონაო, რომ ხელმწიფის წყალობა, ხალათი და თაჯი და თომარი უბოძე-ბიაო, ჯარი მიეგება რომ წაერთმევინა, ეს ამბავი მოგვივიდა, ვინც ქისიყელნი გვახლდა დაუ-ძახეთო, იმათ-გან ოარი კაცი მოეკლათო და ხელმწიფის ხალათი მოგვიტანესო, მივეგებენით, ხელმწიფე დავლოცეთ, ხალათი ჩავიცვითო და ქალაქში შემოვედითო და გიორგი მეფეო ვერის წყალ-ზედ დგასო და ხელმწიფის ბძანება რა იქნებისო, გვიბძანოსო:“ კიდევ უური არ ათხოვეს: ამ დროს კიდევ გორის მისბაშის ძმა ჩაფრად მოვიდა და ეს ამბავი მოიტანა: „გიორგი მეფემანო გორის ციხეს ყველ-გნით გზები შეუკრაო და საჭმელს ველარაგნით შემოიტანებენო და ამილა-ხორის გიფის ძმის-წული იოთამ ბეგო ჯალაბობრივ გორის ციხეში შემოვიდაო და უაენის ურჩსა

და ორგულთ ებმვისო და სამილახოროდ იმას ითხოვენო და გორის უფროსნი და თავნი კაცნი ძღვნით გიორგი მეფეს-თან მივიდნენო და ასრე მოახსენესო, ციხის-აღება არ შეგვიძლიანო და და ბოლოს ისრევე ყაენი გვაჯობებსო და თქვენ ორ-გულად დარჩებითო, ქართლი ხელთ გიჭირავსო, ციხის ბრძოლას დაეხსენო:“ ამათი ნათქვამი სიტყვები მოეწონა და ციხით მოშორდა და ეს ამბვები ნაზარ ალიხან ყაენისა-თვის მოეწერა:

ამ დროს ქალბალი-ბეგ უდურლუ-ხანის შვილი ყაჯარი, რომ ხონთქარ-თან ელჩად წასულიყო მოვიდა და ხონთქრის სიკეთე და კარგად დახვედრა და წყალობის გაახლება ყაენს მოახსენა და ხელმწიფეს იმა და მაშინც ქართლისა და კახეთის ჩაფრები არ გაისტუმრეს და აღარც ქალბალი-ბეგს განჯის ხანის შვილს ურუმული ამბავი ჰკითხეს და განჯის აბას ყული-ხან რომ კახეთში ბატონობდა, იმას უბძანეს: „ნაზარ ალი-ხან-თან თბილის ქალაქს მიდიო:“ ორნივ თბილის ქალაქს შეიყარნეს და გურგი-ხან ხან ქართლს იყვის და ხან სომხით საბარათიანოში მივიდის და მის ანბავს ნაზარ ალი-ხან და აბას ყული-ხან ყაენსა ჰსწერდეს და ხელმწიფემ ყური არ ათხოვა, ლხინს იყო და პასუხი არ უბძანა: და ნაზარ ალი-ხანსა და აბას ყული-ხან შუა სამდურავი ჩამოვარდა და ერთმანერთს გურგი-ხანის კრძობას სწამობდეს და ყაენ-თან იბეზღებოდეს და აბას ყული-ხანს უნდოდა რომ ღომრად გიორგი მეფე ყაენის კარს გაეგზავნა და ნაზარ ალი-ხან ამის-თვის სწყრობდა, რომ საბატონო მისი გიორგი მეფეს ეჭირა და თვითონ ქალაქში იყო და არსით მოსავალი არა ჰქონდა: ფარსადან ვიტყვი ამას, ვიმოწმებ მართალსა მამასა, ბედნიერი ყაენი ნაზარ ალი-ხანის ხელ-გამოუმაგლობისა-თვის ჩვენ-ზედ აგ-გუნება შეიქნა და ნაზარ ალი-ხანც გაგვიავდა და მტერ-მან დრო დაიცა და დაგვიწყეს ბეზღობა და უწინ დავით შვილი ჩემი სიყმაწვილისა და ამაყობისა-თვის დაბეზღდა და დააჭირვინეს და ოთხს წელიწადს ტყვეთა ჰყვანდა და მას უკან ჩემი ძმა ალექსანდრე ერანის ზარაბ-ბაში იყო და სიტყვა შეუსმენელი და დაუჯერებელი და თავის მამწონე იყო და ხელმწიფის საქონელი ვისაც მისწვდა ასესხა და ჩემი ვერა შეასმინე-რა, დაბეზღდა, დააჭირვინეს და საქონელი წაართვეს, ნახეს. რომ არა აქვს-რა და მობეზღართ-სიტყვა ტყუვილად გამოვა ხელმწიფეს მოახსენეს: „რაც ზარაბბაშსა აქვსო, მის ძმას მელიქსადათ ბეგ უზბაშის-თან აქვსო:“ ისიც დააჭირვინეს ადრიბეჟანის ვეზირსა, ნახეს რომ არც-არა მას აქვს, ხელი აიღეს, ცოტა რამე ადრიბეჟანის ვეზირის შვილისა-თვის მიეცა თავრიზის ჯანიშინ-თან მოვიდა და იმას თხოვნა დაუწყო. ეს ადრბეჟანის ვეზირს ეჯავრა და ყაენს არზა მოსწერა: „უზბაშს ჩემი ბეჭედი გაუხსნიაო და რაც კარგი რამე ყოფილაო ამოუღიაო:“ მერმედ უბძანეს, დააჭირვინეს და რაც თავისი და ჩემი და ჩემის შვილისა იყო ყველა ზავთი ჰქნეს და თვითონ თავრიზს მოიყვანეს და ამის უარეს ღირსი იყო. მის-თვის რომ, ჩემი უნებური იყო და ასეთის კაცის ქალი შეირთო, რომ ღვთის საწყენი საქმე აქნევინა და სოფელი ამირია და ჩემი ქონება თავის ცოლის ძმებს უგზავნა და ჩემ-თვის ვერ გამოიმეტა, წელიწადს ნახევარს ასრე ავად ვიყავ, რომ ჩემი სიცოცხლე არ-ვის ეგონა, ათ-ჯერა

კაცი გაუგზავნე: ,,შენს უნახავს ნუ მამკლავ მეთქი:" სხვის კაცის დაუთმობლობით არ შემიბრალა, არც ჩემი ნახვა მოინდომა: ,,კიდევ ჩაფარი გაუგზავნე რაგინდ ჩემი ნახვა არ გინდა იჯდე ადექ და თუ იდგე ნუ დაჯდები. თორა და დაჭერილს ჩამოგაყვანინებ-მეთქი" ჩემი სიტყვა აგდებით შეისმინა და თავრიზით არ წამოვიდა, შინ წავიდა და ისაული მივიდა და დააჭირეს და რომ კიდეც არ დაეჭირათ, მაშინ არ წამოვიდოდა, მაგრამე ღმერთმან აღლეგრძელოს ბედნიერი ყაენი, რა გინდ შვილი და ძმები ჩემი ტყვეთა-ჰყვანდა, რასაც მივსწერდი და გავგზავნიდი, შეუგზავნიდეს: არზა მივსწერე და თავისი ხელ-ნახლები პური გსთხოვე და ღმერთმან აღლეგრძელოს, ერთი სუფრა პური და ყოვლის საჭმლისა-გან კერძი ებოძა და მესამეს დღეს ჩემი შვილი აზატი ექმნა და ჩემ-თან გამოეგზავნა და ებრძანებინა: ,,შენის გულისა-თვის ტყვეთა მყვანდაო, რომ შენ გაწყენინებდაო და თუ გავიგონეო, რომ კიდევ გაჯავრებსო ავად მოვეპყრობიო:" რა ხელმწიფე მწყალობელი შეიქნა, სხვასიც დატკბეს და მტერობა მოშალეს:

## §. 32.

ყაენი მრავლის დამთმი იყო და უნდოდა უომრად და უჩხუბრად საქართველო დააწყნაროს და გიორგი მეფეს და ქართველთ ხელმწიფისა ნამეტნავად შიში აქვნდათ და ერიდებოდათ, ამისთვის კარ-ზედ ჩასვლა ვერ გაბედეს. მაგრამე წიგნის მოწერითა და კაცის გამოგზავნითა და ნანებითა და ბოდიშის თხოვნით ეხვეწებოდნენ, მაგრამ მეფეს ყური არ ათხოვა და არც პასუხი მისცა, არც მათ და არც მეფეს ნაზარ ალიხანს და ყაენის დედას ნაზარ ალი-ხანის ელენე დედოფლისა-თვის ასრე ებძანებინა: ,,შენ-მა შვილმანო ერთის თუშეთის სოფლითაო შაჰნავაზხანს და მის შვილს შაჰ-ნაზარ ხანსაო ორ-ჯერ შეება და კახეთი წაართვაო, რომ არც ხელმწიფე უღვაო და არც სხვიგნით ჰყვანდაო და ახლა ხელმწიფე სწყალობსო და ქართლის მეფობა მისცაო და კახეთი და თუშნი და განჯის ხანი და არაზს იქითი. ლაშქარი მიაშველაო და მაშინც ქალაქის ციხით არ გამოვიდაო, რომ თავის მცილეს პასუხი გასცესო, პაპა მის-მან ბატონ-მან თეიმურაზო სრულ ქვეყანა შეაჯერაო და გარეშემოს მისას არბევდაო და მრავალ-ჯერ ხელმწიფის ლაშქარს შემოებაო და შენ-მან შვილმანო, ვერა ქნა-რაო, რა-გინდ ხელმწიფე მის მწყალობელი არისო და საქართველოდა-მ იწურებიანო, რომ მათი სიტყვა და პირობა ერთი აქვთო და შენი სიძე არჩილი შენს შვილს ვერ გამოუმეტებიაო, ამაში ხელმწიფე-მ რა ქნასო, ან უღონო არისო და შენს შვილს მეფობის ქნა არ შეუძლიაო და ან იმათ-თან პირობა ერთი აქვსთ და ხელმწიფე აღარ ენდობისო, ქართლი და კახეთი ხელთა აქვსო და არაზს გაღმართი ლაშქარი მიაშველაო, ეცადოსო, რომ ასეთი საქმე ქნასო, რომ მობეზღართ სიტყვა გაამტყუვნოსო, შეებასო ან თავს დაესხასო, ან მოკლასო, ან შეუკვდესო, ხელმწიფეს სამსახური და ხელთ-გამამაგლობა დაანახოსო და მრავალი წყალობა დაიმართოსო. თორა და თვით-თან იცისო: აქ ხელმწიფეს მოახსენაო, წავალ და ყველას მხარ-წაგრულებს გაახლებო, და წავიდა და ერთი ასეთი სამსახური

ვერა ქნა-რაო, რომ ხელმწიფის საამებელი ყოფილ-იყო, აქ ამბობდა ჩემის ყმის შვილებნი არიანო და ახლა იმათ-გან სპარსის წიგნებს იწერებიანო, ამაში ხელმწიფე-მ რაც-უნდა ქნასო: ესეები თქვენს შვილს მისწერეო, მართალი თავისი ფიქრი ქნასო, რომ მტრის გულისა არ შეიქნასო:" ესეები დედოფალ-მან შვილს მისწერა. „რომ ხელმწიფე-მ ესეები მიბძანაო და ყოველს კაცს სიტყვას ნუ ანდობო, ხვაშიადსა და გულის მისანდობსა და რაც გინდა საქნელად შეუტყობლად ჰქენიო, თორა და რა შეგიტყობს ეცდების თავისი საქმე შენსას აჯობინოს: ამის-თვის ნათქვამია ფილასოფოსთა-გან, რომ საქონელი მიფარვით შენახული სჯობსო და სიტყვანი თავად სრულ ცოტა-მთქმელი სჯობს და მერმე ყველას ნუ ენდობითო. ამის-თვის რომ და კაცია მაამებელიო, თუ ვითაც ხვარბალი მიწაში მიფარვით ერთი ასად მოგეცემის და თუ მიწას ქვეშ არ მიგიფარავს ფრინველნი შეგიჭამენ, მოსავალი წაგიხდების და თვითან გაირყვები: აბა სიტყვანიც ასრეა. თუ მიფარვით გაქვს, საქმე გაგირიგდების, თორა და შენს მტერს შენს საწადელს ეტყვი და მაგიერს ისიც ეცდების, რომ გაჯობოს. ასრევეა საქონლისა მიფარვით შენახვა, ამის-თვის რომ უქონელს არც მეშურნე აუტყდების და არცა მოძალადე წაართმევს რასმე:"

## §. 33.

თევსა მაისს კახი ბატონი მეფის ერეკლეს ძე, მეფე იმამყული-ხან მარტყოფს მობძანდა და მარტყოფიდამ დაიწყო სიარული და ქალაქს აბანოში შევიდა და ქართველის ბატონის შვი-ლი ვახტანგ მაშინ ქართლის ჯანიშინი იყო და ამას ჩასვლა რომ შეიტყო დიალ ეწყინა და კაცები მოუყვიდა ვახტანგს. „რომ კახი ბატონი ჩამოვიდაო და ქალაქის ტახტ-ზე დაჯდაო:" ამათში შეიქნა ერთი ტირილი, მეორედ მოსვლა. მაგრამ კახი ბატონი იმ გზით არ ჩასულა და არღა-რა ამის გუნებაში ქართლის დაჭერა სდომებია იმ ხანათ. მაგრამ იმათ ეგონათ: ამათში ცოტა რამ ლაპარაკი მოხდა, კახმა ბატონ-მან იმამყული-ხან იმ ლაპარაკს ყური არ მიუგდო: ეს დაიწერა მაისის გასულს, ქორონიკონსა ტყა, ღმერთო ხელი მოუმართე კახს ბატონს და კახე-თი დღეგრძელობასა და გამარჯვებაში ახმარე:

დასასრული.

# საძიებელი:


| | | | გვერდი. |
|---|---|---|---|
| უწყებულება მკითხველთა-თვის | | | 1 |
| ცხოვრება ქართლისა შემდგომად განყოფისა | | | 11 |
| ოე. | მეფე | კოსტანტინე გ. | — |
| ოვ. | — | დავით ჱ, | 16 |
| ოზ. | — | გიორგი თ,. | 21 |
| ოჱ. | — | ლუარსაბ ა, | 22 |
| ოთ. | — | სვიმონ ა, | 25 |
| — | — | დავით გინა დაუთხან | 26 |
| პ. | — | გიორგი ი, | 33 |
| პა. | — | ლუარსაბ ბ, | 34 |
| პბ. | — | ბაგრატ ვ, | 39 |
| პგ. | — | სვიმონ ბ, | 40 |
| პდ. | — | თეიმურაზ ა, კახთ ბატონი | 45 |
| პე. | — | როსტომ | 46 |
| პვ. | — | ვახტანგ ე, | 50 |
| პზ. | — | გიორგი ია,. | 56 |
| პჱ. | — | ერეკლე ა, | 60 |
| | | კვალად გიორგი მეფე | 62 |
| | | წარვიდა გიორგი მეფე იმერეთს და მასუკან სპარსეთს | 66 |
| | | ვახტანგ ჱ წელი განაგებდა | 70 |
| პთ. | — | ქაიხოსრო | 73 |
| ჟ. | — | ვახტანგ ვ, | 77 |
| ჟა. | — | იესე | 78 |
| ჟბ. | — | ბაქარ | 80 |
| | — | ვახტანგ ვ, | — |
| | | წასვლა მეფის ვახტანგისა რუსეთად | 87 |
| | | მოკვდა თამაზ-ხან ტფილისს | 91 |
| ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა | | | 95 |
| ა. | მთავარი გრიგოლ. | | 96 |
| ბ. | — | კვირე | — |

გვერდი

ბ. — სამოელ . . . . . . . . . . —
დ. — გაბრიელ . . . . . . . . . . —
ე. — ფადალა . . . . . . . . . . 97
ვ. — კვირიკე . . . . . . . . . . —
ზ. — ფადალა . . . . . . . . . . —
ჱ. — კვირიკე . . . . . . . . . . 98
თ. — დავით . . . . . . . . . . 98
ი. — კვირიკე . . . . . . . . . . —
ია. — გაგი . . . . . . . . . . 99
იბ. — აღსართან . . . . . . . . . . 100
იგ. — კვირიკე . . . . . . . . . . —
იდ. — აღსართან . . . . . . . . . . —
აღმოჩენა და დაპყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისა . . . . . 101
ცხოვრება აწინდელთა მეპატრონეთა . . . . . . . 102
ა. მეფე დავით ა, . . . . . . . . . . —
ბ. — გიორგი ა, . . . . . . . . . . 103
გ. — ალექსანდრე ა, . . . . . . . . . . 104
დ. — გიორგი ბ (ავ-გიორგი). . . . . . . . . . 105
— bis დავით ჱ, . . . . . . . . . . —
ე. — ლევან ა., . . . . . . . . . . 106
ვ. — ალექსანდრე ბ, . . . . . . . . . . 109
გამოსვლა ლალა ფაშისა . . . . . . . . . . 110
შაჰაბაზს გახელმწიფება. . . . . . . . . . . 111
ვ. (bis) დავით ბ, . . . . . . . . . . 112
ზ. — კონსტანტინე ა, . . . . . . . . . . 113
ჱ. — თეიმურაზ ა,. . . . . . . . . . . 114
ა მოსვლა შაჰაბაზისა . . . . . . . . . . 115
მოვიდა თეიმურაზ კახეთს და ექვსი თთვე იმეფა . . . . . . . 117
ბ . მოსვლა შაჰაბაზისა . . . . . . . . . . —
ფეიქარ-ხან კახთა . . . . . . . . . . 118
მოსვლა თეიმურაზისა გონიდამ კახეთს . . . . . . . . 119
მოსვლა ბატონის თეიმურაზისა დუშეთს . . . . . . . . 121
როსტომ მეფე-მ თ წელი იმეფა. . . . . . . . . . 123
სელიმ-ხან . . . . . . . . . . 124
მურთუზალი-ხან. . . . . . . . . . . 125
თ. — არჩილ. . . . . . . . . . . 126
ბეჟან ხან. . . . . . . . . . . 128
ხანი ე წელი იყო. . . . . . . . . . . 129
აბაზყული-ხან . . . . . . . . . . —
ქალბალი-ხან . . . . . . . . . . 130
ი. — დავით გ. . . . . . . . . . . 131
ია. — კონსტანტინე . . . . . . . . . . 137
იბ. — თეიმურაზ ბ,. . . . . . . . . . . 141

| | |
|---|---|
| ცხოვრება სამცხე კლარჯეთისა | გვერდი |
| წარმოჩენა ბაგრატიონთ ნათესავობისა. | 146 |
| ჱ. უკარუკარე ათაბაგი ბ, | 152 |
| თ. ბაადურ | 53 |
| ი. მანუჩარ | 155 |
| ია. უკარუკარე გ. | — |
| იბ. ქაისოსრო | 157 |
| იგ. მზე-ჭაბუკი დიდი | 158 |
| იდ. უკარუკარე დ, | — |
| ბაგრატ მეფე-მან იმერთა-მან დაიპყრა სამცხე | 159 |
| იე. ქაისოსრო ბ, | 160 |
| ა. მოსვლა შაჰ-თამაზისა | — |
| ბ. მოსვლა შაჰ-თამაზისა | 162 |
| ივ. უკარუკარე ე, | — |
| გ. მოსვლა შაჰ-თამაზისა | 163 |
| ლალა ფაშა მოვიდა | — |
| იზ. მანუჩარ ბ, | 165 |
| იჱ. მანუჩარ გ, | 166 |
| ით. ბექა გ არუ საფარ-ფაშა. | 167 |
| კ. იუსუფ-ფაშა ა, | 168 |
| კა. როსტომ ფაშა. | — |
| კბ. ასლან ფაშა ა, | 169 |
| კგ. იუსუფ-ფაშა ბ, | 170 |
| კდ. სალიმ ფაშა | 171 |
| კე. ისაყ ფაშა | 172 |
| კვ. ასლან ფაშა ბ, | 173 |
| ისაყ ფაშა მეორედ. | 174 |
| ასლან ფაშა მეორედ, | — |
| ისაყ ფაშა მესამედ | — |
| კზ. იუსუფ ფაშა | — |
| ცხოვრება ეგრისს აფხაზეთისა | 176 |
| ა. მეფე ლევან ბ, | 175 |
| ბ. — თეოდოსე | 178 |
| გ. — გიორგი | 179 |
| დ. — იოანე. | — |
| ე. — ადარნასე. | — |
| ვ. — ბაგრატ | — |
| ზ. — კონსტანტინე | 180 |
| ჱ. — გიორგი | — |
| თ. — ლეონ. | — |
| ი. — დიმიტრი | 181 |
| ია. — თეოდოსე | — |
| ცხოვრება იმერეთისა | — |

| | | |
|---|---|---|
| | | ფურცელი. |
| ა. | მეფე ნარინ დავით ა, | 181 |
| ბ. | — კონსტანტინე ა, | 182 |
| გ. | — მიქელ. | — |
| დ. | — ბაგრატ ერისთავი | 183 |
| ე. | — ალექსანდრე | — |
| ვ. | — გიორგი | — |
| ზ. | — კონსტანტინე ბ, | 184 |
| ჱ. | — დიმიტრი ერისთავი | — |
| თ. | — ბაგრატ. | 185 |
| ი. | — ალექსანდრე ბ, | 186 |
| ია | — ბაგრატ გ, | 188 |
| იბ | — გიორგი ბ, | 191 |
| იგ | — ლევან ა, | 194 |
| იდ. | — როსტომ | — |
| იე. | — გიორგი გ, | 196 |
| ივ. | — ალექსანდრე გ, | 199 |
| იზ. | — ბაგრატ დ, | 202 |
| იჱ. | — არჩილ ა, | 203 |
| | კვალად მეფე ბაგრატ დ, | — |
| | კვალად დარეჯან და ვახტანგ ჭუჭუნა-შვილი. | 204 |
| ით. | — გურიელი დემეტრე. | 205 |
| | კვალად მეფე ბაგრატ დ. | — |
| | კვალად მეფე არჩილ | 207 |
| | კვალად მეფე ბაგრატ დ | — |
| კ. | გიორგი გურიელი. | 208 |
| კა. | მეფე ალექსანდრე დ, | 209 |
| | კვალად არჩილ მეფე | 213 |
| | კვალად მეფე ალექსანდრე. | 214 |
| | კვალად მეფე არჩილ | 216 |
| კბ. | მეფე გიორგი გოჩია დ, | — |
| | კვალად მეფე არჩილ | 217 |
| კგ. | მეფე სვიმონ. | — |
| კდ. | გურიელი მამია გ, | 218 |
| კე. | აბაშიძე გიორგი ე, | 219 |
| კვ. | მეფე გიორგი ვ, | 222 |
| | კვალად გურიელი მამია | 223 |
| | კვალად გიორგი მეფე. | 224 |
| | კვალად გურიელი მამია | 225 |
| | კვალად მეფე გიორგი | 226 |
| კზ. | გიორგი გურიელი ვ, | 227 |
| | წარკვეთა სტამბოლს გიორგი მეფე. | 228 |
| | მოკვდა სტამბოლისამ მეფე გიორგი | 229 |
| | კვალად მეფე გიორგი | — |

გვერდი

კდ. მეფე ალექსანდრე ე. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 230
ქორონიკონები ვახუშტისა, დაწყებული 1201-გან ვიდრე 1755-მდე. . . . . . . 237
შემდეგი ქართლის ცხოვრებისა . . . . . . . . . . . . . . . . . . 259
საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა . . . . . . . . . . . . . . 307
საქართველოს ცხოვრება პაპუნა ორბელიანისა . . . . . . . . . . . . 343
ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა (ომან მდივნისა-გან ქმნილი), . . . . . . 475
შემდეგი კახეთის ცხოვრებისა . . . . . . . . . . . . . . . . . . 501
როსტომ მეფის ცხოვრება, გამოწერილი საქართველოს ისტორიიდგან გიორგიჯანიძის მიერ თხზულისა . . . . . . . . . . . . . . . . . . 517
§ 1. აქა იმერეთის ბატონი-შვილის მამუკას ჩამოსვლა ახალ-ციხით ქართლისა . —
§ 2. ხოვლეთსა სამხრეთში ციცი-შვილი ნოდარ თავის ბატონს მეფეს როსტომს შეება და გაეცალა. . . . . . . . . . . . . . . 518
§ 3. აქა როსტომის იადგარი ქადაგით, მისის ჩასვლისას ცხენს შეჯდა, გათენებისას მოიბის დღისას ახალ-გორს ერისთვებს თავს დაესხა და გაიმარჯვა ღვთითა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 521
§ 4. აქა ბატონის შვილის დაუარსაბის გამოგზავნა ყაენისა-გან როსტომ მეფის შვილად . . . . . . . . . . . . . . . . . . . 522
§ 5. აქა ალამ სულთნის სარდლობა საქართველოზედ. . . . . . . . . . 523
§ 6. სიკვდილი მარამ დედოფლის შვილის ოტიასი, რომ გურიელისა-გან ჰქვანდა —
§ 7. ზაალ ერისთავი და იოთამ ამილახვარი ყაენის კარს წავიდნენ . . . . . 525
§ 8. ქორონ. ტლბ, ჯანისან ყორჩიბაშმა მირზა თაყი ეტიმადოვლა მოჰკლა და ყაენ-მან ჯანისანც მოაკვლევინა . . . . . . . . . . . . . . 526
§ 9. რაც ზაალ ერისთავს კახეთში მამული ჰქონდა ბატონ-მან თეიმურაზ წაართვა. 527
§ 10. ეს ამბავი მ. ალექსანდრე-მ დარეჯან დედოფალს მოახსენა. . . . . . . 528
§ 11. ქორონ. სამას ოცდა-თხუთმეტსა შაჰაბაზ ყაენ-მან ყანდაჰარი აიღო. . . . . 529
§ 12. აქა ომი ჰქმრანდს ზედა ერანელთა და ინდოელთა ეს არის . . . . . . 530
§ 13. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 531
§ 14 სიკვდილი იმერეთის მ. ალექსანდრეს ძმის მამუკა ბატონი-შვილისა . . . 532
§ 15. როსტომ მეფე-მ განჯის გზა-ზე გატეხილს ხიდს ზეით დებადეზე გუმბეთით ხიდი აგო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 533
§ 16. აქა მ. როსტომ თურმან ყაენ-თან გაგზავნა და ვახტანგ ბატონის-შვილი საუფლის-წულოდ სთხოვა . . . . . . . . . . . . . . . . . 536
§ 17. ქორონ. ტმდ, ამ ჟამს მ. როსტომ ისპაანის მოურაობა მე ფარსადანს მისცა . 538
§ 18. აქა ომი მეფის ალექსანდრესი და დადიანის ძმის-წულის ლიპარიტის მოკვლა. 540
§ 19. აქა მეორედ ყაენ-თან მოსვლა ზაალ ერისთვისა და დიდის პატივის ძღვენი. 541
§ 20. აქა დარეჯან დედოფლისა-გან თავისის გვრის ბაგრატ მეფის თვალების და-
§ — წვა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 542
§ 21. ქორონ. ტნე, შაჰაბაზ ყაენი მიიცვალა და მას სულეიმან, შვილი მისი გახელმწიფდა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 545
§ 22. აქა შაჰნავაზ მეფის სახლის არევა და შვილების წასვლა ახალ-ციხის ფაშას-თან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 547
§ 23. სიკვდილი შაჰნავაზ მეფის სომქარის. . . . . . . . . . . . . —
§ 24. აქა იქიდ გიორგის მეფის ამბავს მივიდეთ, თუ რა იქნა და რა მოსდა. . . 548

# საძიებელი


გვერდი.

§ 25. ერეკლე ბატონის შვილი რომ მოვიდა, ხუთს წლის უკან ლეკი მოჰყავდა შირვანს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 550

§ 26. აქა ერეკლე ბატონის შვილის წამოსვლა რუსეთით, შირვანს მოვიდა თუშეთის გზითა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 552

§ 27. ერეკლე ბატონის შვილის მოსვლა ყაენ-თან ყალხმინს და დიდის პატივის დება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 553

§ 28. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 555

§ 29. აქა ამბავი თვალ-დამწვრიანთა . . . . . . . . . . . . . . . . 557

§ 30. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 559

§ 31. მისვლა ქალბალიშბეგისა და სოსთქრისა-გან დიდის პატივის მიპყრობა. . 560

§ 32. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 568

§ 33. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 569